

კონსტანტინე
გამსახურდია

მთვარის
მოტაცება

კონსტანტინე გამსახურდია

მთვარის მოტაცება

ტრილოგია

თბილისი 2013

კარი პირველი

ერგეაშვა

„აფისლებისა და ნახევარმთვარა ზღვის კიდის მეორე ნაწილში აბაზგები მოსახლეობენ... აბაზგები ძველითგანვე ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ, ხოლო მუდამ ჰყავდათ ორი თვისტომი მთავარი... ეს ტომები ჩვენს დრომდისაც თაყვანს სცემდნენ ჭალებს და ტყეებს. უცნაურ გულუბრყვილობის გამო ხეები ღმერთებად მიაჩნდათ. თავიანთ მთავრებისაგან საშინელი ჩაგვრა გამოუცდიათ მრავალგზის, რაკი ისინი ეგზომ ვერცხლის მოყვარულნი ყოფილან თურმე“

პროკოფი კესარიელი

ერთი უცნაური სიმღერა გამიგონია აფხაზეთში. ვაჰრადას არა ჰგავს იგი, ჟრუანტელის მომგვრელს, არც ახრააშვს, დაკოდილს

რომ უმღერებენ, მოსალბუნე სინაზით სავსეს, ჩონგურის მონოტონურ ჟღარუნში არეულს. არც აზარს, თარჩიას დროს შესაძახებელს, დიაცური, ამაზრზენი კივილით რომ გამოუდგებიან წითელპერანგიან ვაჟს, ჩაბალახით წელგაკრულს, შავჩოხიანი ცხენოსნები.

არც იმას, მარულას დაწყებისას ნაბდით შებურვილ ცხენს რომ ეტყვიან აფხაზები ზარითა და დამბაჩების სროლით.

არა, სულ სხვაა ეს ღამეული მგზავრული. ერგეაშვას უწოდებენ მას. ერგეაშვას მგრგვინავი, ვაჟკაცური ხმით მღერიან. მოგზაურთა, გზამოჭრილთა და წყალში გაჭირვებულთა გასაგონად.

მიდის ჩაბალახით თავგაკრული აფხაზი ვაჟკაცი; ალერსიანად უტატუნებს აჩიგვარას მათრახს თავის ტანმორჩილ ცხენს. ღამით თვალი უჭრის, გრიგალის არ ერიდება, ყინვის არ ეშინია, ნაბადი განზე მოუგდია.

ფოცხვერების ჩხავილს არად აგდებს, არც ნაზამთრალი მგლის შეყმუვლებას ბნელ გორმახებზე.

მიდის უშიშარი და შეუპოვარი აფსუა, ომახიანი ხმით მიიმღერის. დეე, გაიგონოს მისი ხმა მგზავრმა ღამეულმა, სხვის მიწიდან გადმოსულმა, გზასაცდენილმა და უბინადრომ. კარგმა ვაჟკაცმა, კარგ ცხენზე მჯდარმა, გაჭენებული ცხენიდან მათრახის ენას რომ გახვრეტს, ხანჯლის პირს ტყვიას რომ შეაჭრის და ცხენს იმ სიმაღლეზე გადაახტუნებს, უნგრეთის კავალერიას არც კი ზმანებოდეს.

დღისით, მზისით მტერს და განსაცდელს არ შეეპუება, მაგრამ თუ გზა ვერ გაიგონა და მეგზურიც ვერ იპოვნა, რა უყოს მაშინ კარგმა მამაცმაც ღამეს (და არსად ისეთი ბნელი ღამე არ იცის, როგორც აფხაზეთში, სადაც ბუნებას სუბტროპიული ძილი ეუფლება).

სწორედ ამ სიმღერას მღეროდა ოქუმიდან ზუგდიდს მიმავალი

კაც ზვამბაია თავის ჩერქეზულ ჭაკზე იმედიანად მჯდარი. ჟამიდან ჟამზე დაწინაურებულს მგლურით მიმავალ ვაჟს ესიტყვებოდა.

ეს იყო მხოლოდ, კარგად ვერ მიმხვდარიყო: არზაყანი აჩქარებდა ცხენს თუ მხედარს ვერ დაეოკებინა ახლად გახედნილი კვიცი.

„ჰეჲ ვარა, რამდენჯერ მითქვამს: აღვირი მარცხენა ხელით უნდა გეჭიროს ტახტასთან, როცა გაგიჭირდება, ორივენი თანაბრად უნდა ასწიო და მოკლედ დაუჭირო-მეთქი“.

არზაყანმა მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადაიტანა აღვირი და მაგრად მოსწია სადავე.

მართალი უთქვამს ბრძენს, ფიქრობდა კაც ზვამბაია: ჩემს ნახედნ კვიცზე ყმაწვილი ან დედაკაცი არ შესვათო.

„გზა ტალახიანია და იმიტომაც ოჩნობს ეგების“.

„ვერც ეგ უსწავლებიათ შენთვის ლეგიონში, — გესლავდა მამა, — სწორედ ტალახებში და ხნულში უნდა ატარო ახლად ნახედნი ცხენი“.

„ლეგიონში გვასწავლეს: აღვირი ორივე ხელით უნდა გეჭიროსო“.

„კაი მიეცათ მაგათ“...

„თუ შენ ვერ მორევიხარ მაგ ულაყს, გავცვალოთ ცხენები“.

არზაყანი თუმცა კომკავშირელი იყო, მაგრამ მაინც აფხაზური ტრადიციები მთლად არ იყო მასში აღმოფხვრილი. ცხადია, ჭაკზე შეჯდომას იუკადრისებდა იგი და ამიტომაც მოიბოდიშა: სჯობს ისევ მე შევეჩვიო, ეგებ მარულაზე ამ ცხენზე მომიხდესო ჯდომა. ასე ამბობდა, თანაც ეშინოდა: ვაითუ მამამ დამსაჯოს და ჭაკზე შემსვასო.

კაც ზვამბაიას ცხენი გულნაწყენად ფრუტუნებდა. წინ მიიწევდა, ჯავრობდა: თავდაჭერილი მხედარი დაწინაურებული ულაყის

გასწრება რომ ანებებდა. ცხენიც ხომ ხარბია, თავის ტოლს თუ ხედავს აღვირმიშვებულსა და წინმორბენალს.

მთვარემ გადმოხედა ახლად აყვავებულ ალუჩებსა და ატმებს, ვერცხლის ღიმილი გადაათოვა ველებს და მერმე წამოვიდა შავი ზღვის ნასუნთქი ღრუბელი, შემოუარა, შემოევლო, ზედ გადაეფოფრა მთვარეს, როგორც ბოლოგაშლილი ფარშავანგი თავის ნამლევს.

აჩქარდა კაც ზვამბაიას ცხენიც. გრილი ზღვაური ნაზად ეალერსებოდა შეზარხოშებული მოხუცის სახეს. მის გვერდით მიჰქროდნენ ალვების, ჭადრების თალხი სილუეტები. გრძელი, თალხი ჩრდილები ზოლებად წვებოდნენ გაშლილ ტაფობზე, მწვერვალების კბილოვანი ნაჩრდილევი ისე იხატებოდა მინანქრისფერ ცაზე, როგორც გოლიათური გიშრის სამკაულები.

ენგურს ვეღარ გავალთ ვახშმობამდის! ნაღვლობდა კაც ზვამბაია. გულის სიღრმეში მაინც უხაროდა რაღაც. მართლაც, რა სჯობია იმას, თავათაც მხნედ იყვე ვაჟკაცი და მოსწრებული ვაჟი ცხენს მოაჯირითებდეს შენს გვერდით.

მაინც ცალყბად ტუქსავდა არზაყანს, სულწასულსა და მოუთმენელს. კარგი მხედარი მათრახს არ უნდა ზოგავდესო, რადგან კარგი ცხენი უმათრახოდაც იცნობსო მხედარს. და არავინ ისე საცოდავი არ არისო, როგორც მეგრელისეული ცხენი. მეგრელს ცხენი ცოლ-შვილს ურჩევნიაო, თავის ცხენოსნობის გამოსაჩენად თუ დასჭირდა, ცხენსაც არ დაზოგავსო.

მაგრამ ღამის ქადაგებას რა ჭკუა აქვს, არზაყანმა დღისით ნათქვამიც არ დაუხსომა მამას.

კომკავშირში ნუ შეხვალო და მთელ სოფელში პირველი ჩაეწერა. ჩალმაზს — რაიკომის მდივანს ნუ აჰყვებიო და ლამისაა სულში ჩაიძვრინოს ჩალმაზი.

აკვანში დანიშნული ქალი მიატოვა და თამარს გადაეკიდა,

შარვაშიძის ქალს, რა მისი საქმეა თავადის ქალი!

სად შარვაშიძე და სად ზვამბაია!

ტფილისში, ლეგიონში სულ გადაარჯულეს, ან რა უნდა შეასმინოს კაცმა ახლანდელ შლეგ ახალგაზრდებს? უნდა დაიწვას წიგნები და გაზეთები, ბლუზიანი და კეპიანი ხალხი უნდა ამოწყდეს. ასე ფიქრობდა კაც ზვამბაია და ალერსიანად უტლაშუნებდა აჩიგვარას მათრახს თავის ფეხკავშა ჭაკს.

ცოტა ხანს მდუმარედ მიჰყვებოდნენ მამა და შვილი ღრანტეში, ბარდებში გავლებულ თემშარას.

რომელიღაც ნადირმა გაიშლიგინა კატაბარდებში.

შეხტა, შეკუნტრუშდა ულაყი, აცქმუტდა, ატოკდა კაცის ცხენიც, განზე გაიწია უჯიათად და, როცა მხედარის ნაცადმა ხელმა ლაგამი მტკიცედ ამოსდო ლაშებში, შედრკა, შენელდა და ისევ მორჩილად გადავიდა ლაფშურზე.

არზაყანს თავი წაართვა ულაყმა, იმძლავრა ისევ მხედარმა და სიბნელეში აისვეტა ცხენიც და მხედარიც. ციცინათელებსავით გაიელვეს დაკვესილმა ნაპერწკლებმა ღორღიან შარაზე. გაბრაზდა მხედარი და მათრახის მოწყვეტილმა ტკაცუნმა გააპო დუმილი ღამის. მაგარი ხელით მოუღრიჯა კისერი ცხენს არზაყანმა. შემოატრიალა, დატუქსა ისევ და მხარმარჯვნიდან ამოუდგა მამას. მოეკრძალა არზაყანს მამის. არ უნდოდა შეემჩნია მას, რომ ასე სულსწრაფებით მიიჩქაროდა არზაყან ზუგდიდისაკენ. რას გამოაპარებს ბერიკაცს, იგი რაც ზევითაა, ორი იმდენივე ქვევითაც უნდა იგულისხმო, უთუოდ მიუხვდება გულისხმას ჭაბუკს, თუ რად აჩქარებდა მთელი დღე ენგურზე გასვლას. ენგურზე შესაძლოა ბორანით გასვლა მოხერხდეს.

დაფრთხა რომელიღაც ფრინველი ბარდებში. აძაგძაგდა, გაფიცხდა უარესად ულაყი. გახელდა ჭაკიც. აყვნენ ურთიერთს ცხე-

ნები, გადალახეს მამის სურვილი და ვაჟის ხათრიც. შეზარხოშებული კაც და სისხლმოჭარბებული ვაჟი უსაზმნოდ მიაჭენებდნენ ცხენებს ამ მრუმე ღამეში, ფლატეების, ხრამების, ბარდების და ღელეების განუკითხავად, კუნძებით, ლოდებით, რიყის ქვებით მოხერგილ შარაზე.

ჭარმაგი, დარბაისელი კაც უნებლიედ აჰყვა თავაწყვეტილ ვაჟს. სადავე მაგრად ეჭირა ხელში. ახლა კაც ზვამბაიამაც სიამე იგრძნო ანაზდეულად გადაავიწყდა: საცოლე ვაჟის მამა რომ იყო და მთელს აფხაზეთში სახელგანთქმული მხედარი.

ერთ წუთში თითქოს გაორდა მოხუცი კაც ზვამბაია და ხედავს იგი ახალგაზრდა კაც ზვამბაიას.

ოცი წლის წინად სწორედ ამ ნაჯიხვარზე გაუჭენდა ცხენი, მაშინაც მარულაზე მიდიოდა, მაშინაც ასე ნასვამი იყო და ცხენიც ასე მოულოდნელად დაფრთხა რომელიღაც ნადირის უეცარ შლიგინზე.

გასულა სიჭაბუკე, გასულან წლები, მაგრამ მაინც განუზომელი სიხარული დაძრულა კაც ზვამბაიას გულში, რადგან ეს მისივე სისხლია წინ რომ მიისწრაფის, ეს მისი ხორცია, ცხენები რომ ააღელვა.

მიჰქროდნენ მათ გვერდით სერები, კორდები, ნაკეპი, ნაჩეხი ტყეები. ლასლასით გარბოდნენ სივრცეში ცამდის ალანძული მთები, შავნაბდიან რაინდებივით ამპარტავანნი და ამ სოფლის ჟრიამულს განრიდებულნი.

ისევ შევიდა ჭაბუკი ჰაზარტში. მამა ხმას არ იღებდა, ამიტომაც ქუსლი ჰკრა უეცრად ცხენს, აჰაჰაიტ შემოსძახა, ავჟანდებზე წამოიწია, მაგარ-მაგარი აჭამა ულაყს.

შემოესმა შვილის ხმა კაც ზვამბაიას, საოცრად მამაკაცური და გამომწვევი. შლეგივით გაეღიმა ღამის სიბნელეში, თავათაც მათრახი მოუქნია ცხენს, თავათაც ცერებზე წამოდგა, ნება-ნება

მიუშვა სადავე ცხენს და დიაცივით ხარბი ჭაკი მიჰყვა კვალდაკვალ გაზულუქებულ ულაყს, თითქოს მხედარი აქ აღარ იყო, თითქოს აქ მხედარს არაფერი ეკითხებოდა.

მიაქროლებს თავის ცხენს კაც ზვამბაია, ჭაკმა წაიგრძელა კისერი და მხედარს უხარია ამ ბნელ ღამეში: ეს მისი სისხლია, მას რომ შორს გაუსწრო, ეს მისი ხორცია, მას რომ აღარ უცდის.

რომელიღაც პატარა სოფელი გაიარეს. ცხენების თქარუნზე აზვავდნენ ძაღლები, გადმოლახეს ღობეები და თხრილები, ამაო ყეფით გააყრუეს მძინარე სოფელი. გაივაკეს სოფლის ბოლოს გასულმა მხედრებმა.

აიშვა მამისაგან ასგზის დატუქსულმა, მამის ნებას გადასულმა. მთლად მიანება სადავე თავის საყვარელ ულაყს, ისევე, როგორც ლეგიონში სჩვეოდა ხოლმე და ახლა ზედიზედ გაბედულად აჭამა მათრახი ცხენს.

მათრახი მომხვდაო? გაჭენდა უარესად, გაფრინდა ცხენი. დაჰკივლა მხედარმა ენგურის ჭალების პირისპირ, ენგურის შორეული შუვილით გახარებულმა და ამცნო ჭაღარა მამას შეჯიბრში გაწვევა.

ისევ წამოდგა ავჟანდზე მამა, აფხაზური ცხენოსნობის დიდოსტატმა იწყინა შვილის თავხედობა, გულში გაიღიმა ანაზდეულად და იმედიანად მოსხლიტა ჭაკი, თავს გადაევლო უშველებელ ეკლიან ბარდს, რათა ამგვარად მოეჭრა შვილისათვის გზა.

ჰმ, ვის უბედავს ეს ბიჭუნა შეპაექრებას! კვერცხის ნაჭუჭში ამბოხებულა პირყვითელა წიწილი და კრუხს შეჰკამათებია.

არწივს ფრენაში გაჯიბრებია ახლად აღნავებული მართვე!

ენგურამდის კიდევ შორსაა და... ენგურამდის ანანებს თავის თავხედობას კაც ზვამბაია ამ ბიჭუკელას.

ჰეი გიდი, რა ბნელი დროები გაუთელია კაც ზვამბაიას!

აფხაზეთს კაზაკების ეკზეკუცია ეწვია რეაქციის დროს. დატუქსეს, დაძარცვეს აფხაზთა ტომი. ვაჟკაცები ტყეში გაიხიზნენ ზოგნი — და კვირა დღეს, საქმე და საძარცვი რომ შემოელიათ, ასეულის უფროსს ჯირითის გამართვა მოუნდა. ეკლესიის მოედანზე გაამწკრივა კაზაკები და შეჯიბრში გამოიწვია შინდარჩენილი აფხაზები. გაზულუქებულ, გასუქებულ ორლოვის რისაკებს უნდა შებმოდნენ აბსნის ხვლიკივით გამხდარი ცხენები, მკერდულით ესინჯათ ძალა. თავიანთი ცხენების მკერდების იმედი ჰქონდათ, აფხაზური ჯირითის გაპამპულება უნდოდათ.

ცხენებსა და მხედრებს ეკლესიისაკენ აქნევინა ვახმისტრმა პირი, თავათ ალმაცერად წინ დაუდგა ასეულს. გამოვიდნენ კატასავით ტანმორჩილ ცხენებზე შემსხდარი აფხაზები. დაწინაურდა კაც ზვამბაია, ერთორჯერ სხაპი აქნევინა თავის ცირას, შემდეგ უეცრად შემოჰკრა ქუსლი, ეძგერა ორლოვის უშველებელ აჯილღაზე მჯდარ ვახმისტრს და ცხენიანად მიწაზე დააგორა. მთელი ასეული გამოუდგა კაც ზვამბაიას. ენგურამდის მისდიეს, შემდეგ კი კვალი დაეკარგათ ჭალებში.

მსოფლიო ომის დროს დნეპრის სახელდახელო ბონდზე გადიოდა რუსების კავალერია.

„ველურ დივიზიას“ უბრძანეს პირველად გასვლა.

„ვაჟკაცი იგი იქნება, ვინც ცხენდაცხენ გასცურავს დნეპრს“, წამოსცდა დივიზიის უფროსს ლიპარტიანს. ამის თქმა მოასწრო ლიპარტიანმა და მის წინ მიმავალმა კაც ზვამბაიამ შემოუქნია ცხენს მათრახი, გულდაგულ გადააგდო დნეპრში და სამშვიდობოს გავიდა უვნებლად.

ამგვარისა და სხვა ათას ჭირთამთმენ კაც ზვამბაიას ქართული წითელი კავალერიის უმცროსმეთაური წაეთამამა.

„აჰაჰაიტ მარჯა“, შემოსძახა მაშინ თავის ზერდაგს კაც ზვამბაიამ, ავჟანდზე წამოდგა ისევ, მთელი ტანით გადმოწვა ცხენის

კისრისაკენ და ქაჯივით მოსხლიტა ჭაკი. გადაავიწყდა მამას თავისი მამობა და ვაჟმა, როგორც კი გაიგონა მძაფრი და ომახიანი ყიჟინა, თავათაც დაჰკივლა აფხაზურად და მამაცურად. ისევ და ისევ აჭამა მათრახი ულაყს.

კაც ზვამბაიას მზერას გაეცალა წინმიმქროლავი მხედრის სილუეტი, ისევ წამოდგა უზანგზე და გაჭენდა ფეხკავშა ცხენი. აკვნესებდა სისინა ქარი ნაზამთრალ სიმინდის ღერებს. მუსიკის ღმერთი — არიელი ამღერებდა თავის ღამეულ სიმღერას ჩალის ღეროებს შორის გაბმულ უხილავ სიმებზე.

ენგური წინ გადადგომოდა შეჯიბრებულ მამა-შვილს. მებორნის ჩამობნელებულ ქოხის წინ შეაყენა არზაყან ზვამბაიამ თავისი აქშენილი ცხენი. მთვარეც გამოსულიყო ღრუბლების ბნელ ჯებირებიდან, რძეში გავლებულ მეგრულ სულგუნივით თეთრი. ბარში მოვარდნილ ხარირემსავით მობღაოდა ენგური.

ენგური არც მტკვარსა ჰგავს, არც რიონს, არცთუ ალაზანს. ენგური უფრო არაგვსა ჰგავს გაზაფხულის პირზე აზვირთებულს (აფსუს, ჯერ რომ არ გვიქია ქართველ პოეტებს ენგური!).

მთვარე გულგრილად დასცქეროდა აბობოქრებულ ენგურს, მთვარე გულცივი და დარბაისელი, როგორც თავათ სიბრძნე და სიჭარმაგე. ასეა, მხოლოდ სიჭარმაგე ყოველთვის როდია ცივი. ღვინო გამონელებოდა კაც ზვამბაიას, ცხენიანად ოფლში გაღვარულს, მაგრამ აღსდგა მის ძარღვებში ძველაფხაზური ვაჟკაცობა (ეგრე აბორგდება ხოლმე თეთრი ენგური სვანეთის ლანქერებისაგან გახელებული).

„ჰეჲ ვარა, რას უცდი, თუ იცი?“

შეესიტყვა კაც ზვამბაია მხედრის მდუმარე სილუეტს, ენგურის ფონზე მთლად გაშავებულს.

მოცდა აჯობებსო, ამბობდა არზაყან. ასპიტივით დაგესლა ამ სიტყვებმა კაც ზვამბაია.

„შეხე მაგ გველის მართვეს, ჯირითში აჯობა მამას, ახლა ენგურისაგან მოელის გაშველებას, ვინძლო წყალში არ სჭამოს სირცხვილი!“ და აღსდგა კაც ზვამბაიას გულში მამასა და შვილს შორის ოდითგანვე დათქმული მტრობა.

„ჰეი, ვარა, შენხელა რომ ვიყავი, სათოფე მანძილზე წინ მივუშვებდი ენგურში ცხენს, მხარულით გადმოვენთებოდი უკან, ძუაზე ხელს მოვავლებდი და კისერზე აბგაგადაგდებული მივსდევდი უკან“.

„მერე აპრილში, დადრა?“

„სწორედ აპრილში, რიცჰა“.

„აპრილში დაამსხვრიე ის ვახმისტრი, დადრა?“

„დიახ, აპრილში, აპრილი ბედნიერი თვეა ჩემს ცხოვრებაში?“.

არზაყანი ხედავდა, მამა როგორ გაჯიქდა; მას აწი ვეღარავინ გადაათქმევინებდა ნაზრახს. მოშაქრული სიტყვით დედის სული დააფიცა მამას, გარდა ამისა, დედაც გვთხოვდა, თუ შემოგაღამდეთ, ენგურში ნუ გახვალთო, ცუდი სიზმარი მაქვსო.

„შენ ხომ არც ღმერთი გწამს, არც სული და არც სიზმარი?“

„მე არც ღმერთი მწამს, არც სული და არც სიზმარი, მაგრამ დედამ დამაბარა და მეც გაგახსენეთ, დადრა“.

იმართლა თავი დარცხვენილმა არზაყანმა.

ხუმრობის გუნებაზე დააყენა კაც ზვამბაია ჭაბუკის შეკრთომამ.

„ჯერ ძვლები არ გამაგრებია და ენგურთან შებმას ერიდებაო ალბათ. და ასეთი კაცისათვის მიუნდვია პოლიტსამმართველოს ყაჩაღების დევნა! რომელი ყაჩაღი არ ჩაისვამს ამ ზღმურტლიანს ჯიბეში?!“

ფრთხილად, მაგრამ დაბეჯითებით არწმუნებდა არზაყან მამას, აფხაზებისათვის მოეცადათ და დილას ერთად გავიდოდნენ

ბორანით. არც ფონი სჩანდა სადმე, სწორედ ბორანის ქოხს მიდგომოდნენ.

„ასე თუ გინდოდა, არ გვერჩია სოსელიასას დაგვეცადა, მოუთმენლად რომ ატროკდი, ღვინო არ დალიე, საჭმელს პირი არ დააკარე, კულაკებთან ღვინოს არ დავლევო, რომ აიჩემე. თარაშ ემხვარ მიატოვე, დედაშენის გაზრდილი. ახლა ხომ დაგჭირდა ის კულაკი, როცა დიაცივით შეგეშინდა“.

„კულაკებთან ღვინოს არ დავლევ, მაგრამ მცურავ კულაკსაც გამოვიყენებ, თუ ეს საჭირო გახდა“.

„ნუ იცი, ბიჭო, ასე უტიფრად თავის მართლება. თქვენ ქაჯი ვერ გამოგტეხავთ, რა გიშავთ, შვილო. თხის ქონში გავლებულ ღვედივით მოქნილი ენა მოუცია ღმერთს თქვენთვის და“...

„ენა სწორედ თხის ქონში გავლებული ღვედივით უნდა იყოს მოქნილი, მაგრამ ღმერთს არაფერი მოუცია ჩვენთვის, დადრა“.

„ღმერთმა თქვენც შეგარცხვინათ და თქვენი ენაც“.

ხედავდა არზაყან, თუ როგორ მოტყუვდა ვარაუდში. იგი წინასწარ დარწმუნებული იყო, მზის ჩასვლამდის ენგურს გადალახავდნენ. ღვინოც იმიტომ არ დალია, თარაშ ემხვარიც იქ იყო, შეგნებულად იპარავდა ღვინოს, თარაშ უნდა დაეთრო. თარაშს სოსელიასას დაათრობდნენ ალბათ. შესაძლოა, მესამე დღემდის ესვათ სამეზობლოში. არზაყან ზუგდიდში ჩაასწრებდა თამართან. ქალიც, როგორც ყოველი ნაალაფარი, ხომ მისწრებაზეა.

დოღი სწორედ სამი დღის შემდეგ თუ დაიწყება. ამ ორ დღეს შესაძლოა ბევრი რამ მოეტანა არზაყანისათვის და ამ გზით ბოლო მოეღებოდა თამარის მუდმივ ყოყმანს თარაშ ემხვარსა და არზაყანს შორის, დოღშიაც ბევრი რამ გამოირკვეოდა... თამარი ხომ შარვაშიძის ქალია და მათი გვარი ოდითგანვე ცხენოსნობის მოყვარულია, შარვაშიძის ქალებია სწორედ საუკეთესო მოჯირითენი და მონადირენი მთელს აფხაზეთში.

და არზაყანის თვალწინ გაიელვა თამარის ზღვისფერმა, დარდიანმა თვალებმა. ამ წუთში ნათლად ხედავს არზაყან თამარის სახეს, გაფცქვნილ ნარინჯსავით სათუთს და მოყვითანოს. იმასაც, თუ როგორ გაწითლდება მის დანახვაზე.

ეგებ, თარაშს რომ პირველი ჩაესწრო, არზაყანზე ადრე ენახა თამარის ოდნავ წამობურცვილი პირი, ეგებ მაშინაც გაწითლებულიყო თამარ შარვაშიძე.

რომელიღაც წყლის ფრინველმა გადასერა ჰაერი, გაურკვეველი ყრანტალი გაერია ენგურის დაუდეგარ შხუილში.

არზაყან გულჯავრიანად გასცქეროდა მთვარის შუქზე ლიბრ ფარჩასავით მოლივლივე ენგურის დენას, ცხენი მოუთმენლად აცქმუტდა, როცა დაინახა, რომ კაც დაქვეითდა და ოდნავ წაუტატუნა მათრახი თავის ცხენს, როცა იგი რატომღაც გაჯიქდა და ბორანის ფარდულში შესვლა არ ინდომა.

უსიტყვოდ ჩამოხტა არზაყან ცხენიდან და მიჰყვა მამას.

მებორნის ქოხიდან ჭრაქის უსუსური სინათლე მოკიანთობდა. კაც ზვამბაიამ ჩაბალახი გადაიგდო კისერზე და ხმამაღლა დაიძახა:

„აფშუმა“.

უშველებელი ჯოგის ძაღლი გამოეხმაურა ამ ხმას. კაც ზვამბაიამ პატარა სარკმლის რაფაზე დააკაკუნა მათრახის ტარით და ახლა უფრო ხმამაღლა დაიძახა:

„აფშუმა“.

„რომელი ხარ?“ მოისმა ქოხიდან.

„ასას“. უპასუხა კაც ზვამბაიამ.

იატაკზე რაღაც დაეცა. გაურკვეველი ბრაგუნი, ჭრაჭუნი და ხვნეშა ისმოდა. ცოტა ხანს შემდეგ ღრიჭინით გაღებულ კარის ჩარჩოში უშველებელი დევკაცი იდგა ტყაპუჭწამოსხმული. სტუმრები შეიპატიჟა ქოხში.

უზომოდ პატარა მოეჩვენა არზაყანს მამა ამ გაბურძგვნილი ახმახის პირისპირ. მან ორიოდე თავაზიანი, ნარევი მეგრულ-აფხაზური სიტყვა მიუგდო სტუმარს, ჭრაქი აიღო ხელში, შეანჯღრია, ისევ თავის ალაგას დადგა და შემდეგ ისე ზანტად წამოიჩოქა ამ ვეებერთელა ვაჟკაცმა კერაზე მოკიაფე ცეცხლის პირდაპირ, თითქოს სალიტანიოდ ემზადებაო. მუგუზლები მირეჯგ-მორეჯგვა და ცალ მუხლზე დაჩოქილმა დაიწყო ბერვა. კვამლის და მტუტის ბუღი დააყენა კერასთან. ვიდრე მებორნე ცეცხლს უბერავდა, სტუმრებმა ჯირკვლები მოსძებნეს ხელის ფათურით და დაიმუხლეს. როცა მასპინძელმა ცეცხლი გააჩაღა, არზაყანმა თვალი ჰკიდა გრძელწვერა თხას. დაწოლილი იცოხნებოდა თხა.

ახმახ მებორნეს შეავლო თვალი არზაყანმა. იგი მართლაც ოჩოკოჩს მიაგავდა ენგურის ჭალებში მოხეტიალეს. ათასგზის დაკონკილი, გახუნებული შარვალი ეცვა კავალერისტისა, ოდესღაც მუქლურჯი. მუხლებთან გამოჭრილი და ჭრელი ნაჭრებით დაკერებული. ზემო ტანზე ჯარისკაცის დაბამბული ჯუბა ეცვა ზორტებით მკერდთან შესაბნევი. ზორტები დაწყვეტოდა და ჯორის ძუასავით აბურძგვნილი თმები გამოუჩნდა ბერიკაცს მკერდიდან.

წვერს ნაპარსავა როდესღაც და ზღარბის ქაცვებსავით მომსხო და მოთეთრო წვერ-ულვაში წამოსვლოდა უწესრიგოდ. ყურებიდან და ნესტოებიდან შავი თმის ფოჩვები გამოსვლოდა, შუბლი მთლად დაღარული ჰქონდა, საკმაოდ მაღალი. ჩამობერტყილ ლოყებზედაც ნაოჭები დახვეოდა. დიდრონი შავი თვალები მშვიდად მოძრაობდნენ ასევე შავი, წურბლების მაგვარ, უწესრიგოდ ჩამოფანჩულ წარბების ჩრდილში.

„დადრა, მომშივდა“, აფხაზურად წასჩურჩულა არზაყანმა მამას. აქ შიმშილი როდი იყო მთავარი. უნდა გამოერკვია: ქოხში

დასარჩენად შემოვიდა მამა თუ დასამუხლებლად. ცხენიდან ჩამოსვლისას მოსართავებიც არ მოუშვია. ცხადია: მებორნეს გამოჰკითხავდა ენგურზე გასვლის ამბავს. მამამ შვილის ნათქვამს არ ათხოვა ყური. შესაძლო იყო, ქოხში შემოჭრილ წყლის ხშუილმა დაახშო ერთხელ ნათქვამი და არზაყანმა ისევ გაიმეორა: „მშიაო“.

და ეს „მშია“ ისეთი დიდი მუდარაა შვილის პირიდან განაგონი, რომ მთელ ქვეყანაზე უსასტიკესი მამაც ვერ აღუდგება წინ ამ ვედრებას. კაც ზვამბაია უსიტყვოდ ადგა, ცხენს მოსართავი მოუშვა, აბგები შემოიტანა, დაცუცქდა მებორნის გვერდით და დინჯად გახსნა აბგები.

მებორნეს ცეცხლი გაეჩაღებინა, იდაყვი მუხლზე დაებჯინა, ცალი ყბა ხელისგულზე დაეყრდნო და მორიდებულად ათვალიერებდა ბეჭებგანიერს, ტანმორჩილს, ჟღალჩოხიან მოხუცს და წითელარმიელის ფარაჯაში გამოწყობილ ვაჟს. სანდომიანი ეჩვენა მოხუცს ჭაბუკის სახე, ჭროღა თვალები და გრუზა თმა, სამხედრო კეპიდან შუბლზე გადმოღვარული ქოჩორი. მოგრძო ნიკაპისა და ტუჩ-პირის ხაზებში თავი ვერ დაემალა ჯერ კიდევ დაუმწიფებელ ვაჟობას. უჩვეულო რიდით იხედებოდა გარშემო იგი, ასევე მორიდებულად შესცქეროდა მოხუც მებორნეს, თვალს არიდებდა, პირდაპირ შეხედვას გაურბოდა. უფრო ნაკლებად სათნო სახე ჰქონდა მოხუცს, ნალეკურალით თუ ნახანჯლარით დადაღული იყო მისი მარცხენა ღაწვი, მტუტისფერი წვერი ნელ-ნელა შავდებოდა ნიკაპის გარშემო, ხოლო წვერის წვეტი გარეული იხვის ბოლოსავით აბზეკოდა ოდნავ. ქარვისფერი თვალები ჰქონდა მოხუცს, მაგრამ გამოცდილი თვალი მაინც შენიშნავდა მამაშვილურ ურთიერთობას მათ შორის. ღილებშეხსნილ სამხედრო ფარაჯის ქვეშ თეთრი დარაიას ბლუზა ეცვა ვაჟს, ქართული ახალო-

ხის დარად შავი ღილებით შებნეული, მარცხენა მკერდზე მიკრული წითელი ჟეტონი ცეცხლის ალზე ლაპლაპებდა.

დიდხანს შეაჩერა თვალი მებორნემ მასზე, ვერ გაერკვია, რა ნიშანი უნდა ყოფილიყო იგი. არზაყანმა მოხუცის მომნუსხველი მზერა იგრძნო და ფარაჯა შეიკრა მკერდთან, ცალი ფეხი გამართა და ორივე ხელით ამოიწია ვიწროდ შემოსხეპილი აზიური ჩექმების გრძელი, გარმონივით დაკეცილი ყელი.

კაც ზვამბაიამ აბგები გახსნა, პირაღმა აყირავებული სამფეხა მეგრული ტაბაკი გადმოაბრუნა და ზედ დაადვა რამდენიმე აფხაზური „აკვაკვარ“, თხის ყველი, არყისა და კაჭიჭის ბოთლები მუხლთან მიიდგა, წელზე გაისვა ხელი, მათარა მოიხსნა, ხელისგულზე დაიფერთხა და არყით გაავსო, აფხაზურად მიმართა მასპინძელს. მებორნემ თვალი შეავლო კაც ზვამბაიას ჭაღარას, მაგრამ ვერ უთხრა უფროსი ხარო და ჩიქორთულის აფხაზურით მიუგო, როგორც სტუმარმა, პირველად უნდა გამოსცალოთო.

სანამ მოხუცები აფხაზური ცერემონიების მიხედვით თავპატიჟს იდებდნენ, არზაყანმა ერთი აკვაკვარი გასტეხა შუაში და სათითოოდ დაიჭირა ხელში. მებორნეს უკვე გამოეცალა მათარა, კაცს სთავაზობდა, ცალი ხელის ბანჯგვლიანი ზურგით იწმენდდა არყისაგან დაცრემლილ თვალებს.

გარუჯული, დაკორძებული ხელები გამოუწოდა მებორნემ არზაყანს და აკვაკვარის ნაჭერი ჩაბღუჯა მოხარშულ კიბოსავით წითელ და დახეთქილ თითებში.“

არზაყანს არსად ენახა ასეთი უზარმაზარი და წითელი ხელები. ველური ვაზის ლერწებსავით დაღვარჭნილი ძარღვები მოსჩანდნენ. დამსკდარ, დაკოჟრილ თითებს თითების ნიშატი დაჰკარგვოდათ, დახეთქილი კანის არეებში შავად ჩალეკოდა წვირე, ზედ შეხორცებოდა, და ეს თითები რომელიღაც მტაცებლის

ჭანგებს დამსგავსებოდნენ. მოშვებული ფრჩხილები ბებერი მამლის დეზებსავით ყვითელი იყო და გაკაჟებული. მთელ ბედისწერას ამ კაცისას ამ ხელებზე ამოიკითხავდა დაკვირვებული თვალი. მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი დაჭრილი ჰქონდა, გულისამრევად მოსჩანდა მობლაგვული და ჩალისფერი ძვალი, — მოხუცმა მებორნემ ისე მადიანად დაიწყო ჭამა, თითქოს მთელი თვე მშიერი ყოფილიყოს ამ ქოხში დაბმული.

მადიანად ილუკმებოდა მებორნე, აკვაკვარის ნამუსრევი მიწაზე ან ტყაპუჭის კალთაზე რომ დაუცვივდებოდა, მოწიწებით იღებდა, ჰკოცნიდა და მერმე პეშვით იყრიდა პირში. ცხენისებური, მრგვალი, ოღროჩოღრო კბილები ჰქონდა ღრძილების მახლობლად გადაჭიმული და ჩაშავებული. ღვინოსაც ხარბად სვამდა და მარცხენა ხელისგულს წარამარა ისვამდა ნიკაპზე. სახე ქარისაგან გაცრეცოდა, სურსულას გადაელეკა ღაწვები და ცხვირი.

მოკვეთილი თითის შეხედვამ მოაგონა არზაყანს სადღაც განაგონი: ენგურის რომელიღაც ბორანს ვიღაც ყოფილი გენერალი განაგებსო. იგი ტფილისიდან გამოქცეოდა ბოლშევიკებს, ბოლოს მოაგნეს თურმე, შეხედეს: უვნებელი მოხუცი გამხდარიყო, მის გენერლობას ყავლი გასვლოდა, მებორნედ — კიდევ ივარგებდა, ამიტომაც არ დახვრიტეს.

არზაყანს უნდოდა ეს ეჭვი შეემოწმებინა, მაგრამ მოხუცებულის მოერიდა და დადუმდა.

შეამჩნია: ერთი მუგუზალი კერის პირიდან გადმოვარდნას აპირებდა. იგი რომ გადმოვარდნილიყო, უთუოდ დაარღვევდა საუცხოოდ გაჩაღებულ კოცონს ცეცხლისას, ამიტომაც დასწვდა მუგუზალს და ისევ შეაგდო უკანვე.

რაღაც ბუნდოვან ფიქრში გაერთო არზაყან ამ მშვენიერი ცეცხლისა და უცნაური მოხუცის შემყურე. პირი აარიდა ბერიკაცის მოტვლეპილ თავს, მთლად უსუსური, ბატების მიერ მოკორტნილ

კოინდარსავით საცოდავი თმები დარჩენილიყო აქა-იქ.

და არზაყანის ფიქრი გაიპარა იდუმალ...

ცეცხლი უფრო აღვივებს ადამიანის ოცნებას და ამ მოკაშკაშე სტიქიონის პირისპირ მჯდომი არზაყან ცხადლივ ხედავს თამარს, ატმის ყვავილისფერ აბრეშუმის კაბაში მორთულს. ატმის ყვავილისფერი აბრეშუმი მოსავდა თამარს და თავათაც ატმის ყვავილს დამსგავსებოდა აპრილის ფურცლობაში მოსულს.

„ჰეჲ ვარა“, შესძახა მამამ და შეკრთა ვაჟი, შეეშინდა, მამას არ გაეგო მისი იდუმალი ზრახვა. ყველაფერს გაანდობს აფხაზი დედ-მამას, ოღონდ სიყვარულის ხვაშიადს არასდროს. ამიტომაც ხელი წაავლო არზაყანმა მათარას და გამოსცალა.

მამამ კიდევ ამოაცოცა მეორე აბგიდან ერთი ბოთლი. მებორნე დანატრებული სვამდა. ტკბილად საუბრობდნენ მოხუცებულნი.

მებორნე უკვე შეფაკლულიყო ღვინისაგან, ცხენის თავსავით წაგრძელებულ სახეზე მსხვილად ნაკეცი და ღაროვანი ნაოჭები გაღრმავებოდა. მოკიანთე სხივი ჩასდგომოდა კრიალა თვალებში და ამ დაგლეჯილ თხის ტყავში გახვეული კაცი ისე არხეინად ნებივრობდა უშველებელ კუნძზე, თითქოს ზამბარებიან სავარძელში მჯდარიყო. არ იღუშებოდა, არცთუ იჭვნეულად გამოსცქეროდა მამა-შვილს წურბლებივით შავსა და ჩამოფხაულ წარბების არედან. გულხმიერად ებაასებოდა კაც ზვამბაიას, როგორც სადარბაზოდ მოსულ მეგობარს.

მოხუცები ყოველთვის მოსძებნიან ხოლმე საერთო ენას, გაუელვა გულში არზაყანს, ახლა მარცხენა ფეხი გამოსწია წინ და ჩექმის ყელი მუხლზე გადაიკეცა.

სად იყო გამძვინვარებული, მთელს ქვეყანაზე გაბოროტებული მებორნე?

ბატონკაცურად ხარხარებდა იგი. ასეთი სიცილი მხოლოდ გალაღებულ შარვაშიძეებისა, დადიანებისა და ემხვარებისაგან სმენოდა არზაყან ზვამბაიას, როცა იგი თხებს აძოვებდა აჩიგვარაში, ხოლო შარვაშიძეები, ემხვარები და დადიანები ლოთობდნენ, კარტს თამაშობდნენ და სხაპს ათამაშებდნენ ცხენებს.

რა საოცრად გარდაქმნის ღვინო ადამიანს, გაიფიქრა არზაყანმა და ამასობაში ღვინით სავსე მათარა შეაჩეჩა ხელში მებორნემ. არზაყანმა თავი გააქნია, უარის თქმას ლამობდა, თავაზიანობამ დასძლია, გამოართვა, ცოტა მოსვა, დაცლა არ უნდოდა, მაგრამ მათარა არ დაიდგმება და მონასვამს ხომ არ მიაწოდებდა უფროსებს, ამიტომაც გამოსცალა ხელმეორედ.

არზაყანმა მამას გადასცა მათარა, უსიტყვოდ შეხედა სახეში, უნდოდა გამოერკვია: კიდევ თუ ფიქრობდა ამაღამ ენგურზე გასვლას, ცხვირზე შეატყო: ოდნავ შეზარხოშებულიყო (ხოლო დათრობისას კაც ზვამბაიას ცხვირის წვეტი განზე მოექცეოდა ხოლმე).

არზაყანმა ბორნის ამბავი გამოჰკითხა მებორნეს. მთვარე ამოსულია, მაგრამ ამაღამ ქაჯიც ვერ გადავაო ენგურზე, დაამოწმა ბერიკაცმა. კაც ზვამბაია ადგა, ცხენებს უნდა მივხედოო, მოიბოდიშა, ცოტა ხანში მობრუნდა. მგზავრების ვინაობა და სადაურობა გამოიკითხა მებორნემ...

მარულაზეო?! — ეს რომ გაიგო, ძველი დროის ამბებით დაინტერესდა. არზაყან უამბობდა, რომ მას მარულა არც ისე აინტერესებდა, მაგრამ რაიკომს დაევალებია მისთვის, აფხაზეთიდან მიმავალ ცხენოსნებს გასძღოლოდა. ამ წელს საქართველოს მიწსახკომი აწყობდა მარულას. ხელისუფლებას უნდოდა საქართველოს ცხენსაშენის ჯიშიანი ცხენები ეჩვენებინა აფხაზებისა და ოდიშარებისათვის. რამდენიმე აფხაზური ჭაკი მოჰყავდათ. ულა-

ყები უნდა გაეყვანათ მათზე. ტფილისიდან გამოეგზავნათ რამდენიმე წმინდა სისხლისა და ნახევარსისხლიანი ცხენი. ერთი შესანიშნავი ინგლის-არაბული, ერთი წმინდა სისხლის ინგლისური ჭაკი, სამი თექური ულაყი, ერთიც გერმანული ულაყი, ყოფილი იმპერატორის ვილჰელმის ცხენსაშენიდან. ხელისუფლება ამ საქმეს პროპაგანდის მოსაზრებით აწყობდა, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გაენებებინათ თავი აფხაზებსა და ოდიშარებს ადამის დროინდელი ცხენოსნობისა და ცხენის მოვლისათვის.

ქვეყანა იცვლებაო, უქადაგებდა არზაყან მებორნეს. მთელი ჩვენი მეურნეობა ახალ საფუძველზე გადაგვყავსო, ახლა კი დროა, ეს დარგიც გადავახალისოთ, რადგან ძველი ჯიშები კვდებიანო, ახალსა და ჯანსაღს გზა უნდა მივცეთო, მებორნემ თავი ძირს დახარა ამის გამგონემ, კერიდან გადმოვარდნილ მუგუზალს წიხლი ჰკრა და ასე უთხრა არზაყანს:

„იცი, ყმაწვილო, ცხენზე ყოველი კაცი ჯდება, უზანგებს თუ შეაწვდინა ფეხი, თუთუნსაც ბევრი სწევს, ღვინოსაც ბევრი სვამს, ქალსაც ბევრი დასდევს, მაგრამ არაფერი ისე ძნელი გამოსაცნობი არაა, როგორც ცხენი, თუთუნი, ღვინო და ქალი. მთელი ჩემი სიცოცხლე ცხენის მოვლის ამბავი მაინტერესებდა.

თქვენ ალბათ გაგიგონიათ, მე ყოფილი გენერალი ვარ, სპეციალურად ინგლისური შემისწავლია ამისათვის. მე თავათ მქონდა ცხენსაშენი, უძვირფასესი ჯიშები მყვანდა.

თხუთმეტი წლის ბიჭი ვიყავი, როცა საქართველოდან წამიყვანეს რუსეთში, კავალერიის სასწავლებელში. შენ ამას წინად შენი ლეგიონი ახსენე, უნდა გითხრა, ბედნიერია შენი თაობა, რომელსაც ჩვენოდენი უბედურება არ განუცდია. შენ ალბათ წარმოდგენაც არა გაქვს იმისა, რასაც ჩვენ — იუნკრები „ცუკანიეს“ ვეძახდით. არც ერთ სხვა ენაზე არაა ამ სიტყვის ბადალი. ბალტი-

ის მხრიდან გამოსულ გერმანელ ბარონებს მოგვიჩენდნენ, გამხეცებული ვახმისტრები და კორნეტები გვროზგავდნენ, გვაწამებდნენ, დედას გვაგინებდნენ.

გაგვიყვანდნენ მანეჟში.

კვერცხებზე ნუ ზიხართ, თქვენი დედა... დაგვჩხაოდა თავს ერთი წუნკალი გერმანელი კორნეტი. ჩხიკვს ვეძახდით ქართველები მას. დედის გინებისათვის ბარე ორს დავამტვრიე ცხვირ-პირი, ყოველ კვირას კარცერში ვიჯექი. როცა კი დედის გინებას შევეჩვიე, ქართული ლაპარაკი და ჩვენებური ზრდილობა გადამავიწყეს, დედას ვაგინებდი და მეც ვითმენდი დედის გინებას. გასაოცრად შემიყვარდა ცხენი, რადგან კავალერიის ყაზარმებსა და მანეჟებში ყველაზე სიმპატიურ ცხოველად ცხენი მეჩვენა. და გადავწყვიტე: საფუძვლიანად შემესწავლა ამ ცხოველის ვითარება და მოვლის ამბავი.

მე სისხლი უნდა მეღვარა რომანოვების მეფისა და მამულისათვის. და როგორც ძალად გათხოვილი ქალი საყვარელს გაიჩენს იდუმალ, ისე მეც ცხენი შევიყვარე სამსახურში, ვინაიდან მათი მეფე და მათი მამული ისე მაინტერესებდა, როგორც ნივრის ნაქურცვენი.

და მართლაც, ამ ცხენმა შემომატარა მთელი ნახევარი ხმელეთი. მანჯურიისა და კორეის ველებზე ვებრძოლე იაპონელებს, მერმე ყირგიზეთში გამაგზავნეს; ათი წელი იქ მაროზგვინეს ყირგიზების, ბაშკირების ახალგაზრდები, რადგან, ჩვენის წესდებით, ისინი უნდა გადამეჩვია ყირგიზულად ცხენზე ჯდომას და რუსული კავალერიის წესები შემეთვისებინა მათთვის.

იქიდან ტაშკენტში გადამაგდეს, ახლა თურქმანებს და ტაჯიკებს მიმაყენეს, მათ სპარსულ-ჰინდური წესები სჩვეოდათ, თავზე დავაყენე ვახმისტრები და კორნეტები და ისევ გავროზგე ისინიც, როგორც მე მროზგავდნენ ხუთი წლის მანძილზე.

მერმე ის იყო, მსოფლიო ომი ატყდა, ჯერ ნოვოჩერკასკში გადამაგდეს სათადარიგო კავალერიის უფროსად. აქ კაზაკებს, ჩერქეზებს, ყაზი-ყუმიყებს და ლეკებს მივდექი. მათ კავკასიური ცხენზე ჯდომის წესი აქვთ, ისინიც უნდა მომერჯულებინა, მთიელები ფიცხი ხალხია და მრავალგზის მომირეჯგვეს კორნეტები, ვახმისტრები და მეც იძულებული გავხდი, მრავალი გამეროზგა და გამეციმბირებინა.

აქედან ხელი წამომისვეს და აღმოსავლეთ პრუსსიაში მიკრეს თავი. მემელში მე შევედი პირველად და ვილჰელმის საქონლის საჯიშოდან გამორეკილი ძროხები მე დავაკვლევინე, ჯალაღანიებს, ხვიჩიებს, გვიჩიებს, მალაზონიებს, მაქაცარიებს, წიკლაურებს, ნემსაძეებს და ჟვანიებს ვაჭამე. სამსონოვის დაღუპვის შემდეგ მე მოვიგერიე გერმანელების იერიშები რუსეთის საზღვარზე. პრუსიის კავალერიის ესკადრონები ისე შევმუსრე, ამბის წამღებიც არ გამიშვია, როცა ლვოვთან ძალიან გაუჭირდა რუსეთს, იქიდან მომხსნეს და საშინელი საარტილერიო კანონადის ქვეშ პირველი დივიზია შევიყვანე ლვოვში. პერემიშლის სანახებში ვიბრძოლე.

კარპატების მისავალებთან, მინსკის ჭაობებთან სამჯერ შევეტაკე ავსტრიის კავალერიას. სწორედ იმ წელიწადს, როცა რუსეთის კავალერიის ინსპექტორად დამნიშნეს, უნგრეთის ცისფერი ულანების სამი ესკადრონი გავანადგურე. მერმე ის იყო, რუსეთის იმპერიას აბორტი გაუკეთეს ბოლშევიკებმა“.

„ვაცხონე მაგათი მამა“. დაუმატა მებორნემ.

„ჩვენ, ბოლშევიკებს ცხონება არ გვწამს“, დასძინა არზაყანმა.

„ცხონება არც მე მწამს, მე წაწყმენდა მწამს მხოლოდ. ესაა: ორივე ამ მიწაზე ხდება. ყოველი ადამიანი ამ ქვეყანაზე წაწყდება საკუთარი ცხოვრების წყალობით. მთელი ახალგაზრდობა და ვაჟკაცობა რომანოვების რუსეთს შევალიე და მერმე, როცა იგი

დალპა, ამ გახრწნილმა ლეშმა ისე ამომარწყია თავის პირიდან, როგორც იონა — ზღვის ვეშაპმა.“

სიბერეში თვით მოღალატესაც სამშობლო მოენატრება და მეც უკვე წელში გატეხილმა, ბივაკებისა და ომებისაგან განადგურებულმა, რევმატიზმებისაგან დასნეულებულმა, საქართველოს მოვაშურე, ჯარისკაცის დახეულ ფარაჯაში გადაცმულმა.

ნოვოჩერკასკში დენიკინმა დამიჭირა და ბოლშევიკობა შემწამა. მერმე ის იყო, ნოვოჩერკასკი ბოლშევიკებმა აიღეს და გენერალ დენიკინის კორპუსები ფარასავით წინ გაირეკეს. მე არ გავამხილე, ვინც ვიყავი, როგორც მოხუცი, შემიბრალეს და გამომიშვეს. საქართველოში რომ ჩამოვედი, მენშევიკებმა დამიჭირეს, როგორც „დენიკინელი“. ოცდაერთ წელს თავდებით განმანთავისუფლეს.

მენშევიკებმა სამ წელშიაც ვერ ისწავლეს ვერც საქართველოს ისტორია და ვერც გეოგრაფია. მათ არ იცოდნენ, რომ სწორედ ცხენოსანი ჯარი იფარავდა საქართველოს. ტფილისთან მომდგარი ტრამალები ბუნებრივი გაგრძელებაა კასპიისა და აზერბაიჯანის სტეპებისა, ამ სტეპებით შემოდიოდა მონგოლების, არაბების და სელჯუკების კავალერია და ჩვენი მეფეებიც კავალერიითვე ებრძოდნენ მათ.

დავით აღმაშენებლის 60 000 ცხენოსანმა დიდგორიდან ერზერუმამდის მისდია სელჯუკიანებს. მე სპეციალურად შემისწავლია ძველი ქართული ცხენის კარაბადინები. აქ გადმოცემულია ძველთა ჰინდოთა და არაბთა სიბრძნე. ამას ვერ მიჰხვდნენ ისინი და როცა ბოლშევიკების კავალერიამ ბეზობდალი გადმოლახა, მე და რამდენიმე გენერალს მოგვანდვეს კავალერიის შედგენა, მე თავიდანვე ვიცოდი, სისულელე იყო სამ თვეში კავალერიის შედგენა, მაგრამ სხვა გზა არ იყო, რადგან შლეგს სისულელეში თუ დასტური არ მიეცი, მტრად მოიკიდებ უთუოდ.

დავეთანხმე.

ვიცოდი: ძველ საქართველოში კავკასიური უნაგირი რომ ჰქონდათ, ამიტომ კავკასიური უნაგირი მოვთხოვე, რადგან ინგლისური უნაგირი ევროპის ველებისა და ზეგანებისათვისაა განზომილი. გარდა ამისა, ევროპაში კავალერია მუდამ ხიდებზე გადის, ან წყალქვეშა ტონელებში. იქაური მდინარეების გრუნტი ქვიშიანია, ხოლო ჩვენი მდინარეები მეტწილად ალპიურ წარმოშობისაა და ცხენს ოღროჩოღროზე უხდება გადასვლა. მე მინახავს ხევსურული დოღი ისეთ დაღმართებზე, რომ მწევარიც კი ცხვირს დაიმტვრევს. ამას მხოლოდ ჩვენებური უნაგირი იტანს“.

კაც ზვამბაიამ ისევ გაავსო მათარა და გაუწოდა, მებორნემ ისევ გამოსცალა არაყი და ისე მოჯღუნა სახე, თითქოს ქეძაფი აყნოსვინესო.

„სად იყო ჩვენებური უნაგირი? ძველი რუსული უნაგირები შემოგვაჩეჩეს. მერმე ის იყო, თავზე დაგვემხო ეს ოპერეტული რესპუბლიკა. ჩვენ სურამში გაგვაგზავნეს. თავათაც მეცინებოდა, ერთი ვაგონი უნაგირი რომ ჩავიტანეთ სურამში. სურამელი ურიები დაგვესიენ, ასე ეგონათ, გასაყიდი საქონელი ჩამოიტანესო.

როგორც ხედავ, ცხენის სიყვარულმა ამდენი მატარა ამქვეყნად. ასე ყოფილა: ადამიანს არასოდეს არ შერჩება ხელში, რაც უყვარს. მე ცხენი მიყვარდა განუზომლად და ეს თხა შემრჩა ხელში“.

არზაყანმა და კაცმა თვალი შეავლეს კუთხეში მწოლარე თეთრწვერა თხას, რომელიც ისე აკანტურებდა თავს, თითქოს კვერს უკრავდა მებორნის ნათქვამს...

„ვიღაც მეჯოგემ დამიტოვა იგი სამი წლის წინად, — განაგრძო მებორნემ, — მკვდრადშობილი ეგონა, ისეთი საცოდავი იყო, თვალს ვერ ახელდა, მერმე ვუექიმე, გამოვაკეთე, გავზარდე, ახლა ვაძოვებ ენგურის ჭალებში და მასაზრდოებს ამ სიბერეში“.

მამა-შვილი გაოცებული შესცქეროდა მოხუც მებორნეს. კაც ზვამბაიამ მარულაზე გადაიტანა საუბარი.

„ძველად მარულა უკეთ გვქონდა მოწყობილი. წამოვიდოდნენ აფხაზეთიდან შარვაშიძეები, ემხვარები, ყოველ თავადს თავისი ამალა, თავისი ძიძაშვილები ახლდა, ზვამბაიები ემხვარს ვახლდით“. ეუბნებოდა კაც ზვამბაია მებორნეს.

არზაყანს გულზე შემოენთო ამ სიტყვების გამგონეს.

„მარულაზე მიმავალ თავადს ძიძაშვილი უჯდა უკან“. განაგრძო კაცმა.

„როგორ?“ შეეკითხა მებორნე.

„კი არ უჯდა, კაცმა რომ თქვას, ძიძაშვილი ცხენის გავაზე იდგა და ორივე ხელებით გაზრდილის მხრებს ეყრდნობოდა. და ეს ხდებოდა მაშინ, როცა დოღის მოედანს ვუახლოვდებოდით. მაგრამ მოვიდნენ ისინი და ყველაფერი დაგვინგრიეს“.

(კაც ზვამბაია არასოდეს ახსენებდა ბოლშევიკებს. თუ შვილს მიმართავდა, „თქვენო“ ეტყოდა, თუ სხვას, მაშინ „ისინი“-ს იტყოდა).

შემდეგ ამისა, კაც ზვამბაიამ უამბო მებორნეს ძველი დროის ნადიმობის, მარულას, ცხენოსნობისა და ნადირობის ამბები.

მებორნეც თვალგაბრწყინებული თავს უქნევდა (ღვინომ გადაავიწყა არზაყანის მკერდზე შენიშნული წითელი ჟეტონი).

აიღო ისევ მათარა კაც ზვამბაიამ, გაავსო და მებორნეს მიაწოდა. გამოსცალა მოხუცმა და მოხარშულ კიბოსავით წითელი ხელი ჩამოისვა გაპუტულ ნიკაპზე.

„რა დრო იქნება ნეტავ?“ ჩაილაპარაკა არზაყანმა.

„ჯერ ადრეა“, ამბობდა კაც ზვამბაია...

მებორნემ აბგებს გადახედა, ერთი მათგანი მიწაზე იდვა, მეორე მთლად დაჩუტული ძირს დაგდებულიყო. ღვინო კიდევ გვქონია, გაიფიქრა მებორნემ.

„ახლა შუაღამე იქნება“.

კაცს გაეცინა. არზაყანმა ვერ გაიგო მიზეზი.

მებორნემ ჯერ მამას გადახედა, მერმე — შვილს. ვერ მიმხვდარიყო: რად ეჩქარებოდა ბერიკაცს ასე? ზრდილობისათვის კიდევ შეეპატიჟა. ურჩევდა: დილამდის მოიცადეთო. დილას ეცდებოდა, როგორმე გაღმა გაეყვანა ბორანი.

„თუმცა, — ამბობდა იგი, — ბაგირი დაშვებულია და ძალიან საეჭვოა, ამ კვირაში ბორნის გაყვანა შესაძლებელი გახდეს“.

კაც ზვამბაიამ კიდევ ერთხელ გაავსო მათარა, დაილოცა, მებორნესაც დაალევინა, შემდეგ მათარა წელზე გაიკეთა, აბგებს ხელი დაავლო და აფხაზურად გამოემშვიდობა მასპინძელს.

არზაყანი უხმოდ მიჰყვა, მიხვდა: აწი ვერავითარი მუდარა შეაჩერებდა მამას.

მთვარე მოწმენდილ ასპარეზზე გამოსულიყო. თეთრი ღრუბლები ლაჟვარდს მოსდებოდნენ. კაც ზვამბაიამ ვარსკვლავებს შეავლო თვალი, შემდეგ რუხის ციხისაკენ გაიხედა. რუხის ციხე თავჩაჩქნიან რაინდივით შემდგარიყო მახლობელ გორაკზე, ჯანღი გადასცლოდა მთას. და მომავალ მარულას კარგი დარი უწინასწარმეტყველა.

„გლეხის ვახშმობა იქნება, მეტი არა“, ამბობდა კაც და ისევ რუხის ციხისაკენ იყურებოდა.

ვიდრემდის კაც ზვამბაია ცხენებს მოსართავებს უჭერდა, მებორნემ რუხის ციხეზე ჩამოაგდო სიტყვა:

„შარშან აქ ვიღაც ცხენოსნებმა გამოიარეს, ისინიც მარულაზე მიდიოდნენ. ერთი ამბავი დააგდეს ამ ციხის გამო ნათქვამი. რუხის ციხესთან ომი ყოფილა ოდესღაც. გაღმა ქართველები მდგარან, გამოღმა — აფხაზები და თათრები. დიდხანს უტრიალეს თურმე ქართველებმა რუხის ციხეს. მერმე ფალავნურ ბრძოლაზე გადასულან. ქართველებს ვინმე ჩოლოყაშვილი გამოუშვიათ,

აფხაზებს ვიღაც ემხვარი. ჩოლოყაშვილი ჭაღარა კაცი ყოფილა, ემხვარი — უწვერული ჭაბუკი. და სწორედ აქ, სადაც ჩვენი ბორანია, შეხვდნენ ერთმანეთს თურმე ჩოლოყაშვილი და ემხვარი.

ემხვარი ეკვეთა პირველი და ხმლის ამოღება მოასწრო.

„რას უცდი, ჭაბუკო?“ შესძახა ჩოლოყაშვილმა.

„უფროსისაგან პირველ მოქნევას ველიო“. გადახვევიან ურთიერთს ორივენი, იმ დღიდან დამეგობრებულან“.

„ძველ დროში, — ჩააგდო სიტყვა კაც ზვამბაიამ, — მტრებს შორისაც მეტი თავაზი იყო“.

„ეჰ, ძველ დროში ქართველი და აფხაზი აზნაურები ებრძოდნენ ერთმანეთს, დღეს ქართველ და აფხაზ გლეხებს რა აქვთ გასაყოფი?“

კაც ზვამბაიამ სახე მოჯღუნა, ცხენს შემოჰკრა უცაბედად მათრახი. არზაყანის ულაყს თვალი დაადგა მებორნემ.

სადავეში ხელი წაავლო, წინა ფეხები სწორად დაადგმევინა, ხელის ოთხი თითი შეუყო წინა ბაყვებში.

„ცხენი ჯიშიანი სჩანს, დღე რომ იყოს, მეტს გეტყოდი... სადაურია?“

„არ ვიცი სადაურია, პოლიტბიუროს რწმუნებულად ვიყავი, ჩიპრიშის მთებში ყუბანიდან გადმოსულ ყაჩაღებს წავაწყდით, მათი მეთაური შემომაკვდა, ამ ცხენის პატრონი“.

არზაყანმა ცალი ფეხი ავჟანდში შესდგა. ცხენი შეტორტმანდა, მებორნემ მოუარა, უზანგს მისწვდა, ითაკილა აფხაზმა, მებორნე რომ მიეშველა. მოხუცმა მარცხნიდან მარჯვნივ შემოატრიალა მხედარი, მოიხსნა კისრიდან დახვეული ჩაბალახი და გაუწოდა.

„რად მინდა ჩაბალახი?“

„დამიჯერე, პაპად გერგები. ენგურმა თვალის აქცევა იცის, თუ თვალი აგიჭრელდეს, სახეზე ჩამოიფარე“.

„მერმე ჩაბალახი ვინ გამოიტანოს?“

„აქითობას ხომ აქვე გამოივლით, თუ არა და, შენი ჭირი წაუღია“.

ულაყი ცქმუტავდა, წყალში შესვლას აღარ აპირებდა, ვიდრე მათრახი არ მოხვდა. დაიფრუტუნა ცხენმა, რაღაც საოცარი, კამეჩის ყროყინისებრ ხმა გამოსცა და შეაპო ტალღები. ცოტა ხანს ესმოდა მხედარს, როგორ სცემდა ფლოქვებს მდინარის ფსკერზე დახერგილ ღორღზე, შემდეგ კი ცურვაზე გადავიდა ულაყი და მიეწია ჭაკს.

მეწინავე ცხენს უკვე გავაზე გადასდიოდა.

ულეველ სიმაღლიდან გადმოსცქეროდა მთვარე გრიალით მიმავალ ენგურს და ტალღების უსრულო ლივლივში ცეკვავდნენ ახლად ამოღებულ აბრეშუმსავით ხასხასა სხივები. მეორე ნაპირი სავსებით არ სჩანდა და ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს მთელი გადაღმა მხარე მთვარისაგან გაკრიალებულ ენგურს დაეპყრო.

მუხლამდის მისწვდა არზაყანს, ჩექმებში ჩაუვიდა წყალი, მამამ ოდნავ ირიბულად აიღო გეზი, ასე ეგონა არზაყანს: ისევ გამოღმა გამოდისო. ჯერ მშვიდად მისცურავდნენ ცხენები, მაგრამ ერთბაშად წამოვიდნენ დგანდგარით მედგარი, შუათანა ტალღები, ვერცხლის რაშებსავით მოგელავდნენ ისინი ზათქითა და ხშუილით. ულაყმაც მარჯვნისაკენ გაუხვია, ტალღა მუხლს ზევით სცემდა არზაყანს და უნაგირის ტახტაზე მოეჭრა ტალღა.

კაც ზვამბაიამ მიუშვა ჭაკი, მხედარს წელამდის მისვლოდა წყალი.

ნება-ნება მისდევდა ენგურის სწრაფ დენას არზაყანის ცხენი, სრიალით, ლივლივით მიჰქონდა ენგურს ნამორები შავად გარუჯული და ამ ატოკებულ სვლაში სიხარული იგრძნო არზაყანმა უეცარი. ცეკვავდა ტალღებში თეთრი მთვარე და თეთრი ტალღები-

სა და მოთეთრო ზეცის არეულ ფონზე ელავდნენ თამარის ზღვისფერი თვალები.

მოესმა ყიჟინი არზაყანს, წინ გაიხედა: მამა აღარსად იყო, განზე გაიხედა: ყველგან ენგური იყო. ენგურს დაეპყრო გაღმა და გამოღმა მხარეც.

„ჰაჰაჰაიტ, მარჯა!“ დაიყიჟინა არზაყანმა. გაიხედა მარჯვნისაკენ, გახმაურებოდა მამას. წყალმა წაიღო ეგების და უნდა მიშველებოდა. გამაბრუებელი ხშუილი ესმოდა. ტალღები ცეკვით მისრიალებდნენ უსრულო სარკისებრ გალაქულ სივრცეში.

კაც ზვამბაიას ცხენს ცურვის გეზი არ შეუცვლია. მამა ხედავდა: არზაყან ამ გეზს გადააცდინა ენგურმა, უძახოდა ყიჟინით, ამცნობდა: ჩაბალახი სახეზე აიფარეო, მაგრამ არავის ესმოდა მისი ყიჟინა.

ცხადი იყო: გამოუცდელი ულაყი და ასევე ხამი მხედარი სწრაფად შეიქციეს ტალღებმა და გაიტაცეს.

„არაფერია“, ფიქრობდა კაც ზვამბაია.

უნდოდა ენახა: როგორ გაუმკლავდებოდა მისივე სისხლი ბობოქარ ენგურს.

„ჭკუას ასწავლის, გამოადგება, მე რომ მაგის ხნის ვიყავი, მარტო გადამიცურავს ენგური!“

კაც ზვამბაია უკვე ნაპირს უახლოვდებოდა და უცებ დაკარგა შვილის ლანდიც. შემოენთო გულზე კაც ზვამბაიას მამის წუხილი, შემოაბრუნა ცხენი და შეუტია ენგურს ნაცადმა ვაჟკაცმა. ჩაბალახი სახეზე ჩამოიფხატა და მიჰყვა წყლის მდინარებას.

ახლა უკნიდან შემოუარა მოხუც მხედარს ვერაგმა ენგურმა და მედგარი ტალღები ეკვეთნენ კაც ზვამბაიას, მაგრამ სადავე მაგრად ეჭირა მხედარს და უჯიათად მიაცურებდა. შვილის საძებნელად ცხენს.

შეატყო მხედარმა, რომ ცხენდაცხენ სვლა არ ივარგებდა,

რადგან ტალღები უკვე მასრებზე სცემდა, გადააგდო ნაბადი წყალში. სადავე ტახტაზე მიაკრა და გადაეშვა ენგურში.

გაიტაცა ცხენი ერთბაშად წყალმა, მაგრამ მხარული გაჰკრა კაც ზვამბაიამ, ძუაში წაავლო ცხენს ხელი და ცურვით მიჰყვნენ ორივენი წყალს. ცხენი ქშინავდა, მხოლოდ თავ-კისერი მოუჩანდა წყლიდან.

და აჰა, ხედავს კაც ზვამბაია დასავლეთისაკენ მიმცურავ არზაყანის ზემოტანს. არზაყანის ცხენი არსად სჩანდა და ისეთი შთაბეჭდილება იყო: თითქოს წყლის ზედაპირზე ჩოჩვით მიდიოდა არზაყანი. მაშინ დასცა ყიჟინა მამამ, უნდოდა შეეკრთო ეს აბობოქრებული, გათავხედებული ენგური, შვილი გაემხნევებინა ვაჟკაცი.

მოესმა არზაყანს მამის ყიჟინა, მკლავებში მოემატა ძალა და ცხენს კისერზე შემოჰკრა მათრახი, რადგან მხოლოდ თავ-კისერი მოუჩანდა ულაყს. და კაც ზვამბაიამ ლანდის უსწრაფესად ხელი წაავლო ავჟანდში და მხარმარცხნივ აქცევინა პირი...

* * *

თენდებოდა, როცა მამა-შვილმა ნაპირს მიაღწიეს, მაინც კმაყოფილი იღიმებოდა კაც ზვამბაია, გათამამებულ შვილს წყალში რომ აჯობა.

ტოროლებს აჰქონდათ ცაში ამ ტყის, ამ მზის საგაზაფხულო ჰიმნი. წრიპინებდა ფალაგებში გულწითელა სიხარულით სავსე სიმღერას გაზაფხულისას, შემოსილიყო მოყვითანო მწვანით საუკუნეზე უხუცესი მუხა, გაზაფხულს მოეტანა მისთვის ახალი მშვენება, ახალი სამოსი.

გადმოსულიყო მზე პირგავსილი და მოხასხასე, მეწამულ ოქროს აფრქვევდა ჭალებსა და ველებზე.

და წინა ღამით კლდეებთან ნაბრძოლი ენგური მიტლაშუნებდა, მიგელავდა და დაქანცულ მამა-შვილს, მუხის ძირას ფეხმორთხმულს, ისე მოესმოდა ენგურის მგრგვინავი ხმა, როგორც მილიონების პირით ნამღერი ერგეაშვა.

წურბლების პატრონი

ოდითგანვე ასეთი წესი იყო შარვაშიძეების ოჯახში: როცა ბაბუა ტარიელ ნასადილევს თვალს მილულავდა, დიდსა და მცირეს პირი უნდა აეკრა.

ნახუცარი აფხაზეთში არ დააყენეს. ანაფორა არ გაიხადა, ახალ წესებს ვერ შეეგუა, ენა არ გააჩერა, ყოველ ქადაგებაში ბოლშევიკებს ლანძღავდა.

ვის არ ადარებდა მათ — „სადუკეველებს“, „კათაკმეველებს“, „მეგვიპტელებს“ და კიდევ ვიღაცეებს.

„სახითა ტარტაროზი, სჯულითა ბარბაროსი“ დაარქვა ჩალმაზს, რაიკომის მდივანს. მერმე წამოუსვეს ხელი და დაამუშავეს.

ბაბუა ტარიელმაც ქრისტიანობისათვის გვემულ წმინდა მამებს მიაკუთვნა თავი, თავის მცირერიცხოვან მრევლს გამოეთხოვა და შვილის ოჯახში გადმოსახლდა ზუგდიდში.

ხერიპს შარვაშიძე გინეკოლოგიის პრაქტიკას ეწეოდა დაბაში. როცა ექიმი ტფილისს წავიდოდა, ან ავადმყოფების მოსვლა

მოსალოდნელი არ იყო, ბაბუა ტარიელ კაბინეტის კარებს მაგრად ჩაჰკეტავდა და ხმამაღლა კითხულობდა სახარებას ან დავითნს. ალაგ-ალაგ „მეგვიპტელების“, „მტრების“, „კათაკმეველების“ ადგილას „ბოლშევიკებს“ ჩაურთავდა, და როცა ქადაგებით, ღაღადებითა და წყევლით გულს მოიჯერებდა, ტყავგადაკრულ შავ დივანზე წამოწვებოდა, იმავე ადგილზე, სადაც, რამდენიმე საათის წინად, სააბორტოდ გამზადებულ ქალებს სინჯავდა ვაჟი მისი, ხერიპს.

ბაბუა ტარიელ შავ დივანზე ისვენებს.

მაგრად დაგმანულია ხის დარაბები. სჩანს, ნედლი ხისაგან გაუკეთებიათ ოდესღაც ისინი. ფიცარსა და ფიცარს შორის გამონაჟონი ჩალისფერი სხივები ცალყბად ეთამაშებიან თეთრად შეღებილ გინეკოლოგიურ მაგიდას, ლითონის კარადას, რომლის თაროებზე გამწკრივებულია თოთო ბავშვისათვის თავის გასაჭყლეტი მეტალის კლანიო კლასტ, ნიკელის სამეანო მარწუხები, ჭანგები, ავტომატური სარკეები, კატეტრები და კიურეტები; მომკრთალო სხივი ადგება მოპირდაპირე კედელზე გაწკაპულ მოოქროვილ ჩარჩოებში ჩასმულ სურათებს ექიმის ხერიპს შარვაშიძის წინაპრებისას. ამ ღარიბულ განათლებაშიაც ეტყობა ამ სურათებს, მათი პატრონები არც ისე გულმოდგინედ უვლიან მათ. ობობის ქსელით დაბლანდულია ჩარჩოების კუთხეები. მწერებს წაუბილწავთ ოქროცურვილი კიდეები და სურათების მოთეთრო ფონი.

არცთუ დიდი ხელოვნებითაა განსახიერებული ზოგ-ზოგი ამ გმირთაგანი. მხარმარცხნით პირველი, პაპის მამა ტარიელ შარვაშიძისა — მურზაყან, ყურთმაჯიან ქართულ ქულაჯაში გამოწყობილი. იგი, ოჯახური გადმოცემის მიხედვით, აფხაზეთის მთავარს, თავის ღვიძლ ძმას განდგომია, მერე „ქართს“ გაქცეულა,

ვახტანგ VI-ს გაჰყოლია და სადღაც, რომელიღაც ომში მოუკლავთ პრუსიელებს თუ თათრებს. მისი სახე საკმაოდ ბუნდოვნად გამოხატულია წამალგამოხუნებულ, გაშავებულ სურათზე.

მურზაყანის გვერდით მაღალფაფახიან გოლიათს ქართულ ლეკურზე დაუდევს მარჯვენა. აშკარად ეტყობა: ეს კაცი ღვიძლი შვილია იმ თაობისა, რომელიც თითო ცხვარს არ იკმარებდა საუზმედ. იგი იმერეთის მეფის სოლომონ მეორის მეჯინიბეთუხუცესი ყოფილა და მასაც, მამის მისის დარად, უცხოეთში უპოვნია სამარხი. რუხში სახელი გაუთქვამს და ტრაპიზონში გაჰყოლია მეფეს.

ორი დანარჩენი, საკმაო გახუნებულ სურათზე გამოხატული, მხარმარცხნით პირველი, ტარიელ შარვაშიძის პაპაა: ხარზამან, რუსის გენერლის ჩინებით შემკული (თუმცა იგი წერა-კითხვაზე მწყრალად ყოფილა). მაჰაჯირების დროის რენეგატს ცალი თვალი რუსეთისაკენ ეჭირა, ცალითაც ხონთქარს ეარშიყებოდა. კრუხის უკანალსავით გამოპუტული აქვს ორმაგი ნიკაპი, მის მკერდზე ორდენების მთელი კანკელია გაკეთებული.

ამპირის სტილის სავარძელში ზის, სწორყუიან პრუსიულ ხმალზე დაუბჯენია ხელი, მას ყარსის აღებაში წილი დაუდევს, თუმცა გულში მეფეც ეზიზღებოდა და მათი ჩინებიც. აფხაზური ჩოხა ქვეყანას ერჩია, მაგრამ ჩოხას ორდენები არ უდგებოდა, ბოლოს, მაინც ორდენები არჩია აფხაზურ ჩოხას, ოცი წელი შამილს ებრძოდა, ღუნიბზე აყოლია ბარიატინსკის, მრავალი აჯანყება ჩააქრობინა რუსებს და მერმე აფხაზური აკვაკვარ გახირებია ჭამის დროს და დამხრჩვალა.

ხოლო მეორე, გრძელწვერიანი მოხუცი ტარიელ შარვაშიძის მამაა სახელგანთქმული მხედარი და მონადირე მანუჩარ. იგი თვალის გუგიდან ამოღებულივით მიაგავს თავის შვილს, მასავით ახოვანია. მრისხანედ წარბშეყრილი, ფრიად ბანჯგვლიანი

წვეროსანი. მან თავი ისახელა შინაურ ფრონტზე: გლეხებს ულვაშებს აგლეჯდა და ყველაზე რაციონალურ გამასწორებელ ზომად ხმარობდა დამნაშავე ყმის შიშველ მკერდზე ცხელი ღომის დაგებას, შემდეგ ამ ღომზე ძაღლებს მიაშვებინებდა.

ტარიელ დიდის პატივით ახსენებდა თავის მამას და რატომღაც ამტკიცებდა: „ნამდვილი წმინდათა სწორი იყოო“. ამ წმინდანს არა ერთი და ორი ადამიანი გაუსტუმრებია საიქიოს სავსებით უმიზეზოდ. და ამ ჩინოსანთა და უჩინოთა გალერეას ასრულებდა ტარიელ შარვაშიძის მეუღლე ჯახანა.

უცნობ მხატვარს გასაოცარის ფერთა სიუხვით შეუმკია მისი ეთეროვანი სხეული და ლიმონისფერი სახე უფაქიზეს სინატიფეს ამჟღავნებს. პირისფერი აბრეშუმის ყაბაჩა უმშვენებს პატარა ჯიშიან თავს. მანდილი ახურავს ბლონდზე გაკეთებული, მოთეთრო ფონზე გასაოცარის ოსტატობის ოქრომკედით გამოსახულია მუხის შტოები ყვითელი, მწიფობისფერისა, ხოლო რკოების ჯამებს სოსანისა გადაჰკრავს ოდნავ, მარგალიტის მტევნები ჰკიდია პატარა ყურებზე.

როგორც სახე, ისე მთელი სხეული უმტკიცებს მხატვრის იშვიათ მოდელს, რომ ეს მშვენება წრესგადასული ჯიშის რაფინირებას ადასტურებს მხოლოდ.

დიდის გულმოდგინებით შეუსრულებია მხატვარს ჯახანას გულისპირი შინდისფერი აბრეშუმისა. დიდის ოსტატობით გადმოცემულია აწ გადასული ქართული ოქრომკედის შედევრი, ოქრომკედის მარყუჟა ბურთულები, გვიმრის ფოთლების მინაგვარი როზეტები და კავები.

ყურთმაჯების კიდემდე ცისფერი აბრეშუმით ნაქარგი კაურები კი გამოჰკრთიან. უფრო დიდის ხელოვნებით განსახიერებულია მალათინით ნაქარგი ფარჩის კაბა. წითელლალებიანი ჯვა-

რი ჰკიდია ყელზე, მასსიური ოქროსი სრულად. კაბა კრინოლინის მინაგვარია, ხოლო შინდისფერი ხავერდის ქათიბი, კიდეებთან მოოქროვილი, ფიფინებით შეუმკია ოსტატს.

და ყოფილი დეკანოზი ამ მისაღებ ოთახში ისვენებს არა წინაპართა თვისთა პატივსაცემად, არამედ იმიტომ, რომ იგი მთელს ქვეყანას თავის სულიერ მყუდროებას ანაცვლებს.

გაწოლილია ბაბუა ტარიელ შავ დივანზე და ნებიერად სთვლემს.

ამ ოთახამდის იშვიათად თუ მიაღწევს მსახურების, შინაურების ფეხის ხმა და კარების უხიაგი რაჯგუნი. თუმცა ღრმა სიბერეში გადასული „ქრისტიანობის ქადაგი“ თევზაობასა და ნადირობას ეწევა, მაგრამ მუდამ ქარმჭვალების ეშინია და „კარი, კარი, კარი“-ო, გასძახის დიდსა და პატარას.

გასჭინთავს ბაბუა ტარიელ წითელ ფოსტლებში ჩადგმულ, მორგვივით მრგვალ ფეხებს (მეექვსე თითი მოუჩანს დახეულ მარჯვენა ფოსტლიდან, სწორედ ამ მარჯვენა თითის წყალობით სამეფო გვარდიაში ვერ მოხვდა ბაბუა ტარიელ). ფოსტლის ლანჩები ბუხრის საფუძველის კირშემოცლილ აგურებს ებჯინება და დივანზე გადაწოლილი დიდხანს უყურებს მონუსხულივით ფოსტლების მოკაუჭებულ წვეტებს.

მუცელზე უწყვია ბაბუა ტარიელს თავისი ბანჯგვლიანი, მსხვილი ხელები, ხშირი შავი თმა უწესრიგოდ მოსავს განიერსა და ძარღვიან ხელის ზურგს, რომელსაც უმწიფარი თუთუნისებრი შავი ტალები ატყვია ხშირ-ხშირად. კაკლისოდენა ბურთულები ამობურცულან თითების სახსრებთან, ძველი პერგამენტივით ყვითელი კანი ალაგ-ალაგ უზომოდ შემჭკნარია და უსიცოცხლო. თავათ თითების ზურგიც ზედ შუა სახსრამდის თმითაა შემოსილი და ყოველ სახსარს თითისას ბეჭდებივით შემოხვევია ნაოჭების ხშირი რკალები.

შესცქერის უსაზმნოდ ბაბუა ტარიელ თავის წითელ ფოსტლეების ბერძნულ კატარღასავით ჭვინტმოკაუჭებულ წვეტებს... ეღლება თვალი ერთი და იმავე საგნის გამუდმებული მზერით, ზანტად აყოლებს თვალს ნახშირით დაჩხაპნილ ფასადს ბუხრისას.

ორი მოკენწლავე მამალი გამოუხატავს მასზედ კალატოზის უწვრთნელ ხელს, და რაღაც საოცარი, ალეგორიული ცხოველების სურათები დაუჯღაბნიათ ნახშირით მოცლილ მსახურებს თუ ბალღებს.

ასწია თავი ბაბუა ტარიელმა. უფრო ნებიერად გაიშოთა სავარძელში, გასწყვიტა ახალოხის ღილი ფაფუკმა ღიპმა და მზერა გადაიტანა მჭვრეტელმა ბუხრის თაროზე შელაგებულ ფერად ჭინჭილებსა და შუშის ვაზებზე. ულაზათოდ მოოქროვილია ამ ჭინჭილების ხელსაკიდები და საპირე. ჭინჭილებს შორის სავსე, მომწვანო წყლის ვაზა დგას. წურბლებს ინახავს ყოველ შემოდგომას ტარიელ ამ ვაზაში ზედმეტი სისხლის გასაღებად. ამ წურბლებში ზოგი მძიმესა ჰგავს ბლაგვი კალმით დაჯღაბნილს, ზოგიც — მარყუჟს, ფომფედ გამოსკვნილს. მომწვანო შუქის არილი ლიცლიცებს მახლობელ კედელზე და შეზარხოშებულ მოხუცის მზერა ბალღურად ერთობა ამ საოცარი სხივოსნობის გათამაშებით. ფეხები მოაცილა ბაბუა ტარიელმა ბუხრის საფუძველს და ფეხი ფეხზე შემოიდგა.

ახლა უფრო მძიმედ ჩაეშვა მისი სხეული ზამბარებმოშვებულ შავს დივანში.

თვალი მილულა ნებიერად და მისი გრძელი, მწითური წამწამები ვეღარ იკავებენ მოჟრუნო შუქის ლიცლიცს ზედ წამწამების რიდესთან მიწოლილს. ნელ-ნელა იშრიტება მისი უქმადყოფნისაგან უზომოდ მოქანცული გონება, იგი უკვე არაფერს აკვირდება, არცთუ საფიქრალი დარჩენია რამე.

ძველებური კედლის საათის მონოტონური ტაკატუკი კიდევ

აკავშირებს მას დუმილში ჩაფლულ სიცხადესთან. საკმარისია სულ ერთი წუთით შესდგეს ამ საათის ქანქარას მოძრაობა, ბაბუა ტარიელის თვალში დაივსება მორიალე სხივი და თავისებური გმირული ძილით დაეძინება კიდევაც.

მაგრამ ნასამხრალი მზე დასავლეთისაკენ მიეშურება, გარემოში გახმიანდა შავი ზღვის ჭალიკონით სულმოთქმული ცხოვრება.

ჩალის ზვინებთან დაყუნცული ყურშა აყეფდა. დაიყეფს ზანტად, შესდგება. კიდევ დაიყეფს სიზმარს აყოლილსავით, ერთი, ორი... მერმე ზედიზედ სამჯერ და დადუმდება, დადუმდება და ისევ გაიშხლართება სიჩუმე კარ-მიდამოში. სადღაც ქათამმა დაიკაკანა. კიდევ ცოტა ხანს ყუჩობდა გარემო და მერმე სულ ახლოს მოესმა ბაბუა ტარიელს თავის ქალიშვილის თამარის წკრიალა ხმა:

„ლუკაია, უნაგირი ჯერ არ მოხადო ცხენს“.

ხერიპსი სოფლიდან დაბრუნებულა. მაკამ მშვიდობით თუ მოილოგინა ნეტავი? შესაძლოა, მარულაზე მოსული აფხაზები იყვნენ. კაც ზვამბაია თუ ჩამოჰყვა, კარგი იქნება, ფიქრობს ბაბუა ტარიელი, მაგრამ ეზარება თვალის გახელა... ახლა გარკვეულად გაიგონა მან, თუ როგორ დაჰკრა ქვაზე ფეხი ალვის ხეზე მიბმულმა ცხენმა.

„კიდევ არ დაუჭედია მაგ შეჩვენებულს ცხენი?“ — იელვა ბაბუა ტარიელის თავში ახალმა აზრმა.

როგორც კიბოები გამოვლენ ხოლმე თავიანთ დარანიდან ბნელ ღამეში კვარის შუქით წაქეზებულნი, ისე გამოვიდნენ მისი მთვლემარე გონების უფსკრულიდან ახალი ფიქრები.

ლუკაია უდღეურია, გამოჩერჩეტდა ბებერი, მისთვის სულ ერთია, დაჭედილია ცხენი თუ დაუჭედავი.

სადღაც შემეცნების სიღრმეში ბრაზი წაეკიდა, მაგრამ წამსვე

ძილმა დააშოშმინა იგი.

ძილფხიზლობს ბაბუა ტარიელი და გაურკვევლად ესმის ხანდახან, თუ როგორ დაატარებს ცხენს ალვების ხეივანში ლუკაია, ცხენი ალაგ-ალაგ ქვას წაეფორხილება, ეს კი გარკვევით მოესმის ბაბუა ტარიელს.

მახლობელ ოთახში მოსამსახურე ქალმა დაშამ გაიშლიგინა, რაღაცას წაებლანდა. ცოტა ხანს ხმა გაჰკმინდა, მერმე ფეხაკრეფით გავიდა.

ვიღაცას თეფში გაუვარდა ხელიდან სასადილოში. ქალის ხმა მოისმა ბრაზმორეული. თავის რძლის კაროლინას ხმა შეიცნო ბაბუა ტარიელმა, ალბათ პატარა თათიას უყვირის კაროლინა ან თავის ქმარს უწყრება გვიან დაბრუნებისათვის. ასე ივარაუდა ბაბუა ტარიელმა.

მტრისას, მტრისას ასეთი აშარი რძალი — ხმამაღალი ფიქრი ღიმღამობს მოხუცის თავში.

ფარეხიდან თხის ხველა მოისმის, რომელიღაც მამლაყინწამ სავსებით ამაოდ სცადა თავისი ხრინწიანი ხმა.

მუშტებად შეკრული ხელები მკერდზე დაუკრეფია ბაბუა ტარიელს, თითქმის ნიკაპთან მიუტანია.

ზედ შეჰფენია ცხვრის თავისოდენა მუშტებს კიდეებთან შეყვითლებული წვერი.

ძილი იფინება ბაბუა ტარიელის ღაჟღაჟა ლოყებზე, თვალის გუგების ძარღვებზე ფარფალებს ძილი.

ცხვირის ზემოთ, წარბებს შორის ამოსულ გაშავებულ მეჭეჭზე ფრთების ფარფატით დაჯდა რომელიღაც მწერი. შეირხნენ წარბები და შუბლის მომდევნო ძარღვები. არ მოეშვა მთვლემარეს აბეზარი. გააქნია თავი ბაბუა ტარიელმა, ზანტად აღიმართნენ მისი გრძელი, წითური წამწამები და სიცარიელეს მიაშტერა ნახუცარმა გაწითლებული თვალები.

ისევ დაეშვნენ წამწამები და მაგრად მოხუჭულ თვალებს წამოესიენ კიდეებთან ათასგზის დაკეცილი ნაოჭები. გაურკვეველი რიალი შემოესმა ბაბუა ტარიელს ნახევრად ჩამობნელებულ არეში. ვერ გარკვეულა მძინარე: ეჟვნებს აჟღარუნებენ სადმე. თუ ლოცვისათვის რეკავს მნათე შარვაშიძეების საგვარეულო ეკლესიაში?

„რაო? ბოლშევიკები ხომ არ წასულან ნეტავი?“

გაუხსნა ძილმა ბაბუა ტარიელს ხელები, დამდურებულ ძმებსავით დასცილდნენ ისინი ურთიერთს. ნელა, სულ ნელა გადმოჩოჩდნენ ხელები ბაბუა ტარიელის კიდეგანიერ მკერდიდან ზორბა და ფაფუკ ფაშვზე და მიცვალებულის ხელებსავით გადმოეკიდნენ სავარძლიდან. გადაეკრა ოდნავ შესამჩნევი ღიმი ბაბუა ტარიელის დაქანცულ, ოფლიან სახეს.

„ოჰო, ჰო ო ო“... წამოსცდა მის წითელ პირს.

ოდნავ შეტოკდა ზემო ტუჩი. ეს თავის განსვენებულ მეუღლეს ჯახანას გამოელაპარაკა ბაბუა ტარიელი..

უთენია ადგა ახლად ჯვარდაწერილი მღვდელი ტარიელი. ლუკაიამ ცხენი და მეძებრები გამოიყვანა. მიმინოების ეჟვნების ჟღარუნი მოესმის. აბგაში საუზმე ჩაიდო და სანადიროდ მიემართება ახლად ნაკურთხი მღვდელი. გადმომდგარა ჯახანა ოდის აივანზე. ყანაოზის პერანგი აცვია ჯახანას. წვრილი მარგალიტების ღილებით შეკრული და ძუძუები მწიფე ბროწეულებს მიუგავს მიტომაც.

„ნუ მიხვალ, ბატონო, სანადიროდ ამ დილას“, ეუბნება ჯახანა (ბატონს ეძახდა იგი თავის ქმარს სიცხადეშიაც, რადგან, აფხაზური წესისამებრ, ქმრის სახელი არასოდეს უხსენებია).

„რატომ ამბობ ამას, მუთარე?“ ეუბნება ბაბუა ტარიელ ჯახანას — თავის ძვირფას ფერცხალს.

„ცუდი სიზმარი მქონდა წუხელის“.

„რას მომცემ, რომ დავბრუნდე?“ ეკითხება მომღიმარი ქმარი მზეთუნახავ ცოლს.

„ჩემს ნაწნავებს გიჩვენებ“.

მიუგდო ლუკაიას ცხენი ტარიელმა. შეუძღვა ცოლი ტარიელ შარვაშიძეს საწოლ ოთახში, შეიხსნა თეთრი ლეჩაქით შეკრული თავი. გაიხსნა შვიდკეცად თავზე წამოგრაგნილი ნაწნავები, თეძომდის მისწვდა. გაიხარა სიზმარში ბაბუა ტარიელის დამჭკნარმა გულმა და ის იყო, ნეტარების ღიმმა შეუტოკა ზემო ტუჩი, არ დასცალდა ბაბუა ტარიელს ბედნიერი ზმანებით დატკბობა. პიანინოს ხმა მოესმა საიდანღაც. თავდაპირველად შორიდან მოისმოდა იგი. სულ მცირე ხანში უფრო და უფრო გაძლიერდნენ ბგერები (წვრილი ზარების თუ მიმინოს ეჟვნების ჟღარუნის მინაგვარი).

შეტოკდა ბაბუა ტარიელის ძილით გალეშილი სხეული, მთვლემარემ ზეშემართა თავი. ხელები გულმკერდს ამოაყოლა, თითები ერთიმეორეზე გადააჭდო, ამასობაში დასავლეთისაკენ გადახრილი მზე მომეტებულის ცხუნვარებით შემოსწოლოდა დარაბებს, მთელს დარბაზში მოციაგე სხივების ლარები გაება, ოდნავ თვალსაჩინო მტვრის ნამცეცები ცეკვავდნენ ზოლიან სხივების ლიცლიცს აყოლილნი.

სპილენძის მუზარადივით ლაპლაპებს მოხუცის გასხივოსნებული თავი. ოქროსფრად კიანთობენ მის სახეზე ქერა წარბების ძირები და თეთრი წვერების მომიჯნე ჩალისფერი პაწია ბუსუსები სირმასავით ვარვარებენ. იმძლავრა მუსიკის ტალღამ.

ვინ უკრავს ნეტავი? — გაიფიქრა ბაბუა ტარიელმა.

იძალა ნასამხრალმა მზემ. ნიავს გაუღია ოდნავ დარაბა ფანჯრისა. ზეიმით იჭრება მთელს ოთახში მზე და მთვლემარე ბაბუა ტარიელმა ვეღარ გაუძლო მომეტებულ ციაგს. აივსო მისი თვალი უხვი სინათლით, გაიზმორა, ზეაღმართა ბანჯგვლიანი მკლავები

და ყრუდ აჭრაჭუნდა შავი დივანი. და ტარიელის თვალის უპეზე მოფარფატე ძილმა უნებლიეთ დაუთმო დარბაზი მოზეიმე მზეს.

აიღო საწოლთან მიყუდებული ყავარჯენი ბაბუა ტარიელმა, მაგრად შემოჰკრა სამჯერ საწოლის კიდეს. შეკავებული ჭრიალით გაიღო კარი და შემოვიდა ფეხაკრეფით თამარ. ატმის ყვავილისფერი ჩითის კაბა ეცვა თამარს და თავად მზესა ჰგავდა ატმების ბაღში გამოსულს.

„ვინ უკრავდა?“ ეკითხება ტარიელ.

„ესეცაა თარაშ ემხვარი ჩამოვიდა. ვერ დავუშალე სტუმარს“...

„ცხენით ჩამოვიდა?“

„არა, ოჩამჩირის მატარებელს ჩამოჰყოლია“. ნახუცარი დადუმდა.

„ხომ არაფერი გინდათ, მამიკო?“

„არაფერი, წადი“, უპასუხა ბაბუა ტარიელმა და კარებისაკენ მიმავალ შვილს გააყოლა თვალი. თეძოებამდის სწვდებოდა ნაწნავები თამარს.

ჯახანა მოაგონდა ბაბუა ტარიელს. ზედგამოჭრილი ჯახანას თმებია, გაიფიქრა. კედლისკენ მიბრუნდა და თვალები მილულა ისევ.

ამ წუთში მის თვალწინ იდგა სწორედ თამარის ხნის ჯახანა, ასევე ტანკენარი, მასაც თეძომდის სწვდებოდა გამოხურვებულ სპილენძისფერი ნაწნავების სახითაც ძლიერ ჰგავდა თავის დედას თამარ. გაბრაზდებოდა უთუოდ ბაბუა ტარიელ, მაგრამ ჯახანა წარმოუდგა თვალწინ ამქვეყნად მეორედ მოსული და ამიტომაც აპატია თამარს, რომ მისმა სტუმარმა ძილი დაუფრთხო.

კოლხიდის ბულბულები

„წამწამთა მისთა მშვილდოსნობა
აფხაზთაგან ესწავლნათ“.

თამარი სავარძელში იჯდა თავის ოთახის ფანჯარასთან, ბაღში აყვავებულ ხეებს გასცქეროდა, ალუჩა ჩამოსულიყო გასათხოვარ ქალწულივით თეთრი სამოსით შემკული. ატმები ჰყვაოდნენ ბაღში, ვაშლების ყვავილის თეთრი, სულ თეთრი მტვერი და ფურცლის ნამუსრევი ცვიოდა ახლად მოსულ მოლიბრო მოლზე. მარადმწვანე ჩაის ბუჩქებს მთელი კვარტალი დაეჭირათ, ნარინჯის ბაღნარი ბიბინებდა მწვანედ. და მაგნოლიას ფოთლებიც ისე კრიალებდნენ, როგორც სტერლინგის ლაკი.

თარაშ ემხვარი პიანინოს უჯდა, გრიგის სიუიტას უკრავდა. თითები განუკითხავად დასრიალებდნენ ნაჩვევ კლავიშებზე, მაგრამ თარაშ ემხვარის ფიქრი მიჰქროდა შორს, გერმანელების

ნისლიან ქვეყანაში, სადაც აპრილში ვაშლის ხეები არა ჰყვავიან, ხოლო ატმები და ალუჩები ორანჟერეებში თუ გასძლებდნენ, გარშემო ჯერ კიდევ თოვლია მოლიბრო. იდგა თამარი და გასცქეროდა მთას გადაღმა მიმავალ აპრილის მზეს.

გაჰყროდა სხივი მიწაზე გამოსულ მწვანეს, ფითრდებოდა ბაღში ყვავილთა სითეთრე, მოლისა და ფურცლობის სიმწვანე. ზედ ფანჯრის პირდაპირ გამწკრივებულ სკაში უნიათო პუტუნით ბრუნდებოდნენ ფუტკრები ველების, ბოსტნების და წალკოტების ყვავილთაგან მონაგარი მტვერით.

და ისეთი მყუდროება სუფევდა ბაღში, რომ ამ დაღალული ფუტკრების ბზუილიც კი ესმოდა თამარს, როცა თარაშ ემხვარი დაკვრას შეწყვეტდა და თავის წინ გადაშლილ ნოტებს დაუწყებდა ფურცვლას.

ნელა, სულ ნელა მიიპარებოდა მზე დასავლეთისაკენ. ჩრდილები იზრდებოდნენ უფრო და უფრო, მოთალხო ფერი წვებოდა ატმების, ალუჩების იასპისფერ ფოთლებზე, უფრო და უფრო მუქდებოდნენ ხეების წვეროკინები, ბაღის გადაღმა მდგარი აკაციები მუქი სამოსით ირთვებოდნენ, მხოლოდ ტოტებს შორის გამოკრთოდა გამოხურვებული ოქროსფერი ტალღები. მახლობელი მუხნარი გაშავდა, მოიღუშა იდუმალი ოცნებით გავსილი, მუხნარის გადაღმა გორაკზე შემდგარი სათანჯოს ციხის ნანგრევები ძოწნარევი ოქროთი მოოჭვილიყო და სწორედ იმ წუთში, როცა თარაშ ემხვარი მამაკაცურის ძლიერებით უკრავდა ბეთჰოვენის სონატა აპასსიონატას, ბულბულმა დაიწყო აპრილის საღამოს ნოქტიურნი.

ეს ხმა ყოველ ზაფხულს სმენია თამარს ამ ბაღჩიდან, მაგრამ არასდროს ყურადღება არ მიუქცევია მისთვის. ახლა სავარძლიდან წამოდგა, მეორე ფანჯარაც გააღო, ორივე იდაყვი ფანჯრის რაფაზე დააყრდნო და სმენა მიაპყრო.

ვიდრე თამარი ფანჯარასთან მივიდოდა, თარაშმა თვალი შეავლო მას, თითქოს პირველად ხედავდა ამ ქალს. მშვილდივით გადრეკილ, ამპარტავან წარბებს, გრძელსა და შავ წამწამებს. მის სათნო სახეზე აღბეჭდილიყო ქართული მადონების თავშეკავებული ქალობა. ცხვირის ნესტოებში სამხრული გრძნობიერება მჟღავნდებოდა. ხოლო ზურგისა და ზემოტანის ხაზებში გარდამავალი ჯიშის რაფინირება ცხადდებოდა. მას ოდნავ მოკლე წელი ჰქონდა, ხოლო თეძოების ფორმა ამოწმებდა ჯერ უნაყოფო ქალწულის უფურჩქვნელობას.

მან ისე გაიარა პიანინოდან ფანჯრამდის, თითქოს რომელიმე რიტუალურ ცერემონიის შესასრულებლად მიემართებაო. მუსიკის ზეგავლენას და გაზაფხულის აღტყინებას მიაწერა თარაშმა ეს ყოველივე. რაღაც იდუმალ, რაღაც შორეულ, განუსაზღვრელად ნაზ მელოდიას მღეროდა ბულბული.

უთუოდ ბულბული იყო ალბათ ამქვეყნად მგოსანთა და მუსიკოსთა შორის პირველი.

ასე ფიქრობდა თამარ შარვაშიძე.

თქვენგანს რომელს გაუგონია კოლხიდის ბულბულების ამბავი?

საოცარია, არც დაკვირვებულ ძველ ბერძენ ავტორებს, არც ბიზანტიის მეისტორიეებს, ძველ კოლხიდაში ნამყოფთ, კოლხიდის ბულბულები არ შეუმჩნევიათ. სპარსები უმღეროდნენ ბულბულებს და ქართველი პოეტები, მაგრამ როგორც სპარსეთში, ისე საქართველოს სხვა კუთხეებში ბულბულის ხმა პოეტების ლექსებიდან ესმოდათ მხოლოდ. ოდიშში ყოველ ეზოში, ყოველ ბაღჩაში რამდენიმე ბულბული უსტვენს. ყოველ გლეხს რამდენიმე ბულბული ჰყავს თავის კარ-მიდამოში.

და ახლაც თამარის ფანჯრის წინ სულ ახლოს, რომელიღაც

დაბალბუჩქოვან ხესთან, აკვნესდა ერთი, სულ ცოტა ხანში მეორე გამოეხმაურა მას, მცირე ხანს ისინი პაექრობდნენ კიდევაც. ვეღარ მოითმინა თამარმა ეს ამბავი, თარაშ ემხვარს დაუძახა, მანაც დაკვრა მიატოვა. ორივენი ფანჯრის რაფაზე დაყრდნობილნი ყურს უგდებდნენ, თუ როგორ აჰყვა ერთ წყვილს მესამე.

საოცარი ის იყო, ის ერთი, ფანჯრის მახლობლად მჯდარი, ხან მეორეს ეპაექრებოდა კაკლის ხის არეში მოსტვენალს, ხანაც იმ მესამეს, რომელიც აკაციების მახლობლად სულ მარტო კვნესოდა, როგორც ბნელში მომღერალი მარტოსული.

ეს შეამჩნიეს თამარმა და თარაშმა. არავინ ისე მგრძნობიერად არ მღერისო, როგორც მარტოსული.

„რადგან სიმღერაო, ამბობდა თარაში, მარტოობაში იბადებაო ქვეყნად“. და თამარ შარვაშიძე გაოცდა: როცა მუდამ მხიარულმა, დარდიმანდმა სპორტსმენმა თარაშ ემხვარმა თამარს უამბო, რომ იგი დიდ მარტოობას განიცდიდა თავის ქვეყანაში. ეს ამბავიო, ამბობდა თარაშ, მართლაც ძლიერ წააგავსო რომანებში ნათხრობს, მაგრამ ეს სავსებით არ სცვლიდა თურმე მის მწუხარებას, განსაკუთრებით აუტანელი ყოფილა მისთვის არა დილა, არა შუადღე, არა ღამე, არამედ ის დრო შეღამებისა, როცა არც დღეა, არც საღამო, როცა ნელ-ნელა ფითრდება ცა, ხეების და მთების კონტურებიც ნახშირით გავლებულ ხაზებსავით მოიხატებიან ცის ფონზე, იმ დროს, როცა ჩრდილი და შუქი ერთიმეორეს მძაფრად გაეთიშებიან, როცა არც ჩრდილშია მკვრივი სითალხე, ხოლო სინათლე გამჭირვალებას ჰკარგავს ნელინელ.

„შენ ისეთი ლაპარაკი იცი, — ეუბნებოდა თამარ, — უთუოდ პოეტი უნდა ყოფილიყავი“.

ეს „შენ“ ბავშვობიდანვე ესმოდა თარაშს თამარის პირიდან, რადგან ისინი ერთ სკოლაში იზრდებოდნენ თარაშის უცხოეთში წასვლამდის. მაგრამ არასოდეს ასე ტკბილი არ ყოფილა ეს

„შენ“.

თარაშ ემხვარი გამოუტყდა თამარს, რომ მას პოეტების ბედის არასოდეს შეჰშურებია, პოეტები ყველაზე უბედური ხალხიაო ამქვეყნად, ისინი კარტის მოთამაშეებს მაგონებენო, თამაში თვითმიზნად გადაქცეული აქვთო, ლოთებს გვანანო, ისინი სიტყვის ლოთები არიანო.

მეც სიტყვის სიყვარულმა, ჩემი პატარა ხალხის სიყვარულმა გადამრიაო, ფილოლოგიც ამიტომ გავხდიო. ყოველ სიტყვის ფესვს უფსკრულამდის მივსდევო, ბოლოს ხელში არაფერი მრჩებაო.

ტარიელ საღამოს ფსალმუნს ფურცლავდა. მდუმარედ ისხდნენ თამარი და თარაში, ბაღში დავანებულ ბნელს გასცქეროდნენ. ესმოდათ, თუ როგორ სცვიოდა გაშავებულ მოლზე ატმის ყვავილის ნაქურცვენი, ხოლო ბაბუა ტარიელ მეზობელ ოთახში ჰკითხულობდა:

„ვითარცა სახედ სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრე სურინ სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო! სწყურიან სულსა ჩემსა ღვთისა მიმართ ძლიერისა და ცხოველისა, ოდესმე მივიდე და ვეჩვენო პირსა შენსა. იქმნეს ცრემლნი ჩემნი პურად ჩემდა დღე და ღამე“..

ლეკვები

„ლუკაია, ბიჭო, აფხაზები ჩამოსულან, ჭიშკარი გაუღე“, ყვიროდა ნიგვზის ქვეშ მჯდარი ბაბუა ტარიელ. სამზადიდან თმაგაბურძგვნილი, ფეხშიშველი მოხუცი გამორბოდა.

როგორ არ შვენოდა ეს „ბიჭო“ ლუკაიას თეთრ წვერებს!

თუმცა, თეთრი კი არა, ყვითელი, დამჭვარტლული მატყლისფერი წვერები ჰქონდა მას.

ტანად გოჯა იყო ლუკაია. ძვალმსხვილა, გრძელწვერა, კისერმოკლე, ღაწვმაღალი, გრძელხელა და მოკლეფეხება. მარჯვენა ფეხი მოქცეული ჰქონდა, მარცხენა მხარი ამოვარდნილი (ბალღი ყოფილა, როცა ავზნეს მოუვლია პირველად. მაშინ ამოვარდნოდა მხარი).

მირბოდა ლუკაია, აცაბაცა მიჰქონდა ჯიხვის რქებსავით მოდრეკილი ფეხები. მორბენალი უფრო სასაცილო იყო ლუკაია, ხის თოჯინასა ჰგავდა — ბალღების სათამაშოდ გაკეთებულს.

გარბოდა უქუდოდ ლუკაია, მანძილს ძლივს ერეოდა, სტუმრებს თვალით ვეღარ ჰხედავდა, რადგან ცხენოსნები მუხის ჭიშკარს გადაღმა იცდიდნენ. ასე ეგონა: მთელი აფხაზეთი მის სანახავად ჩამოსულაო. უხაროდა, გარბოდა, მაგრამ ხვავი არა ჰქონდა მის მიერ გარბენილ მანძილს. ძლივს მიაღწია ჭიშკრამდის, ორმაგი რაზა გახსნა, ურდული გამოიღო ძველებური ყავრით გადახურული ჭიშკარის თვლებიდან. ცალი ხელით მკერდზე მიიხუტა და ისე იდგა, როგორც გრძელშუბოსანი ბერძნული სატირი.

ღრიჭინით გაიღო ჭიშკარი და, როცა კაც ზვამბაია და მისი ვაჟი შენიშნა, უეცარი სიხარულისაგან აპრიალდნენ ისრიმისფერი მომცრო თვალები.

„დია“ წამოსცდა ლუკაიას. დაქვეითდა მარდად კაც ზვამბაია, არზაყანს მიუგდო ცხენი.

და „ქრისტე აღსდგა“-თი მიესალმნენ და გადაეხვივნენ ურთიერთს კაც ზვამბაია და ლუკაია ლაბახუა.

მარჯვენა მკერდზე აკოცა ლუკაიამ კაცს და შემდეგ არზაყანისაკენ გაიწია, მაგრამ არზაყანმა ცივად შორს დაიჭირა მისი განზრახვა, რაკი ლუკაიას თვალის უპეებში მოზღვავებული წირპლი და ყურებიდან გადმოღვარული თელგამი შენიშნა.

კაც ზვამბაიასაც ძალიან გამოცვლილი ეჩვენა ლუკაია. სულ დალეული იყო მისი ისედაც დაჩიავებული ტანი. გაბურძგვნილი თმა-წვერი მომეტებულ სისხოს აძლევდა თავ-პირს. ერთი შეხედვით თავკომბალას დამსგავსებოდა იგი. უხამსი ქერტლი და თებო ჩალეკოდა მხრებსა და კისერში.

ბაბუა ტარიელის დანახვაზე კაც ზვამბაია დაწინაურდა, მიეჭრა ნამორზე მჯდარს, ქუდი მოიხადა და უმწიფარი თუთუნის ტალებიან ხელზე ემთხვია. იდგა შორიახლო ქედმოდრეკილი, სახეგაბრწყინებული.

არზაყანმა ცხენები შეაჩერა, მხედრული სალამი მისცა მოხუცებულს და ბაბუა ტარიელის მოწითანო წამწამებიდან მტრული შემოხედვა გამოკრთა. ეს შეამჩნია არზაყანმა. უხერხულობა იგრძნო და უმიზეზოდ სადავე შეუტოკა მის უკან მიმავალ ულაყს.

„ჰეი, ვარა, — დაუძახა არზაყანს ბაბუა ტარიელმა აფხაზურად.

ლუკაიას გაჰყევი და ცხენები დააბინავე“. ითაკილა ვაჟმა ასეთი აგდებული შეძახება, მაგრამ დუმილით მიჰყვა ლუკაიას.

„რამხელა გაზდილა ი ბიჭი, — ამბობდა ბაბუა ტარიელ, — დაბაში დადის თურმე, რამდენჯერმე ჭიშკრამდის მოუცილებია თამარი და გაპარულა. ჩემი ეშინია, ჰე, ჰე, ან რა პირით უნდა მეჩვენოს, ჰე, ჰე, როდისაა დაბადებული?“

„ენგური რომ გადავიდა, იმ წელიწადს“.

კაც ზვამბაია შესჩიოდა ნახუცარს, თუ როგორ „დაეღუპა“ ვაჟი, როგორ გაუკომუნისტდა. მეშინიაო, ამბობდა კაც ზვამბაია, უმცროსებსაც არ გადაედოსო და ამ „გადადების“ ამბავს ისეთი ტრაგიული ტონით ხვნეშოდა, თითქოს შავი ჟამის გადადებას გულისხმობსო. „განა მარტო მე, მთელი ქვეყანა დაღუპეს, მამაო“.

ახლა კოლექტივიზაციას შეეხო კაც ზვამბაია. მალე ყველას კოლექტივში შერეკავენო, აღარ იქნება შენი და ჩემი, თვით ცოლებსაც კოლექტივში შეგვაყვანინებენო. ვიღაც ალანია ქართიდან ჩამოსულა, იქ მთლად გაუგონარი ამბები ხდებაო. თოთო ბავშვებს ხარშავენ, საპნად ადუღებენო. ბოლშევიკებს ამერიკის ვალები მართებიათო, ანაკლიას გემი უნდა მოვიდეს, ბავშვებით სავსე გემი ამერიკას უნდა გაუგზავნონო.

ბაბუა ტარიელმა ანუგეშა კაც ზვამბაია.

გაიგონე, — ეუბნება იგი კაც ზვამბაიას და ჩოხის მასრებზე ჰკიდებს ხელს.

საქრისტიანოს ღმერთი არ განწირავს, რომის პაპს ჯვაროსნუ-

ლი ომი გამოუცხადებია თურმე და ამ ეშმაკების აღსასრული მოახლოებულია“. პირველ ქრისტიანების მხნეობას იმოწმებდა ბაბუა ტარიელ, ისრაელთა ეგვიპტელთაგან განთავისუფლებას იგონებდა, ბოლშევიკებს თემურ ლენგს ადარებდა, ქვაბთა ხევის მონასტრის ბერებს რომ ეჟვნები შეაბა. დასასრულ, თურმე ისეთი სიზმრები ჰქონია ბაბუა ტარიელს წინა ღამეს, რომ მეორე აღდგომას იგი უთუოდ თავის მამულსა და მრევლს დაიბრუნებდა.

სწორედ ამ სიზმრის მოყოლას აპირებდა ბაბუა ტარიელ, მაგრამ კაროლინა აივანზე გადმომდგარიყო: წამლის დალევის დრო მოვიდაო.

არც ერთი მწუხრი, არც ცისკარი და არც წირვა ისეთის სიზუსტით არ შეუსრულებია ყოფილ დეკანოზს, როგორც წამლის დალევას ეწეოდა იგი.

ბაბუა ტარიელმა განწესებული წამალი დალია, კაც ზვამბაიას ნათხრობით აღელვებულმა კაბინეტის კარი ჩაიკეტა, საეგებიოდ გადაიშალა თავისი დავითნი და გულდასმით გადაიკითხა:

„აღზდექ, უფალო, რისხვითა შენითა, ამაღლდი მოსრულებულად მტერთა შენთა და განიღვიძე, უფალო ჩემო, ბრძანებითა მით“...

მერმე თვალი გადაავლო რამდენიმე ტაეპს და ისევ აუწია ხმას: „არათუ მოიქცეთ, მახვილი მისი ლესულ არს, მშვილდსა მისსა გარდაუცვამს და განუმზადებიეს იგი და მასთანა განემზადებიან ჭურვნი სიკვდილისანი“...

* * *

არზაყანი დაკვირვებულად ათვალიერებდა შარვაშიძეების ახალ ოჯახს. ქვითკირის სასახლეს, ძველებურ ხილის ბაღს და მახლობელ შრამელებს. სასახლის აივნის მახლობლად ორი

ჭრელკაბიანი ქალი იჯდა ჰამაკში, პატარა თათიას ათამაშებდნენ. შორიდანვე შეატყო;

არც ერთი მათგანი თამარი არ უნდა ყოფილიყო. მესამეც კიბეზე ჩამოდიოდა ყავისფერ კაპოტიანი, კაროლინა შეიცნო. უნდოდა ლუკაიასთვის ეკითხა: თამარი სადააო, ან ავად ხომ არ არისო? მაგრამ რატომღაც მოერიდა თამარის სახელის ხსენებას.

ვაი, თუ ტფილისს წავიდა, ინსტიტუტში შესვლას რომ აპირებდა და ეს აზრი აუტანელი ეჩვენა.

ალვებს შორის, მავთულზე სარეცხი იყო გადაფენილი. არზაყან დაწვრილებით იცნობდა თამარის კაბებს, არც ერთი მათგანი მისი არ უნდა ყოფილიყო, არავინ და არაფერი თამარის აქ ყოფნას არ ადასტურებდა. გუშინ კი იგი გამგელებული მოაქროლებდა ცხენს დაბისაკენ. და ერთბაშად თუ ტფილისს წავიდა თამარი? განა ამისათვის ებრძოლა წუხელ ენგურის ტალღებს, გამოჩერჩეტებული მღვდელი და შლუ ლუკაია რომ ენახა მხოლოდ?

ლუკაია თავის ხულაში შეუძღვა სტუმრებს და აქ კაც ზვამბაიამ და ლუკაიამ ისევ ძველი ამბები დაიწყეს.

ხულაში რაღაც საოცარი, გაურკვეველი სუნი იდგა. ვერ გაეგო არზაყანს: თაგვის სუნი იყო ეს, ქონდრის თუ დამწვარი ჯღანისა?

კედლებზე ნახმობი ქონდარი, ტყლაპები, პილპილის ასხმულები, ძველი გიდელები და კალათები ეკიდა. აფხაზეთიდან გადმოსვლის შემდეგ მთლად გადარეულა ლუკაია. თავის „მენდლების“, თუნუქების და ათასი ჯურის ბრჭყვიალა საგნების კოლლექციისათვის ახლა ხატები და ნახუცარების ოლარები მიემატებინა. ძველი გენერლების, პოლკოვნიკების ეპოლეტები, მედლები, ჯვრები, თავად ხეციას მიმინოების ეჟვნები, მისივე ცხენების სამკერდეს, საძუეს და უნაგირის სამკაულები.

დაქანცული არზაყან კერის პირას იჯდა და გულარეული შესცქეროდა, თუ როგორ აჩვენებდა ლუკაია კაცს თავის ახალსა და ახალ მონაპოვარებს.

ოლარი ჭყონდიდელისეულიაო, თეკლათის მონასტრის იღუმენიასათვის უჩუქნიაო თურმე ოდესღაც. ეს ანაფორა გრიგოლ დადიანისეული ყოფილა. ეს პატარა ძელის ხატი სამეგრელოს მთვარის მეუღლეს ჰქონია თავის საწოლ ოთახში დაკიდებული, დაწოლის წინ ამ ხატზე ლოცულობდა თურმე.

კვლავ ახალი და ახალი ნივთები გადმოალაგა ლუკაიამ. რომელიღაც მონასტრიდან წმინდანების ძვლები გამოუყრიათ ბოლშევიკებს. ისეთი სასოებით ატრიალებდა ლუკაია ხელში ბარძაყის ძვლებს, თითებს, თავის ქალებს საუკუნოების მტვრისაგან გაზინთულსა და გაყვითლებულს, რომ არზაყანს ზიზღსა გვრიდა ამ გოჯა მიწის კაცის სასოება. კაც ზვამბაია სულგანაბული ყურს უგდებდა და ყოველი წმინდანის ხსენებაზე დასძენდა: „ვენაცვალე მის მადლს“.

რაღაც ჭუჭყიანი ფუთები გახსნა ლუკაიამ და ახლა ბინძურ მჩვრებში სასოებით შეფუთვნილი გაშავებული კბილები, ფრჩხილები და თმები ამოალაგა. ამათ მოაყოლა: შანები, ავგაროზები, თუნუქისა და თითბერის ჯვრები, ძველი საცეცხლურები, ფრაჟის ემბაზები და უგემურად ნაკეთები ფიალები. საკმეველის, ოფლისა და ობის სუნი დააყენეს ამ ძველმა ნივთებმა ისედაც გამჭვარტლულ, ობობის ქსელებით დაბლანდულ ხულაში.

გული აერია არზაყანს ამ ნივთების შეხედვისას, სადმე წამოწოლა და დასვენება უნდოდა, მაგრამ წეღან კარგად გაიგონა: მღვდელმა მამამისი გააფრთხილა, სადილად დარჩიო, მისთვის სიტყვაც არ უთქვამს, გარდა ამისა, როგორ შეეძლო კომკავშირელს დღეს, აღდგომა დღეს ნახუცარის სახლში ესადილა.

იცოდა არზაყანმა: ხერიპსი თავათაც არ იყო მართლმორწმუნე ქრისტიანი, მაგრამ მოხუცებული მამა სანამ ცოცხალი იყო, იგი იძულებული ხდებოდა მისი ჭირვეულობისთვის ანგარიში გაეწია. არზაყანისთვის აქ უმთავრესი ეს იყო: როგორმე გაეგო, თუ სად იყო თამარი.

არზაყანმა მოიბოდიშა, წვერის გასაპარსავად მივდივარო და გაეპარა მოხუცებს.

კარის ალაგთან შესდგა არზაყან, შეყოყმანდა: დაბაში წასულიყო თუ აქ დაეცადა კიდევ? და მზერა მისი საოცარმა სანახაობამ მიიპყრო:

გაწოლილიყო სიგრძეზე შავი ძუ ძაღლი, შვიდი ფერად-ფერადი ლეკვი დასეოდა ვაგლახად გაძვალტყავებულ ცხოველს. ფერდებს ძვლები მოუჩანდა ძუ ძაღლს და კანი მისი ბეწვგაცვეთილი, თექასა ჰგავდა ტალახიან ფეხებით ნაგეჯს. პატარები მოუსვენრად ზიმზიმებდნენ. გრძელსა და მოლურჯოს, დაგვალული ლეღვის მსგავს ძუძუებს მისეოდნენ. ერთი კარაქისფერი, ერთიც ქლიავისფერი ლეკვი მოსცილდნენ ძუძუს.

ასე გაიგო არზაყანმა: კარაქისფერმა ქლიავისფერს ცილობა დაუწყო. ვიდრე ძუძუს სწოვდნენ, ორივეს ისეთი კეთილი გამომეტყველება ჰქონდა, ისე უმწეოდ კუსავდნენ ხიზილალისფერ თვალებს, ხელის შევლება და კოცნა მოუნდებოდა ადამიანს მათ დანახვაზე. მაგრამ ერთბაშად ორივენი მოეშვნენ დამჭკნარ და შებერტყილ ძუძუებს, აიქოჩრნენ, აიმრუზნენ პატარები. კარაქისფერმა დაუწყო პირველმა ღრენა. როგორ დაიღრიჯა მისი გაბუტუნებული პატარა დრუნჩი! ნაოჭები შემოეკეცნენ გარშემო. ცოტა ხანს ისე ღრინავდა გაბოროტებული, თითქოს „ღ“-ს მინაგვარ ბგერის გამოთქმას ლამობსო, მერმე თათი მოუცაცუნა ქლიავისფერს მკერდზე, აენთო, გაბრაზდა ქლიავისფერი, წვრილი და ბო-

როტი წკავ-წკავი ასტეხა, ეძგერა ყელში ქლიავისფერი კარაქის-ფერს და მტვერში ამოგანგლა პაწია. წამოსწია თავი ღონემიხ-დილმა ძუ ძაღლმა და დაზაფრული თვალებით შეხედა ლეკვებს, ისევ ძირს დასდო თავი და განაგრძო თვლემა.

ჩაეცინა არზაყანს ამ ამბის მჭვრეტელს, ყველგან ბრძოლაა ამ ქვეყნად, გაიფიქრა და მიჰყვა გულდარდიანად ჭიშკრისაკენ მი-მავალ თუთების ხეივანს.

ნაბუქოდონოსორის სიზმარი

ლუკაიამ გარედ გამოიყვანა კაც ზვამბაია და შარვაშიძეების ახალ მოსახლეობას აცნობს: უჩვენებს ხეციასეულ ქვითკირის სასახლეს, მოშორებით ჩარაზმულ შრამელებს, სამზადს, მარანს, საჯინიბოს და მიმინოების გარაბადებს.

„ესეც თქვენია?“

ეკითხება კაც ზვამბაია, ეზოს განაპირას მდგარ ისლით დახურულ ოდაზე უთითებს.

„ესეც ჩვენია, წინად ხეციების საბაზიერო ყოფილა თურმე“.

ყველაფერზე „ჩვენია“-ს ამბობდა ლუკაია, რადგან იგი სიყრმიდანვე ჩარჩენილიყო შარვაშიძეების ოჯახში — უკანასკნელი მოჰიკანი დასავლეთის ფეოდალების კარად მოზიმზიმე ლენჩების, ბნედიანების ლეგიონისა.

ხეციას ფატალური თავგადასავალიც უამბო ლუკაიამ კაც ზვამბაიას. ხეცია ჟანდარმთა გენერალი ყოფილა თურმე და რევოლლუციონერების დაუძინებელი მტერი. მამა ბოლშევიკებს

დაუხვრეტიათ, ვაჟები ემიგრაციაში გაქცეულან. ქვრივს სიკვდილის წინ ხერიპს შარვაშიძისათვის მიუყიდნია ბატონკაცური სახლ-კარი. ხერიპსს ხელისუფლების ნდობა დაუმსახურებია თავგამოდებული შრომით, ამიტომაც დიდი ყურადღებით ექცევიანო.

ახალ სასახლეში თან გადმოიტანა ლუკაიამ უხსოვარ დროთაგან შარვაშიძეების ოჯახში ჩარჩენილი წარმართული ჩვეულებანი.

აჟირას — სასახლის უფროსის სალოცავს აღავლენს ყოველწლიურად ლუკაია ტარიელ შარვაშიძის სახელზე.

აჟირას სალოცავით გამოულოცა თავის დროზე ახლად ჯვარდაწერილ ტარიელსა და ჯახანას.

როცა ხერიპსმა კაროლინა მოიყვანა, გერმანელი პროტესტანტი ქალი გააოცა ლუკაიას მოქცევამ. ეს არაფრით ჰგავდა ევროპაში მის მიერ ნახულსა და წაკითხულს და შემდეგ „ჰაიდე“ — წარმართი დაარქვა ამ უცნაური მისტერიების უანგარო მოგვს.

დიდ მარხვაში თორმეტ აკვაკვარს აცხობს ლუკაია „საორშაბათო“-ს მთვარის დღის სალოცავისათვის.

„ჩემს მხრებზეა ეს ბღარტები გაზრდილი“, იტყოდა ხოლმე თამარისა და ხერიპსის შესახებ ლუკაია.

ხერიპსმა ბავშვობაში გვიან ისწავლა სიარული.

„ჭაპუს“ — კერიას სალოცავით გამოულოცა ლუკაიამ. მოზრდილი აკვაკვარი გამოაცხო, წითელი ძაფებით შებორკა ხერიპს, სამზარეულოს კართან დააყენა, პატარა თამარს ჭადის ნატეხი მისცა ხელში. გაურბინა თამარმა და ძაფები შეაწყვიტა წვივებზე ხერიპსს. ლუკაიას თუ დაუჯერებთ, სამ დღეში ფეხი აუდგამს ხერიპსს.

ხუთმეტი წლის ხერიპსი ავად გახდა. „ხეადგილის სენიაო“, ამტკიცებდა ლუკაია. დედამიწის სალოცავი შეასრულებინა. ჭინჭის

დედოფალამ ექვსი კაკალი და ფეტვის მარცვლები ხელში მისცა თამარს, ჯერ თხმელის ძირას მოაყვანინა ხერიპს, აქ სამი კაკალი და რამდენიმე მარცვალი შემოავლებინა „მიწისადგილის“ სახელობაზე, მერმე თხილის ძირას მიაყვანინა, სამი კაკალი და რამდენიმე მარცვალი აქაც დააბნევინა. მოსთხარა მიწა, დედოფალა ჩაფლა: „ჩემი ავადმყოფობის ნაცვლად ამას ეთამაშეო“, ჩასძახა მიწას.

შემდეგ დიდ კეცებზე „მიწა დედოფალის“ მჭადი გამოაცხო, ორი ღვეძელიც „უდაბნოსათვის“, ორი ღერი თაფლის სანთელი, საკმეველიც თან წარიტანა, სამი გზის შესართავზე გააყვანინა ავადმყოფი. ცალკერძ მჭადი დაადებინა, ცალკერძ ღვეძელები, ცალკერძად სანთლები აანთო, განზე გაიხედა ლუკაიამ და წარმოსთქვა: „მიწავ ბატონო, ეს შენი ფეხსაცმელია“.

ხერიპსი დააჩოქა, თავზე ლეჩაქი გადააფარა, ანთებული სანთლები ხელში აიღო.

ადგილის დედას მიმართავდა ასე: „ადგილის დედავ, შენი მადლი მოანიჭეო, ტანის სიმრთელე, გულის სიმხიარულე, თავის სიმრთელე, ფერი მიეცი, ტყავი მოეცი, ძვალი მიეცი, ლაპარაკი მოანდომე, საქმეების სურვილი მოანდომეო“.

შემდეგ განზე გაიხედა.

„უდაბნოს“ მიმართა გაურკვეველი ბუტბუტით, თხილის ჯოხით ლეჩაქი გადახადა დაჩოქილს, წამოაყენა, ზურგზე ხელი გადაუსვა, შემდეგ წკნელი დაჰკრა მხრებზე და — „წა, გაეცალე, აზატი მომეციო“.

შინ მოიყვანა, კერის გადაღმა დააყენა, კიდეშემოტეხილი მჭადი ხელში მისცა, გასწიეს და გამოსწიეს სნეულმა და ქურუმმა, შუაში გასტეხეს მჭადის აკვაკვარი.

როცა კაროლინა ტარიელის ოჯახში მოიყვანეს, ჯახანა ჯერ

ცოცხალი იყო, ხერიპსი და კაროლინა ბუნებრივად იჭვის თვალით შესცქეროდნენ აფხაზურ ჩვეულებებს, მაგრამ ლუკაიას ჯახანა უჭერდა მხარს. დეკანოზი სავსებით განზე იდგა, ლოცვა არავის აწყენსო, ამტკიცებდა, ამიტომაც ლუკაიამ თავისი გაიტანა: კაროლინა იძულებული გახდა რძლის მოყვანისას შესასრულებელი ცერემონიები გაეარნა. სიცილს ძლივს იკავებდა კაროლინა, მაგრამ დედამთილის პატივისცემისათვის ნებას დაჰყვა. თანაც აინტერესებდა ამ ადამიტური ჩვეულების განცდა.

შარვაშიძეების ოჯახში მოყვანისას დიდხანს უმალავდნენ კაროლინას ბაბუა ტარიელს. ჯერ ყველაზე უმცროსი თამარი გააცნეს, ბოლოს ტარიელმა ითხოვა და წარუდგინეს. მთელი კვირეების განმავლობაში ჩაკეტილი იყო კაროლინა თავის ოთახში, რომელიც „ამხარას“ როლს ასრულებდა. ორი კვირის შემდეგ ნადიმი და მსხვერპლის შეწირვა მოხდა.

დიდ სახლში — ასასაჯრაში შეიყვანეს რძალი. კაროლინას ნაბიჯი დაებლანდა, როცა გადაჯვარედინებულ ხანჯლებს ქვეშ გაატარეს.

ძალიან მოეწონა კაროლინას „წყალთან მიყვანის“ ცერემონიები. ამ დღისთვის საგანგებო ნადიმი გამართეს სოფელში. მხოლოდ ქმრიანი ქალები მოუსხდნენ სუფრას. ნასადილევს ახალი ფატა დაახურეს კაროლინას, ყვავილებით შეუმკეს შუბლი და მკერდი, ქალ-რძალი მდინარის ნაპირას მიიყვანეს, აქ უხუცესმა ქალთა შორის ჯახანამ „წყლის სულების“ ლოცვა წარმოსთქვა, შესთხოვა წყლის სულებს, მწედ ჰყოლოდა მის რძალს მშობიარობის, გარჯის, აბრეშუმის მოყვანის საქმეში. მისი ტანისამოსი წყლით ასხურა და დამსწრე ქალებმა კვერცხები გადაისროლეს წყალში.

გარინდული იდგა კაროლინა, ვერ გაეგო ამ უცნაური ამბების დანიშნულება. უკვირდა, იცინოდა, საერთოდ, სიზმარში ეგონა

თავი.

ერთს ვერ შეურიგდა კაროლინა: აფხაზური წესით ქმრის სახელზე დადებულ ტაბუს. მან აქ მცირე კომპრომისი დაუშვა, „ხერის“ ეძახოდა ხერიპსს. ლუკაია ბუზღუნებდა: „მათი რჯულის“ ხალხი ჩვენს წესებს ვერასოდეს შეეგუებაო.

პირველ ხანებში განათლებული ადამიანის ცნობისმოყვარეობა სძლევდა კაროლინას, ეს ყოველივე მისთვის უცნაური იყო და გაუგონარი.

გავიდა წლები, მობეზრდა მას ლენჩი წარმართის გაუთავებელი ლოცვები, შელოცვები, გამოლოცვები. ყველაზე მეტად აფხაზურ სტუმართმოყვარეობას ვერ ეგუებოდა. აფხაზეთიდან დაბაში გადმოსვლას სიხარულით შეეგება, მაგრამ დაბაში სასტუმროდ გადააქციეს მისი სახლი აფხაზებმა. ტარიელი და ლუკაია სანამ ცოცხალი იყვნენ, ვერც ერთი მათგანი უაფხაზებოდ ვერ გასძლებდა. ეს იცოდა კაროლინამ, ბუზღუნებდა, მაგრამ ქმრის სიყვარულით ურიგდებოდა ამას ყოველივეს. იმ დღესაც სადილის პირზე სტუმრები შემოემატნენ, დოღზე ჩამოსული აფხაზები.

თამარს თარაშ ემხვარიც წამოეყვანა დიასახლისის გაუფრთხილებლად, სადილად დასხდომას აპირებდნენ, როცა ოთხი ცხენოსანიც შემოემატათ: მაჩაგვა ეშბა — ჩოფურა, ხარისთვალებიანი დაბალი მოხუცი, თაგვისფერ ჩოხაში გამოწყობილი. ომარ მაან — ახმახი ჩოხოსანი, ლამიყლაპიასავით გრძელკისერა, თავწვრილა. ტატაშ მარშანია — ყოფილი ოფიცერი, ამჟამად სვანეთის ტყის წარმოების აგენტი, იგი გულმოდგინედ მალავდა თავის ოფიცრობას, მაგრამ სიარულსა და თავდაკვრაში ყოველი კაცი შეატყობდა ამას. კეგვა გარგანჯია — გააფხაზებული მეგრელი, რომელმაც არც აფხაზური, არც რუსული, არც მეგრული იცოდა. კეგვას ისეთი უზომოდ განზე გამდგარი ყურები ჰქონდა, თითქოს ვიღაც მსუქანი კაცის ყურები მიუდგამთო მისთვის.

ახლად მოსულ სტუმრებს აქ დაუხვდა ადგილობრივი სკოლის დირექტორი, ანუ „გამგე დირექტორი“, როგორც ეძახდა იგი თავის თავს — შარდინ ალშიბაია, პროვინციელი ინტელიგენტი, დიდი მოკამათე, „პრობლემების კაცი“ და ორსულიანი.

ბოლშევიკებთან შინაკაცად ითვლებოდა, კონტრრევოლიუციას ბოლშევიკებთან ასმენდა, ხოლო კონტრრევოლიუციონერებთან ბოლშევიკებს ლანძღავდა.

მოკლედ: ორივე მხრისათვის მოხალისე მოენის როლს ასრულებდა. თავის საწოლ ოთახში ლენინისა და სტალინის სურათებს ჰკიდებდა და ბოლშევიკების მტრებს ემიგრაციიდან მოსულ ჭორებს პირველად ახარებდა. ტარიელ შარვაშიძის ოჯახში მუდმივ სტუმრად ითვლებოდა. არც ხერიპსს უყვარდა, არც თამარს ეპიტნავებოდა, კაროლინა ცხვირს უბზუებდა, მაგრამ ნახუცარს უმისოდ ცხოვრება არ შეეძლო, რადგან შარდინ ალშიბაია უამბობდა ნახუცარს, გაზეთები რას სწერდნენ, ემიგრაცია რას იქადოდა და ბოლშევიკები ვის უპირებდნენ მოკლე ხანში გაპანღურებას. შარდინ ალშიბაიას ნახუცართან მორწმუნე კაცად მოჰქონდა თავი. ამავე დროს ანტირელიგიური საზოგადოების წევრი იყო იდუმალ. თუმცა ცალი ულვაში გათეთრებული ჰქონდა, მაგრამ საფეთქლებთან დარჩენილ თმას მაინც იღებავდა. ჭორფლიანი და დანაოჭებული სახე ჰქონდა და ისეთი წვრილი, მოძრავი თვალები, ნააზრალს ვერასდროს შეატყობდი სახეზე. იგიც რამდენიმე ადგილობრივ ენაზე ლაპარაკობდა, როგორც ჩინებული მოენე. რატომღაც ფიზიკას ასწავლიდა სკოლაში და იურიდიული ფაკულტეტი დაემთავრებინა ოდესღაც, და არც ერთი ენა არ იცოდა კარგად. ქართულად ლაპარაკის დროს „ლ“-ს რბილად გამოსთქვამდა, ხოლო „წავიდა“-ს ნაცვლად „წევიდა“-ს ამბობდა. რუსულ-მეგრულ აქცენტით ლაპარაკობდა, ხოლო ქართულს ხან გურულად უქცევდა, ხანაც იმერულად, რაკი გიმნაზია ქუთაისში

დაესრულებინა. ხერიპს შარვაშიძის ძმადნაფიცად მოჰქონდა თავი, კაროლინას მაინც ეარშიყებოდა იდუმალ და, რაკი კაროლინა ჩირადაც არ აგდებდა, თავათ ხმებს ავრცელებდა დაბაში: შარვაშიძის ცოლთან რომანი მაქვსო. იცოდა — ეს ამბავი მის მეტს არავის სჯეროდა, მაგრამ მაინც ამაყობდა ამით.

მუდამ ცხვირში ითხრიდა საჩვენებელ თითს და საზოგადოებაში მოურიდებლად იჩიჩქნიდა კბილებს. თუმცა მხედველობა კარგი ჰქონდა, მაგრამ ამერიკულ რქის სათვალეს მაინც ატარებდა, რათა ფრიად განათლებულ კაცად მოსჩვენებოდა ქვეყანას.

თამარმა, აფხაზური ჩვეულებისამებრ, თითბერის ტაშტი და პირსახოცი ჩამოატარა. პირველად ტარიელს დააბანინა ხელი, შემდეგ კაც ზვამბაიასთან მივიდა. კაცმა შეხედა თამარს, მოკრძალებულად გაუღიმა. არზაყანი გაახსენდა, თავი დახარა და მადლობა მოახსენა, ხელის დაბანა იუარა, მაჩაგვა ეშბას შესთავაზა. მაჩაგვამაც დიდი მადლობა მოახსენა და თავათაც იუარა, ომარ მაანს გადახედა. ომარსაც ცალკერძ დიდი თავაზიანობის გამოჩენა უნდოდა, ცალკერძ, როგორც უცოლოს, წლოვანების დამალვა — ალშიბაიასკენ ანიშნა თამარს. თამარს გაეცინა, ამ ძველი პროვინციელი ლოველასის ამბავი კარგად იცოდა, ამიტომაც არც შეჰპატიჟებია. შარდინ უსიტყვოდაც მიხვდა, რომ მისი კანდიდატურა იდგა, ვითომდაც ფრიად ტრადიციული, თავაზიანი კაცის პოზაში გაშეშდა და ომარ მაანს შესთავაზა, გულში კი ეცინებოდა ამ ჩინური ცერემონიების მეათასეჯერ დამსწრეს.

„თქვენ შემდეგ, ბატონო ომარ, როგორ გეკადრებათ!“ ომარ მაანმა ჩოხის სახელოები წაიმკლავა და ხელები გაუშვირა თამარს.

კაც ზვამბაია ყველას გამორჩა, რადგან კაც გლეხი იყო და ყოფილი აზნაურები რატომღაც ძველებურ იერარქიას ანგარიშობდნენ. გარდა ამისა, კაც ზვამბაიასაც არ შეუმჩნევია ეს. იგი თავის

გაზრდილის ახლოს ტრიალებდა, თვალგაბრწყინებული შესცქეროდა თარაშს, თავათაც ამჩნევდა, რომ აქ ყველას სჯობდა თარაში. აფხაზებიც დიდი მოწიწებით ექცეოდნენ მას და არააფხაზებიც. შარდინ ალშიბაია პირდაპირ მუცელზე დახოხავდა მის წინაშე. წარამარა ჭკვიანურ ამბებს ეკითხებოდა, ნიჭსა და განათლებას უქებდა, მაგრამ უფრო მეტის შურით შესცქეროდა მის ინგლისურ ჰომპსონის კოსტიუმს და ოქროს კალამს, რომელიც პიჯაკის გარე უბეში ჰქონდა თარაშ ემხვარს გაკეთებული. და ახლა, ხელის დაბანის წინ კიდევ ერთხელ ამოაღებინა თარაშს ეს კალამი და კიდევ ერთხელ დაათვალიერა.

შარდინ ალშიბაია ლექსებს წერდა ჩუმ-ჩუმად და ბალღივით დარწმუნებული იყო: ასეთი კალამი რომ ჰქონოდა, უკეთ დასწერდა და მაშინ უთუოდ გამოსცემდნენ მის ლექსებს ტფილისში. ალშიბაიამ იეშმაკა და ახლა კაც ზვამბაია მირეკა ხელსაბანად. თანაც აგრძნობინა, რომ ის არასოდეს „მოხუცებულ და დარბაისელ გლეხზე“ ადრე არ დაიბანდა ხელს, კეგვა გარგანჯიას აღარც აფხაზური ჩვეულება სწამდა და არც მეგრული, როგორც კი კაც ზვამბაიამ მოათავა ხელის დაბანა, დაუპატიჟებლად მიეჭრა თამარს და თმიანი, მოკლე ხელები მიუშვირა სავსებით უბოდიშოდ, ხელის დაბანა არ იკმარა, „დილას პირის დაბანა ვერ მოვასწარიო“, ჩაიბუტბუტა, ახველებდა, ქლოშინობდა და ისე იბანდა პირს.

თარაში ყველაზე გვიან მიხვდა, მას ეუცხოვა კიდევაც ოდნავ, რომ თამარს ხელი უნდა დაებანინებინა მისთვის, მაგრამ განუზომლად იამა მაინც, რომ მის ხელში შემართულ სურიდან გადმოღვრილი წყლით იბანდა ხელს. მას მოსწონდა ეს ძველებური ჩვეულება და ყველაზე მეტად იამა ხელის ბანა.

აღმოსავლეთის პირველქალწულებს იგონებდა, თავის საქ-

მროებს ხელ-ფეხს რომ აბანინებდნენ მამის ოჯახში სტუმრად მოსულთ.

ტარიელმა, ჩვეულებისამებრ, მოკლე ლოცვა წარმოსთქვა. სწორედ ამ დროს ხერიპსი შემოვიდა, მან ბოდიში მოიხადა სტუმრების წინაშე. კლინიკაში დიდძალი საქმეები შეხვედროდა და ამიტომაც დაჰგვიანებოდა.

„ქრისტე აღსდგა“, შესძახა ნახუცარმა სტუმრებს.

„ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად“, გაიმეორეს ყოველის მხრიდან და ყველაზე ხმამაღლა შარდინ ალშიბაიამ უპასუხა: „ჭეშმარიტად“.

ლუკაია სახეგაბრწყინებული დარბოდა, ოხშივარიან ღომს არიგებდა. უხაროდა, რომ „საქრისტიანო ჯერაც არ გადარჯულებულა და ამ ქვეყანაზე ნამდვილი ქრისტიანები კიდევ რომ დარჩენილან“.

ყველაზე მეტად ის უხაროდა ლუკაიას, „ბოლშევიკების გულის გასახეთქად“ ჯვრებიანი პასკებით რომ დამშვენებულიყო სუფრა და თუმცა გოჭი კი გაძვირდა, მაგრამ ყველით გამოტენილი გოჭიც არ აკლდა იქაურობას. ამ გოჭს ისე დაეფჩინა პირი, თითქოს ნაძალადევად იცინისო.

როცა თამადის ძებნა დაიწყო, აქ ორი კანდიდატი შეეჯახა ურთიერთს: ომარ მაანისა და შარდინ ალშიბაიასი.

შარდინმა მტკიცე უარი განაცხადა. ასე ამბობდა: „სადაც ომარ მაანისთანა მჭევრმეტყველი და დარბაისელი კაცი სუფრას ამშვენებს, იქ მე რა სახსენებელი ვარო“. ომარ მაანი ფიცულობდა ილორის წმინდა გიორგის, თავის გარდაცვალებული დედის სულს, რომ ის წუხელ ენგურზე გასვლისას გაცივებულიყო და მართლაც ოდნავ ხრინწიანი ხმა ჰქონდა.

ერთი გადახედა ალშიბაიამ კაც ზვამბაიას, იცოდა, კაც კარგი

მსმელი იყო და ფრიად დარბაისელი თამადა, თავის მხრივ, დემოკრატობის გამოჩენასაც ლამობდა, მაგრამ სიტყვა ენის წვერზე დაიჭირა, რადგან იცოდა: შარვაშიძეების ოჯახში, ვიდრე ტარიელი ცოცხალი იყო, ზვამბაიას არავინ აირჩევდა თამადად და ამიტომაც კეგვა გარგანჯია დაასახელა, „როგორც ღირსეული მჭევრმეტყველი და სათამადო კაცი“. კეგვას უკვე დაეთრია გოჭის ბარკალი და ხმის ამოუღებლად ღრღნიდა, თუმცა არც ერთს აფხაზთაგანს ჯერ საჭმელისათვის არ ეხლო ხელი.

კეგვას თავიც არ აუწევია, ისე მიუხვდა ამ მელაძუას, რომ ტყუილად შესთავაზა მას თამადობა, რადგან არც მისი თამადობა და არც მჭევრმეტყველება არავის გაეგონა. და მართლაც, ალშიბაიამ განზრახ შესთავაზა თამადობა, რათა ამ გზით ირიბულად დაეკოდა ტატაშ მარშანია, რომელიც მართლაც ჩინებული თამადა იყო, თავათაც ძლიერ უყვარდა თამადობა, მაგრამ იშვიათად ირჩევდნენ, რადგანაც მას არ გააჩნდა ის თავხედობა, რომელიც ყოველ კაცს ესაჭიროება, როცა მას თამადად, თავმჯდომარედ ან პრეზიდენტად ირჩევენ ხოლმე.

ახლა კი, როცა შარდინ ალშიბაიამ მის თავმოყვარეობას ფეხი დააბიჯა, ფიცხლავ წამოიჭრა ტატაშ მარშანია, ოთხივე შვილი დააფიცა, თავათაც არწმუნებდა, რომ მას არც სმა შეუძლია და არც ისეთი ლაპარაკი, რომელიც ასეთ განათლებულ სუფრას შეეფერება. და როცა სიტყვა „განათლებული“ ახსენა ტატაშ მარშანიამ, მან ჯიქურად თარაშ ემხვარს შეხედა და ალშიბაიას სახე აარიდა. ალშიბაია მიუხვდა ტატაშ მარშანიას, გულმა რეჩხი უყო, მაგრამ ამის მიუხედავად, კვლავინდებურის ქალაჩუნობით კვლავ შესთავაზა თამადობა. ბოლოს, ტარიელ შარვაშიძემ გახსნა გორდისეული კვანძი.

მან აღიარა, რომ შარდინ ალშიბაია იქნებოდა საუკეთესო თა-

მადა. შარდინმაც ბევრი იუარა, „დღევანდელი დღის მადლიც დაიფიცა“, მაგრამ არ დაუჯერეს. ფრიად მორჩილი კაცის ტონით მიიღო ეს „მძიმე თანამდებობა“ და პირველი სადღეგრძელო აღავლინა ამ ოჯახის მარად დაუვიწყარი დედის — ჯახანას სულის მოსახსენებლად. ღვინოში პური ჩააწეს და სადღეგრძელო უხმოდ დალია ყველამ.

შემდეგი სადღეგრძელო, წესისამებრ, ბაბუა ტარიელს მიაკუთვნეს. მას მიულოცა ასეთი კარგი და განათლებული შვილების, რძლის და შვილიშვილის ყოლა, უსურვა „სვეგამწარებულ მოხუცს“, მომავალ წელს შარვაშიძეების საგვარეულო ეკლესიაში გადაეხადნა აღდგომის წირვა და მასაც, შარდინ ალშიბაიასაც შეძლებოდა მიეღო მონაწილეობა სააღდგომო ლიტანიაში. თამადა თავის სიტყვაში იმ ანტირელიგიურ პროცესსიასაც გადასწვდა, ზუგდიდში რომ გაიმართა იმ დღეს. ისინიო, ამბობდა თავის სეფესიტყვაში შარდინ ალშიბაია, ვერ ამჩნევენო სახელმწიფოს და ოჯახის საფუძველს — რელიგიას რომ ანგრევენო (და ამ „ისინი“-ს ქვეშ ბოლშევიკებს გულისხმობდა).

თანაც აქებდა მამა ტარიელის მისაბაძ მხნეობას, ჯიქურობას და შარვაშიძისეულ ვაჟკაცობას, სასტიკად ჰკიცხავდა იმ მღვდლებს, „რომელთაც ქრისტეს მძიმე ჯვრის ტვირთვა ვერ შესძლეს ამ დროში და ანაფორა გაიხადეს“. პირველ წინასწარმეტყველთა და ათორმეტთა მახარობელთა მაგალითებს იგონებდა და მათ მაღალ მოძღვრებას. ანდრია პირველ მოციქულს გადასწვდა — ძველი კოლხიდის ქრისტიანებად მომქცეველს და წმინდა ნინოც ახსენა რატომღაც — ყოველთა ქართველთა განმანათლებელი და ისეთი მაღალი შტილით განაგრძო ეს სადღეგრძელო, რომ კაც ზვამბაიას ქართულის ცოდნა აღარ ეყო.

ამის შემდეგ საუცხოვო უწნო ჩამოარიგეს და კეგვა გარგანჯიაზე უფრო მეტი მადა გამოიჩინა თამადამ.

აფხაზები მოკრძალებულად სჭამდნენ, მხოლოდ ნახუცარი პირდაპირ ხუცურის მადიანობით შეექცეოდა, თარაშიც თავს ვეღარ იკავებდა ნივრიანი და პილპილიანი საჭმლის დანახვისას.

როცა თამადამ თავისი სიტყვა დაასრულა, თარაში კაროლინას მიუბრუნდა, შარდინ ალშიბაიას ვინაობა გამოჰკითხა:

„Who is this fellow?“

„A very dark man“[1]

უპასუხა კაროლინამ და ქათმის კუჭმაჭი მიაწოდა ნივრით, პილპილით, ძმრითა და ქონდარით გაკეთებული, რადგან იცოდა: თარაშ ემხვარს განუზომელად უყვარდა ნიორიც, პილპილიც, ძმარიცა და ქონდარიც.

კეგვა გარგანჯია მთლად ამოთხუპნულიყო უწნოში, იგი ბოსტანში შეპარულ მაჩვსავით ილუკმებოდა, არც თამადას უგდებდა ყურს, არც მის გვერდით მჯდარ თამარს სთავაზობდა რასმე.

ომარ მაან მდუმარედ და მოკრძალებულად სჭამდა. სამი თითით იღებდა ღომს, ცოტას გადაზელილ ყველს მოსციცქნიდა, პიტნიან წვენში ჩადებულს, მერმე თავის გრძელ მკლავს გადააწვდენდა, ბაჟაწვენში ამოვლებულ დედალს ჯერ კაც ზვამბაიას მიაწოდებდა, შემდეგ თავათ გადაიღებდა.

მაჩაგვა ეშბას სახელოები წაემკლავებინა, თუმცა ძლიერ შიოდა, მაგრამ მადიანად ჭამას ერიდებოდა თავადის სახლში, თანაც კაც ზვამბაიას მისჩერებოდა. თავათ კაც ზვამბაია უგემურად სჭამდა, მას არზაყანის ჯავრი აწუხებდა, სულ იმას ფიქრობდა: სად უნდა ყოფილიყო ახლა არზაყან. აწუხებდა: აღდგომა დღეს შვილთან რომ არ სჭამდა სადილს.

თამადა გრძელსა და პათეთიურ სიტყვას ამბობდა, ომარ მაანს ადიდებდა. თამარი უკვე ფეხზე იდგა, ლუკაიას მოტანილ

[1] — ვინ არის ეს ტიპი? ფრიად ბნელი პიროვნება

ახალსა და ახალ კერძებს არიგებდა, მოსამსახურე გოგოს იშველიებდა, წესიერად მირთმევას ასწავლიდა დაშას. ბაბუა ტარიელს უკვე ღვინო მოჰკიდებოდა, ღაჟღაჟა ლოყებზე ანთებოდა ნახუცარს ბახუსის ნაგვიანევი ამბორი. იჯდა წვერგაბურძგვნილი, საკინძეშეხსნილი ბაბუა ტარიელ და „ქრისტე აღსდგას“ მღეროდა.

მორიდებულად გასცქეროდა თარაშ ემხვარი შეზარხოშებულს, ლოყებღაჟღაჟა ბერიკაცს, ხანაც თამარს გაჰხედავდა ფარულად.

ვინ იტყვის, რომ ეს გაბურძგვნილი ძვალმსხვილა, თავმოტვლეპილი, კბილებჩაცვენილი, მეჭეჭიანი ბერიკაცი თამარის მამაა, ფიქრობდა თარაშ ემხვარი.

საოცარია, როცა იმ ქალის დედ-მამას ან მახლობელს შესცქერი, რომელიც ძალიან გიყვარს, თუ მშობელი ან ნათესავი საყვარელი არსებისა არ მოგეწონება, რაღაც იდუმალი ჩრდილი ადგება შენი გულის მიჯნურსაც.

გწყინს, როცა ვინმე თუნდაც ოდნავად ჰგავს მას, არც ის შემთხვევა გახარებს, როცა მშობელი შობილს არა ჰგავს, მაგრამ იცი, ეს მისი მშობელია, სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი და არ გსიამოვნებს, მათ შორის სისხლ-ხორცისმიერი ნათესაობა და კავშირი რომ არსებობს.

და ეს იმას ჰგავს, ალვის ხე გიყვარდეს ტანკენარი და ცაში ალანძული, ხოლო მისი ტალახიანი, დაღვარჭნილი ფესვები გძაგდეს.

გარდა ამისა, თარაშ ემხვარ კათოლიკურ და პროტესტანტულ ქვეყნებში იყო გაზრდილი. წვერგაპარსულ, სუფთად ჩაცმულ, საყელოიან, თმადავარცხნილ, შეპუდრულ და განათლებულ აბატებისა და პასტორებისათვის თვალი ჰქონდა შეჩვეული, ამადაც ეუცხოვებოდა ეს გაჩეჩილი და ღიპიანი მართლმადიდებელი

მღვდელი.

ბაბუა ტარიელი გალობდა:
ქრისტე აღსდგა, გიხაროდეს,
მადლი მახარობელსაო!
რომელსა და რომელსაო?
ჩვენსა მახარობელსაო.
გაიხაროს ყოვლმა სულმა,
ყოვლმა სულმა სულიერმა,
სუყველამ გაიხაროსო.
ჯინჭველამ ფოლორცისამან
იმანაც გაიხაროსო.
გუშინ ბიჭმა დედაბოზმა
ზეცის კარი გადიარა, —
ტანზე ეცვა თეთრი ჩოხა,
ქუდი მოევარდიანა;
ნიავწვრილი მზესა ჰყვარობს
და ჭაბუკი ავსა დარსა.
ავსა დარსა წვიმიანსა
კარგი დარი გვირჩევნია.
ავსა კაცსა ბიწიერსა
სათნო კაცი გვირჩევნია,
ბერსა ქალსა, ბებერასა,
ახალგაზრდა გვირჩევნია.
გვირჩევნია, გვრჩევნებია,
დიდსა ქვაბსა ცარიელსა,
პატარ სავსე გვირჩევნია,
გვირჩევნია, გვრჩევნებია.

თარაშ უხერხულად გრძნობდა თავს, ისეთი ხოტბა შეასხა მას ალშიბაიამ. ძველ ამბებსაც გადასწვდა თამადა. იცოდა: ტარიელ

შარვაშიძის ოჯახში ემხვარების გვარის ქება არ ივარგებდა. თუმცა ამ ორ გვარს შორის ჩაწოლილი ძველი სისხლის ანგარიში მივიწყებულიყო, მაგრამ ტარიელ შარვაშიძეს არც ახლა უყვარდა ემხვარების გვარი. ისიც უწყოდა შარდინ ალშიბაიამ, რომ სტუმრების მიმართ თავაზიანი ტარიელ შარვაშიძეც ოდნავ უბღვეროდა ამის გამო თარაშ ემხვარს. აღიარებდა, რომ თარაშ ემხვარმა დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა ერთი წლის განმავლობაში „ჩეკაში“ ჯდომის დროს, როცა იგი ემიგრანტების დავალებით უცხოეთიდან მალულად ჩამოვიდა არალეგალური მისიით, მაგრამ ბოლშევიკებმა აპატიეს თარაშ ემხვარს ახალგაზრდული გატაცება. ერთი იმიტომ, რომ იგი ერთ-ერთი საუკეთესო და ტალანტიანი ვაჟკაცი იყო განათლებულ აფხაზთა შორის და აფხაზებს არც ისე ბევრი ჰყავთო ინტელიგენტები; გარდა ამისა, კარგად ეჭირაო თავი „ჩეკაში“ და ბოლშევიკებს ძლიერ უყვართო პირდაპირი, იდეური და უანგარო ვაჟკაცები, ამბობდა თამადა.

სწორედ ამის თქმა მოასწრო თამადამ და კეგვა გარგანჯიამ ხელი უშვა ინდაურის ფრთას ბაჟას საწებელში ამოვლებულს და ასეთი რეპლიკა მიაწოდა თამადას:

„და შენისთანა მელაძუები არც ბოლშევიკებს უყვართ და არც არაბოლშევიკებს“. შარდინ ალშიბაიამ ეს კარგად გაიგონა, მაგრამ, ვითომც არ გაუგონიაო, ისეთის რიხით აუწია ხმას და ერთი შეტევით გამოსცალა ჭინჭილა, რომელსაც ირმის რქები ჰქონდა და ირმის დრუნჩისებური სატუჩები

კაც ზვამბაია მეშვიდე ცას ეწეოდა სიხარულით, რომ მის გაზრდილს ასე ადიდებდა თვით „ამ დაბაში ყველაზე განათლებული შარდინ ალშიბაია“.

კეგვა გარგანჯიამ ინდაურის ფრთის ჭამა განაგრძო, მას მცირედი აღელვებაც არ დასტყობია, რადგან ისეთი დასკვნილი და უჯიათი სახე ჰქონდა, რომელიმე მოქანდაკეს რომ ძაღლების

უფალის — ალიშკინტრის ქანდაკების ჩამოსხმა დასჭირვებოდა, სწორედ კეგვა გარგანჯიას აირჩევდა მოდელად.

კაროლინა ნახუცარის მიერ ნათქვამმა დააინტერესა და, თამადა რომ არ გაერისხებინა, საიდუმლოდ ეკითხებოდა თარაშს: რა ლექსი სთქვაო ბერიკაცმა.

ეს ლექსი ქართული ხალხური პოეზიის შედევრიაო, უმტკიცებდა თარაში. სტროფობით უთარგმნიდა ლექსს. ეს ლექსი იმას მოწმობსო, ეუბნებოდა იგი კაროლინას, რომ არც საქართველოში და არც აფხაზეთში ნამდვილი ქრისტიანობა აროდეს ყოფილაო. განუმარტავდა: ჩვენში პირველ საუკუნოებიდან ქრისტიანული რელიგია ბატონობს, მაგრამ წარმართული მაინც მოერიაო. ეს „დედაბოზის“ შვილი, „თეთრჩოხიანი“, „ვარდებით ქუდშემკული ვაჟი“ არაფრით ჰგავსო დასავლეთის ქრისტიანობის ნამსჭვალებიან ქრისტეს, უფრო სინათლის ღმერთს აპოლონს მოგვაგონებსო. ამიტომაც ხუთმეტი საუკუნის მანძილზე საქართველოში ერთი მისტიურ-რელიგიური შინაარსის წიგნი არ დაწერილაო, თუმცა ჰაგიოგრაფიული ლიტერატურით საქართველო ფრიად მდიდარიაო.

„არსად ისეთი უტყუარი მემკვიდრეობა არ დარჩენია ძველ ბერძნებს, როგორც საქართველოში“, ეუბნებოდა თარაშ ემხვარ კაროლინას. ეს ცხვრების და ხარების დაკვლა ილორის, სუჯუნის, ლომისკარის, ალავერდის წმინდა გიორგისათვის იგივე ამბავია, რაც ჰომერის პოემაში გვაქვსო. აპოლონსაც ცხვრებსა და ციკნებს უკლავდნენო ძველი ბერძნები და მათი ღმერთებიც მწვადებს შეექცეოდნენო. სვანურ ლამარიობას, საქმისაჲს და ფალოსის კულტს გადასწვდა თარაში და ხევსურუთის წარმართული ხატებიც ახსენა.

და კიდევ უნდოდა თავის საყვარელ ძველ ბერძენთა გამო ესაუბრნა თარაშ ემხვარს კაროლინასთან, მაგრამ თამადამ მორიგი

სადღეგრძელო დაიწყო.

და ამავე დროს, თითქოს ხსენებაზე მოვიდაო, ლუკაიამ ბატკნის მწვადები ჩამოურიგა სტუმრებს და ახალი ტყემალიც ზედ მოაყოლა.

თარაშმა ამოისუნთქა, როგორც კი პირმოთნე თამადამ სადღეგრძელო მოათავა.

კაროლინა და თამარი ზუგდიდის მუზეუმის ექსპონატების გამო ლაპარაკობდნენ. ნაპოლეონის მარშალის მიურატის ჩამომავალს შეეხო თარაში, სამეგრელოს მთავრის სიძეს.

საოცარიაო, ამბობდა თარაში, დიდკაცის სახელს როგორ დააცხრებიანო პატარა კაცები. ვინ იფიქრებსო, რომ ზუგდიდში, მთელს მსოფლიოში ყველაზე უფრო მივარდნილ პროვინციაში, ნაპოლეონის მარშალის ნაქონი ავეჯი და ჭურჭელი ინახებაო.

„და ეს მიურატი, — განაგრძო თარაშმა, — საოცრად მოშინაურდა. მან დეგენერატი ფრანგი არისტოკრატისა და გადაგვარებული ქართველი აზნაურის თვისებები შეაერთა, არც ქართველი იყო, არც ფრანგი და ორივეს კი ჰგავდა. ნაპოლეონის მარშალისა და სამეგრელოს მთავრების მიერ მონახვეჭ სახელის კაპიტალს სციცქნიდა“.

პატარა კაცი იმ საოცარ ჩიტსა ჰგავსო, ამბობდა თარაშ, ნილოსის ნიანგებს ჭამის გათავების შემდეგ რომ პირში ჩაუძვრება და კბილებს უწმენდს, კბილებს და კბილებს შორის ჩარჩენილ ნამუსრევით რომ იკვებებაო.

თამადამ კაც ზვამბაიას სადღეგრძელო მიაწოდა სუფრას. რა თქმა უნდა, კაცსაც აქებდა, როგორც აფხაზური ცხენოსნობის დიდოსტატს, გამრჯელს, მშრომელ გლეხს. საერთოდ, გლეხებს დიდი ხოტბა შეასხა.

„ჩვენი მუშური რესპუბლიკის ბურჯებიაო“, ამტკიცებდა. სულ

დაავიწყდა, რომ ტარიელ შარვაშიძის სუფრაზე იყო და, საერთოდ ამგვარი სადღეგრძელო ჭკუაში არ დაუჯდებოდა მასპინძელს. და აქ ძველმა სემინარიელმა სამღვთო წერილის ცოდნა გამოიჩინა: „და აჰა ესერა არიან უკანასკნელნი, რომელნიც იყუნენ პირველ და არიან პირველნი, რომელნი იყუნენ უკანასკნელ“. აქ იგი აზნაურებსა და გლეხობას გულისხმობდა უთუოდ.

როცა კაც ზვამბაიას სადღეგრძელო გამოსცალა, მიუახლოვდა ბერიკაცს და თავაზიანად გამოჰკითხა: არზაყან სადილად ხომ არ მოვაო, და როცა გაიგო, რომ არზაყან არ მოვიდოდა, მწუხარება გამოსთქვა და არზაყანი უქო ხმადაბლა მამას. უთუოდ დიდ კარიერას გააკეთებსო, კომისარი თუ არა, ჩვენი დაბის რაიკომის მდივანი უთუოდ გახდებაო. რატომღაც ხელმეორედ გამოსთქვა მწუხარება, რომ არზაყან არ მოვიდოდა და მის სადღეგრძელოს ვერ დალევდნენ. გულში კი უხაროდა, რომ იგი არ მოვიდოდა, რადგან ეშინოდა, არზაყან აქ რომ მოსულიყო, ვინ იცის, ეგებ მეორე დღესვე მთელ რაიკომს გაეგო მისი კონტრრევოლუციური სადღეგრძელოების შინაარსი.

თამადის ენამრავლობისა და ენამზეობის მიუხედავად, სუფრაზე ისეთი მოწყენილობა სუფევდა, თითქოს ეს უკანასკნელი აზნაურები გრძნობდნენ კიდევაც, უკანასკნელად რომ უსხდნენ აღდგომის ნადიმს.

ამ სადღეგრძელოთი ტატაშ მარშანიას კიდევ ერთხელ აწყენინა თამადამ. ერთი რომ ცხენოსნობაზე თუ მიდგებოდა საქმე, ტატაშ მარშანიას კაც ზვამბაიაზე ნაკლებ ცხენოსნად არ მოჰქონდა თავი. მართალია, კაც ზვამბაია მასზე ხნიერი იყო, მაგრამ ჭაღარას რა ჭკუა აქვსო, ფიქრობდა ტატაშ მარშანია. ღმერთო მომკალი, ემხვარების ნაყმევ ზვამბაიების სადღეგრძელოს იქ ვინ ახსენებდა ძველად, სადაც მარშანიების სადღეგრძელო დაილეოდა. სხვა დრო რომ ყოფილიყო, ტატაშ მარშანია პრასივით

წააცლიდა თავს ამ ენაგატლეკილ მასწავლებელს, მაგრამ განაგონი ჰქონდა: ალშიბაია დიდი მოენეაო და დუმილი არჩია, რადგან ხანდახან მოენის იმასაც ეშინია, ვინც არავის არ ერიდება.

ამგვარად, შარდინ ალშიბაია ერთი და იმავე ნეშოთი ორ ბუზსა ჰკლავდა.

კაროლინას დაკვირვებულმა თვალმა შეამჩნია, რომ ბაბუა ტარიელ ძლიერ ნერვიულობდა, მიზეზსაც მალე მიაგნო. ერთბაშად ლუკაია სადღაც გაუჩინარდა.

„ამაზე უფრო საოცარი ურთიერთობა არ მინახავსო, — ეუბნება კაროლინა თარაშ ემხვარს გერმანულად, — ლუკაია ჩვენს ოჯახში ოდითგანვე შემორჩენილი ნაყმევის ბუშია. ბაბუა ტარიელ ერთ წუთსაც ვეღარ სძლებს უმისოდ. ფეხები ლუკაიამ უნდა დაბანოს, ზურგი და ფეხის გული ლუკაიამ უნდა მოფხანოს, თანაც უღმერთოდ სცემს, ხელი შეჩვეული მაქვსო, ასე იმართლებს თავს, რამდენი უსიამოვნება გვადგება ამ უბედური ლუკაიას გამო. მღვდელი რომ აფხაზეთიდან გამოაძევეს, ამაშიაც ლუკაიას უძევს წილი. დღე ერთია და ათი კომისია მოდის პროფკავშირებიდან ლუკაიას მდგომარეობის გამოსარკვევად.

თქვენ კარგად იცით, მათ არაფერი გამოეპარებათ. თავათ ლუკაია არა სჩივის. წინააღმდეგ ეჩხუბება კიდევაც კომუნისტებს — ჩემს საქმეში რას ერევითო. ახლა, ამგვარ პირობებში ვინ დაგანებებს მოსამსახურეს, ეს არც ლუკაიას ესმის და არც ბაბუა ტარიელს. ხერიპსი ფრიად უხერხულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი. მას ხელისუფლებისაც ერიდება და მერმე ჩვენც არ მოგვწონს ასეთი ბატონყმური ურთიერთობა, მაგრამ უმწეო ვართ“.

მართლაც, თარაშმაც შეამჩნია: მღვდელმა ჭამა მიატოვა, წარამარა ხელის ზურგს იფხანდა, თავის დაფანჩულ წარბებს უჟმურშეყრილსავით ღუშავდა, გაბუტულ ბაიყუშსავით იჯდა სუფრის თავში.

ბოლოს, როგორც იქნა, ისევ გამოჩნდა სახედაკაწრული, თმაგაჩეჩილი, ოფლში გაღვარული ლუკაია.

გამოირკვა: ანტირელიგიურ პროცესსიას დასხმოდა თავზე.

ეცემნათ კიდევაც, რადგან ყველანი დაელანძღა და წითელ დროშასაც წაეპოტინა თურმე, დახევას უპირებდა კიდევაც. ეს კი ვეღარ მოეთმინათ ახალგაზრდებს.

„რა ამბავია, ლუკაია?“ ღიმილით შეეკითხა თარაშ ემხვარ.

„დაიღუპა, ბატონო, ქვეყანა, ღმერთის წინააღმდეგ ააჯანყეს ხალხი“.

სჩიოდა ლუკაია.

„ახია მაგაზე, ჩემო ლუკაია, რატომ გააჩინა ასე უკუღმართად გაჭედილი ქვეყანა“.

ლუკაიას სიტყვა შეახმა ბაგეზე. თარაშისაგან არ მოელოდა ამის თქმას. თამადამაც მიაქცია ყურადღება, რომ ლუკაიას ნაამბობმა ძლიერ ააღელვა თანადამსწრე მოხუცები, განსაკუთრებით, ბაბუა ტარიელი. მაინც კარგ დროზე მოუსწრო სუფრას ლუკაიამ. თამადას ნელნელა ელეოდა სადღეგრძელოების რეპერტუარი. ომარ მაან და ტატაშ მარშანია ყოჩებსავით მიიწევდნენ ჯამებისაკენ. კაც ზვამბაიაც მაგრად იყო. შარდინ ალშიბაიას უკანასკნელ ხანებში მეტი პრაქტიკა ჰქონდა ისეთ ოჯახებში, სადაც რევოლიუციის გმირების სადღეგრძელოების დალევა იყო საჭირო. აქ იგი თუმცა სხვა სტილით მეტყველებდა, მაგრამ უთუოდ დიდ ნიჭს იჩენდა ქლესაობასა და მუცელზე ხოხვაში. მართალია, შარდინ ალშიბაიას არ აკლდა წმენდაზე, ადგილობრივ პრესაში და კედლის გაზეთებში ლანძღვა, მაგრამ იგი მაინც ისევე ვერ გადაჩვეულიყო გუნდრუკის კმევას, როგორც ლუკაია ნაბატონარის ფეხების ფხანას.

იმ ოჯახებში სათქმელი და სასმელიც მეტი იყო. წარსულის სახელოვან გმირებს რევოლიუციისას რომ მოილევდა, მერმე იმათ

დიდებას მოჰყვებოდა თამადა, ვინც უიმისოდაც დიდებულად ჰგრძნობდნენ თავის თავს, მაგრამ გამჭრიახი ალშიბაია საკუთარ ამბებს უფრო კარგად არკვევდა ამ სადღეგრძელოებში, ვიდრე სადიდებელი და ისედაც დიდებული პირების ღვაწლს.

ახლა, როცა სუფრის ატმოსფერო ფრიად შედედდა, განწყობილების გამოსაკეთებლად ლუკაიას სადღეგრძელო მოიშველია. ჯერ ლუკა მახარობელს წასწვდა, ძველ ქრისტიანთა ჯიქობა ახსენა (ბაბუა ტარიელსაც გადახედა ამის თქმისას), აქებდა მას, როგორც ამ ოჯახის „ერთგულსა ყმას“ და „აწ დაცემული ქრისტიანობის ქომაგს“.

ლუკაია ძლივს იდგა ფეხზე კაც ზვამბაიას გვერდით, სუფრის ბოლოში. ცალი ხელით სუფრის ძგიდეს მობღაუჭებოდა, ხოლო ცალით ჭუჭყიანი და გახუნებული ტილოს ხალათის სახელო მოეზიდნა და სისხლნარევ ოფლს იწმენდდა შუბლიდან.

თამადა ჯერაც ენამზეობდა, როცა ბაბუა ტარიელი ადგა, თავის ოთახში გაიყვანა იგი თამარმა და აქ „ღმერთის შეურაცხყოფით“ გაწბილებულმა მოხუცმა წურბლები დაისხა ბარძაყებზე, რადგან ნერვიულობის გამო ქავილი ავარდნოდა.

„იცით, ჰერრ, — წასჩურჩულა კაროლინამ თარაშ ემხვარს, — ხუთი წელია, რაც მე აფხაზების რძალი ვარ და ხუთას წელსაც რომ ვიცოცხლო, თქვენს ჩვეულებებს ვერასოდეს შევეგუები. არსად ამდენი სტუმრები არ იციან, როგორც თქვენში, არსად იმდენ დროს არ ანდომებენ ჭამას და ლაპარაკს. ალბათ უდიდესი ენერგია ლაპარაკსა და ჭამაში გეხარჯებათ, ყველაფერზე უფრო ის მაოცებს, თქვენ ყველანი სახით ტიპით, ჟესტიკულაციით, ხმით და ჩვევებით ერთმანეთს რომ ჰგავხართ ასე ზედმიწევნით. აიღეთ თუნდაც ამ სუფრის მეინახენი. მე ვიცი, ზვამბაია გლეხია, მაან და მარშანია ყოფილი აზნაურებია. თქვენ კი ყოფილი თავადი

და განათლებული კაცი, მაგრამ ყველანი ხელით ეხებით საჭმელს“.

„პატივცემულო ფრაუ, — ეუბნებოდა თარაშ, — ჩვენი სიძლიერე სწორედ ისაა, რომ თქვენ ჯერ კიდევ ერთგვარნი გეჩვენებით. მე ვამაყობ, რომ ჩვენი ხალხი დღესაც მისდევს იმ ჩვეულებებს, რომელნიც თავიანთ მემუარებში შეტანილი აქვთ ძველ ბერძენ და რომაელ ისტორიკოსებსა და მოგზაურებს. გახსოვდეთ: ვინც გამოცვლილა, იგი გადაგვარებულა კიდევაც“.

თამადამ თამარის სადღეგრძელო წარმოსთქვა დაგვიანებით, რადგან, როცა, წესისამებრ, თამარის ჯერი იყო, თავათ თამარი სამზარეულოში ეხმარებოდა ლუკაიასა და მოსამსახურე გოგოს. შარდინ ალშიბაიამ თამარ მეფე მოიხსენია და ისეთი რამეები მოროშა, რაც ათასგზის გვსმენია თამარის გამო, თამარ შარვაშიძის ასულს ურჩია, თამარ ბაგრატიონისათვის მიებაძნა (არ ვიცი, რატომ ახსენა თამარ მეფის გვარი, ალბათ შეეცოდა, რაკი მაინცდამაინც არავინ ახსენებს ჩვენს დროში ბაგრატიონებს). თამარ მეფის შემდეგ ჯახანა მოიგონა და მარიამ დედოფალს შეადარა, როსტომ მეფის ცოლს (მე მგონია, აქ საქართველოს ისტორიის ცოდნის გამოჩენა უნდოდა).

თამარ ოდნავ მოდრეკილი მისჯდომოდა სუფრას, მის მზეგავსილ სახეს მოწყენისა და დაქანცულობის მსუბუქი ჩრდილი მოჰფენოდა, კაც ზვამბაიას ესაუბრებოდა ცალყბად, ზრდილობისათვის, არსებითად კი თავის რძლის კაროლინას და თარაშ ემხვარის საუბარს უგდებდა ყურს, გუვერნანტისაგან ნასწავლ გერმანულს იშველიებდა.

ხერიპსი ლუკაიას ხელმძღვანელობდა და, როგორც ყოველთვის, სდუმდა. პაპიროსს სწევდა დაუცხრომლად და ანტრაქტებში ნაზად სჭამდა. ხან ღვინოს და ხანაც საჭმელს სთავაზობდა სტუმრებს.

„ჰერრ ემხვარ, — ეუბნებოდა კაროლინა თარაშს, — თამარმა გამაცნო თქვენი ძიძაშვილი. მე მისი სახელის გამოთქმა მეძნელება“...

„არზაყან“, მიაშველა თარაშ ემხვარმა.

„ჰო, არზაყან. მე ძალიან შორსა ვარ კომუნისტური ამბებისაგან, მაგრამ იმ ყმაწვილს ძალიან ნათელი აზროვნება აქვს. მიკვირს, რომ მას თქვენზე უფრო პროგრესსული აზრები აქვს. არზაკან, — ამბობდა კაროლინა, — მე მეთანხმება, რომ აფხაზებმა თავიანთი ჩვეულებები უნდა უკუაგდონ და სხვა ხალხების დარად პროგრესსის გზას დაადგნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში დაიღუპებიან“.

თარაშ ემხვარმა გაიღიმა. გაჩუმდა. ღვინო მოსვა. შემდეგ ჯიქურად შეხედა კაროლინას მზისაგან დამწვარ მკერდს და ხვავიან ძუძუებს.

„კეთილო ფრაუ, თქვენ, ევროპელები, ეგოისტები ხართ, ჩვენგან მოითხოვთ გარდავიქმნეთ, ე.ი. ჩვენ არ ვიქნეთ ისეთი, როგორიც ვყოფილვართ, ან ვართ, ე.ი. თქვენ დაგემსგავსოთ. და თქვენ ეს მოგდით, კეთილო ფრაუ, არა ჩვენის სიყვარულით, არამედ იმისათვის, რომ თქვენთვის უფრო ხელმარჯვე იქნება, რომ ყველანი თქვენა გგავდეთ. თქვენ ბევრნი ხართ, ჩვენ ცოტა, თქვენ გინდათ იმავე უფლებით ჩაგვყლაპოთ, როგორითაც ცვარს ყლაპავს ზღვა და ლიფსიტას ვეშაპი. მაშინ თქვენ აღარ დაგჭირდებათ ჩვენი ენების შესწავლა, ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული სახელების დამახსოვრება, ჩვენი თავისებური სახელისა და გვარის გამოთქმა, თქვენ ის გირჩევნიათ, ჩვენ ყველას არზაყანის, კეგვას, თარაშის ნაცვლად, ჯონი, ჟანი ან ჰანს გვერქვას.

თქვენ ის გირჩევნიათ, ჩვენ ჩვენი ენა დაგვავიწყდეს, თქვენ ენებზე გადავიდეთ, თქვენთვის უთუოდ აჯობებდა, თქვენს ქარ-

ხნებში გაკეთებული საქონელი მოერგოს ჩვენს ტანს, თქვენს ავ-ტომობილებს შევეჩვიოთ. თქვენი მანქანები ვიყიდოთ, თქვენი წიგნები და გაზეთები ვიკითხოთ და ჩვენზე ხელი ავიღოთ, თქვენი ღმერთები ვიწამოთ, ჩვენსას მივაფურთხოთ. თქვენი ლოცვები ვთქვათ და თქვენმა გემებმა ჩვენს ზღვებში თავისუფლად ითარე-შონ და თუ ჩვენ მათზე თავდასხმას გავბედავთ, მაშინ უთუოდ მე-კობრეებს დაგვიძახებთ, როგორც ძველი ბერძნები. რაც შეეხება ჩანგალს, მე მანამდის ხელით ვსჭამ, ვიდრე ჩვენსავე ქარხნებში გაკეთებულ ჩანგლებს არ მომიტანენ.

ჩანგლის ხმარებაში, კეთილო ფრაუ, არც ისე დიდი ფილოსო-ფიაა. ჩვენ ძველ კოლხიდაშიაც გვცოდნია ფიწლის ხმარება, ვინც ამას მიხვდა: ხელით მობოჭვას თივისას, ფიწლით აღება რომ სჯობია, საჭირო რომ ყოფილიყო, უთუოდ იმასაც მიხვდებოდა, ხელით ჭამას ჩანგლით ჭამა რომ სჯობია.

მე გიამბობთ, კეთილო ფრაუ, ერთ ამბავს, ოღონდ ანალოგიი-სათვის არ გამიჯავრდეთ. თუმცა ეს გამონაგონი არ გახლავთ, მე შემემთხვა იგი ნადირობის დროს: ერთხელ, შემოდგომის საღა-მოს კვერნებზე ნადირობისაგან დაქანცული აღმართზე ავდიოდი დალის ფრიალო კლდეებზე. გავიხედე: დათვი გაწოლილიყო ზედ შარის პირად. წინა თათები წინ გაეშვირა და რაღაცას იღეჭებო-და.

ცნობილია: აღმართში დათვს უნდა უფრთხილდე, მით უმეტეს, საკვერნე ვაზნებიღა მებადა. ავძვერი ხეზე და შევსცქერი დათუ-ნიას ოინებს: წვალობდა დათვი, მიიტანდა თუ არა დრუნჩს თი-თებში მომწყვდეულ წაბლთან, უჩხვლეტდნენ ბუძგები შიშველ ცხვირ-პირში. გამწარებული ბურდღუნებდა, იღრინებოდა, ალ-ბათ თავის გუნებაში სწყევლიდა კიდევაც წაბლის გამჩენს, რო-მელმაც წაბლი ისეთივე შიშველი, გლუ არ გააჩინა, როგორიცაა, თუ გნებავთ, კიტრი“.

კაროლინამ ორაზროვნად გაიღიმა, რადგან თარაშის ნათხრობი გაიგო, მაგრამ თარაშის მოწითალო, პატარა ყურებს შეხედა და ასე გაიფიქრა მხოლოდ: ამ აფხაზს რა ლამაზი ყურები ჰქონიაო. ამის შემდეგ თარაშის ოდნავ მოღუნულ ცხვირს შეავლო თვალი, მსხვილსა და ფართო თვალებს და პატარა ორმოებს, ორივე ლოყაზე რომ დაეტყობოდა ხოლმე თარაშ ემხვარს, როცა იგი იცინოდა. თამარმა ქურდული მზერით დაიჭირა კაროლინას ვნებიანი გახედვა, ოდნავ აიმღვრა და იგიც ისევე გაწითლდა, როგორც კაროლინა, რომელსაც ორიოდე ჭიქა ღვინო ღაწვებზე დასტყობოდა.

თამადას ჯერაც არ მოეთავებინა ლუკაიას სადღეგრძელო, თუმცა ლუკაია ლაბახუა ყველაზე ხნიერი იყო, მაგრამ ტარიელის ოჯახში ყველაზე გვიან ლუკაიას სადღეგრძელოს სვამდნენ. კეგვა გარგანჯიას ეძინებოდა, იგი სავსებით გაწითლებული, გამძღარი და გამობრუჟებული სთვლემდა. კაც ზვამბაიასაც ძალიან დაქანცული სახე ჰქონდა, იგი ძლივს იკავებდა თავს, თამარი ბაბუა ტარიელის ადგილზე დამჯდარიყო და სდუმდა აღჭურვილი იმ საოცარი მოთმინებითა, რომელსაც იჩენენ ხოლმე ჩვენი ქალები, როცა ნადიმი გაგრძელდება და თამადაც გრძელმეტყველებას მოჰყვება გაუთავებელს.

ხურიპსი საწოლ ოთახში გაპარულიყო. ტატაშ მარშანია, ომარ მაან და კაც ზვამბაია ვაჟკაცურად მისდევდნენ კვალდაკვალ სმას. ტატაშს თავისი მწყერისფერი, დაცრეცილი ჩოხის სახელოები იდაყვს ზემოთ აეკეცნა; უკვე აღარ ერიდებოდა მთლად გაცვეთილი სატინის ახალოხის გამოჩენისა, ომარ მაანს ახალოხზე სამი ღილი გაწყვეტოდა.

და როგორც ის მწერალი, რომელსაც სათქმელი ცოტა აქვს საერთოდ, მაგრამ რაკი ცოტას თქმისთვის დიდ ჰონორარს არავინ იძლევა (და ადამიანები გრძლად ნათქვამ სისულელეს უფრო

იოლად იგებენ, ვიდრე სხარტად ნათქვამ სიბრძნეს, ხოლო სიტ-ყვებსაც შეშასავით ალაბით ზომავენ), მოჰყვება ხოლმე გაუთავე-ბელ ალილუიას, ასევე ჩვენი თამადა ლაპარაკობდა, ხან სამზეოს მოეკიდებოდა და ხან სახმელოს მოედებოდა.

არ იქნა და თავი ვერ მოაბა შარდინ ალშიბაიამ ლუკაიას სად-ღეგრძელოს. ხან ძველ ანდაზებს მოიტანდა, ხან გაცვეთილ იგა-ვებს, ხანაც აპოკალიპსის ციტატებსაც იშველიებდა.

„და სეტყვა იგი, ვითარც ტალანტი მოვიდა ზეცით კაცთა ზედა: და ჰგმეს კაცთა ღმერთი წყლულებისა მისგან სეტყვისა: რამეთუ დიდ იყო წყლულება იგი ფრიად“.

აქ აპოკალიპსური ვეშაპი მოიხსენია და დაიწყო ცნობილი ად-გილი: „და მიეცა მას ხელმწიფება ყოფად ბრძოლისა ორმეოც და ორთუე: და აღაღო პირი თვისი გმობად ღუთისა მიმართ და გმო-ბად სახელისა მისისა და საკუდრებლისა მისისა და მიეცა მას ბრძოლისა ყოფად წმინდათა მიმართ და ხელმწიფება ყოველსა ზედა ტომსა: და ერსა: და ენასა: და წარმართთასა: და თაყუანი სცეს მას: ყოველთა მკუიდრთა ქუეყანისათა, რომელთა სახელე-ბი არ დაწერილ არს“.

უცებ ბიბლიური ხრმალი იქცევისი მოიგონა და ძილისშორისი ნაბუქოდონოსორ ბაბილონის მეფისა ახსენა.

ენა ერეოდა შარდინ ალშიბაიას, ბორძიკობდა და განსწავლუ-ლობის თვისის გამოსაჩენად ბნელმეტყველებდა ფრიად.

მრავალგზის დაიწყო ეს ადგილი:

„...და იძილისშორისა ნაბუქოდონოსორმან ძილისშორისი და განკრთა სული მისი და ძილი მისი განიქმნა მისგან და ბრძანა მა-შინ მეფემან ხმობა მსახურალთა მოგვთა, მეწამლეთა, დაფა-რულთა მიმთხრობთა და ქალდეველთა მითხრობად მისდა ძი-ლისშორისისა მისისა. და მოვიდეს და დადგეს წინაშე მეფისა და

ჰრქვა ნაბუქოდონოსორმან ძილისშორისი მისი“. ზოგი რამ შეეშალა, ზოგიც ზეპირად ვერ მოიგონა, რამდენჯერმე ენა წაატეხა კინაღამ ნაბუქოდონოსორის გრძელ სახელს, მაგრამ მაინც ებრძოდა ცალკერძ ღვინოს, ცალკერძ ნაბუქოდონოსორის სახელს და ყველაზე მეტის გააფთრებით — ტატაშ მარშანიას, ომარ მაანს და კაც ზვამბაიას. ბოლოს მაინც ვეღარ განმარტა, თუ რა იძილისშორისა ბაბილონის მეფემ, ან როგორ ახსენეს ეს მოგვთა, მეწამლეთა და დაფარულის მიმთხრობთა.

რაც უმთავრესია: თამადას დაავიწყდა დამსწრეთათვის განემარტა, რომ ძილისშორისი სიზმარსა ჰქვია ძველქართულად.

ხოლო, რადგანაც ნაბუქოდონოსორის სიზმარი და მისი ახსნა ნათხრობის ჩემის გასაგებად უთუოდ საჭიროა, როგორც თავათ დარწმუნდება შემდეგ მკითხველი, აქ გადავწყვიტე, ამ საქმეში თვითონ ჩავრეულიყავ, ამ ენამრავალ და ენაარეულ თამადისათვის სიტყვა ჩამომერთმია, რადგანაც მხოლოდ მოკლედ თქმაში გამოჩნდება ოსტატი. მით უმეტეს, რომ ამის წამკითხველსაც არ უსწავლია ალბათ საღვთო წერილი და არცთუ ძალით ალოცვებდნენ მას, როგორც ამ წიგნის ავტორს — კონსტანტინე გამსახურდიას.

და ეს ჩავიდინე მე სავსებით შეგნებულად, მიუხედავად იმისა, როგორც დარბაისელი და მიუდგომელი მკითხველი თავათაც დაინახავს, ავტორი სავსებით მიუკერძოებლად, გულდინჯად და გულწრფელად ჰხატავს იმ მარად ძველსა და მარად ახალ ბრძოლას მამასა და შვილს შორის, ქალსა და ვაჟს შორის, დასასრულ, სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის ატეხილს.

ჩვენ აქ გვინდა ისევ ჩვენს სათხრობს დავუბრუნდეთ და მოკლედ მოსჭრათ გრძელი სიზმარი, რადგან მხოლოდ მოკლედ თქმაში გამოჩნდება ოსტატი.

უკეთუ სიზმარი ესე არ აგიხსნიათ ჩემთვის, დილეგსა შიგან ჩაგაგდებთ, სახლსა თქვენსა იავარვყოფო, ემუქრებოდა ნაბუქოდონოსორ მეწამლეთა, მოგვთა დაფარულთა მიმთხრობთა და ქალდეველთა, ხოლო თუ გამოიცანით, პატივი და ნიჭი მრავალი მოგეგებათო.“

„არა არს კაცნი ხმელსა ზედა, რომელთაც შეეძლოსთ ძილისშორისი ესე ახსნანო“.

უპასუხეს მას.

მაშინ წარუდგა მეფეს ტყვე ჰურია დანიელ და აუწყა: მე ავხსნიო სიზმარსა შენსა. ვინაიდან დანიელ ღრმათა განმცხადებელი იყო და ბნელსა შიგან დაფარულისა გულმეცნიერი.

„შენ იხილე, მეუფეო, ამბობდა დანიელ, ხატი რამ დიდი. და ხატი იგი პირსა შენსა წინაშე იყო საშინელ. თავი მისი ოქროისა იყო, მკლავნი მისნი — ვეცხლისა, მუცელი და თეძო — რვალისა, ბარკალნი — რკინისანი და ფერხნი — კეცისანი. და ნახე შემდეგ, ვით გამოიკვეთა მთისაგან ლოდი ფრიადი, ეძგერა ფერხთა კეცისათა და დაფშვნა ერთბაშად კეცი, რკინა, რვალი, ვეცხლი და ოქროი ვითარცა მტვერი კალოსა ზედან ზაფხულისასა.

ხოლო ლოდი იგი, რომელიც ეკვეთა ხატსა მას, დადგა მთად და აღავსო ქვეყანა ყოველი.

მეუფეო, მეფეთა ყოველთაო, განაგრძო დანიელმა, ეს შენა ხარო, თავი იგი ოქროისა, ხოლო კერპი, სამეფო შენი, რომელი არს უფროს ყოველსა ქვეყანასა ზედა“.

შემდგომად ამისა, მეფე ნაბუქოდონოსორმა ქმნა ხატი ოქროსა და აღმართა ველსა ზედან ბაბილონისასა. შეკრიბა სატრაპნი წინამძღვარნი, ადგილის მთავარნი და ხელმწიფეთა ზედანი და უბრძანა ყოველთა ერთა, ტომთა და ნათესავთა თაყვანი ეცათ ამ ხატისათვის. და ვინც ქედს არ მოიდრეკდა ამ ოქროს ხატის წინაშე, მგზნებარე ცეცხლში ჩაეგდოთ იგი.

და კვლავ იხილა ნაბუქოდონოსორ მეფემან სიზმარი ახალი.

ხე იდგა ქვეყანისა შორის და სიმაღლე მისი მრავალ, განდიდდა ხე და განძლიერდა და სიმაღლე მისი მისწვდა ვიდრე ცამდე და სივრცე მისი კიდეთა ყოვლისა ქვეყნისათანა მოედო. ფურცელნი მისნი მშვენიერ, ნაყოფი მისი მრავალ. და აჰა, ჰხედავს ნაბუქოდონოსორ, ვით გადმოვიდა ირისე ზეციდან და ხმა ესმა დიდი ფრიად. მოჰკვეთეთ ხე იგი და მოჰკაფენით რტონი მისნი, ჩამობერტყენით ფურცელნი მისნი, განაბნიეთ ნაყოფი მისნი და მხოლოდ მორჩი მიუშვით მიწასთან. ხოლო იგი ვიდოდეს მარადის რვალის ჯაჭვებით შებოჭვილი, მწვანილისა შორის გარისა და ცვარისა შორის სადგურობდეს ველსა ზედან და გული მხეცისა მიეცეს მას და შვიდნი ჟამნი იცვალეს მის ზედან.

გამოიწვია მაშინ ნაბუქოდონოსორმან: მოგვნი, მისანნი და ფარულისა მომთხრობნი, მაგრამ არა უწყოდეს მათ.

და კვლავ იხმო მეფემან დანიელ და აუწყა სიზმარი იგი.

„ხე იგი, მეუფეო, რომელი იხილე განდიდებულ, ფურცელნი მისნი კეთილმცნენი, ნაყოფი მისნი მრავალ, ეს შენა ხარ. და შენ გაგდევნიან კაცნი და მხეცთა თანა ველურთა იქნება სამკვიდრებელნი შენი და ველსა ზედან იბალახებ ზროხისა დარად. და აცლიან მორჩსა ხისასა“.

უპასუხა დანიელ.

საბედისწერო გახდა შარდინ ალშიბაიასათვის ნაბუქოდონოსორის სიზმრის თხრობა. არც არავინ იცის, თუ რად მოაგონდა მას ეს სიზმარი, ან ლუკაიას სადღეგრძელოს რად დაუკავშირა იგი.

ვერც ომარ მაანმა, ვერც ტატაშ მარშანიამ, ვეღარც კაც ზვამბაიამ ეს ვერ გაიგეს (კეგვა გარგანჯიას ხელები სუფრაზე დაეწყო და ზედ ეძინა მაგარი ძილით). ლუკაიამ მცირე ხანს ყური უგდო შარდინ ალშიბაიას ბოდვას და ვეღარც მან გაართვა თავი, თუმცა

ლუკაია მედავითნედ ჰყავდა ერთ ხანს ტარიელ შარვაშიძეს და ძველი ქართული ასე თუ ისე გაეგებოდა, მაგრამ, როცა დაინახა ნაბუქოდონოსორის სიზმრის თხრობა თვით სიზმარზე მეტად გაა-გრძელა თამადამ, შეეშინდა, ჭანურ კარდალში ჩარჩენილი ღომი შავმა ძაღლმა არ ამომიჭამოს და მშიერი არ დავრჩეო, ამიტომაც სამზარეულოს მიაშურა. ასე რომ, ლუკაიას სადღეგრძელოს გათავებისას თამადა უკვე ამ სოფელს აღარ იყო. გახარებულმა ტატაშ მარშანიამ და ომარ მაანმა აივანზე გაუყვანეს შავ ძაღლს შარდინ ალშიბაია, ასე რომ, თამადას არც კი დაულევია ჰასტოუ — აფხაზური საყოვლადწმინდო.

* * *

„როგორის ზედმიწევნით აუხდა მართლმადიდებელ ქრისტიანობას ნაბუქოდონოსორის სიზმარი, — ეუბნებოდა თარაშ ემხვარ კაროლინას თამარის ოთახში, მის გვერდით მჯდარს.

იგი წაიქცა, როგორც თიხისფეხიანი კერპი ნაბუქოდონოსორის მიერ აგებული და ეს რელიგია მოსთხარა რევოლიუციის გრიგალმა, როგორც ის ხე, რომელმაც ქვეყანა დაიპყრო და ახლა ისინი, ვინც ამ კერპის კვარცხლბეკთან დაჩოქებას მოითხოვდნენ, ისევე ჯაჭვებითაა შეკოჭილი, როგორც ოდესღაც ისინი, ვინც მათ მეუფებას ეურჩებოდა:

Alles ist Flut und Ebbe, gnadige Frau.[2]

დაასკვნა თარაშ ემხვარმა.

[2] ყოველივე ეს ზღვის მიქცევის და მოქცევის ამბავს ჰგავს, მოწყალეო ქალბატონო.

ლუკაიას გაცხენება

ლუკაიამ იმავე საღამოს თერდობის ლოცვა გამართა. გააკეთებინა პურის ცომისაგან პაწია ქანდაკებანი: ცხენისა, უნაგირისა, სადავისა, მოსართავისა და მათრახისა. ეს ყოველივე ხონჩაზე დაელაგებინა. შემდეგ ღვინო გადაასხა, ხონჩა კერის აღმოსავლეთით დადგა, ძგიდეებზე თაფლის სანთლები მიამაგრა და აანთო, ჩაბალახით პირი შეუბურა, ხელები წაიკარწახა, დაოთხდა, რამდენჯერმე ჭიხვინითა და ხვიხვინით გარს შემოუარა ხონჩას, პირით იღებდა ცხენის მოდელს, კარისაკენ მიდიოდა და წიხლებს უშენდა კარს და ნაბუქოდონოსორ მეფესავით ოთხზე შემდგარი ტლინკებს ისროდა და ხონჩიდან ღვინოს სვამდა. ბაბუა ტარიელ თავის ოთახიდან არც გამოსულა, თუმცა იგი ყოველ თერდობას ესწრებოდა უკანასკნელ წლებში. აფხაზებს თვალები უბრწყინავდათ, თამარი იცინოდა, თარაშ ემხვარ დაფიქრებული შეჰყურებდა და გონების თვალით ეძებდა, თუ სადმე აქვთ ნახსე-

ნები ასეთი რამ ჰომერს, ლუკანს, პლატონს ან რომაელ ისტორიკოსებს იმ ნაწერებში, სადაც ისინი ძველი კოლხიდის ან იბერიის ჩვეულებებს ეხებიან.

კაროლინას არაერთხელ ენახა ეს საოცარი გაცხენება ლუკაიასი, მაგრამ მას ყველაზე მეტად ის უკვირდა, განსწავლული აფხაზი ენათმეცნიერი ასეთის დიდი ყურადღებით რომ შესცქეროდა ამ ბნელი საუკუნოებიდან გადმოცდენილ გაუგონარ მისტერიას ადამიანის გაცხენებისას.

ფოლადისფერი ქორი

თამარ პიანინოს უკრავდა. ჟამგამოშვებით სებასტიან ბახის მენუეტს სინჯავდა, ხან ზანტად ფურცლავდა ნოტებს, ხანაც ხრახნილიან სკამს მოაბრუნებდა და თარაშის შესიტყვებას გაეხმაურებოდა. პიანინოზე ძველჩინურ ვაზაში მაგნოლიას ყვავილები ეწყო. თუმცა ფანჯარა ღია იყო, მაგრამ, მაგნოლიების გამაბრუებელი სუნი იდგა, ხოლო თამარის ტუალეტის მაგიდის სიახლოვეს ვარდის ესენციის სურნელი.

პატარა თათიას გადმოეგდო ესენციის ფლაკონი და მაგიდაზე დაღვრილიყო ვარდის ესენცია.

თარაშ ემხვარი ზამბარმოშვებულ ტყავის სავარძელში იჯდა და ბერლინურ საილლლუსტრაციო ჟურნალს სინჯავდა. აჩვენებდა თამარს სპორტის სურათებს, ტენისის მოედნის, დერბის სანახებს, ახალი მოდის კაბების ფოტოგრაფიებს. როგორც კი რომელიმე მათგანი თარაშს მოეწონებოდა, თამარი დგებოდა, სავარ-

ძლის ძგიდეზე ჩამოჯდებოდა, ცალ ხელს სავარძლის ზურგზე აყრდნობდა და ორივენი ათვალიერებდნენ. და თამარი ვერასოდეს გაძღებოდა ამ მოდური ჟურნალების თვალიერებით. მას ისე ახარებდა კოსტიუმების, ბალლების, რომელიმე მოდისტი სალონის დამის ახალი და ახალი მორთულობანი, თითქოს ეს ტანისამოსები შესძენოდა თავათაც. ხშირად ესიზმრებოდა კიდევაც, თითქოს ესა თუ ის პარიზული, ბერლინური, ან შვედური ახალი რამ მოდის კაბა თავათაც ეცვა და ფოქსტროტს ცეკვავდა ვითომდაც.

თამარს ფრიად უყვარდა უცხოური კინოს დედოფლების, პრემირებული ლამაზმანების და პრიმა-ბალერინების სურათები და ისიც, როცა თავის თავგადასავალს და დასავლეთის ცხოვრების უმცირესს დეტალებს უამბობდა ხოლმე თარაშ ემხვარი.

თარაშს, აღმოსავლური ჩვეულებისამებრ, ფრთიანი სიტყვით თხრობა ემარჯვებოდა, მაგნოლიების ვაზას წასწვდა, ერთი კოკორგახსნილი გადმოიღო, სული შეუბერა, ფრთხილად, სულ ფრთხილად გაუშალა პირი მაგნოლიას ყვავილს და თამარს ეუბნება:

„ამ ყვავილს ხომ ხედავ, შორიდან რომ უყურებ, იგი ერთი ჰგონია კაცს, ახლოს ნახავ, გარეფურცელს შემოხსნი, შიგნით კიდევ ფურცელი რჩება, იმას რომ შემოხსნი — კიდევ ფურცელი, შემოხსნი და კიდევ ფურცელი, კიდევ და კიდევ და აგრე, სანამ ყვავილის თასში დაგროვილ თესლამდის არ მიაღწევ“.

ასეაო ადამიანიც, ამბობდა თარაში. ადამიანი ყოველ წუთში იცვლებაო; იგი უწყვეტელ მეტამორფოზას არქმევდა ამ მარადჟამულ სახეცვლას ადამიანის სულისა და სხეულისას.

გვარის რომანტიკა ქალს არ ესმის, ან რად უნდა ჰყვარებოდა თამარს თავისი გვარი, ან ვის უნდა ახალ დროში დიდგვაროვნება? დიდი გვარი დიდი ჯვარიაო ჩვენს დროში.

შარვაშიძეებს ხმლითა და მათრახით სახელი მოუხვეჭიათო.

მერმე რა?

თარაში უამბობდა ლეონ აფხაზთა და ქართველთა მეფის ამბავს, თამარ მეფის ერისთავის და დათო შარვაშიძის თავგადასავალს. რომელიღაც აფხაზ რაინდებს ასახელებდა კიდევ, სიმონ მეფის ხელქვეითებს, სააკაძის თანამოლაშქრეებს.

თარაშ ემხვარსაც ხომ ტვირთად აწვა თავისი გვარის მემკვიდრეობა. რევოლიუციამდის ასეთი გვარის პატრონი ყოველგვარ კარიერას იოლად გაიკეთებდა, სახელსაც უფრო ადვილად მოიხვეჭდა.

რადგან სახელი ისეთი რამეაო, აქ ხრმლით მონახვეჭი, კალმით შენაქმნი და ფულით მონაპოვარი ყოველივე ურთიერთს ემატებაო.

„რევოლუციის დროს რა უნდა ჰქმნას დიდგვაროვანმა ახალგაზრდამ?“ ამბობდა თარაშ ემხვარ.

არასოდეს ისე სასტიკად არ განუკითხავთო ადამიანი წინაპართა ცოდვების გამო, როგორც რევოლიუციების დროს. რადგან ყოველ დიდ რევოლიუციას ასე სჩვევიაო, სისხლს უხვად ხარჯავსო, მაგრამ ყოველ კაცს უხვადვე აზღვევინებსო სისხლისთვის და წარსულისათვის.

სისხლი სისხლის წილო... გაისმისო ჯერაც მთელ ქვეყანაზე ახალი გრგვინვა ახალი დროისა. და სისხლი წყლის წვეთსა ჰგავსო.

სისხლი წყლის წვეთს ჰგავსო, წვეთს გამოუშვებ და ზღვა გამოჰყვებაო.

თამარი ჯერაც უასაკო ქალი იყო, თარაშ ემხვარ უცხოეთში ჩარჩა, ამიტომაც ორივენი იოლად გადაურჩნენ განკითხვის გრიგალს.

ძველად ემხვარი შარვაშიძესავით ცნობილი გვარი არა ყოფი-

ლა, მაგრამ უკანასკნელ საუკუნოებში ემხვარი შარვაშიძეს გაუტოლდა და მთავრის ტახტს წაეპოტინა. სამაგიეროდ, ორი უკანასკნელი საუკუნის მანძილზე ორჯერ ამოუწყვეტია შარვაშიძეს ოქუმელი ემხვარების ერთი შტო, უფროსი ძმა ხონთქართან გაქცეულა, ხოლო უმცროსი, მძიმედ დაჭრილი, სამცხე-საათაბაგოში გაუხიზნავთ. თარაშის წინაპარი სამურზაყანოში ეცილებოდა შარვაშიძეს. შარვაშიძეს მაინც ვეღარ ერეოდა ემხვარი, ხან დადიანს მოიშველიებდა, ხან იმერეთის მეფეს, საერთოდ, ფრიად ოსტატურად სარგებლობდა საქართველოს ფეოდალების უგუნურ კინკლაობით. თურმე თამარსაც განაგონი ჰქონია, რომ თამარისა და თარაშის ოჯახებს რამდენიმე თაობის მანძილზე აშორებდა უსაზმნოდ დაღვრილი სისხლის კოშმარი.

სავსებით უბრალო, ბალღურმა მიზეზმაც იკმარა ორი სამკვიდროდ გადაკიდებული გვარის დასატაკებლად. თამარის პაპა — მანუჩარ შარვაშიძე მიმინოებისათვის ბავლის გაგდებას ზეიმობდა. ნადიმი ჯირითით და სისხლის ღვრით დასრულდა. ჯირითში მონაწილეობა მიუღია თარაშის ბაბუას — ასთამურს. მკერდულში მანუჩარ შარვაშიძეს უჯობნია, ხოლო როცა ცხენები სხაპის თამაშზე მიაგდეს, აქ ასთამურმა აიღო პირველობა. გაცეცხლებულმა მანუჩარმა მოულოდნელად მკერდულით მიუშვა თავისი ცხენი ასთამურის ცხენზე. ასთამურმა მკვახე სიტყვა აკადრა მასპინძელს, მაშინ ხმალი იძრო მანუჩარმა და სამყურასავით წაწყვიტა ასთამურს თავი.

* * *

იმ საღამოსვე ოქუმის სასახლეში მიუტანეს ძიძაშვილებმა ეს ამბავი ასთამურის მეუღლეს — ჯარამხანს. ჯარამხან მთელს აფხაზეთში განთქმული მოჯირითე, მსროლელი და მონადირე იყო.

გადაიცვა თურმე ხარის სისხლისფერი ჩოხა თავისი ქმრისა, ჩაბალახით თავი გაიკრა აფხაზურად, წელში დამბაჩა გაირჭო, შვიდწლიანი ვაჟი თვისი ჯამსუღი ტახტზე შემოისვა და შეღამებულზე მანუჩარის ვრცელ ეზოში შეაჯირითა ცხენი. სტუმრები დაშლილიყვნენ. დაქანცული მეითარები და ძიძაშვილები ნასუფრალს მოსხდომოდნენ საშინაყმოში. დაცარიელებულ სასახლეში ქონის ჭაღები ხრჩოლავდნენ. თავათ მანუჩარ ახალოხისამარა აივანზე წამოწოლილიყო მხართეძოზე. ირანულ ნარგილეს შეექცეოდა. ის იყო, ბიჭებს გადასძახა მანუჩარმა, ნარგილეს წყალი გამოუცვალეთო და ამ წუთში ბალღი ჯამსუღი გავიდა აივანზე და დაზვერა იგი. ჯამსუღი შინაური ეგონა მანუჩარს: „წყალიო“. ჯამსუღი ხმის ამოუღებლად გამობრუნდა დედასთან.

კიდევ დაიძახა მანუჩარმა „წყალიო“ და ხარის სისხლისფერ ჩოხაში მორთული ლანდი დაადგა თავზე. მანუჩარ ცრუმორწმუნე იყო, ბევრი რამ გაეგონა მიცვალებულთა სულების მობრუნებისათვის. ჩოხა ეცნაურა, ასთამური ეგონა, შიშისაგან ათრთოლდა, მაგრამ მაინც წამოიწია და ამ დროს დამბაჩა მიახალა ჯარამხანმა პირში. ცივად გამობრუნდა ჯარამხან, ჯამსუღს ხელი წამოუსვა და, ვიდრე მეითარები და ძიძაშვილები გონს მოვიდოდნენ, ჯარამხან გაუჩინარდა.

მერმე მაჰაჯირებთან ოსმალეთში გადაიყვანა ჯარამხანმა ჯამსუღი. ოქუმელი ემხვარების გვარი ჯამსუღის უფროს ძმაზე — ერამხუტზე შეჩერდა. ერამხუტი ჩუმი მელანქოლიით იყო სნეული, შეშლილიაო, ამბობდნენ, ამიტომაც ხელი არ ახლეს შარვაშიძეებმა.

ზეზეურად ჩამოდნა დამარტოებული ერამხუტ. არც ცოლი შეურთავს, არც კორპუსში წასულა. ქორითა და მიმინოთი ნადირობას გულს აყოლებდა. მდუმარეთა ორდენის წევრივით, მუდმივ დუმილს იცავდა, თავის ერთადერთ ძიძაშვილს არ იშორებდა.

შემოდგომაზე მწყერაობდა, ზამთარში ავადმყოფობდა.

დადუმდა ემხვარების ოქუმური სასახლე, არც მარეკების და მეითარების ჟრიამული ისმოდა, არც მეძებრების მხიარული წკავწკავი, არც მოქეიფეთა და მეინახეთა გნიასი, არც ქალწულების მიერ ჩონგურის დაკვრა და ნაზი აფხაზური სიმღერები. ყველა რიდით გვერდს უვლიდა ჩაბნელებულ ოქუმურ სასახლეს. ასე ამბობდნენ: ერამხუტს ღამის სულებთან მისვლა-მოსვლა აქვსო, ეშმაკს განდობიაო.

თარაშის დედას შემოენახა ერამხუტ ემხვარის სურათი, რომელიღაც ფრანგი მოგზაურის მიერ ნახატი.

სავსებით გამოხუნებულ ტილოზე ოდნავ გამოკრთის მაღალი, ხმელი, გაფითრებული, შავჩოხიანი კაცის მკრთალი სილუეტი. ზემოტანი სამკუთხედს მიუგავს, პირუკმოდ დახატულს. ვიწრო წელზე ძველებური, ზარნიშიანი ქამარი არტყია და სავსებით სადა, შავი სატევარი. იგი ჩრდილების სამყაროდან მოსულ სტუმარსა ჰგავს, მაღალზურგიან სკამის გვერდით ლანდივით მდგარი. საშინელი მარტოობა ცხადდება მის აწურულ აღნაგობასა და ფერმილეულ სახეზე.

ასე განმარტოებული სცხოვრობდა ერამხუტ. ჟამიდან ჟამზე სადღაც გადაიკარგებოდა, ოქუმში ამბავს დააგდებდა: დიგორში, მამის ძიძაშვილებთან მივდივარო. ნამდვილად კი თავის ძიძაშვილს თან წარიტანდა, ჩერქეზეთში გადადიოდა და შამილის ჰაზავატში იღებდა მონაწილეობას. შემოდგომაზე ოქუმის სასახლეს უბრუნდებოდა მცირე ხნით, მწყერაობას მოათავებდა და ისევ გაუჩინარდებოდა. ერთ შემოდგომაზე მძიმედ დაჭრილი, ნაბადში გახვეული ჩამოიყვანა ძიძაშვილმა. ოქუმში ხმა დააგდო: დათვზე ნადირობის დროს დაიჭრაო. ერთი წლის შემდეგ ნატყვიარები მოუშუშდა ერამხუტს. ისევ ჩერქეზეთს წასვლაზე დაიწყო ოცნება.

ყოველ ქვეყანაში, სადაც რამდენიმე რელიგია ებრძვის ურთიერთს, ცალკეულ რელიგიას განსაკუთრებულის ფანატიზმით მისდევდნენ.

აფხაზეთში ოდითგანვე ჭიდილი იყო ქრისტიანობასა, მაჰმადიანობასა და წარმართობას შორის. ამიტომაც გასაგებია, რომ ერამხუტ უაღრესად მორწმუნე იყო და სწორედ ამ უკანასკნელად წასვლის წინ თავის კარის ეკლესიის მღვდელი დაიბარა, თავათ ნაბადში გაეხვია, თითქოს წინასწარ გრძნობდა, წესის აუგებლად რომ დაიმარხებოდა, და — სთხოვა ხუცესს: დავითნი წამიკითხეო. მღვდელი ვერ მიუხვდა, თუ რას სჩადიოდა ერამხუტ, და როცა თავისი სურვილი დაბეჯითებით გაუმეორა ტახტზე მწოლარემ, მღვდელმა დავითნი წაუკითხა. გაოცებული მოძღვარი წავიდა და ერამხუტის საქციელი სულიერად დაავადებას მისას მიაწერა.

ძიძაშვილი ქალაქში თოფებს ყიდულობდა, სატევრებს ლესავდა, კარტეჩს შოულობდა ნამალევად. ასე ემზადებოდა ერამხუტ ზამთრის ლაშქრობისათვის, მაგრამ მეფის მსახურებმა ეშმაკობა გაუგეს და ერთ დღეს ოლქის უფროსმა თავის ამალით ერამხუტის სასახლის აივანზე მიაგდო ცხენი. სწორედ იმ დილით აპირებდა ერამხუტ ჩერქეზეთს წასვლას, ძიძაშვილი ცხენებს კაზმავდა. თავათ აივანზე იდგა და ახალოხის ღილებს იბნევდა.

უსიტყვოდ იგრძნო მასპინძელმა, თუ რად მოსულიყვნენ ეს დაუპატიჟებელი სტუმრები. შინ შებრუნება და თოფის გადმოღება დააპირა, მაგრამ ძიძაშვილი თან არ ახლდა, ბრძოლა უაზრო ეჩვენა. ადგილიდან არ დაძრულა, ხელი არ ატოკებია, ისე შეიბნია ოცდათორმეტი ღილი. შემდეგ ჩამოვიდა უქამროდ კიბეზე — სიკვდილის ანგელოსივით გაფითრებული და ნაძალადევი თავაზიანობით მიიპატიჟა უსიამო სტუმრები.

ოლქის უფროსი ქართველი იყო, პურმარილის მიღება არ ინ-

დომა, ესღა წაილუღლუღა: „რუსების მეფე პეტერბურგს გიბარებ-სო“.

ძიძაშვილი გაიყოლა ერამხუტმა, თავისი საყვარელი ფოლა-დისფერი ქორი თან წარიტანა. ოდესაში ხმელზე გადმოსულმა ქორი გამოუშვა.

ფოლადისფერი ქორი ოქუმის სასახლეში მიბრუნდა, თავის გარაბადზე ჩამოჯდა და ქორის პატრონზე არავის არაფერი სმენია ამის შემდეგ ემხვარების ოჯახში.

გენერლის კალმასობა

სწორედ იმ წელიწადს, როცა ფოლადისფერი ქორი მობრუნდა ოქუმში, ერამხუტის უმცროსმა ძმამ — ჯამსუღ ემხვარმა მოაღწია. დედა ოსმალეთში, ერთ ლაზურ სოფელში გარდაცვლილიყო. ჯამსუღს დავაჟკაცების უმალ აფხაზეთი მონატრებოდა. არ სჭამდა, არ სვამდა, ცვილივით ჩამოდნა. მაჰაჯირებმა შეიცოდეს ჭაბუკი და აფხაზეთში გამოგზავნეს. შვიდი ხარი დაუკლავთ იმ დღეს ილორის წმინდა გიორგისათვის ზვამბაიებსა და აგირბას — ემხვარის ძიძაშვილებს.

ბედიებმა — ჯარამხანის ძმებმა კორპუსში გაგზავნეს ჯამსუღი. ერამხუტის ღალატით გაგულისებულმა მეფის მსახურებმა კორპუსის დასრულების შემდეგ აფხაზეთში არ ჩამოუშვეს ჯამსუღი და ვოლოგდის გუბერნიაში იმსახურეს. მერმე ის იყო, მსოფლიო ომიდან ცხრა ჭრილობა ჩამოჰყვა ჯამსუღ ემხვარს, გენერლის ჩინი და აურაცხელი რუსული ორდენები. სამ წელიწადს მენშევი-

კურ საქართველოს ჯარში იმსახურა ჯამსუღმა. მრავალი აჯანყების ჩაქრობაში წილი დაიდო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეებში სოხუმის თუთუნის პლანტაციები და ოქუმის მამულები მიჰყიდ-მოჰყიდა, ეს ფული თათრულ ლირებზე გადაახურდავა, ჯერ უწვერული თარაში სკოლიდან გამოიყვანა და ევროპაში გაქცეულ მთავრობას თან გაჰყვა. თარაშის დედა ოქუმის სასახლეში დარჩა, „ფუძის ბატონის“ მოსავლელად.

გაუძნელდა ბერიკაცს ახალი და რთული ცხოვრების შეგუება. აფხაზურ ჩოხას, გენერლის ჩინს და ორდენებს მაინც არ იცილებდა. სტამბოლში ვიღაც ხუმარა ბერძენმა გვერდით გაუარა, ახლოს მიეჭრა და პირჯვარი მიაწერა ორდენების მისის კანკელს.

შემდეგ დაიწყო ჯამსუღ ემხვარის მძიმე კალმასობა მთელს ევროპაში გენერლის სამსახურის საძებრად. სტამბოლიდან იტალიას ჩავიდა. ვიქტორ ემანუელს ეახლა, დიდხანს იარა ქვირინალში. კოლონიურ ჯარებში წარგზავნას დაჰპირდნენ, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა.

იტალიიდან ბულგარეთს ჩავიდა, იქ ბულგარეთის მეფეს წარუდგინეს იგი, „ვითარცა გენერალ-ქვარტირმაისტერ და აფხაზეთის პრინცი“. მაგრამ იქ რუსის გენერლებს ჩაესწროთ და საკუთარი გენერლებიც თავსაფარი აღმოჩნდნენ. ბულგარეთიდან პილსუდცკის ეახლა. პილსუდცკიმ მეტი ყურადღება გამოიჩინა, ბელვედერეს საგარეო დარბაზში მიიღო, გამოზაფხულებამდის დამიცადეო და ერთ-ერთ მოსაზღვრე კავალერიის ესკადრონის უფროსობა აღუთქვა, მაგრამ ეს ესკადრონი საბჭოთა კავშირის საზღვრებიდან მოხსნეს იმ ზაფხულში და ლვოვში გადააგზავნეს, ასე რომ, გენერალ ემხვარი უესკადრონოდ დარჩა.

კოპენჰაგენში დანიის სამხედრო მინისტრი გააცნო ჯამსუღს ერთმა ლამაზმა რუსის ქალმა. წმინდა გიორგის ორივე ორდენი

უჩვენა მინისტრს და სამსახურის ბარათი. ორდენებიც მოუწონეს და სამსახურის ბარათიც უქეს, მაგრამ არაფერი გამოვიდა. გერმანიაში საკუთარი მეფეები და გენერლები შტატს გარეშე დასტოვა რევოლუციამ.

აფხაზურ ჩოხას და ორდენებს მაინც არ იშორებდა. არც თავის თეთრ ჩაბალახს. ქუჩებში მოცლილი ხალხი დასდევდა. იაფფასიან სასტუმროებში ჩერდებოდა. ჰოტელის ადმინისტრაციას არა სჯეროდა, ბრწყინვალე თავადი და გენერალ-ქვარტირმაისტერ ასეთ სასტუმროში თუ ჩამოხტებოდა. მისი პასპორტი პოლიციაში მიჰქონდათ, საერთაშორისო ავანტიურისტებისა და ცრუ თავადების ოინებით დაშინებული ბერლინის პოლიცია წარამარა განმარტებებს და დოკუმენტებს მოითხოვდა მისგან.

გამწარდა ბერიკაცი. ასე ეგონა, მას განზრახ მტრობდნენ და ავიწროებდნენ. ერთხელ ვიღაც სამხედრო პირებმა სადილად დაპატიჟეს სასტუმრო „ადლონში“. წესისამებრ, გენერალ ემხვარსაც გაცხელებული თეფში დაუდეს წინ, სათანადო კერძის ჩამორიგებამდის. გენერალმა ხელსახოცი აიღო, საინის გაწმენდა უნდოდა. ცხელმა საინმა ხელი დასწვა. გაბრაზდა, დამცინიანო, იფიქრა და სილა აჭამა ლაქიას.

თარაშმა ადრე შეითვისა უცხო ენები. ეცოდებოდა მოხუცი მამა, ბევრი უქადაგა, მაგრამ მაინც ვერ გააგებინა, თუ როგორ უნდა გამოსულიყო ფრანგულ უკანონო ზმნიდან „ალლე“ — „ვა“, გერმანულ „გეჰენიდან“ — „გეგანგენ“, ინგლისურ „გოუდან“ — „უენტ“.

განსაკუთრებით ინგლისური ენა სძაგდა. ეს ენაო, ამტკიცებდა გენერალი, ალბიონის გულამაყ ძეებს კაცობრიობის საწამებლად გამოუგონიათო. ჩვენებური ალუჩა თუ არ ამოიდევი ენის ქვეშ, ისე ვერ ილაპარაკებო. მიტომაც განუზომლად იტანჯებოდა მოხუცი. ვაგონების, სასტუმროების, რესტორნების ავტომატურ

ფეხსადგილებში ჩაიკეტებოდა და დიდის ვაი-ვაგლახით ახერ-ხებდა გამოსვლას. ვანების და შხაპების ონკანების წარწერას ვერ არჩევდა და მუდამ იმდუღრებოდა. საჭმელების ნუსხას ვე-ღარ კითხულობდა და მუდამ ღორის ხორცი, ლოკოკინა ან ზღვის კიბო მოჰქონდათ მისთვის. თუმცა, როგორც ტრადიციული აფხა-ზი, არც ერთს არა სჭამდა, მეტროპოლიტენებში, რკინიგზებზე, ომნიბუსებში ბილეთები ეკარგებოდა, მიწისქვეშა მატარებლებსა და რკინიგზების ტონელებში მუდამ გზა ებნეოდა, აჯარიმებდნენ, უწყრებოდნენ და ტუქსავდნენ.

ქუჩებზე გადასვლისას ავტომობილების ეშინოდა, უდროო დროს გაექცეოდა ერთ ტალღას ავტოებისას და სწორედ მეორეს უვარდებოდა ფერხთით. რამდენიმეჯერ ხიფათი შეემთხვა.

ვეღარ გაართვა თავი დიდი ქალაქის ციკლოპიურ შენობებს. მუდამ კითხვა-კითხვით უხდებოდა შინ დაბრუნება.

„ა“ და „ბ“ ნომრებს ვეღარ იმახსოვრებდა, მუდამ სხვის და-უკითხავად და ქუდმოუხდელად შესვლისათვის ჰქირდავდნენ, გარედ აგდებდნენ.

რუსული გალოშები არ გაიხადა. ბერლინური საშინელი წვი-მები ისედაც გულს უკლავდა. მაჯაგანით გაახდევინა თარაშმა ჩოხა.

ევროპული კოსტიუმი რომ ჩაიცვა, ასე მგონია, კაბა მაცვიაო, ქოლგას ვერ შეეგუა, მღვდელი ხომ არა ვარო. თავის თეთრ ჩა-ბალახს ვეღარ შეელია.

ახლა ჩაბალახის გამო აუტყდა ქუჩის ბრბო. ვერავის გაეგო, რად ეკიდა ბერიკაცს კისერზე ეს თეთრი შალის ნაჭერი.

ზოგს ეგონა, პირსახოცი კისერზე შერჩენიაო. ამ ჩაბალახმა მაინც მრავალ უსიამოვნებას გადაჰკიდა მოხუცი. მუდმივი წვიმე-ბის გამო დაისვარა, გაიზინთა თეთრი ჩაბალახი.

ერთ სასტუმროში გვიანამდის დარჩა. ჩაცმისას ჩაბალახი ხელიდან გაუვარდა ნაღვინევს. მიეჭრა ვიღაც თავხედი ამერიკელი, დაინტერესებულმა ხელი წაავლო ჩაბალახს და, რაკი შეატყო, ბერიკაცმა ინგლისური არ იცოდა, ჯერ ლოყაზე გაისვა ჩაბალახის ტოტი, მერმე — ხელზე, ჯამსუღი სდუმდა. ახლა თავის ყავისფერ ბოტფორზე წაისვა. მუნჯურად ეკითხებოდა: პირის საწმენდად გინდა, ხელისა თუ ფეხსაცმლისაო?

მაშინ გაუშალა და ისეთი სილა აჭამა ჯამსუღ ემხვარმა ამ გათავხედებულ ამერიკელს, რომ სამი ხელოვნური კბილი ჩაულეწა.

დადარდიანდა მოხუცი, მწუხარებით აევსო გული. არ იქნა და ახალ პირობებს მაინც ვერ შეეთვისა.

ვეღარ გადაეჩვია მუზეუმებში ქანდაკებებისა და სურათების ხელის ხლებას, ვაგონების ღია ფანჯრებიდან თავის გადმოყოფას, იატაკზე დაფურთხებას, უცხო კაცისათვის გაუცნობლად გამოლაპარაკებას, გამვლელისათვის ასანთის თხოვნას და ისეთ კარებსა და ეზოებში შესვლას, სადაც ეწერა „აკრძალულია“-ო.

მაინც ისეთი საოცარი ბედი ჰქონდა ჯამსუღ ემხვარს, საითაც არ უნდა წასულიყო, სწორედ ისეთ „აკრძალულ“ კარებს მიადგებოდა.

მუდამ მჟავე და პილპილიანი საჭმელების მონატრული იყო. დაიხუთა ბერიკაცი ციკლოპიურ ქვის შენობებში, მუდამ მწვანეზე ოცნებოდა და შიშველი მიწის სუნი ენატრებოდა. ამიტომაც პარკებსა და სკვერებში განუკითხავად გადადიოდა მწვანე გაზონებზე, ხან მოტოციკლების და ველოსიპედების მოტვლეპილ ბილიკებზე, ხანაც ფხვიერ საცხენო შარებზე სიარულს არჩევდა, ამიტომაც მუდამ აჯარიმებდნენ, იჭერდნენ და ლანძღავდნენ.

დასწყევლა გერმანია ჯამსუღ ემხვარმა, მისი მორიგი აფო-

რიზმი ასეთი იყო: გერმანელები რომ ყველას და ყველაფერს „აკრძალულია“-ს დააწერდნენ, კარგი იქნებოდაო. არც შვეიცარიაში დაადგა კარგი დღე. როცა იგი ბაზელში ჩავიდა, მთელი ქვეყნის ნამეფარები, ნამინისტრალები და ყოფილი კრონ-პრინცები, პრინცები, თავადები აქ შეყრილიყვნენ. გენერლები ხომ სახვეტად იყო.

ბაზელში საფრანგეთის საელჩოს ატაშე დაინტერესდა ჯამსუღის სამსახურის ბარათით. მაროკოში მიიპატიჟა იგი აჯანყებულ რიფების დასაწყნარებლად, რაკი შეიტყო, რომ ყოფილი რუსის გენერალი აჯანყების ჩაქრობის ოსტატი ყოფილაო. მაგრამ ცალკერძ აფრიკის სიცხემ, ცალკერძ მორიელების შიშმა შეაკრთო იგი და მიგრენი მოიმიზეზა. პარიზში კირილე რომანოვის ბუტაფორულ სასახლეშიც ბევრი იარა. რუსეთის ცრუმეფე ყოველ გაზაფხულისათვის ამზადებდა საგაზაფხულო ლაშქრობას ბოლშევიკების წინააღმდეგ. გაზაფხულს ზაფხული მოსდევდა, როგორც ბუნების წესია, ხოლო ზაფხულს — შემოდგომა და ზამთარი წინასწარ დათქმულ ციკლს ასრულებდა, მაგრამ ექსპედიციის ნაცვლად ბანკეტები იმართებოდა.

ერთ ზამთარს ლამანშს გადაღმა გადავიდა გენერალი ემხვარ, ნისლებმა მთლად გადარია ბერიკაცი. ამ ნისლიან ლონდონსიტის ჩემი ტალახიანი ოქუმი მირჩევნიაო, სწერდა ჯამსუღი ლონდონიდან თარაშს, და ოქუმი მუდამ პირზე ეკერა, დარწმუნებული იყო, „ბოლშევიკები სულ მალე წავიდოდნენ“ და ოქუმში დაბრუნდებოდა გენერალი.

ლონდონში ერთმა რუსის გენერალმა სერ ჯონსონ ხიკსს წარუდგინა იგი, ხიკსი იმ წელს ექსპედიციას ამზადებდა მურმანსკში დესანტის გადასასხმელად. აფხაზი პრინცისა და გენერლის გამოყენება გულწრფელად უნდოდა, თუმცა ვერც კი გაეგო: სად

უნდა ყოფილიყო აფხაზეთი ან საქართველო. სანამ ჯამსუღ ემ-ხვარმა ჰომერის, სტრაბონის და ქსენოფონტის მიერ მრავალ-გზის შექებული კოლხიდა, არგონავტები და მდინარე ფაზისი არ გაახსენა; სერ ჯონსონ ხიკს წარმატებით სწავლობდა თურმე კო-ლეჯში კლასიკურ ენებს და ამ გარემოებამ გაჰფანტა ამის თავში წარმოშობილი ბურუსი.

მაგრამ, ვიდრემდის ხიკსი ძველი კოლხიდის ამბებს თავს გა-ართმევდა, მურმანსკში ექსპედიციას მოაწყობდა, თურქული ლი-რები საშინელი სისწრაფით დასცა ერთმა ამერიკულმა ბანკმა, ხოლო ლირების პატრონი გრამმოფონის ფირფიტების ქარხანა-ში შევიდა პარიზში.

თარაში გერმანიაში სწავლობდა, რადგან აქ ვალიუტის ინ-ფლაცია იყო.

მრავალი წლის მოუსვენრად ხეტიალმა მთელს ევროპაში, ქა-ლაქიდან ქალაქად, სასტუმროებიდან სასტუმროებში ყიალმა, ჰიპოხონდრიით სნეული მამის პატრონობამ და დარდმა ახალ-გაზრდა თარაშის გულიც დასეტყვა. დედა ოქუმის სასახლეში „ფუძის ბატონს“ სდარაჯობდა, ჟამიდან ჟამზე დედაბრული ხე-ლით დაწერილი ბარათი მოსდიოდა თარაშს. ყოველდღე დროს ნიშნავდა საპასუხოს მისაწერს, მაგრამ შეგნებულად გაურბოდა იმ მღელვარებას, დედისადმი წერილის მიწერისას რომ განიცდი-და.

წისქვილები და მამულები ბოლშევიკებმა წაგვართვესო, სა-სახლეში სკოლა გამართესო, მე და ცირუნიას ერთი პატარა ოთა-ხიღა დაგვიტოვესო, შენმა ცხენმა ოქროსფერი კვიცი მოიგოო, არზაყანი კომკავშირში შევიდაო, ეკლესიას ჯვარი მოხსნესო, მღვდელი კომკავშირელებმა გაჰკრიჭესო, წმინდა თებრონეს ძვლები მონასტრიდან გარედ გამოყარესო, მონაზვნები გამორე-კეს და ტფილისის აბრეშუმის ქარხანაში სამუშაოდ გაგზავნესო.

დიაკონი ჭაში ჩახტაო, ამოიყვანეს და ცოლი შეირთოვო, ახლა ოქუმელი დიაკონი კოოპერატივის მოანგარიშედ დადგაო და ფსალმუნის კითხვას ბალანსების შედგენა არჩიაო. მღვდელმა სევასტი ლაკერბაიამ ანაფორა გაიხადა და ახლა ხალხი ასე ამ-ბობსო, ოცდახუთი წელი ღვთის ნებით თავს ირჩენდაო და აწი თავისი სიბერე ღვთის გმობით უნდა გაათრიოსო.

ოქუმის ეკლესიის ხატები ყაჩაღებსავით შეჰკრესო და ტფილი-სის მუზეუმში გადააგზავნესო, ხალხი დაფეთებული უკან მისდევ-დაო, ყველა იმის მოლოდინში იყო, ხატები იძალებდნენ და ბოლ-შევიკებს რამეს მოსწევდნენო, მაგრამ ბოლშევიკები გადარჩნენ და ანუსია მონაზონმა აბორტი გაიკეთაო.

არც იმას უმალავდა დედა, სახლს რომ აწვიმდა, რადგან ძვე-ლი ყავარი დამპალიყო და ახლის მომტანი არავინ სჩანდა. თა-რაშ ემხვარს საქართველოს რუკა ჰქონდა კედელზე გაკრული თავის პატარა ოთახში, მიუნხენში. რუკასთან მივიდოდა თარაშ, მოსძებნიდა სულ პაწია წერტილს ამ პატარა რუკაზე — ოქუმს.

ოქუმს იგონებს თარაში და ჰხედავს პატარა თარაშ ემხვარს კაც ზვამბაიას ეზოში ფუღურო მუხის ქვეშ არზაყანთან მოთამა-შეს.

„აიარე — ბაიარე“. მღერიან თარაში და არზაყანი.

ბაიებს თავს წააწყვეტდნენ, მოლზე დააწყობდნენ, ბაიის ყვა-ვილები მათი წიწილებია. არზაყან გვირილის ყვავილსაც გამოს-ძებნის.

ეს კრუხია.

„წიპ, წიპ, წიპ“, იძახის არზაყან და არზაყან არზაყანი როდია, არზაყან თარაშის ძიძაა და თარაში თარაშ ემხვარი როდია, თა-რაში მეზობლის მზეხაა.

„ჩემი წიწილი შენს ბოსტანში გადასულა“.

„არა, ეს ჩემია“. ჩხუბობენ თარაში და არზაყან, მზეხას და ძიძას ჰბაძავენ.

წამოვა წვიმა, ეზოში წყლის გუბე დადგება და ეს დიდი გუბე შავი ზღვაა. ცარიელი კოლოფი ჩააგდეს, ეს გემია ოჩამჩირესთან მიმდგარი.

ბეე, ბღავის გემი მეზობლის ვერძივით.

„ვინ ხარ მამაცი, ჩამოიტანეთ სკივრები, ზანდუკები ოქროთი და ვერცხლით გავსილი, დედას მოუტანეთ“.

ბეე, ბღავის გემი და წასვლა ეჩქარება.

გუბიდან პაწია ღელეს გამოუშვებენ, ჩალის ღეროდან ღარს და ბორბალს გააკეთებენ, კისკისებენ, როცა წყალი ბორბალს შეატრიალებს. გამომგონებლის პირველი სიხარულით ივსება თარაშისა და არზაყანის გული.

ღელემ ნაპირი გადალახა, არზაყანის ყანები წაიღო და ახლა არზაყანი და თარაში ისევე ჩხუბობენ, როგორც კაც ზვამბაია და მისი მეზობელი მაჩაგვა ეშბა.

ჯოხებზე ჯირითობენ არზაყანი და თარაში და ბედაურებზე ვსხედვართო, ჰგონიათ. მკერდულსა და სხაპს აქნევინებენ „ცხენებს“, ხანაც ბედაურს მიაქროლებს თარაში, რამდენიმე მარქაფა „ცხენი“ მიჰყავს არზაყანთან, როგორც ცხენის ქურდ თავადებს მიჰყავდათ ხოლმე ნაქურდალი ცხენები კაც ზვამბაიას სახლში, ყაბარდოში გადასაგზავნად. ასე გოროზობენ არზაყან და თარაში, დიდ მოჯირითეებად თავი მოაქვთ. ნიგვზის შტოს მოუქნევენ „ლეკურს“ და ისე წააცლიან ფოთლებს, როგორც ერამხუტ ემხვარს წაუცლია თავი კაზაკების ოფიცრისათვის. ასეთი დიდი გმირებია არზაყანი და თარაში, მაგრამ ჯერ მამალი ბატის ეშინიათ და შუკაში ვერ გასულან მეზობლის ვერძის რიდით.

და საღამოს ჟამს, როცა გრძელი ლანდები აიტუზებიან კაც ზვამბაიას ფაცხის კუთხეებში, არზაყანი და თარაში უკვე წვანან,

შიშისაგან ცახცახებენ და ურთიერთს ეხუტებიან. ძიძა რძეს აუდუღებს ბალღებს და დაძინების წინ უამბობს წაბლისფერთმიან წყლის დედის ამბავს. და წყლის დედას თურმე წინ ტაბლა უდგას. ტაბლაზე სარკე და სანთელი შვიდი. დაინახავს თუ არა მონადირეს, ათ თითს უჩვენებს, ათი წელი ერთად დავწვეთო.

ვინ უნდა იქნეს წყლის დედა? ვინ მონადირე? არზაყანსა და თარაშს ცილობა მოუვათ ამის გამო. ბოლოს განჩინებას გამოიტანენ: არც ერთი.

ძაბული უნდა გახდეს წყლის დედა, რადგანაც ძაბულისაც წაბლისფერი თმა აქვს.

ლაფაროში ლეკვები წკმუტუნებენ. მოზვრები და ძროხები ბღავიან. ბავშვებმა იციან, რა ბღავის, მაინც ეშინიათ, ვინ იცის, რაა? მუხის ფუღუროებში ბუები სცხოვრობენ, ესეც იციან, მაგრამ ცეცხლისთვალება ეშმაკები ელანდებათ.

ზაფხულზე კაც ზვამბაიას მიჰყავს ბავშვები მთაში, ტყეების უფალის — „მიზიტხუს“ პირველ ყვავილების სადღესასწაულოდ: შინ დარჩენილები სახლებსა და ფაცხებს ყვავილებით და მწვანით მორთავენ. წინა ღამით ძიძა და სხვა მოხუცი დედაკაცები სიმღერითა და თოფის სროლით მიდიან ტყეში ოთხყურა ყვავილის მოსახვეჭად. თარაში და არზაყანი კი სოფლის ბიჭებს გაჰყვებიან საგანძურის საძებრად. სიმღერითა და დამბაჩის სროლით ბრუნდებიან სოფელში. მუხის ფოთლების გვირგვინით შუბლდამშვენებული ლომკაც ესვანჯია მოუძღვის მხიარულ პროცესსიას.

წყლის დედა წყალში ცხოვრობს და ოჩოკოჩი ჭალებში დააბოტებს. ამიტომაც ეშინია საღამოს ჭალებში გავლის.

ლეღვის ხეს პატარა ძუძუების მინაგვარი ხორკლები ატყვია.

ლეღვის ხე ძიძაა, ხორკლები ძუძუებია. მარცხენა არზაყანისაა, მარჯვენა თარაშის.

მორდუ უახლოვდება ლეღვის ხეს. თარაშ ცალ ფეხს მიადგამს ხეს და მორდუსავით ბუტბუტებს:

„ხეო, შენი მადლი და სიკეთე მომანიჭე, ხიდან უვნებლად ჩამომიყვანე, ნედლზე შევდგე და გამიმაგრდეს, ხმელზე შევდგე — გამინედლდეს“.

და ქარის სალოცავიც იცის უკვე თარაშმა. ძიძა დიდ მჭადს გამოაცხობს ყველით სავსეს. ბავშვებს ეზოში გააქვთ ეს მჭადი და ევედრებიან.

„ქარსა ქალბატონსა ჩიჩასა“.

თარაში და არზაყანი მთელი დღე ფეხშიშველა დატოპავენ თხრილებსა და ჭაობებში, კიბოების დარანებს მიაგნებენ, ღორჯოებს იჭერენ ლოდებს ქვეშ, გველებს და ხვლიკებს ქვით უსრესენ თავს და ესენი გველები როდია, არამედ უშველებელი ურჩხულები; ხოლო ერთსაც და მეორესაც ურჩხულების მმუსვრელ წმინდა გიორგიდ მოაქვთ თავი.

„ნან“, ეხვეწება თარაში ძიძას: „რამხელაა ილორის ეკლესიის ზარა?“

„რომელი ზარა?“. ძიძა ხელს აჩვენებს: „ამხელა!“

„არა, ამხელა“.

„მაინც?“

„წისქვილის გელაზისოდენა“.

„ნან“, შეევედრება თარაში ძიძას.

„წმინდა გიორგი რაფერ ცხენზე ზის?“

„თეთრზე, სქან სანთელო, სულ თეთრ ცხენზე“.

„ნან, — კიდევ შეევედრება თარაში ძიძას, — გიორგობას დადია რატომ დაჰკეტავს ილორის ჭიშკარს?“

„დადია ჭიშკარს დაჰკეტავს, რომ ეზოში არავინ შეუშვან. ვიდრემდის წმინდა გიორგი არ მოვა და სამსხვერპლო ხარს არ მოიყვანს“.

„მერმე, მერმე?“..

„მერმე, დავენაცვლე იმის მადლს, წმინდა გიორგი მოიყვანს ხარს“.

„მერმე?“

„მერმე დადია მოვა მეორე დღეს. ეკლესიას გახსნის და მსხვერპლს დაუკლავს ილორის წმინდა გიორგის“.

„ნან, ილორში მართლა თუ არის წმინდა გიორგის მშვილდი?“

„როგორ არა, შვილო, მე მინახავს“.

„მორდუსაც უნახავს?“

„ყველას უნახავს“.

„ნან, ვის ესროლა ბოძალი წმინდა გიორგიმ?“

„ვეშაპს ესროლა, სქან სანთელო“.

„მერმე მოჰკლა, ნან?“

„მოჰკლა, აბა რას იზამდა“.

ამოვა ახალი მთვარე. კაც ზვამბაია ხელს წამოავლებს არზაყანს და თარაშს, ჯერ მთვარეს უჩვენებს, მერმე სატევარს იძრობს და გაოცებული ბალღები მისჩერებიან გაშიშვლებულ სატევარს მთვარის შუქზე მოვარვარეს.

მთვარის ეშინიათ რატომღაც ძიძასაც და მორდუსაც. ამიტომაც მთვარის დღეს — ორშაბათს, მორდუ სამგზავროდ არ წავა, ძიძა თავს არ დაიბანს, არც არავინ სვამს ოქუმის წყალს ამ დღეს, რადგან მთვარე ამ დღეს გაკაპასებულია, ვეშაპებს, გველებს, ჯოჯოებს და ხვლიკებს მოაწამვლინებს წყლებს.

ბაყაყს არ ჰკლავენ თარაში და არზაყანი, გველს თავის სახელით არ ახსენებენ და არც ცისარტყელას.

ნიგვზის ხეზე კაკალს არ მიამტვრევენ, თორემ მომავალ ზაფხულში კაკალი კერკეტი გახდებაო.

თარაში არზაყანზე უფრო ნაზია, იგი ხშირად ცივდება, აცივებს

და ფერს ჰკარგავს. ძიძა ასე ხსნის: „ზეცას რომ აკრავს“ იმ ცისარტყელას ბრალიაო, ალბათ ბავშვი წყალში მაშინ ჩასულა, როცა ცისარტყელა წყალს სვამდაო.

თავზე ყვერულს შემოავლებენ თარაშს, ძიძას და ძაბულის წყლის პირად მიჰყავთ თარაში, ორი შემწვარი ყვერული და ორი ღვეძელი თან მიაქვთ მდინარის გაღმა მორდუს ვერცხლის ქამარი ძევს, გამოღმა ჯამსუღის ნაჩუქარი ვერცხლისავე სატევარი. მდინარეზე აბრეშუმის ძაფია გაბმული.

ძიძა ხელში აიღებს დედოფალას ფერადი ნაჭრებით მორთულს. თარაშს დააჩოქებს, დედოფალას თავზე შემოავლებს, შეევედრება ცისარტყელას, მან განკურნოს თარაშ ემხვარი. შემდეგ ამისა, თაფლის სანთლებს აანთებს ძიძა, ბატონს წყლის დედას შეევედრება, ყვერულს და ღვეძელებს თავზე შემოავლებს თარაშს, ღვეძელებს გასტეხს, ნამუსრევს წყლის სულებს მიუგდებს. ძაბულის თავწაჭრილ მწარე კვახს გამოატანინებს. დედოფალას შიგ ჩასდებს, ირგვლივ თაფლის სანთლებს აუნთებს და წყალში გადააგდებს. თანაც ლოცულობს: „ჩემი თარაშის ნაცვლად, ამას ეთამაშეო“.

აპრილის დამდეგს ამშაპის დღესასწაული იწყებოდა. 16 დღეს თარაში და არზაყანიც კი მარხულობდნენ. წინა ღამით მთელი სოფელი აიშლებოდა და უხუცესის მეთაურობით ტყისაკენ მიეშურებოდა. სამღვთო მუხის ძირში დაბანაკდება ხალხი. უხუცესი ლოცვას წარმოსთქვამს, ლოცვის შემდეგ ნაბადს წამოისხამს თავზე და დაიმალება. ქალები და ვაჟები რიგრიგობით უახლოვდებიან მუხას, თვითეული მათგანი ჯერ აკოცებს და მერმე ხანჯალს მიარჭობს. შემდეგ ლოცულობს და ემთხვევა მუხას.

ყველანი სათითაოდ იჩოქებენ მოხუცის წინაშე და აღსარებას გაანდობენ, სამაგიეროდ სანთლის ნაჭერს ღებულობენ მისგან.

ბავშვობაში ეს ყოველივე უსაზღვროდ აოცებდა თარაშ ემ-ხვარს, ახლა კარგად იცის, ეს ძველბერძნული მუხის კულტის ნაშთებია. მუხა ხომ ზევსის საყვარელი ხე იყო, და იგონებს თა-რაშ ემხვარ თებედან გამოფრენილი ორი შავი მტრედის ამბავს, ერთი დოდონაში რომ მიფრინდა და წმინდა მუხაზე შემოჯდა, ენა აიდგა და ზევსის ორაკულის დადგენა რომ მოითხოვა. და ზევსს ამიტომაც „ფეგონაიოს“ შეერქვა — მუხაში მცხოვრები: უამრავი შავი მტრედებით გავსილი იყო ეს მუხა და ამ შავი მტრედების ღუ-ღუნით ამცნობდა სამყაროს თავის გულის ხმას ზევსი.

თარაშ ემხვარ წიგნს ამზადებს კოლხიდის ფეტიშიზმისათვის. ეს წიგნი უთუოდ დიდ სახელს მოუხვეჭავს მას, მაგრამ არ ეჩქა-რება თარაშს, რადგანაც იცის: სახელი სიკვდილსა ჰგავს, როცა საჭიროა, თავათ მოგაკითხავს.

თამარიც გააოცა ამ ამბავმა, მას არასოდეს არაფერი სმენია აფხაზურ-მეგრულ მისტერიების და „წმინდა ტყვეების“ კულტის შესახებ, რადგან მის ოჯახში რუსული ვიცმუნდირების ამბები ტრიალებდა მუდამ, ან რომელიმე რუსის არქიმანდრიტს რამდე-ნი საყვარელი აღმოაჩნდა, ვის როგორი მიტრა ეხურა თავზე და ალექსანდრე III-მ რომელ თავადს აკოცა მოტვლეპილ თავზე, როცა იგი აფხაზეთში ჩამოეთრია, ან რამდენმა კნეინამ შეიკერა აბრეშუმის ნიფხავი სრულიად რუსეთის მეფის ღირსეულად შე-სახვედრად.

* * *

დღეები რიალით მიჰქრიან, ბაია მოილევა, მერცხლები მოვ-ლენ, ალუჩა დამწიფდება, ბლებს ჩიტები დაესევიან, ალუჩას მე-ზობლის ბავშვები დაჰკრეფავენ, ნიგვზის ხე „ლეკვებს“ გამოის-ხამს. ალუბალს ფოთოლი შეუყვითლდება და პურის ყანებს მო-

ოქროვილ ქოჩორს უვარცხნის შავი ზღვიდან მოვარდნილი ჭალიკონი. ხეზე გასულ ვაზის ფოთლებში ლალისფერი მტევნები გამოკრთიან. დაიწყება წვიმები, აფხაზეთისა და ოდიშის გაუთავებელი წვიმები. საძირკველში ობის სუნი ჩასდგება, სინესტის სუნი, ციების სუნი. სიმინდს ქოჩორი შეევერცხლება, მწვანე ტაროებს ყვითელი ფოჩვი გამოესხმება. მაშინ არზაყანი და თარაში ხაშარს დააძრობენ სიმინდებს, გრძელ წვერ-ულვაშს გაიკეთებენ.

არზაყანი ხელში ყავარჯენს დაიჭერს, კოჭლობას მოიგონებს. ვითომ მათხოვრად გადაცმული სისხლისამღებია.

თარაში დიდი ბატონია, თავის კაკლის ქვეშ მედიდურად წამომჯდარი. ამ დიდმა ბატონმა მოუკლა ამ კოჭლ მათხოვარს ღვიძლი ძმა. და ძმამ ძმის სისხლი უნდა აიღოს.

ჩაბალახით პირშებურვილი კოჭლი მათხოვარი ძლივს მოკელანობს, მუხლები უკანკალებს, წარამარა ოფლს იხოცავს შუბლიდან.

უცებ მათხოვარი ვაჟკაცურად წელში გაიმართება, უბეში დამალულ დამბაჩას იძრობს და... დუ, დუუ, დუუ, დუუ...

დიდი ბატონი კუნძიდან გადმოვარდება და თარაში ღრიალებს სასიკვდილოდ დაჭრილი დიდი ბატონის მაგივრად. არზაყანი „ბედაურს“ მოახტება და გაჰქუსლავს. გარედ კი სწვიმს, ლაფაროში უღლიანი ღორები ღრიტინებენ. ეზოში კაკალი სცვივა. დამწიფებულ ლეღვს მოლაღურები ეხვევიან და მაშინ გიყვარდეს საფარიდან მშვილდ-ისრის სროლა.

თორმეტი წლის თარაში და არზაყანი უკვე საგმირო საქმეებისაკენ მიიწევენ.

„ის როგორ იყო, ჯვიბა ფიფიამ ქაჯი რომ მოჰკლა?“ ეკითხებიან კაც ზვამბაიას.

„რამდენი ათასი კაზაკი დახოცა შამილის ომში ერამხუტ ემხვარმა?“

* * *

კაც ზვამბაია ასწავლის ბალღებს უბელო ცხენებით ჯირითს, ხანჯლის ხმარებას, ლეკურის მოქნევას, გაჭენებულ ცხენიდან გადმოხტომას, ისევ ზედმოქცევას, ისინდის თამაშს.

ამოიღებს სატევარს კაც, უჩვენებს თარაშს და არზაყანს ცალკერძად გალესილს.

„გახსოვდეთ, სატევარი არასოდეს პირდაპირ არ უნდა აძგეროთ მტერს. ეს სალახანებმა იციან ასე, სატევარს მარჯვედ უნდა წაავლო ვადაში ხელი, ზევიდან მოუქნიო და ჩამოსთალო“.

უკვე ჯარობაში — ოსხაპუეში გამოდიან ბიჭუნები, განსაკუთრებით თარაშს უყვარდა ოსხაპუე, იქ ხინტკირიას თამაშობენ ახლად მოჩიტული სოფლის ტოლბიჭები.

ხინტკირია ოდიშურ-აფხაზური დუელის უძველესი ნაშთია, აწ უკვე თამაშად ქცეული.

გაღმა-გამოღმა დამსხდარი ქალ-ვაჟის წრეში გამოდის ორი სატევრიანი ვაჟი, მეტწილად რომელიმე თვალჟუჟუნას გამო ხუმრობით მოქიშპე. ორივეს ჩაბალახით თვალებს აუხვევს მესამე — სატევრიანი ვაჟი. ერთ მათგანს სატევარი ქარქაშში აქვს ჩაგებული. შუაში გახლეჩილ მასრებს ჩოხისას მისცემენ ხელში, ესპანური კასტანიეტის მსგავსად მორიკრიკეს. მეორეს გაშიშვლებული სატევარი უჭირავს.

მასრებიანი დაბორიალობს წრეში, მასრებს არიკრიკებს და იძახის: „ხინტკირია“. ირგვლივ დამსხდარნი ქალ-ვაჟნიც აჰყვებიან და ყველანი ერთობლივად იძახიან: „ხინტკირია, ხინტკირია“. მასრებიანი ადგილს იცვლის ამასობაში. სატევარამოღებული უმწეოდ დააბოტებს და მასრებიანს ეძებს. სცდილობს მოპირდაპირის ხმა გამოიცნოს. გაიგონებს თუ არა მის ხმას, ისევ გაეშუ-

რება. ეს უკანასკნელი ისე გაინაბება, ხელიდან გაუძვრება მოპირდაპირეს, ისევ დაიძახებს „ხინტკირია“-ს და ისევ შეიცვლის ადგილს.

აჰა, მოიმწყვდია მოპირდაპირე კუთხეში მასრებიანი სატევრიანმა, სატევარი პირდაპირ მიუღია, მაშინ იგიც იძრობს სატევარს და გაიმართება კენწლაობა მათ შორის, მოვა მესამე, მოწესე. თავის სატევრით აწესრიგებს მოპირდაპირეთა ფარიკაობას. უკეთუ რომელიმე გაიკაწრა, ან თუ სატევარი გაუვარდა ხელიდან, მას გახლეჩილ მასრებს მისცემენ ხელში და ახლა მან უნდა ირბინოს და დამარცხებულმა „ხინტკირია“ იძახოს. მიეჩვიენ ამ თამაშს თარაშ და არზაყანი. ყველგან ფარიკაობდნენ, როცა ცხენებს აძოვებდნენ ტყეში, ან წისქვილის კარზე თავიანთ საფქვავის ჯერის მოლოდინში, ეზოში, კაკლის ძირას და სახლის ლაფაროში. კაც ზვამბაია უშლიდა, ორივეს ტუქსავდა, მაგრამ ამაოდ. განსაკუთრებით თარაშ ემხვარს უყვარდა ამნაირად ფარიკაობა.

თარაშს ყოველივე ეპატიებოდა ოჯახში, ამიტომაც ზედმეტ იჭვიანობას იჩენდა არზაყან. წლების განმავლობაში გულში დაგუბებულმა იჭვნეულობამ იფეთქა ერთხელაც, არზაყანმა ამგვარი ფარიკაობის დროს ხუმრობით დასჭრა თარაში მარცხენა მკლავში და ამის შემდეგ ორივეს წაართვა სატევარი კაც ზვამბაიამ და ხინტკირიას თამაში სამუდამოდ აუკრძალა.

* * *

მოვა ხელხვავიანი შემოდგომა. ქარვასა და ძოწს ათოვს ქვეყანას ალამგაშლილი მზე.

და კაც ზვამბაია ღომის, პურის, ფეტვის და სიმინდის ცომისაგან საჭმელს გააკეთებინებს ძიძას, საჭმელს გრძელ ტაბაკზე დააგებინებს. თავათ ქუდს მოიხდის და მადლობას მოახსენებს ნაყოფიერების ღმერთს — ჯაჯის.

ახალი წელი ახლოვდება და ბავშვებს სიხარულისაგან გრძლად ეჩვენებათ დეკემბრის ხანმოკლე დღეები.

დადგება ახალი წელი და ძიძა ლორიან ქადებს გამოუცხობს. ცალკერძ ძიძა და ძაბული დაუჯდებიან და ცალკერძ თარაში, მორდუ და არზაყანი (თარაშს მუდამ სუფრისთავზე სვამენ, საუკეთესო აკვაკვარს მისთვის აცხობენ, ქათმის კურტუმოც მისია, კუჭიც და ფილტვიც. არზაყანს შურს, მაგრამ იბუტება და სდუმს).

* * *

კერაზე ფოთლოვან სუროს წნელს დააგდებენ. გაღმა და გამოღმა დამსხდარნი თვალს ადევნებენ, თუ როდის გადაიწვება სუროს წნელი.

ძაბულის და არზაყანს ადგილს დაუნიშნავენ. როგორც კი წნელი გადაიწვება, ამ ადგილამდის რბენით უნდა მიასწროს ერთ-ერთმა.

გადაიწვება თუ არა წნელი, ნახევარს არზაყანი წამოავლებს ხელს, ნახევარს ძაბული, ერთი მათგანი წინა კარიდან გამოვარდება, მეორე — უკანა კარიდან. ვინც ფაცხას შემოურბენს და შინ შემოასწრებს, იგი კარს ჩაჰკეტავს და გარედ დარჩენილს შინ არ შემოუშვებს.

ნასადილევს ძიძა „კირუ კარუს“ ამზადებს..

კირუ კარუ ეს პატარა გომიჯვებია, ყურძნის მტევნისა, ხელწისქვილის გელაზისა, ბარის, ჩამურისა, ღორისა და კრუხის გამომხატველი. კრუხის მოდელს ქათმის ფრთით ხვრეტენ, თანაც ყველანი ერთხმად მღერიან:

თეთრო ქათამო, ქათამო,
თეთრო ქათამო ღვთისაო,
ორი ათასი ჩვენს სახლში
და კენტი კვერცხი სხვისაო.

* * *

აგერ მირსობაც კარებზეა მომდგარი. „ომისე“ ღორს უკანა ფეხებზე წაავლებს ხელს მორდუ. კერის გარშემო შემოატარებს: „ჯვარი მირსობის მობრძანებასა, ბედი მომეცი მე და ჩემ ცოლშვილს, ბედნიერი ჰყავ ყოველივე, ალიანი, ჩალიანი, გზებზე გაიგდე მავნე ყოველი, შენც იფარავდე წყალში, დაილოცოს შენი სახელი“.

ღორი ყვირის, ბავშვები თითებით იცობენ ყურებს. დიდმარხვის პირველ დღეს „ჟინი ანთარი“ მოდის. გარიჟრაჟზე სიმინდის ცომს საფუარს შეუმატებენ. ვახშმისთვის ოთხკუთხად მჟავე ცომს მუხის ფოთლებში გაჰხვევენ, ღადარში შეაგდებენ.

ჟინი ანთარის მჭადი გამოცხვება, ტაბაკს შემოუსხდებიან, მორდუ მუხის ფოთლებს აცლის მჭადს, თანაც ბუტბუტებს:

„ჟინი ანთარი, გამორძგვილი“.

ნავახშმევს ნამუსრევს შეინახავენ. დილით ადრე არზაყანი და თარაში არჩივს წაუღებენ ბუებს და ყვავებს. თუ გვალვამ ყანა შემუსრა, კაც ზვამბაია და მისი მეზობელი ორ ხარს ამოირჩევენ. დანიშნულ დღეს ოქუმის პირად წაიყვანენ. ხოლო მამაკაცებს და ვაჟებს თან გაიყოლებენ. ყველას სათითაოდ მოაქვს თავიანთი საგზალი — მჭადი და ღვინო.

ლომკაც ესვანჯია სამსხვერპლო ხარს ბაწრით გამოსწევს. ქუდს მოიხდის: აფის ევედრება, ტაროსის ღმერთს: „ჰოი, მბრძანებელო ქუხილისა და ელვისაო, წვიმის და თოვლის გამგებელო, შეგვიწყალენ ჩვენ.

ჩვენი ჯეჯილები გვალვამ გაახმო, ჩვენი საძოვრები მზემ გადასწვა, სიცხემ და მწერებმა საქონელი შეგვიმუსრა.

უბრძანე, ქუხილისა და ელვის გამგებელო, ღრუბლები მოჯარ-

დნენ ცაზე, უბრძანე, თოვლისა და წვიმის მბრძანებელო, აქუხდეს ქუხილი ცაზე. ელვამ გააპოს ცა და ზღვა, წვიმები მოგვიგზავნე და თქორი მოუვლინე ჩვენს ჯეჯილებს ხვატით გადარუჯულს. შეგვიწყალე, უფალო, და გვიხსენ ჩვენ“.

ყველანი ქუდმოხდილნი იჩოქებენ წყლის პირად და ამბობენ: ამინ! შემდეგ ხარებს დაკლავენ, ღვინოს სვამენ და მწვადებს შეექცევიან და ლექსებს ეტყვიან ტაროსის უფალს — აფის. ადრე გამოფხიზლდა თარაშ ემხვარი სიყრმის ზმანებიდან.

ფერი გაუკრთა ამ ღმერთებს, აღარც ანთარი სწამს მას, არც მიზიტხუ, აღარც ჯაჯი, აღარც ალიშკინტრი — ძაღლების უფალი. მაგრამ სულ სხვა კერპებმა დაივანეს მის სახატეში.

დიდი მეცნიერები უფრო აოცებდნენ მას, წარამარა უნივერსიტეტს იცვლიდა, ქალაქიდან ქალაქად დაჰყვებოდა მათ ნატერფალს, ზეკაცური ბუნებისანი ეგონა თარაშ ემხვარს მსოფლიო სახელის მომხვეჭელი მეცნიერები. ჯერ ბულვარის სახელგანთქმულ მწერლებს შენატროდა თარაშ, საკუთარ ვილლებში მონებივრეთ. მაგრამ გემოვნება დაეწმინდა. ახლა სიტყვის დიდოსტატების ბედიც გაიგო, რომელნიც მარტოობასა და სიღატაკეში სულსა ლევდენ განუზომელი შრომითა და შემოქმედებით წელში გადრეკილნი. რაკი მრავალმილიონიან მასსებს მათი გემოვნების დონემდის ვერ მიეღწიათ, ებრალებოდა ისინი, ვისაც სიკვდილი დიდებისა და სახელის მოხვეჭაზე ადრე უნდა სწვეოდა, რადგან სახელი ხშირად სიკვდილს უსწრებს და ხანაც სახელი სიკვდილს გადაასწრებს. ახლა მუსიკამ გაიტაცა თარაშ ემხვარი. ტანტალივით დაძრწოდა თარაშ ემხვარ, კონცერტებსა და ოპერებს არ აკლდება, დიდ პიანისტებს და ორგელისტებს შენატრის.

* * *

რომში, ფლორენციაში, დრეზდენში, ლუვრში, ბრიტიშ მუზეუმში პლასტიური ხელოვნების უკვდავი ნიმუშები შეიცნო და ეს ყოველივე მოწიწებით, აღტაცებითა და გაოცებით ავსებდა ჭაბუკის გულს.

მაგრამ ხომ არ შეიძლება მუდამ სხვისი შემოქმედებით იყო აღტაცებული და საკუთარი თავი დაგავიწყდეს?

* * *

„როგორც დასაგეშ მიმინოს აბრეშუმის ძაფით თვალებს ამოუკრავენ, მერმე მარცხენა ხელზე დაისვამენ და მთელ ღამეს ა ა ა ა ა ა-ს ჩასძახიან ყურში, რათა თავისი წარსული გადაავიწყონ, თანდაყოლილი ენერგიის პირველადი სილაღე გააცალონ და სხვის ნებაზე ფრენას მიაჩვიონ, ისე ჩამძახოდნენ ყურში ა ა ა ა ა-ს ევროპელი მეცნიერები, მწერლები, მხატვრები და მუსიკოსები შვიდი წლის განმავლობაში“, ეუბნება თარაშ ემხვარ თამარს.

„და მე სულ სხვა გავხდი, ვიდრე აქ ვიყავი და ახლაც იგი არა ვარ, რაც უნდა ვყოფილიყავი. რაც იქ მისწავლია, აქ აღარ გამომადგა და, რაც აქ შემიძენია, იქ არ გამომადგება.

მამასთან ერთად მთელ ევროპაში ყიალის დროს მე გავეცანი დაწვრილებით ევროპის ყოფა-ცხოვრებას, პრესასა და ინდუსტრიას, მართალი გითხრა, შევდრკი, ეს ყოველივე როს შევიცანი. ახლა რა უნდა გააწყოს ჩვენისთანა პატარა ერმა?

შუა საუკუნეებში მანძილების სივრცე, მანქანების პრიმიტიულობა, ბუნების სტიქიონების სიზვიადე შესაძლებელს ხდიდა პატარა ერების დამოუკიდებელ არსებობას.

ახლა დასავლეთით დიდი ერები მოდიან თავიანთი ჰაუბიცებით, ჰაეროპლანებით, პრესით, თეატრით და ლიტერატურით და ჩვენ რა უნდა დავუპირისპიროთ მათ სამაგიეროდ? მიტომაც ვყოყმანობდი შინ დაბრუნებას.

რაღა შორს მივდივართ, კაროლინა ხომ შენი რძალია, ჩვენი რძალია, აფხაზეთის რძალი. ხომ მართებული იქნებოდა, რომ მას ჩვენი ენა შეესწავლა, ჩვენი ჩვეულებები შეეთვისებინა, მაგრამ იცის, ეს მას არა სჭირია. ეს არ აინტერესებს, რადგანაც ჩვენ ცოტანი ვართ. აბა, ორასი მილლიონი ვიყოთ, ძლიერი სახელმწიფო გვქონდეს, მდიდარი ლიტერატურა, მაშინ აქეთ შემოგვეხვეწებოდა, მასწავლეთო“.

თამარი ყურს უგდებდა გულდაკოდილ თარაშის სიტყვებს, მაგრამ სდუმდა, რადგან სანუგეშო სიტყვა არც მას ეგულებოდა თავის გულში. ეს იყო მხოლოდ, ეს აზრები პირველად ესმოდა და არც ისეთი სიმძაფრით შეეგნო თარაშის გულისტკივილი.

თარაშ ემხვარის წინაშე დიდი ასპარეზი იყო, მაგრამ სადაც დიდი ასპარეზია, იქ მოასპარეზეც მრავალია. დედა კი ოქუმიდან იწერებოდა: სხვის ბაღში თურაშაულის დარგვას, საკუთარში მაჟალოს დათესვა გერჩიოსო.

რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო იღვარჭნებოდა დედის ხელი, ასოებს უფრო მეტის კავურებით აბამდა ურთიერთს, ზოგის გადაბმაც ავიწყდებოდა, ალაგ-ალაგ სიტყვებს მარცვლები აკლდა, ხოლო მარცვლებს — ასოები. თარაში მაჯაგანით არჩევდა დედის ნაწერს.

„რკო თუნდ ყვავმაც მოიტანოსო, ოღონდ მშობლიურ მიწაზე გაუვარდესო“, — ამასაც დედა იწერებოდა ოქუმიდან. მერმე მთელი კვირა უბით ატარებდა თარაშ დედის ბარათს, თან ატარებდა, ვიდრე მთლად არ დაიცრიცებოდა ქაღალდი.

რაც დრო გადიოდა, მამისთვის უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა პარიზში, ფირფიტების ქარხანაში მუშაობა.

სად გენერალი და სად გრამმოფონის ფირფიტები!

სად ლურსმანი და სად პანაშვიდი?

მაგრამ ასეა: ჩვენი ეპოქა გასაოცარი წინააღმდეგობითა და

კონტრასტით სავსეა.

და დიდი ჯამბაზი უნდა იყო ადამიანი, ამ უფსკრულებს რომ გადაახტე. ჯამსუღ ემხვარიც არ იყო ჯამბაზი.

ან როგორ წარმოიდგენდა მოხუცი გენერალი, რომლის წინაპრებს მხოლოდ ხმლისა და ცხენის ამბავი უსწავლიათ საუკუნოების მანძილზე, აფხაზეთის მთავრების, ბიზანტიის კეისრების, საქართველოს მეფეების, რუსეთის იმპერატორების სახელით სისხლი უღვრიათ, რომ მას მიხრწნილების ჟამს გრამმოფონის ფირფიტების ქარხანაში მოუხდებოდა მუშაობა?

ჯამსუღ ემხვარიც არ იყო ჯამბაზი და სწორედ შაბათ საღამოს, როცა ფირფიტებით დატვირთულმა ავტომატურ კიბეზე ხუთმეტი მეტრის სიმაღლეს მიაღწია, გული გაუსკდა, ფირფიტები ბზრიალით, ფრიალით ძირს დაეშვნენ, ხოლო გენერალს მიწამდე სული არ დაჰყოლია. ძირს დაცემულმა რომელიღაც მანქანის ძგიდეს შუბლი დაჰკრა და თავის ქალა გაუსკდა. მაშინ ფრანგმა მუშებმა ჩამოხსნეს კისრიდან თეთრი ჩაბალახი და უზომოდ დასახიჩრებული თავი წაუკრეს ჯამსუღს, თუმცა არც ისეთი დიდის ოსტატობით, როგორც ეს აფხაზებს სჩვევიათ, მაგრამ, ასე თუ ისე, მაინც შეუხვიეს.

თარაში სწორედ იმ თვეში ათავებდა მიუნხენის უნივერსიტეტს. პარიზელმა ქართველებმა ფული ჩამოითხოვეს და დაამარხვინეს მამა თარაშ ემხვარს. და პერლაშეზის სასაფლაოზე დამარხულ ცხედარს თავი აფხაზური თეთრი ჩაბალახით ჰქონდა გაკრული.

* * *

თარაშ ემხვარმა მაჯის საათს დახედა. ზეწამოიჭრა. თამარი შეეპატიჟა. უნდოდა კიდევ ცოტა ხანს დარჩენილიყო თარაში,

მაგრამ იცოდა: უხერხული იყო, გვიან ღამემდის რომ დარჩენილიყო მის ოთახში ახალგაზრდა ვაჟი.

თარაშს უმძიმდა მისგან განშორება, მაგრამ თავათაც უსიტყვოდ იგრძნო ეს უხერხულობა. სამუშაო მაქვსო, მოიმიზეზა და ბნელ ეზოში გავიდა.

თუთების ხეივანში მიმავალმა ბულბულის ხმა გაიგონა. განმარტოებული მღეროდა ბულბული აკაციების გადმოღმა.

მივიწყებული ანგელოზები

არზაყან მთელი დღე დაეძებდა დაბაში თამარს. მოჰკრავდა თუ არა თვალს მალაღურისფერ ბერეტს, თამარი ეგონა, გული აუტოკდებოდა, ისეთი ვინმე მაინც შეხვედროდა, თუნდაც უბრალოდ რომ უხსენებდა თამარს, ნაცნობებიც ხვდებოდნენ, მაგრამ არავის დასცდენია მისი სახელი. ისე გამოდიოდა, თითქოს წინასწარ შეთქმულიყვნენ. შეხვდებოდა თუ არა რომელიმე ნაცნობს თამარისას, მოკრძალებული, მორცხვი არზაყან ქუჩას გადასერავდა, თავაზიანად მიესალმებოდა, დარდიანი თვალებით შესცქეროდა, თითქოს ემუდარებოდა კიდევაც: ეთქვათ მისთვის ორიოდე სიტყვა, მისი სახელი მაინც ეხსენებინათ ანაზდად.

როყიოდ, უსაბაბოდ მოეკითხა თამარი? ასეთი რამ პატარა, ჭორიკანა დაბაში არ ივარგებდა.

წინაღამეს ენგურთან ნაბრძოლი და უძინარი ძლივს დალასლასებდა. ტროპიული ციებით დაავადებულ ხურვების ჟამი მოსვლოდა. მუხლებში სისუსტესა გრძნობდა, ოდნავ თავი სტკიოდა,

პირი უშრებოდა მალიმალ. სასტუმრო „ოდიშის“ რესტორანში შეყიალდა, პილპილიანი საჭმელი მოითხოვა, ორიოდე ჭიქა არაყი დალია, აგრეთვე პილპილი ან, კერძი უგემური ეჩვენა. ერთ ადგილას ჯდომას ვერ ეგუებოდა. ადგა ისევ, რკინიგზის სადგურისაკენ გაემართა.

ტფილისის მატარებელი იგვიანებდა. ყველა და ყველაფერი მოსაწყენი ეჩვენებოდა. ამხანაგებს შეხვდა. პური ვჭამოთო, უთხრეს. დაპატიჟებული ვარო, მოიბოდიშა და გაეცალა.

მზეს გასცქეროდა დასავლეთისაკენ გადახრილს, დაღამება ეჩქარებოდა, რადგან იცოდა, ნახუცარი ადრე წვებოდა და მერმე შესაძლებელი იქნებოდა შარვაშიძეანთ ოჯახში მისვლა.

ერთ პატარა შუკას მიჰყვა არზაყან ანაზდეულად. ბატები ჰკორტნიდნენ ქვაფენილზე ამოსულ ბალახს. ფილაქანების გასწვრივ ჩარაზმულ მესრებს მწვანე ხავსი მოსდებოდა. ერთსართულიან ხის სახლებიდან ობისა და ნესტის სუნი გამოდიოდა.

სპეციფიური, ოდიშური სუნი, ციების სუნი.

ასეთი სუნი ასდის ბარის ოდიშში სახლებს და ავეჯს. ეს სუნი სდგას ქუჩაზე, ბაღებსა და ბოსტნებში. განსაკუთრებით ნაწვიმარზე, როცა ჭებსა და თხრილებში მომწვანო წყალი ჩადგება ხოლმე.

დაბაში ილლუმინაცია იწყებოდა. წითელი დროშები ფრიალებდა სახურავებსა და ჭიშკრების სვეტებზე.

ეს პატარა შუკა ეუცხოვა, ცალ მხარეზე მესრები დაენგრიათ, სამალარიო დისპანსერს აშენებდნენ. ხარაჩოების მთელი ტყე გარს ერტყა აგურით ნაგებ შენობის ჩონჩხს. აგურების ყორეზე ჩამოჯდა. შუბლიდან ოფლი მოიწმინდა. მიჰყვა ისევ ამ შუკას, ეცნაურა სასაფლაოს ლოდებისა და ძეგლების სახელოსნო. გულარეული შესცქეროდა უგემურად გამოჩორგვილ ფრთიან ანგელოსებს, ჯვრებს, ლოდებს და მავზოლების თავკიდურეებს. რა

ულამაზოდ გაეხორციელებინა ცუდი ოსტატის ხელს გაფრენილი ადამიანის იდეა! ამ მფრინავ ადამიანს, ანგელოსის სახით წარმოდგენილს, საუკუნოების მანძილზე პირჯვარს აწერდა, თაყვანს სცემდა კაცობრიობა...

და ახლა... ჩვენს დროში, — ფიქრობდა არზაყან, — როცა თავათ ადამიანი დაფრინავს ეთერში, როცა ვარსკვლავებს და მთვარეს ეახლა ადამიანის გენიის მიერ გამონაგონი მოტორი, როცა ცეპელინების გუგუნმა დააფრთხო ანგელოსებით დასახლებული ცა...

ასეა: ცაში ღმერთს აეჭრა ადამიანი და რა სისულელეა, ჩვენს საუკუნეში, ამ უმგვანო ანგელოსების ჯოგი ამოდენა მიწას რომ იკავებს შუაგულ ქალაქში.

ანგელოსები, როგორც სჩანს, დიდი ხნის შენაკვეთი ყოფილან; წვიმებსა და თქეშს აეფერადებინათ უბრალო თეთრი ქვა, მოშავო, მოყვითალო ზოლები. ზედვე ეტყობოდათ: უპატრონოდ მორჩენილიყვნენ ეს ანგელოსები, რაკი მყიდველი არ გამოჩენილიყო. როგორ არ შვენოდა ამ უშნო, უზარმაზარ ტიტველ ქალებს ბატის ფრთები! ამ ფრთებზე ისვენებდნენ, როგორც სჩანს, ფრინველები. სკორეთი დასკინტულნი იყვნენ სავსებით ანგელოსების თავები, ფრთები, მავზოლეების ჯვრები და თავკიდურები.

უაზროდ ეჩვენა არზაყანს ეს ეკლესიური ქართულით წარწერილი ეპიტაფიები, სადაც შენდობის, ცხონების, მოგონების, ხსენების მუდარა იყო ამოკვეთილი... ახალი დროის ჭალიკონს მოესწრო ამ ჯვრებისა და ანგელოსებისათვის, იმ მიცვალებულთა სამარხებამდის არ მიეშვათ, ვისთვისაც აუგია ოდესღაც ისინი გემოვნებამოკლებულ ოსტატის ხელებს.

ერთი გაჯგიმული ანგელოსი მწვანე კვარცხლბეკზე იდგა მხარჩამოლეწილი. კვარცხლბეკზე ეწერა: „და უცხოთაგან იცავ

მონა შენი, არათუ მეუფლნენ მე: მაშინ უბიწო ვიყვე მე: და განგწმინდე მე ცოდვებისაგან დიდისა: იყავნ შენდა სათნო სიტყუანი პირისა ჩემისანი და ზრახვანი გულისა ჩემისანი შენ წინაშე მარადის, უფალო: მწეო ჩემო და მხსნელო ჩემო:

ცანი და ქვეყანანი წარხდნენ და სიტყვანი ჩემნი არ წარხდნენ“...

იდგა და კითხულობდა არზაყან ამ წარწერას, ღიმი მოჰგვარეს მას ამ სიტყვებმა და მით უმეტეს უაზროდ ეჩვენა ეს ყოველივე, რადგან გაუგებარი იყო, ვინ ამბობდა ამას, სად და ვის მიმართ?

გაეცალა არზაყან ამ სანახაობას, მაგრამ უაზროდ შთენილი სიტყვები წამოჰყვნენ თან. ხვალ უსათუოდ გავივლი ადგილობრივ უღმერთოთა საზოგადოებაში, ვეტყვი: აიღონ და მოაშორონ აქედან ეს ანგელოსები, რადგან ეს სიტყვები ამ ანგელოსებზე უფრო საშიშარნი არიან. სდგანან ეს შიშველი სიტყვები ამ შარაგზაზე, რამდენი მოცლილი წაიკითხავს მათ, სიტყვა ბრმა ტყვიასავით სახიფათოა, მაგრამ ყველაფერზე უფრო სახიფათოა უკვე დაწერილი სიტყვა.

ასე ფიქრობდა არზაყან. ჭადრების ხეივანს მიაღწია. ზუგდიდის ერთადერთი პროსპექტი და დადიანისეული სასახლე დროშებით იყო დახუნძლული. ის იყო, სასახლიდან გამოდიოდა ანტირელიგიური პროცესსია კომკავშირელების და ახალგაზრდების მეთაურობით. პროცესსიას წინ მიუძღოდნენ მწვანითა და ნეშოთი შემკული მსუბუქი ავტომობილები და ცხენოსანი მილიცია. არზაყანმა ცხენებს შეავლო თვალი. ორიოდე მათგანი მოეწონა. ბავშვები ყურაცქვეტილი მისდევდნენ უცხო ჩვენებას. უკან მათ მოყვებოდნენ ტრაქტორები, ერთი უშველებელი ტრაქტორი „მაკ-კორნიკ დირინგის“ ფირმისა, სახელგანთქმული „ჰოლტი“, უზარმაზარი „კატერ პილერი“ და „ფორმოლ“.

ამათ შემდეგ საქართველოს პროფკავშირების ზუგდიდური

განყოფილების მუშაკნი მოდიოდნენ, ხოლო ცენტრში ანტირელიგიური ნიღაბები. საბარგო ავტომობილებზე იჯდა ვიღაც პარიკიანი მაჯლაჯუნა კაცი, რომელსაც სიმინდის ხაშარისაგან შეხანხლული გრძელი თმა-წვერი მოსავდა, მჭვარტლით შემურულს. ეს უნდა ყოფილიყო ებრაელების ღმერთი საბაოთ.

ეს „ღმერთი“ საკმაოდ ღიპიანი იყო, მას ძველი, გახუნებული ანაფორა ეცვა და უშველებელი ფუტბოლის ბურთი ედვა მუხლზე. ბურთი ალბათ დედამიწის ალეგორიად უნდა ყოფილიყო აქ მოტანილი.

„ღმერთი“ გაუნძრევლად იჯდა საბარგო ავტომობილზე. ზედვე ეტყობოდა — მსახიობს ძლიერ უჭირდა ამ როლის შესრულება.

„ღმერთს“ უკან მოსდევდა გაძვალტყავებულ ვირზე შემჯდარი „ქრისტე“, ხოლო „ქრისტე“ ძლიერ წააგავდა ზეთის მხატვრობის „ბოგომაზების“ უნიჭო ყალმით შესრულებულ რუსულ ხატების იესოს.

შავწვერა იყო. ნაგვემი სახე ჰქონდა, მუქი ფერადით შეთითხნილი და თვალის ქვედა უპე ისე ჩაშავებოდა, როგორც ეს სჩვევიათ ხოლმე პროვინციის სცენის მოყვარეებს, როცა ისინი გულით მოწადინებულნი არიან, საზოგადოებამ, ვერ იცნოს როგორმე.

„ღმერთსა“ და „ქრისტეს“ უკან მიჰყვებოდა ჯაგლაგ ჭაკზე შემჯდარი ხუცესი, იგიც „ღმერთსავით“ ფაშვიანი იყო (თუმცა ზედვე ეტყობოდა: ეს ფაშვები ბალიშის შემწეობით გაეკეთებინათ) და ისევე ღაწვებღაჟღაჟა, როგორც ძველ დროში სოფლის მღვდელი გვინახავს ჩვენში. თავზე რაღაც საოცარი წოწოლიკა ჩაჩი ეხურა ხუცესს, მკერდზე თითბერის ჯვარი ეკიდა, ხელში საცეცხლური ეჭირა და გამვლელებს სახეში აკმევდა კვამლიან საცეცხლურს, თავათაც თხის ღმერთსავით იღრიჭებოდა. ფეხშიშველი ბავშვე-

ბის მთელი ლაშქარი უკან მისდევდა ხუცესს, დასცინოდნენ, აპამ-პულავებდნენ, გაძვალტყავებულ ზერდაგს ძუაზე ჰკიდებდნენ ხელს; და ეს ცხენი მაინც ისე საცოდავი ამოერჩიათ, რომ მხოლოდ ცხენი ჰქმნიდა მწუხარე შთაბეჭდილებას ამ მხიარულ მასკარადში, რადგან „ღმერთის“ გარდა ყველა იჯღანებოდა — „ქრისტეცა“ და მღვდელიც და მათი მხლებელი მოციქულები და ასაბიები, მხოლოდ ხუცესის ცხენი მიდიოდა სადავემიშვებული, თავჩაქინდრული. თვალებში, კისერზე და კვირისთავებთან გაჩენილ წყლულებს ბუზების მთელი ლეგიონი ესეოდა. მიჩაქჩაქებდა საბრალო ცხოველი, უმწეოდ მიაკანტურებდა თავს, თითქოს სწყევლიდა კიდევაც თავის გამჩენს.

აქ ერთბაშად თავშიშველ ლუკაიას თვალი მოჰკრა არზაყანმა: შუკის კუთხეში ბავშვები დადევნებოდნენ უკან. ლუკაიას ვეღარ მოეთმინა, ალბათ უნდოდა ენახა, თუ როგორ დასცინოდნენ კომკავშირელები „ღმერთს“. არზაყანს განაგონი ჰქონდა: იგი ყოველწლიურად თავს ესხმოდა ამგვარ ანტირელიგიურ პროცესსიას, მაგრამ მისი „თავდასხმები“ იმით მთავრდებოდა, რომ ლუკაიასაც ისევე გააპამპულებდნენ, როგორც მის ღმერთს, ეს იყო მხოლოდ, ლუკაია წყევლით, ლანძღვითა და ყვირილით მოიჯერებდა ხოლმე გულს.

ძაბული

„მე სათუთი ვარ, როგორც
ქორფა ყვავილი ვაშლის,
ჩუმი და სათნო, ვით
ქურციკი ორიოდ კვირის,
ჩემს ნაზ ოცნებას
ერიდება ფრთების გაშლის,
და ჩემს ნაზ სულში
ცეცხლი ღვივის და ცეცხლი სტი-
რის“.

არზაყანმა გამზირის ბოლომდე გააცილა დემონსტრაცია. მხარმარჯვნით შეუხვია. მახლობელ ეზოს ჭიშკარში შესდგა.

ბავშვები ლახტს თამაშობდნენ ხავსმოდებულ სახლის ლაფა-როში. მოზრდილებს სახე და წვივები დასწვოდათ მზეზე. უმცრო-სებს მოხარშული კომშისფერი სახე ჰქონდათ. იდგნენ, თამაშს

შესცქეროდნენ და მელანქოლიურად იღიმებოდნენ. ყველაზე უმცროსს მოხდენილი სახე ჰქონდა, მაგრამ სიყვითლე მორეოდა პატარას, გუგეებიც კი ლიმონივით გაყვითლებოდა, მუცელი გაბერეოდა, თავი და ნიკაპი მუწუკებს დაეფარა.

სწორედ ამ ბიჭუნას შეაჩერდა არზაყან, ეცნაურა ამ ბალღის სახე.

ჰმ, ციება, ციება!.. გაიფიქრა არზაყანმა და გონების თვალი კოლხიდის ჭაობებისაკენ გაექცა. ორი წელი იმუშავა არზაყანმა კოლხიდის ჭაობის დასაშრობად. ბოლშევიკები უთუოდ ამ მიუვალ ციხესაც ავიღებთ და სამარადჟამოდ მოისპობა მალარია — კოლხიდის ბავშვების მმუსვრელი, გაუელვა არზაყანს თავში.

გაუღიმა არზაყანს მუწუკიანმა ბალღმა.

„უტა ხარ?“ მომღიმარი ბავშვი თავს უქნევს.

„ძაბული სახლშია?“ ძაბული შინ ყოფილიყო. ბავშვი წინ შეუძღვა.

წინად ძაბულის სავსებით არა რცხვენოდა არზაყანის, რამდენჯერ ერთად უბანავიათ, მაგრამ ახლა, როცა დავაჟკაცებული მეგობარი თავზე წამოადგა, ანაზდეულად ცალი ხელი საკინძეს მოსჭიდა, ცალითაც მუხლებზე გადაიჭინთა ისედაც მოკლე კაბა, მაგრამ ვერც მკერდის სისავსე დაფარა და ვეღარც მუხლისთავების სიშიშვლე.

ქალი აიმღვრა, თუმცა მოკრძალებულად, მაგრამ მაინც ჯიქურად მისწვდა არზაყანის მზერა ძაბულის მოწითანო წვივებს, მუხლისთავებთან ხვავიან ხორცის მასაში გადამავალთ.

ძაბულის სხეულში არ იყო არც ხაზების გრაცია, არც ფორმების ელასტიური მოქნილობა, მაგრამ მარტოოდენ სიჭარბემ და სიშიშვლემ ხორცისამ ანაზდეულად ააღელვა ჭაბუკი. არზაყანის თვალმა ძაბულის განიერსა და მომრგვალებულ თეძოსთავებს

გადაურბინა, ქისაიის სამოსში გამოკრულ სიმრგვალეს და მასსიურობას მომეტებულის მღელვარებით გადახედა.

თუმცა თამარის დარდი გულზე შემონთებოდა არზაყანს, იჯდა იგი, შესცქეროდა ძაბულის და ამ ქალის აღნაგობიდან ამდგარი სილბო და სიტფო განუსაზღვრელ სასოებას ჰგვრიდა მის დაქანცულ სულს.

ოდნავ წელში მოდრეკილი იჯდა არზაყან სკამზე. ორივე ხელით პირუკმოდ მოსჭიდებოდა სკამის ზურგს. თითქოს მის სხეულს სიმძიმის ცენტრი დაჰკარგვოდა... ეშინოდა, სკამიდან არ გადმოვარდნილიყო. სწორად ჯდომის უნარი დაჰკარგვოდა, უკვე აღარ შეეძლო ცალკეულად სივრცეში ყოფნა და მაგნეტურის ძალით იტაცებდა მას ტახტზე წამოწეული ქალის სხეული. აფხაზური რიდი ქალის წინაშე ბოჭავდა არზაყანს ამ წუთში, თორემ უთუოდ წამოდგებოდა, ან უკვე ტახტზე ფეხმორთხმულად წამომჯდარ ძაბულის კალთაში ჩაუდებდა თავს, ძაბულის, როგორც დას, როგორც დედას ან როგორც ცოლს. და სწორედ ასეთი საქციელი თუ დააშოშმინებდა მასში უკანასკნელი დღეების მღელვარებას და აღტკინებული სხეულის ქენჯნას.

ძაბულიმ შეამჩნია არზაყანის მღელვარება წმინდა ქვეშეცნეული ქალური ინსტინქტით. თავათაც აღელდა ოდნავად, მაგრამ დიაცური მოთმინების ძალით დასძლია მყისვე თავის თავს და უსაზმნო ტიკტიკით დაუწყო ლაყბობა არზაყანს: აგონებდა ბავშვობას და სიჭაბუკეს, როცა ორივენი ფეხშიშველი დარბოდნენ სკოლაში და არც ერთმა არ იცოდა, თუ რა იყო მათ შორის ქალი და კაცი. საუბარმა გაანელა არზაყანის ვნება. მან ხელები შეუშვა სკამის ზურგს, წელში გაიმართა ისევ, იცინოდა თავათაც, მაგრამ მომეტებულად ყურს უგდებდა ძაბულის. მორჩილად, უდრტვინველად უცდიდა ახლა არზაყან ისეთ მომენტს, როცა ძაბული მო-

ათავებდა ცისა და ბარის ამბებს, სიცილის, კისკისის და უვნებელი ჭორაობის ტონით მოთხრობილს და ბოლოს ერთხელ მაინც ახსენებდა თამარს. და მაშინ ფრთხილად, ძალიან ფრთხილად უთუოდ შეეკითხებოდა არზაყან, თუ სად უნდა ყოფილიყო თამარი.

მთელი დღე მშიერი, დაქანცული ეძებდა არზაყან ისეთ ადამიანს, რომელსაც შეეძლო თამარი ეხსენებინა. არავინ შეუსრულა წადილი. ახლა ძაბულისთან მისულიყო მხოლოდ იმისათვის, რომ გაეგო, სად იყო თამარი? მხოლოდ იმისათვის, რომ ვინმეს პირიდან გაეგონა თამარის სახელი. და ძაბულიც თითქოს ერიდებოდა არზაყანთან თამარის ხსენებას. ძაბული დოღის ამბებით დაინტერესდა. უგუნებოდ აძლევდა არზაყან პასუხს მისდამი მიმართულ შეკითხვებზე და სწორედ იმ წუთში, როცა არზაყან დარწმუნდა, რომ ამ საღამოს სულაც არ ახსენებდა თამარის სახელს ძაბული, სავსებით მოულოდნელად მიატოვა ძაბულიმ ცხენების ამბავი და თამარის ნაცვლად თარაშ ემხვარი ახსენა.

არასდროს ასეთი დიდი სიძულვილი არ უგრძვნია არზაყანს თარაშის სახელის ხსენებისას. ოდესღაც მისი საფიცარი ძმა იყო თარაში, დედის ძუძუსთან დამეგობრებული.

ან ვინ იქნება ამქვეყნად იმაზე უტკბესი, ვისთვისაც დედის ხსენი გაგიზიარებია? ვინ იქნება ამქვეყნად იმაზე უძვირფასესი, ვისთანაც პირველი ნაბიჯის გადადგმა გისწავლია? ერთი და იმავე ჯამიდან რძე გისვამს ბალღობისას, ბავშვობისას ბურთი გითამაშნია, ვისთანაც პირველი სიხარული გაერთებს და ამქვეყნად მოსვლის პირველი ლხენა?!

ასეთი იყო ოდესღაც არზაყანისათვის თარაშ ემხვარი და ახლა ისე ემწარა ეს სახელი არზაყანს, როგორც ცრუმორწმუნეს — მორიელის სახსენებელი.

ძაბულისაგან გაიგო არზაყანმა — თარაშს ოჩამჩირის მატარებლით ჩამოუსწრია დაბაში არზაყანისათვის, მაგრამ თამარი სადღაა? ფიქრობდა არზაყან, აწრიალდა არზაყან ამ ამბის გამგონე, თავშეკავებამ წასძლია. პირი მოკუმა.

ძაბული ხელაღებით განაგრძობდა თარაშ ემხვარის ქებას. ევროპაში სამეცნიერო ხარისხი მოუხვეჭიაო, თარაშის პირველი მეცნიერული გამოკვლევა აფხაზური ენისათვის პრუსიის სამეცნიერო აკადემიას გამოუცია და ვიღაც მსოფლიო სახელის მეცნიერს წინასიტყვა დაუწერიაო. ამ მეცნიერს აღუნიშნავს: აფხაზური ენის მეცნიერულად მცოდნე მთელს ქვეყანაზე სულ ორიოდე კაცი მოიპოვებაო. ტფილისის სამეცნიერო წრეებიც ახალგაზრდა აფხაზ მეცნიერზე დიდ იმედებს ამყარებენო. მაგრამ ეს არისო, აღიარებდა ძაბული, თავათ თარაში ნამეტნავად ამპარტავანიაო და ვიღაც ქართველ მეცნიერს უთქვამს თურმე ამ დაბაში თარაშთან ერთად სამეცნიერო მუშაობისათვის ჩამოსულს, თარაშს მეცნიერისათვის აუცილებელი სიდინჯე აკლიაო. თუმცა უნდა ითქვას, თარაშ ემხვარმა ყველას გვაჯობაო, დასძინა ძაბულიმ.

ახლა ძაბული პროვინციულ ჭორების მიმოხილვას შეუდგა: თარაშის ინგლისური კოსტიუმების აღწერა დაიწყო, თარაში წარამარა იცვლისო კოსტიუმებს, მუდამ წვერგაპარსული რომ დადის და პროვინციელი ქალები ამჩნევენო მისი მრავალფეროვანი ყელსახვევების და წინდების ცვლას. ტექნიკუმის მოწაფე ქალები ლექსებს უძღვნიანო... და თურმე ზოგიერთი პატივცემული მანდილოსანიც ვეღარ იკავებს თავს თარაშის ახოვანი ბეჭების, დიდრონი ორბული თვალების, გრძელი და პატარა ფეხების, აფხაზური ჯენტლმენობისა და უცხოური აღნაგობის პირისპირ ისიც გამოამჟღავნა ძაბულიმ, რომ თარაში ტფილისში ნაცხოვრება თურმე სასტუმრო „ორიანტში“, ერთ ამერიკელ ქალთან ჰქონია ფლირტი და ერთ კვირაში თვით არარომანტიულ ამერიკელ

ქალს თავი მოუწამლავს სტრიხნინით. ვიღაც დიდი კაცისათვის ცოლი წაურთმევია თურმე თარაშ ემხვარს, მაგრამ თაფლის თვეს გაუვლია და ისევ დაუბრუნებია ის ქალი მადლიერი ქმრისათვის.

უცხოეთში ყოფნისას მრავალი დუელი გადაუტანია ქალების გამო თარაშს. ორგზის ყოფილა დაჭრილი და პარიზში ვიღაც ამერიკელი ფაბრიკანტი შემოკვდომია დუელში, რადგან ამერიკელს გეოგრაფია კარგად არა ცოდნიაო და არც ის, აფხაზები გაჭენებული ცხენიდან მათრახს რომ სწყვეტენ ტყვიით. და ქალის გულისათვის თარაშ ემხვარს მრავალი ავანტიურა ჰქონია თურმე გავლილი.

უზომოდ იტანჯებოდა ამ ამბების გამგონე არზაყან, მაგრამ მხნეობას იკრებდა. არც ის უნდოდა: ძაბულის ეს შეემჩნია და თავად ძაბული და მისი სხეული ჭრელი გველივით შესძულდა არზაყანს. ახლა ამჩნევდა იგი, რომ ძაბულის ძალიან თხელი და განიერი ტუჩები ჰქონია თურმე.

ის იყო, არზაყანი ადგომას აპირებდა, რათა ამ საუბარს გასცლოდა როგორმე, მოულოდნელად თამარი მოიგონა ძაბულიმ და უბრალოდ, მიამიტად, გულგრილად ახსენა თამარი. არზაყანს გაუკვირდა კიდევაც: როგორ შეიძლებოდა ასე უბრალოდ ეხსენებინა ვინმეს მისი სახელი. არზაყანს არც კი გაუგონია იმ წუთში, თუ რის გამო მოიგონა ძაბულიმ თამარი. ეს სიტყვა „თამარი“, მეორე პირიდან განაგონი, ისე მოედო მის გულს, როგორც ანაზდეულად შეყრილი ხურვება. და ამ ერთმა სიტყვამ მთელი მისი სხეული გაათბო, გაანათა, გამსჭვირვალე გახადა, როგორც რენტგენის სხივმა გააშუქოს სისხლითა და ხორცით გავსილი და დაბნელებული სხეული რამ.

ძაბული უკანასკნელ ხანებში ავადმყოფობდა თურმე, თამარს

ერთხელაც არ გამოუვლია მასთან. ტფილისს წასვლას აპირებდაო, შესაძლოა, კიდევაც წასული იყოსო, ამბობდა ძაბული. თამარს ახლა უნივერსიტეტში შესვლის მეტი არაფერი აინტერესებსო. ძაბულიმ ისევ სხვა საგანზე გადაიტანა საუბარი. არზაყანი უკვე ყურს აღარ უგდებდა ძაბულის ნათხრობს, ანალიზს უკეთებდა თავის გულში ამ წუთში განაგონს. უნდოდა: კიდევ წარმოეთქვა ძაბულის მისი სახელი: თამარ, თამარ, თამარ, კიდევ და კიდევ, კიდევ და კიდევ...

რად მიიწევდა თამარი ტფილისისაკენ? — ვინ იცის, ეგებ იმიტომაც, რომ უახლოესს შემოდგომაზე არზაყანიც ინსტიტუტში შესვლას აპირებს. მაგრამ არა, აქ სულ სხვა მიზეზია. თარაშ ემხვარს იწვევენ ტფილისის უნივერსიტეტში. და ალბათ ამ ქალბატონს ეს უნდა, თარაშის ახლოს იქნეს, მისი მსმენელი გახდეს და მერმე...

მერმე ვინ იცის... და ამ „მერმეში“ მთელს უფსკრულს ჰხედავს არზაყან. ჯერ ახლაც, როცა თარაში ლაპარაკს დაიწყებს, თამარი ისე გაინაბება, როგორც ნაქერალში მწყერი. თავის მარაოსებურ გრძელსა და შავ წამწამებს მოსწურავს, გატრუნული ყურს უგდებს.

ერთი რამ ძლიერ აეჭვებს არზაყანს: თამარი უფრთხის თარაშის ნათქვამის გამო რაიმე აზრის გამოთქმას, ამას მრავალგზის დაკვირვებია არზაყან. კაროლინა მყისვე მივარდება თარაშს, როგორც კი თავის გაუგონარ პარადოქსებს მოჰყვება თარაში.

მაგრამ თამარი?

თამარი არასდროს არავის აგრძნობინებს, თუ რას ფიქრობს თავათ თარაშის ნათქვამის გამო. რამდენჯერ უცდია კიდევაც არზაყანს, გამოეკითხა მისი აზრი თარაშის ნათქვამის გამო, მაგრამ თამარი ან სდუმდა, ან ბანზე უგდებდა სიტყვას. და ამ დუმილისათვის მუდამ სძაგდა არზაყანს თამარი.

ისინი მისი ბავშვობის ამხანაგებია, მაგრამ მისთვის მაინც სხვებია, მაინც თავადებია ისინი და თავადები დუმილითაც უკეთ გაუგებენ ურთიერთს.

ააჰ, რამდენჯერ გაუხელებია ამ ნესტიან კედლებსავით ყრუ დუმილს თამარისას არზაყან ზვამბაია!

ძაბულიმ ისევ თამარზე ჩამოაგდო სიტყვა. ისევ თავის ავადმყოფობას მიუბრუნდა და თამარის გულმავიწყობა აძაგა, როგორც ყოველი ლამაზი ქალი, თამარი უზომოდ ეგოისტიაო; როგორც ყოველი თავადის ქალი, თამარი ქარაფშუტააო, მეგობარს წარამარა იცვლისო, თუ მუდამ გუნდრუკი არ უკმიე, უთუოდ გულს აგარიდებსო, საერთოდ, გულჩათხრობილიაო და შარვაშიძისეულ სიამაყეს ახალ დროშიაც ვერ გადასჩვევიაო. არზაყანს ენიშნა ძაბულის ნათქვამი. მართლაცდა, იგი კარგად ამჩნევს: რაც თარაშ ემხვარი უცხოეთიდან დაბრუნდა, თამარი ოდნავ გულცივად ეპყრობა მას.

თამარზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თარაშის გაპარსულმა კისერმა, ინგლისურად შეკრეჭილმა ულვაშებმა, მოხდენილმა კოსტიუმებმა, გალაქულმა ფრჩხილებმა, ჟამიდან ჟამზე მისმა მრავლისმეტყველმა დუმილმა, სხვანაირმა თავდაჭერამ, გესლიანმა ლაპარაკმა, პარიზული ნელსურნელების სუნმა, მის ყელსახვევს, მის ტანისამოსს, მის ცხვირსახოცს რომ ასდის მუდამ.

აფხაზი ვაჟკაცის თვალსაზრისით, ეს ყოველივე გულისამრევია უთუოდ. თამარი მის სიახლოვეს წონასწორობას ჰკარგავს, ეციგლიგება, ხან მის ჟღალ ქუდს დაიხურავს, ხან ზამშის ხელთათმანებს იცვამს, ხანაც პიჯაკს გახდის, თავად გადიცვამს. ასე ეთამაშება, მაგრამ როცა თარაშ ემხვარი ლაპარაკს დაიწყებს, კაროლინას შეეკამათება, თამარი სულგანაბული ზის და ყურს უგდებს.

კაროლინა თუმცა აფხაზის ცოლია, მაგრამ მაინც გერმანელი ქალია, მას მიეტევება მამაკაცთან სითამამის გამოჩენა, მაგრამ თამარი ხომ აფხაზის ქალია. არზაყან იმასაც ამჩნევს, რომ თამარი კაროლინასადმი ეჭვიანობს კიდევაც. გასულ თვეს სადღაც დღეობაზე იყვნენ. სანამდის ღვინის სმა დაიწყებოდა, თარაში თამარს ართობდა საუბრით არზაყან მდუმარედ სჭამდა. როცა ორიოდე ყანწი ძალით გამოაცლევინა თამადამ თარაშს, ერთბაშად თარაშმა თამართან საუბარი მიატოვა, კაროლინას დაუწყო საუბარი. კაროლინას ფართო დეკოლტეში აპარებდა მზერას. თამარისა და არზაყანისათვის გაუგებარ ენაზე ელაპარაკებოდა.

თამარმა თავის ტკივილი მოიმიზეზა, ჯერ ნიშადურის სპირტი მოითხოვა, მერმე ადგა და გავიდა. ორიოდე საათის შემდეგ ძლივს მოიყვანა სუფრასთან დიასახლისმა.

* * *

ძაბული განაგრძობს თამარის გამო ლაპარაკს. მის ღირსებებსაც ეხება ძაბული, უთუოდ ლამაზი და ჭკვიანი ქალიაო, ასე ამბობს.

არზაყანს კი ის ურჩევნია, თამარს რომ აძაგებდეს ძაბული. ყურს უგდებს მის საუბარს არზაყან და გონების თვალით ადარებს თამარსა და ძაბულის ურთიერთს. ვინ იცის, ეგებ მამა მართალი იყოს. ეგებ ახალ დროსაც ვერ ამოევსოს თავადსა და გლეხს შორის არსებული უფსკრული?..

ძაბული გლეხის ქალია, ჯანსაღი, თავმდაბალი გლეხის ქალი.

ახლა, ამ წუთში ძაბული რომ აძაგებდეს თამარსაც და თარაშსაც, ამ წუთში რომ ძაბული ისეთ რამეს იტყოდეს, რაც სავსებით აღმოკვეთს თამარისადმი სიყვარულს მისი გულიდან ისე, როგორც გლეხი ანწლს ამოგლეჯს ხოლმე თავის ყანიდან, არზაყან სამუდამოდ შეიძულებდა თამარს, სამუდამოდ შეიძულებდა ამ

„ცისფერსისხლიან“ თავადის ქალს, უზომოდ ამპარტავანსა და თავმოთნეს და უთუოდ ძაბულის შეიყვარებდა არზაყან. ისინი უფრო კარგად გაუგებდნენ ურთიერთს.. ძაბული უთუოდ კეთილი ქალია, იგი არც ისე გააწვალებდა არზაყანს, როგორც ამას ჩადიოდა მის მიმართ თამარი. ახლავე, ამავე წუთში ადგებოდა არზაყან, თავის დაქანცულ თავს მიაყრდნობდა ძაბულის სავსე მკერდს; და თამარს არა აქვს ძაბულისავით მშვენიერი და მაღალი მკერდი. აფხაზის ქალებს ოდნავ დაშრეტილი მკერდი აქვთ (ეს შეუმჩნევია მრავალგზის არზაყანს). არც ძაბულისებრ განიერი თეძოები აქვს თამარს.

ძაბული მეგრელი ქალია, გულხმიერი და ტკბილი, ისევე ტკბილი, როგორც ბარის მეგრული, ისევე ნაზი, როგორც მეგრული შოუ ნანა, საღი და მარტივი, როგორც მეგრული ჩონგური.

თამარმა ამას წინად ირონიულად შენიშნა არზაყანს: წვერგაუპარსავი ნუ დადიხარო, კისერი გაიპარსეო, ულვაშები მოკლედ შეაკრეჭინეო, ფრჩხილები შეაკეთებინეო.

ეს სულ თარაშ ემხვარის ზეგავლენაა, ეს უნდა თამარს: ბურჟუაზიულ ქვეყნებში გაზრდილ თავადის ვაჟს დაამსგავსოს არზაყან.

ეს უნდა მას. ირანელსავით გააპარსვინოს არზაყანს კისერი, ინით შეაღებინოს ფრჩხილები.

ეს უნდა მას. თამარი... თამარი...

საძაგელი ამ სიტყვების მოგონება უნდა არზაყანს, მაგრამ ვერ კი მოუგონია.

ძაბული თამარსავით არ გესლავს ვაჟს, დამყოლია და მორჩილი, ცხენისწყლის თაფლივით ტკბილი სიტყვა ამოსდის პირიდან. ძაბული ობოლი ქალია. მარტო ის რად ღირს, ეგზომ გულმოდგინედ რომ უვლის დედ-მამის სიკვდილის შემდეგ უდროოდ დაობლებულ და-ძმას. საბეჭდ მანქანაზე მუშაობს ძაბული და მიტომაც ოდნავ გატლანქებულია მისი ხელების კუნთები, ალბათ ზედმეტი

შრომის ბრალია, ოდნავ ტლანქი ხელები რომ აქვს ნაზსა და გულხმიერ ძაბულის.

რად უნდა არზაყან ზვამბაიას უქმი და რხეული თავადის ქალი! თავათ შრომაში დალია თავისი სიჭაბუკე არზაყან ზვამბაიამ და სწორედ ძაბულისავით გამრჯელი ქალი თუ შესძლებს ცხოვრების მისის უღლის გაწევას.

ისევ თარაშ ემხვარის გამო დაიწყო ლაპარაკი ძაბულიმ.

ძაბულის ლექსები უყვარდა ყველაზე უფრო. ძაბულის აღარ ახსოვს არც დედის ალერსი, არც მამის ამაგი. მამა მსოფლიო ომში დაიკარგა. სამი ერთიმეორეზე უფრო უმწეო, ნაციები ბალღი ტვირთად დააწვა ძაბულის, ბავშვობაც მოეშხამა და ყმაწვილქალობაც. ძაბულის ხომ არ შეეძლო თამარსავით ნაირ-ნაირი კაბებით შეჰგებებოდა გაზაფხულს. ამიტომაც ლექსები შეიყვარა. მოიხელთებდა თუ არა დროს, ლექსებს კითხულობდა ძაბული. როგორც კი ტფილისელი ესტრადის პოეტები ჩამოვიდოდნენ დაბაში, ზედმეტ სამუშაოს მიატოვებდა, პოეტების სასმენად გარბოდა. მოსწონდა ძაბულის ეს რითმებზე შეშლილი ხალხი. ისინი სხვებს არ გვანდნენ, მუდამ კარაქის, ხორცის და ნავთის გამო მოწუწუნე ფილისტერებს. არც ძველი პოეტების წარმოსადეგი აღნაგობა და სიდარბაისლე გააჩნდა მათ, მაგრამ რაღაც თავგანწირული სიყვარული ჩხაოდა მათ გაუწვრთნელ წართქმიდან. რატომღაც ტანადაც დაბალნი იყვნენ. თმაგაბურძგვნილნი გამოდიოდნენ სცენაზე. მაგრამ ლექსების კითხვას რომ დაიწყებდნენ, თითო მტკაველს წაიმატებდნენ, აიქოჩრებოდნენ, აზვავდებოდნენ, თვალები უბრწყინავდათ და შარვლის ჯიბეებში ინახავდნენ მჯიღებს.

ასე უყვარდა პოეტები ძაბულის, რადგანაც მხოლოდ პოეტების ლექსებში ჰხედავდა იგი უანგარო თამაშის სიხარულს. ზოგი მათგანი იმითაც არა ჰგავდა ძველ პოეტებს, რომ ესენი მოტო-

რებს უმღეროდნენ თავიანთ ლექსებში, ჰაეროპლანებსა და ლოკომოტივებს ასხამდნენ ხოტბას. ველებს შესეულ ტრაქტორებს და პოლუსების საძებრად გაჭრილ რაინდებს.

არ ახსენებდნენ ძველ ციხეებსა და კოშკებში დავანებულ საიდუმლოს, არც გამითებული დედოფლების, რაინდების ამბავი ისმოდა მათ ლექსებში, არც უნუგეშოდ შეყვარებულთა გამიჯნურება, არც მთვარიანი ღამეების რომანტიკა და უსასოო თაობების ზარი უჟამოდ გადასული ძველი დიდებისათვის.

არ აქებდნენ არც ერეკლე მეფის რკინის პერანგს, არც თამარ მეფის ალმასებიან ხომალდს ზღვაში ჩაშვებულს, არც სვიმონ მეფის თავდადებას. სამაგიეროდ, დიდ რევოლუციონერებს უძღვნიდნენ დითირამბებს, ვინც ბორკილების ტარებით, ტყვიითა და ბრძოლით დღევანდელობას ამაგი დასდო. თავიანთ ლექსებში აძაგებდნენ იმ პოეტებს, ვინც სიყვარულის, მთვარის და ბულბულის ქებას კიდევ ბედავდნენ. მათ არ ესმითო, რომ სიყვარული ისევე ძველიაო, როგორც მთვარე, ხოლო ბულბულს უბრალო პატეფონიც კი სჯობიაო.

და ნუ იტყვით, თურმე თარაშ ემხვარიც ლექსებს სწერს ჩუმად, არ ბეჭდავს, არც არავის უჩვენებს, თავის გასართობად სწერს და მარტოოდენ თამარს უკითხავს ხოლმე. ასე ამბობსო: აფხაზური ლიტერატურა ჯერ არ არსებობსო, ქართულად ლექსების წერა არც ისე იოლიაო, თუმცა ჩვენში ყოველი კაცი ცოლის შერთვამდის ლექსებში სინჯავსო ბედს, მაგრამ ქართული ხალხური პოეზიისა და რუსთაველის შემდეგ შატაბუტა ლექსების გამოქვეყნება დიდი სირცხვილიაო. არც ისაა საკვირველი, თარაში კარგი მოქართულე რომ იყოს, ემხვარისა და შარვაშიძეების ოჯახში მუდამ ქართული იჯაბნიდაო თურქულსა და რუსულს! იმეორებდა ძაბული სადღაც განაგონს.

არზაყანს მოთმინებამ უღალატა, დაჰხედა ფიცხლად სამაჯურ

საათს, თარაშის მიერ ევროპიდან სახსოვრად მოტანილს და ეს ისე მოუვიდა, როგორც თარაშ ემხვარს სჩვევია ხოლმე. თავაზიანად გამოეთხოვა ძაბულის და მიაშურა ბნელსა და ნესტიან ქუჩას.

კოლხური ღამე

„შენში ისე ხრჩოლავს კოლხური შხამი, როგორც ის ქურა, რომელშიაც მას ამზადებენ“.

ლუკიანე
Epistolae ex Ponto.

არ სწვიმდა, მაგრამ ცრემლის ნაშხეფისოდენა წინწკლები ეცემოდა ჟამგამოშვებით უქუდოდ მიმავალ არზაყანს. ცა ვარსკვლავებით მოჩითულიყო. მცირე რამ ბურუსი მაინც იდგა ქუჩებში. დასავლეთისკენ გაშოთილიყო გრძელი, ნახევარკუნძულისებრი ლეგა ღრუბელი. მხარმარცხნით მას მეორე მოსდგომოდა მრუმე, ოდნავ შუაში გაკვეთილი და ეს ორი ფრთა მრუმე ღრუბელისა ისე მოსჩანდა იასპიფერ ცაზე, როგორც უზარმაზარი შავფრთიანი მღამიობი, ცის სილაჟვარდესა და ხმელის სიმრუმეს შორის დაკიდებული. იქით, ენგურისაკენ თეთრი, ხუჭუჭა, კრაველისებურად შევერცხლილი ღრუბლის ქულები მოსდებოდნენ

ცის ვეება სარტყელს, თითქოს ვიღაცას გზად უნდა გამოეარნა და მის პატივსაცემად დაუგიათო.

ელექტრონის შუქი უღიმღამოდ ბჟუტავდა აქა-იქ. ხანგამოშვებით დაბალი საუბარი ისმოდა სიბნელეში და აუჩქარებელი ნაბიჯების ტყაპუნი არღვევდა მყუდროებას მთვარიან ღამისას. გზის პირად გაწკაპულ ძეწნებსა და ალვებში, მესრებს გადაღმა მდებარე ბაღებსა და ბოსტნებში ჩასაფრული ვასაკები თავიანთ მონოტონურ კრრ... კრრრ...—ს გასძახოდნენ ურთიერთს.

ეს ხმა ისეთი გაბმული, ერთობლივი და მოსაწყენი იყო, რაღაც უნუგეშო მელანქოლიით ავსებდა სხვა დროს მხნესა და მხიარულ არზაყანს. ძაბული აგონდებოდა არზაყანს. აკვანში მისთვის დანიშნული ძაბული. დაენანა კიდევაც, ბნელ სახლში მარტო რომ დასტოვა ძაბული. დედაც და მამაც მონდომილი იყვნენ, ძაბული შეერთო არზაყანს, რადგან ძაბული აკვნიდან ახსოვდათ. ხელისგულზე ჰქონდა არზაყანს ძაბულის უბიწო სიქალწულე და მისი გაწამებული ყმაწვილქალობის პირველი წლები. დედა ახლაც თავის სარძლოს ეძახდა ძაბულის: სოფელში ჩასვლისას დიდრონ, შავ თვალებში ჰკოცნიდა მას, ხოლო ძაბული მარცხენა ძუძუზე, არზაყანის ძუძუზე. ახლა დედას მისწვდა არზაყანის ფიქრი. დარდისაგან გასრესილ, უდროოდ წელში მოდრეკილ დედას, რომელსაც უდროოდ ჭაღარა გაერია მას შემდეგ, რაც ყაჩაღების და ცხენის ქურდების სადევნად მიავლინა პოლიტსამმართველომ არზაყან.

„ჯერ ძვლები არ დაგმაგრებია, ნან, რა დროს ყაჩაღების დევნაა შენთვის, ნან!“ ასე მისტიროდა დედა თავის გამწარებულ დედობას. და დედა მოენატრა ამ წუთში არზაყანს ისევე, როგორც ბავშვობაში მონატრებია. არც თამარი უნდა ამ წუთში არზაყანს, არც ძაბული და არც არავინ, დედის მკერდთან დაივიწყებდა არზაყან თამარსაც და ძაბულისაც.

თვალებზე სისველე იგრძნო, ღამის ცვარი იყო ეს, ნეტავი, თუ ჩუმი, უმიზეზო ცრემლი თავშეკავებული ვაჟის თვალიდან ანაზდეულად ნაჟონი? ეს დოღის ამბები უხერხულ დროში წაეჩხირა არზაყანს. დოღმა აფხაზები მოაგონა დოღზე ჩამოსული და სადგურს მიაშურა ისევ. დოღის სამზადისზე უნდა ეფიქრნა. იცოდა არზაყანმა წინასწარ: აფხაზები გამოდიოდნენ სადგურზე ახლად მოსულ მატარებლის სამზერად.

ტფილისის მატარებელი მოსულიყო. რამდენიმე მგზავრი ბაქანზე გამოდიოდა. არც ერთი ნაცნობი სახე არა სჩანდა არსაიდან. იდგა არზაყან სვეტთან ატუზული და თავადაც აფხაზებსავით შესცქეროდა მჭვარტლით გამურულს, მარტორქასოდენა ორთქლმავალს.

თითქოს პირველად ჰხედავსო მანქანას.

ამ ძალოვანი, მსოფლიო ენერგიის ფალავანის დანახვამ სიმხნევე შეჰმატა არზაყანს. წელში გასწორდა ისევ, გაახარა პრიალა ფოლადის სახსრების შეხედვამ, გავარვარებულ საჭის ბრიალმა.

მოუსვენრად ბორგავდა, თუხთუხებდა ლოკომოტივი, ნაბუღრავებ კუროსავით ქშინავდა. მოუთმენლად ცახცახებდნენ მისი დევური კუნთები და მუხლები, თითქოს ამ უამრავი ვაგონების აკიდება ეჩქარებაო.

მოუღალავი და შეუპოვარი მიესწრაფოდა აფხაზეთისაკენ, ახლად გაყვანილ გზისკენ, თითქოს იმიტომაც, რომ ეს გზა ჯერად არ მოსწყენოდა. თითქოს მხოლოდ იმიტომ, რომ აფხაზებს ასე უყვართ ახლად ჩამოსული მატარებლის ცქერა.

ტფილისის მატარებელმა ისევ თამარი გაახსენა არზაყანს. ვინ იცის, ეგებ ეს ლოკომოტივი გზაში ენახოს კიდევაც თამარს.

და ამ ლოკომოტივმა თამარზე დარდი წაჰკიდა მის გულს.

რა განუსაზღვრელად ეშორა არზაყანს როგორც ტფილისი,

ისე თამარი, იდგა დოინჯშემოყრილი არზაყან. ბავშვივით, უბრალო აფხაზივით შესცქეროდა ორთქლმავალს, როგორც ერთადერთ კავშირს მასა და თამარს შორის, ერთადერთ საშუალებას თამარის სანახავად დარჩენილს. და ისე გამოდიოდა: ევროპის გენიოსებს ლოკომოტივის იდეის გარშემო იმისათვის უფიქრნიათ თითქოს, რათა არზაყანი თამარის საძებრად წაიყვანოს ამ ლოკომოტივმა, თუნდაც ამ ბნელ ღამეში. და დოღის ამბები რომ არ აწუხებდეს არზაყანს, ამაღამვე დაუცდიდა მეორეს, ოჩამჩირიდან მომავალ მატარებელს, ამაღამვე გასწევდა ტფილისისაკენ, თამარისაკენ...

დეე, თარაშ ემხვარი უყვარდეს თამარს. არზაყანს ისიც ეყოფა, თუნდ ერთხელ მაინც თვალმოკვრით ნახოს თამარი, თუნდაც ერთხელ ჩაჰხედოს მოლიბრო თვალებში თამარს. და არსად, არასოდეს ამგვარი თვალები არ უნახავს არზაყანს.

ვინ ძაბული, ვინ შეედრება თვალებით თამარს! — ახლა ეს წყურია არზაყანს — თამარის თვალები ნახოს თუნდ ერთხელ მაინც, თვალები და ცისფერი ძარღვები: წვრილი, აბრეშუმის ძაფივით წვრილი, ცისფერი ძარღვები თამარის საფეთქლებზე გავლებული.

ცისფერი, დიახ, ცისფერი ძარღვები და ცისფერი სისხლი. და ვის, ვის უნდა ჰქონოდა არზაყანზე მეტი უფლება ამ ცისფერი სისხლის დაუფლებისა?

ათასწლობით ემსახურებოდნენ შარვაშიძეებსა და ემხვარებს ზვამბაია, ეშბა და ლაკობა. მრავალი საუკუნის მანძილზე ჭირის ოფლი უღვრიათ მათთვის და მადლობის ნაცვლად სულ ორმოცდაათიოდე წლის წინად სტამბოლში ყიდდნენ ისინი ზვამბაიას, ეშბას, ლაკობას გვარის ნაშიერებს. მათ მაგივრად უთოხნიათ, მათ მაგივრად უხნავთ. ზვამბაიების ქალებს ემხვარების და შარვაშიძეების ქალების ბავშვები უზრდიათ, რათა ძუძუ-მკერდი არ

დაშრეტოდათ შარვაშიძეებისა და ემხვარების ქალებს. ახლა ზვამბაიების დროა. ახლა ჩვენი დროა, ფიქრობდა არზაყან ზვამბაია. სახნავიც ჩვენია და სათესიც. ზღვაცა და ცაც.

ზღვისფერი თვალებიც და ცისფერი სისხლიც.

როგორ? მტერს რომ მოერიო ბედაურზე მჯდარს, განა იმ ბედაურზე იმიტომ არ უნდა შეჯდე, რომ იგი მტრის ნაჯდომია? მაშ არზაყანმაც უნდა შეიძულოს თავისი საყვარელი ულაყი? — როგორ? მტერს რომ მოერიო და სახლ-კარი წაართვა, განა იმიტომ არ უნდა მოსწყვიტო მის ბაღში მოსული ვარდი, რომ ეს ვარდი მტრისეულ ბაღშია მოსული? ან ბულბული ვის შესძულებია მხოლოდ იმისათვის, რომ ბულბულს მტრის ბაღში უმღერია ოდესღაც, შემთხვევით?

ვინა სთქვა მერმე, ეს არ ივარგებსო?

ისევ ტფილისი მოაგონდა არზაყანს. ოცნებამ შეიპყრო გონება მისი, არზაყან ტფილისის უნივერსიტეტში შევა, პარტია დაეხმარება არზაყანს, მისთვის პარტია თითქოს ზენარული რამ ერთარსება იყო მუდამ, რომლისთვისაც ყოველ წუთში გასწირავდა სიცოცხლეს. და განა ერთხელ შეუგდია არზაყანს სასწორზე თავისი ჭაბუკური სიცოცხლე პარტიის დავალებით, პარტიის გულისთვის?! პირდაპირ რელიგიური ფანატიზმით უყვარდა არზაყანს პარტია და ცხადია, პარტია უთუოდ დაეხმარებოდა არზაყანს და წინ წასწევდა.

უნივერსიტეტს ბრწყინვალედ ასრულებს არზაყან. დიდი ხანია, რაც მედიცინა აინტერესებს არზაყანს.

მერმე?

მერმე კათედრასთან დასტოვებენ და ვნახოთ, თუ კიდევ იტყვის ძაბული: თარაშ ემხვარმა ყველას გვაჯობაო. თავის უშველებელ ჭაბუკურ ენერგიას შესწირავს არზაყან ამ მიზანს, ოდითგანვე გულში ამოჭრილს და მაშინ ვნახოთ, თუ თავადებმა აჯობონ

მას თუნდაც მეცნიერებაში.

ვიღაც აფხაზურად მიესალმა.

არზაყან შეკრთა. ლუკაია იდგა მის წინაშე და იღიმებოდა. ბერიკაცი შინ მისვლას აჩქარებდა.

უკვე ზედმეტი მორცხვობის და ყოყმანის დრო აღარ იყო. ლუკაიასთვის უნდა ეკითხნა არზაყანს, თუ სად იყო თამარი? მაინც მოერიდა ჯიქურად კითხვას. ჯერ ხერიპსი მოიკითხა. ხერიპსი ტფილისში გაუწვევია კომისარიატს. საღამოს მატარებლით წასულაო. მერმე თამარი იკითხა არზაყანმა. ხმადაბლა ახსენა თამარის სახელი, ისე მოკრძალებულად, ისე მოშიშრად ახსენა, თითქოს თამარის სახელს ტაბუ ჰქონებოდა დადებული.

თამარი შინ დავტოვე: თარაშ ემხვარს ნარდს ეთამაშებაო. ამბობდა ლუკაია. თარაშ ემხვარს ნარდს ეთამაშებაო?

გულმა რეჩხი უყო არზაყანს. დაფიქრდა მცირე ხანს. ალბათ ნახუცარი მზის ჩასვლისას წამალს დალევდა და დაიძინებდა. კაროლინა თავის ბავშვს მიუჯდებოდა. თარაში და თამარი მარტო დარჩებოდნენ. არზაყან ლუკაიას შესცქეროდა დაბინდულ, დალეულ სახეში, მაგრამ ერთბაშად განზე გაექცა მზერა.

ლუკაია ანტირელიგიურ პროცესსიის გამო სჩივოდა. ეხვეწებოდა არზაყანს, ჩარეულიყო იგი ამ საქმეში და „ხეპრე ახალგაზრდობისათვის“ აღეკვეთათ ღმერთის გამასხარავება. ისე გულმოდგინედ ევედრებოდა ლუკაია, თითქოს არზაყან სტალინი ყოფილიყო და, ერთი რომ ეთქვა არზაყანს, მყისვე შეაწყვეტინებდა ასეთი პროცესიების გამართვას.

„სად გაგონილა ასეთი რამ, დიი!! — სჩიოდა ლუკაია, — ამ ღლაპებმა, ამ ზღმურტლიანებმა ქვეყანა აუჯანყეს ღმერთს... დიიი!“. თანაც არზაყანს ღილებზე ავლებდა ხელს, პირში ანერწყვავდა. თვალს თვალში უყრიდა, უნდოდა გაეგო, არზაყანიც თუ იზიარებდა ასეთ „საშინელ“ რამეს. უშვერი სიტყვით ლანძღავდა

ზუგდიდელ პარტიელებს. ამტკიცებდა, რომ ტფილისში ეს არ იცის ჯერ კიდევ მთავრობამ, თორემ ამ კომკავშირელებს დაფერთხავდნენო.

„ტფილისში თურმე ხარებიც ყოფილა, წირვაც და ცისკარიც. კათალიკოსი სწირავსო ტფილისში“.

ლუკაია იმუქრებოდა, რომ იგი ფეხით წავიდოდა ტფილისს, საქართველოს მთავრობასთან, საქართველოს კათალიკოსთან დაასმენდა ამ „თავხედ კომკავშირელებს!“ და უკიდურეს შემთხვევაში სტალინს მისწერდა წერილს.“

„ღმერთს რას ავნებს ჩვენისთანა ჭიაღუების დაცინვა, არა?“ ეუბნებოდა არზაყანს და უფრო და უფრო მიიწევდა მისკენ.

„ღმერთი სულგრძელია და ის მხოლოდ გაიცინებს ასეთ ურჯულოებზე, არა?“

უნდოდა „ჰო“ დასცდენოდა როგორმე პირიდან არზაყანს, მაგრამ თავაზიანი არზაყან უკან-უკან იხევდა.

ერთი კი გაიფიქრა, „ჰო“ ეთქვა და მოეცილებინა თავიდან ბერიკაცი, მაგრამ იცოდა, მეორე დღესვე მთელ დაბას მოსდებდა ლუკაია ამ „ჰო“-ს.

„არა“ ეთქვა? მაშინ უნდა შეკამათებოდა ამ შლუს. ამიტომაც ვერც ერთი ვერ ეთქვა და „ჰო“-სა და „არა“-ს შორის იხრაკებოდა. ლუკაია კი უფრო გაცხარებული ქაქანებდა, უფრო და უფრო მაგრად ჰკიდებდა ხელს ღილებზე, ბლუზის საკინძეზე, ხანაც მარჯვენა მკლავზე შეავლებდა ხელს, ამაოდ უმტკიცებდა კომკავშირელს, რომ „ღმერთი ფიქრსავით უხილავია“, „ცეცხლსავით ხელშეუვლები“, „წყალსავით შეუმუსრავი“, „ქარსავით მიუღწეველი“ და „ზღვასავით უფსკერო“.

არზაყანმა სიტყვა ბანზე აუგდო.

„ერთი მითხარი, ლუკაია, კიდევ თუ გცემს მღვდელი?“ ლუკაია შეხტა და შეკუნტრუშდა.

„კიდევაც მცემს, მერმე თქვენ რა გინდათ, დიი?!“

„პროფკავშირში განაცხადე და დავსჯით“. ლუკაიამ მაგრად შეუკურთხა პროფკავშირებს.

„მცემს, მე მცემს, თორემ თქვენ ხომ არ გცემთ, დიი!! მცემს, დიახაც, მცემს, ჩემი ბატონია და მცემს, გასქდით გულზე! მცემს, მცემს, მცემს“.

ისტერიულად ყვიროდა ლუკაია. არზაყანმა შენიშნა, გარშემო ხალხი მოგროვილიყო და მათ საუბარს ყურს უგდებდნენ. გარდა ამისა, არზაყანს სძაგდა, როცა მოლაპარაკე ხელს შეავლებდა, ამ წუთში მაინც სულ სხვაგან ჰქროდა გონება. ისიც იცოდა, რომ ლუკაიას ისე საუბარი არ შეეძლო, თუ საუბრის მისის ობიექტს ხელს არ წაავლებდა. ბოლოს, თავაზიანად მოჰკიდა ხელი ლუ-კაიას ჩალისღერსავით გამხმარ მაჯას და ფრთხილად მოიცილა. სადღაც კრება მაქვსო, გვიან გამოვალო, დააბარა მამასთან, სწრაფად გასცილდა აბეზარ ბერიკაცს და რკინიგზის ლიანდაგს მიჰყვა უსაზმნოდ.

როგორც სჩანს, ძაბულის სწორი ცნობები არა ჰქონია. თამა-რი აქ ყოფილა თურმე, ნარდით და ლაყბობით ერთობიან ალბათ, და არზაყან ისე დაწრიალებდა მთელი დღე დაბაში, თითქოს ეშ-მაკი ჩასვლოდა გვამში.

მთვარის შუქზე ლაპლაპებდნენ გაკრიალებული რელსები, ზუზუნებდნენ ტელეგრაფის მავთულები. მიდიოდა არზაყან უღო-ნო ნაბიჯით რკინიგზის გაღმა-გამოღმა გაყოლებულ თხრილების პირად ჩაწკაპულ ძეწნებში ისევ თავიანთ ღამეულ კრრ... კრრრ-ს მღეროდნენ ვასაკები.

ცალ მხარეს ერთი დაიწყებდა: კრრრ... კრრრ...—ს, შემდეგ მე-ორე, შორიდან, ძლიერ შორიდან გამოეხმაურებოდა. მიდიოდა უმიზნოდ არზაყან ღამისაკენ, ენგურის ჭალებისაკენ, და უფრო და უფრო მატულობდა ვასაკების გაბმული კრრრ... კრრრ...

ელავდნენ მთვარის შუქზე ძეწნების გალაქული, ვერცხლისფერი ფოთლები. ბუჩქებსა და ძეძვებში კიანთობდნენ ციცინათელები.

მიდიოდა თავჩაქინდრული არზაყან, ქუდი ხელში ეჭირა, ნიავი ეალერსებოდა ოფლიან შუბლზე გადმოღვრილ კულულებს. ახლა ჭალებიდან მოჰქონდა ნიავს ჭაობის ბაყაყების შორეული ორკესტრის ხმა. ერთნი სულ წვრილად, წვრილად იძახოდნენ და შორეულნი მომეტებულის სიმძაფრით, ხანგამოშვებით სხვადასხვა მხრიდან მოისმოდა ქორალური ვიშვიში და ეს გამბული, მორიგეობით წამოწყებული ზარისებური მოთქმა აყრუებდა ძილში გართულ მიდამოს.

არზაყან გზის პირად შესდგა. გზის მუშებს ქვიშის საზიდი ხელურემი დარჩენოდათ. ვიღაც საკინძეგახსნილ მუშას დასძინებოდა ზედ. იწვა პირაღმა, ოდნავ ღიად დარჩენოდა პირი, მადიანად ხვრინავდა გულხელდაკრეფილი.

ისეთი მშვიდი, აუმღვრეველი სახე ჰქონდა მძინარეს, თითქოს საზრუნავი გამოლეოდა. მთვარე დასცქეროდა მშვიდი, მშვიდსა და სათნო მუშაკის სახეს. როგორის ნეტარი ძილით ჩასძინებია ამ ბედნიერ კაცს!..

გაიფიქრა არზაყანმა.

ასეთი აუმღვრევი ძილი ინატრა თავათაც.

ხელურემის კიდეზე ჩამოჯდა არზაყან. გადასცქეროდა ჭალებს, ეს ენგური ლაპლაპებდა შორიდან, მთვარეს და ღამეს ელამუნებოდა ძილისპირული შუილით. და წყლიდან ამდგარმა ნათელმა ისევ ტფილისის უნივერსიტეტის თეთრი შენობა მოაგონა არზაყანს.

არზაყან ზვამბაია სახელგანთქმული მეცნიერია. მაღალი, თეთრი სახლის მარმარილოს კიბეზე ადის, მარჯვნივ და მარ-

ცხნივ ქუდს იხდის მოზიმზიმე ახალგაზრდობა. აკრძალვა და რიდი ეხატება არზაყანის ჭაღარის შეხედვაზე. არზაყანი კათედრაზე ადის, ათასი ცნობის და ცოდნისმოყვარე თვალი შემოსცქერის, უცდიან, რას იტყვის ახალს უკვე ჭარმაგი მეცნიერი არზაყან ზვამბაია.

გაზეთებში ხატავენ მის სურათებს და მთავრობა სიგელებს უბოძებს არზაყანს. არზაყანს შრომის გმირის საპატიო სახელი შესთავაზეს კოლხიდის ციებასთან გმირული ბრძოლისათვის.

უფრო და უფრო ძლიერდება მთვარის კაშკაში. სათანჯოს ციხის გადაღმა მოლიბრო, მომწვანო მთებზე თეთრი ღრუბლების კოშკები დაზვინულან. ისინი ღრუბლებს არა ჰგვანან, არამედ მარმარილოს უშველებელ ბასტიონებს. სდგანან ეს ღრუბლები ცამდის აზვინულნი, ზვიადი, უსწორმასწორო, როგორც თავაწყვეტილი ჭაბუკის ოცნება. უფრო და უფრო ძლიერდება მთვარის კაშკაში და ბაყაყების მოთქმაც მატულობს თითქოს. მხარმარჯვნით მოყიყინე ბაყაყებს სხვანი და სხვანი გამოეხმაურნენ მხარმარცხნით მდებარე ჭაობიდან, ახალი და ახალი პარტია ჩაება ამ ღამეულ ტურნირში.

კრრრრ... კრრრრრ...

გასძახიან ურთიერთს ძეწნებსა და თხმელებში ჩასაფრული ვასაკები. და ეს ძახილი ამძაფრებს არზაყანის გულში მარტოობის გრძნობას.

ახლა კი დროა! — გაიფიქრა არზაყანმა. მხარმარცხნით გადასერა ველი, მომცრო გორაკს მიაღწია, უკვე დასცქერის შარვაშიძის სასახლეს მთვარის შუქზე თეთრად მოკიანთეს. მდინარის ღამეული შუილი მოისმის შორიდან და ჭოტის მარტოხელა ძახილი ძველი ფეოდალის ბნელი მუხნარიდან. იმ მუხნარისაკენ უნდა იყოს თამარის ოთახი და შარვაშიძეების ხილის ბაღი.

ფიქრობს არზაყან.

ვინ იცის, ეგებ თარაშ ემხვარი თამარის ოთახში იჯდეს და ოთხი ხელით უკრავდნენ პიანინოს, მკლავები მკლავებს ეხებოდეს, მხრისთავი — მხრისთავს; ეგებ თამარის ლოყა თარაშის ღაწვიდან ამდგარ ცხუნვარებასაც გრძნობდეს...

დაგესლა ამ ფიქრმა არზაყანის გული, ძეძვიან ღობეს გადაევლო, გამხმარი წნელების ლიწინმა შეაკრთო ღამის მყუდროება. ბარდებში, ეკლებში, ყიჭიანში იკაფავს გზას არზაყან. ბილიკს ვერ მიაგნო ვერც ერთს, რადგან მთვარეს წაეშალა ადამიანის ნატერფალი, ისე მძაფრად პრიალებდა ბალახი, ძეძვიანი ბუჩქები და ნარის ფოთლები. ღიჭით და ავრეხით დაბლანდულ ეწერში მიდის არზაყან, ვეღარ ერევა ქაცვებს და ეკლიან შტოებს. მთვარის შუქზე ისინი ისე უწყინარნი მოსჩანან, მაგრამ ჩაუვლის არზაყან თუ არა, ხან ტანისამოსზე მოედებიან, ხან ლოყაზე, ხანაც ფაფახის კუბაზე. მარჯვენა ლოყა მძაფრად გაეკაწრა, გრძნობს: სისხლი მოწანწკარებს ტფილი. გარინდებულან მსხლისა, ვაშლისა და ალუბლის ხეები. მთვარე ზედ დასდგომია მდუმარე ბაღს და ისეთი მშვიდი ღამეა, როგორც ბავშვის სიზმარი. აქ ვერცხლის სამოსელში მორთულა ყოველი ხე, ყოველი ბუჩქი და ძგიდეების ჯაგნარი. აკაციები სდგანან ჯაგნარებს გადაღმა, თავიდან ტერფამდის მთლად ვერცხლში ჩამჯდარნი.

მისწვდა არზაყანის ყნოსვას აკაციების ყვავილის სუნი. ყველა და ყველაფერი ტკბილ რულს შეუპყრია, მხოლოდ ჭოტი იძახის სადღაც, მხოლოდ არზაყანის გულში შექმნილა იჭვიანობის ამბოხი. და ასე უმწეოა არზაყან, მზადაა მიწაზე დაენარცხოს და ჰგმოს სიცოცხლის, სიყვარულისა და სიკვდილის გამჩენი.

* * *

ტოტების მოთალხო აჟურში კიანთობდა თამარის ოთახის

ფანჯარა, ელექტროს მოთეთრო შუქი ვერცხლისფრად ჰქარგავ-და ფანჯრისაკენ გადახრილ მდუმარე ტოტებს. რამდენიმე შტო ზედ ფანჯარასთან მისულიყო. ამ უეცრად გამომკრთალმა სინათ-ლემ სიხარული მოჰგვარა არზაყანს ძრწოლანარევი. ვერ დაიძი-ნებს ამაღამ არზაყან, სანამ არ გაიგებს, მარტოა თუ არა თამარი? — ეს რომ იცოდეს, თუ სადაა თარაშის ბინა დაბაში, იქ წავიდოდა და გაიგებდა, შინ იყო თუ არა თარაში? სუნთქვა მოიპარა არზა-ყანმა. მიჰყვა ხეივნების ლანდებს.

თეთრად შესუდრული ვაშლის ხე იდგა თამარის ფანჯრის პირ-დაპირ მიაყურა არზაყანმა ფანჯარას: ჩქამიც არ ისმოდა არსი-დან. ორივე ხელით შემოეჭდო ხის ტანს. ხელ-ფეხით მოეჭიდა, აცოცდა ისე, როგორც ბავშვობაში უქნია. სულ მცირედი ტკაცანი გაჰქონდა მის მკერდზე ხის ტანზე შემხმარ ქერქს. ხელები ეტკინა ოდნავ. ფეხებს ვერ იმაგრებდა, რადგანაც აზიური წაღები უცურ-დებოდა მალიმალ. ჩოჩვით ჩამოვიდა ისევ და დიდხანს ეწვალა, ვიდრე ვიწროდ შემოსხეპილ წაღებს გაიხდიდა. ისევ მივიდა ხეს-თან, ისევ შემოჰხვია ხის ტანს მკლავები და ახლა ფოცხვერისებრ სიმარდით მოექცა ზევით.

მოზრდილ ტოტს მოსჭიდა ხელი, თამარის ფანჯრისაკენ მიდ-რეკილს...

ანაზდეულად შეირხნენ შტოები. იგრძნო ვაჟკაცის სიმძიმე ვაშლის ხემ და თოვლის ფიფქივით თეთრი ყვავილის ნამუსრევი გადაეყარა სახეზე. სურნელითა და სიხარულით ივსებოდა არზა-ყანის გული. იდგა ამგვარად გაბრუებული და გატრუნული, შუ-ათანა ტოტს აფარებული და შესცქეროდა პიანინოს გვერდით მა-გიდასთან მიმჯდარ თამარს. და არზაყან ისე გრძნობდა თავს, ესაო და სიზმარში ვარო.

თამარი იჯდა შილიფად ჩაცმული, უაბაჟურო ელსანათი ედგა

მაგიდაზე. ხელები საფეთქლებზე მიებჯინა. იჯდა და წიგნს კითხულობდა. წარბები მოეღუშა ოდნავ და ხეზე მიჩქმალული არზაყან ნათლად ხედავდა თამარის გრძელი წამწამების ქვეშ მიმდგარ ჩრდილს. განუზომელი ბედნიერება იგრძნო ამ წუთში, რა დარწმუნდა: იგი მარტო იყო გვიანი ღამით. განუზომელად მადლიერი იყო, თარაში რომ არ იჯდა თამარის გვერდით. არზაყანის მოსიყვარულე თვალი თამარის პატარა და ჯიშიან თავს შემოევლო, გამოხუნებულ სპილენძისფერი თმა ელასტიურად შემოტმასნოდა ჰარმონიულ ფორმას თავისას.

უმცირესს დეტალებს ამჩნევს არზაყან: მოთეთრო ხარვეზს თავზე გავლებულს, მის გრძელსა და ჩრდილიან წამწამებს და ოდნავ წამობორცვილ პირს.

ხელები ჩამოიღო თამარმა, ორივე ხელით დაკეცა წიგნი, აუჩქარებლად წამოდგა სავარძლიდან, წელში გაიმართა და ვაშლის ხისკენ გამოიხედა პირდაპირ.

შედრკა არზაყან მყისვე. ანაზდეულად დაცუცქდა ტოტზე. მერმე მოაგონდა სავსებით ელემენტარული ფიზიკის კანონი: განათებული სივრციდან ბნელში მყოფი საგნების დანახვა რომ არ შეიძლება. ისევე გაიმართა წელში და შეჰყურებდა, თუ როგორ გაიზმორა თამარმა. მარჯვენა ხელის თითები მარცხენა თითებს გადაწნა და ორივენი ერთბაშად წინ გამოიშვირა. შემდეგ გულმკერდი წინ გამოსწია და ურთიერთს გადაწნული ხელები კისერზე შემოიჭდო. თვალები მოხუჭა და ისე იდგა ცოტა ხანს. ლანდიც კი შენიშნა არზაყანმა, თამარის ტანკენარ სხეულიდან კედელზე მიმდგარი. ამის შემდეგ მხარმარცხნით მობრუნდა. თმები გაიშალა. ეტყობოდა: სარკის პირისპირ უნდა მდგარიყო: სხვილკბილებიანი ძვლის სავარცხელი აიღო და სათითაოდ დახსნა ორივე ნაწნავი, ხეზე გასული ვენახის სიმსხო. სათითაოდ დახსნა და და-

შალა ნაწნავი, ზანტად ივარცხნიდა თამარი თმას, თითქოს ეფერებოდა ყოველ ღერს თმისას.

სჩანს, ძლიერ ჰყვარებია თავისი გრძელი ნაწნავები. ფიქრობდა არზაყანი: რამდენჯერაც არ სთხოვა არზაყანმა, თამარმა ყური არ ათხოვა, ბიჭურად არ შეიკრიჭა თავი. თარაშ ემხვარს მოსწონს ალბათ, რადგან თარაშ ემხვარს ყველაფერი მოსწონს, რაც ატავიზმის და ტრადიციების წიაღიდან გამოდის.

ბავშვობა მოაგონდა არზაყანს. თამარი წინა მერხზე იჯდა სკოლაში. რამდენჯერ დაუწიწკნია ეს თმები არზაყანს! რამდენჯერ წასწვდომია ამ ნაწნავებს? ახლა რა მოხდა ასეთი, ხილის ქურდსავით ხეზე რომ გასულა არზაყან? რატომ არ შეუძლია დაუძახოს: „თამარ“, მოახედოს და გააცინოს სკოლის მეგობარი. ადამიანებს სისადავე აკლიათ, თამარსაც, არზაყანსაც და ყველას. ბაღში ასეთი მშვენიერი მთვარეა. ძილნასვამი და ჩრდილნასვამი ხეები ნაზად ჰქინდრავენ წვეროკინებს. ტოტები ტოტებს ეალერსებიან, ყვავილის მტვერი ყვავილის მტვერს დაეძებს ბნელში, ბაღში ღამეა და მთვარე. სიყვარულს და ბნელს ჩაუკრავს გულში ეს მთვარეც, ეს ღამეც, ეს ხეებიც, ეს ცაც და ეს მბჟუტავი და თვალმილეული ვარსკვლავებიც. და არზაყან ზვამბაია ხესთან მიჩქმალულა, შორიდან შესცქერის თამარს, თითქოს ეს სიცხადე არ იყოს ღამისა, არამედ შორიდან ნახული კინოსურათი. შესცქერის და ხმა ვერ გაუცია, თითქოს ხმა წართმეოდეს და სუნთქვაც ვერ გაუბედნია, თითქოს სუნთქვაც არ შერჩენოდეს. სიყვარულის სიტყვაც ვერ გაუმხელია, თითქოს არც სიყვარული გაეჩნდეს და არცა სიტყვა.

თამარი ფანჯრისაკენ წამოვიდა. არზაყან შეკრთა. შეეშინდა: არ შემნიშნოსო. ისევ დაცუცქდა ტოტზე, თამარი შესდგა, საკინძე გაიხსნა. სახელოებიდან ხელი გამოიღო. ისევ გაიმართა წელში.

არზაყან და მისი თვალი თამარის ზემოტანს შემოევლო გარს. ხედავს თამარის მომცროსა და მკვრივს ძუძუებს, ვაშლის ყვავილივით თეთრ ნაქსოვიდან გამომკრთალს და, როცა ხელები ზეაღმართა თამარმა, არზაყანმა შენიშნა იღლიას ქვეშ ახლად მოსულ მოლივით მოვლებული თმა და ისე აღელდა, როგორც აღელვებდა ხოლმე მას თამარის ტუჩების კუთხეს? თან ამოსული პაწია ულვაშების მინაგვარი ბუსუსები. და ახლა, როცა მკერდგაღეღილი, პერანგის ამარა იდგა მის თვალწინ თამარი, არზაყანმა შენიშნა ისეთი რამ, რაც არასოდეს შეუმჩნევია: თამარს ჯვარი ჰქონია კისერზე და ძუძუებს ზემოთ, ძუძუებს შორის, ჯვარის ტარებისაგან ოდნავ დაშავებოდა გაფცქვნილი ნარინჯის მინაგვარი, გამსჭვირვალე სათუთი კანი.

თამარმა ცალი ფეხი სკამზე შესდგა, ვარდისფერ წვივსაკრავს შეავლო ხელი, არზაყანმა მკაფიოდ გაიგონა, თუ როგორ ატკაცუნდა წვივსაკრავი, როცა იგი მუხლისთავიდან გადაიძრო თამარმა. რეზინის წვივსაკრავის მონაჭერი წითლად დასტყობოდა მის სათუთ სხეულს. არც არასოდეს უნახავს არზაყანს ეგზომ ფიქალი და თეთრი ფეხები ქალისა. ფეხები, რომელთაც ისეთი ელასტიურობა და მოქნილობა ეტყობოდა, როგორც ფაქიზად მოვლილ ხელებს ქალისას. სხვა ქალწულების შიშველი ფეხებიც ენახა არზაყანს, მაგრამ მათ წვივებზე თმები და ბუსუსები შეუმჩნევია ყოველთვის ან არადა, გაპუტული ბატის კანზე დარჩენილ პაწია ხორკლების მინაგვარი წერტილები.

სულგანაბული ადევნებდა არზაყანი თვალს, თუ როგორ გაიძრო თამარმა მეორე წინდაც.

ახლა მომეტებულად გაოცდა არზაყან, როცა თამარმა აღმოსავლეთისაკენ პირი შეიბრუნა და სამჯერ ზედიზედ პირჯვარი გადაისახა. ცალი ხელით ელექტროს სანათურს მისწვდა და ლანდივით ჩაჰქრა სიბნელეში თამარის შიშველი სხეულის მშვენება.

არზაყან ძირს ჩამოვიდა, წაღები ჩაიცვა. მუხლები ეკვეთებოდა, სიარული სცადა. მთვრალივით დაბარბაცდა. მივიდა ისევ ვაშლის ხესთან, შემოეხვია ისე, როგორც დას, როგორც საყვარელს. ნედლი ხის საამო სუნი იგრძნო, იამა გახურებულ ლოყაზე ცივი და გასიპული ხის კანის შეხება და ატირდა ჩუმად, როგორც ბავშვი, რომელსაც ეშინია, ტირილისათვის არ დამსაჯონო.

აღარც კი ახსოვდა არზაყანს, თუ როგორ მოაღწია ლუკაიას ხულამდის. კარის ჭუჭრუტანიდან მოკიაფე მცირე რამ სინათლის შუქმა გამოაფხიზლა იგი ნაღვლიან ფიქრებისაგან. ალბათ არა სძინავთო, გაიფიქრა, რაკი ხმადაბლა საუბარი მოესმა.

დააკვირდა სიტყვებს: არც აფხაზურად, არც მეგრულად არ ლაპარაკობდნენ. ორთა საუბარსაც არა ჰგავდა. არზაყან დაინტერესდა, თუ რას როშავდა ლუკაია? — ეგებ დავითნს კითხულობსო, გაიფიქრა და ყური მიადო კარის ჭუჭრუტანას.

„გამოვიდა კაცი ზღვით, ხელდებოდა ვითა ვეფხი. ვითა შეემთხვიეს მთავარანგელოსნი მიქელ-გაბრიელ, ჰრქვეს მას: ზღვასა შინა ვიყავ, ქვასა მისა ვჭამდი და ქვიშათა მისთა ვღრიჭნიდი: აწ გამოველ კაცისა თავისა ნახევარსა. შევალ, თავსა ამისა შევჭამ და შევადენ ბნელსა თვალთა მისთა, ჰრქვეს მიქელ და გაბრიელ! ვერ შეხვალ თავისა ნახევარსა, ვერცა შესვამ სისხლსა, ვერცა შეადენ ბნელთა თვალთა მისთა, აწ წარვედ, ზღვასა შინა დაემკვიდრე, მას შინა ქვასა მისა სჭამდე და ქვიშითა ღლარჭნიდე, სახელითა მამისათა და ძისათა, ამენ“.

ის-ის იყო, კარის შეღებას აპირებდა არზაყან, ისევ აბუტბუტდა ლუკაია: „ფინეზ: ფინფანო: ზისა: მეტხანო: ჰაროზ: მისნი: მინარო: ბისლელ: ქვალმანდი: ქინა, სტინა, სირა: ატალა: მისტაკინა: კატალატინ: ნამ: ვათალად: წითალ: სალამალად: აგრე: მონასა: შენსა: კაც ზვამბაიას... ამენ“.

მთლად გადარეულა ეს უბედური ლუკაია! — ფიქრობდა არზაყან.

არზაყან ხულაში შევიდა, ეცინებოდა ამ გაუგონარი უაზრობის გამგონეს. კაც ზვამბაიას თავი სტკენოდა, სკამ-ლოგინზე წამოწოლილიყო, ლუკაია ულოცავდა.

„ჰეი, ვარა, სად იყავი აქამდის?“ უსაყვედურა მამამ. ამის თქმა მოასწრო კაც ზვამბაიამ და ლუკაია ჯირკვიდან გადავარდა, ხელფეხის სხმარტალი დაიწყო. არზაყანმა მყისვე მიაშურა წაქცეულს. დუჟი და ლეზვი გამოსვლოდა ლუკაიას ტუჩის კუთხეებში. უპეები უზომოდ გაგანიერებოდა, თვალის გუგები მოუსვენრად უბრიალებდა, ბორგავდა ლუკაია, კვნესოდა. არზაყანმა ხელები შეუკრა და ცალი მუხლი მკერდზე დააჭირა. მთლად დალეული ეჩვენა საცოდავი ლუკაიას სხეული. თავისი მტკიცე, რკინისებური მკლავებით შეჰკოჭა არზაყანმა მოხუცი. ლუკაია ენას უყოფდა დუჟმორეული, მომნუსხველი თვალებით მიშტერებოდა. ლოპინარისფერ, წვრილ თვალებში კვესავდა სიგიჟის ნაპერწკლები. კაც ზვამბაიაც გამოერკვა. მას საოცარი შიში ჰქონდა ბნედიანისა და როცა ლუკაიას სხეული გაიჭინთა, დაცუცქდა კაც მის სასთუმალთან, ახალოხის სახელოთი უხოცავდა შუბლზე გადმოღვარულ ოფლს და ბავშვივით ეფერებოდა ბერიკაცს. იწვა სოხანეზე ფეხგაჭინთული ლუკაია და უაზრო თვალებით შესცქეროდა მჭვარტლიან სხვენზე ჩამოსულ ბნელ ღამეს.

არზაყანმა ბავშვივით ხელში აიტაცა ლუკაია, თავის საწოლზე დააწვინა და ჭრაქი ჩააქრო.

დიდხანს ტრიალებდა საწოლში არზაყან, კერაზე დარჩენილ ღველფს მისჩერებოდა. კოშმარივით იგონებდა გასულ დღეს. თავ-პირი ბალიშში ჩაერგო, იგონებდა თამარის სხეულის ყოველ სახსარს. ვაშლის ხედ გახდომას ნატრობდა არზაყან ამ სიბნელეში — თამარის სარკმელთან მოდარაჯე ვაშლის ხედ ქცევას.

მოარული რეკლამა

ზუგდიდის მთელი მოსახლეობა მარულას სამზადისით იყო დაინტერესებული. მოხუცები მხრებს იჩეჩდნენ, წარბებს ღუშავდნენ, იჭვნეულად იღიმებოდნენ:

აბა რა სათქმელია!

მარულას დადიანები, შარვაშიძეები, ემხვარები მართავდნენ თავის გასართობად. რა შვილია ბოლშევიკები, რომ მარულას გაგვიმართავენ და მერმე ისიც ნააღდგომევს! ესაო და დახვრეტას გადარჩენილ აზნაურებს არ მოეწყინოთო?

არა, ჰმ!..

კინოოპერატორის ჩამოსვლამაც ხელი შეუწყო იმ იჭვების გახმიანებას. ალბათ კინოსურათის გადაღებას ლამობენ, ხალხს მოიტყუებენ და მონაწილეობას მიაღებინებენ, რათა უკეთესი სურათი გამოუვიდეთ და მერმე ეს ყოველივე გაზეთში დახატონო.

ასე ამბობდნენ მოხუცები.

მარულას სპეციალური კომიტეტიც შესდგა. თავმჯდომარედ

შარდინ ალშიბაია დანიშნეს. საქართველოს მიწსახკომის მიერ ტფილისიდან ჩამოყვანილ ცხენებს ისე დასდევდა ხალხი უკან, თითქოს ოპერის სახელგანთქმული მომღერლები ყოფილიყვნენ საგასტროლოდ აქ ჩამოსულნი.

უთენია აზარის სიმღერით შემოდიოდნენ ზუგდიდში აფხაზეთისა და ოდიშის უშორეს რაიონებიდან ჩამოსული ჩოხიანი ცხენოსნები.

ამაზრზენია და საოცარი აზარი...

ნაბდით შესუდრულ ცხენზე ბიჭი ზის წითელპერანგიანი, დიაცური, გულისწამღები ხმით ყივის და ცხენოსნები მოსდევენ უკან, ბოხი ხმით მღერიან.

და აზარი სიმღერას როდი ჰგავს, არამედ მოზარეთა ხანდაზმულ ღიღინს. წითელპერანგიანი მოაქროლებს ცხენს და გაჰკივის. ცხენოსნები ზარს ამბობენ და დამბაჩებს ისვრიან.

ოჰ, მეც მსმენია ჩემს ბავშვობაში ეს აზარი.

თვალს ვხუჭავ და ახლაც ვიგონებ ამ სტრიქონების დაწერისას.

ტანზე ბუსუსები გამოესხმება უთუოდ აზარის გამგონეს. ჟრუანტელი დაგივლის თხემიდან ტერფამდის და ცხენს, თურმე ცხენსაც გულს უხურებს აზარის გაგონება. ასე ამბობენ აფხაზები: „გულს უხურებსო“.

ძველს დროში თითოეულს რაზმეულს ცხენოსნებისას დადიანი, შარვაშიძე, ემხვარი და ლიპარტიანი მეთაურობდა.

ახლა ფიფიას, აგირბას, ესვანჯიას, მალაზონიას ან ტარბას მოჰყავდა ცხენიც და ცხენის ამალაც. აზნაურებიც ერივნენ აქაიქ, მაგრამ არა როგორც ცხენის პატრონი, არამედ როგორც ცხენის მოვლის ოსტატი, ცხენის ქომაგი და მოსეირე. ამ აზნაურებს უთუოდ გაარჩევდა დაკვირვებული თვალი თავიანთი თავდაბლური ქცევისა და კალთებშემოხეული ჩოხის მიხედვით.

ზუგდიდი სამხედრო ბანაკს დაემსგავსა. შუკებსა და მოედნებზე ჩოხიანი ცხენოსნები ზიმზიმებდნენ.

ზუგდიდში თუ ყოფილხართ, ჩემო მკითხველო? არა? მაშ საქართველოს ულამაზეს დაბათაგანი არ გინახავთ.

დადიანისეული სასახლის გასწვრივ მიურატისეული სდგას, იგი ევროპული ვილლის გეგმაზეა აგებული.

ფეოდალის სასახლე და ერთქუჩიანი ქალაქი!

ამ მხრივ მეთვრამეტე საუკუნის ვაიმარს მოგვაგონებს ზუგდიდი. მიურატისეულ სასახლესთან, აწინდელ მუზეუმთან იწყება ზუგდიდის შესანიშნავი ჭადრების ხეივანი. შუაში პატარა რუ მიწანწკარებს ბეტონის საწოლში ჩაკირული. გაზაფხულზე კიდევ მოისმის ამ რუს ლიკლიკი, მაგრამ შემოდგომით, როცა გაღმა-გამოღმა ჩარაზმულ ჭადრებიდან ცვენას იწყებენ ფოთლები, რუ მთლად დაილევა და ამ ჩალისფერი აბრეშუმის საბნის ქვეშ ისე ღიმღამებს, როგორც ბალღის უვნებო სიზმარი.

ამ ჭადრების ხეივნის გაღმა-გამოღმა მიდის ეს ერთადერთი გამზირიც. სწორედ ამ გამზირის შუკების კუთხეებში ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ დაქვეითებული ცხენოსნები. დაკეცილი მათრახები ეჭირათ ხელში და პირგამურულ ბიჭებს ფეხს აწმენდინებდნენ. პატარა ბიჭუნები ცხენებს დაატარებდნენ. ამ ცხენებს უსაქმური ბალღების მთელი ლეგიონი დასდევდა უკან. ცხენის სიყვარული თავს ვერ იოკებდა. ეპარებოდნენ ცხენებს, ხან გავაზე და ქეჩოზე ხელს წაუტატუნებდნენ, ხან ფაფარზე, ხანაც საოლავზე ეფერებოდნენ.

როცა მთელს ქალაქში მხოლოდ ერთი გამზირია, მაშინ ყოველი კაცი უმზერს თითოეულის საქმიანობას. სწორედ ამიტომაც მთელი ქალაქი ხედავდა, თუ როგორ დარბოდა დილიდანვე შარდინ ალშიბაია.

მას უშველებელი წითელი ბანტი ჰქონდა საღილესთან მიკერებული, თვით აფიშების გაკვრასაც არვის ანდობდა. მაგალითის მისაცემად თავათაც ხელში ეჭირა ერთი, უკეთ რომ ვთქვათ, თავისი უშველებელი, კიდეებშემოცვეთილი პორტფელი (რომლითაც იგი წიგნების ნაცვლად ფარგებსა და კონსერვებს დაათრევდა ხოლმე), ამ დღეებშიაც თან დაჰქონდა და რაკი აფიშა შიგ ვერ ჩატეულიყო, პორტფელისათვის გარს შემოეხვია და შარდინ ალშიბაიას პორტფელზედაც კითხულობდა ხალხი ამ სიტყვებს: „ზუგდიდი: მაისის 3 — გრანდიოზული მარულა“ და სხვ. ასე რომ, თავათ შარდინ ალშიბაია ქცეულიყო მოარულ რეკლამად.

არაბია

ჯერ ქათმებიც არ იყვნენ ჩამოსული ალუჩის ხიდან, როცა ლუკაიამ არზაყანი გააღვიძა, ცხენი უნდა გაეყვანა არზაყანს ქალაქს გარედ და, წესისამებრ, ნამცხვარევი ბალახი მოეძოვებინა. თვალების მოუფშვნეტავად ხელი წამოავლო არზაყანმა თავის აზიურ წაღებს. ვიწრო ყელში ძლივს ჩადიოდა საპნით გასლიპული ფეხი. კვნესოდა ცალი მუხლით სოხანეზე წამოჩოქილი არზაყანი. წინა ღამით ნაჯაფარი ფეხი ოდნავ წამოსივებოდა, ლამიან ჯაგნარებში ტოპვისაგან შაგრენის წაღები დასველებოდა, ჭრიჭინებდა ახალთახალი შაგრენის ტყავის გაწითლებული არზაყან თავის გუნებაში სწყევლიდა ოსტატს, ამ წაღების შემკერავს. კვნესოდა, ორივე ხელით ჭინთავდა ყელს, ხანაც ტერფზე ისვამდა ხელისგულს, მაგრამ ამაოდ.

ეტკინა არზაყანს მუხლისთავი, ცალფეხად ხტომით მივიდა ლუკაიას რელიქვიების ზანდუკამდის და ზედ ჩამოჯდა, ორივე ხელით მოეჭიდა წაღის ყელს. ხვნეშოდა, თანაც ბლუზის სახელოთი

იწმენდდა შუბლზე გამოსულ ოფლს.

კრიჭინებდა ახალი შაგრენის ტყავი, ჭრაჭუნებდა შეურაცხყოფილი წმინდანების ძვლებით გავსილი ზანდუკი.

დილიდანვე უგუნებობა წამოყვა არზაყანს, თანაც ჩქარობდა, რაკი ხედავდა, რომ მოლზე გასვლა უგვიანდებოდა. ერთი გაიფიქრა: სატევარი გადმოეღო, ოდნავ გაეჭრა წაღების ყელი, მაგრამ დაენანა ახალი წაღები. და ეს ვიწრო აზიურები ყოველ ჩაცმისა და გახდის ჟამს ასეთ ტანჯვას ჰგვრიდა არზაყანს, მაგრამ ასევე განუზომლად უყვარდა ფეხზე შემოსხეპილი წაღები, თავისი ხიზილალასფერი ფაფახი და ზარნიშიანი ქართული ქამარი.

ყოველ ახალ უძიროს და აზიურ წაღას საპნით იცვამდა არზაყან და მერმე მთელი კვირა ფეხზე გაუხდელად, წაღებიანად წვებოდა, რათა წაღები ფეხს შეჰგუებოდნენ.

ლუკაია იქვე დაცუცქულიყო. შესცქეროდა, სხვადასხვაგვარი თათბირს აწვდიდა.

ლუკაიას ქალამნები ჩაეცვა არზაყანს და ისე შემჯდარიყო თავის არაბიაზე? ეს აზრი ძალიან სასაცილო ეჩვენა. ვის გაუგონია: შარვალჩამოშვებული კაცი ცხენზე იჯდეს, ან თავის არაბიას როგორ ჰკადრებდა არზაყან ამას, ან თავის აფხაზობას და ვაჟკაცობას?

არზაყანს ტყეში ან მინდორში გასვლაც არ შეეძლო, თუ აზიურები არ ეცვა ფეხზე, წელზე ქამარი თუ არ უჭერდა და ბლუზის ღინკილოები თავიდან ბოლომდის არ ექნებოდა შებნეული. რა ვუყოთ, რომ ჩალმაზს არ მოსწონდა მისი უსაზღვრო სიყვარული არაბიასადმი, წაღებისა, საცვეთებისა და ხიზილალასფერ ფაფახისადმი. ჩალმაზ უფრო მართლმორწმუნე კომუნისტი იყო. ეს ამბებიო, ეუბნებოდა არზაყანს იგი, ძველი ყოფის რეციდივებიაო და, თუ ყოველივე ეს არ მოიშალე, მუდამ ხანგადასული კომკავშირელი იქნებიო.

ლუკაიას ხულაშიაც შემოიხედა განთიადის ლილისფერმა ლიცლიცმა.

ლუკაია არზაყანზე მეტად ღელავდა. ცალკერძ იმისი ეშინოდა, ზანდუკი არ ჩაემტვრია არზაყანს და წმინდანების ძვლები არ დაეზიანებინა, ცალკერძ იმის ჯავრი ჰქონდა: ვაითუ მზის ამოსვლამდის ცხენის მოძოვება ვერ მოესწრო არზაყანს. მართალია, გუშინდელი ამბების შემდეგ ოდნავ ნაწყენი იყო ლუკაია: არზაყანმა რომ არ დაუშალა კომკავშირელებს ღმერთის გაპამპულავება, მაგრამ რა ვქნა, არზაყან ხომ მისი მეგობრის — კაც ზვამბაიას ვაჟი იყო.

თავათ არზაყანიც ჩქარობდა. მან კარგად იცოდა: ლუკაია ნახუცარს არას უმალავდა. ალბათ ისიც ნათქვამი ექნებოდა: ნახუცარი თუ გცემსო, რომ შეეკითხა ლუკაიას. ცხადია, ისედაც აღრენილი ბაბუა ტარიელ აუგად ჩამოართმევდა ამ ამბავს არზაყანს. ნახუცარი ადრე დგებოდა და გზაგავლილს გესლიან სიტყვას ესროდა უთუოდ აივნიდან.

შაგრენის ჩექმების კრიჭინმა, წმინდანების სკივრის ჭრაჭუნმა, ლუკაიას ჩურჩულმა და არზაყანის ხვნეშამ კაც ზვამბაიაც გამოაღვიძა.

კაც ზვამბაია გულნაწყენი იყო, გუშინ აღდგომის ტრაპეზი მასთან არ გაიზიარა მისმა ვაჟმა. და რაკი ამგვარი საყვედური ბარე ორიოდე აღდგომას ჰქონდა არზაყანისათვის ნათქვამი, ახლა ეს უკმაყოფილება უმიზეზო ბუზღუნში იხატებოდა.

ქვეყანა გადაირიაო, სჩიოდა კაც, ახლანდელი არც მარულა ვარგაო, არც ცხენი და არც ცხენის პატრონი. ვის გაუგონია, სამარულე ცხენი ხელაღებით გაიყვანესო, სამარულე ცხენს ორი კვირა წყალში ვაყენებდითო, რათა ცხენს მუცლის ქონი ჭაჭებში გაუვიდესო, უთენია ნამცვარევი ბალახი უნდა სძოვოსო, მთელი დღე ჩეროში უნდა იყოსო ცხენი დაბმული.

ეს ქადაგება ათასგზის ჰქონდა არზაყანს განაგონი, ისედაც უჟმურ გუნებაზე იყო წამომდგარი, არ უნდოდა მკვახედ შესიტყვოდა მამას, ამიტომაც სდუმდა.

აფხაზეთსა და ოდიშში განსაკუთრებით დილაობით ერიდებიან ცუდი სიტყვის წარმოთქმას და დილით ოქროს გამოივლებენ ხოლმე პირში.

კაც ზვამბაია ღელავდა. მარულა კარზე მომდგარიყო. არზაყან ალბათ უთუოდ მიიღებდა მონაწილეობას. კაცს აფხაზური ცხენოსნობის დიდოსტატის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი და მერმე ისეთ დროში, როცა შარვაშიძეები და ემხვარები არც ისე იოლად უთმობდნენ ვინმეს კარგი ცხენოსნის სახელსაც. ახლა მისი ვაჟი უნდა გამოსულიყო დოღში და მთელი ოდიშისა და აფხაზეთის თვალწინ მისი კარგი სახელი შეერცხვინა. ხალხი იმას კი არ იტყოდა: ესაო და არზაყან კომკავშირულია, ამიტომაც აფხაზური ცხენოსნობის წესი ვერ შეითვისაო, არამედ ასე: კაც ზვამბაიას ვაჟმა მამას თავი მოსჭრაო.

გუშინ მთელი დღე უპატრონოდ იყო მიგდებული არაბია, თავათ არზაყან სადღაც დაბორიალობდა, კაც ზვამბაიას ნახუცარი და თარაში არ იშორებდნენ, ლუკაიას არ ეცალა და არაბია გამხმარ ჩალას ღეჭავდა თავლაში ძროხებთან ერთად.

ახლა ნანობდა კაც ზვამბაია: თავისი უმრწემესი ვაჟი ქელეში რომ არ წამოიყვანა. მერმე როგორ ეხვეწებოდა საწყალი ბიჭუნა! ქელეშ კომკავშირში არ ჩაწერილა, ამიტომაც იშვიათი ცხენოსანია. ქელეშ ყველაფერში მამას ჰგავს. ქელეშ მამასავით ტანმორჩილია და არზაყანზე უფრო მარდი და იგი, მხოლოდ იგი თუ ასახელებდა ამ მარულაში მამას. არზაყანმა, პირიქით, ყველგან სირცხვილი აჭამა კაც ზვამბაიას. პოლიტსამმართველოს დავალებით, ყაჩაღებს სდევნის. ოდესღაც მთელი სააფხაზოს, სამურ-

ზაყანოს და ყაბარდოს ცხენის ქურდები კაც ზვამბაიას სახლში იყრიდნენ თავს. არც კაც ზვამბაია და არც მისი სტუმრები მარტოოდენ ანგარების გამო არ ეწეოდნენ ამ საქმეს. ცხენის ქურდობა იმ დროებში ვაჟკაცობის მაღალი მარკა იყო. და ახლა არზაყან თავათ ილაშქრებს მამისა და სიყრმის მისის მეგობართა წინააღმდეგ. არზაყან მამის „ძვალის გამტეხია“ და სხვა არაფერი. შვილმა მამის სახატეს ზურგი აქცია, შვილმა მამის პურმარილით მოგებული თოფის ლულა მიუშვირა.

და როგორც შებინდებისას წამოვა ხოლმე პონტოს ზღვიდან ამდგარი ლეგა ღრუბელი და მერმე უშველებელ ძერასავით აფხორილი გამოსწევს ქიანქიანით, გზადაგზა უფრო და უფრო გაზრქელდება და გაშავდება და ჩაწვება ოქუმის ახლოს, ანარიიდან განაწევრებ ორ მომცრო მთას შორის, ისე ეშვებოდა მამასა და შვილს შორის გაბოროტება და ეს ყოველივე სავსებით უბრალო წვრილმანებში იჩენდა თავს.

ახლაც კაც ზვამბაია გუშინდელ ამბავს დაუბრუნდა. წინა ღამით ვერაფერი უთხრა ვაჟს, რადგან ლუკაიას ავად გახდომამ შეუშალა ხელი. ცხენი რად დაამშიეო, ასე თუ გინდოდა, გუშინ სად დახტებოდიო. სად დაბორიალობ, თავათაც არ იციო და მოჰყვა თავისებურ ქადაგებას კაც ზვამბაია.

ის იყო, არზაყანმა მეორე წაღის ყელიც გადაიკეცა მუხლისთავზე, მათრახს ხელი წამოუსვა და უხმოდ გავიდა გარედ.

არაბია გულაჩვილებული ჭიხვინით შეეგება თავის პატრონს და ამ ჭიხვინში იგრძნო არზაყანმა უყურადღებოდ მიგდებული ცხოველის ჩივილი.

დამნაშავესავით დარცხვენილი შევიდა არზაყან თავლაში. აცქვეტილ პატარა ყურებზე მოეფერა არაბიას, შეკრეჭილ ფაფარზე ხელი მოუსვა, ლოყა კისერზე მიადო და მიეხუტა ცხენს, თვალები ამოუწმინდა მზრუნველი ხელით, თუმცა ჯერ თავათაც რიგიანად

არ მოეფშვნიტა თვალი.

არზაყანს გული დასეტყვილი ჰქონდა თამარის უნახაობის გამო უმწეოდ ამრეზილს. ბუზღუნა მამისა და შლუ ლუკაიას ამარა დარჩენილი ისეთ უჩვეულო მარტოობას შეეპყრო მისი სული, ასე ეგონა, მთელი ქვეყანა უდაბნოდ ქცეულიყო, თითქოს არსად მიწაზე ერთი ადამიანიც არ ეგულებოდა ისეთი, ქრთილისოდენა სიყვარული რომ შემოენახა მისთვის. და ასეთ დროს განუზომელად იამა არაბიას შეხედვა, რადგანაც ცხოველის სიახლოვე ამშვიდებს ადამიანებზე განაწყენებულსა და გულაცრუებულს.

არაბიას ავშარა წაეძრო როგორღაც, და როცა არზაყანმა გავაზე ხელი წაუტატუნა, იგი ერთბაშად ხელიდან გაუძვრა არზაყანს, ქალაჩუნურად კისერი მოიღერა და შეიკუნტრუშა, შორიდან თავს უქნევდა, თითქოს ალერსიანად ემუქრებოდა თავის პატრონს.

ამ წუთში არაბია ქალწულსა ჰგავდა ნაფერებსა და დედისერთას, როცა მას დედა გარდაეცვლება და მერმე მამა ჭარმაგი, დაქვრივებული, შვილის ხათრითა და მორიდებით, სხვა ცოლს ვეღარ შეირთავს. მერმე ამ ერთადერთს მიაკუთვნებს იმ სიყვარულსაც, რომელიც მას ეკუთვნის, როგორც ქალიშვილს და იმასაც, ვნების წუთებში გარდაცვლილი ცოლისადმი რომ უგრძვნია მამას...

მიუახლოვდება არზაყან არაბიას, სადაცაა ხელი უნდა წაავლოს კისერზე, არაბია ჯერ ისევ გაიტრუნება და თავს მოიკატუნებს, თითქოს კარგად გახედნილი, მშვიდი ცხენი გამხდარიყოს და სიბრძნის კბილი ამოსვლოდეს დღე-ღამის მანძილზე, მერმე უცებ შეხტება, შეიკუნტრუშებს და გაექცევა.

ღელავს არზაყან, თანაც ახარებს ამგვარი ლაღობა თავის საყვარელ ულაყთან. მერმე თავლის კარი ღია დასტოვა არზაყანმა,

თავათ ფეხები დაუბაკუნა, ხელი ხელს შემოჰკრა, „აჩუო“, შესძახა და სვეტს ამოეფარა.

დღის სინათლის დანახვით გახარებულმა არაბიამ დაიჭიხვინა და კარისაკენ გაემართა, მაგრამ არზაყანმა ისკუპა და ფოცხვერივით მოექცა ქეჩოში გატეტეჩებულ ულაყს, ლაშებში წასწვდა. და როცა არზაყანმა თავიდან გამოიყვანა ცხენი, მწიფე ქლიავისფერსა და დიდრონ თვალებში ჩაჰხედა და იგრძნო რატომღაც, რომ არაბია თამარს წააგავდა.

თამარსავით გრძელი და ჯიშიანი ფეხები ჰქონდა არაბიას, მასავით ელასტიური სახსრები, თამარსავით ამაყი იყო არაბია, თავს მშვიდად და მოკრძალებულად მოაჩვენებდა კაცს, თავათ გულზვიადი და ამპარტავანი. მასავით საუკეთესო იყო და უმშვენიერესი თავის ჯიშში, მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქოს არც კი იცის, რომ ლამაზია და პირმშვენიერი. არაბიაც თამარსავით გულფიცხი იყო და არზაყანიც ორივეს უთმენდა ამ გულფიცხობას, რადგან კარგად იცოდა, სიფიცხე ჯიშის უტყუარი ნიშატი რომ არის. და დაიძრა ამ მსგავსებისაგან არზაყან ზვამბაიას გულში მოზღვავებული სიყვარული. მივიდა არაბიასთან, ორივე ხელი მოჰხვია ცხენს გედის კისერსავით მოდრეკილ ქედზე და განუსაზღვრული სიყვარულის დარდით გულაჩვილებულმა აკოცა არაბიას მადონასებურ დიდრონ და კრიალა თვალებში, შემდეგ კი თვალის უპის ზემოდ ორივე თხემის რქაზე აკოცა სამგზის.

უკუდგა მყისვე და თავათ გაოცდა, რომ ამ ცხოველში გაერთიანდა ქალისა და ცხენისადმი უსაზღვრო ტრფიალი.

როცა ცხენს მოაჯდა და მათრახის მოწყვეტილი ტკაცანი გაისმა კაკლის ქვეშ, ამ მშვენიერი დილის ჰაერის პირისპირ, გაქანებული ცხენის რბენით გახარებულმა გულის დარდის განუზომელად შემსუბუქება შეიგრძნო.

ეზოდან გასვლამდის თვალი მოავლო თამარის ოთახის ფანჯარას, ფარდები დაშვებული იყო. თარაშ ემხვარის ნათქვამი მოაგონდა უნებლიედ: მართლაცდა, უმშვენიერესი სახლი ისაა ამქვეყნად, რომელშიაც გულის შენის მიჯნურსა სძინავს.

* * *

გულმწუხარეთათვის ცხენზე ჯდომა შვებააო და, რა გაიარა მანძილი მცირე, ადრიანი დილის საამო სიგრილემაც გაახალისა არზაყან მყის.

მშვლის ბეწვისაგან ნაკეთებ, მაღალტახტიან ოდიშურ უნაგირზე ნებიერად მჯდარმა სასიცოცხლო ენერგიის მოზღვავება იგრძნო, თითქოს იგი უკვე აღარ იყო მარტოხელა, თითქოს იმავე არზაყანს ამ ქუჩაზე არ ევლოს გუშინ და გუშინწინ დარდისაგან გულდაბინდულს.

ცხენოსანი ზევიდან უცქერის ქვეითსა ისევე, როგორც ავტომობილში მჯდარი ფეხით მავალს და ახლაც არზაყან ზვამბაია ხედავდეს თითქოს ცხადლივ მხრებდაშვებულს, ნაცემ მამასავით მოფუყულ არზაყან ზვამბაიას, შეღამებათა ბინდბუნდში ზუგდიდის დიდ პროსპექტზე მოხეტიალეს.

მოტაბაკებულ თემშარაზე შეაგდო მან ცხენი. კიდევ მიხედა თამარის თეთრფარდიან ფანჯარას. ცალი სარკმელი ღია იყო, ვიღაც მოეჩვენა, ვინ იცის, ეგებ, თამარი იყოს, უთვალთვალებდეს ეგების იდუმალ, თუ ვით მიაგელვებს არზაყან ზვამბაია თავის არაბიას.

მერმე როგორ უყვარდა თამარ შარვაშიძეს ჯიშიანი ცხენების მზერა! თამარს მრავალი რამ ჰქონდა განაგონი არაბიას გამო, ეხვეწებოდა კიდევაც არზაყანს: ერთხელ ცხენით ჩამოდი, არაბია მაჩვენეო როგორმე.

განა არზაყანს არ უნდოდა, მაგრამ იგი ერიდებოდა აზნაურული შიკის გამოჩენას. მტრები აუარებელი ჰყავდა, მეგობრები აფრთხილებდნენ: კომუნისტს არ შეშვენისო ამპარტავნულად ჩაცმა და წარამარა ჯირითი. მას უკვე ორჯერ ჰქონდა გაფრთხილება მიღებული.

როგორც იქნა, თვითონაც ჩამოვიდა, არაბიაც ჩამოიყვანა და თამარი, თავათ თამარიც სანახავად სანატრელი გაუხდა.

არაბიას ყოველმხრიდან ესროდნენ შურიან მზერას ქალაქისაკენ მიმავალი მეკვერცხეები, მეურმეები. ჭების საქაჩებთან მიმდგარ ქალებს თოკი ხელში შეაცივდებოდათ, გაოცებულნი უჭვრეტდნენ ტანწყობილ მხედარს და რაშივით ცხენს. ხარაზები, თერძები, ჭონები სადგისსა და ნემსს შეაჩერებდნენ და არაბიას მიაშტერდებოდნენ.

არზაყან არაბიას მაგივრად გრძნობდა ამ მზერას. სამსახურში მიმავალი მოხელეები და ლამაზმანები გზაში ჩერდებოდნენ, ჯერ ცხენს შეხედავდნენ, მერმე თვით მხედარს გააყოლებდნენ მზერას ალერსიანს, ხანაც შურნარევს.

ჭადრების პროსპექტზე სკოლაში მიმავალმა ქურციკივით ლამაზმა გოგონამ ზედ ცხვირწინ გადაურბინა არაბიას, ელდისაგან განაკრთობს ხელიდან წიგნები გაუცვივდა და შიშნარევი აღტაცებისაგან ისე კოხტად ზეასწია მარჯვენა ხელი, როგორც ეს ნაჩვენებია ხოლმე ძველბერძნულ ფრესკებზე, როცა მშვენიერი ფერია პანს შეეფეთება, ან ჩვენი დროის ბალერინა ასწევს მარჯვენას ისეთ წუთებში, როცა გახელებულ მიჯნურს გაურბის სცენაზე.

ცნობილია: ჯიშიანი ცხენები გაცილებით უფრო ადრე იხვეჭენ სახელს, ვიდრე უნიჭო მწერლები. და მართლაც, არაბიას ზუგდიდში ჩამოსვლამდისაც იცნობდნენ განაგონით, არა მარტო დაბაში, არამედ მთელს აფხაზეთსა და ოდიშში. და არაბია ცნობილი

იყო განა მარტო სილამაზისა და ჯიშიანობის თვისის გამო, არა-მედ იმიტომაც, რომ მისი პირვანდელი პატრონი — ძველი ყაჩაღი ამ რაიონებს თავზარსა სცემდა ოდესღაც.

არაბია შეკრთა, და როცა მხედარის მაგარმა ხელმა მარცხნი-საკენ მოუღრიჯა კისერი, შენელებული, რიტმიანი როკვით ისევ გოგვაზე გადავიდა და დაიფრუტუნა.

ასე მიროკავდა მშვენიერი, ძლიერი, ახალგაზრდა ცხოველი და ოქროს სხივებად დაფანჩული გაზაფხულის მზე კაშკაშებდა არაბიას ლაპლაპა ბეწვზე. ბაზრის თავში მოცვეთილ ხეებზე მიბ-მულმა მთვლემარე ცხენებმა თვალი გაახილეს. რომელიღაც ჯაგლაგა და უჯიშო ჭაკმა ინატრა ალბათ გულში ეს წმინდა სის-ხლის აჯილღა და გამწარებულად დაიჭიხვინა. ყურებაცქვეტილი არაბია მიგელავდა, მიროკავდა, მშვილდივით სდრეკდა კისერს, დუჟმორეული ღეჭავდა ლაგამს და თავისი გონიერი თვალებით გასცქეროდა გზას, თითქოს ეს გზაც და ეს მშვენიერი ქვეყანაც მისდა სანავარდოდ ყოფილიყოს გაჩენილი.

ჭადრების ქვეშ ორი მოხუცი ნათავადარი შენიშნა არზაყანმა: გუდუ ჩიქოვანი და გვანჯი აფაქიძე. გვანჯ აფაქიძე გველნაკბენსა-ვით ზეწამოიჭრა, ვიწრო ბულვარი გადმოიარა და ის კაცი, რო-მელსაც დასანახავად ეზარებოდა ყოველი კომუნისტი და, მით უფრო, არაბიას პატრონი (რადგან სწორედ არზაყანმა შეიპყრო მისი ვაჟი სამი წლის წინად), ახლა ცბიერად მომღიმარე შემოე-გება:

„აბა ჰა, არზაყან, აბა ჰა, არზაყან, — ამბობდა გვანჯი, — აბა, შენ იცი, სირცხვილს თუ არ გვაჭმევ ინგირსგაღმელებს ზეგ. ხომ ხე-დავ, ახალ დროშიაც ჭკუა ვერ ისწავლეს გამოღმელებმა, ჯვარში კაცი გაუგზავნიათ კიწი დადიანთან, შენ უკეთ იცი, კიწი ძველი ცხენეჯია. გარდა ამისა, მიწსახკომის ცხენები ჩამოუყვანიათ ტფი-

ლისიდან ისეთი, ისეთი, შენ გაზრდას, კაცის თვალი უკეთესს ვერას ინატრებს“.

თვითონ არზაყანსაც ჟამივით სძულდა გვანჯ აფაქიძე. ბოროტი, შურიანი, ენამრავალი. ერთ წუთს არზაყანის ხსოვნაში უეცარმა მოგონებამ იელვა: წყლისფერ ჩოხით მორთული, მოოქროვილ ქამარ-სატევრით წელდამშვენებული გვანჯ აფაქიძე ცხენს მოაჯირითებდა ოქუმის თემშარაზე ერთხელ. თორმეტი წლის არზაყანს საფქვავი მიჰქონდა წისქვილში, ტომარი თავზე ჰქონდა დადებული და ცალკერძ ჩამოწოლილი ტომრის უბე მზერას უბორკავდა არზაყანს. გვანჯ აფაქიძემ ზედ ცხვირწინ დაურჭო ცხენი.

შე მამაძაღლო, გზა დროზე ვერ მიტიეო? შემოსძახა და მათრახის წვეტი უთავაზა. იმ დღიდან მორიელის ნაკბენსავით ახსოვდა არზაყანს ეს ამბავი.

ახლა კი ყავისფერფაფახიანი, კოხტად მოკაზმული არზაყან ცხენიდან გადმოსცქეროდა ჩოხაშემოხეულ გვანჯ აფაქიძეს და არზაყანის გული ისეთსავე დიდ სიამოვნებას გრძნობდა, როგორსაც გვანჯ აფაქიძე არაბიას შეხედვისას.

გვანჯს თვალში მოხვდა არზაყანის კოხტა, აზიური წაღები, მუხლს ქვემოთ ვერცხლის ლეკვერთხები შენიშნა, სწორედ ისეთი, თავადები რომ ატარებდნენ ძველად. შემდეგ კი ისევ ცხენზე გადაიტანა მზერა ნათავადარმა, ხოლო არზაყანმა გვანჯის პეწშემოცლილ ფაფახს, კომშსავით გაყვითლებულ ლოყას და ღაწვისთავებზე კვრინჩხივით ამოსულ თმას შეავლო თვალი.

გვანჯს ჩოხა ეცვა სატევრის მიერ საქამრესთან გამოცვეთილი, ჩოხის ზემოდან გარკაბა, ეგეც საკმაოდ გახუნებული, ხოლო გარკაბისთვის წითელი სარჩული დაედო, სწორედ ისეთი — ნიკოლოზისეულ გენერლების მოსასხამებს რომ ამშვენებდა. და მუდამ კოკმაზურად მორთულ გვანჯ აფაქიძეს ადამის ვაშლამდის

სწვდებოდა გაცვეთილი ახალოხის საკინძედან გამოჩენილი სვიტრის საყელო. ხოლო ადამის ვაშლი მისი კისრისა მაჟალოს ჰგავდა, უჟამოდ დამჭკნარს.

თვალებგაბრწყინებული შესცქეროდა გვანჯ აფაქიძე არაბიას. მუშტრის თვალით ზომავდა და ათვალიერებდა ცხენს.

არაბია ცქმუტავდა, დაფეთებული თვალს უბრიალებდა ამ ახმახ კაცს, რომელსაც ცალი ხელი აღვირზე წაევლო მისთვის, ხოლო მეორეს ფაფარის ძირებზე უსვამდა და ეფერებოდა.

ერთბაშად ხელი უშვა აღვირს გვანჯ აფაქიძემ, მცირე მანძილზე უკუდგა, ჯერ თავს ცხენისას შეავლო თვალი, შემდეგ საძუისაკენ გაიხედა დაუზარებლად, მარდად დაცუცქდა, მუცელზე ახედა და შემდეგ ისევ ცხენის ფეხებს შეაჩერდა, წინა ფეხების საოლავზე ფრთხილად შეავლო ხელი. მყის ატოკდა, აცქმუტდა არაბია და ურჩობა დაუწყო მხედარს. ოდნავ წინ გაჰქანდა, უხიაგი ფრუტუნი შექნა, მაგრამ აღვირისაგან დაოკებულმა ისევ ერთ ალაგას ცქმუტვა და ფეხების ბაკუნი დაიწყო.

თავდახრილი, გაშეშებული იდგა შორიახლო გვანჯ აფაქიძე, მარცხენა მჯიღი ნიკაპთან მიეტანა და ხმადაბლა ბუტბუტებდა, თითქოს ძველ ლოცვას იმეორებსო თავისთვის:

„აჰა, საოლავი მოკლე აქვს, კაია“. ესა სთქვა და ცხენის თავს მიხედა მყისვე:

„კარგ ცხენს აქლემს უნდა მიუგავდეს სამი ასო: თავი აქლემისებრ ხმელი, ცხვირიც მასავით გრძელი, ლაშაც აქლემისებრ წაგრძელებული“.

ესა სთქვა და ქვედა ლაშზე ჩამოჰკრა ცხენს თითი საჩვენებელი ისევე, როგორც ვირტუოზი პიანისტი დაჰკრავს ხოლმე პიანინოს ინსტრუმენტს ტემბრის გამოსაცნობად.

და ისევ განაგრძო:

„ენა და ძუა გრძელი უნდა ჰქონდეს ჯიშიან ცხენს, კაცს კი ენა

— მოკლე. აფსუს, ძუა რომ მოგიჭრია, არზაყან, ეს რუსებს სჩვევიათ. რა გიქნია, ბიჭო!“ და ეს „ბიჭო“ სმენაში გაეხირა არზაყანს, მაგრამ მყისვე გაარჩია: ეს არ იყო მკვახედ, აგდებულად ნათქვამი, არამედ ალერსიანი და მოუფიქრებელი შეხუმრება.

ახლა ცხენის გავას გადახედა გვანჯ აფაქიძემ, თოქალთოს ქვეშ დაგებული ქეჩა ამოსწია და ისევ განაგრძო:

„გვერდის ძვალი სხვილი“... შემდეგ ისევ ცხენის თავს გაჰხედა: სხვილი თვალები... ჰა, ჯიმა აჯამი, ასეთი თვალები ჯერ არ მინახავსო ცხენის თავზე, ამბობდა გვანჯ აფაქიძე.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ისევ მოჰყვა თავისებურ ბუტბუტს:

„სამი ასოც ჯორს უნდა უგავდეს: ყური გრძელი, წაცქვეტილი, ქაჩაჩი შავი, კოხტად მომრგვალებული, ისეთივე, როგორც ჯორსა აქვს. კბილები“.

ესა სთქვა და ისევ თავს წასწვდა ცხენისას, ზემო ლაშა ახადა ფრთხილად.

„კბილები ახლო-ახლო მიჯრილი“...

არაბიამ თავის კანტური დაიწყო, თითქოს არ უნდოდა თავისი მოყვითანო და ჩარაზმული კბილები ვინმეს ენახა თვალით.

გვანჯ უკუდგა, თვალი გაუსწორა ყურებდაცქვეტილს და შუბლში შეხედა ცხენს.

შუბლიც ფართო აქვსო და ნესტოებიც.

ისევ შეუშვა სადავეს ხელი. ცოტა გაატარე და ისევ შეაყენეო, ეუბნებოდა იგი თითქმის ბრძანებითი კილოთი არზაყანს.

არზაყან მონუსხულივით ყურს უგდებდა ცხენოსნობის დიდოსტატის ნათქვამს, ხალისიანად დასძრა კიდევაც ცხენი, მაგრამ გაბეზრებულ არაბიას კვლავ შეყენება არც ისე ადვილი აღმოჩნდა.

ქუჩაზე ბრბო მოგროვილიყო.

„არაბია, არაბია“, გასძახოდნენ ბიჭები ერთმანეთს.

მორბოდნენ თავშიშველა, უქამრო ყმაწვილები, სამჭედლოების, სადალაქოების, სამკერვალოების შეგირდები, სკოლიდან გამოპარული მოწაფეები.

„არაბია, არაბია“, იმეორებდა ქალი და კაცი, საქმიანი და უსაქმური, დიდი და მცირე.

ყველას ენატრებოდა არაბიას ნახვა, ყველას თვალები უბრწყინავდა არაბიას დანახვისას.

თავათ არაბია კი მიჯირითებდა, მიგელავდა, მიკუნტრუშებდა. სწყრებოდა არზაყან, მკაცრად ღუშავდა თავის წაბლისფერ წარბებს. ჯავრობდა: გამეტიჩრებული არაბია რომ არ ისვენებდა, თითქოს მაქებართა ბრბომ თავი მოაბეზრაო და აზვავებულაო ტრიამელ ტრამალების მონატრული.

ჭაღარა გვანჯ აფაქიძე ჯერ ძუნძულით მისდევდა უკან, მერმე, არც ატოვა და არც აცხელა, თავისი დახეული გარკაბის კალთები ზეაკრიფა და გარბოდა.

მისდევდნენ არაბიას ბალღები, ვაჟები და მოსწავლე ქალები, მხურვალე ოვაციებს უმართავდნენ ცხენს.

* * *

გზაჯვარედინზე ძლივს შეაყენა ცხენი არზაყანმა. გვანჯ აფაქიძეს ხვნეშა ავარდნოდა, ცალ ხელში ფაფახი ეჭირა, ცალი საგულეზე მიედო. მობაჯბაჯებდა, მოძუნძულებდა ძველი სახელოვანი ცხენოსანი, ეკლესიაშიც ცხენით რომ დადიოდა ოდესღაც, და გვანჯ ისე საოცრად მოხიბლულიყო ამ საოცარი ცხენის შეხედვისას, რომ თავისი გამწარებული სიბერეც დავიწყებოდა და გულის მანკიცა.

უკან მოიხედა არზაყანმა და, ფრთამოტეხილი ძერასავით მომბობღავ ნათავადარს რა თვალი ჰკიდა, გაეცინა, მაგრამ მყის-

ვე შეიკავა ღიმილი. საოცარიაო, ფიქრობდა არზაყან, რას მოძუნ-ძულებსო ეს სულკატიანი. მყისვე დაფიქრდა: ან რა უნდა დაეშა-ვებინა უვნებლად გამხდარ ნათავადარს არაბიასათვის ან მისი მხედარისათვის?

ვინ იცის, მსჯელობდა თავისთვის არზაყან, ეგებ ის ეგონოს მაგ გამოყრუებულს, რომ არზაყან ამ ცხენს გაყიდის! მაგრამ არა, ისიც ხომ შესაძლებელი იყო, ბერიკაცს დიდი ხანია ჯიშიანი ცხენი არა ჰყოლოდა ნახული და უბრალო ინტერესის მეტი არაფერი ყოფილიყო საფიქრებელი. ცხადია, ძველ დროში ვინ შეარჩენდა არზაყან ზვამბაიას ასეთ ბედაურს? თვით გვანჯ აფაქიძეც იზრუ-ნებდა ამისთვის. ძველად გვანჯს მთელ ოდიშში საკუთარი აგენ-ტები ჰყავდა დაქსაქსული, როგორც კი სადმე გაიჭაჭანებდა ჯი-შიანი ცხენი, მყისვე გააქრობდნენ.

ქვეყანამ იცოდა: ასეთ საქმეებში გვანჯ აფაქიძეს ხელი ერია, მაგრამ ბრმა იყო ძველი კანონი და ქურდი ის იყო, ვისაც ქურდო-ბაზე მიუსწრებდნენ, ხოლო ქურდობის ხელმძღვანელნი რუსების მეფის ოფიცრების ეპოლეტებს ეფარებოდნენ.

გვანჯ ისევ ცხენის პირისპირ დამდგარიყო, სახე სულ ერთია-ნად გაწითლებოდა ოფლში გაღვარულს. ახლა მის სახეს, რბენი-სა და სიხარულისაგან, რაღაც უჩვეულო, ახალგაზრდული იერი მისცემოდა. იდგა აღტყინებული მოხუცი, მზერადქცეული უთ-ვალთვალებდა არაბიას.

ძლიერ ახლოს მივიდა ცხენთან. ისევე როგორც მებორნემ ენ-გურის პირად, მანაც ოთხივე თითი ბრტყლად შეუყო წინა ფეხე-ბის ბაყვებში ცხენს, თავი გადააქნია, გარკაბის სახელოთი ოფლი ჩამოიწმინდა აბურძგვნილ, ხშირ წარბებზე ჩამოცვარული და არა უთქვამს რა. შემდეგ ამისა, რამოდენიმე ნაბიჯით უკუიქცა და განაგრძო:

„რახსი ცხენი ყოველი ფერისას სჯობია, ამას შუბლიც შავი

ჰქონდა. ეს კი უთუოდ ზადია, ფეხკავშა რომაა... ქაჩაჩები ამასაც შავი აქვს. ეს კაია, შენ გაზდას“.

ფეხკავშაო?

არზაყანს არ ესიამოვნა, თუნდაც ერთი წუნიც რომ გამოუძებნა არაბიას დიდოსტატმან ცხენოსნობისამან.

„მაშ ცხენს სითეთრე არ უნდა ჰქონდეს, პატონი გვანჯ“ შეეკითხა იგი მოხუცს, მაგრამ მყისვე ინანა ნათქვამი, რადგანაც მისი კითხვა უპასუხოდ დატოვა გვანჯ აფაქიძემ. ეს ვეღარ გაეგო არზაყანს მხოლოდ: განზრახ არ იძლეოდა პასუხს თუ შორიახლოს მოგროვილი ბავშვების ჟრიამულში გათქვეფილიყო მისი ნათქვამი. ისევ გამოერკვა ჩაფიქრებული მოხუცი, პირისპირ შეხედა არზაყანს სახეში.

„მოთეთროვო? მოთეთრო არ უნდა ჰქონდეს კაი ცხენს, მახარია. არის ერთგვარი ჭრელი, მოჭრელო ცხენიც, სპარსნი აშხამს უწოდებენ ამგვარ ცხენს, ბიძი. ამგვარი ცხენის შენახვა სირცხვილად ითვლება ჩვენს დროში“.

„მაშ თქვენ გგონიათ არაბია აშხამია?“

„ჰმ, აშხამი? აშხამი კი არა“... ესა სთქვა და გაიცინა გამოუცდელი ჭაბუკის იჭვნეულობით გაკვირვებულმა აფაქიძემ.

„ასე უნდა, ბიძი, ასე უნდა, შენ გაზდას. მეც ასე ვიყავი შენხელობისას, ჩემი ცხენების აუგი ვინმეს რომ გაებედნა ჩემთვის, ან მე ვიქნებოდი ამ ქვეყანაზე, ან აუგისმთქმელი. მე გამოცხადებული მქონდა: პირში ნურას მეტყვით, ნუმც მე და ნუმც ჩემს ცხენებს ჩემთან ნუ აგინებთ და ჩემს ზურგს უკან თუნდაც ჩემს ძაღლებსაც აგინეთ-მეთქი. ეს ქვეყანა შურიანია, ბიძი, ეს ასე იყო და ასე იქნება, ადამიანები კაის თვალს ვერ უსწორებენ. ჯიშიანს ყველა აგინებს, მახარია, რადგან ყველას ის უნდა თვით ჰყავდეს ჯიშიანი. თუ სხვისი ცხენების გინება გაიგონო, იცოდე, ი ცხენები კაი ცხენებია, ბიძი, თუ ვაჟკაცს ბევრს აგინებენ, ი ვაჟკაცი უთუოდ კაი

ვაჟკაცია, ბიძი.

აბა, სად გინახავს, ჯაგლაგებზე ბევრს რო ლაპარაკობდნენ, ბიძი, ჯაგლაგის საგინებლად ვინ დაშვრება? მე ამ ცხენის ბევრი გინება გამიგონია და მიტომაც გამოვუდექი. ჩემს საუკეთესო ცხენებსაც აგინებდნენ, პირში რო ეთქვათ, იცოცხლე, არ შევაწევდი. ახლა ცხენებს კი არა, ყოველდღე დიდი და პატარა პირში მაფურთხებს, ბიძი, მარა ვითმენ, ვითმენ, შვილო, რადგან ეს გაძაღლებული სული ტკბილი ყოფილა, ტკბილი“.

არზაყან შინაურობაშიც ჩვეული იყო კომუნისტების საყვედურს, იმასაც, რომ ამ საყვედურს მისკენ მიმართავდნენ და ამიტომაც არ ეუცხოვა ბერიკაცის ნაჩურჩუტევი.

„დედის რძით არ უნდა იყოს ეს ცხენი გაზრდილი“. ამბობდა გვანჯი არზაყანს გაეცინა.

„რაში ატყობთ, რაო?“

„კაი მანძილზე ნავალია ე ცხენი, ამდენი ხანი უკან მოგდევდი, ვხედავდი ორჯერ გაგიჭენდა, მერე ისევ ჭენებით წამოხველი უკან. ისევ დაგიფეთდა, ისევე შემოაბრუნე. დედის რძით გაზრდილი რომ ყოფილიყო, უთუოდ გაოფლიანდებოდა. კაი ცხენს თხის რძით კვებავენ, მიხარია, სამაგიეროდ, იგი გვიან დაცხენდება, გვიან გაოფლიანდება, გვიანაც დაბერდებაო. აი, ხო ხედავ, კაი ბედაურს ასეთი მშვილდისებრ მოდრეკილი თავ-კისერი უნდა ჰქონდეს.

ფაფარი... აფსუს, ფაფარი რომ შეგიკრეჭია, ფაფარი უთუოდ სწორი და გრძელი უნდა ჰქონდეს. კისერი თხელი, კისრის ძარღვები სხვილი და შემოტმასნული. მოიტა თითი, აგერ ყურის არეში დადევი, ამას თხემის რქა ჰქვია, მახარია. არაბნი გვასწავლიან, იბნ რაშიტი და მისი შეგირდები: ასეთი თხემის რქა სანატრელად ქებულია, წარბებიც ასეთი დიდი უნდა ჰქონდეს, დიდი და ზედჩამოფანჩული. თვალის უპეებიც ასეთი ვიწრო უნდა... თუმცა

სულ ცოოოტა, ცოოოტა უფრო ვიწრო რომ ჰქონოდა, უფრო კაი იქნებოდა, გაგიხარია.

ჭალი კაი აქვს, ასევე გაშლილი ქალი უნდა ჰქონდეს, ჭალზე ორი ძარღვი და ასევე ქარგაშლილი მკერდი, წვრილი მკერდისთავის.

არზაყან გულმოდგინედ უსმენდა, ყოველი წვრილმანის გამო ღელავდა, პირში შესცქეროდა გვანჯს იმ წუთშიაც, როცა იგი მჯიღს ნიკაპზე მიიდებდა და რაიმე ახალი აზრის გამოთქმისათვის ემზადებოდა.

„მშვენიერი კვირისთავები აქვს, შენ გაზდას“...

ესა სთქვა და ახალოხის ჯიბისაკენ წაიღო ხელი გვანჯ აფაქიძემ, დიდხანს ეძია, ხვნეშით ამოათრია კიდეშემოცვეთილი ბუდე სათვალისა, ხელის კანკალით გახსნა, სათვალე ამოიღო შუაში გაბზარული. ცხვირზე ჩამოიცვა.

„აქ მო, აქ“, ეუბნება არზაყანს, ხელი ხელში წაავლო, თავათ დაცუცქდა და ყურადღებით მიაჩერდა ცხენის წინა ფეხებს.

„აი, აი, შეხე, შეხე, წვრილ წურბლებივით რომაა ძარღვები, ეს კაია, სანატრელად ქებულია, შენ გაზდას. წინა ქაჩაჩის პირიც კაი აქვს, ხედავ, ი ქაჩაჩის პირი მაღალი უნდა, სწორედ ასეთი, სწორედ ასეთი. უკანა ფეხებიც ასეთივე გრძელი უნდა, გავა...

მარა უნდა გითხრა, ბიძი, შენ ვერ ინახავ ამ ცხენს, როგორც წესია. უკანა გავა ასევე მოკლე და განიერი — ქებულია. ხორცმრავალი უნდა იყოს, გესმის, ამაზე უფრო ხორცმრავალი“.

ახლა ისევ წინიდან შემოუარა არაბიას გვანჯმა. არზაყან პირმოკუმული უსმენდა.

„დახე, დახე, ეგეც კაია. ბეჭისთავები დაფლული უნდა ჰქონდეს, ხორციანი უნდა იყოს, ბეური, ბეური ხორცი უნდა ჰქონდეს, მახარია“.

არზაყანმა მზეს ახედა, საკმაოდ ამოწეულს ხედავდა: ცვარის

გაშორებამდის ვერ მიაღწევდა ტყის პირამდის. გვანჯ აფაქიძეს დიდი მადლობა გადაუხადა, თანაც გაოცება გამოსთქვა: მას, გვანჯ აფაქიძეს კარგად რომ სცოდნია ცხენის ამბავი. ეგონა, ამ გზით უფრო მალე დააღწევდა თავს.

„ეჰ, ბიძი, — ამბობდა გვანჯ, თანაც მკლავს ურბილავდა არზაყანს მარცხენას.

ცხენები ჩემდენი ვის ჰყოლია“... და დაიწყო მთელ ქვეყანაზე აღრენილმა ნათავადარმა თავისი ძველი ცხენების ქება. მაგარ-მაგარი საყვედურები მიართვა ჭაბუკს. მოურიდებლად კიცხავდა ბოლშევიკებს, რომ ამ „ქრისტეს ფეხის მკვნეტელებმა“ არც წისქვილები შეარჩინეს გვანჯ აფაქიძეს კოდორის მხარეში, არც ენგურის პირად მდებარე სახნავები და ეწერები, არც ცხენის რემა და თხის არვე.

ისიც ახსენა, მისი ცხენები მთელს სარუსეთოში ქებული რომ იყო. თავათ პრინცი მიურატი რომ მის გაზრდილ ცხენებზე იჯდა. არც ის დაუმალავს, პრინცი მიურატი მას ყოველ მეორე დღეს სადილად რომ ჰპატიჟებდა. საოცარი ის იყო, თავისი ცხენების ფერიც, სახელიც და აღნაგობაც რომ ახსოვდა. ყველას სათითაოდ იგონებდა და ისე გულმოკლული ლაპარაკობდა მათ გამო, როგორც დედა ახსენებს ხოლმე თავის მიცვალებულ შვილებს. და ისე მტკივნეულად სჩიოდა გვანჯ, თითქოს გუშინ წაერთმიათ მისთვის ბოლშევიკებს ენგურის ჭალები, კოდორის წისქვილები, ცხენის რემა და თხის არვე.

განსაკუთრებით დაღონებული მოსთქვამდა თავის დაღუპული ცხენის რაშიას ამბავს. რაშია ჯერ პოლიტსამმართველოს უფროსმა წამართვაო, მერმე აღმასკომის მდივანს გადაულოცაო. აღმასკომის მდივანმა მილიციის უფროსს მიაჩეჩაო. მერმე ერთბაშად ცხენი თვალიდან დამეკარგაო, ჯვარიდან ხმა მოვიდაო, რაიკომის მდივანი დააჭენებსო. ცხენი ავადმყოფობსო.

„სულო ცოდვილო, ერთი კი ვიფიქრე: ჯვარში წავალ, იმ საცოდავ რაშიას ვინახულებ-მეთქი, მერმე ის იყო, იქიდან ჩამოსულ მილიციელს ღვინო ჩავაცეცხლე, ამბავი გამოვკითხე. გამომიტყდა: შენ ცხენს უკანა ფეხებზე კვერცხი გაუჩნდაო. ესა ვთქვი: ღმერთმა ნუ მაჩვენოს-მეთქი, ჩემი რაშიას ავადმყოფობა-მეთქი. თავი ვინუგეშე, კიდევ კაი ზუგდიდიდან რომ გადაკარგეს და ჩემი გულის გასახეთქად აქ არა ვხედავ-მეთქი.

გუშინ, შენ გაზდას, თვალიდან კურცხალი დამდინდა. აღმასკომიდან მოვდივარ, ქვიშისფერმა ცხენმა ჩამოიარა. დაღს შევხედე, აფაქიების დაღია. აფაქიების დაღი ხომ იცი: ეკლესია, ჯვრიანი ეკლესია. ვიღაც ზღმურტლიანი ბიჭი იჯდა ჩემს ცხენზე. ვკითხე, ვისია-მეთქი, ბიჭო, ეს ცხენი?

„აფაქიძეების ნაოხარიაო“.

ნაოხარიაო? შევჭამე პასუხი, რა უნდა მეთქვა, რამე რომ აკადრო, მერმე სა მიხვალ? ცხენი გამხდარა, ოთხივე ფეხზე კვერცხი გასჩენია.

ახლაო, ამბობდა ი ბიჭი, ეგ ცხენი ტფილისში უნდა გადავგზავნოთო, ცხენების ინსტიტუტი არისო სადღაც, სისხლი უნდა ამოუღონ თურმე, ამ სისხლისაგან შრატს ნაკეთებანო“.

„რა მოგცეს მერმე იმ ცხენში?“ შეეკითხა არზაყან უინტერესოდ.

„მე რა მომცეს? ბისტი. რას მომცემდნენ? ყველაფერი წაერთმიათ ჩემთვის, ყველაფერი, ოღონდ ჩემი რაშია შეერჩინათ ჩემი გამწარებული სიბერის ნუგეშად. თხის რძით მყავდა გაზრდილი ჩემი რაშია, წონა შაქარი შემიჭმევია, თვალისჩინივით ვუვლიდი, გაქნილი კვერცხის გულით ვბანდი და ახლა სისხლი უნდა ამოუღონ, შრატი უნდა გავაკეთოთო. თქვენ, ბოლშევიკები რომ არ მოიგონებთ, ისეთი რა იქნება, თქვე წყეულებო, თქვე წყეულებო“.

ეს უთხრა და მწარე სიტყვის შესარბილებლად ღიმილიც თან დააყოლა ნაძალადევი, ცხენიდან გადმოწვდილ ხელს არზაყანისას მშრალად და უხალისოდ ხელი შეაგება.

როცა ჯუღეჯიანის ველისაკენ გაჭენებულ არაბიას თვალი წაატანა, გვანჯ აფაქიძე უკვე გამოერკვა, თუ რა უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო იგი ცხენისადმი სიყვარულმა. საკუთარი საქმეები გადაავიწყა და ქალაქს გარედ გასდია, მერმე ვის? „ღრანჭმოქცეულ“ კაც ზვამბაიას ბიჭს.

ჰაი დედაშენს, შენ უნდა იჯდე მაგ ცხენზე და მე ფეხით დავძუნძულებდე ამ სიბერეში? — ეს გაიფიქრა და ზუგდიდისაკენ გაუდგა გზას.

* * *

გული გაუსარკდა არზაყანს. აღარ ზოგავდა თავის საყვარელ ულაყს. ზეგ დოღი უნდა დაწყებულიყო, ცხენს არაფრად აწყენდა ჭენება. უხაროდა არზაყანს, რომ გვანჯ აფაქიძესაც კი მოეწონა არაბია — გვანჯ აფაქიძეს, მის მოსისხარ მტერს. მიჰქროდა არაბია. ეალერსებოდა არზაყანს სახეზე გამჭვირვალე ეთერი და ამ თავაწყვეტილ ქროლვაში განქარდა წინა დღეების სიმძიმილი. გადაულახავი, ძლიერი, გაზულუქებული, ახალგაზრდული ენერგია შეჰხაროდა აპრილის ვარვარა მზეს და ველების მშვენებას, ხოლო არაბიას იგი არ განიცდიდა ამ წუთში, როგორც რაიმეს, თავის გარეშე არსებულ სულიერს, არამედ, როგორც დაუზოგველად მიმქროლავ, ფრთაშესხმულ სიჭაბუკის განუყრელ ნაწილს.

გერულაფა

თამარ და თარაშ ჭადრების ხეივანს მიჰყვებოდნენ. თარაშს სინგურისფერი ჰომპსონის ფრენჩი ეცვა. საწვიმარი მკლავზე გადაეგდო. ფრენჩი ძალზე უჭერდა და ეს თვალსაჩინოს ხდიდა მის მოსხეპილ ტანადობას, ძვალმსხვილა მხარ-მკლავებს. კეპი ცალ ხელში ეჭირა, კუბოკრული ჰომპსონისავე ბრიტჩის ეცვა, მუხლებს ქვემოთ მოყვითანო ფოლაქებით გაბნეული, ამავე ფერის საწვივე და ინგლისურივე სასპორტო ფეხსაცმელი.

სწრაფი, რიტმიული ნაბიჯით მოჰყვებოდა თამარს.

როგორც მთელი სხეულის მოძრაობა, ასევე გახამებულ მაღალ საყელოზე ამოწვდილი კისერი რაღაც სადღესასწაულო იერს აძლევდა მოძრაობას მისას. ამ სიარულზედაც იოლად შეატყობდა დაკვირვებული თვალი: თავდაჭერა და ნაბიჯი გერმანულ სტუდენტთა კორპორაციაში ან ინგლისურ კოლეჯში უსწავლიაო.

თამარს თეთრი დარაიის თავშალი ირიბად გადაეგდო მხრებზე, ფირუზისფერი კაბა ემოსა საკმაოდ გრძელი; კაბა წვივებთან ზარისებურად იყო შემოქოლილი. ტანისამოსის საერთო ფონი თვალთა სილურჯეს აძლიერებდა; სამოსს პროვინციელი მკერვალის ხელი ეტყობოდა, მაგრამ ეს ვერას აკლებდა ტანწყობილებას მისას და ქამარი ერტყა თამარს, ჯახანასეული, მრუმე ცისფერი ქამარი, ძველებურ აბრეშუმზე ოქრომკედით ნაკეთები, ოქროვანი კავურებით, გვიმრის ფოთლების დარად აქა-იქ მალათინით ნაქარგი. ქამრის თავსა და ბოლოში გამოყვანილი იყო ორი მოკენწლავე ხოხობი, შესაკრავთან ნისკარტებით ურთიერთთან შებმული. და ეს ძველებური ქამარი კოხტად შემოდგომოდა უჩვეულოდ წერწეტ წელს. თამარი გაურბოდა თარაშ ემხვართან სიარულს დაბაში, რადგანაც იგი პირველივე დღიდან ამჩნევდა, თუ როგორ ზვერავდნენ მათ პროვინციელთა ცნობისმოყვარე თვალები. ხნიერი ქალები სავსებით მოურიდებლად ჩერდებოდნენ, ლოყაზე საჩვენებელ თითს მიიბჯენდნენ, ჯერ თარაშს შეჰხედავდნენ, შემდეგ — თამარს და რომელიმე მათგანს უთუოდ წამოსცდებოდა: რა მშვენიერი წყვილიაო.

მართლაც, მათ გვერდით გულგრილად გავლა შეუძლებელი რამ იყო. ისინი ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, არა თვალწარბთა ფერისა, არცთუ სახის გამომეტყველებისა, არამედ მთელი აღნაგობისა და არსობის მიხედვით კაცს ასე ეგონებოდა, ან ერთი დედის საშოდან გამოსულანო, ან არადა, ქვეყნის სხვადასხვა კიდიდან წამოსულანო, ერთიმეორე დიდხანს უძებნიათო და მერმე ურთიერთს შეხვედრიანო ისე ბუნებრივად და ისე საამოდ, როგორც აპრილის დილას წამოვა ხოლმე მზე სამზეოდან და შეეყრება მთვარეს ღამენათევს მოლიბრო ცაზე, სადაც მხოლოდ აქა-იქ გაბნეულია შორეულისათვის ოცნებასავით თეთრი მარმარის ღრუბელი.

დაბაში ყოველი კაცი ამჩნევდა ამას, ამიტომაც თამარი ისე დარცხვენილი მიდიოდა თარაშის გვერდით, რომ თვით ტანწყობილი, წელგამართული გოგონა უხერხულად აიწურავდა მხრებს და ისე ნერვიულად ნაბავდა თავის დიდრონსა და ცისფერ თვალებს, თითქოს ახლომხედველიაო.

და ეს საღამოც ისეთი ნაზი და მშვიდი იყო, ისე ტკბილი და აუმღვრეველი, როგორიც არაერთია ხოლმე ზღვისპირა ქვეყნების გამოზაფხულზე, როცა ნაზამთრალი მიწა მზეს შეეფიცხება, ბუნებას საოცრად ზანტი ზმორება აიტანს და მწვანე გადმოსქდება ბუჩქების ყლორტებისა და ხეების კლერტოებიდან.

ზუგდიდური ჭადრებიც გამოსულიყვნენ. კენწეროებში მოყვითანო ნეშო დაძრულიყო, ხოლო ჩრდილიან ოლეებში მომხვდარი ყლორტები და კლერტოები საოცრად გაფუებული უცდიდნენ წვიმების სინოყივრეს და აპრილის ქათქათა მზის მხურვალე ალერსს.

სიმწვანე და სიხალისე შეპარვოდა ჭრელად მოხატულ ტანებს ჭადრებისას, ნაქერქალზე შიშველი და ხასხასა ტალები დატყობოდათ. იდგნენ გულამაყი ჭადრები და იშმუშნებოდნენ ამო ზეფირის ალერსით გულაჩვილებულნი.

ოდნავ დაწინაურებული მიდიოდა თამარი და მის ნესტოებს ახალი ნეშოსი და ძველი ფოთლების მიხრწნისაგან დამდგარი სუნი მოსდიოდათ... იგი გაბრუებული იყო ცალკერძ ამ სუნისა, ცალკერძ თარაშის სიახლოვისაგან. თამარს ხიბლავდა თარაშის თხრობა არა შინაარსის მიხედვით, არამედ მთელი მანერა მეტყველებისა.

თარაშ ემხვარ ხორხისმიერსა და ყელისმიერ ბგერებს ისე რბილად გამოსთქვამდა, როგორც დასავლეთის ბარის ენებზე აღზრდილებს სჩვევიათ ხოლმე. თარაშ ემხვარ უამბობდა, თუ როგორ ჩარჩა იგი ერთხელ გაფიცვის გამო გაზაფხულის პირზე

ერთ შვედურ სოფელში.

ჩრდილოელნი განუსაზღვრელის აღტყინებით ეგებებიანო გაზაფხულს, თითქოს არც მზე ენახოთო ოდესმე და გაზაფხულსაც პირველად განიცდიანო.

თამარი ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა, თავაზიანობის გამო თავს ისე აჩვენებდა, თითქოს ყურს უგდებსო, არსებითად არც კი ესმოდა მისი ნაუბარი. ბაღის ბილიკის გაღმა-გამოღმა ლეჩაქიანი ქალები და ჯერაც ჩაბალახითა და ნაბდით შებურვილი მოხუცები ისხდნენ, განსაკუთრებულის ინტერესით ათვალიერებდნენ მათ. ეს დაჟინებული მზერა ნაბიჯს უბორკავდა თამარს.

მთავარ პროსპექტზე უამრავი ხალხი მიმოდიოდა, ყველა ჯუღეჯიანის ველისაკენ მიიჩქაროდა, რადგან ამ საღამოს უნდა გამართულიყო გერულაფა.

გერულაფას მარულის წინა დღით მოწყობილ საცდელ დოღს უწოდებენ ოდიშარები. ოდიშსა და აფხაზეთში დიდი წინასწარი სამზადისი ხდება დოღის დაწყებამდის. ორი კვირის „გამოხამების“ შემდეგ, მარულის წინა დღეს ცხენოსნები ველზე გაიყვანენ თავიანთ ტაიჭებს, აჯირითებენ, აჭენებენ, სხაპს აქნევინებენ.

გულს უხურვებენ.

თამარმა და თარაშმა პარკი გაიარეს და, როცა მთავარ პროსპექტზე გავიდნენ, აქ უფრო საგრძნობი გახდა ცნობისმოყვარე თვალების მზერა. თარაშ ასეთ რამეს არ ეპუებოდა, მაგრამ მას ინსტინქტურად თამარისაგან გადაედო დარცხვენა (სირცხვილიც ხომ ისევე გადამდებია, როგორც შიში და შიმშილი).

თამარს უკვე წართმეოდა საუბრის უნარი, ნაბიჯი უბორძიკებდა, სიარულის დროს მიწას დასჩერებოდა. ამ უხერხულობის გასაქარვებლად თარაშ ემხვარმა მცირე ხნის დუმილის შემდეგ კვლავ განაახლა საუბარი.

„საოცარია, როგორი მოურიდებელი ჭვრეტა იციან ჩვენში და

ალბათ არსად ისე მოურიდებლად არ უცქერიან უცნობს, როგორც საქართველოში“.

ამბობდა თამარი.

„ფრანგებს ჩინებული თქმა აქვთ: თქვენს თვალებს მოუარეთო. რადგან შემოხედვა ზოგჯერ ისევე უადგილოა, როგორც უცნობთან გამოლაპარაკება“.

შენიშნა თარაშმა.

შესაძლოა, ეს იმის ბრალი იყოსო, განაგრძობდა თარაშ ემხვარ ჩვენში თვით ქალაქების მოსახლეობის უმრავლესობა სოფლებიდან ახლად ჩამოსულთაგან რომ შედგებაო. ლონდონში რომაული ტოგა რომ გადაიცვა და ჩალმითაც თავი შეიბურვო, ზედაც არავინ შემოგხედავსო. და იქიდან რაც უფრო მეტად ივლი აღმოსავლეთისკენ, ამას უფრო მეტად შეამჩნევო.

ურიგო შემოხედვა სულს ამღვრევს და საიდუმლოს არღვევსო, განაგრძობდა თარაში. ადამიანის თვალი უმგვანო რამ მონაგონარი უნდა იყოსო. ამ მხრივ უკეთეს მდგომარეობაში ისინი არიანო, ვისაც ბუნებით წვრილი და უპეებში ღრმად ჩამჯდარი თვალები აქვთო.

„მერმე, შენ რომ არ გიყვარს წვრილთვალება და მაღალღაწვიანი ხალხი?“

„ჰო, ღორისთვალება ხალხი მართლაც არ მიყვარს, მაგრამ ქვეყნის გაჩენისას ებრაელების ღმერთს რომ მრჩევლად ავეყვანე, მაშინ ღორისთვალებას არც გავაჩენინებდი. და ჩვენ ასეთი თვალების არსებობის ამბავიც არ გვეცოდინებოდა“.

„ეჰე, დაიწყე ახლა შენებური პარადოქსები“.

„პარადოქსიო? უპარადოქსო აზროვნება უმარილო თევზსავით უგემურია. მხოლოდ მოსაწყენ ადამიანებს სჩვევიათ გატკეპნილ ჭეშმარიტებების ღეჭვა. მაგალითად: ყოველმა რეგვენმაც კარგად იცის, წყალი რომ თავდაღმართს მიჰყვება, ან წვიმის

მოსვლაში ქოლგებს რომ არავითარი ბრალი არ უდევთ“.

თამარმა გაიღიმა. ოდნავ წინ გაუსწრო თარაშს და რატომღაც ძაბული მოაგონდა.

სად დაიკარგა ნეტავ ძაბული? ფიქრობდა თამარი. აკი მეუბნებოდა — გამომიარეთ, შინ დაგხვდებითო. შინ არ დაგვიხვდა, არც ამბავი დაუტოვებია. ეს გაიფიქრა და თარაშისკენ გაიხედა. თარაში მას უმზერდა. მის თვალებში ამოიკითხა: სად გაპარულიყო იმ წუთში მისი ფიქრი?

ვის არ მოსვლია ასეთი რამ?

ადამიანი დაგესიზმრება, მეორე დღეს გამოხვალ ქუჩაში და წინ შემოგხვდება. ან არადა ქუჩაზე დახეტიალობ, რომელიმე ნაცნობისათვის რაიმე ფიქრს გაივლებ გულში, გაიხედავ და იგი თვალწინ დაგიდგება.

ასე მოხდა ამ დღესაც.

ამავე წუთში ძაბულის ხმა შემოესმა თამარს. მან განზე გაიხედა, იქითკენ, სადაც ქალების მთელი ლაშქარი მიდიოდა პროსპექტზე, ძაბულის ზურგიდან მოევლო, მან მაჯაზე ხელი დაადო თამარს. ძაბული კისკისებდა, მისი სიცილი ჭინჭილიდან გადმოღვრილ ღვინის ლიკლიკს წააგავდა. ხასხასა და ბუნებრივად წითელ ბაგეპირიდან ოდნავ მომსხო, მაგრამ ლამაზი და კრიალა კბილები ჰკრთოდნენ, საერთოდ ფერმილეული და ოდნავ მოყვითანო ლოყები უეცარი სიხარულის ელდისგან შეფაკლულიყო.

იდგა ძაბული, ცალი ხელი თამარისათვის წაევლო წელზე და, როცა თარაშ ემხვარ თავისებური თავაზიანობით მიეჭრა და მიესალმა, ძაბულიმ მეორე ხელიც გაითავისუფლა და ძაბულის მომსხო, ოდნავ მოკლე, რბილი ხელი თარაშ ემხვარის მარწუხივით მაგარ და მტკიცე თითებსა და თითებს შორის დაილია. და თარაშ ემხვარმა შენიშნა, რომ ამ წუთში, როცა მან მაგრად მო-

უჭირა ხელი ძაბულის მარჯვენას, ძაბულის მკლავი უნებლიედ გაიჭინთა და მისი მაღალი და გათქვირული ძუძუ-მკერდი წინ გადმოიზნიქა.

თარაშ ემხვარმა ფრთხილად შეავლო თვალი თამარსა და ძაბულის. ისინი ურთიერთის ანტიპოდებად მოეჩვენა. თამარში გვაროვნული ჯიში მეტად მოსჩანდა, ძაბულის აღნაგობაში — მეტი სირბილე და ქალური უშუალობა.

სიცილი მაინც ისე ედებოდა სახეზე ძაბულის, როგორც მოწმენდილ ცას რიჟრაჟის ხელით შენაფრქვევი ვარდისა წყალი. თამარი კი ისე იღიმებოდა, რომ სახის მისის ზემო ნაკვთები არც კი შეტოკდებოდნენ. და ვეღარც სიცილი ჩქმალავდა იდუმალი დარდის იერს, რომელსაც წამწამების ნაჩრდილევში და თვალის უპეების ოლეში დაესადგურებინა.

თამარმა ამოისუნთქა, როცა ძაბული მათ შემოუერთდა, ახლა უკვე აღარ აწუხებდა მაჭვრეტალთა ჯიქური შემოხედვა, ხანაც ირიბულად ნატყორცნი მზერა.

და არაფერი ისე არ ახასიათებსო ადამიანს, როგორც სიცილი, — ფიქრობდა თარაშ ემხვარ.

მართლაც, როცა ძაბული იცინოდა, უთუოდ იტყოდით: ამ სიცილის გადაღმა დამალული არაფერიაო და სიცილის დროს მჟღავნდებოდა მისი ბალღური სიკეთე.

ზოგიერთ ადამიანს ბალღობა სიჭაბუკეში გადაჰყვება, ხოლო სიჭაბუკე — ჭარმაგობაში, ჭარმაგობა კი — სიბერეში და ეს ყოველივე სახეზე გამოკრთის ხოლმე.

ასეთი იყო ძაბულიც.

„როგორი დიდი ქალი გამხდარხართ? — ეუბნებოდა თარაშ ემხვარ.

მე სულ პატარა ძაბული მახსოვხართ, ძალიან დაქალებულხართ“.

ძაბულის ეჩოთირა ეს ზედმეტი „თ“, მაგრამ საყვედური ვერ შეჰკადრა, მორცხვად შენიშნა:

„გახსოვთ, ძაბულიას რომ მეძახდით, თარაშ?“

„განა მარტო ძაბულიას? კიდევ გერქვათ რაღაც სახელები. მოიცათ, მოვიგონო“.

ძაბული ისევ გაწითლდა, იგი იცინოდა და მისი სიცილი ახლაც ჭინჭილისებურ ლიკლიკში გადადიოდა.

„ძაბრას, დიას, სორდიას და კიდევ?“...

„დიას არზაყანი მეძახდა“.

„ძაბრას?“ ისევ გაწითლდა ძაბული.

„ძაბრას თქვენ“. თარაშმა ხმამაღლა გაიცინა.

თამარი იღიმებოდა და ოდნავ იჭვნეული შესცქეროდა სიყრმის მეგობრების ასეთ გრძნობიერ შეხვედრას.

„რატომ გეძახდა არზაყან დიას?“ — შენიშნა თამარმა.

„დიას ხომ თარაშის ძიძას, არზაყანის დედას ვეძახოდით, თამაშობის დროს ვითომ მე ვიყავი დედა“.

თარაშს მოაგონდა: თარაშ და არზაყან ვითომ სულ პატარა ბალღები იყვნენ, ძაბული — დედა. ბავშვები მოლზე დაწვებოდნენ, ვითომ აცივებდათ. მოვიდოდა „დედა“, ვითომდაც ძუძუს აწოვებდა ბალღებს.

ეს გაიფიქრა თარაშ ემხვარმა და ფრთხილად, ძალიან ფრთხილად შეხედა ძაბულის ძუძუ-მკერდს და ოდნავი აღტყინება შეიგრძნო, რადგან არაფერი ისე არ აღელვებდა თარაშს, როგორც მკვრივი და მოხდენილი ძუძუ.

არზაყანის სახელის ხსენებაზე სულ მცირე ხანს დადუმდნენ სამნივე.

ძაბულის ელდასავით გაუარა სხეულში ამ სახელმა. თამარიც ოდნავ აიმღვრა, მან ინსტინქტურად შეიცნო თარაშის ფარული

ჭვრეტის შინაარსი, არზაყანისაკენ გაექცა ფიქრი, გულის სიღრმეში მან ოდნავი უხერხულობა იგრძნო არზაყანის მიმართ.

თარაშ ემხვარის დაბაში ჩამოსვლამდის იგი გაცილებით მეტი ყურადღებით ექცეოდა არზაყანს. ახლა ორი დღეა აქ არის არზაყან და მან, თამარმა, არც კი მოინდომა დაბაში გასვლა. თუმცა იცოდა: არზაყან ბაბუა ტარიელს ერიდებოდა, ამიტომაც დღისით არ მოდიოდა და თამარი განზრახ გაურბოდა კიდევაც მასთან შეხვედრას და სიამოვნებით აფარებდა თავს იმ საფრთხობელას, რომელსაც მოხუცი მამა წარმოადგენდა არზაყანისათვის. წინათ დიახაც აბრაზებდა თამარს ეს საფრთხობელა, ახლა კი ქალური დიპლომატიის საფარადაც გამოიყენა მან იგი.

თარაშმა მხარი იცვალა. მარჯვნიდან მოუარა თამარს, ძაბულისა და თამარს შორის ჩადგა. ორივეს იდაყვებთან წაავლო ხელი და ისე მიდიოდა მათ შორის. მომეტებულად ძაბულის ესაუბრებოდა, ბავშვობის ამბებს იგონებდა:

ის როგორ იყოო, ოქუმში რომ ვბანაობდითო? ძაბული რომ კინაღამ დაიღრჩო, მერმე არზაყანმა ყვინთვით რომ გამოიყვანა, ან ენას როგორ იტეხდნენ ქართულის სწავლისას, ძაბული რომ ვეღარ ამბობდა:

საყდარშია თეთრი მტრედი,

ფრთა თეთრი და ფრთა ფარფატი.

ნაწნავებს როგორ უწეწავდნენ ძაბულის, დედოფალა რომ მოჰპარეს ერთხელ და ნიგვზის ხის ქვეშ როგორ დაუმარხეს. მერმე ძაბული რომ წამოიზარდა და მეზობლის კესას რომ მიეკედლა, „ქაჯურად“ ლაპარაკი რომ დაიწყეს ძაბულიმ და კესამ. მერმე „ქაჯები“ როგორ შეარქვეს არზაყანმა და თარაშმა ძაბულის და კესას. სცემდნენ მერმე ამ „ქაჯებს“, ნაწნავებით დაითრევდნენ, აწვალებდნენ, ატირებდნენ. და თამარმა საშინელი მარტოობა და განკერძოება იგრძნო ამ წუთებში. მან ფრთხილად

გაითავისუფლა ხელი თარაშის მკლავისაგან, რამდენიმე ნაბიჯით ჩამოშორდა ორივეს, საოცარი გულისტკივილი შეიცნო. ამ წამში მან ხელისშემშლელ მესამე პირად იგრძნო თავი და, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ორივეს გაექცეოდა, ამ ჭრელ ბრბოში შეერეოდა, მარტოდმარტო ივლიდა დაღონებული და დარდიანი.

თარაშმა უკანასკნელი წინადადება მოულოდნელად შესწყვიტა და ქუდი მოუხადა ვიღაცას.

„ვაიმე, შარდინ ალშიბაია!.. შენი მტერია, დაგვახრჩობს“, წასჩურჩულა ძაბულიმ თამარს. შარდინ ალშიბაია პათეთიურად მიესალმა თარაშ ემხვარს, ვიღაც ჩოხიანები მიატოვა, ჯიქურად წამოვიდა.

„ეს რა დაუხურავს მაგ დაღუპულს“, — ამბობს ძაბული, თამარმა და თარაშმა ერთბაშად მიიხედეს და ორივეს გულიანად გაეცინათ. შარდინ ალშიბაიას თავზე ეხურა ნესვისებური ინგლისური ქუდი, რომელსაც ატარებენ ხოლმე აფრიკაში ან ინდოეთში ინგლისელი პლანტატორები, ყავისფერი პიჯაკი ტანთ ეცვა და ჭრელი შარვალი, ხოლო ფეხზე მაღალყელიანი გამაშები. საერთოდ, შარდინ ალშიბაიას ტანისამოსი მოგზაურის, აბანოში მიმავალის და შოფერის ჩაცმულობის განსახიერებას წარმოადგენდა ურთიერთში აღრეულს.

იგი წინასწარ მიხვდა, რომ მას თარაშ ემხვარის სიახლოვეს არავითარ ყურადღებას არ მიაქცევდნენ ეს ლამაზმანები, ამიტომაც ფრიად სერიოზული გამომეტყველებით აღჭურვილმა ჯერ თამარს ჩამოართვა ხელი, მერმე — ძაბულის, შემდეგ ამისა — ემხვარს და საქვეყნო საქმეებით დატვირთული კაცის გამომეტყველებით ხელი გაუყარა თარაშს, განზე გასწია და სავსებით იდუმალის კილოთი ასეთი მოულოდნელი კითხვა მისცა:

„რას შვრება იაპონია?“

ჯერ იყო და თარაშ ემხვარს ეგონა: პატივცემული დირექტორი

შერყეულიაო, რადგან ვერც კი გაეგო, თუ რად მოაგონდა შარდინს სახელდობრ იაპონია? მერმე ოდნავ გამოერკვა.

„რაო, იაპონიაო?“

შარდინმა თვალი თვალში გაუყარა. ჯერ ასე ეგონა, თარაში სცდისო. მერმე უნდობლობას მიაწერა და განუმარტა:

„მე რას მიმალავთ, შეგიძლიათ თამამად მენდოთ“. თარაში უარესად დაიბნა.

„არ იცით?“ — ეუბნება იგი მრავლისმეტყველის ტონით და მის კატისებურ თვალებში ეშმაკური ღიმის ანარეკლი აციაგდა.

„იაპონია? არაფერი ვიცი, სწორედ მოგახსენოთ“.

„გაზეთებს არა ჰკითხულობთ?“

„უკანასკნელ ხანებში მორიგი სამუშაოთი გართული ვარ... გარდა ამისა, ტფილისური გაზეთებიც იგვიანებენ... ამიტომაც“...

„ოო, დიდი, დიდი ამბები ხდება. იაპონია არ ხუმრობს. გუშინდელ გაზეთებში იაპონიის ნოტაა. ასე ამბობენ: სტალინი გულშემოყრილია, ეს ხუთი დღეა, რაც თავის კაბინეტში ჩაკეტილა, საპასუხო ნოტასა სწერსო თურმე“.

თარაშ ემხვარს მორიდებული ღიმი გადაეკრა ბაგეზე.

„როგორ? თქვენ გგონიათ, სტალინი ტვერის ქუჩაზე დასეირნობსო?“

შარდინ ალშიბაიამ ეს უნდობლობად მიიღო და თარაშის მკლავში გაყრილი ხელი ნელ-ნელა გამოაცოცა, თანაც დიპლომატიურ უკუქცევას შეუდგა: ხვალინდელი დოღის ამბებზე გადავიდა, არზაყანის ცხენის ქება დაიწყო. შემდეგ ამისა, დაბის კულტურულ მშენებლობის ამბებს გადასწვდა. სჩიოდა, რომ მას არ უჯერებენ, ხელს უშლიან, თორემ ახლა ხუთი საშუალო სკოლის ნაცვლად რატომ ათიც არ იქნებოდა დაბაში. თარაშ ემხვარ მასთან შეკამათებას გაურბოდა, თავის ქნევით იგერიებდა დაჟინებულ მოსაუბრეს.

„არაბია!“ — წამოიძახეს თამარმა და ძაბულიმ თითქმის ერთხმად და ნავარდით მომქროლავი ცხენი ერთის დაკვრით მოსწყვიტა არზაყანმა სიარულს. დაქვეითდა, საერთო სალამი იკმარა. თამარს ოდნავ შეეფაკლა სახე და მოურიდებლად მიეჭრა ცხენს. არზაყანმა სადავე დაუმოკლა არაბიას, წინ დაუყენა თამარს, ძაბულიც დაწინაურდა და ქარგაშლილ მკერდზე დაუწყო ფერება.

თარაშ ემხვარს ცხენის ფეხებისაკენ წაუვიდა თვალი, რადგანაც მას სჯეროდა ცხენოსანთა და მოარშიყეთა ურყევი რწმუნება: ქალსა და ცხენსა ჯერ ფეხებში უნდა შეხედოვო.

„ახლა შენი ცხენის ქებაში ვიყავი სწორედ“, — ეუბნება შარდინ ალშიბაია და მასაც ასეთი რწმენა ჰქონდა: თუ გინდა ეს ცხოვრება იოლად გაათრიო, ყოველ კაცს ის უნდა უთხრა პირში, რაც მას ეამება. ხოლო რაც მას არ ეამება, ეს მის მტრებს უნდა შეატყობინოო.

ეს კარგად ჰქონდა შეთვისებული შარდინ ალშიბაიას, ამიტომაც ძველ დროში სამღვთო სჯულის გაკვეთილებს არავის ანებებდა.

არზაყანი ცალკერძ ცხენზე ჯდომისა და ცალკერძ თამარის და ძაბულის შემოხვდომისაგან ოდნავ შეწითლებულიყო სახეზე, ხოლო ყურები ბროწეულის ყვავილსავით შეფაკლოდა.

ფრთხილი და ირიბი მზერით ხან თამარს გასცქეროდა, ხანაც არაბიას, თითქოს ამოწმებდა დილინდელ შედარებას და უხაროდა კიდევაც, მათ შორის რაღაც იდუმალსა და ხელშეუვლებ მსგავსებას რომ პოულობდა.

თამარს ხელისგულზე მომპასი დაედო და ფრთხილად მიჰქონდა გაშლილი ხელისგული არაბიას ლაშებთან. ყურებდაცქვეტილი არაბია თავის დიდრონი თვალებით შესცქეროდა თამარ შარვაშიძეს და ისე უთვალთვალებდა და აკვირდებოდა,

თითქოს ოდესმე უნახავსო და ახლა ხელახლა გამოცნობას ლამობსო.

„იცი, არზაყან, დიდებული ცხენია, შენმა მზემ, მაგრამ ესაა, ფეხკავშია“.

შენიშნა თარაშ ემხვარმა.

არზაყან თარაშ ემხვარზე ამრეზილი იყო ამ უკანასკნელ დღეებში და ამიტომ სიფიცხე წაეკიდა მის გულს. მაგრამ მაინც შეიკავა თავი და ხმადაბლა წაილუღლუღა (ისე, რომ თვალებში არ შეუხედავს მისთვის):

„ფეხკავშაო? რა უყოთ მერე... ეს გვანჯ აფაქიძემაც შენიშნა დღეს, მაგრამ თვით გვანჯმაც აღიარა: უეჭველი ჯიშიაო“.

„ჯიშიაო? გაგიხარია, რომ ჯიშია.„ ეს თუ ჯიში არაა, მაშინ ენგური აღმა მინავალა“.

იხუმრა შარდინ ალშიბაიამ და იგიც ფეხებში მიაჩერდა ცხენს და დიდი ხოტბა შეასხა არაბიას.

შარდინ ალშიბაიას ცხენის ჯიშისა არც გაეგებოდა, არც აინტერესებდა, მაგრამ იგი ეკუთვნოდა ისეთ ადამიანების ჯილაგს, რომელთაც რცხვენიათ რისამე არცოდნისა და ამიტომაც ასტრონომიიდან დაწყებული კომბოსტოს მოყვანამდის ყოველივეს გამო უთუოდ უნდა გამოსთქვან აზრი.

თარაშ ემხვარ და ძაბული წინ მიდიოდნენ. მათ თამარი და არზაყანი მიჰყვებოდათ. შარდინ ალშიბაია მარტო დარჩა. იგი ცოტა ხანს ცხენის გვერდით მიდიოდა და როცა შეხედა, რომ სავსებით უჯუფთოდ დარჩა, მილიციის უფროსს თვალი ჰკიდა, მოაგონდა: რაღაც სათხოვარი რომ ჰქონდა მისდამი. ამიტომაც ნელ-ნელა უკუიქცა და შეუმჩნევლად გაერია ბრბოში.

ყველაზე მეტად თარაშ ემხვარს აბრაზებდა შარდინ ალშიბაიას სიახლოვე, რადგან იგი ვერ იტანდა ამ გაუთავებელ დაკითხვას, შარდინ ალშიბაია რომ ეწეოდა მის მიმართ. უკან მოიხედა,

შარდინ ალშიბაია ვეღარ ნახა. გულითადად გაიცინა. თარაშის სიცილი სხვებსაც გადაედო, ოთხივენი ერთ წყებაზე მიდიოდნენ, დასადავებული არაბია უკან მიჰყვებოდათ და იცინოდნენ.

„არც ისე სასაცილო კაცია ეგ ალშიბაია, — ამბობდა თარაში, — საშუალოებას და უნიჭოებას უმაგრესი ნაგებობა ჰქონია მუდამ. საერთოდ, თქვენ თუ გაგიგონიათ ოდესმე, სულელი კაცი შიმშილისაგან მომკვდარიყოს სადმე? ისინი ძლიერნი არიან თავიანთი შეგუების ნიჭის მეოხებით.

და უძლიერესი ნიჭი ამქვეყნად ეს შეგუების უნარია, სხვა არაფერი. წარსულის მაგალითები განაგონი გექნებათ გენიოსები და ტალანტიანები იხოცებოდნენ მუდამ შიმშილისაგან, რადგან ტალანტი ისეთი წყევლაა, — იგი შეგუების უნარს ართმევს ადამიანს. შორს ნუ მივდივართ, ცხოველთა სამეფოში გადავიხედოთ.

თუნდაც ყველაზე მშიშარანი: კურდღელი და თაგვი...

არც ერთი ცხოველი ისე საოცრად არ მრავლდება, როგორც კურდღელი და თაგვი. განსაკუთრებით თაგვების ამბავი გაგიგონიათ ალბათ. ისინი თემურ ლენგის ურდოებსავით შეესევიან ხოლმე ყანებს და არც არავითარი ძალა არსებობს ამქვეყნად მათ შესამუსრავად. კურდღელი წელიწადის დროთა მიხედვით იცვლის ბეწვს. როცა გაზაფხულზე ჯაგები ამწვანდებიან, კურდღელი მომწვანოა. ზაფხულში იგი ოდნავ მოყვითანო ფერს გადაიკრავს, ხოლო შემოდგომის მიწურულში ფოლადისფერი ხდება“.

„ეს სწორია, — ამბობდა არზაყან, — რამდენჯერ გავცოცხეთ, გავწმინდეთ, გავჯოხეთ შარდინ ალშიბაია. ხან მუშგლეხინში ჰქონდა საქმე, ხან კედლის გაზეთებში ვლანძღეთ, ხან კრებაზე დავამუშავეთ, მაგრამ იგი საითაც არ უნდა გადააგდო, კატასავით ფეხებზე დადგება მუდამ“.

ქალები იცინოდნენ და თარაშ ემხვარი განაგრძობდა:

„არის რაღაც საშინელი ძლიერება წყლისა და ჯინჭველის შეუმუსვრელობაში. ქსერქსესმა დარდანელი გააროზგვინა, მაგრამ მაინც ვერ მოერია წყალს. და ჯინჭველები ლომებსა და დათვებს თამამად შეებმებიან.

ახლა ნახეთ, ცხოველთა სამეფოში როგორ ემტერება ბუნება ჯიშს, მე ამას წინათ ინდოეთში მოგზაურების მემუარებს ვკითხულობდი.

ხომ გადაშენდნენ წინაისტორიული პერიოდის გიგანტური ცხოველები, მასტოდონტები, მამონტები და სხვა მისთანანი.

ახლა ვეფხებისა, სპილოებისა და ლომების ჯერი მოვიდა. შესაძლოა, ერთ ასეულ წელში ეს ცხოველები აფრიკასა და ინდოეთშიაც ამოწყდნენ, რადგან მათ სწორედ ის შეგუების გრძნობა აკლიათ, თაგვს, კურდღელსა და შარდინ ალშიბაიას რომ მოეპოვებათ. თქვენ იცით, შუა საუკუნეთა ქართველი პოეტები ლომებსა და ვეფხებს რომ უმღეროდნენ, უთუოდ საქართველოშიაც ყოფილან ეს ცხოველები, მაგრამ ამოწმებდნენ და მე მჯერა: ის უკანასკნელი ვეფხი, ტფილისის კარებთან რომ მოჰკლეს ამას წინათ ჩვენმა გლეხებმა, უთუოდ იმ ვეფხების უკანასკნელი ნაშიერი იყო, რუსთაველი რომ უმღეროდა თავის პოემაში“.

* * *

გერულაფა უკვე დაწყებული იყო, როცა ჩვენმა გმირებმა ჯუღეჯიანის ველამდის მიაღწიეს.

არც თამარის, არც ძაბულის, არც თარაშისა და არზაყანის მოსვლას იმდენი ყურადღება არ აღუძრავს, როგორც არაბიას გამოჩენამ გამოიწვია.

„არაბია, არაბია“, — ჩურჩულებდნენ გარშემო და ამ სიტყვებმა ისე გადაირბინეს ბაგიდან ბაგეზე, როგორც ლოცვანის ლექსმა მორწმუნეთა ტუჩებზე.

„არაბია, არაბია“, — ასტეხეს ყიჟინი შორეულ ფარდულების სხვენზე ამძვრალმა ბიჭებმა. დიდსა და მცირეს არაბიას სახელი ეკერა პირზე:

ასე ხვდება ხოლმე ხალხი დიდი ორატორის ან სიტყვის დიდოსტატის შემოსვლას დახურულ დარბაზში.

არზაყანს ზედ ლაგამთან ეჭირა ხელი, რადგან არაბია ხალხში ყოფნას ჩვეული არ იყო და დაფეთებული აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს.

მომეტებულად გაფიცხდა იგი, როცა ცხენებმაც შეიცვნეს მისი მოახლოება და მიწსახკომის ჭაკებმა ჰისტერიული ჭიხვინი ასტეხეს. ცხენოსნებს ერთი პირი უკვე გაეჯირითებინათ, გათქვირული ულაყები ცქმუტავდნენ საკმაოდ შეხურვებულნი, ხოლო ჯიშიანი ჭაკები ლაგამებს ღრღნიდნენ და თრთოდნენ ვნებას აყოლილნი.

უსასოოდ ჭიხვინებდნენ და ხვიხვინებდნენ.

უამრავ ხალხს მოეყარა თავი ცხენოსანთა გარშემო, იქვე შორიახლო მეორე გუნდი იდგა: ხალხით შემორტყმულ წრეში ფორდის პატარა მანქანა იდგა. შუაგულში ორი კაცი ღიმილით ესაუბრებოდა ერთმანეთს. ერთს მიხაკისფერი ტყავის ჯუბა ეცვა, მეორეს — მდელოსფერი ბლუზა და კავალერისტის შარვალი. პირველი რაიკომის მდივანი არენბა არანი იყო, მეორე — პოლიტსამმართველოს უფროსი; მათგან შორიახლოს რამდენიმე ახალგაზრდა ლაპარაკობდა. მათ გარშემო კიდევ წრე იყო და იქ ერივნენ ადგილობრივი ხელისუფლების თანამშრომელნიც. ბავშვები ზედ აწყდებოდნენ ფორდის მანქანას.

ამ ახალ, პრიალა მანქანაზე უფრო მეტ ყურადღებას იქცევდა ბალღების წრეში საპარადოდ მორთულ ლუკაიას გამოჩენა. ლუკაიას გენერალ ხეციასეული ნაცრისფერი პელერინა ეხურა. ეს პელერინა ისე გაცვეთილი და გახუნებული იყო, როგორც გენერლის სახსენებელი ჩვენს დროში. საყელოსთან მას დაცრეცილი

გალონები ჰქონდა, ხოლო მკერდის გასწვრივ აუარებელი ჭრელ-ჭრელი ლენტები, წმინდა გიორგის, ვლადიმირის და ანნას ორდენებისაგან შერჩენილი. თავათ ორდენები კი ზოგ-ზოგი თავის დროზე ბიჭებმა წაჰგლიჯეს ლუკაიას, ზოგიც თავის წმინდანების ზანდუკში ჰქონდა ჩაკეტილი.

უფრო სასაცილო იყო ლუკაიას დაბალი, გრძელბეწვიანი, მგლისფერი ფაფახი, დროთა ვითარებისაგან გაწეწილი და გაბურძგვნილი. იგი ყვავის ბუდეს უფრო წააგავდა, ვიდრე ფაფახს. ხელში ბზის ყავარჯენი ეჭირა ლუკაიას, ჭყონდიდის ეპისკოპოსის მიერ ნაჩუქარი.

„ლუკაია, ლუკაია... ა�ა... ლუკაია... ხატები რა უყავი, ხატები?“.. ხითხითებდნენ ავტომობილის უკან მიჩქმალული კვიმატები.

„აურიე, ლუკაია, აურიე... აური... აური“... გადადიოდა ძახილი წრიდან წრეში.

„რა იყო, ბიჭო, რა მოგივიდა, შენი დედის სულს გაფიცებ, მომასვენე ცოტა“...

იხვეწებოდა ლუკაია და დიდის ყურადღებით ათვალიერებდა ავტოს, რადგან მას ასეთი ახალი და კარგი ავტომობილი არასოდეს ენახა ახლოს.

„აურიე, ლუკაია, აური“... არ ისვენებდნენ ყმაწვილები.

„გაჩე, ბიჭო, გაჩე, დედის სული ნუ წაგიწყდება“.

ბავშვები უფრო და უფრო დაჟინებით აცივდებოდნენ ლუკაიას. რაიკომის მდივანმა მის დალეულ და საცოდავ სახეს თვალი შეავლო, შეცოდა, მაგრამ მაინც გაეღიმა და ალერსიანად მიმართა:

„რა ქენი, ლუკაია, მიურატის ხმალი კიდევ ვერ ნახე?“

ლუკაიას გაუხარდა ეს თავაზიანი გამოლაპარაკება, მას აღელვებისას ენა ეჩლიქებოდა ოდნავ და ამ დროს ნერვიულად

მაღლა ეწეოდა წარბები და წამწამები ხანგრძლივად უპარპალებდა.

„დედის სულს... გეფიცები, ვნახე მიურატის ხმალი... ზვინში უნახავთ ბიჭებს...

ხეციას კნეინამ მომიტანა თავისი ხელით“...

რაიკომის მდივანი გაეცალა ლუკაიას და თავის ამალით იქითკენ გაემართა, სადაც ცხენოსნების მოზრდილი რაზმეული იდგა.

ავტომობილთან დარჩენილი ბავშვების ხროვაც ყოველ მხრიდან მოგროვდა და შეიქმნა სტვენა და ყიჟინი:

„აურიე, ლუკაია, აური“... ბავშვები უკვე აღარ ეპუებოდნენ ეპისკოპოსისეულ ყავარჯენს და პელერინის ბალთებზე ახლებდნენ ხელს.

ლუკაია ხან ილანძღებოდა, ხან ყავარჯენს აქნევდა, ხანაც დედის სულს აფიცებდა ბავშვებს, მაგრამ ბავშვების განგაში მხოლოდ მაშინ შესწყდა, როცა თამარი, თარაში, ძაბული და არზაყანი გამოჩნდნენ. ლუკაიამ იმარჯვა, პელერინის კალთები აიკრიფა და გაიქცა, წელზე მოეხვია თარაშ ემხვარს.

„ნუ გეშინია, ლუკაია, შე საცოდავო, რას მოდიოდი.. ან სად დაიკარგე? მამა გამწარებული დაგეძებს მთელი დღე“. ეუბნებოდა თამარი, შესცქეროდა ჭირის ოფლით დაცვარულ შუბლს ლუკაიასას.

არზაყანმა თვალები დაუბრიალა ბიჭებს, ახალგაზრდებმა ერთი გაიშლიგინეს ბრბოში და გაუჩინარდნენ.

ისინდი

„პირველითგანვე სხვა არაფერი განრიგებულა ამქვეყნად, თუ არა და არარაისაგან რაიმეს გაჩენა, ქვემდგომთა ზემდგომად ქცევა, ხოლო ზემდგომთა დაქვეითება. ასე ხდებოდა არარაისაგან რაიმეს გაჩენა. ბრძენთაგანაც ასე ყოფილა თურმე დაწერილი: პირველ საოცრებაზე უფრო დიდი — ეს უკანასკნელიაო“.

ძველჰინდური სიბრძნე

რაიკომის მდივანს ყოველ მხრიდან გარს მოდგომოდნენ უცხენოთა და ცხენოსანთა წრეები. წრის გარშემო წრე იყო, იმის იქით კიდევ სხვა წრე, მოშორებით მდგარი სხვა რაიონიდან მოსული გლეხები კისერს იგრძელებდნენ. ცხენების ჭიხვინისა და ბრბოს ზიმზიმის გამო ატეხილ გნიასში ვეღარ არჩევდნენ, თუ

რას ამბობდნენ ისინი, ვინც მთავრობის კაცებს ეხვია გარს. გლეხებს მოსავლის, თესვის და ახალი მანქანების ამბების გაგონება უფრო აინტერესებდათ, ვიდრე ცხენებისა და ხვალინდელი დოღის ამბები, ამიტომ ცალ ხელს ყურზე იჩრდილავდნენ და ასე უსმენდნენ ცერებზე შემდგარნი. და ახალ-ახალი ამბები პირიდან პირზე გადადიოდა. მომეტებულ ინტერესს იჩენდნენ ისეთ პროვინციებიდან ჩამოსულნი, სადაც გაზეთი ორიოდე კვირის შემდეგ მიდის.

ბობოლა გლეხები უკვე ვეღარ მალავდნენ თავიანთ აღშფოთებას კოლექტივის შემოღების გამო. ისინი ყრუდ ბუზღუნებდნენ და იგინებოდნენ, მაგრამ ისე ხმადაბლა, რომ არც პოლიტსამმართველოს უფროსს, არც რაიკომის მდივანს ეს ბუზღუნი არ მისწვდენოდა. ისეთი გულუბრყვილონიც ერივნენ მათ შორის, ვისაც ეგონა: მთავრობამ ეს დოღი განზრახ მოაწყო, რათა მთლიანი კოლექტივიზაციის ამბები საამური გართობის ჟამს ამცნოსო გლეხობას.

ამ გლეხობის უკან უშორეს კუთხეებიდან ჩამოსული ყოფილი აზნაურები და ნათავადარებიც ერივნენ. ისინი მთავრობის თავკაცების სიახლოვეს დგომას ერიდებოდნენ და ხანდახან ჩოხის სახელოში წასწვდებოდნენ გლეხებსა და კოლმეურნეებს.

„რა თქვა, რა თქვაო?“ ეკითხებოდნენ.

ნათავადარებს და ყოფილ აზნაურებს ფრიად თავმოდრეკილად ეჭირათ თავი, მაგრამ ზოგჯერ ენის წვერზე იჭერდნენ წაცდენილ გესლიან სიტყვას. მათაც გლეხური ჩოხა ეცვათ, მაგრამ უსაზღვროდ შემოეჭირათ ძვლის სამკაულებიანი სადა ქამრები. ზოგ მათგანს რევოლვერის ცარიელი ბუდე ეკიდა, ზოგსაც საქონე ან მათარა შერჩენოდათ წელზე კიდევ.

თარაშ გაფაციცებით ათვალიერებდა ხალხის ჩაცმულობას,

რადგანაც მას სჯეროდა, რომ არაფერში ისე მკაფიოდ არა სჩანსო კაცობრიობის კულტურის მრავალსახიერი საპირე, როგორც კოსტიუმების ისტორიაში. ხალხების ზნენი და ჩვევანი მათ ტანისამოსით განიზომებაო, ეუბნებოდა იგი თამარს, ძაბულისა და არზაყანს.

ზოგის მათარაზე ვერცხლის მრგვალი ჟეტონი მოსჩანდა. ამ ჟეტონებზე გამოხატული იყო ირმის ძუძუმწოველი ნუკრი, ზოგსაც რაღაც ირაციონალური სამკაულები უმშვენებდა ქამარს, დამწვარ ვერცხლზე იშვიათის ხელოვნებით ნაქანდაკევი.

აქ იყვნენ ოდიშისა და აფხაზეთის უშორესს პროვინციებიდან ჩამოსული გლეხებიც, გრძელწვერიანნი, ბეჭგანიერნი. თავზე წოწოლიკა ფაფახები ეხურათ, ფეხებზე პაჭიჭები ეცვათ, კოჭების გასწვრივ გახუნებული, სინგურისფერი ნაჭრებით მორთული, მუხლს ქვემოთ ვერცხლის ლეკვერთხები ერტყათ. საკმაოდ ტფილოდა, მაგრამ უმეტესად ოქროსფერფოჩვიანი ბალახებით თავი ჰქონდათ გაკრული და მხრებზე ირიბულად გადაეგდოთ გრძელბეწვიანი, მხრებგანიერი ნაბდები.

მდიდარნიც მათ შორის გულარხეინად ხუმრობდნენ და სასეირო განწყობილებას არ იფუჭებდნენ. განაგონი ჰქონდათ: კოლექტივს მთიან ადგილებში არ შემოიღებენო.

სახისა, ჩაცმულობისა და მიხვრა-მოხვრის ნიშატით არჩევდა თარაშ ემხვარ ბარელებისაგან მთებიდან ჩამოსულ გრძელსატევრიან გლეხებს. მათ ბეწვიანი ნაბდის პაჭიჭები და ყურებიანი ქართული ქალამნები ეცვათ. ამგვარ გრძელწვერიან და მხარბეჭიან გლეხებს მიაწერსო ხალხური ზეპირსიტყვაობა ქაჯების მუსვრას, — ამბობდა თარაშ ემხვარ.

თამარმა მოიხედა და ძაბული და არზაყან ვეღარ იპოვნა.

მამაკაცების ერთი ჯგუფი მწვანეზე ფეხმორთხმული იჯდა, დო-

ქები წინ დაედგათ, მათარებით სვამდნენ ღვინოს. ხმამაღლა იცინოდნენ, და მღეროდნენ.

„ეს ჯვარელებია, — უჩურჩულა თამარს თარაშმა, — ისინი ცნობილი არიან თავიანთი სიტლანქით. ოდიშში მოიანდაზებენ: ჯვარელსავით დააბოტებს, ან ჯვარელსავით როშავსო.

შარშან ვიყავი ჯვარში, მათი დიალექტი მაინტერესებდა. ხალხის უკეთ გასაცნობად დათვზე ნადირობა მოვიმიზეზე. შენა გგონია, შორს მიხდებოდა წასვლა? ყოველ კაცს საკუთარ კარ-მიდამოში აქვს დათვზე სანადირო. შემოდგომაზე, როცა სიმინდი დატაროვდება, მთელ სოფელში ცეცხლის კოცონები გიზგიზებს დათვის მოლოდინში. ძაღლების ყეფითა და მამაკაცების ყიჟინით გაყრუებულია შემოგარენი. ქალები ნაქურცვენს აფცქვნიან ტაროს, ოჯახის ცირა ჩონგურს უკრავს. ასეთ დროს ჩვენ კაკლის ნამორებში ჩავსაფრდებოდით და დათვების შემოსევას ვუცდიდით“.

თარაშ ემხვარ ყურადღებით ათვალიერებდა ჯვარელების ვერცხლის მასრებს, ბრტყელსა და გრძელ სატევრებს, ქართული და ლეკური აწ გადასული ოქრომჭედლობის იშვიათ ნიმუშებს ამჩნევდა აქ-იქ. მათი ქამრებიც მოსწონდა თარაშს. მრავალთავიანი ენებით, საქონეებით, საწამლებით დამშვენებული. ზოგიერთ მოხუცებულს ვერცხლით მოზიკული, ზარნიშიანი დამბაჩები ზურგს უკან გაერჭო, მართალია, ბიჭები დასცინოდნენ კიდევაც ამგვარი დონკიხოტური შეჭურვილობით დაბაში ჩამოსულთ, მაგრამ ისინი არაფრად აგდებდნენ ამას.

ერთს ჩოფურა მოხუცებულს ოქროს ქამარ-ხანჯალი უმშვენებდა წელს. მასრებიც ოქროთი მოოჭვილი ჰქონდა, სხვილი და სავსებით ძველებური. თარაშმა ბოდიში მოიხადა. მოხუცმა ერთი ახედა უცხოურად მორთულ ახალგაზრდას, მაგრამ რა დარწმუნ-

და, მას არ დასცინოდნენ, წელიდან მოუხსნელად მიუშვირა სატე-ვარი.

თამარმა ვიღაც ტანწყობილ მოხუცებულისაკენ მიახედა თა-რაში, სატევრის ქარქაშის ზედაპირზე გასაოცარი ოსტატობით ამოკვეთილი იყო ოდნავ შესამჩნევი მინიატიურების დარად ვა-ზის ფოთლების, კლერტოების, პწკალების ჩუქურთმები, ხოლო ქამრის ენებისა და საქონების კიდურებზე ნახევარი მთვარე.

თარაშმა თავაზიანად გამოჰკითხა ბერიკაცს ამ ქამარ-სატევ-რის ამბავი, გამოირკვა: იგი რომელიღაც დადიანისაგან შეუს-ყიდნია თურმე აწინდელ პატრონს.

„რად გინდოდა მერმე ეს ქამარ-ხანჯალი ჩვენს დროში?“ შე-ეკითხა თარაშ ემხვარ.

მე ახალგაზრდობაში ვნატრობდი ასეთ ქამარ-სატევარს, მაგ-რამ არ მეღირსა, ახლა სიბერემ მომისწრო, მაინც კარგია, „საგა-რიოდ“ წასულს წელს დამიმშვენებსო, — ამბობდა მოხუცი.

„იცი, თამარ, როგორი ურყევი ძალა მოეპოვებათ ამ უსულო საგნებს: ისინი, საუკუნეების ულევ მეწყერებს გადარჩენილნი, ზღვის კიმილებსავით ჩარჩებიან ხოლმე ალაგ-ალაგ და ისე მუნ-ჯად ინახავენ უხსოვარ დროთა გარდასულ სურნელებას. მე თავ-ბრუ მესხმის, როცა მოვიგონებ, თუ რა ბნელი დროიდან მოდის ეს ოქროთი და ვერცხლით წელის დამშვენების ამბავი. ძველ ეგ-ვიპტელებს უყვარდათ იგი.

ვინ იცის, რამდენი უძილო ღამე მოუნდომებიათ ამ ოქროს მი-ნიატურულ ჩუქურთმების გამოყვანისათვის რომელიმე ლეკს ან ტფილისელ ოსტატს. აწი აღარავინ მოიცლის მათ გასაკეთებ-ლად“.

იქვე ქვიშისფერ ჩაბალახით თავგაკრული გლეხი იჯდა. იგი ზედ არ წამომდგარა, ისე შეავლო თვალი თამარსა და თარაშს.

თარაშმა თვალი ჰკიდა მის ქამარსა და სატევარს. სატევარის ვადაც და ქარქაშიც სპილოს ძვლისაგან იყო ნაკეთები, ხოლო ქამრის სამკაულები ოქროთი დაფერილი სპილოს ძვლისა. ვადა და ქარქაში იშვიათის ოსტატობით მოეოჭვა ოსტატს. ეს იყო მხოლოდ, სატევრის ვადა გაბზარულიყო და სირმით გაეკრა პატრონს.

საიდგანღაც ორსიმიანი, აფხაზური ჭიანურის — აფხირცას ხმა მოესმა თარაშს. ღრმად მოხუცებული ჩოხიანი აფხაზი იჯდა მუხის ნამორზე. დალეული, ძველებური ფაფახი ეხურა მთლად გახუნებული, თითქმის სავსებით უქუთუთო თვალები უჩანდა მას, მარღია კამეჩის თვალსავით თეთრი. იჯდა და უკრავდა აფხირცას ბერიკაცი. ჩაბალახით თავწაკრულმა ბლუზიანმა ბიჭუნამ თამარი და თარაში იცნო, თავაზიანად წამოდგა და თარაშ ემხვარს უთხრა: ერამხუტ ემხვარის ლექსს მღერისო ეს აფხაზი. თარაშს განაგონი ჰქონდა, სადღაც კიდევ ცოცხლობს 120 წლის ბერიკაცი, რომელსაც ლექსები გამოუთქვამსო ერამხუტ ემხვარისათვის. ორიოდე სტროფი დაამახსოვრდა თარაშ ემხვარს.

შამილი და ერამხუტი
ეძგერენო თურმე რისებს,
ერამხუტის ძველი ხმალი
ელავდაო, ვით ირისე,
გაღმა იდგა ერმოლოვი
და გამოღმა იყო ფლატე,
შემოესმა: „ერამხუტო,
მეფეს რატომ უღალატე?“
გადასძახა ერამხუტმა,
მთებმა რისხვით დაიგრგვინა:
„შენ და შენი რუსხენწიფე
ორივ ღმერთმა შეგარცხვინათ“...

აფხაზს სიმი გაუწყდა, ლექსი ვეღარ დაათავა და მერმე გულისწამღები ჩხაკუნით აწყობა დაუწყო თავის ჭიანურს.

თარაშმა თამარს ხელი წაავლო და მოზღვავებული ხალხის ტევრში შეიყვანა. ზოგიერთ წრეში ჩონგურს უკრავდნენ: მოშორებით ცხენოსნების გარშემო მოგროვილი გლეხები კეისრულს მღეროდნენ.

თარაშს განუზომელად უყვარდა ამ მაღალპათეთიური ძველი სიმღერის სმენა. გარდა ამისა, თარაშს განაგონი ჰქონდა: ეს სიმღერა ძველ კოლხებს უმღერიათო თავდაპირველად.

ხალხი მხიარულად ზიმზიმებდა. ასე გამოდიოდა, თითქოს ამ დღეს წინასწარ დათქმული ჯარობა გაუმართავთო აწ გადასული აზნაურობის, გარდამავალი კოსტიუმების, სიმღერების, იარაღების და ცხენოსნობის საჩვენებლად.

* * *

არის ერთი დღე, ხანაც ერთი წელი საუკუნოთა უწყვეტელ მიჯნებზე, როცა ძველისა და ახალის შორის მზღვარის დასადებად ადამიანები ან დიდ ომს გადაიხდიან, ან დიდ ზეიმს.

მე მეგონა, სწორედ ასეთი იყო ის დღე, რომელსაც მე ვწერ ჩემს რომანში, სახელდობრ, 1931 წლის მაისის სამი.

* * *

თარაშ ემხვარს მოხუცებულები გარს ეხვეოდნენ. ისინი დიდის სასოებით ეფერებოდნენ „ჯამსუღ ემხვარის ვაჟს“. ლუკაია გვერდით მისდევდა თარაშს და, როცა ბიჭებს დაინახავდა, თარაშს აეკვროდა გვერდით, ხანაც თამარს ხელს მოხვევდა წელზე, როგორც ის ბალღი, რომელსაც ეშინია, დედამ არ დამკარგოსო ბრბოში. და როცა თარაში ლაპარაკს დაიწყებდა, ისე მისჩერებოდა, როგორც სახატეს.

გვანჯ აფაქიძე, გუდუ ჩიქოვანი, ომარ მაან, შარდინ ალშიბაია, კაც ზვამბაია, ტატაშ მარშანია წამდაუწუმ აგონებდნენ თარაშ ემხვარს წინაპრების მისის სახელებს, მათ ჯირითს, ცხენენჯობისა და ვაჟკაცობის ამბებს.

„ჰაი გიდი, — ამბობდა გვანჯ აფაქიძე, — განსვენებული პაპაშენი თავის ამალით რომ მოიყვანდა თავის ჯიშიან ცხენებს. მე მახსოვს, ჩიჩილაკივით თეთრი, ლოყებღაჟღაჟა მოხუცი ყორნისფერ ულაყზე მჯდარი რომ შემოაგელვებდა ცხენს, ცხენის გავაზე ძიძაშვილი უდგა და ძიძაშვილი ისე მოჰკივოდა, ცას ვარსკვლავსა სწყვეტდა“...

„ეს ამბავი მეც ქე მახსოვს“.

ჩააგდო სიტყვა ლუკაიამ, მაგრამ არავინ გასცა ხმა. ერთმა ჯვარელმა ღრმად მოხუცებულმა ერამხუტ ემხვარი ახსენა. თარაშ ემხვარმა ყური სცქვიტა ერამხუტის ხსენებისას. სწორედ იმ საბედისწერო წელს, უკანასკნელად რომ ემზადებოდა ჩერქეზეთს წასასვლელად, ერამხუტის ცხენმა მარულა მოიგოო.

თამარი კვლავინდებურად აწრიალდა, როცა თარაშთან მარტოკა დარჩა.

არც ძაბული და არც არზაყანი არსადა სჩანდნენ.

მხედრებს უკვე თავი მოეყარათ და თავკაცები ერთად მოგროვილ ხალხს აქეთ-იქით სწევდნენ, ქართას აკეთებდნენ („ქართას“, ანუ „კარს“ უწოდებენ იმ არეს, რომელსაც ორ რაზმეულს შორის დასტოვებენ ხოლმე ისინდის გამართვისას).

„როგორ გადაბრუნდა დროება! — ეუბნება გულდაწყვეტილი გვანჯ აფაქიძე თარაშ ემხვარს, — ამ ორას მხედარში არც ერთი შარვაშიძე, არც ემხვარი, არც აფაქიძე და არც დადიანი არ ურევია“. თარაშ ემხვარს სავსებით არ აწუხებდა ეს ამბავი და ამიტომაც ღიმმორეული ეკითხება გვანჯ აფაქიძეს:

„მაშ ვინაა ეს მხედრები?“

„ვინ არ გინდა, რომ აქ არ იყოს: გრიგოლია, აშხვაცავა, ქოიავა, ტარბა, — ამ გვარებს ზიზღმორეულად ახსენებდა გვანჯ აფაქიძე, — მალაზონია, გვიჩია, ეგერ ხომ ხედავ, შენი ძიძაშვილი არზაყან ზვამბაია“.

არზაყანის ხსენებაზე თამარი ცერებზე წამოდგა და მართლაც არზაყან და ძაბული დაინახა.

„მოდი, მახარია, შენც მიიღე მონაწილეობა, ისინდი არ გაინტერესებს?“

თარაშ ემხვარს გაეცინა.

„აკი ეს ემხვარების დღე არაა“...

„სადღა არიან ძველი ემხვარები? ან რომელი მათგანი?...

შენი საქმე სხვაა, შენ ბოლშევიკები ანგარიშს გიწევენ, როგორც განათლებულ აფხაზს“.

ამასობაში ძაბულიმაც მოაღწია. ძაბულის არზაყანის ჩაბალახი ეკიდა მკლავზე.

„მერმე ცხენი სადაა?“ — შეეკითხა თარაშ ემხვარ გვანჯ აფაქიძეს.

„ცხენს ახლავე გიშოვნი, მახარია. ერთი ლაკირბაია ჩამოვიდა ოქუმიდან, იგი ენგურზე გასვლისას გაცივებულა და მე წამოვიყვანე მისი ცხენი, ჩემი შვილისშვილი ზის, იმას მოგგვრი“, — ესა სთქვა გვანჯ აფაქიძემ და ბრბოში გაერია.

თარაშ ბალღურმა სიხარულმა აიტანა ამ მოულოდნელი სურვილის აღძვრისაგან.

როგორც ქალები, ისე თანადამსწრე მოხუცები აღტაცებაში მოვიდნენ, „განათლებულ ემხვარს“ ისინდში მონაწილეობა რომ უნდა მიეღო. მარტოოდენ შარდინ ალშიბაია არ იყო ამ ამბით სავსებით კმაყოფილი. იგი ცალყბად იღრიჭებოდა, განზე აწიტებდა, ფრთხილად, მაგრამ გარკვეულად ურჩევდა თარაშს, ეს არ

ჩაედინა. რა განათლებული კაცის საქმეაო, ამბობდა შარდინ ალ-შიბაია ხმადაბლა, ცხენის ჯირითი და მერმე ისინდში მონაწი-ლეობის მიღება, როცა არც ერთი შენი ტოლი და კეთილშობილი დღეს ისინდში მონაწილეობას არ იღებსო. თარაშ ემხვარ არ შეჰ-კამათებია, მაინც უყურადღებოდ დატოვა მისი ქადაგება.

ამასობაში გვანჯმა ლაკირბაიას ცხენი მოჰგვარა თარაშს. მან ფრენჩი გაიძრო, ლუკაიას მიაჩეჩა, არზაყანის ჩაბალახით წელი გაიკრა, მარდად მოახტა ცხენს.

თამარი და ძაბული მუხის ნამორებზე შესდგნენ, იქიდან უთ-ვალთვალებდნენ ჯირითს.

* * *

ისინდი ჯერ არ დაწყებულიყო, თუმცა ცხენოსნები უკვე შუაში გაყოფილიყვნენ. ასიოდე ცხენოსანი დასავლეთისაკენ იდგა, ამ-დენივე „ქართის“ გადაღმა, ორმოციოდე ნაბიჯის მოშორებით. ორივე ჯგუფიდან თითო მხედარი გამოაგელვებდა ცხენს. გვანჯ აფაქიძე თამარს გვერდით უდგა, შარდინ ალშიბაიას ძაბულის რბილ მკლავისაკენ გაეპარებინა ხელი, მას ისინდზე მეტად ამ რბილი და ტფილი სხეულის სიახლოვე აინტერესებდა.

„საოცარია, — ამბობდა ვიღაც ჩაბალახიანი, — ამ ნასწავლმა კაცმა საიდან ისწავლა ცხენოსნობა?“

„ცხონებულ მამამისს მთელი რემა ჰყავდა“. უპასუხა შავჩოხი-ანმა მოხუცმა მის გვერდით მდგარმა.

თამარმა ეს გაიგონა, მაგრამ გაიტრუნა, იგი მღელვარებით სავსე თვალებით შესცქეროდა — რომელი გაასწრებდა: გუნტერი თუ არაბია?

არანაკლებ ღელავდა ძაბული. და ძაბულიმ კარგად იცოდა, რომლის გასწრება უფრო გაახარებდა მას. მუხის ნამორებს ხალ-ხი აწყდებოდა, შარდინ ალშიბაია ამ გარემოებას იყენებდა და

უფრო მეტად ეკვროდა ძაბულის. ხოლო ძაბული ფრთხილად იცილებდა მკლავიდან მის ხელს, მაგრამ შეჰქანდებოდა თუ არა ნამორი, შარდინ ალშიბაია ისევ წაავლებდა ხელს მის ფაფუკ მკლავებს იდაყვის ზემოთ.

შარდინს მღელვარებისაგან თვალისჩინი დაჰკარგვოდა და ამიტომ ვეღარც გუნტერს ხედავდა და ვეღარც არაბიას.

* * *

ყველაზე მეტად გვანჯ აფაქიძე ღელავდა. მისთვის უმთავრესი ეს იყო: გლეხი აჯობებდა თუ აზნაური? გუნტერი მას არაბიაზე უფრო ნასუქალი ეჩვენა, ამიტომაც დარწმუნებული იყო, გუნტერი აჯობებდა. რაც შეეხება მხედარს, რა ვუყოთ, რომ თარაში უცხოეთში იყო ნაზარდი, როგორ შეიძლებოდა ზვამბაიას ემხვარისათვის ეჯობნა თუნდაც ცხენოსნობაში? გვანჯ აფაქიძე გაფაციცებით უჭვრეტდა დასავლეთისაკენ მიმქროლავ გუნტერს და არაბიას, თვალებზე ხელს იჩრდილავდა, ამჩნევდა: ორივენი თანაბარი სისწრაფით მოსწყდნენ და შორეულ ფარდულამდის ერთად მიაღწიეს.

გამოეყო რაზმეულს ლომისფერი ინგლისარაბი, მუხროვანელი ცხენსაშენის კვიცი დარდიმანდი. მასზე რომელიღაც ქართველი წითელი მეთაური იჯდა. მას გამოუდგა ტანმორჩილი თურქი მეჯინიბე აბდულაჰ რამაზ-ოღლი, შესანიშნავ ყაბარდოულზე მჯდარი, ყორნისფერ ჭაკს მესტებისებრი თეთრი ტალები აჩნდა უკანა ფეხებზე. გაჭენებული ცხენების მიერ აყენებულ მტვერში გაეხვივნენ ჩამავალი მზის ოქროვან ფარდისაკენ მიმქროლავი ცხენოსნები. უცებ ერთმა რაზმეულმა არზაყან ზვამბაია და მისი არაბია გამოუშვა, ხოლო მეორემ — თარაშ ემხვარ და გუნტერ, ლაკირბაიას კვიცი.

„ეს კვიცი, — ამბობდა გვანჯ აფაქიძე, — ვილჰელმ მეორის საჯინიბოდან გამოსული ჭაკის — უაიტ სტერის შვილია, პრინც ოლდენბურგისეული. მამამისი ტფილისური ცხენსაშენის ულაყი ფიქრია ყოფილა თურმე“.

ამასობაში გუნტერ და არაბია გაუსწორდნენ ურთიერთს. ისინი მეტეორებსავით მიჰქროდნენ უკვე გალურჯებულ ტრიამელ ველზე.

გუნტერი ცეცხლისფერი და რახსი არაბია ისე ავსებდნენ და ამშვენებდნენ ურთიერთს, როგორც აპოლონის ეტლის დიოსკურები.

არაბია და გუნტერი ცოტა ხნის შემდეგ უკანვე გამობრუნდნენ მგლურზე გადასულნი, თანაბრად მიდიოდნენ. გვანჯ დაღონდა, როცა ეს შენიშნა.

თარაშ ემხვარ თავის რაზმეულს მიუბრუნდა. ახლა ამავე რაზმიდან საქართველოს მიწსახკომის ნახევარსისხლიანზე მჯდარი ვინმე აშხვაცავა გამოუშვეს.

აშხვაცავამ აფხაზურად შესძახა არზაყანს და მერმე ორივემ მკერდულით მიუშვეს ერთმანეთზე ცხენები.

მაგრამ აქაც არ დაანება არზაყანმა პირველობა მოპირდაპირეს. კაც ზვამბაია თავის ცირაზე იჯდა უძრავად. იგი დიდის მღელვარებით ადევნებდა თვალს თავის ვაჟისა და გაზრდილის ჯირითს, შემდეგ არზაყანისა და აშხვაცავას შეპაექრებას და გადაწყვეტილი ჰქონდა, ვინმეს პირველობა რომ წაერთმია ზვამბაიას გვარისათვის, იმ წუთშივე გამოვიდოდა საასპარეზოდ.

გვანჯმა მწკრივები გააპო, ცხენოსნების უახლოეს რაზმეულს მიაშურა:

„ნაბადი, ნაბადიო“, — შესძახა და თავისი გახუნებული ნაბადი გაჰფინა მოლზე.

აფაქიძეს თარაშ ემხვარის გამარჯვება უნდოდა, რაღაც ჩასჩურჩულა ცხენოსნების თავკაცებს, მათ ისევ გუნტერი და თარაშ ემხვარ გამოუშვეს. გუნტერ ევროპულ ტრენინგს იყო ჩვეული, თარაშმა მრავალგზის სცადა, მაგრამ ვერც ერთი ფიგურა ვერ გააკეთა ნაბადზე, რადგან გუნტერს საშინლად უდრეკი კისერი აღმოაჩნდა.

ახლა ისევ აშხვაცავა გამოუშვეს. აშხვაცავამ ორჯერ მიაგდო თავისი ცხენი ნაბადთან, შეხურებულმა ცხენმა ორგზისვე გადალახა ნაბადი.

ახლა არზაყანის ჯერი მოდგა. არაბიაც გაჯიქდა, ერთი დახედა ნაბადს, უხიაგად დაიფრუტუნა და განზე გაიტაცა მხედარი. გაუხარდა გვანჯ აფაქიძეს ეს ამბავი, მაგრამ სახეზე არ დაიმჩნია ეს მოშაინური სიხარული.

სასტიკად დატუქსა არზაყანმა არაბია, გოგვით წამოიყვანა იგი და, როცა მან ორივე უკანა ფეხი შეადგა ნაბადზე, მხედარმა ყალყზე შეაყენა არაბია, ორივე ხელით მაგრად ჩამოჰკრა სადავენი, ნაბდის მეორე კიდეზე წინა ფეხები დაადგმევინა, ისევ მოსწია ძლიერად სადავეებს, ასე რომ, უკანა ფეხები უკან გადაეზნიქა ცხენს და მაშინ შვილდივით მოდრეკილს შემოჰკრა ქუსლი არზაყანმა, რამდენიმე მეტრის სიშორეზე გადაასკუპა. ჯირით-ჯირითით წაიყვანა გაქანებული და ისევ უკუიქცა.

გოგვით მოდიოდა დუჟმორეული არაბია, გააფთრებული აბრიალებდა თვალებს. ისევ შეაგდო არზაყანმა იგი ნაბადზე და კიდევ ორჯერ აქნევინა სხაპი.

იგივეს შეეცადა აშხვაცავა, მაგრამ სავსებით ამაოდ. როცა არაბია და მისი პატრონი რაზმეულს დაუბრუნდნენ, ტაშის გრიალით შეეგებენ ცხენსა და ცხენის პატრონს.

რამდენიმე ქალაქელი ცხენოსანიც გამოვიდა მოულოდნელად. მათ შორის ვინმე ვაჩნაძე, ერთიც დოლაბერიძე, მაგრამ

ვერც ერთმა ნაბადზე ვერ ათამაშა ცხენი. გამოეყო რაზმეულს მალაზონია; მან იგივე ფიგურები გაიმეორა ნაბადზე, ასე რომ, არზაყანს სადავოდ გაუხადა პირველობა.

მაშინ სავსებით მოულოდნელად იმავე რაზმეულიდან, სადაც თარაშ ემხვარ იდგა, თავისი ტანმორჩილი ცირა გამოაჯირითა კაც ზვამბაიამ. არზაყანის წინ სხვა მხედრები იდგნენ. უკვე ბინდი მოწეულიყო, ამიტომაც კარგად ვერ გაერჩიათ მისი სილუეტი.

მაგრამ ერთბაშად არზაყანის ყურამდის მოაღწია ხმაურმა: „კაც... კაც... კაც“... უსიამოდ შეკრთა არზაყანი. როგორ?

მამას უნდა წაერთმია პირველობა მისთვის? აკი ამბობდა: ჯირითში მონაწილეობას არ მივიღებო? ისინი, ვინც კაც ზვამბაიას, როგორც დიდოსტატს ცხენოსნობისას, სავსებით არ იცნობდნენ, იცინოდნენ: ეს მოხუცი სად მოაჩინდრიკებსო თავის კატისდარ ცხენს.

და როგორც დიდი ორატორი აცლის ხოლმე სხვა წვრილფეხას აყეფებს, ალაქლაქებს მათ, რათა რიგიანპირიანად თავი მოაძულონ ხალხს და მერმე ადგება, დარბაისლური ნაბიჯით ტრიბუნისაკენ გაემართება და სულ მცირე ხანში ააგრიალებს ტაშების ზღვას, ისე გამოვიდა კაც ზვამბაია, ქუსლი ჰკრა თავის ცირას, „აჰააჰაიტ“, შესძახა აფხაზურად, ლანდის უსწრაფესად მტვრის ღრუბლებში გაეხვია ცხენიცა და მხედარიც, მერმე ისევ ნაბადთან მიაგდო ცირა, ზედ მასრა დააგდო, ჩამოუქროლა, აიღო მასრა, კვლავ შემოაბრუნა ცხენი, ნაბადზე შეაყენა, მშვილდივით მოსდრიკა ყალყზე წარმომდგარი, ციბრუტივით შემოატრიალა ცალ ფეხზე, ისევ ნაბადზე დააკერებინა წინა ფლოქვები, მერმე შემოჰკრა ქუსლი და კვლავ გააქანა ველზე. დაიგრილა გარშემო ტაშმა. რამდენიმე ცხენოსანმა სცადა იგივე, მაგრამ ვერც ერთმა ვერ გაიმეორა.

ახალი ისინდი დაიწყო.

აღმოსავლეთელებმა აშხვაცავა გამოუშვეს, ხოლო დასავლეთელებმა არზაყან ზვამბაია. ესროლა არზაყანმა აშხვაცავას თხილის ჯოხი, ზედ მკერდზე მოახვედრა და კვლავ შეუერთდა დასავლეთელებს. სადავოდ შეიქნა მისი ნატყორცნი, რადგანაც იქვე მდგარმა მსაჯმა გვანჯ აფაქიძემ, არ მოხვედრიაო, წამოიძახა.

მაშინ დაიძრა აღმოსავლეთით მდგომთა რაზმეული, მწკრივად, თანაბარის სისწრაფით მიუშვეს ცხენები და ისინი ამ წუთში ძველბერძენ მოისართა ესკადრონს წააგავდნენ.

გოგვითა და როკვით წამოვიდნენ და ერთობლივად ესროლეს თხილის ჯოხები მოპირდაპირე ბანაკს, შემოაბრუნეს ცხენები მყისვე და ისევ თავიანთ ნადგომს მიაშურეს.

დასავლეთელებმაც უეცრად მოსწყვიტეს ცხენები. ზოგმა ჰაერში დაიჭირა თხილის ჯოხი, ზოგი ცხენიდან გადმოვარდა, ძირს დავარდნილი თხილის ჯოხის ასატაცებლად უნაგირიდან გადახრილი. მიუვარდნენ აღმოსავლეთელებს, თხილის ჯოხები დაუშინეს და კვლავ უკუიქცნენ. ისევ დაიძრნენ აღმოსავლელნი, ისევ მიაგდეს ცხენები დასავლეთელების ბანაკთან, ესროლეს თხილის ჯოხები „მტერს“ და კვლავ მიაშურეს თავიანთ პოზიციებს.

და ასე გრძელდებოდა ისინდი, ვიდრე ურჩხულის დარი ღრუბელი არ დაიძრა პონტოს ზღვიდან და მრუმე ფერებისაგან და დაიხშო დასავლეთში მოკიანე ოქსინოს ცისკიდური.

ნელ-ნელა გაშავდნენ ჯუღეჯიანის ველზე დარჩენილი ბჟოლის ხეების მწვანე ქოლგები და მხედრების სილუეტებიც ისე დამუქდნენ, როგორც მსუბუქი ტუშით ნახატი ფიგურები. აღარ ცქმუტავდა მოუსვენრად უკვე მოქანცული გუნტერი, თარაშ ემხვარი გარინდებული ყურს უგდებდა მხედრების მიერ წამოწყებულ კეისრულს.

მაისის ღამემ თვალი დაადგა ველს, დასავლეთისაკენ აკიანთდა ხალისიანი მარიხი.

კეისრული

არზაყანს არც კეისრულის რომანტიზმი აინტერესებდა, არც ლანდებადქცეულ მოისართა დროის გარეშე ჭვრეტა. როგორც კი ისინდი დასრულდა, მყისვე გაეპარა იგი ამხანაგებს. მოზიმზიმე ხალხში მამას წააწყდა უცაბედად.

კაც ზვამბაია ვიღაც მოხუცს ესაუბრებოდა. არზაყანის შეხედვისას მოხუცი ცხენოსანს მიეჭრა, თანაც ეს უთხრა კაც ზვამბაიას:

„შენი ბიჭი რამხელა ვაჟკაცი გაზრდილა, კაც!“

არზაყან ცხენიდან ჩამოხტა, გადაეხვია არზაყანს კაც ზვამბაიას სიყრმის მეგობარი ლიპარტიანი.

„ველური დივიზიის“ ყოფილი უფროსი ისე დაჩაჩანაკებული იყო, არზაყანმა ვერც კი იცნო, ვინმე მეთულუხჩე ეგონა იგი.

კაც ზვამბაიამ აფხაზურად წასჩურჩულა არზაყანს: მოხუცებულს მუხლი სტკივა და შინ მისვლამდის ცხენი ათხოვე, იქიდან მარქაფად შინ წავიყვანო. არზაყანს გულით უნდოდა ცხენის თა-

ვიდან მოცილება, რადგან თამარის მოძებნა ეწადა, ამიტომაც სიამოვნებით მიაჩეჩა არაბია მოხუცს.

დიდხანს ეძია თამარი თალხი ლანდების მწკრივში, თვალები დაექანცა და ის-ის იყო, შინ წასვლას აპირებდა, მუხის ნამორებთან შენიშნა იგი.

თამარი სჩიოდა: ძაბული შენი და თარაშის საძებრად წავიდა და აღარსად სჩანსო. ახლა ძაბულის ძებნას შეუდგნენ ორივენი. ველი ხალხისაგან დაცლილი იყო, მხოლოდ ორიოდე მოხუცის ლანდი დაღოღავდა აქა-იქ.

ისინი სვენებ-სვენებით მიდიოდნენ. ოხრავდნენ, სწუხდნენ, ზვამბაიებს, ქოიავებს, ტარბებსა და მალაზონიებს რომ დარჩათ ბურთი და მოედანი.

დადიანების, ემხვარების, ჩიქოვანების, შარვაშიძეების, ჩიჩუების, აფაქიძეების, ლიპარტიანების მიერ გამართულ დოღისა და ისინდის ამბებს იგონებდნენ, ოხრავდნენ და წყევლიდნენ ახალ დროს.

„გამარჯვება გერგო, არზაყან“. ეუბნება თამარი არზაყანს, თანაც არაბია მოიკითხა. მეო! — ამბობდა არზაყან, — წინააღმდეგ, სასტიკად დამამარცხესო, თავმდაბლობა ვაჟკაცების წესიაო, — შენიშნა თამარმა.

„როგორ თუ დაგამარცხეს, აშხვაცავას ხომ აჯობე!“

არზაყან გაიტრუნა, გულით უნდოდა კიდევ ვიღაცა ეხსენებინა თამარს და ამიტომ ჩაილაპარაკა:

„შენ სად იდექი?“

„მე და ძაბული მუხის ნამორებზე ვიდექით“.

„ყველაფერს ხედავდით?“

„ყველაფერს“.

„განა მარტო აშხვაცავას ვაჯობე?“

„აშხვაცავას, დოლაბერიძეს, ვაჩნაძეს და სხვა ტფილისელებს“.

არზაყან დადუმდა და თამარი თითქოს უსიტყვოდ მიუხვდა, რომ ვიღაცას გვარი კიდევ აკლდა ამ ჩამოთვლას და მცირეოდენი დუმილის შემდეგ დასძინა ხმადაბლა:

„კაცმა რომ თქვას, ნაწილობრივად თარაშსაც. მაგრამ ეს იყო — ნაბადზე მამაშენმა მოგიგო“.

„მამა განზრახ არ გაერია ისინდის სროლაში. ხვალ ვნახოთ“.

არზაყან მცირე ხანს მდუმარედ მიდიოდა თამარის გვერდით გული სტკიოდა, მამამ პირველობა რომ წაართვა ჯირითში. სანუგეშო ეს იყო: თარაშ ემხვარს რომ აჯობა ნაწილობრივ და ეს „ნაწილობრივ“ გულში გაეხირა არზაყანს.

იქ ქოფაკმა გვანჯ აფაქიძემ უმტრო არზაყანს და სადავოდ გაუხადა კარგად ნატყორცნი ისინდი. ეს გაიფიქრა არზაყანმა, მაგრამ არ კი გაუმხილა თამარს.

„რა იქნა ნეტავი ძაბული და თარაში?!“

წრიალებდა თამარ და მის გულში იჭვის ნატამალი რიალებდა. მოაგონდა, თუ როგორის განსაკუთრებული თავაზიანობით შეხვდა წეღან ძაბულის თარაშ ემხვარ, ძაბულის მეტად თარაშის გაუჩინარება აწუხებდა, უმთავრესი კი ის იყო: უკანასკნელი დღეების შემდეგ არზაყანთან მარტო სვლას ერიდებოდა: ყოველ წუთში მოელოდა, რომ არზაყან საყვედურს დაუწყებდა, არზაყანსაც ენის წვერზე მოსდგომოდა საამისო სიტყვა, მაგრამ იგი ბედნიერი იყო თამართან მარტო ყოფნით, ამიტომაც სდუმდა. ხან თამარის ლანდს შეავლებდა თვალს, ხანაც უმთვარო, ვარსკვლავებით მოოჭვილ ცას ზეახედავდა.

თამარმა რომელიღაც ჯაგს ფეხი წამოჰკრა, არზაყანმა იდროვა და მკლავში გაუყარა ხელი. სულ ახლოს, მის სხეულთან სულ

მჭიდროდ მისული მისდევდა იგი თამარს და განუსაზღვრელ სიხარულს გრძნობდა ამ მშვენიერ საღამოს პირისპირ თამარის ხლებით გახარებული. და როცა ორივეს გამოელიათ სათქმელი თითქოს, განუზომელად ნეტარებდა, ბელტიან ხნულებზე გადასვლისას მის სხეულს რომ ეხებოდა თამარის ტანი და ხანდახან ისე ახლოს ეკვროდნენ ისინი ურთიერთს, რომ არზაყანი მკაფიოდ გრძნობდა, თუ როგორ სუნთქავდა თამარი.

„მამა ამბობდა, — დაარღვია დუმილი არზაყანმა, — ამ ველზე ოდესღაც დადიანისეული სანადირო ტყე იყოო, გაუვალი ჭაობები, ლისი, ლაქაში და უნაყოფო ეწერი. ასეთ დროს აქ შეიარაღებულ ცხენოსანსაც გაბდღვნიდნენ მგლები. ახლა ჩვენ ჩაის პლანტაციებს ვაშენებთ, ეგერ, ხომ ხედავ ოდნავ მბჟუტავ ელექტროს ლამპიონს, იქ „საქართველოს ჩაის“ მეურნეობანი ეწყობა“.

თამარი ამ წუთში თარაშ ემხვარისთვის ფიქრობდა და სავსებით ყურს არ უგდებდა, თუ რას უამბობდა არზაყან ამ ჩაის მეურნეობათა მომავალისათვის.

სრულიად ჩამობნელდა ველზე, შორიდან ძაღლების ყეფა ისმოდა. ენგურის ჭალებიდან გზამოჭრილი მგზავრის თუ მეველის ყიჟინი მოდიოდა. შორიდან ტურების ჩხავილი მოჰქონდა ნიავს.

თემშარაზე გადმოსულთ რამდენიმე ჩამორჩენილი მგზავრის ლანდი შემოეყარათ, ისინი ხმადაბლა საუბარით მიჰყვებოდნენ გზას.

ენგურის სადგურიდან მოღწეული ელექტროს ლამპიონების სხივმილეული ლიცლიცი ვეღარ ერეოდა დარდიან ღამეს.

თამარსაც გუნება შეეცვალა. იგი უკვე აღარ სწუხდა, რომ არც ძაბული და აღარც თარაშ ემხვარ აღარსად სჩანდნენ. დღეს მას განსაკუთრებით მოეწონა არზაყან. იმდენი სიხალისე, იმდენი სიმარდე და ვაჟკაცობა იყო მის დღევანდელ ჯირითში, რომ არზაყან ერთი დაკვრით იგივე გახდა მის თვალში, როგორიც იყო იგი

თარაშ ემხვარის ჩამოსვლამდის.

მიუხედავად ამისა, თემშარაზე გადასვლისას მან რედიკულიდან ცხვირსახოცის ამოღება მოიმიზეზა, არზაყანის ხელისაგან მკლავი გაინთავისუფლა.

გზიდან ლიანდაგზე გადავიდნენ. ტელეგრაფის სვეტებიდან საოცარი ღუღუნი ისმოდა.

მოკლე გზით წავიდეთო, ურჩევდა არზაყან. თამარი ნებას დაჰყვა (ერიდებოდა, ამ სიბნელეში არზაყანთან რომ ენახათ იგი მეზობლებს, ამიტომ ეწერ-ეწერ სიარული არჩია).

და არზაყანიც დაადგა იმავე მოკლე ბილიკს, რომლითაც ამას წინათ შეიპარა იგი ტარიელ შარვაშიძის ხილნარში.

მთვარე აღარსად სჩანდა, თუმცა წინა დღეს ლუკაია ამტკიცებდა: ხუთმეტ მაისამდის მთვარიანი იქნებაო.

მიდიოდნენ... ბარდები, ძეძვები, ჯაგები წარამარა გზას უღობავდნენ. არზაყან წინ მიუძღვოდა თამარს, ალაგ-ალაგ ხელს წაავლებდა, ბილიკზე გადმოშვერილ ქაცვიან შტოებს იგერიებდა, გზას უკაფავდა და თავათ მას ღიჭი უმოწყალოდ უღადრავდა ლოყებს.

მცირე ხანს ტრიამელ ტაფობზე იარეს. მრუმე ფიქრებში გახვეულს მიაგავდნენ ვაკეზე შორიშორს გამდგარი მუხების, წიფლების ბნელი ლანდები. შავნაბდიან გუშაგებსავით სდარაჯობდნენ ისინი მძინარე ყანებს. საიდანღაც წისქვილის მელოდიური ღუღუნი ისმოდა, ხანაც ჭოტის ძახილი შორიდან მოსული.

თამარი ჯაგს წამოედო, არზაყანმა ისევ გაუყარა ხელი იდაყვს ზემოთ, თამარი ნებას დაჰყვა.

არზაყან ბედნიერი იყო მარტოოდენ შემცნობი იმისა, რომ მან თამარის თვალში პირველობა მოიხვეჭა; ყოველ შემთხვევაში ახალგაზრდებს შორის. მამამ აჯობა, მაგრამ დიდოსტატობის სახელის მოხვეჭას ასაკიც უნდაო დიდი, ინუგეშებდა ჭაბუკი თავს.

თარაშ ემხვარ შეეცილა, მაგრამ ხვალინდელი დღე შორს აღარაა და ხვალ აჩვენებს იგი სეირს თარაშ ემხვარს და მაშინ თამარიც ვეღარ იტყვის „ნაწილობრივ“-ო.

და ქალი, ქალი ხომ გამარჯვებულისა და მარჯვეს მხარეზე ყოფილა მუდამ, რადგანაც მხოლოდ მარჯვე თუ გაიმარჯვებს ქალის თვალში.

გამარჯვებულია და მარჯვე.

ეს გაიფიქრა არზაყანმა და მთვარემაც გამოიხედა ისე მორცხვად (როგორც აფხაზი პატარძალი გამოიხედავს ხოლმე თეთრი დარაიას თავშლიდან) და გაანათა მყის იგივე ბილიკი, იგივე ჯაგები, რომელნიც იმ საშინელ და მწუხარე ღამეს გადაიარა არზაყან ზვამბაიამ.

დაფრთხა ძეძვებში შაშვი, უნუგეშო კუთვით გადაინაცვლა ტოტი და მერმე დადუმდა ბუნება.

იარეს კიდევ მცირე ხანს.

ახლა ენგურის ჭალებიდან ტურების კივილი მოისმოდა ოდნავ გასაგონი, ხანაც სიზმარივით მოდიოდა ბაყაყების ქორალური ვიშვიში და ვასაკების მკაფიო კრრრ... კრრრრ... კრრრრ... მაგრამ იგივე ხმები კაეშანს როდი ჰგვრიდნენ არზაყანს, არამედ ისინი სიყვარულის ჟინიან ძახილს მოაგონებდნენ მას, მიძინებული ბუნების მკერდიდან გადმომსქდარს.

გაშავდნენ გარშემო ხეებს აყოლილი ეკლის ბარდები, საოცარ ქიმერებს მიემსგავსნენ ამ მშვენიერ ღამეში. მთვარე ახლად ამოღებულ აბრეშუმსავით თეთრი სხივების ბლონდში ხვევდა ხეების მდუმარე ლანდებს.

არზაყანს ენის მობრუნებაც ეზარებოდა, თამარის გვერდით მოარულს. თამარი ხან პატარა თათიას ახსენებდა, ხან ლუკაიას ავადმყოფობას, ხანაც არაბიას იგონებდა ალერსიანი სიტყვებით

წინმიმავალი არზაყან შესდგა ერთავად. გაიკვირვა, მხარი აგ-ვქცევიაო, ამბობდა.

უკუიქცნენ, მეორე ბილიკს წააწყდნენ ძეძვებში, ეს ბილიკიც დაჰკარგეს კვლავ.

იარეს, იარეს, იარეს...

ეუცხოვა არზაყანს ძეწნები. მთვარე ვერცხლისფრად ალაპ-ლაპებდა გალაქულ ფოთლებს ძეწნებისას. ბაყაყებმა მორიგეო-ბით ისკუპეს და წყლის უეცარ ტლაშუნზე მიხვდა არზაყან: თხრილს წასდგომოდნენ მოულოდნელად, არზაყანისთვის იო-ლი იყო აქ გადასვლა, მაგრამ თამარი?..

და არზაყანმა უკან მიბრუნება განიზრახა, ისევ ლიანდაგზე გასვლა და შორი გზით შინ მისვლა, მაგრამ რამხელა მანძილი. უნდა გაეარნათ კიდევ. ამ თხრილის გადაღმა კი ტარიელ შარვა-შიძის ხილნარი იყო, სულ ახლოს, სულ თვალწინ ხედავდნენ ტა-რიელის სახლს, თამარის ფანჯრიდან მომავალ ელექტროს სი-ნათლის ბჟუტვას და გასწვრივ მდგარ ვაშლის ხეს.

ჯერ იყო და თამარს უნდოდა ლუკაიასთვის დაეძახნა, ფიცარი რამ მოეტანა ლუკაიას, მაგრამ დაფიქრდა. მამა უთუოდ ნერვიუ-ლობდა ახლა, აივანზე იჯდომებოდა თამარის მოსვლამდის, ასე რომ, ყველაზე ადრე მამა გაიგონებდა ძახილს და უთუოდ გაუწ-ყრებოდა არზაყანთან ერთად შინ დაბრუნებულს. ამიტომაც და-დუმდა თამარი.

სხვა გზა აღარ იყო და არზაყანმა ვიწრო ყელი მოუძებნა თხრილს, გაღმა-გამოღმა გასდგა ლაჯები, თამარი ხელში აიტატა ბავშვივით, წელზე შემოხვია ხელი, შემოენთო გულზე თამარის ძუძუ-მკერდის მხურვალება. გაღმა გადაასკუპა, მაგრამ თანაც გადაჰყვა ქალს და ხელმეორედ შემოეჭდო წელზე, გაშმაგებით კოცნა დაუწყო.

არც ერთი მათგანი ამას არ მოელოდა. თამარი აილეწა, რადგანაც ვაჟის აღტყინება ელდენსავით მოედო მის სხეულს. მცირე ხანს ისე თავბრუდასხმული იყო, წინააღმდეგობის გაწევასაც ვერ მიმხვდარიყო. გონს მოსულს ბრაზი წაეკიდა.

„არზაყან, რას შვრები?“ — წამოიძახა.

არზაყანმა ნაბიჯის გადანაცვლება მოინდომა, მაგრამ თხრილიდან გადმოყრილ ბელტებს წაებლანდა, წაიფორხილა, თამარი მარდად გაუსხლტა ხელიდან. სახტად დარჩენილი არზაყან დაიბნა, მცირე ხანს შეყოყმანდა, მაგრამ წამსვე გამოუდგა გაქცეულ ქალს.

თამარი საშინელი სისწრაფით გარბოდა თეთრად დათოვლილ ატმების ხეივანში, ჰორტენზიების თეთრ ბუჩქებს შორის. არზაყან რამდენიმე ბუჩქს გადაევლო მწევრის უსწრაფესად და სწორედ ვაშლის ხესთან მიეწია თამარს და ხელმეორედ წელზე შემოაჭდო მკლავები. და ცახცახებდა აქშინებული ქალი ვაჟის მტკიცე მკლავებში მომწყვდეული.

მამას დავუძახებო, იცოდე.

არამცთუ მოხუცებულ ნახუცარს, ვნებისა და რბენისაგან გახურებული არზაყან ამ წუთში თვით სიკვდილსაც შეებმებოდა, რადგანაც უკვე გადალახული იყო ის მონური მოკრძალება, რომელიც აქამდისაც სისხლში დარჩენოდა ზვამბაიას შარვაშიძის ქალის მიმართ.

მან მხევალსავით წაავლო ხელი ამ ურჩსა და უდრეკელ თავადის ქალს (ისე, როგორც ათასგზის წაუვლიათ ხელი შარვაშიძეებს ზვამბაიას ქალებისათვის).

ვაშლის ხესთან მიიყვანა და ზედ მიეკრა თავათაც.

თამარის სხეული შედრკა ამ კუნთებმაგარი ვაჟური სხეულის წნევისა და შემოხვევის პირისპირ. იგი ისე ცახცახებდა არზაყანის

მკლავებში, როგორც ახლად აფრენილი მტრედის მართვე შავარდენის ჰანგებში.

მთლად დალეული, გაფითრებული ჩურჩულებდა იგი, უმწეოდ აღებდა ბეჭედივით ვიწრო პირს, ხმაწართმეული აძაგებდა არზაყანს, მამას დავუძახებო, ემუქრებოდა, მაგრამ ვერ კი ბედავდა ამას.

არზაყანმა ვაშლის ხეს შემოხვია ცალი ხელი, ცალითაც თამარს განზე გადაუწია თავი, ალერსიანად გადაუსვა თმებზე ხელი და აკოცა მრავალგზის. თამარი სტიროდა, ბრაზშემონთებული. არზაყანის გასაწბილებლად წარამარა მხრისთავისაკენ მიდრეკდა პირს და ასე იწმენდდა მის მიერ ნაკოცნ ტუჩებს.

იწყინა ვაჟმა, ხელი შეუშვა, და რა ხელი შეუშვა, თამარმაც იდროვა, თხრილის დაბალ ღობეზე გადაასწრო. ღობის ლიწინზე აყეფდნენ ძაღლები და ლუკაია გამოვარდა. ასტეხა ყვირილი „სისა, ჰო.. სისა, ჰო“.

არზაყანმა თვალი ჰკიდა: გაქცეულ თამარის ფეხთით რაღაცამ იელვა. მიირბინა და თამარის ოქროს ჯვარი იცნო, წითელი ლალებით და ბრილიანტებით შემკული. ძეწკვი გაწყვეტილიყო. არზაყანი ვაშლის ხეს მიეფარა, კიდევ ამოიღო ჯვარი, ათვალიერებდა, შეჰხაროდა მის ციმციმს. უფრო მეტად ის ახარებდა, თამარმა რომ დაჰკარგა იგი.

არზაყან ვაშლის ხესთან იდგა გარინდებული, ვიდრე ძაღლების გნიასი არ მიწყნარდა. სანატრელად მშვენიერი ღამე იყო. მაგრამ სავსებით ამაოდ ეჩვენა მას ეს ღამეც, ეს მთვარეც და დღევანდელი გამარჯვებაც. ასე გადაიარა თხრილი და მიყვა ბარდიან ბილიკებს რკინიგზის ლიანდაგისაკენ. მხარაქცეულსავით მიყიალობდა არზაყან, საშინელ მარტოობისაგან გულმოკუმშული და ირგვლივ გახმიანებული ბაყაყების ვიშვიში და ვასაკების კრრრრრ... კრრრრრრ... კრრრრრრ კრ... უფრო ამძაფრებდა

მის მიუსაფრობას.

* * *

არზაყანს უცნაურად მოუნდა ღვინის სმა. ინანა, ამხანაგებს რომ არ წაყვა საქეიფოდ, მაშინ ასე არ მოეშხამებოდა ეს საღამო.

ვიწრო და ბნელ შუკაში შეუხვია, ჭიშკართან ვიღაც ქალ-ვაჟი გადახვეოდა ურთიერთს, სიყვარულისაგან გაბრუებულებს არც კი გაუგონიათ არზაყანის ფეხის ხმა, კიდევ გაიარა მცირე მანძილი, შავმა კატამ გადაურბინა. არ იამა არზაყანს ამ „დაწყევლილი ცხოველის“ შეხვედრა ისედაც დანავსულ ღამეს.

შერცხვა: კომუნისტს რომ სჯეროდა ასეთი რამ. ჩალმაზი ყოველთვის დასცინოდა მას ამგვარ შემთხვევებში, ჩალმაზის ძვირფასი სახე წინ დაუდგა. ზის ახლა ჩალმაზი თავის სამუშაო ოთახში, რაიკომის საქმეებში ყურამდის ჩაფლული. ჩალმაზი უთუოდ წინ წაიწევს. იდეური, პატიოსანი, პარტიისათვის თავდადებული ჩალმაზი, ასეთი ახალგაზრდა კაცია და მას პირადი ცხოვრებაც კი არ გააჩნია, მოხუცებულ, ქვრივ დედას უვლის და მცირეწლოვან და-ძმას. მიუხედავად ამისა, დიდი ინტრიგები მიდის მის წინააღმდეგ.

საერთოდ, ჩალმაზი ჭკუის კოლოფია. არზაყანს რომ ჩალმაზის ამხანაგური რჩევა გაეზიარებინა, მას სიყვარულის საქმეებშიაც არ შეხვდებოდა ამდენი დავიდარაბა. ჩალმაზი ძაბულის უქებდა ყოველთვის.

„ფრჩხილებდაფერილი“ თავადის ქალები ჩვენთაგანს არ გამოადგებაო, ხვალ შეიძლება ჩვენს პარტიას მთელ მსოფლიოსთან მოუხდესო ომი, ასეთი ქალები რა ჩვენი საქმეაო. ახლა მათ კომუნისტებისაკენ უჭირავთო თვალი, მაგრამ ხვალ რომ რეაქციამ გაიმარჯვოს, ისევ მეფის პოლკოვნიკებსა და გენერლებზე გადაინაცვლებენო.

საერთოდ, თავადების შესახებ თავისებური აზრი ჰქონდა ჩალმაზს. მართალია, თავადობა მოისპო, მაგრამ ფსიქოლოგიური თავადობა კიდევ დარჩაო. თავადობა ზერელობის, თავქარიანობის, კუდაბზიკობის და მცონარეობის ატმოსფეროს ქმნიდაო მუდამ, თავადის ქალი სახლში არააო შესაშვები.

და მოგონებათა კონტრასტების ძალით ძაბული გაახსენდა არზაყანს და განუზომელად მოუნდა ძაბულის ნახვა. მიჰყვა არზაყან ძაბულისათვის ფიქრს და ამ ფიქრისაგან მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა ძეგლების სახელოსნომდის მიაღწია.

თავჩაქინდრული იდგნენ ფრთიანი სერაფიმები და ქერუბიმები მთვარიან ღამეში, იდუმალი ფიქრით გართულანო თითქოს.

ძაბულის ეზოში შესულს ფინია ყეფით შეუვარდა ფეხებში არზაყანს და ისე საოცრად შეკრთა, დაჯახებოდა თითქოს აფთარი, ძაბულის ოთახიდან შუქის კიანთი მოდიოდა. არ სძინავსო, გაიფიქრა და გაუხარდა.

ძაბულის ტანზე გახდა მოესწრო, მაგრამ ჯერ არ ეძინა, იწვა, წიგნს კითხულობდა სტეარინის სანთლის მილეულ შუქზე. კარის ჩაკეტვა დავიწყებოდა, ასე რომ, არზაყან ისე წაადგა თავზე, ზედწამოდგომა და ჩაცმაც ვერ მოასწრო. ოთახში მთვარის შუქიც შემოდიოდა, ასე რომ, სანთლისა და მთვარის უსუსურ სინათლეზედაც შეატყო ძაბულიმ, არზაყანს მთლად აღრეოდა სახე. ლოყები და ცხვირის კეხი სულ მთლად გასისხლიანებული ჰქონდა. როცა არზაყანმა სკამი ახლოს მიიდგა და სასთუმალთან მიუჯდა ძაბულის, ქალი აიმღვრა.

რა მოგსვლიაო? — შესძახა შეძრწუნებულმა. არზაყან სდუმდა და გარშემო იხედებოდა, თითქოს მოსდევდაო ვიღაცა და სამალავსა ზვერავსო ახლა. არზაყანმა ტახტზე მწოლარე ბალღებს შეავლო თვალი. პატარა უტას სასთუმლიდან გადმოეგდო მუწუკებიანი თავი, არსად სახეს ცოცხალის ნიშატი არ ეტყობოდა.

მიცვალებულს დამსგავსებოდა მძინარე.

უფროსს — უჩანიას საბანი გადავარდნოდა. პირაღმა იწვა, უპროპორციო ეჩვენა არზაყანს ტყირპიანი ბავშვის საოცრად გაბერილი მუცელი, თვალში მოხვდა არზაყანს უჩანიას თხელი და ლილისფერი ტუჩები. ასე ეგონა: ტალახით შემურვილი ჰქონდა ბაგენი ბედშავს. მოაგონდა არზაყანს ძაბულის ნაამბობი, რომ უჩანიას სენად ჰქონდა მიწის ჭამა.

ოთახში საოცარი სიღატაკე სუფევდა. ობისა და ნესტის სუნი უფრო აუტანელი გამხდარიყო ღამით.

და როცა არზაყანმა ისევ ძაბულისაკენ მიიბრუნა პირი, ქალმა გაუმეორა კითხვა. არზაყანმა ბლუზის საკინძე გაისწორა, რადგან საკინძე განზე მოგქცევიაო, შენიშნა ძაბულიმ. ბალიშიდან ოდნავ წამოწეულ ქალს მომნუსხველი მზერით მიაჩერდა, იამა მისი სავსე მკერდის შეხედვა.

იცრუა: ცხენი დამიფეთდა, ბარდებში გადამიყოლა და ეკლებმა სახე დამიკაწრესო.

ძაბულიმ ეს დაიჯერა, მაგრამ სახისა მისის ფერმკრთალობა მაინც გაუგებარი დარჩა.

ემუდარა: ცოტა ხანს მეორე ოთახში გადი, ავდგები, ჩავიცვამ, ვახშამს მოგიმზადებო, მაგრამ არზაყანმა არ დაანება.

ხელახლა იცრუა: ეს-ესაა სასტუმრო „ოდიშში“ ვივახშმეო ტოლებთან და სულ მალე წავალ, მერმე ისევ იკითხეო.

ახლა პირის დაბანა მოსთხოვა ძაბულიმ. თუნგი აიღე, პირი დაიბანეო. არზაყან დაემორჩილა, თუნგი მოსძებნა, ერთი პეშვი წყალი შეისხა სახეზე. მერმე სარკეში ჩაიხედა, სახე მართლაც დაკაწრული ჰქონდა, ფერნამკრთალობა გადასვლოდა.

ცივ წყალს ხალისი მოებრუნებინა რძისა და ღვინისფერ სახეზე. სავარცხელი ამოიღო, არზაყან თავს ივარცხნიდა ნელ-ნელა, თანაც ძაბულის ნაწნავებს წასწვდა მზერით, ბალიშის გადაღმა

გადაგდებულს.

„რათ გინდა, ქალო, ამხელა თმები? არა სჯობია თმები შეიკრიჭო? მე ჩემს თმებს ძლივს ვივარცხნი, არ გეზარება ამოდენა თმის ვარცხნა და ბანა?“

„დღეს თარაშ ემხვარ გვეუბნებოდა მე და თამარს, თმები არასოდეს შეიკრიჭოთო, ქალის გარყვნა თმის შეკრეჭიდან იწყებაო, ჯერ თმას შეიკრეჭავსო, მერმე პაპიროსის წევას დაიწყებს, მერმე ღვინის სმას და აქედან ყოველმხრივ გზა ხსნილიაო“.

არზაყანს არ იამა თარაშის და თამარის ხსენება.

მაინც გაეღიმა ნაძალადევად.

ახლა თავისი საბუთები მოიყვანა. თმას რა ჭკუა აქვსო, გრძელი ნაწნავები ძველ ქალებს თან უნდა გავაყოლოთო, ჩვენ თანამედროვე ქალი გვინდაო.

გარდა ამისა, უთუოდ მოგიხდებაო თმის შეკრეჭა, არწმუნებდა არზაყან ძაბულის.

ეს უთხრა და ბალიშზე გადაგდებულ ნაწნავებს გადასწვდა და ისე მოიზიდა, როგორც ბავშვობაში სჩვეოდა ეგ. ძაბულიმ საბნიდან ხელი გამოიღო და ნაწნავი ხელიდან გამოგლიჯა. არზაყანმა ამ დროს იღლიას ქვეშ მოსულ ხავსს მოჰკრა თვალი, აღელვება იგრძნო, ჩვეულებისამებრ პირი მოკუმა, ზემო ტუჩს დააბჯინა ქვედა კბილები.

უხერხულ დუმილის დასარღვევად სასთუმალიდან გადმოვარდნილი წიგნი აიღო. ამ წიგნის შინაარსის გამო დაუწყო გამოკითხვა უსაზმნოდ.

ამ წიგნში ორი ერთმანეთზე სამკვდროდ გადაკიდებული წარჩინებული გვარისშვილის ამბავიაო საშუალო საუკუნის იტალიის ცხოვრებიდან აღებული. კაპპულეტტისა და მონტეკკის გვარები მრავალი საუკუნის მანძილზე ურთიერთს მტრობდნენ, ხოცავდნენ, სწვავდნენ და ანადგურებდნენო. მერმე კაპპულეტტის ვაჟს

მონტეკკის ქალი შეჰყვარებიაო თურმე და რაკი მათი შეუღლება შეუძლებელი იყო, ერთ მთვარიან ღამეში კოშკში ჩაკეტილანო, გათენებამდის ღვინო უსვამთ, უკანასკნელი სიყვარულით დამტკბარანო და მერმე ღვინის ფიალები შხამის ფიალებით შეუცვლიათო.

არზაყანს ენიშნა ეს ამბავი. ძაბულის ნაამბობი ისე მიიჩნია, თითქოს შეუძლებელი ყოფილიყო, ასეთი რამ წიგნში რომ წერებულიყო, იჭვიც შეეპარა: არზაყანის გამოსაცდელად ხომ არ მოუგონიაო. არზაყან ნერვიულად ფურცლავდა წიგნს და მართლაც რამდენიმე ადგილას წააწყდა კაპულეტისა და მონტეკკის გვარს.

მაშ ხანგრძლივ მტრობას სიყვარულისაკენ მიჰყავს ადამიანი?

ემხვარების და შარვაშიძეების ამბავი მოაგონდა, მამისაგან მრავალგზის განაგონი. მამა იმასაც უამბობდა: ზვამბაიები და ლაკობაც კი გადაკიდებოდნენ მათ გამო ურთიერთს, რადგან ზვამბაიები ემხვარებს უზრდიდნენ შვილებს, ხოლო შარვაშიძეებს — ლაკობა. თამარ შარვაშიძე და თარაშ ემხვარ თვალწინ დაუდგა. გული აემღვრა, სახე აემრიზა. ძაბულის რომ ეს არ შეემჩნია, ფეხი ფეხზე გადაიდო, წიგნი ლამპისაკენ გასწია. წარბები მოღუშა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს დიდის ყურადღებით ათვალიერებდა ამ წიგნს. ზანტად ფურცლავდა, თანაც სულ სხვაგან ჰქროდა გონება მისი. უკვირდა არზაყანს: რა საოცარი შეხვედრა იყო!

ან ძაბულის რად ჩაუვარდა ხელში ასეთი წიგნი? ან ვის შეუთხზავს ასეთი ანდაზა, რომ იგი ზედმიწევნით მოხვედროდა არზაყანის გულს. ერთი კი დააპირა: როგორმე გამოერთმია იგი ძაბულისათვის. მერმე დაეწვა, რათა თამარს არ ჩავარდნოდა ხელში. იცოდა არზაყანმა: ხშირად წიგნში მომხდარს ბაძავენ ადამიანები, რადგან წიგნებს საშინელი ზეგავლენა აქვთო, განაგონი

ჰქონდა.

იმ წუთშივე უნდოდა გაეგო, თამარისათვის ხომ არ უჩვენებია ეს წიგნი ძაბულის? მაგრამ თავი შეიკავა და ეს ჰკითხა მხოლოდ:

„ვინ მოგცა შენ ეს წიგნი, ძაბული?“

და ეს ისე უხერხულად და ისე სერიოზულად ჩაჰკითხა, ძაბულის ეგონა, ვინმეს ხომ არ მოუპარავსო ეს წიგნი არზაყანისათვის და თავათაც შემკრთალმა ასე უპასუხა:

„ვინ მომცემდა? თამარმა მათხოვა ამას წინათ. მალე წაიკითხე, თარაშ ემხვარს უნდა ვათხოვოო“.

ენიშნა არზაყანს. ესეც ხომ ცნობილია, რომ შეყვარებულები ხანდახან წიგნების საშუალებით უცხადებენ ურთიერთს სიყვარულს და ამ წამში მზად იყო არზაყან, ეს წიგნი ნაფლეთებად ექცია, რათა მას აქ გამხელილი ამბავი თარაშ ემხვარის გულამდის არ მიეტანა. და არზაყან ზვამბაია ციებასავით აიტანა ბნელისმეტყველთა ქადაგებამ: თითქოს კარგი წიგნებიც რყვნიდნენ ახალგაზრდათა გულებს. ამ ძაბული დაპირდა, თამარს დავუბრუნებ და მერე ისევ გამოვართმევო. არზაყანმა თვალის ასახვევად, ვითომდაც მომატებული გულისყურით დაუწყო თვალიერება ამ წიგნს, ძალიან საინტერესო სჩანსო ამბობდა, ფურცლავდა და თანაც ფიქრობდა:

მაშ თუ ასეა და საუკუნეთა ულეველ მანძილებზე გაღვივებულმა სიძულვილმა სიყვარულამდის მიიყვანა ორი სამკვდროდ გადაკიდებული გვარი, განა შარვაშიძეებსა და ზვამბაიებს ისევე არა სძულდათ ერთიმეორე, როგორც კაპულეტისა და მონტეკკის, ან თუნდაც შარვაშიძეებსა და ემხვარებს? რა ვუყოთ მერმე, რომელიმე ზვამბაიას მორდუდ თუ მოიგებდნენ ძველი თავადები, ეს ხომ იმისთვის სჭიროდათ მათ, რომ სიყვარულის ძალით განემკვიდრებიათ მონური სული და მოაგონდა არზაყანს თარაშ ემ-

ხვარის ნათქვამი, არაფერი ისე არ იმონებსო, როგორც სიყვარული, სადაც სიძულვილის შუბი ვერას გააწყობს, იქ ადამიანები ხშირად სიყვარულის ქამანდას მოიშველებენო.

ძაბული თითქოს უსიტყვოდ მიუხვდა, რომ არზაყან თარაშ ემხვარს იგონებდა გუნებაში, ლოგინიდან წამოიწია, სავსებით გულუბრყვილოდ ეუბნება არზაყანს:

„თარაში ძალიან დავაჟკაცებულა, დამშვენებულაო“.

არზაყანმა წიგნი დახურა, მუხლზე დაიდო, მყისვე როყიო და მოუფიქრებელი რამ უნდა მიეხალა პირში, მაგრამ დადუმდა. დაოკებული მღელვარების გასაქარვებლად პაპიროსი პირში ჩაიდო, ასანთი გაჰკრა, არც კი ჩაუქრია ალმოდებული ღერი, ისე ეჭირა ხელში, ანუბულ ასანთს შესცქეროდა, ეუბნებოდა:

„როგორც სჩანს, მოუხიბლავხარ თარაშს, წეღან რაღაცას გეჩურჩულებოდა. სიყვარულს ხომ არ გიცხადებდა ნეტავი?“

ეს უთხრა არზაყანმა, ასანთს სული შეუბერა.

„რას ამბობ, არზაყან, ამ საღამოს ვეღარ გცნობილობ! თარაშ ბავშვობის ამბებს იგონებდა, დიას რომ მეძახდით, როცა დედაშენის, ხათუნას, როლს ვთამაშობდი“.

რად მოაგონდაო ეს ამბავი თარაშს, გაიკვირვა არზაყანმა და მასაც გაახსენდა, დიას რომ უწოდებდნენ ძაბულის. ისიც მოაგონდა, ძაბული რომ დაწვებოდა საბძელში, ძაბული არზაყანის დედა, ხათუნა იყო ვითომ, ხოლო ბავშვები — თარაშ და არზაყან. მივარდებოდნენ და ძუძუს სწოვდნენ, ძაბულის პაწია კვირტებივით ძუძუებს, ფიქალივით მკერდზე რომ ძლივს მოსჩანდნენ. ეს მოიგონა, გონების თვალით წარმოიდგინა წეღან ნანახი მკერდი მწიფე ნაყოფივით სავსე. სულ ორიოდე წუთის წინ რომ შეამჩნია, როცა საბნიდან ხელი გამოიღო ძაბულიმ.

ეს მოიგონა, საშინელი იჭვნეულობის გენია წაეკიდა არზაყანს გულზე.

„მაშ თარაშ ემხვარ ისე წაგჩვევია, რომ ძუძუებზე გელაპარაკება?“ — მიახალა არზაყანმა მკვახედ, მომნუსხველი თვალით შეაცქერდა ძაბულის.

„რა გემართება, არზაყან, რად ამბობ მაგას? ასეთი რამ არც უკადრებია თარაშ ემხვარს, თარაშმა მხოლოდ ის მოიგონა, რომ დიას მეძახდით ბავშვობაში“.

არზაყან დადუმდა, ისევ წიგნის ფურცვლა დაიწყო წარბმოღუშულმა.

აჰა, ფიქრობდა იგი: ძაბული და თარაში რომ დაიკარგნენ, ვინ იცის, ეგებ მათაც ისევე დაებნათ გზა ამ სიბნელეში, როგორც თამარსა და არზაყანს.

„მაშ თარაშს შენ არ გამოუცილებიხარ? — მცირე ხანს დადუმდა არზაყან, — რომელი გზით მოხვედით?“ — ეკითხებოდა.

„მე ვეღარ გცნობილობ, არზაყან. ვინ თქვენ? რომელი გზა? მე ბევრი გეძებეთ, ვერც თამარი ვიპოვნე, ვეღარც შენ. თარაში ცხენოსნებს წაჰყვა ენგურზე. ცხენები უნდა ვაბანაოთო, ასე ამბობდნენო, მეუბნებოდა გზაში მეზობლის ცირა“.

„მაშ თარაშ შენ არ მოგყოლია? მაგას ვერ დაგიჯერებ, ძაბული“. შერისხა იჭვიანობით გახელებულმა ძაბული.

„დედის სულს გეფიცები, მე მართალს ვამბობ“, — უთხრა ატირებულმა ქალმა. ბალიშში თავი ჩარგო და აქვითინდა. არზაყანს გული მოულბო ძაბულის ცრემლებმა. მივიდა, ლოგინზე ჩამოჯდა. თავზე გადაუსვა ხელი. შემოაბრუნა, სახე შუქისაკენ მიაქცევინა და თვალებში ჩახედა, რათა ერთხელ კიდევ დარწმუნებულიყო, რომ ძაბული მართალი იყო. ნამტირალევმა ძაბულიმ თვალი არ გაახილა საკმაოდ. ერთ წუთში თითქოს უდანაშაულოდ მოეჩვენა ძაბული, მაგრამ როგორც კი შემთხვევით გადამძვრალ საბნის ქვეშ ძაბულის გავსილ გულმკერდს თვალი ჰკიდა, ისევ შემოეგზნო იჭვის ცეცხლი.

ეგებ ამ საღამოს, — ფიქრობდა არზაყან, — სადმე ძეძვებში გადაეყვანოს თარაშ ემხვარს ძაბული, ეკოცნოს მისი ძუძუ-მკერდი და ამის გამო მოჰგონებოდეს თარაშს, რომ იგი და არზაყან დიას რომ უწოდებდნენ ძაბულის, ოდესღაც ორნივე ძუძუებზე რომ ჰკოცნიდნენ მას? — ამ ფიქრისაგან აღტყინებული თავად მივარდა ძაბულის, საბანი გადახადა მკერდიდან, ძუძუებზე კოცნა დაუწყო. ჰკოცნიდა. სავსებით მოურიდებლად ერთსა და იმავეს იმეორებდა, აგონებდა, თუ როგორ ჰკოცნიდა მის ძუძუებს პატარაობაში, დედის სულს აფიცებდა, ევედრებოდა გამომტყდარიყო ძაბული. ეთქვა მისთვის, მართლაც ხომ არ ეკოცნა მის ძუძუებზე თარაშს? არწმუნებდა: ოღონდ მართალი მითხარი და ყველაფერს გაპატიებო.

დამშვიდდიო, ევედრებოდა ძაბული, ასკეცი ფიცით უმტკიცებდა: თარაშ ემხვარ ბავშვობის შემდეგ დღემდის ახლოსაც არ მინახავსო. ხოლო მას შემდეგ, რაც ისინდში მონაწილეობის მისაღებად ცხენზე შეჯდა, არც დამლაპარაკებიაო.

არზაყან მაინც არა სცხრებოდა.

ძაბული დედას აფიცებდა, ემუდარებოდა: ბავშვები გაიღვიძებენ, მეზობლები გაიგონებენ, თავი მომეჭრებაო, მაგრამ არზაყან არა სცხრებოდა. სავსებით უაზროდ როშავდა, გაუგონარი საყვედურებით ჰკიცხავდა ძაბულის, ღალატისათვის სიკვდილით ემუქრებოდა, თანაც გამუდმებულად ჰკოცნიდა ძაბულის ტუჩებზე, ხელებზე და ძუძუებზე, ევედრებოდა:

მართალი ეთქვა მისთვის.

და როცა ძაბულიმ წინააღმდეგობის გაწევა სცადა, არზაყანის იდაყვი შანდალს მოხვდა, შანდალი ძირს დაეცა და ჩაქრა.

ალერსისაგან რეტდასხმული ქალი აიმღვრა, უსიტყვოდ მინებდა ვაჟს. არზაყანმა საბანში ხელი ჩაუყო, წელზე შემოხვია ხელები ნეტარების ჟრჟოლამორეულ ქალს და ისეთ წუთში, როცა

იგი მკერდზე მიიკრა, უნებლიედ წამოსცდა არზაყანის ტუჩებს: თამარ...

ძაბული გველნაკბენივით წამოიჭრა თამარის სახელის ხსენებისას, მეორე ოთახში გავარდა ნახევრად შიშველი და მაგრად გადარაზა კარი. არზაყან გონებაარეული წამოდგა, გაცოფებულმა ბნელსა და ნესტიან შუკას მიაშურა.

შუკაზე სრული სიჩუმე იყო. ხუხულებსავით პაწია სახლებს უშველებელ ფირუზის მუზარადად ზედ ეხურა ვარსკვლავებით მოოჭვილი ცა. არზაყანს ყოველი მხრიდან მოესმოდა კეისრულის სიმღერა. ასე ეგონა: ვიღაც უცხო ცხენოსნები უცხო, გაუგებარ სიმღერით შემოდიანო ქალაქში. ეს გრგვინვა თანდათანობით ძლიერდებოდა და ახლოვდებოდა.

ერთბაშად ცხენოსანთა ერთმა რაზმეულმა ჩამოიარა, არზაყან დაუკვირდა, ერთ-ერთის მხრებზე თავის ჩაბალახს თვალი ჰკიდა, თარაშ ემხვარ შეიცნო. ხოლო თარაშ ემხვარს არ უცვნია არზაყან. არზაყანს გული აუჩქროლდა:

მაშ ძაბული მართალი ყოფილა?! ცხადი იყო, ეს ცხენოსნები მხოლოდ ახლა ბრუნდებოდნენ ენგურის ჭალებიდან, ჯერაც არ შეშრობოდათ ფეხ-მუცელზე წყალი. მაშ თარაშ ემხვარს არც კი შეეძლო ძაბულის გაცილება და ეს ყოველივე უსაფუძვლო იჭვი ყოფილა?!

ამ ამბავმა დაუამა გულის წყლული არზაყანს. ძაბული შეეცოდა, ასე უმართებულოდ რომ ცილი დასწამა. მაგრამ იჭვიანობის გესლი მაინც რიალებდა გულის სიღრმეში.

თარაშ ემხვარ სავსებით მოქანცული იჯდა ცხენზე თვალმილულული, მთვარის სინათლეზე თავის გვერდით მიმავალ ცხენოსნების ლასლასს ამჩნევდა მხოლოდ და ეზმანებოდა, თითქოს კოლხების იმ მოისარ ჯარებს ხლებოდა, პეტრას ციხესთან რომ შემუსრეს ირანელები.

დედის ძუძუსთან წაკიდებულნი

დოღის თავკაცების და ცხენის „სპეცების“ წრეში დიდი ალიაქოთი გამოიწვია გვანჯ აფაქიძის წინადადებამ: სარბენ მანძილად, აფხაზური წესისამებრ, ოცი კილომეტრი დაენიშნათ. სხვანი მოითხოვდნენ ინგლისური დოღი გამართულიყო, ე. ი. სამი ათასი მეტრი გადაეზომათ.

აფხაზური დოღის ამბავი, შესაძლოა, მკითხველთა შორის ბევრმა არ იცოდეს. ასეთ დოღში ჟოკეი გაცილებით უფრო პასიურია, ვიდრე ინგლისურში.

აფხაზები პატარა ბიჭს შესვამენ კარგ ცხენზე, თავათ ცხენის პატრონი მეორე ცხენზე შეჯდება და როცა იგი შეამჩნევს: ცხენი იქანცებაო, ან ჟოკეის დაუდევრობის გამო ცხენი იგვიანებსო, მაშინ პატრონი თავის ცხენს გამოუდგება, გამოართმევს ლაგამს ზედმჯდომელს, თავათ კისერზე გადაიგდებს, ყიჟინით, სროლით, მათრახის ტკაცუნით, შეძახებით „გულს უხურვებს“ თავის ცხენს და ჰელოსკენ მიაქანებს.

გვანჯ აფაქიძეს, ძველი დროისადმი სიყვარულის გარდა, კიდევ ერთი რამ ამოძრავებდა: არაბიას ნახვის შემდეგ იგი შეპყრობილსავით დადიოდა. მაგრამ გვანჯ აფაქიძეზე მეტად მის სასიძოს — რაიკომის მდივანს, არლანს ჩაუვარდა გულში არაბია. გვანჯი მოწადინებული იყო, რათაც არ უნდა დასჯდომოდა, არზაყან ვინმეს დაემარცხებინა დოღში. არავინ იცოდა, გუნტერზე ვინ შეჯდებოდა, მაგრამ აქ მხედარს მნიშვნელობა არა ჰქონდა. გუნტერზე ვინმე პატარა ბიჭს შესვამდნენ, შემდეგ ძველი ოსტატი ცხენოსნობისა, გვანჯ აფაქიძე მთელს აფხაზეთში განთქმულ ჭაკზე — შამილზე შეჯდებოდა და შამილს არაერთხელ გაუბათილებია დოღში მარშანიების, შარვაშიძეების და ემხვარების ცხენები.

წინა ღამით მთელი გეგმა დაუსახა არლანს გვანჯ აფაქიძემ, უკეთუ ინგლისურის ნაცვლად აფხაზურ-ოდიშურ წესზე შეჯიბრებას შესძლებდა არლანი, ცხადია, არზაყან თავათ ვეღარ შეჯდებოდა მაშინ არაბიაზე, მას სხვა ცხენი უნდა ეშოვნა. გვანჯ აფაქიძე ეცდებოდა, გვასალიას ბიჭი შეესვა არზაყანის ცხენზე. გვასალიას ბიჭს წამს უყოფდა, არაბია უთუოდ დამარცხდებოდა; გვანჯ აფაქიძე კარგად იცნობდა თავის ძმის ყოფილ მოჯამაგირეს.

არზაყან ისეთი ჰაზარტის კაცი იყო, იგი გულს აიყრიდა არაბიაზე, გაყიდდა კიდევაც. ნანობდა გვანჯ აფაქიძე: არაბიას შეხედვამ იგი ისე მოხიბლა იმ დღეს, რომ ქებით ყური გამოუჭედა არზაყანს. მაგრამ არაბიას შესყიდვის ამბავი გვიან მოაგონდა შინ მიბრუნებულს. კაცმა რომ სთქვას, თავათ არენბა არლანმა ჩაუნერგა მას ეს აზრი გულში. იგი დალის რაიონში მუშაობდა. იქ ფორდის მანქანა უხმარი იყო, ამიტომ ჯიშიანი ცხენის ყიდვას ლამობდა არლან.

დოღის დღე დასვენებისას დაემთხვა. დადიანისეულ სასახლეში, ზუგდიდის რაიკომის მდივნის კაბინეტში თათბირი გაიმართა.

უნდა გამოერკვიათ აფხაზურ-ოდიშური დოღი გაემართათ თუ

ინგლისური? რაიკომის მდივანი თავს იკავებდა თავდაპირველად, მას არც ისე დიდ საკითხად მიაჩნდა ეს ამბავი, რომ თვითონ ჩარეულიყო. მახლობელი რაიონების მდივნები თავათ მოაგვარებენო, ასე ფიქრობდა. მართლაცდა, საოცარი რამ მოხდა: ორმა რაიკომის მდივანმა აფხაზური დოღი მოითხოვა, ორი დანარჩენიც ინგლისურს გამოესარჩლა. ცხენის ოსტატებს შორისაც გაიყო აზრი. ტფილისელი ცხენის სპეცების მეთაური ვაჩნაძე ინგლისურს მოითხოვდა, ხოლო ადგილობრივთა თავკაცი — აფხაზურ-ოდიშურს. მამა და შვილიც გათიშა ამ ამბავმა. არზაყან ინგლისურის მომხრე იყო, კაც ზვამბაია — აფხაზურისა.

შარდინ ალშიბაია თავს იკავებდა, იგი საერთოდ ასეთ აზრს ატარებდა ცხოვრებაში: უნდა ეცადო ქარის პირდაპირ არ იარო და გამარჯვებულებს მიემხრო ყოველთვის, და თუ ვერ შეატყო მხარეთა შორის რომელი გაიმარჯვებს, ხამს შეიცადო, ვიდრე რომელიმე გაიმარჯვებდეს, ბრძნული დუმილით სახე შეიბურვოო. ამიტომაც სდუმდა.

ბოლოს ზუგდიდის რაიკომის მდივანმა შამათავამ და ვაჩნაძემ გახსნეს ეგზომ დაბურდული კვანძი.

ზუგდიდის რაიკომის მდივანი ასე ასაბუთებდა თავის აზრს: ჩვენ, ბოლშევიკები, ძველ აზნაურებსავით გასართობად როდი ვმართავთო დოღს. ჩვენი მეურნეობის მექანიზირების მიუხედავად, ცხენს ჯერაც ძლიერ ფაქტორად ვთვლითო და მოწადინებული ვართო, ცხენის მოვლის კულტურა გავაუმჯობესოთ და ამ დოღის გამართვით მშრომელ ხალხს დავანახოთო, რომ მამაპაპური ცხენოსნობისა და ცხენის მოვლის წესები უნდა უკუვაგდოთ და ახალი სისტემით გავაუმჯობესოთ ცხენის ჯიშები და მათი მოვლაც ახალ ნიადაგზე შევაყენოთო.

ვაჩნაძემ კატეგორიულად განაცხადა: აფხაზურ-ოდიშური ძვე-

ლებური დოღი წარსულის ველურული ნაშთიაო. ოცი ვერსის მანძილზე ცხენის ჭენება დიდი დანაშაულიაო და თუ ძველებური დოღი გაიმართა, მე ვერც ერთ წმინდა სისხლის ცხენს, ვერც ნარევს დოღში ვერ გავუშვებო, გარდა ამისა, ტფილისიდანაც ასეთი დირექტივა მაქვსო.

მაშინ ალშიბაიამ აიღო სიტყვა. ძალიან ჭკვიანად, მოხერხებულად დაიწყო ლაპარაკი. იგი დაეთანხმა რაიკომის მდივანს, რომ ძველი ცხენოსნობა მოკვდა, ახალ ლიანდაგზე გადაგვყავსო მთელი მეურნეობა, მაგრამ მას არც აფხაზების მომდურება უნდოდა, არც ტფილისიდან ჩამოსული ცხენოსნებისა და წინადადება შეიტანა, ინგლისური დოღი გაემართათ, სარბენ მანძილად, წესისამებრ, 3 000 მეტრი გადავზომოთო, ხოლო აფხაზებსა და ოდიშარებს, რომელნიც დოღში მონაწილეობის მისაღებად ჩამოსულან, ამ წელს ნება მივცეთ აფხაზური წესით მოუარონო თავის ცხენებს. და მართლაც, დოღის დაწყების საათი ისე მიწურული იყო, რომ ინგლისური დოღის მომხრეებმა თავი არ გამოიდვეს და ასეთმა ნარევმა აფხაზურ-ინგლისურმა წესმა გაიმარჯვა. ვაჩნაძე არც ამით დაკმაყოფილდა, მაგრამ დუმილი არჩია.

როცა დოღის თავკაცები დადიანისეულ სასახლიდან გამოვიდნენ, უკვე ყოველივე მზად იყო. ზუგდიდის ერთადერთი პროსპექტი ხალხით გავსილიყო. შარდინ ალშიბაიამ წინასწარ იცოდა ზუგდიდის რაიკომის მდივნის აზრი, ამიტომ თათბირის დაწყებამდის გაცემული ჰქონდა განკარგულება, ჭადრების ხეივნის გაღმა-გამოღმა 3 000 მეტრის სიგრძეზე თოკებით გადაეტიხრათ ქუჩა, ასე რომ, მთელს პროსპექტზე აღკვეთილი იყო მოძრაობა, ხალხი მხოლოდ ფილაქანებზე მიმოდიოდა და ფილაქანების გაყოლებით ბაწარი გაებათ. ჰელოდ-ფინიშად დანიშნული იყო ზუგდიდის თეატრის მოედანი. ასე რომ, ცხენოსნებსა და ცხენების პატრონებს მოედანზე მოეყარათ თავი.

* * *

გვანჯ აფაქიძე სასტიკად დამარცხდა, მაგრამ იგი ისეთი ნაჭედობის კაცი იყო, ასე იოლად არ შედრკებოდა. სასახლიდან გამოსულმა მყისვე მოისაზრა: თარაშ ემხვარ შეესვა გუნტერზე, მას ურყევად სწამდა თავადის უპირატესობა გლეხის წინაშე და გუშინდელმა შეჯიბრებამ დაარწმუნა იგი, რომ თარაში თუ გუნტერზე შეჯდებოდა, უთუოდ დაამარცხებდა არაბიას და მის პატრონს.

თარაში უწინარეს ყოვლისა აფხაზიაო, მერმე ემხვარი, გარდა ამისა, ევროპელისა და სპორტსმენის სული უდგასო, ფიქრობდა გვანჯ. დარწმუნებული იყო: განათლებული თარაშ ემხვარ არ იუკადრისებდა დოღში მონაწილეობის მიღებას და განსაკუთრებით თავს გამოიდებდა, რომ ემხვარების ძველი გვარის ნაშთებს კიდევ ერთხელ, ახალ დროშიაც დაემარცხებინა წინაპრების თვისის „აშინაყმა“ ამ დოღში.

და აგრე ფიქრობდა გვანჯ აფაქიძე, რადგანაც იგი საკმაოდ არ იცნობდა თარაშ ემხვარს და არც ის იცოდა, რომ თარაშ ემხვარ ამ საქმეს თამაშის თვალსაზრისიდან უცქეროდა, ხოლო თავის დიდგვაროვნობას ისე განიცდიდა, როგორც წინაპრების მიერ დაკისრებულს დაუმსახურებელ სასჯელსა და ცოდვას.

გარდა ამისა, დილით ადრე ქალაქში მიმავალ თამარს ელაპარაკა გვანჯ. თამარი ფრიად დაინტერესებული იყო: ვინ გაიმარჯვებდა დღევანდელ დოღში? ახლა სასახლისაკენ მომავალ თარაშს, თამარსა და კაროლინას თვალი ჰკიდა, მყისვე მიეჭრა.

თავაზიანობაში გამოწვრთნილმა ნათავადარმა ჯერ ნახუცარი მოიკითხა დიდი პატივით, ორიოდე კომპლიმენტი უთხრა კაროლინას თავის ახალი კაბის გამო, რადგან იცოდა, კაროლინას ეს ძალიან მოსწონდა და თავადურ პირფერობას ჩვეული იყო. თავათ კაროლინაც აგრე მსჯელობდა: ადამიანმა საამური ტყუილიც

რომ პირში მითხრას, უხეშ სიმართლეს ისა სჯობიაო. გვანჯ აფაქიძემ შეახსენა ქალებს, რომ ისინი დოღის შემდეგ უთუოდ უნდა წამოსულიყვნენ მისი ქალის ქორწილში. ბაბუა ტარიელისაგან ნებართვა აღებული მაქვსო. თქვენი მეგობრები: ძაბული, არზაყანი და თარაში უთუოდ წამოიყვანეთო, სთხოვდა.

შემდეგ ამისა, თარაშ ემხვარს მიუბრუნდა: „თარაშ, გუნტერზე უნდა შეჯდე, მახარია“.

„გუნტერზე? მე რომელი ცხენოსანი მნახეთ?“ — ეუბნება თარაშ დარცხვენილად.

„ემხვარი ხომ ხარ?“

„როგორ თუ ემხვარი? განა მარტო ემხვარობა კმარა?“

„როგორ შეიძლება ემხვარი ცხენოსანი არ იყოს?“

„კი, მაგრამ, თუ მას ცხენოსნობა არ უსწავლია?“

„ერთი მითხარი, — ეუბნებოდა შაქარბაგიანი გვანჯ აფაქიძე თარაშ ემხვარს, — ვინ ასწავლა არწივს, მახარია, ლაჟვარდში ფრენა, ან ვის უნახავს, ორაგულს ცურვის გაკვეთილებს რომ აძლევდნენ?“

და ამ სიტყვებს ისე ნელა ამბობდა გვანჯ აფაქიძე, კაროლინაც კი მიხვდა და გადაიკისკისა.

„თუ გიყვარდე, თარაშ, მამის სულს გაფიცებ, ერამხუტის, ბიძაშენის სულს გაფიცებ, ნუ იუკადრისებ, ამ ჩემს ჭაღარას ეცი პატი. და დღეს მონაწილეობა მიიღეო დოღში“. ეს უთხრა და ჭაღარაზე ჩამოისვა გრძელი თითები. თანაც თამარს გადახედა, თითქოს უსიტყვოდ ევედრებოდა: რამე უთხარი ან უბრალოდ უბრძანეო. თამარი მიუხვდა ბერიკაცს.

„ძია გვანჯ, მამის სულს გეფიცები, მე ამპარტავნობით არ მომდის, ცხენი ძალიან მიყვარს. ხშირად უკანასკნელი ფული ცხენის საქირავებლად დამიხარჯავს ევროპაში, მაგრამ ისეთი ცხენოსა-

ნიც არა ვარ, საუკეთესო მოჯირითეებს რომ შევეჯიბრო, საერთოდ მე ასე ვმსჯელობთ: არსად მონაწილეობა არ უნდა მიიღო კარგმა ვაჟკაცმა, სადაც დიდი ცოდნა არა გაქვს და დარწმუნებულიც არა ხარ, რომ პირველობას მოიხვეჭ“.

„რატომ? არზაყანი საუკეთესო მოჯირითეა, გუშინ არზაყანს გაუსწორდი შენ. რა ვუყოთ, რომ ნაბადში გაჯობა, ნაბადზე არ გივარჯიშნია. გარდა ამისა, გუნტერი ევროპულ საჯინიბოშია გაზრდილი და ამიტომ ვერ შესძელი. არაბია?.. არაბიაზე ხშირად ზის ის ჭინკა კაც ზვამბაია და იმან ასწავლა, მახარია, ჩვენებური წესები არაბიას“.

თარაშ ემხვარი ისევ უარზე იდგა. ახლა კაროლინა ჩაერია საქმეში:

„თუ დაგამარცხებენ, მერე რა? ერთბაშად დოქტორის ხარისხი არ ჩამოგართვან, ახალგაზრდა კაცი ხართ, თქვენც ხომ არ გინდათ იმ ინტელიგენტებს დაემსგავსოთ, ერთი ადლის სიმაღლეზე რომ ვერ გადახტებიან და ამას თავიანთი მოუხეშაობით როდი ხსნიან, არამედ სიდარბაისლით“.

„არა, კეთილო ფრაუ, — ეუბნება თარაშ, — ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მე დღეს სასპორტო კოსტიუმიც კი არ მაცვია, სად გაგონილა, გრძელშარვლიანი კაცი რომ ცხენზე მჯდარიყოს? აწი მე რომ შინ წავალ და გადავიცვამ, ამასობაში დოღიც გათავდება“.

„შენ მაგას ნუ სწუხარ, — ჩამოართვა სიტყვა გვანჯ აფაქიძემ, — მე ახლავე გავაგზავნი ბიჭს, ჩემი უფროსი ვაჟი სწორედ შენი ტანისაა, მაგის ჩოხას მოვატანინებ. აგერ სასტუმრო „ოდიშში“ შევიდეთ, ხელად გადაიცვამ“.

„კარგია, მართლაც, ერთი ვნახოთ, ჩოხა როგორ დაგშვენდებათ“, — უთხრა კაროლინამ თარაშს, თანაც თამარს გადახედა. თამარმა გაიგო, სახე გაუბრწყინდა, არც კი უთხრა თავის რძალს,

რომ მას ძლიერ, ძლიერ აინტერესებდა, თუ როგორ დაშვენდებოდა ჩოხა თარაშ ემხვარს, თარაში მიხვდა, თამარს რომ აინტერესებდა ეგ და თავმოდრეკილად შეხედა გვანჯ აფაქიძეს.

კარგიო, ჩაილუღლუღა.

„მაშ ასე, — ეუბნება გახარებული გვანჯ აფაქიძე თარაშ ემხვარს, ათ წუთში „ოდიშში“ მოდი, მხოლოდ გახსოვდეს, მახარია, ჭენების დროს ჩოხის კალთები უკან შეიკეცე, არ გამოგივარდეს, თორემ დაგცინებენ“.

„კარგი, კარგი, ძია გვანჯ“, — მიაძახა თარაშმა და თამარს გაუყარა ხელი.

* * *

პროსპექტზე მოზღვავებული ხალხი მოუთმენლად ზიმზიმებდა:

გოგო-ბიჭები სახლების სახურავებზე ვეღარ დატეულიყვნენ, ტელეგრაფის ბოძებსა და ჭადრებზე გადასულნი.

ადრიან გაზაფხულის უბადლო დილა იყო.

ჩვენი მეგობრები ჯერაც დადიანისეულ სასახლის ბაღში მოსეირნობდნენ. ლიმონისფერი პეპლები დაფარფატებდნენ ბისონის ცის ქვეშ. ჰაერი ისეთი მსუბუქი იყო, როგორც უხრწნელი ქალწულის სიზმარი. თამარი და თარაში დამტკბარნი მოდიოდნენ ერთმანეთის გვერდით. თარაშ ემხვარ პაპიროსს აბოლებდა, ენერგიული ნაბიჯით მიჰყვებოდა ბაღის ბილიკს წელგამართული. ფრთხილად, თავაზიანად ხან თამარის ნამრუდისფერ თვალებში ჩაიხედავდა, ხანაც კაროლინას თაფლისფერ თვალებს შეავლებდა მზერას.

ერთი გაზაფხულსა ჰგავდა ვარდობის თვეში კარზე მომდგარს, როცა მზით აღვსილ ქვეყანას აღმოსავლური საპფირონის ცა დაჰქათქათებს, ხოლო მეორე ზაფხულს ხვავრიელს, როცა

მოოქროვილი ატმები კიანთობენ ხილნარში და ღამეებიც ისეთი მრუმეა, როგორც ძალით გათხოვილი ქალის ხვაშიადი.

თამარს მოლიბრო აბრეშუმი ეცვა, ვარსკვლავის დარად წვრილად დაწინწკლული და ამ თეთრ წინწკლებში მოყვითანო ფერი ერია, თითქოს განგებისად ოქროს წამალი უსხურებიაო მხატვარს. სპილენძისფერი ორმაგი ნაწნავი თეძოსთავამდის სწვდებოდა. ამ კაროლინას კრეპდეშინის კაბა ეცვა, წვივებთან ლაღად შემოქუბული, მკერდისა და თეძოების სისავსეს ხაზს უსვამდა ტანზე შემოტმასნული სამოსი. იგი უქუდოდ გამოსულიყო, ბიჭურად შეკრეჭილი თმა გამდნარ ოქროსფერს გადაიკრავდა ოდნავ.

თარაში დოღისა და ცხენის ამბების გამო ესაუბრებოდა ქალებს. ძველი საქართველოს ცხენოსნობას იგონებდა. ღიმილით უამბობდა, თუ როგორ ეახლა მას ჟამსა შინა ფარსმან — იბერიის მეფე, ჰადრიანეს — რომის კეისარს. მერმე როგორ შეაწირვინა კეისარმა ფარსმან იბერიელს კაპიტოლიუმზე მსხვერპლი, მარსის მოედანზე მისი ცხენოსანი ქანდაკივით ააგებინა და უცქერო-დაო თურმე კეისარი ფარსმან იბერიელის, ვაჟის მისის და იბერიელ დიდებულთა ჯირითს მარსის მოედანზე.

ესეც დასძინა თარაშ ემხვარმა: ბერძნულ ტექსტში ასეაო ნათქვამი: „გიმნასიან ენ ჰოპლოის“.

* * *

დიდხანს გაგრძელდა სასტუმრო „ოდიშში“ ტანისამოსის გამოცვლა. გვანჯ აფაქიძეს თავისი ვაჟის ჩოხა-ახალოხი მოეტანა, მაგრამ ჩოხა თარაშის ტანისათვის ზედმიწევნით გამოჭრილი არ იყო. მას ბავშვობის შემდეგ ჩოხა არ ცმოდა, ამიტომ ნახევარი საათი ისე გავიდა, ჯერ კიდევ საკინძე ვერ შეეკრა. დიდის ჭაპან-

წყვეტით ყელამდის შეიბნია ღილები. ეჩქარებოდა, რადგან დამები დერეფანში იცდიდნენ, ვიდრე შარვალს ჩაიცვამდა, ხვანჯარს და ახალოხის ღილებს მკერდზე მაინც შეიკრავდა.

გვანჯმაც ვეღარ მოითმინა და დამებიც შემოიყვანა. კაროლინა ჩვეულებრივად კისკისებდა.

„ჰერრ ემხვარ, დამაცათ მოვიგონო, ვის ჰგავხართ?“. მაგრამ ვერავინ მოიგონა კაროლინამ თარაშის დარი.

ეს ღილები, — ეუბნებოდა თარაშ ემხვარ კაროლინას, — რელიგიური მედიტაციისათვის შეუქმნიათო. ალბათ მორწმუნე კაცი თითო ღილის შებნევისას თითო ლოცვას ამბობდაო.

თამარი თვალგაბრწყინებული შესცქეროდა. დაინტერესებული იყო: ჩოხას როდის გადაიცვამდა თარაში. ბიჭს ბატის ფრთის მოტანა დავიწყებოდა, არ იქნა და ვერ შეიბნია თარაშმა საყელო.

თამარი მივიდა, ბევრი ეწვალა. თარაშს სიამოვნებდა, თამარის ხელის ზურგი რომ ეხებოდა ნიკაპზე, მაგრამ მალე გამოტყდა თამარი: ამას ეშმაკიც ვერ შეგიბნევსო. ახლა გვანჯ აფაქიძე ეწვალა, ვერას გახდა.

„მოდი, მე ვსინჯო“, — წამოიძახა კაროლინამ, მაგრამ უკუიქცა, მან საერთოდ უნუგეშო საქმედ ჩასთვალა ამგვარად ღილების შებნევა. ახლა კი ვხედავ, როგორი დიდი მოთმინების პატრონი ყოფილანო აფხაზები და მეგრელები, ყოველ დილას 32 ამგვარ ღილს ვინც იბნევსო, — ამბობდა კაროლინა.

გვანჯ აფაქიძე ბატის ფრთის საძებრად წავიდა რესტორანში, ეგებ ჩოხიან მებუფეტეს ექნესო ბატის ფრთა.

თარაში სარკესთან მიდგა, მაგრამ ამაოდ ეწვალა.

საერთოდ, ღილების შებნევისა და კვანძის გამოსკვნის დროს ვინც იჩქარებს, იგი უთუოდ დაიგვიანებს, ამიტომაც ამაოდ დაშვრა თარაში. მას ცალკერძ დოღზე ეჩქარებოდა, ცალკერძ დამე-

ბის ერიდებოდა, ხელი უცახცახებდა და ამიტომ ვერ იბნევდა ღილებს. თავათ კი ამას ვერ ამჩნევდა, რადგან მას დავიწყნოდა დროული კაცების ნაცადი სიბრძნე: როცა რაიმე გეჩქარება, სწორედ მაშინ არ უნდა იჩქაროვო, რომ ამბობენ. ამ ღილების შებნევამ დაარწმუნა იგი, თუ როგორ გაეფუჭებინა მისი ნერვები უკანასკნელი წლების მღელვარებას.

ბოლოს აქლოშინებულმა გვანჯ აფაქიძემაც მოაღწია, ბატის ფრთა მოიტანა და, როგორც იქნა, საყელო შეიბნია თარაშ ემხვარმა, მაგრამ ახლა სახელოების ჯერი მიდგა. გაუყრიდა ბატის ფრთას დედალ ღილს, მერმე მამალის საძებრად დაიწყებდა ფათურს და მამალი ღილი სწორედ ისევე გაურბოდა დედალ ღილს, როგორც პირუკმოდ ხდება ხოლმე ბუნებაში. ე. ი. როგორც ყოველი დედალი გაურბის ხოლმე მამალს, სწორედ ისეთ მომენტში, როცა მამალს დედალთან სწყურია შეყრა. გვანჯ აფაქიძეს ეკავა თარაშის მარჯვენა, თამარი და კაროლინა იცინოდნენ, წამოიღებდა ისევ დედალ ღილში გარჭობილ ბატის ფრთას თარაშ ემხვარ, გვანჯ აფაქიძე აუკრავდა ხელს და სწორედ მაშინ დააცილებდა თარაში ბატის ფრთას დედალ ღილს.

კაროლინამ სამაჯე საათს დახედა, პირველის 15-იაო, წაიბუტბუტა. თარაშმა უარი განაცხადა, თქვენ მიბრძანდით და ტანზე გავიხდიო, მაგრამ თამარი და კაროლინა გაჯიუტდნენ: არა, უთუოდ უნდა ჩაიცვაო.

„დამშვიდდი, თარაშ, დოღი პირველ საათამდის არ დაიწყება, უჩემოდ არამც და არამც არ დაიწყებენ“.

აშოშმინებდა გვანჯ აფაქიძე.

„აბა ნუ მიყურებთ, რადგან შეხედვა ისედაც დანავსულ ნებისყოფას აჩლუნგებსო“, — მიმართა თარაშმა ღიმილით დამებს, ქალებმა გაიცინეს და აივანზე გავიდნენ.

როგორც იყო, ღილები შეიბნია თარაშმა. ახლა მეორე რიტუალი დაიწყო: აზიური წაღების ჩაცმა, მაგრამ აფაქიძის ვაჟს თარაშზე უფრო სხვილი ფეხები ჰქონოდა, ასე რომ, წაღები იოლად ჩაიცვა თარაშმა. როცა ქალები ისევ დაბრუნდნენ, თარაში ჩაცმული იყო, თამარი და კაროლინა თვალებგაბრწყინებული შესცქეროდნენ თარაშს.

„ზედმიწევნით ჰგავხარო ერამხუტს“, — შენიშნა თამარმა. თარაშმა სარკეში ჩაიხედა და თავათაც დარწმუნდა: იგი ისევე ჰგავდა ერამხუტს ამ ჩოხაში, თითქოს მისი ორეული ყოფილიყო. და თარაშ ემხვარ განუზომელად ბედნიერი იყო ამ წუთში, რომ იგი ერამხუტს ჰგავდა, რადგან თამარისაგან არაერთგზის სმენია: ერამხუტ ემხვარის დარად ლამაზი ვაჟკაცი აროდეს მინახავსო. გარდა ამისა, თარაშს სწამდა, რომ ადამიანის სული ელასტიურია, რომ ადვილად შესაძლოა წლების მანძილზე იგი სხეულითაც იმას დაემსგავსოს, ვინც მას უყვარს. ისიც სჯეროდა თარაშ ემხვარს, ჩვენი სხეული მხოლოდ და მხოლოდ სულის ჩვენის განცხადება იყოს თითქოს და სხვა არაფერი. და როცა ხელახლა მიუახლოვდა თარაში კედლის სარკეს, მან ერამხუტის სახე და აღნაგობა მოიგონა უცნობი ფრანგი მხატვარის მიერ ეგზომ ოსტატურად შესრულებული. ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს მის სხეულში ერამხუტ ემხვარის სული გადასახლებულიყოს. საოცრად ეუცხოვა თარაშ ემხვარს თავისი თავი ამ ახალ ტანისამოსში და მაშინ იგრძნო მან, თუ რა ძლიერი ზეგავლენა აქვთ იმ საგნებს, რომელნიც სხეულის ჩვენის გარშემო იმყოფებიან. მოსცილდა სარკეს და ოთახში გაიარ-გამოიარა, შეიცნო: ნათხოვარ ტანისამოსსავით შემოეცალა არა მარტო პარიზში შეკერილი კოსტიუმი, არამედ მთელი მისი ბუნება, რომელიც ერთი საათის წინათ მის სხეულში შეხიზნულიყო.

ახლა იგი უკვე მზად იყო დიდის ხალისით შემჯდარიყო გუნტერზე და მთელ ქვეყანას შებმოდა დოღში. ეუცხოვა მას საკუთარი სული. სიარულიც სულ სხვაგვარი დაიწყო. მოკლე, მხედრული ნაბიჯით მიდიოდა, იცინოდა, ხუმრობდა, გულის სიღრმეში იგონებდა თავის ბავშვობას, როცა ჩოხა პირველად ჩაიცვა და ჩალის ნაღერალაზე გადამჯდარს ერამხუტად მოჰქონდა თავი და ასე ეგონა: შამილის ჰაზავატში ჩერქეზებს, ლეკებს და ჩეჩნებს ვეხმარებიო აურუსების პირსისხლიან მეფის წინააღმდეგ.

გვანჯ აფაქიძე აღტაცებული მიუახლოვდა თარაშს. გაუხსნა ფომფოდ შემორტყმული ქამარი, ისე მაგრად მოუჭირა წელზე, როგორც ღრანტებში საჭენებ ცხენს მოუჭერენ ხოლმე მოსართავს. მაგიდაზე დაგდებულ ქაღალდს მოსწიწკნა მცირეოდენი, დაუნერწყვა და ქამარის მანიკთან გაჰხირა. ახალოხის საყელო აუწია, ფეში გაუსწორა მკერდზე. შემდეგ ძირს დაიხარა, ფეშის მისაკეთებელი ჩამოუზიდა.

შემოაბრუნა: ბედანი ჩამოჩაჩული გქონიაო, ჩაიბუტბუტა.

„ბედანი რაღაა, ძია გვანჯ?“

„ბედანი ჩოხის ნაწილია, უკანა ბეჭიდან წელამდის“. ყურები გაუსწორა ჩოხას. შემოატრიალა. მხარზე ხელი დაჰკრა. ნამდვილი ემხვარი ახლა ხარო!

მრუმე და ბუნდოვანი ფიქრები შემოესია თარაშის გულს ერამხუტის მოგონებისას. იგი ქალებს სრულიად ვეღარ ამჩნევდა და როცა სასტუმრო „ოდიშის“ კიბეზე ჩამოდიოდა, თარაშს მართლაც ეგონა, მის ნაცვლად მკვდრეთით აღმდგარი ერამხუტ ემხვარი ჩამოდიოდა თითქოს კიბეზე, ისევე სერიოზული და დაღვრემილი, როგორც იმ წამში, როცა მან 32 ღილი შეიბნია და ოლქის უფროსს თან გაჰყვა სიკვდილთან ვაჟკაცურად შესაყრელად.

თარაშ ემხვარს გუნტერი მოჰგვარა გვანჯ აფაქიძემ, თავათ თეატრის ტერასს მიაშურა. არზაყან არაბიაზე შემჯდარიყო. კაც

ზვამბაიას თავის ცირაზე ტანმორჩილი გვასალიას ბიჭი შეესვა, თავათ მაჩაგვა ეშბას ცხენი აეყვანა.

კაც ზვამბაია თავიდანვე დოღში მონაწილეობის მიღებას არ აპირებდა. დარწმუნებული იყო: არზაყან მის გვარს არ შეარცხვენდა. გუშინდელმა ჯირითმა და გერულაფამ იგი დაარწმუნა, არზაყან უთუოდ აიღებდა პირველ პრიზს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, მას განზრახული ჰქონდა: უკეთუ შეატყობდა, რომ არზაყან პირველს ვერ აიღებდა, მაშინ იგი ენერგიულად ჩაერეოდა და თავათ შეეჯიბრებოდა იმას, ვინც ზვამბაიას გასწრებას მოინდომებდა. მას გუმანი არა ჰქონდა, თარაშ ემხვარ მონაწილეობას თუ მიიღებდა.

„გახსოვდეს: ცხენი არ უნდა აწვალო აღვირით, ბაბა“.

აფხაზურ დოღში გამოწრთობილი კაც ზვამბაია დარწმუნებული იყო, რომ ცხენოსანი ცხენზე მეტს მოასწავებდა, ამიტომაც არ ღელავდა და ჩვეულებისამებრ არ გესლავდა არზაყანს.

„სადავე მოკლედ გეჭიროს, მაგრამ ისე, ლაშები რომ არ ატკინო, ბაბა, ტანი ცხენის კისრისაკენ უნდა გექნეს გადახრილი, ხოლო ბაყვებში მაგრად გეჭიროს ტანი, ფეხი კოჭებამდის უნდა უჭერდეს ცხენის მუცელს, ბაბა“.

დიდი ხანია ასეთი ტკბილსიტყვაობა არა სმენოდა მამის პირისაგან არზაყანს.

დოღის დაწყებისას არზაყანიც მოლბა. არზაყან თამარსაც გაურბოდა და ძაბულისაც, ამიტომაც ძლიერ გაუხარდა, როცა თეატრის ტერასთან მარტოკა მდგარ თარაშ ემხვარს თვალი მოჰკრა. იგი თავათ მივიდა თარაშთან. თვალებგაბრწყინებული შესცქეროდა ჩოხაში მორთულს.

„გახსოვს, გუჩა, ბავშვებს ჩოხები რომ შეგვიკერა მამაშენმა და ვირზე ვიჯექით მე და შენ?“

თარაშ ემხვარს გული აუჩქროლდა. მას დიდი ხანია არზაყანისაგან ასეთი ტკბილი მიმართვა არა სმენოდა და არც ბავშვობის თვისის სახელი: გუჩა. და თარაშს, როგორც ყოველ ოდიშარსა და აფხაზს, რამდენიმე სახელი ჰქონდა თარაშის გარდა. გუჩას ეძახდა მორდუ და ძიძა, დედა და მამა გულიკოს უძახოდნენ, ხოლო მამიდა არმადარ ფარჯანიანისა — მისოუსტს.

„ვირებზე ვისხედითო?“ — თარაშმა გულიანად გადაიხარხარა.

„იმ ვირს ნიკოლაშას არ ვეძახდით? მამაშენის დენშიკის სახელს? ჩოხა ძალიან გშვენის, თარაშ, სოფელში მეცა მაქვს ჩოხა, მაგრამ მე ახლა ვეღარ ვიგუებ ამ ტანისამოსს“.

„რატომ მერმე?“

„რატომ და, მე ხომ თეძოსთავთან ტყვია მაქვს, ჩიპრიშის ტყეში ყაჩაღებს რომ ვსდევდით, ორი ტყვია მომხვდა: ერთმა თეძოსთავის ზემოთ გამიარა, მეორემ ნეკნი დამიმსხვრია და გავიდა, ამის შემდეგ მივატოვე ჩოხის ტარება“.

„ახლა არ გტკივა?“

„ამას წინათ ენგურში რომ გავედით, ისევე განმიახლდა ტკივილები“.

როცა ჩვენი მეგობრები ამ საუბრით იყვნენ გართული, შარდინ ალშიბაია ნაციებსავით ათუხთუხებული დარბოდა ბრბოში, წესრიგს ამყარებდა, ბიჭებს უშლიდა ფილაქნების გასწვრივ გაბმულ თოკებზე გადახტომას, ჭადრების შტოების მტვრევას და ყოველ ასეთ წვრილმანს ზუგდიდის რაიკომის მდივნის სურვილებს უთანხმებდა.

გვანჯ აფაქიძე თამარისა და კაროლინას გვერდით იდგა. საჭირო განმარტებებს იძლეოდა, ერთგვარ ჩიჩერონეს როლს ასრულებდა.. უმთავრესად ეს უნდოდა: როგორმე ქალაქში დარხეული ხმები შეემოწმებინა. მისი ნათლული თამარი მართლა თუ ისე

გაბრიყვებულაო, რომ ემხვარების „აშინაყმას“ ზვამბაიას ცოლად მიჰყვებაო. მართალია, ამ ჭორებში ორგვარი ვერსია იყო: ერთნი ამბობდნენ: თარაშ ემხვარს მიჰყვებაო თამარი, ხოლო მეორენი ამტკიცებდნენ: არზაყან დიდ პოსტზე მიჰყავთო ტფილისში და წინასწარ თამარ შარვაშიძე დაუნიშნიაო.

გვანჯ აფაქიძემ ასეთ ხერხს მიმართა: ერთი ნეშოთი ორი ბუზის მოკვლა მოინდომა. ჯერ თარაშ ემხვარის ქებას მოჰყვა. თამარ გამოცდილი იყო ამ შემთხვევაში. თარაშ ემხვარს ხშირად უქებდნენ და უძაგებდნენ და ამგვარად ეწადათ თარაშისადმი დამოკიდებულება გამოერკვიათ.

„კარგი ბიჭია თარაში, მაგრამ ესაა, ემხვარია“.

„მერმე რა, ემხვარი რომაა?“ — წამოსცდა თამარს.

„შენ არ იცი, ემხვარი და შარვაშიძე რომ მუდმივი მტრები იყვნენ“.

„ეს როდის იყო?... გარდა ამისა, ამას რა მნიშვნელობა აქვს, მე სავსებით უბრალო, მეგობრული დამოკიდებულება მაქვს თარაშთან“.

„მე რას მატყუებ, დაბეჯითებით ამბობენ...

განაგრძო გვანჯ აფაქიძემ.

თარაში კარგი ვაჟია, მაგრამ კომუნისტები მას არ გაახარებენ, თუ მამიდა არმადარს ოქროები არა აქვს მართლაც შემონახული“.

თამარი სდუმდა, ცხენებისაკენ იხედებოდა.

გვანჯმა ნიკაპზე ხელი წაავლო თავის ნათლულს. თვალებში ჩაჰხედა:

„ასე ამბობენ, მახარია, არზაყანის დანიშნულიაო“.

ეს უთხრა და ახლოს მიიზიდა თამარი, მარჯვენა მკლავზე წაავლო მარცხენა.

„თავი არ მოგვჭრა, გოგო, მთლად არ წაუმწარო ბედშავ მამა-შენს ისედაც გაძაღლებული სიცოცხლე. ჩემი საქმე სხვა იყო, ოჯახი თავზე მენგრევა, მერმე არლანი დიდი კაცია, რაიკომის მდივანია, ბევრი ვებრძოლე ჩემს ქალს, სახლიდან გავაგდე ერთ-ორჯერ. მაგრამ საწინდარი მიცემული ჰქონია, ხომ იცი, აფხაზები არ შეგარჩენენ. მთელი არლანების გვარი ფეხზე დადგა. სხვა დრო იყოს, გაგიხარია, არლანები ირიბად შეხედვასაც ვერ გა-უბედავდნენ ჩემს ქალიშვილს. ახლა მე უკვე ძველ ჯანზე აღარა ვარ, გამტეხეს, ბაბა, ი ძაღლთაპირებმა“.

ისევ არზაყანს გადასწვდა გვანჯ აფაქიძე. აძაგებდა სიან-ჩხლეს, სიხარბეს და სულწასულობას მისას.

თავხედიაო, აბეზარი და ფრიად თავმოთნე. ასეთი კაცი საში-შიაო, რადგან თავმოყვარეობას თვისას მთელს ქვეყანას ანაცვა-ლებსო. მის კომუნისტობასაც წასწვდა, მალე ლოთობისა და დარდიმანდობის გამო სამსახურიდან გააგდებენო. რამდენიმე შენიშვნა მიღებული აქვსო პარტიისაგან, დღეს თუ ხვალ მის მფარველ ჩალმაზსაც მოხსნიანო, იგი ჩალმაზის კაციაო, ჩალმა-ზი კიდევ სხვისი კაციაო და კაცის კაცი რაღა იქნებაო.

თამარს არ ესიამოვნა არზაყანის ეგზომი ძაგების მოსმენა. იგი გულის სიღმეში დარწმუნებული იყო, ნათლიამისი ფრიად ამ-ლაშებდა, მაგრამ თავს იკავებდა. ბუნებრივი თავაზიანობის თვი-სის წყალობით მოხუცებულ გვანჯ აფაქიძეს ვეღარ აუკრძალა არ-ზაყანის ძაგება, არწმუნებდა ნათლიას, არც თარაშ ემხვარს მივ-ყვებიო და არც არზაყანს, საერთოდ, რა დროს გათხოვებაო, ეს დაბა, საერთოდ, ჭორიკანა ხალხითაა სავსე, თვე ერთია და ჩემ-და უკითხავად შვიდჯერ გამათხოვებენო. შემდეგ ამისა, სიტყვა ბანზე ააგდო, მახლობლად მდგარ ცხენებს მიაქცია ყურადღება და გვანჯ აფაქიძეს ასეთი კითხვა მისცა:

„რომელი ფერის ცხენი სჯობია, ნათლია, ყველას?“

თეატრის მოედანზე ოციოდე ცხენი ეჭირათ მხედრებს. აქ იყო მუხროვანელი კვიცი — ლომისფერი დარდიმანდი, საქართველოს ცხენსაშენის სახელგანთქმული ფალავანი (მე მისი ქებით აროდეს დავშვრები, რადგან მეც არაერთხელ შევმჯდარვარ მასზე), მწითური კვიცი — იარალი ხან, თექელი ლახვარი, ინგლისარაბი — გივი, თვალმშვენიერი და ჯიშიანი ნორიო და შამილი, წმინდასისხლიანი ინგლისური ჭაკი. აქვე იყო გუნტერი, ლაკირბაიას კვიცი და სხვა მრავალი.

„ცხენის კარაბადინი გვასწავლის, მახარია: არიან ცხენნი შავნი და ელვარენი, — უხსნიდა გვანჯ აფაქიძე თამარს, — აგერ ტანმორჩილ ჟოკეის რომ უჭირავს, იმ ფერისა. კაი ცხენია მხიარულის შავ-წითლისა და შავისა საშუალო, ცხვირი წითელი აქვს ამგვარ ცხენს და წითელყვითელი ბარკლები, ოქროსფერი.

ნახე, ნახე, აგერ ასალზე ნორიო რომ აწერია ქართულად, იმ ცხენს, თუ ატყობ, ზაფრანისფერი აქვს. კაია ცხენი ლომისფერი, სანატრელად ქებულია მწითური რუპი ფერი, ფაფარი რომ ექნება გიშრისფერი ან ოდნავ მოშავო, აგერ ყვითელპერანგიან ჟოკეის რომ ცხენი უჭირავს, ისიც კაია, ფაფარი ისეთი ხასხასა წითელი აქვს, თითქოს ინით იყოს შენაღები.

ცხენთაგანი ზოგი ყვითელიც კაია, მახარია, უკეთ რომ ვთქვა, მხიარული ყვითელი, ამას ზარტს უწოდებენ ირანელნი, ჩალისფერი, ყვითლისა და ლურჯის საშუალო. კაია, როცა ამგვარ ცხენს ძუა და ფაფარი მუშკისფერი აქვს, ძველად ზერდაგს უწოდებდნენ ამნაირს; ბალნის ძირი შავი ექნება, ძუა და თვალები მუქი.

ეგერ რომ კვიცი უჭირავს პატარა ბიჭს, იმფერ ცხენს თეთრლეგოს უწოდებენ, მახარია, არის ცისფერი ლეგოც ცხენთა შორის, მახარია.

ე მანდ ჭაკი რომ დგას, წვრილ-წვრილად, შავად და თეთრად დაწინწკლული, იმას რაშიფეს უწოდებენ არაბნი, ე. ი. ჭარმაგს,

ხედავ, იმას ცხვირი მოთეთრო აქვს, მაგრამ უკეთუ ეს თეთრი ზოლი შუბლამდის ვერა სწვდებოდეს ცხენს, იმას იაღსუფ ერქმევა, მახარია.

აგერ ჩოხიან კაცს რომ ცხენი უჭირავს, ყურებს შორის თეთრნიშნიანი, იმას შუბლვარსკვლავა ჰქვია. ყველა ფერის ცხენზე ულამაზესია რახსი ფერისა“.

ეს უთხრა და არზაყანის ცხენზე მიუთითა გვანჯ აფაქიძემ თამარს.

თამარი დააკვირდა, არაბია იცნო, მის გვერდით მდგარ არზაყანს თვალი ჰკიდა, არზაყანმაც შენიშნა იგი და მზერა შემოაგება გახარებულმა. იგი უღიმოდა თამარს და გრძნობიერმა ქალმა ამ მზერაში ამოიკითხა შევრდომების, ალერსის და რაღაც საოცარი ბავშვური აღტაცების ნამუსრევი. თამარსაც გაეცინა და არზაყან მიუხვდა, რომ გუშინდელი გულნაწყენობა გადაჰყროდა თამარს და ამის შეცნობამ მომეტებული ხალისი შემატა არზაყანს.

„მაშ არაბია კაი ცხენი ყოფილა, ნათლია?“ — შეეკითხა თამარი გვანჯს, თანაც აღტაცებული შესცქეროდა იგი ცხენოსნობის დიდოსტატის მიერ შექებულ არაბიას.

„გაგიხარია, შვილო, კაი ცხენი იყოს არაბია, მაგრამ კაი საქონელს კაი მომვლელი უნდა. არზაყანი მუდამ კრებებზეა და კრებებზე მოარული კაცი ცხენს როგორ მოუვლის. ცხენს შვილზე მეტი მოვლა უნდა, მახარია. თვალის ქუთუთოსავით მოვლა უნდა კაი ცხენს, გარდა ამისა, არაბია ფეთიანია, მოკლავს მაგ უბედურს, როცა იქნება, ავტომობილის მაგას ეშინია და ტრაქტორისა, ამას წინათ მე ვუყურე, რამდენჯერმე დაუფრთხა, ლამის არ იყო, ძირს დაანარცხა. კაც ზვამბაიას ველაპარაკე, მანაც დაამოწმა, ფეთიანიაო. ცხენი კი არა, თავი ვერ ურჩენია მაგ უბედურს, ჯამაგირი პაპიროსის ფულად არა ყოფნისო, მე ჩემ ცხენსაც ძლივს ვუვლიო, მერმე ასეთ ჯიშიან ცხენს ქერი უნდაო, ახლა კი

ქერი ძალიან გაძვირდაო. მე ვურჩევ, გაყიდოს. ეგერ ჩემი სასიძო არლანი აპირებს ცხენის ყიდვას, თუ გაყიდის“...

* * *

დოღის დაწყებას ათიოდე წუთი უკლდა, როცა ფრიად აღელვებულმა შარდინ ალშიბაიამ მჭიდროდ მიჯრილი ბრბო გაარღვია და თეატრის მოედანს მიაშურა. ლაკირბაია დოღზე მოსულიყო თურმე, ხოლო ვაჩნაძეს დოღში მონაწილეობის მიღებაზე უარი განეცხადებინა, ასე რომ, გუნტერზე თავათ პატრონი შეჯდა, ხოლო დარდიმანდი თარაშ ემხვარს უნდა აეყვანა.

პირველი საათი შესრულდა და თეატრის მოედნიდან ოთხი ცხენოსანი დაიძრა: არზაყან ზვამბაია, თარაშ ემხვარი, ლაკირბაია და ტფილისელი ჟოკეი აბდულაჰ რამაზ-ოღლი. იგი რუპისფერ ნორიოზე იჯდა.

სამი პრიზი იყო დანიშნული: პირველი — დიდ მარულისათვის, ე. ი. 3000 მეტრის შვიდჯერ შემოვლისათვის; საშუალო მარულა ხუთჯერ შემომვლელს უნდა რგებოდა, ხოლო მცირე მარულისათვის სამჯერ შემოვლა იყო დათქმული.

თამარი, ძაბული, კაროლინა და გვანჯ აფაქიძე ზედ თეატრის კარებთან იდგნენ. მოულოდნელმა ცვლილებამ ვარაუდი შეაცვლევინა გვანჯ აფაქიძეს. ამიტომაც მან გადასწყვიტა, თავათ მაყურებლის როლი ეკმარნა.

აღტაცებული შესცქეროდნენ ქალები, თუ როგორ მოწყდნენ მოედნიდან რახსი, ლომისფერი, ცეცხლისფერი და რუპი.

„ჰაიტ, შე გლახა“, — წამოიძახა გვანჯ აფაქიძემ.

„რა იყო, ნათლია?“ — შეეკითხა თამარი.

„შენ ვერც კი შეამჩნიე, თარაშს ჩოხის კალთები გამოუვარდა“. თამარს გაეცინა.

„შენ გეცინება და ეს დიდი სირცხვილია. სხვა დროში ეს ემ-ხვარს კი არა, კიუტს არ მოუვიდოდა“.

„კიუტ ვინღაა?“ — ჰკითხავდა მომღიმარე თამარი.

„კიუტ უკანასკნელი გლეხია, კიუტი ყველაზე მრავალრიცხო-ვანი გვარია აფხაზეთში, მახარია“.

რახსი, რუპი, ლომისფერი და ცეცხლისფერი ჯერ თანაბარის სისწრაფით მიჰქროდნენ, მხედრები განუსაზღვრელ ნეტარებას გრძნობდნენ ამ მშვენიერ დილას მხიარულად მოზიმზიმე ხალხის აღტყინებული ჟივილის პირისპირ.

ლომისფერი დარდიმანდი და რახსი არაბია წყვილად მიგე-ლავდნენ. არზაყან განუსაზღვრელად ბედნიერი იყო, თავის სიყ-რმის მეგობრის გვერდით რომ მიაჭენებდა არაბიას, თითქოს თა-რაში იგივე თარაში ყოფილიყო, ბავშვობაში მასთან ცხენს რომ აჭენებდა, თითქოს ჟამი უკუქცეულიყო, გაყმაწვილებულიყვნენ დავაჟკაცებული არზაყანი და თარაშ. თითქოს ოქუმის ჭალებში დააქროლებდნენო ცხენს ისევე უდარდელად, როგორც მაშინ, როცა ორივეს ახარებდა გაზაფხულის პირველი ჯეჯილი და მრუმე ღამეები წისქვილებში გატარებული, საღამო ჟამს შინ მიბრუნება, ტფილი რძის დალევა და ძიძას კალთაში უდარდელად ჩაძინება.

მხარმარცხნივ და მხარმარჯვნივ ტანმორჩილი აბდულაჰ რა-მაზ-ოღლი და გრძელკისერა ლაკირბაია მოჰქროდნენ. ცხენის კისრის სიგრძეზე ჩამორჩენილიყო ლაკირბაია, იგი ხან მარცხნი-დან ურტყამდა ცხენს მათრახს, ხან — მარჯვნიდან, ხოლო აბდუ-ლაჰ რამაზ-ოღლი გუდურასოდენა გამხდარიყო. თავზე ყვითელი ტაჯიკური ქუდი ეხურა, ცხენის ფაფარისაკენ გადმოწოლილიყო, ძლივსღა ნაბავდა მონღოლურ წვრილ თვალებს და განუსაზ-ღვრელი ნეტარება ეხატებოდა სახეზე. ნორიო ნირშეუცვლელად უსწორდებოდა სახელგანთქმულ დარდიმანდს და არაბიას, ამ

მხარეში უზომოდ ქებულს. ბავშვების ჩოჩქოლი და ყიჟინა შემოესმა თარაშ ემხვარს და მყისვე მოაგონდა გვანჯ აფაქიძის დარიგება: ჩოხის კალთები არ გამოგივარდესო. წამოიწია ოდნავ და მარჯვენა ხელით ამოიკეცა კალთები და სწორედ ამ უხერხული მოძრაობისას, კურდღლის ნახტომისოდენა მანძილზე გაასწრო მას არზაყან ზვამბაიამ და მაშინ ქვეშეცნეულად ცხენის ფაფარისაკენ გადაიზნიქა თარაშ ემხვარ, ქუსლი ჰკრა დარდიმანდს და საქართველოს სახელოვანმა კვიცმა იწყინა აფხაზეთის ფალავანის გასწრება, მოუსვა საშინელის სისწრაფით და ირმის ნახტომზე გაასწრო არაბიას.

ირმის ნახტომზე გამასწროვო? არზაყანზე უფრო იწყინა არაბიამ ეს, რადგან იგი პატრონზე მეტად ვერ ითმენდა სხვის მიერ გასწრებას და არზაყან ზვამბაიამ მოუქნია თავის საყვარელ ულაყს მათრახი. სულ მცირე მანძილზე განზე გაუხვია არაბიამ და გზა გაიმრუდა გაფიცხებულმა. იდროვა მაშინ დარდიმანდმა, უსწორესი გზით მოჰკურცხლა ფინიშისაკენ და პირველად მიღწევამ ჰელოსთან ტაშის ტლაშუნი გამოიწვია.

ფინიში გავლილიც არ ჰქონდა დარდიმანდს, როცა ცხენის კისრის სიგრძეზე მიეწია მას არაბია, ხოლო ნორიო და გუნტერი ცხენის სიგრძეზე მოსდევდნენ ორივეს კვალდაკვალ.

გასწრების მანძილი არც ისე დიდი იყო, ასე რომ, ტაში ორივეს ეკუთვნოდა — არაბიას და დარდიმანდის მხედრებს. იჭვნეული არზაყანი მაინც აენთო და კიდევ აკადრა მან თავის ულაყს საკმაოდ მწვავედ მოქნეული მათრახი. დარდიმანდი მათრახს არ იყო ჩვეული, მაგრამ მას ძლიერ ეშინოდა მათრახის ტკაცუნისაც და ამიტომაც უარესად გაფიცხებულმა ჭილობის სიგრძეზე გაასწრო არაბიას. გახელდა უარესად არზაყან და კიდევ გაისმა მათრახის ტლაშუნი, მაგრამ დარდიმანდი უარესად შეხურებული მიჰქროდა, ჰკვესავდა ფლოქვებს ქვეშ კაჟი. ბრაზი წაეკიდა არზაყანს

ჭადრების შტოების მოლურჯო რიალში. სიყრმიდან გამოყოლილმა ქიშპობამ იელვა მის გულში.

სამი წლის არზაყან და თარაშ ლაღობობით ელაციცებოდნენ ძუძუებს. მარჯვენას თარაშ ემხვარი სწოვდა დღენიადაგ და ის იყო, მარცხენას წაეპოტინა, ეს ძუძუ ჩემიაო, ატყდა არზაყანი და ლოყაზე წაუცაცუნა თარაშს. ძიძასაგან განებივრებული თარაში გაწბილდა, გაგულისდა ერთბაშად, უჩქმიტა პატარას ლოყაზე. აენთო არზაყანი, ცხვირ-პირში წასწვდა მისოუსტს და ორნივენი აღრიალდნენ წამსვე...

და ახლაც ასე გამოდიოდა: თარაშმა გაასწრო არზაყანს. მან ქვეყნის მოვლა მოასწრო, უცხოეთში განათლების მიღება, თამარი მას უნდა მთლიანად, ძაბულისაც იგი ეპოტინება, განათლებული კაცის სახელს და ცხენოსნობის ოსტატის წოდებასაც თავათ იჩემებსო თარაშ ემხვარი, ეს გაიფიქრა არზაყანმა და შემოუქნია მათრახი თავის არაბიას და ისევ დაეწია ემხვარს და არაბიამ დარდიმანდის უზანგს გაუსწორა თავი.

ლაკირბაია ნატერფალზე მოსდევდა ორივეს, ხოლო აბდულაჰ რამაზ-ოღლი ორი ცხენის სიგრძეზე ჩამორჩენოდა უკანასკნელს. მეორე ჯგუფში კაც ზვამბაიას ცირა მოჰყავდა უკანასკნელ მწკრივში გვასალიას ბიჭს. გვასალიას ბიჭი თამბაქოს კონტრაბანდის გატანისათვის არაერთხელ დაუტუსაღებია არზაყანს, ამიტომაც გამძაფრდა მის გულში ძველი სიძულვილი არზაყანისადმი, დიაცურად დასჭყივლა ცხენს. კაც მოსახვევთან უცდიდა თავის ცხენს და როცა ცირა გაუსწორდა, იგი მიეჭრა გვასალიას ბიჭს, სადავე წაჰგლიჯა ხელიდან, კისერზე გადაიგდო და ყიჟინით გაჰქუსლა ცხენი, დაწინაურებულ მხედრებს ორიოდე მეტრის მანძილზე წამოეწია.

მესამე ჯგუფში მალაზონია მიჰქროდა პირველი. მას ინალიპა ჩიჩაგი მოჰყვებოდა თეთრ ჭაკზე მჯდარი. ინალიპა ჩიჩაგის ცხენს

მხარდამხარ მოსდევდნენ მისი ძიძაშვილები, დამბაჩებს ისვროდნენ და აფხაზურად ჰკიოდნენ შემცხადებულსავით, გულს უხურვებდნენ დავარდნილ ცხენს, ბესლან ტარბა მოუძღოდა უკანასკნელ ჯგუფს, შვიდი ძმა ტარბა მის გვერდით მოაჯირითებდნენ ცხენებს, „ჰაჰაიტს“ უძახოდნენ, მათრახების ტკაცუნით ამხნევებდნენ ჩალისფერ ულაყს. წითელჩოხიანი რეშიდ გეჩი შემცხადებულსავით ჰკიოდა და აფხაზურ სიტყვებს ქაქანებდა გზადაგზა.

ამ ჯგუფიდან მოულოდნელად დაწინაურდა ედირბეი ჭანბა, საშინელის სისწრაფით მოსხლიტა თავისი ტანმორჩილი მეგრული ჭაკი, ხუთ ცხენოსანს გაუსწრო ერთის მოქნევით და კაც ზვამბაიას ცირას წამოეწია, მაგრამ მალაზონიამ გაასწრო ორივეს. კაც ზვამბაიას უკან ჩამოეტოვებინა ინალიპა ჩიჩაგიც, რეშიდ გეჩიცა და ედირბეი ჭანბას რა თვალი ჰკიდა, გაახსენდა, თუ როგორ აჯობა მას ერთხელ ოჩამჩირეში; ისევ მოიგონა თავისი ახალგაზრდობა, შემოუქნია მათრახი ცხენს, თან გაიყოლა თავისი ცირა, მალაზონიას გაუთანასწორდა, თვალი შეავლო მალაზონიას მდელოსფერ ფრენჩს, იგრძნო ის უპირატესობა, რომელსაც ახალ დროში გლეხი იგრძნობს ხოლმე აზნაურისა, ხოლო ჩოხიანი, არაჩოხიანის წინაშე. ერთიც დაიყიჟინა მამაცურად და აბდულაჰ რამაზ-ოღლის გადაასწრო. აბდულაჰ რამაზ-ოღლიმ თურქულად დასჭყივლა თავის ცხენს, ელვის უსწრაფესად მოიგო ერთ წუთში წაგებული მანძილი, მაგრამ კაც ზვამბაიამ საოცარი ყიჟინი მორთო და ჯიხვის ნახტომზე ჩამოიტოვა ნორიო და ახლა მიზანში ამოიღო გაზრდილისა და შვილისათვის გასწრება, რათა არც ერთს არ წამოეყვედრებინა მისთვის ბერიკაცობა. არზაყანმა მამის ყიჟინი რა გაიგონა, აენთო ისევ მამასა და შვილს შორის არსებული იდუმალი ჭიდილის გრძნობა, გაორკეცებულის ძალით მოუქნია მათრახი არაბიას, უკან დასტოვა მამა, მალაზონი-

ას წამოეწია და გაუსწორდა კიდევაც დარდიმანდს. დაწყვილებული მიჰქროდნენ არაბია და დარდიმანდი; უზანგი უზანგისა, კისერი კისრისა და თავი თავის გასწვრივ ჰქონდათ ორივეს და მეშვიდეჯერ დაიქუხა გარშემო ტაშმა.

აზნაურის აღსარება

გვანჯ აფაქიძე გაწბილდა, დიდმარულას პრიზი საზიაროდ რომ ერგო არზაყანს. ასე ეგონა: არზაყან დამარცხდებოდა, შემდეგ ამისა, არლანს მიყიდდა თავის ცხენს და ავანდარად მიიღებდა არაბიას.

ავანდარა იმ საჩუქარს ეწოდება, სასიძო რომ სასიმამროს მიართმევს ქორწილში.

თავათ ქორწილი იმავე საღამოსთვის იყო დანიშნული. არზაყანს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი: აფაქიძის ქალის ქორწილში არ წასულიყო, რადგანაც არზაყან და ჩალმაზ არლანის წინააღმდეგ ფრიად ამრეზილნი იყვნენ. არლანის ჯგუფი ჩალმაზისას ებრძოდა... ამ ბრძოლის მიზეზი მრავალი იყო.

არენბა არლან მომეტებულ გულმოდგინებას იჩენდა კოლმეურნეობის გატარებისას. იგი გამძვინვარებული ებრძოდა ყველას, ვინც კი აფხაზეთისა და სამეგრელოს მთიან რაიონებში მთლიანი კოლექტივის შემოღებას ეწინააღმდეგებოდა.

როგორც ყოფილი შინაყმა, არენბა არლან აზნაურებს ბაძავდა ყოფა-ცხოვრებაში. ამ უეჭველ ზადს თავის ხასიათისას იგი ურაპოლიტიკით ჩქმალავდა, რელიგიურ ნაშთებს სასტიკად ებრძოდა, კომკავშირელებს აქეზებდა, რათა მათ ეკლესიები და მონასტრები დაენგრიათ, მორწმუნენი შევიწროვებინათ. არლანმა თავდაპირველად დურიპშის ხუთასწლიანი მუხის დაწვით გაითქვა სახელი. რამდენიმე სამჭედლო დააწვევინა, რაკი ამ სამჭედლოებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც აჟირა-გრდემლის თაყვანისცემა ხდებოდა. მან ჩამოაყრევინა ზარები როგორც დალის, ისე ლიხნის და აჭანდარას ძველთაძველი ეკლესიებიდან. უმწიფარი ახალგაზრდობა აჰყვა არლანს და ამ „ზარების რევოლიუციონერებმა“ უმოწყალოდ შემუსრეს ზარები მთელს აფხაზეთში.

უპრინციპო დაჯგუფებათა შექმნისათვის პარტია რაიონიდან რაიონში აგზავნიდა მას წარამარა. ტუქსავდა, მაგრამ მაინც აფასებდა მამაც რევოლიუციონერს.

დოღი უკვე მოთავებული იყო, როცა ჩალმაზი ჩამოვიდა მოულოდნელად. ჩალმაზი დარბაისელი ვაჟი იყო. მან წინასწარ განსჭვრიტა: არლანის ქორწილში არწასვლა უთუოდ გაამწვავებდა მასთან ურთიერთობას. ჩალმაზ დიდხანს ეთათბირა არზაყანს და იგიც დაიყოლია.

დოღის გათავების შემდეგ დიდძალი ხალხი დაიძრა ილორისაკენ. აფხაზურ ქორწილში მარტოოდენ ნათესავნი და მოკეთენი როდი მიდიან, არამედ ყოველი კაცი, ვისაც ქეიფი და სანახაობა მოესურვება. ამ ქვეყნის წესისამებრ, სწორედ ამგვარი მიუწვეველი სტუმრები უფრო სანუკველია.

ნამდვილი სტუმრები ესენი არიანო, — ასე ამბობენ აფხაზები. ქორწილში ხელცარიელი არავინ მიდის მაინც. ეს იყო კოლმეურნეობათა შემოღების კვირაძალი.

ბობოლა გლეხობა დამფრთხალი იყო: ვაითუ არა მარტო რქიანი, არამედ ფრინველიც წაგვართვანო და მუსრს ავლებდნენ შინაურ პირუტყვს.

წინადღიდანვე შეიქნა მოსაკითხებით დატვირთული სტუმრების დენა აფაქიძეების ძველ სასახლისაკენ. მოჰყავდათ ბატკნები, ციკნები, მოზვრები და თეთრი ხარები. დილიდანვე ცხენოსნების რაზმეულები სიმღერითა და სროლით მიემართებოდნენ ილორისაკენ.

ასე იტყოდით ძველი დრო მობრუნებულა და ილორის წმინდა გიორგისათვის მსხვერპლის შესაწირად დაძრულაო ხალხი. თითქმის მთელი არლანიანთ გვარი წამოსულიყო დალიდან. რადგანაც აფხაზეთში მთელი გვარი თხოულობს და ათხოვებს ქალს, გვარი იხდის ქორწილსა და ქელეხს.

არლანი თუმცა კომუნისტი იყო, მაგრამ ჯერაც ძლიერია აფხაზეთში მამებისა და წინაპრების ძალა.

ზუგდიდიდან ორასიოდე ცხენოსანი წამოვიდა. ქალები, ბავშვები და მოხუცები საბარგო ავტოებსა და ოჩამჩირის მატარებელს წამოჰყვნენ. კაც ზვამბაია ფრიად დააღონა მარულაში დამარცხებამ, მან თავის ცხენს მათრახი გადაუჭირა და ოქუმს მიაშურა.

არზაყანმა ტანმორჩილი მეგრული ცხენები უშოვნა თამარს, კაროლინას და ძაბულის. თამარის ცხენს ოქრომკედით მოქარგული ასალი ამშვენებდა, ჯახანასეული, ამაზონური კაბა ეცვა. არზაყან თუმცა ძლიერ დაქანცული იყო, მაგრამ იგი ჩინებულ გუნებაზე დააყენა თამარის გახალისებამ.

არზაყან ცდილობდა მის სიტყვა-პასუხში მცირეოდენი წყენის ნაჩრდილევი შეემჩნია, მაგრამ ამაოდ. თამარი კისკისებდა, ხუმრობდა და ბრწყინავდა. არზაყან წარამარა მზერას აპარებდა მის

ოდნავ მოშიშვლებულ მკერდისაკენ. ჯვარის მიერ ოდნავ გახეხილ კანს ამჩნევდა და თამარის ჯვარისათვის უფრო მეტად ფიქრობდა უნებლიედ, ვიდრე თავათ თამარი.

ეს იყო: უკვირდა ფრიად, რად არ მოეკითხნა თამარს აქამდის თავისი საყვარელი ჯვარი?

ვინ იცის, ეგებ სცოდნოდა კიდევაც თამარს, ის ჯვარი ახლაც ფრენჩის ჯიბეში რომ უძევს არზაყანს.

მაგრამ როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო?

არზაყანს ხომ კარგად ახსოვდა: როცა თამარი უკანმოუხედავად გარბოდა ხილნარში, სწორედ მაშინ აიღო ჯვარი არზაყანმა.

თარაშ ემხვარი უზომოდ დაქანცული იყო, მას ქალებთან გასაუბრების ილაჯი აღარ ყოფნიდა და სავსებით შემთხვევით გვანჯ აფაქიძის გვერდით მოხვდა.

„ყმაწვილებო, ვიჩქაროთ, თორემ ასე თუ ვიარეთ, გათენებამდისაც ვერ ჩავალთ ილორში“, — ეს გადასძახა გვანჯმა ქალებთან მოლაყბე ჭაბუკებს და თავათაც მოუტატუნა თავის ცხენს მათრახი.

ძაბული ძლიერ უხერხულად გრძნობდა თავს, მას ამაზონური კაბა არა ჰქონდა და ცხენის მართვაც არ ემარჯვებოდა. წარამარა ხელით იჭიმავდა კაბას მუხლს ქვემოთ. მიჰქროდნენ მათ გვერდით ძეწნები, ღობეები, ისლით და ყავრით დახურული სახლები, მრუმე თხმელნარები, ფშალით, ავრეხით, ვენახით დაბლანდული ხეები და ბარდები.

წკავწკავებდნენ უნიათოდ ღობის კიდეებთან გადმომდგარი ძაღლები, ნაციები ბავშვები და ქალები იმზირებოდნენ ღია კარებიდან და ჭიშკრებიდან.

სოფელი გაიარეს და ჭალას მიადგნენ ჭაობიანს.

კამეჩების ჯოგს დაეფარა ჭალა. აურაცხელი ყორნები დასე-

ოდნენ კამეჩებს, ნაზამთრალ ბეწვს აცლიდნენ ტლაპოში ჩაცვენილთ, ზანტად იგრეხდნენ კისერს ტაროსფერ ლაფში ამოსვრილი კამეჩები, გიშრისფერი თვალებით აცქერდებოდნენ ცხენოსნებს. იქვე მახლობლად ყვავილითა და მწვანით მოსილი ტრაქტორი ჩავარდნოდათ ლაფში ქორწილში მიმავალ ტფილისელ ტრაქტორისტებს. უმწეოდ თუხთუხებდა მანქანა, შოფერები და ტრაქტორისტები ამაოდ წვალობდნენ. მიაწვებოდნენ უკანიდან ტრაქტორს, ათუხთუხდებოდა მანქანა, მაგრამ ცალი ბორბალი ღრმად იყო ჩამჯდარი და ვერაფერი გაეწყოთ. დაფრთხა არაბია, ტრაქტორის გუგუნი რომ შეიცნო და გაჭენდა პირდაპირ ციცაბო ფლატესაკენ. დატუქსა არზაყანმა თავისი საყვარელი ულაყი, ორ ფეხზე შეაყენა. კისერი მოუდრიკა და ციბრუტივით შემოატრიალა უკანა ფეხებზე.

„მოჰკლავს მაგ უბედურს ე ცხენი, — ეუბნებოდა გვანჯ აფაქიძე თარაშ ემხვარს.

შენი მამამძუძეს შვილია, ურჩიე გაყიდოს, თორემ, აჰა, მე მითქვამს და შენ დაიხსომე“...

„მაგას როგორ ვურჩევ არზაყანს, ძია გვანჯ, იმ კაცს ხელისუფლებამ ცხენი აჩუქა მამაცობისათვის და როგორ შეელევა? საინტერესო ისაა, რაც ერთგვარ რისკთანაა დაკავშირებული. ურა ცხენზე ჯდომაა სიხარული, თორემ თვინიერი ჯაგლაგი რა სანატრელია?“

„ურა ცხენს ურა ვაჟკაცი უნდა, მახარია“.

„რა, ცუდი ვაჟკაცია არზაყან, ძია გვანჯ?“

„ეჰე შენი არ მიკვირს? ზვამბაიას ვაჟკაცობა ვის გაუგონია? მაგხელა რომ ვიყავი, მაგისთანა ვაჟკაცებს მტკავლობით ვყიდდი, მახარია“.

თარაშ ემხვარს ეწყინა სიყრმის მეგობრის უმართებულოდ ძაგება, მაგრამ მოერიდა მოხუცებულს, გულნაწყენი დადუმდა.

თარაშ ემხვარის ცხენი ოდნავაც არ შემკრთალა, ისე ჩაუარა ტრაქტორს. გვანჯ აფაქიძემ აუჩქარა ცხენს.

ცოტა ხანს ასე მდუმარედ მიდიოდნენ, შემდეგ ამისა, მოისმა: „ურააააჰ“ და გვანჯ აფაქიძემ თარაშ ემხვარიც მოახედა:

„შეხე, რა ეშმაკებია მაგ გველისწიწილები!“

ეუბნებოდა ემხვარს.

„ეგერ რამდენი კამეჩი ყრია ტლაპოში, კამეჩები არ მოიშველიეს განზრახ, თავათ დაქვეითდნენ და ისე ამოყავთ“.

თარაშ ემხვარმა ცხენი შეაჩერა, ხედავს: ჩალმაზი და არზაყანი ცხენიდან ჩამოსულიყვნენ, დანარჩენ ვაჟებსაც ქალებისათვის გადაეცათ ცხენების აღვირი, კალთებაკეცილნი მისდგომოდნენ ტრაქტორს და „ურაჰს“ ძახილით ამოყავდათ იგი ტლაპოდან.

„რაო მერე, კამეჩები რად არ მოიშველიეს, ძია გვანჯ?“

„იციან, ხალხი დასცინებს მაშინ ტრაქტორს“. თარაშს გაეცინა და არა უთხრა რა.

„მაგ ტრაქტორებს რომ წაიყვანდნენ და თავათაც მოგვშორდებოდნენ, კაის იზამენ, შენ გაზრდას“.

ამბობდა გვანჯ აფაქიძე. თარაშ ემხვარ ისევ სდუმდა და აფაქიძემ კვლავ განაგრძო:

„მერწმუნე, მახარია, ჩვენი ლომა კამეჩები მაგ ტრაქტორზე უკეთ მოუვლიან ჩვენს ყანებს“.

თარაშ ემხვარმა თვალი შეავლო გვანჯ აფაქიძეს, იგი ჩამოქნილივით იჯდა ცხენზე.

„რამდენი წლის იქნებით, ძია გვანჯ?“

„მე არასოდეს არვის ვუმხელ ჩემს წლოვანებას“.

„რატომ, გვანჯ ბატონო?“

„სიბერე, სიკვდილი, შიში და სიმშილი ხსენებისაგან ხდებიან საცნაურ, მათი ხსენება არ ვარგა, მახარია“.

კარგა მანძილზე მდუმარედ მიდიოდნენ ცხენოსნები, ფრუტუნი და შორეული თქარათქური ისმოდა გზაზე, ხოლო კოდორის ნაპირიდან ტურების კივილი მოდიოდა.

„ტურები ბლომად ყოფილან ამ მხარეში“. გვანჯ აფაქიძე სდუმდა.

„თქვენ არ ნადირობთ, გვანჯ ბატონო“ — გაიღო ისევ ხმა თარაშ ემხვარმა.

არ ვნადირობო? იმდენი წლის სიცოცხლე შენ და ჩემს ოთარს, რამდენი ასეული ტახი, ირემი და დათვი მომეკლას ამ მხარეში. ახლა გაიცვითა ქვეყანა. გაიფხიკა, მახარია, ასე როდი იყო ჩემს ყმაწვილობაში. აქედან ადლერამდის სამას კილომეტრზე მეტია, ვინ იცის, რამდენჯერ ნადირობა ნადირობით გამივლია, ბიძი. აგერ რომ ნარინჯის ბაღებია, იქ ტყე იყო გაუვალი, კოლხეთის ჭაობებს ნუ იკითხავ, ნურც ჯუღეჯიანის ველს.

ნადირობა მაშინდელი იკითხე, ახლა ყველგან მეურნეობები, პლანტაციები გაჩნდა. რკინიგზამ, ტრაქტორმა და ავტომობილმა დააფრთხო, ბიძი, ტყიური. ჩვენი ძველები ჩვენზე უფრო ჭკვიანები იყვნენ, შენც გაგიგონია ალბათ, ჭაობებს და ტყეებს განგებისად ინახავდნენ, ბიძი, რათა სამტროდ მოსულ უცხოელებს გზა დაჰკარგოდათ და ხურვება შეჰყროდათ. როცა მეზობლები დესპანებს გამოგვიგზავნიდნენ, ამ ჭაობებით გამოატარებდნენ, ანაკლიიდან ზუგდიდამდის ოცი კილომეტრიც არაა, ხუთ დღეს ატარებდნენ ირიბი გზებით, კარვებში ღამეს გაათევინებდნენ, რათა მაგრად დაეკბინათ კოღოებს. და იქ ისეთი კუდიანი კოღოები იცოდა, კალისოდენა, კუდიანი კოღოები... ახლა ჩვენში ყველგან გზაა და ყველას გზის პირზე გამოუდვია ტ...კ...ი. ჩვენი ჭაობები და ჩვენი მთები იყო ჩვენი ქვეყნის მიუვალი ციხესიმაგრე, ბიძი. ირმის ჯოგები გაუვალ ჭაობებში იფლობოდნენ, რამდენჯერ ბღავილზე მიგვიგნია და ცოცხლები ამოგვიყვანია“.

„დათვი თუ იყო, ძია გვანჯ?“

„დათვი და მგელი კურდღელზე მეტი“.

„ერთი მითხარი, ძია გვანჯ“. შეეკითხა თარაში და თავის ცხენს გადაჰკრა მათრახი, რადგანაც ცხენმა კუნძი რამ შენიშნა გზის პირად გდებული, განზე გაიწია ჯიქურად. და თარაშ ემხვარმა შეამჩნია: გზის პირად ვიღაც მარტოკა მოსახლის ეზო იყო დაბალი ღობით შემოვლებული. ეზოს კუთხეში პატარა ზაქი მიებათ პალოზე. წაქცეულიყო ზაქი, უმწეოდ სხმარტალებდა ტოილოთი დაბორკილი. თარაში დაქვეითდა, თავაზიანად სთხოვა გვანჯ აფაქიძეს, ცხენის სადავე დაეჭირა მცირე ხანს. მარდად ისკუპა და ღობეს გადაევლო. წვალობდა დედისაგან ახლად განალოკი ზაქი. უმწეოდ ეგდო მიწაზე, სახსრებში ღონე გამოლეოდა, იწვა შველის მოლოდინში. თავისი მშვენიერი, მშვლისებრი თვალებით შესცქეროდა თარაშ ემხვარს, თითქოს წინასწარ მადლობას უცხადებსო მიშველებისთვის.

მივიდა თარაშ ემხვარი, მოჰკიდა ხელი ნაზბეწვიანს ფაფუკ კისერზე, თოკი მოაცილა ზედ ქეჩოზე შემოხვეული, მერმე პატარა გიშრის ჭლიკიანი ფეხები აიღო ხელში, სათითაოდ შემოხსნა თოკი, მერმე აიტატა ზაქი. აკოცა მოშავო დრუნჩში და ფეხზე წამოაყენა.

დაბანცალდა პატარა, რაღაცა უმწეო ყროყინისებრი ხმა გაიღო, შეეცადა გაეარნა, მაგრამ წინა ფეხებმა უღალატეს და ისევ წამოიჩოქა მოლზე. ისევ მიეშველა თარაშ ემხვარი, ისევ წამოაყენა, აიტატა ხელში, ახლა კისერზე აკოცა პატარას. ისევ აიტატა, ისევ დააყენა ფეხზე, მოუცაცუნა უკანალზე. მაჟალო ვაშლისოდენა კვერცხებზე შეავლო ხელი. თითქოს შეახსენა: შენ ვაჟკაცი ხარ და ასეთი სიძაბუნე არა გშვენისო.

ცხენოსნებმა გზა განაგრძეს.

ბნელდებოდა. ცისკარის ლაპლაპი სცხრებოდა შორს და ხეების შტოების გადაღმა ელავდა მთვარისფერი ხასხასა ტალები.

„დათვზე არ გინადირნია?“ — ეკითხება გვანჯ აფაქიძე თარაშს.

„საფარიდან კი, ჯვარში ვყოფილვარ“.

„მთაში?“

„მთაში ვერიდებოდი“.

„რისი რიდი გქონდა, მახარია?“

„შემოტევა იცისო დათვმა, ასე მსმენია“.

„არავინ მოგატყუოს, მახარია. მე ძველი მონადირე ვარ. ისეთი კი არა, ჩვენს დროში რომ მომრავლდა უკანასკნელად. მე დალში ვარ გაზრდილი და დათვი ხაფანგითაც დამიჭერია, ბუნაგიდან გამომიგდია მადევრებითა და მეძებრებით. მარეკებით თავს დავსხმივარ უღრან ტყეებში გადახვეწილს. აღმართში შევხვედრივარ და თავდაღმართში დამიგორებია. ვეფხისა და ლომის გარდა, ყოველ ნადირს ერიდება ადამიანის. ვერც ტახი და ვერც ღორი ვერ შეუტევს კაცს, თუნდაც ვიწრო ბილიკზედაც მოუჭრა გზა. მართალი ესაა, ბიძი, სხვა დანარჩენი მატყუარა მონადირეების მიერ გამოგონილი ზღაპარია. ერთ რამეს გიამბობ, ძველი ამბავია, მაინც არ გამთქვა, შენ გაზრდას. თუმცა, კიდევაც რომ გამთქვა, მეტი რაღა უნდა მიქნან. გუშღამ კომისია იყო, სახლი ამიწერეს, საავადმყოფო უნდა გავმართოთო, ქალის გათხოვება მაცალეთ, ერთი კვირა მადროვეთ-მეთქი და მომეშვნენ“.

რამდენიმე ცხენოსანი წამოეწიათ, გვანჯ აფაქიძე დადუმდა, მხარმარჯვნისაკენ მოუდრიკა ცხენს კისერი და, როცა ცხენოსნებმა ჩორთით განაგრძეს გზა, ისევ დაიწყო:

„ის სასახლე, რომელსაც ამაღამ ნახავ, ჩემი პაპისეულია. პაპაჩემი მერჭულეს ქალს ჩასიძებია. ილორში ძველთაძველი აზნაურებია ის მერჭულენი, ილორის მეხატულენი. იმ კოშკის გვერ-

დით ციხის ნანგრევია. იმ ციხეში სცხოვრობდა პაპაჩემი — თემრაზ, სახელგანთქმული მეკობრე და მონადირე. იგი მაჰაჯირებამდისაც ტყვეებით ვაჭრობდა. ტარიელ შარვაშიძეს რომ ჰყავს ბედდამწვარი ლუკაია, იგი მამაჩემმა წაართვა მაჰაჯირებს, მერმე ტარიელმა გამოისყიდა. ციხე-დარბაზი შინაყმებით და მონებით იყო გავსილი. საიდან არ მოჰყავდათ აქ გურიის, იმერეთის, სამეგრელოს ულამაზესი ქალები. დღისით, მზისით გზებზე უხვდებოდა პაპაჩემი იარაღიანსა თუ უიარაღოს, ღამე შხუნებსა და გემებს თავს ესხმოდა და სცარცვავდა თურმე.

ჩვენ ისეთ დროში ვართ, ბიძი, ყოველმა კაცმა უნდა აღვიაროს, თავისი და თავისი წინაპრების ცოდვები.

განა რა გამოდის ამ აღვიარებისაგან? ბისტი. მაგრამ კაია მაინც, კაცი რომ იტყვი. თქმა ჟანგს აცლისო კაცის გულს, ილორამდის კიდევ კაი ძალია და წვრილად გიამბობ. თუმცა მე არც ძველ დროში მწამდა ცოდვა და მადლი, ახალ დროს არც ცოდვა სწამს, არც მადლი. ეს ქვეყანა რომ ზიარებად იქცეს, მერმე ეს ზიარება მღვდელმა მიმაღებინოს, მე სიამოვნებით ამოვარწყევდი ჩემი პირიდან ამ ქვეყანას, ბიძი.

ჰო, ტახის ამბავს გიამბობდი და ტახის ამბავი კი გადამავიწყდა. ჯერ უწვერული ყმაწვილი ვიყავი. ოჩამჩირეს ვიღაც ინგლისელი დიდი ვაჭარი მოადგა საკუთარი იახტით. ოცდახუთი თავიდან ტერფამდის იარაღში ჩამჯდარი ვაჟკაცი ახლდა, ახლად შერთული ცოლი და სამი და, რამდენიმე მოახლე, შინაყმა და თარჯიმანი.

მაჰაჯირების დრო იყო.

შენ იცი, ალბათ, რუსმა სოხუმთან დაამარცხა თათარი. აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობა საკუთარი ფუძიდან აიყარა, გადასწვეს თავიანთი სახლ-კარი, მთელი აფხაზეთი ცეცხლს მის-

ცეს ისევ აფხაზებმა. მე ცოტა აფხაზური სისხლი მაქვს დიდედიჯან, მებრალება ის საცოდავი აფხაზები. რუსხენწიფემ თვითმკვლელობა ჩაადენინა ამ უბედურებს. ახლა რაღა დარჩა? 40 ათასი კაცი! ამდენი პოლიცია ჰყავსო თურმე ლემენცებს ბერლინში. ზოგმა ოსმალეთს მიაშურა, ვინც ვერ წავიდა, ტყე-ღრეში დაძრწოდა, სცარცვავდნენ დიდსა და მცირეს. ასეთი დრო იყო და ყველას გაუკვირდა ამ თავზე ხელაღებული სოვდაგრის მოსვლა. მას რაღაც პლანტაციების გამართვა ნდომებია ოჩამჩირის მახლობლად. ი მიწები მამაჩემისა იყო და შეევაჭრა.

შენ ისიც იცი: ჩვენ, აზნაურებს მუდამ გაყიდვაზე გვეჭირა თვალი და ყოველ გამვლელს ფეხქვეშ ვეგებოდით. ამიტომაც ეს ჩვენ გავხადეთ ჩვენი ქვეყანა ისეთ დუქნად, სადაც უცხოელები გაცილებით უკეთ ვაჭრობდნენ, ვიდრე ჩვენ თვითონ, და ყოველი კაცი მეორეს ეჯიბრებოდა, რომ საქართველო ისე გაეყიდა, როგორც ებრაელებს კვართი უფლისა. ჩვენი სტუმართმოყვარეობა უთუოდ ჩვენი მონური წარსულის ნაშთი უნდა იყოს, ბიძი.

უცხო სტუმარი მოვიდა და მამამ გალში აფრინა კაცი, ხვიჩიები და გვიჩიები იხმო, ალანიები და კიუტები დაიბარა, ილორელი მერჭულენიც აცქმუტდნენ, ეგებ ჩვენაც გავყიდოთ რამეო.

მე მუდამ მძაგდა მაგ უცხოელები. ცოტა ისტორიებში ჩახედული ვარ, არგონავტებიდან მოკიდებული, უცხოელი მუდამ მძარცველად ჩამოსულა ჩვენში. ყოველი კაცი იმის ცდაში იყო: რამე ეყიდნა, წაეგლიჯა და მოეთხარა ჩვენგან. ალბათ შენც წაგიკითხავს ისტორიებში, ჩვენი ქვეყნისთანა მდიდარი ინდოეთს აქეთ არა ყოფილაო, ასე სწერია იმ ისტორიებში. ჩვენი წინაპრებიც ჩვენისთანა ბედოვლათები იყვნენ ალბათ.

ძალად ხომ ბევრი გაიტაცეს, ბევრიც გაგვიჩუქებია და გაგვიმზითვებია, ბიძი. მე ერთი წიგნი ჩამივარდა ამას წინათ ხელში.

ღმერთო! რა მზითვები გაუტანებიათ თურმე ბიზანტიაში გათხოვილ ბაგრატიონების ქალებისათვის ჩვენ სულელ მეფეებს!

ჰო, იმ ოჯახქორი ინგლისელის ამბავს გიამბობდი.

არც იმ ინგლისელს დავხვედრივართ უპურმარილოდ. გაგიხარია, კაი პურმარილი დაახვედრა იმ ინგლისელს ცხონებულმა მამაჩემმა“.

პატარა თხრილი გადაეღობათ, ბოგირი აეყარათ რატომღაც, ცხენი გადაასკუპა გვანჯ აფაქიძემ და მერმე ისევ განაგრძო თხრობა:

„ხარები შამფურებზე იწვებოდა, ძუძუთა ხბოები ქვაბებში ჩაჰყარეს და ნადირობა გავუმართეთ ისეთი, მარეკებით ნადირობა, კაცს რომ არ მოსწრებია.

ორასი ცხენოსანი შევედით ილორის ტყეში. ისეთი სროლა ატყდა, ომი გეგონებოდა.

იმ დროში შტუცერი ახლად მოგონილი იყო და იმ სოვდაგრის მხლებლებს ახალთახალი შტუცერები ჰქონდათ. ისეთი, ისეთი, პირდაპირ თვალი დამრჩა მაგ შტუცერებზე, მაგრამ რა შტუცერები, მის ცოლზე უარესად შემექნა გული. ლედი სვინბორნ ერქვა იმ ქალს და იცი, რაფერი თმა ჰქონდა?

ჩვენში არ იცის იმფერი თმა. სიმინდის ტარო რომ პირველად ფოჩს გამოისხამს, ისეთი ბრწყინვალე ოქროვანი.

შუაგულ ტყეში დავქვეითდით, დიდი მუხის ძირას, ლედი სვინბორნ

დაიქანცა ცხენის ჭენებისაგან, მე ჩამოვიყვანე ცხენიდან.

ო, ოჰ, როგორი ნეტარება ვიგრძენი, როცა კისერზე ცალი ხელი მომხვია და მკერდზე მომენდო ძირს ჩამოხტომისას, ასე მეგონა, ღმერთი ციდან ჩამოვიდა და ყელს შემომეჭდო-მეთქი.

მუხის ნამორზე დავსვი, უკან დავიხიე და შევხედე: თეთრი ბატისტის ქვედაკაბა უჩანდა და მუხლისთავებთან გვირილასავით

თეთრი აჟურები. გადავირიე, ეს რომ ვნახე და ჩემს გულს ვუთხარი: ეს ქალი თუ ჩემი არ გახდა, უთუოდ ზღვაში თავს დავიხრჩობ-მეთქი ისევე, როგორც ჯახანა შარვაშიძისათვის დაიხრჩო თავი გუძა მარშანიამ იმ წელს.

და შეიქნა ტყიდან მარეკების გამოხმობა. მოვიდნენ გვიჩიები, ხვიჩიები, ალანიები და კიუტები და მოართვეს ლედი სვინბორნს ახლად დახოცილი მშვლები, ირმები, ნუკრები, ტახები და ხოხბები. დედოფალივით იჯდა მუხის ნამორზე ეს საუცხოვო ქალი და ღიმილს ურიგებდა ნაალაფარის მომტანთ. მე გული ამემღვრა, ეს რომ დავინახე. მეც ბევრი შემომაკვდა იმ დღეს ნადირი, მაგრამ არც ერთი თავათ არ მიმირთმევია, რადგან მე ასე ვფიქრობდი ყოველთვის: თუ ქალის გულის მონადირება გინდა, მომეტებული ყურადღება არ უნდა მიაქციო.

ახლა ეს აიჩემა ლედიმ: ცოცხალი ტახი მომგვარეთო.

ეს ამბავი ანეგდოტი არ გეგონოს, ბიძი, და იმ დღეს მე მართლა დავიჭირე იმ მშვენიერ ლედისთვის ცოცხალი ტახი, მაგრამ არც იმგვარად, როგორც ეს შემდეგ ინგლისურ გაზეთებში ეწერა. იმ გაზეთებში მადლობაც გამომიცხადა იმ სოვდაგარმა, თუმცა სამადლობელო ბევრი არაფერი წაუღია მაგ უბედურს. მე კი გაზეთებში გამწერეს, როგორც ცოცხალი ტახის ხელით დამჭერი. ის ძველი გაზეთები შინა მაქვს ახლაც, თუ გამახსენებ, გაჩვენებ“.

ცხენოსნებმა რომელიღაც მდინარე გადაიარეს. ორივენი სდუმდნენ. თარაში ფიქრს მიეცა და გვანჯ აფაქიძის ცხენის ფეხებიდან ნაშხეფმა წყალმა გამოარკვია ფიქრიდან.

„ჰო, იმას გიამბობდი: ცოცხალი ტახი მომგვარეთო, აიჩემა ლედი სვინბორნმა და მეც დავფაცურდი.

როცა ქალი გიყვარს, მისი ჭირვეულობის შესრულებაც უდიდესი ბედნიერებაა. მეც დავფაცურდი, თუმცა არსად გამეგონა, ცოცხალი ტახი რომ ვინმეს დაეჭიროს სადმე.

რამდენიმე მარეკი ჯერაც არ იყო ტყიდან გამოსული და მამამ მიბრძანა: ცხენზე შეჯე და მიაკითხეო.

კვლავ შემოვახტი ჩემს ულაყს, ბუკი მეჭირა და ვუხმობდი. ტყეში გზა დამებნა უეცრად, ბუკით ხმობა შევწყვიტე და ერთ ხევს მივყევი ცხენდაცხენ. გავიხედე და რას ვხედავ: უზარმაზარი ტახი მოექანებოდა ჯიქურად ჩემსკენ. თოფი თან არ წამომიღია, მაგრამ არ ვიცი, ახალგაზრდულმა სითამამემ თუ ლედი სვინბორნის სიყვარულმა ისე ამიტანა, მყისვე ცხენიდან გადმოვიჭერი და, როგორც კი ტახი გამისწორდა, წამსვე სატევარს მივყავი ხელი. ხევის გაღმა-გამოღმა მტკიცე ბარდი იყო, ასე რომ, ტახმა პირდაპირ მომაშურა. ცხენი დაფრთხა, განზე გამიტაცა. ტახი ფეხებში გაუძვრა ცხენს და ამგვარად სატევარი ვერ ვუყელე მაგ ვერანას.

ისევ შემოვახტი ცხენს და გამოვუდექი. ამასობაში მარეკებმაც მოაწიეს და მწევრებიც გამოუდგნენ ტყიურს, და ნუ იკითხავ: სწორედ იმ ხევზე უშველებელი ნაძვი წამოექცია გრიგალს. დაქანცული ტახი ზედ ვერ გადამხტარიყო, ქვეშ გავძვრებიო, ალბათ უფიქრია და, როცა წამოვეწიე, ნაძვქვეშ გაკვეტებული ყვიროდა საბრალოდ, ხოლო მწევრები უკანა ფეხებს უძიძგნიდნენ. ცხენიდან ვისკუპე და ხელი ვსტაცე მყისვე კანჭებში. მარეკებმა ჯერ დინგი აუკრეს თოკით, შემდეგ გამოათრიეს და დაბორკეს. კეტი გაუყარეს. ოთხ კაცს ძლივს მოჰქონდათ ის სამგლე. მე განზრახ ჩამოვრჩი. ვიცოდი: კარგია, შენს გამარჯვებას სხვა რომ აუწყებს სხვას.

მარეკებმა ამბავი მიუტანეს: გვანჯმა ხელით დაიჭირაო ტახი.

ესღა აკლდა ჩვენს ზეიმს. მაშინ მეც გამიღიმა ლედი სვინბორნმა და ისე მეგონა, ცისკარი გამეხსნა-მეთქი. ის ღიმილი ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება.

„ბიჭო, მართლა შენა სტაცე პირველად ხელი?“ — შემეკითხა იჭვნეულად მომღიმარი მამა.

„ილორის მადლმა, უკანა ფეხებში წავწვდი-მეთქი“.

მაშინ მორწმუნე ვიყავ და არც ტყუილი მითქვამს. მაგრამ ცალკერძ მამა მოვატყუე და ცალკერძ ღმერთი. ასეა, მახა, ენა თუ გიჭრის, ტყუილის უთქმელად შეგიძლია კაცმა იცრუო“.

გვანჯ აფაქიძე დადუმდა. ასე მიდიოდნენ მცირე ხანს.

„მაინც, ლედის ამბავი არ მოგითავებიათ, ძია გვანჯ“, — შენიშნა მომღიმარმა თარაშმა.

„ეჰ, არა ღირს, ბიძი, ჩემი ცხოვრების უკუღმართობა სულ რომ გიამბო, არც ერთ წიგნში არ დაეტევა.

მერმე... და მერმე ვერც ტახის დაჭერამ მიშველა. ის იყო პირველი ქალი, რომელმაც უზომოდ გამახელა და კინაღამ თან არ გადამიყოლა. ბევრი ვუტრიალე, მაგრამ ამოდენა ამალაში რას გავხდებოდი. ქალი შეხვედრაზეა, ბიძი. თუ კარგ პირობებში მიიმწყვდიე, ყოველ ქალს ჩაიგდებ ხელში.

მერმე და ის იყო, კეფალებზე თევზაობას მიმაჩვია იმ თვალჟუჟუნა ინგლისელმა ქალმა“.

„როგორ თუ კეფალებზე... ძია გვანჯ?“

„შენ არ იცი, ჩვენში კეფალებს როგორ იჭერენ, მახარია? მთვარიან ღამეში ორ ნავში ჩავსხდებით, შუაში თოკებმობმული ჭილობი მოაქვს წყალს, ნავს და ნავს შორის. ხელში ორკაპიანი ჭანგები გვიჭირავს. მოდის კეფალი მთვარიან ღამეში, როცა ჭილობიდან მომდგარ ლანდს წააწყდება ბედშავი, ერთი შეხტება, ამ მუზმუზელა მოჩვენებას გადავახტებიო, იფიქრებს ალბათ, ამოვარდება წყლიდან, ვერ კი გადახტება და ზედ ჭილობზე გაიშოთება“.

„მერმე ის მშვენიერი ლედი რა შუაშია?“

„ახლავე გაიგებ, მახა. სამი ჩემი ძიძაშვილი, სამიც მამიჩემისა და შვიდი დეიდაშვილი მერჭულე ავიყოლიე. ბედს შეგყრით-მეთქი, დავპირდი.

ეს იყო იმავე შაბათს, როცა სოვდაგარი თავისი იახტით გავიდა ოჩამჩირიდან. შუაგულ ზღვაში გავედით კეფალის საჭერად.

გამოჩნდა თუ არა იახტა, მე ცურვით გავემართე იახტისაკენ. ერთი კი დავინახე: ჩემი ლედი გემის ბაქანზე იდგა, თოვლივით თეთრი კაბა ეცვა, ხახულის ღვთისმშობელს ჰგავდა. მერმე ზურგულად ცურვა და ღრიალი მოვრთე ჩაბალახით თავშებურვილმა: ვინ ხარ მამაცი, მიშველეთ-მეთქი, ვყვიროდი.

იახტა შეაყენეს. ტრაპზე ამიყვანეს. ამასობაში ჩემიანებიც ამოცვივდნენ იახტის ტრაპზე. სატევრები ვიძვრეთ, ხელები მაღლა ავაწევინეთ ყველას, ვინც ზეზე დაგვხვდა.

მე აროდეს დავშვრები სატევრის ქებით. თუ სატევრიანი ახლოს მოგეჭრა, რევოლვერი კი არა, ზარბაზანიც რომ გეკიდოს, ვერას გიშველის, მახარია.

მამაკაცები შევკოჭეთ მე ლედი წავიყვანე და დანარჩენმა თორმეტმა გემზე მყოფი ქალები დაირიგა. განაგონი მქონდა: თემურ ლენგს ასე სჩვეოდაო, ქმრებს ომში დაამარცხებდაო, გაათოკინებდა, შემდეგ ფიცრებს ზედ დააწყობინებდა, მერმე მომეტებული სიამით მისდგებოდაო მათ ცოლებს.

მეც თემურისებური ნეტარება ვიგრძენი, როცა ის ღიპიანი ინგლისელი კაიუტის ნარს ქვეშ შევაგდებინე, მერმე მოვკიდე ხელი იმ მშვენიერ ლედის და ოჰ, ნუ მათქმევინებ, თუ სადმე სამოთხეა ამ წყეულ ქვეყანაზე, ეს მაშინ ვიგრძენი ჩემს სიცოცხლეში პირველად. ვგონებ, პირველად და უკანასკნელად.

შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ, ბიძი. მერმე მომიგონებ. ცხოვრებაში ერთხელ ხელში მოგხვდება ისეთი ქალი, რომელიც ბედნიერების ერთადერთი სასწაულია, მაგრამ ახალგაზრდული სიშლეგის ან უბედურების გამო ხელს დააცდენ და მერმე მთელი სიცოცხლე იმ ქალზე მოგონებად იქცევა. მოგონებად და სინანულად.

შემდეგ ამისა, სკივრები გავახსნევინეთ და დედიშობილა გავუშვით. შტუცერებიც თან წამოვიღეთ და ერთ-ერთი შტუცერი, მათთვის წართმეული, ახლაც აგდია ჩემს სახლში. ბარე ორასი ღორი მომიკლავს იმ შტუცერით“.

ესა სთქვა გვანჯ აფაქიძემ და ილორის ტაძრის შავი სილუეტი გამოჩნდა ცის ფონზე.

თარაშ ემხვარ აკვირდებოდა მთლად გაშავებულ ტაძრის სილუეტს.

იგი შორიდან სტკბებოდა ამ ძველთაძველი ხუროთმოძღვრების ნიმუშით. გამხმარი გოლიათური ცაცხვების შტოები ისე მოსჩანდნენ-ცისა და ზღვის ფონზე, როგორც თავქვეჩარჭობილი გველეშაპების ჩონჩხები. გვანჯ აფაქიძეც შესცქეროდა ილორის ტაძარს. სდუმდა, შესცქეროდა, მაგრამ არას ამბობდა. ძაღლების უნიათო წკავწკავი აყრუებდა გარემოს. მთელი სოფელი აამტუტა შარაგზებზე გამოჩენილ ცხენების თქარათქურმა.

„ესეც კაი მაგარი აბრაგი იყო“... შენიშნა გვანჯ აფაქიძემ.

„ვინ ეს?“ შეეკითხა თარაშ ემხვარ.

„ილორის წმინდა გიორგი“.

„როგორ თუ აბრაგი?“

„ილორის წმინდა გიორგი უძლიერესი ფეოდალი იყო მთელს აფხაზეთსა და საჭყოინდოში. დღესაც მოდიან მლოცველები, ურმებსა და ცხენებს ხომ ხედავ ეგერ, ცაცხვებს ქვეშ დაბანაკებულ ხალხს, ის ციკნებიც ახლად მოყვანილია. ბოლშევიკები ღმერთსაც იმსახურებენ, მახა.

იმ ციკნებს ოჩამჩირეში აგზავნიან და უპატრონო ბავშვებს კვებავენ. ჩვენმა დრომ დამარწმუნა, რომ ღმერთზე უფრო ძლიერი კაცი ყოფილა თურმე. თუ კაცმა მოინდომა, ღმერთს როგორც უნდა, ისე გააპამპულებს.

ილორის წმინდა გიორგი მთელს ქვეყანას თავზარსა სცემდა.

ფორთხვით ეცემოდნენ მის ფერხთით ათასები და ათიათასები, იგი იყო მთელი ოდიშისა და აფხაზეთის ჯოგების მტაცებელი, პირსისხლიანი და მრისხანე ბატონი ამა ქვეყნისა. არა მარტო ქუხილის მოისარი, დიდი ხარისპარია და შურისმგებელი. მე მგონია, ჩვენმა დრომ ამაოდ აჰკიდა მარტოოდენ ბედშავ მღვდლებს ეკლესიის ცოდვები.

ყოველ გიორგობისთვის, 23 აპრილის წინა ღამეს საქართველოს უშორეს კუთხიდან მოვაყვანინებდით ხარს, რათა არავის ეცნო ილორის წმინდა გიორგის მიერ მოყვანილი ხარი. ზღვაში ვაბანებდით, ზღვის ქვიშას მოვაყრიდით, მერმე გამოვიდოდა ქადაგი და ყველას დააჯერებდა: წმინდანმა ზღვიდან ამოიყვანაო ხარი.

ერთი ცოდვა მეც მიმიძღვის, სულო... ვიღაც ლაზი მოვიდა ილორში და ასეთი რამე წამოროშა:

„თუ ილორის წმინდა გიორგი მართლა ღმერთია, ჩემი თეთრი ხარი მოიპაროს, აქ მოიყვანოს და მერმე ვირწმუნებო“.

ხალხი ბალღია, თუ შეაგულიანე, იგი ისევე ადვილად ირწმუნებს სასწაულს, როგორც გამოფხიზლდება შემდეგ. დაფაცურდნენ მეხატულენი — მერჭულეს გვარის აზნაურები. ლაზი დაათვრეს, თავისი ხარის ნიშანდობლიობა გამოკითხეს.

აღმოჩნდა: მისი ხარი მთლად თეთრი ყოფილა. სწორედ ასეთი ხარი მოაყვანინეს სვანეთიდან. ჯერ იყო და ლაზი პირქვე დაემხო, ეს ხარი რომ ნახა. მაგრამ დღეობის მეორე დღეს ისევ დაიწყო ბუზღუნი: ჩემს ხარს მარცხენა ყური ჰქონდაო წაჭრილი.

მაშინ გადაწყდა მისი ბედი. იმავ ღამეს გავიტაცეთ ლაზი ჩაბალახით პირაკრული და მეორე დღეს ე მანდ დიდი ცაცხვი რომ მოსჩანს — იმის ფუღუროში იპოვნეს მკვდარი ლაზი, პირში ფოლადის ბოძალი ჰქონდა გარჭობილი... ? მე მგონია, მახა, ხვალ რო ბოლშევიკები აღარ იქნენ, ჩვენ ყველამ ძეგლი უნდა ავუგოთ

მათ, რადგანაც ეს მათ გამოამჟღავნეს კაცობრიობა. შავი და თეთრი სააშკარაოზედ გამოიტანეს, გამოარკვიეს, ვინ ყოფილა მამაცი და ვინ დიაცი. მათ ნიღაბი ჩამოგლიჯეს მატყუარა ღმერთებს, ტრაბახა მეომრებს, ცრუპენტელა ხუცებს და ქარაფშუტა პატრიოტებს.

ეკლესიაში წმინდა გიორგის უშველებელი მშვილდია. ვინც იცის, რამდენი მილიონი ადამიანი გაუტარებიათ იმ მშვილდს ქვეშ ილორის მნათებს. ასე მშვილდს ქვეშ გაატარეს მათ მთელი ქვეყანა. მათ მამა და შვილი ურთიერთს წაჰკიდეს, მეგობარი მეგობარს პირში წაუყენეს და ყველა დაარწმუნეს, რომ მეგობრობა ცარიელი ტრაბახი ყოფილა. მათ სახატები დააცარიელეს, ხუცები დაკრიჭეს და ხატები მუზეუმებს გადაულოცეს. ეს კაია, შენს გაზრდას, კაი, მაგრამ ჩემთვის ეს ყველაფერი გვიანაა. ცა რისხვით მობრუნდა ჩემს თავზე და აწი სიკვდილი თუ გამატარებს თავის მშვილდს ქვეშ“.

ესა სთქვა გვანჯ აფაქიძემ და ღია ჭიშკარში შეაჯირითა ცხენი.

თარაშ ემხვარმა განზე მიიხედა: ჭიშკართან ჯუჯა კაცის ლანდს მოჰკრა თვალი.

ლუკაია შეიცნო, ცხენი შეაყენა.

„შენ რამ მოგიყვანა აქ, ლუკაია“.

„ჩვენებს მოვყევი“.

„ვინ ჩვენებს?“

„ოქუმელებს“.

ფერისცვალება

ცხენოსნების იმ ჯგუფს, რომელსაც არზაყან და ძაბული მოჰ-ყვებოდნენ ილორში შესვლამდის, თამარ შარვაშიძე მიუძღოდა. თუმცა აფხაზური წესისამებრ, ურიგოა ქალი რომ უძღოდეს ცხე-ნოსნებს (ქალი უკან უნდა მოსდევდეს კავალერს). შარვაშიძეე-ბის წრეში მუდამ ქართულლი ტრადიციები სჭარბობდნენ ძვე-ლაფხაზურს, ამიტომაც თავათ თამარმაც ეს ბუნებრივად ჩასთვა-ლა.

თამარი აროდეს მჯდარა ცხენზე, რადგან იმ ხანებში, როცა დედა და დიდდედა ასაბიებს აიყოლიებდნენ ქორწილებსა და ქე-ლეხებში ცხენით მიმავალნი, თამარი აკვანში იყო; მიუხედავად ამისა, იგი ჩინებულად მართავდა საკმაოდ გულფიცხ მეგრულ იაბოს.

განუზომელი სიხარული მიანიჭა მას ცხენზე ჯდომამ; წარამა-რა წინ გაუსწრებდა თანამგზავრებს და ხუმრობით ეპაექრებოდა ცხენოსნობაში არზაყანს. თამარის სიახლოვით გალაღებული

არზაყან ცას ეწეოდა სიხარულისაგან.

„სად იყავი აქამდის, ასე თუ გიყვარდა ცხენზე ჯდომა?“

„განა ცხოვრება ისეა მოწყობილი, ყოველი სურვილი რომ აისრულოს კაცმა?“

„უნდა ეცადო, ისე მოაწყო შენი ცხოვრება, რომ სურვილებიც იოლად აგიხდეს“.

„ეს სად წაგვიყვანდა მაშინ“...

მცირე ხანს დადუმდნენ ორივენი; კაროლინას და ძაბულის ლაპარაკს მიუგდეს ყური.

ძაბული სჩიოდა: ამის მეტად ცხენზე არ შევჯდებიო.

კაროლინას მოსწონდა ცხენზე ჯდომა, მაგრამ ქალურად არო-დეს შევჯდებიო, ასე ამბობდა, ნანობდა: ხერიპსის სასპორტო კოსტუმი-ჩამეცვაო ნეტავი.

არზაყან თამარს შეეკითხა: „წამოხვალ ოქუმში, კარგი ცხენი რომ გიშოვო?“.

„გააჩნია, შენ რას გიქვია კარგი. არაბიას ან დარდიმანდის და-რი ცხენი რომ მომიყვანო, მე რათ გამომადგება, აი, ახლა რომ ვზივარ, ასეთი“.

დარდიმანდის ხსენებამ თარაში გაახსენა არზაყანს. გაუხარ-და, თარაში რომ არ ახსენა თამარმა და ნასიამოვნები დადუმდა; შემდეგ კი ეს უთხრა:

„სწორედ ამ ცხენს მოგიყვან“.

???

„ოქუმელისაა?“

„მაჩაგვა ეშბას გამოვართვი საშენოდ“.

ამაზე გაჩერდნენ. თამარმა სიტყვა მისცა, აგვისტოს 15-ს ტფი-ლისს მივდივარო, თუ წინა კვირას ცხენს ჩამოიყვან, ოქუმში წაგ-ყვებიო.

გამოირკვა: არზაყანსაც ნდომია ტფილისში წასვლა. ინსტიტუტში საბუთები უნდა წარვადგინოვო.

ძალიან კარგი იქნება სწორედ, თარაშ ემხვარიც მოდის, ვგონებ, ტფილისს და ერთად წავალთო, — ამბობდა თამარი.

თარაში მოდისო? — ეს კი არ მოეწონა არზაყანს. დუმილი არჩია სიტყვის შებრუნებას, სავსებით უმიზეზოდ გაუწყრა არაბიას. თამარი არ ისვენებდა, ილორში შესვლამდის დავეწიოთ თარაშ ემხვარს და გვანჯ აფაქიძეს. არზაყან ძალაუნებურად აჰყვა, რადგან თამარმა მათრახი სწყვიტა თავის ცხენს და წინ გააქანა. არზაყან ზოგავდა თამარს. თავ-კისერს განზრახ უჭერდა არაბიას. კაროლინა და ძაბული სულ მუდამ უკან რჩებოდნენ. წარამარა თოქალთოს გასწორებას მოითხოვდნენ თავიანთ კავალრებისაგან. თამარი წინ მიიწევდა. იცოდა, გვანჯ აფაქიძე და თარაშ ემხვარ წინ იყვნენ წასული. ეს უნდოდა: მეწინავეებს წამოწეოდა და თარაშ ემხვარსაც გასჯიბრებოდა.

ძაბული და კაროლინა კი წარამარა უკან რჩებოდნენ. არზაყანს ერიდებოდა, უცხო მხედრების ამარად რომ დაეტოვებინა ქალები.

თამარი არაჩვეულებრივად გამხიარულდა, კისკისებდა, ხუმრობდა, მათრახს უტყაპუნებდა ისედაც გულფიცხ ცხენს.

როცა ილორის გუმბათი გამოჩნდა ცისკიდურზე, არზაყანს გულზე წაეკიდა უსიტყვო დარდი. მთელი გზა ესაუბრებოდა თამარს. განზრახ ჩამორჩა მეწინავე მხედრებს, რათა მარტო მის სიახლოვეს ყოფილიყო თამარი, მარტო მას გაეგონა მისი ხმა, მარტოოდენ იგი დამტკბარიყო თამარის ხლებით. ასე უზომოდ ბედნიერი იყო არზაყან, თუმცა დოღის შემდეგ ძლიერ დაქანცული იყო, მაგრამ თამარის უეცარმა გახალისებამ დაღლილობა გადაავიწყა.

ასე სჩვევია ქალს. სიხარულის ნექტარს გასმევს უეცრად და

ასევე უეცრად სამსალას გაგირევსო ნექტარში.

ეს გაიფიქრა არზაყანმა და „ილორი, ილორიო“ — წამოსცდა მდუმარედ მიმავალ თამარს.

გაიხედა და თვალი ჰკიდა გაშავებულ გუმბათს ილორის სამრეკლოსას. სავსებით მოუფიქრებლად წამოსცდა არზაყანს: „ილორისათვის ჯვარი კიდევ არ მოუხსნიათ?“

თუმცა ბნელოდა, მაგრამ ილორის ჯვარი მაინც მოსჩანდა ვარსკვლავებით დახუნძლულ ცის ქვეშ.

ჯვარი ახსენა არზაყანმა და თამარმა მკერდზე დაისვა ხელი.

„ვუიმე, დედაჩემო“, — წამოიძახა და ცხენი შეაჩერა; აღვირი ხელიდან გაუვარდა.

არზაყან უსიტყვოდ მიუხვდა, ამ წუთში რომ შეიცნო თამარმა ჯვარის დაკარგვა.

ჩაჰკითხა.

„ვუიმე, დედაჩემო“, ისეთი საწყალობელი ხმით წარმოსთქვა თამარმა, არზაყანს ბოძალივით გაუარა ტკივილმა თხემიდან ტერფამდის, ახლოს მიეჭრა ცხენდაცხენ, მთვარის მილეულ შუქზე ეძებდა მწუხარე ხაზებს მისის სახისა და თამარს ისე მოეღუშა სახე, სატირლად მომზადებულ ბალღსა ჰგავდა ამ წუთში.

ვგონებ, ისიც შენიშნა არზაყანმა: ნიკაპი უტოკავდა დამწუხრებულ თამარს.

არზაყანს ისე ძლიერად შემოენთო გულზე ეს ამბავი, მზად იყო ახლავე ეთქვა თამარისთვის, რომ მისი ჯვარი არ დაკარგულა, რომ ამ წამში შეეძლო მას ფრენჩის ჯიბიდან ამოეღო, ოღონდ თამარი კვლავინდებურად გამხიარულებულიყო. ის-ის იყო დაიძრა გულში შესაფერი სიტყვაც, ძაბული და კაროლინა აქეთ-იქით ამოუდგნენ თამარს, რა მოგივიდაო, ეკითხებოდნენ. კაროლინა ბავშვსავით ეფერებოდა, აშოშმინებდა. ჯვარი სად დაიკარგებოდა, ალბათ კომოდში გექნება შენახული, შენ ხომ დაწოლის წინ

მკერდიდან იხსნი ჯვარს, სასთუმალს ქვეშ ინახავ, მსახური დაშა ნახავდაო უთუოდ, დაშა მრავალი წლის ნაცადი გყავს, თავის დღეში არა მოუპარავს რა და რაღა იმ ჯვარს წაიღებდაო.

თამარი დამშვიდდა, მაგრამ გვანჯ აფაქიძის ეზოში შესვლამდის კრინტიც არ დაუძრავს არც თამარს, არც ძაბულის და არც კაროლინას, რადგან ყველა გრძნობდა, თუ რა მძიმე იქნებოდა თამარისათვის სიკვდილის პირთან მიღწეულ დედის მიერ ნაჩუქარი ჯვარის დაკარგვა.

აფაქიძის სასახლის ეზოში ხალხი ზიმზიმებდა. ძველებურ სათონეებში ცეცხლი გიზგიზებდა. სამზადში ვეღარ დატეულიყვნენ ჩოხააკეცილი ძიძაშვილები, მეზობლები, მოკეთეები და მერჭულეს გვარის ახალგაზრდები. ორასწლიან ცაცხვებს ქვეშ ხუთ ადგილას ენთო ცეცხლი. შამფურებით სწვავდნენ ხარებს და ძუძუთა ხბოებს; ცალკერძ ინდოურები, გოჭები და ახალი ვარიები ტრიალებდნენ, ცხიმი ტკიცინებდა ცეცხლში ჩამოღვენთილი.

ჩაბალახით თავშებურვილი მოხუცი მერიგენი ჯირკვლებზე ისხდნენ, ახალგაზრდების საქმიანობას თვალყურს ადევნებდნენ, ძველ ამბებს იგონებდნენ გულდაწყვეტილი, ძველებური პურობის, ნადიმობის ამბებს. თითქოს გრძნობდნენ: ყოფილი შინაყმების შვილები და შვილიშვილები უკანასკნელად რომ ესწრებოდნენ ბატონკაცურ ქორწილს.

ცაცხვების გადაღმა ხუთასი კაცის ვარაუდით აეშენებიათ სეფა. ახალგაზრდა მერიგეები გამალებული დარბოდნენ. ამ ქორწილში ძველები პურმარილიან გვანჯ აფაქიძეს სდებდნენ უკანასკნელ ამაგს. იცოდნენ, ხვალ-ზეგ მის სასახლეს საავადმყოფოდ აქცევდნენ. ეს თითქოს მარტოოდენ ქორწილი როდი იყო მათთვის, არამედ აფაქიძეების ძველ ოჯახთან გამოთხოვება. მათთვის საყვარელ, ტკბილ დროს ეთხოვებოდნენ მოხუცები, ამრე-

ზილი აწიტებდნენ, ყალიონებს სტენიდნენ ზოგნი, ზოგნიც ქალამნის ჭვინტზე იფერთხავდნენ ჩიბუხებს. ცეცხლის გარშემო დაწყობილ ჯირკვებზე დროული კაცები ისხდნენ; მათ შორის ისეთნიც ერივნენ, დროს გასატარებლად რომ იყვნენ მოსული.

კოლექტივი მოდის და ლოთიანად ვჭამოთო; შორეულ ბობოლებს თავათ მოეყვანათ საკლავები, ჩვენცა ვჭამოთ და სხვებსაც ვუწილადოთო, ასე ამბობდნენ.

ეს ის დრო იყო, როცა უგუნური ბობოლა გლეხები უსაზმნოდ ანადგურებდნენ საქართველოს ჯოგებსა და ფარებს. ახალგაზრდები მოშორებით ზიმზიმებდნენ, უცდიდნენ ახალსა და ახალ ცხენოსნებს, რათა უფროსებისათვის უზანგები ჩამოეწიათ. და აფხაზური წესით როცა ერთი უფროსი კაცი ცხენზე ადის, ან ცხენიდან ჩამოდის, ორმოცი ახალგაზრდაც რომ იყვეს იქვე, ორმოცივე მისცვივდება ცხენს.

და ახალგაზრდები, თავიანთ მხრივ, რაიკომის მდივანს არლანს უმოწმებდნენ პატივისცემას ამგვარს.

ნალიების ქვეშ, ღობეების სარებზე, ხულას, მარნის, ძველებურ საბაზიერო და საამხარო სახლების კაჩხებსა და სვეტებზე ცხენები მიებათ, ცხენები ება ბოსტნების, ხილნარების მესრებსა და ძეწნებზე. ადამიანების ძახილს, ბავშვების ზიმზიმს, სამზად სახლიდან გამოსულ ქალწულების კისკისს ცხენების ჭიხვინი და უცხოთაგან შემკრთალი ძაღლების ყეფა და წკავწკავი ზედ ერთვოდა.

საერთოდ, აფხაზები იშვიათად ხმაურობენ შეყრაში, მაგრამ აქ განა მარტო აფხაზები იყვნენ, არამედ სამურზაყანოს, ოდიშის შორეულ სოფლებიდან მოსულნიც და თორმეტიოდე კაცი ტფილისიდან ჩამოსული; მათ შორის შვიდი ქალაქელი შოფერი და ტრაქტორისტი. მათ აფხაზური პურმარილი მონატრებოდათ, იკვეხოდნენ იდუმალ: აფხაზები და მეგრელები ისე დავათროთ,

რომ გუდურებსავით გადავყაროთ სუფრიდან.

სტუმრების მიღებას, ცხენების ჩამორთმევას, კიბეებზე აყვანას, სკამების მოძებნას, გაუთავებელ „მობრძანდი-დაბრძანდის“, თავაზიან მოკითხვას, სალამს და ქალამს ვეღარ ასდიოდნენ აფაქიძეები და მერჭულენი, ალანიები და არლანები, მალაზონიები და გაანები, ხვიჩიები და გვიჩიები, კიუტები და შელიები, გვანჯ აფაქიძის, მისი ქალ-ვაჟის და ცოლის ძიძაშვილები და მოკეთენი. თუმცა ბნელოდა, მაგრამ ლუკაია ლაბახუას მაინც ყველა ამჩნევდა. იგი შეგნებულად გაურბოდა ახალგაზრდებს. მოუსვენრად დაწრიალებდა და იმ ადგილებს ეტანებოდა, სადაც მოხუცები ჯირკვებზე ისხდნენ, ან რომელიმე ხის ქვეშ დაცუცქულნი ძველ-ძველ ამბებსა და ახალ-ახალ გასაჭირს იგონებდნენ.

ვერსად ისვენებდა ლუკაია ლაბახუა, რადგან ძველები მას არად აგდებდნენ, ახალგაზრდებს ეუცხოვებოდათ გადასულ დროებიდან გადმონატყორცნი სასაცილო გოჯილა. და ასე დაწრიალებდა ამ მთვარიან ღამეში ლუკაია ლაბახუა — ეს ძველი ღამურა ამ ახალ დროში.

მას არც „მობრძანდის“ ეტყოდა ვინმე, არცთუ „დაბრძანდის“, არც „მიირთვის“, არც „როგორ ბრძანდების“. ამიტომ ერიდებოდა იგი შეკრებულებას. რაც უფრო მრავალრიცხოვანი იყო ხალხი მის გარშემო, მით უფრო მძაფრად გრძნობდა იგი მიუსაფრობას (ეს ასე სჩვევია ყოველ მარტოსულს, სულ ერთია, მეფური ბუნების მატარებელი იქნება იგი, თუ გლახაკის ძონძებისა).

ბიჭებმა უყელეს ლუკაია ლაბახუას, მოატყუეს: თარაშ ემხვარ გეძახისო, რადგან იცოდნენ: თარაშ ემხვარ განუზომელად უყვარდა ლუკაიას. მარანში შეიტყუეს. ღვინო შესთავაზეს. ლუკაიამ იუარა. ღვინოს არ ვსვამო.

ღვინოს არა ვსვამო? ეს რა პასუხიაო? თუ ღვინოს არა სვამდი,

ქორწილში რად მოდიოდიო? მაშ ნეფე-დედოფალის ცუდი მეფეხური ყოფილხარო. შენ ამ ოჯახის დაქცევა გნდომიაო?

დედის სული დაიფიცა ლუკაია ლაბახუამ. პურის ნამუსრევი აიღო, ამის მადლმა, ღვინოს არა ვსვამო. დაუმოწმა ბიჭებს აფაქიძის ოჯახისადმი ერთგულება. ვერც ამ ფიცმა უშველა.

„არ გვჯერა, კიდევ დაიფიცე, ლუკაია“, — ჩააცივდნენ. ილორის მადლმა, არა ვსვამო.

„ილორის მადლმაო? ჰაა, ჰა, ჰა“... ხარხარებდნენ ბიჭები. ილორი სადღა არისო, შენი ხარიპარია წმინდა გიორგი გაქცეულაო, ილორს ჯვარი მოვხსენითო და ხატებს ამ დღეებში ტფილისის მუზეუმში გავგზავნითო. ლუკაია ლაბახუამ არც კი იცოდა, რა იყო მუზეუმი, მაგრამ მაინც შეწუხდა, მუხლებში ღონე გამოელია და იქვე ჩაჯდა. მაშინ დააცხრნენ ბიჭები, სავსე ყანწი მიაყენეს. პირველ ყანწს გაუძალდა ლუკაია, მას სიმთვრალე არასოდეს გამოეცადა, ისევე როგორც ქალის სიახლოვე, მაგრამ მეორე და მესამე ყანწი ისე გამოსცალა, მაინცდამაინც დიდი ჯაფა არც კი დასდგომიათ ბიჭებს...

იბორიალა, იბორიალა ლუკაია ლაბახუამ და ძლივს მიაგნო ჭადრის ქვეშ მრგვალ ჯირკვზე წამომსხდარ თამარს, ძაბულის, კაროლინას, არზაყანს და თარაშ ემხვარს. ისინი განმარტოებული ისხდნენ, ხმადაბლა საუბრობდნენ დღევანდელი დოღის გამო, ამბობდნენ: დოღის მსაჯები მიუკერძებელი ვერ აღმოჩნდნენო. საშუალო მარულა კაც ზვამბაიამ აიღო და მალაზონიას მიუსაჯესო, ხოლო მცირე მარულა აბდულაჰ რამაზ-ოღლის ნაცვლად ლაკირბაიასათვის მიუსჯიათო.

თარაშ ემხვარ თამარის გვერდით იჯდა და განმარტოებულად მდგარი ლუკაია რომ შენიშნა, პაპიროსი ამოიღო, ცეცხლი ხომ არ გექნებაო? შეეკითხა ლუკაიას, თუმცა ასანთი ჯიბეში ჰქონდა. ცეცხლი არა მაქვსო, ამბობდა ლუკაია, იქ მივიდეთო. ხელით

ანიშნებდა ცაცხვის ქვეშ გაჩაღებულ კოცონზე, თანაც ძლივს აბრუნებდა ენას და მუხლებიც ეკეცებოდა.

ცაცხვსა და ჭადარს შორის ახალგაზრდები ზიმზიმებდნენ. ლუკაიას არ უნდოდა მათ მოჩვენებოდა. მიუხედავად ამისა, თარაშის მხარმარცხნით მიმავალმა ზურგიდან მოუარა მას. მხარმარჯვნივ ამოუდგა და კერამდის მიასწრო; ღველფი გამოიღო, ცეცხლი მიაწოდა. თარაშმა შენიშნა: ლუკაიას ხელი უკანკალებდა, პირიდან ღვინის სუნი ამოსდიოდა. მიხვდა: ბიჭები უთუოდ შეაწუხებდნენ მთვრალ ლუკაიას, მადლობა უთხრა. იდაყვს ზემოთ მკლავზე წაავლო ხელი, მთელი ეზო გაატარა და ძველ ციხეს მიაშურეს ლუკაია ლაბახუამ და თარაშ ემხვარმა.

ძველთაძველი ზღვისპირა კოშკი ფეოდალისა სანახევროდ დალეწილი იყო: ქონგურები ჯერ კიდევ შერჩენოდა სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედელს, დასავლეთისა სანახევროდ დანგრეულიყო; ამ ნანგრევებზე ლეღვისა და თხილის მოზრდილი ხეები ამოსულიყვნენ, მთავარ ნაგებობის გვერდით ბათმანის დარი მცირე კოშკი იდგა. მას არც კარი უჩანდა და არც ფანჯარა, არცთუ მისასვლელი ან ხვრელი რამ. ერდო სავსებით სწორი იყო. ამ ერდოზედაც ხეები ამოსულიყო ბუჩქოვანი. თარაშ ემხვარმა აქ მოირთხა; ჯირითით, მგზავრობით და ხალხის ზიმზიმით დაქანცულმა ლეღვის ხეს მიაყრდნო ტანი, ნებიერად გასჭიმა სახსრები, დიდხანს მდუმარედ გასცქეროდა მთვარისაგან მოსევადებულ ზღვას.

ზღვა უდრტვინველად სთვლემდა. ასე ეგონებოდა კაცს, ზღვა კი რა, ველი არისო მოლიბრო ჯეჯილით მოსილი. დასავლეთით ფრთაგაშლილ ქერუბიმებსავით ეთეროვანი ღრუბლები უძრავად ეკიდნენ სფეროში და ცის შუაგულიდან მოყოლებული სამხრეთისაკენ, შორს, ვიდრემდის თვალი მისწვდებოდა, გაჭიმუ-

ლიყო თეთრ ეტრატსავით წაგრაგნილი ღრუბელი, თხელი, გამ-ჭვირვალე და მთვარისაგან გაბრწყინებული. ხოლო ჩრდილოე-თისაკენ, ზღვასა და ცას შორის გახიდულიყო ორფრთიანი მრუმე, რომელსაც ისე საოცრად ეტყობოდა ადამიანური ფორმა თავისა, ასე იტყოდი: უზარმაზარი ირიბფრთებიანი სატანა გახირულაო ზღვასა და ცას შორის.

ეძინა ორივეს — ზღვასა და ცას, ლაპლაპებდა შორიდან ზარი-პარია ვარსკვლავი და გამდნარ ოქროს დარად მოკაშკაშე მთვა-რე რძისფერ სინათლეს ათოვდა რულმოდებულ ზღვას.

„რამდენი ხნის იქნება ეს ციხე, აა, ლუკაია?“

ლუკაია კოშკის კიდესთან დაცუცქულიყო. ორივე იდაყვი მუხ-ლისთავებზე დაეყრდნო და ხელისგულები ორივ ლოყაზე მიებჯი-ნა, ისე დალეული, საოცარი მოსჩანდა მთვარის შუქზე, ასე იტყო-დით, ბავშვად ქცეულაო თეთრწვეროსანი მოხუცი. უფრო ზღაპ-რულ კომბლესა ჰგავდა ლუკაია, ვიდრე ადამიანს. უფრო მოჩვე-ნებას, ვიდრე ხორციელს. იგი ზღვას გასცქეროდა ფიქრებში გარ-თული.

„აჰა, რა სთქვი, შურიგე?“ — თავაზიანად შეეკითხა თარაშ ემ-ხვარს.

„მე გეკითხებოდი, ლუკაია, ეს ციხე რამდენი ხნისა იქნება-მეთქი?“

და ეს სიტყვები ისე ხმამაღლა ჩასძახა ყურში თარაშმა ლუკაი-ას, თითქოს ლუკაია მთვრალი კი არა, ყრუ ყოფილიყო.

„ეს კოშკი, შურიგე, ალბათ იმ მთვარესავით ძველია.

დედაჩემი გაყიდეს ამ კოშკში. მე სულ ერთი ციდა ვყოფილ-ვარ, აქედან რომ გამოვუყვანივართ, შურიგე“.

თარაშ ემხვარ დადუმდა.

მართლაცდა, ვინ იცის, ვინ არ ყოფილა ამ კოშკში. ფიქრობდა

იგი. ეგებ ბერძნები აქ ყოფილიყვნენ. იაზონი და მისი მხლებელნი. ალბათ ლაზებს სჭერიათ ოდესმე, მერმე ბიზანტიელებს, ვენეციელებს, ქართველებს და თურქებს. ვინ იცის, რამდენ ერს დაუსერავს იმ ზღვის გული ნიჩბებითა და გემების ჭვინტებით!

თარაშ ემხვარ სიგრძეზე გაიშხვართა კოშკის ზეთავზე.

გულმკერდზე ხელდაჭდობილი შესცქეროდა ხან ზღვასა, ხან ცას, ხან ლუკაიას გადახედავდა. ახლა მას არაფერი უნდოდა სხვა, აქ დარჩენილიყო, ამ ნამცვარევ ამო ბალახის რბილ და სურნელოვან სარეცელზე წამოწოლილი... ბალახი დაცვარული იყო და ალმასის საყურეები კიანთებდნენ ბალახებისა და ველური ყვავილების კლერტოებზე.

ისევ შეეცოდა თარაშს მარტოხელა, დარდიანი მოხუცი და კიდევ გადაუგდო სავსებით უსაზმნო კითხვა. ილორში თუ ყოფილხარო? — ეკითხებოდა.

„ილორში თუ ვყოფილვარო, შურიგე? ილორში შვიდი წელიწადი მნათედ ვიყავი, შურიგე. ჩემი ბატონი აქ სწირავდა წინათ, ვიდრე დეკანოზობას მიიღებდა. ვინ იცის, რამდენ ათას კაცს გადაუვლია ჩემს ზურგზე გიორგობის დღეს“.

„როგორ თუ გადაუვლია, რას ამბობ, ბეჩა, ლუკაია?“

„რას ვამბობ, შურიგე? მე ილორის შეწირული ვიყავი მაშინ.

თავქვე დავემხობოდი ტაძრის შესავალთან, დიდი და მცირე გადამჯეგავდა და ისე შედიოდა ილორში“.

თარაშ ემხვარმა კარგად იცოდა, ასეთი რამ თეთრი გიორგის კულტში რომ შედიოდა, მაგრამ განგებისად გამოკითხავდა ლუკაიას, რათა გაეგო, როგორ განიცდიდა იგი ძველ წამებას ამ ახალ დროში.

„მორწმუნე არა გრძნობს ტკივილს, როცა იგი ღვთაების ზვარაკი გახდება, შურიგე, მაგრამ ჩემმა ცხოვრებამ ისე ჩაიარა, დიდი და მცირე ჩემს ზურგზე გადადიოდა, შურიგე“.

ამბობდა ლუკაია მეგრულად.

თარაშ ემხვარ დაფიქრდა. მართლაც საშინელი სადიზმიაო იმ წამებაში, რომელსაც ღმერთი მოითხოვს თავის მსხვერპლისაგან. იგი გულარეული ფიქრობდა, თუ როგორ მივიდა ქრისტიანობა ადამიანის სისხლის სმის კულტამდის; ან თეთრი გიორგის მონის წამება რად უნდა ყოფილიყო მილლიონების ცხონების საწინდარი.

ფიქრობდა... ფიქრი ფიქრს გამოენთო, როგორც ერთ ფუტკარს გამოუდგება ხოლმე სხვა ათასი, როცა დედაფუტკარი სკას გამოეყოფა. და ასეთ შემთხვევაში თარაშ ემხვარ თვალს ხუჭავდა და თითებს მაგრად დააბჯენდა დახუჭულ თვალებს.

„მე ერთი იგავი უნდა გიამბო ამის გამო, შურიგე“, — დაიწყო ლუკაიამ.

თარაშ გაოცდა. მას არასოდეს სმენია, ლუკაიას რაიმე დალაგებულად რომ მოეთხრო. თვალები გაახილა, ლუკაიას გადახედა. ასე ეგონა: ლუკაიას ფერი უცვლიაო ამ მთვარიან ღამეში, მაგრამ გაიტრუნა და ლუკაიამ განაგრძო.

და ქართულად ამგვარი იყო მის მიერ მეგრულად ნათქვამი იგავი:

„თორმეტი კაცი მდგარა თურმე ერთ მაღალ, ძლიერ მაღალ ხის ქვეშ. მათ შორის თერთმეტი ბრმა ყოფილაო. და ამ ერთმა თვალხილულმა შეამჩნია, ამ ხის ზეთავზე ცისფერი ფრინველი იჯდა, ტურფა რამ ნაკრტენით მოსილი. სახილველად საამური იყო ფრინველი იგი, მაგრამ დანარჩენნი ვეღარ ხედავდნენ შვენებას მისას.

თვალხილული აღუტაცნია იმა ფრინველის შეპყრობის წადილს, მაგრამ ვაგლახად კოჭლი ყოფილა კაცი იგი დედის საშოდანვე.

ხე მაღალი იყო, ქაცვებიანი, არცთუ კიბე სჩანდა სადმე ზედმი-სადგომი. მაშინ უქადაგა კოჭლმა ბრმებს. დაიყოლია, კაცი კაცზე შემდგარიყო და მეთერთმეტე თავათ ზემოქცეოდა.

და როცა კაცი კაცზე შეაყენა თვალხილულმან, მეთერთმეტეს, ფეხზე შეადგა ფეხი. სულ ქვევით, მიწაზე მდგარმა, ზევიდან დათ-ვლით, კაცმა უკანასკნელმა, არ ინდომა თერთმეტივე სულისა ტვირთვა, წაიქცა მაშინ განგებისად კაცი იგი უკანასკნელი და ცოცხალი კიბეც ძირს დაენარცხა. — თვალხილულმა ხელი ააც-დინა იმ საოცარ არსებას, ხის წვერზე შემომჯდარს და ხელშეუვ-ლები გაფრინდა თურმე უცხო იგი ფრინველი“.

რად ამბობ ამას, ლუკაია? — შეეკითხა თარაშ ემხვარ.

„ისე, ჩემთვის ვამბობ, შურიგე“.

ცას ფერი ეცვალა ანაზდეულად, ჩრდილოეთით დაკიდებული მრუმე ღრუბელი უფრო გაშავდა. მდუმარედ იწვა პირაღმა თარაშ ემხვარ და გასცქეროდა, თუ როგორ უჩინარად ეპარებოდა უფ-რო მუქი, თალხი ფერები ნამრუდისფერად ქცეულ ზღვასა და ცას.

სადღა იყო ზღვა, ზღვა უკვე აღარ სჩანდა და მოაგონდა მას აპოკალიპსის სიტყვები: ზღვა უკვე აღარ იყოვო, რომ დაწერილა.

ჯიხვის ყანწები

ნადიმი უკვე დაწყებულიყო, როცა თარაშ ემხვარ სეფაში შემოვიდა. ლუკაია წინასწარ დაითანხმა თან შემოჰყოლოდა, მის გვერდით დამჯდარიყო. უკან მიიხედა: ლუკაია ვეღარ ნახა.

თარაშმა თამარს და კაროლინას შორის მოსძებნა ადგილი. თამარს მხარმარცხნივ ძაბული უჯდა, ძაბულის — არზაყან, თარაშ ემხვარის შემოსვლისას იქ დამსწრე აფხაზები ფეხზე წამოცვივდნენ. ჩალმაზმა მხოლოდ წარბები ზეასწია და საკმაოდ არათავაზიანი მზერა შეაგება მისალმებისას. თამადად თვითონ გვანჯ აფაქიძე დამდგარიყო.

ოქრონეტარი სიტყვები იფრქვეოდა მისი პირისაგან.

„ნამდვილი ლაზი, სახალხო ტრიბუნი და ორატორი დადგებოდა გვანჯ აფაქიძე, თავის დროზე რომ ეზრუნა ამ საქმისათვის“, — უჩურჩულა თარაშ ემხვარმა კაროლინას.

ეს დიპლომატისა და ამოდმოუბარი ორატორის ტიპი, ალბათ კოლხეთის მეფის მალასის დროიდან მოდისო.

მართლაცდა, იშვიათის ოსტატობით ენამზეობდა გვანჯ აფაქიძე. უთუოდ დიდი დარბაისლური თავაზიანობის გამოჩენა სჭიროდა მას, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, როცა იგი ამ მხარეში ცნობილ კომუნისტებს ეხებოდა. ჯერ კიდევ შესავალი სადღეგრძელოების მომსმენიც უთუოდ ასე დაასკვნიდა: ამქვეყნად საზრუნავი გამოლეულაო და თხა და მგელი ერთად საბალახოდ მიუშვიათო. შარდინ ალშიბაიასთვის ბეჭის დათლა მიენდო თამადას. იგი უსიამოდ ასრულებდა ამ მოვალეობას და საერთოდ ფრიად მოწყენილი იყო (ყოველი ყბედი მოიწყენს ხოლმე, როცა მას თამადად, ორატორად, ან თავმჯდომარედ არ აირჩევენ).

არზაყან ძაბულის ართობდა, საჭმელს სთავაზობდა, თამარი მოწყენილი იჯდა. ნაძალადევად იღიმებოდა. თვალის უპეების ჩრდილი დამუქებოდა, თმა გასწეწოდა, ყურს ქვემოთ გადმოვარდნილი კულულები გასჩეჩოდა. ცოტას სჭამდა, უფრო ნაკლებად ლაპარაკობდა. წელში მოდრეკილიყო ოდნავ. თარაშს შემჩნეული ჰქონდა: როცა თამარი უქეიფოდ იყო, პაწია, სულ მთლად პაწია ულვაშები და სირმის დარი ბუსუსები უფრო თვალსაჩინოდ მოუჩანდა ლოყაზე.

თარაშ ემხვარმა ქალებს გადაავლო თვალი. ახალგაზრდანი ფეხზე მდგარნი ემსახურებოდნენ სტუმრებს. დამსხდართა შორის ერთი სავსებით ქერა, თვალმშვენიერი მარშანიას ქალი იჯდა, ისეთი, რომლის მსგავსს იშვიათად შეხვდება კაცი ჩვენს ქვეყანაში. იგი ძლიერ აგონებდა თარაშ ემხვარს იტალიური ქერა მადონების სერიას. მაგრამ თვალთა სილურჯე მისი ოდნავ განსხვავდებოდა იმ ღია ცისფერ თვალების ელვისაგან, ლომბარდიის, რაინის მხარის და შოტლანდიის ქალებს რომ სჩვევიათ ხოლმე.

სუფრის ბოლოს ერთი მეგრელი მანდილოსანი იჯდა, წვრილთვალიანი, მკერდგავსილი, მხრებმორგვალებული. მსახურთა

შორის სამი მეგრელი გოგონა ბრწყინავდა, უბრალოდ, ღარიბულად ეცვათ სამივეს. მათ შორის უფროსს, ნუშისებრ თვალებიან გოგონას მარჯვენა ხელი მის გვერდით მდგარ ჭორფლიან, მწითურ ქალწულისათვის დაედო მხარზე. ფრჩხილები მოვლილი არ ჰქონდა, მაგრამ უთუოდ უკეთესი ხელები არც ჯიოტოს და არც რაფაელის მადონებს არ ექნებოდათ.

მწითური მკერდსავსე სჩანდა, თეძოგანიერი, ეს იყო მხოლოდ, ჭორფლი უჩრდილავდა ფაქიზსა და სალუქ სახეს, სუფრის თავში, თამადის უკან, წითელი ღვინით სავსე სურა ეჭირა გვანჯ აფაქიძის უმცროს ქალს — ზესნას. მას ოდნავ მოყვითანო სახე ჰქონდა, როგორიც არაერთხელ შეგხვდებათ სუბტროპიკულ ქვეყნებში. ნიკაპი ოდნავ გაყოფილი ჰქონდა ზესნას. მიუხედავად ამისა, იგი ხვავრიელ კახურ შემოდგომასა ჰგავდა, სწორედ იმ დროში, როცა ყურძენი, ლეღვი და ატამი მომწიფდება ვენახებში და ჩაფებიდან თქრიალით გადმოდის ბადაგი. სუფრის ბოლოს ოთხი ქალწული იდგა, ტანაშოლტილი, თვალგანიერი, გრძელსახსრიანი, წარბებმომშვილდული. ეტყობოდათ, ნათესავები უნდა ყოფილიყვნენ. ისინი ძლიერ წააგავდნენ ერთ პარტიას ანგელოსებისას უბისას ფრესკების სერიიდან. უმაღლესს და უფროსს მათგანს ხალები ჰქონდა ორივე ლოყაზე, ერთიც შუბლზე. ეს ხალები განსაკუთრებულის ეშხით ანთებდა მის სახეს. კაროლინამ გამოიკითხა: ქარდავას ქალები აღმოჩნდნენ.

ვაჟები მათზე უფრო მოეწონა თარაშ ემხვარს. ერთ ლუხუმელ აფხაზს მისჩერებოდა წარამარა, ჩვიდმეტი წლის ვაჟკაცს, იშვიათად მოხდენილსა და პირმშვენიერს.

„იოსებ ყოვლად მშვენიერს არა ჰგავს?“ ეკითხება მომღიმარე თარაშ კაროლინას.

ლუხუმელი აფხაზი წარამარა დაბორიალებდა სუფრებს შორის, მოხუცების ხელის დაქნევას, თამადის წამყოფს, რომელიმე

სტუმრის ჭირვეულობას აყოლილი.

იგი შველივით დარბოდა ჩოხის კალთებზეაკეცილი. მის მოძრაობაში იმდენი სიმსუბუქე და გრაცია მჟღავნდებოდა, ყოველი ქალი ინატრებდა ეთეროვნებას სხეულის მისისას. მალაღურისფერი ახალოხი ეცვა ამ ჭაბუკს და ლურჯი ჩოხა. სპილოსძვლისვადიანი სატევარი მუხლისთავამდის სწვდებოდა ტანმორჩილს.

კაროლინამაც მიაქცია ამ ვაჟს ყურადღება, სახუმროდ „მურილიოს ბიჭი“ შეარქვა მას; თუმცა ამ „მურილიოს ბიჭს“, მისდა სამწუხაროდ, ევროპელისათვის ძნელად გასატეხი აფხაზური სახელი რქმეოდა.

„ამ ბიჭს ან ალფრედო უნდა ერქვას, ან ჯაკოპო, ან ჯიოვანი“, — ამტკიცებდა კაროლინა.

„მურილიოს ბიჭის“ გვერდით წარამარა დარბოდა მხარბეჭიანი, მაღალკისერიანი მეგრელი ვაჟკაცი, რომელსაც ჯვებეს უძახოდა თამადა. ჯვებეს სწრაფი სიარულისას განიერ შუბლზე უტოკავდა ჭარბად ჩამოღვარული ქერა კულულები. თავის ძალოვანი მხარ-მკლავების, გრძელი ფეხების და, საერთოდ, მდევური აღნაგობის მიუხედავად, უაღრესად ბალღური სახე ჰქონდა, სიკეთით სავსე დიდრონი ცისფერი თვალები და წვრილი ნიკაპი, ბალღური ტუჩები. თაგვისფერი ჩოხა ეცვა ჯვებეს და კომშისფერი ახალოხი. ახალოხის საყელო დამოკლებოდა, და შესაძლოა იგი ნათხოვარიც ყოფილიყო (სამი ღილი გაეწყვიტა მაგარსა და მაღალ კისერს).

მწვადებს არიგებდა რუხჩოხიანი ახოვანი მეგრელი. მას კუროკამეჩსავით ძლიერი ქედი ჰქონდა. უზომოდ განიერი ბეჭები ძლივს ეტეოდნენ მის გაცრეცილ ჩოხაში. თმა შევერცხლოდა სავსებით, შეყრილ შავ წარბებამდის ჩამოსული. ტუტისფერი წვერი მოსავდა და მოშავო ულვაში. ისეთი სათნო და მშვიდი გამომეტყველება ჰქონდა, ხმალამოღებული მტერიც შეტოკდებოდა

მის დანახვაზე.

კაროლინამ ბევრი იცინა იმის გამო, რომ ამ ვეება ვაჟკაცს, თურმე, ხუტუს უძახდნენ. უფრო მეტად გაიოცა, რა გაიგო: ეს დარბაისელი ხუტუ მეთევზე ყოფილაო. ეს კი ყირამალა აყენებსო იმ თეორიას, ვითომცდა პროფესია გავლენას ახდენსო ადამიანზე.

კაროლინამ თარაშის ყურადღება მიაქცია სუფრის ბოლოში მჯდარ ტფილისელ ტრაქტორისტისადმი; მას ფისისფერი თმები ჰქონდა და მზეში გარუჯული სახე. ყოველ სასმისის ხელში აღებისას ფეხზე დგებოდა მუხის კუნძივით დასკვნილი დევკაცი. ლაღი, სწორი შუბლი ამშვენებდა მას და გორგასალის შვილდივით გადრეკილი შავი წარბები. უბრალო, მწვანე ბლუზა ეცვა, მაინც თვალსაჩინო იყო მისი იშვიათი ტანწყობილება. ქართლელი ვაჟკაცის უდრეკელობა მჟღავნდებოდა ენერგიული ნიკაპისა და ღაწვების ირგვლივ.

ტფილისელი ტრაქტორისტები სოსოს უძახოდნენ მას.

„მე მუდამ სანანებელი დამრჩება, მხატვარი რომ ვერ გამოვედი, ამ ტიპებს უთუოდ გადავიტანდი ტილოზე“, — ეუბნება თარაშ კაროლინას.

„მე თქვენ გარწმუნებთ, არც კათოლიკე მისიონერების, არც შევალიე გამბას და არც გაგარინის ალბომების ქართული ტიპები მათთან არარად გამოჩნდებოდა“.

თამადამ ბრძანა და იმ ჭაბუკმა, რომელსაც სოსოს უძახოდნენ ტფილისელები, გრძელი კახური მრავალჟამიერ წამოიწყო. ოციოდე კაცი მღეროდა მასთან ერთად და მთელი სეფა სდუმდა, გულმოდგინედ ისმენდა მათ ღუღუნს. და ეს ხმა ისეთის გუგუნით დადიოდა მთელ სეფაში, როგორც ასკაციანი ხოროს გალობა ჭურებჩადგმულ ქართულ ტაძრებში.“

ახლა აფხაზებმა დაიწყეს დაკოდილის სიმღერა. ტკბილი, საოცარი და ამოდსასმენი. დადუმდნენ აფხაზები და კეისრული დაჰქუხს კოდორელმა ოდიშარებმა, მაღალი, პათეთიური და საზეიმო.

„დალაი, დალაი, მხედრებო, დალაი, დალაი“.

მღეროდნენ ტფილისელი ტრაქტორისტები.

„ერთ რამეს ვამჩნევ მე, როგორც არაქართველი, — ამბობდა კაროლინა.

იტალიის გარდა, მთელს ევროპაში წოდებრივი სხვაობა ეტყობა ხალხის ჯილაგსაც. მაგალითად, გერმანელი გლეხები, რომელთაც თუნდაც სამი თაობის წინათ პროფესია შეუცვლიათ, მაინც განირჩევიან განაზებულ გერმანელ ბარონებისაგან. ასევეა ინგლისსა და სკანდინავიაში“.

„ამ ამბავს ორიოდე საუკუნის წინათ არქანჯელო ლამბერტიმაც მიაქცია ყურადღება, კეთილო ფრაუ“.

ეუბნება თარაშ ემხვარ.

„თუმცა, მე არ ვიტყოდი, თითქოს რაფინირებული სილამაზე ეგზომ კარგი იყოს ნაციისათვის. თქვენ კიდევაც მოგიხდებოდათ ფლანდრული ტლანქი ჯილაგის აღრევა თქვენს ძველსა და გაფაქიზებულ სისხლში“.

ესა სთქვა კაროლინამ და ღვინო მოსვა, ჭიქა არ დაუდგამს, შეხედა თარაშ ემხვარს, თითქოს პირველად ხედავსო, ისე ათვალიერებდა მის თავის ქალას.

თამადა ლაპარაკობდა, თარაშ დადუმდა.

„არა მგონია, ეს მარტოოდენ კლიმატური პირობებით აიხსნებოდეს“.

განაგრძობდა კაროლინა.

„არამც და არამც, კეთილო ფრაუ. აქ უდიდეს როლს თამაშობდა ალბათ ჩვენი პლასტიური ხელოვნება. თქვენ ალბათ იცით, იტალიისა და საფრანგეთის შემდეგ საქართველოს და სომხეთის ფრესკული მხატვრობა უდიდესია მთელს ქრისტიანულ სამყაროში.

ევროპული ხელოვნებათმცოდნეობა სავსებით არ იცნობს მცხეთის, ატენის, ვარძიის, ზარზმის, ბეთანიის, ქაშუეთის, გელათის, დრანდის, ბედიის, ილორის, ხობის, საფარის, სვანეთის და აფხაზეთის უშესანიშნავეს ფრესკებს. შუა საუკუნეში ხელოვნება რელიგიის ხიზანი იყო. ხალხი საუკუნეების განმავლობაში შესცქეროდა ფერწერის უდიდეს ოსტატების მიერ შესრულებულ ფიგურებს. უეჭველია, ეს ყოველივე ქვეშეცნეული ვიზიონერობის ძალით ზეგავლენას ახდენდა ჩვენი ხალხის ტიპიზაციაზე, საუკუნეების მანძილზე მიჰყავდათ ფეხმძიმე ქალები ამ მშვენიერი მადონების საჭვრეტად. და აქ კი, ქრისტიანული ღმერთის ნაცვლად, ხელოვანი ახდენდა ზეგავლენას.

ეს ამბავი ანტიურმა ერებმაც იცოდნენ უთუოდ.

კიპროსის ერთმა მახინჯმა ტირანმა აიძულა თავისი ცოლი, სქესობრივი სიახლოვის წუთებში ბერძნულ ქანდაკებებისათვის ემზირა, ამ გზით ულამაზესი ბავშვები აყოლა თურმე. ტალმუდში მოთხრობილია: ვინმე რაბი იოანე, ქრისტემდის 2000 წლის წინათ, უბრძანებდაო ებრაელ დედებს, ქმრებთან დაწოლამდის აბანო მიეღოთ. რაბი იოანე ულამაზესი მოხუცი ყოფილა თურმე იმდროინდელ იერუსალიმში და იგი აბანოს კარებთან დაჯდებოდა, აიძულებდა დიდხანს ემზირათ მისთვის. ამ გზითო, სწერია ტალმუდში, ისრაელ დედებს ულამაზესი ბალღები ებადებოდათო“.

კაროლინამ გადაიკისკისა. თამარმა შეხედა. სიცილის მიზეზი ჰკითხა. შემდეგ თავათაც მიუგდო ყური თარაშის ნათხრობს.

„დიდი, დიდი ზეგავლენა ჰქონდა ძველბერძენთა თაობების ფიზიკურ აღნაგობაზე საბერძნეთის მოედნებზე აღმართულ ქანდაკებებს. ფიდიასი და პრაქსიტელესი, თუ თავათ უძეოდ გადაგებულან, სამაგიეროდ, ვიზიონერული ძალით ჰქმნიდნენ თავიანთ ნაციის ფიზიკურ მშვენებას. ესპანეთსა და იტალიაში მოგზაურობის დროს თავათ შემინიშნავს; იქაური ქალები და ბავშვები ზედმიწევნით ჰგვანან იმავე ერების ფერწერის დიდოსტატების ფიგურებს. ნეაპოლში, ფლორენციაში, ვერონაში, ვენეციასა და პერუჯიაში ქუჩებში შეხვდები ისეთ ქალებსა და ბავშვებს, ასე გეგონებათ, რაფაელის და ჯიოტოს ფრესკებიდან ჩამოსულანო“.

თარაშის საუბარს ჩალმაზმა და არზაყანმაც მიაქციეს ყურადღება. ისინი თამარის საშუალებით იგებდნენ, თუ რას ამბობდა თარაში. თამარს გერმანული საუბარი კარგად არ ესმოდა, მით უმეტეს, როცა იგი გაბმით მიმდინარეობდა (თამარმა შენიშნა: ერთგვარ უხერხულობას ბადებდა თარაშისა და კაროლინას მხრივ უცხო ენაზე ლაპარაკი). მათ მაგიერ ბოდიშობდა: კაროლინამ არც ქართული და არც აფხაზური კარგად არ იცისო და ამიტომაც თარაში იძულებულია, უცხოურად ელაპარაკოსო.

თამადამ უმცირეს ჭიქებიდან დაიწყო. უკვე ჩაის ჭიქები, ჯამები და ჭინჭილები ჩამოატარეს: აზარფეშებმა ჩამოიარეს და მოზვრის ყანწები მიჰყვა მათ მოთავდნენ მოზვრის ყანწები. ახლა ერთი უშველებელი ჯიხვის რქა „მურილიოს ბიჭს“ მოჰქონდა, ხოლო მეორე — ზესნას, გვანჯ აფაქიძის ქალს. თარაშ ემხვარს მოართვა ზესნამ ეს გაშავებული ჯიხვის რქა, ხოლო „მურილიოს ბიჭმა“ — ჩალმაზს.

ჩალმაზი საერთოდ ერიდებოდა სმას. თამადა მას ზოგავდა, მაგრამ ეს ჯიხვი არლანის ოჯახის ფუძის სადღეგრძელო უნდა ყოფილიყო. ჩალმაზს უმძიმდა უარის თქმა, მით უმეტეს, იგი

გრძნობდა: არენბა არლანი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მას ამ ქორწილში. თავათ არლანს არც ფუძე სწამდა, აღარც სადღეგრძელო, ამიტომაც ადგა და სთხოვა თამადას, ეს ერთი ჯიხვი ეპატიებიათ ჩალმაზისათვის.

თამადა გაჯიქდა, მაგრამ ერთი კი დაიქადა: დედის სულს გეფიცები, ისეთ სადღეგრძელოს მოვიგონებ, ეს ჯიხვი ცერის ფრჩხილზე დაგაკვრევინოთო.

ჩალმაზმა გულარხეინად ჩაიცინა, არზაყანს მიუბრუნდა, ვისი სადღეგრძელო უნდა მოიგონოსო ამ ნათავადარმა, რომ ჩალმაზს ეს ჯიხვი დააცლევინოსო. არზაყანს თავათ გამოცლილი არა ჰქონდა ეს ყანწი, გულით უნდოდა ჩალმაზს დაელია, მაგრამ არ მიეძალა და, როცა ჩალმაზმა უარი თქვა, მანაც არ მიიღო ეს ყანწი.

მეორე ყანწი თარაშ ემხვარს მიაწოდა ზესნამ. იუარა თარაშმა, მაგრამ თამარიცა და კაროლინაც აუხირდნენ: უთუოდ გამოეცალა.

თარაშმა დასცალა და, როცა დაჯდა, ისეთი რყევა შეიცნო, როგორიც ნოემბრის ღამეს გამოეცადა ბისკაის ყურეში გავლისას და ასე ეგონა, თითქოს მის გარშემო ტრიალებდა ეს უშველებელი სეფაც, ეს თამადაც, ეს მაყრებიცა და მდადეებიც, მას ჭირის ოფლი გამოუვიდა შუბლზე, წამსვე აფხაზურ აჯიკას წასწვდა და ხმელი ლავაშის ღეჭვა დაიწყო.

არც კაროლინას ესაუბრებოდა, არც თამარისათვის მიუხედავს, ცალი ხელი ძირს დაუშვა და მაგრად მოეჭიდა სკამს. ასე იჯდა მცირე ხანს და ყურს უგდებდა ტკბილსა და საოცარ მეგრულ სიმღერას.

სი ქოულ ბატა, —

მა დომტალენქო?

გურს გენია მონტებულს

ვეშემწყალენქო?
ჭაოფილ ვორექ,
თოკილ ვორექ,
ვაგომტალენქო.

იწყებდა სუფრის მეორე მხარეზე ანგელოსისპირიანი ზესნა — აფაქიძის ასული. ღვინის, თუთუნის და ხმაურობის ბურანში წასული თარაშ ემხვარ მიჰყავდა ამ სიმღერას, ბორკილებით შეკოჭილ ვაჟკაცის მიერ გამოთქმულს, იმ ბნელ დროებისაკენ, როცა წარჩინებულთა ცოლებთან გამიჯნურებულ რაინდებს ხაჯალურებს უყრიდნენ ხელ-ფეხში.

მღეროდა ზესნა აფაქიძე...

ისე ამოდ გაეღო მარწყვივით წითელი პირი, თარაშის გულში აწკრიალდა ანალოგიის მძებნელი აზრი: სად ენახა მას ასე მშვენივრად გახსნილი ბავშვური ბაგე მწიფე ქალწულისა? ლუკას კრანახის ანგელოსების სერიიდან იყო ეს, თუ რომელიმე ქართული ფრესკიდან?

და როცა ეს სიმღერა გათავდა, მცხეთაში ოქროს კუბო სდგას, ანთია კელაპტარიო...

წამოიწყო სოსომ — ტფილისელმა ტრაქტორისტმა სეფის ბოლოში. და ვაჟკაცური მგრგვინავი ხმით დასძახეს ტფილისელმა შოფერებმა.

თამადამ კიდევ ორიოდე მსუბუქი ფიალა ჩამოატარებინა ზესნას და „მურილიოს ბიჭს“.

გვანჯ აფაქიძეს კახური ცხუნვარება წაჰკიდებოდა სახეზე. სავსებით გახუნებული ახალოხი ეცვა, მაგრამ ქეიფში შევიდა თუ არა, გალამაზდა, დამშვენდა მოხუცი.

იდგა ხშირნაოჭებიანი ბებერი როკი, თავის მდევური აღნაგობით აქეზებდა, ღვინის შეჯიბრში იწვევდა ახალგაზრდებს.

„დედოფალი სადღაა ნეტავი?“ გადაუჩურჩულა კაროლინამ

თამარს.

„რა გვიან გაგახსენდა დედოფალი!“ იცინოდა თამარი.

თანაც განუმარტავდა: დედოფალს, აფხაზური წესისამებრ, სეფაში ყოფნის ნება არა აქვსო; იგი ახლა თავის საამხაროს კუთხეში დგასო და პირისსანახავად მოსულთა მოლოდინშიაო.

„ეს ჩვეულება კიდევ არ მოუშლიათ აფხაზებს?“ იკითხა კაროლინამ. დარბაისლურად წამოდგა გვანჯ აფაქიძე. თავი მოიკატუნა, ერთი ბნელი, გაუნათლებელი კაცი ვარო, ბევრი ჭკუა არ მეკითხებაო, ზოგიერთი შლეგს მეძახისო, მაგრამ არც ისე ბრმა ვარო, გემის ანძა ისლის ღერისაგან ვერ გავარჩიოვო, არც ისე ყრუ ვარო, ლომის ბღავილი კატის კნავილში რომ ამერიოსო.

ამგვარსა და სხვა ამნაირს ამბობდა კიდევ მრავალს. მიკიბულ-მოკიბულად ლაპარაკობდა ბნელმეტყველების გაქნილი ოსტატი. და ენა ჰქონდა ლაზურ დიალექტიკაში გამოცდილ აფაქიძეს ისეთი ამო, ასე იტყოდით: მის სასმენად წყალნიც დადგებიანო.

ასე ლაპარაკობდა ფეხზე მდგარი თამადა, ხელში გავსილი ჯიხვის ყანწი ეჭირა.

სიმღერები შესწყდა, მცირედი ჩქამიც არ ისმოდა დარბაზში. ყველა გაოცებული უსმენდა, არავინ იცოდა: ვისი სადღეგრძელო უნდა ყოფილიყო, ასეთი ბნელი და გრძელი წინასიტყვით წამოწყებული.

მე არა მგონიაო, დაასკვნა თამადამ, ამ სეფაში თუნდაც ერთი კაციც ერიოსო ისეთი შლეგი, ეს სადღეგრძელო რომ არ დალიოსო, თანაც არზაყანისა და ჩალმაზისაკენ გააპარა ირიბი მზერა.

სტალინის სახელის ხსენებისას სრული სიჩუმე ჩამოვარდა სეფაში, ტფილისელმა სოსომ და შოფერებმა კახური გრძელი მრავალჟამიერი დაჰქუხეს. ზესნას და „მურილიოს ბიჭს“ სავსე ყანწები დაჰქონდათ კიდემდის გავსილი.

თარაშს ჯერ კიდევ მხარი შეწყობილი არა ჰქონდა კახურისათვის, ამადაც ასე უცებ მოსწყვიტა მას წელი იმ პირველმა ჯიხვმა.

ხედავდა: ძალიან უხერხული იქნებოდა მისთვის სტალინის სადღეგრძელოს არდალევა. გული ერეოდა, თავბრუ ესხმოდა, არავის შეუმჩნევია, თუ რა სარჩული ჰქონდა ამ წუთში თამადის მიერ სტალინის სადღეგრძელოს წამოწყებას.

ცხადია: გვანჯ აფაქიძეს სტალინისადმი პატივისცემა და სიყვარული ერთი წუთითაც არ გაუვლია გულში. იგი მართლაც კარგად არჩევდა ურთიერთისაგან: „ისლის ღერსა და გემის ანძას“. ისიც იცოდა, რომ სწორედ სტალინის წყალობით აუწერეს მას სახლ-კარი და ხვალ-ზეგ თავის ფეოდალურ სასახლიდან ძველ, დანგრეულ საშინაყმოში გადააგდებდნენ.

მიზეზი აქ სხვა იყო: მას გადაწყვეტილი ჰქონდა, რათაც უნდა დაჯდომოდა, არზაყანი დაეთრო. ქორწილის დაწყებამდის მან შუაკაცები მიუგზავნა არზაყანს: არაბია მიეყიდნა მისი სიძისათვის.

განაგონი მაქვსო: აგვისტოდან ინსტიტუტში შესვლას აპირებო ტფილისში, ცხენს თუ შეელევი, ჩვენ მოგვყიდეო, — არზაყანს გულმა რეჩხი უყო. ახლა კი მიხვდა, თუ რატომ მოსდევდა გვანჯ აფაქიძე არაბიას ასე გამალებით დოღის წინა დღეს. რად ათათბირებდა მას: „ცხენი ფეთიანია და გაგაფუჭებსო“. არზაყანმა თავაზიანი უარი შეუთვალა და უნდოდა იმ წუთშივე გასცლოდა იქაურობას, მაგრამ თამარმა არ დაანება: სხვა არა იყო რა, ნათლიაჩემია და პატივი ეციო მოხუცებულს.

ჰაზარტიანი ნათავადარი მაინც არ ისვენებდა, იცოდა: არზაყანი სვამდა, მაგრამ ჩალმაზის ერიდებოდა. ჩალმაზს სმა არ შეეძლო, ერთი ჯიხვის ყანწი და ათიოდე თასი კისერს მოსტეხდა, მერმე?

მერმე... გვასალიას ბიჭი ამრეზილი იყო მასზედ. გვანჯ აფაქიძემ დაანამუსა ჯოტო, გვასალიას ბიჭი: ღვინოში შეიყოლიე, აფხაზური დუელი — „ხინტკირია“ ვითამაშოთო.

თამარს, თავის ნათლულს, ხელს წაავლებდა გვანჯ აფაქიძე. მთვრალი არზაყან თამარის ეშხით თავს გამოიდებდა, გვასალიას ბიჭი სატევრის წვეტის ორიოდე გოჯს შეუშვებდა არზაყანის მარცხენა ძუძუს ქვეშ.

მერმე, არაბიას უთუოდ მოიცილებდა კაც ზვამბაია, თავის შვილის უბოროტეს დემონს.

ამ სეფიდან ფხიზელს არავის გაუშვებდა გვანჯ აფაქიძე და მრუდე და მართალი ურთიერთში აირეოდა.

ქვეყანამ იცის, აფხაზურ ქორწილში რომ სიკვდილი ხშირი სტუმარია და ასე გამორწყული ჰქონდა გვანჯ აფაქიძეს ყოველივე წინასწარ.

თამადამ წამუყო და ჯიხვის ყანწი მარცხნიდან მარჯვნით შემოატარეს. ასე რომ, უკანასკნელნი ჩალმაზი, არზაყანი და თარაშ ემხვარი დარჩნენ. მთლად უკანასკნელი თარაშ ემხვარი იყო, რადგან თარაშის შემდეგ ვიღაც მარშანიას ქალი იჯდა თამადის გვერდით. ყველა უხმოდ და რიდით სვამდა ამ სადღეგრძელოს.

ჩალმაზს ვინ შესწამებდა სტალინისადმი სიძულვილს? მაგრამ არ იამა. ამ მელაძუამ სტალინის სახელი რად ახსენაო? არ დაელია, არ იქნებოდა.

ადგა. უსიტყვოდ გამოსცალა ჯიხვი, არზაყან ზვამბაიას გადაულოცა. არზაყანს გაუხარდა, ჩალმაზმა რომ უსიტყვოდ დალია. თავათაც ამოსწურა, მარცხენა ცერის ფრჩხილზე დაირეკა გადმობრუნებული ყანწის საპირეთი და თარაშ ემხვარს გადაულოცა.

თარაშ ემხვარ ზეწამოიჭრა, მცირეოდენი მოსვა, სავსებით გაწითლდა, მეტი აღარ შემიძლიაო, მოიბოდიშა და ჯიხვის ყანწი მორიდებულად დაუბრუნა „ანგელოსისპირიან“ ზესნას.

ყველამ იცოდა: თარაშ ემხვარ ჯეროვნად რომ ვერა სვამდა, რადგანაც უცხოურ ღვინოებს იყო ჩვეული.

ისიც ხომ ცნობილია: ვისაც კახური ღვინო ხანგრძლივად არ უსვამს ზედიზედ, იგი გაბმით ვერ დალევს კახურს.

ჩალმაზი თავათ ღვინის სმის ამბავში ჩახედული არ იყო. მან სულ სხვა სარჩული გამოსძებნა თავის გუნებაში. იგი დარწმუნებული იყო:

თარაშ ემხვარმა შეგნებულად არ დალიო სტალინის სადღეგრძელო. უკვე მთვრალი იყო ჩალმაზი, გაჭირვეულდა და ჩააცივდა არზაყანს: „მე ხომ გეუბნებოდი, ეგ შენი ძმობილი დიდი არამზადა ვინმეა-მეთქი“.

ძაბულიმაც გაიგონა ეს, შეეშინდა, ვაითუ ჩალმაზი უარესად გაჭირვეულდეს და ამაღამვე ჩხუბი აუტეხოსო თარაშ ემხვარს; უნდოდა არზაყან გაეფრთხილებინა, მაგრამ სიტყვა ენის წვერზე დაიჭირა. გაახსენდა: არზაყან რომ საშინლად იჭვნეულობდა თარაშ ემხვარის მიმართ — როგორც ყოველი ევროპელი ქალი, კაროლინაც ცნობისა და ცოდნის მოყვარე იყო ფრიად.

სტალინის სახელის ხსენებამ სულ სხვა მხრივ მიმართა მისი გულისყური.

„წაიკითხეთ, ჰერრ ემხვარ, — ეუბნება იგი თარაშს, — „ფრანკფურტერ ცაიტუნგში“ ფელეტონები რომ იყო ამას წინათ სტალინის გამო“

„წავიკითხე, Mirist vollkommen gleichgilting, was die europäischen Flachopfeuber ihn swatzen (ჩემთვის სულ ერთია, ევროპელი ბრტყელთავიანები თუ რას როშავენ). მანდ ბევრი სისულელე სწერია, უფრო მეტი ჟურნალისტური ზღაპარი. ევროპელმა ჟურნალისტებმა ბევრიც რომ იჭორაონ, ერთი რამ ცხადია: ევროპის ვერც დასავლეთი, ვერც აღმოსავლეთი ამჟამად სტალინზე უფრო დიდკაცს ვერ მისცემს ისტორიას“.

„უკანასკნელ ინტერვიუს გამო რას იტყვით?“

„რა აზრი აქვს სტალინის პეტრე დიდთან შედარებას?! ეს იგივეა: დევის ტანი კაცის მკლავით რომ გაზომო. გულწრფელად გითხრათ, მე უხერხულად მივიჩნევდი ამ აზრების საჯაროდ გამოთქმას, რადგან ამჟამად ეგზომ ძლიერი კაცის ქებას უცილოდ ახლავს ერთგვარი პანეგირიკის სუნი.

Aber wollen vir abwarten was wird!..[3]

ეს სულ ერთია, ბოლოს და ბოლოს. შამილი ჟეტონებს ურიგებდაო თურმე თავის მიურიდებს: ვისაც ომის შედეგები წინასწარ დააფიქრებს, იგი უთუოდ ლაჩარიაო, ზედ წერებულა.

ისიც სიცრუეა, თითქოს თოფ-ზარბაზანის მოგონების შემდეგ ვაჟკაცობას გასვლოდეს ყავლი. არც ერთ საუკუნეს ისე არ სჭირვებია გმირული პათოსი, როგორც ჩვენსას. რა ვუყოთ, რომ სტალინს, ცეზარის, ნაპოლეონის და სააკაძის დარად, ხმალი არა ჰკიდია, იგი უხმლო გმირია, თავათ ხმალივით ზემოაწვდილი“.

„მე მგონია, ნაპოლეონს ბევრ რამეში წააგავს სტალინი“. შენიშნა კაროლინამ და გაფცქვნილი ნარინჯი მიაწოდა თარაშ ემხვარს.

„ეს უცილოა: უფროსი ოდენობა უმრწემესით უნდა განიზომოს. ისინი უფრო მეტად ანტიპოდებია. ალექსანდრეს, ცეზარს და ნაპოლეონს გადამეტებული თეატრალობა ახასიათებდათ. როგორ გითხრათ. Eine gewisse Koketterie vor dem Pobel.

კერძოდ, ნაპოლეონს ფრიად მოსწონდა პომპეზური პარადები, ტიულერის რაუტები, ლამაზი ქალების ანტიურაჟი. გულზე ხელების დაკრეფა, დემონიური თვალების ბრიალი... მუდამ ცხენზე იჯდა და ხმლის ვადაზე ხელის გავლება უყვარდა. წარმოუდგენე-

[3] ვნახოთ, მომავალი რას გვიმზადებს.

ლი რამაა ხმლიანი ან გულზე ხელდაჭდობილი სტალინი, ჰამლეტურ პოზაში“.

„ვგონებ, ეს ასეა, მას პოზები არა სჩვევია“. შენიშნა კაროლინამ.

„ნაპოლეონი მთლად პოზა იყო. მასში უთუოდ მჟღავნდებოდა ფრანგულ-იტალიური ქარაფშუტული ყოყლოჩინობა. ამას მათივე პოეტებიც ახსენებენ ხშირად.

ბონოპარტე რევოლიუციის შემდეგ აღორძინებული ევროპული წვრილი ბურჟუაზიის ღმერთი იყო. მაშინდელ ევროპაში მრავალმილლიონიანი პატარა ბონოპარტები ზიმზიმებდნენ. ყოველი ასეთი პატარა ბონოპარტე დიდ ბონოპარტეს ბაძავდა პოზაში, ომახიანობაში, ჩაცმულობაში. და მას ბაძავდნენ არა მარტო მისი მარშლები, არამედ მთელი ევროპის მეფეების, ჰერცოგების, თავადების და პრინცების ლეგიონები. სწორედ ისინი, ვისაც — „მემკვიდრეობით ვირებს“ უწოდებდა იგი.

კაცმა რომა სთქვას, ეს სწორი იყო. ატომისტური თეორიითაც, ყოველი დიდი ორგანიზმი მირიად მცირე სხეულებისაგან შემდგარა მუდამჟამს“.

ჩალმაზს ჯიხვის ყანწის გამოცლის შემდეგ ცალი ყური თარაშ ემხვარისაკენ ეჭირა. მას გერმანული არ ესმოდა, მაგრამ შენიშნა: სტალინს წარამარა ახსენებდნენ.

თარაშ ემხვარმა სტალინის სადღეგრძელო რომ არ დალია, მისთვის ცხადი იყო: ვიღაც გერმანელი ქალი და ნათავადარი ემხვარი კეთილად არ ახსენებდნენ სტალინს. იგი მთვრალი იყო. ბუნებით თავდაჭერილს სული კბილით ეჭირა და, როცა მისი გვარიც ახსენა თარაშ ემხვარმა, ჩალმაზი სავსებით დარწმუნდა, რომ ისინი მასაც აძაგებდნენ. ჩალმაზი აენთო. მღელვარების გასაფანტავად მცირეოდენი ღვინო მოსვა.

„ნაპოლეონში გალური ყოყლოჩინობა ზომაზე მეტი იყო, — განაგრძო თარაშმა, — ჩვენებური ვაჟკაცობის წესია: ხამს ვაჟკაცი ისევე არ იმჩნევდეს თავის ვაჟკაცობას, როგორც ლამაზი დიაცი თავის მშვენებას. ნაპოლეონის ომები ლაიპციგში, იენაში, შარლერუასა და ბოროდინოში თეატრალურ ილლუმინაციებს წაგავდა. სტალინი მთელი ქვეყნისაგან დაფარულად იხდის ალბათ ამათზე უმძიმეს ომებს თავის მარტივად მორთულ სამუშაო ოთახში. ჯერ ჩვენ სავსებით ვერ დავინახავთ მის სიდიდეს, რადგან ბევრი რამ არ ვიცით. ან ვის შეუძლია მყინვარის სიდიადის შენიშვნა, უკეთუ ახლოს მიეჭრა მას?!“

„თქვენ როგორ გგონიათ, ჰერრ ემხვარ, ქართველები უთუოდ იამაყებენ მისი სახელით?“

„მე ვფიქრობ, კეთილო ფრაუ, ჭკვათამყოფელნი ქართველთა შორის, უთუოდ ამაყობენ კიდევაც, რომ ის ქართველი კაცია.

პატარა ერებს დიდი ცივილიზაციური ტექნიკის მოცემა ოროდეს შესძლებიათ. მათ ეს შესძლებიათ მუდამ: პოლიტიკის დიდი თავკაცების, დიდი სარდლების და პოეტების მოცემა. მე დარწმუნებული ვარ, ვერც ერთი მრავალრიცხოვანი ერი ჰომერს, ალექსანდრეს და პლატონს ვერ მოგვცემდა“.

„კი, მაგრამ“... და კაროლინამ ვერ მოასწრო წინადადების გათავება. თამადამ მყუდროება მოითხოვა. შარდინ ალშიბაიას მისცა სიტყვა. შარდინმა დიდხანს იბრძოლა. შემდეგ სიტყვა მიუგდეს და მოჰყვა შარდინ ალშიბაია გაუთავებელ ალილუიას. მას არ ესმოდა, რომ დიდკაცის ქებაც ვერ გამოისყიდის უნიჭო ლაპარაკს. და არც ის გაეგებოდა, რომ ისეთი ბრძენნიც არიან ქვეყნად, რომელთაც არც ბრძნული რამ უთქვამთ ოდესმე, არც გაუკეთებიათ, მაგრამ ბრძენის სახელი მოუხვეჭნიათ, რადგანაც თავიანთ სისულელის გამხელას, დუმილს არჩევენ მუდამ.

„ერთი დიდი კაცი მთელს ერს უდრის ხანდახან. და ისტორიაში ისეთი მომენტიც დგება, რომ იმ კაცის გამარჯვებაზე ჰკიდია მთელი ერის პრესტიჟი“.

განაგრძო თარაშმა.

„სამწუხაროდ, მე მწერალი არ გახლავართ, მაგრამ ყოველივეს ესთეტის თვალით შევცქერი. თუმცა, უნდა გამოგიტყდეთ, მე მძაგს კიდევაც ხელობით პოეტები და ხელობით ესთეტები.

ადამიანზე უფრო უცნაური, მაღალი და მშვენიერი არარა არის ამ უცნაურ დედამიწაზე. მე, პირადად, ყველგან ორ რამეს ვაფასებ: ძლიერებას და მშვენიერებას. ძლიერი არ შეიძლება მშვენიერი არ იქნეს. ნაპოლეონმა ხმლით დაიპყრო გერმანეთი, უშესანიშნავესი ლექსები სწორედ გერმანელებმა უძღვნეს ბონაპარტეს. დიდი კაცისთვის თვალყურისდევნება ბუნების სტიქიონის მზერასავით საამურია. ჩვენ რომ შეგვეძლოს ვულკანის ერუპციას ან სხვა პლანეტების მეწყერების უვნებლად ვუმზიროთ, ვუმზიროთ და თანაც ვიცოდეთ, ეს ჩვენ ვერას გვავნებს, გაგიხარიათ, ეს დიდი სეირი იქნებოდა. ის გრიგალები, რომელიც სტალინმა აღძრა, ყოველ ჩვენგანს ეხება, უცილოდ. ზოგს ცეცხლის თქეში ანადგურებს, ზოგსაც ვეება ბელტები ეცემა, ზოგი ისრისება, ზოგი ნადგურდება, ამიტომაც მრავალთაგან მრავალს მისი ეშინია, მრავალზე უმრავლესს უყვარს იგი.

ალბათ რომის პაპმა ათასგზის ჯვარს გადასცა ეს „ანტიქრისტე“. კენტერბერიისა და კელნის ქორეპისკოპოსებმა მრავალგზის „შეაჩვენეს“ იგი უთუოდ. და მის სახელის ხსენებაზე ყოველდღე ზანზარებენ ევროპის და ამერიკის მეფეების, ბანკირების, ნავთის, ნახშირის, პურის და ოქროს მაგნატების ვილლების ფანჯრები“.

ნიღაბი თეთრი და ნიღაბი წითელი

სტალინის სადღეგრძელოთი შეჰკოჭა და გააერთიანა თამადამ სუფრა. თამადა გველივით ბრძენი იყო. იცოდა: რაიმე ფრიად სერიოზული მოსაწყენია ხანგრძლივად. თვალი ჩაუკრა გვასალიას ბიჭს და ცეკვა დაიწყეს. გამოვიდა პირმშვენიერი ზესნა, გაშალა მკლავები და დაფარფატდა წრეში. ცეკვავდა ზესნა და მისი მარწყვისფერი პირი ღიმილს გაეხლიჩა უცნაურს.

დარიალებდა ზესნა მოჯადოებულ წრეში, აღიზიანებდა ვაჟკაცებს თეძოების სისავსით და გათქვირული მკერდის ნელი შეტოკებითაც, მაშინ ჯოტომ, გვასალიას ბიჭმა, ხელი წაავლო ჯვებეს, თაგვისფერ ჩოხიანს. გაშალა თავის დევკაცური მკლავები ჯვებემ და გაუსვა გრძელი და წვრილი ფეხები. ჯერ იყო და ლეგა ძერასავით მისდევდა გოგვით მიმავალ ანგელოსისპირიან ზესნას, მაგრამ ზესნა გაურბოდა, ცეკვისაგან ოდნავ წამოწითლებული, კეკლუცად, კოკეტურად განზე იწეოდა: მივრბივარ, მივჰქრივარ, ვეღარ დამეწევიო.

აიმღვრეოდა ვაჟკაცი და გახელდებოდა. წამოეწეოდა ზესნას ანგელოსისპირიანს. გეგონებოდათ ხელს წაავლებსო, მოკრძალებულად შეხედავდა და მაშინ ზესნა გაინაბებოდა, როგორც ძერას კლანჭებში მომხვდარი ონაგა. ცოტა ხანს ცეკვავდა მის სიახლოვეს და შემდეგ მარდად გაუძვრებოდა აწეულ მკლავს ქვეშ.

გაწითლდა უარესად ზესნა, როცა ტაშმა დაიგრიალა ირგვლივ და ცეკვის მოთავებისას ხელი ჩამოართვა ჯვებემ.

ერთმა უნიათო წყვილმა ჩამოუარა. საზოგადოებას მოსწყინდა.

ახლა თამარს შეუჩნდა გვასალიას ბიჭი. არზაყან ამრეზილი შესცქეროდა გვასალიას ბიჭს, რადგან იგი ძალიან ახლოს მიეჭრა თამარს. სახე სახესთან მიუტანა, მკლავზე ხელი წაავლო, ისიც შეამჩნია არზაყანმა, თუ როგორ გაუწითლდა მაჯა თამარს, გვასალიას ბიჭის მიერ ხელწანავლები. თამარი უარზე იდგა, მთელი სუფრა ამჩნევდა მოწყენას შარვაშიძის ქალს, ამიტომაც მთელი სეფა ევედრებოდა: ეცეკვნა. შოფერები ჭიქებს აწკარუნებდნენ, ვაჟები და ქალები ტაშს უკრავდნენ.

ადგა თამადა, მივიდა, შუბლზე აკოცა თავის ნათლულს. ევედრა, ეხვეწა, მამა დააფიცა, ხერიპსი, საყვარელი ძმა. თამარ უარზე იყო, ემუდარებოდა ნათლიას: თავი მტკივა, ნუ მაცეკვებო, მაგრამ თამადა არ მოეშვა, და რა შენიშნა ნამეტნავად გაჯიქდა თამარი, დედაშენის, ჯახანას სულს გაფიცებ, იცეკვეო.

ადგა შარვაშიძის ქალი და შეიქნა ტაშის გრიალი. მეტაშეთა შორის მრავალი იყო შარვაშიძეების ნაყმევი, რომელთაც ამ გვარის ხსენებაც სძაგდათ, მაგრამ მაინც ტაშს უკრავდნენ აღტაცებულნი.

გამოვიდა თამარი, მშვიდი და მწყაზარი, შემოიარა წრე მთვარეულსავით ფერგამკრთალმა. ცეკვავდა ტანკენარი თამარი;

ელამუნებოდნენ მის ქალწულურ თეძოებს ულოსავით დაგრეხილი მძიმე ნაწნავები.

დაგოგავდა კაბის ქუბებს ქვეშ ორი, პაწია მტრედის ხუნდი. ნელ-ნელა შედიოდა ცეკვის აზარტში ქალი.

არის ერთი ფრესკა მცხეთის ტაძარში, სამაიას მოცეკვავე ქალები ჰქვია იმ ფრესკას.“

იმ ქალთა შორის ერთია ქართულად თავდახურული, მაღალი, შინდისფერქოშებიანი, თავი ოდნავ ზეაწეული აქვს და თვალებზე მცირე რამ ბლონდი აქვს აკრული; ისეთი, როგორიც ვენეციელ ქალებს შუა საუკუნეებში ნიღაბის ნაცვლად სჩვეოდათ. იმ შინდისფერქოშებიან ქალს ჰგავდა თამარი, როდესაც თავს ზეასწევდა, წამწამებს დახრიდა და ჩრდილი ადგებოდა მოცეკვავეს თვალებზე, შორიდან უთუოდ ეგონებოდა მომზერალს: თითქოს ნიღაბად ბლონდი რამ აქვსო.

წრეს უვლიდა თამარი, თითქოს ოცნებას აჰყოლიაო და ბედის საძებრად მიდისო თვალახვეული. და ისე მსუბუქად სწევდა ზევით ხელს, თითქოს ხელები კი არა, ფრთები გამოსხმიაო და ეს ეთეროვანი სხეული დაჰქროდა, დარიალებდა წრეში, ბურანში გართულ მთვარეულსავით შეუფაკლდა ოდნავ გამკრთალი ღაწვები. აჩქარდა რიტმი, ფარფატით, რიალით დაჰქროდა, თითქოს ვნებისაგან თავბრუ დაესხაო.

ახლა ოდნავ შეანელა ცეკვა. თითქოს ვიღაცას შეავლო თვალი, ზეასწია გრძელი და ხშირი წამწამები, მიაშტერა სივრცეს ზღვისფერი თვალები, იღიმოდა ისეთი ბავშვური ღიმილით, თითქოს არც კი იცისო, ბალღი რომ აღარ არის და ყველას ისეთი შთაბეჭდილება ჰქონდა: თავათ ღიმილს შეუსხამსო ხორცი და დაფარფატებსო ღიმილი საქორწინო სეფაში, არავინ გამოდიოდა მასთან საცეკვაოდ, თითქოს ვერავინ ბედავდა მასთან გატოლებას, სილამაზეს დიდებულს ხანდახან სჩვევია: შიშისმომგვრელი

ზეგავლენის მოხდენა. მხოლოდ თავხედი არ ეკრძალება მას ასეთ წუთებში (ამიტომაც ულამაზესი უმამაცესს კი არა, უთავხედესს შეხვდება ხოლმე).

გვასალიას ბიჭი ქალაქში ნათრევი იყო, რა ნახა მოკრძალებული ვაჟკაცები დაფრთხნენო, ადგა და თავათ გაუწოდა თათი ლომის კერძს. ადგა და თავათ დაიწყო ცეკვა.

გვასალიას ბიჭს ნახანჯლარით დამახინჯებული და ისედაც მოკლე ნიკაპი ჰქონდა, კაპუეტსავით მოდრეკილი ცხვირი, ხორბლისფერი, წვრილი თვალები. ოდნავ მოხრილი იყო წელში და ცეკვის დროს იგრიხებოდა (მართლაც მიმინოს ჰგავდა ისეთ წუთებში, როცა მიმინო მწყერს წამოეწევა, მზადაა ჰაერში მალაყა გააკეთოს და ქვევიდან ამოჰკრას ზემავალს ჭანგები).

და მისდევდა გვასალიას ბიჭი წრეში მორიალე თამარს.

ბიწიერებას სჩვევია ასე: გამოუდგება უბიწოს ურცხვად, რათა თავათაც მოეცხოს რამე, ხელები ძირს დაუშვა თამარმა და ცეკვით წაგოგდა განზე. ისევ აღმართა მარჯვენა ზევით. სიზმარივით ხელში შემოადნა კავალერს. გახელებული მიჰქროდა გვასალიას ბიჭი, წაერთოო თითქოს გონების ძალი. წამოეწია დასასრულ და ასე იტყოდით: მკერდში ჩაიკრავს და არ მოეშვებაო.

შესდგა თამარი და ცეკვავდა მორცხვად თავდახრილი, უცებ ასწია თავი და გაუსწორა მშვიდი მზერა კავალერს.

შესცქეროდა, უღიმოდა მწყაზარი.

ეს ასე სჩვევია ხანდახან სილამაზეს, როგორც მზეს, უშუროს და მადლით მოსილს (თანაბრად უღიმის იგი ღირსეულსა და უღირსს, კეთროვანს, უზადოს, უზომოდ წაბილწულს). და აჰა, ერთ წუთში მზერა აარიდა ჭაბუკს, თითქოს შეიცნოო იდუმალი სიმრუშე მისი. ტორტმანით ფარფატით, ტაატით გაფრინდა, გაცქრიალდა და შორიშორს დაიწყო ცეკვა. ისევ გამოუდგა გვასალიას ბიჭი (ისევ წამოეწია ხოხობს ფრთამალი ქორი) და მერმე სულ ახლოს,

გულმკერდთან მიეჭრა მთვრალი და მრუში თვალებით უმზერდა უბიწო ძუძუ-მკერდს.

არზაყანს ბრაზისაგან სახე აერია. ძაბულიმ ეს შეამჩნია, არ კი შეიმჩნია. კაროლინა და თარაშიც გამალებული თვალს ადევნებდნენ. თარაშიც ღელავდა, მაგრამ თავს იკავებდა, პაპიროსს სწევდა მალიმალ. შეეშინდა ერთბაშად: დუმილმა არ გამთქვასო, ლეკურის ცეკვის გამო დაუწყო საუბარი კაროლინას.

ვერც ერთი ევროპელი ქალი ლეკურს და უზუნდარას ვერ იცეკვებსო. ეს უკანასკნელნი მენუეტსა და ვალსებზე უფრო რომანტიულნი არისო. ფოქსტროტი, ტანგო და „დათვური ცეკვა“ ევროპის სნობისტური კულტურის ნაშხეფიაო.

მღეროდნენ ტფილისელი ტრაქტორისტები.

ახლა ფერხული იცეკვეს ჯვარელმა ალანიებმა. ხელები ხელებზე წაავლეს ერთმანეთს. ფეხები როკავდნენ უცნაურ რიტმს აყოლილნი. ერთი ჰყივოდა, წინამძღოლობდა სამეულს. შედრკებოდა წელში გაზნექილი, მუხლისთავს დასცემდა ხანდახან მიწაზე, ხანაც ირიბად გაიწვდიდა ცალ ფეხს, შეტორტმანდებოდა, უკანალს დაჰკრავდა სოხანეს.

შეტოკდებოდნენ სამნივე მყისვე, დაიწყებდნენ აღტყინებულ როკვას. და ასე ერთ ადგილზე როკავდნენ ექსტაზში შესულნი.

და თარაშ ემხვარის ფიქრი მყისვე იმ ბნელ დროს ეწვია, როცა ცოცხალნი წარმართნი როკვით სთელავდნენ მკვდარს.

აკვირდებოდა თარაშ ემხვარ ნაბდის პაჭიჭებიან ფეხების როკვას და ეს ბეწვიანი ფეხები მდევებისას მოაგონებდნენ.

გვასალიას ბიჭი კაროლინას წამოადგა თავზე. ჩიქორთულა რუსულით რაღაცას ეჩურჩულებოდა. ვნებით აღრეული თვალებით დეკოლტეში ჩასცქეროდა, მკლავებზე ელაციცებოდა.

თარაშს შეეცოდა თამარი, მდუმარედ, მოწყენილად მჯდარი.

ერიდებოდა საზოგადოებაში თამართან გამოლაპარაკებას, მაგრამ მთვრალი იყო და წესი დაარღვია.

„რათ სდუმხარ ასე, ნუთუ ვერ ამჩნევ, რომ ეს უხერხულია საზოგადოებაში?“

„მე საზოგადოების აზრს ნაკლებად ვუწევ ანგარიშს, თავი მტკივა, რა ვქნა?“

„ადექი, გავიაროთ ცაცხვებისაკენ“.

„როგორ ცაცხვებისაკენ..?“

„ილორის ეკლესიის ცაცხვებისაკენ“.

„რას ამბობ. თარაშ, ახლა აქედან რომ ავდგეთ, რას იტყვიან?“

„მე შენ გარწმუნებ, მაგ ხალხის აზრს იმ ცაცხვებისათვის ერთხელ თვალის შევლება სჯობია“.

თამარმა იგრძნო, პირუკმობაში რომ დაიჭირეს.

გაიტრუნა და წამწამები ძირს დაუშვა. საკუთარ ხელებს დაეჩერდა, მუხლისთავზე დაწყობილთ. თარაში კი გაებუტა და დადუმდა. თამადამ გვასალიას ბიჭი დაასაქმა.

თარაშმა მოურიდებლად მკლავზე ხელი წაავლო კაროლინას და თამარის გასაგონად ეუბნება:

„ნუთუ არ დაიქანცეთ? ავდგეთ, გავისეირნოთ, ეზოში მშვენიერი მოლია და მთვარიანი ღამე“.

„Gern“[4], მიუგო კაროლინამ და სუფრიდან ადგა.

„ეგებ თამარიც წამოვიდეს?“ — წაილაპარაკა კაროლინამ და თამარს გადახედა. თამარი სდუმდა და თარაშმა დაასწრო: მე მას ვთხოვე და უარი თქვაო.

თამარმა ეს გაიგონა, თავი ძირს დაჰხარა, ისეთი შთაბეჭდილება შეექმნოდა მაცქერალს, თითქოს წინდებს ისწორებსო. თამარს ოდნავ აუჭრელდა თვალი, თითქოს სახსრები მოეშალაო,

[4] სიამოვნებით.

მერმე შუბლზე გადაისვა გაცივებული ხელი და, როცა წელი გამართა, იგრძნო: წელი ეტკინა უზომოდ, სკამის ზურგს მიეყრდნო და დიდხანს, დიდხანს იჯდა ასე გარინდებული. არზაყანმა ეს შენიშნა, მაგრამ არა უთხრა რა და რიგს გარეშე დალია ჭიქაში დარჩენილი ღვინო.

თარაშ და კაროლინა დიდხანს მიდიოდნენ ხმის ამოუღებლად. თარაში გრძნობდა კაროლინას ფაფუკი სხეულის სიახლოვეს. იგი ღელავდა და არას ამბობდა. მიდიოდნენ ორასწლოვან ცაცხვების ჩრდილს ქვეშ და ამ ჩრდილიან არეში მიმავალი თარაში ამჩნევდა: მიწაზე მოხატული ნაქსოვისდარი ფოთლების ჩრდილები ინძრეოდა და მას ისე ეგონა, მიწა ტორტმანობსო მის ფეხებქვეშ.

რომელიღაც ფრინველმა გაიფრთხიალა ცაცხვის შტოებში.

„თქვენ ძლიერ სასტიკად ექცევით თამარს“. ეუბნება კაროლინა თარაშ ემხვარს.

„?? სასტიკად?“

„არა, გამოტყდით, მე თვალყურს გადევნებთ. ცოდვაა თქვენებური ქალი. თქვენ ტირანები ხართ, სულ ერთია, მამა იქნებით, საქმრო თუ ქმარი. თქვენ არ იცით, რა მოითხოვოთ ქალისაგან. თუ თავისუფალი ქცევა გამოიჩინა, კახპააო, იტყვით, თუ თავი შეიკავა, პურიტანიაო და თქვენ გავიწყდებათ, რომ თქვენი ქალები ორ ცეცხლს შორის არიან. აგერ ორიოდე ფეხის ნაბიჯზე ჩადრია და ჰარემი. თქვენ უკიდურესი აზიელის და ევროპელის კაპრიზები ურთიერთში გაქვთ არეული, როცა ქალი საყვარლად გინდათ, მისგან თავისუფალ ქცევას მოითხოვთ, როცა მას ცოლად გაიხდით, მერმე აზიურ კარჩაკეტილობას“.

„რატომ ამბობთ ამას, ფრაუ?“

„აბა, რად არ წამოიყვანეთ ახლა თამარი?“

„გინდოდათ წამომეყვანა?“... ეს უთხრა და სახე სახესთან მიუტანა თარაშმა.

„არა, ჩემთვის სულ ერთია, მაგრამ შევატყვე: მას უნდოდა ჩვენთან წამოსვლა“.

„მე მას ვთხოვე და უარი სთქვა“.

„მან უარი სთქვა მარტოკა წამოსულიყო თქვენთან“.

თარაშ ემხვარს შერცხვა, როცა ამხილეს... ორივენი დადუმდნენ და მაშინ თარაშ ემხვარმა ახლოს, ძალიან ახლოს მიიხუტა კაროლინას მთრთოლვარე ტანი და ასე მიმავალნი გალავანს მიადგნენ სუროთი დაბამბულს. უარეს გარს და ერთ ადგილას მიაგნეს კარისმაგვარ არეს. კაროლინამ ფეხი ვერ ააწვდინა ნანგრევის ფუძეს. თარაშმა ხელში აიტატა და ზედ შესვა, თავათ ისკუპა, გაღმა მოექცა და ისევ აიტატა ხელში კაროლინა, გულზე მიიკრა მისი ჩაქვირითებული მკერდი და ასე ატარა, ვიდრე უშველებელ ლოდს არ მიაგნო ხავსიანს და ზედ დააწვინა კაროლინა.

და გაზაფხულის ღამის სურნელებით გაბრუებულნი დიდხანს იწვნენ და ჰკოცნიდნენ ურთიერთს.

ნამრუდისფერი ცა ზედ ეხურა ილორის მდუმარე სილუეტს, ამ ვეებერთელა კიპაროსებს, მითიურ შავ შანდლების დარად ეკლესიის გარშემო დადგმულს. ერთ მათგანს დააკვირდა თარაში. შუაში გახლეჩოდა წვეტი. ასე აჭრილიყო ცაში უზარმაზარი რქაი სატანისა. და ერთიც გრიგალს დაერისხა, სინორჩიდანვე დაგრაგნილიყო მიწისპირის გასწვრივ და დაღვარჭნილი, დაგრეხილი ტანი აეყარა ცაში.

შესცქეროდა თარაშ ემხვარ ამ ცას, ამ გუმბათს. ამ გუნდის ხეებს, როგორც კი კოცნისაგან იჯერებდა გულს. და როცა ვნება დაცხრა, თარაშმა თავი გადაუწია კაროლინას, ილორის კუპრისფრად გაშავებულ ლანდისაკენ მიახედა.

აკოცა ტუჩებში და ეუბნება: ათასი წელი გადმოგვცქერისო ამ

გუმბათიდან.

ასე უთხრა კაროლინას, მერმე ილორის შავ სილუეტს შეხედა, კიდევ შეხედა და კიდევ აკოცა კაროლინას...

* * *

თავმოდრეკილი იჯდა დამარტოებული თამარი. შეეშინდა: არ შემემჩნესო მოწყენა. ზესნა მოიხმო, უსაზმნო საუბარი დაუწყო.

არზაყან ზედიზედ სცლიდა კვლავ შემობრუნებულ აზარფეშებს, ხიკვებს, ჭინჭილებს და ჩაის ჭიქებს.

ჯერ იყო და გაუხარდა არზაყანს, თარაშ ემხვარ რომ გაეცალა. უნდოდა ამდგარიყო, გვერდს მოჯდომოდა თამარს, მაგრამ ცალკერძ ძაბულის ერიდებოდა, ცალკერძ — ჩალმაზისა. ამასობაში გვასალიას ბიჭი მიეჭრა და ზესნას ამოუდგა გვერდით, ხან ზესნას ელაციცებოდა, ხან კიდევ თამარს. ზესნა სუფრის ბოლოში გაიხმო ვიღაც თმაჭაღარა მანდილოსანმა. გვასალიას ბიჭმა იდროვა, გვერდით მიუჯდა თამარს. თამარს არ იამა, მაგრამ თავი შეიკავა. ხედავდა არზაყან, თუ როგორ მთვრალი იყო გვასალიას ბიჭი. იგი თავს ვერ იკავებდა და დაუცხრომლად ელაციცებოდა თამარს. ტუჩ-პირი მის ყურთან მიჰქონდა. იდუმალად ეჩურჩულებოდა. თამარი განზე იწევდა. გვასალიას ბიჭი მაინც არ ცხრებოდა. ისევ მოიხმო თამარმა ზესნა. თავი მტკივა, სადმე მომასვენეო. წავიდა თამარი და სტუმრებიც აიშალნენ.

* * *

გვანჯ აფაქიძემ მკლავში ხელი წაავლო გვასალიას ბიჭს. გარეთ გაიყვანა თუ არა, მიიხედ-მოიხედა. ირგვლივ მთვარე ანათებდა დაცვარულ მოლს.

„უნდა გითხრა რამე“... ეს უთხრა და ცაცხვის ძირს ჩამოჯდნენ ნამორზე.

„რა იყო, გვანჯ ბატონო?“

„მოგეწონა, ბიჭო?“

„ვიზე ამბობ, გვანჯ ბატონო?“

„ვითომ არ იცი, შენმა გაგლეჯამ“.

„ოო... თამარი? მირონის გოგოა! — მიუგო ქალაქურად გვასალიას ბიჭმა, — ეშმაკს მივყიდი მაგისთვის სულს“.

„ჩემი ნათლული გახლავს“.

„მერმე რა?“

„მერმე და ახლა შენზეა საქმე. სატევარს მაგრად უნდა მოუჭირო ვადაში ხელი“.

„თუ მარტო ესაა, არაფერია, მე ისედაც მწყუროდა არზაყანის სისხლი, ძია გვანჯ. მაგას შევჭამ, მაგ ღორის დასმულს“.

ორივენი სდუმდნენ მცირე ხანს. მამალმა იყივლა მახლობლად.

ფიქრში წასული გვანჯ აფაქიძე შეაკრთო ამ ხმამ, თითქოს ლომის ღრიალი მოესმაო მოულოდნელი.

„ადე, ჩვენს საქმეს ვეწიოთ“.

სეფაში შესულებმა მოცეკვავეთა წრე გაიარეს. ახლა ხინტკირია უნდა ვითამაშოთო, აიჩემა გვანჯ აფაქიძემ. ძაბული არ შორდებოდა არზაყანს. იცოდა, მას ჭირვეულობა სჩვევოდა სიმთვრალეში.

ჩალმაზსაც არად აგდებდა ასეთ წუთებში. ღვინო დავლიოთო კიდევ, ეხვეწებოდა ჩალმაზს და ჰკოცნიდა ტუჩებში. ცუდ გუნებაზე ვარო, ღვინო მასვითო.

გვასალიას ბიჭმა მასრები ამოიღო. თეთრი და შავი მასრები. შავი ვისაც შეხვდეს, იმას შევუხვიოთო თვალები.

ჯვებეს ერგო პირველი შავი.

ჯვებეს თვალი შეუხვიეს და ფარიკაობის დროს გვასალიას ბიჭმა განზრახ გააგდო ხელიდან სატევარი. ახლა ჯოტოს აუხვიეს

თვალი.

წილის ყრა არ მინდა, ვინც ვაჟკაცია, თვალახვეულს მეფარიკაოსო, ყვიროდა თვალახვეული ჯოტო გვასალია.

არზაყან ძაბულის გვერდით იდგა. შეხედა გვასალიას ბიჭს და ხმამაღლა ჩაილაპარაკა: თავპირახვეული უფრო ლამაზი ყოფილაო ჯოტო, ჯოტომ ეს გაიგონა, არზაყანის ხმა შეიცნო.

„ბიჭი ხარ და გამოხვალ, არზაყან. თვალახვეული შეგებმებიო“. ასე იქადნოდა.

არზაყანმა ძაბულის მკლავი შეუშვა. ჯვებესთან მივიდა, უკითხავად ამოაძრო სატევარი და წრე გაარღვია. გვანჯ აფაქიძე ჩალმაზს მიეჭრა: მთვრალია, დაუშალეთ, ნუ ფარიკაობსო. ჩალმაზი სდუმდა უზომოდ ამრეზილი.

ახლა არზაყანთან მივიდა: მე თუ გიყვარდე, სატევარს ხელი უშვიო.

არზაყანმა უკმეხად შეუბღვირა. თვალი ამიხვიეთო, მრისხანედ უბრძანა. გვანჯმა ფრიად განაწყენი სახე მიიღო, მოატანინა ჯვებეს თავისი შინდისფერი ჩაბალახი და მაგრად აუხვია თვალები არზაყანს.

გვასალიას ბიჭს თეთრი აბრეშუმის ჩაბალახით ჰქონდა ახვეული თვალი, ასე რომ, იგი ოდნავ ხედავდა, თუ როგორ მოძრაობდა წითულნიღაბიანის ლანდი. წითელნიღაბიანი და თეთრნიღაბიანი ბრმებსავით დაბორიალობდნენ წრეში.

თეთრნიღაბიანს სატევარი ჯერაც არ ამოეღო, ხელში მასრები ეჭირა და არიკრიკებდა. წითელნიღაბიანი ხმას მისდევდა სატევარამოწვდილი. ძაბულიმ ვეღარ შესძლო ამ ამბის ყურება. მოისაზრა: თამარს გავაღვიძებ, ეგებ თამარმა გააწყოსო რამე.

ბევრი ეძია არზაყანმა ჯოტო და მერმე პირდაპირ გაეშურა მისკენ მდუმარე ლანდი. ჯოტო ხედავდა მომავალ არზაყანს და უცებ გადაყარა მასრები და სატევარი იძრო.

შეებნენ ურთიერთს ჯოტო და არზაყან.

სატევრების წვეტები აწკრიალდნენ (როგორც უეცრად გახმიანებული ძველთაძველი მტრობა). კენტი და ლუწი, კენტი და ლუწი.

კენტი, კენტი.

ლუწი... წკრიალებდნენ სატევრები, ელავდნენ ჰაერში.

თეთრი და წითელი ნიღაბი ეძებდნენ შემთხვევას, ახლოს მიჭრილიყვნენ ურთიერთთან. გვანჯ აფაქიძეს უშველებელი, ძველებური სატევარი ეჭირა ხელში და მეფისტოფელსავით დაბობღავდა წრეში.

შედრკა გვასალიას ბიჭი, აარიდა პირი წითელნიღაბიანს, ნელ-ნელა დაიხია უკან, ამოიძრო გვანჯმა მასრები, ხელში მიაჩეჩა გვასალიას და ისევ დაიწყო მასრების რიკრიკი. არზაყან ოდნავ ტორტმანობდა სიარულისას; მაგრამ მაინც გაცხარებული დაეძებდა მოპირდაპირეს. სიკვდილის სუნი დატრიალდა სეფაში.

ისევ სეფის კუთხეში მიიმწყვდია არზაყანმა ჯოტო გვასალია. ისევ გადაჰყარა გვასალიამ მასრები და ისევ გააშიშვლა თავისი სატევარი. ელავდნენ, წკრიალებდნენ სატევრები და გვასალიას ბიჭი ხედავდა თავის გამსჭვირვალე ჩაბალახიდან, თუ როგორ მოიწევდა მისკენ წითელნიღაბიანი არზაყან.

მოეცარა ხელი არზაყანს, რადგან ისე მძლავრად შემოჰკრა გვასალიას ბიჭმა, კინაღამ ხელიდან არ გაუვარდა სატევარი. მაშინ მოაგონდა არზაყანს, თუ როგორ ეციგლიგებოდა იგი თამარს წეღან და ბრაზმორეულმა კვლავ მიიტანა იერიში. დაწინაურდა გვასალიას ბიჭი, მაგრამ ისევ უკუაქცია იგი არზაყანმა, ახლა თავათ შეუტია, თავათ გადავიდა იერიშზე არზაყან.

აენთო ბრაზისგან ჯოტო, მოიგონა, რომ სწორედ ამ წითელჩაბალახიანმა შეიპყრო იგი შარშანწინ. ორი ნაბიჯი წინ გადმოდგა ზედიზედ ჯოტომ და მისი სატევარი არზაყანს ხანჯლის ვადამდის

მისწვდა. და სეფაში მოგროვილი ხალხი ზარების ხმამ ააზიმზიმა. გიდროვა ჩალმაზმა ამ აურზაურით, წრე გაარღვია, მიეჭრა არზაყანს და ძალით მოჰხადა ჩაბალახი.

რეკავდნენ ილორის ზარებს, სეფა მთვრალი ხალხით იყო გავსილი, ყველას ასე ეგონა: ცეცხლი გაჩენილაო სადღაც.

არლანი ყველაზე გამჭრიახი აღმოჩნდა. მან „მურილიოს ბიჭი“ მოიხმო, ილორის კომკავშირის მდივანი ცავა ახმობინა და დიდხანს ეჩურჩულებოდა სეფის კუთხეში ცავას.

ჯოტო გვასალიას ბიჭი დაწრიალებდა სეფაში, ამაოდ ეძებდა თამარ შარვაშიძეს. როცა დარწმუნდა, რომ იგი უკვე ქალების ოთახში იქნებოდა გასული, აფაქიძის ქალს დაუწყო ძებნა.

ქვესკნელის ბულბულები

იდგა ილორის ჩამოღამებულ სამრეკლოს თაღს ქვეშ ლუკაია ლაბახუა. რეკავდა. გასცქეროდა ზღვისკენ გაჭრილ ხმას ზარისას; თითქოს ხმა როდი ყოფილიყო ეს, არამედ უზარმაზარი შავფრთიანი ფრინველი.

გრუხუნით მიჰქროდა ილორის დიდი ზარის გრიალი სივრცეში.

ბარბაცით, ტორტმანით, ბუბუნით მიგელავდა მთვრალი, თავაწყვეტილი დევი, ხევსა და ხევს შორის გახმიანებული. იარა ასე, თითქოს მიგორავსო დანჯღრეული რონოდა და ერთბაშად დაიხრჩო ზღვაში.

კიდევ მოზიდა თოკი ლუკაია ლაბახუამ. მეორე უფრო ძლიერი აღმოჩნდა; არ ელოდაო თითქოს ეს ზარი შემოკვრას, აზანზარდა და გაიღო ბოლოს სავსებით დანჟღრეული ჟღარუნი.

შესდგა მცირე ხანს ლუკაია, გადახედა ეკლესიის ეზოს. იდ-

გნენ უზარმაზარი დამხმარი ცაცხვები დევების ჩონჩხების დარად. კაცს ეგონებოდა, დამხობიაო ათასრქიან სატანას მოლიბრო ციონი.

თეთრლეგო ღრუბლებს წარეგრაგნა ცა. აქა-იქ კიანთობდნენ ვარსკვლავები.

ქვეყანა ღამის მკერდს მიხუტებოდა. მრუმე, უსახო და არასმთქმელი.

შეინაცვლა ხელი ლუკაია ლაბახუამ, გაუყარა მკლავები თოკებს. დააწყვილა დიდი და უმრწემესი ზარი. ორივენი აზუზუნდნენ ერთად და დაიგრუხუნეს გაზაფხულის მეხისა დარად.

ახლა მესამეს შემოჰკრა ლუკაიამ. მესამემ უფრო კრიალი ხმა გამოსცა. წკრიალით, რიალით, ფრიალით მოედო მძინარე ველს და გაჰკმინდა ანაზდეულად ხმა, თითქოს ვიღაცამ ნიკაპში ამოჰკრაო ხელი.

მერმე დაძმობილდა სამივე ზარა, როგორც სამი ძმა ქართული ზღაპრისა, დევების სამუსრად ცხრა მთას გადაღმა გაჭრილი.

აიშვეს თავი პატარა ზარებმაც (როგორც ხმაწვრილა მადევრებმა, რომელნიც ჯერ მარეკებს მოჰყავდათ თოკით და, როცა ნადირი შეიგულეს ტყის პირად, აუშვეს, მიუსიეს გაქცეულ ტყიურს).

გაიშლიგინა ზარების ერთობლივმა ჟღარუნმა ჭადრების, ცაცხვების ნეშოში, გადაუქროლეს მძინარე სოფელს: გადაეფინა მკერდზე მთვლემარე ზღვას ზარების ერთობლივი ეხო. რეკავდა მთვრალი ლუკაია ლაბახუა, თავათაც არ იცოდა, თუ ვისთვის რეკავდა, და სდრეკდა ცადაქმნილს და აზანზარებდა ზარების ჯარების რახრახი, რაზრაზი...

ბუბუნით, გრიალით, წკრიალით, ვიშვიშით სწეწავდნენ ღამეს მრისხანე ზარები.

არ მოსულიყო ამქვეყნად სინათლე ნეტავი, სიცოცხლე ღამეს

ჰყოლოდა უბეში...

ასე ერჩივნა ლუკაია ლაბახუას. ამიტომაც ბორგავდა. როკავდა. რეკავდა. აქ გაიარა მისმა სიჭაბუკემ, ამ ცაცხვებისა და ჭადრების ჩრდილში.

ილორში ცხოვრება მოაგონდა, მოსაწყენი და გრძელი, როგორც თორმეტი სახარების კითხვა ვნების კვირაში.

ახლა ოქუმი... დეკანოზის ჭირვეულობა... გინება... ლანძღვა და ფეხების ფხანა... ოჰ, ცაო მაღალო, ოჰ, მრუმე ღამევ, წყეულიმც იყავ, ხანგრძლივო სიცოცხლევ! და კრული სიბერე, სხვის სახლში სიბერე... დაცინვა... გვემა... ნარჩენი ულუფა... ოჰ, ცაო მაღალო, ოჰ, მრუმე ღამევ, წყეულიმც იყავ, ხანგრძლივო სიცოცხლევ!

აენთო მის გულში შურისგების გრძნობა. მაგრამ ვისზე იძიოს მერმე მან შური?

ეს ქვეყანაო, — ფიქრობდა ლუკაია, — არ ღირებულაო ნივრის ნაქურცვენად.

ღმერთიო?

რა ღმერთი? დაცლილი ეჩვენა ეს უცნაური მიწაცა და ზღვისფერი ციონიც.

როკავდა, რეკავდა ლუკაია ლაბახუა, რადგანაც ლხენა გამოლეოდა ამქვეყნად. არც არავის უყვარდა, არც არავინ აფასებდა და მეწყერს წაეღო მისი წილი მიწის ნაჭერი. ყველასათვის უცხო და მიუსაფარი იდგა და რეკავდა სამრეკლოს ბნელ თაღს ქვეშ.

ოჰ, ცაო მაღალო, ოჰ, მრუმე ღამევ, წყეულიმც იყავ, ხანგრძლივო სიცოცხლევ!

ამ სიტყვებს უთუოდ ამოიკითხავდით ილორის ზარების უკანასკნელ ჟღარუნში.

ცა ჯერ ქედანისფერი გახდა, მერმე ნელა, სულ ნელა გაერია

ქედანისფერს თეთრლეგო, მერმე აღმოსავლეთისაკენ ოდნავ შეწითლდა და ცა ისეთი გახდა, როგორც ნავთგარეული წყალი.

აივსო ილორის ეკლესიის ეზო კომკავშირელების ლანდებით. ერთმა დაუსტვინა და სამრეკლოს მოაშურეს მყისვე.

მთვრალი ლუკაია განაგრძობდა რეკვას, მაგრამ როგორც კი იგრძნო ახალგაზრდების შემოსევა, თოკებს ხელი შეუშვა და დაიწყო ხითხითი.

თავდაპირველად ისე იცინოდა ლუკაია, თითქოს საფანტი გადააბნიესო უეცრად სარკეზე. მერმე მუცელზე ხელები შემოირტყა, წელში მოიკაკვა და მორთო ხარხარი...

კომკავშირელები მოედვნენ სამრეკლოს და ლუკაია უქუდოდ გარბოდა ზღვისაკენ.

და მერმე აცოცდნენ ახალგაზრდები სამრეკლოს ზეთავზე. ჯერ ილორის დიდ ზარს შემოაცალეს ჯაჭვი.

რახრახით, გრუხუნით წამოვიდა ეს უზარმაზარი მუზარადი. დაეცა სამრეკლოს ქვითკირის ძგიდეზე, აღრიალდა დაჭრილი მდევივით და მერმე ბუბუნით დაეცა მიწაზე.

შემდეგ მეორე ზარა დაუშვეს ძირს, მეორეს მესამე და მეოთხე მოჰყვა და დილამდის ისმოდა მთელს სოფელში, თუ როგორ ღმუოდნენ, ზმუოდნენ, ღრიალებდნენ ილორის ზარები. ისინი ბზრიალით მოჰქროდნენ ჯერ ჰაერში და მერმე შემკრთალი ბღავილით, ჟღრიალით ეცემოდნენ მიწაზე და კიდევ ცოტა ხანს ისმოდა მათი საწყალობელი ხმა, თითქოს ათასეული წლების დანარეკს ინანიებენო.

გამოფარფატდნენ სამრეკლოს თაღებიდან ურიცხვი მღამიობები. ლიცლიცით მოედვნენ საყდრის ეზოს. ისინი საშინელი სისწრაფით დაფარფატებდნენ საყდრის გარშემო, ასე იტყოდით უკანასკნელ ლიტონიას უვლიანო და ასე გრძელდებოდა ამ ბნელე-

თის ბულბულების ფერხული ილორის უძველეს ტაძრის გარშემო, ვიდრემდის მზე არ ამოვიდა და ღამურები ღამეს თან არ გააყოლა.

* * *

თარაშმა გვანჯ აფაქიძის სახლამდე მიაცილა კაროლინა. კაროლინა ეუბნა: აწი ძილისათვის უნდა იფიქროვო. თარაშს ჯერ კიდევ არ გამონელებოდა ღვინო. არ ბარბაცებდა, მაგრამ სხეულზე ღვინის მხურვალება შემონთებოდა, თითქოს სისხლი ვეღარ ეტევაო ძარღვებში, უნდოდა გაქცევა ან ცხენის ჭენება, ან არადა გასულიყო ზღვაში და ცურვით შეჭრილიყო შიგ შუაგულში.

ზღვისკენ გაიხედა: მთვარე ჯერაც არ დამცხრალიყო.

თეთრი ფაიფურის დარი ღრუბლის ნაკუწები ელავდნენ აქაიქ. შორს, ზღვის კიდეზე მებადურების აფრები მკვდრეთით აღმდგარ ლაზარესავით მიმოდიოდნენ (ჯერ იყო, ეს აფრები პირამიდებს ჰგავდნენ შორეულ უდაბნოში უცხო რამ სხივთა თამაშით სახენაცვალი, მერე კი ისინი შესუდრულ სულებს დაემსგავსნენ და გაუჩინარდნენ).

ილორის ეკლესიის ეზოში მობრუნებულს ძილი თავს დაესხა უეცარი. იარა საფლავის ლოდებსა და ძეგლებს შორის და იმავე ხავსიან ლოდზე წამოწვა, სადაც ერთი საათის წინ კაროლინასთან ნებივრობდა.

ზარების ხმამ გამოაღვიძა თარაშ ემხვარ. იგი უსიტყვოდ მიხვდა: ეს ლუკაია უნდა ყოფილიყო. მოძრავ გოჯილასა ჰგავდა სამრეკლოს თაღებს ქვეშ მდგარი ლუკაიას ლანდი.

თარაშ ემხვარის ფიქრი შორეთს გადაჰყვა ზარების ჟღარუნს და ისევ ჩასთვლიმა. როცა კომკავშირელებმა დიდი ზარი ძირს დაუშვეს, იგი შეკრთა, თავი წამოჰყო, მაგრამ ისევ გაინაბა. ამ აურზაურში ერთი რამ შენიშნა თარაშ ემხვარმა: როცა ილორის

ზარები ლეღვის უზარმაზარ ფოთლებსავით ძირს ჩამობერტყეს, ეკლესიის ეზოში მორიალე მღამიობებსა და ზღვის მერცხლებს პატარა, მომწვანო ჩიტი თან გაჰყვა სამრეკლოს გუმბათიდან, მომწვანო კი არა, ნამრუდისფერი.

მღამიობები ჯერ კიდევ ეკლესიის ეზოში დარიალებდნენ, ხოლო ნამრუდისფერმა ჩიტმა ახლად თვალახელილ ზღვას მიაშურა და გაფრინდა შორს...

კარი მეორე

ლირიული ინტერმეცცო

ხომ არ მოგეწყინა, ჩემო მკითხველო?

მეც თავათ მოწყენამ ამაღებინა კალამი ხელში და ვინძლო ჩემმა მოწყენამ შენი გააქარვოს.

ათასზე მეტი ღამეა ვზივარ, ვზივარ და გითხრობ განთიადიდან განთიადამდის.

თამაშითა და ბრძოლით ვწერ ჩემი გმირების თამაშისა და ბრძოლის ამბავს. და ღამეები მიჰქრიან, როგორც ნაბდით დაჭედილი ბედაურები.

სავსებით მარტო ვარ ამ წუთშიაც. მთვარე სამთვარიოში ჩასულა უკვე და მესმის, თუ როგორ ღუღუნებს ჩემი ბინის ელექტრომრიცხველი — ეს ინდუსტრიის ცისფერი მტრედი.

მესმის, თუ როგორ სუნთქავენ, ლაპარაკობენ და მოძრაობენ ჩემივე გმირები ჩემში და განვიცდი უმძიმეს ორსულობას შემოქმედებისას.

ვღელავ და ვძრწი მათ მაგივრად. მათ მაგივრად ვფიქრობ და

ვდარდობ, და ღამეები მიჰქრიან, როგორც ნაბდით დაჭედილი ბედაურები.

ჯერ მეც არ ვიცი, მათ რა მოუვათ. თამარ შარვაშიძე რომელს შეიყვარებს... არზაყან ზვამბაიას თუ თარაშ ემხვარს?

ან არზაყანის გული ვის მიენდობა? სათნო ძაბულის თუ თამარ შარვაშიძეს? ტარიელ შარვაშიძე და კაც ზვამბაია როგორ შეეთვისებიან ახალ დროს? ან ის ბედდამწვარი ლუკაია ლაბახუა როგორ დაასრულებს ცხოვრების ეტლს?

ან გვანჯ აფაქიძე რას მოიმოქმედებს, გვანჯ აფაქიძე — „ქრისტეს ფეხის მკვნეტელი“?

ვზივარ, ამ სტრიქონებს ვწერ, და ღამეები მიჰქრიან, როგორც ნაბდით დაჭედილი ბედაურები...

მკლავი მომექანცა, მეტკინა წელი, ვზივარ და მაინც ვწერ (ჩემი სული ჩემ სხეულზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა).

შევდგები. ჩემს ხელნაწერს ვათვალიერებ.

გაოცებული შევსცქერი ბნელი საუკუნოების საშოში უთარიღოდ წარმოშობილ ფანტასტიურ ჰიეროგლიფებს.

შევსცქერი ქართულ ასოებს და ასე მგონია: მე მათ შორის უნდა ამოვიკითხო-მეთქი ჩემი გმირების უცნაური ბედი.

ანი — ნამგლისთვის მიუმსგავსებია მიწის მოყვარულ ქართველ ხალხს (ამიტომაც შეურქმევიათ „გეორგოს“ ძველბერძნებს ჩვენთვის).

ბანი — ყელმოღერილ სურებს, დოქებს და ჭინჭილებს არა ჰგავს?

განი — ლაგვინებს და ჭურებს (ღვინის მოყვარული ხალხის მონაგონია უთუოდ).

ღ, ყ, ლ, დ — წათებს, წერაქვებს და ჩაქუჩებს. ეს მელითონეთა და რვალის ხუროთა მიერ მონაგონია.

ენის, სანის, ხარის, ნარის, ვინის, ფარის, წილის, ჭარის კლერტოები ლეკურებს, ხმლებს, სატევრებს, წათებს და ხელშუბებს მაგონებს.

აჰა, მოდიან ღეროვანი ასოების ლეგიონები. ისინი ხან ლელივით იკეცებიან, ხანაც ცხენოსანი ჯარის პიკეტებსავით მოემართებიან ამპარტავნად ზეაღმართულნი.

და ამ ჟ—ს, ჭ-ს, ჯ-ს პაწია მარყუჟები ვაზისადმი სიყვარულის ანარეკლია (ამ დიონისურ ქვეყანაში წარმოშობილი).

კლერტო რაესი მონადირე ზომის ტრფიალს გამოხატავს, ირმებისა და ჯიხვების რქებისადმი ტრფიალს.

ეს თავმოდრეკილი დონები, ღანები, ლასები ჩვენს გუთნებს, აჩეჩებს და კავებს მაგონებს.

ხოლო ინი, ინი პირწავარდნილი ნალია ცხენისა. ვინ იცის, ეგებ ცხენოსან ერს თან მოეტანოს იგი მესოპოტამიიდან ომითა და ზათქით წამოსულს. განუსაზღვრელად მახარებს მათი მზერა და მათი დაწერა და ამიტომაც მოცლილ ბალღსავით ვეთამაშები ქართულ ასოებს, და განზრახული მაქვს უთუოდ დავწერო ანბანთა ქება მე ხელმეორედ. სწორედ ამ ასოების მზერისას ხმიანდება ჩემს გულში სახე, ფერი და მოძრაობა.

და მე მაგონდება ბნელი ღამე ატლანტის ოკეანეზე განცდილი ოდესღაც.

როცა ჯერ წყნარი იყო, ნამრუდისფერი, არა, ლილისფერი, აჰ, ლილისფერი კი არა, ნავთგარეულ წყლისა ფერისა. უცებ იელვა და გაფხრიწა ცა ელვათკრთომამ. ადგნენ ზვირთები, აბიბინდნენ და აიქოჩრნენ. ნელის ლაშლაშით შემოერტყნენ მყის ჭვინტს გემისას. ისევ დადუმდა ოკეანე თვალშეუვლები.

ისევ გაუსვა ქარმა ქორის ფრთა და დააწვინა ტალღა ლელივით. ისევ აბორგდნენ, ახმაურდნენ მალი ტალღები, შემოესიენ, შეელეწნენ გემის კიდეებს.

და შეუბღვირა ლეგა ზეცამ ზღვას ფერგადასულს; ცა ისევ გასჭრა ელვათა კრთომამ (ლეკურსა ჰგავდა მარჯვედ მოქნეულს).

არ ვიცი, ღამემ, შემოქნევამ ცეცხლის ლეკურის რა ჩასჩურჩულეს დადუმებულ ზღვას. აზვავდა ტალღა, მას მეორე გამოეკიდა და ყველა მხრიდან წამოვიდნენ ლეგიონები და გაიმართა ტრიამელ ზღვაზე თავაწყვეტილი ტალღათ ჯირითი.

როგორც გაზულუქებული ველური ტახები ტყეში შეჰქმნიან ნავარდს უცნაურს, ზეახტებიან გახურებულნი და შერჩებიან თამაშის დროს მუხის ტანს ეშვით, წამოვიდოდნენ ისევ ტალღები, შეახტებოდნენ გემს გაქანებულს, თავათ ნამცვრევად გადაქცეულნი.

კვლავ მოგვესიენ ბობოქარი ტალღები თქეშით. ზმუოდა ზღვა და ცას სხეპავდა ელვის ლეკური. ქაოსს გაეხსნა ვეშაპის ხახა და ურჩხულების ბობოქარის ლეგიონები მოლაშლაშებდნენ მორეკილნი წყალთ უდაბნოდან. აიმღვრა ცა და ზღვა უფრო აფორიაქდა და ტალღა ტალღას შეაწყდა ბნელში და ურჩხულებად ქცეულნი ზვირთნი ადგნენ, შეასხეს ტვინი მრუმე ცას.

და ასე.

როცა მე მეგონა, მკლავი შესდგაო, როცა ვფიქრობდი, დამეშრიტა გონების ძალი და ფანტაზიას ჩემსას ფრთენი შეეკვეცაო, ენა ქართული — ეს უფსკრული თვალშეუდგამი, ისევ აზღვავდა, ისევ ადგა ამ ჩემს ცხელ სისხლში და წამოვიდნენ სახეები ტალღების დარად. მერმე აზვავდა სისხლი ჩემი და მოქანცული, მდორე გონება თითქოს უეცრად დასხეპაო ელვის ლეკურმა.

მოვსდექ და ისევ შევუტიე ამ უფსკერო ზღვას თვალშეუდგამს და გახელებულს, და კვლავ მომინდა დავსწერო წვრილად მე ქება დიდებულისა ქართულისა ენისაჲ.

ისევე ვზივარ განთიადიდან განთიადამდის, და ღამეები მიჰქრიან, როგორც ნაბდით დაჭედილი ბედაურები...

გარეთ კი ღუღუნებს ელექტრომრიცხველი — ეს ინდუსტრიის ცისფერი მტრედი.

ღორების ნადიმი

ბაბუა ტარიელ თავის ოთახში დაბორიალებდა, ვეღარ ჯდებოდა, ვეღარც წვებოდა, ვეღარც დგებოდა. კაროლინას ოთახსა და თავის საწოლს შორის დადიოდა, რადგან პატარა თათიას ყივანახველა შეჰყროდა.

სწყევლიდა ბაბუა ტარიელ კაროლინას, ბალღი რად დასტოვაო. თავის თავს აგინებდა, ქორწილში რად გავუშვიო, მაგრამ უფრო მეტად ხერიპსს აძაგებდა: ხერიპს რა მამაკაციაო. ცოლს მაგარი ლაგამი თუ არ ამოდევი, უთუოდ ოჯახს დაგიქცევსო. ჯერ უცხო ქალი რა მოსაყვანი იყოვო, მერმე განათლებული. საერთოდ ქალმა იმდენი უნდა იცოდეს, როგორმე სახლი არ დაგიწვასო, სხვა დანარჩენი სისულელეაო. თამარსაც აძაგებდა. იმ დაწყევლილ ემხვარს რომ გადაეკიდა, მას შემდეგ გული საგულეს აღარა აქვსო. ემხვარებს შარვაშიძეების სისხლი მართებთო. ქალი სისხლის მოღალატეაო, ქალი ქვეყანაზე რა გასაჩენი იყოვო, სისხლად ქცეულიყო თამარი, ის მერჩიაო. იწყევლებოდა,

ღმერთს გმობდა ხუცესი. და ასკეცი კრულვით სწყევლიდა ლუკაიას.

ეს ფიქრები ისე ზიმზიმებდნენ მის გულში, როგორც ბუდედამდუღრული კრაზანები.

ხან წამლების კარადასთან მივიდოდა, დიდხანს ეძებდა ბრომის შუშას, ხან ისევ კაროლინას ოთახში შეეხეტებოდა, პატარა თათიას დახედავდა. მსახურს დაშას შეუკურთხებდა, ხანაც სასტუმროში გავიდოდა, თავის ყალიონს ეძებდა ამაოდ.

დაეძებს ყალიონს ბაბუა ტარიელ, სწყევლის თავის სიბერეს, მახსოვრობის წართმევას.

უმწეოდ, უპატრონოდ დასტოვეს ბაბუა ტარიელ და ყველა შემოეცალა.

პატარა თათიას ყივანახველა რომ არ დამართოდა, ალბათ თათიაც ადგებოდა და მეზობლისას წაყვებოდა რუსის გოგოს — დაშას. და სავსებით მარტოდმარტო უნდა დარჩენილიყო ბაბუა ტარიელ ამხელა სახლში და ამ წარმონადგენმა მარტოკა დარჩენამ მას ისე აუჩქროლა გული, თითქოს მართლაც არავინ ყოფილიყო მის მეტი სახლში და მართლაც მეზობლისას წასულიყვნენ დაშაც და თათიაც.

და ერთ წუთში დადუმდა ბაბუა ტარიელ, ყალიონი ნახა, მაგრამ ის უკვე აღარ იცოდა, ეს ამბავი მან წარმოიდგინა თუ მართლაც მოხდა.

შუბლზე ჭირის ოფლი გამოუვიდა ბაბუა ტარიელს, მუხლებში სისუსტე იგრძნო, იქვე სარჩულშემოხეულ ძველ სავარძელში ჩაიკეცა და მორთო ძახილი: „დაშაااااა!“ — არსაიდან ისმოდა პასუხი. გულში უმიზეზოდ გახმიანებული იჭვი გაიზარდა, ცეცხლებრ შემოეგზნო გულზე მარტოობა და ჭირვეულ ბალღსავით კვლავ დაიძახა: „დაშა�ა!“ — ეს უკანასკნელი დაძახება მდუღარეში ჩავარდნილ კაცის ყვირილს უფრო წააგავდა.

უძახოდა ბაბუა ტარიელ დაშას, მაგრამ თავათაც არ იცოდა, თუ რათ უნდოდა ეს დაშა?

ბრაზობდა ბაბუა ტარიელ, აგინებდა კაროლინას: ეს რუსის გომბიო რად მოათრიაო, მე ჩემი ზეხაია უნდა ჩამომეყვანაო კოდორიდან და მან ეს დაშა აიჩემაო. შესაძლოა, ეს დაშა იმადაც უნდოდეს, ეგებ საყვარლებისაგან ბარათები მოჰქონდესო დაშას.

დაშა არაყს სვამსო.

დაშა კახპააო, დაშა ენამრავალიაო და ლანძღავდა თავის გულში ბაბუა ტარიელ დაშას, მის დაუდევრობას, ლოთობას, მრუშობას და დაშას მომყვანს და „გადმომრეკს“ კაროლინას.

„ლემენცებსაც“ გადასწვდა „ჯილაგ გასაწყვეტს“.

ხელდებოდა ბაბუა ტარიელ და უძახოდა დაშას ღონემიხდილი.

ბოლოს, როგორც იქნა, დაშაც გამოჩნდა. მას იღლიამდე წაეკარწახებინა მკლავები. ოფლში გაღვარული იდგა ბაბუა ტარიელ დაშას წინაშე და აქ მოხდა საშინელი სცენა.

ბაბუა ტარიელს რუსული არ ესმოდა, ხოლო დაშას „პურის“, „წყალისა“ და „მოდი-წადის“ მეტი არაფერი გაეგებოდა.

ბაბუა ტარიელს ისე მოეკიდა ბრაზი დაშას დანახვაზე, სულ დაავიწყდა, თუ რისთვის იხმო.

დაშა ეკითხებოდა: რა უნდაო ბატონს.

ბაბუა ტარიელის თვალი დაშას შიშველ მკლავებს მისწვდა, ეს გულმკერდი რომ მოგიღლეტია, საცურაოდ ხომ არ ემზადებიო, ეგებ უეცრად სტუმარი მოვიდესო და მაშინ რას იზამო?

ამგვარსა და სხვა მრავალს ეუბნებოდა და ლანძღავდა დაშას. თანაც ფეხს უბაკუნებდა, შინდის ყავარჯენით ემუქრებოდა.

წადი, წადიო, უყვიროდა: როგორც კი დაშა წასვლას დააპირებდა, ისევ მობრუნდიო უბრძანებდა.

ბოლოს დაშა მოთმინებიდან გამოიყვანა და ატირებული ქალი თათიას ოთახში შევარდა.

ადგა ბაბუა ტარიელ, ძლივს აითრია წელი, ოთახის კარი მაგრად გადარაზა, თავის ფსალმუნს ხელი წამოავლო, პირდაპირ წაიქცა შავ სავარძელზე და ცნობილი ადგილის კითხვა დაიწყო.

„და უცხოეთაგან: იცავ: მონაი: შენი: არა: თუ: მეუფლენ“...

ფურცლავდა ბაბუა ტარიელ ჩალისფერად გამოხუნებულ ფსალმუნის ფურცლებს და დაიწყო თავისი საყვარელი სტრიქონები: „მიწყალე: მე: ღმერთო: რამეთუ დამთრგუნა: მე: კაცმან: მარადღე: ბრძოლითა: მაჭირვა: მე: დამთრგუნეს: მე მტერთა: ჩემთა მარადღე: რამეთუ: მრავალ არიან: რომელნი: მბრძვანან მე“...

ვერც ამ სტრიქონებმა გაუქარვეს ბრაზი. ფურცლავდა ბაბუა ტარიელ თავის ფსალმუნს. ხელები უკანკალებდა. ფურცლავდა, ფურცლავდა, მთლად აერია გვერდები, გამოუცვივდა ისლის ღერები, რომლითაც ფსალმუნი დანიშნული ჰქონდა. ახლა იმ ტიალმა ცრემლმა დანამა სათვალე. მოიხსნა სათვალე ბაბუა ტარიელმა და გასწმინდა. ისევ გაიკეთა, ისევ დაიწყო ფურცვლა და აქ კი შეასვენა თვალი:

„ღმერთო ჩემო, ჰყვენ იგინი, ვითარცა ურმის თვალი და ვითარცა ლერწამი წინაშე პირსა ქარისასა: და ვითარცა ცეცხლმან რა მოწვნის მაღანარნი და ვითარცა ალმან: რომელმაც შეწვნის მთანი: ეგრე სდევნნე იგინი ნიავქარითა და რისხვითა შენითა შეაძრწუნე იგინი“.

და ამ „იგინის“ ქვეშ ყველას გულისხმობდა იგი: თარაშ ემხვარს, კაროლინას, დაშას, ბოლშევიკებს, ლუკაიას და თვით თამარსაც. ჯერ იყო და უმწეო ბრაზს გაებზარა მისი ხმა. მერმე ფსალმუნის ალოგიურმა სიტყვებმა ოდნავ მოულბეს გული, შე-

უნელდა ბრაზი და საკუთარ ხმის გამგონე ბაბუა ტარიელს თავათვე შეეცოდა თავისივე თავი.

კითხულობდა ბაბუა ტარიელ ფსალმუნს. არც კი გაეგებოდა, თუ რას კითხულობდა, და მისი დაბეჟილი ხმა უფრო მტირალისას მოგაგონებდათ, ან ისეთი კაცისას, რომელსაც ცრემლები ყელთან მობჯენია.

და მართლაც, ცრემლი დაძრულიყო ბაბუა ტარიელის გაწითლებულ თვალთაგან და მის მწითურ წამწამებზე კიანთობდა ცრემლი.

ხომ ზეცის ცვარსავით რბილი ცრემლი, ვერცხლის წყალსავით მოვარვარე და მოციგლიგე, რბილია ცრემლი, თავათაც არბილებს ადამიანს ბრაზმორეულსა და გულგანაწყენს. მაგრამ ხანდახან მოზღვავებული ცრემლი გახრჩობს და გულს გიღადრავს.

ასე ახრჩობდა ცრემლი ბაბუა ტარიელს, და ვინ იცის, თუ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს ამბავი, კედლის საათს ოთხჯერ რომ არ დაერეკნა.

ოთხჯერ დარეკაო? გაახსენდა ბაბუა ტარიელს, რომ ოჩამჩირის მატარებელი დიდი ხნის მოსული იქნებოდა უკვე.

მაშ ლუკაია კიდევ არ მობრუნებულა ილორიდან? ეგების მობრუნდა კიდეც ლუკაია. მაგრამ მას ფეხებზე ჰკიდია, როგორც სჩანს, ოჯახი და აღარც ის ახსოვს, რომ ძროხებსა და ცხენს წყალი მაინც უნდა დაალევინოს; ისევ შემოენთო ბრაზი ბაბუა ტარიელს, ბრომი გადმოიღო, ძლიეს დაასხა კოვზზე, ხელები უკანკალებდა, მაგრამ მაინც გაივსო კოვზი... ისევ წამოავლო ხელი შინდის ყავარჯენს და სამზადისაკენ გაემართა ბაბუა ტარიელ.

აქ კი საზარელი ამბავი დაუხვდა ხუცესს. სამზადის კარი ღია დარჩენოდა დაშას, ძაღლს საღომე ჭანური წამოექცია და ღომის ქერქს სჭამდა. ბაბუა ტარიელის ყვირილმა დააფრთხო ბედშავი,

უკუიქცა, ჭანურის სახელური კისერზე ჩამოეცო, ასე დაბორიალებდა კარგა ხანს სამზადში ძაღლი. მერმე სარძევე ქილას ეძგერა, ქილა დაიმსხვრა; დილით ჩაყენებული რძე სოხანეზე დაიქცა. უარესად შემკრთალი ცხოველი წყლის კოკებს შორის გაჩხირა. ეძგერა ჭანური კარდალი კოკებს და არ წამოიქცა, წყალმა იხუვლა, რძეს შეუერთდა და ბაბუა ტარიელის ფოსტლებს მოეჭრა.

ბაბუა ტარიელმა ფეხის გადანაცვლება ვეღარ შესძლო, ფეხი დაუსველდა.

ფეხი დამისველდაო? უარესად აღშფოთდა ბაბუა ტარიელ.

კერასთან წამოეწია შავ ძაღლს და შინდის ჯოხი უთავაზა, ძაღლს ფაფხური ესმოდა, მაგრამ ბაბუა ტარიელს ვეღარ ხედავდა „ჭანური“ ნიღაბით პირშებურვილი. გამწარებული ძაღლი კარის ალაგს მიაწყდა, ჭანური ვეღარ გადაათრია ზღურბლზე და ისე მაგრად მიეხალა სვეტს, ჭანური კარდალი შუაში გაიპო.

უბედურება ამით არ მოთავებულა. ახლა თაროებზე გასულმა ქათმებმა შეჰქნეს ვიშვიში. ვიდრემდის ბაბუა ტარიელ შავ ძაღლთან ბრძოლაში იყო გართული, ქათმებმა თავს უშველეს და თაროებს შეეხიზნენ. ზოგმაც სხვენის ლასტებზე მოასწრო აფრენა. ახლა ქათმებს მიადგა ბაბუა ტარიელ. შინდის ჯოხს ურტყამდა კედელს. ქათმები უარესად ფრთხებოდნენ, კაკანებდნენ, თაროდან თაროზე გადადიოდნენ... ერთმა ფეტვის მარცვლებით სავსე ქოთანი გადმოაგდო თაროდან, მეორე ზაფრანის კონებს ეძგერა, კუთხის კაჩხაზე დაკიდულს. გაიწეწა შარშანდელი ზაფრანის ქუჩუჩები, რიალით ძირს წამოვიდა მხმარი ფურცლების ნამუსრევი, სამზადი მტვრითა და ნამუსრევით აივსო. ხველა აუტყდა ბაბუა ტარიელს, მაგრამ მაინც გულმოდგინეთ ებრძოდა ქათმებს და ყვიროდა: დაშა... დაშაო...

ერთმა ქათამმა მთლიანად მასხრად აიგდო ბაბუა ტარიელ, ჯაჭვისფერმა, ქოჩორა დედალმა. იგი არც შინდის ჯოხს შეეპუა,

არც ახმახ ბაბუა ტარიელს, ზედ ცხვირწინ დაგოგავდა თაროზე. სხვები უფრო ზრდილობიანად მოიქცნენ, რა დაინახეს ბაბუა ტარიელ მოდისო, ადგნენ და თხილის ლასტებზე შეფრინდნენ. იქ დაგოგავდნენ ქათმები, კაკანებდნენ, ქაქანებდნენ... ხორხოცებდა წითელი მამალი, დეზებიან გენერალსავით დაბაჯბაჯებდა მჭვარტლით გამურულ ლასტებზე. უხვად აყრიდა მჭვარტლს ბაბუა ტარიელის მოტვლეპილ თავს. ისეთი ქაქანი, რაკრაკი და ვიშვიში გამართეს ქათმებმა სამზადში, ასე იტყოდით: მელია შემძვრალაო საქათმეში.

იმ ჯაჭვისფერმა ქათამმა მთლად გააცოფა ბაბუა ტარიელ. თითქოს ბაბუა ტარიელის გახელება დაუქადნიაო; აუჩქარებლად დაბაჯბაჯებდა თაროზე. ჩასუქებულ ბურჟუაზიულ დამასავით ძლივს მიითრევდა უკანალს. თავს განზე მიდრეკდა, დამცინავი მზერით გადმოსცქეროდა ბაბუა ტარიელს. აპარპალებდა თავის წვრილსა და ფეტვისფერ თვალებს, და ასე ეგონა ბაბუა ტარიელს, უბოროტესი სატანა ჩასვლიაო იმ დედალს გვამში და დასცინისო ძველი ცხენოსანი მღვდლის სიბერესა და დავრდომილებას.

აიღო მაშინ ბაბუა ტარიელმა დამსხვრეულ კოკების გვერდით გდებული პრტყელი ქვა, კოკების სარქველად ნახმარი და ესროლა ჯაჭვისფერ ქათამს.

ქვის სროლა გამიბედაო? აკრიახდა თავმოყვარე კნეინასავით გაზულუქებული დედალი და თხილის ლასტს მიაშურა. უარესად დამფრთხალი ქათმები აზვავდნენ და გადაეყარა ბაბუა ტარიელის მელოტ თავს, მის გრძელსა და პატრიარქალურ წვერებს მჭვარტლის ზვავი და ულევი მტვერი.

აქ კი თავისი სრული უმწეობა შეიცნო ბაბუა ტარიელმა. ეს იყო მხოლოდ, მან არ იცოდა, რომ მთელი სახე, წარბები, ულვაშები,

ღაწვები და წვერები, სავსებით შავად შემურვოდა მჭვარტლისაგან. მიანება თავი გამარჯვებული რიხით მოკაკანე ქათმებს, სამზადის კარი გამოიხურა, რათა ხელახლად არ შეპარულიყო შავი ძაღლი და ახლა ბოსელსა და თავლას მიაშურა.

როცა ბაბუა ტარიელ სამზადიდან გამოვიდა, სარეცხებით დატვირთული დაშა სასახლის კიბეზე ჩამოდიოდა. მიუახლოვდა დაშა ბაბუა ტარიელს და, მჭვარტლში ამოგანგლული მოხუცი რომ დაინახა (დაშა ცრუმორწმუნე დედაკაცი იყო), შეკრთა, შეჩერდა, ასე ეგონა, მოჩვენება მოდისო შავნიღაბიანი, და რა შეიცნო, ვინც იყო, სარეცხები გაუცვივდა ხელიდან, ჰისტერიული ხარხარი ასტეხა და ისევ სასახლისაკენ მოჰკურცხლა. ბაბუა ტარიელმა ეს შენიშნა.

რა აცინებსო ამ გადარეულ დედაკაცს? მთელი ქვეყანა გადაირია და ეს რუსის გომბიო რომ შეიშალოს, რა საკვირველიაო, გაიფიქრა და ბოსელს მიაშურა.

ბოსელში ძროხები ზმუოდნენ მშიერი. ბოსლის კარი ღია დაეტოვებინა დაშას და ხბოები გამშრალ ჯიქნებს ჯიჯგნიდნენ. კიდევ ერთხელ დასწყევლა ბაბუა ტარიელმა „ის გადარეული ლუკაია“, თავლისაკენ გაემართა, თავლაში უარესი ამბავი დაუხვდა.

ცხენი მოკლედ მიბმული დაეტოვებინა „უხანო ლუკაიას“ და ფიცარსა ღრღნიდა დამშეული. ხოლო უკანა კარიდან ღორები შემოცვენილიყვნენ, მისდგომოდნენ ქერის ტომრებს. ტომრები დაეგლიჯათ ეშვებით ტახებს, ქერი ეჭამნათ უზომოდ, ხოლო რასაც დინგით ვერ მორეოდნენ, ფეხებით დაეჯეკნათ და კურკლით წაებილწათ.

დედა ღორი გაოხრებულ ქერის ნამუსრევში ჩაწოლილიყო, სჯიჯგნიდა, სჭამდა და ღრუტუნებდა შაბიამანისფერ ტალახში ამოგანგლული. ისე უზომოდ გამძღარიყო ყოველი მათგანი, ბა-

ბუა ტარიელის დანახვაზე არც ერთს არ უგრძვნია რაიმე დანაშაული. ეს იყო მხოლოდ: დედა ღორმა იჭვნეულად შეხედა ბაბუა ტარიელს თავის წვრილი, ღორული თვალებით და ოდნავ, სულ ოდნავ გააქნია ასო ლ-სავით მოდრეკილი კუდი.

მთლად გადარია ბაბუა ტარიელ „ამ არამზადა, ყაჩაღი ღორების უსვინდისობამ“ და ისევ „უხანო ლუკაია ლაბახუას“ მისწვდა, დაგმო ის დღე და საათი, როცა მამამისმა აფაქიძისაგან გამოისყიდა იგი.

ინატრა: ნეტავ მაჰაჯირებს წაეყვანათ ლუკაია ლაბახუა ტრაპიზონში და იქ თუნდაც ძაღლის ლეკვებზე გადაეცვალათო.

მიხვდა ბაბუა ტარიელ, რომ აღარც ტომრები ივარგებდა ამიერიდან, აღარც მიწაზე დარჩენილი ქერის ნამუსრევი, ამიტომაც გულარეული გაეცალა ღორების ნადიმს.

შოშიების გამო მოჩხუბარნი

ახლა ლუკაიას ხულისაკენ გაემართა ბაბუა ტარიელ. კარებზე დაჟანგული ბოქლომი ეკიდა.

და სწორედ ამ ბოქლომმა გაახელა ბაბუა ტარიელ. მის დანახვაზე უარესად შემოენთო გულზე ბრაზი. თავათაც არ იცოდა, რა უფრო აბრაზებდა მას, ამ ბოქლომის შეხედვა თუ „ლუკაიას გადაკარგვა“? მუხლები აუკანკალდა. ახლოს მივიდა ბოქლომთან, ხელები მოსჭიდა და იგრძნო ერთბაშად: თუ არ ეს ბოქლომი, უთუოდ ძირს დახვავდებოდა მისი უზარმაზარი, დევური სხეული. გულამღვრეული მისდგომოდა ბაბუა ტარიელ ლუკაიას ხულას დაგმანულ კარებს. საშინელი მარტოობა შეიცნო ამ წუთში. და მისი ფიქრი კვლავ იმ „უხანო ლუკაიასკენ“ ჰქროდა.

მთელი ოჯახი დააქცია ლუკაიამ „ვიღაც მამაძაღლი არლანის“ ქორწილის გამო. და მოაგონდა მოხუცს დამსხვრეული კოკები, ჭანური კარდალი, ღორების მიერ დაგლეჯილი ტომრები (და ტომრებს ვინ იყიდის აწი ამ სიძვირეში, ან სად იშოვნი ახალ

დროში ძველებურ ტომრებს?). იმძლავრა ბრაზმა ბაბუა ტარიელის გულში და როგორც ხანძარი ქარიან ღამეში სარდაფს რომ მოედება, ჯერ პირველ სართულს გაანადგურებს და მერმე ნელ-ნელა აჰყვება ცეცხლი კვამლით გაბურულ შენობას, ისევე აჰყვა ბრაზი ბაბუა ტარიელის სხეულს. ჯერ მუხლები დაუსუსტდა, მერმე მუცელზე ეძგერა, იქიდან გულზე შემოენთო (და გული სუსტი ჰქონდა ბაბუა ტარიელს, მიტომაც უსივდებოდა ფეხები) და მერმე თავში აუვარდა ბრაზი, იგი სავსებით გაბრუებული იდგა. ეს იყო მხოლოდ, ცივი ბოქლომის ხელის შევლება საამოდ ეჩვენებოდა ამ წუთში მოხუცს. და ხელისგულიდან გადმონაჟონმა მცირედმა სიგრილემ გაახალისა ოდნავ ბაბუა ტარიელ და ახლა სავსებით ახალმა აზრმა იელვა მის თავში: ქალაქში წავიდოდა როგორმე ნახუცარი, მოსძებნიდა ლუკაია ლაბახუას, გადაამსხვრევდა შინდის ყავარჯენს, ყინულივით გადაამსხვრევდა თავზე.

მაგრამ მყისვე დაუფიქრდა ბაბუა ტარიელ (უანაფოროდ იგი არასოდეს გასულა ეზოდან) და თავისივე ლანდი დაინახა ქალაქისაკენ მიმავალი, მიდის ქუჩაზე ანაფორიანი მღვდელი, უმზერენ ყოველი მხრიდან მოკეთენი და მეშურნენი. ზოგს გაუკვირდება: მღვდელი რომ კიდევ დადის ქუჩაზე, ზოგს ეწყინება, მღვდელი რად ვერ დაახრჩვესო კიდევ? ერთიც ვნახოთ, „მღვდელო წვერცამეტავ“, დაიძახა რომელიღაც კვიმატმა. რა ქნას მაშინ შეურაცხყოფილმა მოხუცმა? წინად კიდევ ყოფნიდა ჯანი და ნერვები ბაბუა ტარიელს. ახლა? სადღაა ან ჯანი, ან სულის მხნეობა?

გადაიფიქრა ეს ამბავი ნახუცარმა და უცებ ლუკაიას ხმა შემოესმა. შავ ძაღლს უჯავრდებოდა ლუკაია. არ ელოდა ამ ამბავს ბაბუა ტარიელ. გაიხედა და მართლაც ეგერ სდგას ლუკაია.

მოიკრიფა ნახუცარმა ღონე და პირდაპირ ლუკაიასკენ გაემართა კიდევაც.

უყურებს: არ სჯერა, ლუკაია რომ მოსულა. უყურებს: ლანდია

თუ ლუკაია?

ლუკაიაც შესცქერის, ვეღარ იცნო მღვდელი. იფიქრა, ალბათ კომკავშირელების ოინიაო. მღვდლების გაპამპულება სჩვევიათ ბიჭებს, მოაგონდა: ნიღაბიანი კაცი ღმერთის მაგივრად ავტომობილში მჯდარი. ზიზღმორეულმა ზურგი შეაქცია ამ მოჩვენებას: საკუთარ ეზოშიაც არ აყენებენო მღვდელს, ის არამზადები. ეს გაიფიქრა და ალვის ხეზე მოფარფატე შოშიებს დაუწყო ცქერა.

მთლად არეულაო ეს ოჯახქორი, გაიაზრა ბაბუა ტარიელმა და ფეხაკრეფით მიუახლოვდა ლუკაიას.

„რას უყურებ, შე ლენჩო?“ დასჩხავლა ნახუცარმა.

„შოშიები მოსულან“, — ამბობდა ლუკაია (ჯერაც ვერ მოესწრო მიბრუნება).

„მერმე შენ რას უყურებ?“

ხმაზე შეიცნო ლუკაიამ, ვინც იყო. მიუბრუნდა. ალბათ გადარეულაო, იფიქრა და სიცილი ვეღარ შეიკავა მჭვარტლით შემურულ მღვდლის დანახვისას. მხოლოდ წამწამები, წითური წამწამები შერჩენოდა ბაბუა ტარიელს დაუმჭვარტლელი.

ისევ ისა სჯობს, რომ ჭკუათამყოფელსავით ველაპარაკოვო შერყეულს, ასე ფიქრობდა ღიმმორეული ლუკაია.

ისინი რაღაცას უამბობენო ერთმანეთს, — უპასუხა ბაბუა ტარიელს.

„რას უამბობენ, შე გადარეულო?“

განაგონი ჰქონდა ლუკაია ლაბახუას: გადარეულს ჭკუათამყოფელიც გადარეულად ეჩვენებაო, ამიტომ მშვიდად უპასუხა ასე:

„იმას, რაც მზის ქვეყანაში გაუგონიათო“.

„რა გაუგონიათ მერმე მზის ქვეყანაში?“ — ჰკითხავდა მღვდელი.

ასევე მშვიდი პასუხი გასცა ლუკაიამ:

„ის, რასაც ჩვენში არ ამბობენო“.

„რა იცი, რომ მზის ქვეყნიდან მოსულან ეგ შოშიები, შე ლენ-ჩო?“

„აბა რამ გააშავა ასე, დიი!“..

„დი“... გავიგონეო? — გაცხარდა ბაბუა ტარიელ.

„დიიი და ზაჰრმარო“, — მიახალა.

წინად ამგვარი დიალოგი დიახაც უყვარდა ბაბუა ტარიელს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა კარგ გუნებაზე იდგა. და არეულ ლუკაიას ჟრიტინი საამურად უღიტინებდა მის მოდუნებულ გონე-ბას. ახლა კი გაცოფებული იყო, ამიტომაც შეაწყვეტინა სიტყვა. ლუკაია ფეხით ნარბენი სჩანდა, სახელოთი იხოცავდა წარბებზე მოზღვავებულ ოფლს, თანაც იქედნურად იცინოდა და ამ სიცილ-მა გააცოფა ნახუცარი. ლუკაიას ისედაც დაცრეცილი პელერინი ბირკათი გავსილიყო, ზურგზე ეტყობოდა პელერინს, მწვანეზე წოლილიყო ლუკაია. ეს რომ შენიშნა, კიდევ უფრო აენთო.

„სად დაიკარგე, შე ლენჩო, ამდენ ხანს? საქონელი მშიერი და-აგდე, ძაღლმა ჭანური გასტეხა, ქათმებმა სამზადი აიკლეს, ღო-რებს ქერი შეუჭამიათ“. და წვრილად ჩამოსთვალა ბაბუამ ლუ-კაიას აქ არყოფნის დროს მომხდარი ზარალი.

ახლა კი მიხვდა ლუკაია, რომ მღვდელი ჯერაც სრულ ჭკუაზე იყო, მაგრამ კილოს შეცვლა აღარ ინდომა.

„სად ვიქნებოდი? სად ვიყავი? სად ვიქნებოდი?.. დიი!!! — თვა-ლები უფახურებდა, ენა უბორძიკებდა ლუკაიას.

სად ვიყავი და ქვირითს ვითვლიდი რიყეზე“.

„მერმე რამდენი ყოფილა, შე გადარეულო?“

„იმდენი, რამდენიც კენჭია“.

„მაშ კენჭი რამდენი ყოფილა, შე აფრაკო?“

„ხუთჯერ მეტი, ვიდრე ვარსკვლავი“.

შესაძლოა, კიდევ გაგრძელებულიყო ასეთი რამ, მაგრამ აქ

ლუკაიამ თავათ შესწყვიტა დიალოგი, ისევ ალვის ხისკენ მიბრუნდა და შოშიებს დაუწყო ცქერა.

მე არად მაგდებს და შოშიებისაკენ იქციაო პირი? გაცოფდა მაშინ ბაბუა ტარიელი, მოუქნია ლუკაიას შინდის ყავარჯენი და ესროლა. პელერინის კალთებმა იპატიჟეს ლუკაიას შიშველი ფეხები (თორემ წვივებს დაამტვრევდა შინდის ჯოხი), ლუკაიამაც იმარჯვა, ოდნავ ზეახტომა მოახერხა და ისევ დავარდა მიწაზე. შინდის ყავარჯენი ცალი ფეხის ქუსლზე მოხვდა.

„ვაი დედაო“, წამოიძახა და ფეხის ტერფზე იტაცა ხელები, მაგრამ რა შენიშნა ნახუცარი კიდევ მოდისო, წამოვარდა და მოუსვა, მიკელანობდა ლუკაია ლაბახუა...

ბაბუა ტარიელს გულზე შემოეყარა, ჩემმა თვალმა არ გნახოსო, მიაძახა და იქვე წაიქცა მღვდელი. ასე რომ, დაშამ თავათ ვერ ზიდა, მეზობლები შეჰყარა, ოთხმა კაცმა ძლივს გადაიტანა ნაბადზე მისი უზარმაზარი სხეული.

ქრისტეს მიერ რეგვენი
ლუკაია ლაბახუა

„უცხოთაგანი უცხოთაგანს უცხოობის თვისის გამო ნათესავად მოჰკიდებოდა“.

ჩემიდანვე

თამარი არლანის ქორწილის პირველსავე ღამეს ავად გახდა.

მეორე დღეს კაროლინამ და თარაშმა ოჩამჩირის მატარებლით ჩამოიყვანეს იგი.

კაროლინა ამტკიცებდა: ჯვარის დაკარგვის გამო გახდაო ავად ზაფრისაგან. სხვათა შორის, ჯინჭრის ციებაც აღმოუჩნდა.

დაშა უარზე იყო: ერთი კვირის წინად ვხედავდი, სასთუმალთან იდოო, მერმე თვალითაც არ მინახავსო. დაშამ ჯერ კიდევ კიბეზე ამომავალთ წვრილად უამბო ყოველივე: თათიას ყივანახველა შეეყარაო, ბაბუა ტარიელმა ლუკაიას შინდის ჯოხი ესრო-

ლაო, ლუკაია გაიქცაო, არც ის დაუმალავს დაშას, ბაბუა ტარიელს გულის ფრიალმა რომ წამოუარა. ეს ყოველივე თამარის უგუნებობას ზედ დაერთო.

თავის ოთახში შესვლის უმალ თარაშისა და კაროლინას ხელიდან თავი გაინთავისუფლა, კომოდს მივარდა წამსვე, ისეთის სისწრაფით აღებდა თამარი უჯრებს, თითქოს ხანძარი გაჩენილა და ბარგის ამოლაგება ეჩქარებაო.

კაროლინამ თათიას ოთახს მიაშურა.

თარაში ღია ფანჯარასთან იდგა. ნაღვლიანად შესცქეროდა ყვავილშემოცლილ ვაშლის ხეს, მდუმარე ხილნარს. რაღაც საოცარი მოწყენა დაეუფლა ფუტკრების მოდუნებულ პუტუნის გამგონეს.

თამარი აღებდა, კეტავდა, ისევ აღებდა უჯრებს, გამოჰქონდა ზანდუკები, სკივრები, ხელჩემოდნები. იჩიჩქნებოდა. ეძებდა. ეძებდა ამაოდ თავის ჯვარს.

ახლა ტანისამოსები გამოალაგა, ყუთები გამოიღო, საცვლები ამოალაგა, მერმე ყოველივე ღია დატოვა, უკანასკნელად ხელში მოხვედრილი ნივთები ხელიდან გაუცვივდა. ზეწამოიჭრა, თვალებზე ხელები გორა, მხრები აუტოკდა საბრალოდ, „ვა! დედაო“, დაიკვნესა და გულამოსკვნილი ქვითინით დაეცა თავის საწოლზე.

შემცხადებულსავით იძახოდა: „დედა, დედაო“, თითქოს იმ წუთში შეიტყო, რომ აღარა ჰყავსო დედა. თარაში მთლად გაფითრებული ადგა თავზე, ფრთხილად, მზრუნველობით სავსე ხელით თავზე ეფერებოდა, სიტყვას ეძებდა სანუგეშოს, ვერ კი ეპოვნა. ხედავდა: ეს ნივთის დაკარგვის გამო მოგვრილი მწუხარება როდი იყო, არამედ უდროოდ დაობლებული ქალწულის მიერ ხანგრძლივი და მდუმარე გლოვის განცხადება. და ეს „დედა, დედა“, ისე საბრალოდ, ისე უმწეოდ მეორდებოდა თამარის ტირილში,

რომ თარაშ ემხვარს მთელი სხეული დაერღვა ამ სიტყვების გამგონეს.

კაროლინა დაფეთებული შემოვარდა, დაშას დაუძახა. უბრძანა: კარები დაეკეტნა ირგვლივ. იცოდა: ჯვარის დაკარგვის ამბავიც რომ გაეგო ხუცესს, უარესად გახელდებოდა.

უსხდნენ სასთუმალთან თარაში და კაროლინა თამარს. აშოშმინებდნენ, ანუგეშებდნენ: უთუოდ ლუკაია იპოვნიდაო, თავის „წმინდანების ზანდუკში“ ჩაჰკეტავდაო, განა შარშანაც ასე არა ჰქნაო ლუკაიამ, როცა მას პირსაბანზე ეპოვნა თამარის ჯვარი.

თამარს მართლაც ენიშნა ეს ამბავი, ოდნავი იმედი ჩაესახა გულში, ცრემლები შეაშრა თვალებზე, კაროლინამ ცივი ტილო დაადვა შუბლზე.

თარაშ ემხვარს შენიშნული ჰქონდა, ჯვარს რომ ატარებდა თამარი, მაგრამ როცა კაროლინამ განუმარტა, ეს ის ჯვარიაო, ჯახანას სურათზე რომ გამოსახულიაო, დაენანა ძველი ქართული ოქრომჭედლობის იშვიათი ნახელოვნარი. არ კი გაუმხილა ეს თამარს და გულის გარეთ ეუბნება:

„იცი, თამარ, ეს შენ ცუდად გახასიათებს, ოქროს ჯვარის გამო ამდენს რომ სტირი, რა გატირებს, შე ქალო, პატარა თათია ხომ არა ხარ? შენ თუ მორწმუნე ხარ, თამარ, ჯვარი იმიტომ კი არ უნდა გიყვარდეს, რომ იგი ძვირფასი იყო, ჯვარი სიმბოლოა რწმენისა და სხვა არაფერი“.

თამარს კაროლინა გამოესარჩლა:

საოცარიაო, — ამბობდა კაროლინა, — ჩვენს ახლოს დიდხანს ყოფნის გამო საგნები ისე გვეთვისებიან, თითქოს სხეულის წვენის ნაწილი ხდებიანო, ლხენათა და მწუხარებათა ჩვენთა თანაზიარი.

თამარს შერცხვა, ცრემლები მოიწმინდა და ეს წაილუღლუღა: „შარშანაც ასე მომივიდა, — ამბობდა თამარი, — მე და ხერიპსი

ტფილისს მივდიოდით, ჯვარი შინ დამვიწყებოდა. ხერიპსს რომ მეორე მატარებლით შინ არ დავებრუნებინე, უთუოდ მოვკვდებოდიო“, — დასძინა თამარმა.

კაროლინა დარწმუნებული იყო: ლუკაიას მოძებნა გამოარკვევდა ყოველივეს. თუმცაო, — ამბობდა კაროლინა, — ლუკაია კიდევაც რომ მოიძებნოს, ვინ მოიყვანსო? ხერიპსი აქ არ არისო. ასეთი გაქცევის შემდეგ ლუკაია მთელი კვირაობით სადღაც დაკარგულიაო. თქვენ რომ ნახავდეთ, უცილოდ წამოგყვებათო ლუკაია, ესეც არ იყოს, თამარის ავადმყოფობას რომ გაიგებს, თავათ მოირბენსო.

„კი, მაგრამ, სად იქნება ვითომ ლუკაია?“ — იკითხა თარაშმა.

„ღმერთმა იცის, სად დაბორიალებს ასეთ დროს. ხან ხეციების ტყეში ტყისკაცივით დააბოტებს, ხმამაღლა გალობით და ღიღინით იკლებს იქაურობას. ხან დუქნებში შეათრევენ, სამადლოდ აჭმევენ რამეს და ალაპარაკებენ, ძველ ამბებს მოაყოლებენ, ახუმრებენ და დასცინიან. თუ არადა, შესაძლოა, სასანიასთან იყოს, ბაზრის ბოლოს მწვანე სახლი რომაა, ყოფილი ფოსტისა, იმის გასწვრივ პატარა, დაფეხვილი ქოხია. იქ წინად სანთლების სახელოსნო იყო, ახლა არ ვიცი, რას აკეთებს ის სასანია. თუ იქ ვერ ნახოთ, იქვე მახლობლად ძველი სამჭედლო უნდა იყოს, ზოსიმიას სამჭედურს იკითხავთ. ის მჭედელი მისი ძმაკაცია“.

თარაშ შინ წასვლას ეჩქარებოდა, ტფილისიდან სასწრაფო ფოსტა მოგივიდაო, აცნობეს სადგურზე, თავისი უკანასკნელი შრომის ერთი ნაწილი უნდა გადაეგზავნა. მაინც ადგა, ქალებს დაუბარა: მე ლუკაიას საძებნად მივდივარო, თუ სადმე ვნახე, უთუოდ აქ მოგგვრითო.

დიდხანს დაყიალობდა ბაზარში თარაშ ემხვარ, სახარაზოების, თონეების, სამჭედურების, დუქნების ღია კარებში იხედებო-

და, ქუჩის კუთხეებთან მოგროვილ ხალხს ათვალიერებდა, მაგრამ ლუკაია არსად სჩანდა. კითხვა-კითხვით მიაგნო სანთლის სახელოსნოს. მოხუცი სასანია შინ არ აღმოჩნდა. ერთმა დალეულმა დედაკაცმა გამოიხედა.

ორიოდე საათის წინად აქ იყოო, — ამბობდა დედაკაცი. აქოშინებული, სახეარეული მოვარდაო, ჩემი კაცი იკითხაო, რადგან ვერა ნახა, დამდუღრულსავით გაბრუნდა: ხელში ჯოხი ეჭირა, ცალ ფეხს ძლივს მიათრევდა, სიტყვა ვერ დავტყუე, ისე გამექცაო.

დედაბერმა თავაზიანად შეიპატიჟა თარაში, იგი თვალებგაბრწყინებული შესცქეროდა პირგაპარსულ, მშვენიერ, ჩოხიან ვაჟკაცს.

ემჩნეოდა: ძლიერ გაოცებული იყო, ასეთი ჩინებული ვაჟკაცი ლუკაიას საძებნად რად წამოსულიყო. ცნობისმოყვარეობისაგან აღგზნებული იყო, უნდოდა ეკითხნა: თუ რა იყო მისი ლუკაია, ან რად დასჭირვებოდა მას ეს ღვთისა და კაცისაგან მოძულებული ადამიანი?

„დაბრძანდით, ჩემი ბატონი“, — უთხრა დალეულმა დედაკაცმა და კერის პირად გდებულ ჯირკვზე მიუთითა თარაშს. შეატყო თარაშმა: დიასახლისმა არ იცოდა, რა მოერთმია, რა მოემოქმედნა, რითი ეცა პატივი. ამიტომაც მთვარეულსავით დაბორიალებდა ფაცხაში.

„ერთი მიბრძანეთ, ბატონო, — ეუბნება თარაშ, — ეს უბედური ლუკაია სადაურია, ან შარვაშიძეების სახლში ვინ ჩამოათესლა?“

„ეჰ, რა მოგახსენოთ, ჩემი ბატონი, — კვნესოდა დედაბერი, — მისი ვინაობა დანამდვილებით არავინ იცის. თავათ ლუკაიას ვერაფერს დააცდენინებს კაცი ამის გამო. ჩემი ქმრის დიდი მეგობარია ი ბედდამწვარი. ჩემი კაცი მესანთლე იყო თავის დროზე.

ძველად დეკანოზი ხშირად ჰგზავნიდა მას ჩვენთან. ერთნი ამბობდნენ: ლუკაიას დედას მანუჩარ შარვაშიძე ყვარობდაო, ფეხმძიმედ შექმნილაო მაგ ბედდამწვარი, ისე გაუტაცნიათო მაჰაჯირებს მანუჩარ შარვაშიძის ოჯახიდან. მაჰაჯირებს აფაქიძისათვის მიუყიდნიათო. მანუჩარს აფაქიძეებისაგან გამოუსყიდნიაო, მერმე, როცა წამოზრდილა ლუკაია, ტარიელ მღვდელს მედავითნედ აუყვანიაო. ღმერთო, შეგცოდე და იმასაც ამბობენ“...

აქ კი დადუმდა დედაბერი, მაგრამ თარაში მიეძალა: რას ამბობენ, მითხარიო.

„რას ამბობენ და ასე ამბობენ, ჩემი ბატონი, — განაგრძო დედაკაცმა, — სულცხონებული ჯახანა შეყვარებიაო, ახალმოყვანილი. ალბათ, თქვენც გექნებათ განაგონი, ჯახანა ღმერთივით ქალი ყოფილა, ნათელი დაადგეს მაგის სულს, და ამ სიყვარულისგან შექანებულაო, ი ბედდამწვარი. სხვანი კიდევ სხვას ამბობენ, ჩემი ბატონი, მანუჩარ ღვთისრისხვა კაცი ყოფილა, და რა გაიგო, ნაყმევის შვილმა ჩემი რძლის შეყვარება გაბედაო, უბრძანა თურმე თავის ძიძაშვილებს და შინაყმებს: საბძელში ჩაეკეტნათ ი უბედური ლუკაია. მერმე ცეცხლი წაუკიდესო თურმე საბძელს, ლუკაია სახურავზე ამძვრალაო, იქიდან გადმომხტარაო და შიშისაგან ჭკუაზე შემცდარაო. ამას ამბობენ, ჩემი ბატონი, და მართალი ღმერთს უკეთ ეცოდინება, ჩემი ბატონი“.

თარაში სდუმდა და დედაკაცმა განაგრძო: „ჯახანას სიკვდილის შემდეგ ლუკაია იმ ოჯახს ვეღარ მოსცილდაო, რადგან იმ ოჯახში ჯახანას სურათი ეკიდაო, და როცა ტარიელი სადმე წავიდოდა, ლუკაია პირჯვარს იწერდაო ჯახანას სურათზე. გარდა ამისა, თამარი პირწავარდნილი დედაა და ამიტომაც არ შორდებაო იმ ოჯახს. ტარიელს დღესაც ვერ უპატიებიაო ლუკაიასთვის ეს ამბავი“.

თარაში ადგა და, ზოსიმე მჭედლის დუქანი სად არისო, შეეკითხა დედაკაცს:

იქ წასვლით ნუ დაშვრებიო, — ამბობდა დედაბერი, — ზოსიმე მჭედელს კაი ხანია, რაც სამჭედური დაუკეტესო და ახლა მეწისქვილედ არისო დადიანისეულ წისქვილში, ენგურის პირად.

„სამჭედური რად დაუკეტეს, განა სამჭედლოს გაღება აკრძალულია?“

„აკრძალული რა იქნება, მაგრამ ზოსიმია აფხაზია და სამჭედურზე აფიცებდა ხალხს, ეშმაკებს ეთაყვანებოდაო, ასე ამბობენ, ჩემი ბატონი, და მართალი უფალს ეცოდინება უკეთ“.

თარაშმა წასვლა დააპირა, დედაბერი არ ეშვებოდა. უამბობდა: იმერეთიდან გამოთხოვილი რომ ყოფილა, მის ქმარს ნეკრესის ქარები რომ სჭირვებია და სხვა ამგვარ რამეებს.

ღამდებოდა, როცა თარაშ ემხვარმა ენგურის ნაწყვეტზე გაბმულ ბონდამდის მიაღწია. ენგური გადასულიყო, ენგურის ნაწყვეტიც კიდეებს გადმოსცდენოდა. ფეხით გასვლა შეუძლებელი სჩანდა. ბონდის ყურამდის კიდევ იყო მცირე მანძილი ფეხით გასატოპავი. თარაშმა გაიხადა. წყალი წელამდის მისწვდა. ბონდზე ავიდა. მავთული დაშვებულიყო. უკანასკნელ წყალდიდობას ბურჯის თავიც დაეზიანებინა, ასე რომ, ბონდი ძირს დაწეულიყო, ქანაობდა, მდინარეს მკერდზე ეხუტებოდა. შუამდის მივიდა თარაში, თავი დაუბრუვდა, უკუიქცა და ისევ ბონდის ყურეში დადგა, უმცროს ძმას ენგურისას გადახედა გრიალით მომქშინავს. მზეს მთის გაღმა გადაესწრო, თალხი ფერებით შემოსილიყო მდუმარე სათანჯოს ციხე.

სთვლემდნენ სიმინდის ჯეჯილები, საიდანაც ვარხვების ყიპყიპი მოდიოდა და ენგურის შტოების გასწვრივ ბაყაყების ქორალური მოთქმა და ვიშვიში ისმოდა. თარაშ ემხვარმა არ იცოდა, რა

ექნა. მას არ უყვარდა გზიდან გაბრუნება. წასულიყო ისევ ქალაქში, ეტლი ან ცხენი ეშოვნა, ამაღამ ვერ მიაღწევდა დადიანისეულ წისქვილამდის. იცოდა: ღამით არც ისე იოლია ენგურზე ფონის მოძებნა. ეს გაიფიქრა და ჭილისქუდიან ბიჭს მოჰკრა თვალი ბონდისკენ მომავალს.

ჭილისქუდიანი კამეჩზე იჯდა, მოიმღეროდა, ზანტად უტლაშუნებდა სახრეს მარქაფად მომავალ კამეჩს.

შეეხვეწა თარაშ ემხვარ მეკამეჩეს, იმ მეორეზე შემსვიო. ბიჭს არ ეგონა, ასეთი კარგად ჩაცმული კაცი კამეჩზე თუ შეჯდებოდა. რა დარწმუნდა: არა ხუმრობსო, ჩამოხტა და იმავე კამეჩზე შესვა თარაში, რომელზედაც თავათ იჯდა, ხოლო თვითონ მეორეზე გადაჯდა.

სავსებით დასველებული გავიდა თარაშ ემხვარ გაღმა. იგი ასე ფიქრობდა: მეკამეჩემ ვერ შეარჩიაო ფონი. კამეჩს რქებამდის მისწვდა წყალი, ხოლო ჩოხიანს — წელამდის. შესცივდა თარაშს, სახე გაულურჯდა.

ეჩქარებოდა დადიანისეულ წისქვილამდის მიღწევა. მეკამეჩემ ხელით მიუთითა, ორი წუთის სავალიაო. იმ გორაკს გაღმა პატარა ჯაგნარია, ჯაგნარს გადახვალ, ახოს გაივლი და მერმე პატარა თხმელნარის უბეში წისქვილიაო, დადიანისეული წისქვილი.

ჯაგნარიც გადაიარა თარაშ ემხვარმა და ახოც, მაგრამ თხმელნარი ჯერ არსად სჩანდა. იარა კატაბარდიან ეწერში, ორსამ ადგილას კიდევ დაუსველდა ფეხი, რადგან ენგურის განაშტოები კიდევ სამიოდე შეხვდა გზადაგზა, ჭაობი, ჭოჭი და ყიჭიანი.

ღამდებოდა, როცა წისქვილის სახურავიდან ამომავალი კვამლი შენიშნა. შარაგზას ასცდა წისქვილისაკენ მიმავალს, წუმპეში ჩაიფლო მრავალგზის.

უშველებელი მწვანე ბაყაყები ხტუნვით მიუძღოდნენ წინ, მერმე ერთობლივად ისკუპებდნენ. მდორე გუბეში იხედებოდა: ციების, შმორის და სინესტის სუნი ესმოდა მის ნესტოებს.

მაყვალნართან შესდგა თარაში. ზანტად მოსრიალებდა მიხაკისფერი გველი. თარაში დააცქერდა მოხატულ ფორეჯებს. როგორის დიდის ოსტატობით მოექარგა ბუნებას ამ გასაოცარი ცხოველის პერანგი! ან რა ჭკვიანი, ჯიშიანი თავი აქვს. ლაპლაპა თვალები!

და მოძრაობა?

არც ერთი ცხოველი არ მოძრაობს უფრთოდ და უფეხოდ გველის გარდა, არც ერთი ცხოველი! როგორ ამპარტავნად უჭირავს გველს თავი! მის შეხედვისაგან სიცივე ჩამოსთოვს კაცის გულში. იგი წყალივით მოძრაობს, უხმოდ დადის, უჩინარი და იდუმალი.

შეეფეთები, შეკრთები და შეგშურდება, რადგან იგი მუდამ ხმალივით შემართულია, შემოგცქერის ღამესავით ბნელი და ფიქრსავით მიუღწეველი.

შემოგხედავს და გაგაჟრჟოლებს. იგი ერთადერთია პირუტყვთა შორის სიჩუმით თავზარდამცემი.

თარაშმა გზა განაგრძო ისევ იმ გველის გამო დაფიქრებულმა. ერთი მტკაველის სიმაღლეზე აეწია თავი ამ საოცარ მცურავს. უხმოდ შესრიალდა ძეძვებში და უცნაურმა ჟრჟოლამ აიტანა თარაში, თითქოს პირველად შეხვდაო ამ ქვეწარმავალს.

ახლა მან იგრძნო: მის სხეულს ციება მოსდებოდა. მუხლი დაუმძიმდა, წელი ეტკინა. საფეთქლებიდან ოფლი მოიწმინდა. ტბორების კიდეებთან ნაციები ხეები იდგნენ ნახევრად ჩამობნელებულ არეში, ვიშვიშებდნენ ბაყაყები ტბებში, ხეებზე და ბილიკის პირებთან ჩასაფრულნი. ტურების კივილი მოდიოდა მახლობელ სერიდან...

ჯერ კიდევ არ დაბნელებულიყო სავსებით და ეგზომ გაბედულად ჩხაოდნენ ტურები, ასე ეგონა თარაშს: საცაა სააშკარაოზე გამოვიდოდა რომელიმე მათგანი და მის ცხვირწინ დაიწყებდა კივილს.

ცა იღრუბლებოდა, მთვარე არსად სჩანდა, სიბნელეს მოეცვა ველი და თვალებგამოღამებული ჭოჭიანი გარემო, უსიამო სიცივის ჟრუანტელი უვლიდა, ჟრჟოლას გვრიდა მის სხეულს დასვეელებული წაღების ჭყაპუნი და ცივი სამოსის სხეულზე გაკარება. და დაეუფლა მის სულს ის უკურნებელი სევდა, ოდიშის ჭაობიანი ველები, ბაყაყების ყიყინი და ტურების ღნავილი რომ მოჰგვრის ხოლმე კაცის გულს... გაიხარა უცებ, როცა ისლის სახურავიდან ამომავალ კვამლს მოჰკრა თვალი და მარტოხელა წისქვილის მელანქოლიური ღუღუნი შეიცნო.

წისქვილში შესულმა ასეთ სურათს შეასწრო: ლუკაია ლაბახუა სკამლოგინზე გაწოლილიყო და მეწისქვილე ზოსიმია ოშოშიას ადებდა ფეხზე (ოშოშია სამკურნალო ბალახია, ჭრილობის, ნაღრძობის და ნაბეჟის წამალი). ზოსიმია დაფეთებული ზეწამოიჭრა, უცხო კაცს რა მოჰკრა თვალი. ლუკაიამ ფეხზე ადგომა დააპირა თარაშის დანახვაზე, იგი აენთო, გაოცდა, ენის ბორძიკი აუვარდა, აღარ იცოდა, რა ეთქვა, რა მოემოქმედნა. მას ასე ეგონა, ან ნახუცარი მომკვდარა, ან რაღაც დიდი უბედურება მომხდარაო ქვეყნად.

თარაშმა დაამშვიდა, არწმუნებდა: უსაზმნოდ გამოვისეირნეო ენგურისაკენ, შემომაღამდა და წისქვილში შემოვიარეო, არც კი ვიცოდი, შენ თუ აქ გნახავდიო. თარაშმა თვალი მოავლო წისქვილს. საუკუნის მჭვარტლით, ფქვილით და მტვრით გავსილიყო იქაურობა. ზოსიმია გარეთ გავიდა და მცირე ხნის შემდეგ დადუმდა წისქვილი. უზარმაზარი გელაზები სდუმდნენ, სდუმდნენ ოფოფივით ცხვირნისკარტა სარეკელები. სკივრები და ალატები

ფქვილითა და მტვრით იყო გათხუპნული. ზოსიმიას ხმა არ გაუღია, კერასთან დაგდებულ ჯირკვზე დაჯდა, შემდეგ კერის წინ დაოთხდა და მიმქრალ ნაღვერდლებს დაუწყო ბერვა.

მოეწონა თარაშ ემხვარს ეს დიდი მყუდროება, ადამიანის და ცეცხლის სიახლოვეს, ამ ჭაობების, ბაყაყების და ციების საუფლოში დამყარებული.

ასე ფიქრობდა: ამ წისქვილში სიამოვნებით ვიცხოვრებო ღვთისა და კაცისგან მოძულებული ზოსიმიას გვერდით.

და ზოსიმიას კრინტი არ დაუძრავს მისი შემოსვლის შემდეგ. იგი გალახულ ძაღლსავით დაცუცქულიყო ცეცხლთან, ცალკერძ სამფეხა სკამი იდგა, ცალკერძ — დაბალი ჯირკვი, საკუთარ ქუსლებზე დაყუნცული შეჰყურებდა ცეცხლს და ისე გართულიყო ფიქრში, თითქოს ვერც თარაშს ამჩნევსო და ვეღარც ლუკაიას. და შავი ფეხები ჰქონდა ზოსიმიას, გედის ფეხის დარი, ნაოჭებიანი და გამხმარი. წვირე ჩალეკოდა ტყიურის ჭანგებსავით გაზრდილ ფრჩხილებში.

ნაძვის მკვარი კერის პირად ხრჩოლავდა. ალმოდებულ ძელის ნელსურნელობით სტკბებოდა თარაში. ისევ მიმოავლო თვალი წისქვილს. წყლის ქშუილი მოდიოდა შორიდან და ბაყაყების ყიპყიპი, ხანაც ამ ხმას ტურების ღნავილი შეენაცვლებოდა. ისევ ზოსიმიას მარტოობისათვის დაფიქრდა თარაში და მისმა გონებამ ზამთრის სურათი წარმოუდგინა წისქვილში ცხოვრებისა: ლანქერობა, უგზოობა, გაუვალი ჭაობები, უკაცრიელი ველები და მარტოობა ადამიანების კიდეგან. მშიერი მგლების ყმუილი და გრიგალის ღმუილი. იჯდა თავმოდრეკილი თარაში, ხელები მუხლისთავებზე შემოევლო და შესცქეროდა ამ დალეულ, გაბურძგვნილსა და საცოდავ ზოსიმიას.

იგი არც ისე ჭაღარა იყო, მაგრამ ფქვილისა და მტვრისაგან

გამურული, მტუტისფერი მოსჩანდა სავსებით. პატარა, სათნო სახე ჰქონდა, სწორი, რომაული ცხვირი, გაბუტული წითელი ტუჩები, წაბლისფერი, გრძელი წამწამები, ხუჭუჭა, შევერცხლილი თმა-წვერი. არც ერთი ნაოჭი არ ემჩნეოდა მის სახეს.

უცნაური თვალები ჰქონდა ზოსიმიას. მოყვითანო თვალის უპეებში ორი ფოლაქის დარი შავი თვალი. საოცარი სიმშვიდე და თავმოდრეკილება სუფევდა ღაწვების ირგვლივ. სიბერეში გადაყოლილი უმანკოება გადაჰკრავდა მთელ სახეს მისას და სოროდან გამოსულ წავსავით ფრთხილად იჭვრიტებოდა იგი, ასე იტყოდით: თვალის ცემის ეშინიაო.

თარაშ ემხვარს ასეთი ჩვეულება ჰქონდა: ადამიანის ტანისამოსი უნდა დაეთვალიერებინა უწინარეს ყოვლისა. ვერც კი გაერკვია თარაშ ემხვარს: როგორი სამოსი ეცვა ზოსიმიას? ჩოხა არ უნდა ყოფილიყო ეს წილამურებიანი, კალთებშემოცვეთილი მოსასხამი. ეტყობოდა: ნასხვისარი უნდა ყოფილიყო იგი.

შარვალი ეცვა ზოსიმიას ათასგზის აჭრელებული და დაკონკილი, მთლად გაყვითლებული პერანგის ამხანაგი გამოკრთოდა, მუხლისთავებთან ჭრელი ნაჭრებით დაკონკილიყო ათასგზის, და ეს შარვალი უკანიდან რომ დაგენახათ, შარვალი კი არა, მჭედლის საბერველი გეგონებოდათ. თავზე განიერი, ქვიშისფერი ქუდი ეხურა, სწორედ ისეთი, როგორსაც მეგრელები და აფხაზები ატარებენ საქართველოში და დომინიკანელი ბერები — იტალიაში.

ნელ-ნელა ილეოდა ცეცხლი. უკანასკნელ მუგუზლებს ფრთხილად, მორიდებულად წაჰკრა ფეხი ზოსიმიამ, ირგვლივ მიმოიხედა, და რა შენიშნა შეშა გამოლეულაო, ადგა და ისევ გავიდა გარეთ.

თარაშს ეამა ზოსიმიას გასვლა და ლუკაია ლაბახუას შეეკითხა: „მუნჯი ხომ არაა ეს ზოსიმია?“

მუნჯი არ არისო ზოსიმია, მაგრამ საერთოდ არავის არ ელაპარაკებაო ჩემს მეტს. ზოგნი ამბობენ: ალი შეხვედრიაო ენგურში, იმის შემდეგ მიუტოვებიაო ლაპარაკი. საერთოდ ლაპარაკს ერიდებაო და ასე ფიქრში წასული ზისო ზოსიმია დღენიადაგ, — ამბობდა ლუკაია ხმადაბლა.

ზოსიმიას დააგვიანდა წისქვილში შემობრუნება. თარაშმა იდროვა და გამოჰკითხა ლუკაიას თამარის ჯვარის ამბავი. ლუკაია გაოცდა, როცა ასეთი რამ გაიგონა. ვეუბნებოდიო მაგ უბედურს, ჩემთვის მოებარებინაო ჯვარი, ახლა ჯვარი დაჰკარგაო, საყვარელმა დედამ უანდერძაო სიკვდილის წინ.

„გუშინდელ დღესავით მახსოვს, სული ხდებოდა ცხონებულს, მე თუ გიყვარდე, ეს ჯვარი არც არავის აჩუქო, არც დაჰკარგოო, მაგრამ ჯვარიც დავკარგეთ, შურიგე, ჯვარიც დავკარგეთ და ღმერთიც“.

სჩივოდა ლუკაია. ესა სთქვა და ორივე ხელი თავზე შემოიკრა სკამლოგინზე ზეზეულად წამოწოლილმა.

ჩემი გაზრდილია ი ბღარტი, განაგრძობდა ჩივილს ლუკაია, მე არაფერს მიჯერებსო. ლუკაიამ პატარა თათია მოიკითხა, მერმე კაროლინა ახსენა, ღვთის ქალიაო კაროლინა, ასე ამბობდა და მერმე მღვდელი მოიგონა.

შეწუხებული იყო ლუკაია, მე თავათ ვხედავდი, როგორ წაიქცაო მღვდელი, ვაითუ რამე დაუშავდაო ჩემი მიზეზით ბერიკაცს. კინაღამ გამოვბრუნდიო, ისე შემეცოდაო მღვდელი.

თარაშს ყოველივე განაგონი ჰქონდა დაშასგან, თუ როგორ ესროლა ყავარჯენი ნახუცარმა ლუკაიას და მერმე როგორ შეუწუხდა თვითონვე გული. ისიც არ დაუმალავს დაშას, კოჭებში რომ იტაცა ლუკაიამ ხელები და შემდეგ კოჭლობდა და ისე გარბოდა. ლუკაიას სულგრძელობამ გააოცა იგი.

მეო, — ამბობდა ლუკაია, — თამარის და თათიას უნახავად ორ

დღეს რომ გავძლო, ესეც ბევრი იქნებაო. თარაში ემუდარებოდა: ამაღამ წავიდეთო, რადგან თამარი ცუდად არისო, ეს რომ გაიგონა, ლუკაიამ წამოდგომა დააპირა, ფეხი კი მტკივაო, მაგრამ მაინც წამოვალო, ესაა მხოლოდ, ამ ჭაობებში ბედაურიც ვერ გაივლისო და ჭაობებიც რომ გავიაროთ, ბონდი გაფუჭებულია და უმთვარო ღამეში ქაჯი ვერ გადავაო ენგურზე.

„შენ როგორ მოხვედი მტკივანი ფეხით?“ — შეეკითხა თარაში.

წისქვილისაკენ მომავალი მეურმეები ვნახე და იმათ წამოვყევიო.

„ანგელოზთბატონი“

დილა გათენდებაო „ღვთის იმედით“, ფეხი ძალიან მტკივაო, მაინც წამოგყვებიო უთენია, — ასე ამბობდა ლუკაია. ამის შემდეგ ისევ ჯვარის ამბავს მოუბრუნდა იგი, განუზომლად სწუხდა: თამარს რომ ჯვარი დაჰკარგოდა. ეს ცუდი ნიშანიაო, ასკვნიდა.

თარაშ ისევ ზოსიმიას ამბავს მოუბრუნდა. ლუკაიას არეულ ბოდვისაგან მაინც გამოარკვია: ზოსიმია კერპთაყვანისმცემელ აფხაზთა მოგვი ყოფილაო, გრდემლზე მლოცველთა ქურუმი. პირველ ხანებში იგი ნამალევად ეწეოდა თურმე ამ კულტს. მჭედლობდა, თანაც გულმოდგინედ ასრულებდა თავის რიტუალს. შვილობილად მიუღია ზოსიმიას ვინმე ესვანჯიას ბიჭი... ესვანჯია კომკავშირში ჩაწერილიყო იდუმალ და გაეთქვა ზოსიმიას საიდუმლოება. მერმე დაუკეტეს თურმე სამჭედური. აიყარა ადამიანებზე ზოსიმიამ გული და ამ შორეულ წისქვილის მოვლა იკისრაო. შეიძულაო ზოსიმიამ კაცთა მოდგმა და არავის სთვლისო დალაპარაკების ღირსად. მეც მეპატიჟებაო ზოსიმია, — ამბობდა

ლუკაია, — მეც მინდაო ამ სოფელს გავეცალოო, მაგრამ თამარის გათხოვებას ვუცდიო. მეო არაფერს ვთხოვო აწი ღმერთს, მაგრამ ერთი უკანასკნელი სათხოვარი მექნებაო — სიკვდილი.

ამ საუბრიდან ისიც გამოარკვია თარაშ ემხვარმა: გველი ჰყოლია თურმე ზოსიმიას ამ წისქვილში — „ანგელოზთბატონს“ უძახისო. გველების შემლოცველი ყოფილა ზოსიმია და ქვეწარმავალთა გულის მესაიდუმლე.

„რას აჭმევს მერმე იმ გველს ზოსიმია?“

შეეკითხა ლუკაიას თარაშ ემხვარ.

„სუ, არ ახსენო ის უსახელო!“

ეუბნება ჩურჩულით ლუკაია.

„რა უნდა აჭამოს უხსენებელს, რძეს ასმევს, თუ სადმე იშოვნა“ — ამბობდა ლუკაია.

„მეჯოგეები ჩამოივლიან და თითო ჭიქა რძეს ვინ არ დაუტოვებს“.

ამასობაში ზოსიმიაც შემოვიდა. კერის პირად შეშა დაჰყარა, მერმე ისევ იქვე დაცუცქდა, სადაც წეღან იყო. ზანტად იღებდა ახლად დახეთქილ ნაჭრებს და უკეთებდა ცეცხლში. წისქვილში სრული მყუდროება იდგა. თარაში მონუსხულივით შესცქეროდა ზოსიმიას და ესმოდა, თუ როგორ საბრალოდ იწვოდა ცეცხლში კოპიტის შეშა. და ეს წივილი ისე გრძელი და გულისწამღები იყო, თარაშმა ვეღარ აიტანა ამ წივილით გაპობილი დუმილი, ჯერ იყო და დაახველა, შემდეგ ამისა, ასეთი კითხვა მისცა ლუკაიას:

„ვისი ყოფილა ეს წისქვილი, ლუკაია?“

„დადიანისეული, შურიგე“.

„ახლა ვისია?“ კოლექტივისაო, — ამბობდა ლუკაია.

„ვინ დააყენა მერმე ზოსიმია ამ წისქვილში?“

„სოფელმა“. თარაში დადუმდა და ლუკაიამ განაგრძო:

„დიდხანს მშიერი დადიოდა ზოსიმია, მერმე შეეცოდათ და მეწისქვილედ დააყენეს“.

ზოსიმია იჯდა და ცეცხლს უყურებდა, თითქოს მას სავსებით არ ეხებოდა ეს ამბავი. მისი ფერმკრთალი სახე მთლად გაწითლებულიყო ცეცხლის ალმურისაგან. ფაჩუნიერი, ხშირი წარბები ჩამოფხატოდა და ისე მოღუშული იჯდა, უთუოდ იტყოდით: თვით ამ მადლიან ცეცხლსაც დამდურებიაო.

მცირე ხნის დუმილის შემდეგ ლუკაიას ეუბნება ზოსიმია მეგრულად: ბიჭო, ადექი და იქ ცოტა თხის რძე დარჩაო ქოთანში, სტუმარს მიართვიო, შენი ნახელავი ეამებაო.

თარაშს გაეცინა, „ბიჭოს“ რომ უწოდებდა ზოსიმია ლუკაიას. და ეგ ისე უთხრა ზოსიმიამ ლუკაიას, კისერიც არ მიუღრეცია მისკენ. შემდეგ ამისა ადგა და ფქვილის ტომრების ყორეს გადაღმა დაწვა.

თარაში გააოცა ზოსიმიას უკარებლობამ. ზოსიმიას ერთხელაც არ შეუხედავს მისთვის, ისე გაეცალა.

ლუკაიამ წამოიწია, თარაში არ ანებებდა, თუმცა ძალიან შიოდა, ლუკაიამ მაინც თავისი არ დაიშალა, წამოდგა, სასთუმალთან მიგდებულ თოხის ტარს ხელი წამოავლო და კოჭლობით გაემართა კუთხისაკენ. კედელზე მიჭედილ პატარა კარადიდან რძის ქოთანი გადმოიღო. ქოთანში ერთადერთი ხის კოვზი ეგდო მთლად გარუჯული. თავათ ამოიღო ლუკაიამ და ხელში მისცა თარაშ ემხვარს კოვზიცა და რძეც.

თარაშმა ქოთანი გამოართვა, და როცა პირველი კოვზი პირისაკენ მიჰქონდა, ასეთმა აზრმა გაიელვა მის თავში:

ვინ იცის, ეგებ ამავე ქოთნიდან აჭმევდესო ზოსიმია რძეს თავის გველსაც. ლამის არ იყო, გული აურია ამ საოცარმა ფიქრმა. მერმე ინუგეშა თავი: ეს ქრისტიანული ცრუმორწმუნეობაა, თო-

რემ გველიც ისეთივე წმინდა არსებაა, როგორც ყოველი სულ-დგმული. გული მოიცა ამრიგად და უსიტყვოდ დაუწყო ხვრეპა ცივსა და უსიამო თხის რძეს.

ისევ წამოდგა ლუკაია, ტომრების გადაღმა დაბორიალებდა დიდხანს, მერმე ხვნეშით გამოათრია დანჯღრეული სკამლოგინი, ცეცხლის პირს დაუდგა თარაშს, ცხვრის ტყავი მოუტანა და ერთიც გაზინთული მუთაქა.

დაწექიო, ევედრებოდა, თანაც ფეხზე გახდა მოუნდომა. თარაშს არ უყვარდა, როცა ვინმე ფეხსაცმელს ხდიდა. არც ახლა დაანება ეს ლუკაიას და დიდის ვაი-ვაგლახით თვითონვე გაიხადა აზიური წაღები. ვიდრემდის თარაში ჩოხისა და ახალოხის ღილებს შეიხსნიდა, მას უკვე ესმოდა ლუკაიას ხვრინვა, ხოლო ტომრების გადაღმა დანაგაყრილ ცხოველსავით ხროტინებდა ზოსიმია.

ჩოხა გაიხადა, ახალოხის ღილები შეიხსნა და ისე წამოწვა ლოგინზე. დიდხანს შესცქეროდა თარაშ ემხვარ, თუ როგორ ილეოდა ნაძვის მკვარი. იგი ნელ-ნელა ივსებოდა, ცოტა ხანს კიდევ ბჟუტავდა, უკანასკნელად აფარფატდა ალი და მერმე მიეფინა წისქვილს თვალშეუვლები სიბნელე. ჩაფერფლილიყო უკანასკნელი ღველფიც, ახლა გამურულ ფანჯრიდან გაიხედა თარაშ ემხვარმა და გაუხარდა, როცა მთვარეს თვალი მოჰკრა, მოთეთრო ცაზე გამოსულს. დიდხანს, დიდხანს ფიქრობდა თარაშ ემხვარ ამ სიბნელის, ამ წისქვილის, ლუკაიას, ზოსიმიას და მის საწოლთან დარჩენილ რძის ქოთნის გამო.

ეშინოდა: დილით ადრე ამდგარს ფეხი არ ეკრა და არ დაემსხვრია ბედშავი ზოსიმიას ქოთანი. უნდოდა ამდგარიყო, ქოთანი თაროზე დაედგა, მაგრამ დაეზარა. თავის ტკივილმა უმატა თარაშს და, როგორც კი კერაზე ცეცხლი ჩაჰქრა, ჟრჟოლა შეუდგა წელში და მუხლები დაუმძიმდა. ზმორებას მოუხშირა. წამოიხურა

თავზე ტყაპუჭი, ცხვრის სუნი იგრძნო, უსიამო. ისევ გადიხადა, ფეხზე შესცივდა და ინანა: რად გავიხადეო ფეხზე. და მერმე მთელი სხეული აიტაცა ცახცახმა. იმძლავრა თავის ტკივილმა. ლიპი და სლიპი ეჩვენა გაქონილი მუთაქა, ხელისგული დაიდო თავქვეშ და ახლა გრძნობდა საშინელ ხმაურს სისხლისას.

გული აჩქარებულად უცემდა და ასე ეგონა: წელთან გაეკვეთა თითქოს მისი სხეული ვიღაცას.

ხელ-ფეხი უსივდებოდა, უცივდებოდა, ხანაც ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს საწოლი ირყეოდა, ქანაობდა, ან წყალს მიჰქონდა აჩქარებულს მისი სხეულიც და მთელი გარემო. ორივე ხელი გამოიღო ცხვრის ტყავიდან, პირქვე დაემხო და კიდეებზე წაავლო ხელები საწოლს.

ვერც ამან უშველა. მჩატედ მოეჩვენა მეწისქვილის უზარმაზარი ტყაპუჭი. ესღა ენატრებოდა: ვინმე მოსულიყო და მძიმე, ტყვიასავით მძიმე, ღველფივით ცხელი საბანი დაეხურა მისთვის.

უცახცახებდა, უტოკავდა მთელი სხეული. ლოგინზე ვეღარ იმაგრებდა თავს. კბილები ისე უკაწკაწებდა, როგორც უმწეო ბრაზისაგან დატყვევებულ შაშვს სჩვევია ხოლმე, როცა მას ხელს ახლებს ვინმე. მაგრად გაეხვია ტყაპუჭში, ცოტაოდენი ოფლი გამოუვიდა და ჩასთვლიმა.

კარგად ვერ გაერკვია თარაშ ემხვარ: კატების საშინელმა ჩხავილმა გამოაღვიძა იგი, თუ მთვარის სინათლემ. ზედ ცხვირ-პირზე უნათებდა სარკმელიდან შემოსული მთვარის შუქი თარაშს, წისქვილში საშინელი ღნავილი ისმოდა, კატების ღნავილი...

თავდაპირველად ერთი ღნაოდა ხანგრძლივად. ახლა მეორე გაეხმაურა. მერმე ჩხავილი მოესმა. მალე ესეც მისწყდა.

მიაყურა: ტურების კივილი შემოესმა. სულ ახლოს, წისქვილის ოლეში ღნაოდნენ ტურები. მაგრამ სჩანდა: მარტოოდენ ტურები არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ბოხი, ჩახლეჩილი ხმით ბღაოდნენ

ფოცხვერები, ვერ კი გაერჩია თარაშს: ერთად იყვნენ ეს ტურები და ფოცხვერები თუ ცალ-ცალკე. ეს იყო მხოლოდ ცხადზე უცხადესი: ტურების წვრილ ხმაში ესმოდა მათი ბოხი ხორხოცი და ბღავილი. თარაშმა გვერდი იცვალა, უზომოდ იამა, ამ ტყიურ გარემოცვაში რომ იწვა, ამ მყუდრო წისქვილში. სწორედ იმავე წუთში ტურები დადუმდნენ და ისევ კატებმა განაგრძეს კნავილი.

ერთ-ერთი ხანგრძლივად ღმუოდა. ეს უკვე აღარ ჰგავდა კატის კნავილს. უცებ ძუ კატის მჭახე ხმა გაისმა, თითქოს ნარმის ნაჭერი გაფხრიწესო. ისევ ღმუილი ატყდა და კვლავ შეიბნენ იგი, ვინაც ღმუოდა და ვინაც ჩხაოდა.

ძუ და ხვადი გააფთრებით ებრძოდნენ ურთიერთს სიბნელეში.

მყუდროება ჩამოვარდა წისქვილში. ბოლოს სავსებით ნელი ლიკლიკი მოისმა წყლისა და მერმე შიშინისა, სისინის მინაგვარი ხმა. და მთვარის შუქზე შენიშნა თარაშმა: რამდენიმე ვირთხამ გაიშლიგინა სწორედ იმ ადგილას, სადაც გადამწვარი მუგუზლები ეყარა.

დაწინაურდა ერთი, სულ ახლოს მოვიდა საწოლთან. გარკვევით ხედავდა თარაში: ნამგალსავით მოდრეკილ კუდს უშველებელ ვირთხისას. რაღაც ზიზღისმომგვრელი რამ ეჩვენა მას ამ გასიპული ცხოველის კუდი. ისეთი სლიპი და უსიამო, როგორც მღამიობის ფრთები (თუ ვინმეს აგიყვანიათ ხელში მღამიობი).

იმ ადგილამდის მიცუნცულდა ვირთხა, სადაც რძის ქოთანი დაავიწყდა თარაშს, მერმე გამობრუნდა, დაიწრიპინა და გაუჩინარდა.

დასცქეროდა თარაში იმავე ადგილს, ვირთხის მიერ გადანარბენს. რამდენიმე ვირთხა გამორბოდა მისკენ. და იქიდან, სადაც გადამწვარი მუგუზლები ეყარა, გაისმა საწყალობელი წრიპინი, სისინი და შიშინი, ისეთი, როგორსაც გამოსცემს ხოლმე გამხმა-

რი ჩალა, როცა ნოემბრის ქარი გაუვლის ცივი და საზარი. დიდ-ხანს ისმოდა ეს ჩალისებური, ამაზრზენი შიშინი და მერმე ისეთი სისინი გაიგონა თარაშ ემხვარმა, როგორც მამალ ბატს სჩვევია ხოლმე, როცა ბავშვები ხელს ახლებენ ჭუკებს.

და ადგა ამ დუმილში შიში და თარაშ ემხვარს ესმოდა, თუ როგორ ხმაურობდა სისხლი მუთაქაზე მდებარე ყურში.

კიდევ შემოესმა ამგვარი სისინი და გულისწამღები წრიპინი ვირთხისა. მერმე დადუმდა ირგვლივ ყოველივე. თითქოს რაღაცამ ნელა, სულ ნელა დაისტვინაო; წყლის ლასლასი იყო თუ ჩალის შარიშური? ეს ვერ გაარჩია. დაინახა მხოლოდ: სარკმელიდან შემოჭრილ შუქზე თუ როგორ წამოვიდა მის საწოლისაკენ უშველებელი გველი. იგი მთელი წყრთის სიმაღლეზე წამოწეულიყო მიწიდან და მოდიოდა მისკენ კისერგაშეშებული და სისინებდა ისე, როგორც ნოემბრის ამაზრზენი ქარი, ჩალაში გავლებული.

თავი წამოსწია თარაშმა და მოეჩვენა: ისე დაეღო პირი ამ ქვემძრომს, თითქოს იქედნურად იცინის და ისე მოდისო.

მშვიდად, უხმოდ და მდორედ მოემართებოდა გველი (იდუმალებას შეუსხამსო ხორცი). ნელი სისინი მოუძღოდა წინ ამ მშვენიერს, მოხატულ ცხოველს, ცივი, ამაზრზენი და შემზარავი. ისევ ჩამოვარდა სიჩუმე, და თარაშ ემხვარს ესმოდა, თუ როგორ სცვიოდა სხვენიდან წისქვილის მჭვარტლი. გაუნძრევლად იწვა. თარაშმა იგრძნო: დაპატარავდა მისი სხეული ცხვრის ტყაპუჭში გამოხვეული და შეიცნო იმ წუთში გველის სუნი, რომელიც თაგვის სუნს წააგავს ოდნავ.

თარაშ ტანზე გაუხდელად იწვა ლოგინზე ახალოხის ამარად, ამიტომაც ახალოხის ჯიბისაკენ გააპარა ხელი და ბრაუნინგის საკეტი გადასწია ცერით. მიხვდა: ვერას უშველიდა რევოლვერი, ამაოდ ეძია ასანთი. ისევ ამოიღო ჯიბიდან ხელი და იწვა ისე

გულგრილად და შესცქეროდა, თუ როგორ მოდიოდა მისკენ ეს საშინელი, ზანტი მცურავი.

კრინტიც არ დაუძრავს თარაშ ემხვარს და მოემზადა მყისვე სიკვდილისათვის, რადგან ხედავდა: პირდაპირ მისკენ მოდიოდა ქვეწარმავალი და ვერაფერი უშველიდა მას ამ სიბნელეში. უკვე აღარ სისინებდა იგი. არც სხვაგვარ ხმას იღებდა შრიალის მაგვარს და ეს უხმო, წყლისებრი მდინარება ტალღისებრ მოძრავი გველის სხეულისა მომეტებულ შიშსა და ძრწოლას ჰგვრიდა საწოლზე განაბულს. ასე ფეხაკრეფით და უხმოდ მოდისო ალბათ სიკვდილი ამ უცნაურ მიწაზე და მისი ფიქრი თამარს მისწვდა ამ მძიმე წუთებში.

ბედისწერა ყოფილა ჩემი, თამარის შეხვედრაც და მისი ჯვარის დაკარგვაც. და იამა საყვარლისაგან სასიკვდილოდ წარგზავნა.

ჭირის ოფლი გამოუვიდა მთელს სხეულში და ინუგეშებდა თავს, რომ თამარის ნებისამებრ ეღირსებოდა მას სიკვდილი, თავის გამწარუბულ სიჭაბუკეში მრავალგზის ნანატრი. დედა მოაგონდა მარტოხელად ოქუმში მყოფი, მამა საცოდავი, შუბლგაჩეხილი, საფრანგეთის ცივ მიწაში გდებული, ერამხუტ ემხვარ თვალწინ წარმოუდგა ბედისწერასავით გაფითრებული.

გაიხედა და გველი უკვე აღარსად სჩანდა. საოცარმა ჟრუანტელმა დაუარა, როცა გაიფიქრა, ალბათ საწოლზე ამოძვრაო კიდევაც. განაგონი ჰქონდა: ბეწვიანსა და ბანჯგვლიანს ერიდებაო გველი.

ამიტომაც მთელს ტანზე შემოიხვია ცხვრის ტყავი, თანაც საოცრად უკანკალებდა სხეული: სლიპი და ცივი რამ არსად წამომედოსო, სრული დუმილი დამყარებულიყო წისქვილში. შრიალი რამ უეცარი შემოესმა, მიაყურა და დარწმუნდა: ეს ღარიდან გადმონაჟონი წყალი შრიალებდა წისქვილის იატაკის ქვეშ. და მერმე

კიდევ შემოესმა მცირედი სისინი, მაგრამ არა სკამლოგინზე, არამედ სკამლოგინის ქვეშ და მაშინ გაბედულად ასწია თავი, ძირს დაიხედა და დაინახა, თუ როგორ ჩაჰყო ქოთანში ქვეწარ-მავალმა თავი და შიგ ჩარჩენილ თხის რძეს დაუწყო სვრეპა...

ცრუმარჩიელი

არზაყან რესტორან „ოდიშში“ იჯდა.

ჯერაც არ შეღამებულიყო, ელსანათები ბჟუტავდნენ ოდნავ. არზაყან ძლივს არჩევდა სუფრების ირგვლივ დამსხდართა სახეებს. რესტორანში ჭიქების წკრიალი ისმოდა და ხმადაბალი საუბარი; ზოგი ქართულად ლაპარაკობდა, ზოგი — მეგრულად, ზოგი — აფხაზურად და ზოგიც — სვანურად. იმ სუფრიდან, სადაც სვანურად ლაპარაკობდნენ, ხმამაღალი ხორხისმიერი ხორხოცი გაისმოდა. ვიღაც მაღალი, ახმახი კაცი ხარხარებდა, და ეს ხარხარი ისეთი დიდი გახარების ნიშანი იყო, რომ იგი უნებლიედ აღიზიანებდა გულშემოყრილ არზაყანს.

თამარის ავადმყოფობის ამბავი ოქუმში გაეგონა თურმე ყურმოკვრით. შუაღამეს ცხენი შეკაზმა და ზუგდიდს ჩამობრუნდა. ძაბულის მიაკითხა, შემდეგ შარვაშიძეების ეზოში შეიპარა, ლუკაიას ხულა დაკეტილი დაუხვდა.

ახლა აქ იჯდა დარდიანი; ზედიზედ სცლიდა ჭიქას, ეგების ღვინოს გაექარვებინა მწუხარება. ერთი რამ კი დასცდა ძაბულის: თამარს დედისეული ჯვარი დაჰკარგვიაო, ჯავრისაგან ავად გამხდარაო. უგუნებოდ ყვებოდა ძაბული და აღარც ჩაჰკითხა, მოერიდა: იჭვნეულობის გრძნობა არ გამოეწვია. იჯდა და სვამდა...

ღვინო უსიამო ეჩვენა, მაინც ასხამდა. ჭიქას ჭიქაზე სცლიდა. მოისაზრა: ბარათი დაეტოვებინა თამარისათვის. წერილობით მაინც ემცნოთ არზაყანისათვის, თუ რა მოუვიდა თამარს.

ბლოკნოტი და ფანქარი ამოიღო, წერა დაიწყო. რამდენიმე სიტყვა დასწერა: თავათაც ვერ ამჩნევდა ნაწერს.

ზეაიხედა:

ელექტროს სანათი საკმაო შუქს არ იძლეოდა. ვიღაც თავზე წამოადგა. მსახური შეიცნო. შეეშინდა, მას არ ამოეკითხა ნაწერი.

ელდანაცემი შეეკითხა: „სინათლე რატომ არა გაქვთ, ამხანაგო?“

ქარხნები ჯერაც მუშაობენ, ელენერგია მათ ვეღარ სწვდებაო, — ლუღლუღებდა მსახური.

და გაჰყვა არზაყანის ფიქრი ნაჩქარევად დაწერილ სტრიქონებს და გულის დარდი შეუმსუბუქდა, როცა გრძნობა ეგზომ გულახდილად გადაიტანა ქაღალდის ნაჭერზე (ხომ არავის ხორციელს არ გაანდობდა იგი თავის იდუმალ ზრახვას).

ავტორს განზრახ არ მოჰყავს ამ ადგილას არზაყანის წერილის დედანი, რადგან იგი ძალიან ცუდი ქართულით იყო დაწერილი. თავათ არზაყანმაც არ იცოდა, თუ ვისი ხელით უნდა გაეგზავნა ეს ბარათი, არც ის: გაუგზავნიდა თუ არა ამ წერილს, მაგრამ მაინც იჯდა და წერდა.“

მეო, განგებამ დამსაჯაო, — სწერდა არზაყან, — რომ სწორედ შენი კლასსის, შენი წოდების სისხლის ნაშიერი შემიყვარდაო,

აბა რა მაქვსო მე საერთო თავადის ქალთან, ისეთ ქალთან, მეოცე საუკუნოში ჯვარის მადლი და ხატის ძალი რომა სჯერაო, მაგრამ სიყვარული მართლაც ბრმა ყოფილაო, და მე შენმა სიყვარულმა დამაბრმავაო. და ჯერაც არ მცოდნიაო, მტრის სიყვარული თუ შესაძლებელი ყოფილაო, არც ის გამიგონიაო, სიყვარული თუ სიშმაგე აღმოჩნდებოდაო. რაც შეეხება ჯვარს, ის ჯვარი მე მაქვსო, შენ არაფერი იდარდო, და ხუთმეტ აგვისტოს ტფილისს თუ წავალთ, თან ჩამოგიტანო.

ამასა და სხვა ამგვარს სწერდა მრავალს არზაყან ზვამბაია თავის გაურანდავი ქართულით: და მე თქვენ გარწმუნებთ, ჩემო მკითხველო, ეს ბარათი ისეთივე გულისმომკვლელი და მშვენიერი იყო, როგორც რამინის წერილი ვისისადმი და გინდაც რომეოს მიეწეროს ჯულიეტასთვის. საქმე ასეა: სიყვარულის სიმძიმილს ყოველი კაცი თანაბრად განიცდის, მაგრამ ნაგრძნობის ოსტატურად გამოთქმაა მუდამ მთავარი, მე რომ შევშველებოდი არზაყანს, ეს არ ივარგებდა, რადგან არავინ დაიჯერებდა მაშინ გულწრფელობას მისას. ხოლო სიწრფელის კიდეგან ნაგულისხმევის ქაღალდზე გადატანა სავსებით ამაოა და მცდარი ოცნება. ბარათი ჯერაც არ დაესრულებინა არზაყანს, როცა ვოლტაჟი მოემატა ელნათურებს და რესტორანში ხმაურობამ იმატა.

სუფრის ბოლოს ვიღაც ჩოხიანი მოხუცი იჯდა და ჩონგურს უკრავდა. დაბალი, დაბალი ხმით ღიღინებდა ბერიკაცი და რამდენიმე შეზარხოშებული ახალგაზრდა მღეროდა ასევე ხმადაბლა.

და არზაყანის მზერა გასწვრივ მჯდარ ტყირპიან, ჯუჯა კაცის სახეს შეეჩეხა. არზაყანს ეცნაურა იგი. ტყირპიანი პილპილივით გაწითლებული იყო, ალერსიანად უღიმოდა, არზაყანმა თვალი ააარიდა, თავი ჩაღუნა, და ნაწერს დააცქერდა, უკვე თავათაც არ მოეწონა თავის ნაწერი, მაინც დაკეცა და მაგიდაზე დასდო. თავი

ზეაიღო თუ არა, შენიშნა: ტყირპიანი მისკენ მობარბაცებდა. არზაყანმა შუბლი შეიჭმუხნა, მაგრამ ტყირპიანი ჯიქურ მისკენ მოემართებოდა. მქეჯნავი ფიქრი აეკვიატა არზაყანს:

სად ენახა ეს კაცი? ვერ კი მოეგონა ეგზომ ნაცნობი სახე.

„უკაცრავად ვარ, ბატონო“ (სიტყვა „ბატონო“ გულზე ეცა არზაყანს), ჩაილუღლუღა მთვრალმა, სკამის ცალ კიდეზე ჩამოჯდა, არზაყან დაკვირვებულად ათვალიერებდა მის უდროოდ დამჭკნარ სახეს, დაბალს, გადაზნექილ შუბლს. ცხვირის ცალ ნესტოზე მოწითანო მეჭეჭი ამოსვლოდა შინდის კურკისოდენა, ხოლო მეორე ნესტოდან ვიდრე საფეთქლამდის ტყლაპისფერი ტყირპი გადაჰკვროდა. უსაზმნოდ იცინოდა ტყირპიანი, თაგვის კბილებისებრ წაწვეტებულ, თეთრ ღოჯებს აჩენდა.

„უკაცრავად, მე კარგად არ მახსოვს, სად გამიცანით პირველად?“ — შეეკითხა არზაყან და სუფრაზე გდებული წერილი ხელში აიღო (თითქოს შეეშინდა, მთვრალ კაცს არ დაეწყო ამ ბარათის კითხვა).

„როგორ არ გახსოვთ, მართლა არ გახსოვთ?“ — ამბობს ტყირპიანი, თანაც იცინის, თაგვის კბილისებრ თეთრ ღოჯებს აჩენს.

არზაყანი თავს უქნევს.

„ნუთუ მართლა არ გახსოვთ?“ არზაყან მოთმინებიდან გამოვიდა.

„არ მახსოვს, მერე რა, რომ არ მახსოვს!“

„როგორ არ გახსოვთ, პარიკი რომ გაგიკეთეთ, მათხოვრის პარიკი, ყაჩაღების დასაჭერად რომ მიდიოდით“.

აა, სიხარულიძე!“ — წამოიძახა არზაყანმა, სახე გაუბრწყინდა და მოაგონდა სოხუმელი დალაქი, რომელმაც მოხუცებული მარჩიელისა და მათხოვრის ნიღაბით შეუბურვა სახე აჭანდარის ყაჩაღების შეპყრობის წინადღეს.

„მე მას შემდეგ არ მინახავხართ, რა ჰქენით ნეტავი, დაიჭირეთ

ის ყაჩაღები?“

არზაყანს გაეცინა, ორი წლის ადრინდელ ამბავს ახლა რომ ეკითხებოდა ეს ტყირპიანი დალაქი.

თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ღიმი შეიკავა. მსახურს სთხოვა ჭიქა მოეტანა.

მთვრალმა დალაქმა სავსე ჭიქა ხელში აიღო მიუპატიჟებლად, კიდევ შეეხვეწა ეამბნა მისთვის, თუ როგორ დაიჭირა არზაყანმა აჭანდარელი ყაჩაღები.

და სავსებით უხალისოდ დაუწყო არზაყანმა ამ ამბის თხრობა:

„პოლიტსამმართველო სამი წლის განმავლობაში სდევდა მათ. მთელი რაიონი აიკლეს იმ არამზადებმა; ათიოდე მილიციონერი შემოაკვდათ სამჯერ ალყა შემოარტყით, ტყვიამფრქვევები დავდგით გორებზე, მაგრამ სამივეჯერ წრე გაარღვიეს და უსაშინელესი ცეცხლის გრიგალში გაუჩინარდნენ. ხალხში ათასგვარი ხმა დადიოდა მათი მეთაურის გამო, ამბობდნენ: ჯადო აქვსო და ამიტომაც ტყვია არ ეკარებაო.

საქმის მომცემმა ერთმა დედაბერმა მე შემატყობინა, აჭანდარის ეკლესიის მნათესთან დაედოთ ამ ყაჩაღებს ბინა. ერთხელ მათ მეთაურს ცუდი სიზმარი ენახა. ახირებულა თურმე: მარჩიელი მომიყვანეთო. მეც ავდექი, გუდაუთს ჩამოველ, მაგრამ ისეთი დალაქი ვერ ვიპოვნე, პარიკების გაკეთება რომ შესძლებოდა; ის იყო თქვენთან ამოვედი“.

ესა სთქვა არზაყანმა და ღვინო მოსვა და დალაქსაც დაუსხა.

„მერმე, მერმე?“ — შეეკითხა დალაქი, ხელმეორედ აივსო ჭიქა და დასცალა.

„მერმე და აჭანდარაში ავედი პირნიღბიანი; მილიციელების რაზმი წავიყვანე, მახლობლად ჩავასაფრე. ნაშუაღამევს დედაკაცმა მთაზე ამიყვანა. მეთაურს არ ეძინა. ძლიერ შეეშფოთებინა სიზმარს.

მართლაც მარჩიელი ვეგონე, დაწვრილებით მიამბო ტახტზე წამოწოლილმა წინაღამინდელი სიზმარი.

„სიზმარი ისე მენიშნა, სიკვდილი არ აგცდება-მეთქი“.

ეს ვუთხარი და მაუზერის ტყვია ვახალე პირში. ვიდრე მეორე ოთახში მძინარენი წამოცვივდებოდნენ, ჩვენი ბიჭებიც მომეშველნენ, ორი დანარჩენიც გავთოკეთ“.

ამის თქმა მოასწრო არზაყანმა და შემდეგი ჭიქის დალევისას უეცარმა აზრმა გაუარა. თამარისადმი მინაწერი ბარათი აიღო, ნაკუწებად აქცია, საფერფლეზე დაჰყარა, ასანთი ამოიღო და ცეცხლი წაუკიდა.

„ახლა რას აპირებთ?“ შეეკითხა მომღიმარე დალაქი.

„ახლაც ასეთივე საქმე მაქვს, პარიკი უნდა გამიკეთო. საქმე ისაა, იქ, სადაც ახლა მივდივარ, ყველანი მიცნობენ. სახე ისე უნდა შემინიღბო, არავინ მიცნოს, თორემ ძლიერ სახიფათოა“.

„ხვალ მოდი სახელოსნოში, ისეთ ნიღაბს გაგიკეთებ, ქაჯმაც ვერ გიცნოს“,

„ხვალ მივდივარ, ახლავე წამოგყვები“. ტყირპიანი შეყოყმანდა, ღვინის სმა არ ჰქონდა მოთავებული.

არზაყან ამ ახალი აზრის სიხალისემ აიტანა, ახლა კი იამა, შემთხვევამ თუ ბედმა მოულოდნელად რომ გადაჰკიდა ამ ტყირპიან დალაქს. იცოდა, შარვაშიძეების ოჯახში ყველა ცრუმორწმუნე იყო ხერიპსის გარდა, ყველა — მღვდელიც, თამარიც და კაროლინაც. თუ ლუკაია მობრუნებული იქნებოდა ამასობაში, მით უკეთესი. ერთი ბოთლი კიდევ დალიეს და დალაქის სახელოსნოს მიაშურეს.

* * *

გრილი ნიავი ჰქროდა, ზაფხულის საამური თქორი მოდიოდა, მაინც სცხელოდა შარვაშიძეების ეზოში შემოსულ პარიკიან

„მარჩიელს“ — არზაყან ზვამბაიას. ზიზღსა და სიცხეს ჰგვრიდა სხვისეული თმაწვერი. და წვერები ისეთი გრძელი და მოყვითანო ჰქონდა, როგორიც ლუკაია ლაბახუას. ძველმანები და ძონძები ემოსა ტანზე. გრძელი ყავარჯენი ეჭირა ხელში, ამიტომაც გულიმედიანად უახლოვდებოდა ტარიელ შარვაშიძის სახლს.

თამარის ფანჯრიდან სინათლე გამოკრთოდა. თივის ზვინებიდან წკავწკავით გამოსცვივდნენ ძაღლები. არზაყან შედრკა, ბარე ცხრა ძაღლი უტევდა ყოველი მხრიდან. თუთის ხეს მიეყრდნო ზურგით, იგერიებდა მყეფარებს და ძროხასავით ზმუოდა.

„რომელი ხარ?“ — დასჭყივლა აივნიდან გადმომდგარმა ტარიელ შარვაშიძემ. არზაყან გაუგებარ სიტყვებს ლუღლუღებდა. ტარიელი შეაშფოთა ამ გაუგებარმა ზმუილმა, პანიური ყვირილი მორთო: ლუკაია, ლუკაიაო. ბოლოს ხელტუკით შეიარაღებული ლუკაიაც გამოძვრა თავის ხულიდან. მოდიოდა, მოკელანობდა, მოქაქანებდა ბნელში.

ლუკაია ძლიერ გაახარა მარჩიელ მათხოვრის მოსვლამ. ხულაში შეიყვანა. კერის პირად დასვა. დაათვალიერა.

„ძველი კაი დრო“ მოაგონა ლუკაიას ამ „სათნო მოხუცის“ მოსვლამ. ა სად წავიდნენო ძველი მკითხავები, მწირები, მოკალმასე ბერები, მარჩიელები, გველის მგეშავები და მესაზანდრეები? ახლა ყველანი სიბნელეში ვზივართო, სჩივოდა ლუკაია, ექიმები სოკოსავით მომრავლდნენო. მუწუკიდან თელგამის გამოდენისა და საფაღარათო ზეთის გამოწერის მეტი არაფერი იციანო. ციება რომ ციებაა, იმასაც ვერ არჩენენო ექიმები.

არზაყანს კამათელი ჰქონდა ენის კლიტესთან ამოდებული და ასე ლუღლუღებდა უკავშირო და გაუგებარ სიტყვებს... ცრუმორწმუნე ლუკაია აღტაცებული იყო: „ღმერთმა ყველის შემძლემ“ მხცოვანი ენარეული მწირი რომ წარმოგზავნა შარვაშიძეების

ოჯახში, რათა თამარის ჯვარის დაკარგვის ამბავი აეხსნა და განეკურნა თამარი. ასე ყოფილაო წესი საკვირველია. იგი მოულოდნელად ეწვევაო მორწმუნეს მწუხრისას. და გულმოდგინედ ჰფიქრობდა ამ „სათნო მოხუცის“ შემყურე ლუკაია სერობათა იდუმალ სტუმრებისა და ბნელის მიმთხრობ წინასწარმეტყველთა გულთმისნობისათვის.

ჭრაქი აანთო ლუკაიამ, პირქვე დამხობილ კოთხოზე შემოდგა და მისან მათხოვარს შეავლო თვალი. იგი წვიმისაგან გაზუზულიყო. სველი ჩაბალახის ტოტიდან მოყვითანო წვერიღა მოუჩანდა. შუბლშეჭმუხვნილი იყო მათხოვარი და ტკბილ საუბარსაც ვერ გაეფანტა სახისა მისის სიკუშტე.

მარჩიელი მოვიდა.

ყველას ახარა ეს ამბავი ტარიელ შარვაშიძემ. მას ლუკაიაზე ნაკლებად არ უხაროდა ძველი დროის გზააბნეულ მერცხლის შემობრუნება. შარვაშიძეების კარზე ხომ დღედაღამ ზიმზიმებდა მარჩიელი, ქადაგი, შემლოცველი, გამომლოცველი, ლენჩი, მონაზონი, მწირი და მოხეტიალე მესაზანდრე.

გული საგულეში აღარ დაეტია. რას აყოვნებდა ის შლეგი ლუკაია მარჩიელისათვის თამარის ჩვენებას? ამიტომაც ასტეხა ძახილი უკანა აივანზე გადმომდგარმა. ლუკაიას ხმობა არ ესმოდა, მღვდელს ფეხის დასველებისა ეშინოდა.

არ იქნა და ვერ მოიშალა სიჯიუტე ამ ღვთისაგან წყეულმა ლუკაიამ. უკანასკნელი გაქცევის შემდეგ მთლად გადაირიაო ლუკაია. ეს გაიფიქრა და კიდევაც დასჭყივლა: „ლუკაიააა!“..

ისედაც აფორიაქებული ძაღლები მთლად გადარია მოხუცის ყიჟინმა... არზაყანს გუნებაში გაეცინა, როცა კიბეზე კვნესით ამომავალს ხელი შეაშველა მას ნახუცარმა.

„კეთილი იყოს შენი შემოსვლა ჩემს ოჯახში, ღვთის მიერ წარმოგზავნილო მწირო“.

შემოაგება პათეთიური და ალერსიანი სიტყვა ტარიელ შარვაშიძემ მარჩიელს. არზაყან განზრახ წაბარბაცდა უკანასკნელ საფეხურზე და მარჯვენა ფეხი გასდრიკა განზე, დაფაფხურდა, თითქოს წაქცევას ლამობსო. ბაბუა ტარიელ, თუმცა თავადაც ძლივს იდგა ფეხზე, მაინც წამოეშველა. ამ სიბნელეში მკლავში ვერ წაავლო ხელი, თეძოსთავზე წაეპოტინა და სწორედ მაშინ არზაყანის მაუზერის სახელურს მოხვდა მისი ხელი (ძონძები ემოსა არზაყანს საკუთარ ტანისამოსის ზემოდ. ამიტომაც ვერ გაერჩია ნახუცარს, თუ რა მოხვდა ხელში).

„ეს რა მოგსვლია, მამაშვილობას?“

„ეს თეძოს ძვალი ამომიგდეს უშჯულოებმა, მამაო“, — წაილუღლუღა ცრუმარჩიელმა. ტარიელ შარვაშიძე და ლუკაია პირდაპირ დაატკბო ამ ამბავმა. საკუთარი თვალით რა იხილეს „კიდევ ერთი მსხვერპლი რელიგიური დევნისა“.

„ნეტარ იყავ შენ, რამეთუ გდევნონ ჩემის სახელით. ესეც დაწერილ არს, შვილო ჩემო“, — ეუბნება ბაბუა ტარიელ მარჩიელს.

ცოტა ხანს კიდევ ესაუბრა ბაბუა ტარიელ სტუმარს დერეფანში, თავის ოთახში შეყვანა მოუნდომა, მაგრამ ელექტრო გამქრალიყო შემთხვევით, ხოლო ერთადერთი ლამპა ავადმყოფი თამარის ოთახში გაეტანა დაშას.

კიდევ ერთხელ დასწყევლა ბაბუა ტარიელმა ბოლშევიკები და მათი ქარხნები.

ქარხნებს ზედმეტი გადატვირთვა აქვთო, ამიტომაც ჩვენ სიბნელეში უნდა ვისხდეთო. ქარხანა და ელექტრონი ეშმაკის მოგონილიაო, — სჩივოდა ხუცესი, — სადაც ქარხანა, ელექტრონი და მატარებელი გაჩნდება, უშჯულოებაც სწორედ იქ იდგამსო ფეხს.

თამარის ოთახში შესვლას საერთოდ ერიდებოდა მღვდელი, აფხაზური წესისამებრ, რადგან ქალი, შვილიც რომ იყოს ღვიძლი, მაინც ქალია აფხაზის თვალში.

კიდევ ერთი მიზეზიც იყო: ბაბუა ტარიელმა იცოდა: იმ წუთში თარაშ ემხვარ იჯდა იმ ოთახში. მას ეს არ მოსწონდა, მაგრამ ითმენდა. მალული გულისწყრომის დასამოწმებლად მასთან პირისპირ შეხვედრას ერიდებოდა. არზაყანს გული აუჩქროლდა, როცა მწოლარე თამარს შეავლო თვალი. ნიშადურის სპირტის და ნაფტალინის სუნი იდგა ოთახში, ხოლო თამარის საწოლს როს გაუსწორდა, მაგარი პარფემის სურნელება შეიცნო სტუმარმა... ლამპის უსუსური და ყვითელი შუქი ლიცლიცებდა. თამარის დაგრაგნილი ხშირი ნაწნავები ბალიშზე ელაგა უწესრიგოდ. არზაყან აენთო ამის შემხედვარე. ფერმილეული ეჩვენა თეთრ ბალიშზე თამარის სახე. მას არასდროს ენახა მწოლარე თამარი და ამიტომაც ვერ მოსწყვიტა თვალი ამ სანახაობას.

ლუკაიამ სკამი მიართვა მარჩიელს და პიანინოს კიდესთან დასვა.

მობრუნდა არზაყან, უკან მოიხედა. პიანინოს მეორე კიდესთან თარაშ ემხვარ შენიშნა. იგი კაროლინას გვერდით იჯდა და მასზე ნაკლებ ინტერესს იჩენდა მარჩიელისადმი. კაროლინა სცქმუტავდა, კისკისებდა, გერმანულად ეჩურჩულებოდა თარაშ ემხვარს რაღაცას, ხანაც მარჩიელს ესიტყვებოდა დამტვრეული რუსულით. რუსული არ ვიცი, ანიშნა მარჩიელმა ლუკაიას და ლუკაიამაც ქართულად განაცხადა ყველას გასაგონად. ჩვენმა მწირმა რუსული არ იცისო.

ამ ამბავმა დააშოშმინა კაროლინა. იგი თარაშ ემხვართან ლაღობობას შეჰყვა, ხოლო ლუკაია განაგრძობდა დაკითხვას. თამარსაც იამა მარჩიელის მოსვლა, მაგრამ მას თავი სტკიოდა, ამიტომაც ლაპარაკს გაურბოდა, ასე რომ, ლუკაია ეწეოდა მის მაგივრად მესიტყვეობას.

არზაყანს სველი ჩაბალახი წარბებამდის ჩამოეფხატა, წელში

მოდრეკილი იჯდა. როგორც ეს ბერების წესია, წარამარა ხვნეშოდა. ცხვირიდან ითქვამდა სულს და გაცივებულ კამეჩსავით ქლოშინებდა, ფრთხილად, ძალიან ფრთხილად თამარისკენ აპარებდა მზერას. და როცა მოუსვენრად მბორგავ ავადმყოფს საბანი ოდნავ გადაეხდებოდა, რძისფერ გულმკერდის ელვარებას უჭვრეტდა იდუმალ.

ოჰ, რა ბედნიერად ეჩვენებოდა მას ამ წუთში თარაშ ემხვარ, მას ხომ შეეძლო თუნდაც ყოველ საღამოს ამ ოთახში უპარიკოდაც შემოსვლა, თამარის სასთუმალთან ჯდომა და მისთვის მზერა. და ვინ იცის, განა მარტო მზერა?..

იჭვნეულობის უფსკრულმა დააღო მის წინაშე საშინელი ხახა. ამ წუთში მზად იყო არზაყან, უკან გამოსდგომოდა თავის დედის გაზრდილს და თუთების ხეივანშივე მოეკლა იგი, ცოფიან ძაღლსავით მოეკლა იდუმალ. და აზვავდა არზაყან ზვამბაიას გულში ურთიერთში აღრეული ვნება, შური და იჭვნეულობა. მთელი სხეული უთრთოდა, წელში მოიდრიკა უარესად, როგორც დიდი ნახტომისთვის განმზადილი ცხოველი. არზაყანს გულის ჯიბეში ჰქონდა თამარის ჯვარი, თარაშ ემხვარ რომ აქ არ დახვედროდა, გადაწყვეტილი ჰქონდა ლუკაიასთვის გადაეცა ჯვარი. ლუკაია იმას ღვთის სასწაულად ჩასთვლიდა. ახლა კი, ახლა შურისგებით იყო აღსავსე და ამ დროს დაიწყო საუბარი შაქარბაგიანმა ლუკაია ლაბახუამ.

კეთილო მწირო, — ამბობდა ლუკაია მეგრულად, — ჩვენ ავადმყოფს ჯვარი მოპარესო, საყვარელი დედის ნაჩუქარი. გამოვულოცეთო, შევულოცეთო, ძილისპირული უმღერაო ძიძამ და შოუ ნანა ჩონგურზე შეწყობილი. ილორში ვიყავი ჩემი ფეხით, სამი თვის ციკანი შევწირეო ილორის წმინდა გიორგის, მაგრამ ღვთაების ნებას ჩვენ ვინ განგვიცხადებსო. კეთილო მწირო, ეგებ შენ გვაუწყოო, რა თვალი ეცაო ჩვენს ავადმყოფს, უჟმური ხომ არ

შეყრიაო, მავნე თვალი ხომ არ სცემიაო ოსეოფის მოსვლისას, ბალახის სული ან მიწის სული ხომ არ აყოლიაო? რისგან არის მისი ავადობა, მიწისაგან, მზისაგან თუ მთვარისაგანო?

და მოჰყვა ლუკაია ლაბახუა თავისებურ ბნელმეტყველებას. არზაყანმა ვერც კი გაართვა თავი მის როშვას. გულჯავრიანი იყო, ამიტომაც არ ეცინებოდა. იღუშებოდა და სდუმდა.

და რომ გამოცდაზე მოუმზადებლად მოსული შეგირდი თავის აზრის პირდაპირ გამოთქმას გაურბის და კეთილ მასწავლებლის კითხვებს ბრმად აჰყვება ხოლმე, ხან დადებით კითხვებს უარყოფითად უპასუხებს, ხანაც უარყოფითად დასმულს დადებითად, ისე ჩვენი ცრუმარჩიელი უსუსურად ლუღლუღებდა: თქვენს ავადმყოფს არც უჟმური შეყრიაო, არც მიწიდან აყოლილს, არც ფოთლისგან მოყოლილს მისთვის არ უვნიაო, არც მზეს, არც მთვარეს, არც წყალს. არც თვალი სცემიაო, ღმერთი გულნაწყენად შექმნილაო მისგან, საყვარელი დედის მიერ ნაჩუქარი ჯვარი ამადაც დაჰკარგვიაო და სამაგიეროდ ავადმყოფმა თმა უნდა მოიჭრასო, ილორს შესწიროსო თვისი ნაწნავები.

თამარ შარვაშიძე გველნაკბენივით წამოიჭრა, მოხუც მარჩიელს შეაშტერდა. მოხუცმა თავი ძირს დახარა და დადუმდა. და ეს დუმილი შეიცნო თამარმა, როგორც გარდაუვალი განაჩენი ბედისწერისა.

თამარის მღელვარე ხმამ თარაშისა და კაროლინას ყურადღება მიიპყრო. თარაშ ემხვარმა მის წინაშე მდებარე ჟურნალის თვალიერება განაგრძო. სისულელეაო, გერმანულად წასჩურჩულა კაროლინას.

თარაშ ემხვარის ნათქვამი თამარმაც გაიგო, მაგრამ ამ სიტყვამ ვერ გასჭრა მაინც.

ცრუმარჩიელი ადგა და მდუმარედ გაჰყვა ლუკაია ლაბახუას. თამარი კედლისაკენ მიბრუნდა და დაფიქრდა. თავის უმწიკვლო

ქალწულობის ხანმოკლე მანძილს თვალი გადაავლო.

მართლაცდა, რისთვის უნდა ყოფილიყო ღმერთი გულნაწყენად მის მიმართ? მას ხომ ჯერაც არ შეედგა ფეხი ამ ცხოვრებაში და ჭიაც არ გაუსრესია უმართებულოდ. მზრუნველი ძმის ხელში მას არ დასჭირვებია ცხოვრებისათვის მძიმე ჭიდილის ატანა. ამ საოცარი მოხუცის მოსვლა, ჯვარის დაკარგვის ამგვარი ახსნა იდუმალი შიშით ავსებდა მის სულს.

ლუკაია გულმოდგინედ ებღაუჭებოდა ცრუმარჩიელს, თუმცა თავათ კოჭლობდა, მაგრამ მწირი მაინც ეცოდებოდა.

თამარის ოთახში ნახულმა გული აუმღვრია არზაყანს, უკვე ვეღარ იტანდა ლუკაიას ჟრიტინს, უნდოდა გასცლოდა, მაგრამ ლუკაია ვახშმად ეპატიჟებოდა, თანაც ჰპირდებოდა:

წმინდანების ზანდუკს გაჩვენებო, ძველმანებს გაჩუქებო საზამთროდ, ერთი ხატიც დაჰპირდა სახსოვრად.

არზაყანს გული უდუღდა, მაინც ღიმი მოჰგვარა ამ ამბებმა. განზე იხედებოდა, გაქცევას ლამობდა, მაგრამ ძაღლების ეშინოდა. უკვე ხულასთან მიაღწიეს, ძლივსძლივობით გააღო ლუკაიამ ბოქლომი, ხულაში შევიდა და ჭრაქის ძებნა დაიწყო. არზაყანის ბედად, კოპიტების ხეივნიდან ღობის ლიწინი მოისმა, ძაღლებმა იხუვლეს და იქითკენ გაემართნენ. არზაყანმა ღია დარჩენილი კარები გამოსწია, რაზა გადაჰკეტა და ხილნარისაკენ მოჰკურცხლა.

აღარა სწვიმდა, მაგრამ ცა ბნელი ღრუბლებით იგრაგნებოდა, ვაშლნარში რაღაც გაურკვეველი და საამური სუნი შეიცნო არზაყანმა. მთვარე წამიერად გამოიჭვრეტდა, ცალ თვალს შეავლებდა ხეების თალხ სილუეტებს, პალმების ბანჯვლიან თათებს, მერე ისევ ამოეფარებოდა გაცვეთილ ნაბადსავით დაკონკილ ღრუბლებს.

სამიოდე პალმა შენიშნა არზაყანმა. ეს პალმები რქებიან მდევებს წააგავდნენ ამ სიბნელეში... ახლად მოცელილი თივის ბულულს მიაგნო არზაყანმა. პირაღმა წამოწვა, ცას შეაჩერდა. მწიფე თამბაქოს ფერი ტალღები ეტყობოდა ცას მთვარის ირგვლივ. ბაღში სრული მყუდროება იყო. რომელიღაც ჩიტუნა უსტვენდა აკაციების გადაღმა. შორიდან, ძლიერ შორიდან მარტოხელა ძაღლის ყეფა მოისმოდა კანტიკუნტად, და ეს ყეფა ისეთი გულისმომკვლელი ეჩვენა არზაყანს. იწვა, ყურს უგდებდა თვალმილეული და ძაღლის ხმა განუსაზღვრელი სევდით ავსებდა მის სულს.

ცოტა ხანს სრული დუმილი დამყარდა ირგვლივ, არზაყანმა თვალი მილულა და მოაგონდა, სწორედ ამგვარად დანიღაბებული აჭანდარასკენ რომ მიდიოდა... ეჰ, მაშინ, როგორ ბედნიერი ყოფილა თურმე არზაყან ზვამბაია, პარტიისათვის, სახელისათვის ბრძოლით აღტყინებული. რა მოუვიდა არზაყან ზვამბაიას? დიაცისადმი სიყვარულმა ასე დაიჯაბნა იგი. აყვედრის არზაყან საკუთარ თავს. ხედავს, თუ როგორ დაძაბუნდა, მაგრამ უღონოა არზაყან და წევს ამ თივის ბულულზე გულშეღონებული პირაღმა. თითქო გული საგულეს აღარ ეგულებაო, თითქოს სიმამაცე გასცლოდეს და მუხლის ძალაც, და ამ თივაზე გაშოთილი არზაყან ზვამბაია როდი იყოს, არამედ მართლაც მოხეტიალე ბერიკაცი და მარჩიელი.

თვალი დახუჭა — ფიქრობდა თამარისათვის, თარაშ ემხვარისა და დღევანდელი ავანტიურისათვის. რა მოულოდნელად განიზრახა და შეასრულა ეს ყოველივე! წერილი დაეტოვებინა? ჯვარის ამბავი ემცნო თამარისათვის? არა, კარგი ჰქნა, ის წერილი ცეცხლში რომ დასწვა. თამარი და თარაში ერთად ყოფნისაგან დასტკბნენ და...

არა, არასოდეს, დეე იტანჯოს, დეე თმები შეიკრიჭოს, თარაშ ემხვარის ფიალაში ეს ხომ მცირედი გესლის წვეთი მაინც იქნება.

თარაშ ემხვარს თმაშეკრეჭილი ქალები სძაგს, დეე, დეე!!!!

ისევ აყეფდა მარტოხელა ძაღლი, მერმე დადუმდა და მცირე ხნის შემდეგ ყმუილი მორთო. გულისწამღები ეჩვენა არზაყან ზვამბაიას ეს ყმუილი. თითქოს უცნაურ ბედისწერის მაცნე არისო. შეძრწუნდა არზაყან. როგორ დაძაბუნდა რევოლიუციონერი! ისიც კომუნისტი! ძაღლის ყეფამ შეაკრთო მისი გული? ტყვიამფრქვევების არ შეშინებია არზაყან ზვამბაიას, აფხაზი ყაჩაღების ტყვიისთვის რამდენჯერ მიუშვერია მკერდი და ახლა?..

მართლაცდა ამ თეთრმა წვერებმა ხომ არ დააბერეს ლომგულოვანი ვაჟკაცი? და მოაგონდა თარაშ ემხვარის სიტყვები, უსულო საგნები ბუნებაში არ არსებობენო რომ ამტკიცებდა. საგანი განსულოვნებული ნივთიაო და ასეთ ნივთებს უცილო ზეგავლენა აქვთო ჩვენს სხეულზე.

მოიხსნა ბებრის თეთრი პარიკი. მოიძრო წვერები და ულვაში, მიწაზე დაანარცხა: გაიხადა ძონძები, ზეწამოიჭრა, მაუზერს ნესტი შეჰპარვოდა, ბუდიდან ამოაძრო, ცხვირსახოცით გასწმინდა, დახედა და მტკიცე ნაბიჯით გაემართა თამარის ფანჯრისაკენ. ფანჯარა გაეღოთ ნაწვიმარზე სუფთა ჰაერის შემოსაშვებად. კედელს აეტმასნა და ყური მიუგდო: კანტიკუნტად მოდიოდა მამაკაცის ხმა. ფეხაკრეფით მიუახლოვდა ვაშლის ხეს, ხელი წაავლო. წვიმის წვეთები დაეცა თავ-კისერზე. მერმე აზიური ჩექმები გაიხადა და აცოცდა ხეზე.

და ხედავს არზაყან თამარის ნაწნავებს ბალიშზე გადაგდებულს, თამარის სახე კი არ მოსჩანს. კაროლინა წასულა. თარაშ ემხვარს სავარძელი მიუწევია თამარის საწოლისაკენ. სასთუმალთან უზის და ხმადაბლა ესაუბრება. უკავშირო სიტყვები, ხანაც სიტყვის ნაწყვეტები მოესმის არზაყანს, მაგრამ ვერ გაუგია: რის გამო საუბრობენ?

არზაყან სმენად და მზერად გადაიქცა, და ხედავს: ემხვარმა

ამოიღო თამარის თეთრი, თეთრი ხელი, ხელში დაიჭირა და ხელის ზურგზე ხელს უსვამს. არზაყანს თავიდან ტერფამდის დაუარა უსიამო ჟრჟოლამ, თვალთ დაუბნელდა.

გაიხედა, თამარის ხელი ისევ გაჰქრა, ემხვარ ისევ იმავე სავარძელში ზის და იცინის. ისევ იელვა არზაყანის თვალის წინაშე მშვენიერმა თეთრმა ხელმა. უყურებს: ემხვარ ისევ სავარძელში ზის და ხელები სავარძლის ზურგისთვის შემოუხვევია პირუკმოდ.

უცებ წამოიწია თარაშ ემხვარი, თამარის საწოლისაკენ გადაიზნიქა. არზაყან ათრთოლდა და ცალი ხელი მაუზერისაკენ წაიღო, მაგრამ ისევ შენიშნა: თარაშ ემხვარ მაშინალურად გაიმართა წელში და ზურგით მიეხალა სავარძლის ზურგს. არზაყანს გაშიშვლებული მაუზერი ხელში შერჩა. იგი ვაშლის ხის ტანს მიეყრდნო და მარჯვენა ხელით საკეტი გადასწია და რევოლვერი შემართა. ისევ გადაიხარა თარაშ ემხვარ საწოლისაკენ და ახლა თვალი აუჭრელდა არზაყანს, საშინელი გულისცემა აუტყდა, და როცა თვალთაგან ბინდი გადაეყარა, იგი ხედავს ამაზრზენ სურათს: თარაშ ემხვარმა ბავშვივით ხელში აიტატა პერანგისამარა თამარი და მუხლებზე დაიწვინა, და ჰკოცნის მის ნაწნავებს, თავი გადაუზნიქა და ტუჩებს უნდა მისწვდეს, „შენ სხვა გიყვარს და მე რად მკოცნი?“ — ეს სიტყვები მისწვდა არზაყანის სმენას.

„ვინ სხვა, თამარ, რას ამბობ, გენაცვალე?“ — ეს უთხრა თარაშმა და არზაყანმა ვერ გაიგონა, თამარმა რომ უპასუხა: „კაროლინაო“. კიდევ ერთი წუთი და რევოლვერი დაიგრიალებდა, მაგრამ არზაყანმა ისევ შეიკავა თავი, თამარი გაუსხლტა ხელიდან ვაჟს და ოთახიდან გავარდა.

* * *

ბნელოდა თემშარაზე.

თარაშ ემხვარი ნელი, დარდიანი ნაბიჯით მიდიოდა, ლანდსავით მიჰყვებოდა არზაყანი უკან. გაუსაპნავი ურმების ჭრიალი მოისმოდა კანტიკუნტად. ხანაც მამლების რულისმომგვრელი ყივილი. და არზაყან ზვამბაია ისე არია რამდენიმე წუთის წინად ნანახმა, ისე მოთენთოდა ძარღვები, მას უკვე სულიერი ენერგია არა ყოფნიდა წამოწეოდა თავის მეტოქეს და „გავსწორდეთო“ შეეძახა.

და მამლები ისე ჰყივოდნენ, თითქოს სიზმარში მოესმისო ეს ყივილი არზაყანს და მის წინაშე მიმავალი ლანდიც თავათ სიზმარი ყოფილიყო ცხადად მოარული.

ხანდახან სხეული უღალატებს აბობოქრებულ სულს, ისიც მოხდება, რომ სხეული მოუღალავია და გულმაგარი, მაგრამ სული სიზმარსავით გაეპარება სხეულს და გაიტრუნება.

ასე მოუვიდა ამ ღამით არზაყანსაც.

თარაშ ემხვარმა ვიწრო შუკაში შეუხვია, პატარა მუხნარი გადაიარა, ძველებური ხის ჭიშკარი გააღო. სუროთი შემოსილი კოშკის გვერდით ახალი, ფიჭვის სახლი იყო მიშენებული, ორთვალიანი.

ეზოში და ყვავილნარში ჩქამი არ ისმოდა. არზაყან გაოცდა, ასეთი სახლი და ამგვარი ძველებური კოშკი აროდეს ენახა დაბაში. არზაყანმა გაიგონა, თუ როგორ დარაზა კარი თარაშმა, დიდხანს, დიდხანს იდგა არზაყან ზვამბაია უშველებელ ცაცხვის ლანდს მოფარებული.

მართლაცდა, რად უთხრა თამარმა „შენ სხვა გიყვარსო?“.. ფიქრობდა არზაყან.

ეგებ კაროლინა? და იმედის ნატამალი აკიანთდა მის გულში.

უღიმღამოდ ილეოდა უმთვარო ღამე. ლანდები ეყრებოდნენ ხეების კონტურებს, ნისლი წვებოდა მახლობელ მუხნარის ქეჩო-

ზე. და მუხნარი ისეთი ბნელი იყო, როგორც კაცის მკვლელის გულამღვრეული ზრახვა.

REVERIE D'UN PROMENEUR SOLITAIRE

თამარი დილით ადრე გასულიყო კაკლის ქვეშ, თავი სტკივოდა, მაგრამ ჰაერზე ყოფნას არჩევდა მაინც. პატარა თათია მოუსვენრად როკავდა მის მუხლებზე.

თამარს ბზუალა ეჭირა ხელში. თათია გაოცებული ყურს უგდებდა ბზუალას ღუღუნს, და როცა სულ ახლოს, საფეთქლებთან მიუტანდნენ ბზუალას, ექსტაზმორეული თათია ხითხითს ასტეხდა, საოცრად სჭყივოდა და მაშინ რომელიღაც უცხო ფრინველის ხმა აგონდებოდა თამარს.

შესდგებოდა ბზუალა, თათია უკავშირო ტიკტიკს მორთავდა, გულმკერდზე უფათურებდა მამიდას ხელებს. თათიას ვარდისფერი თითები ისე ეხამუშებოდა ქალწულს, თითქოს ეს ეროსი შემოპარვოდა მის სხეულს ჩვილის ნიღაბით შეფარვული. და მაშინ თამარი ხელისგულზე პირაღმა დაიწვენდა ბავშვს, ჰკოცნიდა და ჰკოცნიდა... ნაკოცნი ვარდისფერ ტალებად ეხატებოდა ღაწვებზე

ჩვილს.

ისევ წამოაყენებდა თათიას და გახარებული ჩახედავდა ცისფერ თვალებში.

ამჩნევდა თამარი: როგორც კი ბზუალას ხმა შესწყდებოდა, მყისვე უეცარი წყენის ჩრდილი მიადგებოდა თათიას სახეზე.

მოშორებით საუზმის სუფრა იდგა, მწიფე ატმები ელაგა მაღალ ვაზებში და ერთადერთი კოკორგაშლილი მაგნოლიის ყვავილი. კაროლინა იქვე იჯდა, ბერლინურ გაზეთებს ათვალიერებდა.

და როგორც კი თათია ტირილს ასტეხდა, თამარი ისევ იღებდა ბზუალას ხელში და მისი ღუღუნით ართობდა ბალღს.

„ეს ბზუალა რომ არ მოგვეგონა, აგვიკლებდა თათია ამ დილით“, — ამბობდა კაროლინა, გაზეთების ფურცვლას განაგრძობდა. დაშას დაგვიანებოდა ძროხების მოდენა ტყიდან, ვერაფრით დააშოშმინეს მშიერი, ამიტომაც თავს არ იზოგავდა თამარი.

ცაცხვების, ნაძვების, კოპიტების წვეროკინებზე მოყვითანო შუქი კიანთობდა, მახლობელ შტოებში საქმიანად ფუსფუსებდნენ მელეღვიები. აკაციების ხეივნისაკენ მალაღური შეფრინვით უგალობდა წრეში შემოსულ ზაფხულის დილას და ნაყოფით დახუნძლულ ხილნარს. ჭრიჭინების მთელი ლეგიონები განაგრძობდნენ თავიანთ ერთობლივ კონცერტს. ერთი მათგანი კაკლის მწვანეში წამოიწყებდა, მას მეორე ხმას მისცემდა, შორეულ თუთაზე მჯდარი. ჭრიჭინების ხმა მოდიოდა კოპიტნარიდან, თხილნარიდან და ხილნარიდან, და ისეთი გაბმული ჭრიჭინი ისმოდა ირგვლივ, თითქოს ვიღაცა უხილავი დირიჟორობსო. ფერადი ხოჭოები გარს ეხვეოდნენ ბეხრეკა კაკალს, კაროლინა წარამარა ჰყრიდა მწვანიდან ჩამოცვენილ მწერებს, თამარის დაგრაგნილ ნაწნავებზედაც დაღოღავდნენ ისინი აქა-იქ.

პაწია, ბუხუნა ჭიამაია თათიას შემოაჯდა მხარზე.

„ბედნიერების ნიშანია, ბედნიერების ნიშანი“.

ამბობს თამარი, თათიას უჩვენებს მწერს. ბალღი შეაჩერდა პატარას და კიდევ დაიჭყივლა აღტაცებულმა.

თამარმა ზანზალაკების ხმა შეიცნო. მოიხედა: ძროხები შემოსულიყვნენ ეზოში. დაშა კაკლის ქვეშ იდგა, პატარა წიგნაკს ფურცლავდა.

„რა დროს კითხვაა, დაშა, — ეუბნება თამარ, — ბავშვი მშიერია, შენ დამდგარხარ და წიგნს კითხულობ“.

დაშა მოახლოვდა: ეს წიგნაკი ტყეში ვნახეო, მე ქართული კითხვა არ ვიციო, ეგებ საჭირო რამე იყოსო. თამარმა ბლოკნოტი გამოართვა. პირველსავე გვერდზე წითელი ფანქრით ეწერა: Reverie d'un promeneur solitaire[5].

შემდეგ ზღაპრული მფრინავი ლომი ეხატა, სწორედ ისეთი, როგორიც ქართული ტაძრების ბარელიეფებზე შეგხვდებათ ხოლმე. მესამე გვერდზე ინგლისურად იყო წარწერილი: As meditation and the thought of the love?[6]

შემდეგ ამისა, ქართულად იწყებოდა ტექსტი, თამარმა თარაშ ემხვარის ხელი შეიცნო, მაგრამ უხმოდ განაგრძო ფურცვლა.

კაროლინა თავზე წამოადგა თამარს, სათაური და ეპიგრაფი ამოიკითხა, მერმე თავი ვეღარ გაართვა ხელნაწერს. ავტორის ვინაობამ დიახაც დააინტერესა, მაგრამ თამარმა ეს არ გაუმხილა რატომღაც. კაროლინამ თათია თან წაიყვანა და თამარმა კითხვა განაგრძო.

ავტორისაგან

აქ ავტორს საჭიროდ მიაჩნია, თხრობა შესწყვიტოს დროებით

---

[5] ნაოცნებარი მარტოხელა მოარულისა.

[6] როგორც მედიტაცია და ფიქრი სიყვარულისათვის.

და თარაშ ემხვარის დღიურის ზოგიერთი ფურცელი გაუზიაროს მკითხველს. ეს არის მხოლოდ, ჩემს მკითხველს მოუხდება ორიოდე წლით უკან დახევა და მოვლენათა კრიალოსანში აქ ნათხრობი ამბების ჩატანება.

პარიზი. 1928, აპრილის 3

„მომწყინდა გენიალური ჰიპოხონდრიკების ყოველდღე მზერა ამ კაფეში. თავის თავზე შეყვარებული მწერლები და მხატვრები, ექსცენტრიული ბალერინები, კინოვარსკვლავები, ბლაგვი ჟურნალისტები, ფილოსოფიის, პოეზიის, მხატვრობის გამო ლაყბობა.

მე ასე მგონია: ჩვენი საუკუნე ნამეტნავად ბევრს ლაპარაკობს ხელოვნებისათვის. ეს უთუოდ მავნებელია.

ყველაზე ცუდია, როცა თავათ შემომქმედი სჩადის ამას.

ხელოვანო, არ ილაპარაკო, უნდა იმღერო. ვისაც ეს არ გამოუდის, სწორედ იგი ებმება თეორიების მუხანათურ აბლაბუდაში.

ოჰ, რამდენს ყბედობს და კამათობს ჩვენი თაობა! (ეს სიბერწის უპირველესი ნიშატია. შვილისადმი სიყვარულზე მუდამ უშვილოები გვიჭედდნენ ყურს).

გარედ ნისლია. თავი მტკივა. მეზარება სორბონში წასვლა. ჩემს პროფესორს უკვე დაწყებული აქვს ლექცია: „მომავლის რელიგიისათვის“ (ჩემს გასწვრივ ვიღაც ამერიკელი ქალი ზის, ნამარტალ ჭაკ ცხენს არა ჰგავს ეს ქალი??)

რელიგიაო?

ვინ მოიგონა ეს ამბავი? მე მგონია, რელიგია მხოლოდ ცივილიზაციით სნეულებს ესაჭიროებათ ისევე, როგორც კუჭმოშლილებს აპერიტივი. და „კლოზერი დე ლილასში“ აპერიტივით იწყებენ საუზმეს.

და მომავალი რაღაა? ჰმ, მომავალი! მომავალი ისევე ნაკლებად არსებობს, როგორც წარსული. ორივენი ჩვენი წარმოდგენის ფორმებია.

ეგებ აწმყოც...

ესაა: ვიდრე თავში გავლებულ აზრს ქაღალდზე გადავიტანდე, იგი უკვე წარსულად იქცევა.

კაფესკენ მომავალს მადმუაზელ ელლენ რონსერ შემომეყარა. ოდეონის მთავარ შესავალთან შევხვდეთო საღამოს (პარიზში რომ შემთხვევით გადაეყრები ნაცნობს, აქ უთუოდ ტიხეს ხელი ურევია, უთუოდ!).

ამ ქალმა ააფორიაქა ჩემი ფანტაზია.

ელლენ ხომ კათოლიკეა და მე ასე მგონია: კათოლიკე ქალებს ეკლესიის, საკმეველის და ოფლით გაზინთული ლოცვანების სუნი უდით-მეთქი. ვერ ვიტან ამ სუნს. ამას წინად საშინელმა წვიმამ მომისწრო ვანდომის მოედანზე, რომელიღაც ეკლესიაში შევყიალდი. ორიოდე ბერი ლოცულობდა კუთხეებში ატუზული. სანთლები ჩალისფერ სინათლეს აფრქვევდნენ ირგვლივ.

დაცარიელებულ სკამების არეებში ამგვარი სუნი იდგა. მინდოდა გავცლოდი ამ ატმოსფეროს, მაგრამ გარედ წვიმდა.

შინ რომ მივედი, კოსტიუმის გამოცვლა დამჭირდა. ყოველივეს ეს „კათოლიკური“ სუნი ასდიოდა.

ამგვარი სუნი უდის ელლენ რონსერსაც, საოცარია, რამდენ პარფემს ისხამს სხეულსა და სამოსელზე, მაინც!..

აჰ, ამ სუნმა წასწყმიდა ადამიანის მოლხენილი სული“...

* * *

პარიზი. 16. 4.

„დღეს დედაჩემისაგან მივიღე წერილი, რამდენიმე დღეს არ გავხსნი, მინდა რამე მიხაროდეს“...

მერე რამდენიმე სტრიქონი წაშლილი იყო, ბევრს ეცადა თამარი, მაგრამ ვერ ამოიკითხა.

„...ბულვარ სენ მიშელზე ქართველი ემიგრანტები შემხვდნენ... ეს მართალია, ემიგრანტების ბიურო საიდუმლო დავალებით გაგზავნისო საქართველოში?

წამსვე უარვყავი ეს ამბავი. მაროკოში მივდივარ-მეთქი (მე ჯერ თანხმობა არ გამომიცხადებია-მეთქი). გამოვა კი რაიმე? ესენი გაფრენილ წეროებისათვის სთლიან შამფურებს პარიზის ქუჩებზე. ვახტანგ მეექვსემ, მაშინდელი საქართველოს კანონიერმა მეფემ, ორიოდე ათასი საუკეთესო ვაჟკაცი წაიყვანა საქართველოდან რუსეთში და მის ემიგრანტობიდან არაფერი გამოსულა...

მერმე როდის? ლეგიტიმურობის საუკუნეში. და ამ ნაცრისფერმა ჟურნალისტებმა რა უნდა გაარიგონ? — არა, არა, ჩემო კარგებო, მე არ წავალ საქართველოში. მე მაროკოში მივდივარ, რიფებს უნდა მოვეხმარო ფრანგების წინააღმდეგ. საერთოდ, ისეთ გუნებაზე ვარ, ეშმაკებს მივეშველები ეშმაკებთანვე ბრძოლაში.

ჰო, მაროკოს მივალ, მაროკოს... თქვენ ასე გეგონოთ ყველას.

არ მიყვარს, როცა ადამიანებმა იციან, სადა ვარ, რას ვაკეთებ, რას ვფიქრობ? არც ის მიყვარს, როცა ქუჩის გამვლელნი თვალებში მიცქერიან. ძალიან მომწონს ძველი, ვენეციელი გრანდების ჩვეულება: ისინი უნიღბოდ არ გამოდიოდნენ ქუჩაში. ტყუილი მაინცდამაინც არ მიყვარს (თუმცა ყოველი ადამიანი იძულებულია იცრუოს ჟამიდან ჟამზე). მძაგს ჩემი ნამდვილი არსობის გამომჟღავნება, ამიტომაც ხშირად ცილს ვწამებ ჩემსავე თავს. და ეგ იმიტომ ხდება, რომ მე ჩემივე მეობის ტარებისაგან ვიღლები. კარგად მესმის, რად უყვართ დასავლეთის ხალხებს ნიღაბი კარ-

ნავალში, ან ქართველ ხალხს ბერიკაობის დროს, ან ფილიპინელი ველური რად ატარებს ონავარი თევზის ნიღაბს რელიგიური აღტყინების ჟამს“.

* * *

პარიზი. 17. 4.

„დღეს „ფოლი ბერჟერში“ ვისადილეთ. ელლენ რონსერმა სისხლიანი ბივშტექსი მოითხოვა. გავვოცდი: მის ფერმკრთალობას, მოგვი ქალის აღნაგობას სულ არ უხდება სისხლიანი ბიფშტექსი“.

აქვე მიწერილი იყო: „35 ფრანკი მივეცი დიასახლისს, მეკარეს 5 ფრანკი ვაჩუქე, ათი ფრანკი — მეყვავილე ქალს, ლუიზას. ელლენს ყვავილები უნდა გაუგზავნოს. ძვირფასო, ეგებ ამ ყვავილების სუნმა გადააჭარბოს შენს „კათოლიკურ“ სუნს“.

* * *

პარიზი, 18. 4.

„ვერ ამიტანია სწორედ ეგ პროფესორული ყოყოჩობა. პროფესორი პ... ბუდიზმისა და ბრაჰმანიზმის გამო გვესაუბრება. იგი ტენდენციურად ეხება არაქრისტიანულ რელიგიებს. რენანს თავს დაესხა, პოზიტივიზმი გააკრიტიკა. ნიცშეს გადასწვდა.

ქრისტიანიზმი, ჰმ!..

მან უარესად გააღრმავა უფსკრული. ბატონებო, ბნელა თქვენს ბიბლიაში, ბნელა იოჰანეს გამოცხადებაში ისევე, როგორც თქვენს ნოტრდამში. გოტიური ტაძარიც ხომ ცამდის ატყორცნილი ცათა ტრფიალია? მაგრამ გოტიურ ტაძარშიაც ბნელა“.

თამარმა რამდენიმე გვერდი გამოუშვა, რადგან შემდეგი გვერდები ფრანგულად იყო დაწერილი.

„სტყუით, ბატონო პროფესორო, ნიცშე ანტიქრისტე არა ყოფილა.

მისი გახელებული სიძულვილი უმაღლეს სიყვარულს ემიჯნება. Er war ein gekreuzigter Dyonisos[7].

მესამე თვეა, რაც ლუვრში დავდივარ, ერთ პროვინციულ ქალაქს უდრის მისი ფართობი. ჩინეთის ხელოვნების ექსპონატებიდან დავიწყე სამი თვის წინად. ჩინეთი, ინდო-ჩინეთი, იაპონია, ინდოეთი, ეგვიპტე, ირანი, ასურეთი, ბაბილონი, საბერძნეთი, რომი, იტალია, საფრანგეთი, ინგლისი, ფლანდრია, გერმანია. მესამე თვეა მოგზაურობს აქ ჩემი თვალი. აჰა, ძლივს მივაღწიე ლუკას კრანახამდის.

ჯვარცმა, გარდამოხსნა, ცად ამაღლება, ეკლის გვირგვინი, ნამსჭვალები, ისევ ნამსჭვალები, ნაგვემი სახე — საოცრების ქვესკნელი. ნუთუ ტანჯვის ჯურღმულებში უნდა იაროს კაცობრიობამ, რათა რისხვისა დღეს ცად ამაღლდეს სული კაცისა?! ჰოი, აფთარო, კაცის სისხლის უხვად მხვრეპელო!

დავიღალე ამ ბნელი ამბების გამო ფიქრისაგან. ნასადილევს ბელფორის მოედანზე უნდა გავიდე. იქ უბრალო ხალხი ზიმზიმებს, უშუალო, სადა, იჭვის გესლით მოუშხამველი. მინდა ვნახო, როგორ იცინის ხალხი. იქ როდენის ლომი სდგას მოედანზე. მენატრება მისი მაგარი კუნთებისათვის თვალის შევლება. ჯამბაზების ნახვა მომენატრა. ისინიც უფსკრულის კიდეებზე ცეკვავენ მუდამ, მაგრამ მომღიმარე ჩამოდიან ბაგირებიდან“.

* * *

პარიზი. 22. 5.

„წუხელ, ღამის სამ საათამდის ელლენ რონსერთან დავრჩი

[7] იგი ჯვარზე გაკრული დიონისოა.

პანსიონ „სენ ჟერმენში“. ბენედიქტინი ვსვით. ლოყები შეუწითლდა ელლენს. ბაკხიური იერი არ უხდება. მე მინდა, წმინდა მეგობრობა შევინარჩუნოთ. რომანტიული მეგობრობა. მით უმეტეს, იგი ასე ამბობს: ჩემი დანიშნული მესოპოტამიაშიაო წასული, მშვიდობა ნუ მოჰკლებია მის დანიშნულს მესოპოტამიაში.

მინდა, ორიოდე თვით მაინც შევუნახო ჩემი გული ანნა მარია ფესტნერს. ანნა მარია ელლენის ანტიპოდია. იგი მთლად ბაკხიური ბუნებისაა. მისი სხეულის სიტკბო იმ სოფელს თან წამყვება უცილოდ (ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვსწერ, ასე მგონია, სისხლის ჩქერალი ჩამექცა-მეთქი გულში). მე მგონია, არც ჯოჯოხეთია და არც სამოთხე ამ ქვეყანაზე (საყვარელის სხეულია თავათ სამოთხე).

შარშან ზამთარში შვარცვალდში გავატარეთ მთელი კვირა. თხილამურებით დავსრიალებდით. როგორ ანთებული დაეშვებოდა იგი ფლატეებიდან უსაშინლეს უფსკრულებისაკენ! საღამოს მთის ჰოტელში ვბრუნდებოდით. ასევე ხალისით იხდიდა იგი თავის სასპორტო თეთრ ტანისამოსს (ეს კოსტიუმი ძლიერ უხდებოდა ამ ქერა ფერიას) და შიშვლდებოდა, როგორც ფრინა, პრაქსიტელესის საყვარელი, ოლიმპიადის დღეს.

ელლენ რონსერ, შენ სავსებით არა ჰგავხარ ამ ბერლინელ ბაკხიურ მშვენებას. მაინც განუსაზღვრელად მიყვარს შენი ჩრდილდალეული სახე და ის მოლიბრო რკალი, შენს თვალებს რომ გარს ევლება ჟამიდან ჟამზე. უძილო ღამეებს მოწმობენ ისინი... მრუმე უფსკრულებში ჩაუხედიათ ამ თვალებს. მინდა სამარადჟამოდ შევრჩეთ ერთმანეთს — შენ და და მე — ძმა. მინდა არასდროს არ გავიგოთ რაა ჩვენ შორის ქალი და კაცი. მომწყინდა ეს ქერა ქალები, ასე ამბობენ: ქერა ქალებს მუხლები აქვთო სუსტი და ვნებისაგან გაბრუებულნი შავგვრემან მამაკაცების შე-

მოტევას ვეღარ უძლებენო. მათ აღარ ყოფნით ის თვითმწვალებლური მოთმენა, ქართველ ქალებს რომ ამშვენებთ ჟამიდან ჟამზე.

პირველ დღეს ისინიც მორცხვობენ თითქოს, მაგრამ მეორე და მესამე საღამო მოდგება და უკვე შეზლონგებს დაუწყებენ ძებნას, რათა ძუ ლომსავით წამოწვნენ ზედ (ვნების ზვარაკს უდარაჯებენ!). ელლენ რონსერ, შენც წაგეკიდა მკრთალ ღაწვებზე ბენედიქტინი. შენც ძუ ლომსავით წამოწექი გუშინ საღამოს, თვალდაბინდული შემომცქეროდი, მაგრამ მე, მე გამახსენდა აფხაზი ვაჟკაცი რომ ვარ და რუსთველის სიბრძნეც მოვიშველიე:

„სჯობს სიშორე დიაცისა, ვისგან ვითა დაითმობის“.

* * *

პარიზი, 20 4.

„დღეს დილიდან საუცხოვო გუნება დამყვა. ნამდვილი ჩვენებური დილაა. ქარი არ იძვრის. არც მუქლეგო ღრუბლები გვემუქრებიან წვიმით. კონსერვატუარის მოედანზე ვსეირნობ. ჩვენი ბებერი მეფოსტე ვიცანი — მუსდო გრენარ.

ის-ის იყო, ჩემი ბინისაკენ მიდიოდა. მუსდო გრენარ ძლივს მიათრევს ტყავის ჩანთას. იგი პენსიონერი გახდება მალე, აწ აღარ მოიტანს დედაჩემის წერილებს მუსდო გრენარ.

„თქვენთვის ერთი წერილი მაქვს, მუსდო ემხვარი“, მეუბნება და ტყავის ჩანთაში აფათურებს გამხმარ ხელს. მოთმინებამ მიღალატა.

„კავკასიიდანაა, მუსდო გრენარ?“

„არა, გერმანიიდან, მუსდო“. ღია ბარათს მაწვდის მეფოსტე. სულ რამდენიმე სიტყვა ეწერა ზედ:

„ძვირფასო, შენ მწერდი, პარიზიდან რა ჩამოგიტანოო? არა-

ფერი არ მინდა შენგან, რამდენიმე ღერი თმა რომ დაგრჩა ქოჩორში, ისინი ჩამომიტანე როგორმე უკან.

ანნა მარია ფესტნერ“.

Du bist ein Schelm, Anna–Maria[8]

ჰმ, სწორი შენიშვნაა, პარიზში თმა გამცვივდა. კბილებიღა შემრჩა შეუმუსვრელი. ჩემს აფხაზურ კბილებს ვერაფერი დააკლო ქიმიის და კულინარიის ნაწარმებმა“.

* * *

პარიზი. 21. 4.

„დღესაც, როგორც ყოველ დღეს, 17 გაზეთი გადავათვალიერე. სპორტი, დერბი, პოლიტიკა, თვითმკვლელობა. ლოიდ ჯორჯ პითიასავით ლუღლუღებს, ჰინდერბურგი იმუქრება. ხალხთა ლიგა ქადაგებს და მთელი ქვეყანა იარაღს აჩხარუნებს. პაციფისტი მწერლები ალილუიას გალობენ (პაციფისტებს ხელობად ექცათ ომის წინააღმდეგ ყეფა). საფრანგეთს ათი ათასი ჰაეროპლანი ჰყოლია, იაპონიას კიდევ ერთი დრედნოუტი ჩაუშვია წყალში, რომელიღაც გერმანელ ქიმიკოსს კიდევ ერთი ახალი გაზი გამოუგონია დიდი ქალაქის გადასარუჯად.

ჰოლოლო! ეს კარგი ამბავია, ძლიერ კარგი! მესოპოტამიაში კვლავ გაჩენილა კალია (კარგი იქნება, კალიის შესამუსრავ გაზებსაც რომ გამოიგონებდნენ, თორემ მე ძალიან მეშინია, ელლენ რონსერის საქმრო არ დაიმშეს მესოპოტამიაში. თუ კალიამ პურეული მოსრა, სტერლინგები ხომ არ ეყოფა საჭმელად მუსდო რიშეპენს?).

ამ საღამოს რომელიღაც ცირკში ინდოელი ფაკირი გამოდის

[8] დიდი ეშმაკი ხარ, ანნა მარია!

თურმე და ალესილ ხმლებზე იცეკვებს ფეხშიშველი. ცირკში უნდა წავიდე უეჭველად.

ელლენ რონსერ მეუბნება: თვის დამლევს ჩემი დანიშნული ჩამოვაო. მერმე იტალიაში წავალთო მთელი წლით მაშ, მუსდო რიშეპენი ჩამოვა მალე. მეცინება: ელლენ „დანიშნულს“ რომ უწოდებს თავის საქმროს. ეს არ შეეფერება მუსდო რიშეპენის აღნაგობასა და ასაკს. ჯერ ფოტოსურათზედაც ემჩნევა: ეს თავმოტვლეპილი, ჯუჯა, ღიპიანი, მოკლეფეხება. თითები მუხლუხასავით მოკლე და დაბლაგვილი. ისინი არაფრითა ჰგვანან მტაცებლის კლანჭებს. მაინც ეს ხელები აგებენ ქსელს სტამბოლიდან შუამდინარემდის. მცირე აზიის ხალხები ოფლს ღვრიან. ვინ იცის, რამდენი ტომის სისხლითა და ოფლითაა დაცვარული ის ბრილიანტის კოლიე, რომელიც ამას წინათ გამოუგზავნა მუსდო რიშეპენმა ელლენ რონსერს? ეს მანიაკი ერთ პატარა სამთავროს იყიდის.

ქსელი გაბმულია სტამბოლიდან შუამდინარემდის. ზის ახლა მუსდო რიშეპენ სადმე მოსულში ან ერზერუმში. ქსელი გაბმულია ყოველგან და გაურანდავი, ბლაგვი თითები ვირტუოზულად აკეთებენ „გეშეფტს“.

მაშ კიდევ ერთი თვე და მერმე ვნახოთ.

მე არ მინდოდა წუწკ საყვარელსავით მოვქცეულიყავ. ჩამოვა და ვნახოთ...

ესაა მხოლოდ: მინდა ერთხელ მაინც დავუმტკიცო ევროპელ ქალს, რომ უშედეგო ფლირტი საამურია (თუმცა გააჩნია... ზოგიერთ პარიზელ ქალს ეს არ მოსწონს). ეს დროზე ვერც მე შევიგნე, ამიტომაც ჩამმწარდა ელზე ფაილერის, ანტუანეტე გრიზონის, მისს ჰემილტონის და ელვირა ფოკონიერის სიყვარული. მათ მართლაც არ ესმოდათ, რომ სიყვარული ენგურის თაფლსა ჰგავს, თუ ბევრი ინებე, უთუოდ მოიშხამები (ენგურის თაფლმა

მოსწამლა თურმე პომპეუსის ლეგიონები კოლხიდის გასაძარცვად ჩამოსულნი. ახია მათზე!).

ელლენ რონსერ, მე მინდა შეგირჩინო, როგორც უდიდესი სიყვარული, ამიტომაც ვერიდები შენი მკვრივი ძუძუების ხელის შეხებას. ხანდახან, როცა მეტროპოლიტენიდან გამოვდივართ ან ტუნელის კიბეზე ამომყავს, თეძოებზე მოხვდება ჩემი ხელი (იგი თავის ხვლიკისფერ თვალებს შემავლებს, და მე არ ვიცი, რა ამოვიკითხო ამ შემოხედვაში: გაოცება თუ საყვედური იმის გამო: შინ ყოფნის დროს მორიდებულ მანძილს რომ ვიცავ და ადამიანებს შორის მოურიდებლად ველაციცები).

ელლენ რონსერ, დარჩი ჩემს გულში, როგორც შორეულისადმი უსაზმნო ტრფიალი. უკვე ღამის სამი საათია, ძილი ნებისა, ელლენ რონსერ“.

* * *

პარიზი. 22. 5.

„ნეტავ უსიყვარულოდ თუ გასძლებს ადამიანი? მე ვამბობ: ხორციელი სიყვარულის კიდეგან? მაშ რას უმღეროდნენ პეტრარკა, დანტე და რუსთაველი?

ბულვარ დეზიტალიენზე მაღალი, შავვუალიანი ქალი შემეფეთა. შავი აბრეშუმის ტანისამოსი ეცვა. სულეთიდან გადმოხვეწილ სტუმარს ჰგავდა, ფერადი აბრეშუმით მორთულ პარიზელ ქალების კარნავალში.

ხუთი საათის ჩაის დრო უკვე განვლილია. ქალების ლაშქარი მოლაშლაშებს დიდ ბულვარებზე. რატომღაც მან ერთმა მიიპყრო ჩემი ყურადღება ამ უთვალავ ლამაზმანების კორტეჟში. ნაბიჯს ავუჩქარე, გავუსწორდი და ფრთხილად, ძლიერ ფრთხილად შევხედე. შემამჩნია: ოდნავ აუჩქარა ნაბიჯს. ელექტრონით გაჩაღებულ ვიტრინასთან შესდგა.

სარკის უფსკრულში ჩვენი მზერა შეხვდა ურთიერთს. გაიღიმა, უეცრად მოსწყდა ვიტრინას და მომეტებული სიჩქარით მიჰყვა იტალიელების ბულვარს. მიჰქრიან ბულვარზე ქალებით, ბავშვებით, მამაკაცებით დახუნძლული ავტოები, ომნიბუსები და ფიაკრები. მილლიონიანი მასსა მილაშლაშებს დიდ ბულვარებზე. ეკლესიების კანკელებსავით გაჩაღებულია ვიტრინები, ბრწყინავენ, ბზინავენ ვიტრინების შუშები, ლაკიანი ტუფლები. პარფემით გაჟღენთილი ზღვაური ჰქრის ქალების აბრეშუმის კაბებიდან ამდგარი. ნუშისოდენა ბრილიანტები ელავენ ქალების გულმკერდზე, ვიტრინების მარაოებზე და მე მივყვები ამ შეტბორებულ ბრბოს უქუდოდ.

განუზომელ მარტოობას განვიცდი და ასე მგონია, აგერ სულ რამდენიმე ნაბიჯზე მიმავალ ქალს თუ შეუძლია-მეთქი ეს საშინელი მელანქოლია განმიქარვოს.

ეჰე, აგერ კიდევ შესდგა ვიტრინასთან შავვუალიანი, ვიღაც ლურჯქუდიანი ამოუდგა გვერდით. ქალი ვიტრინას მოსცილდა, მზერა აარიდა ვაჟს და ჩქარი ნაბიჯით გადაიარა ბულვარი. ვაჟმა თავის გზა განაგრძო. მე შევიცადე, ვიდრე ტალღა გადაივლიდა, შემდეგ მეც გადავედი მეორე მხარეს.

მივყვები ბულვარს, მაგრამ ამაოდ. გულზე მარტოობა შემომენთო, ასე მგონია, მთელი ქვეყანა უდაბნოდ ქცეულიყოს. მივდივარ უქუდოდ ბულვარზე. შავვუალიანი დაინთქა ბრბოში. თვალები მომექანცა ძებნისაგან. ჩემს ირგვლივ ჰქრიან ავტოები, ომნიბუსები და მოტოციკლები, გაპუდრული შიშველი მკერდები, შეღებილი ტუჩები, ნახევრად შიშველი მკლავები და ჯიშიანი, სწორი ფეხები. განიერი, სავსე თეძოები და სხეული აბრეშუმის ლივლივით აღიზიანებს გამვლელის სისხლსა და მზერას. ღიმილი იელვებს სახეზე, იელვებს და ისევ გაუჩინარდება.“

თვალები ცისფერი, გიშრისფერი, ზღვისფერი ელავენ ირგვლივ, თვალები და ბრილიანტები... მკერდები, მხრები და ძუძუები, მრგვალი და სავსე თეძოსთავები, პარიზელი ქალების ლაშქარი და ამ უთვალავი ლამაზი ქალების პარიზში შესანახავად მთელს ქვეყანაზე გაბმულია ქსელი.

—სტამბოლიდან შუამდინარემდის, შუამდინარიდან მოსულამდის, მოსულიდან თეჰერანამდის, თეჰერანიდან კალკუტამდის, კალკუტიდან ტიბეტამდის, ხოლო ტიბეტიდან ვიდრე ბნელეთის კიდემდის გაბმულია ქსელი ოსტატურად დაგებული და სხედან თავმოტვლეპილი, მოკლეხელებიანი, ღიპიანი რიშეპენები და აგებენ მახეში მრავალმილლიონიან აზიას.

დავაგდე მოზეიმე ბულვარი დეზიტალიენ, მივყევი ვიწრო და ბნელ შესახვევებს, მივდივარ, არ ვიცი, საითკენ წავიდე. მინდა გავეცალო ადამიანებს. სადმე ბაღი შემხვდეს დაცარიელებული. ეგებ სადმე ხეს მივაგნო განმარტოებულს, ამ ხის ქვეშ დავჯდე მარტოკა და თვალებში ვუცქირო ბნელ ღამეს.

დავიქანცე მილიონების შემოხედვისაგან, ვძრწი, რომ მარტოობა დავკარგე და სულის მშვიდობა. ბაღჩას დავეძებ, პატარა, ბნელ ბაღჩას და ხეს, სავსებით განმარტოებულს.

რომელიღაც ბნელ პარკში შევსულვარ მხარაქცეული. ისეთი მყუდროება იყო გარშემო, უკაცრიელი მეგონა პარკი. თვალი მოვავლე ირგვლივ და ვხედავ, რამდენიმე ათასი წყვილი ზის პარკის სკამებზე. სკამებზე ვერ დატეულან. ბუჩქებში, პარკის ოლეებში სხედან გატრუნული შეყვარებულნი.

ქალი და ვაჟი, ქალი და ვაჟი...

ეს უსახლკარო პროლეტარიატი ზაფხულის ცის ქვეშ მისცემია ტკბობას.

ქალი და ვაჟი, ქალი და ვაჟი...

ქალები მუხლებზე ასხედან კავალერებს, მამაკაცებს ხელები

მოუჩანთ მხოლოდ ქალების წელზე შემოჭდობილნი. დადუმებულა სავსებით პარკი, ხანდახან ვიღაც დაიკვნესებს ვნებისაგან აღრეული, ისევ დადუმდება პარკი, ისევ დაიკვნესებს ვიღაცა...

ქალი და ვაჟი...

ძლივს მივაგენი ცარიელ სკამს. ვზივარ და ვფიქრობ: ამ წუთში მრავალმილიონიანი უბინაო პროლეტარიატი სწორედ ასევე გასულია ლონდონის ჰაიდ პარკში, ლაიპციგის როზენგარტენში, ბერლინის ტირგარტენში, მიუნხენის ინგლისურ პარკში.

მამაკაცების მთრთოლვარე ხელები მაღლა სწევენ კაბებს... ეროსი დასეირნობს წყვილებით დახუნძლულ ბნელ ხეივნებში და ახალ-ახალი მილლიონები ემატებიან ევროპის ქარხნების აურაცხელ მონების ლაშქარს.

ქალი და ვაჟი, ქალი და ვაჟი“...

* * *

პარიზი. მაისის 15.

„მუსდო გრენარმა დედის წერილი მომიტანა, დიდი მადლობა მოვახსენე მუსდო გრენარს“.

„ალბათ ფულების გამო გწერენ რაიმეს, მიტომაც გაგიხარდათ, მუსდო ემხვარი“.

„არა, აქ ფულზე მეტი რამეებია, მუსდო გრენარ“. პარიზში ყოველი კაცი ფულით ზომავს ბედნიერებას.

ხელზე ვამჩნევ: დედა ძალზე მოხუცებულა. ალბათ გასტეხა მარტოობამ. იგი ამის გამო არასა მწერს, მაგრამ ხელზე ვატყობ. უძილო ღამეების ამბავს მომითხრობენ ეს ასოები. ფილენჯით სნეულის თითებსავით დაღვარჭნილან ისინი.

პირზე კოცნით მოგიკითხესო: მამიდამ ფარჯანიანისამ (წერილი მოგწერა და თუ მიიღეო), შენმა ძიძამ ხათუნამ (ილორის წმ.

გიორგის ავედრებსო დღედაღამ შენს თავს), ძიძა სულ კითხულობსო, ეს პარიზი საითკენ არისო, მამამძუძემ შენმა კაც ზვამბაიამ (კვიცს ზრდისო მორდუ შენთვის). ბევრი გაკოცესო არზაყანმა, ქელეშმა, ბონდომ, სანდრომ და მეზობლის მზეხამ. კატო გათხოვდაო, ჯოღორიას ცოლი შევრთეთო.

ბარათის უკანასტარზე მიეწერა: ნუთუ ისე უნდა მოვკვდე აქ, ოქუმში, რომ შენთვის თვალის შევლებას ვერ ვეღირსოვო? — ეს იყო და ეს. სხვა არაფერი მოუწერია დედას, სულ არაფერი. და საოცარი დარდი აღძრა ჩემს გულში ამ ბარათმა.

საღამოს მარტოკა ვსეირნობ ლათინური კვარტალის ვიწრო შუკებში და კოლხეთის დაფნიან ბორცვებისათვის ვოცნებობ. ქუჩაში წვიმს, ნესტიანი ბურუსი დგას, სველი ფილაქანები, სახურავები და მაწვიმარი ღრუბლები...

აჰ, ერთხელ კიდევ მაჩვენა კავკასიონის შევერცხლილი უნაგირები! ახლა სოფელში ბროწეულები და მაგნოლიები ჰყვავიან, გაზაფხული მოუტანდა მშვენებას კოლხეთის ველებს. შესაძლოა, ჩვენი სოფელი ამ წუთში მიზიტხუს — პირველ ყვავილობის დღესასწაულს იხდიდეს. მუხის ფოთლებით შუბლშემკული ქალ-ვაჟი გარს ეხვეოდეს ვეება მუხას და ნაბდით შებურვილი ლომკაცი ესვანჯია სატევარს არჭობდეს მკერდზე ტყეების მამფალს.

შინ წავედი. დარაბები დავგმანე. ვწვები, საბანს ვიფარებ თავზე, არ მინდა ვხედავდე ჩემის თვალით, რომ პარიზში ვარ. ეგების დედა დამესიზმროს და ჩვენი მთები...

ასი წლის რომ გავხდე, დედა, და ასი წელიც რომ დავრჩე უცხოეთში, თუ შენ შინ მეგულები, ფესვები მაქვს-მეთქი ჩემს მიწაში, ასე ვიტყოდი. ასი წლის რომ გავხდე, დედა, უცხოეთიდან მობრუნებული დაგიძახებ კარის ალაგთან „დედა, შინა ხარ-მეთქი?“

თუ შინა ვარო, მიპასუხე, მე ასე ვიტყვი: ათი წლისა ვარ-მეთქი.

ჯერ ათი წელიც არაა, რაც მოგშორდი, და ასე მგონია ასი წელი გასულა-მეთქი.

ამას მივწერდი დედას ოქუმში, მაგრამ არა, იტირებს უთუოდ.

ტკბილი სიზმარი მქონდა. შინ ვიყავი, ბავშვი ვიყავი... მსახურმა გამაღვიძა, ტელეფონთან გიხმობენო პანსიონ „სენ ჟერმენიდან“.

ელლენ რონსერ მეძახდა. მესოპოტამიიდან წერილი მოსვლია. მუსდო რიშეპენს ნოემბრამდის დააგვიანდებაო (კისერიც მოუტეხია და კინკიბოც!), შესაძლოა მოსულიდან კალკუტას მოუხდესო წასვლა (მოსაცვეთსაც წასულა თუნდაც).

ტელეფონშიაც ვატყობ ელლენს: მის ხმაში სიხარულის წკრიალი ისმის. როგორც ჩანს, ელლენ მაინც წავა რომს. მაინცდამაინც უნდა მეც წავყვე. ტაქსი ავიყვანე, ფობურგ „სენ ჟერმენ“.

პანსიონის დერეფანში შემხვდა. ახტა და კისერზე მაკოცა პატარა ბალღსავით. არ ვიცი, რა უხარია: რომს წასვლა, თუ მისი საქმრო კალკუტას რომ მიდის? (ასე აცეტებული არასოდეს მინახავს ელლენ)“.

მინაწერი:

„გუშინ საბოლოოდ შევწყვიტე ემიგრანტების ბიუროსთან მოლაპარაკება. ჩემი სიჭაბუკის მეგობარს იამანიძეს ვაწყენინე კიდევაც ბიუროდან გამოსულმა. იამანიძე დიდი ფანატიკოსია. მას სერიოზულად სჯერა, რომ ქართველი ემიგრანტები ისტორიულ საქმეს აწყობენ აქ, პარიზში.

ჰერკულესისა და ანთეოსის ამბავი მოვაგონე.

„ანთეოსი ვინღაა?“ — მეკითხება იამანიძე.

„ანთეოსი? ჰმ, ანთეოსი ზღვათა მეფის — პოსეიდონის ვაჟი იყო, ჰერკულესს ერკინა ანთეოს. ჰერკულესმა ბრძოლის დროს მიწას მოაცილა და ჰაერში დაახრჩო იგი. საკუთარ მიწას ვინც

მოსცდება, ყველას ასე მოუვა, ჩემო ვახტანგ“. იამანიძე მაინც ამტკიცებს, რომ ჟორდანია და წერეთელი ანთეოსს არა ჰგვანან.

„კარგი, ბატონო, ანთეოსს როდი ჰგვანან, არამედ პრომეთეს. ესაა მხოლოდ: პრომეთე კავკასიონზე ყოფილა თურმე მიჯაჭვული. მათ კი პარიზში სეირნობა არჩიეს“.

მომწყინდა იამანიძესთან პაექრობა. დავეთანხმე: ჟორდანიასა და წერეთელს უთუოდ დახატავენ-მეთქი მომავალ საქართველოში ბისკვიტის კოლოფზე. უთუოდ, უთუოდ“.

* * *

თამარმა კითხვა შესწყვიტა, თვალები მოიფშვნიტა. ირგვლივ ჭრიჭინების ჭრიახი ისმოდა. ორივე ხელები ზეასწია, გააზმორა. ზეაიხედა. ცას თვალი მოავლო. მერმე ძირს დაიღო თავი და დიდხანს იჯდა ასე გარინდული. ცა მოწმენდილი იყო, მაღალი, მაღალი და ამ მოკრიალებულ, მოსარკულ ცადაქნილზე ჭრიჭინები ლესავდნენ ფოლადის ჭანგებს, თამარმა ლოყებზე ჩამოშლილი თმები გაისწორა და ისევ განაგრძო თარაშ ემხვარის დღიურის ფურცვლა.

* * *

რომი. სექტემბრის 15.

„ისევ იტალიაში ვარ, ყურს ეალერსება იტალიური ენის უნაზესი მუსიკა. იტალიური უცხოსაც არ გეუცხოვება, ასე გგონია, დედის საშოდან იცნობო მას და ეს ქვეყანაც თვალს არ ეუცხოვება, თვალსაც ჰგონია აქ, ამ ცის ქვეშ, ამ მთებს შორის დავიბადე და ეს ადამიანებიც შენი მახლობლები და თანამემამულენი გგონია, ისინიც ისე ხმაურობენ, ყვირიან, როგორც ჩვენში სჩვევია ხალხს. სწრაფი ლაპარაკი და ფიცხელი ჟესტიკულაცია.

ღრუბლები, ზეცა, მწვანე ველი, მინდორი, ჩქერალი და გორმახები, აქ ყოველივე საქართველოს მაგონებს, თეთრქვიანი სოფლები შეფენილან მთების კალთებზე და ნათესების, ჯეჯილების იდილიაც ისე ნაცნობია და საყვარელი! ეს ტრიმელ ველებზე კანტიკუნტად გამდგარი ლიბანის ნაძვები თუ ეუცხოვებიან თვალს და ლაჟვარდისფერი ტბები... (ეს კი აკლია ქართულ ლანდშაფტს, ეს მართალია).

გადმომდგარან თხემებზე კასტელები, ციხე-კოშკები. ქსნის ციხე მოგაგონდებათ შესანიშნავი, შეუდარებელი მუცცო, იგავმიუწვდენელი თმოგვის ციხე, ღუდუშაური, ბებრის ციხე, ნარიყალა და გორის ციხე, სათანჯო, რუხი, უქიმერიონი და ქორსატეველა.

მხოლოდ ესაა: იტალიის ციხეებს არ მოხვედრია არც რომაული არტილერიის ლოდსატყორცნების ნასროლი, პომპეუსის ხმალს იერიშით არ აუღია ისინი. მაკედონელი აქ არა ყოფილა, არც მურვან ყრუ, შაჰ აბასი, არც აღა-მაჰომედ-ხანი.

არაბებისა, მონღოლების, სელჯუკების, ირანელების და თურქმანების ცხენოსან ჯარს არ შეუტევია მათთვის და არც თემურ ლენგის მოისარები მოსულან აქამდის.

სადგურებზე ყურძენს ჰყიდიან ისევე, როგორც საქართველოში და ქალებს ბუდეშურის მარცვალსავით თვალის გუგები აქვთ ისევე, როგორც საქართველოში; ჰაერიც ისეთი რბილია და ამო, როგორც საქართველოში. ცა აუმღვრეველი ლურჯი, საპფირონის და იასპისფერი...

ცა იყო იგი, პოეტს, მოქანდაკეს და მომღერალს რომ აღაფრთოვანებდა. ამ ცის განათებამ შეჰქმნა ჯიოტოს და რაფაელის ფერწერის მშვენება, ამგვარმა ცამ მიანიჭა შთაგონება ჩვენს უდიდეს ფრესკის მწერლებს. გელათის, ვარძიის, ბეთანიის, ზარზმის, ატენის, უბისის უკვდავი ფერების სიმფონია.

„ნუთუ მართლა იტალიასა ჰგავს საქართველო, უთუოდ წამოგყვები საქართველოში, — მეუბნება ელლენ რონსერ, — უთუოდ, უთუოდ“.

ვიცინი, ვდუმვარ.

ეს არის მხოლოდ, ვეუბნები ელლენს, ტიბროსი არა რბისმეთქი მტკვარისა და ენგურის დარად.

ტიბროსი მდორე და შავი წყალია.

გულჩათხრობილია და თვალებჩაღამებული ტიბროსი. ღრმად მოხუცებულს, მიხრწნილსა ჰგავს მართლაც ტიბროსი. მასაც ბევრი, ბევრი რამ უნახავს და ახსოვს, და ასე გგონია, იმადაც სდუმს, რომ რასაც ხედავს თავის გარშემო, მცირე და უმნიშვნელო რამე ჰგონია და ლაპარაკიც ეზარება მიტომაც ამის გამო. მდორედ და მრუმედ მიიზლაზნება ტიბროსი, მას არ აშფოთებს ამ ქვეყნის დრტვინვა, თითქოს არც ცეზარების ტრიუმფები ენახოს ოდესმე, არც თავაწყვეტილი იტალიელი გრანდების, ბარონების და პაპების მიერ ატეხილი სისხლის ღვართქაფი“.

* * *

სწორედ ამ სტრიქონებს კითხულობდა თამარი, როცა ბაბუა ტარიელის ძახილი შემოესმა. ბაბუა ტარიელი ჯავრობდა, ახლად ნაავადმყოფარი ხარო და კაკლის ჩეროში რას უზიხარო? წამლის დალევა რად დაგავიწყდაო, ან მე რად არ დამალევინეო თავის დროზე წამალი?

ადგა თამარი. ბაბუა ტარიელს დაალევინა წამალი, თავათაც მიიღო მიქსტურა. თავის ოთახში განმარტოვდა და ისევ განაგრძო კითხვა, თამარს ძლიერ აღელვებდა თარაშ ემხვარის დღიურში ნათხრობი. თუმცა თავის ტკივილმა უმატა, მაგრამ მაინც განაგრძო კითხვა. სულ თვალწინ უდგა ელლენ რონსერი, აინტერესებდა ეს ქალი, მაგრამ მისდამი ეჭვი ყელზე ებჯინებოდა.

* * *

...დაარისხებენ სან პიეტროს მწუხარე ზარებს,
ნარინჯის ფონზე მოიჭრება ავგუსტუს არკა,
და ტრიუმფები მოუნდებათ ისევ ცეზარებს,
ნაზ სერენადებს კვლავ იმღერებს ღამით პეტრარკა.

რომი. 17. 9.

„დღეს დილით პიაცცა დელ პოპოლოზე ვიყავით მე და ელლენ. მოედანზე ჰიაცინტებს ჰყიდდა ვიღაც გამხდარი, გაყვითლებული მუშა ქალი. ცალ ხელში ლეკვი ეჭირა. დამშეული ცხოველი ძლივს ახამხამებდა ახლად გახელილ თვალებს. დედაკაცი სწორედ იმ ობელისკის ქვეშ იდგა, რომელიც ოდესღაც ჰელიპოლის მზის ტაძარს ამკობდა.

მივუახლოვდი ჰიაცინტების გამყიდველს. დედაკაცმა ორივენი შემომაძლია: ყვავილებიცა და ლეკვიც. როცა ჰიაცინტები ვუხსენე, ლეკვი მიწაზე დასვა და ჰიაცინტები გამომიწოდა. წაცუნცულდა ძაღლი და თავის ჯიშის წესი შეასრულა: მზის ტაძრის ობელისკს შარდი მიასხა“.

მინაწერი:

„განა მარტო ძაღლებს სჭირთ ეს სენი? წარსული კულტურის ძეგლთან რომ მიიყვან ცოცხალს, იმ წუთშივე გაამჟღავნებს თავის ბუნებას იგი (განა მრავალი მოგზაური სიამოვნებით არა ბილწავს ისტორიულ ძეგლებს? უძველეს ფრესკებს თვალებს უფხაჭნიან, ჩუქურთმებს ყორეებში ყრიან ან გომურების შესაკეთებლად ხმარობენ. ტაძრებსა და საკურთხეველებს ბილწავენ და შემდეგ იქავე უსირცხვილოდ აწერენ: ამა და ამ წელს აქ იყვნენო:

ლადო, შურა, არტაშ, ვიტია, მიტია და ჩერემუხოვი. ასე ებღაუჭებ-ბა უკვდავებას ყოველი არამზადა!)“.

* * *

რომი. 18. 9.

„სანტა მარია დელ პოპოლოში შევიარეთ. მარმარილოს სარ-კოფაგები. სანსოვინო, რაფაელი და პენტურიჩიო.

ლეგენდა გვიამბობს: აქ დაუსვენებიათო ოდესღაც ნერონის ნეშტი. ალექსანდრე VI, ბორჯიას, საკურთხეველი აუგია, რათა იმპერატორის ლანდის მადევარი დემონები შეერისხა.

ელლენს ვუჩვენე ცნობილი ვია ლატა და მარსის მოედანი, აქედან შემოდიოდნენ ოდესღაც ჩრდილოელი ბარბაროსები რომში. აქვეა სადღაც ვილლა ფაონ, სადაც ნერონს სატევარი ჩასცა რომელიღაც გააზატებულმა მონამ (Qualis artifex morior![9]).

მაინც რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია მდგომარეობას?! უნიჭო ნერონი ათასჯერ უფრო პოპულარულია, ვიდრე ათორმეტი გენი-ოსი. არაფერი არ მოუცია ამ გვირგვინოსანი კომედიანტისთვის შემომქმედს დიდი სიამაყის გარდა. მართლაცდა, სიამაყის გარე-შე წარმოუდგენელია შემოქმედება. ვინც მარმარის გაურანდავ ნაკვეთიდან სილამაზეს, სიტფოს და სიყვარულს აღძრავს, იგი უეჭველად ჯადოსანია, ვინც უბრალო ტილოსა და წამლების შემ-წეობით ფერების სიმფონიას შექმნის, იგი უთუოდ გულთმისანია, ხოლო იგი, ვინც უბრალო ლექსიკონში მოქცეულ სიტყვების ყო-რედან გრძნობების ზღვაურს ასტეხს, ლანდებს აამეტყველებს, არაარსებულს ან უსულოს არსებულად და სულიერად მოგაჩვე-ნებს, იგი უსათუოდ ალქიმიკოსია და ნათელმხილველი“.

[9] როგორი ხელოვანი ვკვდებიო.

* * *

„ვია ლატა!

ეს გზა ისევე ძველია, როგორიც ანტიური ქვეყნები. მიმოიხედავ აქ და ასე გგონია, ქრისტე ჯერაც არ დაბადებულაო. შეუწყვეტლად მოდის ეს გზა ცეზარების დღეებიდან ავიაციის საუკუნემდის. ცეზარს, პომპეუსს, კატილინას, ვირგილიუსს, ჰორაციუსს უვლიათ აქ და ამ გზიდან შემოსულან რომის ასაკლებად: გერმანები და ჰუნები, საფრანგეთისა და ესპანეთის კავალერია. ამ პალაცცოებს ცეცხლი წაუკიდა გადარეულმა რობერტ გვისკარდმა.

მხიარული დღეებიც მრავალი ახსოვთ ვია ლატას და მარსის მოედანს. ისევე როგორც ძველი საბერძნეთის ღმერთების ეპოქაში, დაჰქროდნენ მარსის მოედანზე ვაზის ლერწმებით შუბლდამშვენებული ბაკხანტები და მენადები. აქედან ვენეციის მოედნამდის მართავდნენ დოღს სატურნალიების დღეებში, და მარსის მოედანზე უჯირითებიათ ცხენი ივერიის მეფეებს, იმპერატორებთან სტუმრად ჩამოსულთ.

წვიმამ მოგვისწრო, „კაფე არაგონში“ შევედით. კაფეში ათასი ენისა და ჯილაგის ხალხი ზიმზიმებს. აქ ფოქსტროტს ცეკვავენ საღამოობით დოლარებისაგან გაამაყებული ახალი მოდის იტალიელი დუშესსები და ბარონესსები (როცა ამერიკული კონსერვების ფაბრიკანტის ქალი, რომელიმე გუდამშიერ იტალიელ აზნაურს ცოლად წაჰყვება, მაშინ უყურეთ არისტოკრატიისა და ბურჟუაზიის დამტკბარ ალიანსს!).

უცხოურ გაზეთებს კითხულობენ: ამერიკელი, ინგლისელი, გერმანელი და ფრანგი ჟურნალისტები (ყალიონისგან მოღრანჯული ტუჩები უნდა ნახოთ! ამ ტუჩების კუთხეებში ისეთი დიდი ამ-

პარტავნობა შეგიძლიათ ამოიკითხოთ, თითქოს რომი მათ დაეარსებინოთ და ფორუმ რომანუმიც მათ სახელზე ყოფილიყოს აშენებული).

შეპუდრულ ტიკინებსავით მორთული ქალები იკლაკნებიან კაფეს განიერ სარკეების წინაშე და უსირცხვილოდ იცხებენ პომადას.

„ძველი რომაელი მატრონებიც თუ ასე იდღაბნიდნენ ნეტავ ლაშებს?“ — ვეკითხები ელლენს.

ლორნეტიან დამებს იღლიაში გაუჩრიათ თეთრბეწვიანი შპიცები, ღმერთმა უწყის, ეს ძაღლები უფრო უყვართ მათ, თუ თავიანთი ქმრები? — ამ კაფეში უდარაჯებენ გაპუდრული იტალიელი ალფონსები ახლად ჩამოსულ ამერიკელ ქვრივ ქალებს და ბარონესსას ტიტულის მაძებარ ხანდაზმულ ქალწულებს.

წვიმამ გადაიღო. ცა ისე მოსარკდა, როგორც ეს საქართველოში იცის. ვენეციის მოედნიდან კოლოსეუმისაკენ მივდივართ.

ქორედების საუკუნოშიაც აოცებს ადამიანს კოლოსეუმი!

Quando stabit Colysoeus, stabit et Roma.

Quando cadet Roma, cadet et mundus.

მათ ურყევად სჯეროდათ: როცა კოლოსეუმი წაიქცევა, ქვეყანაც დაიქცევაო.

აჰა, პალატინისა და ესკვილის გორები. იქ მდგარა ოდესღაც ნერონის სასახლე, ოქროთი მოოჭვილი და პატიოსანი თვლებით შემკული.

იქ მჯდარა ოდესღაც ნერონი, ეს უნიჭო და თავის თავზე შეყვარებული ცრუგენიოსი (ჩვენი დროის ბულვარის მწერლებისა და ხალტურისტების პატივცემული წინაპარი). ორი მგელი დაუმწყვდევიათ რომის ფორუმის შესავალთან. ესენი ისე არა ჰგვანან რომულუსისა და რემის დედამძუძეს, როგორც დღევანდელი იტალია ძველ რომს.

კაპიტოლის მუზეუმის ვენერა ვინახულეთ და ჯოჯოხეთის დედოფალი პერსეფონე. მისმა მარმარის მკლავებმა ცნობილი ლექსი მომაგონა:

„ეშხითა შენით მინდა ვიყვე მარადის მთვრალი,
ეგ თეთრი მკლავი მქონდეს ყელზე შემოჭდობილი“.

* * *

წვერხუჭუჭა მარკ ავრელიუს შეგვეგება ფორუმზე ამომავალთ.

იგი საკმაოდ მუცელგაბერილ, დაბალ ცხენზე ზის (არც ერთი თავმოყვარე აფხაზი ვაჟკაცი არ იკადრებდა ასეთ ჯაგლაგზე შეჯდომას, რომელიმე მოქანდაკემ ხომ არ უმტრო ნეტავ იმპერატორს?).

გავსცქეროდით ფორუმს.

მხარმარჯვნით სეპტიუს სევერიუსის და კონკორდიას ტაძრების ნანგრევები მოსჩანან. მხარმარცხნით — სატურნის ტაძარი. ამ მარმარის სვეტებს შორის იტალიელი ჯიბგირები და ლაცარონები კამათელს აგორებენ და ლაზღანდარობენ.

ოდესღაც ამ ჩეროში რომაელი სენატორები ისხდნენ და მაშინდელი მსოფლიოს ბედს ისევე იოლად ათამაშებდნენ, როგორც ეს ჯიბგირები ამ კამათლებს (ისტორიაში ისიც ხდება, რომ სენატორების ადგილებზე ჯიბგირები სხდებოდნენ).

აჰა, კასტორ და პოლუქსის ტაძარიც! იქვე წყლის აუზია.

„აქ ნაცხოვრება ოდესღაც ფერია იუტურნა“. ელლენ იცინის და ვესტას ტაძრისაკენ მიიწევს.

აგერ ვესტალიების მონასტერიც, ბოროტი ენები ამბობენ, ამ მონასტერში უარესი ამბები ხდებოდაო, ვიდრე ბოკაჩიოს ქრისტეან ბერებს ჩაუდენიათ.

აჰა, ცეზარის პალატებიც. ამ ხავსმოკიდებულ დარბაზში მართავდა ალბათ ორგიებს იულიუს კეისარი გალიის ომებში დატყვევებულ გერმანელ ბიჭებთან. ვინ იცის, რამდენი დასაჭურისებული აფხაზის ან ლაზის ბავშვი გაუხრწნიათ ამ პალატებში რომის იმპერატორებს. ელლენს ვეუბნები:

„პომპეუსს იბერიაში მტკვრის პირად შეებნენ იბერიის მეფე ატროკი და ალბანელი ორიზი. იბერიელები და ალბანელები ერთ ტყეში გამაგრდნენ, მაგრამ პომპეუსმა ალყა შემოარტყა და ტყე დასწვა.

ტყვედ წაყვანილთა შორის შეიარაღებული იბერიელი ქალებიც იპოვნეს. ქალებს იმდენივე ჭრილობა აღმოაჩნდათ, რამდენიც ვაჟებს. ამ გამარჯვების გამო მას ტრიუმფი გადაუხადეს რომში.

ტრიუმფატორს წინ მიუძღვოდნენ იბერიელი მძევლები და ტყვეები“.

* * *

„რა მცირე სივრცე უჭირავს ამ ფორუმ რომანუმს და მთელს მსოფლიოს უკარნახებდნენ ამ სასახლეში დამსხდარი სენატორები. იგივე მსოფლიო უდიდესი ყურადღებით ყურს მიუგდებდა ციცერონესა და ვირგილიუსს (ახლა ათინელი აკროპოლის? იგი ორგზის უფრო მცირე იყო მოცულობით, მაგრამ ბერძნულ კულტურაზე უფრო მაღალი და შთაგონებული ჯერ არავის შეუქმნია ამ ხმელის პირზედ). არც დღეს აქვს სივრცეს იმდენი მნიშვნელობა, რამდენიც ჩვენა გვგონია. დედამიწის ჰემისფეროს სამი მეოთხედი წყალია, მაგრამ წყალი წყალია მაინც.

შემოგვაღამდა ფორუმზე. ჩრდილები შემოესია დანგრეულ პალატებისა და ტაძრების თეთრ პერისტილებს, ჩრდილი დაეუფლა მარმარის კოლონებს. მრუმე ფერები შეერთო რომაულ ეთერს

და ტირის ზღვიდან თეთრი ღრუბლები ადგნენ. მთვარე გამოსცურდა პურპურისფერ ღრუბლების გონდოლში მჯდარი.

ვზივართ მე და ელლენ, ვესპასიანეს ტაძრის კოლონას ვეყრდნობით ზურგით მარჯვენა ელლენ რონსერის წელზე მაქვს შემოხვეული და ვფიქრობ:

ვინ არ ყოფილა, ვინ არ მჯდარა ამ ადგილას გულშემოყრილი? გოეტე, შატობრიანი, მიცკევიჩი, შოპენჰაუერი, სტენდალი, დანტე და გაბრიელ როზეტი. ყველა, ვისაც რომანტიული საუკუნის სენი შეჰყრია ოდესმე.

აქ მჯდარა ლორდ ბაირონიც, უმშვენიერესი და უმამაცესი ვაჟკაცი მთელ ევროპის პოეტთა შორის. აქ მოსულა იგი მისოლუნგისაკენ გამგზავრების კვირაძალში, ამაოების ძრწოლით გულამღვრეული.

(ძნელია, როცა მასავით მოგეშხამება საწუთროება და მერმე გმირულის სიკვდილის ნაცვლად, ტროპიული ციება გიმსხვერპლებს ან დიზენტერია)“.

* * *

თამარ თავაუღებლად კითხულობდა, ლუკაია მოვიდა, დაჯდა და უყურებს თამარს.

„რას მიყურებ, ლუკაია?“

„რას გიყურებ? დიი! თავი გტკივა და კაკლის ქვეშ ჯდები? დიი! ნუთუ ამდენი არ გესმის? დი!“

ლუკაია წავიდა, კარი მოარახუნა...

და თამარმა განაგრძო თარაშ ემხვარის დღიურის კითხვა. იგი აჩქარებული ფურცლავდა იმ გვერდებს, სადაც ელლენ რონსერის ხსენება იყო, განსაკუთრებით აინტერესებდა მისი გარეგნობა, მის მიერ ნათქვამი.

* * *

რომი. 20 9.

„ელლენ გაცივდა იმ საღამოს ფორუმზე. თირკმელების ტკივილი განუახლდა. მთელი დღეები მის საწოლთან მიხდება ჯდომა. შვიდოთახიან ბინაში მარტონი ვართ: ელლენ, მე და მისი ყრუ დეიდა, სამი კატა და ორი შპიცი, ბებერი ლაქია ჯიაკომო. ჯიაკომოს რამდენიმე მედალი აქვს გარიბალდის ჯარში მიღებული. მას პირადად უნახავს 1866 წელს ავსტრიელების წინააღმდეგ ბრძოლის დროს გარიბალდი. 1867 წელს რომისკენ წამოსულს ბრძოლაში ცხენი მოუკლეს თურმე გარიბალდის და ჯიაკომომ საკუთარი მიაშველა. ასეთი გმირობა ჩაუდენია ჯიაკომოს და ახლა სამზარეულოში ჩალიჩობს და იადონებს უვლის (ასეა, ყოველ კაცს როდი შეუძლია პური სჭამოს გმირობის წყალობით).

ჯიაკომო ფრიად თავაზიანი კაცია, სჩანს, იგი ძალიან გააოცა ჩემმა უეცარმა გამოჩენამ ამ ოჯახში. ჯერ იყო და მას მუსდო რიშეპენის უმცროსი ძმა ვეგონე, როცა ჩემს მოღუშულ წარბებს შეეხალა, რიშეპენის ხსენებას ერიდებოდა! თავათ დეიდა ვიტელლიც ეგვიპტურ მუმიასავით გამხდარია: თვალებიღა მოწმობს კიდევ სიცოცხლეს. მადამ ვიტელლი ცნობილი ფრანგი სოვდაგარის ოჯახიდანაა იტალიელ კომერსანტზე რომში გათხოვილი. სულის ხუთვა სჭირს მადამ ვიტელლის, არც წოლა შეუძლია და არც დგომა. ბალიშების მთელი ყორეა მის საწოლზე და ამ ბალიშების მთაზე ზის მადამ ვიტელლი, ბუდდჰას ქანდაკებასავით აღმოსავლურად ფეხმორთხმული და უცდის დღედადღე სიკვდილს.

მადამ ვიტელლის ბინა ნამდვილი მუზეუმია.

ისედაც ვეღარ ავუდიოდი მუზეუმების დათვალიერებას რომში და აქ ახალი ჯაფა მომემატა. არ ითქმის, თითქოს დიდის გემოვნებით იყოს ეს ბინა მორთული. მოგზაურ სოვდაგარს განურჩევ-

ლად შეუძენია, რაც კი ხელში მოხვედრია. უნიჭო, უგემურ ფაიფურის ტიკინებსა და ახალი ოსტატების მიერ გამოჩორგვილ ქმნილებებს შორის სავსებით უნიკალურ ნივთებსაც წავაწყდი. ისინი 40 წლის მანძილზე შეუსყიდნია სენიორ ვიტელლის ბეიპინში, ბომბეიში, სტამბოლში, სმირნაში. ერთი დარბაზი წითელი ხის ავეჯითაა მორთული, ლუი XIV-ის სტილზე. კედელზე ფრანგული გობელენები ჰკიდია. დავიდის და შეისონიეს სურათები, გარიბალდი და ნაპოლეონი ათასგვარ პოზაში, გრავიურები, ხეზე ნაძერწი, ქანდაკებები, სერვის პორცელანის ფიგურები როკოკოს ეპოქისა. მენუეტის მოცეკვავე კრინოლინიანი ქალები, მაღალსაყელოიანი ფრანგი ფეოდალები. ჯეირნებზე მონადირე ცხენოსნები და მარიონეტული თეატრების პერსონაჟი..

აღმოსავლეთის დარბაზი შემკულია ჰინდური, ირანული ნოხებით, ჯეჯიმითა და ქსოვილებით.

ჰინდური მინიატიურები და სურათები: შივა თეთრ ხარზე ზის ფეხმორთხმული, ისრების საწოლზე გაშხლართულა შივა, კრიშნა მწყემს ქალებს სამოსელს ართმევს, კრიშნა გველის მუცელში შემძვრალ დემონს ამარცხებს, ქალი მიწაზე განრთხმულა, კრიშნა ფეხებით სულს (ტფილისელ მექისესავით). მეჩონგურე სარასვატი, შინმობრუნებული რამა, ტულისადას ავტოგრაფის ნაგლეჯები, ციტორის ბასტიონის აღება 1567 წელს, რაჯასტანადან ამოხეული მინიატურები, ბუდდჰისტური ჯოჯოხეთის სცენები: მწოლარე ბუდდჰა, აქლემზე ამხედრებული ბუდდჰა, მჯდომარე ბუდდჰა, ყრმა ბუდდჰა — წითელ გრანიტზე გამოხატული. კედლებზე ჩარაზმულია აღმოსავლური რაინდული საჭურველნი: ჯაჭვის პერანგები, ჩაჩქნები, ხმლები, ჩუგლუგები, წათები.

რამდენიმე ბერძნული ვაზა შევნიშნე, არგონავტების კოლხეთში მისვლაა ზედ გამოხატული: იაზონის მიერ ოქროს საწმისის მოტაცება, იაზონი მედეას ძმასა ჰკლავს, იაზონის ღალატი,

მედეა საკუთარ შვილებსა ხოცავს.

დარბაზების კუთხეებში თავჩაჩქნიანი რაინდების ფიგურები დგანან ხმალზე დაყრდნობილნი, თითქოს ესენი იფარავენო სინიორ ვიტელლის უძეოდ გადაგებულ ოჯახს.

მადამ ვიტელლიმ სიკვდილის მოახლოება იგრძნო, როგორც სჩანს, სეიფების გასაღებები ელლენ რონსერისათვის გადაუცია გუშინ, ამ სეიფების გასაღებებს არავის ანდობდა თურმე აქამდის. ელლენმა გუშინვე გახსნა სეიფები. ვნახეთ: სავსებით უნიკალური ჩინური, იაპონური, ირანული და ჰინდური სერვიზები. ირანული სინები, ქართული აზარფეშები და ყანწები სტამბოლში ნაყიდი. ბაჯაღლო ოქროს ხატები ქართული და სომხური, მე-13, მე-16 საუკუნეებით დათარიღებული. ოქროცურვილი ბიზანტიური ჯვრები, აღმოსავლეთის პატრიარქების ტიარები, კვერთხები, იშვიათი სამაჯურები და ბეჭდები ვეშაპის თვლებითა და ბრილიანტებით შემკული, თვალისმომჭრელი ორი ქართული სურა შევნიშნე. ნიამორები იყო ზედ გამოხატული და ვაზის შტოებით შემკული ოქროს ქამარ-სატევარი, ერთიც ქართული ხელსაქმის იშვიათი ნიმუში (XIII საუკუნისა), ალბათ რომელიმე დიდებულის ქალისათვის ბიზანტიაში მზითვად გატანებული, ოქრომკედით ეწერა ზედ:

„ქრისტე, შეიწყალე ორსავე ცხოვრებისა შინა ქაიხოსრო ფანასკერტელის ასული შორენა“.

* * *

რომი. 23. 9.

„რომში ყოფნა წამამწარა ელლენის ავადმყოფობამ. მადამ ვიტელლის სიკვდილიც სანატრელი გამიხდა. ყოველდღე დავრბივარ ექიმებთან, რადგან ჯიაკომოს ქარები აუტყდა და სამზარეულოდან ვეღარ გამოდის.

ელლენ წამოდგა, მაგრამ ისევ უჩივის თირკმელების ტკივილს. ხომ არ შემეძლო მუდამ ინკოგნიტოდ მეცხოვრა ვიტელლის ოჯახში. ბოლოს წარმიდგინეს მადამ ვიტელლის.

აქ კი დაიწყო ჩემი წამებაი.

მე, საერთოდ, ანკეტური დაკითხვისას პასუხის გაცემა მძაგს, ამიტომაც ვთხოვე ელლენს, ჩემი ნამდვილი ვინაობა თავის დეიდისათვის არც კი გაემხილა. ხუმრობით ვუთხარი: როგორც ირანის გეოგრაფიული საზოგადოების დირექტორი წარმადგინე-მეთქი.

აიღო ელლენმა რუპორი და ჩასძახა ყრუ დეიდას.

ისევ მომიბრუნდა ელლენ: „დეიდა ვიტელლი კითხულობს, ირანში თუ იციან, გეოგრაფია რა არისო?“

„ალბათ იციან, რაკი გეოგრაფიული საზოგადოება აქვთ“, განუმარტავს ელლენ.

მადამ ვიტელლი მაინც არ ისვენებს: „რამდენი ცოლი ჰყავსო სინიორ ემხ“... (ჩემი გვარი ყელში გაეხია).

„არც ერთი“ — ჩასძახეს რუპორს.

„შენ რა გგონია, — ვეუბნები ელლენს, — მარტო დეიდაშენი როდი ფიქრობს ასე, საერთოდ თქვენ, ევროპელებს, ასე გგონიათ, რომ აზიაში არავინ არაფერი იცის“.

ელლენ იცინის, დეიდას სიბერისა და ავადმყოფობისაგან ხსოვნა სავსებით წაერთოო, მარაზმა სჭირსო.“

გარწმუნებ, ასეთი მარაზმა მარტო მოხუცებს არა სჭირთ ევროპაში, მარაზმით სნეული ისტორიკოსები, კრიტიკოსები და ჟურნალისტებიც ბევრი შემხვედრია რომში, ბერლინში, პარიზსა და ლონდონში“.

* * *

რომი. 25. 9.

„ნამდვილი ტფილისური შემოდგომა დაგვიდგა რომში, ელლენ ავადმყოფს ვეღარ სცილდება. მე ორიოდე საათით ვატიკანში წავიმუშავებ და ისევ ვბრუნდები. გუშინ ვახტანგ იამანიძე ჩამოვიდა პარიზიდან. დემონსავით შემომიჩნდა ეს კაცი. მოშიშვლებულ ჭრილობებს მიღიზიანებს.

რა საოცარი ინსტინქტი აქვს ქალს! ელლენს პირველ დღესვე შესძაგდა ვახტანგი. არ ვიცი, მისი გაქუცული, ძველი ფაფახი არ მოეწონა თუ კუხე ზღმარტლივით გალურჯებული სახე. ეს კაცი უსიამო ჟრჟოლასა მგვრისო, — მითხრა ელლენმა, როცა ვახტანგ წავიდა.

ექიმების კონსილიუმის დასკვნა ეს იყო: მადამ ვიტელლი ერთ-ორ კვირას კიდევ იბოგინებსო. დღეს უკვე სიკვდილის პირადაა მიმდგარი (ასეა ექიმების ნათქვამი პირუკმოდ უნდა ივარაუდო). წუხელ მთელი ღამე არ გვძინებია არც მე და არც ელლენს. მთელი ღამე ქაფურს უშხაპუნებდით ავადმყოფს. მთელი ღამე ჟღარუნებდნენ კედლის საათები ვიტელლის ბინაში. ამ დილით რომ შევედი, თავისი გარდაცვლილი ვაჟი ვეგონე. სიხარულისაგან ცას ეწია ბედშავი. ნაშუადღევს, როგორც იქნა, დაარწმუნა ელლენმა, რომ მე ჯიოვანი ვიტელლი არა ვარ.

„მაშ ვინღაა?“ — კითხულობს ისევ მადამ ვიტელლი.

აქ კი გადავწყვიტეთ ჩემი ნამდვილი სადაურობა გვემცნო ავადმყოფისათვის (რადგან ელლენ ამბობდა: გონს რომ მოვიდეს, მერმე უხერხული იქნებაო).

ელლენ რუპორთან სდგას.

„საქართველო საითაა?“ — კითხულობს მადამ ვიტელლი.

„რომიდან — ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ“.

„თურქეთისაკენ?“

„ჰო, თურქეთისაკენ, თურქეთისაკენ“ — ჩასძახის რუპორს ელლენ.

„რა რჯულისანი არიან ისინი?“ — იკითხა მადამ ვიტელლიმ.

„ქრისტიანულისა“. უჩემოდ ჩასძახის ელლენ.

„ნამდვილი ქრისტიანებია, კათოლიკებია?“

„კათოლიკებიც არიან“.

„ახლა ვის უპყრია იქ ქვეყანა, იქაც უშჯულო ბოლშევიკები არიან?“

„ბოლშევიკებია“. ამის გაგონება და დეიდას ყური მაგრად მიეხალა რუპორის პირს.

„ეგ ბატონიც ბოლშევიკია?“

„არა“, — უპასუხეს.

მადამ ვიტელლი დამშვიდდა და სიბრალულით სავსე თვალებით შემომხედა.

„თქვენში კაცის ხორცს სჭამენ თურმე ბოლშევიკები, არა?“

ელლენ შესდგა, ეტყობოდა, არც იგი იყო მაინცდამაინც დარწმუნებული, კაცის ხორცს რომ არ სჭამენ ბოლშევიკები. მე შევეშველე.

„მაშ, რად სწერდნენ ჩვენი გაზეთები?.. გარდა ამისა, — განაგრძო მადამ ვიტელლიმ, — პაპმა ედიქტი გამოსცა და ჯვაროსნული ლაშქრობა გამოაცხადა მათ წინააღმდეგ“.

აქ კი ორივენი დავდუმდით, ელლენიც და მეც, მოდი ახლა და მორწმუნე კათოლიკეს თავის სახლში გაუბედე: პაპი სტყუისო“.

* * *

რომი 27. 9.

„დღეს მე და იამანიძემ ქრისტიანული რომიც მიმოვიხილეთ. სავსებით ზერელედ. წმინდა პეტრეს ეკლესიაში შევიარეთ, ვნახეთ წმინდა პეტრეს ბრინჯაოს ქანდაკება. მრავალი საუკუნის მანძილზე ნაკოცნისაგან ფეხის თითები ამოჭმული აქვს წმინდანს.

პიეტა ვნახეთ მიქელანჯელოსი, გერმანიის იმპერატორების სარკოფაგები დავათვალიერეთ, გუმბათზე ავედით და გადავხედეთ კამპანიის მოედანს, ოსტიას და ტირის ზღვას. ირგვლივ მარმარი, ოქრო და ძოწი... ფრესკები, ორნამენტები, ჩუქურთმები... გვიდო რენის და მიქელანჯელოს სკულპტურები, სვეტები, თავკიდურები, ფრესკები, ფრესკები და კიდევ ფრესკები.

წმინდა მამების, ანგელოსების, ღვთისმშობლის ულევი ლაშქრები, ისევ ოქრო, მარმარი, წითელი გრანიტი. ობელისკები, კოლონები, მოზაიკები.

სიქსტინის კაპელაში კიდევ ერთხელ შევხედე პერუჯინოს „კლიტეების გადაცემას“, მიქელანჯელოს „ჯიუდეციო უნივერსალეს“.

ვატიკანში გავიარეთ, სტანცა დელლა სეგნატურა მოვინახულეთ, რაფაელის მადონნა და ფოლგინო მეათეჯერ ვნახე. დიდხანს ვიდექით ვატიკანელ ლაოკოონის წინაშე.

იამანიძე თავათაც გამოტყდა: პლასტიურ ხელოვნებაში არაფერი გამეგებაო. იგი ყოველივეს საჭიროების თვალსაზრისით უყურებს.

ლაოკოონის წინაშე იდგა იამანიძე გაშტერებული და უყურებდა, თუ როგორ ეხვევა მამასა და ორ ვაჟს უშველებელი გველი.

„რა უნდოდა ახლა ეთქვა ამ ქანდაკების გამკეთებელს?“ კითხულობს იამანიძე ბავშვსავით.

ეს „რა უნდა ეთქვა“ ღიმილს მგვრის.

„ხელოვანმა ხანდახან არც კი იცის, რა უნდა თქვას, რადგან იგი არას „ამბობს“, არამედ ჰქმნის, ჩემო ვახტანგ. ხელოვნური ნაწარმოები ისევე მოულოდნელად იბადება, როგორც მეტეორის ქვა ეცემა ციდან. მერმე ჩვენ მას შევხედავთ და ჩვენს გულისთქმას ამოვიკითხავთ მასში. ხელოვნური ქმნილება ალგებრულ

ფორმულასა ჰგავს. იგი უამრავ ალეგორიების ჩამტევია. და რამდენადაც ეს „რა უნდა ეთქვა“ მკაფიოდ არა სჩანს, მით უფრო გამძლეა იგი. როცა ხელოვნურ ნაწარმოებში ტენდენცია აშკარად გამოკრთის, იგი ისევე უშნოა, როგორც ლამაზი ქალის სხეულში გამოჩენილი ძვლის თავები.

შენ არ გეწყინოს, ჩემო ვახტანგ, და ეს „რა უნდა ეთქვა“ პროფანებს წამოსცდებათ ხოლმე, როცა პოეტურ ან მხატვრულ ნაწარმოებს დაინახავენ. აი, რაც ამ ლაოკოონის შესახებ დაწერილა, ვატიკანშიაც არ დაეტევა, მაგრამ მე პირადად ასე ვხსნი ლაოკოონს: ჩვენ თუნდაც ცამდისაც ხელი ავყოთ, მამების ჩვენის ცოდვა, ადრე თუ გვიან, მაინც გვიწევს და მოგვახრჩობს, რადგან ჩვენ წინაპრების სისხლი გვაქვს ძარღვებში. და კაცთა მოდგმის ტრაგედია ისაა, რომ ჩვენ ისე შეკრული ვართ მათი ვნებებით, როგორც ლაოკოონის მამა და ორი შვილი გველის მოქნილი სხეულით“.

„მაკმარე ახლა ეს ამბები, წავიდეთ ერთი, უბრალო იტალიურ დუქანში ვისადილოთ, იტალიური ღვინო დავლიოთ“, დაასკვნის ვახტანგი.

დუქანში ისევე თავაზიანად შემოგვეგება იტალიელი მსახური, როგორც იმერელი ლაქია შეგეყრება ხოლმე.

ორიოდე ჭიქა კიანტის შემდეგ ვახტანგ იამანიძე მოულოდნელად მეკითხება:

„ერთი მითხარი, თუ ძმა ხარ, თარაშ, არ მოგწყინდა მუდამ სხვის ქვეყნების თვალიერება?“

„მომწყინდა, მერე რა?“ მცირე ხანს ორივენი ვსდუმდით. მე კიდევ მოვსვი ღვინო და ვეუბნები:

„იცი, ვახტანგ, მე ისე მომწყინდა ევროპაცა და მუზეუმებიც, რომ კიდევ ერთ ზაფხულს ვერ გადავიტან აქ, ევროპაში. უკვე

მერვე შემოდგომა მოდის და უკვე ძრწოლით მოველი გაზაფხულს სხვის ქვეყანაში. აფხაზეთი მენატრება, ჩვენი მთები, ჩვენი ღვინო, ჩვენი პილპილი და წითელი ტალახი. პირდაპირ ფიზიკურ ტკივილებს განვიცდი. არ ვიცი ახლა, რა ხალხი ცხოვრობს ჩვენში. მე იმ ხალხისთვის ისევე უცხო ვიქნები, როგორც იგი ამჟამად ჩემთვის და ლამისაა იმ არამზადა უცხოელებს დავემსგავსო, საქართველოს ღვინო, მთები და აბანო რომ უყვართ მარტო.

ვგრძნობ, მამაჩემსავით მეც მერევა მელანქოლია, იტალიამ უარესად გამიმძაფრა ეს უცნაური გრძნობები“.

„ახლა ჩემი იკითხე, თარაშ, ჯერ კიდევ შარშან ვაპირებდი არალეგალურად საქართველოში წასვლას, მაგრამ ძნელია ასეთ საქმეში ყოველ კაცს გაენდო, შენ ბავშვობიდან მიცნობ, მე ძალიან გულჩაკეტილი კაცი ვარ და შენსავით მჭევრმეტყველება როდი მიწყობს ხელს. შარშან ბელგიის კონგოში მგზავნიდა ერთი ბრიუსელური ფირმა. დიდ ჯამაგირს მპირდებოდნენ, უარი ვუთხარი, რათაც არ უნდა დამიჯდეს, საქართველოში უნდა წავიდე. დეე, თუნდაც ჩამსვან, იქ ჩამსვან“.

მე დავდუმდი. ასე მეგონა, ჩემი გულის ნადები მოუპარავს-მეთქი ვახტანგ იამანიძეს.

„იქ ჩამსვან“, — გავიმეორე ხმამაღალი ფიქრით.

„მეც... მეც... ასე ვფიქრობ, ვახტანგ, მაგრამ ესაა: ვშიშობ, ვაითუ ჩემი უბედურობის მიზეზი ჩემშივე იყოს. მე სიკვდილის არ მეშინია, თუმცა დიდი გარდანქეშანი არასოდეს ვყოფილვარ და არც ვაჟკაცობაში ვეჯიბრები ვინმეს. ბოლშევიკებზე ასე ამბობენ: პირველ განრისხებაზე თუ გადაურჩი, მერმე ლმობიერად მოგექცევიანო, მე მირჩევნია დავიღუპო, ვიდრე გულმოწყალების საგანი გავხდე. უნდა გამოგიტყდე: მე თავათ ბოლშევიკებიც ძალიან მაინტერესებს, ერთი ვნახოთ, რა ჯილაგის ხალხია. ეს უკვე 12 წელია მთელი ევროპის პრესსა გაუგონარ ამბებს სწერს მათ გამო

და ამან, გამოგიტყდე, პირუკუ ინტერესი აღმიძრა. არასაინტერესო ადამიანების გამო შეუძლებელია ამდენი განგაში. შენ იცი, ამდენი კათოლიკური ორდენებია რომში, მე შევკრთი, იეზუიტი და დომინიკანელი ბერების ლაშქარი რომ შეგვეგება ამ დილით ვატიკანიდან მომავალთ. იერემიტები, იეზუიტები, ფრანცისკანები, დომინიკანები და ეშმაკი და დოზანა. ესენიც ხომ ფანატიკოსებია, ახლა მთელს ევროპაში რამდენი სექტანტური, კათოლიკური, ანგლიკანური, პროტესტანტული, მასსონური ორგანიზაცია არსებობს, მაგრამ მათ გამო არავინ არაფერს ამბობს, ახლა რამდენი უდღეური პარტიაა მთელს ევროპაში: ბურჟუაზიული, რადიკალური, ნახევრად რადიკალური, ზომიერი, უზომო და უზომოზე უფრო უზომოდ ზომიერი სოციალისტები, ანარქისტები, სინდიკალისტები, ათასნაირი „ისტები“ და „იზმები“, მათი სახელი ლეგიონია და არც მათი ამბავი ვიცი დაწვრილებით. მე ახლაც არ ვიცი, ჰენდერსონი რა პარტიისა და მაკდონალდი ქრისტიანი სოციალისტია თუ ბაპტისტი? ან ის ამერიკელი ქვეკერები რომელ ინტერნაციონალში შედიან? ან თვითონ თქვენი მეორე ინტერნაციონალი სად შედის ბოლოს და ბოლოს? მე მძაგს ეს „ზომიერი, გონიერი“ ევროპული საშუალობა, „მედიოკრიტეს“ რომ ეტყვიან ფრანგები; ისინი, ვისაც „ლე ბუტიკის“ მეწვრილმანებს უწოდებდა ნაპოლეონი.

სამი თვეა შენ მემუდარები, მე წამოგყვები, თუ ასეა. უნდა გითხრა, თუ ჩავვარდით მაინცდამაინც, მე დასანანებელი არაფერი წამყვება ამ სოფლიდან.

როგორც სჩანს, ჩვენს თაობას საერთოდ არ უწერია მშვიდობა. ეს უჩინარი მღელვარება ალბათ ყველგან თან გაგვყვება, სულ ერთია, რომში ვიქნებით, პარიზში თუ ტფილისში.

თუ გადავრჩით, იქაც ცხოვრებაა. არც თუ წელთა რაოდენობით განიზომება ცხოვრება, 25 წლის შემდეგ ბოლოს და ბოლოს,

ყოველივე პირველი ვარიაციის მრავალკეცი განმეორება იქნება ალბათ. მე უკვე ვხედავ ორივეს გულში საკმაოდ მომწიფებულია საქართველოში წასვლის აზრი. მე, ცოტა არ იყოს, რაინდული ეთიკის კაცი ვარ და, ვგონებ, შემიძლია მეგობრისთვის თავგანწირვა. მაგრამ ერთი რამ უნდა ითქვას ჩვენს შორის წინასწარ: დღეს მთელს ქვეყანაზედ ორად ორი გზაა დარჩენილი: ერთია სტალინის გზა, გზა ბოლშევიკებისა, მეორე მუსოლინისა და ჰიტლერისა, მესამე ესაა: ევროპული დემოკრატიის გზა. შენ და შენი ჟორდანია ამ მესამეზე დგახართ. ამ გზამ დაობებამდის მიიყვანა ევროპული დემოკრატია. იგი უფრო უგზოობაა, ვიდრე გზა. მე მგონია, თქვენი საქმე განწირულია“.

„შენ რომელი გზა გწამს ამ ორში?“ — მეკითხება ვახტანგ.

„მე, მე საერთოდ პოლიტიკური მოღვაწე არ ვყოფილვარ და არც ვიქნები ოდესმე. მე ჩემ ხალხს სავსებით მოწყვეტილი ვარ და არც კი ვიცი, რა ულხინს და რა უჭირს მას. აქედან ძნელია რაიმეს თქმა. ერთი რამ აშკარაა ჩემთვის: იტალიური და გერმანული ფაშიზმი ჩვენი ხალხისთვის ისევე შორეული ამბავია, როგორც გველფების და გიბელინების ბრძოლა. ეს მოძრაობა დიდმა ერებმა წარმოშვეს და როგორც ყოველგვარი ევროპული „იზმი“, იგიც უგულებელყოფს ალბათ ჩვენი ხალხის ინტერესებს. რაც შეეხება პირველს, პირადად ჩემთვის, ცოცხალიც რომ გადავრჩე, ალბათ ეს გზაც დახურული იქნება. ერთი იმიტომ, რომ თავადი ვარ და წინაპრების ჩემის ცოდვებს უთუოდ მომკითხავენ. მონანიებული აზნაურის ამბავი, ჩემი აზრით, ლიტერატორების ფანტაზიის ნაყოფია. ძერის ბახალამ რაც უნდა ინანიოს, მტრედის მართვე მაინც ვერ გახდება. ეს ასეა და გარდა ამისა, მე სულ სხვა კულტურაზე ვარ გაზრდილი და ძალიან საეჭვოა, ბოლშევიკებმა ჩემი გულწრფელობა იწამონ. ასე რომ, მე მინდა, თუნდაც ერთხელ ვნახო ჩვენი მთები და მერმე სულ ერთია, რაც მომივა“.

ორიოდე ჭიქა კიანტი კიდევ დავლიეთ, დიდხანს, დიდხანს ვსდუმდით, მერმე ვიღაც ლოთები შემობორიალდნენ დუქანში და გავეცალეთ იქაურობას. საქართველოში წასვლა გადაწყდა, თარიღად დავთქვით ნოემბრის სამი. ჩვენი მარშრუტი ასეთია: რომი — ტორენტო — სტამბოლი — რიზე. იქ ყოველივე მზად იქნება. აჭარელი მეგზური ჭოროხზე გადაგვიყვანს“.

* * *

რომი. 26. 9.

„მე ასე მჩვევია, ბევრს ვყოყმანობ, მაგრამ თუ რამე ამოვიჭერი გულში, უკან არ დავიხევ, სანამ სიკვდილი გზას არ მომიჭრის. დედა მეტყოდა ხოლმე: სიჯიუტე მამისა გაქვსო. კიდევ ერთხელ თვალი მოვავლე ჩემს საყვარელ „ეტერნა რომას“.

მარია მაჯიორე მოვინახულე, მარია სოპრა მინევრა, მარია დელ ანიმა, მარია დელ პაჩე, პალაცცო ფარნეზე, მარია ანტიკა, ვილლა ფარნეზინა, პალაცცო კორსინი, პიეტრო ინ ვინკოლი, სანტა მარიამ მაჯიორე, სანტა მარია დეგლი ანჯელი, პალაცცო ბარბერინი.

კაპიტოლის მუზეუმში შევიარე კიდევ და პერსეფონეს მშვენიერ თეთრ მკლავებს შევხედე უკანასკნელად.

ვიტელლის ბინაში მობრუნებულს ატირებული დამხვდა ელლენ. მე მეგონა: დეიდა ვიტელლის ჩვენი ჭირი წაუღია-მეთქი.

როგორი უცნაური როყიო კაცია ვახტანგ! დილას ჩემს საკითხავად მოსულა. ჩვენი წასვლის გეგმები წვრილად უამბნია ელლენ რონსერისათვის. მე კი გადაწყვეტილი მქონდა: ჯერ სავსებით არ გამემხილა მისთვის საქართველოში წასვლა. ვეტყოდი: ვენეციას მივდივარ-მეთქი. მერმე გზიდან მოვწერდი ბარათს. ასე მქონდა გადაწყვეტილი, რადგან მე არ შემიძლია ქალის ცრემლების ატანა...)

სავსებით მოულოდნელი ამბავი გავიგე. ელლენს უკანასკნელი ბარათი მიუწერია მუსდო რიშეპენისათვის. ბრილიანტების კოლიე უკანვე გაუბრუნებია.

„და ეს ყოველივე შენთვის ჩავიდინე“, — მეუბნება ატირებული ელლენ, ბავშვივით სლოკინებს, სტირის და სლოკინებს.

იმ ღამეს დაიწყო მადამ ვიტელლის აგონია. ეს მუშტისოდენა, გამხმარი მუმია აიქოჩრა, თვალები გაუბრწყინდა, სახის კუნთები დაეჭიმა, გააფთრებული ებრძოდა სიკვდილს. ბალიშები სცვივოდა საწოლიდან, ბორგავდა, ნახურვებსავით როკავდა, თმებს იგლეჯდა, ჰკივოდა, ჰაერს ეძებდა სასუნთქველს. სიკვდილი ნელ-ნელა ახვევდა გარს თავის ჯადოსნურ ქსელს. დაიქანცებოდა მოხუცი დედაკაცი, ისევ მუშტისოდენა გახდებოდა, ისევ მოიკრუნჩხებოდა, კედელზე მილაგებულ ბალიშების ყორეს მიეყრდნობოდა და ოდნავ მილულავდა სანახევროდ ღიად დარჩენილ თვალებს. ისევ შეეკვროდა სუნთქვა, ისევ აბორგდებოდა, ხელებს გაასავსავებდა ჰაერში და ხროტინებდა სუნთქვაშეკრული. გათენებისას დაწყნარდა სნეული.

ელლენს დილასაც არ უძინია. შეზლონგზე პირქვე დამხობილი სტიროდა. მივუახლოვდი, თმები გავუსწორე, შუბლზე ვაკოცე და მერმე მისი თეთრი, თეთრი მკლავები გამოვიღე პენუარიდან და ვაკოცე მრავალგზის, „რა მცირე გულხმიერება გქონია ჩემთვის, — მისაყვედურებს ელლენ, — შენ იყავი პირველი მამაკაცი, კლუნის მონასტრის სკოლიდან გამოსვლის შემდეგ რომ გამიცანი პანსიონ „სენ ჟერმენში“. პირველი მამაკაცი, რომელსაც ჩემი გული მივანდე პირველად. მე დედ-მამა ადრე დამეხოცა და ერთადერთი ჩემი პატრონი დეიდა ვიტელლი იყო, მამისა და დეიდა-ჩემის ოჯახები დიდი სოვდაგრების წრეს ეკუთვნოდნენ. სამი თაობა მისდევდა ამ საქმეს და სამივეს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ

აღმოსავლეთთან. ამან აღძრა ჩემს გულში ინტერესი აღმოსავლეთისადმი, ბავშვობის დღეებიდან მუდამ აღმოსავლეთისათვის ვოცნებობდი...

მერმე ის იყო, შენ შემხვდი... ჩვენი ოჯახის ტრადიციით, მეც კომერსანტს უნდა გავყოლოდი. ასე უნდოდა დეიდას. მანვე აირჩია ჩემ საქმროდ მუსდო რიპებენ. შენ მატყობდი ალბათ, მე მძაგდა მუსო რიშეპენ“.“

კედლის საათებმა ექვსჯერ დაიჟღარუნეს, ელლენ შეკრთა. დეიდა ვიტელლის ოთახისაკენ გაიხედა, მიაყურა, და მერმე განაგრძო: „დეიდა ვიტელლის ქმრის მეგობარი იყო მუსდო რიშეპენ, საერთო საქმეები ჰქონიათ ლევანტში ორივეს, არ მახსოვს, ტრაპეზუნდის თამბაქოს თუ ნახშირის საქმე. და დეიდა ვიტელლის აჩემებული ჰქონდა: მე რომ ვენდობი, ისეთ კაცს უნდა მიგათხოვოო. და ამას მიმეორებდა იგი ყოველ აღდგომას, როცა ჩემს სანახავად ჩამოდიოდა კლუნის მონასტრის პანსიონში. წინ აღვდგომოდი დეიდას სურვილს? მე მის გულსაც დავკარგავდი და მემკვიდრეობასაც. მონასტრის სკოლაში გაზრდილი მარტოკა რას გავაწყობდი ბობოქარ პარიზში?“

სტიროდა ელლენ, სასთუმალთან ვუჯექი და სანუგეშო სიტყვაც არ მებადა, რომ მეთქვა მისთვის.

„დარჩი, ნუ მიხვალ, — კვნესოდა ელლენ, — დარჩი და, სადაც გინდა და როგორც გინდა, ისე ვიცხოვროთ, გინდ რომში ვიყვეთ, თუ დეიდა გარდაიცვალა, პარიზს წავიდეთ და იქ მოვაწყოთ ახალი ცხოვრება“.

ელლენ წინასწარ დარწმუნებული იყო, რომ მე საქართველოში ჩასვლის უმალ პირში ცხელ ტყვიას ჩამასხამდნენ ბოლშევიკები. და ამიტომაც სტიროდა და სლოკინებდა: დარჩი, ნუ მიხვალო, მევედრებოდა“.

* * *

რომი. 27. 9.

„წუხელ, ნაშუაღამევის 3 საათსა და 10 წუთზე გარდაიცვალა დეიდა ვიტელლი. მე არ შემიძლია იმ სახლში ძილი, სადაც მიცვალებული მეგულება... ელლენს ჩემზე მეტად შინებია მკვდრის სიახლოვის. მთელი ღამე სტიროდა და ცახცახებდა ელლენ. სასთუმალთან ვუჯექი. ვეფერებოდი, ვანუგეშებდი. თვალს მილულავდა თუ არა, უმცირეს ჩქამზე შეკრთებოდა, წამოხტებოდა... ბავშვსავით, ველურსავით სჯეროდა: როცა სული საიქიოს მიემგზავრება, ოჯახის ფუძეში წინაპრების ლანდები აიშლებიან და გაქარჩხულ სახლში ატყდება მაშინ კაკუნი...

მოხუცებული ჯიაკომო მთელი ღამე კუბოს წინ დამხობილი ლოცულობდა, სტიროდა და ისევ ლოცულობდა. მთელი ღამე წვეთავდა წყალი საყინულე კუბოს ონკანიდან და მთელი ღამე ჟღარუნებდნენ ვიტელლის ბინის კედლის საათები“.

გვიან მინაწერი: „როგორი უმწეო აღმოჩნდა ელლენ! საოცრად დაიბნა ბედშავი. ამიტომ მადამ ვიტელლის დამარხვისათვის ზრუნვა მე და ვახტანგ იამანიძეს დაგვატყდა თავზე.

„მე ჩემი დეიდის დამარხვაზე არ მირბენია ამდენი“ — ოხუნჯობდა ვახტანგი.

* * *

რომი. 30. 9.

„მთელი დღე სწვიმდა რომში. როგორ მინდოდა კარგ ამინდში გამოვთხოვებოდი რომის სასახლეებს, კასტელებს და კორზოებს. ღამის 12 საათსა და 30 წუთზე გადიოდა ექსპრესსი: რომი — ტორენტო.

მატარებელი უეცრად მოსწყდა სადგურს.

დიდხანს, დიდხანს გავსცქეროდი ვაგონის ფანჯრებიდან: მატარებლის გასწვრივ მოდიოდა ჩქარი, ჩქარი ნაბიჯით ელლენ. სტიროდა, მოდიოდა. სახეზე ჩამოშლილ თმას უწეწავდა ქარი და გაზის შუქზე ისეთი გაფითრებული მოსჩანდა, როგორც ანგელოსი სიკვდილშემოსილი. და ასევე დარჩება ჩემს ხსოვნაში, ელლენ რონსერ“.

* * *

გვიან მინაწერი:

„არ მინდოდა ეს დღიური ოდესმე ხელში ჩავარდნოდა ბოლშევიკებს, ამიტომაც იგი სტამბოლიდან გამოვატანე ტფილისს მომავალ იტალიელ კონსულის ცოლს. უკვე დიდი ხანია საქართველოში ვარ. ჩვენი ავანტიურა გაცილებით უბრალოდ დასრულდა, ვიდრე მოველოდით.. სამი დღე და ღამე ვიმალებოდით დაფნისა და მაგნოლიის ტყეებში, მუცელზე ხოხვით ვუახლოვდებოდით საქართველოს საზღვარს, ვკოცნიდით იდუმალ საქართველოს მიწას. ილორის წმ. გიორგის მონებსავით მოვხოხავდით და ვკოცნიდით... პირველ ზონაში გადმოსვლის უმალვე გაგვცა მეგზურმა.

წელიწადზე მეტია, რაც თავისუფალი ვარ. იამანიძე სადღაც ქარხნის დირექტორად დანიშნეს, და მე ზუგდიდში ვზივარ და ძველი კოლხიდის ფეტიშიზმის საკითხებს ვიკვლევ. და ელლენ რონსერ? არც მე დამკლებია მწუხარება მის გამო. ზოგიერთი კაცი სიტკბოს ეძებს ყავაში. მე კი, პირუკმოდ: სწორედ სიმწარეს ვაფასებ ყავისას.

და სიყვარულიც...

სიყვარული იმდენად გამძლეა, რაც უფრო მეტი სიმწარე დაგრჩება მისგან.

დასასრულ სიმწარე... სიმწარე სიტკბოზე უფრო გამძლე. ყოფილა თურმე...

1931 წელი. აგვისტო. ზუგდიდი“.

* * *

თამარმა ბლოკნოტი დახურა. მარჯვენა ხელი ზედ დასდო. დიდხანს იჯდა ასე ფანჯარასთან და გასცქეროდა ბნელში მთვლემარე ბაღს.

ჭადრების ქება

„სად ხართ, ბუნების გულმეცნიერნო და იდუმალთა ჰანგთა მიმთხრობნო? გვითხარით, ჭალიკონს რას ეტყვიან ჭადრის ფოთლები. სად ხართ, ფერწერის ოსტატებო, ეგ ტანხატულა ჭადრები რომ გამოსახოთ, მთლად ნორჩ ხის კანზე ქეცედ ქეცეცად ამძვრალ ქერქის ქალები რომ ატყვია ჰიეროგლიფების მინაგვარი და საოცარი.

ეს სახეები, აჟურები, არაბესკები, ნაშუქარის და ნაჩრდილევის ლაღი თამაში.

არაფერს ისე არ გაუოცებივარ ჩემს ბავშვობაში, როგორც ჭადრების მოქარგულ ტანს.

ჯერ იყო და ასე მეგონა: ვიღაც უჩინარს ღამის მხატვარს უხატნიაო. მართლაცდა, რას არ აგონებს ადამიანს ეს ფიგურები! ზოგი ჩიტუნას გაშლილფრთებიანს, ზოგი ირმის თავს ქორბუდიანსა, ზოგიც შორეულ ზღვების კუნძულებს, ზოგიც ვეშაპს ხახადაბჩე-

ნილს, აიღებ ფანქარს, გადმოხატვას რომ დააპირებ: არც ასე ადვილი აღმოჩნდება მათი ასახვა.

ასე ყოფილა, ალბათ აწიც ასე იქნება: დიდოსტატობის ნახელავი იოლი ხელით ნათამაშევს წააგავს მუდამ. როგორ ამშვიდებს ადამიანს ამ ჭადრების ფოთლების შრიალი, როცა ჩეროებს მოგანატრებს მზე კოლხიდისა. გულს გაგიმრთელებს ამ მდევების თვალის შევლებაც. ძველ ეგვიპტელებს ჰყვარებიათ ტანკენარი ობელისკები, რადგან ობელისკი ხვატით გადარუჯული ქვეყნის ოცნებაა, ხისთვის ოცნება.

ეს არის მხოლოდ: ობელისკის ზესწრაფვა ცივია და მიწიერთან განრიდებული. ჭადრის ტანკენარობაშიაც ობელისკური ცათატრფიალია მიჩქმალული. ამ ცათატრფიალს ხისა ფურცლობის, სიმწვანისა და სიხალისის იერიც ზედ ერთვის ხოლმე. სწორედ ამიტომ ჰყვარებიათ ძველ ბერძნებსაც ჭადრის ხეები“.

თარაშ ემხვარის დღიურიდან

დღე ღამეს გაუსწორდა. პურეული მომკეს. სიმინდებს ქოჩორი შეევერცხლათ და სატევრებსავით გაწვდილი ფრთები ოქროცურვილს დაამსგავსა მზემ. ტროპიული პაპანება მდორედ ჩამოდგა. კოლხეთის დაფნარიანი მთები რძისფერ ბურუსში სთვლემდნენ საღამოობით. ბულბულები დადუმდნენ შარვაშიძიანთ ხილნარში.

დღეები გარბოდნენ. გრძელი, მოსაწყენი ზაფხულის დღეები...

თამარი გამომჯობინდა, მაგრამ მას აღარ უხაროდა კარგად გახდომა.

არის ისეთი ჟამი ადამიანის ცხოვრებაში, როცა სულიერ სიმძიმილისაგან გულშეღონებულს ავად გახდომა და ფიზიკური ტკივილი სანუკველად უჩანს.

შარვაშიძეების სახლში ყოველივე ჩვეულებრივად მიმდინარეობდა, არზაყანისაგან ჩქამი არ ისმოდა, თარაშ ემხვარ სადღაც გაუჩინარდა, თამარი სწუხდა, მაგრამ არ ამხელდა. კაროლინა თამარს არ უმალავდა, თარაში თვალში აკლდა. ერთ დღეს კაროლინამ ამბავი მოიტანა: თარაში თავის დიდ შრომაზე მუშაობს და ახალ ბინაში ჩაკეტილაო. ხერიპსი კლინიკაში იყო დღედაღამ, ლუკაიას ფეხი მოურჩა.

თამარი ამჩნევდა: კაროლინამაც მოიწყინა, მუდამ მხიარულმა ქერა კაროლინამ.

რამდენი წელია თამარს არ უნახავს პიანინოსთან მჯდარი კაროლინა, ეხლა ყოველ საღამოს საათობით უკრავდა იგი ლისტის რაპსოდიებს, ბახსა და ჰენდელს. ხანაც ფანჯარასთან იჯდა მდუმარი, გერმანიასა და თავის ქალწულობას იგონებდა ჟამიდან ჟამზე.

თამარს გული საგულეს აღარ ჰქონდა ჯვარის დაკარგვის შემდეგ, იგი ამ ამბავს განიცდიდა, როგორც უდიდესი უბედურების პრელიუდიას. დილას ჩაიცვამდა, მოირთვებოდა, დაბაში გასვლას დააპირებდა. მერმე არც საამისოდ ეყოფოდა ხალისი და გაუხდელად წამოწვებოდა. დაეძინებოდა და კაროლინა აღვიძებდა ნაშუაღამევს:

ტანზე გაიხადე და ისე დაიძინეო.

იმ დღესაც დიდხანს იწვა პირაღმა და უნებლიედ ყურს უგდებდა მეზობელ ოთახის ღია კარიდან შემოსულ ხმას ბაბუა ტარიელისას:

„...შენ ხარ: აღმონაბეჭდავ: სავსე სიბრძნითა: მსგავსებისათა: და გვირგვინ: სიკეთისა: საშუებელისა: შინა: სამოთხისა: ღუთისა: იშევ: ყოველი: ქვაი: კეთილი: შეგემოსა: სარდიონი: და პაზიონი: და სამარაგდო: და ანთრაკი: და საპფირონი: და იასპი: და ვეცხლი: და ოქროჲ: და ლიგირიონი: და აქატი და ამეთისტონი:

და ოქროქვა და ვირილლიონი; და ფრცხილი“.

მიელულა თამარს ცნობიერება ნელინელ. ჯერ ჟრუნი იყო ჰაერი და მერმე გამსჭვირვალე თეთრლეგო გახდა.

ტბის პირად მიემართება თამარი. კაცის სიმაღლე ისლი გარს შემოდგომია. მიდის თამარი და იკეცება მის ფერხთით ისლი. მუხლი ეკვეთება. დაიქანცა. ისლის რბილ საწოლზე წამოწვა.

ხედავს: მოვიდა დედა, დაიჩოქა მის თავთან, გაიხსნა კალთა დედისა და გადაეყარა თავზე თამარს სარდიონი და პატიონი, საპფირონი და იასპი და კიდევ ურიცხვი პატიოსანი ქვა და ჯვარი კი, დედის ნაჩუქარი ჯვარიც, ხელში უჭირავს შავებით მოსილს.

მაშინ გადაჰყარა თამარმა ეს პატიოსანი თვლები, წამოდგა და ჯვარს წაეპოტინა დედის მკერდზე მბზინვარეს. მაგრამ დედა უკუიქცა, თამარი მისკენ მიიწევს და დედა უარზეა, არ უნდა შვილს გადაეხვიოს და მიდის ასე პირუკმო სვლით, მიდის და ფეხქვეშ ეფინებიან დედას კუბოკრულად დახაზული ველები და ჭალები, მიაპობს თამარი ისლის ტევრს და დედა ხელგაშლილი წინ მიუძღვება.

ასე იარეს, იარეს, იარეს, უცებ დაბნელდა გარშემო, თამარმა ბორცვს წაჰკრა ფეხი, უზარმაზარი შავი ხის ჯვარი შერჩა ხელში კორდზე აღმართული.

ეხუტება თამარი ხის ჯვარს და დედის საფლავზე სტირის გულამომჯდარი. კაროლინამ მეორე ოთახში გაიგონა მისი წუხილი. მოვიდა, თავზე ხელი დაადო.

„ადექი, ჩაიცვი, დაბაში საყიდლები მაქვს, წამომყევი“. ემუდარება კაროლინა.

კაროლინა გრძნობს, თამარს უგუნებობა ერევა დღითი დღე, იგი გულმოდგინედ უქადაგებს თამარს, ყოველივე სიმძიმილის სათავე უგუნებობაა, ადამიანი უნდა ეცადოს უგუნებობას ებრძოლოსო, შენი ხნის რომ ვიყავი, არც კი ვიცოდი, უგუნებობა თუ

რა იყოო, სიცოცხლე ასე მშვენიერია, შეხე, როგორი შესანიშნავი დარიაო, ნახე, რა ამო ბორიო ჰქრისო, დაბაში გავიაროთო.

თამარი ნებას დაჰყვა, თანაც გუმანი ჰქონდა გულში: ეგებ თარაშ ემხვარს შევხვდეო სადმე.

ასეთი რამეც ხდება ცხოვრებაში: ხანდახან შორს მყოფი მეგობრის ნახვა მოგენატრება, არაფერი საშუალება არ არსებობს, რომ იხმო იგი როგორმე, გაიხედავ და თვალწინ დაგიდგება.

ასევე მოხდა იმ დღესაც. თარაშ ემხვარ ჭადრების ხეივანში იჯდა და წიგნს ფურცლავდა.

„სად დაიკარგე, ჰერრ ემხვარ? როგორ მოგვანატრე თავი“. ეკითხება კაროლინა. თამარი ყურებამდის გაწითლდა.

გადაუდებელი სამუშაოები მქონდა, — ბოდიშობდა თარაშ ემხვარ, — რამდენიმე დღის წინად დაქანცულობა ვიგრძენი და სანადიროდ გავიარეო.

„რას ჰკითხულობთ?“ ეკითხება კაროლინა.

„პლატონის „ფედროს“ წამოვიღე და იმას ვფურცლავდი“.

„ეს კარგი ჭადარი ამოგირჩევიათ“.

„დიახ, ეს ჭადარი ყველაზე ლამაზია. სწორედ „ფედროსშია“ ჭადარი შექებული.

ათინაში, სტადიონის ახლოს დიდი ჭადარი იდგა. ჭადრის ძირში რუ იყო. სწორედ აქ მოიტაცა ჩრდილოს ჭალიკონმა ბორეასმა ორეითია, მეფის ერეხტევსის ასული. ორეითია ისეთის ძალით გაუქროლებია ბორეასს, რომ კლდეზე დაუნარცხებია და მოუკლავს. იმ ჭადრის ქვეშ ადიდებდნენ ძველი ბერძნები პანსა და ნიმფებს“.

„მე აროდეს მინახავს, წიგნი რომ გჭეროდეთ ხელში“, შენიშნა კაროლინამ.

„იცი, ძვირფასო ფრაუ, მწიგნობრებმა ლამისაა წიგნი შემაძუ-

ლონ. საერთოდ ქაღალდის ხელში დაჭერა არ შემიძლია, თუ ძალიან კარგი ხარისხის არაა“.

„განა მარტო ხარისხის მიხედვით?“

„არა, შინაარსის მხრივადაც“.

„გასაოცარი ამბავი მოხდა, — ამბობდა თარაშ ემხვარ.

შუა საუკუნეებში პერგამენტი ჰქონდათ, ყოველი დროის ადამიანები ერიდებოდნენ უსაზმნო ხარჯს. წინად ერთი ეტრატისათვის მთელი ჯოგი უნდა გაენადგურებინათ, ამიტომაც უნიჭო ნაწარმოებს ავტორის სიცოცხლეში თუ არ გადასწერდნენ, მეორე თაობა არ ინდომებდა უნიჭო მეფის ან ვეზირის სიკვდილის შემდეგ მის ნაწარმოების გადაწერას, ასე რომ, თავათ დრო იყო უდიდესი კრიტიკოსი. ახლა კი ქაღალდი ისევე იაფია, როგორც გადაბეჭდვა და გუტენბერგმა ერთის მხრივ ზიანიც მიაყენა კაცობრიობას, უნიჭოს ფართო გზა გაუხსნა. ამას ყოველივეს ზედ ერთვის მოსყიდული კრიტიკაც. ქაღალდის ისეთი ნიაღვარი მოდის, პირდაპირ გულის ამრევია. მე ყოველ ახალ წიგნს დიდის უნდობლობით შევსცქერი. ამიტომ ნაკლებად უნდა იკითხოს კაცმა. საერთოდ მეზიზღება სტრიქონების ამ დაქირავებული ვაჭრის მოგონება, პროფესიონალ მწერალს რომ უწოდებენ, დიდ მწერალს, სახელგანთქმულ მწერალს. ამგვარმა მწერლებმა ძირს დასცეს მწერლობის დიდზე უდიდესი ავტორიტეტი... ერთი მეგობარი მყავდა ინდოელი, მას მუდამ ერთი წიგნი ეჭირა ხელში და იმას კითხულობდა.

მიზეზი ვკითხე.

ეს რიგვედას ჰიმნებიაო, უნდა ეცადო ცოტა იკითხო, სხვისი აზრები და განწყობილებანი იშვიათად შემოუშვა გულში, თორემ გაირყვნებიო, მერმე ერთი და იგივე საგნის ხანგრძლივი მზერისაგან ჭარბად იჟღინთება სული და ამიტომაც უნდა ეცადო — მცი-

რე შეითვისო, მაგრამ უაღრესად შეიგნოო. ჩვენი ქაღალდის ცივილიზაცია, — ამბობდა თარაშ ემხვარ, — ადამიანის გონების გასაფანტავადააო მოგონილი, ამიტომაც არც ერთი დროის ადამიანი ისე დაბნეული არ ყოფილაო, როგორც ჩვენი საუკუნისა. ეს უთვალავი წიგნი, კინო, თეატრი, სანახაობა... Abscheulich... ვგონებ, ამ ჭადრებს არ ასხიათ იმდენი ფურცელი, რამდენი წიგნიც გამოდის მთელს ევროპაში თითო სეზონში.

შუა საუკუნეებში ცოტანი სწერდნენ. ცოტას სწერდნენ, მაგრამ კარგად სწერდნენ, ჩვენს დროში ისე მოზღვავდა უნიჭობა, რომ ტალანტებიც იხრჩობიანო ამ ზღვაში.

საბერძნეთის პოეზია, მთლად რომ მოაგროვო მოცულობით, არ აღემატება ერთი რომელიმე დიდი ხალტურისტის რომანებს, არც იმდენი ლაქლაქი ისმოდა ძველ დროში. რამდენი მტკნარი სისულელე იფქვება ევროპის უთვალავ უნივერსიტეტის კათედრებზე. ძველ ბერძნებს აღზრდაც უკეთ ჰქონდათ მოწყობილი, ისინი ჯერ სიარულს ასწავლიდნენ ახალ თაობას, სწორად სიარულს, სადა მეტყველებას და აზროვნებას. ევროპულმა ცივილიზაციამ განათლებასაც სპეკულაციური მიზნები გაუჩინა, პოეზია პოლიტიკის იარაღად აქცია. ძველ ათინაში ასეთ ღვთივმშვენიერ ჭადრების ქვეშ ხვდებოდნენ ჭაბუკები თავიანთ ოსტატებს, მიწაზე მოირთხამდნენ და საუბრობდნენ ვნებისა, სიკვდილისა და სიყვარულისთვის“.

კაროლინა წიგნს წასწვდა, მოყვითანო პერგამენტისებრ ქაღალდზე გამოცემულს.

„უი, მე გერმანული მეგონა!“

ესა სთქვა და ბერძნულ ასოების მოხაზულობას დაუწყო თვალიერება.

„იცით, ჰერრ ემხვარ, ეს ასოები ქართულს წააგავს, არა?“ თარაშს გაეცინა.

„მოდი, წაგვიკითხეთ რაიმე“.

„რომელი ადგილი?“

„შეხვედრაზე იყოს, მე რომ ამ ასოების კითხვაც არ შემიძ-ლია?!“

კაროლინამ ბავშვსავით დაადო თითი და თარაშ ემხვარმა სა-ხელდახელოთ გადაუთარგმნა „ფედროსის“ ცნობილი ადგილი:

სოკრატეს: „ჩვენ აკი ასე ვამტკიცებთ, სიყვარული სიშმაგეაო, არა?“ ფედროს: „უთუოდ“.

სოკრატეს: „ხოლო სიშმაგე ორგვარი არის, ერთი მათგანის მიზეზი ადამიანურ ავადობაშია მოცემული, ხოლო მეორე ღმერ-თდალეული განცხადებაოო, ჩვეულებრივი განწყობილების წრი-დან გამოსულის განცხადება“.

ფედროს: „უეჭველად“.

სოკრატეს: „ღვთიური სიშმაგე ოთხნაირია, ოთხი ღვთაების მიხედვით განრიგებული, თანაც აღმაფრენას მჭვრეტელისას აპოლონს მივაწერთ, აღმაფრენას წმინდა მოგვისას — დიონი-სოს. პოეტისას — მუზებს, ხოლო აღმაფრენა შეყვარებულთა რიცხვით მეოთხეა, იგი აფროდიტესა და ეროსისაგანაა გამომდინა-რე“.

„მაშ თქვენც ასე ფიქრობთ, რომ სიყვარული სხვა არაფერია, თუ არა სიშმაგე?“

ჩააგდო სიტყვა ისევ კაროლინამ.

„უეჭველად“, — მიუგო თარაშ ემხვარმა და თამარს შეხედა, და შეხედა ისე თამამად, რომ თამარი აირია, თავისი მარაოსებური გრძელი წამწამები მრავალგზის დააფახულა და გაიცინა მხო-ლოდ.

თარაშ ემხვარმა თვალი შეასწრო, უეცარი სიწითლე მოედო თამარის ლოყებს, ღაწვებზე გადაურბინა და გაუჩინარდა. და ამ

უსიტყვო გასაუბრების მისაჩქმალავად ახლა სხვა ადგილს წაგიკითხავთო, ჩაილაპარაკა ნერვიულად და დაუწყო ფურცვლა ჩალისფერ გვერდებს წიგნისას.

„არსებითად სიშმაგე ყველა სიქველეთა უფროს სიქველეს გვანიჭებს მართლადაც. ოღონდ ისეთი სიშმაგე, რომელიც ღვთაებრივი ძღვენის სახით მოცემულია. დელფის წინასწარმეტყველებს და დოდონას მოგვ ქალწულებს ღვთაებრივ სიშმაგით აღტყინებისას მრავალი სიკეთე დაუთესიათ ძველ ჰელადაში, ხოლო სიფხიზლის ჟამს — უმნიშვნელო რამ ან სულ არაფერი“...

აქ თარაშ ემხვარმა რამდენიმე სტრიქონს თვალით გადაურბინა და ისევ განაგრძო: „მესამე ფორმა აღტყინებისა და სიშმაგისა მუზებისაგანაა გამომდინარე. როცა ამგვარი სიშმაგე ნაზსა და გულჩათხრობილ სულს დაეუფლება, ოცნებისაგან აირევა მაშინ ეგ სული, ასე და ამგვარად შეპყრობილი ზმანებისაგან ლექსებით ადიდებს ძველთა სიქველეს და მომავალ თაობებს უნათებს გზას“.

„მისოუსტ!“

კაროლინა წამოდგა, თათიასთვის სასყიდლები მაქვსო, მოიბოდიშა, თამარიც აჰყვა, მაგრამ კაროლინამ შენიშნა: იგი კარგად გრძნობდა თავს ამ ჭადრის ქვეშ, ამიტომაც არ შეპატიჟებია.

თარაშს უთხრა:

ხვალ უთუოდ სადილად გამოიარეო, თარაშმა მადლობა მოახსენა, მაგრამ არც ჰო უთქვამს და არც უარი. ახლა თამარს მიმართა კაროლინამ, შენ რა გეჩქარებაო, გაზეთები გვიან მოაქვთო, ჯერ საღამოს მატარებელიც არ მოსულა, ცოტა ხანს აქ შეიცადე და გაზეთებიც წამოიმძღვარეო. თარაშს გულის სიღრმეში გაუხარდა: ძლივს რომ დაიმარტოხელა თამარი, თუმცა ეს სიხარული არც კი დასტყობია სახეზე.

თამარი კაროლინას ნებას დაჰყვა, გაიტვრინა. და როცა კაროლინა ჭადრების ხეივანს გასცდა, თარაშ ემხვარმა ხელი წაავლო მკლავში და ბაღის სკამზე დასვა.

თამარი უსიტყვოდ დაემორჩილა, ჩამოჯდა, მაგრამ ისევ წამოდგა, მოდი, აქ ნუ დავჯდებით, გავიაროთო, წაიბუტბუტა. თარაშ ემხვარ მიჰყვა და ორივენი დიდხანს მიდიოდნენ ასე მდუმარედ. ჭადრების ხეივანს ისე გასცდნენ, არც ერთი ნაცნობი არ შეფეთებიათ.

თარაშს უხაროდა მის გვერდით სვლა. ჟამიდან ჟამზე შესცქეროდა პროფილს ქალისას და განზრახ უცდიდა, თუ როდის დაარღვევდა თამარი დუმილს (თუმცა არც ერთი არა გრძნობდა ამ დუმილის უხერხულობას). უკვე ქალაქის წრეს გადაცდენილი იყვნენ. თემშარა ცარიელი იყო.

„რატომ ხარ, თამარ, ყოველთვის მოწყენილი? რა მოგივიდა, ქალო?“

თამარი ისევ სდუმდა. თარაშის დღიური აგონდებოდა და ელლენ რონსერის ფერგამკრთალი სახე.

„იცი, მე მგონია, ეს ტირია ლექსები და რომანები აფუჭებენ ჩვენს ახალ თაობას. ყველგან უნუგეშო სიყვარულის ამბებია, მოწყენის, დარდის, უგუნებობის გამო მოთქმა. ეს ლექსები, ეს რომანები უნდა მოაგროვო კაცმა ერთ მშვენიერ დღეს და დასწვა“.

„განა შენ არა ხარ მოწყენილი, აკი შენაც ხშირად უჩივი მელანქოლიას?“

„რა ვუყოთ, რომ მეც მელანქოლიას ვუჩივი, განა მე სადმე მიხსენებია, კარგად აღზრდილი ვარ-მეთქი? მე შენზე მეტად მოკიდებული მაქვს მელანქოლიის სენი, მე ვიტყოდი, ცივილიზაციის სენი. ადამიანი, შოპენს რომ გაიგონებ, შოპენჰაუერისა და სვედენბორგის წიგნებს წაიკითხავ, ათინის და პომპეის ნანგრევებს ნახავ, ან როგორ გაიხარებ. პირველად ჩემს სიცოცხლეში შოპენის მუსიკამ და შოპენჰაუერის კითხვამ მაფიქრებინა სიკვდილისთვის. მე შენზე მეტად სნეული ვარ ამ სენისაგან. ერთ

დროს ასეთი რამ მჭირდა: უცხო ქალაქში რომ ჩავიდოდი, ყველაზე უწინ ვიკითხავდი — აქ რაიმე მდინარე თუ არის-მეთქი“.

„რატომ?“

„რატომ და მე მდინარის პირად ვარ გაზრდილი. განუზომელად მიყვარდა წყალი, ადრიან სიჭაბუკეში ასე მქონდა ნავარაუდევი: თუ თავის მოკვლა გადავწყვიტე, ჩემს საყვარელ სტიქიონს — წყალს უნდა მივაკითხო-მეთქი. მაგრამ ერთხელ დუნაიში ვბანაობდი, ვენის ახლოს, უცებ სუნთქვა შემეკრა, მკლავები მომიდუნდა და წისქვილის გელაზსავით წავედი ფსკერისაკენ. მეთევზეებმა ძლივს გამომათრიეს. მას შემდეგ გადავწყვიტე, არასოდეს წყალში თავს არ დავიხრჩობ-მეთქი. ასე შემძულდა წყალი“.

„შენ რომ თვითმკვლელობა მოგინდეს, რითი მოიკლავდი თავს?“ თარაში დაფიქრდა. და თამარმა კითხვა დაასწრო პასუხს: „სტრიხნინა?“

„დამიფაროს ანგელოსებმა. სტრიხნინა ქალების საქმეა, მე უთუოდ ან ჩემი სანადირო სატევრით მოვიკლავდი თავს, ან რევოლვერით. ეს უფრო ვაჟკაცურია.

ციხეში ჯდომისას მუდამ ჩემი ზედამხედველის რევოლვერისაკენ მეჭირა თვალი. გადაწყვეტილი მქონდა: თუ დამჭირდა, ვეძგერები, რევოლვერს წავართმევ და იმითი მოვიკლავ-მეთქი თავს. ახლაც, დაძინების წინ სატევარი უნდა მედოს თავქვეშ ან დატენილი რევოლვერი.

მიუხედავად ამისა, მე უგუნებობას არ ვეძლევი, მინდა გავჯანსაღდე, მშობლიურ მიწის სურნელით განვიკურნო, მინდა უცხოური ჩვეულებანი უკუვაგდო და ჩემს ხალხს დავუბრუნდე. უგუნებობას ვებრძოლო ნისლიან ქვეყნებიდან წამოყოლილს. ამიტომაც მივიღე მონაწილეობა დოღში. ამიტომაც ვნადირობ და მთებში დავდივარ, რათა პაპაჩემის მოუღალავი სისხლი აჩქამდეს ჩემს ძარღვებში. წინაპართა გულისა და მუხლის სიმაგრე კვლავ

მოვიხვეჭო. ადამიანი ყოველ წუთს მზად უნდა იყოს სიკვდილისათვის, მაგრამ არ უნდა ღნაოდე. სახეზე არ უნდა გეტყობოდეს მოწყენის ჩრდილი. ყოველთვის ისე უნდა გეჭიროს თავი, თითქოს ნადიმზე მიდიოდე. ბერძნები უდიდესი პესიმისტები იყვნენ, მაგრამ ყოველი წამით ხარბად სტკბებოდნენ, ამიტომაც იმდენი მზე, იმდენი სინათლე, იმდენი ლხენა იყო მათ ყოფა-ცხოვრებასა, პოეზიასა და აზროვნებაში.

ძველ საქართველოშიაც ასე იყო: ჩვენი ქრისტიანიზმისათვის უცხო იყო დასავლეთის მრუმე მისტიციზმი, ჩვენი უდიდესი პოეტები უნაღვლო მომღერლები იყვნენ, ჩვენი ხალხური პოეზიაც სიხარულით, სიცილით და მზითაა სავსე.

უნდა გიხაროდეს, ამ რბილ მოლზე რომ დადიხარ, ამ მზეს რომ შესცქერი, იმ ღრუბლებს, იმ ვენახს და სათანჯოს ციხეს. მე კი, მე ის მიხარია ყველაზე მეტად, რომ დღეს შენს გვერდით მოვდივარ, მოვდივარ და შევსცქერი შენს ნაწნავებს, შენს მხრებს, შენი ფეხის ხმა მესმის ამ მშვენიერ მიწაზე. ახალგაზრდა ვარ და ძლიერი და, ასე მგონია, შენი გულისთვის მდევების ბუნაგს ავიკლებ-მეთქი.

გაიცინე, ჩემო კარგო, ხედავ, რა კარგია ის პატარა გულწითელა ჩიტი, ეგერ იმ წიფელაზე რომ შემოჯდა და წრიპინებს, უნდა ვისწავლოთ მცირედი ბედნიერებაც ვიკმაროთ“.

თამარმა გაიცინა, მართლაც თვალი შეავლო პატარა ჩიტუნას და გაუხარდა ამ უცხოდ მოქარგულ გულ-ყელის შეხედვა.

„გაიცინე, გენაცვალე, იცოდე, მზე მხოლოდ ერთხელ ამოდის დღეში, ახალგაზრდობაც ერთხელაა მოცემული. მოწყენა მაშინაც გვეყოფა, ლანდების სამყაროში რომ ჩაგვიყვანენ“.

ცოტა ხანს დადუმებული მიდიოდნენ, მერმე თამარმა ეს უთხრა:

„მე შენ გემდური, თარაშ, იმ ღამეს რა ჰქენი, შენ საერთოდ

თავშეკავებული კაცი ხარ, ძლიერ გამაოცე. როგორც სჩანს, კაროლინას ყველაფერი გაუგონია. მე ასეთ საქციელს არ მოველოდი შენგან“.

თარაში უეცრად გაწითლდა და თამარმა შეამჩნია: სიწითლემ სწრაფად გადაურბინა ლოყებზე და ყურებზე.

„მე ბოდიში უნდა მომეხადა შენთან, მე ვგრძნობ, ცუდად მოვიქეცი, მაგრამ მიზეზს რომ მოისმენ, უთუოდ მაპატიებ. ექიმებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, ტიფი სჭირსო, მე საოცარმა შიშმა ამიტანა შენს მაგივრად. მეც ეს მინდოდა — ტიფი შემყროდა და მოვეკალი“.

მცირე ხანს ორივენი სდუმდნენ. შემდეგ თარაშმა შარაზე გადმომდგარი წიფლის ფოთოლი მოსწყვიტა და თამარს ეუბნება:

„შენზე ამბობენ, დანიშნულიაო“.

თამარმა გაიღიმა, სახე აარიდა თარაშს, ისევ სერიოზული სახე მიიღო და ეს უთხრა:

„ასეც რომ იყოს, მერმე რა?“

„არაფერი, შარდინ ალშიბაიამ ასე მითხრა“. თამარი სდუმდა და თარაშმა განაგრძო:

„ეს მართალია, რომ შენ და არზაყან ტფილისს აპირებთ წასვლას აგვისტოს 15-ს?“ — „ვაპირებთ. დიახაც, ვაპირებთ ინსტიტუტში შესვლას. შენ ყველას მოგვასწარი, ჩვენ აქ ჩავრჩით, ამ ჭორიკანა პროვინციაში. შენ კი ქვეყნის მოვლა მოასწარი“.

„ნეტავი მეც თქვენთან ერთად დავრჩენილიყავი, არც რამე მესწავლა და არც რამე მენახა“.

„შენ დიდხანს დარჩები აქ?“

„მე თვითონ არ ვიცი, რას ვიზამ. მე სამერმისო გეგმებს ვაროდეს ვაწყობ. ჩემი სამეცნიერო შრომა თუ მიიღო უნივერსიტეტმა, ალბათ მიმიწვევენ, თუ არა და, შესაძლოა აფხაზეთის მთებში წავიდე და იქ დავრჩე სამუდამოდ“.

იხვების გუნდმა გადაიქროლა ზღვისკენ. თარაშმა თვალი გააყოლა, შემდეგ ისევ თამარს შეხედა და ხმადაბლა უთხრა:

„მაშ შენ იმღამინდელი ამბების გამო გამებუტე?“

„არა, მე ცუდი სიზმარი ვნახე, იმიტომაც უგუნებობა დამჩემდა“.

„სიზმარი? რა სიზმარი“.

თამარი უამბობდა სიზმარს და თხრობისაგან სიმძიმილი უნელდებოდა. უცებ მატარებლის გრიალი შემოესმათ, გაზეთები მოაგონდა, მაგრამ ახლა თავათაც აღარ უნდოდა ამ მშვენიერ ახალგაზრდა მუხნარიდან გამოსვლა, არასოდეს ასე საამოდ არ შეგებებია მას ეს მუხნარი.

თამარი ნელი ხმით ებაასებოდა თარაშს და მიჰყვებოდა შარაზე გავლებულ ახალ ნაკვალევს ურმისას, ანგარიშმიუცემლად მიდიოდნენ... ჰაერი უაღრესად მსუბუქი იყო და მუხნარის შტოებში გამოკრთოდა საპფირონის ცის ნაჭერი და თეთრი ღრუბლები. ტანმორჩილი მუხლების ტანები სიჯანსაღის, სიხარულის და ბედნიერების გრძნობებს აღვიძებდნენ მათ გულში.

ტყე ალაგ-ალაგ გაეჩეხათ, აქა-იქ პურეული მოემკათ და ძნებად დაეყენებინათ. და ამ პატარა ველებზე ოქროცოცხა და შეყვითლებული რძიარძია მოსულიყო. გარეული მტრედები მათი ნაბიჯის გაგონებისას ქშუილით აპობდნენ სივრცეს, ჩრდილივით ჰქროდნენ გამსჭვირვალე ჰაერში.

ახლა წყვილად მოფარფატე გვრიტები სტოვებდნენ მწანე ბჟოლების მომწვანო ქოლგებს და ლიცლიცით მიაშურებდნენ მარტოხელად გამდგარ მუხებს.

„მაშ შენი მოწყენა ჯვარის დაკარგვის გამოა კიდევ?..

აჰ, ეს ქრისტეს ჯვარი!.. იცი, თამარ, როცა მე ევროპაში ვმგზავრობ და ამ უთვალავ ეკლესიებს და ტაძრებს შევსცქერი,

დარდანელიდან ვიდრე შოტლანდიის ზღვამდე, მაკვირვებს კიდევაც, რა გახდა ეს ჯვარი! პატარა, ბინძურ პალესტინაში დაბადებულმა დურგლის ბუშმა ჯვრების ტყეები აღმართა მთელ ქვეყანაზე.

ჩვენი ქვეყანაც ამ ჯვარს შეეწირა, შენ წარმოგიდგენია შუა საუკუნეთა ბნელი დღეები, თურქების შიშით გერმანელები ვენაში კანკალებდნენ და ასეთ დროს ჩვენი კავალერია ერზერუმში ებრძოდა თურქებს.

მე უნდა გაგინელო ეს ჯვარის სიყვარული. ჩემს სულში წარმართული ლხენაა ჩაჭრილი, ხოლო შენი გული ილორის დამსხვრეულ ზარასავით ჟღარუნებს, თამარ“.

თამარმა გაიღიმა, უჩვეულო თმენის იერი გადეკრა სახეზე და თარაშ ემხვარმა შენიშნა: ეს არ იყო დამჯერებლის თმენა, არამედ თმენა მოთმენისა და არ დათმობისა.

„მე დიახაც მწყინს შენი ჯვარის დაკარგვა, რადგანაც იგი რელიგიური სიმბოლო როდი იყო, არამედ უკვე ხელოვნების ძეგლად ქცეული ქმნილება. მე წარმოდგენილი მაქვს, როგორის სათნოებით მოსილს უკეთებია იგი რომელიმე დიდოსტატს ქართულ ოქრომჭედლობისას და დღეს, ვინ იცის, მურტალი კომისიონერი დაათრევდეს ეგებ მას ტფილისში. შესაძლოა რომელიმე ევროპელმა მოგზაურმა ვაჭარმა იყიდოს და თავის პარიზელ საყვარელს, ძველ როსკიპს აჩუქოს. ან არა და ახალი დროის უხამსმა ოქრომჭედელმა გადაადნოს იგი უგემურ მედალიონებად, ან უნიჭოდ ჩამოსხმული ფიალასავით მოიხმარონ და გაუმაძღრობამ სვას მერე ამ ფიალიდან. ის პატიოსანი ქვებიც ამოიღონ ეგების. სტამბოლის, პარიზის და ბერლინის კოკეტებმა გაიკეთონ საყურეებად. ამგვარად ეს ერთი ჯვარიც მიემატება საქართველოდან გატაცებულ ურიცხვ განძეულს. ამ მხრივ მეცა მწყინს, მაგრამ უნდა გითხრა: მე ვიჭვნეულობ ქრისტეს მიმართ,

რომ შენ მისდამი სიყვარული ჯერაც არ ამოგითხრია გულიდან“.

თამარმა შეხედა თარაშის სახეს...

„ნუ ამბობ მაგას, თარაშ“... ეს უთხრა, დაწინაურდა, გზის პირად მოსულ ოქროცოცხას ქოჩორი წააცალა და ნერვიულად დაუწყო წეწვა ყვავილის ფურცლებს.

„შენ ამბობ, ვეჭვიანობო, რა უფლება გაქვს ვინმეს მიმართ იეჭვიანო?“

„მე... უფლება?“.. ესა სთქვა თარაშ ემხვარმა, თამარს წამოწია და მხარზე დაადო ცალი ხელი და თამარის ლოყას და ოდნავ გაბუტულ ბუსუსებიან ტუჩებს შეავლო თვალი.

„მე და უფლება? ჰა, ჰა, ჰა, მე საერთოდ არც უფლება მაქვს ამქვეყნად და არც წილი. მე წილდაკარგული კაცი ვარ, წილწართმეული. ცაზე ღმერთი არ მეგულება და მიწაზე მეგობარი. იცი, თამარ, ხანდახან ისე შემომენთება მარტოობის ცეცხლი, ასე მგონია, სხვა პლანეტიდან პარაშუტით გადმოვმხტარიყო. მე რომ ბედი მქონოდა, უცხოეთში გარდახვეწა არ მომიხდებოდა. ვინ იცის, ეგებ მაშინ უფრო ბედნიერი ვიქნებოდი: მაშინ მე არ მომიხდებოდა ჩემი გულის საუნჯეთა უცხოეთში გაფანტვა და შენი გული იქნებოდა ერთადერთი ჩემი სახატე“.

როცა ამას ამბობდა თარაში, იგი თავდახრილი მიდიოდა თამარის გვერდით.

თამარს კი მისი ხმა შორეული ზარის რეკვასავით მოესმოდა, მიდიოდა, თარაშს უსმენდა. სწეწავდა ოქროცოცხას წვრილ ფურცლებს. ნაკუწ-ნაკუწად წეწავდა და მიწაზე ყრიდა. თანაც ფიქრობდა: გულთან ახლოს მოეშვა თუ არა თარაშის სიტყვები? ბოლოს ნაქურცვენშემოცლილი ყვავილის თავი შერჩა ხელში.

„ერთი მითხარი, თარაშ, რამდენი ქალისთვის გითქვამს იგივე სიტყვები?“

ეს უთხრა და ყვავილის თავი განზე გადააგდო.

„რას ამბობ მაგას, თამარ?“

„ასე ამბობენ შენზე, გულარძნილიაო!“

„მართალია, მე გრძნობა მრავალგზის გამიფლანგავს სხვათა ქვეყანაში, მაგრამ ისიც ხდება ჟამიდან ჟამზე, გული ხანდახან შავ ზღვასა ჰგავს ფირუზისფერს. მრავალი მღვრიე მდინარე შეერთვის ჩვენ შავ ზღვას, მაგრამ იგი მაინც უშესანიშნავესი და უწმინდესი ზღვაა სხვა ზღვათა შორის“.

გულგასაგმირავი სიტყვებით უყვებოდა თარაშ ემხვარ თამარს თავისი ადრიანი სიჭაბუკის მომცდარი წლების შესახებ. მოუთხრობდა, თუ როგორ ეწამა იგი სხვა ქვეყნებში ხეტიალისაგან.

„ჯერ კიდევ დედის ალერსი მენატრებოდა უძილო ღამეებში ღარიბ მანსარდებში მწოლარეს, მამას მელანქოლია სჭირდა, ქალაქიდან ქალაქად დაწრიალებდა ავადმყოფი, ხშირად იაფფასიან ჰოტელში მიმაგდებდა მარტოხელას და მიუსაფარს, თვალებით ვუცდიდი მამის მოკითხვას ან დედის წერილს, მშიერ-მწყურვალი.

ოჰ, ის ბნელი ღამეები იმ ბინძურ და საშინელ სასტუმროებში, სადაც დღისით ბიურგერული წესრიგი სუფევდა, მაგრამ მოაწევდა ნაშუაღამევი და ამ სასტუმროებში უკვე იღვიძებდნენ მეძავები და მათი ალფონსები. და ატყდებოდა ჟრიამული, საყვარლების, მუშტრების და სასტუმროს გამგეების ჩხუბი. მე მეტწილად თავქვე ვიწევი და ვსტიროდი. მერმე წამომეწია სიჭაბუკე და აჩქამდა სისხლი და ჩემს ჭაბუკურ ვნებას ქერა ქალი დაეძგერა. უნდა გითხრა, ქერა ჯილაგი ჩვენ შავგვრემანებზე უფრო მეტად ეტრფის სიცოცხლეს, ჩვენ მელანქოლიკები ვართ და დატკბობის არისტოკრატები. ქერა ჯილაგი ხარბია დატკბობის, ვნების და სიყვარულის მიმართ.

და როგორც ჩრდილოეთის ფიორდში დარგულ ქართულ პალმას ქარბუქი ეკვეთოს, დასეტყვოს და დააზროს, ისე მომეჭრა

ამ უშველებელი, უცხო ცივილიზაციის გრიგალი, მეძგერა, შემარყია და ამაფორიაქა. და ქარისაგან გატაცებულ ძეწნის ფარფლის დარად დამაქროლებდა ცხოვრება ქალაქიდან ქალაქად. მე მიგემნია დიდი ქალაქის ქალების ვულგარული სიყვარული. შენ იცი, ყოველ მამაკაცს გულში ჰყავს ამოჭრილი ვიღაც ქალის სახე, და დღენიადაგ ამ უსახელო კერპის ძებნაშია იგი. მეც იმ პალმასავით ვგრძნობდი თავს უცხოთა შორის. მინდოდა მეპოვნა ის უსახელო კერპი. შევხვდებოდი ვინმეს, ვიფიქრებდი, ესაა-მეთქი, დავუკვირდებოდი, იგი სულ სხვა აღმოჩნდებოდა. შენ ერთხელ ძაბულისთან წამომაყვედრე: შენ დონ ჟუანს ჰგავხარო, ეს არაა მართალი, ჩემი გზა არასოდეს ყოფილა დონ ჟუანის ეტლი. დონ ჟუანი ხალისით ეწეოდა გულის მიჯნურთა ცვლას, იგი მოწყენას იყო აყოლილი და სიყვარული სპორტად ჰქონდა გადაქცეული. მეც მოწყენილი ვიყავი სხვის ქვეყანაში, მაგრამ ჩემი მოწყენა ნიადაგს მომცდარი მცენარის მოწყენა იყო ან მონადირეთა გულქვაობის წყალობით დედისაგან გატაცებულ ნუკრისა დარდი. დედისათვის, მთებისათვის დარდი.

ახლაც, ხანდახან გულნაღვლიანი შევსცქერი ჩემსავე სურათებს სტუდენტობის დროს გადაღებულს, გონების თვალით შევყურებ ჩემსავე სიჭაბუკეს და ჩემივე თავი მევე შემეცოდება ხოლმე.

და ასე ვეძებდი მე იმ უცნობ ქალს. ქვეყანა შემოვიარე და ვერსად ვპოვე და თურმე შინ მიცდიდა. მაგრამ, როგორც ვხედავ, ეხლა ყოველივე უკვე გვიანაა. მერმე ჩემი ცხოვრებაც აირია სავსებით“.

ბნელდებოდა.

ახლად გამოცეცხლილ ახოში გადარუჯული ხეები ქიმერებსავით იდგნენ, ოფოფები დაჰფარფატებდნენ ბალახითა და ძეძვითმოსილ ახოს.

უზარმაზარი მუხა იდგა ახოს შუაგულში. ადამიანის საუბრის გაგონებაზე უამრავი შავი მტრედები შეფრთხიალდნენ და უწესრიგო რიალით მიაშურეს მახლობელ მუხას.

„ამას მე დოდონას მუხას ვეძახი. ნამდვილი დოდონას მუხაა. მე აქ ყოველ მესამე დღეს მოვდივარ სანადიროდ, — ამბობდა თარაში, — დავჯდები ჩეროში და, როგორც კი დაცხება, მოვლენ ღუღუნა მტრედები. ვესვრი და ფრთხიალით წამოვლენ ძირს. მე არა ვარ ხარბი მონადირე, მე ცუდი მონადირე ვარ, რადგან ბუნებაში გარინდება და ჭვრეტა შემიპყრობს და ყურადღება მეფანტება. მე, საერთოდ, მცირედიც მეყოფა. სამიოდე მტრედი ჩემთვის სავსებით საკმარისია სადილად“.

და უამბობდა თარაში თამარს თებაის მუხისა გამო.

„მე მიყვარს, როცა შენ ცხოვრების შესახებ მიამბობ რაიმეს. ისეთ რამეს, რაც შენ თავათ განგიცდია და გინახავს“.

„მე კიდევ შენი ხმა მიყვარს, — შეაგება სიტყვა თარაშმა, — შენ ისე ცოტა განგიცდია და ამით ხარ ბედნიერი. ამიტომაც ზეცის რეკვასავით ამოა შენი ხმა, ამო და გაუბზარავი, შენ არც კი იცი ალბათ, როგორი საამური ხმა გაქვს. შენ რომ გაგაჯავრე, იმის მეორე დღეს გადავწყვიტე, ჩემი თავი დამესაჯა, მთელი კვირით გავიხიზნე მთებში კვერნებზე სანადიროდ. იცი, როგორი დიდი სიამოვნებაა უკაცრიელ ფიჭვნარში კვერნებზე ნადირობა. მთელი კვირა ვცხოვრობდი მარტოხელა, აფხაზის ფაცხაში, უთენია მივდიოდი ტყეში, ისეთ მიუვალ კლდეებში მიხდებოდა ნადირობა, არწივების საუფლოა იქ. ადამიანების ჭაჭანებაც არსად ისმის. მე მობეზრებული მაქვს მილიონების ქალაქის ქუჩებში ხეტიალი.

ევროპაში დიდხანს რომ იცხოვრებ, მიზანტროპი ხდები ადამიანი. ტრამვაები, სასტუმროები, მეტროპოლიტენები, თეატრები, ქარხნები, უნივერსიტეტები, ქუჩები სავსეა ადამიანებით. ადამიანის ხმა და ოფლის სუნი შეგძაგდება და ისეთი გრძნობა გაქვს

— ადამიანები ნამეტნავად მომრავლებულანო მიწაზე, თვალი პერსპექტივას მოკლებულია, მცირეოდენ ცის ნაგლეჯს ხედავ და, ბოლოს, სავსებით გადაეჩვევი მაღლა ახედვას და ღორივით დინ-გდაშვებული დადიხარ მერმე დიდი ქალაქის მცხოვრების ქარ-ხნების, მატარებლების სირენები აყრუებენ სმენას, ავტომობი-ლების და ომნიბუსების სიგნალები განერვიულებენ და იქ კი შე-უვალ კლდეებზე ისვენებს ყური, გონება და თვალი. ასე მგონია, ვერასოდეს გავძღები-მეთქი ამ საყვარელი სიჩუმით, ათასწლო-ვან ნაძვნარებში გამეფებული სიჩუმით. მე ყნოსვა დაკარგული მქონდა ასფალტის, პარაფინის და ბენზინის სუნისაგან, ახლა სულ სამიოდე თვეა ვნადირობ და ისევ მომიბრუნდა ყნოსვა, სმე-ნა გამისათუთდა.

ვზივარ, ვუდარაჯებ კვერნას და მესმის, თუ როგორ ეცემა მი-წაზე ნაძვის კოკოლი და წიწვი. და უმცირესი ჩქამის გაღებისას ისე შეკრთება მიწა, ასე გგონია, მეტეორის ქვა ჩამოვარდაო, ხან-დახან მიმეძინება რომელიმე ბეხრეკ ნაძვის ქვეშ და ისიც კი მეს-მის, თუ როგორ გადარბის კვერნა ხავსიან მიწაზე, ან ფისი რო-გორ მოჟონავს ფიჭვების გოლიათურ ტანზე.

ერთხელ ასე ვინადირე მთელი დღე, ნაშუადღევს ერთ უშვე-ლებელ ფიჭვის ქვეშ წამძინებოდა. კი არ მეძინა, ვთვლემდი და უცებ შემომესმა შენი ხმა: „მისოუსტ“, — მეძახდი თითქოს შორი-დან. შენი ხმა რომ იყო, ეს ვიცოდი, მაგრამ „მისოუსტ“ ხომ არა-სოდეს დაგიძახნია ჩემთვის ბავშვობის შემდეგ, და ეს როდის იყო.

მახსოვს, მამიდა ფარჯანიანისამ მომიყვანა მე რომელიღაც შარვაშიძის ქორწილში. იმ შარვაშიძეს შინაური მშვლის ნუკრი ჰყავდა, შენ ათი წლის გოგონა იყავი, პაწია ნაწნავები წვრილად დაწნილი გქონდა, მოკლე კაბა გეცვა ბროწეულის ყვავილისფე-რი, ახლად ნაციები იყავი და მწიფე ლიმონისფერი გადაჰკრავდა

სახეს. და რატომღაც მაშინაც იმ ნუკრს გამსგავსებდი და ჩემს ხსოვნაში დარჩი იმ ნუკრის მოგონებასთან შეუღლებული, რამდენჯერმე მოგიგონე საზღვარგარეედ ყოფნისას, მასავით ცერებზე დადიოდი, მასავით კრიალა თვალები გქონდა, თმა ოდნავ უფრო ქერა, მე მგონია, ქერა თმა გქონდა მაშინ, არა?“

თამარმა გაიცინა, თავი დაუქნია.

„ჰო, ქერა თმა გქონდა... ისიც მახსოვს, მამიდა ფარჯანიანისა შეგვხაროდა ორივეს, ასე ამბობდა: შარვაშიძეების სისხლი გვმართებს, მაგრამ თუ ქალი ომების ამტეხია, ზავის ჩამომგდებიც ქალიაო, პატარა თამარი მისოუსტს უნდა შევრთოთო. დედაშენი ჯახანაც იქ იყო; მახსოვს, წითელი მარჯნის მანიაკი ჰქონდა კისერზე, სათნოდ იღიმებოდა და გასაოცრად თეთრ კბილებს აჩენდა. ქარვის კრიალოსანს ათამაშებდა ხელში. ეს მახსოვს, მომიხმო და შუბლზე მაკოცა“.

„ეს მეც მახსოვს“, — ამბობდა თამარი.

„და ამის შემდეგ, — განაგრძო თარაშმა, — ჩვენ აკვანში დანიშნულები ვეგონეთ ყველას. მე ვიცი აკვანში დანიშნულები არა ვყოფილვართ. აი, ნეტავ ვყოფილიყავით აკვანში დანიშნული. მე ხშირად ვიგონებდი ამ ამბავს საზღვარგარეედ. შენ გიგონებდი, თანაც ეს აზრი მაწუხებდა, ერთხელაც დედას მოვწერე ოქუმში, აკვანში დანიშნული ხომ არავისთან ვყოფილვარ-მეთქი.

დედას ბევრი უცინია, აკვანში დანიშნული არავისთანა ხარო, დედი, მაგრამ თუ ჩემი სიყვარული არ გამოგლევია, უცხოელი ქალი არ შეირთოო, რადგან უცხოელი ქალი ჩვენს წესებს აროდეს შეეგუებაო და მე ამის ჯავრს გადავყვებიო, მეც დავუჯერე დედას, და რამდენი ქალის ცრემლი შეეხალა დედაჩემის მტკიცე სურვილს“.

თამარს ელლენ რონსერ მოაგონდა, მაგრამ არა უთხრა რა.

„აჰ, რას ვროშავ?!! მე იმ ხმაზე გითხრობდი და ამერია. ვწევარ

ნაძვის ქვეშ და მესმის, მეძახი: „მისოუსტ“.

ავდექი, გავიხედ-გამოვიხედე: შენ არსად გამოჩნდი. ასე მეგონა, ძილში ვარ-მეთქი. ვიფიქრე, ეს მისი ბავშვობა მეძახის-მეთქი. შორეული მოგონება ჩემი ბავშვობის. აჰ, თურმე ამქვეყნად ერთადერთი სამოთხე ყოფილა, როცა შიგა ხარ, ვერ ამჩნევ ამას, სახელდობრ, ბავშვობა. მე სიჭაბუკე ისე გამიმწარდა, რომ მუდამ უკან ვიხედებოდი და ჩემს ბავშვობას და შენ შეგნატროდი, თამარ, და ასე დარჩი ჩემს ხსოვნაში შენ და ის მშვენიერი ნუკრი, როგორც ორი ძვირფასი სახე, ელიზიუმის სვებედნიერ წალკოტიდან წამოყოლილი.

და ასე დამიძახე უდაბურ ტყეში „მისოუსტ“, ძილი გამიკრთე და ნასამხრალის მოსვენება, მერმე მთელი დღე დაწყევლილსავით დავძრწოდი ნაძვნარებში და ველოდი, კიდევ დამიძახებდი „მისოუსტს“, კიდევ გავიგონებდი შენს ხმას, კვერნები სულ გადამავიწყდა, დავაბოტებდი ძეძვებში, ღრანტებში, გაუვალ ნაძვის, სხმარტლის და ასკილის ტევრებში დავდიოდი და ველოდი, თუ როდის დამიძახებდი კიდევ „მისოუსტს“, როდის შემომესმოდა შენი ხმა.

ბინდდებოდა, ბილიკს გადავცდი, არც კი ვიცოდი, საით მივდიოდი, ან ჩემი მასპინძლის, აფხაზის ფაცხა რომელ მხარეს იყო, კომპასი შინ დამრჩენოდა, მხარი ამექცა, მიმართულება დავკარგე, დავდიოდი ბნელ ტევრში და ვცდილობდი, მომეგონებინა მაინც შენი ხმა.

როგორი უმწეოა ჩემი მეხსიერება! მინდოდა, აღმედგინა ეს ხმა, კიდევ ერთხელ მომესმინა, მაგრამ ამაოდ.

საოცარია, მხატვარსა და პოეტს შეუძლია გარეგნული სილამაზის უაღრესის დეტალებით აღდგენა, თვით მაშინაც, როცა საყვარელი ქალი შორსაა. მაგრამ ხმის გადმოცემა, ან მის ბადალის

აღდგენა არვის შეუძლია ამქვეყნად. რადგან ადამიანის ხმა ყველაზე მეტი საოცრებაა, ყველაზე დიდი სასწაული. და ამიტომაც, ყველაზე ადრე ხმას ჰკარგავს სულიერი. ვეღარც ფერადი მხატვრისა, ვეღარც ფანტაზია და რიტმული მასალა ვერასოდეს აღადგენს ხმას ადამიანისას. და ახლაც, როგორც იმ ღამეს, დავდივარ ამ ცხოვრებაში და ვუცდი, თუ როდის დამიძახებ შენ ისე, როგორც ბავშვობაში მეძახდი სწორედ იმ პირველ დღეს ქორწილში — „მისოუსტ“, დამიძახებ, შენად მიმიჩნევ. რადგან მე ახლაც მარტო ვარ, როგორც იმ ბნელ ნაძვნარში, და ასე მგონია, მხოლოდ შენი ხმა, შენი ძახილი დამიბრუნებს იმ უბიწობას, უცხოეთში ყიალის დროს რომ დამეკარგა, თამარ; შენა ხარ ჩემი დაკარგული ბავშვობის ზმანება, შენა ხარ ჩემი დაკარგული სამოთხე, თამარ. აჰ, ნეტავ შენს ძვირფას დედას მოჰგონებოდა და აკვანში დაენიშნე ჩემთვის, მაშინ შენთან მობრუნება ნაგვიანევი არ იქნებოდა, მაშინ შენ მომიცდიდი და ისევ მიმიღებდი მე სხვის ქვეყნებში შემოღამებულს. ალბათ, მეც ვიგრძნობდი მომეტებულ ვალდებულებას და ჩემს სისხლს უსაზმნოდ არ შევალევდი იმ გაუმაძღარ ქერა ჯილაგის ქალებს. და შენც ვეღარ დამაყვედრებდი: „გულარძნილი ხარო“.

მზე გაპარულიყო ღრუბლებში და გარუჯული ხეები ახოზე შავ ოჩოკოჩებს დამსგავსებოდნენ. ფრთხიალებდნენ ბარდნარში ძილგამკრთალი ფრინველები. მელიები გადარბოდნენ ურმის შარაზე. თამარი ძრწოდა. ჯერ იგი არასოდეს ყოფილა ტყეში ახალგაზრდა ვაჟთან, ისიც ასე შორს მამის სახლ-კარიდან. თამარი ფრთხილობდა, მძინარე ტყის უმცირეს ჩქამზე უკან იხედებოდა და, საერთოდ, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ვიღაც მესამე დადიოდა მათთან ტყეში კვალდაკვალ მზვერავი.

თარაშ ემხვარმა შეამჩნია მისი შეკრთომა, ჯერ ხელგაყრილი მიჰყავდა, და როცა შენიშნა თამარი უფრო და უფრო კრთებოდა,

ხელი შემოხვია წელზე, ლოყა ლოყას ეხუტებოდა. თარაში გრძნობდა, თუ როგორ ელამუნებოდა მის ღაწვებს თამარის თმები. გრძნობდა, მასაც უცემდა გული თამარის სიახლოვისაგან, პირი უშრებოდა წარამარა და ლაპარაკს ვეღარ ახერხებდა. მერმე შეამჩნია: ახო გათავდა და ისევ ტყე დაიწყო, ისევ ახოში შევიდნენ, და აქ კი გადაწყვიტა ისევ უკან გამობრუნება. მთვარე გადმოსულიყო მუხნარის მწვერვალზე და ვერცხლისფერი ბლონდი ეფინებოდა ტყესა და ახოს. ალმასივით კიანთობდა ბალახებისა და ველის ყვავილების კლერტოებზე შერჩენილი რთვილი. სთვლემდნენ ძილნასვამი ხეები, იდუმალებას მკერდზე მიყრდნობოდა მძინარე ბუნება. ისევ მიაღწიეს დიდ მუხის ძირას, ბალახი დაცვარულიყო, ფეხები ულამდებოდათ. თარაშმა ახო გადასჭრა, და მუხის ძირას რა მიაღწია, ჟაკეტი გაიხადა, კუნძზე გადააფინა, თამარი ზედ დასვა, ფეხები მიწამდის ვეღარ უწვდებოდა თამარს. იჯდა მხრებდაშვებული, თმები სახეზე ჩამოწეწოდა, მთვარის შუქისაგან სნეული იერი მისდგომოდა სახეზე თამარს. თარაშ მიუახლოვდა, თმები გაუსწორა, შუბლი გამოუჩინა და აკოცა ზედიზედ შუბლზე, და ელლენ რონსერის სახე წინ დაუდგა თარაშს, გაზის სინათლისაგან გაშუქებული.

თამარმა ამოიოხრა, ნაზად მოიშორა თარაშის ხელი და ისევ მიაჩერდა მოვერცხლილ სივრცეს და ხეების დათალხულ ლანდებს. თარაშმა ხელები მხრებზე შემოხვია, მისი მძიმე ნაწნავი მოხვდა ხელში, აიღო, იყნოსა ქალწულის თმების ნელსურნელება და აკოცა სამგზის თმების ძირში, კისერზე აკოცა, მერმე წამოიღო და ყელზე შემოხვია ნაწნავები ქალს. ასე იჯდა ნამორზე თამარი და ღამესავით მრუმე ნაწნავი უშველებელ გველსავით შემოდებოდა კისერზე და ასე გარინდებული და ფერგამკრთალი ქალი კაპიტოლის მუზეუმის პერსეფონეს აგონებდა თარაშ ემხვარს.

„ეშხითა შენით მინდა ვიყვე მარადის მთვრალი, გ თეთრი

მკლავი მქონდეს ყელზე შემოჭდობილი“.

გახმიანდა მის გულში ეს სტრიქონები.

„სთქვი რამე, ხმა გაიღე, თამარ. მე ისე მიყვარს შენი ხმა, დამიძახე მისოუსტ, როგორც ბავშვობაში, რადგან შენა ხარ ჩემი დაკარგული სიყრმე, შენა ხარ ჩემი დაკარგული სამოთხე, თამარ“.

„რა გინდა ჩემგან, თარაშ?“ — კვნესოდა თამარი.

„შენი სიყვარული მინდა, შენი ხმა, შენი მშვენიერი ნაწნავები, თამარ“, — ეს უთხრა და შემოხსნა ულოსავით დაგრეხილი მძიმე ნაწნავი და კიდევ მიიტანა ტუჩთან.

თამარმა გამოართვა ხელიდან ნაწნავი, მხრებზე გადაიგდო, გასწორდა წელში, თითქოს უაღრესად სერიოზული რამ უნდა ამცნოსო მის წინ მდგომარეს, მაგრამ ისევ დადუმდა და თვალი გაუსწორა ვაჟს.

„რას სდუმხარ, მითხარი რამე!“

„მე იმიტომაც დავდუმდი, რომ სანუგეშოს ვერას გეტყვი, თარაშ. შენ მართალი ხარ, ჩვენ აკვანში რომ დავენიშნეთ ბალღობიდანვე, მე მოგიცდიდი შენ, ეს იქნებოდა ღვთის განგება და ამას უსიტყვოდ დავემორჩილებოდი. შენ დაგაგვიანდა. შენ სხვისთვის გიჩუქნია შენი პირველი სიყვარული“.

„მაშ ჩემი წარსულისადმი ეჭვიანობ? მერწმუნე, არც ერთ ქალს არა რგებია ისეთი დიდი სიყვარული, როგორიც შენთვისაა შემონახული ჩემს გულში“.

თამარი სდუმდა და ისევ ელლენ რონსერი გაახსენდა. სდუმდა. შემდეგ ამისა ეუბნება თარაშს:

„მაგრამ ჩემი გული?“..

„ნუთუ სხვას ეკუთვნის?“..

„როგორ გითხრა“...

ესა სთქვა თამარმა და გაშმაგებული თარაშ მივარდა, მკლავები შემოაჭდო ნამორზე მჯდომარეს, მკერდზე მიიყრდნო და გახელებულმა დაუწყო კოცნა. კოცნიდა შუბლზე, თვალებში, ღაწვებზე, და როცა ნაწნავებში ხელი წაავლო და ტუჩებში აკოცა ზედიზედ, ქალმა გაიბრძოლა.

„მე შემიძლია შენი მეგობარი ვიყვე, — ამბობდა თამარი და ხმა უკანკალებდა, — მაგრამ შენ თუ ამას არ იკმარებ, ჩვენს შორის ყველაფერი უნდა გათავდეს. შენ არ უნდა მოხვიდე აწი მამაჩემის სახლში, ისედაც ამრეზილია მამა. თუმცა შენ შეგიძლია კაროლინასთან მოხვიდე, აკი შენ და კაროლინა მეგობრები ხართ“.

თარაში მიხვდა, კაროლინას ხსენება თუ რას მოასწავებდა ამ წუთში. ხელი შეუშვა თამარის მკლავს და განზე გადგა. მას უკვე სიტყვაც აღარ ეგულებოდა თამარის გულის მოსაბრუნებელი. დადუმდა. იგონებდა კაროლინასთან ილორის ეკლესიის ეზოში გატარებულ ღამეს. გრძნობდა: თამარი კაროლინასადმი ეჭვიანობდა კვლავ.

თარაში მუხის გაშიშვლებულ ფესვზე ჩამოჯდა, მუხლზე დაეყრდნო იდაყვი, ხელისგულით ძლივს იმაგრებდა მქენჯნავი ფიქრებით დამძიმებულ თავს. და შესცქეროდა ნამორზე ჩამომჯდარი მტირალი ქალის სილუეტს.

მერმე წამოდგა. ტირილის მიზეზიც არ უკითხავს, ისე ჩამოიყვანა იგი ნამორიდან და იმავე ურმის შარას გაუდგნენ მდუმარენი. სადღაც ჭოტი იძახოდა და შორიდან, ძლიერ შორიდან ძაღლების რულმორეული ყეფა ისმოდა.

ასე გაიარეს ტყე და შარვაშიძიანთ ხილნარამდის მიაღწიეს. თამარს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ვიღაც მესამე მიჰყვებოდა მათ ტყეში კვალდაკვალ მზვერავი.

ხოლო შარვაშიძიანთ ჭიშკართან თარაში ჩურჩულით შეეკითხა თამარს ხელმეორედ:

„მაშ ტფილისში მიდიხართ 15 აგვისტოს შენ და არზაყან?“

„ვაპირებთ“.

თამარი შევიდა ღია ჭიშკარში, მერმე გამობრუნდა, „მისოუსტ“, — დაუძახა თარაშს დაბალი, დაბალი ხმით. თარაში შეკრთა და ახლოს მიეჭრა ქალს.

„იცი, მე შენ ძალზე გამაბრაზე, იმიტომ მოგექეცი ასე მკვახედ“.

„რად ამბობ მაგას, თამარ?“

„მე რომ გითხარი, ჩვენსას არ მოხვიდე-მეთქი, ეს ცუდად მომივიდა, მაგრამ შენ გამაბრაზე და იმიტომაც გითხარი. მე მგონია, ჩვენ ისევ მეგობრები დავრჩებით და შენც მოხვალ ჩვენსას, როგორც წინად მოდიოდი“...

თარაშმა იგრძნო: მის ხმაში რაღაც დიდი და უცნაური მღელვარება მჟღავნდებოდა, ძლიერი და თავშეკავებული მღელვარება. თამარი შესდგა. ხელის ჩანთა გახსნა.

„ჰო, მართლა, სულ დამავიწყდა, შენი ბლოკნოტი უპოვნია დაშას: იმ დღეს ძროხები დაგვეკარგა, ტყეში უპოვნია ეს წიგნაკი დაშას“.

თარაშმა ენის წვერი მოიკვნიტა. ხმის ამოუღებლად გამოართვა წიგნაკი.

„მშვიდობით“, — ეს უთხრა თამარმა და ხელი გამოუშვირა.

თარაშმა მოკრძალებით აკოცა გაწვდილ ხელს და თემშარის გაყოლებით მდგარ კოპიტების ლანდებში აირია მისი აჩრდილიც.

მეანკესენი

აგვისტოს 14-ს მთელი ღამე არ ეძინა არზაყანს.

ძროხა ზმუოდა ბოსელში. აივანზე მწოლარე არზაყან ყურს უგდებდა ბუნების უმცირესს ჩქამს. ქარი აშრიალებდა სიმინდის გამხმარ კლერტოებს. ხანდახან ისეთი გრძნობაც ებადებოდა არზაყანს, თითქოს ვიღაცა დევკაცი მოაპობდა სიმინდების ზღვას, მისწყდებოდა სიმინდების შრიალი, ახლა ალვის ხეს შეუჩნდებოდა ქარი.

ჟამგამოშვებით ისეთი ძლიერი პარპაში ისმოდა, თითქოს ხომალდები ატლაშუნებენო აფრებს. ისევ ზმუოდა ფარეხში ძროხა და ეს ხმა საშინელ ძრწოლას ჰგვრიდა არზაყანს. მოდგებოდა ისევ დუმილი გარშემო, ისევ დაიზმუვლებდა ძროხა, ისევ აპარპაშდებოდა ალვის ხე და ახლა გარეულ ბატების ფრთების ბარტყუნი აგონდებოდა არზაყანს.

უგუნებობა თან დაჰყვა დილაადრიან წამომდგარს.

ახალოხი წამოისხა, ქართულ ქალამნებში ფეხი გაჰყო. ეზო

გადაიარა, თხილნარში წამოჯდა მდინარის პირად.

მთლად დაშრეტილიყო წყალი, რადგან დიდი გვალვები დაატ-ყდა ოქუმს იმ ზაფხულში თავზე.

უსაშველო ხვატმა დახეთქა მიწა, სიმინდები გადარუჯა ჭალებ-ში, წისქვილები დაამუნჯა.

მოხუცები თავისებურად განმარტავდნენ ამ უბედურებას. აბა, რა ეგონათო ბოლშევიკებს. ეკლესიები დაკეტესო, ხუცები დაგ-ვიკრიჭესო, გრდემლის ქურუმნი გარეკეს, დურიპშის მუხა დაგ-ვიწვესო, ღმერთი გაარისხეს და მოწეულიაო კაცსა ზედა რისხვა უფლისა. ასე ამბობდნენ მოხუცები და ბობოლა გლეხები კვერს უკრავდნენ მოშაინურად.

თავი წამოჰყვეს ისევ ნახუცარებმა, ნადიაკვნარებმა, მონას-ტრებიდან გამორეკილმა ბერებმა და მონაზვნებმა, ისევ აზიმზიმ-დნენ მარჩიელები, შემლოცველები და გამომლოცველები.

სოფელი შიშის აგონიამ შეიპყრო. ცრუმორწმუნე გლეხობა გაინაბა, დაშინებული ყურს მიუგდებდა მეორედ მოსვლის, ან-ტექრისტეს, ეფუტის ამბებს. და ეს ყოველივე მოხდა კოლექტივის შემოღების კვირაძალში.

ცნობილია: ცრუმორწმუნე ადამიანი მომეტებულის ხალისით სწირავს ღვთაებას მსხვერპლს, როცა ნივთები ჭარბად გაუჩნდე-ბა, ან როცა მათ შენარჩუნებაში ეჭვი რამ მცირედი შეეპარება.

მთვარიანი ღამეები მოჰყვა გაჭიანურებულ ტაროსს. მთელი სოფლები აიყრებოდნენ, ასწლოვან მუხებს მიაშურებდნენ, ხანაც ილორში მიდიოდნენ, ზვარაკს უკლავდნენ ილორის წმინდა გი-ორგის.

130 წლის მოხუცი კაკაჩია კიუტი ასე ამბობდა: ვენაცვალე ილორის წმინდა გიორგის, ამდენი ცხვარი და ციკანი აროდეს შე-უწირავთო ჯერ (მე ეს ამბავი შევამოწმე ოჩამჩირის უპატრონო ბავშვთა საზოგადოების შემწეობით, მართლაც, იმ წელიწადს სამ

ათასზე მეტი ციკანი და ცხვარი შეუწირავთ ილორის წმინდა გიორგისათვის).

გაუგონარი ლეგენდები დათარეშობდნენ ხალხში: რომელიღაც დიდ ბოლშევიკს მეხი დასცაო წმინდა გიორგიმ ჰაეროპლანით ფრენის დროს ცაში. რომელიღაც სოფელში სამთავიანი ბავშვი უშვიაო სამოცი წლის დედაბერს. ამ ბავშვს მეორე დღესვე ენა აუდგამსო და ანტექრისტეს მოსვლა უქადაგნიაო.

ცეცხლში ნავთს ასხამდნენ ბობოლა გლეხები, ხელზე იხვევდნენ მარჩიელების, ნახუცარების, ნადიაკვნარების ჩურჩულს და მთელი სოფელი ამრეზილი შესცქეროდა ამის გამო არზაყან ზვამბაიას.

თავათაც გრძნობდა არზაყან, თუ როგორის სიძულვილით შეჰყურებდნენ მას წისქვილის კარზე და თემსაბჭოში მოგროვილი გლეხები. მის დანახვაზე ჩურჩულს ასტეხდნენ, მოხუცები სახეს ჯღანავდნენ, განზე აწიტებდნენ და მზერას არიდებდნენ...

სიყრმის მეგობრებიც კი დაემდურნენ არზაყანს, კაც ზვამბაიას ნათლულები, მოყვრები და ძმადშეფიცულნიც პირმოქუშულნი ხვდებოდნენ გზებზე. და ისეთი მხეცური სიძულვილით შეიძულა არზაყან ნახევარმა სოფელმა, თითქოს გვალვაც არზაყანს გამოეთხოვა ციდან და კოლექტივიზაციაც მის მიერ ყოფილიყო შემოღებული.

აღტყინდა, აზვავდა სოფელი.

ღამღამობით უშობელებს, დეკეულებს, მარჩენალ ძროხებს და მუშა ხარებს ჰკლავდნენ ბობოლები და ბობოლური გაუმაძღრობით შეექცეოდნენ. უზომოდ ლოთობდნენ და ღრეობდნენ, თითქოს მართლაც ანტექრისტეს მოსვლის ჟამი მოწეულაო. დღისით ჭორაობდნენ, ჩურჩულებდნენ, ილანძღებოდნენ. კამეჩებს, მოზვრებს და საუღლე ხარებს ეთხოვებოდნენ, თვალებს

უკოცნიდნენ და ღამღამობით განუკითხავად ხოცავდნენ პირუტყვს.

წაეკიდნენ ბობოლები უმწეო, ღარიბ გლეხკაცებს (ოქუმი შეძლებული სოფელია, ამიტომაც ღარიბები ცოტანი იყვნენ საერთოდ) და ბობოლებმა ზავი შეჰკრეს ურთიერთ შორის.

კიუტებს ალანიების სისხლი ემართათ, ალანიებმა კიუტები დაჰპატიჟეს. სამი საუღლე ხარი დაუკლეს და იმ ღამეს კიუტების ქალებმა ალანიების ვაჟები იშვილეს, ძუძუებზე კბილი დაადგმევინეს. ბოლოს კიუტები და ალანიები ძმად გაეფიცნენ ურთიერთს. ეს გვიჩიები და ხვიჩიები ათი წლის განმავლობაში ებრძოდნენ ერთმანეთს ყანების მიჯნების გამო, და რა გაიგეს, მალე ყანებსაც წაგვართმევენ და მიჯნებსაცო, ხვიჩიები და გვიჩიებიც შერიგდნენ და ცამეტი ხარი დაჰკლეს სამოცდაცამეტი მოსისხარის შერიგებისას.

შვიდი ძმა ტარბა მეთაურობდა ოქუმელ ბობოლებს.

გვანჯ აფაქიძე იშვიათად ჩამოდიოდა ოქუმში, ამიტომაც ზუგდიდიდან იძლეოდა დარიგებებს. ის ატყობინებდა მათ გაზეთების ამბებს და ჭორებს.

უფროსს, ლომკაცია ტარბას, დაუქადნია ოქუმში: არზაყან ზვამბაიას მოვკლავ და კოლექტივი აგვცდებაო. დოღში აჯობა არზაყანმა ტარბებს, ესეც ზედ დაერთო სიძულვილს.

რამდენიმე ღარიბი გლეხი მიიმხრო არზაყანმა, ათიოდე კომკავშირელიც, მათთან ერთად აპირებდა პირველი კოლექტივის დაარსებას. მალე დააფრთხეს ღარიბი გლეხები.

„კოთხო ფქვილსაც არ გვასესხებენ ბობოლები და კოლექტივის მოსვლამდის შიმშილისაგან სული ამოგვძვრებაო“. ასე იმართლეს თავი ცავებმა, უღარიბესმა გლეხებმა.

ილორის წმინდა გიორგის ადიდებდნენ ბობოლები, ბატონ-

ყმობის მობრუნებას ნატრობდნენ, აფაქიძეების, დადიანების, ემხვარების ქვრივებს უკითხავად უზიდავდნენ სარჩოს. ნიკოლოზ მეორის დავსილ მზე ფიცულობდნენ და ის დრო ენატრებოდათ, როცა რომანოვების ჩაფარი მათრახით უმასპინძლდებოდა ხვიჩიებსა და გვიჩიებს, ალანიებსა და მალანიებს, ზვამბაიებსა და ტარბებს.

გასულ შაბათს ჩალმაზი ეწვია არზაყანს.

კაც ზვამბაია ამრეზილი შეეგება ჩალმაზს. სტუმარი მაინც სტუმარია და ნაძალადევი თავაზიანობა მაინც არ დაჰკლებია სუფრას. მოხუცების თანდასწრებით პოლიტიკის გამო არაფერი დასცდენიათ პირიდან არზაყანს და ჩალმაზს.

ნასადილევს არზაყანმა არაბია შეკაზმა და გალისკენ გააცილა მეგობარი.

ეს უნდოდა არზაყანს: გზადაგზა მაინც ელაპარაკნათ მიმდინარე პოლიტიკისათვის.

თავათ ჩალმაზიც გუნებაზე ვერ იდგა. ჩალმაზ არ იზიარებდა მთლიანი კოლექტივის ძალით შემოღებას, მაგრამ სდუმდა. არენბა არლანს უკვე გაეტარებინა თავის რაიონში იგი. და ტფილისიდანაც ასეთი დირექტივები მოსდიოდა ჩალმაზს.

არენბა არლან გაუგონარ ინტრიგებს ეწეოდა მის წინააღმდეგ.

ჩალმაზ მამაცი ვაჟი იყო, პანიკა ადვილად არ შეიპყრობდა მას, მაგრამ არზაყანმა მაინც შეატყო, ჩალმაზს უთუოდ მოხსნიდნენ მალე. არენბა არლანს უპირებენო ჩალმაზის მაგივრად დანიშვნას. ცხადია, ამის შემდეგ არზაყანს უფრო იოლად გაუსწორდებოდა არენბა არლან.

„აბა, რასა ჰგავს ეს ამბავი, — სჩივოდა ჩალმაზ, — ქათმებიც კი შეაყვანინა არლანმა კოლექტივში ხალხს. მე არა მგონია, ეს იყოს პარტიის პოლიტიკა. ზარები არ დასტოვეს მთელს აფხაზეთში და ეს საქმე ჰგონია არლანს.

საერთოდ დროა, მარტო ძველი დამსახურებით ყოყოჩობას ბოლო მოეღოს.

წარსულში ღვაწლი მიგიძღვის? დიდი მადლობა მოგვიხსენებია ამისათვის. მაგრამ შენ ეს მითხარი, დღეს რასა ჰქმნი? ამ პარაზიტებმა წაიღეს გული.

აფაქიძის ქალი აკეთებსო პოლიტიკას, გვანჯ აფაქიძე და მისი ქალი. მთელი რაიონი აღშფოთებულია ამ ამბების გამო. გვანჯ აკეთებს საქმეებს, გვანჯს ეთათბირება არლან. სამარცხვინო არაა ჩვენს დროში, ნათავადარები რომ ურევდნენ თავის ბინძურ ხელს გამარჯვებული რევოლიუციის საქმეში?!“

„ნუთუ ასე ძნელია ამ კაცის დაძვრა“. ეკითხება არზაყან.

„მე ვერიდები ჯერჯერობით აქტიურად შებმას, ერთი სინჯოს და მომხსნან, ტფილისში ჩავალ და მაშინ მიყუროს. მაშინ უთუოდ გავხსნი მის ბნელ საქმეებს“.

„ასე ამბობენ, ცენტრში უჭერენ მხარს არენბა არლანს“.

შენიშნა არზაყანმა და არაბიას გაუჯავრდა, რადგან არაბიას წინა ფეხი გაუცურდა ქვაზე.

„ვინაც უნდა, მან დაუჭიროს მხარი, სტალინთან რომ დამჭირდეს ფეხით მისვლა, მის ბნელ ამბებს გამოვიტან სააშკარაოზედ“.

მტკიცედ წარმოსთქვა ჩალმაზმა, მათრახი გადაუჭირა თავის ცხენს, რადგან უკვე მზე შემდგარიყო მახლობელ თხემზე.

აქ დაემშვიდობნენ მეგობრები ურთიერთს.

„თუ მომხსნეს, ტფილისში შევხვდებით“. ეს უთხრა ჩალმაზმა და ხელი მაგრად მოუჭირა არზაყანს ხელზე.

* * *

ღამდებოდა. ზედ შარაზე მოსული მთის ქიმი შემუქდა და ნისლები დაბანაკდნენ შორეულ ველებზე. არზაყან ფიქრებში გარ-

თული იჯდა მაღალტახტიან ოდიშურ უნაგირზე. არაბია ფრუტუ-ნით მოსდევდა შარას. გზის პირად დახერგილ ქვის ყორეს აკვირ-დებოდა და ცქმუტავდა ჟამგამოშვებით.

კოხორას ტყეს გაუსწორდა არზაყან და აქ სავსებით მოულოდ-ნელად გავარდა თოფი. მხარმარჯვნით მდებარე ტყიდან შემოეს-მა არზაყანს სროლა.

არაბია დაფრთხა, თავ-კისერი წაართვა მხედარს და მთელი ძალღონით მოუსვა თემშარაზე.

ერთი, ორი, სამი, კიდევ და კიდევ, კიდევ და კიდევ მოესმა არ-ზაყანს ბერდანის ხმა, ცხენს ვერ დაუჭირა თავ-კისერი, მაგრამ მაინც მაუზერზე გაისვა ხელი და მოემზადა. მაუზერის ამოღება ძლივს მოასწრო და ახლა მხარმარცხნიდან ესროლა ვიღაცამ ვინტოვკა ცხენოსანს. უსაზმნოდ გაისროლა მიმქროლავმა მხე-დარმა მაუზერი და მიუშვა არაბია მთელი სისწრაფით. თქარათ-ქურზე მიხვდა არზაყანი: მდევრები დაუჭედავ ცხენებზე ისხდნენ.

შემდგარიყო? მოშიშვლებულ შარაზე უაზროდ ეჩვენა თოფია-ნებთან შებმა. ქუსლი ჰკრა მაშინ არაბიას. ფრთა შეისხაო თით-ქოს, ისე გაფრინდა ცხენი. რიალებდნენ მის თვალში ტელეგრა-ფის სვეტები. მიჰქროდა არაბია კუპრისფერ ღამეში.

ისევ შემოესმა ვინტოვკის სროლა, კიდევ მხარმარცხნიდან მოდიოდა ტყვია და ერთბაშად კიდევ შემოესმა ზედიზედ ბერდა-ნის გრიალი, შედრკა არაბია და აისვეტა უკანა ფეხებზე. მოუდრი-კა კისერი არზაყანმა ცხენს და გზის სატკეპნი მანქანა შეიცნო ბნელში. დაქვეითდა სწრაფად, მხარმარცხნიდან არაბია ამოიყე-ნა, მხარმარჯვნიდან მანქანა მოისაფრა. ერთხელ კიდევ გაისრო-ლა მაუზერი. ახლა იმათ მოუხშირეს, ვინც ბერდანებს ესროდნენ არზაყანს.

იდგა თუჯის ბეგემოტი შუაგულ თემშარაზე. ზრიალებდა,

ჟღრიალებდა მანქანა. ტყვია წივოდა, ზუზუნებდა ირგვლივ. უფრო და უფრო ხელდებოდა არაბია. არზაყანს ცალი ხელით არაბია ეჭირა, ცალითაც ჟამგამოშვებით მაუზერს ისროდა.

უფრო და უფრო გაძლიერდა სროლა. ორივე მხრიდან უშენდნენ არზაყანს. ბარე ცხრა ტყვია გაუშვა არზაყანმა.

შვიდიოდე ვაზნა შერჩენოდა კიდევ. მოკლედ მიაბა მანქანის სახელურზე არაბია და თავათ უზარმაზარ ბორბლებს შორის შეძვრა. მიწაზე განრთხმული იწვა არზაყან. ახლა ერთადერთი საზრუნავი ეს იყო: არაბიას არ მოხვედროდა ტყვია. მხარმარცხნიდან მსროლელი დადუმდა, სჩანდა, ვაზნები შემოლეოდა.

მხარმარჯვნიდან შემტევნი უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ საფარს. მერეხსავით მოდიოდა ბერდანის ტყვია. სდუმდა არზაყანის შემართული მაუზერი.

აბა, აქ მოდით, თქვე ლაჩრებო, გული თუ გერჩით, ფიქრობდა არზაყან. გადაწყვეტილი ჰქონდა: ექვსი მათთვის მიეხალა პირში, ხოლო უკანასკნელი თავისთვის შემოენახა.

ერთბაშად ხედავს არზაყან: სამი ლანდი დაქვეითდა თოფის სასროლზე. ცხენები ჯაგნარში გადაიყვანეს თემშარის მხარმარცხნით.

„ცხენს არ ესროლო, ბიჭო“, — დასცდა რომელიღაც მათგანს. ცხენს არ ესროლოვო? — გაიმეორა არზაყანმა ხმამაღალი ფიქრით ჯერ ეგონა: სმენა ატყუებდა. მაგრამ არა, გარკვეულად გაიგონა ეს. ესღა ახარებდა არზაყანს.

უცებ სამნივე გაწვნენ თემშარაზე. გაწვნენ და დაიწყეს სროლა. არზაყანი სდუმდა თავის საფარში. ისევ წამოდგნენ წელში მოკაკვულნი. გამორბოდნენ, ისევ წვებოდნენ გზაზე და ისევ ისროდნენ გაავებულნი. მანქანამ თითქოს ენა აიდგაო, ჟღრიალებდა თუჯის ბეგემოტი.

ფრთხებოდა არაბია და ყალხზე დგებოდა. ისევ სდუმდა არზაყანი, შემართული მაუზერი ეჭირა ხელში.

ერთბაშად სროლა შესწყვიტეს სამნივემ, თვალიდან დაეკარგა თავდამსხმელნი არზაყანს. უცებ გაიხედა და სამი ლანდი მოემართება უშიშრად მანქანისკენ.

„ჩაძაღლდა, როგორც სჩანს“, — ამბობდა შუაში მომავალი ახმახი აფხაზურად.

„ეგების ტყვია გამოელია და მიტომაც დადუმდა“.

მიუგო მეორემ და სწორედ ამ წუთში შუათანას ესროლა არზაყანმა, სწორედ იმას, ვინც ამბობდა „ჩაძაღლდაო“.

მუცელზე იტაცა ახმახმა ხელი და შუაგულ შარაზე წამოიჩოქა. მაგრამ ვიდრე არზაყანი მანქანიდან გამოსვლას მოასწრებდა, ამხანაგებმა გაიტაცეს იგი ჯაგნარში.

არზაყან საფარიდან გამოვიდა, კიდევ ერთხელ გაისროლა ჯაგნარისაკენ, მაგრამ სრული დუმილი შეიცნო ირგვლივ. შემოტრიალდა და არაბიას მოახტა მყისვე.

* * *

ეს მოხდა გასულ შაბათს. არზაყანს შინაც არ გაუმხელია რა. მეორე დღეს მაინც მთელმა ოქუმმა გაიგო ეს ამბავი.

კაც ზვამბაიას მოეწონა იდუმალ, რომ მისმა ვაჟმა ასეთი უბადლო გმირობა გამოიჩინა, მაინც ამრეზილი იყო შვილზე. ამრეზილი იყო, რადგან იცოდა: არზაყანი პირველი შევიდოდა კოლექტივში. და მერე? მერმე სახლ-კარის და მამულის გაყოფის საკითხიც წამოჰყოფდა თავს. და მერმე „ზღვასავით ოჯახი“ დაენგრეოდა კაც ზვამბაიას.

არზაყან დიდხანს ამზადებდა ნიადაგს. ურჩევდა მამას: „ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო“.

თავდასხმის მეორე დღეს, სადილობისას შელაპარაკდნენ მამა-შვილი. თავის სიცოცხლეში ეს პირველად სიტყვა შეუბრუნა არზაყანმა მამას. სიტყვა შემიბრუნაო? აზვავდა მამა, მთელი ჭურჭელი გადმოყარა სუფრიდან. მერმე ფეხი ჰკრა ტაბაკს და წაექცია. ტაბაკის კიდე არზაყანს დაეცა ფეხზე, მაგრამ „აუც“ არ დაუძახნია, ისე მოიკვნიტა ტუჩი, ადგა და გარეთ გავიდა გაბრაზებული.

ამ დუმილმა უარესად გააცოფა კაც. უსაგნო ბრაზი ცოლს გადაანთხია. ხათუნას აროდეს შეუბრუნებია თავის ქმრისათვის სიტყვა. სახელის მისის ხსენებასაც ვერ ბედავდა.

„დამშვიდდი, ბატონო“, — ამბობდა ცრემლმორეული ხათუნა, ტაბაკიდან გადმოყრილ ჯამებს ალაგებდა ისევ ტაბაკზე.

„ორივენი გადით ჩემი სახლიდან, წადით, კოლექტივის ძროხები მწყემსეთ, იცოდე, ნემსსაც არ გაგატანთ“, — ყვიროდა კაც ზვამბაია და მუშტით აზანზარებდა ტაბაკს.

მერმე ის იყო, მეორე დღეს დედას გაანდო არზაყანმა, ტფილისს მივდივარო სასწავლებლად. არც დედას მოსწონდა კოლექტივში შესვლა, მაგრამ მაინც არზაყანის მხარეზე იყო დედა.

შენ გადაურჩი სოფელს და ყველაფერი მეწყერს წაუღიაო, სახლიცა და კარიც, მიწაცა და მამულიც. ოღონდ შენი თავი შემარჩინოსო ოლორის წმ. გიორგიმ, კამეჩები, ძროხები და ხარები თუნდაც მამალ მგელს შეუჭამიაო.

და იმ ღამეს არზაყან ხედავდა: ფეხაკრეფით ადგა ლოგინიდან დედა, ხატის წინ დაჩოქილი სტიროდა.

„ყოვლად შემძლეო, წმინდაო გიორგი, შენ დაიფარე ჩემი არზაყან ტყვიისაგან, ავი ენისაგან, ბოროტი თვალისა და ბოროტი თქმისაგან. შვიდი შვილი წამართო სიკვდილმა, წმინდაო გიორგი, ნუ წამართმევ უფროს ვაჟს, შენი სახელის და მადლის ჭირიმე“.

მერმე დიდხანს ლიტანიობდა დედა, დგებოდა, პირჯვარს იწერდა, მიწამდის მიჰქონდა შუბლი და ისევ ევედრებოდა მდუღარე ცრემლებით ღვთაებას.

„ყოვლად წმინდაო დედაო, ღვთისმშობელო მარიამ, შენ თვითონ დედა ხარ და იცი, თუ რა მწარეა შვილის დაკარგვა; ღვთისმშობელო მარიამ, ჩემი არზაყან ჯერ ბავშვია, მიუტევე, თუ რამე გაწყენიოს, ყოველივე შეუნდე ჩემს არზაყანს, ღვთისმშობელო მარიამ“.

* * *

კაც ზვამბაიას ერთის მხრივ გაუხარდა კიდევაც, როცა გაიგო, არზაყან ტფილისს აპირებს წასვლას.

გულის სიღრმეში წყენა რიალებდა: ალბათ დაშინდა ვაჟკაცი და იმიტომ გადაწყვიტაო ტფილისს წასვლა.

არზაყანს ასე უნდაო, — ეუბნება ხათუნა ქმარს, — ეშბას ცხენი ინათხოვროსო და მარქაფად წაიყვანოსო ზუგდიდს. ამხანაგი ვინმე უცდისო იქიდან და ერთად წავლენო ცხენით სენაკამდის.

მაჩაგვა ეშბა ცხენს როგორ დაიკავებს, მაგრამ მარქაფად რად მიჰყავს, ქელეში წაიყვანოსო, — ღრინავდა მოხუცი.

არზაყან რატომღაც გაჯიქდა, ქელეშის წაყვანა არ ინდომა. კაც ზვამბაია ნებას დაჰყვა.

ოღონდ ამ კოლექტივის დროს წაშავდესო აქედან და ეშბას ცხენი ზურგზე შეისვასო თუნდაც, ფიქრობდა თავის გულში კაც.

დედას საწინააღმდეგო რა ექნებოდა, მარქაფად წაეყვანა ეშბას ცხენი არზაყანს, ხათუნას ეს არ მოსწონდა მხოლოდ: ორშაბათ დღეს რომ მიდიოდა არზაყან სამგზავროდ.

წინა დღით არზაყანზე ადრე წამომდგარიყო დედა. შუაცეცხლთან იჯდა, აკვაკვარს უცხობდა არზაყანს საგზლად.

„შენ შემოგევლოს ჩემი სიცოცხლე, ნან, ცუდი სიზმრები მქონდა წუხელ, გუშინღამ და გუშინღამის წინა ღამესაც, ნან! ორშაბათ დღეს ნუ წახვალ ზუგდიდში, ნან, ქვეყანა არეულია და მთელი სოფელი მტრად მოგეკიდა, ნან, შენ შემოგევლოს შენი ხათუნა, ნან, ცუდი სიზმრები მქონდა წუხელ, გუშინღამ, გუშინღამის წინა ღამესაც, ნან“, — კვნესოდა დედა და მასრებსავით წვრილი მკლავებით ზელავდა აკვაკვარის ცომს.

არზაყანს გული უკვდებოდა, ასეთ მცირე სურვილსაც რომ ვერ უსრულებდა დედას, რაკი თამარისათვის სიტყვა ჰქონდა მიცემული, 15 აგვისტოს მოვიყვანო ცხენს. თავათაც კერის პირას იჯდა, მათრახის ენას აკერებდა სადგისით. უცნაურად ღმეჭავდა სახეს სადგისის გაყრისას, გატრუნული ყურს უგდებდა დედის ჩივილს.

„რა უშავს, რომ ხვალ ორშაბათია, ნან, სადღაა ახლა ორშაბათი, ჩვენ, ბოლშევიკებმა, ორშაბათიც მოვსპეთ, შაბათიცა და კვირაც, ჩვენ ყოველი დღე და ყოველი კაცი გავათანასწორეთ, ნან?“

„თქვენ ორშაბათიც მოსპეთ, ნან, შაბათიცა და კვირაც, ნან, მაგრამ ჩვენ ცუდად მინიშნებული გვაქვს ორშაბათი, დარჩი ზეგამდის, შენ შემოგევლოს შენი ხათუნა, ნან“.

ემუდარებოდა დედა, ნაოჭები საოცრად ეკეცებოდა სახეზე. ორიოდე მოლეული კბილი შერჩენოდა ზემო ყბაზე ხათუნას, შესცქეროდა არზაყან გულარეული, ასე ეგონა, შემომტირისო თავათ სიბერე.

ამის შემდეგ ერიდებოდა დედასთან განმარტოებას. ორშაბათიც გათენდა, 14 აგვისტო, იჯდა მდინარის პირას და შესცქეროდა მოლიკლიკე წყალს. თვალი უშტერდებოდა ფიქრებში წასულს, უამრავი ლიფსიტები დარიალობდნენ მის წინაშე მორევში, წყლის ზედაპირზე მოციგლიგე მუმლს ეთამაშებოდნენ.

ესმოდა არზაყანს უმცირესი ტლაშუნიც ზედაპირზე ამომხტარ თევზისაგან გაღებული და შემდეგ თვალს ადევნებდა არზაყან,

თუ როგორ გარბოდნენ ნაპირისაკენ პაწია რგოლები რიალით, სრიალით.. მზე უკვე ამოსულიყო, მაგრამ, იფნების ხშირი ფურცლების წყალობით, ძლივსღა აღწევდა მდინარემდის სხივი. აქა-იქ ეტყობოდა ტბორებს სხივების ხასხასა ტალები და სწორედ ამ ტალებს ქვეშ თავს იყრიდნენ წვრილმანი თევზები.

უჩინარ სიხარულს ჰგვრიდა არზაყანს, თუ როგორის უხმო ზეიმით ეგებებოდნენ მზეს წყლის ქვეშ ბინადარი მილიონები.

ჟამიდან ჟამზე ამ ლიფსიტების ლეგიონებს რომელიმე მოზრდილი წვერა გამოუვლიდა. ქედმაღლურად და სერიოზულად დასცურავდნენ ისინი ლიფსიტებს შორის და ცახცახებდნენ სუსტი ლიფსიტები დინჯად მომცურავ უფროსების წინაშე.

და ბუნებაში განცხადებულმა ამბავმა დააფიქრა არზაყან ისევ. უსამართლობა ბუნებას ჰქონიაო წესად, გაუელვა ამის მაცქერალს გულში.

ახლა კიბოების დარანებისაკენ იხედება არზაყან და თავისი ბავშვობა აგონდება. და ასე ჰგონია, ეს გუშინ თევზაობდა არზაყან ზვამბაია ამ ნაპირებთან, ხელს უყოფდა კიბოების მრუმე დარანებს. და ამავე წუთში ფეხშიშველა ძაბული დაუდგა თვალწინ.

ე მანდ რიყეზე ფერად კენჭებს ეძებდნენ არზაყან და ძაბული, იმ ბეჩოებში ხელს უყოფდნენ, კუნჭულა ბადით თევზაობდნენ შუადღეს, „ცოლქმრობიას“ თამაშობდნენ არზაყან და ძაბული. ძაბულიმ თამარი მოაგონა და ფეხზე წამოდგა მყისვე.

მზე თავზე წამოსდგომოდა გადაღმელ ალვებს. რიყეზე გარეულმა იხვებმა გადაიქროლეს მახლობელ ჭაობებიდან. თეთრი ყანჩა წამოდგა და ნაწისქვილარისაკენ გაეშურა ყიავყიავით.

მესკია ჩიტები მოუსვენრად როკავდნენ რიყეზე და ბეღურები იფნარში ფუსფუსებდნენ სწორედ მის თავზე.

ერთბაშად გულის წამღები წრიპინი მოისმა იფნის კენწეროდან. ქშუილით დაეშვა ორი ბეღურა რიყეზე. ჯერ იყო და ერთად

მოფრინავდნენ ჰაერში, ისე მჭიდროდ ეკვროდნენ ურთიერთს, თითქოს ვიღაცას გადაუბამსო ძაფით; როცა კი წყალს მიუახლოვდნენ, დედალი ხელიდან გაუსხლტა მამალს, ზედ წყლის პირად დაასკდა თეთრ ქვას.

მამალმა უცნაური მალაყა გააკეთა ჰაერში და ელვის უსწრაფესად ზედ დააცხრა, დაჰკორტნა თეთრ ქვაზე დამჯდარი დედალი. ისევ მოისმა წრიპინი, გამარჯვებული მამალი მოეშვა დაქოჩრილ დედალს.

ახლა სულ ახლოს ხედავდა არზაყან, თუ როგორ ჩამოვიდა დედალი თეთრ ქვიდან, გაისწორა გაბურძგვნილი ფრთები, დარეტიანებული მივიდა წყალთან და მოსვა, ბუნტყლი გაუცვივდა მხრიდან და ისიც დაინახა არზაყანმა, თუ როგორ წაიღო ბეღურის ბუნტყლი იმ წუთშივე წყალმა. ღიმი მოჰგვარა ამ ამბავმა არზაყანს. ბუნებას საქციელი დაუწუნა თავის გუნებაში, რად გააჩინაო დედალი ასე უმწეო ბუნებამ? რად წაართვა მას ძალა მამლის ჭირვეულობის მოსაგერიებელი?

„რა ვუყოთ, რომ ბუნების წესია, ჩვენი ვალია, გავუსწოროთ ბუნებას“.

ეს გაიფიქრა არზაყანმა და ვიღაცამ ხელი მოუფათურა კისერზე. აიხედა: დედა მოსდგომოდა გვერდს.

საუზმე მზად არისო, ნან.

დედა ემუდარებოდა, უკანასკნელ დღეს მამასთან ესაუზმნა არზაყანს.

გეცოდებოდესო მოხუცი მამაც. იმ თავდასხმის შემდეგ თავის ჯანზე ვეღარ არისო მამა, ღამე ძილი აღარა აქვსო ბრაზისგან. გემდურის, მაგრამ მაინც შენსკენ უჭირავსო თვალი.

ჩემს ბიჭს ბეწვი რომ გავარდესო, ხვიჩიებს და გვიჩიებს, მალაზონიებს და ტარბებს სულ ერთ დღეში გადავწვავო.

კაც ზვამბაია ვეღარ მალავდა სიხარულს. ტფილისი საერთოდ

ძლიერ სძაგდა კაცს.

გაზეთები და წიგნები იქიდან მოდისო, სოციალისტები, აჯანყება და ტიფიც იქ იწყება პირველად.

ტფილისში არიანო უღმერთოები და „საკატორღო ხალხი“, სოციალისტები და „ქვეყნის დამქცევები“, „ყველა, ვინაც ძველი, ტკბილი დროის მყუდროება დაარღვია, მამა და შვილი ურთიერთს „გადაჰკიდა“, ვინც გაზრდილი მამამძუძეს წაჰკიდა, ვინც ქალს სადავე დაუგრძელა და ვინაც ოჯახის ფუძე შეარყია სამუდამჟამოდ.

ასე სძაგდა ტფილისი კაც ზვამბაიას, მაგრამ ახლა უხაროდა, ტფილისს რომ მიდიოდა არზაყან.

საუზმეზე ორიოდე ჭიქა არაყი ძალით დაალევინა კაც ზვამბაიამ არზაყანს. არზაყან ჩუმად სჭამდა აკვაკვარს, დედას შესცქეროდა თვალებში. ხანაც პატარებს მიაწვდიდა კვერს, ხანაც — ალერსიან სიტყვას.

ნასაუზმევს ადგა, უხმოდ გავიდა ეზოში. დარეტიანებულსავით დადიოდა არზაყან. ვერ გაეგო: არყისგან თუ მწუხარებისაგან? ისეთი გრძნობა ჰქონდა არზაყანს, თითქოს შორი, ძლიერ შორი გზა ჰქონდა წინ. თითქოს სამუდამოდ ეთხოვებოდა ამ მშვენიერ მაგნოლიის ხეს, სახლის წინ მდგარს, ამ პარპაშა ალვის ხეს, ამ მუხებს, ამ ჭადრებს, ამ ცაცხვებს, იმ კაკალს, ალუჩას და ვაშლის ხეს, იმ ქოჩორგაბურძგვნილ ლეღვის ხეებს, თავის ბავშვობის პირუთვნელ მოწმეებს.

თარაშ ემხვარ გაახსენდა იმ ლეღვის ხეების შეხედვისას. ისევ თამარი დაუდგა თვალწინ და გონების თვალი ძაბულის მისწვდა. თამარი ტფილისში წამოვიდოდა მასთან, ტფილისში ყოველივე გადასწყდებოდა მისი ფიქრით, და შემდეგ ამისა ისევ შეეგუებოდა მისი გული თარაშ ემხვარს, ან რა ბრალი აქვს, კაცმა რომ

თქვას, თარაშ ემხვარს. მას არასოდეს ცუდი სიტყვაც არ უკადრებია არზაყანისთვის. მუდამ ფაქიზად ექცეოდა თავის გამზრდელის შვილს.

ახლა სათიბზე მოფენილი ხარ-კამეჩი მოვარდა არზაყანს თვალში.

ვინ იცის, ეგებ მამაც ისე გადაირიოს, სხვა ბობოლებსავით ყელი გამოსჭრას ამ მშვენიერ, გამრჯელ ცხოველებს! არზაყანის ხელში გამოვლილი აქვთ მოზვრობა წაბლას, ლომას და ღვინიეს. და ის შავდრუნჩიანი მოზვერი, ქვიშორა, მთლად არზაყანის ხელითაა გაზრდილი, და სადღაც, გულის უაღრესს კუნჭულში მან შეამჩნია მესაკუთრის სიყვარული საქონლისადმი.

არა, ინუგეშებს არზაყან თავს, ეს მესაკუთრის სიყვარული როდია. ეს ცხოველისადმი სიყვარულია და არზაყანს მუდამ უყვარდა ცხოველები. დღეს ოქუმიდან მიდის არზაყან და ჯვარი სწერია ამ ხარ-კამეჩს, იმ ცაცხვებს, იმ კაკლებს, იმ ლეღვებს, ამ ეზოს და არაბია?

არაბია უკვე სვეტის კაჩხაზე მიუბამს მამას და სამურველით წმენდს კიდევაც.

ეს კი არასოდეს არ უნახავს არზაყანს, მამა რომ უკაზმავდეს თავის ვაჟს ცხენს.

ყოველივე ესმოდა არზაყანს, მაგრამ ის ვერ წარმოედგინა, თუ როგორ გაეყრებოდა იგი თავის არაბიას. და ეს ფიქრი პირდაპირ ფიზიკურ ტკივილს ჰგვრიდა მას სადღაც მუცლის არეში. ეს არ იყო ცალიერი წარმოდგენა, არამედ რაღაც საოცარი და ხელშესახები ფიზიკური ტკივილი.

წამსვე ინუგეშა თავი, რომ შესაძლო იყო, ინსტიტუტში ვერ მოწყობილიყო არზაყან, მაშინ იგი პოლიტსამმართველოს უწყებაში განაგრძობდა მუშაობას და იქ ხომ უცილოდ დასჭირდებოდა მას ცხენი.

არავინ და არაფერი ისე არ ტკენდა მას გულს, როგორც დედისა და არაბიას დატოვება ტირანი მამის ხელში.

* * *

ეზოდან შუკაში გასულს ეს აეკვიატა არზაყანს: თავს იკავებდა დედა, მაგრამ ნიკაპთან ესკვნებოდა ცრემლები და ისევ წარმოუდგა არზაყანს ორი მილეული კბილი და ასე ეგონა, თვით სიბერე შემომტირისო.

* * *

არაბია გზადაგზა ოჩნობდა. იგი მეფური ბუნების ცხენი იყო, ჩვეული არ იყო სხვა ცხენებთან ჯუფთად სიარულს. წესი ჰქონდა არაბიას ასეთი: ყოველი ცხენისთვის შორს უნდა გაესწრო უთუოდ. ეშბას ცხენიც გაჭირვეულდა. წარამარა საკბენად მიიწევდა არაბიასკენ. არზაყან გააგულისეს ცხენებმა, სასტიკად დატუქსა არაბია და ეშბას ცხენსაც გადაუჭირა მათრახი.

ახედა ცას. მზის სასწორი დასავლეთისკენ გადახრილიყო. აუჩქარა ცხენებს, ნაბიჯიდან მგლურზე გადაიყვანა.

ფიქრს მიეცა ისევ არზაყან, ხვალ დილით თამარს უნდა შეხვდეს იგი. ეს უნდა ჯერ წარმოიდგინოს, როგორ შემოეგებება თამარი არზაყანს. და ეს ისეთ დიდ ბედნიერებად მიაჩნდა, არც კი სჯერა, რომ ეს შესაძლებელია. სულ მკრთალად, მკრთალად წარმოუდგა თვალწინ თამარი. აღნაგობა, მიხრა-მოხრა და საქციელი. მაგრამ სახის გამომეტყველება ვერ აღადგინა.

მერმე იმასაც ხედავს, თუ როგორ წავლენ ისინი ზუგდიდიდან ცხენით. ილორში მგზავრობა მოაგონდა, არლანის ქორწილი. ამ ამბებმა ის მომენტი გაახსენა, როცა ილორის ჯვარმოხსნილ გუმბათს შეხედა თამარმა და თავისივე ჯვარის დაკარგვა შეიცნო. თავათაც მოაგონდა არზაყანს თამარის ჯვარი და ფრენჩის ჯიბეზე

გაივლო ხელი. ჯვარი არ დავიწყებია არზაყანს. უეჭველია, ტფილისში ჩასვლის უმალვე დაუბრუნებს იგი თამარს თავის ჯვარს: ტფილისში სულ სხვა სიო ჰქრის, თამარი იქ თმასაც შეიკრიჭავს და ამ ჯვარს მუზეუმს მიჰყიდის ან აჩუქებს.

ისევ გაჭირვეულდა ეშბას ცხენი, არაბიამ განზე გაიწია და ლამის არ იყო, თან გადაიყოლა მხედარი. ისევ დატუქსა არზაყანმა ცხენები და შეწყვეტილ ფიქრს გადაანასკვა სხვა ფიქრი.

...და ტფილისი წარმოდგენილი აქვს არზაყანს, როგორც განათლებისა და რევოლიუციის ვეება კოცონი. ხვალისზეგ ტფილისში იქნებიან თამარი და არზაყან. და უკვე მოესმის მის წარმოდგენას ტფილისის ქარხნების ზუილი, ავტოების ზუზუნი, ბღავილი და ტრამვაების ნერვიული რეკვა.

ღამე წამოეწია მგზავრს. გაშავდნენ მთების მწვერვალები, ნისლებმა შებურვეს სათანჯოს ციხე, ბინდი დაეშვა ენგურის ჭალებზე და დაბნელდნენ გარშემო გზები.

სდუმდნენ გზისპირა ტყეები, მხოლოდ ისმოდა შორეული ურმების ჭრიალი. მაგრად ეჭირა არზაყანს სადავეები და მწყობრად მიჰყავდა ორივე ცხენი, ორიოდე კილომეტრი უკლდა ენგურამდის არზაყანს...

და დაბნელდნენ გარშემო გზები.

* * *

...და სწორედ ამ წუთში ორი ლანდი იჯდა ენგურის განშტოების ხიდის ყურში.

ტანმორჩილი ლანდი უქუდო იყო, ხოლო მეორეს — ზორბას, თეთრი ჩაბალახი გადაეგდო მხრებზე.

ჩაბალახიანი მოუსვენრად წრიალებდა... დგებოდა, ჯდებოდა და ისევ დგებოდა... ხელს იჩრდილავდა თვალზე, დასავლეთისაკენ გასცქეროდა გზას.

„ჯოტო, ბიჭო, ნამდვილად იცი, რომ დღეს გამოვიდოდა არზაყან ოქუმიდან?“

„ნამდვილად, დედის სულს გეფიცები, ძია გვანჯ. ჩემი დაია მივგზავნე დღეს ნასადილევს, ცხენს უწმენდავდა კაც ზვამბაია სამურველით“.

„ჩვენ სულ დაგვავიწყდა, ბიძი, დღეს რომ ორშაბათი დღეა, რა შვილია ის სულკატიანი კაც, ორშაბათს სამგზავროდ გაუშვებდა არზაყანს?“, ორივენი სდუმდნენ მცირე ხანს. ჯოტომ ანკესის ტარი გამართა, და ორივეს ესმოდა, თუ როგორ ჩადიოდა წურწურით ძირს ანკესიდან გადმოჟონილი წყალი. შორიდან მოჰქონდა ქარს შემოღამებულ ურმების ჭრიალი.

„ჯოტო, ბიჭო, რა ღმერთი გაუწყრა იმ ცვედან ლომკაცია ტარბას, შვიდმა ძმამ რომ ვერ ჩააძაღლეს გველის წიწილი?“

„ლომკაცია მუცელშიაო დაჭრილი, ჩემი და მიამბობდა ამ დილით“.

„ჯოტო, ბიჭო, ტყვიები ხომ არ შემოელიათ მაგ მკვდარძაღლებს?“

„ტყვიები თავსაყრელად ჰქონდათ. ოცდახუთი მე მივეცი წინა დღეს. მაგრამ ის გველის წიწილი მანქანაში შემძვრალა, ძია გვანჯ“.

„მანქანა სადღა იყო იმ სატიალოში?“

„ოქუმის გზატკეცილს ტკეპნიან აკი“.

„აი გაუწყრა ილორის მადლი. ი წყეულები მუდამ ტკეპნიან რაღაცას“, — ოხრავდა გვანჯ აფაქიძე, დასავლეთისკენ გასცქეროდა გზას და მარჯვენა ხელს მარცხენაზე უჭერდა და სახსრებს ატკაცუნებდა მოუთმენლად.

გვანჯ აფაქიძე დაცუცქდა. მუხლისთავებზე იდაყვები დააყრდნო. თავზე მოიჭირა ორივე ხელი.

„დაგვათრო იმ მამაძაღლმა ლადარიამ“...

და მცირე დუმილის შემდეგ დასძინა:

„დღეს თუ გაგვექცა ი ღრანჭმოქცეულის შვილი, მერმე მშვიდობით... არაბიაც მას შერჩება და შარვაშიძის ქალიც. ასე ამბობენ, ბიჭო, ჯოტო, ტფილისში გაუწვევიაო ცეკას. ჩვენი რაიონის მდივნად ნიშნავენო. თუ ეს მოხდა, მე და შენ უნდა გამოვეთხოვოთ ოქუმს. ჩემი ნათლულიც წაჰყვება უთუოდ.

ქალი ფულსა და მდგომარეობას მიჰყვება, ბიძი. გაუტკბათ ჩვენ კნიაჟნებს ავტომობილში ჯდომა“.

„მერმე რას ვაპირებთ, ძია გვანჯ, რევოლვერითა და სატევრით რას გავხდებით, ქარივით ცხენზე ზის ის წყეული, თოფები გვეშოვნა, სჯობდა“.

„თოფები რათ გვინდოდა, ბიჭო, მილეთის ხალხი, ურემი და ავტომობილი დადის ამ გზაზე. მე არც რევოლვერი მაქვს, ბიძი. ჩვენ მშვიდობიანი მეთევზეები ვართ, ვზივართ ხიდის ყურში და ვანკესობთ“.

ზეწამოიჭრა ჯოტო, გვასალიას ბიჭი.

„მაშ ღორჯოების საჭერად ხომ არ წამომიყვანე, ძია გვანჯ? მე ანკესი ჩემ დღეში არ მჭერია ხელში“.

„ღორჯოს ნუ ეხუმრები, ბიძი. ღორჯო ღორჯოა, რომ გაიზრდება, ღლავი გახდება და შეგჭამს.

ღმერთმა ქნას და აქ გამოიაროს, იარაღი რათ გინდა მაგ გველის წიწილთან. მე ტარბა ხომ არ გგონივარ? მაგისთანა ზღმურტლიანები ცერის ფრჩხილით მომიგუდავს სადღაც ლაფაროში. შენ მანდ იჯექი და მაგ ანკესს უყურე, ბიძი“.

ესა სთქვა გვანჯ აფაქიძემ, თავისი თეთრი ჩაბალახი თავზე გადაიცვა და გვასალიას ბიჭს მიუჯდა. და მცირე ხნის შემდეგ ეუბნება:

„შენ თვალი უკეთ გიჭრის, ერთი გახედე, შენ გაზდას“.

ჯოტო წამოდგა და ისევ დაემხო მიწაზე და ანკესის ტარს წაავლო ხელი.

„სუუ“. ეს წარმოსთქვა მხოლოდ.

„ერთი მარქაფა ცხენია და მეორეზე თავათ ზის, არა?“

„ერთი მარქაფა ცხენია და მეორეზე თავათ ზის“.

გაიმეორა ჯოტომ. სატევარზე გაივლო ხელი და თანაც ცნობისწადილი ახრჩობს, თუ რას მოიმოქმედებს ახლა გვანჯ აფაქიძე? მას ბევრი რამ ჰქონდა განაგონი აფაქიძის აბრაგობისა და ავკაცობის გამო, მაგრამ ეს ვეღარ გაეგო: რითი უპირებდა მოკვლას უიარაღო ბერიკაცი რაშივით ცხენზე მჯდარ მაუზერიან არზაყანს. ბოლოს, არც არზაყანს იცნობდნენ ოქუმის მხარეში, როგორც ლაჩარს.

ამასობაში გაისმა ცხენების ფლოქვების რახრახი ბოგირზე, და როცა არზაყან მეანკესეებს გაუსწორდა, გვანჯ აფაქიძე წამოიჭრა, უეცრად ხიდის სვეტს აფარებულმა თეთრი ჩაბალახი მოიხსნა კისრიდან და საშინელის სისწრაფით დაატრიალა გარშემო. ჯერ იყო და არზაყანს რომელიღაც თეთრი ფრინველი ეგონა ხიდის ყურში წამოვარდნილი, ისე საოცრად რიალებდა თეთრი ჩაბალახი, მაგრამ ამ ამბისათვის თავის გართმევა ვერ მოასწრო. საშინელი სისწრაფით მოსწყდა არაბია ბოგირს, ეშბას ცხენი განზე გავარდა და არზაყან თან გადაჰყვა მარქაფას აღვირს.

ცოტა ხანს ათრია უზანგზე ცალი ფეხით დაკიდული მხედარი არაბიამ და მერმე მიწაზე დაანარცხა არზაყან.

უეცარმა ყვირილმა შეაკრთო მდუმარე ღამე და მერე ისევ სიჩუმე გაიშოთა თემშარაზე. ლანდები ძირს ჩაჰყვნენ ფლატეს, ჩირგვნარში გაუჩინარდნენ და ნაპირ-ნაპირ შევიდნენ ტყეში.

...და დაბნელდნენ გარშემო გზები.

* * *

მებორნეს უნახავს იმ ღამეს, ვიღაც თეთრჩაბალახიანი მაღალი კაცი და ერთიც ჯუჯა, მთელი ღამე დასდევდა ორ უნაგირიან ცხენს.

უთენია არაბია და ეშბას ცხენი ოქუმში მოვარდნენ და მთელი სოფელი ფეხზე დააყენა ამ ამბავმა.

ხოლო აგვისტოს 16-ს, ნაშუადღევს, არზაყან ზვამბაია ნაბადში გახვეული შინ მიიყვანეს მეურმეებმა.

* * *

ხელისუფლება ჩაერია საქმეში, რამდენიმე ტარბა შეიპყრეს ეჭვით, გვალვების რკალი მოთავდა და რამდენიმე დღეს დაუცხრომლად სწვიმდა ოქუმში.

...და დაბნელდნენ გარშემო გზები...

ვასაკას თვალები

„ზენარო, ზაფხულის დღეები აღკვეცე,
დაადნე ჩრდილები მზის საათებზე,
მინდვრების ფერადი ხალიჩა აკეცე,
გაფანტე ჯოგები ზურმუხტის მთებზე,
„დამწიფდი“, უბრძანე თავთუხის თავე-
ლებს,
გრიგალმა ფოთლები ხეებში დაზვინოს,
მოჰხადე სმარაგდი ღრუბლების კრავე-
ლებს,
შედედდეს მტევნებში მზიანი ღვინოც“.

აგვისტოს 17-ს თარაშ ემხვარ ტფილისს აპირებდა წასვლას.

წინადღით დილიდანვე გუნება გაუფუჭდა; დედის წერილი ჩამოუტანა ვიღაც აფხაზმა.

ცუდი სიზმრები მაქვსო, — იწერებოდა დედა, — ცირუნია ავადა

მყავს, არზაყანი ცხენიდან ჩამოვარდა და ფეხი დაიშავაო. ხილნარიც წაგვართვეს, პაპისეული დიდი ცაცხვი მომიჭრეს, სამკითხველოს ასაშენებლად მოიხმარესო, ყავარი ძლიერ გაძვირდაო, სახლი გადაუხურავი დარჩაო, სოფელში საქირავებლადაც ვერ იშოვნიო კაცს, ახალგაზრდობა კოლმეურნეობაში შევიდაო, მოხუცები აღრენილნი არიან და საკუთარ სახლებსაც არ უპირებენო გადახურვას, სახლს აწვიმსო, მალე წვიმები მოვაო. მე და ცირუნიამ ორიოდე ქცევა მიწა მოვაცოდვილეთო, სიმინდი მოსატეხიაო, მალე წვიმები მოვაო, მე ქარები გამიჩნდაო, ცირუნიას წელკავი შეეყარაო, სიმინდის ტეხვა დაიწყოო, მალე წვიმები მოვაო.

მერმე ისევ სიზმრების ამბავს სწერდა დედა, ათას მოკითხვას მეზობლისაგან დანაბარებს, ისევ მომავალი წვიმების და ისევ მეზობლებისაგან შემოთვლილ პირთა კოცნის ამბავს და ისევ მოკითხვას.

ხელზე შეატყო თარაშმა: ნერვები აშლოდა მოხუცს, ისიც არ მოეწონა თარაშს, აზრს ვერ ალაგებდა რიგზე, მრავალგზის იმეორებდა ერთხელ შემოთვლილს. თარაშმა მღელვარებით ხელმეორედ გადაიკითხა წერილი. დაკეცა, ჯიბეში ჩაიდო, ისევ ამოიღო. ისევ გადაავლო თვალი და ისევ გადაიკითხა. ჯერ იყო და დაუყოვნებლივ ოქუმს წასვლა განიზრახა, მაგრამ შრომა „კოლხეთის ფეტიშიზმისათვის“ წარდგენილი ჰქონდა, თვის დამლევს პასუხი უნდა მიეღო. თუ „ჰო“ იქნებოდა, მაშინ დედაც უნდა გადაეყვანა ტფილისს.

საღამო ჟამს ღია ფანჯარასთან იჯდა.

კოშკის ქონგურებს მოთალხო ბინდი ეფინებოდა. მსუბუქ ბურუსში თვლემდა ხილნარი, ორიოდე ჭრიჭინა ხმიანობდა ნიგვზის ხის ნეშოში. კანტიკუნტად ისმოდა, თუ როგორ ეცემოდა მიწაზე ვაშლი, ხანაც წენგოშემშრალი კაკალი.

კიანთობდა ყურძენი წითელი იაგუნდების დარად ხურმის ხეებზე მიშვებულ ვაზის ლერწებზე.

„მიცვალებულთა მზე“ ნელ-ნელა იხევდა სათანჯოს ციხისკენ. ელამუნებოდა აკაციების წვეროკინებს გვიანი სხივი.

ადრე დაეწყოთ აკაციებს საშემოდგომო რეკვიემი და სცვივოდა ქოჩორშევერცხლილ სიმინდებზე ფოთლები. ბეღურები დათარეშობდნენ აკაციებში, ოქროს ფლურებს იბერტყავდნენ ფრთებიდან.

ყვავის ბუდესავით მოსჩანდა ბეხრეკ მსხლის ხეზე კვრინჩხივით მოსხმული ფითრი. ხოლო სულ მაღლა მის წვეროკინაზე კიდევ ცეკვავდა მუმლი საღამოს ხორუმს.

თარაშ კარგად ამჩნევდა: ექვსიოდე წყვილი ეთამაშებოდა ურთიერთს. ჯერ ჯვარედინად ხტოდნენ ჰაერში, მერმე ქვემონი და ზემონი მორიგეობით ენაცვლებოდნენ ურთიერთს, რიტმიულ ცეკვით სახავდნენ ჰაერში ხან სვასტიკას, ხანაც ხუთქიმიან ვარსკვლავს..

შემოდგომის სიმშვიდე ეფინებოდა ხილნარს, აკაციებს და სიმინდის ყანას, უსაზღვრო სასოება — უფსკერო ლაჟვარდის შემყურე მყარს, მოუსვენარი მუმლები ექსტაზში შესულნი როკვით ეგებებოდნენ ღამეს, არსაიდან ისმოდა ჩქამი. ეს დიდი მყუდროება სიმშვიდით ავსებდა ჭვრეტით გართულ თარაშ ემხვარს.

კაკუნმა შეაკრთო.

„Entrez“.[10]

წამოსცდა თარაშს.

კართან მივიდა. შალიანი ქალი იდგა. დაშა შეიცნო. უკონვერტო ბარათი. თამარი და კაროლინა ფელამუშზე ეპატიჟებოდნენ, ბარათის მინაწერში უსიამო ამბავს ამცნობდნენ. გუშინ ლუკაია

[10] მობძანდით.

ხეზე ავგზავნეთო ყურძნის მოსაკრეფად. ავმა ზნემ მოუარა და ჩამოვარდაო.

ნეკნი დამსხვრევია ლუკაიას.

უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ თარაშს გადაწყვეტილი ჰქონდა, ნახუცარისას აღარ წასულიყო. მით უმეტეს, შარდინ ალშიბაიამ ენა მოუტანა: მღვდელი ამრეზილიაო შენზე. ერთი კვირის წინად კაროლინას შეეხეჩა დაბაში. ჭიშკრამდის მიაცილა. კაროლინას თხოვნას ყური არ ათხოვა. შინ არ შეყოლია.

სხვაგან წასასვლელი ვარო, თუ ადრე განვთავისუფლდი, გამოვივლიო, — ეს დააბარა დაშას.

ქუდი და ჯოხი აიღო, კიბემდის მივიდა, ისევ გამობრუნდა. ქუდი მოიხადა, შავ მაგიდაზე დასდო.

თავათ სავარძელში ჩაჯდა.

ზის და შეჰყურებს თავის შავსა და ნესვისებრ ქუდს — სატევარზე მდებარეს. ქართული სატევარი და ფრანგული მელონ!

ორი შეურიგებელი ცივილიზაციის პროდუქტია უთუოდ, — ფიქრობს თარაშ ემხვარ, თანაც ისე შესცქერის ორივეს, თითქოს პირველად ხედავსო მათ. ერთი უაღრესად პრაქტიკული გენიის ნაყოფია, მეორე რომანტიულისა.

ფრანგული მელონ ნახევარს ჰემისფეროსა ჰგავს მიწისას, ქართული სატევარი კონცენტრიული სიბასრეა თავათ.

ეჰ, რა უცნაური აზრები ამეკვიატა. წავიდე? არ წავიდე? ფიქრობს თარაშ ემხვარ.

წამოდგა. ისევ დაავლო ქუდს ხელი. საღამოს ცვარს დაეთრთვილა ბალახი. მიდის ეზოში და ისევ შავი ქუდისა და სატევრის ანალოგია აწუხებს. და აგონდება იმ კაცის ბედი, ორ შეურიგებელ ცივილიზაციას შორის რომ ქანაობს.

ეზოში ჭრიჭინების ჭრიახი გაისმის. თუთის ხესთან შესდგა თარაში.

ხედავს: ვასაკა მოჩოჩავს ხის ტანზე. ცხვირსახოცი ამოიღო, ხელში აიყვანა ზურმუხტისფერი ვასაკა.

დატყვევებული არსება თვალებში შესცქერის თარაშს. აჰა, ეს შენა ხარ, მთელი ღამე რომ კრიახობ, მეგობარო. როგორი გონიერი, ადამიანური თვალები ჰქონია ვასაკას!

უქუთუთო თვალებს აფახულებს ვასაკა. აკვირდება. ვინა ხარო? ეკითხება. მე კი არა, შენ ვინა ხარო? — ამბობს თარაშ ემხვარ თავის გულში.

გადააბრუნა ვასაკა. წინა თათები ადამიანის ხელებს მიუგავს. მუცელი თეთრი ჰქონია და პირი?.. პირიც ბევრს აქვს კაცთაგანსაც ასეთი ბლაგვი. პირის კუთხეში ჭია გახირვია. სისხლი მოსდებია პირ-ბაგეზე. ეს თეთრი მუცელი ჭიითა და სისხლითაა ალბათ გავსილი (ვასაკაც კაცსავით სისხლით იკვებება თურმე). თათები? თათები ნამდვილი ხელებია, ადამიანის ხელები. ამ ხელებით დაცოცავს ვასაკა ხეებზე, დაცოცავს და უმღერის ღამეს თავის უსაშველო კრრრ... კრრრრრს...

ვინ იცის, ეგებ ადამიანის სული ჩასვლოდეს მას გვამში და ამ სახით მოსულიყოს იგი ამქვეყნად?!

ჭიშკრის ჭრიალი შემოესმა. მოხუცი დიასახლისი შემოდის ეზოში.

ოხვრით მოჩოჩავს ხვარამზე, კალთებშემოხეულ ქოლგას ძლივს მოათრევს (როგორც ძელის ჯვარს იესო).

აღმასკომში ყოფილა ხვარამზე.

შესდგა თარაშის წინაშე. ქოლგას დაეყრდნო ხვარამზე, წელში გაიმართა. მეათასეჯერ გადმოანთხია ბოღმა. სწყევლის აღმასკომს, — ფინინსპექტორს და რაიკომს. სჩივის: დუქნები ჩამომართვესო დაბაში, ქალაქში წისქვილები არ შემარჩინესო, არც ღმერთი სწამთო ბოლშევიკებს, არც ნათელ-მირონი, არც ზიარე-

ბა, არც ვექსილები და არც ნასყიდობა. თხოვნა უნდა დამიწეროო, სტალინს შევჩივლოო, ეგებ წისქვილები მაინც დამიბრუნოსო სტალინმა.

თარაშმა არა მიუგო რა. ცხვირსახოცი გახსნა. და რას ხედავს ხვარამზე? როგორის რუდუნებით ჩასვა ბალახებში თარაშ ემხვარმა ვასაკა! უცქერის ამ ამბავს ხვარამზე და საკუთარ თვალებს აღარ უჯერებს.

რა კარგი ყმაწვილი შეშლილა, ეს გაიფიქრა და კიდევ შეავლო თვალი ბალახებში მხტომარე ვასაკას. მერმე ქოლგას წაავლო ხელი და უსიტყვოდ მიაშურა სახლს.

ჰო, ემხვარებს გვარში აქვთ... ფიქრობს ხვარამზე, ერამხუტ ემხვარი მოიგონა და გასაღები ამოიღო ჯიბიდან.

* * *

შარვაშიძიანთ ეზოში ფეხაკრეფით შევიდა თარაშ ემხვარ. თუთების ლანდებს ეფარებოდა, ერიდებოდა: ძაღლები არ გამონთებოდნენ. მაშინ მღვდელიც თავს გამოყოფდა ფანჯრიდან. ჭანდრის გამხმარი ფოთლები ტკრციალებდნენ ლანდებს შორის მიმავლის ფეხებს ქვეშ.

ლუკაიას ხულაში დიდი ფაცაფუცი დაუხვდა ემხვარს.

ქალები ერიდებოდნენ კარდლების რაჩხუნს, კარის ჭრიალს და ძაღლების მოგროვებას, ვინძლო ბაბუა ტარიელ არ მოსულიყო ხულაში. კაროლინა კერასთან იჯდა, საფელამუშო ბადაგს ადუღებდა. დაშა იქვე დაცუცქულიყო, ჭყინტ სიმინდებს სწვავდა, მთელ სახეზე ალმოდებული. თამარი ლუკაიას საწოლთან იდგა. ტილოს სწურავდა.

კაროლინა საწოლთან მიუძღვა თარაშს. თამარს სახე აერია თარაშის დანახვაზე, კვარის სინათლეზე ეს არ შეუნიშნავს თარაშ

ემხვარს. თარაშიც ააღელვა თამარის შეხვედრამ (ეს იყო სისხლის საამური აჩქამება გულის არეში, სხვა არაფერი). სწრაფად შეავლო თვალი დალალჩამოშლილ ლოყებს და იქვე მიბრუნდა, მაშინალურად შუბლზე ხელი დაადო ლუკაიას. უშველებელ ბალიშზე იწვა ლუკაია და საწოლში მთლად დალეული მოსჩანდა იგი. ყველანი ისე მოელოდნენ თარაშის მოსვლას, თითქოს ცნობილი ექიმი ყოფილიყო იგი. თავათ ლუკაიაც მოუთმენლად ბორგავდა, ვიდრე ხურვება დაეწყებოდა.

თვალები გაახილა ლუკაიამ, და თარაშ ემხვარს ეუცხოვა ლუკაიას ეგზომ უცნაური ამოხედვა.

და თვალები, თვალებიც ისეთი ჰქონდა ლუკაიას, როგორც იმ ცივსა და სლიპ ვასაკას. და ამ თვალებში იგივე ამოიკითხა თარაშმა:

ვინა ხარო?

დასჩერებოდა მდუმარე თარაში, თითქოს აროდეს ენახოსო ეს კუხე ისრიმისფერი თვალები.

„როგორა ხარ, ბეჩა ლუკაია?“

„მე დავბრუნდი, გუშინ ცეცხლი მომეკიდა... არ მომეკარო, ცეცხლი ანთია თოვლში. ხელი გასწიე... ყურძენი ძირს ჩამოვა... მე და დედა ილორში მივდივართ ამაღამ“.

„ილორშიო? ილორში რა გინდა, ბეჩა ლუკაია?“

„ილორში როგორ რა მინდა? ილორში დავწვები... ისინი მოვლენ, ძველ სიმღერებს იტყვიან და გადამთელავენ... ჯოგები მოდიან... მტვერი სცვივა“...

თარაში თამარს მიუბრუნდა: „ხომ არ აცივებს?“

„სიცხე კი აქვს და რა ვიცი“. კაროლინამ სიტყვა ჩააგდო:

„ხერიპსი ასე ამბობს, ტვინის შერყევა უნდა ჰქონდესო, მაგრამ გაუვლისო, ასე ამბობს ხერიპსი, თუმცა სულ ერთია... ლუკაია, ადრე თუ გვიან, ცუდად გაათავებს“.

„რა სიმაღლიდან ჩამოვარდა?“ — ჩურჩულით იკითხა თარაშმა.

„ორი მეტრიც არ იქნებოდა, მაგრამ ლუკაიას ტვინისთვის ესეც კმარა“. ამბობს კაროლინა და ბადაგში ჩოგანს ურევს. ლუკაიამ ისევ გაახილა თვალი. თარაშ ემხვარს მიაშტერდა.

„შენ ვინა ხარ, შურიგე?“

თარაშმა პასუხი არ გასცა. მარცხენა ხელი გამოუღო საბნიდან. ჩალის ღერივით გამხმარი მაჯა ხელში აიღო. პულსს უსინჯავს. ლუკაია ისევ ბოდავს:

„...მე რა ვიცი, შენ ვინა ხარ? ან მე ვინა ვარ. ჩვენ ვინ ვართ? არავინ ვიცით, თუ ვინა ვართ, არავინ, არავინ... გველი... გველი... გველი. არ ახსენო, ზოსიმია... თორემ ყინულზე ცეცხლი ჩამოსთოვს. სუ...უ... არ ახსენო, ზოსიმია... კარის ჭრიალი არ გაიგონოს... სუუ... თხას სურო ამოუვა ტვინში... მოიტა ურო, მოიტა, თამარ, თავზე დამარტყი... სუუუ... მოდის, მოდის... უხსენებელი... ასი მთის გადაღმა, ასი მთის გადაღმა... ჯვარი აქა... ჯვარი აქა“...

თარაშის მეტი არავინ უგდებდა ყურს ლუკაიას ბოდვას. სჩანდა: შეჩვეოდნენ.

დაშამ მეგრული ტაბაკი ცეცხლის პირად დადგა. ნაქურჩალით პირდაცული დოქი ამშვენებდა სუფრას, ჭყინტი სიმინდი, გოგრა... ჩვილი ნიგოზი და ფელამუში...

კაროლინა ბოდიშობდა: დანა-ჩანგალი რომ მოგვეტანა, ბაბუა ტარიელი გაგვიგებდაო ოინებს.

კაროლინამ მკლავში ხელი წაავლო თარაშს, ლუკაიას მოაცილა. ლუკაია ასე ბოდავსო დღედაღამ. ტაბაკთან ჯორკოზე დასვა თარაში.

დაშა, ცეცხლი გააჩაღეო, — უბრძანა დაშას. დაშა დაოთხდა... დიდხანს უბერავდა და მერმე კოპიტის ხეს მოედო ალი... ცეცხლი

აგუზგუზდა და გაანათა ხულა. თარაშმა თვალი მოავლო გარემოს. ირგვლივ სიმინდის ტაროების პირამიდები დაეზვინათ. აბრეშუმივით თეთრი ნაქურჩელა და ხაშარი ეყარა გოგრებსა და გოგრის ნაკუწებს შორის.

კედლებზე ქონდრის კონები ეკიდა, ველური ტახის ჯაგარსავით წამობურძგვნილი. ხელწისქვილის გელაზისოდენა აბედის სოკოები ელაგა თაროზე და იქვე მთელი კოლექცია სოკოებისა: ბებრის სოკო, გუდაფშუტა, ქამა სოკო, მარქვალი, ტრედა, ნიყვი, რიგა, მეფის სოკო, სოკო კვერცხი, კრიანტელი, მჭადა სოკო, არყა, მიქელა და ეს მიქელა ძლიერ წააგავდა თვით ლუკაიას.

„ეს ფელამუში ჩემი გაკეთებულია, იცოდეთ, — ამბობს კაროლინა და ფელამუშით სავსე თეფშს აწვდის თარაშს, — ლუკაიამ მოგვიკრიფა ყურძენი... მერმე, რაკი ასეთი ხიფათი შეემთხვა, დაშას ფეხი დავაბანინეთ მე და თამარმა და საწნახელში ჩავუშვით“.

თამარმა დოქი აიღო, მაჭარი დაუსხა თარაშს.

„ეს უბრალო ღვინო არ გეგონოთ, პაპისეული ვენახისაა. ამილახორის ჯიშისა. მამა გვიამბობდა: ეს ემხვარების მოტანილია ოდიშში. ემხვარები ამილახვრები ყოფილანო. საცოდავმა ლუკაიამ ოქუმის მამულიდან მოაპარვია ეს ერთი ძირი კაც ზვამბაიას...

იმ ხეზე არავის უშვებდა. ბევრი ვუჩიჩინეთ მე და კაროლინამ, მაინც არ დაიშალა და კინაღამ გადაჰყვა“.

თარაშმა დაცალა. თამარმა ისევ დაუსხა. თარაშმა ისევ დალია. იამა. მოაგონდა: ამას წინად მთაში სანადიროდ წასულმა დალელი აფხაზის ფაცხაში გაათია ღამე. ოჯახის ქალწული ფეხზე იდგა პურობის დროს და ღვინოს უსხამდა სტუმარს.

ძველებური მწდე ქალწულების ამბავი მოაგონდა ახლაც და გაიხარა.

იხუმრა: „კი მაგრამ, ქალის დაწურულ ღვინოს რომ არ სვამენ ჩვენში?“

„განა სულ ერთი არაა, რა ქალი და რა კაცი?“ თარაში დადუმდა. ცეცხლი მოედო კოპიტის მუგუზალს და აწრიპინდა.

წივოდა ხე და ცრემლის დარი დუჟი მოდიოდა კოპიტის ნაჭრის ბოლოდან.

კაროლინა ხარბად სჭამდა ჭყინტ სიმინდს, თანაც იცინოდა.

„რა გაცინებთ, კეთილო ფრაუ?“

ეკითხება თარაში.

„ამდენი ხანია აფხაზეთში ვცხოვრობ, ჯერაც სიმინდი არ მიჭამია“.

„რატომო მერმე?“

„ციების მეშინოდა“.

„განა ასე საშიშია ციება?“

„თქვენ ყველას შეუვალობა გაქვთ, ჩვენ, უცხოელებს, უფრო მეტად გვეკიდება ციება“.

„თქვენ ხუმრობთ და ციება ჩვენი ქვეყნის უდიდესი ციტადელი იყო“. მიუგო თარაშმა. კაროლინამ გაიცინა.

„Sie sind ein Schwarzseher, Herr“...[11] თარაშმა თაროებისაკენ მიიხედა, სოკოებს შეავლო თვალი.

„რად უნდა ნეტავ ლუკაიას ამდენი სოკო?.. ნუთუ ყველას სჭამს?“

„ეს მეც მაკვირვებს, — ამბობს კაროლინა, — გერმანიაში მარტო თეთრ სოკოსა ვჭამთ. ის გველის სოკო შხამიანია... ის წვრილმანი მოწითანო სოკოებიც... ეჰ, ლუკაიას ამბავს ვინ გაიგებს... იგი ზოგსა სჭამს, ზოგსაც წამლად აკეთებს... მაგ და ზოსი-

[11] თქვენ ბნელმეტყველი ხართ, ჰერრ.

მია გველებს ტყიდან გამოიხმობენ თურმე, მერმე უბით ატარებენ, შესაძლოა გველებსაც სჭამდნენ. ასე ამბობენ და მე რა ვიცი“.

დაშასაც დაალევინეს მაჭარი. კაროლინამ ჭყინტი სიმინდი გაუწოდა თარაშს და ეს ჰკითხა:

„ერთი მითხარით, ჰერრ ემხვარ, რა და რა ჯიშის ვაზი ყოფილა ამ მხარეში კიდევ?“

„ძველ ოდიშში საუცხოო კაჭიჭი მოჰყავდათ, ტკბილი კაპისტონი, მომჟავო კაპუნია, მოზელის ღვინის ტიპისა, თეთრი აფხაზური ავასარხვა, ჭვიტილური და ოჯალეში“.

„ერეხელი ვარ და მერეხელი“.

წვრილი, საწყალობელი ხმით მღეროდა ლუკაია. შესწყდა სიმღერა და ისევ ბოდვას მოჰყვა: „ბიჭო ზოსიმია, გველს რად გაუპე თავი... არ მოსწყვიტო, დაიკივლებს... ჯვარი აქა... ჯვარი აქა“...

თამარი ადგა. ტილო გამოუცვალა.

„ვინა ხარ?“ — შეეკითხა თამარს. მერმე შეიცნო, ხელზე წაეპოტინა, და ხელზე დაუწყო კოცნა.

„ამ ხელებმა უნდა მომაყარონ მე მიწა, შურიგე“.

საჭმელი თუ გინდაო რამე? — ეკითხება თამარი. სახე მოჯღუნა, ხელი ჩაიქნია ლუკაიამ და კედლისკენ მიიდრიკა თავი.

„ეს უბედური ლუკაიას სადღეგრძელო იყოს“, — ამბობდა თარაში. თასი გამოსცალა, ისევ გაავსო თამარმა და თარაშმა კაროლინას დაუდგა წინ. კაროლინამ მოსვა, თამარს გადაულოცა, თამარმა ბაგე დააკარა. დაშამ გამოსცალა დასასრულ.

„ასეა, ერთი მამაკაცი სამ ქალს უდრის“. იხუმრა თარაშმა.

„ის დრო წავიდა... ახლა ერთი ქალი ერთ მამაკაცს უდრის, თუ მეტს არა“.

თარაშმა გაიცინა, არა მიუგო რა.

კაროლინამ შემწვარ ტაროს უკბიჩა, ისევე როგორც ოდიშში სჩვევიათ ეს და თარაშს ეუბნება:

„თქვენ იცით, ჰერრ ემხვარ, თამარი ტფილისს რომ მიმყავს ხვალ?“

„რისთვის?“

„მედიცინის ინსტიტუტში უნდა შევიდეს“.

„ეჰ, ქალს ინსტიტუტი რათ უნდა, ცივილიზაცია უღმერთოდ აფუჭებს ქალს. ისა სჯობს, გათხოვდეს და ბავშვები გააკეთოს, რაც შეიძლება მეტი“.

„მე თქვენ ძლიერ მაბრაზებთ, ჰერრ ემხვარ, არ კი გამიჯავრდეთ და თქვენი აზროვნება, ქალის საკითხში მაინც, არაფრით განსხვავდება ბაბუა ტარიელის აფორიზმებისაგან“.

თარაშმა გაიღიმა. მაჭარი მოსვა და დადუმდა.

„თქვენ რატომ მიბრძანდებით ტფილისს?“

„თათია უნდა ვუჩვენო ექიმებს. ყივანახველამ ჯირყვლები დაუტოვა, აქაურმა ექიმებმა თავი ვერ გაართვეს“.

„არზაყანსაც უნდოდა წამოსვლა და არსადა სჩანს“. შენიშნა თამარმა.

თარაშს გაგებული ჰქონდა, არზაყანს ცხენი რომ დაუფეთდა და მარჯვენა ფეხი დაეშავებინა, მაგრამ დადუმდა. თასს ხელი დაავლო და უსიტყვოდ დასცალა.

თამარმა ისევ გაავსო თასი.

„ესეც ჩვენი მგზავრობისა იყოსო“, — სთქვა თარაშმა და ისევ გამოსცალა თასი.

თამარს უნდოდა ეკითხა და კაროლინამ დაასწრო: „მაშ თქვენც მოდიხართ ხვალ?“

„მეც“.

უპასუხა თარაშმა და ცეცხლში შეაგდო მარცვალშემოცლილი სიმინდის ნაგულა.

„ფუი, ფუი, ფუი, აქ რა გინდა, თამარ, მე წითელ გვირგვინს დაგადგამ. ჯვარი, ჯვარი, ფუი, ფუი, გველი ჯვარზე გასულა... პირში ვარდი ამოსვლია... დედა, დედა, მოიცა, მეც მოვდივარ, მეც“...

ბოდავდა ლუკაია. ცეცხლი მადლიანად გიზგიზებდა კერაზე. ტკიცინებდა ნაძვის გამხმარი ტოტები, იწვოდა კოპიტის მუგუზალი, თანაც ისეთის საწყალობელის ხმით წრიპინებდა, ცოცხალს მოსდებიაო ალი. იწვოდა ხე და ცრემლის მაგვარი დუჟი იღვენთებოდა მოკვეთილ შტოდან (ეს იყო ღვიძლი შვილის შვილის შვილის შვილი იმ კოპიტისა, ორასი წლის წინად ამ ეზოში რომ დაურგავს რომელიღაც ხეციას). და გარედ, ლუკაიას ხულას გარშემო მოზღვავებულ ანწლნარში გაცივებულ კამეჩსავით ფშვინავდა უმთვარო ღამე.

სანტიმენტალური მოგზაურობა

(კოლხეთის ველიდან ქართლის ზეგანამდის)

„Heureux celui qui se souvient avec plaisir de ses pères ; qui entretient avec joie l'étranger de leurs actions, de leur grandeur, et qui goûte une satisfaction secrète à se voir le dernier anneau d'une belle chaîne".[12]

გოეტე, „იფიგენია"

„You make yourself unhappy..."

ლოურენს სტერნ, „
სანტიმენტალური მოგზაურობა".

ზუგდიდიდან ოჩამჩირემდის № კილომეტრია

სწრაფი მატარებელი დილის 7 საათზე გადიოდა ზუგდიდიდან ოჩამჩირისაკენ. კაროლინამ აიჩემა, ზღვით წავიდეთო. ჩვენი

[12] ბედნიერია იგი, ვინც სიამოვნებით იგონებს თავის წინაპრებს, ვინც სიხარულით ებაასება უცხოელს მათი დიდებისა და მათი ღვაწლის გამო, ვინც იდუმალ სიამოვნებას განიცდის, როცა ხედავს, რომ იგი მშვენიერი ჯაჭვის უკანასკნელ რგოლს წარმოადგენს.

გმირების მგზავრობას მშვენიერი ამინდიც დაესწრო. ამიტომაც დათანხმდა თამარი ზღვით წასვლას.

„დავინავსეთ!“ — ხუმრობით შესჩივლა თამარმა კაროლინას.

ეს შარდინ ალშიბაია შეეჩეხათ დილაადრიან. შარდინს თეთრი ბუკეტი ეჭირა ხელში და საერთაშორისო ვაგონის დერეფანში დაბორიალებდა.

თავდაპირველად ისეთი პოზა მიიღო მან, თითქოს ვერავის ამჩნევსო. ფანჯარასთან იდგა და ვიღაცას ელოდებოდა.

განსაკუთრებით თამარს არ ეპრიანა. არ უნდოდა დაბაში გახმიანებულიყო მისი მგზავრობა თარაშთან ერთად.

შარდინს ყავისფერი ჟილეტი ეცვა, კუბოკრულად დახაზული შარვალი, ტფილისის ამერიკულ ბაზარზე ნაყიდი.

შარვალი გრძელტოტიანი სჩანდა, მაგრამ მაინც ჩაეტანებინა ყვითელ კრაგებში.

თავზე პლანტატორის ქუდი ეხურა და ამგვარად მორთულ კავალერს ოპერეტულ იერს აძლევდა თეთრი გეორგინების ბუკეტი. გეორგინები ახლად მოწყვეტილნი იყვნენ.

ქალებს თვალი დარჩათ ზედ.

„ალბათ ექიმი კილოსანიას ცოლი მიემგზავრება ტფილისს“. უჩურჩულა თამარს კაროლინამ.

განა მარტო თამარმა და კაროლინამ? მთელმა დაბამ იცოდა ეს ამბავი.

როცა მადამ კილოსანია ქალაქს მიდიოდა, შარდინი უთუოდ მივლინებას გაიკრავდა, ყვავილებით, ხილით და საუზმით დატვირთული ეახლებოდა თავის გულის დედოფალს.

მატარებლის წასვლას 5 წუთიღა აკლდა.

კუპეს კარი ღია იყო, ქალები ამჩნევდნენ, თუ როგორ აღელვებული დარბოდა შარდინ ალშიბაია.

მატარებელი დაიძრა. აქლოშინებულმა შარდინმა ძლივს შეასწრო ვაგონში. შარდინსაც შემჩნეული ჰქონდა თამარის, თარაშისა და კაროლინას აქ ყოფნა.

მიხვდა: მიუსვლელობა რომ არ ივარგებდა. კაროლინა დაუნდობლად დაგესლავდა, ამიტომაც შეუერთდა მეზობელ კუპეში მყოფთ

„დავიღუპე, — ეუბნება შარდინი თარაშს, — ჩვენი სკოლის გეგმები უნდა მოეტანა საქმეთა მმართველს, დააგვიანდა“.

თარაშმა თანაგრძნობით შეხედა. კაროლინა ძლივს იკავებდა სიცილს. მიხვდა, თუ რა გეგმები ჩაეშალა ალშიბაიას. შარდინი თავის კუპეში გაიჭრა და გეორგინები შემოურბენინა ქალებს.

მატარებელი ენგურის ხიდზე გადადიოდა. გააფთრებული ენგური ეხეთქებოდა ბურჯებს.

თარაშ ფანჯარასთან იჯდა. სათანჯოს ციხეს შესცქეროდა მდუმარე. შარდინმა ვეღარ აიტანა ქალების დუმილი.

„იცით, ეს სათანჯო იტალიური სანტ ანჯელოს ციხე რომ არის?“

„ჰო, ვენეციელების მიერ აშენებული არისო, გამიგონია“. დაუმოწმა კაროლინამ შარდინს.

მიჰქროდნენ ალვები, ჭადრები, მუხნარები, პალმის ტევრები, ისლიანი და ლელიანი ჭაობები.

კამეჩების ლეგიონები იწვნენ წუმპეში. ზანტად იგრეხდნენ კისერს და კეთილი მზერით აცილებდნენ მატარებელს.

„ეს პირველი საერთაშორისო ვაგონი მიდის ტფილისიდან ოჩამჩირეს“, — ამბობს ისევ ალშიბაია და ცივილიზაციის ხოტბას მოჰყვება.

ქალები სდუმდნენ, თარაში ფანჯრიდან გასცქეროდა გაშლილ ველს. შარდინ ალშიბაია ადგა. ქალებმა უვნებელი ჭორები უამბეს თარაშს, შარდინისა და მადამ კილოსანიას რომანის გამო

დაბაში დარხეული, კიდევ ერთი ახალი ჭორი უნდა ეთქვა კაროლინას, მაგრამ ავტომატიური კარი გაიღო, კონიაკის და ბენედიქტინის ბოთლებით დატვირთულმა შარდინმა შემოჰყო თავი. ვაგონის მხლებელს შემწვარი დედალი, ხაჭაპურები და ხილი მოჰქონდა.

შარდინმა სუფრა გაშალა. ცალყბა ხუმრობით თავათვე იკისრა თამადობა. მორიგეობით ადღეგრძელა თანადამსწრენი, მერმე ფრიად პატრიოტულ ამბებს გადასწვდა. განსაკუთრებული ჭიქით დალია კოლხეთის სადღეგრძელო.

ეს ღმერთმა გაუმარჯოსო ძველ კოლხეთს, აწ ფენიქსებრ აღორძინებულს. შეაქო კომუნისტები, ამ მიდამოს კოლხეთის ველი რომ უწოდესო, ქალაქ ფოთსაც კოლხიდა უნდა დაარქვანო, საერთოდ, კოლხეთი კვლავ უნდა აღდგესო.

ნუმც გამოლევიაო ნაყოფთა სისავსე კოლხეთის ველებს და ტყეებს. კოლხეთი, ბატონებო, — ამბობდა საკმაოდ პათეთიურად ეს საკმაოდ შეჭიკჭიკებული თამადა, — კურთხეული ქვეყანააო, ძველ ბერძენ ავტორების მიერ მრავალგზის ქებული.

„ვინ არ ყოფილა აქ, ვინ არ მოუყვანია აღტაცებაში ამ ცას, ამ ზღვას, ამ ხმელს და მადანს, ჩვენს ხმას, ჩვენს გმირობას და მამაცობას.

ფრიქსმა ოქროს ვერძით გადასცურა დარდანელი და მერმე პონტოს ევქსინოსს მოაშურა, არა?“

და როცა ამას ამბობდა შარდინ ალშიბაია, შეგირდსავით თვალებში შესცქეროდა თარაშ ემხვარს. მზერით ეუბნებოდა თითქოს:

თუ რამე აურიო, გამისწორეო. თანაც კოკეტობდა ძველი ბერძენ ავტორებისაგან ოდესღაც ამოკითხულით.

კაროლინამ მთლად უბირი ქალის პოზა მიიღო (მას შარდინის

გაპამპულება უყვარდა, ხოლო ალშიბაიას — ცოდნით კეკლუცობა ქალთა წინაშე).

„ფრიქსი ვინღა იყო, ბატონო შარდინ?“

ეკითხება კაროლინა. თანაც შარდინის მიერ მირთმეული ხაჭაპური თამარს უწილადა.

„ფრიქსი აფამანტას ვაჟი იყო. არა?“ (თარაშს შეჰხედა).

„კი, მაგრამ კოლხეთში რა უნდოდა ფრიქსს?“

„ფრიქსი დედინაცვალს გამოექცა, არა?“ (ისევ თარაშისკენ მიიქცია პირი) თარაში თავს უქნევს და ჩუმად სჭამს.

„ეს თქვენი თათიას სადღეგრძელო იყოს“. და მეათეჯერ დალია კონიაკი.

„ჰელლადიდან გაიქცა ფრიქსი და თან წამოიყვანა თავისი დაჲ ჰელლა.

მერმე ის იყო, დარდანელში რომ გადადიოდნენ ოქროს საწმისიან ვერძით, ჰელლა წყალში ჩავარდნილა და დამხრჩვალა.

ფრიქს კოლხიდაში გამოიქცა, არა?

ორაკულის ნებით მას ეს ოქროს საწმისიანი ვერძი არეას საკურთხეველისათვის შეუწირავს თურმე. შემდეგ ამისა“...

შარდინი შესდგა. დედალს ბარკალი მოჰგლიჯა, თამარს გაუწოდა.

ეს დედალი ამ დილითვეაო დაკლული, ნუ გეშინიათო, და განაგრძო ისტორიული ექსკურსი:

„შემდეგ ამისა, კოლხეთის მეფეს აეტესს დაუმოწმაო ორაკულმა თურმე: როცა უცხოელები ოქროს საწმისიან ვერძს მოიტაცებენ, შენ თავს მოიკლავო უთუოდ. არა?“

თარაში ისევ დაემოწმა და ალშიბაიამ ისევ განაგრძო:

„და ბრძანა მეფე აეტესმა თურმე, უცხოელები მთელს კოლხეთში ამოეწყვიტათ. მაშინ ბერძნებმა მშვენიერი ლეგენდები შეთხზესო: კოლხეთის მეფეს აეტესს არეას საკურთხეველთან

ცეცხლისმფრქვეველი ხარები მიუბამსო, ხოლო ოქროს საწმისიან ვერძს გველეშაპი ინახავსო. არა?“

აქაც დაეთანხმა თარაში ალკოჰოლის ალმურმოდებულ შარდინ ალშიბაიას და ისევ დადუმდა.

შარდინმა იგრძნო, გული ერეოდა, ზეწამოიჭრა და დერეფანში გავიდა წამსვე.

კაროლინა ფანჯარასთან იჯდა და სდუმდა. თამარი დერეფანში იყო გასული.

„რატომ მოიწყინეთ, ფრაუ?“ ეკითხება თარაში.

„დიდი ხანია ექსპრესში არა ვმჯდარვარ, ჩემი ქალწულობის დრო მომაგონდა.

თქვენ ეს არ განგიცდიათ, ღამე ბნელ ოთახში წევხართ, მატარებლის კივილს შემოიტანს ქარი. გული აგიჩქროლდება, მოგინდება: გაჰყვე იმ მატარებელს ბნელეთის კიდემდის“.

კაროლინა დადუმდა, გეორგინებს ფურცლები წააცალა. დაწეწა. დაწეწა. პეშვი აივსო და ფანჯრიდან გადაყარა.

თარაშმა ფანჯრიდან გაიხედა. ოჩამჩირის შოსსეზე რამდენიმე გზის სატკეპნი როლლერი გუზგუზებდა.

„კოლხეთის ველებსაც შემოესიენ თუჯის ბეჰემოტები. მანქანები იერიშით მოდიან ამ მხარეზედაც, შავი ზღვის რკინიგზა სულ მალე შეუცვლის სახეს ოდიშს და აფხაზეთს. ამ ჭაობებს დააშრობენ, ამ ბზის ტყეებს გასჩეხენ. გზატკეცილები, რკინისგზები და ავტოები დააფრთხობენ ამ ტყეებში მიმალულ ნადირს, შეირყევა და შეიცვლება ჩვენი ხალხის ზნე-ჩვეულებაც და მანქანების ნასუნთქი დაამუქებს კოლხეთის ლაჟვარდოვან ცას“.

ამბობს თარაში.

* * *

ოჩამჩირიდან სოხუმამდის № კილომეტრია

იმ ხანად შავი ზღვის რკინიგზა მარტო ოჩამჩირეს სწვდებოდა, ამიტომაც ჩვენი გმირები ავტოში გადაჯდნენ.

შარდინი წამსვე იქ გაჩნდა, შოფერთან მოთავსდა (დახედეთ შარდინს, იგი ნელ-ნელა ითვისებს დიდკაცურ ზნეს!).

კაროლინას ეს ამბავი გაუხარდა. ახლოს რომ მომჯდომოდა, თავს წამჭამდაო ლაყბობით. ეს გზატკეცილი ზღვის კიდეს უახლოვდება ალაგ-ალაგ.

მხარმარჯვნით, დაბალ სერებზე ოდიშური ოდებია გამწკრივებული, მხარმარცხნით ზღვა მოსჩანს პირველჯეჯილისფერისა. ნარინჯის ბაღები და ველური, ციტრუსოვანი ხეები, მაგნოლია, დაფნა მარადჟამულ მწვანით ამკობენ ხმელს. თეთრად ნაგვირისტევი ტალღები ელამუნებიან ამ მშვენიერ ნაპირს.

ჩრდილო ჰორიზონტზე მწვანე ხავერდის მთები სთვლემენ რძისფერ ნისლებით თავდახურულნი.

მისრიალებენ ალვები, მაგნოლიები, დაფნის, ნარინჯის ბაღები.

ზანტი ტაატით მოდიან კამეჩის ურმები, კრიალა შავ თვალებს უბრიალებენ ლაფში გათხუპნულ ავტოს.

აფხაზი ცხენოსნები შემოხვდათ. ვაჟები წინ მიუძღოდნენ ცხენოსან ქალებს.

„ეს ქორწილში მიმავალი აფხაზებია“. (შარდინ ალშიბაია ამბობს).

ცხენოსნებმა მთისკენ იქციეს პირი, სოფლის შარაზე გაივაკეს, დამბაჩების სროლით მიაშურეს კორტოხზე მდგარ ოდას.

წითელ-ყვითელით მორთული ქალები კიბეზე ჩამოდიან. ლანდშაფტი შეიცვალა უცებ, ზღვის ფონზე გამოჩნდა მარტოხელა გემი.

დაკლაკნილი კვამლი ცისკენ მიემართება, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, უშველებელი ბაგირით ჰკიდიაო ეს ცისფერი გემი ნაპენტი ღრუბლებით მოგებულ ცაზე.

თამარი გატვრინული იჯდა. თარაშს წელზე შემოეჭდო ხელი, რადგან მანქანა არყევდა თამარს.

გემის დანახვაზე შიშს გამოსთქვამდა თამარი: ვაითუ დამარყიოსო ზღვამ. გამოტყდა: აროდეს ვმჯდარვარო გემში. კაროლინა გაოცდა:

„როგორ შეიძლება ასე ახლოს ცხოვრობდე ზღვასთან და აროდეს გემგზავროს გემით“.

„მართლაც საოცარია: ჩვენს ხალხს სავსებით არა აქვს ზღვის სიყვარული. ქართველ ტომებში ლაზებია გამონაკლისი. მე მგონია, — განაგრძო თარაშმა, — საერთოდ კავკასიის ხალხებს არ უყვართ წყალი, ეს რელიგიური კულტების ზეგავლენაა ალბათ. წყალში უამრავ მავნე სულებს გულისხმობენ. დასავლეთში მგზავრობისას ამჩნევ ადამიანი, თუ როგორ დახუნძლულია ზღვების, ტბების და მდინარეების კიდეები მობანავე ხალხით. ხევსურსა და სვანს ცხედრის გაპატიოსნებისას თუ დაბანენ ტანს“.

რევოლვერის სროლის მინაგვარი გრიალი გაისმა. თამარი შეკრთა. მანქანა შესდგა. კილასურის ციხესთან მივსულვართო.

შოფერმა ხუფი აჰხადა ავტოს. შარდინი ბავშვსავით შესცქერის მანქანის შინაგან მილებს.

ცხოველის ნაწლავებს არა ჰგავს ეს ტიალი?! გაიფიქრა, მაგრამ არ გაამხილა. მოტორი თუხთუხებდა, ნაციებსავით ცახცახებდა.

მგზავრები ძირს ჩამოვიდნენ, შოფერმა ქვეშსადგომზე შეაყენა მანქანა და ქოქვას შეუდგა.

თარაშ ემხვარმა ქალებს ხელი გაუყარა მკლავში.

ზღვის კიდესთან იწყება ქვიტკირის უზარმაზარი კედელი.

ხვლიკები დატანტალებენ სუროში.

„ამას აფხაზეთის დიდი კედელი ჰქვია, სათანჯომდის უწევდა იგი 100 კილომეტრის სიგრძეზე. ეს კილასური ყოფილა ოდესღაც საბერძნეთისა და საქართველოს საზღვარი. ვახტანგ გორგასალმა კეისრის ასული რომ შეირთო, მზითვად მიიღო ეს მხარე“.

განუმარტავს თარაში ქალებს.

„აქ რამდენჯერ გაგვივლია მე და თამარს, არ კი ვიცოდით, რა იყო, ხერიპსს ისტორია არ უყვარს, საერთოდ, არსად ისე ცოტა არ იციან წარსულის გამო, როგორც თქვენში, — ამბობს კაროლინა, — აქ ყოველ კლდეს წარსულის ბეჭედი ატყვია“. მცირე ხნის დუმილის შემდეგ:

„ალბათ თავი მოაბეზრა ისტორიამ თქვენს ხალხს“, — დასძინა კაროლინამ. ზღვა ოდნავ ირწეოდა.

ზვირთების ზედაპირი მობიბინე სათიბის დარად ირხეოდა. თეთრი გვირისტების ზოლი გარს ევლებოდა უსაზღვრო სილურჯეს, მწყურვალსავით ლოკავდნენ ტალღები ნაციხარის ხავსიან კედლებს.

თამარი ზღვას გასცქეროდა.

თარაშმა შეხედა სახეში: ეს სანახი მომეტებულ სილაჟვარდეს აძლევდა მის თვალებს.

„აქვე ყოფილა ოქუმელი შარვაშიძეების სასახლე. აგერ, ანწლნარში მოსჩანს კიდეც იმ სასახლის ბალავერები“.

თამარმა გაიღიმა, არა უთხრა რა თარაშს. შარდინი მოვარდა. მანქანა გაცოცხლდაო.

* * *

გაზაფხულის იერს ბადებდა ეს ზღვა, ეს ცა და სივრცეში მიმქროლავ მაგნოლიების, ნარინჯების სამარაგდული კიანთი.

აქა-იქ ჭადრის ხე გაიელვებდა მოყვითანო ფოთლების კრთომით და ეს მოოქროვილი წინწკლები აღვიძებდნენ საშემოდგომო სევდის ნამუსრევს.

* * *

სოხუმიდან ფოთამდის № კილომეტრია

სოხუმი ძლიერ გამოცვლილი ეჩვენა თარაშ ემხვარს. შუადღის 12 საათზე გადიოდა ფოთისკენ გემი „საქართველო“.

თამარმა ყველაზე უმალ იყნოსა ზღვის მარილის უსიამო სუნი. მეთოლიები ყიპყიპით დასტრიალებდნენ პორტს, მზე ერთ წუთში გაუჩინარდა რძეზე უთეთრეს ღრუბლებში. გაუჩინარდა და ისევ გამოჩნდა.

საოცარი ცხუნვარება დამყარდა მზვარეში. ჰაერი მძიმე იყო, მსუყე და დახუთული. თარაშ ემხვარს იამა, პირიქით, ზღვის სუნის ყნოსვა.

ადრია მოაგონდა, ხმელთაშუა ზღვა, და შორეული რეისები.

ვისაც ზღვის სენი არა სჭირს, უთუოდ გულს აუტოკებს ზღვის სუნი და გემის შეხედვა...

ზღვის სუნი და გემის შეხედვა... ხომ უდიდესი სიხარულის აღმძვრელია გემი?!. იგი სულ არაფრით ჰგავს სხვა რამ ეკიპაჟს.

გემის დანახვისას ალბათ ქაღალდის ნავი მოაგონდება ყოველ კაცს, თავგასართობად ჩაგდებული წყლის ნაგუბარში.

ალბათ ასეთი ბალღური სურვილი თუ მოსვლია პირველ ნაოსანს. ბავშვური სურვილი და თავხედობა...

ამას ფიქრობდა თარაშ ემხვარ.

დარდობდა იდუმალ: სულ ორიოდე საათის გზა წინ რომ ედო გემით სავალი (და გემით მგზავრობისას მას ფრიად უყვარდა

ზღვის კიბოების ჭამა, პილპილიანი კონიაკი და ოდისევის ხმამაღლა კითხვა).

ჰომეროსის ოდისევის „მეათე ქებას“ ფურცლავდა ზანტად.

„აიოლას მივაღწიეთ მერმე, იქ ცხოვრობდა სვიანი მეფე აიოლოს, ჰიპპიდეს ძე, ნაშიერი უკვდავთა ღმერთთა“.

როგორც კი სოხუმს გასცილდა გემი, მყისვე შეიცვალა ჰაერი. თალხი შეერია ღრუბლებს, აფხაზური ტალახისფერი.

და ცა?

ცა ისეთი გახდა, როგორც ნაწვიმარი წყალი კოლხურ ნიადაგიდან ამონაჟონი.

მწვანე. მთლად მწვანე. უფრო მეტი: ვასაკასფერი.

და მერმე დაინგრა დასავლეთისკენ დაყორებულ ღრუბლების ბასტიონი.

წვიმის მუქარა მოიტანა სუბუქმა ბორიომ. და წამოვიდნენ დასტა-დასტად შავლეგო ღრუბლები... გადაეფოფრენ ვასაკისფერ ზეცის მუზარადს.

...

თარაშ ემხვარ ბაქანზე იდგა...

ბალღებრ აღტაცებული შესცქეროდა ზღვის ფერთა თამაშს.

გემის მარქაფად მოდიოდნენ ზღვის დელფინები. ხანაც მედუზა იელვებდა მთლად სისხლისფერი. გემი გუზგუზით მიდიოდა და თავის ნავალზე რძისფერ შარას უკან სტოვებდა (ნაურმალის მისამგვანებელს). იმატა თვალწინ ზღვის სარკის რწევამ (ბერძენ ავტორებს თავის დროზე ჩაუწერიათ, რა მუხანათი ზღვა ყოფილა პონტოს ევქსინოს!).

საწყალობლად აჭრიალდნენ გემის ანძები. ძლიერ უყვარდა თარაშ ემხვარს ეს მოულოდნელი ზღვისა წახდომა.

პოსეიდონი დაიძრება ქვესკნელეთიდან... გაშოლტავს ზღვას და შეიქმნება სტეპის მინაგვარ ტრიამელ ფონზე აბობოქრებულ

ტალღების დოღი...

გოგვით და როკვით წამოვლენ ზვირთნი და აზვავდებიან. აზვავდებიან...

და მერმე მთები, საძირკვლიდან ამოგდებულნი, გემის ბაქანზე გამართავენ ნამდვილ ოთურმას.

ასე დაიწყო იმ დილასაც შავი ზღვის ღელვა.

თარაშს სახეზე ესხმებოდა ტალღის ნაშხეფი. გრძნობდა: ნელ-ნელა სველდებოდა ტანისამოსი. იდგა და თვალში შეჰყურებდა ზღვას, „უმიზეზოდ“ გაგულისებულს.

შარდინ ალშიბაიამ ამოჰყო თავი. იგი ქათმის კუჭსავით გალურჯებულიყო, პლანტატორის ქუდი განზე მოქცეოდა, მოტვლეპილ თავზე წამოსკუპებული.

თამარი ავად გახდაო?

* * *

კაიუტაში მიბრუნებულ თარაშ ემხვარს ასეთი სურათი დაუხვდა:

თამარი პირქვე იწვა, კვნესოდა, თათია სტიროდა, კაროლინა ზედ გადაფოფრებოდა.

გაქარჩხულ სახლსავით კაკუნებდა მთელი კაიუტა.

ღუზის ჯაჭვის უხიაგი რახრახი ისმოდა სარკმლიდან. რაკრაკებდა კედელზე მიკრული გრაფინი.

ტოკავდა კაიუტის შუაგულში მდგარი მაგიდა. თაროებიდან ძირს სცვიოდნენ ჩემოდნები და ქუდები...

თარაშმა კაიუტის სარკმელი მაგრად გადარაზა, რადგან წყალი შემოესხა ტალღას.

თარაში გულშემოყრილი დაბორიალებდა.

ხან თამარს ასუნთქებდა პიტნის წვეთებს. ხან პატარა თათიას

დახედავდა. კაროლინას შეეხმიანებოდა. თათია ისე ტრაგიულად განიცდიდა ზღვის რწევას, როგორც მიწისძვრას მოზრდილი...

პანიურად გაგანიერებოდა თვალის უპეები. სტიროდა, ხელფეხს ასხმარტალებდა.

თარაშ ემხვარ კაიუტიდან გავიდა. დერეფანში შარდინ ალშიბაია წაქცეულიყო. მის მიერვე ნარწყევში გორავდა პლანტატორის ქუდი.

* * *

„აი, აქ, რიონის შესართავთან მოადგა ხმელეთს არგონავტების გემი. უეჭველია, მაშინდელ კოლხებს გაცილებით უფრო დიდი კულტურა ჰქონდა, ვიდრე... ძველ ბერძნებს“, — ეუბნება თარაში კაროლინას, ფოთამდე ორიოდე ინგლისური მილი უკლდათ, როცა ღელვა ჩადგა. მზემ გამოიჭვრიტა, დაფლეთილ ღრუბლების თექამოსხმულმა. თარაშმა ქალები ბაქანზე ამოიყვანა. ჩრდილოეთისკენ ხელს იშვერს თარაში.

„ეგერ ექსკავატორებს ხომ ხედავთ, ისინი ნაბადას წყალს აფართოვებენ. რიონი იქ უნდა გადააგდონ. ნარიონალში ზღვას შეუშვებენ. ის შავი ზოლები ფოთის გარშემო... შავ ზოლებს ხომ ხედავთ, ეს სულ ლისია. გაუვალი თხმელის ტყეები.

ლაქაში. გაუვალი ჭოჭყო და კოღოების მეტროპოლია“. ლაღუმების გრიალი ისმოდა. თათია ცახცახებდა წამდაუწუმ.

„იქ რამდენიმე ათეული ათასი ჰექტარი ლაქაშს, ჭაობსა და ხაიას უჭირავს. ვინ იცის, ეგებ აქ ახვნევინა მეფე აეტესმა იაზონს ცეცხლისმფრქვევი ხარებით მიწა და ვეშაპის კბილები ათესვინა ყამირზე.

ბევრჯერ მინადირნია იმ ჭაობებში.

მალტის და მაროკოს ჭაობები მონაგონია მათთან, აქ არის

კოლხეთის ჭაობების სათავე. ამას წინად ე მანდ, შავი ტყე რომ მოსჩანს ზღვის პირად, შვიდი კაცი ვნადირობდით. დილის 10 საათზე ამოვარდა ზღვაური. ის ზღვაში შეჭრილი ნიადაგი ტორფიანია — ტყის ნიადაგს ქვემოდ წყალია, ზღვის წყალი, კეფალები და ზუთხები დასცურავენ და ზევით ჩვენ ვნადირობთ მშველზე. ორ საათში მთელი ფოთი და მისი სანახები დაფარა წყალმა, შემდეგ იმ ტყესაც ირგვლივ შემოადგა. ენით უთქმელი ამბავი გადაგვხდა. ამ თხმელნარებში დღესაც ათასობით იპოვნით მშვლებს. წყლისაგან დაშინებული მშვლის ჯოგი ე მანდ, კორტოხზე მოგროვილიყო.

ერთი თეთრი მშველი ერია მათ შორის“.

„განა მშველი თეთრი იქნება?“ შეეკითხა კაროლინა.

„ეს უნიკუმია ბუნებაში. მაგრამ ერთი თეთრი იყო. ბამბასავით თეთრი, მე არასოდეს დამავიწყდება, თუ როგორ მომეხუტა კისერზე ეს მშვენიერი ცხოველი. ამაზე ლამაზი არაფერი მჭერია ხელში.

ღმერთო, როგორ ცახცახებდა!..

მიწაზე არასოდეს მინახავს მასზე უფრო კეთილშობილი ცხოველი. და მისი თვალები... თავათ სათნოება იყო, ხორცშესხმული სათნოება“.

„მერმე არა გრცხვენიათ, ასეთ ცხოველს თოფს რომ ესვრით?“ — ეუბნება თარაშს თამარი.

იმ დღიდან მე არც კი მინადირნია მშველზე. ახლა მისი სიკვდილი იკითხეთ? ბალღსავით სტირის ბედშავი. ცრემლებს ღვრის. არ ვაჭარბებ, მართლაც ცრემლებს ღვრის. და მერმე ღიად დარჩენილ თვალებით შემოგცქერის, თითქოს გაყვედრის, რად მომკალიო?“

ისევ გაისმა ლაღუმის გრიალი... ეს უკვე ძლიერ ახლოს იყო. თამარი და კაროლინაც შეაკრთო ამ გრიალმა.

„ამ ჭაობებს ახლა ყოველი მხრიდან მოსდგომიან ექსკავატორები. მრავალი ათასი კაცი ებრძვის მათ. კანალებით დასერილია ეს ლაქაშების ველები.

ამ ჭაობებს დააშრობენ და გაუვალ ტყეებს დასჩეხავენ. და ამოწყდება მშვლის ჯოგები მანდ ბინადარი“.

* * *

ფოთიდან ტფილისამდის № კილომეტრია

ფოთში მზე პირს იბანდა. მზიანი იყო, მაინც სწვიმდა.

„აქაური წვიმები ძლიერ წააგავს ინდოეთის სეზონურ წვიმებს. ჰაერიც როგორ დახშულია, მდორე და მსუყე. ნამდვილი სუბტროპიკაა“, — ამბობს თარაში.

ეტლი უილაჯოდ მიჩაქჩაქებს პროსპექტზე.

„ამ პალმების დარი პალმები მალაკკაში იცის, მხოლოდ მალაკკაში. წყლის ნაგუბარს დახედეთ. მთლად მალაქიტისფერია, ხვლიკისფერზე უფრო მომწვანო, თამარის თვალების ფერისა“.

თამარმა თარაშს შეხედა, გაიცინა.

„არა, თამარის თვალები უფრო მოლურჯოა, მაგრამ არც ისე მრუმე ლურჯი“.

შარდინ ალშიბაია ვეღარ ეტეოდა ეტლში, ახლად დარგულ ნარინჯებისა და გრეიპფრუტების ბაღნარებისაკენ იცქირებოდა.

„აფსუსი არაა, ასეთ ქვეყანაში თხმელას, სიმინდს და ანწლს რომ ეკავოს მთელი ფართობი“.

„ეგერ ეზოში ტიულპანის ხეები დაურგავთ, იტალიური ლეღვი, ეჰე, იაპონური მუშმალა, კაუჩუკის ხე, ამერიკული აგავა“.

ეტლი ლაყლაყებდა... კაროლინა იცინოდა...

„ევკალიპტი... ქონის ხე... ქინაქინა... ქინაქინა“... მარიონეტსავით ხტოდა ეტლში შარდინ ალშიბაია.

თამარიც ვერ იკავებდა სიცილს, რადგან შარდინ ალშიბაიას ჯერაც ვერ შენიშნა: პლანტატორის ქუდი როგორ გაზინთულიყო ნარწყევისაგან.

„ქალებო, თუ გშიათ, იმ რესტორანთან გავაჩერებ ეტლს“. სთქვა თარაშმა.

„მე ჯერაც არ გადამსვლია გულისრევა, ჩემს დღეში გემში არ ჩავჯდები“. მიუგო თამარმა.

თარაშმა გაუღიმა, თამარის მუხლები მისას ეხუტებოდა.

ეტლი რახრახით მიდიოდა ოღროჩოღრო ქვაფენილზე და მათი მუხლები უფრო მჭიდროდ ეკვროდნენ ურთიერთს. თარაშს ეს სიამოვნებდა.

მეეტლეს უბრძანა: სადგურისაკენ წადიო.

ახალნაწვიმარზე უსიამო ოხშივარი აყოლოდა ამ ფანტასტიურ ვეგეტაციას. ორთქლის აბანოს სუნი იდგა გარშემო. დამპალი ციების, დამპალი წყლისა და ობის სუნი... უნებლიედ თვალს ხვდება სახლების კედლებზე მოდებული მომწვანო ხავსი. ცეილონში ამ სუნის გასაქარვებლად საკმევლის ხეებს სწვავენო ქუჩებზე. სთქვა თარაშმა.

თარაშს თვალი რჩებოდა მარაოს პალმებისკენ, ნარინჯის ბაღებს გასცქეროდა იგი სიამით. ნაყოფით დახუნძლული ტოტები საცოდავად გადრეკილიყვნენ, ნაადრევად დაორსულებულ ქალწულებს ჰგავდნენ ისინი, დარცხვენილთა და წელში გაზნექილთ.

„რიონზე 140 ხიდი დახვედრია სტრაბონს. აეტე მეფის დროს ჰყვაოდნენ ქალაქები: ფაზის, ჰერაკლეა და დიოსკურია. არგონავტების მითი ბერძნების დიდი თავდასხმის გამოძახილი იყო უთუოდ“.

შენიშნა თარაშმა.

„კოლხიდმშენის“ საცდელ სადგურთან გაიარა ეტლმა. შარდინ ალშიბაია ისევ ხტოდა:

„სელი, სელი... რამი... რამი... ევკალიპტი... გრეიპფრუტი, გრეიპფრუტი“.

„ამ მინდორზე ბურთს ვთამაშობდით ამ ოცი წლის წინად ცოლიანები და უცოლონი, პირველმაისობას“.

იგონებს შარდინი.

„შარდინს თავისი წლოვანება გაამჟღავნებინა საცდელმა სადგურმა“. ჩასჩურჩულა კაროლინამ თარაშს ინგლისურად.

თარაშს და შარდინს უნდოდათ ეტლი გაეჩერებინათ და ახლად დარგულ სანერგესათვის თვალი გადაევლოთ. მაგრამ კაროლინა შეყოყმანდა: ვაითუ კოღომ უკბინოს თათიას.

ნატრობდა: მალე გავეცალოთ „კოღოების სატახტო ქალაქს“.

შარდინ ალშიბაია არწმუნებდა: კოღოს ბატონობას ბოლო მოეღოვო. უკვე პალიასტომის ტბისკენ მიიმწყვდიესო ეს „სისხლისმსმელი მხეცი“, მაგრამ კაროლინა უარზე იყო. ასეთ ქალაქში მოსკიტოს ბადეებით შეიარაღებული უნდა დადიოდესო ხალხი.

განსაკუთრებით თათიას გამო ეშინოდა კაროლინას. მატარებელში რომ ჩასხდნენ, თათია ძლიერ გაჭირვეულდა. ფანჯრიდან გამომახედეთო, ევედრებოდა დედას, მაგრამ სანამდის ფოთს არ გასცდა მატარებელი, ვაგონის ფანჯარა არავის გაუღია.

შარდინი სადღაც გადაიკარგა. ნამთვრალევზე მადა მოსვლოდა. ამიტომაც არ სცილდებოდა ვაგონ-რესტორანს იგი.

მატარებელმა ტეხური გადაიარა. ნეტავ ძველბერძნულ ტეხორადან თუ არის ეს სახელი? ფიქრობდა თარაში. მდინარე გადასულიყო.

აბაშის რკინის ბურჯებს მედგრად ებრძოდა წყალი.

„აქაური მდინარეები უეცრად აზვავდებიან ხოლმე, — ამბობს თარაში.

როცა არაბთა მთავარსარდალი მურვან ყრუ გადასულა აბაშაზე, რამდენიმე ათასი კაცი დახრჩობია წყალში“. თამარი ადგა,

კუპედან გავიდა.

თარაშმა ამ მგზავრობის დროს შეამჩნია: თამარს არ მოსწონდა, როცა თარაში ინგლისურად ან ფრანგულად შეესიტყვებოდა კაროლინას. საერთოდ, მას ამ ხნის განმავლობაში განზე ეჭირა თავი.

„შარდინი ისევ მთვრალია, აქ შემობორიალდა, კონდუქტორმა დაითხოვა. რბილი ვაგონის ბილეთიც ვერ უშოვნია, კარგია, გზაში მაინც მოგვასვენებს“. იცინოდა თამარი.

თარაშმა შეამჩნია, რაღაც უთქმელი დარდის ჩრდილი მიჰფენოდა მის სახეს. თარაში თამარის გვერდით იდგა, ფანჯრიდან გასცქეროდა წერებს, თხმელნარებს, რიკულებიან მეგრულ ოდებს, ბოსტნებს, ბაღებს და ხვადაბუნებს. მატარებელი ირყეოდა და თამარის მხარი მისას ეხებოდა და ამ უეცარი შემოხლისაგან ღელავდა ვაჟი. თარაშს შემჩნეული ჰქონდა: გემში და მატარებელში იგი განსაკუთრებით მძლავრად განიცდიდა სქესობრივ აღტყინებას.

წამდაუწუმ თვალს მოსწყვეტდა ლანდშაფტს, მზერადქცეულ თამარს თავ-კისერზე თვალს შეავლებდა და უცნაური გულისტკივილი ხდებოდა საცნაურ.

თამარი ტფილისს მიდიოდა... მიდიოდა და მისთვის დაიკარგებოდა სამუდამჟამოდ. და ამ წუთში მისგან მიმავალი თამარი ისე საყვარელი იყო და ძვირფასი...

სწუხდა: კაროლინა ტფილისს არ წამოსულიყოო ნეტავი.

თამარისაგან მხარმარცხნივ მდგარმა მარჯვენა მხარზე დაადო ხელი.

ელოდა: თამარი ჩვეულებრივად მოიცილებდა მის ხელს. თამარი თითქოს ვერ ამჩნევდა ამას. და როცა მატარებელი უფრო ძლიერად ატოკდა, თამარმა ეს შენიშნა: მათი სხეულები მკვრივად ეხებოდნენ ურთიერთს.

კუპედან კაროლინა გამოვიდა, გვერდით ჩაუარა, კონდუქტორს დაუძახა და კუპეს კარი გაიხურა.

თამარმა ნაზად წაავლო ხელი თარაშის ხელს და მხარი გაინთავისუფლა. თარაში მაინც ეკვროდა მხარზე მხრით. მცირე ხანს უსაზმნო რამეს უამბობდა და ვნებისაგან ისე აღრეულიყო, თავათაც გრძნობდა: ენა უბორძიკებდა, გრამატიკული ლაფსუსებიც მოსდიოდა ენაარეულს.

ხუმრობით, ლაღბობით უთხრობდა არგონავტების კოლხეთში მოსვლის მითს, იაზონის მიერ მედეას მოტაცების ამბავს. უეჭველია, კოლხეთში იყოო აიას კუნძული. აქ ყოფილაო მითიური კირკე.

მერმე უამბო თამარს, თუ როგორ გაუმართა აეტეს მეფემ ნადიმი იაზონს. უნდოდა ბერძნები დაეთრო და გემი არგო დაეწვა იდუმალ. აქ კი აფროდიტემ ვნებით აღაგზნოო აეტეს, თავისი ცოლი ევროლიტე მოანდომა და ჩაუშალაო მეფეს უცხოელების გაჟლეტის გეგმა.

თამარს არაერთხელ გაუვლია ამ გზაზე. მაგრამ აროდეს დაფიქრებულა ამ ამბების გამო. ნაუბარმა ფრიად გაიტაცა იგი.

არც კი შეუმჩნევია: თარაშ ემხვარს წელზე მოეხვია მისთვის ხელი. მგზავრები დერეფანში მიმოდიოდნენ. თამარმა ხელახლა წაავლო თარაშის მაჯას ხელი და ისევ ჩამოიცილა. მატარებელი რომელიღაც სადგურზე შეჩერდა.

„სიმინდი, ჭყინტი სიმინდი“. ყვიროდნენ ფეხშიშველა ბიჭები.

„მაყვალი, მაყვალი“, ისმოდა ქალური წვრილი ხმა.

გრძელწამწამებიანი ბიჭუნა იდგა საერთაშორისო ვაგონის გასწვრივ. წნელისაგან მოქსოვილი ბუდე ეჭირა ხელში მაყვლით სავსე. სწორი და გრძელი ფეხები ჰქონდა ამ ბიჭუკელას, ეკლებისაგან მთლად დაკაწრული. თავზე ჭილის ქუდი ეხურა, სიმეტრიულ რომაულ ცხვირზე სირსველა მოსდებოდა.

იდგა ტანწყობილი და პირმშვენიერი, მაყვალი, მაყვალიო, იძახოდა მოკრძალებულად. თარაშმა მანეთიანი გადაუწოდა, თუმცა არც თამარს და არც მას მაყვალი არ მონდომებიათ ვაჟმა მაყვალი მიაწოდა. ახლა თარაშს მისი შუბლის დანახვა მოუნდა.

„აბა ერთი, მოიხადე მაგ ჭილის ქუდი“, შეევედრა იგი მაყვლის გამყიდველს. ბიჭუნას სიწითლის ალმური მოედო ღაწვებზე. აენთო და პასუხი არ გასცა. ღველფსავით ბზინავდნენ წაბლისფერი თვალები.

მატარებელი დაიძრა და თარაშმა იდროვა, სამმანეთიანი გადაუგდო. ბიჭი აიმღვრა. ვერ გაეგო: ზედმეტი ფული რად გადაუგდეს მას?

იდგა და დასჩერებოდა ფულს.

„ქუდი რომ მოეხადა, უთუოდ არ მისცემდი, არა?“ შეესიტყვა თამარი თარაშს. თარაშმა გაუღიმა. თვალებით ამცნო, არ მივსცემდიო.

„სიმინდი, სიმინდი, ყურძენი, ყურძენი“...

„სიმინდი, სიმინდი“, ყვიროდნენ ბალღები. ჟივილით მისდევდნენ მატარებელს.

კაროლინას მივხედოთო, ჩაილაპარაკა თარაშმა, მაგრამ თამარმა ყური არ ათხოვა. იგი გულმოდგინედ უჭვრეტდა ლანდშაფტს.

მატარებელი აჯამეთის ტყეში შედიოდა. მზვარეში სთვლემდა შეყვითლებული მუხნარი.

ვაგონის მხლებელმა გაიარა, თარაშმა ხმადაბლა უთხრა: ჩემი კუპე გააღეო. თამარს მკლავში წაავლო ხელი და საერთაშორისო ვაგონის კუპეში შეიყვანა.

თამარი გულჩათხრობილი იყო, გულზვიადი ამპარტავნობა ჯერაც არ მოეშალა. იგი პირველად ხედავდა საერთშორისო ვაგონის კომფორტაბელურ კუპეს. თამარს უყვარდა კომფორტი.

თვალებგაბრწყინებული შესცქეროდა წითელ ხისგან ნაგებ კარებს, ფანჯრების რაფებს, პატარა კარადას და კრიალა სარკეს კედლისას.

და სარკეები განუზომლად უყვარდა თამარს, ოცნებობდა კიდევაც იდუმალ: თუ ოდესმე გავმდიდრდი, ჩემ საწოლ ოთახს მთლიანი სარკის კედლები უნდა ექნესო, წითელი ხის რაფებით დამშვენებული, ეუბნებოდა ერთხელ ძაბულის.

ბავშვსავით მოსწონდა ეს რბილი, ხავერდგადაკრული სავარძელი და სპილენძის ვარვარა რაზები და სახელურები.

კარგიაო ასეთი კუპე გქონდესო კაცს საკუთრად და მთელი ქვეყანა ამნაირად მოიაროო. ეს გაიფიქრა თამარმა და არ კი გაუმხილა თარაშს.

თარაში კუპედან გავიდა. თამარი ადგა. სარკეს მიადგა. ქუდი მოიხადა. თმები გაისწორა.

მოეწონა საკუთარი თავ-კისერი. საკვოიაჟი გახსნა და პომადა წაიცხო ტუჩზე, თუმცა თარაში მუდამ უშლიდა, ტუჩებს ნუ იღებავო, ეს პარიზელი დემიმონდენების მიერ მოგონილი მოდააო.

და როცა რბილ სავარძელში ჩაჯდა ისევ, ეუცხოვა, რათ შემოვყევიო ვაჟს მარტოკა კუპეში და იდუმალი მღელვარების მისაჩქმალავად ფანჯარა ზეასწია და აჭარის ზურმუხტის მთებს შეტყორცნა მზერა.

გამჭვირვალე ბურუსში სთვლემდა თოვლის ზოლებით შემკული ქედი. და გადმოღმა ჯერ კიდევ მწვანითმოსილ ველებზე თვალის მომნუსხველად იხატებოდა ვენახების, ყანების კუბოკრული მონახაზები, ოქროს, ძოწის და სამარაგდის ფერები ელავდნენ უბადლო მხატვრობით შესრულებულ ლანდშაფტების რიალში.

თარაში კუპეში დაბრუნდა.

თამარმა ზეახედა.

გრძლად ეჩვენა ორიოდე წუთი თარაშის მიერ დერეფანში დაყოვნებული. კაროლინასთან ხომ არ შეუვლიაო? გაიფიქრა, მაგრამ ეს უთხრა გამოსაცდელად:

„ნეტავ თათია ხომ არ ჭირვეულობს?“

„როგორც სჩანს, სძინავთ, კუპეს კარი დაკეტილია“. მიუგო თარაშმა. ისევ შესდგა მატარებელი და ისევ მოისმა ბავშვების ძახილი: „სიმინდი, სიმინდი... ყურძენი, ყურძენი“...

და ეს ძახილი იდუმალი სიხარულით ავსებდა თარაშის გულს. ამ ბავშვების პირით ხელხვავიანი საქართველო გაჰკივის თავის სვებედნიერ რთველების სიჭარბეს.

და ვაგონის ფანჯრის გასწვრივ, გორმახებზე შეფენილ ვენახებსა და ყანებში, ნაქურჩალს აცლიდნენ სიმინდს, ფეხშიშველა მამაკაცები სწურავდნენ ყურძენს და ქვევრების, ჩაფების კიდეებს ებრძოდა ახლად დაყენებული შუშხუნა მაჭარი.

სულ ახლოს ხედავდნენ ისინი ოდების ჩუქურთმიან აივნებს, ღრუტუნა წისქვილებს, ძველებურ ჭიშკრებს და ოჩოფეხიან ნალიებს, აკიდოებით დატვირთული ბავშვები დაცუნცულებდნენ სადგურების ფარდულების მახლობლად და ისმოდა ბავშვების ხორალური ჟივილი:

„ყურძენი, ყურძენი, ყურძენი“...

თარაშ სიამით უმზერდა ჭვრეტით გართულ ქალის პროფილს, აგონდებოდა რატომღაც ცხრაწლიანი თამარი. ეს იყო მხოლოდ, ამ თამარს რაღაც გაუმხელელი დარდი ეტყობოდა მზერაში, თვალის და ნიკაპის გარშემო, ქცევაში, ხმაში, მხრისთავების მონახაზებში. და სავსებით უეცრად გულზე შემოაწვა სურვილი, როგორმე შეეცნო ქალწულის იდუმალი დარდი.

და მის გონებაში იელვა საგაზეთო ქრონიკის ცნობამ: ზრახვების ამომკითხავი მოუგონიაო ვიღაც მეცნიერს. ეს აპარატი ინატრა თავის გუნებაში.

და მერე მხარზე დაადო მარცხენა. ხოლო მარჯვენათი თამარის ორივე ნაწნავი ხელში აიღო, თამარმა მოიხედა ნაღვლიანი თვალებით და ისევ ფანჯრისკენ მიიდრიკა კისერი. და მაშინ თარაშმა იდროვა და ორჯერ აკოცა მძიმედ დაგრაგნილ ნაწნავებზე.

უბიწო ქალწულის თმების ნელსურნელება შეიცნო, მერმე ხელიდან გაუშვა თმები და აკოცა კეფაზე სწორედ იმ ადგილას, სადაც ნაწნავების სათავე იყო.

თამარი უკან მოუხედავად განაგრძობდა ჭვრეტას. თარაშმა კიდევ აკოცა ნაწნავებს. გაოცდა: თამარი აღარც იგერიებდა ალერსს. ისევ აიღო ხელში ნაწნავები, თითქოს სიმძიმეს სინჯავსო ხელით. მერმე გადაიხარა ქალისკენ და აკოცა ზედიზედ ყვრიმალში და ყურის ბიბილოზე.

ელდენსავით მოედო ჟრუანტელი ქალს.

მობრუნდა უეცრად და პირდაპირ შეაშტერდა ვაჟს, თითქოს რაღაც საშინელისა და უცნაურის მოლოდინშიაო. ელექტროს შუქი მომეტებულ სიმკრთალეს აძლევდა მის სალუქ სახეს. თარაში შედრკა ოდნავად და ელლენ რონსერს მიამსგავსა თამარი ამ წუთში.

„რა გინდა ჩემგან, თარაშ?“ ამბობდა თამარი და ატოკდა მისი ოდნავ ამობორცვილი ზემო ბაგე.

და ამ ხმაში თარაშმა სასოწარკვეთილის მუდარა შეიცნო.

„შენი სიყვარული“. მიუგო თარაშმა შეშფოთებულ ქალს.

სავსებით უძლური და გაცვეთილი ეჩვენა ეს სიტყვა და ხელი შეაშველა სიტყვას (ლოყაზე მოუცაცუნა ხელი, თმები გადაუწია ყურის ქვემოდ ჩამოწეული, მომშვილდული, ამაყი წარბები გაუსწორა...) და ხარბი მზერით შეხედა ტუჩის კუთხეებში ნაჩრდილევსავით მიმდგარ პაწია ულვაშის ბუსუსებზე. კოცნა მოუნდა, მაგრამ თავი შეიკავა. ისევ აიღო ორივე ნაწნავი ხელში. შემოგრაგნა მთელს თავზე ორკეცად. ორივე ხელით ეჭირა თამარის თავი და

თვალებში შეაცქერდა.

თამარი სდუმდა მღელვარებისაგან გაფითრებული სავსებით. არც ერთი კუნთი არ ტოკავდა მის სახეზე. და მოაგონდა თარაშ ემხვარს რომელიღაც ჰინდური ღვთაება, ფერგამკრთალი, მარმარის ღმერთი თავკისერზე გველებით შეგრაგნილი. მშვიდი სახე ჰქონდა ამ წუთში თამარს, მშვიდი, მაგრამ არა სათნო.

იჯდა წელგამართული, გაფითრებული, განსაცდელს უცნაურს მოელისო თითქოს.

აენთო თარაშ ემხვარ ამ ამაყი ქალის ჭვრეტისას, შემოეჭდო კისერზე ქალს. მაგრად ეჭირა მისი თავ-კისერი ორივე ხელში, უკოცნიდა თვალებს, შუბლსა და ლოყებს და გახელებული ვაჟი ნაჩრდილებიან კუთხეებს მისწვდა ტუჩისას.

და თამარმა იგრძნო: ხელები უთრთოდა თარაშ ემხვარს, გაცხელებული, გრძელი ხელები... და თავათაც ცახცახებდა ქალი.

ზემო ტუჩი აუტოკდა თამარს, თვალებში სისველემ იელვა.

თარაშმა სთხოვა, საყვედური არ დასცდენოდა და მაგრად მიიხუტა მისი თავ-კისერი.

დიდხანს, დიდხანს ისხდნენ ასე მდუმარედ ორივენი. თარაში გრძნობდა თამარის ნიკაპს მის მარჯვენა მხრისთავზე დაბჯენილს და მერმე შეიცნო: ყვრიმალის არეში უცნაური სისველის ჟონვა.

სინათლისაკენ მიუდრიკა თავი. სტიროდა თამარი, უმწეო ბალღური ცრემლები მოწანწკარებდნენ ლოყებზე. სადღა იყო შარვაშიძის ქალის სიამაყე, ან მარმარისებრი სიცივე და უკარებლობა?

წელში მოდრეკილიყო ოდნავ, მხრებისთავები ძირს დაშვებოდა. და მთელი მისი სხეული განუსაზღვრელ სილბოდ და სიტფოდ ეჩვენა თარაშს. მჭიდროდ მიიკრა გულმკერდზე ქალი. ჰკოცნიდა ისევ ყვრიმალში, ყურის ბიბილოზე და ბუსუსებიან ტუჩის კუთხეებში. იქ, სადაც მისი პაწია ულვაშები იწყებოდა და წყდებოდა.

ენამოჩლექილად ეალერსებოდა, ტირილის მიზეზს ეკითხებოდა, ათას საალერსო სახელს უძახოდა მრავალ წელს გულში ნატარებს იდუმალ.)

„თათიას“, „თამოს“, „თამუნიას“, „თათუშას“ და „თათუშელას“ და თავის საყვარელ ცხოველებს ადარებდა თამარს (და თარაშ ემხვარ ყოველ ძვირფას ადამიანს ცხოველებს ადარებდა ინსტინქტურად).

„შემიბრალეო“, ეხვეწებოდა თამარი და თანაც წინააღმდეგობაზე აეღო ხელი. გულამომჯდარი სტიროდა, ცახცახებდა და ცრემლები ესკვნებოდა ნიკაპის ქვემოდ.

თარაშმა ხელები შემოხვია თამარს, ხელში აიყვანა ქალი და ამ წუთში მოაგონდა ის თეთრი შველი, სიკვდილისაგან დაფეთებული რომ ცახცახებდა და თავის ჯიშის გადარჩენას ევედრებოდა უტყვი შველური თვალებით.

თარაშმა სარკესთან მიიყვანა ქალი, აკოცა სარკის წინ და მერმე ისევ სავარძელში ჩააწვინა.

მატარებელი მიჰქროდა ისევ, თითქოს განზრახ უმატაო ქროლვას.

„ყურძენი, ყურძენი, ყურძენი“... შემოდიოდა დაბნელებულ ფანჯრებიდან ბავშვების ძახილი. ჰკოცნიდა თარაში თამარის გაცხელებულ ლოყებს და ტუჩებს.

ერთბაშად ნავთის და მაზუთის სუნი შეიცნო. მიხვდა: ტუნელში რომ შევიდა მატარებელი. მარცხენა ხელი გაიწვდინა ფანჯრისკენ თამარის გვერდით მხარმარჯვნივ მწოლარემ. ავტომატური ფანჯარა ძირს დაეშვა რახუნით. და მერმე გაუხსნა თამარს სანახევროდ მოღეღილი ლიფი, შეხედა მის თეთრსა და მკვრივ ძუძუებს. შეხედა ელექტროს შუქზე მოელვარეთ და აკოცა ზედიზედ.

ისევ ზეასწია თარაშმა თავი, თამარის გულმკერდს შეავლო

თვალი, ვნება წაეკიდა კვლავ და გახელებული მივარდა, ჰკოცნიდა ძუძუებს, კისერს, ყვრიმალს და ბუსუსებიან კუთხეებს ტუჩისას. მაგრად იხუტებდა მკერდზე თამარის სალუქსა და ტფილ სხეულს. თრთოდა თამარის ტანიც, თითქოს ერთსხეულებად გახდომა მონატრებიათო ქალსაც და ვაჟსაც. და სავსებით მოულოდნელად ჩაქრა ელექტროს სინათლე...

თავი გადაიგდო ბალიშიდან თამარმა, მაგრამ გახელებულმა ვაჟმა მოძებნა ტუჩები ბნელში, დააცხრა ვნებამორეული, გააფთრებული ჰკოცნიდნენ ურთიერთს, თითქოს ემხვარის ვაჟი და შარვაშიძის ქალი საუკუნეთა მტრობას კოცნით უპირებდნენო ჩაქრობას.

და მიმქროლავ მატარებლის გრიალში უეცარი კივილი გაისმა, ქვესკნელის კიდესთან მიაგდესო თითქოს, მერმე აისვეტა ბნელში ქალის ზემო ტანი, „სისხლის მაძიებელ“ მამაკაცის მტკიცე მკლავებიდან გასხლტომას შეეცადა, მაგრამ ისევ დაენარცხა ძირს თამარის რბილი და ტფილი სხეული და ერთბაშად ისევ მიენდო ვაჟკაცს. და ორივემ შეიცნო მყის: ბნელეთის უბეში მიაქროლებდა მათ ბედნიერების წრესგადამცდარი ეტლი...

რელსების ჟღარუნი მოესმათ. ტუნელის შუაგზის სიგნალი.

„მისოუსტ, სადა ვართ ნეტავი?“ შეესიტყვა თამარი თარაშს.

თარაშმა პასუხის ნაცვლად აკოცა ტუჩებში ნაზად. დროის და სივრცის გახსენება ეზარებოდა.

და მატარებელი მიჰქროდა ბნელში, არგათენებას ნატრობდნენ ორივენი გულში...

* * *

ფანჯრიდან სინათლე შემოკიაფდა. თარაშმა მაჯის საათს დახედა. 11-ს უჩვენებდა ისარი. თარაშმა მომწვანო შტორები ზეასწია.

ისეთი ხასხასა სინათლე შემოიჭრა, როგორც ქართლის ზეგანს სჩვევია ტაროსში.

მაღალი ფაიფურის ცა თავს წამოდგომოდა ქვეყანას. მყინვარი ალანძულიყო თოვლიან მასტოდონტების ქეჩოზე. კავკასიონის ვარვარა ქედები გარბოდნენ უსაზღვრო სივრცეში.

თარაშ ემხვარ იზმორებოდა ნეტარებით დამტკბარი. ასე ეგონა, ახლად ვშობილვარო ამქვეყნად. ეალერსებოდა მის მზერას ამ ცის თვალშეუდგამი სილურჯე და კავკასიონის იგავმიუწვდომელი მშვენება.

ფოლადისფერი ქართლური ლანდშაფტი ელავდა სარკმელში. ქედანისფერი, მზისფერი, ზღვისფერი.

ქარგაშლილი ტიტველი ქედები (გაზაფხულზე თუ ვისმე გინახავს, ყორნების მიერ ბეწვგაცლილი კამეჩის ზურგი)...

და ჰორიზონტებზე ელავდნენ თავპირჩამოლეწილი ქვიტკირის კოშკები და ციხეები.

* * *

თამარმა ჩაცმა გაათავა. თარაში წამოდგა. ტუალეტის კუპედან გამოსულს სარკიან კართან შეეგება. აკოცა ახლად პირდაბანილს. რძისა და ღვინისფერი გადაჰკვროდა თამარის სახეს. უჩინრად გამქრალიყო სახის მისის ფერნამკრთალობა (უკვე აღარ წააგავდა თამარი რომის სადგურზე მომავალ ფერმილეულ ელლენ რონსერს).

დამშვიდებული სახე ჰქონდა ამ დილით თამარს. იგი გუშინდელზე უფრო მშვენიერი ეჩვენა თარაშს. როცა თარაში სარკესთან ჰკოცნიდა თამარს, ქალმაც ცალი თვალით შენიშნა: ისინი და-ძმასავით წააგავდნენ ურთიერთს. და ამ წუთში თამარმა ისე შეხედა საკუთარ ლანდს, თითქოს სხვა ვინმე ყოფილიყო იგი, მეორე თამარ შარვაშიძე, რომელიც კუპეს კარის სარკეში იწყებდა

ცხოვრებას. ეუცხოვა იგი თამარს და მზერა აარიდა კიდევაც.

თარაშმა ფანჯრიდან გაიხედა. მერმე გვერდს მოუჯდა თამარს. ღილი დარჩენოდა მკერდზე შეუბნევი. მზრუნველად შეუკრა ღილი.

ეუბნება: „როცა ქართლში ჩამოვდივარ, ასე მგონია, ჩემ პირველად სამშობლოში მოვსულვარ-მეთქი. ტროპიული წვიმებისა და ციების საუფლოდან“.

თამარი წამოდგა. ფანჯარასთან მივიდა.

კაროლინას მივაკითხოთო, ამბობდა. მხოლოდ ახლა გაახსენდა მას კაროლინა და თათია.

* * *

კაროლინას მთელი ღამე არ სძინებია. თამარისა და თარაშის „გადაკარგვის“ ამბავი ძლიერ აწუხებდა. კონდუქტორი გაფრთხილებული ჰყავდა თარაშს, ამიტომაც დაფარული არ გასთქვა კონდუქტორმა. მთელი მატარებელი გაიარა, ვაგონ-რესტორანშიაც შეიხედა. შარდინ ალშიბაიას წააწყდა, არა გაუმხილა რა. ბოლოს, შეურიგდა ამ აზრს: ალბათ რომელიმე სადგურზე ჩამორჩნენო მატარებელს.

როცა თამარი და თარაში კუპეში დაბრუნდნენ, მატარებელი რომელიღაც ციხესთან გაჩერდა.

ტაქტიანმა გერმანელმა ქალმა გაუჩინარების მიზეზი არა ჰკითხა არც ერთს. კუპედან თავი გამოჰყო და ციხეს დაუწყო მზერა, მთაზე აღმართულს.

თამარი თათიას მიუჯდა და ალერსი დაუწყო.

თარაშ ემხვარმა აღიარა: ეს ციხე ბუნებისა და ლანდშაფტის შეზავების იშვიათი ნიმუშიაო. ასეთ მაღალ კვარცხლბეკზე თმოგვისა და მუცოს ციხეები თუ დგანან, თორემ სხვა არც ერთიო.

„ასეა მთელი საქართველო, — ამბობს თარაში, — ყოველ მდინარეს ჭადრაკული წესით მოსდევს გაღმა-გამოღმა ციხეების მთელი სისტემა. მტკვარს არტანუჯამდის, თურქეთამდის მისდევს იგი, ენგურს მთელი სვანეთის სიგრძეზე წენარამდის. არაგვს გველეთამდის, მცხეთიდან ვიდრე ფშავის არაგვის სათავემდის, ხოლო იქიდან ქისტეთამდის მდინარე არღუნის გაღმა. ყოველ ორას მეტრზე ციხეა. როცა ქისტეთიდან მტერი დაიძრებოდა, მუცოს ციხის ერდოზე ცეცხლს აანთებდნენ ან თოფს გაისროდნენ, და მერმე ჭადრაკულად განრიგებული სიმაგრეები ლანდის უსწრაფესად სროლით გადასცემდნენ საგანგაშო გასროლას თოფისას. დასასრულ, ბებრის ციხე ამცნობდა ტფილისს“.

და მცირე პაუზის შემდეგ დასძინა: „ამგვარად მთელი თავისი ენერგია თავდაცვას შეალია ამ უბედურმა ხალხმა“.

ესა სთქვა თარაშმა, ადგა, თათიას მიუახლოვდა. ლოყაზე მოუცაცუნა ხელი. კაროლინამ შეხედა თვალებში თარაშს და ამ მზერაში უძინარი და უსიამო ღამის ჩვენება გახმიანდა უეცრად.

„Wenn sie erwachsen wäre, würde ich sie hütten vor ihrer Liebkosung“[13]

„Warum denn, gnädige Frau?“[14]

„Weil sie durch die Zivilisation verseucht sind“.[15]

„Ach was?.. obschon... mag sein“.[16]

თამარი მიხვდა კაროლინას ნათქვამის არაკს. არ იამა ეს ყოველივე, ადგა და კუპედან გავიდა, ხოლო კაროლინამ განაგრძო:

„Dies arme Madchen tut mir wirklich leid. Sie sind ein gotloser Mensch, Herr Emchwari. Sie quälen sie unmensclich... Ich bin

---

[13] იგი მოზრდილი რომ იყვეს, უთუოდ მოვარიდებდი თქვენს ალერსს.
[14] რატომ მერმე, მოწყალეო ქალბატონო?
[15] დასავლეთის ცივილიზაციისაგან ხართ წაბილწული.
[16] რას ამბობთ?! თუმცა... შესაძლოა... ასე იყოს.

überzeugt, sie wird zuletz zu grunde gerichtet. Sie haben neulich sich selber verraten in dem, Sie sagten, eine jede Schönheit zugrunde gerichtet werden müsse.[17]

Zugrunde gerichet, damit sie neu erschaften werden könnte. Das is unvergängliche Gesetz des Lebens und Todes“.[18]

კაროლინამ ხელში აიყვანა თათია. ლოყაზე აკოცა და ფანჯრიდან გადაახედა.

ბავშვი გაოცებული შესცქეროდა უზარმაზარ ციხეს ფლატეზე აღმართულს.

თარაში დადუმდა და კუპედან გავიდა.

„ყურძენი, ყურძენი“... შემოდიოდა ბავშვების ძახილი ფანჯრიდან. თარაშმა ყურძნის აკიდო შემოუტანა თათიას და ხელში მისცა.

თამარი კუპეში დაბრუნდა. კაროლინა ისევ ფანჯრიდან გასცქეროდა ქართლის ლანდშაფტს.

თარაშ ემხვარ ერთგვარ უხერხულობის მისაჩქმალავად განსაკუთრებით გულმოდგინედ ეწეოდა ჩიჩერონობას.

გორის ციხემ იელვა ვაგონის ფანჯარაში.

ათინის აკროპოლისს ძლიერ წააგავსო გორის ციხე, ამბობდა თარაში.

„ე მანდ ჩამონგრეულ კლდეს ხომ ხედავთ, იქ დაბანაკებული იყო სიმონ მეფე, თურქების მიერ დელი სიმონად წოდებული“.

„ჰო, დელი სიმონ. მახსოვს, თქვენ გვიამბობდით“...

---

[17] ეს საცოდავი გოგონა მეცოდება თქვენს ხელში. თქვენ უღვთო ადამიანი ხართ არაადამიანურ წამებას აყენებთ ამ ქალს. მე დარწმუნებული ვარ, ერთხელაც იქნება და დაღუპავთ კიდევაც მას. ამას წინათ თქვენ თავათ გაეცით თქვენი გულისნადები, როცა ამბობდით, ყოველივე სილამაზე შესამუსვრელად განწირულიაო.

[18] დიახ, შესამუსვრელად... რათა ხელმეორედ აღორძინდეს იგი. ეს არის სიცოცხლისა და სიკვდილის გარდაუვალი კანონი.

„იჯდა დელი სიმონი, ღვინოს სვამდა და თრიაქს სჭამდა, გორის ციხეში თურქები ისხდნენ. გორის ბოსტნებს გადახედა დელი სიმონმა. მწვანილი მოუნდა ნაქეიფარს.

„არა არს თუ სირცხვილი თქვენდა, რამეთუ მნებავს მწვანილი. ვხედავ თვალითა და ვერ მიეგემებიეს“.

უყოყმანოდ გადაეშვნენ თავაწყვეტილი რაინდები, მრავალნი დახოცეს, მაგრამ მწვანილი მაინც მოართვეს თავიანთ ბატონს“.

„Ich sehe dass eure Könige genau so romantisch verrückt waren wie Sie selbst“[19], — ამბობს კაროლინა.

კუპეს კარი გაიღო და გორის ვაშლებით დატვირთულმა შარდინ ალშიბაიამ შემოჰყო თავი.

შარდინი ნაღვინევი სჩანდა. მთელი ღამე ვიქეიფეო აფხაზეთიდან მომავალ ახალგაზრდებთან ერთად. თქვენი სადღეგრძელოც გიახელითო, თანაც თარაშსა და თამარსაც შეავლო თვალი.

შარდინ ალშიბაიამ წუხანდელი ქეიფის ამბავის დაკავებაც ვერ მოასწრო და ვიღაც რომბებიანმა სამხედრო პირმა შემოიხედა კუპეში, ალერსიანად თავი დაუქნია შარდინს.

ალშიბაია წამოიჭრა, ბოდიში მოიხადა და კუპედან გავიდა.

* * *

ქალები შინაურ ამბებს მიუბრუნდნენ. ხერიპსს საავადმყოფოში გადაუყვანიაო ლუკაია, თავათ უვლისო მოხუცს, ბაბუა ტარიელი მარტო დარჩებოდაო, დაშას კარგი ნერვები დასჭირდებოდაო დამარტოებული ბაბუა ტარიელის მოსავლელად.

თარაშ ემხვარ მდუმარედ ყურს უგდებდა ქალებს, ცალი ყუ-

[19] მე ვხედავ თქვენი მეფეები თქვენსავით რომანტიულად შეპყრობილნი ყოფილან.

რიც დერეფანში მოსაუბრე სამხედრო პირისა და შარდინ ალშიბაიასაკენ ეჭირა. რომბებიანი მგზავრი აქებდა ქსნის ციხეს, დიდი სტრატის მიერ უნდა იყოსო ეს ციხე აშენებული...

შარდინ ალშიბაია ჩვეულებრივად დიდაქტიური ტონით ორატორობდა: ორმოცი წელია, რაც ქსნის ციხეს შევცქერი, მაგრამ ქსნის ციხის მზერით ჯერ არავინ გამძღარაო, არც გორის ციხე მოგვცემსო რამეს, არც უფლის ციხე და არც მცხეთის ტაძარი, არც ტფილისელი სიონი და არც ბეთანია. ისინი ისე მკვიდრად აუშენებია პატრონს, ათას წლობით ასე მდგარან, ჩვენ არ ვიქნებით და ისინი აქ დარჩებიანო.

მე ის მაინტერესებსო ამჟამად, აგარის შაქრის ქარხანამ რა მოგვცაო ამ წელში, კასპის ცემენტის ქარხანა როგორ მუშაობსო, ან ტფილისის მაუდის ტრესტი.

ბისმარკმა სთქვაო, ამბობდა ალშიბაია, ბაღდადის რკინიგზას რომელიმე გერმანელი გრენადერის ძვლები მირჩევნიაო. მე ბისმარკთან რა ხელი მაქვსო, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, ტფილისის დეპოს რომელიმე მუშის კოჟრიანი ხელები მირჩევნიაო დავითისა და თამარის ძვლებს, ხოლო ცაში გაფრენილ ხოხობს შინ დარჩენილი ქათამი შორს სჯობიაო.

რომბებიანი მხედარი იცინოდა, თავს უქნევდა შეჭიკჭიკებულ შარდინ ალშიბაიას.

თარაშ ემხვარმა სიტყვასიტყვით გადაუთარგმნა კაროლინას ეს ყოველივე. კაროლინამ თავისებურად გადაიკისკისა.

???

თარაში დადუმდა. ფანჯრიდან გაიხედა. შარდინი კუპეში დაბრუნდა. კაროლინა შესცქეროდა. ვერ გამოერკვია, ეს რომელი ალშიბაია იყო, კოლხეთის ძველი კულტურის მაქებარი თუ ახალი აღმშენებლობის მეხოტბე? ვაგონის ფანჯრიდან ხვლიკისფერმა მცხეთის ტაძარმა იელვა.

„აქ, მცხეთაში ააგო ოდესღაც საბერძნეთიდან გამოთხოვილ-მა რევ მეფის ცოლმა სეფელიამ აფროდიტეს ძეგლი“.

ეუბნება თარაშ ემხვარი ქალებს.

„ე მანდ ორაკული მდგარა ოდესღაც. ზედაზენის მთაზე წარ-მართული კერპი და ამიტომაც მოგვითხრობს ლეგენდა, დემონე-ბით სავსეაო ზედაზენის მთა. ხოლო იმ მომცრო გორაკზე აღმარ-თული იყვნენ იდუმალებათა და წინაპართა კერპები გაც და გაიმ“.

ტფილისი

„ხოლო ტფილისი, სოფელი და კალაი
მოოხრებულიყო“.
ჯუანშერ, „ქართლის ცხოვრება“.

ტფილისი მდებარეობს 41°48′ ჩრდილოს განედსა და 44°48′ აღმოსავლეთის სიგრძედზე, გრინვიჩით.

ქალაქი თრიალეთის გორმახებითაა შემოგარსული. მთაწმინდა, მახათა, ლილო და სეითაბადი გარს არტყია მას.

მტკვარი ისნისაგან ჰყოფს ტფილისს, ხოლო კალას წყალი კალასაგან; კალას მთიდან კალას ციხე გადმოსცქერის ქალაქს და შესანიშნავი შურის ციხე.

იმჟამად, როცა ჩემი გმირები ქალაქად ჩავიდნენ, ტფილისი 430 ათას მცხოვრებს შეიცავდა, 13 ათას ქუჩას და ყოველწლიურად 80 მილიონ კილოვატ საათს ხარჯავდა.

ხარის ზურგივით მოტვლეპილია ეს გორაკები. ისინი ფოლადისფერ იერს აძლევენ ქალაქს. მუქლეგო ფოლადისფერში გნოლისფერი ტალები გაურევია შელეწილ ფლატეებს და შიშველ ლოდებს.

მთაწმინდას თეთრი ეკლესია მიუკრავს მკერდზე (ქართული სოფლების იდილიური სიმბოლო). წარსულში ეს მთა ქართული რომანტიზმის ოლიმპად ითვლებოდა. შუბლში შესცქეროდნენ მას პოეტები და ლექსებს უძღვნიდნენ მის მოღუშვას და ჯანღით მოცვას. ახალ დროშიაც შეირჩინა მთაწმინდამ პარნასისა და პანთეონის შეთავსებული როლი.

მთაწმინდიდან ჩამოდის დაღმართიანი ჭავჭავაძის ქუჩა.

სწორედ ამ ქუჩაზე ჩამოდიოდნენ საღამოს სრულ 7 საათზე თარაშ ემხვარ და თამარ შარვაშიძე.

პროვინციიდან ჩამოსულ ქალს ჯერ კიდევ არ ეცვა ისეთი გემოვნებით, ტფილისელ ლამაზმანებს რომ გამორჩეოდა.

თარაშ ემხვარი მაინც ამჩნევდა: გამვლელები ნაბიჯს ანელებდნენ მის დანახვაზე, მამაკაცები კისერს იღრეჯდნენ. უფრო მეტი, გაუზრდელნი მათ შორის მოურიდებლად აცქერდებოდნენ. გაივლიდნენ, შესდგებოდნენ, უკან მოიხედავდნენ, თვალს შეავლებდნენ მის მშვენიერ თეძოებს და თეძოს ქვემოდ ჩამოსულ ნაწნავებს.

განსაკუთრებით ვაჟურად თმაშეკრეჭილ ქალებს ხვდებოდათ თვალში თამარ შარვაშიძის ძველებური ნაწნავები.

რუსთველის პროსპექტზე გავლისას პარაფინის და ასფალტის სუნი ეცა თარაშ ემხვარს... ასე სჩვეოდა მას: დიდ ქალაქებში ცხოველებსა და მცენარეებს შენიშნავდა პროსპექტებზე უმალვე.

ცხენების ნახვას დანატრებულს ხელურმებში შებმულ ძაღლებისკენ გაურბოდა თვალი. უნტერ დენ ლინდენის ცაცხვებს ეა-

ლერსებოდა მისი მზერა მუდამ, ჰაიდელბერგულ წაბლების ხეივნებს და პარიზულ ჭადრებს.

რუსთველის პროსპექტზედაც ახლად დარგული ჭადრები შენიშნა მყისვე.

თამარი, პირიქით, კრიალა ავტოებს ადევნებდა თვალს, ქალების კოსმეტიკას, ტფილისელ მამაკაცების უგემურ ჩაცმულობასაც ამჩნევდა კარგად.

თავათაც ხედავდა თამარი: ქალებიც ვერ იკავებდნენ მის დანახვაზე თავს. მოურიდებლად უჭვრეტდნენ და უღიმოდნენ, თითქოს ეს გადამთიელნი დიდი ხნის უნახავი დობილები ყოფილიყვნენ მისი. ჯგუფ-ჯგუფად მისდევდნენ უკან ტექნიკუმის მოსწავლე ქალები, ხელს იშვერდნენ აღტაცებულნი მისკენ. რა მშვენიერი ქალიაო, ასე ამბობდნენ ხმამაღლა.

და ეს გახმიანებული აღტაცება ეჩოთირებოდა კიდევაც თარაშ ემხვარის სმენას. მას ძლიერ უყვარდა საერთოდ თამართან ხელგაყრილი სიარული.

ახლა კი ხელი შეეშვა, შორიახლოდან მისდევდა გვერდით არ უნდოდა: ქუჩას რომ გაეგო, თუ რა იყო თამარი მისთვის (აბხაზურ ატავიზმს აწერდა ამ ამბავს თვითონ თარაში).

მაგრამ ქალები ჯერ თამარს შეხედავდნენ, მერმე თარაშზე გადაინაცვლებდნენ მზერას და ყველა უსიტყვოდ ამჩნევდა, ესენი ჯუფთები რომ იყვნენ.

საღამოც ისეთი ამო და დამტკბარი იყო, როგორიც ტფილისში იცის, განსაკუთრებით შემოდგომის პირზე.

დღის საცხუნვარე კოჯრის ნიავს გაექრო ერთის შებერვით სუფთა, კრიალა ჰაერი იდგა. მაღალი და ლურჯი ცა წამოდგომოდა მზით გავსილ მყარს. და მალაქიტისფერ ცის ფონზე უთუოდ ამოდ სახილველია თეთრი ქაშუეთის ქალწულებრ ტანკენარი გუმბათი.

* * *

მართლაც ხომ არის ბედნიერი წუთები ამ ცხოვრებაში, როცა შინაგანი მუსიკით აღვსილია სული. არსად მიგეჩქარება, არც რამე გაღელვებს და მიდიხარ იმ სანატრელად უდრტვინველი ტაატით, ზღვის კიდეს მიახლებულ მდინარეს რომ სჩვევია.

ფერადები სიხალისით სავსეა და ხმები — კისკასა სიცოცხლით.

კაშკაშებენ ვიტრინების მინები და ავტოს სიგნალიც ისე ამოდ მოგესმის, როგორც უეცრად დამფრთხალი შაშვის ჭახჭახი ტყეში.

მიდიხარ მთვარეულსავით ქუჩებზე და შენს გარეშეა ეს უხანო ფუსფუსი, ადამიანების დრტვინვა და რიალი, ხმაურა ქალაქის გნიასი.

მიდიხარ და ისეთის უვნებო თვალებით შესცქერი ამ ქოთქოთს, თითქოს გრავიურაზე გამოსახულ ომს უმზერდე ან ნადირობას.

ასე უთვალთვალებს თარაშ ემხვარ რუსთველის პროსპექტის მოუსვენარ დენას. სხვა დროს ამას ჟამსავით სძაგდა ქუჩის ბრბოს შეხედვა.

ყოველი ხალხი საძაგელიაო დიდი ქალაქის ქუჩებზე მოზიმზიმე.

რადგანაც ლამაზს მახინჯი სჭარბობსო ყველგან, ხოლო სინატიფეს — უტიფრობა, ულაზათობა.

ადამიანები ბევრიაო ქვეყნად, ქუჩებზე, ფილაქნებზე, ტროტუარებზე ვერ ეტევიანო ისინი.

დიდ ქალაქებში მუდამ აღიზიანებდა მის ბერძნულ ესთეტიზმს მოქალაქეთა უგემური ჩაცმულობა, მანერები და დანჯღრეული სიარული.

უფრო მეტად აუტანელი იყო მისთვის უმსგავსად აგებულ ქვიტკირისა და რკინა-ბეტონის ქორედები, სახლების უშნო ფასადები და შესავალები. ულაზათო აბრები, წარწერები, კინოს, თეატრის რეკლამები და აფიშები, გამვლელთა მოურიდებელი ჭვრეტა და უტიფარი, უხამსი ლაშლაში.

ასფალტის, პარაფინის და ოფლის სუნი...

ახლა კმაყოფილებით აღსავსე შესცქერის მოხუცების ნაოჭებს და მახინჯების დანჯღრეულ კიდურებს.

განსაკუთრებით ტრამვაები სძაგდა თარაშ ემხვარს, ადამიანებით დახუნძლული ტრამვაები, „მაიმუნების გალიას“ უწოდებდა მათ, ხოლო ავტობუსებს — „მოარულ კრებებს“ (და კრება უფრო მეტად სძაგდა, ვიდრე ტრამვაები და ავტობუსები).

ახლა კი ალერსიანად აყოლებს თვალებს მწვანე ავტობუსებს და კრიალა წითელ ტრამვაებს.

ქართული „ა“ შესკუპულა ერთ-ერთის კოფოზე, არხეინად ზის ელექტრონის მანქანაზე, თითქოს ადამიანად ქცეულიყოს იგი.

„გ“-ინახით მჯდარ მოხუცსავით მოურთხამს მეორეზე ფეხი, ყალიონიღა აკლია ბაბუას პირში.

და როგორც აბრეშუმის ახლად დაპურებული ჭია თავს ააღერს და აჰყვება ნეშოს თუთისას პოტინით, ტაატით, ზლაზვნით მოედება მერმე ბჟოლის კლერტოებს, მსხვილმანიდან წვრილმანზე გადავა, წვრილმანიდან უფრო მეტად წვრილზე გადაიარს, ღეროდან ფოთოლს წაეპოტინება, პწკალიდან ყუნწზე გადაჩოჩდება, ფოთლიდან ფოთოლზე გადაცოცდება, უმდაბლესიდან უმაღლესს მიწვდება და უმაღლეს მოექცევა მერმე კენწეროზე, ასე დაძრულიყო ქართული ანბანი, ასონიშნები გასულიყვნენ გამვლელების მხრებზედ, ფოსტალიონების, კონდუქტორების, რკინიგზელების, მილიციელების და წითელარმიელების საყელოებზე მოქარგულნი; კარებს, ვიტრინებს, რაფებს, მანქანების

კიდურებს ზემოქცეოდნენ; ეტლების ზურგებს ამკობდნენ, ფრიალა წითელ დროშებს და მაღალ შტანდარტებს.

და თითქოს სულ აუდგამთო ასოებს, უხმობდნენ, უძახოდნენ ვიღაცას ისინიც.

ელავდნენ, ბზინავდნენ, ბრწყინავდნენ... იცდიდნენ, სდგებოდნენ და ისევ მიჰქროდნენ.

უთუოდ იტყოდით: რუსთველის მშვენიერ პროსპექტზე ქართულ ასოებს გაუმართავთო დოღი...

* * *

საქართველოს მუზეუმთან შესდგა თარაშ ემხვარ, თამარს წაავლო ხელი. უჩვენა ქართული კულტურის ეს თეთრი სასახლე, ქართული დოქების მოტივებს, მთავარი შესავლის ჩუქურთმებს განუმარტავდა.

* * *

და მერმე დაიწყო შესანიშნავი თელების ხეივანი მთავრობის სასახლის გასწვრივ.

ორმწკრივად დარგული თელები გადახვევიან ურთიერთს ძმურად. ხელოვნური ტალავერი ეგონება მჭვრეტელს, ქართული ვენახის მშვენება...

* * *

თამარს ვიტრინებისაკენ გაექცა სასახლის ქუჩაზე თვალი. წავის, ვეფხვის, კვერნის, გარეული კატის ბეწვეული, ნიანგის ტყავის ელეგანტური საკვოიაჟები, ნიკელის ორმაგი საწოლები, აბრეშუმის საბნები, ბალიშები, ხავერდის მუთაქები და პორტიერები, შანდლები, ელექტროშირმები, ისევ საბნები, ჯეჯიმები და

ფარდაგები, ნოხები, ბოხჩები, მაფრაშები, პირის სარკეები, საყურეები, იაგუნდის და ზურმუხტის ბეჭდები, ძველებური ლალის საყურენი.

თარაშ ემხვარმა ქამარ-ხანჯალს შეავლო თვალი, იქვე ელაგა დამბაჩები, თოფები და ჯაზაირები, ოქროს ზარნიშიანი სატევრები, ვადამოხატული დამბაჩები, რკინის პერანგები, ჩუგლუგები და მუზარადები, ქართული უნაგირები, ამაზონური კაბები და ასალები, ირანული, ქართული სურები, სინები, ლანკანები და ვახები.

ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდნენ ეს ნივთები, საქართველოს მთელი აზნაურობა აქ მოსულიყო თითქოს და წვრილად გაეყიდნა თავისი ავლადიდება.

თარაში აჩქარებდა თამარს, კაროლინა გვიცდისო მოედანზე.

ახლა შემდეგმა ვიტრინამ დაატყვევა თამარის მზერა.

ლაკის ტუფლები ხვდებოდა თვალში, ვიქტორიას წინდები, სვიტრები და პიჯაკები, ჯემპრები, ბერეტები და ტრუსები, იისფერი, მდელოსფერი, მალაღურისფერი კომბინეზონები, დარაიას, კრეპდეშინის და ფაიდეშინის კაბები, ბეჭდები, სარკეები და საპუდრეები.

* * *

ვიტრინის გადაღმა დარბაისლურად იდგნენ კალით პირშეთხუპნული მანეკენები, ევროპულად ჩაცმული ქალები და კაცები, პროვინციელ მსახიობებსავით გაჯგიმულიყვნენ ისინი და ისე უაზროდ მისჩერებოდნენ ბრბოს. როგორც ამ უკანასკნელთ სჩვევია ხოლმე მანეკენების ჭვრეტა ვიტრინის გარედან.

თარაშ ემხვარს მოაგონდა მყისვე პარიზის და ბერლინის მანეკენების მთელი ლაშქარი. ცივილიზაციას სჩვევია ასე, მანეკენების პირით ასწავლისო ხალხს ჩაცმას.

ეუბნება თარაში თამარს.

* * *

სასახლის ქუჩის მიწურულში მარტოკა მოდიოდა მაღალი, ქერა ქალი. სლავიანური ცისფერი თვალები ელავდნენ. ქალმა მოურიდებლად შეხედა თამარს. თამარმაც შეაგება მზერა.

თარაშმა თვალი ჰკიდა, თუ როგორ დამდურებულსავით ჩაუარა ურთიერთს ორმა საუკეთესომ თავის ჯიშისამ.

* * *

ექვსი ხევსური მოდიოდა ზედ შუაგულ ქუჩაზე.

სამს მათგანს ფარები ეჭირა ხელში. მაღალი, ჭაღარა შუბოსანი წინ მიუძღოდა მათ. სატევრები მუხლისთავამდე სწვდებოდა ექვსივეს. ჩოხის ფეშებსა და ბედნებზე ჯვრები ჰქონდათ ამოქარგული.

თარაში შესდგა. შეხედა. მიდიოდნენ ხევსურები ქალაქის ქუჩაზე რომაელ სენატორების დარბაისლობით აღვსილნი.

თარაშმა სთქვა:

„საოცარი ქვეყანაა საქართველო, ვინ წარმოიდგენს მეოცე საუკუნეში ფარხმალიანი ხალხი დადიოდეს ტრამვაების და ავტოების ორომტრიალში. ლონდონში ასეთ გამვლელებს კინოოპერატორების ლაშქარი გზას გადაუჭრიდა“. თამარმა გაიცინა და თავათაც მიხედა ხევსურებს.

თამარი ისევ ვიტრინებს გასცქერის. ისევ ბეწვეული, საცვლები, ქუდები, ტუფლები, კოსტიუმები; ლალის, ფირუზის, ბრილიანტის ბეჭდები; ქოლგები, საწოლები, საკვოიაჟები.

და ერთ წუთში სინამდვილეს გაუსხლტა ოცნება ხელიდან.

თამარი და თარაში უკვე ცოლ-ქმარია. მათ მყუდრო და მდიდრული ბინა აქვთ ცენტრში. სიმდიდრე და სახელი მოხვეჭილი

აქვს თარაშ ემხვარს.

და ისევ ტუფლები, ქოლგები, კოსტიუმები, ბერეტები, ბანტები, კრეპდეშინის, ფაიდეშინის კაბები, ნელსურნელების, ოდეკალონის ფლაკონები, ბეჭდები, სამაჯურები და საყურეები ერჩიან მზერას. და თამარი შეაკრთო კაროლინას ხმამ: „Kinder wo seid ihr? Gehen Sie jetzt zur Tante Armadar?“[20]

თამარი შეწითლდა ოდნავ. იცოდა, კაროლინას პუნქტუალობა უყვარდა.

თარაშმაც უხერხულობა იგრძნო. მცირე ხნის დუმილის შემდეგ ეს უთხრა კაროლინას:

„მე დაგპირდით, ფრაუ, ტფილისში ჩიჩერონობა გამეწია თქვენთვის. დაიმახსოვრეთ, აი იმ მთიდან სწორედ ამ ადგილამდის სწვდებოდა ციხის კედელი. აქედან მტკვარში ჩადიოდა. აქედან რუსთველის პროსპექტისაკენ კალოები და ბაღები იყო თურმე, აწინდელ „კომუნარების ბაღში“ ძველი ყაბახი ყოფილა.

რუსთველის პროსპექტის მახლობლად პატარა საყდარი იყო, თემურ ლენგმა იქ გაალეწინა ძუძუთა ბალღები“.

* * *

ვერცხლის ქუჩას მიჰყვნენ და აქ იწყებოდა ნამდვილი ომი.

მოედანზე კოცონები ენთო, გამურული მუშები ფისს ადუღებდნენ, ასფალტის სატკეპნი როლლერები დარახრახებდნენ გარშემო, ხარაჩოებზე მიდგმულ ღარებიდან სცვიოდა მტვერი, კირისა და აგურის ნამსხვრევები. კაროლინა წარამარა იწმენდდა კოსტიუმს, ისევ ხარაჩოები, როლლერები, ფისის გეჯები, ხელურმები, გრიალი, ნგრევა, მტვრის ბუღი და ალიაქოთი.

[20] სად ხართ ბავშვებო? ახლა მიდიხართ მამიდა არმადართან?

და როგორც ოკეანის დიდი გემები ბუბუნით, რახრახით, ზუზუნით შემოვლენ პორტში, ლოცმანი, გადმოდგება საკომანდო ხიდზე, რუპორს გაირჭობს პირში, მორთავს ღრიალს, პატარა ფელიუგები, აფრიანი გემები, კატარღები და კატერები დაჩიავდებიან და მისცემენ გზას ამ უზარმაზარ გოლიათებს, — ისე მიდიოდნენ იერიშით მაღალი, დიდი, ნაცრისფერი სახლები, ხარაჩოების ტყეს იცვლიდნენ ისე სწრაფად, როგორც აბრეშუმის ჭია გამოიცვლის ხოლმე კანს, სახენაცვალი ასეთის სისწრაფით ამოდიოდნენ დიდი, ნაცრისფერი სახლები ბალავრებიდან ტფილისში და ისრისებოდნენ მათ შორის ძველებური, პაწია სახლები, კოხტა, ქართული ხის აივნები და რიკულები... და ამ აჟურიან ხის აივნებისკენ რჩებოდა თვალი თარაშ ემხვარს.

ეს სახლები აქ არ იდგნენო ერთი წლის წინად. არც ასეთი ალიაქოთი იყო ამ ქუჩაზე, ტრამვაების რეკვა, ავტოების ღმუილი, ქუჩის განგაში, წაქცეულ კედლების ნგრევა, მუშების ძახილი და ღარებიდან დაშვებულ ქვისა და აგურის ნამუსრევის ჩხრიალი, ეს ყოველივე აუტანელ ხმაურს აყენებდა გარშემო და როცა ჩემი გმირები ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ, ყოველი მათგანი ყურს იჩრდილავდა ხელით.

აქა-იქ შემთხვევით პატარა სახლები ისე საცოდავათ გამოიყურებოდნენ, როგორც ახლად მოგებული ზაქები კამეჩების ჯოგის დენისას. ზედვე ეტყობოდათ მათ, რომ კიდევ რამდენიმე თვეს ან დღეს იბოგინებდნენ და შემდეგ აღიგვებოდნენ მიწის პირიდან.

თარაში მდუმარედ მიჰყვებოდა ქალებს. მოხუცებულ მოქალაქეთა ნაოჭებიან ჩოხებს ამჩნევდა აქა-იქ, ხან ქართველ ისრაელების გრძელი წვერი, ხანაც მეხანჯლე ლეკების ზღარბისებური ქუდი, მეთულუხჩეების, ქონების, მეუნაგრეების, ხარაზების, თერძების ლანდები დალასლასებდნენ სიონის ქუჩაზე.

სიონთან მათხოვრები ირეოდნენ, ბრმა მეფანდურე იქვე იჯდა

და ერეკლე მეფის გმირობას უმღეროდა, ყველას მიერ აწ დავიწ-ყებულს.

„ჯალალ-ედინმა ეს გუმბათი ძირს ჩამოაგდო“.

ჩაილაპარაკა თარაშმა და კაროლინამ ტაძრის მასივიდან გუმბათისკენ გადაიტანა მზერა.

სიონში შესვლისას საკმევლის სუნი ეცათ. რამდენიმე მოდრეკილი ლანდი რიალებდა ნახევარ ბნელში.

ექვსიოდე სანთელიღა ენთო. და წვერგაბურძგვნილი მთავარ-დიაკონი უღიმღამოდ ღეჭავდა ფსალმუნის ლექსებს.

თარაშმა კაროლინა ერთ კუთხეში შეაჩერა. უხსნიდა ტაძრის გაძარცვის ამბავს. რუსი ეპისკოპოსების მიერ კირით წარეცხილ ფრესკებს იგონებდა.

(თამარი მორცხვად დაწინაურდა, სანთელი აუნთო ჯახანას ხსოვნას, ისევ უკან დაიხია, კოლონას მიეფარა და გაუჩინარდა,

„Es ist sehr ungemütlich in euren Kirchen“.[21]

სთქვა კაროლინამ.

თარაშმა დიდხანს იარა ქვის სვეტებს შორის, ბნელში დაჩო-ქილი იპოვნა თამარი, მკლავში ხელი წაავლო. განცვიფრებულმა ამოხედა თარაშს, არა უთხრა რა და კაბა გაიბერტყა.

საოცარიაო, შენიშნა კაროლინამ, ამ ქალაქს ასეთი დიდი ის-ტორია ჰქონია და ასე ცოტა ძეგლები დარჩენილანო.

თარაში ტფილისს გამოესარჩლა:

„ვინ იცის, რამდენჯერ გადაუბუგავთ ტფილისი: არაბებს, მონ-ღოლებს, ერანელთ და სელჯუკებს. ტფილისში რამდენიმე სასახ-ლე ჰქონდათ ბაგრატიონებს, აქვე მახლობლად როსტომ მეფის სასახლე იყო და კახთ ბატონისა, მარმარითა და ლაჟვარდით შემკულნი.

[21] თქვენს ეკლესიებს კომფორტაბელობა აკლია.

თვით შინაურებსაც არ დაუკლიათ ხელი. აფხაზთა მეფემ ბაგ-რატ მეოთხემ ალყა შემოარტყა ტფილისს, თუ არ ვცდები, მე-11 საუკუნეში და ჟამთააღმწერლის სიტყვით, ლიტრა ვირის ხორცი 500 დრამად იყიდებოდა“.

თარაში ქალებს გაეხმაურა: ნაბიჯს უჩქარეთ, თორემ მამიდა არმადარი ადრე იძინებსო.

ლანდადქცეული თავადი

მამიდა ფარჯანიანისა დაპატარავებული ეჩვენა თარაშს. ნაოჭები გაღრმავებოდა, მოწეულ უნაბსავით დაღეჭოდა სახე, წინა კბილები დასცვენოდა სავსებით. ლოყების ორმო გაღრმავებოდა.

კვლავინდებურად მაღალზურგიან ტყავის სავარძელში იჯდა და უზარმაზარ სავარძლის პირისპირ სავსებით დალეული მოსჩანდა არმადარ.

სავარძელი ძველებურად გაზინთული იყო ოფლისაგან, კიდეებთან დამსკდარიყო შაგრენის ტყავი, ბეწვი და ბამბა გამოკრთოდა აქა-იქ. მის კალთაში კატას ეძინა, სავარძლის ზურგზე დასკუპული იყო ერთი, ერთიც მის ფეხთით სთვლემდა, ორი კნუტიც ღნაოდა კუთხეში. არც ერთ მათგანს მოვლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. მამიდა არმადარმა შუბლზე აკოცა თარაშს — თავის

adorable neveu-ს[22], თამარს კეფაზე შეავლო ხელი და მოეალერსა. ისევე როგორც 15 წლის წინად, როცა შარვაშიძის ქორწილში გაიცნო პირველად. მამიდა არმადარს სასძლოდ ჰყავდა მიჩნეული თამარ და როცა თამარი და თარაში მის წინაშე წარდგნენ, ქალური გულთმისნობის ძალით შეატყო: რაღაც ურთიერთობა დამყარებულიყო მათ შორის. კაროლინაც მყისვე იცნო, ბაბუა ტარიელი მოიკითხა, ხერიპსი და თათია ახსენა. უსაყვედურა: რად დასტოვეთო სასტუმროში მძინარე ბალღი. გეჩვენებიათო თათია ჩემთვის. არც ეხლა ეპუებოდა ახალ დროს მამიდა არმადარ.

მამიდამ თარაშს ასე მიმართა: „შენ ხომ იცნობ კნიაჟნა თამარს, ბაგრატიონის ქალს?“ შერ მორიგეობით წარუდგინა სტუმარს თამარი და კაროლინაც.

თარაშს თვალში მოხვდა: ლორნეტი ბრწყინავდა მის კისერზე სავსებით უქმად დაკიდებული. თამარ ბაგრატიონმა თვალები მოსწურა ჯერ კიდევ მშვენიერი, ქარვისფერი თვალები. სმენა კლებია მოხუცს.

ამიტომაც ხმამაღლა უთხრობდა მამიდა არმადარ თავის სტუმრების ვინაობას, თავს აქნევდა თამარ ბაგრატიონი, მე-18 საუკუნის ფრანგული აქცენტით გამოსთქვამდა თავის სიხარულს და მოწონებას. განსაკუთრებით აქებდა თამარს.

„charmante demoiselle“[23]

კნიაზ ორბელიანი გააცვნეს სტუმრებს, ბურების ომის ძველი პარტიზანი, ახმახი, გრძელთავიანი, მხარგრძელი და სავსებით მელოტი კაცი.

ორიოდე ღოჯი შერჩენოდა ნათავადარს კიდევ. წარამარა ულვაშებზე ივლებდა ხელს და იკვნეტდა გაჟღალებულს.

---

[22] სათაყვანებელი ძმისწული.
[23] მომხიბვლელი ქალწული.

თმები მხოლოდ საფეთქლებთან შერჩენოდა მცირეოდენი. მდელოსფერი ჯუბა ეცვა, სავსებით გაცრეცილი. თარაშ ემხვარს ვინმე კურიერი ეგონა თავდაპირველად (და მართლაც რომელიღაც სახკომის კურიერი აღმოჩნდა კიდევაც).

და როცა სტუმრები დალაგდნენ, თარაშ ემხვარ უჭვრეტდა ჟამიდანჟამზე თამარ ბაგრატიონის აწ გადასულ მშვენებისა ნამუსრევს.

ჭკნობა შეპარვოდა. კისრიდან ყბებსა და ღაწვებზე მოსდებოდა, სიბერეს გაენადგურებინა ამაყი ქალის ნატიფი სახე. თვალებს შეხიზნოდა მხოლოდ სილამაზის მბჟუტავი იერი. თმები მტუტისფრად გახდომოდა და საქსონურ ფაიფურის დამას დამსგავსებოდა.

ბაგრატიონის ქალი ისევ მამიდა არმადარს მიუბრუნდა, დაბალი ხმით (როგორც ეს ყრუებს სჩვევიათ ხოლმე), სავსებით უდრტვინველი ტონით უამბობდა, თუ რა დავიდარაბა გადახდომოდა იმ ორი თვალი სახლის გამო, „მრეცხავების ჩიხში“ რომ შეერჩინათ მისთვის. სახლი დანგრევაზე ყოფილა მიმდგარი, ბალავერი მიწისძვრისგან შერყეულაო, სახურავი სანახევროდ გადაეძრო ქარსა, სვეტები მთვრალებსავით შექანებულაო, არავინ იცისო, რომელი სასწაული ინახავსო ამ სახლს. კაცმა რომ სთქვას, სახლი არ ეთქმისო ამ ქოხს, ოდესღაც მოურავი სცხოვრობდაო იქ, ახლა ვიღაც ეზიდები ბინადრობენო.

იმავე ეზოში დიდი სახლი აღმასკომს მიუთვისებია, ხოლო ეს ქოხი დაუწუნებიაო მიმღებ კომისიას.

ახლა გადასახადები შეუწერიათ მოხუცებულ თავადის ქალისთვის, მეეზოვის, წყლისა და ნაგვის ყუთის გამოსაღები.

უთხოვნია პატრონს: მიხედეთო თქვენს ღმერთს, მომაცილეთო როგორმე ეს ქოხი. უვლია ქაღალდს ერთი კომისარიატიდან

მეორეში, უწყებიდან უწყებაში, მერმე თავათ პატრონიც უკან გამოსდგომია თურმე „თხოვნას“ და დადის თურმე ბაგრატიონის ქალი, კაბინეტებთან აღამებს დღეებს. ამაოდ ევედრება აღმასკომს, ყველას ამაოდ ევედრება, ფეშქაშად მიირთვითო სახლი.

მშვიდად, აუმღვრევლად ყვება ამ „საოცარ“ ისტორიას ბაგრატიონის ქალი, მამიდა არმადარ და „კნიაზ შაქრო“ გაცილებით უფრო მეტად ღელავენ.

თარაშ ემხვარ უწინაც ნაცნობა მას, იცის, ერეკლე მეფის შვილისშვილის შვილი რომაა ეს დამჭკნარი ქალი. აკვირდება მის დალეულ, მიხრწნილ მაჯებს.

„ნუთუ კიდევ არ გაყინულა ამ მაჯებში დავითის, თამარის და ერეკლეს სისხლი?.. ჰმ, სისხლიც ხომ წააგავს ხანდახან მდორე წყალს, ქვიშაში უკვალოდ დანთქმულ მდინარისაგან რომ დარჩება კლდის უბეში ჟამიდან ჟამზე“.

და სავსებით უნებლიედ კლარჯეთის ბაგრატიონები აგონდება თარაშ ემხვარს, 1300 წლიან დინასტიის გადასვლის მატიანე.

შესცქერის ამ ქალის ოდესღაც მშვენიერ სახეს.

საოცარი სიმშვიდე და სათნოება ეფინება მჭვრეტელს ამ მოხუცისას.

„რა ცოტას ნიშნავს მარტოოდენ სახელი და გვარი?

ამ ქალსაც თამარი რქმევია, იგიც თამარსავით ბაგრატიონი ყოფილა, მასაც თამარსავით მშვენიერი ხელები ჰქონია, ვარძიის, ზარზმის, ბეთანიის ფრესკებს დაამშვენებდა ოდესმე ეს ხელებიც“.

უყურებს თარაშ ემხვარ ჯანგამოლეულ ხელებს, სავარძლის კიდეზე დადებულთ, რაფაელის მადონას ხელები აგონდება, ვატიკანელ სტანცების სერიიდან, წამალგადასულ ტილოზე ნახატი.

ვიღაცამ კარზე დააკაკუნა.

„Entrez!“[24] გასძახა მამიდა არმადარმა. ტანმორჩილი ჩოფურა მოხუცი შემოვიდა. თარაშ ემხვარს გაუხარდა „შეითან კაპიტნის“ მოსვლა.

„ეს კაცი ყოფილი გენერალია, მსოფლიო ომის დროს მან ერთი ბატალიონით თურქეთის მთელი კორპუსი შტაბიანად შეიპყრო“, — ეუბნება თარაში კაროლინას ინგლისურად, ხმადაბლა, თანაც დასძინა: „მან არც კი იცის, რომელიმე სენსაციური ამერიკული გაზეთი მილიონ დოლარსაც არ დაიშურებდა მის მემუარებისათვის“.

შეითან კაპიტანმა საღამოს გაზეთი გამოათრია უბიდან, გაასწორა და სუფრაზე გაშალა იგი. მერმე ჯიბიდან რქის სათვალის ფუტლიარი გამოიღო, აუჩქარებლად გახსნა, ცხვირსახოცით დაუწყო სათვალეს წმენდა. პწკალები ყურებზე გადაიცო და ახლა სტუმრებს გადახედა.

და მისი წვრილი, ლოპინარისფერი თვალები ისე მოკრძალებულად გამოიყურებოდნენ, როგორც აკვარიუმის შუშიდან თევზი.

ყოფილ გენერალს, „მსოფლიო სტრატეგიის რეფერენტს“ უწოდებდა ხუმრობით „კნეინა“ ფარჯანიანისა, ხოლო თავათ მას სავსებით მარტივი, ადამიანური მოტივი ჰქონდა. მოათავებდა თუ არა „ზედმეტ საათებს“ თავის საანგარიშო კონტორაში, ორი წუთით შემოირბენდა „მომპასიანი“ ჩაის დასალევად და ნოშრევან ფარჯანიანთან ორიოდე პარტია ნარდს წაითამაშებდა.

თარაში გამოელაპარკა „შეითან კაპიტანს“, კნიაზ შაქრომ იდროვა და საღამოს გაზეთი დაითრია. თავისი გაბზარული პენსნე ამოიღო, კეხიან ცხვირზე წამოისკუპა, მაგრამ როცა კითხვა დაიწყო, სახელურებში წაავლო ხელი პენსნეს კიდესა და წარბებს

[24] მობრძანდით.

შორის დარჩენილ არედან გასცქეროდა გადაშლილ გაზეთს.

მამიდა არმადარ მოუთმენლად ცქმუტავდა თავის სავარძელში.

წარამარა ეკითხებოდა კნიაზ შაქროს, იაპონიის ნოტას რა უპასუხესო, ან ლიტვინოვმა რა „დემარშები“ გააკეთაო. კნიაზ შაქრო უგუნებოდ ბუზღუნებდა, არც პრესის გამოძახილი ახარებდა, აღარც ლიტვინოვის „დემარშები“. კედლის საათმა ათჯერ დაჰკრა.

„შეითან კაპიტანმა“ ჩაის ცარიელ ჭიქებს თვალი გადაავლო, მერე საათს ახედა და წამოდგომა დააპირა.

Attendez un peu, il va venir tout de suite.[25]

გადასძახა მამიდა არმადარმა შეითან კაპიტანს და სპირიტისტულ სეანსში ნახმობ სულსავით, ღია კარებში აილანძა მაღალი, ტანწვრილი კაცის სილუეტი.

ქედანისფერი, წელში გამოყვანილი სასპორტო პიჯაკი ეცვა.

გახუნებული, მომწვანო შარვალი, მაღალყელიანი აზიური ჩექმები. მსუბუქად ადგამდა თავის გრძელსა და წვრილ ფეხებს (როგორც რბილთათიან მტაცებლებს სჩვევიათ ეს).

პატარა მოჟღალო წვერი ჰქონდა ნიკაპის ჭვინტზე, სავსებით პროპორციული, სწორი ცხვირი, გრძელი კისერი, ოვალური შუბლი და შაბიამნისფერი წვრილი თვალები.

ნოშრევან ფარჯანიანი თავაზიანად მიეგება სტუმრებს.

ყოველ მათგანის მისალმებისას წამოიძახებდა გაბმულ ა ა ა ა-ს...

(ამ მისალმებისას დაკვირვებული თვალი უთუოდ დაიჭერდა იმ ფარისევლურ თავაზიანობას, ქართულ აზნაურობას რომ სჩვევია ოდითგან).

[25] მოიცათ ცოტა, იგი ახლავე მოვა.

თარაშს ლოყაზე აკოცა ნოშრევანმა სამგზის.

კაროლინას ხელზე ემთხვია, თამარს მოეალერსა, მარჯვენა მხარზე ხელი მოუტატუნა:

C'est la filette de notre Tariél".[26]

ხმიანი სიცილი და სიხალისე თან შემოჰყვა ნოშრევანს და მოხუცების მოწყენილ სერობაში იგი შემოიჭრა როგორც სიხარულის უეცარი არავი.

მყისვე გაშლილ, ცარიელ სუფრას თვალი გადაავლო, სთქვა:

„აქამდის თავადის როლს ვასრულებდი ჩემ რეჟისორთან, ახლა მოახლე ქალისაზე გადავალ",

გავიდა სამზარეულოში, ადუღებული ჩაიდანი შემოიტანა და ჩაის დასხმა დაიწყო. მამიდა არმადარ კაროლინას წაეპოტინა. გვერდით მომიჯექიო, ანიშნა, შინაურ ამბების გამოკითხვა დაუწყო.

სისუფთავის პედანტ, ევროპელ ქალს მყისვე თვალში ეცა არმადარის შავ სამოსზე დაცვენილი ბეწვები კატისა.

რატომღაც უთითო, შავი თათმანები ეცვა არმადარს ხელზე (ოდესღაც მხოლოდ ოპერაში იცვამდა მათ).

ხელთათმანებიც კატის ბეწვით იყო დასვრილი, გულარეულმა კაროლინამ ამ უსუფთაობას ვერ გაუსწორა თვალი და სწორედ ამ დროს ნახშირში ამოგანგლულმა ხვადმა ისკუპა, კალთაში ჩაუხტა კაროლინას.

კაროლინას ჟამივით სძაგდა კატები. ეცადა ხელისუხლებლად მოეცილებინა ხვადი, მაგრამ კატა გაჯიქდა, არ მოეშვა.

„Soyez polis!"[27]

---

[26] ეს ჩვენი ტარიელის პატარა ქალია.

[27] ზრდილობიანად მოიქეცით.

ეუბნება მამიდა არმადარ, მაგრამ კატამ უყურადღებოდ დატოვა პატრონის ნაბრძანი. მაშინ ნოშრევან ჩაერია საქმეში, ძლივს მოაცილა სტუმარს იგი.

„ეს კატები სტუმარს კი არა, ჩვენ შეგვჭამენ საცაა, ვეჟო“, იხუმრა ნოშრევანმა.

კაროლინამ ეს ვერ გაიგო, სამაგიეროდ ღიმილი შეაგება ნოშრევანს და ერთხელ კიდევ გაოცდა ნოშრევანის ახალგაზრდული იერისა და ხალისის პირისპირ. ნოშრევანის კრიალა და თეთრ კბილებს შეხედა, კალთა ჩამოიფერთხა და ვრცელ დარბაზს მოავლო თვალი.

ნამდვილი ბაბილონური აღრევა სუფევდა ირგვლივ. ჩალეწილ მინების ნაცვლად ბროკჰაუზის ენციკლოპედიისა და გეოგრაფიული ატლასის ყდები იყო გახირული ფანჯრებში. ერთ კედელზე ვახტანგ VI-ის სურათი ეკიდა (სავსებით მტვერში ამოგანგლული), და ერთიც თამარისა, სადაც დაჩოქილი რუსთაველი თავის პოემას მიართმევს თავის მუზას (ამ სურათს მჭვარტლიანი აბლაბუდები მოსავდა კიდურებზე და თეთრი ფონი ბუზებს წაებილწათ). მერმე კედელზე უწესრიგოდ ეკიდა ყარსის, ერევნის და ღუნიბის ამღებ ქართველ გენერლების გამოხუნებული ფოტოგრაფიები. ქართული წვერები რაღაც ადამიურ ომახიანობას აძლევდა ნიკოლოზ პირველის გაჯგიმულ ოფიცრებს.

ცალკერძ გამოქალაქებული ქართველი თავადების სურათები ეკიდა. ცილინდრიანი ლიბერალები, ორიოდე რბილქუდიანი, მოსოციალისტო თავადი (ესენი ჩაცმულობითა და წვერებით ამოწმებდნენ თავიანთ ლიბერალობას). ცალკერძ მამიდების, დეიდების, სიძეების, რძლების, ოჯახის მოკეთეთა ჭიაჭუა სურათები.

ხოლო მათ შორის ყურადღებას იქცევდა ცხენოსან თავადის ფარდანიანის დიდი ფოტოსურათი.

ნოშრევანს ყურთმაჯიანი კაბა ეცვა, კალმუხის ქუდი სიგრძეს მატებდა ისედაც გრძელ კისერს. კაროლინას თვალი დარჩა ამ ტანწერწეტ ვაჟკაცზე. მორიდებული მზერა შეავლო მის გასწვრივ მჯდარ მოხუცს და არც ისე საგრძნობლად შეცვლილი ეჩვენა იგი.

დარბაზი სამგზის გადაეტიხრათ ფარატინიანი ნოხებით და ჯეჯიმებით. ამ ხელოვნურ კედლების გაყოლებით ფაშვებგამოყრილი ოტომანები და სავარძლები იყო მიყრილი; ზოგ მათგანს ბამბა გამოსცვენოდა, ზოგსაც — მოშლილი ზამბარები. უზარმაზარი შავი მაგიდის გარშემო თორმეტიოდე საპირეშემოხეული სავარძელი ელაგა, ექვსიოდე საჯდომგახეული სელის სკამი, რამოდენიმე დანჯღრეული, ფეხებმონგრეული ქართული სავარძელი. სარჩულგამოფატრული მუთაქები ეყარა მათზე. სარკეჩალეწილ ტუალეტის მაგიდებს ქვეშ ქუდის კარტონები, გაუწმენდელი ფეხსაცმელი მოსჩანდა. კედლების კაჩხებზე ძველებური ჯაზაირები, ხმლები და ქართული სატევრები ეკიდა. ერთ კუთხეში ძველებური პიანინო იდგა, „ბეკკერის“ ფირმისა, მათზე უწესრიგოდ დაებნიათ ნოტების დაფხრეწილი ფურცლები. სანთელჩამოღვენთილი შანდლები ზედ იდგა და მწერებისაგან მთლად წაბილწული მაღალი ხაზები.

ბუხრის თავზე წამლების და ოდეკალონების თავწამტვრეული ფლაკონები ეწყო, კაროლინამ ორ შესანიშნავ იაპონურ ვაზას დაადგა თვალი. ორივესთვის სახელური მიემსხვრია დაუდევარსა და უხიაგ მომხმარებელს.

და წესრიგის მოყვარულმა ქალმა შენიშნა მყისვე: აქ არც ერთი საგანი თავის ადგილზე არ იდგა, არც ერთი ნივთი ჯეროვნად არ იყო მოვლილი და ყოველი მათგანი მჭევრად ამხელდა უცილო ნგრევისა და რღვევის მატიანეს.

ნოშრევანმა ჩვეულებრივი კომპლიმენტები შესთავაზა თამარ

ბაგრატიონს. მერმე ეს ჰკითხა: სიონში თუ იყავითო გასულ კვირას. არა, სიონში არ ყოფილიყო ბაგრატიონის ქალი, ქაშუეთში უწირავს თურმე კათალიკოსს და მიტომაც ქაშუეთში ვარჩიეო წასვლა. მერმე თავის მოხუცებულ მეგობრებს შეესიტყვა ნოშრევან:

„რას ამბობს ჩვენი „რეფერენტი“, ააა, კნიაზ შაქრო?“

კნიაზ შაქრომ შაითან კაპიტანს გადახედა. სკეპტიკოსობსო შეითან კაპიტან. საერთოდ თოფის წამლის სუნი სდისო ქვეყნად.

კატეგორიული ტონით ამტკიცებდა „კნიაზ შაქრო“. ნოშრევანმა ღიმილით მიმართა თარაშ ემხვარს:

„კნიაზ შაქრო ძლიერ მაგონებს იმ ორბელიანს, შენმა მზემ, 1810 წელს ფანჯრიდან რომ გამოიხედავდა ყოველ დილით, მოურავს ჰკითხავდა: რუსები თუ წავიდნენო და როცა უარს მიიღებდა, ისევ ჩაიკეტებოდა თავის პალატებში. და ასე კითხვა-კითხვით მომკვდარა თავადი ორბელიანი, შენმა მზემ. ჩემი კნეინაც ათი წელია მიმტკიცებს რომ Le monde civilisé[28]. არ დაუშვებს კერძო საკუთრების მოსპობას. Le monde civilisé არც წოდების გაუქმებას დაუშვებს, სანამ განათლებულ ქვეყნებში თავადები იქნებიან, ჩვენც ჩვენი მოგვეცემაო.

ეს სახლი მინდოდა გამეყიდა, შენმა მზემ, ჯერ საფრანგეთის იმედი ჰქონდა მამიდაშენს, საფრანგეთი ქვეყნის თავიაო, ამტკიცებდა. მერმე ინგლისი გამოვიდა ასპარეზზე. ინგლისმაც უკან დაიხია, მუსოლინიმ იმედი გაგვიცრუა და ხალხთა ლიგამ მთლად წაბილწა ნიახური, ახლა იაპონიაზე მიდგა ჯერი.

ამასობაში სახლი წაგვართვეს, შენმა მზემ.

ჯერ ვიღაც წითელი მეთაური ჩაგვისახლეს. მერმე პოლიტხელი, პოლიტხელი სადღაც გააგზავნეს, მერმე ვინმე მანჯგალაძე

[28] განათლებული კაცობრიობა.

ჩამოგვითესლეს. ჯერ გვარს დამიხედე, გარდა ამისა, ძველი ჩეკისტია (ზიზღით წარმოსთქვა ეს სიტყვა ნოშრევანმა). უცებ საუბარი შესწყვიტა ნოშრევანმა და კნიაზ შაქროს გადასძახა პოლიტიკის გამო კამათით გართულს:

„კნიაზ შაქრო, თუ შენ არაფერი გაქვს საწინააღმდეგო, ერთ ხელს ჯერ თარაშთან ვითამაშებ“.

„პაჟალუსტა, პაჟალუსტა“, ხმა მისცა კნიაზ შაქრომ.

„ყველაზე უფრო ის მაღელვებს, შენმა მზემ, ანული ისე მოიქცა, როგორც ეს უჯიშო ქალებს სჩვევიათ ხოლმე, — განაგრძო ნოშრევანმა ვინც მათ გვერდით დასახლებას მოასწრებს, იმ მამაკაცს მინებდება ასეთი ქალი“.

ნოშრევანი და თარაშ ემხვარ პიანინოსთან მდგარ ნარდის მაგიდას მიუსხდნენ. კამათელს გაუწყრა ნოშრევან: დუბეშიო შესძახა და დუბეში დაისვა მართლაც.

„მერმე ზაქსში წაყვანა მოუნდომა ანულის. წარმოგიდგენია, ჩემი ქალი და მანჯგალაძე (უკანასკნელ სიტყვას შესაძლებლად ირონიულ აქცენტს აძლევდა ნოშრევან), მამიდაშენმა სიკვდილი დააპირა, მე დავპირდი ანულის: თავს მოვიკლავ-მეთქი.

ჯერ კიდევ არიან ისე... აწი არ ვიცი, შენმა მზემ“.

მამიდაშენი მაინც იმედს არ ჰკარგავდა რომ „ლე მონდ სივილზე“ განათლებული კაცობრიობა ბოლშევიკებს არ დაანებებდა ჩვენს ქვეყანას, ბოლშევიკებს გააგდებდნენ, ჩვენ კი მანჯგალაძეს მოვიცილებდით“.

„შაში სე“, შესძახა თარაშ ემხვარმა და მართლაც შაში სე მიიღო.

„ფანჯი შაში, შე ოხერო, თორემ კარებს დაგვიკეტავენ“, ეხვეწება ნოშრევან კამათლებს. ფანჯი შაშის ნაცვლად შაში იაქე მიიღო, იაქეთი სე მოუკლა თარაშს, მაგრამ იძულებული გახდა შაშის კარი გაეხსნა. შაშის კარი გახსნაო: შაშიო, უყივლა თარაშმა

კამათელს და ორი სეთი კიდევ ერთი ქვა მოუკლა ნოშრევანს, მერმე გააპარა სამივე გარედ დარჩენილი თეთრი ქვა და ერთი დუშაშით სავსებით გადაჰკეტა თავის კარები.

თარაშ ემხვარმა საუბარი განაგრძო, ოჯახის მატერიალური მდგომარეობით დაინტერესდა.

„ხუთი წელი მამიდაშენის ბეჭდები, სამაჯურები, საყურეები და სერვიზი ვყიდეთ, — განაგრძო ნოშრევანმა, — მერმე ხატებზე მიდგა საქმე, სამი ამინაშატის ხატი ნივრის ნაქურცვენზე მივყიდეთ მუზეუმს, ერთი მათგანი გოსტაშაბიშვილებისაგან იყო გამონამზითი, შენ იცი, ჩემი დიდდედა გოსტაშაბიშვილის ქალი იყო, საქართველოს უკანასკნელი უდღეური მეფის, გიორგის მკვიდრი დისწული. ერთი ხატი ბექა ოპიზარის ოქრო ქანდაკებებით იყო შემკული. წითელ-ყვითელი იაგუნდებითა და ხოშორი მარგალიტებით მოოჭვილი. 15 ზურმუხტიანი! ლალიანი, ფირუზიანი, საცერე გავყიდე ას-ას მანეთად, მე უბედურმა. ოციოდე პირის მარგალიტი, ერთი მურასა მარგალიტის ყელის ძეწკვი, ოქროს თითრიმითა შემკული. ერთი ძვირფასი იაგუნდის ბეჭედი, ჩემი რძლის — ერისთავის ქალის ნასახსოვრები. მათ მოჰყვა ძველებური მურასად მოჭედილი მიჭვრიტანები, სალამანდროსი, კიდევ ბეჭდები, მანიაკები, მამიდაშენის მზითვის წიგნიდან, შესანიშნავი ხატი ნათლისმცემლისა, ორმოცდაცამეტი ხოშორის მარგალიტითა, წითელ-ყვითელი იაგუნდებითა და ლალებით შემკული, შვიდი წყვილი საყურე ბადახშანის ლალებით დამშვენებული.

ეს ყველაფერი ისეთ წლებში გაიყიდა, როცა განძეულის გაყიდვა აკრძალული იყო და ვიღაც საეჭვო დალალებმა ვირის ფასად შეინარჩუნეს ყველაფერი. აქედან 2000 სტერლინგი შენ გადმოგიგზავნეთ პარიზში“.

თარაში იძულებული გახდა შაშის კარი გაეხსნა. თარაშის კა-

მათელი ნარდის კიდეს გადასცდა, იატაკზე დაგორდა. ნოშრევანს კამათლის ძებნის დროს პატარა ფოტოსურათი გამოუვარდა ჟილეტის ჯიბიდან უეცრად.

თარაშმა თვალი ჰკიდა. ფოტოსურათი გამოართვა. დახედა. ნოშრევანისა იყო.

„კინოში გადაღებულია“, ამბობს ნოშრევან. თარაში ფოტოსურათს დააჩერდა, უსიტყვოდ დაუბრუნა ნოშრევანს.

შაში ჩარიო, დასჭყივლა კამათელს ნოშრევანმა და ჩარი სე მიიღო. ჩარი მოუკლა თარაშს.

„და ყველაფერი ისე გაჰქრა, — განაგრძო ნოშრევანმა, — მომპასიანი ჩაის, შავი პურის და უღვინო სადილის ამარა დავრჩით. მამიდაშენს ქარები სჭირს და მისი აქიმობაც დიდი ფული დაგვიჯდა.

მერმე ის იყო, ის მანჯგალაძე პარტიიდან გარიცხეს ლოთობისა და დებოშებისათვის.

ახლა ანულიმ მოითხოვა თავისი წილი. მედინსტიტუტში უნდა ვისწავლოო, ზიდა ლომბარდში ნოხები, სერვიზი და დარჩენილი ოქრო და ვერცხლი.

მერმე, უკანასკნელი სამი გირვანქა ოქრო წაგვართვეს, ხუთი კარატი ბრილიანტი. შენც კარგად იცი, მე ჩემს დღეში არ მიმსახურნია. ან რა სამსახური შემეძლო. არასოდეს სანადირო თოფისა და სატევრის მეტი სხვა იარაღი არა მჭერია ხელში, შენმა მზემ. წერა ისე მეზარება, ათი წელი რომ ვიყვე ჩინეთში, ღია ბარათსაც ვერ მოგწერ, შენმა მზემ.

ღმერთმა ააშენა ჩემი რეჟისორი, სადღაც ქორწილში გამიცნო ავლაბარში. თამადად ვიყავი და ჩემი თამადობა მოეწონა ჩემს რეჟისორს.

ერთმა ხატმა რაღაცას გახვრეტა იცოდაო, ხომ გაგიგონია?

(ამის თქმისას თარაშისაკენ გადაიხარა და თითქმის ყურში უჩურჩულა):

მეც ერთი ხელობა მაინც მასწავლა ჩემმა საცოდავმა მამამ“.

ნოშრევანმა გაიღიმა და ტუჩის კუთხეებთან გავლებული ნაოჭები გაუღრმავდა უეცრად.

გაიცინა და დუშაშიო, შესძახა კამათელს ღიმილით. დუშაშის ნაცვლად დორთ-ჩარი მიიღო. სახე დაუმშვიდდა ნოშრევანს.

„მე მუდამ მძაგდა სცენაზე გასული ქალიცა და კაციც.

ამბობს ნოშრევან.

მე მათ არაკაცებად ვთვლიდი ყოველთვის. კინო, გრამმოფონი და რადიო მათი შემოღების მეორე დღიდანვე ჭირის დღესავით მძაგდა. მე ასე მგონია, შენმა მზემ, ესენი იმადაც შემოუღიათ ევროპელ კაპიტალისტებს, რომ მუშახელი ჩანგურის დაკვრას, სიმღერასა და თეატრში სიარულს გადააჩვიონ როგორმე. ახლა მე თვითონ თავადის როლებს ვთამაშობ ეკრანზე. ჩემს წოდებას ვაპამპულებ და ჩემსავე თავს“.

ჩარი იაქეო, შეევედრა კამათელს ნოშრევან, დუბარა მიიღო. ორი ცალი შავი ქვა აიღო.

„და ასე მიდის ჩემი დღე და სოფელი, შენმა მზემ. მაინც უნდა გითხრა, ერთად ერთი ბედნიერი წუთები ესაა ჩემი: მუდამ თამადადა ვარ, ჯიშიან ცხენებზე ვჯდები, ვჯირითობ, ვნადირობ, ვარშიყობ, მუდამ ჩემი საყვარელი თეთრი ჩოხა მაცვია. მე არასოდეს ჩამიცვამს უწინ ჩოხის მეტი სხვა ტანისამოსი, შენმა მზემ. ასე გადავიდა მთელი ჩემი ცხოვრება ეკრანზე და ლანდად ვიქეცი, როგორც მხედავ. საღამოს შინ რომ მოვბრუნდები, აქ იგივე დამხვდება, რაც დილით დავტოვე, ავადმყოფი, დახუთული ცოლი, ოჯახიდან გასული ქალიშვილი, მამიდაშენის კატები და მომპასიანი ჩაი. უნდა შეეგუო ადამიანი ცხოვრებას, შენმა მზემ. აგერ

ბაგრატიონის ქალი რომა ზის, სწორედ ბედნიერია ის ქალი, შენმა მზემ. იგი სნეულია, ცალი ჭაჭა ამოჭრილი აქვს. ამ უბედურებასაც ჩვენზე ადრე შეეგუა იგი. თავადაზნაურობამ სჯულს უღალატა და სამაგიერო მოგვაგოვო ღმერთმა.

ჩვენი უსჯულოების, გარყვნილების, ბედოვლათობის სამაგიერო გვიზღაო ღმერთმა, ამტკიცებს ბაგრატიონის ქალი. არაფერი უღმერთოდ არ იქნებაო ამქვეყნად. ბოლშევიკები ღვთის განაჩენს ასრულებენო, ასე ამბობს ბაგრატიონის ქალი და ხანდახან მეც ეჭვში ვარ, შენმა მზემ“.

„იაგანი“, დასძახა კამათელს ნოშრევან ფარჯანიანმა და იაგანით ოთხივე შავი ქვა აიღო უკანასკნელ კარებიდან.

თარაშმა წააგო და კნიაზ შაქრო მოუჯდა ნარდს.

თარაში მამიდა არმადარმა მიიხმო: გამოკითხავდა დედის, ოჯახის, და ცოლის შერთვის ამბებს.

ანული ალბათ კრებაზე დასტოვესო კლინიკაში, მოუთმენლად ნერვიულობს მამიდა არმადარ.

ვის გაუგონია ქალი კრებებზე დადიოდესო, გადაგვჯეგაო ანულიმ, სიბერე გაგვიმწარაო ანულიმ. ევედრება თარაშს მამიდა არმადარ: ჩააგონეო რამე ანულის, „ზაქსში“ მაინც ნუ წაყვებაო „იმ ოჯახდაქცეულ“ მანჯგალაძეს, ძია ნოშრევან ვერ გადაურჩებაო ამ ამბავს, ეჩურჩულება არმადარ თარაშ ემხვარს.

თარაში ადგა, კედლის სურათებთან მიიყვანა კაროლინა. კაროლინა ისევ ნოშრევანის სურათს შესცქერის.

ამასობაში მამიდა არმადარ გათხოვების ამბავს გამოკითხავდა თამარ შარვაშიძეს; რა გაიგო მედიცინის ინსტიტუტში აპირებსო იგიც შესვლას, ურჩია დროზე გათხოვილიყო. ქართველი ქალი ადრე უნდა გათხოვდესო, უმტკიცებდა. ინსტიტუტში მაინც არ მიიღებენო შენი გვარის პატრონს. ჩემმა ანულიმაც ორი წელი იარაო, მერმე როგორც იქნა, მიიღეს ინსტიტუტში, მაინც ყოველ

წმენდაზე გული უკანკალებსო ანულის.

„თავადებს ეყოფათ რაც უსწავლიათ, ახლა გლეხებმა და მუშებმა უნდა ისწავლონო, ასე ამბობენ შვილო, ბოლშეკივები“, დაასკვნა მამიდა არმადარმა.

უკანა კარი გაიღო და ანული შემოვიდა სავსებით გაფითრებული. იგი ნაძალადევი ღიმილით შეეგება სტუმრებს. თამარი და თარაში დაკოცნა. კაროლინას მოკრძალებულად მიესალმა. კაროლინამ ძლივსღა იცნო იგი. სახე გაფითრებოდა ანულის, დასრულებულიყო, თეძოები დასქელებოდა, თმები უწესრიგოდ ჩასწეოდა ღაწვებზე, საკმაოდ უსუფთაო ბრეტელები მოუჩანდა ღრმად ამოჭრილ ჩითის ბლუზიდან, დაშვებული, დონდლო ძუძუები უტოკავდნენ ზემოტანის შექანებისას, ქერტლი დაჰყროდა მხრებზე, შეკრეჭილ, თხელ თმებიდან ძირს დაცვენილი, კისრის გარშემო ოდნავ მოხაზული ნაოჭების ორმაგი რგოლი გასჩენოდა.

ღიმილის დროს თვალის უპესთან, ღაწვების გასწვრივ, ჩიტის ნაკვალევის დარად ეკეცებოდა კანი. ხელები არა ჰქონდა მოვლილი, ფრჩხილის ძირებს ზედ ემჩნეოდა მოშაო არშია წვირისა.

მამიდა არმადარმა ანული მოიხმო. უგუნებობის მიზეზი გამოჰკითხა. ანული ინსტიტუტიდან გამოურიცხავთო!

ჯერ იყო და იამა მამიდა არმადარს ეს ამბავი (იცოდა ნოშრევანს გაუხარდებოდა). მერმე დაფიქრდა. მიხვდა: ანული არ შეურიგდებოდა ასე იოლად ამას. დაფიქრდა, თავათაც ეცვალა ფერი.

ანულიმ გაცივებული ჩაი დაისხა.

თამარი გვერდით მოუჯდა. სამი წლის განმავლობაში არ ენახათ ერთმანეთი კლასსის ამხანაგებს. ხან სერიოზულად, ხანაც ხუმრობით „ქაჯური“ ენით უთხრობდნენ ერთმანეთს ძველსა და ახალ ამბებს.

„შეითან კაპიტანი“ წამოდგა. გამოეთხოვა დამსწრეთ.

კნიაზ შაქრო განაგრძობდა აზარტით თამაშს, მარსით გათავება უნდოდა როგორმე კნიაზ შაქროს.

„შაში სე, შე მუდრეგო“, უყვაოდა იგი კამათელს ისეთი მჭახე ხმით, როგორითაც ჩვენი გლეხი გაოჩნებულ ხარს დასჩხავლებს ხოლმე.

კაროლინაც წასვლას დაადგა. არმადარ ყასიდად წაეპოტინა, მაჯის საათს დახედა კაროლინამ. თერთმეტის ნახევარია, ბავშვი მარტოაო „ორიანტში“.

თამარიც წამოდგა, მაგრამ ანულიმ მკლავში წაავლო ხელი, ისევ ძირს დასვა: ჩვენსას დარჩიო.

თარაშ ემხვარს არ იამა, რადგან მას არ მოსწონდა ანული (არ უნდოდა თუნდაც ერთ ღამეს დარჩენილიყო თამარი მასთან). მაგრამ არა სთქვა რა და კაროლინას გასაცილებლად აიყარა.

* * *

როცა კაროლინა და თარაშ ემხვარ დარია დედოფლისეულ სასახლის შენობას გაუსწორდნენ, გამყინავი ხმით გალობდა მოლლაჰ შაჰ ისმაილის მეჩეთიდან შეითან ბაზარში.

ამ ხმამ უსიამო ჟრჟოლა მოჰგვარა თარაშ ემხვარს, ხელი გაუყარა კაროლინას და მჭიდროდ მიიკრა მისი ფაფუკი სხეული.

მდუმარედ მიდიოდნენ ორივენი მცირე ხანს. ვიღაც მთვრალი კაცი მიბაჯბაჯებდა ქუჩაზე. გაუგებარ სიტყვებს ბუტბუტებდა. წაიქცა სიბნელეში კაცი... ფილაქანებზე დაგვიანებულ გამვლელების ხმა ისმოდა მხოლოდ.

„საოცარი განცდა მქონდა ამ საღამოს, — ეუბნება თარაში კაროლინას, — ნოშრევანს ფოტოსურათი გამოუვარდა ჯიბიდან. ხელიდან გამოვართვი, დავხედე: მიცვალებულის სახე წარმომიდ-

გა. ენით უთქმელი ამბავია. მეორეჯერ მომდის ასეთი რამ. ერთხელ, ომში ყოფნისას, ჩემმა პარიზელმა ამხანაგმა ანრი რენომ, თავისი სურათი გამომიგზავნა, ნიცაში, ზღვის პირად გადაღებული. დავხედე სურათს. ელდა მეცა, გავიფიქრე: ამ სურათის პატრონის დღეები დათვლილია-მეთქი. ერთ კვირასაც არ გაუვლია, ანრი რენოს დედამ რადიოთი მამცნო: ანრის უეცარი გარდაცვალება. დაიმახსოვრეთ, ნოშრევან ფარჯანიანს გრძელი დღე არა აქვს“.

„რატომ გგონიათ?“ ეკითხება კაროლინა.

„ამ გრძნობებს განმარტება არა აქვს. გული ამას მეუბნება და არ ვიცი რატომ“.

მცირე ხანს ორივენი სდუმდნენ.

„უფრო მეტს გეტყვით, ფრაუ, არც მე მიწერია ხანგრძლივი სიცოცხლე. ასე მგონია ცოცხალმკვდარი დავდივარ-მეთქი, გული მიკარნახებს ასე: ჩემი დღეებიც დათვლილია“.

კაროლინამ შეხედა თარაშს:

„ცრუმორწმუნე ადამიანი ხართ და ეს ყოველივე გეჩვენებათ. ღამღამობით მუშაობთ, დაქანცულობით მოგდით“...

„ცრუმორწმუნე? შეიძლება. კაც ზვამბაიამ და ჩემმა ძიძამ ხათუნამ ასე გამზარდეს“.

„განა მარტოდ კაც ზვამბაიამ და მისმა ცოლმა? სორბონის და მიუნხენის პროფესორებს რას ეუბნებით?“

„აჰ, მათ რა ესმით... უბირი ადამიანის გულმა მეტი იცის“. ვარსკვლავებით მოოჭვილ ცაზე მეტეხის შავი სილუეტი გამოჩნდა, მაღალ ფლატეზე აღმართული. შესცქეროდა თარაშ ემხვარ მეტეხის ღამეულ ლანდს.

ტფილისის დაარსების მითს უამბობდა კაროლინას.

არც ერთი კლასიკური ქალაქის დაარსებას ასეთი ლამაზი მითი არ უძევსო სარჩულად.

ვახტანგ გორგასალი, თბილისის დამაარსებელი, დიდი მონადირე ყოფილა თურმე. ჟამთააღმწერელი გვიმოწმებსო ასე: ირემს ცხენდაცხენ მიეწეოდა ვახტანგ, შეიპყრობდაო ირემს, ზედაზენის მთაზე აიტანდაო თავათ.

სწორედ ამ მიდამოებში ნადირობდაო გორგასალ ქორითა. ხოხობს გამოდგომიაო ქორი. გაუჩინარებულაო ქორი უდაბურ ტყეში.

უვლია, უვლია გორგასალს. მერმე მიუგნია თურმე, ფლატედან გადმოქუხდა ცხელი წყალი. შიგ გდებულაო ქორიც და ხოხობიც. აი, ამ აბანოებს გულისხმობსო ლეგენდა.

თითით უჩვენებს თარაში ორბელიანების აბანოს კაროლინას. ორივენი დადუმდნენ მცირე ხანს.

ირანელი მეხილეები ჩალიჩობდნენ შუკებში, კედლებთან ატუზულნი საუბრობდნენ ხმადაბლა, ტკბილი ირანული ჟღურტული ისმოდა. ოდნავ განათებული სარდაფიდან ბაიათის გულსაკლავი ღიღინი ამოდიოდა.

კაროლინა ქვას წაებორძიკა ბნელ შუკაში გდებულს. მკლავზე ხელი წაავლო თარაშს და ეს ჰკითხა შემდეგ:

საკუთარი გერბი თუ აქვსო ტფილისს! „როგორ თუ გერბი?“ შეეკითხა თარაში. როგორც რომის ქალაქს — ძუმგელი, ხოლო ბერლინს — დათვი“.

არა, არა აქვსო ტფილის ქალაქს გერბი, ხოხობი და ქორი დაამშვენებდაო ტფილისის გერბს.

როცა კაროლინა და თარაში სასტუმრო „ორიანტს“ მიუახლოვდნენ, თორმეტჯერ დაჰკრა ქალაქის საათმა.

თარაში შესდგა და მაჯის საათს დააცქერდა.

„რას შვრები?“ ეკითხება კაროლინა. პულსს ვუსინჯავ ტფილისს“. და ხუთი წუთის შემდეგ კაროლინას მიუბრუნდა თარაში: „ხუთ წუთში 10 ავტომ და 10 საბარგომ გაიარა რუსთაველზე.

თბილისი დიდი ქალაქების წრეში შედის ნელინელ“.

ესა სთქვა თარაშ ემხვარმა, „ორიანტის“ შესავალთან მიიყვანა კაროლინა და აკოცა გამოწვდილ ხელზე.

უძილო ღამე

მამიდა არმადარ დიდხანს ებრძოდა თავის კატებს. ჯოხით დაბრახუნებდა ოთახში, უწყრებოდა, ფრანგულად კიცხავდა მათ, უზრდელობას და უწესობას უჩივოდა.

„Va-t'en, va-t'en“ უყვიროდა. ეს ყველაფერი ესმოდათ ანულის და თამარს. ნოშრევანმა კარები ჩაიკეტა.

პირსაბანის ონკანიდან წვეთავდა, ხანაც ყელ-პირის გამორეცხვისას ღრუტუნებდა წყალი ნოშრევანის ხახაში.

მერმე აზიური ჩექმების გახდა დაიწყო, ხვნეშოდა ნოშრევან მცირე ხანს. ჭრიალებდა დანჯღრეული სავარძელი.

მერმე ყოველივე დადუმდა ირგვლივ, მხოლოდ კედლის საათის ტაკატუკი ისმოდა.

ანულის ჯერაც არ მოეთავებინა თავის სათხრობი.

ხომ დიდი დროა სამი წელი მეგობარ ქალთათვის. თამარს გამოცვლილი ეჩვენა ანული.

და როცა ლიფი გაიხადა ანულიმ, თამარმა შენიშნა: ჭკნობა

შეპარვოდა ანულის ფაფუკ ძუძუებს, ისინი ჭიპამდის უწევდა ანულის თითქმის და ძუძუების გარშემო ისეთი ხორკლები გასჩენოდა, როგორც ბურტყლშემოცლილ ბატის ხორცს აჩნია ხოლმე.

და როცა გვერდით მოუწვა ანული, ეუცხოვა თამარს ანულის თავისუფალი ლაპარაკი. ანულიმ ძუძუზე შეავლო ხელი თამარს.

მოეწონა მისი მკვრივი ძუძუები და შინდისდარი კერტები ძუძუსი.

როგორი ქალწულური ძუძუ გაქვს, ქალო, ნუ თუ ამდენ ხანს მამაკაცთან არ გიცხოვრიაო?

თამარს არ იამა კითხვა, არც ძუძუზე ხელის შევლება. თამარი გაწითლდა.

???

იცრუა.

„შენ ასეთი ლობიო დარჩები, შე საწყალო, მუდამ. ტყვილა კი არ გეძახოდნენ „უკარებას“ ჩვენი ბიჭები. გახსოვს, „მონაზონი“ რომ შეგარქვა არზაყანმა... ვგონებ, ახლაც „მონაზონი ხარ“ აა-აა?“

ანული თვალებში მიაჩერდა თამარს, თითქოს მზერით უნდოდა ჩასწვდომოდა გულისხმას მისას და სულ მცირე პაუზის შემდეგ:

„მართლაც და როგორაა შენი და არზაყანის რომანი?“ მოულოდნელად ეკითხება ანული თამარს.

თამარ აიმღვრა (კიდევ კარგი, ელექტრონის შანდალს აბაჟური ეხურა, საკმაოდ მუქი აბაჟური).

„ვინ გითხრა... მე და არზაყანი... რომანი“...

„შენ ასეთი გულჩათხრობილი იყავი ყოველთვის... როგორ თუ... ვინ მითხრა? შელეგია ჩამოვიდა აფხაზეთიდან გუშინწინ. შელეგია ხომ გახსოვს, მერვე ჯგუფში რომ იჯდა ჩვენთან. თავკომბალას არ ვეძახოდით? დამაცა... რა ჰქვია იმ შელეგიას?“

„შელეგიას ნოდარი ერქვა“.

„ჰო, ნოდარი, ჭორფლიანი, მაღალი ყმაწვილი. ცოლად დაღიანის ქალი რომა ჰყავს, ლილი... ჩვენს შორის დარჩეს და უწინაც კალთამადლიანი იყო ლილი... თავის მასწავლებლებთან ცხოვრობდა მუდამ. ასე გაათავა გიმნაზია...

და მცირე ხნის დუმილის შემდეგ ისევ განაგრძო ანულიმ:

რას ჰქვია კალთამადლიანი. ის ყოფილა ყველაზე ჭკვიანი ჩვენში, ორსართულიანი სახლი აქვს მის ქმარს, საკუთარი მაშინა და მდიდარი პრაქტიკა. თვითონ ლილი ზაფხულს კისლავოდსკში ატარებს, შემოდგომას გაგრაში, ზამთარს წყალტუბოში. ქმარი ხარივით შრომობს... კავალრებს არ იკლებს ლილი და არც გართობას... ყოველ სეზონში სამი კავალერი... ერთიც ოფიციალურადა ჰყოლია თურმე... მის ქმართან ნადირობს. წრეულს სამივე ერთად ყოფილან გაგრაში. რა ყრია მაგ შენ მონაზვნობაში. ახალგაზრდობა თვალსა და ხელს შორის გამეპარა... და რა მოვასწარი?“

„მერე რაო, რა გითხრა იმ შელეგიამ?“ შეეკითხა თამარი.

„შელეგია კლინიკაში ვნახე სწორედ გუშინ. ამბობდა: ამ დღეებში ქალაქში ჩამოვლენო თამარი და არზაყან. ორივეს მედფაკულტეტი აურჩევიათო. ეს კარგია, როცა პროფესიაც აერთებს ცოლ-ქმარს“.

„კი მაგრამ მე სრულიადაც არ ვფიქრობ არზაყანის გაყოლას“.

„შენ კიდევ არ იშლი დედიჩემისებრ ქედმაღლობას, თამარ“.

„ქედმაღლობა რა შუშია, ანული? მე მხოლოდ სიყვარულს გავყვები, „აბა მე შენ გეტყვი, თამარ, სისულელეა ეს სიყვარულის ამბავი. ეს რომანისტებმა მოგვახვიეს ჩვენ ქალებს თავზე. მე მხოლოდ ერთ რამეში ვუჯერებ დედაჩემს, უჭკუო ქალებს სჩვევიათო გრძნობის აყოლაო, რომ ამბობს. მშივრებს რაც უნდა უყვარდეთ ერთმანეთი, ბოლოს მაინც შესძულდებათ ერთიმეორე.

სიყვარულს კომფორტი სჭირია, ჩემო თამარ, მე არასოდეს გავთხოვდებოდი სიყვარულით. მეყოფა გაჭირვება და სიღატაკე. არ მინდა მამაჩემის ოჯახის ნანგრევებს ქვეშ მოვექცე. ცხოვრება მინდა, ცხოვრება, სიხარული და კომფორტი...

სიყვარული თვითონვე მოვა შემდეგ.

მე არ მომწონს მანჯგალაძე, წინადაც გიამბობდი... მაგრამ ზოგ-ზოგი მამაკაცი კიბოსა ჰგავს. სანახავად საძაგელია კიბო, სამაგიეროდ გემო აქვს კარგი.

სიყვარულით იმიტომაც არ გავთხოვდი, მიტომაც არ გავყევი ჯორჯაძეს".

„მართლა, რა იქნა ჯორჯაძე?"

„არ გაგიგია განა? ჯორჯაძემ სიყვარული გამიცხადა, უარი მიიღო და თავი მოიკლა მეორე დღესვე".

თამარი შეაწუხა ამ ამბავმა.

„როგორი ლამაზი ვაჟი იყო ჯორჯაძე".

ლიგინიდან წამოიწია თამარი და თავისავე ნაწნავებს დაუწყო კეცვა, რადგან ნაწნავები შეხსნოდა თავის გარშემო შემოგრაგნილი.

დახსნა და ისევ დაწნა და სამკეცად დაიხვია თავზე.

„კიდევ ვერ მოიცილე, ქალო, ეს ძველებური ნაწნავები თავიდან. მე ხვალვე წაგიყვან, იცოდე, ჩემ პარიკმახერთან. მთელს ქალაქში შენს მეტი არავინ ატარებს ამხელა ნაწნავებს, შესაძლოა ავლაბარში, ან ჩუღურეთში ნახოს კაცმა რომელიმე გრძელთმიანი კეკელა. მიკვირს, ქვების სროლა რად არ დაგიწყეს ტფილისში ბიჭებმა. გარდა ამისა, ინსტიტუტშიაც უხერხულია ამნაირ თმებით სიარული... იცოდე, თმები უნდა შეიკრიჭო, ასე რომ წახვიდე ინსტიტუტში, გიყვარდეს კედლის გაზეთში ლანძღვა"...

თამარი სდუმდა... საბანი სახეზე წაიფარა. მაგრამ რა შეატყო

ანულისაც არ ეძინებოდა, ისევ შეესიტყვა მის გვერდით მწოლარეს:

„კნეინა არმადარ მიამბობდა, მართლა გამოგრიცხეს ინსტიტუტიდან?“

„ჰო, გამომრიცხეს, მაგრამ არაფერია. ხვალიდან აღარ ვიქნები თავადის ქალი. ხვალ „ზაქსში“ მივდივართ მე და მანჯგალაძე. აქ გვარის ამბავი იყო მხოლოდ; ან ვინ გაგაჭაჭანებს ახლა ინსტიტუტში თავადის გვარით, თუ მამაშენს რაიმე დამსახურება არ მიუძღვის რევოლიუციის წინაშე“.

ანული წამოდგა (კარის დაკეტვა დავიწყნოდა).

თამარი დაფიქრდა. არზაყანმა იელვა წამიერად მის გონებაში. მერმე თარაშზე გადაიტანა ფიქრი. საერთაშორისო ვაგონი მოაგონდა. ის ღამე... ინსტიტუტი, თმების შეკრეჭა და თავისი ოდიოზური გვარი. და მართლაც, თუ თარაშს არ მიიწვევდნენ უნივერსიტეტში დოცენტად, როგორღა შესძლებდა თამარი ინსტიტუტში მოწყობას. გვარს ხომ არ გამოიცვლიდა ამისათვის. ეს არც ისე იოლი ყოფილაო მერმე. და თამარს გული სევდით ევსებოდა ამ აზრის გულში გამვლებელს. ისევ ზუგდიდში მიბრუნება... მოწყენილი ჰქონდა მას ყრუ პროვინცია... ტირანი მამა... შარდინ ალშიბაიას გაუთავებელი ლაქლაქი... მამიდების, ბიცოლების, ნათავადარების კუთვა და კრუსუნი, პროვინციული ჭორები... ზამთრის გრძელი და ბნელი ღამეები, სტუმრებთან იძულებით გამოსვლა, ვიღაც ვიგინდარების მოსაწყენი შექცევა. ხერიპსის საოპერაციო ოთახიდან სააბორტე ქალების კივილი და ვიშვიში.

ანული დაბეჯითებით უმტკიცებდა, თმას თუ არ შეიკრეჭ, ინსტიტუტში ვერ წაგიყვანო, ისევ ურჩევდა, არზაყან დეპეშით ეხმო, ხელი მოეწერათ, ეს ყოველივე უთუოდ საჭიროა წინასწარ, ვიდრე ინსტიტუტში მიგიღებდნენო.

თამარი დედის სულს იფიცავდა, ხერიპსსა და საყვარელ თათიას, არზაყანს არ მივყვებიო ცოლად, მაგრამ ანული არ უჯერებდა, მის „მონაზვნობას“ აწერდა ყოველივეს, გულჩათხრობილობას და უნდობლობას ამხანაგისადმი.

არც კი ვიციო, არზაყან სად არისო ამჟამად, იგიც აპირებდაო თბილისს ჩამოსვლას, დაპირებული იყო, მაგრამ სამსახურმა დააბრკოლაო ალბად, ამბობდა თამარი.

ანული ისვე ჭორაობას მოჰყვა.

ნინო ალავიძე ქმარს გაჰყვა მესამეჯერ, ხელი მოაწერაო გუშინ წინ, თინა ცხედაძე ქმარს გაყრიაო, და ელენე სინაურიძეს სულემა დაულევიაო ივლისში, ფატი მელითაურს მუცელი მოუწყვეტიაო, მანანა ანჩაბაძე საშვილოსნოს გარე ორსულობას გადაყოლიაო ბაქოში.

და მერმე სავსებით მოულოდნელად ეს უთხრა ანულიმ თამარს: „იმასაც ამბობდა შელეგია, თარაშ ემხვარიც ეარშიყებაო თამარს“. უთხრა და თვალი თვალში გაუყარა ანულიმ. თამარს სიწითლე მოედო სახეზე, არც ეს შეუმჩნევია ანულის. თამარმა ბალიში გაისწორა თავქვეშ. მიუგო: „დიდი მეჭორე ყოფილა ის შელეგია“...

„არა, მე ერთად რომ გნახეთ, მენიშნა შელეგიას სიტყვები...

იცი, თამარ, თარაშ ემხვარ ხომ ჩემი მამიდაშვილია მკვიდრი. მაგრამ ის ამ ცხოვრების კაცი არაა... ასე რომ, მე არ გირჩევ. ასეთი მეოცნებენი ჩვენს დროში ვერ გამოდგებიან... მერმე უნივერსიტეტში მიწვევის ამბავიც გამოირკვა. შარშან ჩვენსას ცხოვრობდა თარაში, ამიტომაც აქ მოუვიდა უწყება უნივერსიტეტიდან. მე მინდოდა უწყება ამეღამ მიმეცა, მაგრამ დედამ დამიშალა, მე თვითონ მივცემო, დედას ეშინია, რამე არ მოიწიოსო თარაშმა. შენ გგონია შეწუხდება ამაზე? დედისა და მამიდის ვედრებას აჰ-

ყვა, თორემ თვითონ არც უნდოდა პროფესორობა. მე მეუბნებოდა თვითონ: ციხე, სკოლა, ყაზარმა და უნივერსიტეტი მთელი ჩემის არსებით მძაგსო. მას თავის აფხაზები ქვეყანას ურჩევნია, აფხაზები, ცხენები და ნადირობა. მამამისიც, განსვენებული ჯამსუღი, ასეთივე დაუდეგარი ყოფილა თურმე. ერთ ჯიშიან ცხენზე გაუცვლია მამამისს ოცდაათი ქცევა მიწა. ფანტაზიორია ჩვენი თარაში... ფანტაზიორებს რად უნდა ცოლ-შვილი“.

თამარს თითქოს გულის კუნთები შეესკვნაო, თავი ვეღარ შეიკავა და ათრთოლებული შეეკითხა ანულის:

„რა სწერია მერმე იმ უწყებაში, ანული?“.

„რა სწერია და დაუწუნებიათ მისი შრომა“.

„როგორ თუ დაუწუნებიათ“? „დაუწუნებიათ როგორც“... (აქ შებორძიკდა ანული).

„როგორც რა?“..

„როგორც მიუღებელი თანადროულობის თვალსაზრისიდან“..

თამარს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ფლასი რამ მოეფინაო თვალზე, საბანი აიფარა პირზე... და ამ დროს მოისმა მამიდა არმადარის, ძახილი: დაიძინეთო ქალებო... იძახოდა მამიდა არმადარ... უკვე მესამე საათიაო.

თამარს აღარ უნდოდა კიდევ რაიმე რომ ეთქვა თარაშის გამო ანულის.

სიტყვა აუქცია: მანანა ანჩაბაძის ამბავის გამოკითხვა დაუწყო. რად მოსვლიაო ასეთი რამ მანანას, ან საშვილოსნოს გარე ორსულობა რაღას ნიშნავსო? — აქ თავისი მკურნალური ცოდნა გამოიყენა ანულიმ. თავისებურად განუმარტა თამარს, თუ რას მოასწავებს ასეთი ორსულობა.

„თუ ასე გაინტერესებს ეს ამბავი, წამოდი კლინიკაში ჩემთან,

სწორედ ზეგ გვიჩვენებს ჩვენი პროფესორი, თუ როგორ უნდა ამ-გვარად დაორსულებულის ოპერაცია“.

თამარი აღუთქვამდა: უთუოდ წამოგყვებიო კლინიკაში. მაგ-რამ ეს აღარ გაუგონია ანულის, რადგან მაგარი, ადამიტური ძი-ლი მორეოდა პირაღმა მწოლარეს. მიცვალებულსავით ღია დარ-ჩენოდა პირი. უცნაური ტანჯვის იერი აღბეჭდილიყო ახლა ანუ-ლის ფერმკრთალ პირის არეებში.

და მძინარე ანული გაცილებით უფრო ხნიერი მოსჩანდა, ვიდ-რე წლოვანების მიხედვით იქნებოდა იგი.

თამარი მოუსვენრად ტრიალებდა ლოგინში. წამოიწეოდა, თმას გაისწორებდა, ბალიშს გადააბრუნებდა. ისევ ჩაჰყოფდა შიგ თავს. ანულის სქელი სხეულისაგან მომდგარი ცხუნვარება შე-მონთებოდა ტანზე.

მოღუშული აგვისტოს ცა იხედებოდა ფანჯრიდან მრუმე ღრუბ-ლების ძაძით დაფარული. წვიმის მძიმე შხეფები ეხეთქებოდა ჟამგამოშვებით მინებს და რაფებს. და თამარს წამიერად ეგონა: რომელიღაც ბნელფრთიანი ფრინველი დაგმანულ ფანჯრებში ლამობსო შემოჭრას...

შოლტავდა წვიმა ფანჯრებს, ზრიალებდნენ გაბზარული მინე-ბი, წვეთავდა თუნუქის ღარებიდან წყალი, რაღაც საოცარ რიტმი-ულ ტაქტს აყოლილი.

თამარი უფრო მჭიდროდ ჩაეხუტა ბალიშს. თარაშ ემხვარის სახე რიალებდა მის წარმოდგენაში... აგონდებოდა მისი მხურვა-ლე ალერსი და უსაზღვრო ტკბობის წუთები საერთაშორისო ვა-გონის კუპეში...

ქუჩიდან შემოდიოდა უკვე ურმების ჭრიალი, და მეურმის მჭა-ხე შეძახილი: „ჰამო ო“...

ავტოების ზუზუნი, ბუბუნი, ტრამვაიების შორეული რეკვა და მენავთის ზარების გულისწამღები ჟრიალი.

„ნავთი, ნავთი“... იძახოდა ვიღაცა შორს. ბარიტონით ღიღინებდა მეძველე, „ღვინო, ღვინო“... გაჰკიოდა გამყინავი ხმით პატარა ბიჭუნა შემოდგომის მამლაყინწასავით ხმაჩახლეჩილი.

„მაწონი... მაწონი“... ჩხაოდა მესახედრე მედგარი, მჭახე ხმით და შორს, ძალიან შორს დინჯად რეკდა მარტოხელა ზარი.

ექვსამდის მიჰყვა თამარი ამ ხმას, ითვლიდა, ითვლიდა და მერე ცნობიერება წაართვა ძილმა.

სტიროდნენ ბნელში სისხლის წვეთები...

აღარც არზაყან ზვამბაიას უძინია იმ ღამეს, ოქუმში. აფორიაქებდა ქარი ვერხვის ხეს და მთელი ღამე კვნესოდა ვერხვი. შავ ზღვაზე ციკლონმა გადაიარა.

ურთაზე ორასწლიანი მუხები მოსთხარა. ტყეებში ლელივით იფინებოდნენ, ლიწინლიწინი გაჰქონდათ ფიჭვებს, აკაციებს და ალვებს.

მთის მდინარეები აზვავდნენ. წისქვილები, ხიდები და ბონდები წალეკეს. გახელებული ენგური ახლად აგებულ რკინის ხიდს მიეჭრა, მარცხენა ბურჯი დაუზიანა, ოჩამჩირის რკინისგზა გადარეცხა მრავალგზის.

ასე რომ, ძაბული იძულებული გახდა გზამოვლით, ზღვით ჩამოსულიყო ოქუმში.

სამსახური მიატოვა ძაბულიმ, ობლები ოქუმში გადმოიყვანა მამისეულ ფაცხაში. ღამეებს უთენებდნენ არზაყანს ძაბული და

ხათუნა. ოშოშიას ადებდნენ არზაყანს ნაღრძობზე, ხოლო ნაბეჟს უზელავდნენ ყოველდღე. ყოველდღე სიცხეს აძლევდა არზაყანს, გაცივებულიყო მთელი ღამე ლამიან მიწაზე წოლისგან.

მძიმედ დაშავებოდა თეძო, მარცხენა ბარძაყი და კოჭის თავი. მარჯვენა ხელის იდაყვზე ტყავი გადასცლოდა სავსებით. ეს მაშინ, როცა ცალი ფეხით უზანგზე დაკიდებული არზაყან თან უთრევია გაქანებულ არაბიას.

ფეხის ძარღვების გაჭინთვა მოსვლოდა და წამოდგომაც არ შეეძლო მიუშველებლად.

ამას ყოველივეს შემოდგომის ტირია წვიმებიც ზედ დაერთო, წვიმები, უგზოობა, უკაცობა.

* * *

მუცელში დაჭრილი ლომკაცია ტარბა იმ ღამესვე გარდაიცვალა. სამი ძმა ტარბა ტყეში გაიქცა. სისხლი ჩამოწვა ზვამბაიებსა და ტარბებს შორის. კაც ზვამბაიას გარშემო ტარბები ესახლნენ, ასე რომ, მთელი სამეზობლო დაეუბრა არზაყანს და მის ოჯახს. როცა მეურმეებმა შინ მოიყვანეს არზაყან, ისურვა: სამზადში დამაწვინეთო. იცოდა:

აუტანელი იქნებოდა ბუზღუნა მამის სიახლოვეს ყოფნა. ორთვალიანი სახლი იყო სამზადი. ერთში სამზარეულო ჰქონდათ, ხოლო მეორეში პირუტყვი ჰყავდათ ზამთრობით, ხანაც ავდარში.

ასე რომ, კამეჩების ფშვინვა, ცხენების ფრუტუნი, ხარების ქშენა და თხის კიკინი ძილს უფრთხობდა ავადმყოფს.

* * *

კაც ზვამბაია მთლად გააცოფა ამ უკანასკნელმა ხიფათმა. ოდიდან ძირს არ ჩამოდიოდა, ებუტებოდა ავადმყოფს. ხათუნა ლანდივით დაფორთხავდა ოდასა და სამზადს შორის: ცალკერძ

ჭირვეულ ქმრის მოვლას ვერ აუდიოდა, ცალკერძ არზაყანისას.

კიდევ ახალი და ახალი ჭირი ზედდაერთო ზემოდ მოთხრობილს: ჩალმაზი მოხსნეს, რაიკომის ახალმა მდივანმა არლანმა კაცი მოუგზავნა კაც ზვამბაიას, არაბია უნდა მომყიდოო და როცა მტკიცე უარი მიიღო, მეორე დღესვე სამსახურიდან მოახსნევინა არზაყან, კაც ზვამბაია შავსიელად ჩაარიცხვინა.

* * *

სოფელში თოფის წამლის სუნი დატრიალდა.

ურთაზე ბობოლებმა თემსაბჭოს თავმჯდომარე მოჰკლეს, ხურჯინში ჩასვეს და მანდიკურად გადაჰკიდეს მისსავე ცხენს. ცხენმა იარა და ჭირისუფალს შუაში გაკვეთილი ცხედარი მიუტანა გათენებისას. ყაჩაღად გავარდნილ ტარბებს კიუტებიც აჰყვნენ, შინ დარჩენილნი სატევრებს ლესავდნენ.

ლომკაცია ტარბას გადავარდნილი ძმები ასე იქადნოდნენ: თუ გზაში ვერ ვნახეთ, შინ მიუვარდებითო არზაყანს და ოთხში ამოვიღებთო მაგ გველის მართვეს.

დაღამდებოდა თუ არა, ძაბული და ხათუნა ძაღლებს აუშვებდნენ და ურდულებით დაკეტავდნენ კარებს. არზაყანს კი სული ეხუთებოდა უფანჯრო, ბნელ ფაცხაში დასიცხულს: ჰაერი მაკლიაო, კვნესოდა, კარები გააღეთო, ევედრებოდა ყველას.

ჩალმაზსაც ორჯერ ესროლეს აჭანდარაში. მიუხედავად ამისა, გვიანი ღამით ინახულებდა არზაყანს ჩაბალახით პირშებურვილი და იმავე ღამეს გაბრუნდებოდა უკან. გამარჯვებული არენბა არლან არ ისვენებდა. სწორედ აგვისტოს 18-ს ოქუმის თემსაბჭოს მოუვიდა განკარგულება: შავსიელს კაც ზვამბაიას ორივე ცხენი უნდა ჩამორთმეოდა. ცხენები იმ დილითვე წაიყვანეს საბჭოში, ხოლო საქონელს სამი დღის შემდეგ გარეკავდნენ, რადგან კოლექტივის ბოსელი ჯერ არ იყო მოთავსებული.

ძაბულიმ და ხათუნამ ქელეში და პატარა ჯამუც დაანამუსეს: არაბიას წაყვანის ამბავი არ გაემხილათ არზაყანისათვის როგორმე. და როცა არაბია მილიციელს მიჰყავდა, ხათუნა გულაჩვილებული მივარდა ცხენს, თვალები დაუკოცნა არაბიას, ისევე როგორც არზაყანს უკოცნიდა ხოლმე შორგზაზე მიმავალს. მერმე მუხლებმა უღალატეს ხათუნას, იქვე ჩაიკეცა და დიდხანს ტიროდა კაკლის ქვეშ.

კაც ზვამბაია პირმოქუშული შეეგება მილიციელს. ჯიბეში ხელები ჩაეწყო, მუშტებად შეკრული, ძლივს იმაგრებდა სახსრებს, რათა სატევარზე არ გაევლო ხელი. მილიციელი ნაცნობი აღმოჩნდა. თავათაც ცხენის მოყვარული ყოფილა მილიციელი. და მიუსამძიმრა, მებრალებიო სულო, მე კარგად ვიციო ცხენისადმი სიყვარული როგორ მწარეა, მაგრამ მე პატარა კაცი ვარ, მე ვინ მკითხავსო საქვეყნო ამბავს, სულო.

კაც ზვამბაია შინ შებრუნდა. სანთლის არაყი გამოუტანა მილიციელს. დაალევინა, სთხოვა: მამაშვილობას ზეგ საღამომდე მაცალეო. იცრუა: სოხუმს უნდა წავიყვანო ავადმყოფი. ზეგ მოდიო და წაიყვანეო მამაშვილობას.

მილიციელი უარზე იდგა. რაიკომის ფიცხელი ბრძანებააო, დაუყოვნებლივ უნდა წავიყვანო ცხენები და კოლექტივის თავლაში მოვათავსოვო ამაღამ.

მილიციელი წავიდა. კაც ზვამბაიამ ცერზე იკბინა.

„ვაი ჩემს სიბერეს, ვაი ჩემს სიძაბუნეს“.

ყვიროდა კაც ზვამბაია, ორივე ხელს იცემდა გაშიშვლებულ შუბლსა და თავზე.

„ღმერთს ნუ გმობ, ბატონო, ავადმყოფი შვილი წინ გიწევს, ბატონო“, ხათუნამ ცრემლები მოიწმინდა, აღელვებული მიეჭრა ქმარს:

„ნეტავი მიწა სამარეში ჩაგიწვინა შენი არზაყან“.

ორივე საჩვენებელი თითი ყურებში ჩაირჭო ხათუნამ, მიწაზე დაიჩოქა და შეევედრა ქმარს:

ღმერთს ნუ გმობო, ბატონო.

„ქარბორიას, ქარბორიას“.

კვნესოდა ხათუნა.

* * *

„ისე ნაღვლიანად შემომხედა, ნან, თავისი დიდრონი თვალებით, ნან, ლაპარაკიღა აკლდა, კაცური ლაპარაკი იმ პირუტყვს, ნან“. უამბობდა ჩურჩულით ძაბულის ხათუნა.

ქალები ბნელ ბოსელში ისხდნენ, სიმინდს ნაქურჩალს აცლიდნენ, და გლოვობდნენ არაბიას მდუღარე ცრემლებით.

* * *

დიდხანს გაქვავებული იჯდა კაც ზვამბაია კაკლის ქვეშ ნამორზე.

ადგა.

ნაჯახი და სალესი გამოიტანა. ისევე ნამორზე წამოჯდა და ლესვა დაუწყო. ქალებმა საქმე მოათავეს ბოსელში, ისევ სამზადში შევიდნენ, ოშოშიას დაუწყეს რჩევა. კაც ზვამბაია ისევ კაკლის ქვეშ იჯდა და გულმოდგინედ ლესავდა ნაჯახს.

საზამთრო შეშა უკვე მოტანილი ჰქონდა კაცს. ხათუნას ვერ გაეგო, რად უნდოდა ეს ნაჯახი ქმარს.

ადგა. ქათმებს გაეხმაურა, რადგანაც ქათმები ლასტზე დაყრილ სიმინდს კენკავდნენ. კალთა ჩამოიფერთხა. მოკრძალებულად მიუახლოვდა ქმარს და ეს ჩაილაპარაკა დაბალი ხმით:

„სადილის დროა, ბატონო“. თავჩაქინდრული იჯდა კაც ზვამბაია და ისევ იმავე ნაჯახს ლესავდა.

სადილის დროაო, ბატონო, გაუმეორა ხათუნამ ქმარს. ხმის

ამოუღებლად წამოდგა კაც. მიწისფერი დასდებოდა სახეზე.

შინისაკენ გაემართა.

სადილობის დროს ხორცისათვის ხელი არ უხლია. არც ერთი სიტყვა დასცდენია პირიდან. ქელეში და პატარა ჯამუ დაშინებული შესცქეროდნენ უჟმურშეყრილსავით მოღუშულ მამას და უილაჯოდ ილუკმებოდნენ.

ქელეშმა დუმილი ვეღარ აიტანა.

არზაყანის მოზვერს, ქვიშორას ბოსტანი გაურღვევიაო, ხვალ საქონელი ჭალაში გავრეკოთო, თუ არაო?

კაც ზვამბაიამ სიტყვაც არ დასძრა; უხიაგად თავი გააქნია უარის ნიშნად და ეს ორიოდე ბგერა დასცდა პირიდან:

„ტწნუ“.

ახლა პატარა ჯამუმ სცადა:

„ქელეშმა წვერა დაიჭირა, ბაბა“.

კაც ზვამბაიას ქელეში გამორჩეული ჰყავდა შვილებში. სხვა დროს იგი აღტაცებაში მოჰყავდა ქელეშის წარმატებას ნადირობაში, ან თევზაობაში.

კრინტიც არ გაიღო.

ისევ დაისხა სანთლის არაყი, უხმოდ გამოსცალა.

ბავშვებმა სადილი გაათავეს, უცდიდნენ მამისგან წამოდგომის ნებართვას.

ხათუნას ლუკმა არ გადასვლია ყელში. გასანთლულსავით იჯდა. ბავშვების თვალის ასახვევად ღომის ქერქს ღეჭავდა უხალისოდ.

„ქვიშორას როდის დავკოდავთ, ბაბა, აკი ამბობდი გუშინ, ხვალ დავკოდავო ქვიშორას?“

იკითხა ისევ ქელეშმა.

„ქათმის ღრანჭი ხომ არ გიჭამია, ბიჭო, მომცილდი თავიდან“.

შეუღრინა კაც ზვამბაიამ და კიდევ დაისხა სანთლის არაყი და

ხელახლა გამოსცალა ჭიქა.

სუფრის ქვეშ უმოწყალოდ ჭყაოდა კატა. კაც ზვამბაიამ ქუსლი ჰკრა.

„ტურამ შეგჭამაო“, მიაძახა. ჯამუს შეეცოდა თავის კატა. შეეცოდა, მაგრამ მოფერებაც ვერ გაუბედა უმართებულოდ დატუქსულ ცხოველს.

არზაყანს დღეში სამჯერ უნდა ჩაეყო ტფილ წყალში ფეხი. ხათუნამ იცოდა: მარტო ძაბული ვერ ჩამოიღებდა ნაჭიდან ქვაბს. თვალებში შესცქეროდა ქმარს, ეგებ ჭამა დაიწყოს, ან გაათავოსო სადილი. კაც ზვამბაია არაყს სვამდა, ღომის ქერქს აწობდა აფხაზურ პილპილში. იჯდა გასამარებული, თვალი უშტერდებოდა. ისხამდა სანთლის არაყს, სვამდა და ისევ ისხამდა. აფხაზურ პილპილსავით გასწითლებოდა ლოყები, ცხვირის ჭვინტი მოქცეოდა განზე და თვალები უბზინავდა (ახლად დაჭერილ მიმინოს თვალები).

სამხრობამ მოაწია. კაც ზვამბაია გამოერკვა ფიქრისაგან, ხათუნასკენ მიიღრიჯა კისერი და ეუბნება:

„წადი, დედაკაცო, შენს ავადმყოფს მიხედე“.

ხათუნა არ მოელოდა ამას. აქამდის ერთხელაც არ უთქვამს კაც ზვამბაიას მისთვის, ავადმყოფ შვილისთვის რომ მიეხედნა. პირიქით, ბრაზობდა, რად ანდომებსო ხათუნა ამდენ დროს არზაყანს, ამადაც ეუცხოვა ეს გულტფილობა ხათუნას. უსიტყვოდ მიხვდა: სავსებით სხვა სარჩული რომ ჰქონდა ამ გულხმიერებას. განზრახ წაუყრუა, ვითომდაც არ გაეგონა. შეეკითხა: რა ბრძანა ბატონმა?

„ადექი, წადი, დედაკაცო, შენ შვილს მიხედე“.

აქ კი მუხლები მოეჭრა ზეწამომდგარ ხათუნას. ეგებ ტარბები აპირებდნენ თავდასხმას, ან თავათ მოსწიოსო მთვრალმა რამე სიავე თავისთავს. მუხლები უკანკალებდა ხათუნას, მაგრამ ერთი

ნაბიჯი გადადგა მაინც და კაც ზვამბაიამ შემოუბღვირა გაცოფებულმა:

„ადე და გამეცალე, დედაკაცო“.

მჯიღი სუფრაზე დაჰკრა, აზრიალდნენ თეფშები სუფრაზე. ბავშვებს ფერი ეცვალათ, შიშისაგან დაპატარავდნენ. ჯამუს ორიოდე ცრემლი ლოყაზე ჩამოსდიოდა წკანწკარით (რადგანაც დედა უყვარდა ჯამუს, უხიაგ მამაზე მეტად უყვარდა დედა).

* * *

არზაყანს უკვირდა: რად იგვიანებსო ხათუნა. წარამარა ეკითხებოდა მიზეზს ძაბულის.

არზაყან გაოცდა, როცა ფაცხაში შემოსულმა ხათუნამ ხმა არ გასცა, არც პირი უჩვენა. ბალთებდაშვებული შავი თავშალი ეხურა თავზე, კერის გარშემო დაფათურობდა ხათუნა. ლუღლუღებდა: წყლის გეჯას ვეძებო იმ ოხერს.

საწოლიდან ამჩნევდა არზაყან: გეჯა კი იქავე კერასთან იდგა. მერმე დაცუცქდა, თავშალის ბალთებიც არ აუკეცია, ისე რეცხვადა გეჯას შიშველი ხელებით. მხრები უტოკავდა საოცრად.

უცებ ხელები შეუშვა გეჯას. ადგა. გამოაღო კარი და გარედ გაიხედა. კაც ზვამბაიას ნაჯახი ეჭირა ცალ ხელში, ცალშიაც თოკის გორგალი, ფურკამეჩს დასდევდნენ ეზოში მამა და ორივე შვილი. სახრე ეჭირათ ქელეშს და ჯამუს, გზას უჭრიდნენ გაქცეულ ცხოველებს.

შეძრწუნებული გარბოდნენ კუდმოღერილი ხარები, დაფეთებული ფურკამეჩი ყროყინით ეხეთქებოდა ღობეებს, გარბოდა დაბორკილი თხაც, თანაც კიკინებდა საწყალობლად. დოქს წაეპოტინა ათრთოლებული ხათუნა, თითქოს ცეცხლი გაჩენილა ოჯახში, ისევ მიფაცურდა გეჯასთან, წყალი გაანელა, ხელი ჩაჰყო, ძაბული იხმო, საწოლთან მიიტანეს წყლით სავსე გეჯა. წამოაყენეს

არზაყან, ფეხები ჩააყოფინეს ტფილ წყალში. და უცებ ხათუნამ ხელში შეატოვა ძაბულის არზაყან, ისევ მიფორიაქდა კართან, გამოაღო, გახედა. შესცქერის და თვითონვე არ უჯერებს საკუთარ თვალს. თვალი მოიფშვნიტა ხათუნამ და სწორედ ამ წუთში ფურკამეჩს თავი გააგდებინა კაც ზვამბაიამ კაკლის ქვეშ.

შეზარა ხათუნა ამ ამბავმა, თითქოს ძურწა გამოესხაო მთელს ტანზე; იგრძნო: თავშალი როგორ აიტანეს თმებმა სულ მაღლა, სულ მაღლა. არც კი ახსოვს, როგორ მოიტანა სული საწოლამდის, ზურგიდან ამოუდგა წამომჯდარ არზაყანს, შუბლზე დაადო ხელი. სიცხე მომატებოდა ავადმყოფს. შეეკითხა: ხომ არ შეგახურაო, ნან?

და ამ წუთში გაისმა ხარის ზმუილი, ისევ მიწყნარდა ყოველივე, მიხვდა ხათუნა ეს წაბლა უნდა ყოფილიყო, რადგან წაბლა იქავე ეჭირა ქელეშს. ახლა ფეხების შესამშრალებლად მჩვრის საძებნად გაიქცა ხათუნა. დაბორიალებდა ბნელ კუთხეებში, ეძებდა მჩვრებს, სტიროდა და სახელოთი იწმენდდა თვალს. ისევ მოისმა ეზოდან ბღავილი. წამოვარდა გამწარებული დედა, ისევ უღონოდ დაფათურობდა არზაყანის საწოლის წინ. მერმე გონს მოვიდა და მარტოკა დაეჭიდა გეჯას. წელკავსავით გაუარა ტკივილმა ხერხემლის არეში, — ვაიო დაიძახა, მაგრამ უზომოდ იამა ხორცისმიერი ტკივილი, ძაბული წამოეშველა და ძლივს მიათრიეს კუთხემდის გეჯა. ოშოშია ამოიღეო, დაასაქმა ძაბული, თავათ ხელს უსვამდა გეჯას კიდეებს და ცრემლები ესკვნებოდა ნიკაპთან. სწორედ ამ დროს მოისმა ყროყინი, შემდეგ ისევე ღმუილი, ხარის ზმუილის მაგვარი და ისევ ეგონა ხათუნას ძურწა მომედოო მთელს ტანზე.

ძაბულის ჭრაქი გაუვარდა უეცრად ხელიდან, იდროვა მაშინ ხათუნამ, კიდევ მიირბინა კართან, გახედა, უყურებს: არზაყანის მოზვერს ქვიშორას გააფთრებული დასდევდნენ მამა და ორივე

ვაჟი. ისკუპა ქვიშორამ და ერთშაბად ზედ გადაევლო ღობეს.

გულზე მოეფინა ხათუნას ოდნავ, კერასთან მივიდა და ოშოშიას ქვაბში ჩოგანი ჩაჰყო. ამ დროს შემოესმა ხათუნას: დაჭერილი თხის გულსაკლავი პეტელი.

და როცა ხელმეორედ აანთო ძაბულიმ ჭრაქი, ხათუნამ შეამჩნია სუდარისფერი დასდებოდა არზაყანს სახეზე. ხმაგაკმენდილი იწვა არზაყან და გასცქეროდა ჩამობნელებულ ჭერს.

არზაყანმა თვალი დახუჭა. თავი მოაჩვენა ქალებს ვითომდაც ეძინებოდა, დედას მიმართა მიხედეო მამას, თანაც კედლისკენ იბრუნა პირი.

* * *

უკვე ვახშმობა გადასულიყო.

ოდის კიბეზე ასვლის უმალვე შენიშნა ხათუნამ: აივნის მაგიდაზე ეყარა ძროხის, ფურკამეჩის და ხარების სისხლიანი თავები. მთლად გაფითრებული: ქელეშს და ჯამუს ფიჭვის კვარები ეჭირათ ხელში.

კაც ზვამბაია იქვე დაცუცქულიყო. მარილს აყრიდა ფურკამეჩის ტყავს. თხის თავიც იქვე გორავდა ძირს. განუზომელი მწუხარება და სამდურავი ამოიკითხა ხათუნამ ამ საყვარელი არსების ღიად დარჩენილ თვალებში. ძროხა „ფუჯიე“, სულ არ შეცვლილა, ისევე მორჩილი, მშვიდი და უვნებელი იცქირებოდა თვალებჩამქრალი. ხათუნას ხელში იყო გაზრდილი „ფუჯიე“, მის ხელში გამოევლო — უშობლობა, ფურკამეჩიც ისევე მშვიდი თვალებით შესცქეროდა ხათუნას, როგორც მან გაატარა თავისი ცხოვრება ხათუნას ხელში. და გამრჯელი ხარები, ლომა, წაბლა და ღვინიე, ქედმოდრეკილნი, ერთგულნი, უდრტვინველად შეგუებოდნენ თავიანთ მწარე ხვედრს.

„რა გიქნია, ბატონო ეს?“

დაიკვნესა ხათუნამ, ორივე ხელი სახეზე აიფარა, იქვე ჩაიკეცა და მის კალთაში იწვიმა მოზღვავებულმა ცრემლმა.

ისევ გამობრუნდა ხათუნა ოდიდან. კაკლის ქვეშ ეკიდა თავ-წაჭრილი საქონელი პირქვე.

* * *

დაქანცული კაც ზვამბაია ჭილობზე მიეგდო. ტრიალებდა მო-უსვენრად, ბორგავდა, შფოთავდა. როგორც კი თვალს მილუ-ლავდა, ელანდებოდა: ფურკამეჩის, ძროხის და ხარების ღი-ადარჩენილი თვალები. სულ ახლოს, სულ ახლოს მოდიოდნენ ეს ჩვენებანი, ტრიალებდნენ საქონლის წყლიანი, დარდიანი თვა-ლები მის ირგვლივ და მათ შორის ცეკვავდა თხისთავიანი ეშმა-კი, წვრილფეხა, ხითხითა, ციგლიგა ეშმაკი, შეკრთებოდა კაც, თვალს მოიფშვნეტდა, ისევ იძალებდა ძილი და ისევ ელანდებო-და დაკლული საქონლის ღიადარჩენილი, წყლიანი თვალები და თხისრქებიანი ეშმაკის ცეკვა...

* * *

ნაშუაღამევს მობრუნდა არზაყანის მოზვერი და რა მოაღწია კაკლის ქვეშ, დაყნოსა თავის ჯილაგის სისხლით დაცვარულ ბა-ლახს, წინა ფეხებით თხრა დაიწყო. მთელი ღამე საშინელი ხმით ბღაოდა კურო...

ისევ შეუჩნდა ქარი ვერხვის ხეს, კვნესოდა ვერხვი, ფარფაშებ-დნენ შექარვული ფოთლები.

მთელი ღამე არ სძინებიათ არზაყანს, ხათუნასა და ძაბულის და მთელი ღამე სტიროდნენ კაკლის ქვეშ სისხლის წვეთები ბნელში...

დოსტაქარის შეგონებანი

„...cas du triste hôpital, et de l'encens fetide,
Qui monte en la blancheur banale de rideux“
სტეფან მალარმეს „ფანჯრები“-დან

დილის ცხრა საათზე ტფილისის სამეანო კლინიკის კიბეზე გაფაციცებით ადიოდნენ თეთრხალათანი პროფესორები, ექიმები და სტუდენტები, გამდელებს საკაცით აჰყავდათ სნეული ქალები და ბავშვები. პორტფელიანი მამაკაცები და დედაკაცები სწრაფად იხდიდნენ ზემოსამოსს, ჩქარი ნაბიჯით აღმა მიჰყვებოდნენ მარმარის ვარვარა კიბეებს.

დერეფნებიდან ტელეფონების წკრიალი ისმოდა, ხანაც საუზმის სატარებ გორგოლაჭების რახრახი. ყველა მიიჩქაროდა. მაინც არავინ ისე არ ასულა იმ წუთში კიბეზე, თამარ შარვაშიძის ძველებურ ნაწნავებისთვის თვალი არ შეევლო.

კიბის დასასრულში მთავარ ექიმს წამოეწიენ თამარი და ანული. ორიოდე საფეხურით დაწინაურებული, სვენებ-სვენებით მიჰყვებოდა იგი კიბეს, მარცხენა ხელის კიბის მოაჯირს ავლებდა, მარჯვენით გულს იმაგრებდა, ჩერდებოდა, სულს ითქვამდა და ისევ ადიოდა. თამარს თვალში ეცა მისი გაპარსული, კრიალა თავი და ბებერი ხარის ქედსავით დანაოჭებული კისერი. დარბაისელ მოხუცს თვალში მოხვდა თამარის სილუეტი, მაგრამ ახალგაზრდა ორდინატორების დარად კისერი როდი მოიღრიჯა. კიბის საქცევთან განიერ სარკეში უცხო ქალწულის ტანკენარობა რა შეამჩნია, იამა მოხუცს.

ხომ დიდი ხალისის მომგვრელია, როცა საქმეზე მიმავალს პირმშვენიერი ადამიანი შემოგეყრება ანაზდეულად? — ეს განსაკუთრებით დილითაა სანუკველი. და მერმე ეგ განწყობილება მრავალ უსიამოვნო შთაბეჭდილებას დაჩრდილავს უთუოდ.

„ეს არის პროფესორი ლოდერელი“.

უჩურჩულა ანულიმ თამარს, მკლავში მოუჭირა ხელი. სახელგანთქმული დოსტაქარი ჩვეული იყო უცხოს მიერ ანაზდეულად ხსენებას ქუჩაზე, ავტობუსში და კლინიკაში. სხვა დროს არც იმჩნევდა ასეთ რამეებს. ახლა კი დინჯად მიხედა ანულის. შეიცნო ფარჯანიანის ქალი (თუმცა იგი თვალსაჩინო არ იყო არც როგორც სტუდენტი, არც როგორც ქალი), მიიხედა და რა შენიშნა ამ მშვენიერ უცნობს ახლავს, ჩვეულებრივზე მეტად თავაზიანი სალამი მისცა და ნელმა ღიმილმა დაამშვენა მისი დიდრონი, შავი თვალები ყვავის ბუდესავით დაფანჩულ წარბების ჩრდილს ქვეშ. თამარს ბევრი რამ ჰქონდა განაგონი ამ პროფესორის სახელის გამო, თავათაც შეხედა ლოდერელს. თვალი შეავლო მის თეთრ პიჯაკს, ტუტასფერ წვერს, ნაპოლეონ მესამის დარად შეკრეჭილს, ძველმოდურად მოჭრილი ჟაკეტი ეცვა პროფესორს, ზო-

ლებიანი, შავი შარვალი, მაღალი არ იყო, მაგრამ მუხის კუნძისებრ დასკვნილი სხეული დარბაისლობის იერს მატებდა მის აღნაგობას. და როცა დოსტაქარმა ოდნავ შეანელა ნაბიჯი, ანული მიეახლა და ეუბნება მოკრძალებულად:

„მე მინდა გთხოვოთ, ბატონო პროფესორო, ჩემს ამხანაგს, შარვაშიძის ქალს, ნება დართოთ თქვენს ლექციას დაესწროს დღეს“.

„სიამოვნებით, სიამოვნებით“. ესა სთქვა და თამარს გაუღიმა ლოდერელმა.

„მერმე, იმედია, ჩემი მეგობარი შესძლებს თქვენი მსმენელი გახდეს“.

„სიამოვნებით, სიამოვნებით“. გაიმეორა ლოდერელმა და უჩქარა ნაბიჯს.

* * *

დერეფანში წალკოტებიდან შინ მობრუნებულ ფუტკარსავით ზუზუნებდნენ სტუდენტები. თამარს სკოლის წლები გაახსენდა, იამა, ასე ამხანაგურად, ასე თამამად რომ ესაუბრებოდნენ ურთიერთს ქალები და ვაჟები. წყვილ-წყვილად იდგნენ, მაჯაზე ჰკიდებდნენ ერთმანეთს ხელს, ზოგიერთ ვაჟს ქალის ყურთან მიჰქონდა სახე, იცინოდნენ, ეჩურჩულებოდნენ ურთიერთს. შეხაროდა ამ სტუდენტებს თამარი. პროვინციის სიდუხჭირე აგონდებოდა, ორღობეებიდან, ეზოებიდან, დუქნებიდან ჭორიკანების მუდმივი თვალთვალი.

ანული თამარს ეუბნება: „ხომ ხედავ, როგორ გაოცებით უცქერიან შენს ნაწნავებს“.

თამარს დაცდილი ჰქონდა: როცა ნაწნავებს თავზე იხვევდა ქუდს ქვეშ, მაშინაც ასე უჭვრეტდნენ. მაგრამ ეს უთხრა ანულის: მეც მათსავით თმაშეკრეჭილი ვივლიო ხვალიდან.

პირველ დერეფანში ჰაერსა სწმენდნენ. გულამღვრეული უჭვრეტდა თამარი მწკრივად გაწოლილ მელოგინეებს და ნააბორტალ ქალებს.

გაფითრებული სახეები, გალურჯებული ტუჩები, გაჩეჩილი თმები, კომშსავით გაყვითლებული ლოყები, მასრასავით გამხდარი მკლავები, მკერდზე დაჭდობილი, გამხდარი თითები, ჩაფერფლილი თვალები ელავდნენ ირგვლივ.

თამარს ფრიად სათუთი ყნოსვა ჰქონდა, მყისვე ეცა მოშავო სისხლის მოტკბო სუნი. ხლოროფორმისა და იადაფორმისაგან ყარდა იქაურობა.

ჯოჯოხეთური გნიასი ისმოდა უკანასკნელ პალატიდან. თამარი შეზარა ბავშვების მორალურმა ღნავილმა. ზოგი ჩხაოდა ისე, როგორც წაკიდებულ კატებს სჩვევიათ მარტში, ზოგიც ვასაკასავით კრიახობდა (ისეთ წუთებში, როცა ვასაკას მაისის გველი შეიპყრობს ხოლმე).

საწოლებზე ახლად შობილნი ქოთქოთებდნენ, უმწეოდ ასხმარტალებდნენ მუხლუხასავით მოკლე, ნაოჭებიან ფეხებს. მუშტებადშეკრული, ლორწოიანი ხელები მიჰქონდათ დაბჩენილ პირთან, მოჯღანული წითელი სახეები საოცრად მოეღრიჯა ტირილს, დალოჭილი, უკბილო პირი ბებრის ტუჩპირს აგონებდა თამარს. ახლადმოგებულ ლეკვებსავით წკავწკავებდნენ და ჭუტავდნენ უწამწამო თვალებს.

ისევ მიჰქონდათ გამდელებს ამპუტირებული ხელები, ფეხები, შეტბორებულ სისხლში ათქვეფილი ცალკეული სახსრები, შემზარავ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ თამარზე — ეს უპატრონო სახსრების მონაკვეთები, კლანიო კლასტისაგან საშოშივე გასრესილი ბალღების თავები ეყარნენ სისხლიან გეჯებში. ამ ფელამუშისფერ მასაში დაკვირვებული თვალი გაარჩევდა თოთო ბავშვების თმებს, სიმინდის ხაშარის ფერს.

იადაფორმისა და ხლოროფორმის, იოდისა და ეთერის სუნი სდიოდა ირგვლივ.

ადამიანის სისხლით ხელებდასვრილი ორდინატორები და დები დაფუსფუსებდნენ დერეფანში და არც ერთს მათგანს აღშფოთება და მღელვარება არ ემჩნეოდა. მიხედავდნენ თამარს და მიიჩქაროდნენ. უკანასკნელ დერეფანში მწვანე სკამებზე ახალგაზრდა ქალი უცდიდა ჯერს.

გაზაფხულზე თუ ვინმეს გივლიათ კოლხეთის ჭაობებში, მალაქიტისფერი ტბორები თუ გინახავთ თვალჩაღამებული? ლისის, ლელის და ლაქაშის გახრწნილი ფესვები, ბაყაყების, ჯოჯოების, წურბლების მუდმივი სავანე.

სინესტის ორთქლში გახვეულ წუმპეში უთუოდ თვალს მოჰკრავდით მშვენიერ მცენარეს კოლხურ ფერიას, ბოტანიკაში ნიმფე კოლხიკად ღირებულს. წყლის ზედაპირზე ამოტანილი აქვს კლერტოები. კოლხურ ფერიას, პირისფერი ყვავილი ასხია ზედ.

უეჭველია, კოლხეთის ჭაობების სიჩუმით გულშეღონებული ამ ყვავილის დანახვისას უთუოდ შესდგებოდით და გაიხარებდით.

ასე შესცქეროდნენ თამარს ადამიანის ხორცის ლპობისა და გახრწნის, ატმოსფეროში ექიმები, ორდინატორები და სტუდენტები.

„ესენი ჩვენი კლინიკის მერცხლებია, — ეუბნება ანული თამარს, — აბორტის მომლოდინე ქალები აქ იცდიან. დერეფნის ბოლოს, ზევით ხომ ხედავ მერცხლის ბუდეებს. ამიტომაც დაარქვა მათ პროფესორმა ლოდერელმა „მერცხლები“.

ესენი იყვნენ სტუდენტი ქალები, მოლარენი, ქალი-კონდუქტორი, ქალი-ვატმანი, მუშა, ყველა ისინი, ვისაც ახალმა ყოფამ მამაკაცთან სიახლოვე და გატოლება მიანიჭა.

სტუდენტიც ბევრია მათ შორის, — განაგრძო ანულიმ, — კომ-კავშირელი, მუშფაკელი, კონტორების, მუშკოოპების ნოქარი ქა-ლები, ტელეფონისტები, მკერავები, მრეცხავები და მოანგარიშე-ნი“.

თამარი სიბრალულით და თანაგრძნობით შესცქეროდა ამ ფერმილეულ სახეებს. ისხდნენ და მორჩილად უცდიდნენ ეს ქა-ლები ოპერაციას, რადგან ეშინოდათ დედობას თავისუფლება არ წაერთმია მათთვის.

სულ ორიოდე საათის შემდეგ ისინი ქირურგების შეუბრალე-ბელ დანებს დაუწვებოდნენ ისე მორჩილად და უხმოდ, როგორც მკათათვის მიწურულში მუშაკაცის ცელს ქვეშ მოჰყვება ხოლმე შეყვითლებული თივის კლერტები.

* * *

აუდიტორიაში შესვლის უმალვე შენიშნა თამარმა: პროფე-სორ ლოდერელს აბრეშუმისებრ რბილი ხმა ჰქონდა. დინჯად სა-უბრობდა იგი, მაგრამ ალაგ-ალაგ უბორძიკებდა ენა. და ასეთ დროს უცნაურად ახამხამებდა გრძელსა და შავ წამწამებს. ლაპა-რაკის დროს ფართოდ აღებდა ოქროს კბილებით მოკირწყლულ ყბებს, და ეს ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიდა ელექტროს შუქზე, თითქოს ცეცხლის ალს ანთებსო პირით. და მოაგონდა თამარს თარაშ ემხვარის ერთადერთი ოქროს კბილი, რომელიც მხო-ლოდ მაშინ გამოუჩნდებოდა, როცა თარაში გაიცინებდა. ერთბა-შად ლოდერელის ნათხრობს სმენა აარიდა. რატომღაც წარმო-იდგინა ის დრო, როცა მისი საქმრო — თარაშ ემხვარ პროფესორ ლოდერელსავით ღვაწლმოსილი იქნება. მასავით ღვაწლმოსი-ლი და ჭაღარამოსილი, მასაც ლოდერელსავით თეთრი თმა-წვე-რი ექნება და ოქროს კბილები როგორც ქვემო, ისე ზემო ყბაზე.

„...ცნობილია, მეცნიერება არითმეტიკულ პროგრესიით როდი მიისწრაფვის წინ, არამედ მისი განვითარება სპირალურ ხაზებს მიჰყვება ჟამიდან ჟამზე“.

„დღეს უდიდესი ევროპელი მეცნიერებიც უკან იხედებიან ხშირად, ჰიპოკრატესთან ეძებენ თათბირს მკურნალობის ზოგიერთ საკითხთა გამო. ათიოდე წლის წინად მეცნიერება ხელაღებით უარყოფდა წურბლების გამოყენებას. მარჩიელებსა და ექიმბაშებს დავცინოდით წურბლების გამოისობით. დღეს იძულებული ვართ ქართული კარაბადინები შევისწავლოთ და თურმანიძეების მეთოდსაც გამოვიყენებდით, საიდუმლოს რომ გაგვიმხელდნენ თურმანიძეები.

ამჟამად მე ვამზადებ ახალ შრომას ხევსურული დოსტაქრობისათვის.

საინტერესო მეთოდს ხმარობენ ხევსურები თავის ქალის ტრეპანაციის დროს“... შემდეგ ამისა, პროფესორი ადამიანის სხეულის ნაგებობას შეეხო, შეაქო ის გასაოცარი მიზანშეწონილება, რომელიც დაცულია ამ უაღრესად რთულ მექანიზმში. მაგრამ ეს არის, სისხლისა და ხორცის მრავალი საიდუმლოება ჯერაც ბნელითაა მოცული. მაინც აქო რენტგენი, რომელმაც ამ საიდუმლო კოშკის მრავალი კლიტე ჩაგვაბარაო. მაგრამ ამ ცხრაკლიტულში კიდევ მრავალი კარია და გვირაბიაო სავსებით შეუცნობი და შეუვალი.

„გუშინ მე გიამბობდით, — განაგრძო პროფესორმა, — თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შემთხვევას. თვით მეცნიერებათა განვითარებაშიაც დიდი წილი მიუძღვის შემთხვევას. ნიუტონმა შემთხვევით აღმოაჩინა სიმძიმის კანონი“.

აქ შეუბორძიკდა ორატორს ენა და მოეჩლიქა, საოცრად აფახულებდა გრძელსა და შავ წამწამებს.

მერმე ისევ გამართა სიტყვა:

„კოლუმბმა შემთხვევით მიაგნო ამერიკას და მედიცინაც შემთხვევით მოხდენილ დაკვირვებათა ჯამია. ხომ ასეთი დაუშრეტელი წყაროა შემთხვევა, მაგრამ სწორედ ამ ცხრაკლიტულის ასაღებად ოდითგანვე იღვწის ადამიანის გონება. მედიცინაც იმისთვის იბრძვის, რათა ადამიანის სხეული ბრმა შემთხვევის განუკითხავ ჩარევას გადაარჩინოს. ეს მშვენიერად ესმოდათ ბერძნებს.

„ტიხეს“ უწოდებდნენ ამ ბრმა შემთხვევას“.

პროფესორმა განმარტა სიტყვა „ტიხე“, მერმე ასისტენტს მიუბრუნდა, რაღაც ანიშნა და განაგრძო: „ახლა მე მივუბრუნდები გუშინდელ თემას. სახელდობრ საშვილოსნოს გარე ორსულობას“.

ესა სთქვა ლოდერელმა და აუდიტორიის კარი გაიღო, საკაცეთი შემოიტანეს ზეწარში შესუდრული ქალის სხეული. ისევ ხლოროფორმის სუნი ეცა თამარს.

ორი ასისტენტი შემოჰყვა ავადმყოფს, ქალი და ვაჟი.

ქალი თავზე დაადგა სნეულს, ვაჟი შუშის კარადებთან მივიდა. მინების კედლებს გადაღმა ელავდნენ ნიკელის კატეტები, კიურეტები, მაშები, ჭანგები, მარწუხები და სადოსტაქრო დანები.

ეს საჭურველნი არა ერთხელ ენახა თავის სახლში თამარს, მაგრამ როგორც კი შენიშნა, რომ ისინი ცოცხალი ადამიანის სხეულის გასაკვეთად უნდა ჩამოეღო ასისტენტს, ჟრჟოლა შეიცნო მთელ ტანში და თავი ძირს დახარა.

„საშვილოსნოს გარე ორსულობა, — განაგრძო პროფესორმა, — ანუ მამაკაცის განაყოფიერებული კვერცხის საშვილოსნოს გარეშე ჩანერგვა ფალოპის მილში“...

პროფესორი შესდგა.

„ამ მილს მე გაჩვენებთ ახლავე, და მას შერქმეული აქვს მისი აღმომჩენი მეცნიერის — ფალოპის გვარი.

თქვენ იცით, ყოველ საუკუნეს თავისი მოარული სენი ჰქონდა.

შუა საუკუნეთა კაცობრიობას მუსრს ავლებდა კეთრი, ყვავილი და ჟამი. ათიათასობით იჟლიტებოდა ევროპის და აზიის ქალაქების მოსახლეობა. ჩვენს ეპოქასაც გააჩნია ასეთი სენები: გრიპი, ბრმანაწლავი და საშვილოსნოს გარე ორსულობა. კლინიკური ცნობებით ამგვარი ორსულობანი ცივილიზაციურ ცენტრებს ეძალება, საერთოდ ამ ცენტრებში ნაცხოვრებ ვაჟს, ან ქალს მიუძღვის ალბათ ამ ავადობაში ბრალი.

ეს „ალბათ“ დაუშვებელია მეცნიერებაში, მაგრამ ხომ იცით, როცა ადამიანურ ცოდნას ძალა აღარ ეყოფა, მაშინ „ალბათ“ და „მაგრამ“ უნდა მოვიშველიოთ. უდიდესი მეცნიერები სწავლობენ ამჟამად საშვილოსნოს გარე ორსულობის მიზეზებს, მაგრამ დადებითი შედეგები ძლიერ ცოტა გვაქვს“.

პროფესორმა განაგრძო მამაკაცის განაყოფიერებული კვერცხის მოგზაურობის ამბავი და თამარი ფიქრს მიეცა. მანანა ანჩაბაძის სახე დაუდგა თვალწინ. მწიფე თამბაქოს იერს გადაიკრავდა მანანას ღვთაებრივი სახე, წვრილ-წვრილი ხალებით დაწინწკლული. და ხმა ჰქონდა მანანას ისეთი, ყველა ამას ამბობდა: ტფილისის ოპერა უნდა დაამშვენოსო მანანამ. ახლა მანანას მშვენიერ სხეულს მისწვდა თამარი შინაგანი მზერით. მოიგონა მასთან შავი ზღვის პირად გატარებული ზაფხული.

ხალები ჰქონდა მარჯვენა ბეჭზე, თეძოს თავზე და მარცხენა ძუძუს კერტის მახლობლად. ალბათ ამრიგად აჩვენებდნენ სტუდენტებს მანანას განკვეთილ სხეულს და პროფესორი ლოდერელი ახალ თაობას უხსნიდა მის მაგალითზე, თუ როგორ უკეთებენ ქალს ოპერაციას საშვილოსნოს გარე ორსულობის დროს.

რატომღაც თხრობის კილო შესცვალა პროფესორმა, წინა რიგები გაიარა, თამარს შეხედა დაკვირვებული თვალით და ახლა უკანა რიგებს მიაშურა და თამარმა უნებლიედ მიუგდო ყური:

„მაგრამ ჯერაც, უჩინო მიზეზთა გამო, განაყოფიერებული კვერცხი მამაკაცისა ვერ აღწევს საშვილოსნოს ღრუმდის და ფალოპის მილში ჩერდება იგი რატომღაც.

მიზეზთა შორის შესაძლოა ანთება იყოს ან მამაკაცის ნერვიულობა, ეს სულერთია, მემკვიდრეობით იქნება იგი თუ შენაძენი“.

ისევ მანანა ანჩაბაძის საოცარ გარდაცვალების დეტალები გაახსენდა თამარს. ანული უამბობდა, თუ როგორ უპატრონოდ გდებულა მანანას განკვეთილი ტანი ამავე კლინიკის პროზექტურაში.

ისევ ხმა აუწია პროფესორმა: „განაყოფიერებული კვერცხი, ფალოპის მილში ჩანერგვის შემდეგ, ბუსუსების შემწეობით გაარღვევს გარს მოკლებულ პარკს, კუნთოვან ქსოვილში იჭრება, აქ იგი ანაზდეულად ანადგურებს მთავარ ძარღვებს სისხლისა და იქცევა სისხლი მუცლის ღრუსა და საშვილოსნოში“.

მერმე საოპერაციო მაგიდასთან მივიდა პროფესორი. ორდინატორმა ქალმა სანახევროდ ახადა ზედგაჭინთულ ავადმყოფს ზეწარი და თამარს თვალში ეცა ფიქალივით შიშველი ბარძაყები ქალისა, მხოლოდ უზომოდ გაზრდილი მუცელი აუშნოებდა მშვენიერ სხეულს. თამარმა წამოიწია სკამიდან, შეხედა. მაგრამ სახე დაფარული ჰქონდა ავადმყოფს. მერმე ერთბაშად პროფესორის ზურგმა დაფარა ყოველივე და ერთი წუთის შემდეგ თამარმა თვალი ჰკიდა, თუ როგორ აუღელვებლად გამობრუნდა პროფესორი ლოდერელი. მის ხელში ელავდა გასისხლიანებული დანა.

და ისევ მანანა ანჩაბაძეს მისწვდა თამარის ფიქრი, ასე ეგონა: მანანა ანჩაბაძის განკვეთას დავესწარიო და იწვიმა ცრემლმა თამარის თვალთაგან.

ორივე იდაყვი დააყრდნო მუხლებზე და ხელისგულებით დაიფარა მტირალმა სახე.

ციხისთავის სადღეგრძელო

ღამე შეფარვით ეპარებოდა შურის ციხის ქონგურებს. როგორც კალას, ისე სეითაბადის მთა ჯერ გნოლისფერი იყო, მერმე ემხვარმა შენიშნა, თუ როგორ მოერია მოთეთრო ხალებს უფრო თალხი, მრუმე ფერები და ელექტროს ციმციმმა ბოლოს მთლად დაამუქა შურის ციხე და სეითაბადი.

ძველი ტფილისის ვიწრო, აზიურ ქუჩებში, ქუჩაბანდებში, მტვრიანი მინით გადახურულ პასაჟებში ობის, ტყავისა და ცხვრის სუნი იდგა. შეითანბაზრის მოედანზე ფარა გადიოდა, მეჯოგეები ზურგზე კომბლებს უცაცუნებდნენ ცხვრებს. ყურებწაჭრილი ნაგაზები დარბაისლური ნაბიჯით მიჰყვებოდნენ კიდეებზე ფარას, ხოლო ყოჩები და ვაცები ქალაქშიაც განაგრძობდნენ სარდლობას. ქორის ბუდისებრ გაბუძგული ფაფახები ეხურათ მეცხვარეებს, ტანზე გახუნებული თექები ეცვათ და ავტოებს, ტრამვაებს შორის ისე მშვიდად დადიოდნენ, როგორც ტყვე დანიელ — ლომების ბუნაგში.

უყივოდნენ ფარას, კომბლებით არიდებდნენ განსაცდელს მანქანების შიშისაგან მოცახცახე ცხვრებს და მღვრიე მტკვრის ტალღებსავით ედებოდა ქუჩას მტვერში ამოთხვრილი ფარა, ქვაფენილზე ვეღარ ეტეოდა, ფილაქნებზე გადმოღვარული.

კინტოები, ნოქრები და ქუჩის უსაქმურნი დუქნების ღია კარებთან იდგნენ, შეხაროდნენ სქელდუმიან ცხვრებს. ყოჩებისა და ვაცების სითამამეს აქებდნენ ხმამაღლა. თვალს დაადგამდნენ რომელიმე თოხლს და ნატრობდნენ შიშხინა მწვადებს.

„საიდან მოელალებიან თუ იცი, ცხვარს“? შეეკითხა თარაშ ემხვარ მის გვერდით მიმავალ ვახტანგ იამანიძეს.

„ალბათ, ჯავახეთიდან, შირაქს მიდიან“.

რეკავდნენ ვატმანები, ავტოების საყვირებს სცემდნენ შოფერები და ფარა კი არ თავდებოდა. დგანდგარით მოდიოდა ფარა, ავსებდა მოედნებს და ქუჩებს. ისმოდა მწყემსების ქოთქოთი და კუდბუთქა ნაგაზების ღრენა. მოხუც მეცხვარეს მკერდზე მიეხუტებინა ბამბის ქულასავით თეთრი თოხლი, წინა ფეხები ტრამვაის გადაემტვრია ცხვრისათვის, საწყალობელი ხმით ბღაოდა ბედშავი.

„რისთვინა ხარ ეგრე ცეტი“? კაცებრ ესაუბრებოდა მეცხვარე თოხლს, ეფერებოდა და მიჰყვებოდა მტვრიან გზას.

„შეხე ტრამვაის გადაუვლია“... შეესიტყვა ვახტანგი თარაშს. მერმე ორივენი დადუმდნენ და მეტეხისაკენ გადაუხვიეს.

თარაშ ემხვარმა კიდევ ერთხელ მიხედა ბნელში მთვლემარე შურის ციხეს და ვახტანგს ეუბნება:

„ამ ციხეზეა ქართლის ცხოვრებაში ნათქვამი: „წარვლო ჰერეკლე მეფემან ბერძენთაგან და მივიდა ტფილისად და მიმართებით ციხესა კალისასა და ციხისთავმან ციხის გამოღმართ აგინა ჰერეკლე მეფესა და ჰრქუა: რომელსაც გასხენ წუერნი ვაცისა-

ნი და ვაცბოტისანი. მაშინ ესმა ჰერეკლე მეფესა. განრისხნა მისთვის და აღმოიკითხა წიგნისაგან დანიელ სიტყვა იგი. ვითარმედ აღმოვიდეს ვაცი დასავლისა და შემუსრეს რქანი აღმოსავლისა ვერძისანი და დაუტევა ტფილისი". ამ ვაცბოტების ჭიდილში გაისრისა ისტორიული საქართველო"...

მერმე მდუმარედ მიჰყვნენ ორივენი ნახევრად ჩამობნელებულ ქუჩას და კიდევ დიდხანს ისმოდა მეცხვარეების ქოთქოთი, ტრამვაების რეკვა და ცხვრების ბღავილი.

„მე თუ მკითხავ, ეს შეითანბაზარია ევროპისა და აზიის ნამდვილი საზღვარი და არა ფაზისი".

ამბობს იამანიძე.

„კიდევ შორსაა ეგ შენი ქოსები?" იკითხა თარაშმა.

„მე დიდი ხანია აქეთკენ არა ვყოფილვარ, კარგად არც მახსოვს, მაინც მოვძებნი".

ამბობდა იამანიძე.

„თავი დაანებე, თუ კაცი ხარ, სადმე შევიდეთ, წავიხემსოთ, სმა მაინც არ შემიძლია".

„არ შეგიძლია რომელია, ქოსები უნდა გაჩვენო. ჩინებული ღვინო აქვთ".

ირაკლის ხიდის ყურში დასადავებული, მარტოხელა აქლემი იდგა. უდაბნოების სევდა იხატებოდა მის მელანქოლიურ ჩიჩვირის კიდეებზე. იდგა ირანის ბნელი ტრამალების შიკრიკი, შესცქეროდა ელნათურების ღაჟღაჟღა ლამპიონს. გამოივლიდა ბღავილით ფორდი, მაგრამ ეს ბღავილი არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენდა მელანქოლიით დანავსულ მჭვრეტელზე. მიჩაქჩაქებდნენ ნახშირით დატვირთული ვირები ირაკლის ხიდზე, ბავშვები უკან მიჰყვებოდნენ სიმღერით და შეხაროდნენ ვარსკვლავიან ცასა და მტკვარში მობანავე მთვარეს. მიიმღეროდნენ უდარდელად ბავშვები და ისე გაეღოთ პირი, როგორც ქართული

ფრესკების მგალობელ ანგელოსებს. ისევ ბნელ შუკებში დაბორიალებდნენ თარაში და ვახტანგი. მიაწყდებოდა იამანიძე რომელიმე დუქნის, ან სარდაფის კარს, სადალაქო აღმოჩნდებოდა, ან წიგნის მაღაზია, ელექტროს საჭურველთ საწყობი, მკერავთა არტელი ან საგაზეთო კონტორა.

ბოლოს ერთ სარდაფში ჩაირბინა ვახტანგმა.

„სასადილო“, წერა აბრაზე. იქავე კიბეზე დედაბრული ხელით მიწერილი იყო „ქოსები“. ვახტანგის უკან მდგარ თარაშს ზურნის ჭიჭყინი შემოესმა.

სარდაფში შესულთ ასეთი სურათი წარმოუდგათ: პატარა ესტრადიზე ვეზირისებურად დინჯად დამსხდარიყო ოთხი მეზურნე.

ისედაც ღიპიან, მელოტ კაცს უშველებელი დოლი ედგა ფეხსა და ფეხს შორის და თვალის მომკვრელს ეს დოლი მისი ფაფუკი მუცლის შენამატი ეგონებოდა. ლოყებღაჟღაჟა მესალამურეს გაშავებული სალამური გაეჩარა გაბუშტულ პირში. წამოჭარხლებული მეთარე დაუდეგრად აჩხაკუნებდა სიმებზე მიზრაფს, სახედამჭკნარი, ტანდალეული ქოსა მოხუცი სტვირს უკრავდა გულსაკლავად, ახალგაზრდული ხალისი კიდევ ბჟუტავდა ნაოჭებისაგან დაცხრილულ თვალებში. მთლად ჭაღარა თავზე მერცხლის ბუდესავით დაკოსებოდა თუშური ქუდი.

„ჩაჰბერე, არტაშ“, ყვიროდა ვიღაც ფაფახიანი ახმახი.

დუქანში დაწყობილ კასრებს გარს მოსხდომოდნენ მოქეიფენი. შეექცეოდნენ კახურს და მასლაათობდნენ.

რუმბივით გაბერილი ლოყაწითელი მედუქნე მიეჭრა ახალშემოსულთ.

„რა გექნებათ?“ ეკითხება ვახტანგი.

„ჩინებული ცოცხალი, მირონის ჩალაღაჯი, სუკის მწვადები ახალი მაშარაბით, ვარიები, ხარჩო, ბოზბაში, ლულა ქებები, ფითი და ჯიგრის ყაურმა, მწვანილი, კიტრი და თვისბოლოკი“.

უპატაკა მედუქნემ სხაპასხუპით. ვახტანგი სახეზე მიაჩერდა: „შენ ხალიანი საქულა არა ხარ, ოსტატო?“ მედუქნე იცინის და სდუმს.

„ხალიანი საქულა, არა?“ მედუქნე თავს უქნევს და ისევ იცინის.

„მერმე ხალი რა უყავი, საქულ ჯან?“

„ამ დროში ჩვენისთანა ხალხი ნეპრიმეჩნი უნდა იყოს, — მითომაც მამიპარსნია, ახლა ჰამაც სუფთადა ვარ, ჰამაც უშიშრად“.

თარაშ ემხვარმაც გაიღიმა და მის გასწვრივ მჯდარ იამანიძეს შეავლო თვალი. დიახაც გამოცვლილი იყო იამანიძე. დამსხვილებულა, დამშვენებულა. სადღა იყო კუხე სხმარტლისფერი მისი კანისა, ან ჩაცვენილი ლოყები და ჩაშავებული თვალის უპეები. იამანიძის ბინის დერეფანში ასე ეგონა თარაშს, უთუოდ გადაიცვამსო ვახტანგი. ასევე მდაბიურად ჩაცმული წამოვიდა. საყელოს ნაცვლად უკრაინული, ნაქარგი ბლუზა ეცვა, ელეგანტურ ინგლისური კრაგების მაგივრად ჩექმები, ბოჰრხატის ქუდი საკმაოდ გახუნებულ კეპის შეეცვალა.

მთელი საათი იარეს იამანიძის ბინიდან დუქნამდის, ძველებური გულითადობა არ გამჟღავნებულა მათ საუბარში.

ეს იყო მხოლოდ, იამანიძეს სწყინდა, თარაშს რომ ცოლი არ შეურთავს, თბილისში ბინა უნდა გაეყიდნა და ვერც უნივერსიტეტში მოწყობილა. არც ის მოსწონდა, თავათ ემხვარი რომ არა სწუხდა ამის გამო სავსებით. იგი მომეტებულად გულჩათხრობილი და პირქუში გაეხადა ცხოვრებას. და ერთი წლის მანძილზე ასეთი ცვლილება? ეს ფრიად აკვირვებდა იამანიძეს.

„ხომ კმაყოფილი ხარ, რომ დაბრუნდი, ვახტანგ?“ შეესიტყვა თარაში. იამანიძემ თვისბოლოკი მოკვნიტა და მიუგო:

„რა სათქმელია, მე მაინც ჩემს ქვეყანაში ვარ, ჩემს ხალხს ვემ-

სახურები. იქ პარიზში ცასა და ხმელს შორის ვიყავი გამოკიდული“.

„გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ, ...თვალს გავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ“. კვნესოდა მეთარე.

დოლის ბრაგაბრუგმა და ზურნის ჭიჭყინმა საუბარი შეაწყვეტინა მეგობრებს. თარაშმა ღვინო მოსვა და სარდაფის ნესტიან კედლებს მოვლო თვალი, გროტესკული ხაზებით მოხატნა მღებავის გაურანდავ ხელს ტფილისელი კინტოების კრივი. მწკრივად დგანან გაჯგიმული, ხარისთვალებიანი კინტოები, ნაოჭებიანი შარვლები აცვიათ, ვერცხლის ქამრებით წელდამშვენებულებს. ამავე ფონზე ვერძების ჭიდილია ნაჩვენები, მაცქერალთა სახეზე ოსტატურად გამოსახულია ის საოცარი ჰაზარტი, მარკენალ ცხოველების მზერისას რომ აღეძვრის ადამიანს. ერთ ვერძს სისხლი დასდენია შუბლზე. იქვე რამდენიმე სხვა ეპიზოდი იყო ძველი ტფილისის მოტივებისა, მაგრამ მანდ გამოსახული კინტოები და ყარაჩოღელები ისე გახუნებული მოსჩანდნენ წამალგადასულ კედელზე, როგორც დღევანდელ ტფილისში გვეჩვენება შეითანბაზრის ცოცხალი ტიპები.

იმავე კედელზე, ცოტა ქვემოდ, ყეენობა იყო დახატული. გონებამახვილ ტფილისელების მიერ ირანის შაჰების გასაპამპულებლად გამონაგონი მასკარადი. ეს სურათი უფრო კარგი ოსტატის ხელისა იყო. აქლემზე წამომჯდარ ვითომდაც ყეენს წოწოლიკა, ქაღალდის ჩაჩი ახურავს თავზე, ხმლის მაგივრად ქაფქირი უჭირავს მარჯვენა ხელში, ხოლო მარცხენათი ხახვწამოგებული შამფური, ყალბი მძივები ჰკიდია ყელზე და სწორედ ეს მძივები ოსტატურადაა გაკეთებული. მეზურნეებსაც არა უშავს, ხარის ქედსავით ნაოჭიანი ღაბაბი კისრები, დონდლო მუცლები და მოკლე ფეხები, მოძრაობისა და აურზაურის ექსპრესია მიამიტური შტრიხებითაა გადმოცემული.

დახლის გასწვრივ თაბახიანი კინტოები ეხატა, ტფილისური ნატიურმორტ, დუთმა ნესვები, გახლეჩილი ბროწეულები, შულავერის ყურძენი და შესანიშნავი დული, თვისბოლოკი და მწვადები. ეს იყო მხოლოდ: ვისაც ეს ყოველივე თუნდაც ერთხელ არ უგემნია, მათი მირთმევის ხოშზე ვერ მოიყვანდა ხელით ნახატი.

იქვე კუთხეში პატარა ნახატებიც შენიშნა თარაშმა, უსწორმასწორო თავები, ზომაზე მეტად გრძელი, ან მოკლე ფეხები, გაფშეკილი ხელები; საერთოდ ისეთი მანერით შესრულებული, როგორიც ბავშვებს და ველურებს სჩვევიათ ხატვისას. ბევრი რამ იყო იქ დახატული: ავლაბრის ტურფები, ყარაჩოღელები, ვერძები, ყანწები, მამლები და კინტოები.

ბუფეტის ახლოს ჩალმიანი ერეკლე მეორე დაეხატა ვიღაცას. ყარყუმის თეთრი მოსასხამი აცვია, ანნას ორდენი ჰკიდია მკერდზე. ტანის სილუეტი მკრთალად მოსჩანდა, რადგან წამალი ნოტიოს გადაერეცხა. მარჯვენა მკლავი არ უჩანდა, რადგან სწორედ ამ ადგილას მედუქნის ტყაპუჭი ეკიდა კაჩხაზე.

ზურნა მიწყნარდა.

„ხომ გახსოვს ჩვენი საუბარი რომში?“ ეკითხება თარაში ვახტანგს.

„ჩემთვის ყველა გზა დაკეტილი აღმოჩნდა“. შენიშნა თარაშმა.

საქულამ ცხელი მწვადები მოიტანა. იამანიძე მგელივით მივარდა მწვადებს.

ამბობს: საჭმელადაც ვერ ვიცლიო, დღეს სადილი არ მიჭამიაო. მერმე ჭიქა გამოსცალა და თარაშს ეუბნება: „მე შენ ადგილას გვარს გამოვიცვლიდი“.

„გვარი გამოვიცვალო? მე ხომ მედუქნე საქულა არა ვარ? კარგი, სხვა დრო რომ ყოფილიყო და ოქროები დაეტოვებინა მამაჩემს, მაშინ ხომ არ ვიტყოდი ჩემ გვარზე უარს. გვარი ტანისამოსი როდია, წარამარა რომ იცვალოს კაცმა?“

„მე ახალი დარდი მიყიდნია, წყალში ვდგევარ, ცეცხლი მიკიდია“. ჩხაოდა მეთარე.

ახლა შინაურ ამბების გამოკითხვაზე გადავიდნენ. იამანიძეს მამა მოკვდომია.

„მამაჩემი უბრალო მუშა კაცი იყო, — ამბობს იამანიძე, — წერა-კითხვაც არ იცოდა. მატყუებდნენ, მამამ მოგიკითხაო, ესა და ეს შემოგითვალაო. თურმე მაშინ გარდაცვლილი ყოფილა. დედა დასნეულებულა. და გათხოვილა, ოჯახი დანგრეული დამხვდა“.

მამა ძლიერ ყვარებია იამანიძეს: მამა რომ მოგიკვდება კაცს, უფესვო ხეს ჰგავხარო მერმე. ტყავის ქარხნის ამბავი დაიწყო იამანიძემ. დიდად აღტაცებული უთხრობდა თარაშს თავის მუშაობის გამო. ქალაქს გარედ ერთ დანგრეულ შენობას მივაგენიო, ტრესტმა ფული მომცა, მთელ წელიწადს ტალახში დავტოპავდი, დღედაღამ თავზე ვადექიო მუშებს.

„მევე დავგეგმე ახალი ქარხანა, მანქანები გავმართე. მალე ფული შემომაკლდა. ისევ ვიშოვნე. ახლა მასალები დამაკლდა, ხან აღმასკომს ვეცი, ხან ტრესტს. ერთი გამოიარე, პარიზში უკეთეს ქარხანას ვერ ნახავ“.

ისევ აიღო ჭიქა იამანიძემ, უღიმის ემხვარს:

„მოდი, რაც იყოს, იყოს, დავლიოთ ჩვენებურად, თარაშ! ეს შენს ელლენ რონსერს გაუმარჯოს. რას შვრება შენი ელლენ, წერილებს თუ გწერს? რა გოგო იყო... პაჰ, პაჰ, პაჰ.

მე როგორ ვეჯავრებოდი — რაც მე დეიდამისის დამარხვაზე ვირბინე. ეჰ, ასე ყოფილა ჩემი ბედი. მე სხვის მკვდარს ვმარხავდი და შინ უარესი მჭირდა თურმე, მე აქ ამბავი მომიტანეს, შენ მისი მაგიერი გიპოვნიაო, ძალიან ლამაზი ქალიაო. ვიღაც შარვაშიძის ქალს ირთავსო. ააა?“

„რა მეცოლება, ჩემო ვახტანგ, ნეტავ მეც არ გავეჩინე უბედურ მამაჩემს“.

„რატომ, კაცო? ეს ცხოვრება მაინც სჯობია ზეციერ სამოთხეს“.

„რა მოგახსენო“.

„შენ ვერ ხედავ, თარაშ, რა ქალებია ტფილისში. პაჰ, პაჰ, პაჰ... პარიზელები მონაგონია მათთან, ოღონდ უკეთ ჩააცვი, უკეთ აჭამე.

აფსუს, მე რომ არა მცალია მათთვის. წვერის გასაპარსავადაც არა მცალია“.

იამანიძეს ღვინო მოეკიდა, თვალები გაუბრწყინდა.

„საოცარია, ამ აზიურ ნაწილში რომ ქალები არ სჩანან, არც ქუჩაზე, არც რესტორანებში. სამაგიეროდ იქით, რუსთველისაკენ რა ქალებია! პაჰ, პაჰ, პაჰ... გახსოვს, ჩვენი სტუდენტური ავანტიურები ევროპაში. მალმეზონში რომ წავიყვანეთ ორი და... რამდენი გვაწვალეს იმ ჭინკებმა. ჯერ ერთმანეთს არ სცილდებოდნენ, მერმე ცოტა შამპანიური რომ ვასვით ცალ-ცალკე მიიწევდნენ ოჩანი ხარივით.

ერთად ყოფნა აღარ უნდოდათ. რა ერქვა ჩემსას? ჟერმენ, არა?“

„ჰო, ჟერმენ“. დაუმოწმა თარაშმა უხალისოდ.

„ჰო, ჟერმენ, რა ქალი იყო ჟერმენ. პაჰ, პაჰ, პაჰ... ტკიპასავით არ მცილდებოდა ი ოჯახქორი. ტელეფონებით ამიკლო, ორი პანსიონიდან გამაგდეს მის გამო. მოვიდოდა საღამოს, ჩემს შეზლონგზე გაიშოტებოდა, ნაშუაღამემდის არ წავიდოდა. რა ვქნა, მე ლექციები მაქვს მეორე დღეს. ჟერმენ კი შეზლონგზე ნებივრობს.

ავიყვან ხელში, დავაცხრები ტუჩებზე, მოვსდრეკ, მაინც არ იღლება, ფერიასავით კისკისებს და ისევ მაღიზიანებს. სამ საათზე გავისტუმრებდი. ისევ ამოყვებოდა ლიფტს. რა ამბავია? ხან ხელთათმანს ივიწყებს განზრახ, ხან საპუდრეს, ხან საფულეს. ისევ დაწვება შეზლონგზე.

აჰ, ჟერმენ, ჟერმენ, ნამდვილი დიაცი იყო ჟერმენ, „ცივილიზაციის მიერ გახელებული დედალი“, როგორც შენ ამბობდი.

სორბონის ქალები ხომ გახსოვს, სერბიიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, დანიიდან ჩამოსულნი, ჟენეველი ებრაელი ქალები, ალალების ხროვასავით რომ მოდიოდნენ ყოველ სემესტრის დასაწყისში, საქმროებზე სანადიროდ პარიზს ჩამოსული სტუდენტი ქალები. კალიასავით მოედებოდნენ სორბონის, ეკოლ დე მინის, ეკოლ ნორმალის აუდიტორიებსა და დერეფნებს. თვალებს აცეცებდნენ. თავიანთ მსხვერპლს უთვალთვალებდნენ, თეძოებით, შეღებილი ტუჩების კაპრიზული პრუწვით გვახელებდნენ და მერმე გიყვარდეს „ფოლი ბერჟერი“, მალმეზონი და პარიზის პატარა სასტუმროები.

პაჰ, პაჰ, პაჰ“...

ვახტანგ იამანიძე სუკის მწვადს მისწვდა. თარაშ ემხვარ სდუმდა. ერთი ნორვეგიელ ქალი მოაგონდა, ჰედვიგ კინკ: „ქერა იზოლდეს“ რომ უწოდებდა ხუმრობით. ყირიმის პურისფერი, თეთრი ძუძუები, ბროწეულის კვირტსავით მაგარი კერტები, შაბიამნისფერი თვალები, ჭორფლიანი, მაგრამ სალუქი სახე. სინანული წაეკიდა გულზე, ღვინო დაისხა და ვახტანგის უკითხავად გამოსცალა. იძალა ღვინომ. მეზურნეებმა მოუხშირეს დაკვრას.

„დავრდომილი, სნეული,

უნუგეშოდ ვსტირი მე“.

მღეროდა ხმაჩახლეჩილი მეთარე. ელექტროს შუქმა იმატა.

„ახლა ჩემს ქარხანაშიაც მოთავდებოდა მეორე ჯერი. სადგურები განიტვირთენ“...

თარაშს მოსწყინდა იამანიძის სადღეგრძელოები. მახლობელ სუფრებს მოავლო თვალი: ტფილისელი ხელოსნები ისხდნენ ერთ კუთხეში. ხელით სჭამდნენ, მადიანად ილუკმებოდნენ და სწორედ ხელებზე ეტყობოდათ, ხელოსნები უნდა ყოფილიყვნენ.

თარაშ ემხვარს ძლიერ უყვარდა მუშაკაცის პურის ჭამისათვის მზერა, მაგრამ მისი ყურადღება მეორე სუფრის ხმაურობამ მიიქცია ახლა. ხელოსნების გასწვრივ გრძელი სუფრა გაეშალათ, იამანიძე ამობობდა: ეს ქართველი მწერლები ქეიფობენო. თარაშმა მიიხედა. შარდინ ალშიბაია თამადობდა ამ სუფრას, იამანიძემ და ემხვარმა ყური მიუგდეს: მჭევრმეტყველი შარდინი ჩვეულებრივის გულუხვობით არიგებდა „გენიოსის“, „დიდოსტატის“, „დიდი პოეტის“ და „დიდი მწერლის“ ტიტულებს (რადგან შარდინ სწორედ იქ იყო გულუხვი, სადაც მას არაფერი ეხარჯებოდა).

რომელიღაც თავწვრილა, ოქროსკბილებიანი მოხუცი ფეხზე იდგა და იუბილარის კდემამოსილებით უსმენდა შარდინის ღაღადისს. დღეგრძელების საგანი თავმოდრეკილი იდგა და ყველაფრის გამო ეთანხმებოდა (როგორც იუბილარებს სჩვევიათ ხოლმე), თავათაც ღვინო მოჰკიდებოდა დამჭკნარ ლოყებზე მწერალს და საპასუხო სიტყვაში სამკეცი ფიცით უმოწმებდა; მუქაფას მივუზღავო რუსთველს. ახლა მეორე წამოდგა, აგრეთვე ჭაღარა, გრძელულვაშიანი. მას ისეთივე გრძელი და ჭაღარა ულვაში ჰქონდა, როგორიც თამადას ექნებოდა, დროზე რომ არ შეეღება წინდახედულს.

რამდენიმე ახალგაზრდა იჯდა კუთხის ბოლოში, ღვინოს იპარავდნენ, თანაც იცინოდნენ ჩუმ-ჩუმად. ზედ ეტყობოდათ „გაბითურებას“ უპირობდნენ როგორც თამადას, ისე შესაძლებელი იუბილეების პატივცემულ კანდიდატებს.

თარაშ ემხვარმა შეფარვით გადახედა მწერლებს, იამანიძეს ეუბნება: „ეს მოხუცები ერთ ამბავს მაგონებენ: პაპის ურბან IV-ის დროს რამდენიმე აზნაურმა პაპს ნება სთხოვა: ბერების ორდენი შეედგინათ შინაურულად, ისე, რომ მათ არც მარხვა დასჭირვებოდათ და არც ამქვეყნიური ლხენისათვის ზურგის შექცევა. ურ-

ბანი დაჰპირდა. აქაც მოილხინეთ და სასუფეველშიაც წარგზავნითო, ოღონდ ოქროს დეზების ტარება აღუკვეთა. მერმე „ჭკუამხიარული ბერები“ შეარქვა ხალხმა ამ აზნაურებს“. იამანიძემ გაიღიმა, მაგრამ ემხვარის იგავს თავი ვერ გაართვა. საქულამ ცოცხალი მოიტანა.

დუქანში ღრიალმა იმატა. ერთი სუფრიდან მეორესთან მიდიოდნენ მთვრალები, მშვენიერ სიტყვებს ეუბნებოდნენ ურთიერთს, მარადიულ ძმობას, ერთგულებას ეფიცებოდნენ, ღვინოს თავაზობდნენ. ლოყაზე უცაცუნებდნენ ხელს, მზეს იფიცავდნენ. ვიღაც, კინტოურ ტანისამოსში გამოწყობილ კაცი, კინტოურსა თამაშობდა.

„ეს კინტოები კიდევ არ გადაშენდნენ?“. იკითხა თარაშმა ღიმილით.

„ისინი კიდევ ჩალიჩობენ, ამ უბანში კიდევ დადიან ლანდებივით ძველი ყარაჩოღელები, მეხანჯლეები, მემწვანილეები, ნაამქრალი ხელოსნები, ძველი თბილისის ნანგრევებში ჯერ კიდევ დაღოღავენ აქა-იქ... და ასეთ რესტორანებში, თუ გაიგონებ ზურნას, შიქასტებს და ბაიათებს“.

ვახტანგ იამანიძემ ისევ იხმო საქულა. ღვინო მოატანინა.

„ეს ზურნა არ მიყვარს, ირანის უდაბნოების სევდა მოისმის ამ გულსაკლავ ჰანგებში“.

„არტაშ, გენაც“, შესძახა მოხუცებულ მესალამურეს მოცეკვავემ და ისევ დაუარა. და ვახტანგ იამანიძემ განაგრძო:

„ტანში მაჟრჟოლებს, როცა ზურნის ხმა მესმის“.

„ქართული ჩონგური მაინც ყველაფერს მირჩევნია“. შენიშნა თარაშმა.

ვახტანგ იამანიძეს სადღეგრძელოები შემოელია. აქო ტფილისი, „აღმოსავლეთის პარიზი“. და ჭიქა აიღო ხელში:

„ეს, შენ რომ მითხარი, იმ ციხისთავის ხსოვნისა იყო, ჰერეკ-ლე ბერძენთა მეფე რომ აგინა“.

„ეჰ, ასე იყოს“...

ჩაილაპარაკა თარაშ ემხვარმა და კიდევ გამოსცალა ჭიქა. მა-ლე ღვინო მოერია ორივეს და აირია ურთიერთში მეზურნეების, მეინახეების, ერეკლე მეფის, საქულას, კინტოების, მწერლების, ირანის, ყეენის, მამლების და ვერძების სილუეტები. ცოცხალი და მკვდარი, უკვე დახატული და აწ დასახატავი ურთიერთში არია ღვინომ.

„ხეკორძულას წყალი მისვამს, მცხეთა ისე ამიგია, დამიჭირეს, მკლავი მამჭრეს, რატომ კარგი აგიგია“.

მოსთქვამდა მეთარე დიდოსტატების ბედს, ჯერ კიდევ ბნელ დროებში ხალხის მიერ გამოტირებულს.

გარდასული ფერების სიმფონია

„რანი და მოვაკანი და სახლი და კარი, ბანი და...
გათავდა ყოვლი ჭერილი, ანი, ბანი და განი და...
ვიარე ყოვლი ქვეყანა, სიგრძე, სივრცე და განი და...
ვერა ვპოვე რა მის მეტი, დავყარე ძმანი, დანი და...

ვახტანგ VI

თარაშ ემხვარ კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ევროპაში მიღებული ენათმეცნიერული განსწავლა საქართველოს მუზეუმის ექსპონატებისათვის არა კმაროდა. მან თავი ვეღარ გაართვა ძველქართულს, არაბულს, ირანულს, სომხურსა და ასურულ წარწერებს. თავკიდურების, ბარელიეფების, ფრესკების მინაწერებსა და ქარაგმებს. ქართულლი, კოლხური, რომაული, ბერძნული ფულების ქორონიკონები ვეღარ ამოიკითხა; ქალდეის

თეთრი არწივები, ქართული წითელი გრანიტის ვერძები, ქორით მონადირე ქართველი მეფეებისა და ერისთავების ბარელიეფები, უდიდესი ველურობისა და რაფინირებული კულტურების ნაშთები საგონებელში აგდებდნენ მას. ცნობისმოყვარე კაროლინა არ ისვენებდა. ყოველ ძეგლს განცვიფრებაში მოჰყავდა იგი.

წარამარა ეკითხებოდა თარაშს მათ სადაურობას და წარმოშვების თარიღს. თარაში ხან წაუყრუებდა, ხანაც ჭოჭმანით იმეორებდა ევროპელ მეცნიერების საეგებიო ვარაუდს. თამარ შარვაშიძისათვის ეს ყოველივე ჩინის ქვაზე დაწერილი ანბანი იყო. იგი ჩვეულებისამებრ მდუმარედ უსმენდა თარაშს, ეჩქარებოდა როდის გაათავებდა იგი დავიწყების მტვრიდან ამოტივტივებულ საგნების გამო თხრობას.

ხანდახან შეპარვით უჭვრეტდა მაჯის საათს (რადგან სწორედ 6 საათზე უნდა შეხვედროდა ანულის და მერმე ფოქსტროტის საცეკვავოდ წასულიყვნენ). ეკრანის ზოლსავით რიალებდენ თვალწინ ძველბერძნული კერპების, ბიზანტიის კეისრების, ქართველი მეფეების, ირანის შაჰების, საქართველოს უთვალავი ერისთავების, წმინდანების, ბერების, დედოფლების და ფეოდალების სახეები. ხევსურეთის დარბაზამდის მიაღწიეს და აქ ენა აიდგა თარაშ ემხვარმა. კარგად იცნობდა ამ მხარეს. ცალკე პირადი მგზავრობისა, ცალკერძ ევროპელი ეთნოგრაფების წყალობით, კაროლინას წინაშე სავსებით ახალი სამყაროს ბჭეები გაიხსნა.

თარაშმა ხეზე ნაწერი ხევსურული ლექსები წარსთქვა, წაწლობა ახსნა, ხევსურული ჯირითის, სისხლის აღების, უკარებლობის და ვაჟკაცობის ამბები მოიგონა.

* * *

ახლა სვანურ დარბაზში შეიყვანა თარაშმა ქალები.

თამარი აქაც სდუმდა (როგორც ქართველ ქალებს სჩვევიათ ეს),

დუმილით მალავდა თავის უვიცობას და უინტერესობას გაუგონარ ამბების მიმართაც.

უხალისოდ შესცქეროდა ექსპონატებს და უნებურად ხელს ახლებდა მათ.

კაროლინა აღტაცებაში მოიყვანა სვანური მაჩვიბის მორთულობამ.

ასეთ სახლში სიამოვნებით ვიცხოვრებდიო (კაროლინამ ეს არ იცოდა, სვანურ მაჩვიბში არც ისეთი სისუფთავე იყო, როგორც საქართველოს მუზეუმის მიერ გამართულ მაკეტების სახლშია წარმოდგენილი).

ახლა მკითხველმა წარმოიდგინოს ჩვეულებრივი შუაცეცხლი და ზედ ჩაშვებული საკარდლე ჯაჭვი. შუაცეცხლის გარშემო თანრიგობით დაწყობილია საკარცხულები და სამფეხა სკამები. მათ შორის უდიდესი და უკეთესი ჩუქურთმებით მორთული გვარის მამასახლისს, ქორა მახვშს ეკუთვნისო, ამბობდა თარაში. მათ მომდევნოზე ოჯახის სხვა წევრები სხდებიანო ასაკის მიხედვით. ხოლო მაჩვიბის გარშემო ახურების პატარა სარკმლები იყო მაკეტებით გაკეთებული. აქაც იგივე თანრიგობაააო. ბოსლის პირველი ახურიდან მთავარი ხარის თავი მოსჩანსო. შემდეგ მოზვრები, სულ ბოლოს ძროხები და ხბოები.

„Es ist drolling“, ამბობს კაროლინა.

სვანური ტანისამოსი მიმოიხილეს. სვანეთის უკანასკნელი მთავრის კონსტანტინე დადეშქელიანის დევკაცური ჩოხა აჩვენა თარაშმა ქალებს. ამ უზარმაზარი სატევრით ქუთაისის გუბერნატორს გაგარინს თავი წააცალაო დადეშქელიანმა. ახლა კულტურების ახსნას შეუდგა თარაშ ემხვარი.

ბერძნული ფალოსის კულტი მოიგონა. იქვე კარიკატურული

მანეკენი აჩვენა თავჩაჩქნიანი რაინდისა. ბავშვური მიამიტობით გაუკეთებია უბირი ოსტატის ხელს მამაკაცის ფიგურა, მშვილდისარი უპყრია ხელთ და უზარმაზარი, უპროპორციო ასო აქვს ამ კაცს ბზისაგან გაკეთებული.

კაროლინამ შეხედა ფიტულს, გაეღიმა და თამარს გადახედა.

„Ein schamloser Kavalier“[29], — ჩაილაპარაკა.

„საოცარი, გაუგონარი მისტერია ყოფილა სვანეთში“, — ამბობს თარაში, — ღვთისმშობლობას, ლამარიობის დღეს საქმისაჲ აიღებს ამ ასოს და დაემუქრება ღვთისმშობელ მარიამს ასე და ასე გიქენიო, თუ კარგი მოსავალი არ გინებებიაო ამ წელს“.

და პინდარის ლექსი მოიგონა: Erkrankt die Cottheit auch und will verehrt nicht sein.[30]

მიჰყვნენ ისევ სვანურ დარბაზს.

„ესაც ქვათა თაყვანისცემის ნაშთები“. უთითებს თარაში.

ჩამწკრივებულ ლოდებს უჩვენებს ქალებს, სხვადასხვა ღვთაებათა გამომსახველს. კაროლინამ ბევრი იცინა „ქვის გულისა“ და „დედა ქვის“ გამო. პაწია „შვილები“ გარს ერტყა ამ ქვას. გამოხრულ კიდეებში ისე შეხიზნოდნენ შვილები ქვას, როგორც წიწილები კრუხს. თარაში იდგა. მისი ფიქრი მითოლოგიურ ანალოგიებს ეძებდა ამაოდ.

მონადირეთა იდუმალი ენის ნიშნები შეამჩნია კაროლინამ, სვანური ტაბუს თანადროული ნაშთები.

* * *

თამარი აჩქარებდა კაროლინას. თავის ტკივილსა და დაქანცვას უჩივოდა.

ხვალ ვნახოთო ხელნაწერების განყოფილება.

---

[29] ურცხვი კავალერი.

[30] ღვთაებაც ავად ხდება ხანდახან და არა სურს თაყვანისცემა.

„ხვალ ექიმთან მიმყავს თათია“. ამბობს კაროლინა. რაკი შემოვედით, ბარემ ვნახოთო.

ხელნაწერების განყოფილებაში შავწვერიანი, გამხდარი კაცი იჯდა, უშველებელ ფოლიანტს ფურცლავდა. სტუმრების დანახვაზე მან შუბლზე აიკეცა რქის სათვალე, თავის მგლისებური თვალები მიანათა შემოსულთ უძინარი სახე ჰქონდა, თრიაქით მთვრალს მიაგავდა იგი, ოდნავ დაფანტულად იმზირებოდა, კაროლინას მაღალ მკერდსა და თამარის ლელისებრ ტანს მაინც შეხედა ჯიქური მზერით, მერმე თარაშს მიუბრუნდა:

„მიბრძანეთ, რა გაინტერესებთ?“

„ხელნაწერები“ მიუგო თარაშმა.

ზარის ფოლაქს ხელი დააჭირა მგლისთვალებიანმა. შემოსულ მსახურს კლიტეები მოსთხოვა. კუსტოსი მოიხმო.

უზარმაზარი სეიფების კარები გამოაღო კუსტოსმა და ოდნავ ჩამობნელებულ არეში შეუძღვა სტუმრებს.

კუსტოსმა შუქი გააძლიერა, შემდეგ ამისა იკითხა: რომელი საუკუნის ხელნაწერები გნებავთო. კაროლინამ კუსტოსს შეავლო თვალი. მაღალი, ჟღალწვერიანი, თვინიერი კაცი იდგა მის წინაშე. ბერს წააგავდა ოდნავ.

თარაშმაც შენიშნა ეს: ქართული სახარების მინიატურებზე ენახა სწორედ ასეთი ჭაღარა, წელში მოდრეკილი მახარობლები, და როცა კუსტოსი თამარს დანარჩენ სეიფებს უჩვენებდა, თარაშმა ეს უთხრა კაროლინას ხმადაბლა: „საოცარია, ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში მოსამსახურენი ლანდებს ემსგავსებიან ხოლმე, ისე ფეხაკრეფით დადიან, თითქოს წიგნების ილლუსტრაციებიდან, ხელნაწერების მინიატიურებიდან გადმოსულან და სული ჩაუდგამთო“.

„რომელი საუკუნისაა ეს ხელნაწერები?“

იკითხა თარაშმა ცალყბად.

„მეხუთედან, მე-19-მდე“. კაროლინა გააოცა ამ მაღალი კაცის წვრილმა ხმამ. ასეთი შთაბეჭდილება მიიღო: თითქოს სულ სხვა ადამიანის ხმაზე საუბრობს იგი.

„ნომენკლატურა?“ იკითხა თარგმა.

„რვა ათასი“.

„სიგელები?“

„18 ათასი“.

კუსტოსი თაროებს მისწვდა და გადმოალაგა ეტრატები, ჭილისა და ქაღალდის ხელნაწერები.

„თქვენ ხომ იცით, ევროპაში მე-12 საუკუნეში შევიდა ქაღალდი, ჩვენ კი მეათე საუკუნემდის მოგვეპოვება“.

ახლა პალიმფსესტი ეტრატი გადაშალა კუსტოსმა.

„აბა წაიკითხეთ პირველი დაწერილობა“, ეუბნება თარაში. კუსტოსმა საეგებიოდ ამოიკითხა: „... ესე ვითარცა სიტყვასა არ დავაცადო საყვარელნო“...

ეს ხელნაწერი მეათე საუკუნეში გადაუწერიათო ქართველ ბერებს პალესტინაში:

მე-19 საუკუნეში ვიღაც რუს მოგზაურს შეუსყიდნია და როგორც „ეთიოპური კოდექსი“, ლენინგრადის ბიბლიოთეკას შეუძენია, მეოცეში ბოლშევიკებს მოუტანიათო საქართველოში.

კაროლინა გაოცებული ათვალიერებდა ხელწერის იშვიათ შედევრს. ახლა „მოქცევაი ქართლისაი“ გადაფურცლა კუსტოსმა.

„აბა თქვენ წაიკითხეთ“, ეუბნება კაროლინა თარაშ ემხვარს. თარაშმა ძლივს ამოიკითხა:

„და დაუტევა ჰერაკლე კეისარმან ჯიბღო ერისთავი კალას ბრძოლად და თვით წავიდა ბრძოლად ხვასრო მეფისა. ხოლო მან ჯიბღო მცირეთა დღეთა შემოდგომად კალაი გამოიღო და ციხისთავი იგი შეიპყრა და პირი დრაჰკნითა აღუვსო და მერმე მრთელსა ტყავი გახადა“.

და აქ უამბო თარაშ ემხვარმა ქალებს, როგორ უწინასწარმეტ-ყველა ციხისთავმა ჰერაკლე კეისარს ირანის მიმართ გამარჯვე-ბა.

მახარობლობისათვის ოქროთი გაუვსესო პირი ციხისთავს, ხოლო ურჩობისათვის ტყავი გააძვრესო.

რომელიღაც ასტროლოგიური ეტრატი გადმოიღო კუსტოსმა, კაროლინამ ისევ საეგებიოდ დაადო ხელი ეტრატს და თარაშმა ამოიკითხა და გადაუთარგმნა:

„ესე არიან ათორმეტნი ეტლნი: ვერძი, კურო, ტყუბი, კირჩხი-ბი, ლომი, ქალწული, სასწორი, ღრიანკალი, მშვილდოსანი, თხის რქაც, წყლის საქანელი, თევზი“.

და ფურცლავდა კუსტოსი ეტრატებს, ჭილის, ქაღალდის ხელ-ნაწერებს და პალიმფსესტებს.

ახლა თამარ მეფისათვის გადაწერილი წიგნები გადმოალაგა კუსტოსმა, თარაშ ემხვარმა ეტრატს ხელი წაავლო, მისი სირბი-ლე შეიცნო.

მიზეზი იკითხა:

„ეს დედის მუცლიდან გამოყვანილ, უდღეურ ბატკნების ტყავ-ზეა გადაწერილი, რამდენი ჯოგი მოუნდებოდა ამ ერთი წიგნის შედგენას“.

კაროლინა ცნობისმოყვარეობით აღვსილი ათვალიერებდა მინიატურებს, წერად დამჯდარ მახარობელზე შეაჩერა თვალი. ლამაზიაო წერად დამჯდარი კაცის პოზა. გასაოცარი ნების სიმ-ტკიცე გამოკრთოდა ამ შესანიშნავი ხელნაწერიდან, იგავმიუწ-ვდომელის ხელოვნებით იყო ვინიეტები შესრულებული.

ქართული ანივით მოდრეკილი ანგელოსი გამოხატავს პირ-ველ ასოს პირველი სიტყვისას, ვეფხქალი ჩონგურს უკრავს, იქვე ხოხბები ხატია, ნიამორები, ჯეირნები, ფრთიანი ლომები, სპი-

ლოები, მიმინოები, აქლემები, მაიმუნები, ველური ხარები, ფარშავანგები და დურაჯები.

„ესეც ცნობილი პარხალის ქრესტომათია“. ამბობს კუსტოსი.

„გასაოცარი ბედი სწვევია ამ წიგნს. იგი მეათე საუკუნიდან ჩარჩენილა კლარჯეთში, მერმე მთელი ოლქი გათურქდა, ერი გადარჯულდა და წიგნი გადარჩა, შემდეგ მე-17 საუკუნეში გამოუსყიდნია მარიამ დედოფალს“.

ახლა სახარება გადმოიღო კუსტოსმა, გლეხის მიერ შეკვეთილი მე-12 საუკუნეში.

ორი ქცევა მიწა მიუციაო გლეხს ამ წიგნის გადამწერისათვის.

უფრო მეტი ინტერესი გამოიწვია ბაგრატ მეოთხის, აფხაზთა და ქართველთა მეფის ასულის მარიამის მიერ კონსტანტინოპოლში გადაწერილმა საკითხავმა.

მარიამ ბიზანტიის იმპერატორის მიქელ დუკასთვის მიუთხოვებიათ და იქ გადაუწერია წიგნი მე-11 საუკუნეში.

თარაშმა დიდ ფოლიანტს ხელი წაავლო. ბოლოს მინაწერი ამოიკითხა.

შენდობას თხოულობდა მონაჲ ღვთისა გაბრიელ პატარაჲ ამ უზარმაზარი შრომის გადამწერი.

„გაბრიელ ჰსკაველი და გაბრიელ ხორგაჲ? დიდად დამიდგეს თანა, ოდეს მიმჭირდეს, მათ პურად მციან, იოვანე გაცვეთილმან კუტალაითა ღვინოჲ მომართვა“.

ისმოდა საწყალობელი ხმა.

„საოცარია, როგორი თავმოდრეკილი იყვნენ ძველი მწერლები“. ამბობს კაროლინა. თარაშმა მიუგო:

„ვისაც შიმშილი, ან სიყვარული არ აწუხებდა, მას არც არაფერი შეუქმნიაო ოდესმე“.

თარაშ ემხვარ ვეღარ სცილდებოდა ასტროლოგიურ, მათემა-

ტიკურ, თეოლოგიურ შრომებს. მიკროსკოპიული ხელით გადაწერილი ყავისფერი ეტრატი აიღო ხელში, ფანტასტიური ვინიეტებითა და მინიატიურებით შემკული. თორმეტი სიმბოლიური ფიგურა მოსჩანდა ემალისებრ ნახატი, თორმეტი თავის განსახიერება.

უფაქიზესი გრაცია მჟღავნდებოდა გულუბრყვილო ოსტატის ნახელოვნებში: ნაბდიანი მარიხი თითქმის ქალური ტანკენაროობით გამოუხატავს, მარიხი — ომების მრისხანე ღმერთი. კაროლინა გაოცდა: როგორ მოუვიდაო ქართველ ოსტატს ამ სისხლისმსმელი ღმერთის ასე ნაზად გამოსახვა. იქვე მეცხვარე შენიშნეს ნაბადწამოსხმული, თეთრი თოხლი უჭირავს ხელში ისევე, როგორც ვირგილიუსის ლექსებშია იგი გამოხატული, ხოლო სვებედნიერ მონადირეს ცისფერი თვალები უბრწყინავს, მარცხენა ხელზე მიმინო შეუსვამს და შესცქერის ფრინველს და ღველფისდარ თვალებს ტყიურისას ველური ლხენით აღუვსია იგი.

ახლა რუსთველის ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები გადმოალაგა კუსტოსმა, უბადლო ოსტატობით შესრულებული მინიატიურებით დამშვენებული. საუკუნოთა ნისლიდან გადმოგვცქერისო ეს ციდან ჩამოვარდნილი ჯადოსანი. და მისი ვინაობა რომ არ ვიცით, ეს მომეტებულის შარავანდით მოსავს ქართული პოეზიის უგვირგვინო მეფეთა მეფეს. ახლა საბა ორბელიანის და დავით გურამიშვილის ხელნაწერები მოიღო კუსტოსმა. გულდაკოდილი დავით გურამიშვილის საცოდავი ავტოპორტრეტი, მას პრუსიული ფრაკის მაგვარი სამოსი აცვია. ცას შესჩივისო თვალებაპყრობილი ეს მეფე ლირი ქართული პოეზიისა.

მტკივნეულად იგონებდა ემხვარი სამივე გენიოსს საქართველოდან გადაკარგულს.

ვახტანგ მეექვსის კანონები, ლექსები და ტრაქტატები გადმოალაგეს, მისი ვაჟის ვახუშტის ძვირფასი ეტრატები.

თარაშმა უჩვენა ქალებს საქართველოს პროვინციების გერბები: აფხაზეთისა — ვაცი, გურიისა — შველი, იმერეთისა — ირემი და მთვარე, ქართლისა — ორი ლომი კვართის გარშემო შეტოტეებული, სამცხე საათაბაგოსი — დროშიანი ვერძი, კახეთისა — პეგასი.

თამარი ისევ მაჯის საათს დაჰყურებს, მაგრამ აჩქარებას ვეღარ ბედავს.

თარაშ ემხვარ სარკმელთან მივიდა. ამ ერთ საათში 15 საუკუნის მანძილი გაირბინა მისმა გონებამ და როცა ავტომობილების ბღავილი და რუსთველის პროსპექტის ქოთქოთი შემოიჭრა გარედან, მას სიზმარში ეგონა თავი.

სეიფების მძიმე კარებები დაჰკეტეს. თამარი თავის ტკივილს უჩიოდა ისევ, მაგრამ კაროლინამ ხელსაქმის ნახვაც მოისურვა.

თარაშ ემხვარს ცალი ხელი თამარისათვის წაევლო მკლავში, ცალიც კაროლინასთვის გაეყარა, მაგრამ სულ სხვაგან ჰქროდა მისი გონება: წელში მოდრეკილი მწიგნობრები ელანდებოდა მას, საუკუნოთა მტვრითა, ოფლით და ცრემლით გაზინთული ეტრატები, და ჯერაც მის თვალთა წინაშე იხსნებოდნენ, იკეცებოდნენ საუკუნოები, როგორც წეღან ნახატი ეტრატის გრაგნილები. და კიდევ მოესმოდა მას, გადამწერლების, მწერლების საწყალობელი ჩივილი: შენდობით მოგვიხსენეთო, რომ იხვეწებოდნენ მოკრძალებულ მინაწერებში. ერთი საცოდავი გადამწერის ვედრება თან წამოყვა თარაშ ემხვარს: „მოგვიხსენეთ და ლოცვაც ჰყავთ ჩვენთვის, რამეთუ ვიყავით ჩუენ, ვითარცა თქუენ და იქმნებით თქუენ, ვითარცა ჩუენ“. ახლა ხელსაქმის დარბაზში შეუძღვა კუსტოსი სტუმრებს.

* * *

შუშის კარადები მტვრისფერი ტილოთი იყო დაფარული, და ეს

მწკრივად ჩარაზმული თეთრი კარადები, მარმარის სარკოფაგებს მიაგავდნენ.

პირველ კარადას ახადა კუსტოსმა საფარი და შესანიშნავი საქორწინო რიდე გადმოიღო, თეთრი აბრეშუმის ფონზე, ოქროს მალათით ექარგნათ ცისფერფოთლიანი მწვანე ეკლიანი, შინდისფერ კოკორიანი ვარდები. ეს ყვავილები ისე ხასხასებდნენ, თითქოს თოვლზე დაუყრიათო ახლად მოწყვეტილი ვარდები.

კაროლინა აღტაცებაში მოიყვანა ამ საქორწინო რიდემ.

თამარი დაქანცული იყო, მაგრამ ამ ვარდების დანახვამ იგიც გამოაფხიზლა.

თარაშმა თამარს შეხედა და იგულისხმა მის სხეულზე ეს საქორწინო რიდე.

მეორე კარადას ახადა საფარი კუსტოსმა. ეს უძველესი დორია, ეუბნება კაროლინას. შინდისფერ ფონზე ძეწნის ფოთლების მინაგვარი მედალიონები იყო გამოსახული, თეთრი მძივები და კილიტები იმ ელვარებას ანიჭებდა ნაქარგს, ივნისის მიწურულში რომ შეუდგება ძეწნის ფურცლობას. და ეს გასაოცარი ფერთა თამაში ნაქარგის სახეებს აცხოველებდა.

ახლა მეორე დორი გახსნა კუსტოსმა, უფრო გვიანი საუკუნის ნახელოვნები.

ეს იყო სითვიანი ნაქარგი. გვირილის თეთრი ყვავილები კილიტებით შეემკო ხელოვანს და ყვავილთა გარშემო მუხის ფოთლები ამოექარგათ.

ხასხასა ლაჟვარდისფერი იმ მოყვითანო სიმწვანეში გადადიოდა, ახალფურცლობის ჟამს რომ ემჩნევა ფოთლებს მუხისას. ლეჩაქების კარადა გააშიშვლა კუსტოსმა.

ყაისნაღურით ნაქარგი ლეჩაქები გამოჩნდა ოქრომკედით კიდემოქარგულნი.

„ეს მანდილი მეცამეტე საუკუნის ნამუშევარია“, ბუტბუტებს

კუსტოსი.

ფაიფურისფერ ფონზე სხივოსანი მზეა ოქრომკედით ამოქარგული და ამ მზეს უთვალავ ვარსკვლავთა ასაბიები გარს ახვევია ვერცხლმკედით ნაქარგი და ბრჭყვიალა კილიტებით დამშვენებული.

თარაშმა თამარსა და კაროლინას წაავლო ხელი და გულისპირების კარადასთან მიიყვანა.

„Entzückend“.[31]

ამბობს კაროლინა, ცისფერი აბრეშუმის გულისპირს მიაჩერდა, წვრილ-წვრილი საპფირონებითა და ზურმუხტებით დამშვენებულს.

ახლა მეორე გულისპირი შენიშნა თამარმა: თეთრ აბრეშუმზე დიბად ამოქარგული, მანებით დაშვენებული. ჭადრის ფოთლები ამოექარგათ კიდეებში.

ცისფერი, ზღვისფერი, შემოდგომის ფოთლებისფერი ფარჩის კაბები უჩვენა კუსტოსმა თამარს, ფერად-ფერადი გულისპირები ელაგა მათ გვერდით.

ახალთახალი იყვნენ ეს კაბები, მაინც ეტყობოდა ზედ: ლამაზმანების თაობებს გაეხადათ ისინი და ახლა ამ მუზეუმს ამშვენებდნენ, მაინც ნამკვდრევის შთაბეჭდილებას სტოვებდნენ.

უძველეს ნიმუშების ოქრომკედს სიყვითლე შემატებოდა, ხოლო აბრეშუმი შემჭკნარიყო ოდნავ და თეთრი ფარჩის ფონი ჩინური ვარდის ფურცლებს მოგაგონებდათ (გარდაცვლილი საყვარლის საკითხავებში ნაპოვნს!).

მიუხედავად ამისა, ფერების ჰარმონიული შეთანხმება საოცარი სინატიფით სუნთქავდა, კეთილშობილი და წყნარი ფერებით გაცხოველებული.

---

[31] ზეაღმტაცია.

„აჰა, ჩვენს ხალხურ პოეზიაში შექებული მოვის პერანგები“.

ამბობს თარაში და თამარს უჩვენებს შინდისფერ აბრეშუმის პერანგებს, ჯვრისწერის ღამეს რომ იცვამდნენ პატარძლები, მარგალიტებით საკინძე მოოჭვილნი:

ქარი ჰქრის, ქარი გრიალებს,
მაღლა ფარდებში ბერავსო,
შიგა ზის ქალი ლამაზი,
მოვის პერანგსა ჰკერავსო.

შინდისფერივე შეიდიშები შენიშნა კაროლინამ. კუსტოსმა განუმარტა: ასეთი შარვლები ეცვათო ჩვენს ქალებს მე-19 საუკუნემდის. შეიდიშების ტოტებზე, ყვავილების სახეებში, ხან ურჩხულები ელავდნენ, ხანაც ქორბუდიანი ირმები და მშვლის ძუძუმწოველი ნუკრები, მოკენწლავე მამალი ხოხბები, მორკინე ირმები, მშვლები და გაქცეული ნიამორები.

შესანიშნავი აბანოს პერანგები გადაიშალა მათ თვალწინ ოქრომკედით, ვერცხლმკედით და ფერადი ძაფებით ნაქარგნი.

ერთნი შინდისფერნი, სხვანი პირისფერნი. იშვიათის ოსტატობით შეესრულებინა ხელოვანს მცენარეული კლაკნურები, უბეფოთლოვანი, უბემარყუჟა, კიდეებში სულდგმულიანი სახეები, ორმაგ მიმიკრიას იწვევდნენ ისინი მნახველში, ხან ირმები ეჩვენებოდა ამ ფიგურებში თვალს, ხანაც, რომელიღაც მცენარე უცხო და უცხო ფურცლობისა.

ისევ ქალის ქათიბის ყურთმაჯები აჩვენა ქალებს კუსტოსმა, ოქროს ფოჩებიანი სარტყლები ოქრომკედით კიდეშემოქარგული ზერდაგი ცხენის ფაფარის დარად დაფანჩულნი).

სხვანი თეთრი ფარჩისა, პურისთაველიანი, ოქრომკედის მანებით დამშვენებულნი.

შემდეგ კარადას გადააცალა კუსტოსმა ტილოს საფარი, ახლა აბანოს სუზანები გამოაჩინა. თოვლისფერ ფონზე მცენარეული

კლაკნურით და ყაისნაღით გამოყვანილი იყო ვაშლის ყვავილები, თეთრი მალათით ნაქარგი, ცალ კიდეზე საკმაოდ მიამიტი ლექსები იყო ამოქარგული „სალხინოდ მოსახმარი“ და სხვ.

ისევ მოვის პერანგები, ყურთმაჯები, სარტყლები, კაბები, ნამუშევარნი ელაგნენ კარადებში.

იგივე კეთილშობილი ფერების შერჩევა, სისადავე ნაქარგისა (უაღრეს სირთულესთან მომიჯნე), ფერთა სიუხვე, მრავალგვარობა, მყვირალა ფერების ნაკლებობა და, რაც უმთავრესია ხელოვნებისათვის, დიდი გემოვნება. აბრეშუმის ძაფი ხან ოქროს ძაფთან იყო შეუღლებული, ხანაც თეთრ სირმასთან.

სამკაულების კარადებს ახადა კუსტოსმა ფარდა, თამარმა ოქროს ჯვარი შენიშნა მათ შორის, მასსიური ოქროსი, ცალ მხარეზე მინანქარი, ცალზედაც ოქროს ნაძერწი, დიდრონი ლალებითა და საპფირონებით დამშვენებული.

კაროლინა მანიაკებს შესცქეროდა — მარგალიტების, მარჯნის, ალმასების და ფირუზების მანიაკებს.

ელავდნენ ჟამმოჭმული ბეჭდები, საყურეები, სამაჯურები, საპფირონებით, იაგუნდებით, ლალებით, ვეშაპისთვლებით შემკულნი; პატარა, საწოლის ხატები, ბერძნულად, ქართულად მოოჭვილნი, მინანქარისა და ოქროისანი. ლალებით, იაგუნდებით, ზურმუხტებით შემკულნი, წვრილი ნიშაბურის ფირუზებით დამშვენებული აშიები. პატიოსანი ბადახშანებით, დიდრონი ლალებით, ობოლი მარგალიტებით, სინსილებითა და ოქროს თითრიმებით მოსილნი.

ყელსაბამები დიდრონი მარგალიტებითა, ლურჯი იაგუნდებით, დახვრეტილი იაგუნდებით, თმის სატენები, შადის მარგალიტიანი, გულისპირის ჩამოსავლებნი პირის მარგალიტის ჯინჯილებითა.

კაროლინამ წითელი და ყვითელი იაგუნდების ბეჭდებს დაადგა თვალი.

საპირფარეშოს საჭურველნი გადმოალაგა კუსტოსმა.

ოქროსაგან ნაკეთები ყურის საწმენდი ილარი, ვერცხლგადაკრული ნიჟარები.

უმარულის სალესნი, თმისსაყოფნი და სათმეულნი, ნაირნაირი მიჭვრიტანები, წარბების სავარცხელნი, ხატის, ჯვრის, წიგნის, ფსალმუნის ბუდენი, ვერცხლის მაკრატელნი, ინის თასები, დახატული ყუთები, პაწია ზანდუკები, სირმის თავსაკრავები, ნარინჯისფერი საღამური პერანგები, სოსანისფერი, შინდისფერი მოვისა და ყირმიზი დარაიისა.

გიშრისა და მარჯნის კრიალოსნები თვალში მოხვდა თამარს.

ქარვის ჯვრები სირმის ფოჩვებიანი, სირმით ნაკერი ხელსახოცები, ქირმანის შალის თავსაფრები, აბრეშუმის ყაბაჩები, დიბის ქათიბები, იეზიდური ნაქსოვები სიასამურის ბეწვეულით შემკულნი, ფრანგული ატლასის კაბები, ხორცისფერი პერანგები, ცისფერი ტალმები.

აბანოს საჭურველი აჩვენა კუსტოსმა ქალებს: ქირმანული ხალიჩები, აბანოს პერანგი ქალისა და ვაჟისა, ერთი ბროწეულის ფერისა, ხოლო მეორე სოსანისფერი, ქისები, ბოღჩები, ხავერდგადაკრული პაწია სკივრები, სპილოსძვლის ნარდები, სადაფის საწერლები, ვერცხლის სასანთლენი, ვერცხლისა და ოქროს თასები, ფიალები, ვერცხლის სამარილენი, თეფშები, სპილენძის, რვალის, ოქროისა და ვერცხლის სურები, ნიამორებისა და ხოხბების ფიგურებით დამშვენებულნი.

მზითევის ბოღჩებთან მიიყვანა თამარ კუსტოსმა.

ოქრო და ვერცხლმკედით იყვნენ ისინი ნაქარგნი, ფერად-ფერადი კილიტებით შემკულნი, ზოგიც ფერადის ძაფითა, ყაისნაღუ-

რით შესრულებულნი. იქვე ელაგნენ კედლის საფენნი — ნარინ-ჯის, ბროწეულის, სოსანის ფერისანი. ყოველი მათგანი ნატიფი ფერებით იყო ნაქარგი.

ახლა ქისები უჩვენა კუსტოსმა მუქლურჯი, ცისფერი, ზღვისფე-რი მძივებით ნაქარგნი, მცენარეული კლაკნილებით შესრულე-ბულნი.

„ეს უძველესი ქისაა ჩვენს კოლექციაში“, ეუბნება კუსტოსი თა-რაშ ემხვარს, მე-14 საუკუნის ხელსაქმის ნიმუშიაო.

ვეფხი იყო ზედ გამოხატული და ძველებური მხედრულით ლექსი ეწერა ზედ. ისევ მოკენწლავე მამლებითა და სირმის ფუნ-ჯებით დამშვენებული ქისები. თარაში გიორგი შარვაშიძის დედი-სეულ დარაიასთან შესდგა, თამარი იხმო, კაროლინას წაუკითხა ზედმოქარგული მხედრული წარწერა. ერეკლე მეორის სარტყე-ლი, შესანიშნავი ჰინდური ნაქსოვი, დარეჯან დედოფლისეული ყაჯარი აჩვენა კუსტოსმა კაროლინას, შინდისფერ ფონზე ვერ-ცხლმკედითა და ოქრომკედით ნაქარგი მცენარეული კლაკნურე-ბითა და ფერად-ფერადი კილიტებით შემკული. იქვე ეკიდა ნაქ-სოვი მოსართავები, აბრეშუმის სადავენი და ორტოტიანი მძივის მათრახები.

ერთი მშვენიერი ყაჯარი შენიშნა თამარმა. ქართულ ჯეჯიმზე ყაისნაღურით ამოექარგათ რომელიღაც სუბტროპული მცენარე. ყაჯარი ოქროსფერი ფუნჯებით იყო მორთული.

წვივსაკრავები გადმოალაგა კუსტოსმა. მძივისა და სირმის ფუნჯებიანი, ერთ-ერთ მამაკაცის წვივსაკრავზე შაირი იყო ამო-ქარგული:

„მუხლს ვესურვი, მისართმევი ვარ ლომისა, ტანად ალვა, ფე-რად მზისა“.

იქვე იდგა ქართული აკვანი, ღვინისფერ აბრეშუმზე ოქრომკე-

დით მოქარგული არტახები, დასასრულ სპილოსძვლის თითისტარმა მიიპყრო მათი ყურადღება ოქროს კვირისთავით დამშვენებულმა.

ლალები ისხდნენ ზღვისფერ მინანქრის ფონზე.

ქართული უძველესი ოქრომჭედლობის ნიმუშები გადმოულაგა კუსტომ სტუმრებს: ბაგრატ კურაპალატის უზარმაზარი ვერცხლის ჯვარი. წმინდა პეტრეს ფიგურა შენიშნა კაროლინამ ლომზე შემჯდარი. დავით აღმაშენებლის ოქროს ჯვარი: ხუცურად ამოიკითხა ემხვარმა: აფხაზთა, ქართველთა, კახთა და ლეკთა მეფეს მოანიჭეო ქრისტიანობის მზე. გიორგი მეფის მიერ თამარისადმი მირთმეული ოქროს ხატი, თამარისეული ხატი, წითელი ლალებით და ემალის მხატვრობით დამშვენებული, ისევ ოქროს, ვერცხლის და ემალის ნამუშევარი მე-10 და მე-12 საუკ. უზარმაზარი ჯვარი შამადავლე გურიელისა, ახლა კათალიკოსების ტიარები და ხატები აჩვენა კუსტოსმა სტუმრებს, აუხსნა უძველესი ქართული ემალის ხელოვნების მნიშვნელობა, მისი აღორძინება მე-10 ს. და გადასვლის მიზეზები ახსენა. ბექა ოპიზარის ოქრომჭედლური ოსტატობა მოიგონა.

თარაშ ემხვარმა გელათის მოზაიკა გაიხსენა, მიუწდომელი შედევრიაო მთელ მსოფლიოში, იგი ბიზანტიის იმპერატორს კომნენს მიურთმევიაო დავით აღმაშენებლისათვის.

კაროლინა ახლა ფრესკების დარბაზებისაკენ მიიწევდა, პრეისტორიული განყოფილებაც უნახავი დაგვრჩაო, ჩიოდა, თარაშმა თამარს შეხედა, იგი არას ამბობდა, მაგრამ სავსებით მოქანცული სჩანდა.

მდუმარედ ჩამოვიდნენ კიბეზე სამივე, მხოლოდ მუზეუმის ტალანში გაიღო ხმა კაროლინამ: მუზეუმი ნამდვილი საკუჭნაოაო, განვლილი გრძნობების, გადასული ფერების, გადახდილი ომების ძველი საკუჭნაო. ასე მგონია სასაფლაოზე ვიყავითო.

„როგორ მშვიდად უცქეროდნენ ერთსა და იმავე კედელზე ერთმანეთს თამარ მეფე და თემურ ლენგი, ერეკლე მეორე და მისი მოსისხარი აღა-მოჰამედ-ხანი“.

„სპექტაკლი გათავდა. მსახიობები წასულან, უპატრონო ნიღაბები დარჩენილან აქა-იქ“.

ესა სთქვა თარაშ ემხვარმა და თამარსა და კაროლინას ხელი გაუყარა.

რუსთაველის პროსპექტზე შინმობრუნებულ ბუღებსავით ზმუოდნენ ავტომობილები და მანქანები. ჰაეროპლანები გუგუნებდნენ ცაში.

მთაწმინდის მთვარე

მთაწმინდაზე, ფუნიკულიორის რესტორანში ისადილეს იმ დღეს თამარმა და თარაშმა. გვიან მოვიდნენ, ამიტომაც უღიმღამოდ უკრავდა ორკესტრი. თამარმა შენიშნა: როიალი სავსებით მოშლილი იყო. გაცვეთილ სიმღერებს მღეროდნენ ესტრადის არტისტები. მერმე რადიოს გადაცემა დაიწყეს. თარაში საერთოდ უხალისოდ სჭამდა. იშვიათად შეესიტყვებოდა თამარს, მაგრამ, როცა ქართული ხალხური სიმღერები მოესმა, განწყობილება შეეცვალა. თამარის გამხიარულებას შეეცადა, მაგრამ ამაოდ. თამარი ნერვიულობდა. წარამარა საათს დახედავდა, ეს უფუჭებდა განწყობილებას თარაშს. დიდხანს მოწყენილნი ისხდნენ, მრავალი წლის ცოლქმული ცხოვრება გაევლოთო თითქოს. თამარმა რამდენჯერმე ახსენა ანული. მერმე ინსტიტუტი მოიგონა. დოკუმენტები წარვადგინე, პასუხს ამ დღეებში მომცემენო.

თარაში სდუმდა. არც ანულის ხსენება ეპრიანებოდა, არც ინსტიტუტისა. თამარს უკანასკნელი წინადადებაც მოთავებული

არა ჰქონდა, ისე ანაზდეულად გადახედა თბილისს თარაშმა და ასეთი რამ უთხრა თამარს:

„საოცარია, ეს მთები გნოლისფერი ხდებიან შემოდგომაზე, აქაური კურდღელიც გნოლისფერია ამ დროს“.

თამარი გაოცდა. ვერ გაიგო: რა შუაში იყო ან კურდღელი, ან გნოლისფერი მთები?

თამარმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს ვერ შეამჩნიაო სიტყვა რომ ბანზე აუგდეს, ისევ ინსტიტუტს დაუბრუნდა. ანული მანჯგალაძეს მიჰყვება ცოლად.

თარაშ ემხვარმა ჭიქაში დარჩენილი ღვინო მოსვა და ეუბნება:

„იცი, თამარ, მე მაინც ასე მგონია, კურდღელი უნიჭიერესი ცხოველია ნადირთა შორის“.

თამარმა თავისი მომშვილდული წარბები ზეასწია. ჯიქურად შეხედა თარაშს, ეუბნება:

„მე ძალიან მაწუხებს, მისოუსტ, შენ ყურისგდება არ იცი საერთოდ, რა შუაშია აქ კურდღელი, მე ანულის შესახებ გელაპარაკები და შენ კი კურდღელს ახსენებ“.

„მაპატიე, თამარ, მე ცოტა დაბნეული ვარ. ჩემი ცხოვრება დაიბნა და რად გიკვირს, რომ მეც დაბნეულად გელაპარაკები. რაც შეეხება ყურადღებას, მე მხოლოდ საყურადღებო ამბების ყურადღება თუ შემიძლია“.

„რად ამბობს მაგას, მისოუსტ?“

„მე ასე ვფიქრობ“. თამარმა ჭამა განაგრძო. უხალისოდ სჭამდა, საინს დასჩერებოდა.

თარაშმა კავკასიონისკენ გაიხედა. მზე ჩადიოდა და ვარდისფერი შუქი მოჰფენოდა ყაზბეგის ორმაგ კუზს აქლემისებურს, ხოლო საბძელის მყინვარი ძოწის სამოსში გახვეულიყო.

ახლა აღმოსავლეთისაკენ გაიხედა თარაშმა, ბინდი ეფინებო-

და თბილისზე მომდგარ ტრამალების ზღვას. და ეს თვალშეუდგამი სტეპები ოკეანეს მიმსგავსებოდნენ, ოკეანეს ისეთ მომენტში, როცა იგი უცაბედი გრიგალის მოლოდინში მუქ ფერებს დაისხამს და გაიტრუნება. ხოლო კახეთის გასწვრივ გაჭიმული კავკასიონი ხასხასა ცისფერი გამხდარიყო და ვულკანისაგან ჩალეწილი თეთრი ტალღები გაქცეული შვლის უკანალსავით დასტყობოდნენ მთების მწვერვალებს აქა-იქ.

და მთელი ზურგი კახეთის კავკასიონისა ისე მოსჩანდა, თითქოს აკვარელით უხატნიაო იგი პირველ ოსტატს ქვეყნის შექმნისას.

და როგორც ჭარმაგ კაცს, ჯერ სავსებით მხნესა და გულმაგარს, მოულოდნელად მოეწიოს სიბერე, ისე მეყსეულად შეიბურა ცა მუქი ფერით, და მგლისფერი გახდნენ ტრამალები თბილისის კარზე მოზღვავებულნი და ღამემ იასპისფრად მოსჭრა ცაზე კავკასიონი.

თამარმა მოიწყინა. თარაშმა მსახური იხმო. მობორიალდა მსახური და ისევ გაუჩინარდა.

თარაშმა ჩანგალი აიღო. მკვახედ დაარახუნა თეფშზე. მსახურმა ანგარიში მიიტანა.

უსიტყვოდ წამოდგნენ. უკვე რვა საათი გამხდარიყო.

თამარს იმედი ჰქონდა: თუ ფუნიკულიორის ვაგონით ჩავიდოდნენ ქალაქში, ანულის კიდევ შინ მიუსწრებდნენ. ანული უთუოდ მოუცდიდა თამარს.

თარაშს კი ეს უნდოდა: ფეხით ჩამოსულიყვნენ მთაწმინდიდან. აქაც, გზაჯვარედინზე გაიყარნენ მათი სურვილები. თამარი შეჭოჭმანდა: ნებას დაჰყოლოდა, თუ?..

და სწორედ ამ დროს თარაშ ემხვარმა მკლავში წაავლო ხელი.

(მან კარგად იცოდა ქალის ფსიქოლოგია: ქალს სწორედ ისეთ

დროს უნდა წაავლო ხელი, როცა იგი ჭოჭმანს მოყვება), ხელი წაავლო და ზიგზაგით ჩამომავალ ბილიკს გაუყენა.

„წამოდი ანულისთან, მისოუსტ, რა, ფოქსტროტი ვიცეკვოთ, რაა!“. ეუბნება ვედრების კილოთი თამარი.

„დავბრუნდეთ, ფუნიკულიორით ჩავიდეთ და მივუსწრებთ. უთუოდ მოგიცდითო, დამპირდა ანული“.

„გვიცადოს, სანამ არ მოსწყინდეს“.

„მე მინდა ფოქსტროტი ვიცეკვო, მისოუსტ, რაა“...

თარაშ ემხვარს ანაზდეულად მორეოდა ის ერთი ბოთლი ღვინო და ამიტომაც გულახდილად ეუბნებოდა თამარს:

„დღეს რაც გიჩვენე, იმის შემდეგ თუ ფოქსტროტი გენატრება, მაშინ შენ ის თამარი არა ყოფილხარ, რომელიც მე მიყვარდა“.

„შენ დიდი ეგოისტი ხარ, მისოუსტ“.

„ეგოისტი? ალტრუისტები დამთხვეულებია“.

„შენებური აფორიზმები დაიწყე?“

„თუ ჩემი აფორიზმები მოგწყინდეს, ანულისა და მანჯგალაძისა მოისმინე. დაბრუნდი და წადი მათთან“.

თამარმა ტუჩი მოიკვნიტა. დადუმდა. თარაში ბილიკზე შესდგა. დოინჯი შემოიდგა. ტფილისს გადახედა.

შთაბეჭდილება ასეთი იყო: გრიგალს ჩამობერტყა თითქოს ვარსკვლავების ლაშქარი ციდან და შეფენილიყვნენ ისინი მანდიკურად მტკვარზე გადაფენილ ტაფობზე. ტფილისის გორაკებზედაც ლიცლიცებდნენ ელექტროს წინწკლები, ცახცახებდნენ, ციმციმებდნენ და ჰყვაოდნენ, როგორც ბაიები შავი ხავერდის ფონზე.

ქერუბიმებსავით ზეწამოდგომოდნენ ტფილის ქალაქს ქარხნის მილების სილუეტები. ურჩხულების დარად დაკლაკნილნი ამეთისტოს ცისკენ მიიწევდნენ კვამლის დაგრაგნილი სვეტები.

თამარი და თარაში ხელგაყრილნი ჩამოდიოდნენ მთიდან.

თარაშს კი ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მარტოკა გადგომოდა ამ გზას

მარჯვენა ხელში ეჭირა თამარის მკლავი, მაინც არა გრძნობდა მის სიახლოვეს. და მართლაც, თამარი ამ წუთში ამას ფიქრობდა: ნეტავი კიდევ თუ მიცდისო ანული?

ხანაც ფოქსტროტის მოცეკვავე წყვილების სილუეტები რიალებდნენ მის წარმოდგენაში.

„იცი, მისოუსტ, ანულიმ ექიმი თედელური რომ გაგვაცნო, იგი თურმე საუკეთესო მოცეკვავეა თბილისში“.

„შენ კიდევ ფოქსტროტის გამო ფიქრობ?“

„ფოქსტროტი შენც მოგიხდება, მისოუსტ. შენ ტანადი ხარ და გემოვნებით გაცვია“.

„მე გემოვნებით ვიცვამ, მაგრამ უგემურ ცეკვას თავს ვარიდებ, თამარ“.

„მაინც რად არ მოგწონს ფოქსტროტი?“

„ფოქსტროტი სიფილისიან ინდიანელების მოგონილია და პარიზელ დემიმონდენების საყვარელი ცეკვა“.

„ექიმი თედელური მეუბნებოდა, ძალიან გშვენისო ფოქსტროტი“.

„ოო, ექიმებმა ბევრი რამ იციან!“

„შენ ასეთი ახირება გჩვევია, ყველაფერზე, რაც შენ არ მოგწონს“...

„მე მინდოდა დარაიას კაბა შემეკერა შენთვის, ქართული აჟურებითა და მანებით მოქარგული. თამარ, დღეს რომ ვნახეთ ისეთი. ფოქსტროტის მოცეკვავეს ეს არ დაშვენდება“.

„მე ისეთ კაბას ვერ ჩავიცვამ, მისოუსტ“.

„რატომ“?

„ჭვრეტას დამიწყებენ, ისედაც ველურსავით მიჭვრეტენ ქალაქში ჩემი ნაწნავების გამო. ანული მირჩევს მოიკვეცეო“.

„შენ თუ თმა შეგიკრიჭავს, ჩემი სახელი აღარ ახსენო, თამარ“. თამარი შესდგა. თარაშს შეაჩერდა სახეზე.

„შენ მართალს ამბობ მაგას, მისოუსტ?“

„მართალს გეუბნები, იცოდე“. თამარმა გაიცინა.

„მე არა მგონია, შენ ასეთ წვრილმანს აჰყვე“.

„წვრილმანი და სხვილმანი არ არსებობს ამ ცხოვრებაში. პლანეტებთან შედარებით, მთელი ჩვენი ცხოვრება წვრილმანზე წვრილმანია“.

თამარი დადუმდა და დაწინაურდა, რომელიღაც ბნელფრთიანი ფრინველი ადგა ჩირგვიდან და რეტდასხმული გაუჩინარდა ბარდებში.

გზის ასაქცევთან ქალ-ვაჟნი მიყრდნობოდნენ ხეს და უხმოდ ჰკოცნიდნენ ურთიერთს. თარაშმა ისევ გაუყარა თამარს ხელი, მაგრად, მაგრად მიიკრა გვერდზე და ჩამოყვა დაცერებულ ბილიკს.

ასე მიდიოდნენ ისინი თავდაღმართში ვნებისაგან გაბრუებულნი. თარაში ძუძუზე ეფერებოდა თამარს. ლაპარაკი ვნებამ ალაგმა სავსებით, სივრცე შეუმჩნეველი გახდა ორივესთვის მყისვე და მხოლოდ მაშინ გამოერკვნენ, როცა მთაწმინდის ეკლესიის მოთეთრო ჭიშკარს მიადგნენ.

თარაშმა თავი გადაუწია თამარს, აკოცა ტუჩებში. პომადის უხეირო გემო შეიცნო, მაგრამ მაინც იძალა ვნებამ და მეორეჯერაც აკოცა. მერე წელზე შემოარტყა მარჯვენა. მიიზიდა ქალის სხეული და მარცხენა ხელი შემოხვია მძიმე ნაწნავებით დაფარულ კისერზე. და ეს ნაწნავები ისე გრილი და შავი ეჩვენა, როგორიც იყო იმ წუთში თვით დედამიწა. და ეკლესიის ჭიშკართან მიმდგარი თამარი გაფითრებული მოსჩანდა ამ მთვარიან ღამეში, სულ ახლოს მიუტანა სახე სახესთან და უფრო მეტი შენიშნა თარაშმა: რაღაც უჩინარი მწუხარება მჟღავნდებოდა სახის მისის

თითოეულ ნაკვთში.

და მდუმარე, ფერგამკრთალი თამარი ისეთი უცხო თვალებით შესცქეროდა თარაშ ემხვარს, თითქოს ეს მისი თამარი არ ყოფილიყო, და არც ის ქალი, რომლის სხეულის სიტკბოება მან იგემა სულ რამდენიმე დღის წინად საერთაშორისო ვაგონის კუპეში.

ეკლესიის ეზომ უსიამო გრძნობა მოჰგვარა თარაშ ემხვარს, უგემურად გამოძერწილი თეთრი ანგელოსები ზედ დადგომოდნენ მივიწყებულ საფლავებს.

სიკვდილი.

ბნელი.

და გულმავიწყობა განდობიანო თითქოს ურთიერთს და საშემოდგომო ჭკნობა მცენარეულის უცნაურ მწუხარებას აზვიადებდა. თარაში შესდგა ილია ჭავჭავაძის ძეგლის წინაშე.

შემდეგ ხელი წაავლო თამარს და კვიპაროსების ხეივანს მიაშურეს.

გამხმარი ფოთოლი აშარიშურდა ფეხქვეშ. თარაშ ემხვარ ჯერ რეტდასხმული ჰკოცნიდა თამარს, მერმე ხელში აიტატა და ხავსმოდებულ ლოდზე დააწვინა; საკინძე გაუხსნა ქალს, აკოცა ორგზის და როცა ვნებისაგან გამოფხიზლდა თარაშ ემხვარი, მთვარის შუქზე შენიშნა: გაფითრებული თამარი სნეულს დამსგავსებოდა, იწვა და შესცქეროდა მთაწმინდის მთვარეს. ხოლო მთვარე, მთაწმინდის მთვარე ისეთი ფერგამკრთალი და ვნებაგაცლილი იყო, როგორც თოვლზე დაგდებული ღველფი.

მოლაპარაკე ხე

მეორე დღეს, საღამოს ექვს საათზე, ფარჯანიანის ბინაზე დარეკა თარაშ ემხვარმა. მოხუცებული კეკე გამოვიდა.

შინ არავინ აღმოჩნდა. ბატონი ნოშრევან დილიდან არ მოსულაო. ორიოდე წუთით გამოიარა და ისევ წავიდაო სადღაც.

თამარი, ანული და მანჯგალაძე შინ იყვნენ სადილად, მერმე მკერავთან უნდა წასულიყვნენო, ჭავჭავაძის ქუჩაზე.

ახლა ჭავჭავაძის ქუჩაზე წავიდა თარაშ ემხვარ, მკერავთან. ხელი მოაწერესო ანულიმ და მანჯგალაძემ მმაჩში, ახალი კაბები დილასვე წაიღესო, ამბობდა ჭორფლიანი მკერავი ქალი. თარაში გამოემშვიდობა.

დედაკაცი კიბის თავზე წამოეწია. დილითვე ამბობდაო ანული, საღამოს რაღაც საბუთები უნდა წარედგინა სამკურნალო ინსტიტუტში, ეგებ იქ იყვნენო წასული.

თარაში გამობრუნდა. რუსთველის გამზირისკენ მიჰყვა ჭავჭავაძის 2

„მმაჩში“ ხელი მოაწერა და ინსტიტუტში წავიდა? ან თამარი რად აჰყოლია მაგას? ჰმ!..

გაეღიმა.

მისი ფიქრი მოხუცებულ მამიდას მისწვდა და ლანდადქცეულ თავადს ფარჯანიანს.

როგორ შეხვდება ამ ამბავს ბერიკაცი? ფიქრობს თარაში, უსაზმნო მზერით თვალს აყოლებს ვიტრინებს.

* * *

... და თარაშ ემხვარს თვალში ეცა ლამაზი ქალების სიმრავლე ქუჩაზე. დღისით ისინი ერიდებიან დასიცხულ ფილაქანებზე სეირნობას. მზვარეს გაურბიან ტფილისელი ქალები და უცდიან საღამოს გრილ ნიავს და მერმე ეძებენ წყვილები ბნელ შესავალებს, ბნელ დერეფნებს, შუკებში, ქუჩაბანდებში მდგარ ხეების ლანდებს, უფრო მოცლილნი უფრო შორს მიჰყვებიან თავიანთ კავალრებს.

წყალი მოსწყურდა თარაშს, იქვე კიოსკთან შესდგა. ქალები და ვაჟები ჯერში იდგნენ და უცდიდნენ თითო ჭიქა ბორჯომს. მერმე მამადავითისაკენ გაექცა თვალი. თეთრად კიანთობდა მამადავითის ეკლესია, ელავდნენ ჯვარედინად განრიგებული ელნათურები ბნელით შესუდრულ მთაზე.

შესცქერის ემხვარი გველეშაპის ზურგსავით მოდრეკილ მთას და ფიქრობს:

„ვინ იცის, რამდენი ათასი შეყვარებული ეფარება ამ რომანტიულ მთის კალთებსა და უბეებს? სიგრილეს მოწყურებული ადამიანები ეხუტებიან მიწას, ვნებამორეული მკერდზე ეკვრიან ურთიერთს“.

ჯუფთად დადიოდნენ ქალ-ვაჟნი ქუჩაზე, მწიფე თაველებსავით ურთიერთისაკენ თავგადახრილნი. მერმე აღარ ინდომა ფიქრის

გაყოლა. ხელი ჩაიქნია და გავიდა ჯერიდან. ჯერ იყო და სასტუმრო „ორიანტისკენ“ მოინდომა წასვლა. ხელი აიღო ამ აზრზე და მიჰყვა რუსთველის პროსპექტს მხარმარცხნივ და ისევ ქალები მოვარდნენ თვალში.

თვალები.

ღაწვები,

და თეძოები, გათქვირული მკერდები, მუხლამდის გაშიშვლებული წვეთები, უცნაური შემოხედვა მშიერი სქესისა. ახალგაზრდა ქალები მოურიდებლად აცეცებდნენ თვალებს, ცალკერძ მის უცხოურ ჩაცმულობას აკვირდებოდნენ, ცალკერძ სწორსა და კისერგამართულ ფიგურას. საკმაოდ ბანალურ შენიშვნებს ყური მოჰკრა მისადმი მიმართულს, შეამჩნია, მაგრამ არ შეიმჩნია.

ვიტრინებში გამოწყობილ წიგნებს დაუწყო თვალიერება.

წიგნები,

წიგნები,

წიგნები, საქართველოშიაც იწყება ქაღალდის წარღვნა.

მესაათის ვიტრინის გასწვრივ ორი ჭაღარაშერთული ქალი იდგა, ორივე თეძოგანიერნი. თარაშის დანახვაზე აიყარნენ და უსაქმურის ნაბიჯით მიჰყვნენ პროსპექტს, ერთი ქერა იყო, ერთიც შავგვრემანი, ორივე ტანადი, საროსტანიანი. კოკეტურად ირხეოდნენ სხეულები.

თარაშ ემხვარს იამა მწიფე, ასაკსრული ქალების შეხედვა, ჩარჟუის ნესვივით მრგვალი ძუძუები, მრუმე ხაზები თვალის უპეებს ქვეშ.

ახალი და ახალი დასი მოდიოდა პროსპექტზე უფრო ნორჩები, უფრო ახალგაზრდები. შესაძლო იყო მათ არ ეგემნათ ჯერაც მამაკაცთან სიახლოვე, მაგრამ მათ მზერაში ხმიანდებოდა ზაფხულის ცხუნვარე ვნება.

ქალების ლაშქარი მოლაშლაშებდა ქუჩაზე, ქალები იდგნენ

წყლის კიოსკებთან, კაფეები და რესტორნები სავსე იყო ქალებით.

ეგეც ცივილიზაციის სენიაო, ფიქრობდა თარაში, მამაკაცებზე მეტი ქალები...

და ფიქრობს თარაშ ემხვარ თავისთვის:

„ტფილისი ხომ აზიის სამანზეა, და ტფილისშიაც ამდენი ქალები?! ტროტუარები, ტრამვაები, ავტობუსები, ავტოები და აივნები სავსეა ქალებით და გოგონებით!“

თეატრების, კინოების, რესტორნების შესავალებს აწყდებიან ქალები. კისკისით, სიცილით მიყვებიან ისინი მამაკაცებს. ელაპარაკებიან, ეხუმრებიან, ეთამაშებიან, ელაციცებიან მეორე სქესს.

ახლა ამ წუთში რამდენი ათასი ქალ-ვაჟი განმარტოებულა ტფილისის პარკებში, ბაღებსა და სკვერებში, მამადავითის, სეითაბადის და მთაწმინდის კალთებში, რამდენი ათასი ქალი მისცემია ტკბობას! აქ კი ათასები მოსდებიან ქუჩებს, თეატრებს, კინოებს. სულ ორიოდე საათი და ყველანი წავლენ თავიანთ სახლებში და ყველა მოუწვება თავის ქმარსა და თავის საყვარელს. მაგრამ ვინ იცის... ვინ ვის?..“

ერთი რამ უეჭველია: ამ მშვენიერ თვალებს, ამ გათქვირულ მკერდებს, ამ რგვალ თეძოებს, ამ ჯიშიან ფეხებს, ყველას, ყველას ეყოლება მოალერსე და დამუფლებელი. აგერ რომ მოდის ტანაღერილი გოგონა, სავსებით მარტო, ჩქარი ნაბიჯით, ვინ იცის. ეგებ მას უცდიდეს ვინმე ბნელ კუთხეში, მერმე ამ „ვინმემ“ წაავლოს ხელი და აიყვანოს თავის მარტოხელა ბინაზე.

ვახტანგ იამანიძე მოაგონდა მყისვე. ორნი რომ გავიდოდნენ „ორ დედალ ხოხობზე“ პარიზის დიდ ბულვარებზე სანადიროდ. ასე ეძებენო თვალის ასახვევად დაწყვილებული ქალები, ასევე

ტოლად მოარულ ორ ამხანაგს. და მერმე მოაგონდა ამ ოთხი ამ-ხანაგის ერთობლივი ორგიები გათენებამდის. ახლა თარაშს არ შეეძლო ასეთი რამ, ტფილისში მას იცნობენ ცოტად თუ ბევრად...

გამოიარა ვიღაც ხალიანმა, ჯიხვივით გოგონამ, სომხურად შეესიტყვა ფერმილეულ ამხანაგს; მწიფე თამბაქოს იერს გადაიკ-რავდა ხალიანი, სომხეთის მზის ცხუნვარება მოსდებოდა სახეზე. შეხედა თარაშს. ამხანაგს მკლავში მოუჭირა ხელი: ვინ არისო ნე-ტავი? იკითხა ფერმკრთალმა ქართულად.

„ვგონებ არც ქართველია და არც სომეხი“. ამბობდა ხალიანი ქალი.

მერე თეთრღაწვიანი, ქარვისფერთვალებიანი მოდიოდნენ ორნი, წაბლისფერი თმები ჰქონდათ, ტყუპებსავით ჰგავდნენ ურ-თიერთს.

შეფარვით შეხედეს თარაშს და გაიღიმეს. თარაშ ემხვარს იამა მათი მზერისაგან მოგვრილი ალერსი.

ჯუფთად მოდიოდნენ წერწეტა, მაღალკისრიანი გოგონები, ისეთნი, როგორნიც შევალიე გამბას ქართულ ალბომში შეგ-ხვდებათ ხოლმე. ზოგი ფერმკრთალი, ზოგი თეთრყირმიზა, ზოგ-ზოგიც მკერდმაღალი და თეძოსავსენი და თარაშ ემხვარს სიხა-რული აღეძრა იდუმალი: არც ერთს ლამაზთაგანს ისე არ გაუვ-ლია მის გვერდით, ცელქურად არ მოეხედნა, არ გაღიმებოდა, ან თვალით არ გაეზომა მისი განიერი ბეჭები.

ზოგნი შეფარვით ჩადიოდნენ ამას, ზოგ-ზოგიც სავსებით მო-ურიდებლად (როგორც პარიზელ და ბერლინელ ქალებს სჩვევი-ათ ეს) ტერფიდან თავამდის ურცხვად ახედავდნენ ვაჟს. და მო-აგონდა თარაშ ემხვარს ევროპელი დემიმონდენები, ენას რომ გამოუყოფდნენ ხოლმე მას ჰაიდპარკში, სენ მიშელზე ან ფრიდ-რიხ შტრასეზე და ზოგნიც სწორედ ისევე, როგორც ევროპაში, გა-ივლიდნენ, მოიხედავდნენ და ამხანაგსაც მოახედებდნენ მისკენ.

და ერთმა ცქრიალა, ოდნავ წამოჩიტულმა ქალმა, რომელიც მთელ ჯგუფს გოგონებისას წინამძღოლობდა, ქართულად უჩურჩულა რაღაც თავის ამხანაგებს და მერმე სულ ახლოს მიეჭრა თარაშ ემხვარს და ფრანგულად მიესალმა.

„ბონ სუარ“.

თარაშმა მკაცრი გამომეტყველება მიიღო, მდუმარედ ჩაუარა გათავხედებულ ლიფსიტების ბრბოს. მერმე ჩრდილიან ხეივანში შესულმა გაიღიმა. და მის მეხსიერებაში წამოტივტივდა ასეთი უმნიშვნელო მოგონება: დაღონებული სეირნობდა თარაშ ემხვარი ერთხელ ბერლინში. სკოლიდან „ლიფსიტები“ მოდიოდნენ, დაწინაურდა ქერა გოგონა, მოულოდნელად უჩქმიტა ლოყაზე ფიქრებში წასულს.

ახლა სტუდენტების დასი შემოეყარა თარაშს, ახალგაზრდებმა ტერფიდან თხემამდის დაათვალიერეს იგი. მოურიდებლად იღიმებოდნენ

მის უცხოურ აღნაგობის პირისპირ. ნელი ღიღინით მიდიოდნენ ისინი, ხმამაღლა ლაზღანდარობდნენ. ისევ და ისევ სტუდენტები, სტუდენტი ქალები...

ქართული დიალექტები ისმოდა, ზოგი იმერულად უქცევდა, ზოგი მეგრულად, ზოგიც გურულად, აქა-იქ აფხაზურ სიტყვებს ურევდნენ საუბარში. მიდიოდნენ ჯგუფ-ჯგუფად სტუდენტები და მათი ჟრიამული ავტოების, ტრამვაების, ეტლების რახრახს და ბღავილს იჯაბნებდა. ისევ და ისევ თარაშ ემხვარის უცხოურ გარეგნობაზე უჩერდებოდათ გამვლელებს თვალი.

ორი მთვრალი კაცი იდგა ქუჩის კუთხეში. ძლივს აბრუნებდნენ ენას.

და ემხვარმა ნაბიჯს აუჩქარა, ფილაქნიდან ქვაფენილზე გადაიარა და სწორედ ამ წუთში ეს სიტყვები დასცდა ერთ მათგანს:

„ეჰ, ჩემო კარგო, ზოგიერთი კაცის ცხოვრება უნიჭო მწერლის

რომანსა ჰგავს... ბოლომდის ჩაათავებ და ასე იტყვი: ნეტავ არ წამეკითხაო“.

„ზოგის?“ იკითხა მეორემ, შავფაფახიანმა.

მერმე პირველმა ძლივს მოაბრუნა ენა, მაგრამ თარაშ ემხვარმა ააცდინა მის პასუხს სმენა.

უნივერსიტეტის ქუჩა დაიწყო, იმძლავრა სტუდენტების ტალღამ...

მოლაშლაშებდნენ ფილაქნებზე, ფილაქნებზე არ ეტეოდნენ... მოჰქროდნენ სტუდენტებით დახუნძლული ტრამვაები რეკვით. ბნელ შუკებსაც მოსდებოდა ახალგაზრდობა და ისმოდა ყველგან მათი სიცილი, ხარხარი და ზიმზიმი, ქუჩის კუთხეებში ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და მღეროდნენ გამყინავი ხმით. სტუდენტების უბანმა პარიზის ლათინური კვარტალი მოაგონა ემხვარს, სენ მიშელის ბულვარი...

* * *

მაღალი, საროსტანიანი ქალი მიდიოდა განათებულ ვიტრინის გასწვრივ.

სევდის იერი გადაჰკროდა მარტოხელა ქალწულს. ელენ რონსერი მოაგონდა თარაშს და რაღაც უცნაური გულისტკივილი შეიცნო.

ინანა: უკანასკნელ წერილზე რომ არ უპასუხა.

* * *

სამედიცინო ინსტიტუტის კიბეზე ადიოდა ემხვარი.

წყვილ-წყვილად მოქოთქოთებდნენ სტუდენტები. ისევ ათვალიერებდნენ მის ტანისამოსს, აკვირდებოდნენ ემხვარის უცხოურ გარეგნობას.

თარაში გაფაციცებით ეძებდა ანულის წითელ ქუდს, მალაღურისფერ ბერეტს თამარისას.

პირველი სართულის აუდიტორიები დაცარიელებული დახვდა.. ადამიანის ოფლის სუნი კატასავით ეცა სახეში. ცხვირსახოცი ამოიღო, ცხვირზე მიიფარა. მეორე სართულის დერეფნებს ხვეტავდნენ დარაჯები,..

ინსტიტუტის ვესტიბიულთან შესდგა ტრამვაი. უამრავი ხალხი ირეოდა ვაგონში...

ვაჟები განზრახ წინ მიიწევდნენ, უმოწყალოდ სრესდნენ ხალხში გახირულ ქალების სხეულებს.

ქალები კოკეტურად აღებდნენ პომადით შეთხუპნილ პირს, ცუდი პომადის და ოფლის სუნი იდგა ირგვლივ (ძმრის სუნის მინაგვარი).

ტრამვაი მიჰქროდა რუსთველის პროსპექტზე. გულზე ბრაზი წაეკიდა ისევ თარაშ ემხვარს: წინ მიმავალ ტრამვაის ვაგონში თამარი და ანული მსხდარიყვნენ ეგებ, მათაც ეხახუნებოდნენ ალბათ ვაჟები, მათაც ასევე ელაციცებოდნენ...

თარაშ ემხვარს გული აემღვრა ამ სურათის შემყურეს, გაქანებულ ტრამვაიდან ისკუპა და მიჰყვა პროსპექტს.

და ისევ მოლაშლაშებდა ქუჩაზე ქალების აურაცხელი ლაშქარი, ოპერიდან, რუსთველის თეატრიდან და კინოებიდან. ისევ პომადით შეთხუპნული, კაპრიზული ტუჩები, თეძოების რწევა, გრძელი წვივები და შუბის წვერივით მოღერილი ძუძუები.

და თარაშ ემხვარი მზად იყო ამ წუთში წამოწეოდა რომელიმე მათგანს და როგორც პარიზში, ან ბერლინში ეს მიღებულია, თავაზიანად ქუდს მოუხდიდა, გამოეცნაურებოდა რომელიმეს, ხელს გაუყრიდა, ჯერ სადმე რესტორანში შეიყვანდა და მერმე თავის ბინაში...“

და თითქოს წინასწარ შეთქმულანო, პროსპექტზე მიმავალი

ქალები და ვაჟები, თხემიდან ტერფამდის თვალს აყოლებდნენ და გაოცებული შეჰყურებდნენ. და ეს ერთობლივი შემოხედვა პროსპექტზე მოლაშლაშე ხალხისა, საშინელი მარტოობისა და მიუსაფრობის გრძნობას ჰბადებდა ემხვარის გულში.

ამ წუთში კაროლინა მოენატრა თარაშს. კაროლინა ყველაზე მახლობელი ეჩვენა რატომღაც.

წყუროდა.

ათვალიერებდა ბორჯომის წყლის კიოსკებს, მაგრამ თეატრებიდან გამოსული ხალხი მისეოდა წყალს და მწყურვალე თარაშ ემხვარ ჯერში დგომას ერიდებოდა. თანაც ეჩქარებოდა სასტუმრო „ორიანტში“ მისვლას. ეგებ დაწოლამდის მივუსწროვო კაროლინას.

„ორიანტის“ კიბის სამიოდე საფეხური აიარა, საათს შეხედა: თორმეტის ნახევარი იყო.

გამობრუნდა: ეგებ რესტორანში იჯდესო კაროლინა.

რესტორანში შევიდა თუ არა, იმ წუთშივე თვალი მოჰკრა ესტრადის მახლობლად მჯდომარე თამარის თავს.

იქვე კუთხის მაგიდას მიუჯდა და ბორჯომის წყალი მოითხოვა, მერმე რესტორანის შუაგულში დამსხდართა ზურგებს შორის მზერა გააპარა და ხედავს: ორმაგ მაგიდას უსხედან ანული, მანჯგალაძე, თამარი, კაროლინა, და სამი ქალი.

ჯაზ-ორკესტრი უკრავდა ფოქსტროტს.

თეატრებიდან მოსულნი მაგიდებს აწყდებოდნენ, არეებში ხალხი იდგა და სუფრების დაცარიელებას უცდიდა, თანაც სუფრების არეებში ფოქსტროტის მოცეკვავეთ თვალს ადევნებდა. თარაშმა წყალი მოსვა, საფეთქლებიდან ოფლი მოიწმინდა. კიდევ გაიხედა ესტრადისაკენ და...

თამარს შიშველი, გაპარსული კისერი უჩანდა.

„თმა შეუკრეჭია? მაშ ასე... შენ ჭკუაზე გინდა იარო?.. ანულის

ჭკუაზე?.. მაშ ასე!“..

უკანასკნელი ორი სიტყვა ხმამაღლა წარმოსთქვა ემხვარმა და კიდევ დალია წყალი მღელვარების გასაქარვებლად, დალია და ისევ გახედა და ახლა თამარის ადგილი ცარიელი დახვდა. კიდევ შეავლო თვალი მის მეინახეთ, არც მანჯგალაძე სჩანდა მათ შორის.

ახლა ესტრადისკენ გაიხედა და ხედავს: სამი წყვილი ცეკვავს სუფრების არეებს შორის. ერთი მათგანი შეიცნო: თამარი და მანჯგალაძე.

მანჯგალაძეს თავისი დევური თათები მოეხვია თამარის წელზე. ცეკვავდა თამარი ფოქსტროტის მონოტონურ რიტმს აყოლილი და მანჯგალაძის ახმახი ფიგურა საოცრად ირწეოდა, ზედ ეკვროდა თამარს. გულარეული შესცქეროდა თარაშ ემხვარი, თუ როგორ მიეხუტებინა მანჯგალაძეს თამარის სხეულის წელისქვედა ნაწილი. სუფრებთან დამსხდარნი მრუში თვალებით შესცქეროდნენ მათ ცეკვას, და როცა ცეკვა მოათავეს, დაიგრიალა გარშემო ტაშმა. რესტორანში მყოფნი კისერს იგრძელებდნენ. ყველა თამარს მისჩერებოდა. თავს აქნევდნენ ვნებისა და ღვინისაგან აღტყინებულნი. თარაშ ემხვარი შეურაცხყოფას გრძნობდა განუსაზღვრელს.

ერთბაშად ასეთ დიალოგს მისწვდა თარაშის სმენა: ორი ნაღვინევი ვაჟი საუბრობდა, ქუდიანი და უქუდო.

„ის ქალი პროვინციელი უნდა იყოს, ღმერთივით გოგოა ოჯახქორი“.

„პროვინციელი? როგორღა შეატყვე?“ ეკითხება უქუდო.

„როცა ტაში დაუკრეს, გაწითლდა“, ამბობს ქუდიანი.

„ეჰე, ალბათ ახლადაფრენილია. უეჭველად გააბოზებენ ტფილისში“.

„ტფილისში ქაშუეთის ღვთისმშობელსაც არ დაზოგავენ“,

სთქვა თარაშ ემხვარმა ფული დასტოვა სუფრაზე, კარებთან მოზვავებულ ხალხს თან გაჰყვა სასტუმროს ვესტიბიულისკენ.

უქუდომ.

* * *

მდუმარე სიონს ჩაუარა ემხვარმა. რკინის ჭიშკართან მათხოვრები დამხობილიყვნენ. ფარეხის კარებთან მიყრილ ცხვრებსავით მოკუნტულიყვნენ გლახები.

თარაშმა თვალი შეავლო ცისკენ ატყორცნილ გუმბათის გოლიათურ შუბს და მიჰყვა სიონის ბნელ ქუჩას.

ამ სიბნელეშიაც ამჩნევდა თარაში, თუ როგორ მიიწევდნენ ძველ ტფილისისაკენ უზარმაზარი, ნაცრისფერი ახალი სახლები.

დაცარიელებულ შეითანბაზარში მრუმე სილუეტები დალასლასებდნენ. გასცქეროდნენ ირანელი მეხილეები ოქროს ქერეჭით მოოჭვილ ცას და ჟღურტულებდნენ ირანულად. ირაკლის ხიდი გადაიარა თარაშ ემხვარმა. ყივოდა მოლლაჰ შაჰ-ისმაილის მეჩეთიდან. ვარსკვლავიან ცას შეჰყეფდა ყურანის ლექსებს.

* * *

პირველის ნახევარზე მიაღწია ემხვარმა ფარჯანიანების ბინასთან.

კარი ჩაუკეტავი დახვდა. გაოცდა. დარბაზი გაიარა. სუფრაზე დაურეცხავი საინები ეყარა. მამიდა არმადარის ოთახიდან კატების ღნავილი ისმოდა.

სძინავთო, გაიფიქრა და სამზარეულოში შევიდა. მოხუცებული კეკე გააღვიძა. ბაგრატიონის ქალი ავადააო, ამბობდა კეკე, თვალებს იფშვნეტდა. კვნესოდა წამოდგომისას.

ბატონი უქეიფოდ იყოო, სადღაც წავიდა, მერმე არ მოსულაო, მე აქ წამძინებია და არ ვიცი სად არიანო.

თარაში ისევ ზალაში გამოვიდა. ეუცხოვა კატების ღნავილი.

საწოლ ოთახის კარი გამოაღო თუ არა, დაფრთხნენ კატები, ერთი მათგანი დაგმანულ ფანჯარას მიაწყდა და მორთო ღნავილი. საწოლის ფარდა გადასწია თარაშ ემხვარმა და ხედავს: ზედ სასთუმალთან მდგარ სავარძელში თეთრ ჩოხაში გამოწყობილი ფარჯანიანი უძრავად იჯდა. სისხლით შეღებილი იყო ჩოხის კალთები.

იქვე გასისხლიანებული სამართებელი ეგდო.

კიდევ ერთი ლამპა აანთო თარაშმა ოთახში. მიცვალებულს ყელი გადაჭრილი ჰქონდა. სისხლს მოესვარა თეთრი ახალოხიცა და ჩოხის მასრებიც.

ახლა ფანჯარა გააღო ემხვარმა. საწოლის ქვეშ ღნაოდნენ კატები.

კეტი აიღო და გამოდენა. და როცა ფანჯრის თაროზე ახტა თეთრი ხვადი, მან ისე მოხედა და დაუბრიალა თვალი, თითქოს სატანა ჩასვლიაო გვამში. თარაშმა თვალი შეასწრო სისხლში ამოსვრილ დრუნჩს.

ისევ გააღვიძა კეკე. დედაკაცმა პირჯვარი გადაიწერა. ხელზე ემთხვია მიცვალებულს. ფერხთით დაუვარდა და მუხლებზე მოეხვია ნაბატონარს.

თარაშმა ააყენა მოხუცი ქალი. კატები ფანჯრიდან გადენა. ოთახი დაკეტეთ, მე ახლავე მოვალო, ეს უთხრა და ბნელ ქუჩას მიაშურა.

ავლაბრის მოედანზე მხოლოდ მილიციელების სილუეტები მოსჩანდნენ.

უკანასკნელი ტრამვაიები მიჰქროდნენ პარკისკენ, ზუზუნებდნენ ტელეგრაფის მავთულები, თარაშ ემხვარი მიჰყვებოდა ნავთლუღის შოსსეს. უნდოდა ქალაქს გასცლოდა როგორმე. ნელნელა ცარიელდებოდა განიერი თემშარა.

გზაზე შემოყრილ ფურგონებსა და ურმებს პურის, ღვინისა და საქონლის სუნი მიჰქონდათ ქალაქში. ხანდახან დატვირთული საბარგო ავტომობილი ჩამოიქროლებდა, ჩაბღაოდა ღამეს დალურსულ ყურებში, მერმე ისევ მიწყნარდებოდა მოტორების თუხთუხი და ბორბლების ლასლასი, გაისმოდა გაუსაპნავ ურმების ჭრიალი და მთვლემარე მეხრეების „ჰამო“, ხან შოლტი გაიტყლაშუნებდა ბნელში, ხან კიდევ, პატრონის დედის მლანძღველი გლეხის შეძახილი ისმოდა.

ზანტად მოდიოდნენ ქიზიყური კამეჩები, მოაბრიალებდნენ ბნელში ელვარე თვალებს.

მოედინებოდნენ ქალაქისაკენ ქიზიყური კამეჩები, წყვილწყვილად, ძმურად, მხარშეწყობილნი, მედგარნი, უშიშარნი და თვალებბრიალა, თითქოს დაძრულიყვნენ ქალაქისკენ ბეჰემოტების უკანასკნელნი ნაშიერნი, რათა კამეჩების, ცხენების, ხარების სისხლი აეღოთ მოტორებისა და მანქანების ქალაქში...

თარაშ ემხვარმა ქუდი მოიხადა, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და მიჰყვა ბნელსა და განიერ შოსსეს. ნელა, სულ ნელა ზუზუნებდა ნიავქარი ტელეგრაფის მავთულებში და ერთბაშად გაოცდა თარაშ, როცა ადამიანის ხმამაღალი საუბარი გაიგონა ბნელში. რადიოს სვეტი იდგა ვაკეზე და ლაპარაკობდა...

ბეჯითი, მკაფიო ხმით ლაპარაკობდა ხე. სჩანდა, რომელიღაც უწყების საანგარიშო მოხსენება მიდიოდა.

ციფრები,

ციფრები და კიდევ ციფრები...

ტონები,

მეტრები, და კილომეტრები...

საქართველოს ბამბას ახსენებდნენ, საქართველოს ჩაის,

საქართველოს აბრეშუმს,

საქართველოს ნავთს,

რამს,
სელსა და შავქვას,
საქართველოს რკინას,
საქართველოს ფოლადს,
საქართველოს პურსა და სიმინდს,
ამომშრალ ჭაობების ჰექტარებს,
სკოლების, ინსტიტუტების,
საავადმყოფოების, ქსენონების,
დისპანსერების, ელსადგურების რიცხვს და კილოვატ საათებს. გაყვანილ გზების და შოსსეების სიგრძეს, სივრცეს და რაოდენობას...

და დარაზმულნი წყვილ-წყვილად, ძმურად, მიიზლაზნებოდნენ ქალაქისაკენ ქიზიყური კამეჩები, ელვარე თვალებს უბრიალებდნენ ღამეს, პურის, ღვინის და საქონლის სუნი მიჰქონდათ ქალაქში, და არც ამ კამეჩებს და არც მათ მეხრეებს აღარ ესმოდათ მოლაპარაკე ხის ღაღადისი...

უძღები შვილი

ოქუმის სასახლე იავარქმნილი იყო სავსებით. ჩუქურთმიანი სვეტები შექანებული ეჩვენა თარაშ ემხვარს, თავკიდურები ფრინველებს წაებილწათ სკორეთი. ურთხმელის რიკულები დაეძროთ, კიბის ტერასზე გადმოსულ სახურავის ყავარი დაელპო წვიმას. კირი შემოსცლოდა თეთრ სასახლეს ამაყად გადმომდგარს ბექობზე.

პაპისეული დიდი ცაცხვი მართლაც მოეჭრათ, ჭადრისა და მუხის ხეებს ხმობა შეპარვოდათ, ბებერი მსხლის ხეებს ფითრი მორეოდათ, ბაღჩას მესრები მორღვეოდა, მაგნოლიები თოვლს ჩამოელეწა, გუნდის ხეები დაემსხვრია გასული ზამთრის ქარსა და თოვლს. ხულას, მარანს, სამზარეულოს, საბაზიეროს ისლი გადასცლოდა, განზე მოეღრიჯა ჟამთა სიავეს ძველთაძველი წაბლის სახლები.

ქვრივის ძაძებით მოსილი დედა აივანზე იჯდა, სათვალე შუბ-

ლზე აეკეცნა, ჯვალოს კაბას აკერებდა წელში უზომოდ მოხრილი. მოხუცებულ ცირუნიას იატაკზე მოერთხა, ლობიოს ცეხვავდა ხელტუკით.

თარაშმა თვალი ჰკიდა: უკანასკნელი თვეების მანძილზე მთლად ტუტასფერი გახდომოდა თმები მაიას.

აჭრიალდა პირდაბჩენილი იატაკი თარაშის ფეხქვეშ.

თავი ზეასწია მაიამ. შვილი ვეღარ იცნო, სტუმარი ეგონა, წამოიწია, ჯვალოს კაბა ძირს დაუვარდა. ხმაზე შეიცნო ვინც იყო. დიდხანს ჰკოცნიდა უსიტყვოდ. თარაშმა სისველე შეიცნო ღაწვის არეში. ხელმეორედ მკერდში ჩაიკრა თავისი გულიკო. და ეს „გულიკო“ რომ გაიგონა თარაშმა, ასე ეგონა პატარა ვარო.

სახლში შესვლისას შენიშნა თარაშმა: აბლაბუდები მოსდებოდა ფანჯრებს, ბუხრის თავები თქეშს ჩამოერეცხა, ცირუნიას უკანასკნელი სამი კბილიც აღარ შერჩენოდა.

ცირუნია წინ მიუძღოდა დედა-შვილს.

ყანყალებდა ფეხქვეშ იატაკი, უზომოდ ჭრიალებდნენ დაფერდებული კარები.

ბეწვში ამოსვრილ სავარძლიდან გადმოვიდა თეთრი მწევარი, ყურები გააბარტყუნა, გაიზმორა და თარაშს მიეჭრა. ყნოსვით შეიცნო პატრონი. უკანა ფეხებზე აღიმართა, მკერდზე მიაბჯინა წინა თათები. წკმუტუნებდა მგელიკა, უმწეოდ ახამხამებდა დაწირპლულ, დაწითლებულ თვალებს, ნაწიბურები ღერღერად უჩანდა მწევარს, ძლივს დალასლასებდა დამშეული ცხოველი (გადაგვარებულ ნათავადარს დამსგავსებოდა). დაამშვიდა თარაშმა მგელიკა. თავზე გადაუსვა ხელი. აწკმუტუნდა მგელიკა და კალთაში ჩაუყო ზუთხსავით წაგრძელებული თავ-კისერი.

* * *

დედის ოთახში, დანჯღრეულ სავარძელში ისხდნენ თარაში და

მაია.

დედა ხელისგულს უსვამდა კალთაში ჩადებულ მარჯვენას ვაჟისას. სიტყვები აღარ ჰყოფნიდა სიხარულის გამომსახველი. იქვე დაცუცქული ცირუნია მუხლის თავებზე ეფერებოდა გულიკოს.

თარაში ერიდებოდა ლაპარაკს. არ უყვარდა წრეგადასული გრძნობიერების გამხელა (ჯიქურად გამჟღავნებული გრძნობა ბანალობის მიჯნაზე სდგასო). როგორის გულისტკივილით იგონებდა უცხოეთში დედას და მამისეულ ოჯახს! საქართველოში მობრუნებულმა ეს მეორეჯერ მოაკითხა მოხუცებულს, ეგებ იმიტომაც, წაქცევაზე მდგარი ოჯახის დანახვაც სიმძიმილის მომგვრელი რომ არის, ან არადა დანაპირებს რომ ვერ უსრულებდა: ოქუმიდან წაყვანას უპირებდა დედას და გადიას, არ კი იცოდა სად წაეყვანა. ახლა სულგანაბული გვერდით უჯდა ორივეს, ზეწამოდგომა ეზარებოდა, აღარც ეზოს დანახვა ენატრებოდა, არც ჭადრების ხეივნისა და ხილნარისთვის თვალის მოვლება, აღარ უნდოდა მიმოიხილა ბავშობის თვისის ტკბილი სავანე აწ დანგრეული, იავარქმნილი.

მიმოიხედა დედის ოთახში: ყოველი სკამი, ძველი შეზლონგი, კარადა, თახჩა, ფანჯრის რაფები, ბუხრისთავები, ჭერი, კედლები, საწოლები, სურათები და მაგიდები ამეტყველდნენ ძველი განცდებით მისი ბავშვობა ყოველ მათგანს ეხსომებოდა.

ყოველ კუთხიდან, ჭუჭრუტანიდან იჭყიტებოდა აწ გადასული მისი ბავშობა. და აეშალნენ იარები, გულის არეში მიყუჩებულნი.

ფრთხილად შეჰყურებს დედის სახეს თარაშ ემხვარი.

ჰმ, მოხუცებულს ნაოჭები მომატებია, თვალის უპეები ჩაღრმავებია!

ღაწვისთავებზე, ყურის არეში ნაოჭები ზედმისევიან და მისუსტებული კისრის გარშემო ნაოჭების სამკეცი რგოლი შემოვლებია (მუხთალ სიბერის მანიაკი გარდაუვალი).

მერმე რა პატარა ამბებს უამბობს დედა! რა უმნიშვნელო საგნებს ეხება ცირუნია და როგორ მძიმეა მოსასმენად ეს ყოველივე. უკურნებელი სევდით გულს უთრთვილავენ თვით წვრილმანებიც.

ახლა სოფლის ამბები წამოიწყო ცირუნიამ თავისებურად არზაყანი მომჯობინდაო, ჯოხით დადისო; ძიძა ხათუნა გაცივდაო, ისევ გამოკეთდა, კაც ზვამბაია დაიჭირესო. ორ კვირას იჯდა, ისევ გამოუშვესო, ქელეშს ყბაყურა სჭირსო. ცირა დაუბრუნეს კაც ზვამბაიას, რადგან ფეხი უღრძვიაო ცხენს.

თარაში დილის მატარებელს ჩამოჰყოლიაო.

ეს რა გაიგო დედამ, ცირუნიას ანიშნა. დაფაცურდა გადია. სამზადს მიაშურა. ბოლოს ცირუნიას ვეღარ ანდო მაიამ ხაჭაპურის გამოცხობა. ადგა, თავათაც წავიდა სამზადში.

თარაშ ემხვარმა თვალი მოავლო ოთახს.

ყოველივეს სახე შესცვლია გარშემო, მისი ბავშობა კი გუშინდელი ამბავია. არა?

აგერ, იმ საწოლზე წოლილა ბალღი მისოუსტ, იმ სამფეხა სკამზე მჯდარა გულიკო, ის ირანული ნოხი, ლომი რომაა ზედ გამოხატული, ძლიერ უყვარდა გუჩას (პირველად ამ ნოხისაგან შეიცნო ლომის სახე გურამ). იმ მაგიდასთან რძე უსვამს თარაშს და ეს რამდენიმე სახელის მატარებელი თარაშ ემხვარი გაორებას გრძნობს მრავალკეცს: თითქოს ერთი იყო თარაშ ემხვარ აქამდის და ახლა კი მრავალი ნიღაბი იჭვრიტება ახლო წარსულზე ჩაშვებული ბნელი ფარდიდან. და ეს ყოველივე ისე შორსაა და ისე ახლოს.

ნამდვილი იგი იყო: ერთი ვიღაცა, მრავალი სახელის, მრავალი ასაკის მატარებელი, მრავალ აღნაგობით წარმოდგენილი. და უნებურად ჯადოქრული კალეიდოსკოპი წარმოუდგა თვალწინ

თარაშ ემხვარს, ერთი და იმავე საგნის მრავალნაირად გამომჩენელი.

არც ის დრო ეშორება თარაშს, როცა იმ გახუნებულ პლუშის მუთაქას მოახტებოდა, მუთაქა რაში იყო, ხოლო თარაში — ერამხუტ.

ამ გახუნებული შპალერების ნახატებს შესცქეროდა დილაადრიან ბალღი გულიკო, როგორი ფანტასტიური ცხოველები და ფრინველები ელანდებოდა ამ უნიჭო მონახაზებში.

შეღამებულ ბუხრის წინ ზის მარტოკა ბალღი მისოუსტ. საკუთარ თითებს ეთამაშება. ცერი ეს ცნობილი რაინდია ვარდან ვარდანიძე, ჯუჯა, მაგრამ მუხის კუნძივით დასკვნილი ვაჟკაცი.

„ადე ვარდან, აიღე ფარ-ხმალი და წაართვი მზეთუნახავი ზღვათა მეფეს ოქროსნაწნავიანი“.

„შენ კი შემადავლე (შემადავლე ჰქვია შუა თითს) უჩინმაჩინის ქუდი დაიხურე და ღამით მიეპარე ბროლის ციხე-კოშკს ზღვათა მეფისას.

„შენ ქოსატყუილა, შენც ნაცარქექიავ, თქვენც თან წაჰყევით ამ ჩემს მოყმეებს“, უბრძანებს მისოუსტ უსახელოს და ნეკს, რადგან ზღაპარშიც გაუგონია: უჩინარნი და მატყუარანიც გამოსდგომიაო კაცს გასაჭირში.

თარაშ ემხვარ წამოდგა.

უწესრიგოდ ჰკიდია კედელზე მამისეული ლეკურები, სატევრები, კაჟიანი თოფები.

ფოტოსურათები მწერებს წაუბილწავთ სავსებით. როგორ გახუნებულან ეს ჩინოსანი ემხვარები! შავწვერა, მკერდგანიერი, ვიწროწელიანი დევკაცები. ასეთ შავ წვერებსა და თეთრ ჩინებს ნატრობდა ოდესღაც თარაშიც. სჯეროდა: ხმალი უდიდესი სამკაულიაო მამაკაცისა, ასეთ ჩინოსნად გახდომა ყოველგვარ ოცნებას აღემატებოდა ოდესღაც.

კედელთან მივიდა. მხოლოდ ერამხუტ ემხვარის სურათი სუნთქავდა კვლავინდებურის სიხალისითა და სიცხოველით. შავჩოხიანი, უჩინო რაინდი, ამეტყველებას ლამობსო თითქოს.

ისიც მოაგონდა თარაშს, როცა გუბერნატორი, ან მაზრის უფროსი ეწვევოდა მამას, მამიდა და დედა მალავდნენ ერამხუტის სურათს და ასე იმალებოდა ისედაც ლეგენდადქცეული ერამხუტ ემხვარ, სიკვდილის შემდეგაც ემალებოდა რუსეთის თეთრი მეფის სატრაპებს. ამ სურათის გადაგდებაც უნდოდათ, მაგრამ ენანებოდათ კარგი ნახატი.

თარაშ ემხვარი უკუდგა, ჰმ, რა ეშველებოდა თვით უდიდეს გმირობასაც ამ ქვეყანაზე. პოეტკაცის ენა, მითების მთხზველის ლეგენდა და მხატვრის კალამი რომ არ მიშველებოდა? უეჭველია, იგი ისევე გახუნდებოდა, როგორც ეს თეთრი ჩინები, ეს საპირეშემოცვეთილი ავეჯი, ან ის სიმებდაწყვეტილი ჩონგური უქმად მიგდებული კუთხეში.

ეს გაიფიქრა და ფარდა გადასწია თარაშმა.

დაკონკილი, ქედანისფერი ღრუბლები დასავლეთისკენ მიიჩქაროდნენ. და ისე დაბლა მისცურავდნენ ისინი ფქვილისფერ ცაზე, თითქოს ჭადრების წვეროკინებს ეხებიანო.

ჯიბეში ხელებჩაწყობილი დადიოდა ოთახში. უცნაური ფიქრები შემოსეოდა გულზე. კარადასთან მივიდა. გარეკანგახუნებული წიგნები ისე უწესრიგოდ ეყარნენ თაროებზე, როგორც ბუკინისტების დაზგებზე უნახავს ტფილისსა და პარიზში.

მოოქროვილი ენციკლოპედია, გეოგრაფიული ატლასები, რომანოვების საიუბილეო ალბომები, საბინინის საქართველოს სამოთხე, ჯანაშვილის პატრიოტული ისტორია საქართველოსი და საქართველოს აურაცხელი წმინდანების „ცხოვრებაი და წამებაი“, კულინარიის სახელმძღვანელონი, დარიგებანი კუჭის სნეულებათა წინააღმდეგ, კონდაკები, ლოცვანები, მიმინოს, ქორის

და ცხენის კარაბადინები. ფურცლავდა მტვრიან წიგნებს, მამის ხელწერა იელვებდა აქა-იქ.

მამა მოიგონა. შეებრალა სხვის მიწაში მივიწყებული. სტრატეგიის სახელმძღვანელოდან წმ. გიორგის ორდენების როზეტები გამოსცვივდა; კერძო ბარათები, სააღდგომო, საახალწლო მილოცვები, რუსი გენერალ-ლეიტენანტების, გრაფების, გარუსებული ქართველი თავადების გვარი და სახელები უმწეოდ ფართხალებდნენ მტვერში.

ზემოთა ყუთი გამოაღო, ძველი თამასუქები, მეტრიკული მოწმობები, ცხენების და მიწების ნასყიდობის ქაღალდები, ისევ მისალოცი და სამძიმრის ბარათები ხვდებოდა ხელში.

ამ უთავბოლოდ დაგდებულ არქივში ეტრატის გრაგნილს წააწყდა თვალი.

გაოცდა. ფანჯარასთან მიდგა და გახსნა ეტრატი: წვრილი, მხედრული ხელით იყო იგი გადაწერილი.

„სახელითა ღვთისათა, თამარისაგან ბაგრატიონისა, ნებითა ღვთისათა აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, დედოფალთ დედოფლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითფლობით მპყრობელისა.

„მოვიდა წინაშე ჩუენსა ვაზირი ჩუენი ანტონ ჭყონდიდელი მთავარ ეპისკოპოსი და მწიგნობართუხუცესი, გვეჰაჯა და მოგვახსენა, რათამცა ესე წყალობის წიგნი ვუბოძეთ ერთგულსა ყმასა ჩუენსა ამირახორსა ვარდან ჰემუხვარსა, რომელმანცა თავი თვისი ისახელა და ჩუენცა გვასახელა ჟამსა ოდეს ერთგულთა სპათა ჩემთა რუქნადინ სულტანი კარნუ ქალაქსა კართა გააქციეს. ამისთვის გვიბოძებიან ადგილი ეგრის წყლით დასავლით ვიდრე კილასურამდი. ყოვლითა მზღვრითა მისითა, მთითა, ბარითა, წყლითა, კლდითა, ტყითა და ყოვლისა სახმარითა და უხმარითა“...

დედამ შემოუსწრო თარაშს ეტრატის კითხვისას. თარაშ ემ-ხვარმა შეამჩნია: დედას ფერი ეცვალა.

„ვისი სიგელია, გულიკო?“ შეეკითხა, ხაჭაპური მაგიდაზე დას-დო.

„თამარ მეფისაა“. მიუგო თარაშმა და განაგრძო ეტრატის თვა-ლიერება.

„რად იკითხე, დედი?“

„არაფერი, შვილო, მე კათალიკოსის ეტრატი მეგონა“, „სად არის კათალიკოსის ეტრატი“? ეკითხება ცნობისმოყვარეობით აღვსილი თარაში.

მაია აიმღვრა რატომღაც, ჯერ უარზე იდგა. არ ვიციო თუ სად არისო კათალიკოსის ეტრატი.

მერმე ასე სთქვა: კარადის ქვედა უჯრაში ეგდო. ამას წინად მი-ვაკითხე და ვეღარ ვნახეო. შესაძლოა საწყალ მამაშენს წაეღოსო სხვა საბუთებთან ერთად.

თარაშს ყურმოკვრით განაგონი ჰქონდა რომელიღაც ეტრა-ტის გამო. შეევედრა დედას, როგორმე მოეძებნა კათალიკოსის ეტრატი. ქვედა უჯრის გასაღები დაიკარგაო, ფიცულობდა დედა, ჯერ წაიხემსე, მერმე დავძებნიო. ხაჭაპური გაცივდებაო.

სამხრობა გადავიდა. ისევ ძველი საბუთების გამო გამოესაუბ-რა თარაში დედას. ჩემი შრომისათვის მესაჭიროება ძველი ეტ-რატები.

გასაღები ეძება, ვეღარსად მიაგნო. თარაშმა უჯრის გატეხა დააპირა, მაგრამ დაენანა ურთხმელის კარადა. და ახლა მომეტე-ბულის ინტერესით გამოკითხავდა დედას რა ეწერაო იმ ეტრატ-ში?

ისევ ბანზე აუგდო დედამ სიტყვა. უხანო ნოშრევანის ამბავი მოიგონა. სწყევლიდა ანულის.

ახლა კაც ზვამბაიას ოჯახს მიუბრუნდა. კეთილ თათბირს აწვდიდა ვაჟს: ძიძა და მამამძუძე ინახულეო. არზაყანმა ოჯახი აურიაო მამას, ახლა შენ უნდა გაერიოო, მამა და შვილი შეარიგეო. არზაყანიც გკითხულობდაო გუშღამ. თარაშმა ღვინო მოსვა, დედას ეკითხება:

„ვინ ყოფილა თუ იცი, დედი, ვარდან ჰემუხვარი“.

„რა გადაეკიდე, შვილო, ამ ძველ ამბებს? მამაშენი ამბობდა: წინარების თქვენის წინაპარი ყოფილაო ვარდან ჰემუხვარი. სხვა არაფერი ვიცი“. თარაში ადგა, ეზოში გავიდა.

შეღამებისას ბუხრისპირად დამსხდარიყვნენ მაია და ცირუნია, ქსოვდნენ. ნელი, ნელი ხმით საუბრობდნენ. თარაში შუაში ჩაუჯდა დედასა და გადიას. ხელსაქმით გართული ქალების სიახლოვე ამშვიდებდა მას, ახლა ნათესავების ამბებს გამოიკითხავდა. ძია ქაიხოსრო ფერიცვალების დღეს მოსულიყო მაიას სანახავად. ცირუნიას ახლად ნაკურთხი ყურძენი მიერთმია. სადილობისას ქათმის ერთი ბარკალი შეუჭამია ბიძია ქაიხოსროს. ერთი ჭიქა ღვინო დაულევია, ერთი მარცვალი უგემნია მწიფე ყურძნისა.

„მერმე“... ესა სთქვა მაიამ და ცრემლები მოერია...

„მერმე ემანდ მუთაქაზე მიეძინა ბედშავს და სული ზედ არ აყოლია უხანოს“.

ეზოდან ქათმების ტკარცალი მოისმა და ბებერი მწევრის უსაზმნო ყეფა.

ყოველ მეორე დღეს ამოფამფალდებოდა ბედშავი, გიკითხავდა და გაბრუნდებოდა.

ისე დაფარფატებდა, ქარს დაჰქონდაო თითქოს“.

სჩივის ცირუნია. მუდამ თავის მისოუსტის მზეს ფიცულობდაო, ძია ქაიხოსრო.

ყოველ ზაფხულში მიმინოს გეშავდაო შენთვის, გვიან შემოდგომამდის გიცდიდა, მერმე გააფრენდაო. ერამხუტს ჰგავსო ჩემი მისოუსტ, მასავით ეყვარებაო ქორ-მიმინო, შარშანდელი კაპუეტი ფერისცვალემდის შეუნახნიაო.

მერმე ვინ მოუვლიდაო მიმინოს. ცირუნიას ეჟვნები შეუხსნია და გაუფრენია. არც ის დაუმალავს მაიას, თემრაზ ემხვარი რომ უძეოდ გადაეგო და ბიცოლა ლიზას გული გასკდომოდა, რაკი მისი ქალი კომუნისტს გაჰყოლოდა. სამიოდე ხანგადასული ქალი დარჩაო თქვენი გვარიდან კიდევ. ახლა შენზეაო, შვილო, ვარდან ემხვარის ნაშიერების ბედი. შენა ხარო გვარისა და დედის იმედი.

ცირუნიამ ჩურჩულით ამცნო: ამ წელს მალანურობა იქნებაო ოქუმში. ტასია მონოზანი, როგორც იქნა, გათხოვდაო.

„მარგალიტივით ტყუპები“ ეყოლაო ტასია მონოზანს.

* * *

ნესტისა და ობის სუნი იდგა ოთახში, ამიტომაც ცეცხლი დაენთო ცირუნიას ბუხარში. წიფლის ნამორს ეპარპაშებოდა ალი. დედა და შვილი ნაშუაღამევსაც ბუხრის პირად ისხდნენ, მაია კერავდა. თარაშ ემხვარი მოხარშულ ცერცვსა სჭამდა.

„ხომ გახსოვს, დედი, აქ რომ ვიჯექი ოცი წლის წინად. შენ მაშინ არც ერთი ჭაღარა არა გქონდა თმაში“.

„მაშინ არც ერთი... გულიკო, შენ კარგად მყავდე და ჭაღარა ნუმც გამომლევია, გულიკო“.

„ხომ გახსოვს, დედი, ზღაპარს რომ მიამბობდი, რა ზღაპარი იყო აბა თუ გახსოვს?“

„ზღაპრები კი არა, სიცხადე გადამავიწყდა, გულიკო“.

„ჰო, ვგონებ, ეს ცაში დაკიდული კოშკი ერქვა იმ ზღაპარს. რომელიღაც მზეთუნახავი ცხოვრობდაო იმ კოშკში, რომელიღაც

რაინდი ეტრფოდაო იმ მზეთუნახავს“.

„ჰო, ოქროს კბილი ჰქონდაო იმ რაინდს, ოქროს ნაწნავი იმ მზეთუნახავს“. შეახსენა მაიამ.

„მერმე ეშმა შეჩენიაო იმ მზეთუნახავს, ოქროს ნაწნავები მოიკვეცაო ქალმა და შესძულდა იმ რაინდს მიჯნური“.

მაიას სათითური გაუვარდა ხელიდან, თარაშმა უპოვნა.

„ხომ გახსოვს, დედი, გუბეში ქაღალდის ნავებს რომ ჩავაგდებდი, ეს ვითომ გემი იყო. ალმასებით გავსილი ზანდუკები მომქონდა ამ გემით შენთვის. ქვეყანა შემოვიარე, დედი, მაგრამ ხომ ხედავ, ხელცარიელი მოგიველ“.

„შენ მეტი ხარ, ვიდრე ალმასების ზანდუკი, გულიკო“.

თარაშმა თავი ჩაჰქინდრა, ძაღლების რულმორეული ყეფა შემოდიოდა ფანჯრიდან და მარტოხელა ჭოტის ძახილი.

მეოცნებეთა მეურნეობა

ლუკაია ლაბახუა უთენია მოვარდა ოქუმში, ცახცახებდა სავსებით გაზუზული (ენგურზე გადასვლისას მეურმეებს წყალში გადაეგდოთ ხუმრობით).

მთლად ლილასფერი გამხდარიყო. ენა ეჩლიქებოდა.

„ასე ადრეა რამ მოგიყვანა, ბეჩა ლუკაია“ ეუბნება მაია.

„სუუ, ცირუნიამ არ გამთქვას, თორემ დამიჭერენ“. თარაში გაოცდა.

„ლუკაია ტარიელთან ერთად გადაასახლეს, მაგრამ ეს მის მეტს არავის ახსოვს ოქუმში“.

განუმარტავს დედა.

„ხვალ მალანურობაა, შურიგე“. იდუმალი გამომეტყველებით სთქვა ლუკაიამ, თარაშმა გაიღიმა:

ტფილისიდან კინოს ექსპედიცია გამოეგზავნათ, ამიტომაც აწყობდნენ მალანურობას.

თარაშმა არაყი დაუსხა ლუკაიას. ჯერ იუარა, მერე გამოსცალა. მაინც კანკალებდა მეძებარსავით თარაში ოთახში შევიდა. ნაცრისფერი კოსტიუმი გამოუტანა, პარიზში შეკერილი.

მეორე ჭიქის შემდეგ ლუკაია უკვე საკმაოდ შეჭიკჭიკებული იყო, ახალი ტანისამოსის დანახვამ თვალები გაუბრწყინა. არ სჯეროდა მას, ახალ ტანისამოსს რომ აჩუქებდნენ. იგი ხეციებისა და შარვაშიძეების გამონაცვალს იყო ჩვეული, არასოდეს მკერავს არ გაუზომია მისი სხეულის სიგრძე და სიგანე.

აროდეს უგრძვნია ლუკაია ლაბახუას ის სიხარული, ახალი სამოსის ჩამცმელი რომ იგემებს ხოლმე.

მთელი თავისი სიცოცხლე ნასხვისარი ძონძები უტარებია. ჩაი მიატოვა, შარვალს ხელი წამოავლო: „ჰნი“... იცინის. მაიას ელდა ეცა, კოვზი გაუვარდა ხელიდან. მაინც არაფერი სთქვა. უხვანჯრო შარვალი როგორ უნდა ჩავიცვაო. ჰნი!? თარაშმა მეორე ოთახში შეიყვანა ლუკაია, ლუკაია იცინოდა და ნაზობდა. თარაშმა შენიშნა: ერცხვინებოდა შარვლის გახდა ლუკაიას (თუ ახალი ტანისამოსის ჩაცმა?).

მაია გულნაწყენი წამოდგა. არ მოსწონდა თარაშის გულუხვობა, მაგრამ დუმილი არჩია.

მალე ჩაიცვი, თორემ გაცივდებიო, აჩქარებდა თარაში ლუკაიას.

როგორც იქნა, დაიყოლია. ნიფხავ-პერანგი არა სცმოდა ლუკაიას. ახლა ესეც გამოუტანა თარაშმა.

თარაშმა შენიშნა: ლუკაიას გაჩხირული ფეხები კალიისას წაგავდნენ.

დიდხანს ამტკიცებდა ლუკაია, ნიფხავ-პერანგი რა საჭიროაო? (რადგან თავის სიცოცხლეში არა სცმოდა) და ლუკაიას დალეული, გალურჯებული სხეული ქრისტესას ჰგავდა (ბიზანტიური პერიოდის მხატვრების გარდამოხსნებში).

როგორც იქნა, შარვალი ჩაიცვა ლუკაიამ.

„უხვანჯროდ როგორ იქნება, დიი!“

თარაშმა შეუბნია შარვალი, შეუბნია და ისევ შეუხსნა, ახლა თვითონ შეაბნევინა.

საყელოს გაკეთებაზე მტკიცე უარი თქვა. ვინმე მიყელებს და წამაღრჩობსო. არც ქუდი გაიკარა, ეს „ნასტავლი“ ხალხის საქმეაო. თავისი ფაფახი დაიხურა, ქორის ბუდესავით გაბურძგვნილი, მწითური ფაფახი.

სერიოზული გამომეტყველება მიიღო, ორივე ხელი ჯიბეში ჩაიყო, დინჯად გაიარ-გამოიარა.

ეს იყო მხოლოდ: წარამარა ხელს ივლებდა შარვალზე, ზევითკენ სწევდა, მაინც იატაკზე მიჩოჩავდნენ შარვლის ქუბები.

საერთოდ ლილიპუტებს აგონებდა იგი თარაშს, ევროპის ცირკებისა და სასტუმროების დერეფნებში მოფუსფუსეთ.

თარაშ შინიდან გასვლას აპირებდა. მისი ერთადერთი ახალი კოსტიუმი ლუკაიას ჩააცვა (ბაგაჟი ჯერ არ იყო მოსული). ამიტომაც მამისეული ჩოხა გამოატანინა დედას. მაია სწუხდა. ნამკვდრევს რად იცვამო, უმტკიცებდა:

არ მოგერგებაო მამისეული ჩოხა.

თარაშს ნაფტალინის სუნი ეცა (მას ყნოსვა ჰქონდა უზომოდ გაფაქიზებული). ასე ეგონა: ამ ნაფტალინს მკვდრის სუნიც ახლდა იგივე, პერლაშეზის სასაფლაოზე რომ იგრძნო პირველად, როცა უკანასკნელად აკოცა მიცვალებულ მამას.

ხვანჯრიანი შარვალი ჩაიცვა, ლუკაიამ ჩექმები ბატის ქონით გაპოხა.

მაინც ერთი საათი მოუნდა მამისეული აზიურების ჩაცმას. მერმე ახალოხის ღილკილოების შებნევას შეუდგა. და როცა ჩოხა გადაიცვა, მაიას ცრემლები მოერია. ოცდარვაწლიანი ჯამსუღი წარმოუდგა.

სწორედ ასეთი იყო ჯამსუღი, როცა ახალმა სასიძომ მაიას მამის, შერგილ დადიანის ოჯახში შემოაგელვა პირველად ცხენი. იგივე ორბული თვალები, პატარა ყურები, ბროწეულის ყვავილისფერი, იგივე ცხვირი, ოდნავ, სულ ოდნავ მოდრეკილი, მაღალი კისერი, გრძელი ფეხები, ვიწრო წელი, განიერი მხრები და მაჯები და პატარა ხელები.

უკუდგა მაია.

მერმე მიეახლა ვაჟს და აკოცა, აკოცა, მაგრამ არ კი იცოდა იმ წუთში, ეს მისი ვაჟი იყო თუ საქმრო რჩეული?

ან თუ სიზმარი ხომ არ ყოფილა მისი ჯაფით და ცრემლით სავსე სიცოცხლე? და ერთადერთი ვაჟის უცხოდ გადახვეწა, ცხრა ზამთრის ბნელი ღამეები მარტოხელა გატარებული ოქუმში. წყლიანი თვალები მოიფშვნიტა მაიამ. ხედავს: არა, ეს მისი საფიცარი გულიკოა, ჭადარსავით ტანკენარი, ეს მისი სიცოცხლეა, სასო მომავლისა.

სწყევლიდა იგი ღვთის გლახაკს ლუკაია ლაბახუას თავის გულში (თარაშის კოსტიუმი რად გადაიცვაო) და ლოცავს იგი კარგ მეფეხურს ლუკაია ლაბახუას (სიხარულით რომ აღავსო, მოხუცის გული).

და ისე მახლობელი, ისე მშვენიერი. მოსჩანდა თარაში მიცვალებულ მამის ჩოხაში მორთული, რომ ბედშავ მაიას ვერც კი გაერჩია, ეს მისი ძე იყო, თუ საქმრო რჩეული?

თარაშმა სკამზე დასვა ლუკაია, კიდევ დაუსხა არაყი.

„როგორ არიან თქვენები?“ ეკითხება.

„დია, ყოველივე კარგი გაგახსენოს, შურიგე, ღმერთმა“. ესა სთქვა ლუკაიამ, თავის დაკონკილ ჯუბას მივარდა, წერილი გამოიღო და თარაშს გადასცა.

კონვერტზე ეწერა: „ჰერ ემხვარისადმი, ოქუმში“. ხოლო მეორე მხარეზე: „კაროლინა შარვაშიძის მიერ გამოგზავნილი“.

(ისე, როგორც დასავლეთშია მიღებული); და კაროლინა შემდეგსა სწერდა: „ძვირფასო ბატონო ემხვარ!

არ დაგიმალავთ, ფრიად გამაოცა თქვენმა მოულოდნელად წამოსვლამ ტფილისიდან.

ხანდახან ასე მგონია: თქვენ მაინც კარგად გიცნობთ-მეთქი. უნდა გიცნობდეთ კარგად, რადგან ზოგიერთ უცნაურობათა კიდეგან, სულიერად მენათესავებით.

მაგრამ თქვენ ისეთი ნაჭედობის კაცი ხართ, მითიურ ოქროს გველივით უსხლტებით ადამიანს ხელიდან. მაინც მგონია გიცნობთ-მეთქი, მაგრამ ზოგიერთი თქვენი საქციელი სავსებით უცნაურია და ჩემთვის გაუგებარი. შესაძლოა თქვენ მართალი იყვეთ. აკი მიმტკიცებდით: ზოგადი კულტურა ვერ იძლევაო გასაღებს ადამიანის სულის ცხრაკლიტულისას.

არ გამიჯავრდეთ და ძალიან მეწყინა თქვენი გაუჩინარება.

არ ვიცი, რა მოხდა თქვენსა და თამარს შორის ტფილისში. მერწმუნეთ, მე საკმაო ტაქტი აქაც არ დამაკლდებოდა, ხოლო თამარს — გულჩათხრობილობა.

მეც ვყოფილვარ ოდესღაც თამარის ასაკში, ეს არის, ვგონებ, ქართველი ქალი უზომოდ გულჩათხრობილია (მე მას არ ვამტყუნებ, ვიმეორებ: ორ ნაბიჯზე აქედან ჩადრია და ჰარემი). ახლა უფრო მეტს გეტყვით თქვენ ყველანი ასეთნი ხართ. ახლადმოსულ უცხოელს ასე ეგონება: ქართველი ადამიანი ფრიად გულღიაა.

ამას მხოლოდ იგი იტყვის, ვინც ქართველი თამადების ენამზეობას და ტკბილსიტყვაობას ბრმად მიენდობა.

დიახ, თქვენ გულჩათხრობილნი ხართ, რადგანაც ბევრ რამეში ევროპელებსავით სტყუით და აზიელებსავით აჭარბებთ. შესაძლოა, ეს იყოს უდიდესი ხელოვნება ამ ქვეყანაზე. არ ვიცი, შესაძლოა...

და ასე, სამ დღეს გიცდიდით ტფილისში, ხან ნაცნობებს ვეკითხებოდით, ხან ქუჩაში გეძებდით. სამი დღის შემდეგ ზუგდიდს მოვბრუნდით ორივენი, რადგან თამარი ინსტიტუტში არ მიიღეს.

უთქვენობა ფრიად დაგვეტყო ზუგდიდში. თათიას ისევ სიცხეს აძლევს. თამარიც ვერაა კარგად. უგუნებობას თავი მისცა სავსებით (მე ვამჩნევ მხოლოდ: სწუხს, არ კი ამხელს, ხანაც სრულ უსასოებას ეძლევა).

ხანდახან უკრავს, კაცმა რომ სთქვას, ამ დაბოლოს ბევრს უკრავს, ხანაც ბულვარულ რომანებს კითხულობს, დღისით თავის ტკივილს უჩივის, ღამღამობით ჩვენს ოთახში გვესმის თუ როგორ წრიალებს, სტირის მძინარი.

ბაბუა ტარიელს ჯერ ფრიად გაუხარდა თამარის მობრუნება ოჯახში, ახლა ისევ განაგრძობს ბუზღუნსა და ღრენას. ახლა მშვენიერი მთვარიანი ღამეებია ზუგდიდში, მე და თამარი ვზივართ გვიანობამდის ალუჩის ქვეშ. დანამდვილებით არც კი ვიცით თქვენ სადა ხართ. ეს ლუკაიამ აიჩემა: ოქუმშიაო. ვეღარ დავამაგრეთ და გამოსწია. მეც ვისარგებლე შემთხვევით და გიძღვნით გულითად სალამს.

თქვენივე ნათქვამიდან მახსოვს: თუ ოქუმში დავბრუნდი, მეურნეობას მივყოფო ხელს (მაინც მგონია, თქვენ იქ ვერ გასძლებთ და ისევ ტფილისს მიბრუნდებით). ცივილიზაციას ევროპაშიც ბევრი აგინებს, მაგრამ ეს წინასწარმეტყველნი ჯერაც დასეირნობენ საერთაშორისო ვაგონებით, აბსენტს სვამენ, ავტომობილიდან რომ ჩადიან, გახამებულ საყელოებს არ იცილებენ, საჰაერო რეისებს არჩევენ ცხენით სიარულსა და მაინც სწყევლიან „ამ დასაღუპავ ცივილიზაციას“.

მე წარმატებას გისურვებთ ყოველ საქმეში, მაგრამ თქვენსავე სიტყვებს მოგაგონებთ.

„მეოცნებეთა მეურნეობა ცაში მოხერხდესო ეგებ“.

მალანურები მოვიდნენ

ვშიშობ, ჩემმა მკითხველმა არც კი იცოდეს: თუ რა არის მალანურობა.

ეგ ჩემი რომანის საგანს არ შეადგენს, მაგრამ რა ვქნა? სქოლიოში ჩამოტანილი ამბავი არ მიყვარს. სქოლიოში უმნიშვნელო ამბები ჩამოაქვთ ხოლმე. ხოლო მალანურობა, როგორც მკითხველი თავათ დარწმუნდება, საბედისწერო გახდა ჩემი გმირებისათვის, ამიტომაც შევეცდები დაახლოებით აგიწეროთ იგი. მით უმეტეს, სწორედ იმ წელს, უკანასკნელად გაიმართა იგი ოქუმში.

და გაიმართა იმადაც, მთავრობას უნდოდა ფილმზე გადაეღოთ ეს ძველი მისტერია მომავლის მეისტორიების თავის სატეხად (მე გულწრფელად მეცოდება ისტორიკოსები, რადგან ვერ გამიგია: როგორ შეიძლება, რაიმე სწორედ ისევე აიწეროს, როგორც ეგ მომხდარა ოდესმე?).

27 აგვისტოს მთვარე სრული ხდება.

სწორედ მარიობის წინა ღამეს მნათე აიღებს და სამჯერ დაჭ-კრავს ბუკს.

სოფელ ოქუმში ჯერ კიდევ დარჩენილი იყო უძველესი ბუკი, სათანჯოს ციხიდან მოტანილი. ამ ბუკით ამცნობდნენ ომის დაწ-ყებას ენგურის ხეობას.

ოქუმელთა მნათემ, როგორც უკვე მოგეხსენებათ ჩემი ნათ-ხრობიდან, უფრო სარფიან საქმეს მოჰკიდა ხელი. ამიტომაც ლუ-კაია ლაბახუამ იკისრა ეს საქმე. უნდა გენახათ რა სასაცილო იყო ეს ქონდრის კაცი, როცა მან ეს უზარმაზარი ბუკი გაირჭო პირში!

მთელი სოფლის მოხუცები, დროული კაცები მოგროვდნენ.

12 მალანური ან როგორც იტყვიან, „ტარიელი“ ამოირჩიეს. ახალგაზრდები კინოოპერატორის ჯილდომ წაახალისა.

ექვსი მათ შორის დადიანის მომხრე, ექვსიც მეფისა.

თორმეტივე საგანგებოდ მოირთო, ისე როგორც ძველ დროში უქნიათ ეს.

ახალოხები შარვალში ჩატანებული ჰქონდათ, თავზე წითელი ჩაბალახები ეხურათ, ფეხზე უძიროები ეცვათ.

* * *

თარაშ ემხვარ დილიდანვე თან გაჰყვა ლუკაიას. ეკლესიის ეზოში შავებით მოსილი კინოაპარატები დაედგათ. ბალღები და კომკავშირელები გარს ეხვეოდნენ ფოტოგრაფებსა და კინორე-ჟისორებს.

იჯდა თარაშ ემხვარ ცაცხვის ქვეშ, თავის ბავშვობა აგონდებო-და ისევ, ეს ფუღურო ცაცხვები დაპატარავებული ეჩვენა. ეს ადგი-ლი სამთავიანი დევის ბუნაგად ჰქონდათ მიჩნეული არზაყანს და გულიკოს, რამდენჯერმე მოჯირითებულან ისინი ცხენჯოხებზე გა-დამსხდარან ამ ბუნაგის ასაკლებად. შეღამდებოდა თუ არა, შინი-

საკენ გაჰქუსლავდნენ „მიცვალებულთა სულების“ შიშით. მისოუსტი არჩევდა გარს მოგროვილ გლეხებში ნატოლარებს, თითქმის ყველანი დაცოლშვილებულიყვნენ, ორიოდე მომკვდარა, რამდენიმეს თმა გაჭაღარავებია საფეთქელთან, ახლად მოჩიტული თაობა შორიდან უჭვრეტდა, მოხუცები თავზე მობურულ ჩაბალახებს იხდიდნენ, მოკრძალებულ სალამს აძლევდნენ „ჯამსუღ ემხვარის“ ვაჟს.

იქვე მოირთხამდნენ, დარბაისლურად ესაუბრებოდნენ.

ხომ საკმაოდ გახუნებული, მამისეული ჩოხა ეცვა თარაშს, ჩაბალახი კისერზე ჰქონდა დაუდევრად გადაგდებული, მაგრამ მეზობლები მაინც მორიდებულად შესცქეროდნენ „უცხოს“. ზოგი იჭვნეულად იღიმებოდა, გლეხურად ჩაუცვამსო. ეს ახალ დროს ხარკს უხდისო ნათავადარი.

საერთოდ, თარაშის ჩამოსვლამ მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ზოგი აგრე ამბობდა:

სკოლის უფროსად გაუგზავნიაო მთავრობას. სხვანი უნდობლად იღიმებოდნენ:

ოქუმში რა გააძლებიებსო „ევროპიაში“ ნაცხოვრებ კაცს.

ასოცი წლის ომარ ლომაიამ მარჯვენა მკერდზე აკოცა თარაშს, მერმე მხრისთავზე ხელი გადაუსვა ალერსიანად, ჯიქურად შეხედა თვალწარბში. პირჯვარი გადაიწერა. ეუბნება:

„დაილოცოს უფლის სახელი. პირწავარდნილი ჯამსუღია. სწორედ ასეთი იყო ცხონებული, რუსეთიდან პირველად რომ დაბრუნდა იმ წელს“. ესაა მხოლოდ, ჯამსუღს ოდნავ უფრო შეეყრილი წარბები ჰქონდაო, დასძინა:

შინმობრუნებული თარაში იჯდა, გლეხურად უქცევდა, მწარე თუთუნს სწევდა. გვერდით უსხდნენ ნატოლარები, სკოლის ამხანაგები. და უჩვეულო სიტფოსა და სინაზეს გული გაეთბო მისთვის.

„შენ რამდენი შვილი გყავს, ყვიბი?“ გურამ, შენ?

გეგის?

ესტატეს? ჯვებე, შენ?

ჯვიბის სამი შვილი ჰყოლია, სამივე ვაჟი, გურამს ექვსი ქალ-ვაჟი, ესტატეს ორი მოჰკდომია, ერთი ქალ-ვაჟი სკოლაში დაუდი-სო, ჯვებეს ხუთი.

„ხუთივე ვაჟი?“ ეკითხება ისევ თარაში.

„ოო, კარგია, კარგი. შენ ნადირობა გიყვარს, მე მახსოვს, სას-როლი ბადეც არა გძულს, აიყოლიე ბიჭები და გიყვარდეს“.

ყველამ თარაშს შეხედა: ყვიბიმ, გურამმა, გეგიმ, ესტატემ და ჯვებემაც. კითხვა არ შეჰკადრეს. მაინც უსიტყვოდ იგრძნო და და-ფიქრდა: მას არავინ გააჩნდა მოხუცებულ დედის გარდა.

ისევ ბავშვობას მიუბრუნდნენ.

„ის როგორ იყო, მისოუსტ, უბელო ცხენი რომ გაგიჭენდა ამ ეკლესიის მოედანზე, ფაფარზე ებღაუჭებოდი, ცხენი გააჩერეთო იხვეწებოდი? წრეულს კი დიდმარულა აგიღიათ შენ და არზა-ყანს“— ეუბნება ჯვიბი ესვანჯია.

„მე შენზე უფროსი ვარ, გულიკო, ვგონებ ორი წლით, პირვე-ლი მე ვეძგერე შენ ცხენს.

ამბობს ღიმილით გეგი ბერია.

მერმე ის იყო ომარი, ოტია და ჯვებე წამოგვეშველნენ..

„მე ისიც მახსოვს, — წამოიწყო გაჭაღარავებულმა ესტატე შე-ლეგიამ, — შენ და არზაყან ოქუმის წყალში ტანს იბანდით, მე იქვე ჭალაში ყანა მქონდა მამიშენისა. მუხის ჩეროში ვისვენებდი, სა-დილს ვუცდიდი. უცებ კივილი მომესმა, ვიფიქრე: ჩემს დედაკაცს ფონი აერია-მეთქი, გავიხედე: კაც ზვამბაიას ბიჭი არზაყანი მორ-ბის და შემცხადებელსავით მოჰკივის. გაუხდელად გადავეშვი და ყურებში ხელი დაგავლე, პატოჲნსქუა“...

* * *

პატარა ჯამუ მოცუნცულდა. სადილად გიცდისო ძიძა.

თორმეტ მალანურს თორმეტი წვეტიანი, ფრთებგაყრილი ჯოხი მოართვეს, თხილის მაჭუკები.

ლოცვა დაიწყო. თორმეტი მალანური ორად გაიყო. ერთი ბუტბუტებს, დანარჩენები ამინს „სწირავენ“. ფოტოაპარატები მოამზადეს კინოოპერატორებმა.

მოხუცი გლეხები მოკრძალებულად უახლოვდებიან მალანურებს. მალანურები ლოცავენ. ღრმად მოხუცებულნი შორს უდგანან (რადგან სურათის გადაღება ცოდვათ მიაჩნიათ).

ახალგაზრდები კინოოპერატორების მუშაობას თვალს ადევნებენ. ზოგ-ზოგი „ევროპულად“ მორთულ ლუკაია ლაბახუას უჭვრეტს. ბიჭები ცაცხვებზე გასულან.

„ლუკაია პიჟონ“, დაიჩხავლებს ცაცხვიდან ერთი.

„ლუკაია ჩარლსტონ“, გასძახის მეორე.

„ლუკაია ჩემბერლენ“, კისკისებენ სხვანი.

არავინ იცის, თუ ვინ მისცა ასეთი ახალთახალი კოსტიუმი შლუ ლუკაიას, რადგან თარაშმა დაანამუსა ლუკაია წინასწარ.

* * *

ჯვიბი ესვანჯია ეკლესიაში შეუძღვა მისოუსტს.

როგორი პატარა, საცოდავი ეჩვენა ოქუმის ეკლესია, ოდესღაც მოწიწებითა და განცვიფრებით აღვსილი შესცქეროდა მისოუსტ ამ კანკელის მხატვრობას! როგორ აფორიაქებდა მის წარმოდგენას ეს პირდაღრენილი ეშმაკი აღსავლის კარზე ზეთით ნახატი, წმინდა გიორგის ცხენის ფლოქვებს ქვეშ გაგებული! გახუნებულა ბიბლიური გრძელწვერა ღმერთი, ანაფორაგახდილ ნახუცარს დამსგავსებოდა. და ეს გრძელწვერიანი მახარობლები

უმუშევარ ნაკაცარებს მოაგონებენ მნახველს. სამხრეთის კედელზე ორიოდე ძველი ფრესკა შენიშნა თარაშმა წამალგადასული. მხოლოდ ამ ფრესკებს უჭვრეტდა იგი როგორც ძველი ხელოვნების ნაშთს. აღმოსავლეთის კედელზე უზარმაზარი წითელი ლენტი გაეკრათ წინა ღამით კომკავშირელებს და ზედ ეწერა: „რელიგია ხალხის გონების ბანგია“.

საკურთხევლის წინ უმწეოდ დაბორიალებდა დაჩიავებული, ტანმორჩილი მოხუცი მღვდელი (ილორიდან მოეყვანათ მოხუცებს იმ დღისთვის). ღონემიხდილი ჩიფჩიფებდა იგი ფსალმუნის სტროფებს. თარაშ ემხვარს უყვარდა მოხუცებული მღვდლის მიერ წარმოთქმული ფსალმუნის ლექსები. ახლა არც ერთი გასაგები სიტყვა არა სწვდებოდა მის სმენას.

„აი აქ იდგა პირველ ადგილზე ცხონებული მამაშენი“, უჩურჩულებს თარაშს ყვიბი ესვანჯია.

ხუთიოდე ემხვარის ქვრივი, ერთი მოხუცი ლიპარტიანი, ორიც მარშანია და ერთი დახუთული დადიანი კიდევ დარჩენილიყო ოქუმელი აზნაურების წრიდან, უფრო სეირისათვის მოსულიყო აქ დამსწრე ხალხი. ეტყობოდა: ამ ხალხს „კინოში მოხვედრა“ ერჩია სასუფეველში შესვლას.

ერთბაშად ეკლესია დაიცალა, ისევ აიღო ლუკაია ლაბახუამ ბუკი და კინოოპერატორმა დაატკაცუნა.

შემდეგ ხატი დაჰკიდეს მკერდზე ლუკაიას (მღვდელი ეკლესიის ეზოდან გავიდა წესისამებრ).

მოზიმზიმე ბრბო გარს შემოერტყა ლუკაია ლაბახუას.

„ოისა“, შესძახა ლუკაიამ.

„გაისა“.

დაიქუხა მრევლმა.

„ოისა“, „გაისა“, ისმოდა გრიალი. ვერცხლის ხატით მკერდდამშვენებული ლუკაია წინ მიუძღოდა ხალხს და „ოისა-გაისას“

ძახილით სამჯერ შემოუარეს ეკლესიას.

თარაშს თავისი ბავშობა მოაგონდა. და ეს გაუგებარი „ოისა“, „გაისა“ ჟრჟოლასა ჰგვრიდა მას.

მორწმუნეთა მცირერიცხოვან მრევლს უკან მისდევდნენ აპარატმომარჯვებული ფოტოგრაფები, კინოოპერატორები, მათი შოფერები და სხვები, და „ოისა-გაისას“ რეფრენში კანტიკუნტად შეაპარებდნენ ბიჭები: „ლუკაია ჩარლსტონ“, „ლუკაია პიჟონ“, „ლუკაია ჩემბერლენ“-ს.

ეს შეძახილი კომიურ კილოს აძლევდა უაღრესად პათეთიურად განზრახულ ძველთაძველ მისტერიას.

მერმე თარაშ ემხვარმაც თავისი ბლოკნოტი ამოიღო და დაწვრილებით ჩაიწერა ის ცერემონიები, რადგან ბევრი რამ დროს წაეშალა მისი ხსოვნიდანაც.

* * *

და თორმეტი მალანური ხალხს გაეთიშა. თორმეტივე ეკლესიაში დაამწყვდიეს, უზარმაზარი ბოქლომი დაადგეს ეკლესიას.

ეკლესიის წინ მოგროვილი ხალხი განზე დაამწკრივეს, შარა გააკეთეს ხალხსა და ეკლესიას შორის და ეკლესიის სიგრძე ჭოლოკი დასდეს ამ შარაზე.

ისევ გააღეს ეკლესია, ტყვე ტარიელები გამოუშვეს. თორმეტი მალანური ექვს-ექვსად გაიყო და ორივე მხარე ჭოლოკს დაეჭიდა აქეთ-იქიდან. დიდხანს იძიძგილავეს, იბრძოლეს, მაგრამ ამ ბრძოლას აკლდა ის გააფთრებული ძალის დაძაბვა, ძველად რომ სჩვეოდათ ტარიელებს.

ამ წელსაც მეფის მალანურებმა აჯობეს დადიანისას და არც ამის გამო აუტკენია ვინმეს თავი. მერმე „მეფის ტარიელები“ წესისამებრ ეკლესიის კარზე ჩამოსხდნენ, დადიანისანი — ცაცხვის

ძირს დაბანაკდნენ და ძველებურად შეებნენ შაირებით ურთიერთს, არც ჩვეულებრივი მყრალსიტყვაობა ყოფილა ამ წელს, მეფის მალანურებს რომ ჰქონდათ წესად ძველ დროებაში.

რამდენიმე ფრთიანი ფრაზა მაინც ჩარჩებოდა ამ ზმებიდან მსმენელს ხსოვნაში. უფროსმა მეფის მალანურმა ასეთი რამ გადასძახა დადიანის მალანურებს:

მეფემ შემოუთვალაო დადიანს, ჩემს მეძებარს კუდი მოგლიჯაო მგელმა, დადიანი ტყეში წავიდესო, ის კუდი მოსძებნოსო და ისევ შეურჭოსო ძაღლს თავის ადგილზე.

ახლა დადიანის მალანური ამყრალდა: დადიანმა ეს შემოუთვალაო მეფეს: ჩემს მწევარს კვერცხები ჰქავაო, ყოველ დილას მეახლოსო მეფე და კვერცხები დაფხანოსო მწევარს, სამაგიეროდ სამ მარჩილს მიიღებსო ყოველდღე.

(სხვა რამეც ითქვა უარესი, მაგრამ ავტორს ესეც საკმარისად მიაჩნია ქართველ ფეოდალების ბილწსიტყვაობის გასახსენებლად).

ახლა მაჭუკების სროლა დაიწყეს. ვერც ერთმა მალანურმა ეკლესიას ვერ გადააცდინა მაჭუკი ამ წელს.

„ასეა, როცა რწმენა არაა რაიმე საქმის მიმართ, იქ ოსტატობასაც ვერავინ გამოიჩენს“. ასე ფიქრობდა თარაშ ემხვარ და სწორედ ამ დროს ერთი ბრგე ვაჟკაცი გამოეყო დადიანის მალანურებს, მწითური, დურბელისაგან ყელგამოღადრული.

ისროლა მაჭუკი და ეკლესიას გადააცდინა. უნებლიედ დაიგრიალა გარშემო ტაშმა. კინოოპერატორმა აპარატი მოიმარჯვა და სთხოვა მწითურს წელში გასწორებულიყო. თარაში შეაცქერდა ამ კაცს. ბორას ნისკარტივით მოხრილი ცხვირი ჰქონდა მწითურს. ტანადაც ბორასა ჰგავდა მხრებჩამოშვებულს. უზარმაზარი, გველისპირული სატევარი ეკიდა წელზე ამ ახმახ დევკაცს. და

როცა აპარატი მოაშვირეს, გაფითრდა და ნერვიულად აუფახულდა მწითური გრძელი წამწამი.

თარაშ ემხვარ აწრიალდა მის დანახვაზე. ყვიბი ესვანჯიას წაავლო ხელი. ვინ არისო? იკითხა.

ლომკაცია ტარბას უფროსი ვაჟიაო, მამის სიკვდილის შემდეგ ქალაქიდან მობრუნებულიყო. ციხიდან გაქცეულაო ამ ორი კვირის წინად. სამი წელი ყაჩაღობდაო აფხაზეთში. ჯამლეთი ჰქვიანო ამ ტარბას, უჩურჩულა ყვიბიმ თარაშს. მერმე ჯვიბი დაინტერესდა. ჩააცივდა თარაშს: რად იკითხეო ამ ტარბას ვინაობა?

„უცნაური სახე აქვსო ამ კაცს“. ეს სთქვა თარაშმა და კიდევ შეხედა ჯამლეთ ტარბას.

თარაშ ემხვარს გუნება შეეცვალა ანაზდეულად. ყვიბის დაემშვიდობა და ეკლესიის ეზო გადაიარა. მცირე მანძილი უკლდა კაც ზვამბაიას სახლამდის, ისე წამოეწია ლუკაია. ჟინჟღლავდა ოდნავ. თარაში უქუდოდ მიდიოდა ფიქრებში გართული. ლუკაიამ გზა გადაუჭრა. ჯიქურ მივიდა. ეუცხოვა: თარაშ ემხვარს მიწისფერი დასდებოდა.

კაც ზვამბაიას მუხის ჭიშკარი გადარაზული დაუხვდათ. თარაშმა მიზეზი იკითხა:

„ფრთხილობენ, შურიგე“. ამბობს ლუკაია.

„რისთვის მერმე?

„დი!... როგორ რისთვის, შურიგე, განა არ იცი, ტარბების სისხლი მართებს არზაყანს“.

თარაში დადუმდა და ჯამლეთ ტარბას უცნაური სახე თვალწინ დაუდგა და მისი გველისპირული სატევარი მოიგონა.

მერმე სახეზე ჩამოისვა ხელი, თითქოს ობობის ქსელი მოიცილაო თვალთაგან.

„ვოჰ, კაც, ვოჰოო“... დაიძახა ლუკაიამ. თარაშს გააჟრჟოლა ამ ძახილის გაგონებისას.

ეს „ვოჰ“ ბავშვობაში სმენია წისქვილის კარზე, ყანაში, ტყეში რომ უძახოდნენ ურთიერთს ოქუმელი გლეხები.

„ვოჰ, კაც, ვოოჰ“.

ისევ დაიძახა ლუკაიამ. ახლა გააფთრებული ნაგაზები გამოცვივდნენ ჩალის ზვინიდან. მეწინავეებმა აკაციის მაღალ მესრებს მოაშურეს, სამიოდე ჭიშკარს მივარდა, ერთადერთი ბებერი მურა შეიცნო თარაშმა, სიყმაწვილეში ნანახი.

„კაც ზვამბაიამ ძაღლები დატუქსა. ჭუჭრუტანაში გამოიჭყიტა. მერმე ურდული გამოიღო.

„მადლობა უფალს, ჩემს სახლში რომ მოხვედი მშვიდობით“.

ამბობს კაც და პირჯვარს იწერს. მე მალანურები მეგონეთო, დასძინა.

არზაყანმა და ძაბულიმაც გაიგეს თარაშის მოსვლა, არზაყანი უკვე ფეხზე იდგა, ოდნავ კოჭლობდა, მაგრამ თავის სამზადიდან არ გამოდიოდა. კოლექტივში არზაყანის შესვლამ მამა-შვილი გაჰყარა. არზაყანს სამზადი ერგო და ეზოს ნახევარი. არზაყანმა თხრილით შემორაგვა თავისი წილი. და ეს ყოველივე კოლექტივში შეიტანა. ასე რომ, ამ თხრილს გადაღმა არ მიდიოდა მამასთან სამტროდ დაუბრებული არზაყან.

ხათუნა, ჯამუ და ქელეში მხოლოდ შეღამებულზე თუ გაბედავდნენ არზაყანის ნახვას.

ძაბული სიარულს უშლიდა არზაყანს, მაგრამ თარაშის მოსვლამ ისე ააღელვა იგი, მას სავსებით გაემართა ფეხი და ნერვიულად დადიოდა კერის გარშემო.

კარი გააღო. ხედავს: აივანზე სხედან. ხათუნა მუხლებზე მოხვევია თარაშს, ჯამუ და ქელეში იქვე სხედან, კაც ზეზე იდგა და ხმამაღლა ქაქანებდა. ალბათ მე მაგინებსო, გაიფიქრა არზაყანმა და კარი მიუგდო. ისევ დადიოდა ფიქრებში გართული შუაცეც-

ხლის გარშემო. ცოტა რამ ძაბულისგან განაგონი ჰქონდა არზაყანს — თარაშის ტფილისიდან მობრუნების გამო. თამარი ტფილისში დარჩენილაო, ვგონებ, წაკიდებულანო, ამასაც ძაბული ამბობდა.

და არზაყან მოუთმენლობამ შეიპყრო.

დიდი ხანია ასე არ მონატრებია მას თარაშის ნახვა, და თარაში თითქოს მკვდრეთით აღსდგაო მის გულში. ახლა იგი ძველი თარაშია, საყვარელი მისოუსტ, გუჩა, გულიკო. თარაში ისევ მისი საფიცარი ძმაა და ახლა დამარტოვებულ არზაყანს ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს მათ შორის. ეს აწუხებს არზაყანს: თამარი რას ფიქრობსო ნეტავი? — რას აკეთებს ამჟამად ტფილისში? უეჭველია, როგორც კი ფეხი სავსებით მოურჩება, არზაყან ტფილისში წავა და თამარი ისევ მისი გახდება. და ერთ წუთში შეეშინდა, უხილავი გულთმისნობის ძალით ძაბულიმ არ შეატყოს ეს ფიქრები მას.

შესცივდა რატომღაც. ცეცხლთან მივიდა. სამფეხზე წამოჯდა. ხელისგულები ცეცხლს მიაფიცხა, თითქოს ყინვის ლანქერი შემოერტყაო სხეულზე და ძაბულის ეუბნება სავსებით უსაზმნოდ (რათა სიჩუმეს არ გაეთქვა):

„იცი, ძაბული, ჩოხა შვენის თარაშს“.

ძაბულიც ხედავდა ეზოში შემოსვლისას, ჩოხა რომ შვენოდა თარაშს, მაგრამ შეეშინდა, ეგების მცდისო და მკვახედ უპასუხა:

„არაფერსაც არ შვენის ჩოხა თარაშს. შენ უფრო გიხდება ჩოხა“.

არზაყანმა სიყალბე ამოიკითხა ქალის გაბზარულ ხმაში და თვალებში შეხედა ჯიქურად ძაბულის. და ისევ იელვა ძველმა იჭვნეულობამ თარაშის მიმართ.

თქმასაც მოერიდა და არაფრის თქმასაც, ამიტომ ეს უთხრა: „რა კარგი კოსტიუმი უჩუქნია მაგ გადარეულ ლუკაიასათვის“.

„ლუკაია სულ გააგიჟა მაგ შენმა თარაშმა“. გულის გარეშე სთქვა ძაბულიმ და მუგუზლები მირეჯგ-მორეჯგვა.

ადგა არზაყან და ისევ გამოაღო კარი. უკვე შეღამებულიყო. ძაღლები აივანზე ირეოდნენ. სტუმარი შინ შეეყვანათ, მხოლოდ ხათუნა დაფათურობდა, ჯამუს ჭრაქი დაჰქონდა. ის — ისევ ასტკივდა ფეხი არზაყანს, მუხლები მოეჭრა. შეშა დაუმატეთ კერას, ეს სთხოვა ძაბულის, რადგან საღამოს სინესტე საგრძნობელი გახდა მიწურში. პირაღმა წამოწვა საწოლზე.

ისევ თამარის სახემ იელვა მის თვალწინ და კვლავ მოენატრა თარაშის შემოსვლა. ინატრა მალე მოვიდესო ღამე.

რადგან მძინარე მამას თუ გამოაპარებდა სტუმარს ხათუნა..

იწვა არზაყან და მჭვარტლიან ჭერს შესცქეროდა. ისევ ტფილისისაკენ, თამარისაკენ გაეშურა მისი გულისხმა. ძაბული მიწურს ჰგვიდა, ალაგებდა სახლს თარაშ ემხვარის მოლოდინში.

არზაყან ისევ თამარისათვის ფიქრობს, ცხადლივ, მთლად ცხადლივ წარმოდგენილი აქვს არზაყანს თამარი. უეჭველია, თამარი ისევ იგივე დარჩა, მას რომ უყვარდა, იგივე თამარი.

რა ვუყოთ მერე, რომ არ მოაკითხა ავადმყოფს.

ან როგორ შეეძლო ტრადიციული, ძველებური ოჯახისშვილს უცოლო ვაჟი ენახულებინა, თუნდაც ავადმყოფი...

მაშ, შარდინ ალშიბაიას ჭორები გაბათილდა? ტფილისს შემთხვევით წასულან ერთად. ეს რომ არა, თარაში როგორ დასტოვებდა მარტოკას ტფილისში? თარაშს ბინა გაუყიდნიაო, ამბობდა ძაბული, ოქუმში აპირებსო დასახლებას. თარაში ხომ ახირებულზე ახირებული კაცია, მისგან არც ესაა გასაკვირველი, თარაში თავისნება კაცია, ალბათ მოსძულდა დიდი ქალაქები, ახლა სოფელი მოენატრა. დასახლდება ალბათ ოქუმში.

კიდევაც ამბობდა წრეულს ზაფხულში, ერთ ცხენს ვიყიდიო და

ერთ უღელ ხარს, მეც სხვებსავით ვიცხოვრებ, ვიმუშავებ და ვინადირებო. შესაძლოა, შესაძლო კი არა, ეს ასეა: თარაშს კაროლინა უყვარს. ეს გაიფიქრა არზაყანმა და ის ღამე გაახსენდა, მოკვლას რომ უპირებდა არზაყანი თარაშს. ხომ სავსებით უმართებულოდ შემოაკვდებოდა არზაყან დედის ძუძუს თანაზიარი თარაში.

ჰკოცნიდა?

მერე რა? ლამაზ ქალს ვინ არ აკოცებს, თუ მოიხელთა? ასეთ რამეს არც არზაყანი დაერიდება. თუნდაც კაროლინა ჩაიგდოს ხელში სადმე ხელმარჯვედ არზაყანმა... მერმე ხომ გამოაგდო თამარმა სახლიდან.

ისევ პირაღმა წევს არზაყან. ძაბული ფართიფურთობს. კეცებს ახურებს, ხაჭაპურები უნდა დაახვედროს სტუმარს. მოგვიანებით უეჭველად მოვა თარაში, და ისევ თამარს მისწვდა არზაყანის აფორიაქებული ფიქრები. კიდევ ერთი კვირა და არზაყან სავსებით გაჯანსაღდება, მერმე ტფილისი... ინსტიტუტი, თამართან შეხვედრა, ქალაქში ეს ყოველივე უფრო იოლია. აღარც აბეზარი ნახუცარი შეუშლის მათ ხელს, აღარც ჭორები პროვინციისა...

ძაბული გაეხმაურა. ღვინო თუ დარჩაო ცოტაოდენი?

ჰო, ღვინო არ დაულევია არზაყანს გუშინ. ასე რომ, სტუმრისთვის იკმარებსო ღვინო. და ღვინის ხსენებაზე ძაბული წამოიჭრა რატომღაც არზაყანს და თამარს შორის.

რა უყოს არზაყანმა ამ ერთგულსა და სათნო ძაბულის! სამსახური მიატოვა ბედშავმა მის გამო, ულუკმაპუროდ დაჰყარა ობლები ოქუმში. დღედაღამ თავს დასტრიალებდა არზაყანს.

ოო, რა სასტიკი ვართ მამაკაცები!.. მაგრამ, რა!.. სამსახურს ისევ უშოვნის დაბაში ძაბულის.

სხვარიგად გადაუხდის არზაყან პატივისცემას ძაბულის, სხვა რა დააკლდა ძაბულის? ჯერ არც არზაყანმა და არც ძაბული არ

იციან, თუ რა არის მათ შორის ქალი და კაცი? (დედის სიახლოვეს როგორ ჩაიდენს ასეთ რამეს აფხაზი ვაჟკაცი).

ამას ფიქრობდა არზაყან და სწორედ ამ წუთში ძაღლების ყეფა ატყდა. არზაყანს შენიშნული ჰქონდა: ასე გამწარებულად არასდროს ყეფენ ძაღლები, თუ მართლაც ვინმე არაა ეზოში შემოსული. ჯერ იყო და შეშფოთდა. ზოგი ჭიშკრისაკენ უტევდნენ, ზოგიც თხმელნარისკენ. ეს არ ეპრიანა, ახლა ყეფა უმწეო წკავწკავად შესცვალეს იმ ძაღლებმა, ჭიშკრისაკენ რომელნიც უტევდნენ. უცებ ერთი აღრიალდა საწყალობლად, ეტყობოდა, ვიღაცამ შემოჰკრა ჯოხი. და ეს ერთი, უცილოდ ბებერი მურა უნდა ყოფილიყო, თივის ზვინზე აყმუვლდა შემზარავი ხმით. არზაყანს გააჟრჟოლა ტანში. თავი გადმოყო საწოლიდან და ძაბულის ეუბნება: გაიხედე, რა ამბავიაო?

ძაბულის ხელები ცომში ჰქონდა ამოსვრილი. მაცალე, კეცი გამიცივდებაო. ისევ შეუტიეს ძაღლებმა ვიღაცას ახლა მამის ოდა-სახის ახლოს. არზაყანმა წამოდგომა დააპირა და ძაბულიმ დაასწრო, გაიხედა კარიდან, ქელეში მორბოდა, ანთებული ჭრაქი ეჭირა ხელში, ვინ არისო? შესძახა ხმადაბლა ქელეშს ძაბულიმ.

არავინ, მალანურები მოვიდნენო. მალანურები მოვიდნენო?

არზაყანი კედლისკენ მიბრუნდა. ეს არენბა არლანისა და გვანჯ აფაქიძის ოინებიაო. ვის რათ უნდა ეს თვალთმაქცობა, სისულელეა ამ წელს მალანურობის გამართვა. კოლექტივიზაციის ეპოქაში, მალანურობა რა გასამართავი იყოო? დაძრწიან ეს მალანურები სოფლად, მათხოვრობენ, ხალხს აწუხებენო.

ამის თქმა მოასწრო არზაყანმა და უკანა კარზე დააკაკუნა ვიღაცამ. ფრთხილად, ძალიან ფრთხილად დააკაკუნა.

არზაყან წამოდგა. ფეხი გაანძრია თუ არა, საშინელი ტკივილი შეიცნო. მოკრძალებულმა კაკუნმა აფიქრებინა: ალბათ თარაში

და ხათუნააო. ძაბულის ისევ ცომში ჰქონდა ხელები ამოსვრილი, ვიდრე ძაბული ხელებს დაიბანდა, კიდევ განმეორდა კაკუნი და საკმაოდ გარკვეული ჩურჩული ორი კაცისა.

„ალბათ ის წყეული მალანურებია, ძაბული, გაუღე, ჭირიმე, კარი“.

წარმოსთქვა და ისევ კედლისკენ მიბრუნდა, რათა მალანურებს არ გასაუბრებოდა.

ძაბულიმ წინსაფრით ხელები შეიმშრალა და ურდული გამოაძრო კარიდან და თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრო, ორი სატევრიანი მამაკაცი შემოიჭრა ფაცხაში. ქალის დანახვაზე შესდგნენ. ერთი მათგანი, ახმახი, მწითური დაწინაურდა, მხარმარჯვნით მოუარა ძაბულის და არზაყანის საწოლისაკენ გაემართა, ხოლო მეორე შავფაფახიანი ძაბულის ეცა. პირის მოკუმვა მოუნდომა, ხმაურობამ არზაყანს მოახედა: და სატევარამოწვდილი ჯამლეთ ტარბა ზედ წამოდგომოდა.

განაბულ ვეფხსავით ისკუპა არზაყანმა და ეცა ტარბას, მარჯვენა ხელი გადაუზნიქა. მიაწვა მკერდით სატევრიანი და შეიბნენ სამკვდროდ ზვამბაია და ტარბა...

შავფაფახიანმა იძალა და შეუკრა ძაბულის ხელები, მიაწვა მკერდგანიერ ქალწულის ფაფუკ სხეულს, მაგრამ ისევ ივაჟკაცა ძაბულიმ, ძუმგელსავით გაბოროტებული მისწვდა შავფაფახიანის განიერ მაჯას და უკბინა.

ისევ გაისმა ძაღლების ხორალური ყეფა და წკავწკავი. ზედიზედ გავარდა ბერდანა ეზოში. და სწორედ ამავე წუთში ექვსი ლანდი სროლით მიუახლოვდა კაც ზვამბაიას ოდას. კაც ზვამბაიამ და მისმა გაზრდილმა უკანა კარიდან გამოხტომა მოასწრეს და ტყვიებმა დაამსხვრიეს აფნის რიკულები, ხათუნამ და ლუკაიამ კარები გადარაზეს შიგნიდან და თარაშისა და მისი მამამძუძეს ლანდები სროლით გაემართნენ არზაყანის ქოხისკენ. მთვარეც

ჯერაც არ იყო გამოსული. კაც და თარაშ მირბოდნენ, ისროდნენ, წაიქცეოდნენ, ისევ დგებოდნენ და არზაყანის ფაცხისკენ მირბოდნენ სროლით.

ძაღლები მაგრად უტევდნენ ბნელში მორიალე თავდამსხმელთა ლანდებს...

* * *

...და სწორედ იმ წუთში, როცა ჯამლეთ ტარბას ხელიდან გაუვარდა სატევარი, არზაყანს დაზიანებულმა მარჯვენამ უღალატა, თვალებზე ბინდი გადაეკრა და საწოლზე წაიქცა გულშეღონებული. ჯამლეთ ტარბამ ხელი უშვა და სატევრისაკენ დაიხარა, მაგრამ წელში გამართვაც ვერ მოასწრო, ისე მიეჭრა თარაშ ემხვარ, ელვის უსწრაფესად დაიხვია ხელზე ჩოხის კალთა და სატევარი წაართვა ტარბას. გაცოფებული ჯამლეთ ტარბა ხელცარიელი ეძგერა თარაშს, მაგრამ თარაშმა ევროპული ბოქსი იხმარა. ჯერ გულისკოვზის ქვეშ მჯიღი ჰკრა ჯამლეთს, ტარბა დაბარბაცდა, დაიზმუვლა მხეცსავით და ისევ მიეჭრა და შემოჰკრა ემხვარს. გამართა მკლავი თარაშ ემხვარმა და ბორასებრ ცხვირზე ზევიდან ჩამოკრა.

პირგასისხლიანებული, ღონემიხდილი ტარბა ტფილისური თავურით ეძგერა ემხვარს. თავი გადასწია სწრაფად თარაშმა და ისეთის ძალით ჩასცა მარჯვენა ფერდში გველისპირული სატევარი მოსისხარს, რომ ეს უზარმაზარი ვაჟკაცი თოფნაკრავ დათვსავით აბღავლდა და ფუღურო ხესავით დახვავდა არზაყანის საწოლის გასწვრივ.

შავფაფახიანს ძაბული წაექცია კუთხეში მიყრილ სიმინდის ნაქურჩალზე, ძაბული არ ეშვებოდა, შავფაფახიანი კი არზაყანისკენ მიიწევდა. მიეჭრა კაც ზვამბაია, მშვიდად წამოაყენა შავფაფა-

ხიანი, თავისი გამხმარი მარჯვენა ისეთი სიმძაფრით გაარტყა სახეში, რომ ეს გახელებული ვაჟკაცი მოცელილსავით დასცა სოხანეზე, მერმე აუღელვებლად ამოიძრო სატევარი და ორჯერ ზედიზედ გადაატრიალა მის გაფატრულ მუცელში (და ამ წუთში ისეთი საქმიანი გამომეტყველება ჰქონდა კაც ზვამბაიას, ზედვე ეტყობოდა: უჩვეულო არ უნდა ყოფილიყო ასეთი რამ მისთვის). და როცა ძაბული წამოდგა და ადამიანის შიგნეულს დახედა: შეძრწუნდა (ეს ნაწლავები სწორედ ისეთნი იყვნენ, როგორიც იმ თხისა, კაც ზვამბაიამ რომ გამოშიგნა იმ დღეს კაკლის ქვეშ).

მინაწერი:

მეორე დღესვე ოქუმიდან გადაიკარგნენ: კაც ზვამბაია, მისი ვაჟი არზაყან და თარაშ ემხვარ. თუ ჩემმა მკითხველმა იცის, თუ რას ნიშნავდა წინად მოსისხარის გაჩენა საქართველოს მთიან პროვინციებში, იგი ადვილად წარმოიდგენს ჩემი გმირების უბედურებას.

ერთი თვის შემდეგ შარდინ ალშიბაიამ და გვანჯ აფაქიძემ ხმა დააგდეს ოქუმში: კაც ზვამბაია, თარაში და არზაყანი ტყეში შემოაკვდათო ტარბებს და მერმე ენგურში გადაუყრიათო გვამები. ენგურელი მებორნეც ამტკიცებდა, სამი ჩოხიანის გვამი ჩამოატარაო ენგურმა, ვგონებ, ისინი უნდა ყოფილიყვნენო.

ხათუნამ ქმრისა, ვაჟისა და გაზრდილის ნიშანი გამოიგლოვა, ხოლო ძაბულიმ არზაყანის ქვრივად გამოაცხადა თავი და ჯვალოს ძაძა შეიკერა კიდევაც. ხოლო მე, ამ უბედური ამბების ავტორი, დავღონდი ფრიად და სასოწარკვეთილმა ეს გადავწყვიტე, თხრობა შემეწყვიტა სავსებით...

კარი მესამე

ჯოკია

ჩვენისთანა ბედნიერი, განა არის სადმე ერი,
ყველა ცრუი, ყველა ყრუი, ამაყი და მანკიერი
ილია ჭავჭავაძე

ვისაც საქართველოს მთაში უვლია, მას უთუოდ ეცოდინება თუ რა არის ცხენის დალალი. ცხენის დალალს სტრაბონის დროიდან იცნობდნენ ალბათ საქართველოში მოგზაურნი. ოდესღაც იგი ასრულებდა აწინდელი ტურისტული ბაზებისა და სამგზავრო კონტორების როლს. ეს ტიპი უკვე აღარ შეგხვდებათ საქართველოს სამხედრო გზაზე, მანქანამ პირიდან ლუკმა გამოაცალა ცხენის დალალს.

1931 წელს მე ერთ მათგანს გადამკიდა შემთხვევამ, სვანეთს მეორეჯერ გამგზავრებისას. ეს მშვენიერი მოგზაურობა წამამწარა იმ ოჯახქორმა. ეგ არაფერი, ლამის იყო მოუსავლეთში არ გამგზავნა.

მისი სახელი ერთმა ინგლისელმა მეცნიერმა გამაცნო ტფილისში. მისტერ ემერი მოხიბლული დაბრუნდა დასავლეთ საქართველოდან.

„ვერც მითიური ოლიმპის მთა, ვერც ჰესპერიდების ბაღნარი, ვერც გენუის რივიერა ძველი კოლხეთის ბარს ვერ შეედრება, ხოლო სვანეთი შორს სჯობია, როგორც პირინეის, ისე ლუკხეის აპენინებს ამიერსა და იმიერს“.

მეუბნება მისტერ ემერი.

„როგორც სჩანს, თქვენ არ იცნობთ თქვენს სვანეთს. მარტო სილამაზე; სვანეთი ცოცხალი მუზეუმია, ჯერაც შეუსწავლელი მუზეუმი A very admirable country[32]. ინდოეთი, ავსტრალია, აფრიკა და ჩინეთი წაღმაუკუღმა გადაფარცხულია ფოლკლორისტების, მითოლოგების, ენათმეცნიერების, ტურისტების კალმით, აქ უკვე მოთავდა ექზოტიურ ამბებისათვის ნადირობა. ამ ქვეყნების ყოველი ტომი, ყოველი ნაშთი სიძველისა, შესწავლილია; ახლა არქტიკის ქვეყნებისაკენ მიიწევს საკვირველის მაძიებლის თვალი და ყური“.

„ესაა, — შემომჩიოდა უცხოელი, — სვანეთი მიუდგომელია, ძნიად სავალი.

ამდენი ჯაფა და ხიფათი არც აფრიკის ჯუნგლებში, არც ტიბეტზე გადასვლისას არ შემხვედრია. არც ამდენი ჯერაც უნახავი მინახავს და გაუგონარი გამიგონია.

რომელი კულტურის ნაშთებს არ შეეყრება კაცი სვანეთში: ირანული მაზდეანიზმი გნებავთ, ქალდუური მთვარის კულტი თუ ძველბერძნული მისტერიები“.

„იცით, მისტერ, მე ახლაც სვანეთს მივდივარ, მაგრამ უცნაურზე მონადირე მე არ გახლავართ. საკვირველი რამ ყოველ კაცს

[32] ფრიად საოცარი ქვეყანაა.

შეუძლია საკუთარ ბაღჩაშიაც აღმოაჩინოს, დასასრულ, საკუთარ სულში რომ ჩაიხედოს ყოველმა ჩვენგანმა, იქაც ბევრს ვნახავთ უცნაურსა და გაუგონარს“.

ინგლისელი დადუმდა. მისტერ ემერი ფრიად მოექანცა ჯორის ბილიკებზე ცხენით ჩაქჩაქს, წრიაპებით კლდეებზე ხოხვას, მონადირეების ქვაბებში ღამის თევას, უგზოობასა და უკაცობას. და ცხენების დალალს იხსენიებდა აუგად. ჯვარელ ცხენის დალალს — ვინმე ჯოკიას.

მე არ ვუთხარი, რა თქმა უნდა, უცხოელს ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში ცოტა როდია მატყუარა კაცი. გატყუებენ, როცა გპირდებიან რამეს, ან დროს დაგინიშნავენ და შეგიპირებენ, ამბავს მოგითხრობენ „საკუთარი თვალით ნახულს და საკუთარი ყურით განაგონს“. სტყუის რომელიმე ხელმოცარული მწერალი ან მეცნიერი, თავათაც სჯერა, რომ სტყუის და შენ კი ფული უნდა გადაიხადო მის სიცრუისათვის.

არც ჯოკიას წაუგია რამე სიცრუით. წრეულს ლონდონში წიგნი გამოუცია მისტერ ემერს, ჯოკიას იხსენიებს ამ შრომაში.

„Ergo?.. ტყუილით სახელი მოუხვეჭია ჯოკიას.

სხვებიც ეწევიან ცხენის დალალობას ჯვარში, მაგრამ ყველას ჯოკიამ აჯობა.

ვთქვათ, კაცს არაფერი უსწავლია და მოძღვართ-მოძღვარის მანტიით მორთული დაბრძანდება.

რითი ახერხებს ამას? ცხადია, სიცრუით.

ასეთი რამეც ხდება ჩვენში: არც ერთი წიგნი დაუწერია მწერალს და არც ერთი შრომა მეცნიერს, სახელი კი მოუხვეჭიათ.

არც ჯოკიას ჰყავს არც ერთი ცხენი, მაგრამ ყველას ცხენს ის აქირავებს და ჯვარშივე მიამბეს: ჯოკიას ფული რომ შემოაკლდება, ისეთ ცხენებისათვის აიღებს ბეს, რომლის ბადალი ბუნებაშიც არ არსებულა.

უფრო მეტი: მას ერთი „სამწლიანი, ფეხკავშა, თაფლისფერი ულაყი გაუყიდნია“ და ის ულაყი ჯერაც დაბადებული არა ყოფილაო.

მე გამოვკითხე ამ საინტერესო ულაყის სადაურობა ჯოკიას.

„საქმეც ის არის პატოდნსქუა, ისეთი ცხენი გაჰყიდო, რომელიც არ არსებობს, თორემ ნამდვილს ყოველი შლეგიც იოლად გაჰყიდის“. ფრიად პატივცემულო და დარბაისელო მკითხველო, ნუ განმიკითხავთ ამ მწარე სტრიქონებისათვის, არცთუ კეთილზნეობის მქადაგებელი გეგონოთ (რადგანაც მე მძაგს მქადაგებელი და მღაღადებელი კაცი). მე კარგად ვიცნობ ქართველი კაცის სიავკარგეს ციხეში, ომში, ტყვეობასა და უცხოობაში, ჭირსა და ლხინში მყავს იგი გამოცდილი, აქ არ ვახსენებ ღვინის სმას, ნადირობას და სიზმრის ახსნას (ამ უკანასკნელ სამ მომენტში ყოველი კაცი უთუოდ სტყუის ან აჭარბებს).

თქვენ როგორ გგონიათ, მე ხომ არ ვუამბობდი ამას ყოველივეს გადამთიელ ინგლისელს! პირიქით მე ვუმტკიცებდი პატივცემულ მეცნიერს, რომ საქართველოში ის ერთადერთი ცრუ შეგხვედრიათ-მეთქი, ცხენის დალალი ჯოკია.

მომიტევეთ გრძელსიტყვაობა და მე მინდა კვლავ მივუბრუნდე ჩემს სათხრობს.

მესამე დღეს, ოქტომბრის 17-ს, ისედაც სვანეთს გამგზავრებას ვაპირებდი. წინასწარ მქონდა გადაწყვეტილი ჯოკიას არ გავკარებოდი ჯვარში ჩასვლისას.

ღელავდნენ ჩემი ტფილისელი მეგობრები. აწი სვანეთს გამგზავრება გვიანიაო, ქარბუქითა და ზვავებით მაშინებდნენ, მაგრამ არ დავიშალე, რადგან რისკი და ხიფათი ამშვენებს ჩემს თვალში გზას.

ხოლო ტფილისში, ტფილისში ისეთი დარი იყო, ვერც კი წარმოიდგენდი, წვიმა, თოვლი და ნისლი თუ კვლავ დაასველებენ

მიწას, ან ისეთი ქვეყნები თუ არის სადმე, სადაც თოვლისა და ზვავების ეშინიათ ამ წუთში.

ეს ის დრო იყო, როცა ჩემი გმირები ოქუმიდან გადაიკარგნენ.

მე აღარ ვიცოდი როგორ დამესრულებინა ჩემი რომანი. სხვა რაღაა ამ ქვეყნად უფრო დიდი ტკივილი, თუ არ შემოქმედების დაუსრულებელი ნაყოფის გულით ტარება. ეს იგივეა, ქალს გადაუცდეს ცხრა თვის ყავლზე მოლოგინება.

განუზომელია გულისწუხილი ხელოვნისა, ვიდრემდის გულში ბუნდოვნად მორიალე მითი არ მოსწყინდება შემოქმედს, როგორც მწიფე ნაყოფი ყუნწს.

ოჰ, ეს დიდზე-დიდი ძრწოლაა და ასეთ დროს საშინელი წრიალი ამიტანს ხოლმე, ავბორგდები და გამიშვით სამოგზაუროდ.

არ ვიცი რატომ, და მე მოძრაობის ჟამს უკეთა ვჭვრეტ როგორც ჩემს თავს, ისე სამყაროს. მოძრაობა მაწვდის უდიდეს დვრიტას შემოქმედებისას და ამიტომაც უმძაფრესი სიყვარულით ვხატავ ხოლმე მიმავალს, მიმქროლავს, მორბენალსა და მორკენალს.

ოჩამჩირის სწრაფით ზუგდიდამდის მივაღწიე, იქიდან ფორდით ჯვარს ჩავედი და ცხენი მოვიკითხე მყისვე სვანეთს წასასვლელად.

„ჯოკიას მიმართეთ“, — მეუბნება თემრაზ, ჩემი მასპინძელი, გამეცინა.

თემრაზს ჯოკიას ამბავი არა სცოდნია, გავიფიქრე და მე ლონდონიდან მამცნეს ჯოკიას ამბავი. ახლა თემსაბჭოს თავმჯდომარეს შევეკითხე: „ამჟამად სვანები საზამთრო მარილს იმარაგებენ, ჩალვადარების ცხენების გზის მშენებლობას უნდებიან, ჯოკია მოსძებნეთ, ცხენის დალალი“.

დამარიგა თემსაბჭოს თავმჯდომარემ.

სკოლის გამგე შემხვდა, ძველი ნაცნობი, „ისევ ჯოკია თუ გიშოვნით ცხენს“, მიპასუხა.

საშველი არ ყოფილა-მეთქი, გავიფიქრე. მეც ავდექი და ჯოკიას დავუწყე ძებნა. დუქანში ვიკითხე, ფოსტაში წავიდაო. იქ მივედი, შინ წავიდაო. შინ მივედი, თემსაბჭოშიაო. უკვე გვიან იყო და თემსაბჭო დაკეტილი დამიხვდა.

საღამოს თემრაზს შევჩივლე: „მოდი ერთი ამიწერეთ მაინც ეს წყეული ჯოკია. ვერცხლის წყალივით დავარვარებს ი ოჯახქორი, მთელი დღეა დავეძებ, ვერ ვნახე. ეგებ ვხვდებოდე და ვერც ვცნობილობდე.

თემრაზმა გაიცინა და ეს მითხრა:

„ერთი ციდაა, ბატონო, ჯოკია, მწითურია, ჭორფლიანი, მოუვლელ ვაზსავით დაღრეკილი. ცხვირი სახნისს მიუგავს, ჩალისფერი თვალები აქვს და ალისფერი თმები. ნავსია, ბატონო, ჯოკია, მეტი რა გითხრათ, ნავსი. დილაობით რომ შევხვდებით, ეშმაკს მივაფურთხებთ, საბძელთან რომ გაივლის, აბა განზე გაიარე, ცეცხლი არ გააჩინოო, მიაძახებენ ბიჭები. ყველას ჭირის დღესავით სძულს, მაგრამ ყველას ესაჭიროება. დღე ისეთი არ გამოერევა, ოცი კაცი არ დაეძებდეს ჯოკიას. ჯვარში მოიკითხავ, სვანეთშიაო გეტყვიან და როცა სვანები იქ შეიგულებენ, უკვე ტფილისშია ჯოკია“.

„კი, მაგრამ, რა კაცია ეს ჯოკია?“ — ვეკითხები ისევ თემრაზს.

„ცხენის დალალი, ხარის დალალი, მაჭანკალი, ყოფილი ვაჭარი, შავსიელი და ძაღლთაპირი“.

მეორე დღეს ჯოკიას ძებნისაგან ქანცმილეული მივდივარ თემშარაზე.

გავიხედე: ალისფერთმიანი ქონდრის კაცი მოდის და მოიმღერის, ჩაბალახი მხარზე გადაუგდია, წელზე სატევარი შემოურტყამს.

ჯიქურ მივედი, ვეუბნები: „თქვენ ხომ არა ხართ ჯოკია?“

„თქვენი გამარჯვებისა იყოს, პატოდნსქუა“, ენის მობრუნება არ მაცალა: მე თქვენ გეძებდითო.

„??? თქვენ რა იცით, მე ვინა ვარ?“

„მე ყველას ვიცნობ, კონსტანტინე გამსახურდია ხართ, არა?“

„დიახ, მე გახლავართ“.

„მე უკვე მზად მყავს ოთხი ცხენი თქვენთვის, პატოდნსქუა“.

გამეცინა.

„ოთხი ცხენიო? ოთხი რად მინდა. მე... მე ერთი ვარ, ბატონო“.

„ბაგაჟი?“

„ბაგაჟიო? ერთი აბგა მომაქვს, ერთი სანადირო თოფი. ასიოდე ვაზნა. ერთი ალპენშტოკი — მუჯრა და ათიოდე ბლოკნოტი“.

ჯოკია შესდგა. საკუთარი წაღების ჭვინტებს დააჩერდა. თავი გაიქნია.

„ერთიო? ერთი არ იქნება. ოთხივე უნდა წავუყვანო მესტიაში პატრონს“.

დავღონდი. მერმე თვალები უცნაურად დააფახულა, მეუბნება:

„თუ მოიცდით, სამ მუშტარს კიდევ ვიშოვნი, თუ ბედი გაქვთ, თუ არა და რა გიყოთ, პატოდნსქუა“.

„ჯოკია, რად მიწოდებთ ბატონისშვილს, განა გადაგვარებულ ოდიშელ აზნაურებს რაიმეთი წავაგავარ?“

ვეკითხები ოდნავ შეურაცხყოფილი.

„ყოველი კაცი იმას უნდა მიამგვანო, პატოდნსქუა, ვისაც იგი არა ჰგავს, თორემ ყველა რომ იმას მიამგვანო, ვინც ვისა ჰგავს, მაშინ აქედან უნდა მოუსვას კაცმა. ახლა უკაცრავად, ცოტა მეჩქარება“. ეს მითხრა და შუაგულ თემშარაზე დამტოვა.

მეორე დღეს ისევ ცხენის საძებრად გავიარე თემსაბჭოსკენ. გავიხედე: მკვდარს მიასვენებენ, ჯოკია წინ მიუძღვის დამწუხრებულ ჭირისუფლებს, ორივე ხელს იშენს თავპირში, მოთქმითა და

ვაი-ვაის ძახილით მიყვება კუბოს. მე ქუდი მოვუხადე მიცვალებულს, განზე გავდექი. დამინახა თუ არა, გლოვა მიატოვა და მომეჭრა.

„როგორც იქნა გიშოვნეთ, პატოდნსქუა, მერმე რა ცხენი“.

„ერთი?“

„ჰო, ერთია, მაგრამ ცხრას სჯობია“.

„ეს ვინ მოგკვდომიათ, ჯოკია?“ — ვეკითხები მოსამძიმრის ტონით.

„ერთი ქობულია გადაიცვალა, დიდი არამზადა და გაიძვერა ვინმე. დილას სალამის მოცემამდის გაგლანძღავდა, როგორა ხარ შე მყრალოვო, მოგახლიდა პირში. ცოლშვილთან მოკითხვას დაგაბარებდა და დედის სულს გადმოგიბრუნებდა“.

გამეცინა.

„მერმე შენ რად მოსთქვამდი, ჯოკია, ასე მწარედ?“

„მე ის მაწუხებს, ამ სოფელში სხვაც ბევრი დარჩა მასზე უარესი და ასე ნელ-ნელა რომ იხოცებიან ეს არამზადები, პატოდნსქუა“.

მესამე დღეს უთენია გამაღვიძეს. ჯოკია მოვიდაო.

ცხენი მომგვარა ისეთი, თვალს რომ დახუჭავდა, მკვდარი გეგონებოდათ. ზურგდაშავებული, ფერდებშელეწილი, უჯიშო.

„არა, ჩემო ჯოკია, ამაზე ჯდომას ფეხით წასვლას ვარჩევ“.

ცივად გავისტუმრე. კიდევ ერთი ცხენი მომგვარა.

„ეს კი მირონის ცხენია, შვილებს გეფიცები“. ამბობს ჯოკია.

ცხენს მართლა არა უშავდა რა. მე მთაში ნავალი ვარ. ვიცი, ყოველი ცხენი არ გამოდგება მანდ. აქ უმთავრესია ცხენი ძლიერ მუხლმაგარი იყოს და არა ფრთხებოდეს, თორემ უფსკრულში გადაგიძახებს და ასახვეტი გახდები.

შევჯექ, გავაჯირითე. ფორხილობდა, ქლოშინობდა, ქუში სჭირდა. ხიდზე ოჩნობდა.

ეს ცხენიც დავუწუნე.

ნასადილევს კახური ღვინო მომენატრა. დუქანში შევიარე. ერთი ბოთლი მოვატანინე. ვზივარ და ტფილისურ გაზეთებს ვათვალიერებ. დუქანი მთვრალი ხალხით იყო გავსილი. ერთ კუთხეში ათიოდე კაცი იჯდა. ჯოკია ფეხზე იდგა და ვიღაც გაპარსულ, ღაბაბიან კაცს მაღალფარდოვან სადღეგრძელოს ეუბნებოდა. აქებდა მის სიბრძნეს, დიდსულოვნობას, გულუხვობას, ზნეობრივ სისპეტაკეს, გულმოწყალებას და არ მახსოვს კიდევ რას. ერთი სიტყვით, მეშვიდე ცაში აჰყავდა იგი. საერთოდ ისეთი ჩინებული ქართულით ამბობდა ამას ყოველივეს, გავოცდი, სახეზე გაზეთს ვიფარებ და ვუთვალთვალებ.

როგორც კი გაზეთი დავკეცე, მყისვე თვალი მკიდა. ზეწამოიჭრა და მომვარდა. თავის კამპანიის სახელით მთხოვა მათ სუფრაზე გადავსულიყავ. მეჩქარება-მეთქი, მოვიმიზეზე. ცივი უარი ვუთხარი. ახლა ბოდიში მოიხადა, ცხენი რომ ვერ მიშოვნა იმის გამო.

„შენ დიდი მჭევრმეტყველი ყოფილხარ-მეთქი, მივმართე ჯოკიას. ვის ეუბნებოდი ასეთ გრძელ სადღეგრძელოს?“

„ეჰ, მე რა მოლაპარაკე ვარ, მაგრამ ბლუებში ჩავვარდი, მე მალაპარაკებენ და თვითონ სქდებიან... ის თავმოტვლეპილი. ის ერთი ნათავადარია, დიდი გაიძვერა, წინად კონტრაბანდისტი იყო, ახლა ბუხჰალტერია ბათუმში, საკუთარ ცოლსა და ქალიშვილს აქირავებს, ახლა სვანეთის ტყის წარმოებაზე მიუმაგრებიათ“.

„ის ვინაა, გვერდით რომ უზის, ქერა?“

„ესეც ჯვარელი ნახუცარია, გათახსირებული, გარყვნილი კაცი. ნიკოლოზის დროს ყალბი მატრიკულების გაცემისთვის გაციმბირეს, ბოლშევიკების დროს კატორღელი ვარო, ამტკიცებ-

და. ესეც გაუგეს, გაკრიჭეს და აქედან გადაასახლეს. ახლა სასჯელი მოუხდია. აქ ჩამოეთრა, ცოლი მოუკვდა და სიდედრთან ცხოვრობს“.

„ის სათვალიანი მოხუცი ვინღაა?“

„ის ყოფილი სოციალ-დემოკრატია. ძველი საზოგადო მოღვაწე. ისიც კარგი მამაძაღლია. მენშევიკების დროს ერობის თავმჯდომარე იყო, ბლომად ქაფავდა. მენშევიკები რომ გაიქცნენ, ხუთი ფუთი ხინა გაიტაცა, აუარებელი წამლები, საპონი, საფაღარათო ზეთი, რამდენიმე მილიონის საქონელი. ყველაფერი ბათომში შეაჭამა ბოზებს. მერმე ვირის აბანოში ჩააგდეს. ახლა ყოველდღე საკუთარ ამხანაგებს აბეზღებს. ყოველ წმენდაზე გამოვა და ბღავის: აქამდი რეგვენი ვიყავი, ვცდებოდიო, ახლა კი მოვჭკვიანდიო, მაინც არავის სჯერა, რომ ახლაც არ სცდება“.

ასეთი ფერადებით შეამკო ყოველი თავისი მეინახე ჯოკიამ და გამეცალა.

მეორე დღეს ტფილისს გაბრუნებას ვაპირებდი.

ისევ მოვარდა. კარის ალაგიდან დაიწყო ცხენის ქება: ულაყიაო, იორღააო, მუხლმაგარიაო, მშვიდი და ოქროსფერი. ხახულის ღვთისმშობელს, ჯვარის მთავარანგელოზს იფიცავდა: თვითონ ილორის წმინდა გიორგი უკეთესზე არა მჯდარაო.

ქირა ვკითხე.

ოცდაათ თუმანს კაპიკი არ დააკლდებაო. ცოლ-შვილი გაიწყვიტა. მიცვალებული მამის ძვლები საკუთარი კბილით დამეკვნიტოსო. ჩემი ერთადერთი ვაჟის კუბო მენახოსო, თუ ორასი მანეთი პატრონის მისაცემად არ დამჭირდესო და ფუთი ქერი ხუთი თუმანი არ ღირდესო. ოცდაათი თუმანი ეს შენთვისააო, თორემ სხვისთვის სხვა ფასი იქნებოდაო.

სხვა გზა არ იყო, გავურიგდი და ბე მივეცი. ცხენი მართლაც ჩინებული აღმოჩნდა.

კიდევ კარგი, ერთი სიმართლე რომ დასცდა ჯოკიას. ეს გავიფიქრე.

უზანგის ჩამოწევისას, ჩემ ინგლისურ წინდებს და სასპორტო შარვალს მიაჩერდა:

„ამ წინდებით თუ აპირებ, პატოდნსქუა, ჰადიშის მყინვარებზე ასვლას და ჯიხვებზე ნადირობას“.

„შენ არხეინად იყავი, ჯოკია, ამგვარად ჩაცმულს მომივლია ალპები“.

„სვანეთი სხვაა, პატოდნსქუა, ალპები კიდევ სულ სხვა“. ჯოკია ფეხდაფეხ მოსდევდა თოხარიკით მიმავალ ცხენს.

„ნაბიჯით ვიაროთ, პატოდნსქუა, თორემ ისინი ვერ დაგვეწევიან, მომძახის თმაგაწეწილი ჯოკია ქარში.

„ვინ ისინი?“ ვეკითხები.

აკი მოგახსენებდით, სამი ცხენოსანი ვიშოვნე-მეთქი. სამი მათ მივეცი და მეოთხე, საუკეთესო თქვენ დაგიტოვეთ“.

„ისინი ვინღაა მაინც?“

„აი დაგვეწევიან და თვითონ ნახავთ, პატოდნსქუა. გვარი და სახელი არც მე ვიცი მათი“.

„ჩემთვის ხომ სულ ერთია მართლაც, ცხენით მარტოსვლა მოსაწყენია. რა მენაღვლება, ვინც არ უნდა იყოს“. გავიფიქრე და ცხენი შევანელე.

მდინარე მაგანაზე ახალ ხიდს აგებდნენ. გამოღმა ტრაქტორი თუხთუხებდა.

ხარაჩოებზე გასულ მუშებს რკინის კაკუტები გაჰქონდათ. ცხენმა ოჩნობა დაიწყო, დავტუქსე. მდინარეში შევაგდე.

„რა სულელებია, — ამბობს ჯოკია, — ტყვილა აგებენ ამ ხიდს, პატოდნსქუა. ამ დალეულ მაგანას რომ უყურებ, გაზაფხულზე ენგურს გაუტოლდება იგი. ერთს ლოთიანად მილეწავს მაგ ხიდს და მერმე თავში ქვა იცენ“.

მოშაინურად შენიშნა ჯოკიამ.

კიდევ გავიარეთ ორიოდე კილომეტრი. მე უკვე დარწმუნებული ვიყავი: სამი ცხენოსნის ამბავი ზღაპარი გამოდგებოდა. კი, მაგრამ სამი დღე რაღად მაცდევინა ამ წყეულმა ჯოკიამ ჯვარში?

„სადღა არიან შენი ცხენოსნები, ჰა, ჯოკია?“ გადავძახე.

„დედის სულს გეფიცები, პატოჟნსქუა“... მითხრა ჯოკიამ, ძუნძულით წამოეწია ცხენს და ხმადაბლა განაგრძო: “„საქმე ასეა, პატოჟნსქუა, მე ვიცი ვინცა ბრძანდებით, საიდუმლოს არ გასთქვამთ. ამას წინად საშინელი საქმე შეემთხვა ჩემს ნათლიმამას კაც ზვამბაიას. მის ვაჟს ლომკაცია ტარბა შემოაკვდა. მალანურობას გაზრდილი ეწვია. იმავე საღამოს ტარბები თავს დაესხნენ. ორი ძმა ტარბა კიდევ შემოაკვდათ, ახლა სვანეთში უნდა გავაპარო, პატოჟნსქუა, თორემ ტარბები უძლიერესი გვარია. ცოცხალს არ გაუშვებენ. აფხაზები ხომ იცი, პატოჟნსქუა, ერთ წვეთ სისხლს არავის შეაწევენ. მალაზონიას ემართა მათი სისხლი, ერთი ძმა მოსკოვში მოუკლეს სამაგიეროდ“.

„კი, მაგრამ რა უშავდათ ჯვარიდანვე გამოგვყოლოდნენ?“

„მე ბევრი ვარწმუნე, პატოჟნსქუა, ახალგაზრდები თქვენ გიცნობდნენ, მაგრამ კაც ზვამბაიამ არა ქნა. კაც ზვამბაია ძველი ნაყაჩაღარია, ზომაზე მეტად ფრთხილი კაცია, გზაში წამოგეწევითო. ასე დამაბარა, პატოჟნსქუა“.

აბჟანდები დამიმოკლე-მეთქი, ვთხოვე ჯოკიას. მოსდგა. აბჟანდები დამიმოკლა და სწორედ ამ დროს სამი ცხენოსანი გამოჩნდა ახლადმოგებულ თემშარაზე. ჩაბალახით თავგაკრული, ლოყებღაჟღაჟა მოხუცი წინ მოუძღოდა ორ ახალგაზრდას. ორივენი გამგელებული მოაგელვებდნენ ოფლში გაღვარულ ცხენებს, მოხუცს მაინც ვეღარ უბედავდნენ წინ გასწრებას. რა მომეახლნენ, თვალი ვკიდე: ახალგაზრდები პირს ნაპარსავან ოდეს-

ღაც. თავი ჩაბალახით ჰქონდათ გაკრული, ბუძგასავით მოსდებოდათ უწესრიგოდ მიშვებული წვერულვაში. დახეული, მოურგებელი ჩოხები ემოსათ, ნასხვისარობა ეტყობოდა ტანისამოსს. მუხლის თავამდი ლაფში ამოსვრილი ჩექმები ეცვათ, ჩოხის კალთებზე ძურწა მოსდებოდათ. გზაში უზომოდ გაეხელებინათ ცხენები. ჩემს დანახვაზე ველური ჭიხვინი და ხვიხვინი შეჰქნეს ნასუქალმა სვანურმა ულაყებმა და ლაგამებს დაუწყეს ღრღნა.

მეც გული მერჩოდა ამ ახლად ნაგებ თემშარაზე მიმეშვა ჩემი ცხენიც, მაგრამ უკვე მგლურით სვლაც სახიფათო იყო.

დინამიტებისაგან მკერდშელეწილი კლდეების ლეშები ეყარნენ გზადაგზა, გამურული როლლერები ბუბუნით დაბობღავდნენ წაღმა-უკუღმა. ლაღუმების გრიალ-გრიალი ერთვოდა ენგურის ღრიალს და ასეთ გზაზე ცხენი თუ დაგიფეთდა, მაშინ მშვიდობით სიტკბოებავ წუთისოფლისა.

მოხუცებულმა არად ჩამაგდო, უკითხავად დააწინაურა ცხენი. დატუქსა ყმაწვილები: მდინარის კიდეებს არიდეთო ცხენები და წინ გაგვიძღვა მდუმარედ. მცირე ხანს ასე ვიარეთ. ენაგადმოგდებული ჯოკია ძუნძულით მოგვსდევდა უკან. ხანდახან ბილიკებით გზას მოგვიჭრიდა, შორს გადაგვისწრებდა, წამოვეწეოდით და ისევ მოგვსდევდა უკან ბეკა ძაღლსავით.

გზის ასაქცევთან ასიოდე მუშა დასძგერებოდა ჩამონგრეულ ლოდს. ენგურში უპირებდნენ გადაშვებას. მათი მგრგვინავი „ურაჰ“, მდინარის ღრიალს ერთვოდა.

სწორედ ამ ადგილას ცხენი შეაყენა კაც ზვამბაიამ. მათრახით გვანიშნა გზაზე გაწკაპულად: დაქვეითდითო. გამოირკვა, ხის ბოგირი დაუმსხვრევია ძირს დაგორებულ ლოდის ნამუსრევს. სხვა გზა არ იყო, ენგურზე უნდა გადავსულიყავით ცხენდაცხენ.

რამდენადაც დინჯია ზღვას მიახლოებული ენგური ოდიშში,

იმდენად გადარეულია ენგური სვანეთში. აქ მისი საწოლი ვიწროა და ათასგზით დაკლაკნილი. როგორი ძალა უნდა ჰქონდეს ამ წყალს რამდენიმე კილომეტრის სიღრმეზე რომ გაუჭრია გრანიტის ტინი, ასე საშინლად დაულეწია ეს სალი კლდეები, ლოდები მიურეჯგვ-მოურეჯგვავს და ფერდებშელეწილ ფლატეებს ებდღვნება დაკოდილ ლომსავით.

მე მრავალგზის გადავსულვარ ცხენით ჩვენს მდინარეებზე, მაგრამ ენგურს რომ დავხედე, შემზარა.

მე და არზაყანი ცხენით გადავლის წინააღმდეგი ვიყავით, გზის უფროსიც ამბობდა, სამ დღეში ხიდს აღვადგენთ და მანამდის მუშების ბარაკში დარჩითო.

თავდაპირველად კაც ზვამბაიაც მოცდის მომხრე იყო, მაგრამ ჯოკიამ გაახელა: ამ ადგილას დედალიც კი გაცურავსო.

აიჩემა თავი მოგვეჭრებაო საქვეყნოთ. ახლა კაცმაც გამოიდო თავი.

კაც ზვამბაია არად აგდებდა ჩვენს თათბირს. თქვენ ახალგაზრდები ხართ, რა გესმით. ასე გამოდიოდა მისი ნათქვამიდან.

თარაშ ემხვარი თავის მამამძუძეს მიემხრო.

თუ ძველებური წესით უფროსი მამაკაცი უნდა მიუძღოდეს ცხენოსნებს, მდინარეზე გასვლისას უმცროსი უნდა დაწინაურდეს.

უკვე ვაჟკაცური თავმოყვარეობის საქმედ იქცა ეს ყოველივე და ამიტომ არზაყანი დაქვეითდა და ბილიკ-ბილიკ ჩაუძღვა ცხენს ენგურისაკენ.

სრული ერთი საათი ჩავდიოდით ძირს.

როგორც კი ნაპირს მიეახლა, ისევ შემოახტა არზაყან ცხენს და მათრახი სწყვიტა. ორჯერ მიაგდო კლდოვან კიდემდის, ორგზისვე უკუიქცა და მერმე გადააგდო აბობოქრებულ ენგურში ცხენი. ჯერ იყო და ფსკერამდის დავიდა ცხენიცა და მხედარიც და

შემდეგ რამდენიმე მეტრის სიშორეზე ამოყო თავი მხედარმა. კაც ზვამბაია ნაპირზე იდგა. ორივე ხელი ტუჩებთან მიეტანა: ქვეითკენ დაჰყევიო წყალს, უყვოდა არზაყანს. ახლა ემხვარი მიჰყვა არზაყანს. კაც ზვამბაიამ ჯოკია შემოისვა უკან და მე მანიშნა.

მეც მოვუქნიე მათრახი. გამაჟრჟოლა ტანში და გადავუშვი ჩემი ცხენიც ენგურში. ტყვიასავით ჩამძირა გაყინულმა მდინარემ, მაგრამ ნაცადმა ცხენმა იმარჯვა და სავსებით გაზუზულმა ისევ ზეამოვყავი გაბრუებულმა თავი. მერმე, აბურთავა ჩემი ცხენიც ენგურმა. ორ-სამჯერ მომეჭრა ტალღა წელს ზემოდ და ლამის დამითრია. ჩემს სიცოცხლეში ასეთი გასაჭირი არ დამდგომია. ენით უთქმელი სისწრაფით მსრბოლავმა წყალმა თვალი ამიქცია და აღარ ვიცოდი გაღმა გავყავდი ცხენს თუ ისევ გამოღმისკენ მიმათრევდნენ ზვირთები.

ერთ წუთში უზარმაზარ ლოდთან მიმაგდო ენგურმა და ლოდიდან გადმომხტარი ტალღა ნათელსავით გადამეღვარა თავ-პირზე. მერმე აღარ მახსოვს, როგორ გამომტაცა მდინარემ სადავე, ცხენის ფაფარს მოვებღაუჭე და მივყევი წყლის ქროლვას.

შემოაბრუნა ცხენი კაც ზვამბაიამ (მას უკვე ყველაზე ადრე გადაეჭრა მდინარე) და გამომიდგა საშინელის ყიჟინით არ ვიცი ჩემმა ცხენმა ივაჟკაცა, თუ რა მოხდა, მე უკვე ნაპირს ვუახლოვდებოდი. ისევ გაღმისკენ აქცევინა პირი კაც ზვამბაიამ თავის ცხენს. უკვე სამშვიდობოს გასული ვიყავი. თვალი მოვიწმინდე ტალღის ნაშხეფებით აცრემლებული. ესღა დავინახე: როგორ მოიხედა კაც ზვამბაიას ზურგზე მოკოტებულმა ჯოკიამ და დამეჯღანა, მწითური, ცხვირა ჯოკია ეშმაკსა ჰგავდა კაცის სხეულზე მობღაუჭებულს. და მაშინ ესა ვთქვი ჩემს გუნებაში: ჯოკიას რომ შუა საუკუნეებში ეცხოვრა, ეშმაკთან წილნაყარი ეგონებოდათ და უთუოდ დასწვავდნენ-მეთქი.

დალი

გზადაგზა თარაშ ემხვარ მიდიოდა ჩემზე წინ. უღიმღამოთ შემესიტყვებოდა ხოლმე. ხოლო არზაყანს უფრო მორიდებულად ეჭირა თავი, შეხმიანებაზე ძუნწად მაძლევდა პასუხს. წამიერად თვალს შემავლებდა უცხოურად ჩაცმულს და მდუმარედ გასცქეროდა ჩამოლეწილ კლდეებს, და მიჰყვებოდა ლოდებით დახერგილ, ღორღიან ბილიკს.

გავივაკებდით ოდნავ, ისევ გამორბოდნენ მუშები. ჩვენც სადმე კლდის უბეში მიყუჟულნი ვუცდიდით ლაღუმის გასროლას. დაიგრიალებდა დინამიტი, შედრკებოდნენ ცადალანძული ფლატეები და ამ თვალუწვდენ ხეობაში გრგვინავდნენ. ზანზარებდნენ მთები. და რაც უფრო წინ მივიწევდით, მით უფრო ხშირ-ხშირად ისროდნენ ლაღუმს. მამალ ჯიხვსავით მოკუნტრუშებდა გულმოცემული ენგური, გასიპულ ლოდებზე ზათქით და ბუბუნით ეკვეთებოდა კლდეებს, თითქოს უხარიაო, ამ შეუვალ ფლატეების აღსასრულის მოწევა.

„ო, რა უღმერთოდ ჩაუჩეხავთ ეს მშვენიერი ნაძვები!“ შემომ-ჩივის ემხვარი.

ათიოდე კილომეტრზე ასეთი სურათი დაგვხვდა:

მართლაც მრავალი ათასი ნაძვი გადაეშვათ თვალუწვდენ ფლატედან. ურთიერთს ზედ შეხტომოდნენ ხეები. ენგური გაევსო ნაძვების, ფიჭვების, ურთხმელების მორებს.

ზოგს ნაპირამდის ვერ მიეღწია, ზოგიც მანდიკურად გახირულიყო ლოდსა და ლოდს შორის, ზოგი ურთიერთს ზედ შეხტომოდა და ასე ძმურად ჩახუტებულნი ადგილიდანაც ვერ დაეძრა წყალს. და მრავალი ათასი მათ შორის ჩამპალიყო შლამიან ნაპირზე დახერგილი. მცენარეულის მოყვარულს მართლაც გული აუტირდებოდა მათ შემხედვარეს.

პატარა სოფელი გავიარეთ.

ფეხშიშველა, ჩიყვებიანი ბალღები შემოგვეყარნენ. ცქრიალა თვალები ჰქონდათ, ბადრიჯანის სიმსხო ჩიყვები. პატარა ფაცხის აივანზე სელს ბეჭავდა მოხუცი ქალი, ცხვრის დუმის ოდენა ჩიყვი ეკიდა კისერზე.

გზა გაუარესდა. ალაგ-ალაგ წყდებოდა ახლადნაგები თემშარა. თხის ზურგის ოდენა ბილიკებზე გადავდიოდით გზის შემოსაკლებად. ხანაც ისევ დაქვეითება გვიხდებოდა, რადგან ბოგირები ჩაელეწნა ლაღუმისაგან დაძრულ ლოდებს. ახალგაზრდები სიკვდილს ეთამაშებოდნენ, დაქვეითებას არ კადრულობდნენ, ჩატეხილ ბოგირებზე და შეწყვეტილ ბილიკებზე ცხენს ახტუნებდნენ.

„რად მიიჩქარით ასე?“ ვეკითხები ემხვარს.

„ჩვენი ამბავი უთუოდ გეცოდინებათ, აბა რა შვილია, ჯოკია დაგიმალავდათ. დაღამებამდის ზუნტარის კლდეები უნდა გავიაროთ, თორემ შესაძლებელია მდევარი დაგვეწიოს და ამ ციცაბოებში ბავშვმაც რომ კენჭი გესროლოს, გაგაფუჭებს“.

„არაფერია, ოთხნი ვართ, მე მგონია, ვერ შეგვბედავენ“. ვეუბნები მე.

„თქვენ საერთოდ გირჩევთ, ოდნავ ჩამოგვრჩეთ, ან წინ გაგვისწროთ“, — მეუბნება ჩემზე წინ მიმავალი არზაყან, — „ვინ იცის რა მოხდება. ეს ჯოკია დიდი უწმინდური კაცია, შესაძლოა კიდევაც შეატყობინა ტარბებს ჩვენი წამოსვლა“.

„მაინც არა ღირს, ყმაწვილებო, ასეთ უფსკრულების პირისპირ ცხენების გახელება“.

თარაშ ემხვარ მომიბრუნდა:

„იცით, ბატონო კონსტანტინე, მე საერთოდ ძლიერ მაღელვებს მთა. ზღვის პირად მუდამ მოწყენილი ვარ. ზღვას დაუკარგა ტექნიკამ შიში და რიდი. მესმის ოდისევსის დროინდელი ზღვა. ალბათ დიდი ემოციების აღმძვრელი იყო იგი. ახლა რა: კეთილმოწყობილ ოკეანის გემზე თავს ისე გრძნობ, თითქოს შინ იყვე. ტრამალის შემხედვარეს ძილი მერევა. ხოლო მთა პირდაპირ მაცოფებს. მთას რომ დავინახავ, მისი გადავლა მომინდება. იმას გადავალ, ახლა მეორე მასზე უმაღლესი გამოჩნდება, კიდევ და კიდევ... მთა დარჩა ერთი, რომელსაც ტექნიკამ ჯერ ვერაფერი დააკლო“.

ლაღუმის გრიალი გაისმა უცებ. აზანზარდნენ ნაძვნარიანი მწვერვალები, გარეული ტახის ქეჩოსავით წამოქოჩრილნი. და დავინახეთ თუ როგორ მოძვრა კლდეს უზარმაზარი ლოდი, დაიჭექა, დაიგრუხუნა და ენგურში გადაიჭრა გრიალით. ცხენები შეტოკდნენ, სადავის დამოკლებაც ვერ მოვასწარით, ისე გადავიდნენ მგლურზე. ჩემზე წინ მიმავალ ემხვარის ცხენს უკანა ფეხი გადაუცდა, ძლივს გადაასწრო ბილიკს.

„ეს ცივილიზაცია შემოდის სალუტით და მთები ბანს ეუბნებიან“.

ამბობს თარაშ ემხვარ.

„ამ გზასაც გაიყვანენ და მერმე მშვიდობით სვანეთის თავისებურობავ. სვანეთი და ხევსურეთიღა იყვნენ უცხო გავლენის კიდეგან“. არზაყანმა ცხენი შეანელა. ჩვენსკენ მოიღრიჯა კისერი.

„მაშ შენ გინდა ჩიყვმა იმსხვერპლოს სვანები, არა?“

„სადაა ჩიყვი?“ იკითხა ემხვარმა.

„გზაში ხომ ნახეთ ჩიყვიანები? ასეთებს ვინ მოსთვლის ამ მხარეში“. ჩავაგდე მე სიტყვა.

„შენ და მამაჩემს არ მოგწონთ ამ ლაღუმების გრიალი, — ამბობს არზაყან, — არც ჯოკიას, ცხენის დალალს“.

„სვანებს არ მოსწონთ გზის გაყვანა“.

მიუგო ემხვარმა.

„გააჩნია რომელ სვანებს, ბობოლებს არ მოეწონებათ, უეჭველია, ბობოლებს და ცხენის დალალებს“. ჩაილაპარაკა არზაყანმა და ცხენი ააჩქარა.

„იცით, — მეუბნება თარაშ ემხვარ, თანაც ჩემსკენ გადმოიხარა ცხენიდან, — ყოველ ხალხს უნდა შერჩეს ველური ენერგიის მარაგი, თორემ საფრანგეთსავით გააზიზდება და გამოიფიტება“.

„მე მგონია, საფრანგეთის გააზიზების ამბავი იმ ჟურნალისტების მონაგონია, ვისაც პარიზის იქით ცხვირი არ გაუყვიათ. აბა საფრანგეთის სამხრეთი, ან ჩრდილოეთი ნახეთ. თუ საქართველო ისეთი სუსტი აღმოჩნდება, რომ უცხო კულტურების ზეგავლენას ვერ გაუძლებს, სჯობს ქართველი ხალხიც გადაგვარდეს“.

„მე მგონია, დიდი ინდუსტრია მოსპობს მცირე ერების თავისებურებას. ავიაცია მთასა და ბარს გაათანაბრებს და მერმე მშვიდობით“.

„მე კი მგონია, ეს აჩქარებული დასკვნაა. პირიქით, ავიაცია, საერთოდ ტექნიკა მრავალრიცხოვანებსაც ისევე გააბათილებს, როგორც სივრცეს და სიშორეს“.

ეს მივუგე თარაშ ემხვარს, მაგრამ იგი მაინც თავისას ამბობდა, საერთოდ ამ ნიადაგზე შევლაპარაკდით.

მერმე გამაბრაზა უკმეხი სიტყვით.

„რამდენი წლისა ხართ?“ შევეკითხე.

„წლოვანება რა შუაშია?“

„ეჰ, ჩემო კარგო, ჯერ კიდევ ბევრი უნდა ისწავლოთ და იტანჯოთ თქვენი ხნის რომ ვიყავი, მეც თქვენსავით ვმსჯელობდი“.

„თქვენ რამდენი წლისა ხართ?“

„ჩემი ხნის ქვა არაა ამ სვანეთში“.

* * *

ლანდშაფტი შეიცვალა. სულ მაღლა და მაღლა მივიწევთ.

„უკვე 1500 მეტრს მივაღწიეთ“. ამბობს ემხვარი.

ენგური ძირს დარჩა. ფლატეების უმაღლეს მწვერვალიდან წყლის დონემდის ორიოდე კილომეტრი იქნებოდა.

ძერასფერი, ქორედ-ქორედი მთებიც გამოჩნდნენ, გოტიურ ტაძრებსავით ცაში აშვერილნი. ჰაერი უფრო გამსჭირვალე გახდა. კავკასიონი გამოჩნდა იასპისფერი და მშვენიერი.

გზის გაყოლებით წაბლის ხეებიდან მწიფე ნაყოფი ცვივა.

დათვის მიერ წინაღამით გაგლეჯილი ცხოველების ჩონჩხს ვხვდებით ხანდახან, სვავები, ბოლობეჭედანი და არწივები უმაღლეს ფლატეებზე შემომსხდარან. დინჯად იცდიან ისინი, როგორც კი თვალს მოჰფენ ჩვენს თოფებს, მძიმედ დგებიან და ირაოს აკეთებენ ცაში.

ფაფახიანი, ხანჯლიანი სვანები მოაჯირითებენ დაღმართში ცხენებს. იარაღში ჩამსხდარი მოსახლეობა უნებურად გაფიქრებინებს: სამხედრო ბანაკში ხომ არ მოვსულვარო სადმე. სალამს გვაძლევენ და გაგვეცლებიან. ჩალვადარების ჯორები დინჯად მოჰყვებიან თოკებსავით დახეშილ ბილიკებს. ჯოკიას ყველაზე

მეტად ეჩქარება, იგი წინ მიგვიძღვის. განზრახ გაურბის უკვე მოგებულ მთავარ გზაზე სიარულს და ამ ეშმაკის ბილიკებზე გვატარებს.

ჭაპანწყვეტით ადიან ცხენები მაღლა. ნისლით დაბურვილ თეთრ მწვერვალებს თვალს მოვკრავთ, ვივლით, და მივეახლებით თოვლიან მყინვარებს, და მოთარეშე ღრუბლების საუფლოს, და ისევ ძირს დავეშვებით ტაატით. ისევ სახტომელები, ჩალეწილი ბოგირები და ვირის ზურგის სიგანე ბილიკებით ვუსწორდებით ენგურის ნაპირებს. ნიაღვრებისაგან დაღეჭილ კლდეებიდან მოთქრიალებენ ბროლის ნაკადულები. ალაგ-ალაგ გაბმით თავზე გვაწვიმს რამდენიმე კილომეტრის მანძილზე. ურჩხულებსავით დაგრეხილი ფესვები და ხვიარები ეპოტინება ხავსიან კედლებს. ხვლიკი გაიშლიგინებს ცხენის ფეხის ხმაზე დამფრთხალი, ხანაც ციყვი გადაინაცვლებს შტოს.

ისევ ზევით ავყვებით ბილიკებს, კვლავ ზედ მოვექცევით კლდეებს და ისევ გაისმის ლაღუმების გრიალ-გრიალი.

მუშები ფისს ადუღებენ გზის პირად. მრავალი ათასი კოჟრიანი მარჯვენა ებრძვის ამ კლდეების შეუვალ ბასტიონებს. სვანური ქუდები ახურავთ ამ ჯმუხა მამაკაცებს.

ვაჟკაცური ენაა სვანური. ხორხისმიერი და ყელისმიერი თანხმოვანებით დახერგილი, მაინც ეალერსება ეს ენაკავი ჩემს ყურს.

ჯოკიას ღიმილით ეგებებიან სვანები. ოდნავ დამცინავი ღიმილით.

„ტარბებმა გიკითხეს, ჯოკია“. ეუბნება ერთი ბრგე ვაჟკაცი სვანურად. ჯოკია უარესად გაწითლდა.

„სად იყვნენ ტარბები?“ არზაყანს ეს არ გაუგონია, არც დაწინაურებულ კაც ზვამბაიას.

ემხვარმა ყური მოჰკრა ტარბების გვარი რომ ახსენეს. მე შემომხედა. რა თქვესო? გადავუთარგმნე.

„არზაყან მართალს ამბობდა წეღან. ჯოკიას რაღაც კავშირი ჰქონია ტარბებთან“.

„ფიქრი არ არის. დაღამებამდის ხაიშს ჩავალთ. მერმე გზის სამმართველოა და მილიცია. რამეს ვიღონებთ“.

ვეუბნები ემხვარს გულის გარეშე. მეც ვიცი, აქ მილიცია რას გააწყობს.“

თარაშ ემხვარ აფხაზურად შეესიტყვა არზაყანს.

მე ოდნავ მესმის ეს საოცარი, მსტვინავი და მფშვინავი ენა. იგი ხან ჩიტის ჭიკჭიკსავით მოსწრაფებულია, ხანაც რუსავით მოლიკლიკე, და ემხვარი სწრაფად ლაპარაკობდა, ვერ გავარჩიე რას ეუბნებოდა.

არზაყან იღუშებოდა. სჩანდა: ემუქრებოდა ტარბებს.

რატომღაც ცხენს გაუწყრა არზაყან. მათრახის ტკაცუნზე ადგა უზარმაზარი ბორა ენგურს გადაღმა.

არზაყანმა მაუზერზე გაისვა ხელი. ტყვიანაკრავმა ბორამ მალაყა გააკეთა ჰაერში და პირდაპირ ენგურში ჩაეშვა.

სროლის ეხოზე არწივი დაფრთხა გადაღმა კლდის ქიმზე მჯდარი; ახლა ემხვარმა გადმოიღო თოფი, ჯერ ბურტყლი აფრიალდა ჰაერში, მერმე სულ ახლოს, ჩვენს წინ ლოდზე დაეცა დაკოდილი არწივი, წითელი სისხლი წამოწანწკარდა სვანურ ყველსავით დაჩხვლეტილ თეთრ ქვაზე.

მივხვდი, თუ რას ნიშნავდა ეს ყოველივე: წინასწარ ამცნეს ვაჟკაცებმა მკლავის სიმაგრე მტერს.

ვხედავ, ცუდ ამბებს გადამკიდა ამ ოჯახქორმა ჯოკიამ. მე მთელი საქართველოს გვარეულობათა სადაურობა ვიცი. ტარბები მრავალრიცხოვანი გვარია. ოდიშში ბინადრობენ ისინი, ოდიშსა და აფხაზეთში. ხოლო სვანეთში მეჯოგეობას ეწევიან. კიდევაც

რომ მოვინდომო, ცხენოსნებს ვერ დავცილდები, უხერხულია. ესეც არ იყოს, ჯოკია ცხენს არ მანდობს. აქ სხვა ცხენს სად იშოვნი. ესეც ვიცი: ჩხუბში წილის დადება სჯობია, ჩხუბში გამზავებლად ყოფნას. მერმე ეს ყოველივე სვანეთში ხდება, სისხლის აღების კლასიკურ ქვეყანაში. ამ ფიქრში გართული კაც ზვამბაიას ჯაჯღანმა შემაკრთო. კაც გააფთრებული უყვიროდა ვაჟს. საძაგებელი სიტყვები კი გავარჩიე.

არზაყანმა ჩაბალახი წარბებამდის ჩამოიფხატა, ბუზღუნით განაგრძო გზა. ახლა მე და ემხვარს შემოგვძახა კაც ზვამბაიამ უკმეხად: ცხენები ააჩქარეთო.

ჩვენ უხმოდ დავემორჩილეთ. მათრახი ვუჭირეთ აქლოშინებულთ.

ისევ ახალ გზაზე გავედით. მგლურიდან გალოპზე გადავიყვანეთ და ასე ჭენებით ჩავედით გზის სამმართველოში. ღრუბლების თალხი ჩაბალახები მოიხვიეს მთის მწვერვალებმა. ნაძვების ბანჯგვლიანი ტოტები ისე ებღაუჭებიან მტუტისფერ ცას, როგორც მტაცებლის ჭანგიანი თათები.

ტაფობზე ბანაკი დაედგათ მუშებს. ორიოდე ბარაკში ცეცხლი ენთო. მოედანზე სარემონტო როლლერები იდგნენ, მავთულების გორგლები, მანქანების ნაწილები, რელსები, ტელეფონის აპარატები, დიზელის მოტორები, მეტალის ზამბარები, რკინის მუხრუჭები, ლითონის ჭანგები, ჩაქუჩები, წერაქვები და წერაქვცულები, ელექტროს არმატურები, მჭიდის საცრები და ბეტონის კალაპოტები, ელექტრო გაყვანილობის საჭურველნი, ალბუმინის, სპილენძის, რკინის, ფოლადის და ფაიფურის ნივთები მოეტანათ პირველად იმ ქვეყანაში, სადაც ურმის თვალი ჯერ არავის ენახა. ბანაკების შუაგულში ერთადერთი სვეტი იდგა, ტელეგრაფის სვეტი, ორას ვოლტიანი ლამპა ღაჟღაჟებდა ზედ.

ზემო სვანეთიდან მოყვანილი სამასი სვანი ფერხულს უვლიდა

ამ ელექტროს სვეტის გარშემო.

ბორგავდნენ, როკავდნენ მხარბეჭიანი გრძელკანჭიანი დევკაცები. ზარბაზნის ვაზნის ზეთავსავით ქუდები რიალებდნენ წრეში, ომახიანი ხმით გრგვინავდნენ სვანები. რაზმ-რაზმად, წყვილ-წყვილად აწვებოდნენ ურთიერთს მხარგრძელნი. ტკაცუნებდნენ გრძელი სატევრები ქამრის თავებზე.

მეფერხულეთა ცალი მწკრივი იწყებდა:

„რა ვქნა, ვერ ვიტყვი ვოდ შაირსა“.

ხოლო მეორე უპასუხებდა:

„თამარ დედოფალ აგოსჯდა“.

ისევ პირველი:

„თხუმაზ აიგანდა ზურჩია“.

ახლა მეორე:

„თხუმაზ აიგანდა ზურჩია“.

ახლა მეორე:

„თხუმაზ აიგანდა ზურჩია“.

და წელში გამართული მოცეკვავენი მყისვე სატევრებზე გაივლებდნენ ხელს. ისმოდა გაბმული ტკაცანი. თვალებს მიანათებდნენ ურთიერთს და ყველანი ერთად:

„თხუმაზ აიგანდა ზურჩია“.

როკავდნენ, ბორგავდნენ ჯმუხა დევკაცები (თუ მუხნარი ტოკავდა, ტკაცუნებდა გრიგალისაგან აზვავებული). ენგურის ღრიალი ისმოდა მათი ხორხებიდან, ხან ზვავების უეცარი გრიალი, ხან კვიცრა ჯიხვების უმწეო ბღავილი, ხან ღვაშ ჯიხვების რქების ჯახუნი, ხანაც ჩალეწილი ფლატეების როხროხი.

როკავდნენ, მხარგრძელი დევკაცები, ატკაცუნებდნენ, მოვერცხლილ სატევრებს, აბაკუნებდნენ პაჭიჭებიან, ბანჯგვლიან ფეხებს.

ჯოკიამ ცხენები დააბინავა.

დანარჩენებმა თივის ზვინები მოვძებნეთ იქვე და დავიმუხლეთ დაქანცულებმა. ფერხული გრძელდებოდა. კამკამებდა მოცეკვავეთა თვალებში ხასხასა შუქი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ახლადმოვლენილ ელექტროს სინათლეს უმღეროდნენ სვანები თავიანთ ომახიან ჰიმნებს, მრავალი საუკუნის მანძილზე ნამღერს.

ახლა ბეთქილის ფერხული დაიწყეს სვანებმა.

„რას მღერიან თუ იცით?“ მეკითხება თარაშ ემხვარი.

„დალი ხომ ნადირობის ღვთაებაა სვანეთში, ოქროს ნაწნავიანი ღმერთქალი. მონადირე ბეთქილი შეყვარებია დალს, ხოლო მონადირეს თავისი რძალი თამარი. ლამარიობის წინაღამით თამარი შეუცდენია ბეთქილს. მეორე დღეს ფერხულში ჩაბმული ყოფილა ბეთქილი. დალს თეთრი კვიცრა ჯიხვი მოუვლენია ბეთქილისათვის შურის მისაგებლად. და ფერხულის დროს ლაჯებში გაურბინაო თურმე კვიცრა ჯიხვმა ბეთქილს“.

ესა ვთქვი და ჯოკია თავზე წამოგვადგა. იკითხა: აქ თუ ვრჩებითო ამაღამ? კაც ზვამბაიამ თავი აიღო.

„ჰო“ — უთხრა. თავი დაუქნია უკმეხად.

ხოხბის ყივილი

კაც ზვამბაიამ ანიშნა და არზაყანმა მუხის ნამორი დაითრია, შემომთავაზა, ზედ დავმჯდარიყავ. მერმე მეორე ნამორი მოაგორეს არზაყანმა და ემხვარმა. შუაში ფიცარი გასდვეს. კაც ზვამბაიამ არაყის ბოთლი გადმოიღო აბგიდან, ხაჭაპურები ოთხად დატეხა. პირველი ჭიქა შემომთავაზა. უარი ვუთხარი. დაილოცა, დალია და გადმომილოცა.

„კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა“. მომმართა. მერმე ჩემსკენ გადმოიხარა. იდუმალი ტონით მეუბნება:

„ასე აჯობებს: ვივახშმოთ და გავიპაროთ აქედან. ვგონებ, ჯოკიამ გაგვთქვა. შესაძლოა მდევარი მოგვდევდეს ჯვარიდან. ესეც არ იყოს, ამ მხარეში ტარბები მოსახლეობენ“. ესა სთქვა, თარაშსა და არზაყანს შეაცქერდა, თარაშმა არა უთხრა რა. ჩაბალახი მოიხადა, მუხლზე დაიდო.

და რას ვხედავ! სავსებით გათეთრებოდა თავი ეგზომ ახალგაზრდას. გავოცდი, მიზეზი ვკითხე.

„ეს იმ ღამეს მომივიდა, ის უბედური ჯამლეთ ტარბა რომ შემომაკვდა, იმ ღამეს“.

თავდაპირველად არზაყანი სდუმდა, აქაც უთანხმოება მოუვიდათ მამასა და შვილს. არზაყანი ამტკიცებდა: დილამდის აქ დავისვენოთ, მერმე უთენია ავიყაროთო.

ეხლა მე მკითხეს აზრი. მე მერჩია სავსებით არ ვხლებოდი მათ. ეს ღამე გამეთია როგორმე და თუნდაც ტფილისს მივბრუნებულიყავ. მაგრამ არ გავამხილე. თავი შევიკავე. ესღა წავილუღლუღე: როგორც გერჩიოთ, ისე ვქნათ-მეთქი. მცირე ხნის დუმილის შემდეგ ვეუბნები კაც ზვამბაიას:

„ჯოკია გზაში მიამბობდა: თქვენ მისი ნათლიმამა ყოფილხართ როგორ დავიჯერო, ჯოკია გაგვთქვამდა ვითომ?“

კაც ზვამბაიამ მწარედ გაიღიმა.

„ჰმ, რა ბრძანება, თუ დასჭირდა, საკუთარ შვილსაც გაჰყიდის ჯოკია, წრეულს ქვა დასჭირვებია კოოპერატივს, სატეხი ქვა. ჯოკიას საკუთარი დედის, მამის, ძმების და ბიჭების სამარის ლოდები აუყრია და გაუყიდნია. ასეთი კაცი ნათლიმამას დაინდობს? ყოველ შემთხვევაში, ფრთხილად მოექეცით“, — მიმართა კაც ზვამბაიამ ვაჟსა და გაზრდილს, — „არ გაუჯავრდეთ, თორემ ცხენებს გააპარებს ღამით და ცარიელ-ტარიელი დავრჩებით. მახვშამდის მივაღწიოთ როგორმე, თუ ქორა მახვშმა მიგვიღო სვანეთში, მერმე არა გვიშავს. მე ძველი პურმარილი მაქვს მახვშთან, ცხენები გადმომყავდა წინათ ჩერქეზეთიდან. მთავარია მახვშამდის მივიდეთ მშვიდობით, მერმე მისი კოშკი და მისი გვარი დაგვიცავს“.

„მახვშ რაღაა?“ — იკითხა არზაყანმა.

მე განვუმარტე: ქორა მახვშ გვარის უფროსს, სახლის უფროსს რომ ჰქვია სვანურად.

კაც ზვამბაია მომეძალა. მე კიდევ დავლიე ჭაჭის არაყი. ვზივართ, მადიანად შევექცევით მეგრულ სულგუნებს და ხაჭაპურებს მთის ჰაერისაგან მადა მოცემულნი. მოზვრის პაწია ყანწი ხელიდან ხელში გადადის. თარაშ ემხვარს ალკოჰოლის ალმური წაეკიდა სახეზე. მაინც დაღვრემილი ზის ეს უდროოდ გაჭაღარავებული კაცი, მიწას დასჩერებია ფიქრში წასული და როცა მორიგი ყანწი მიაღწევს, იგი მხოლოდ მაშინ მაღლა სწევს თავს.

სვანებმა ისევ დაიწყეს: „რა ვქნა, ვერ ვიტყვი ვოდ შაირსა“ და კვლავ ცეკვავენ ფერხულს ელექტრონის შუქის გარშემო ბორასავით ბობღია დევკაცები.

ნავახშმევს ჯოკია გავაღვიძე, მოსართავები მოვუჭირეთ ცხენებს. თოფებში ვაზნები ჩავაწყვეთ, არზაყანმა მაუზერს სავაზნე გამოუცვალა. ჯოკია წინ გავიგეთ და ცალ-ცალკე გავიპარენით. ეძინა სოფელს, მელანქოლიურად ღრუტუნებდა ჩამობნელებულ ხევში წისქვილი. მთვარე ოდნავ ბჟუტავდა თეთრლეგო ღრუბლებში ზანტად მოარული. ნაძვის მკვარი ხრჩოლავდა სადღაც, დადუმებულ მწვერვალების ჩრდილებს ქვეშ გრიალით მოქშუოდა ენგური. კაც ზვამბაია და ჯოკია წინ მიგვიძღოდნენ. მათი იდუმალი ჩურჩული მესმოდა, როცა დაწინაურებულებს წამოვეწეოდი. საინტერესოა, ვინ ვის მოატყუებს, ვეუბნები თარაშ ემხვარს. უცებ კაც ზვამბაიამ ცხენი შეაყენა ბილიკზე. არზაყანი მოიხმო, რაღაც უჩურჩულა. არზაყანი თარაშს მიუბრუნდა, დანაბარები აუწყა აფხაზურად და ცხენი ააჩქარა, თარაში მე მომეახლა. მეუბნება: მალე მთავარი გზა უნდა დავაგდოთ. მინდორის ბილიკებს მივყვეთ, იმ მთას გადავივლით, მერმე წაბლნარში ღამეს გავათევთ, შემდეგ ვაკე იქნება და იქიდან ისევ ამ გზაზე გამოვალთ. დაქვეითდითო, გვითვლიდა კაც, ცხენებს საძუები მოხსენითო, თოფები ხელზე ახლოს გეჭიროთ, პაპიროსს ნუ სწევთ, ნურც ლაპარაკობთო.

მე სვანეთში ბევრი მივლია და კარგად ვიცი თუ რას ნიშნავს ღამე — სვანეთში. გზაში თუ ღამემ მოგისწრო, მყისვე მიწაზე ნაბადი უნდა დაიგო, დაწვე და გაილურსო.

კაც ზვამბაიას ნაბრძანები მყისვე შევასრულეთ, ხვნეშითა და ფრუტუნით მიჰყვნენ ცხენები უსაშველო აღმართს.

ასე ვიარეთ ორიოდე საათს და როცა დაღმართი დაიწყო, ახლა საძუეები გავუკეთეთ ცხენებს, სამკერდეები მოვხადეთ და მოვყევით უფსკრულისაკენ დაცერებულ საცალფეხო გზებს.

თარაშ ემხვარ წამომეწია.

„თქვენ ბეთქილის ამბავი შეგაწყვეტინათ იმ წყეულმა ჯოკიამ“. ეს მიჩურჩულა.

„ჯიხვმა შეგვარცხვინაო, დაიხუვლმა მთელმა გვარმა, — განვაგრძე მე, — ბეთქილ უნდა გამოუდგესო კვიცრა ჯიხვს, უმარჯვესი მონადირე. მერმე ის იყო, ბეთქილი გაჰკიდებია თეთრ ჯიხვს, არც დალის შევედრებია, არც უმარხულია წინა ღამით თამარის შემცდენელს. და თქვენ ალბათ გეცოდინებათ, სანადიროდ მიმავალი სვანი ორ კვირას არ გაეკარება ქალს“...

ამის თქმა მოვასწარი და დაიგრიალა ნაძვნარში თოფმა: ჩემი ცხენი შეხტა, ემხვარის ცხენს დაეძგერა და თოფიანად გადამისროლა ხრამში.

მე ცხენზე არ დავბადებულვარ, თორემ სხვა არაფერი დამკლებია. ცალი უზანგი გამწყვეტია ჯირითის დროს, გაჭენებული ცხენი წამქცევია, ცალი ფეხით ავჟანდზე დაკიდულიც ბევრჯერ ვუთრევივარ ცხენს, მაგრამ ასეთი უვნებელი მარცხი ჯერ არ მომსვლია.

ორ-სამჯერ გადავკოტრიალდი ხავსიან ფერდობზე, მერმე რომელიღაც ჯაგს მოვებღაუჭე. გამეცინა ამ სიბნელეში, მაგრამ თოფების გრიალი რომ მომესმა, უხერხულობა ვიგრძენი რატომღაც, ზურგიდან თოფი გადმოვიღე და მუცელზე ხოხვით ავყევი

ხავსიან აღმართს. ემხვარს ორივე ცხენის სადავე მკლავზე გადაეგდო, თოფის ლულა უნაგირზე გადაედო და ისროდა. მეც ავტეხე სროლა, არ კი ვიცოდი ვის ვესროდი. ტყვია ზუზუნით მოდიოდა მახლობელ ნაძვნარიდან. ჩვენც იმ ნაძვნარს ვუშენდით. ათიოდე წუთის შემდეგ ნაძვნარი დადუმდა. ისევ აღმართი დაიწყო, ახლა საძუეები ავხსენით, სამკერდეები გავუკეთეთ ცხენებს და განვაგრძეთ ჯოჯოხეთურ ბილიკებზე სვლა.

* * *

ჯერაც გუთანი არ გადასულიყო ცაზე, როცა უსიერ ფიჭვნარამდის მივაღწიეთ. იდგნენ გოლიათი ფიჭვები ბნელში გარინდულნი. მთვარე სულ ახლოს ზედ მწვერვალებზე დადიოდა. ცას ნაყვავილარსავით დასტყობოდა ღრუბლის ტალები ღაწვზე. კაც ზვამბაიამ ვარსკვლავეთს ახედა, ცუდი დარი იწინასწარმეტყველა და ფიჩხს ცეცხლი წაუკიდა.

როგორც კი კოცონს გარს მოვუსხედით, საშინელი ლიწინი ატყდა ბნელ ტყეში.

„დათვებია“, ამბობს კაც, ჩაბნელებულ ფიჭვნარს შესცქერის, სულ ახლოს, სულ ახლოს მოგვესმის წიწვისა და მხარის ლაწანი, უცებ დაიბოყინა ერთმა ტყის გულში, დაიბღავლა მეორემ, მერმე ატყდა ღრიალი, ბურდღუნი და ბოყინი.

ხეობიდან ტურების კივილი მოისმის. ნადირის საუფლო გახმიანდა ამ ბნელ ღამეში ანაზდეულად. უეცრად რაღაცამ ჩვენს მახლობლად გაიშლიგინა, გარბოდა. თანაც ისე სცემდა ტორებს, თითქოს ცხენი გადადისო ბოგირზე. ყველამ კაც ზვამბაიას მივაპყარით თვალი.

„მგელი იყო“, ჩაილაპარაკა კაცმა და ჩიბუხზე დაადო ღველფი, ისევ დადუმდა ტყე და გვესმის თუ როგორ ეცემა ფიჭვის კოკოლი გატრუნულ მიწაზე.

მე, თარაშ ემხვარ და არზაყანი პირქვე დავწექით მიწაზე, წაბლის ფოთლებისა და მიწის სუნით ვტკბები, ვწევართ და ვსაუბრობთ. ტყემ ტყიურისათვის თხრობა მოგვანატრა. ცეცხლის პირად ფეხმორთხმული მოხუცი ზის. გვიამბობს, თუ როგორ მოგროვდებიან შველები და მგელს უმკლავდებიან. ჯიხვი როგორ ურქენს მგელს. ან შუნი როგორ ებრძვის არწივს ნუკრის მტაცებელს. მერმე მონადირეების და მგლის „გამთვალავების“ ამბავი მოაყოლა კაც ზვამბაიამ; მოგვითხრო, თუ როგორ გამოუტყუებია მას მგლური ყმუილით მგელი კოხორას ტყიდან. მკლავი გაიშიშვლა და გვაჩვენა მოზრდილი შრამი, დაკოდილი მშვლის მიერ ნაკრავი წიხლისაგან მიყენებული. იჯდა და გვიამბობდა კაც ზვამბაია: შველი რქას იცვლისო მწიფობისთვეში, იანვარში კვლავ ამოიყრისო; შუნი რომ დამაკდება, ვაცს გაეყრებაო, მერმე დაძრწისო ტყე და ტყე ვაცი, თუ სადმე წააწყდა ურქენსო და მუცელს მოუშლისო მაკეს: ან პატარას გამოშიგნავს რქებით. ასე კილავდა უგულო მამლებს ტყიურთა შორის, ყველაზე უგულო მამალი კაცთა შორის.

არზაყანს დასძინებოდა, კაც ზვამბაიამ ცხენებს მიაკითხა: „მე მაინც ბეთქილის ბედი მაინტერესებს“, მეუბნება თარაშ ემხვარ.

„მერე ის იყო, ბეთქილი თვალუწვდენ ფლატეზე შეუტყუებია კვიცრა ჯიხვს“, — განვაგრძე მე, — „და იქიდან გადმოუგდია საწყალი ბეთქილი. ამას მღეროდნენ სვანები ხაიშში“.

* * *

უკვე გუთანი გაჰქრა ცაზე. დათვების ბოყინიც შესწყდა ფიჭვნარში.

მე და ემხვარ ვეხუტებით მძინარე მიწას და გვესმის, თუ როგორ ყივის სადღაც შორეთში მამალი ხოხობი.

ოჰ, ვისაც ხოხბის ყივილი არა სმენია, მან არ იცის, თუ როგორის ზეიმით ეგებება მდუმარე ტყე დალივით ბრწყინვალე მზეს გარიჟრაჟისას. არზაყან და ჯოკია ხვრინავენ. კაც ზვამბაია ალმილეულ ცეცხლს მისჩერებია, ჩიბუხს ახრჩოლებს. ცხენები მადიანად ახრამუნებენ ბალახს.“

„თქვენ როგორ ფიქრობთ, ბატონო კონსტანტინე, — მეუბნება თარაშ ემხვარი მთვლემარეს, — სვანური დალი, ვგონებ, ბერძნული არტემის, ან რომაული დიანა უნდა იყვეს, არა? ნადირობის ღმერთქალი? არა?“

მე ხოხბის ყივილს ყურს ვუგდებ, თვლემისაგან ღონემიხდილი, მისი ნათქვამი გავიგონე, მაგრამ ენის მობრუნება მეზარება, სულ მალე წაბლის ფოთლების სარეცელზე დაკრული მიწას ჩავეხუტე გულში და უტკბილესმა ძილმა წამართვა ცნობა.

მოსისხარი მეჩონგურე

შემოდგომის უკანასკნელმა ქუხილმა მოგვისწრო ისევ ენგურთან მიღწეულთ. მზე ჯერ პირს იბანდა, მერმე ცა წაიგრაგნა თალხი ღრუბლებით და ელვის ლეკურებმა დასხეპეს ლაპის-ლაზურის მთების მუზარადები. პანურად აღმოცენებული ველური ბუნება შედრკა და ზანზარებდნენ მაღალი ქორედები. ღრიალებდა ენგური და ზათქით ეხეთქებოდა დაკბილულ კლდეებს.

კაც ზვამბაიას კბილით ეჭირა ვაჟი და გაზრდილი. უშლიდა დაღმართებში უმოწყალოდ ჯირითს. ერთ-ორჯერ მეც გამკიცხა მოხუცმა ცხენისადმი დაუზოგავ მოპყრობისათვის, მაგრამ როცა თქეში მოვარდა, თავათაც აკადრა მათრახი ცხენს. გაზუზულ მართვესავით დაპატარავებული ჯოკია მოკლე ბილიკებით იგებდა მანძილს. ხანდახან სავსებით გაუჩინარდებოდა, მერმე ისევ გამოჩნდებოდა კორტოხზე და მაქოსავით ჩაგოგდებოდა დაცერებულ ფლატეზე.

ნაბდები მოვისხით, მაგრამ ვეღარც ნაბადმა გვიშველა, ენგურს დასცილდა გზა და გავივაკეთ. კაც ზვამბაიამ დასჭყივლა ცხენს და ჭენებით გამოვუდექით სამნივე. ჯოკია აღარსად იყო. ტყის ბილიკს მივყევით, ჯაგნარი მომცრო იყო, მაგრამ მხრებამდის გვწვდებოდა მაინც, ასე რომ, ტყიდან გამოსულნი სავსებით სველი ვიყავით. დაუზოგავად მოვაჭენებთ ცხენებს და ერთბაშად ჩემს გვერდით მოჯირითე კაც ზვამბაიას სიცილი შესქდა.

„შეხედე, მაგ ეშმაკის შვილს“, მეუბნება და მათრახით მიაშვირა ბილიკზე მიმღოღავ მგზავრზე. ჯოკია ვიცანით და გავოცდით.

ტაფობზე გავედით თუ არა, ისევ მოისმა გრუხუნი და მომეტებულის ძალით წამოვიდა მერეხი. მაშინ მგლურიდან ისევ გალოპზე გადავიყვანეთ ცხენები. კაც ზვამბაიას შეებრალა ჯოკია, უკან გაბრუნდა ჭენებით, ჯოკია უკან შემოიგდო და ისევ წამოეწია ჩემს ცხენს, ყველაზე დაწინაურებულს. ვგრძნობ, თუ როგორ ჩამდის წყალი თხლიშინით კისერში, ლამისაა გადამაგდოს ცხენმა დასველებულ უნაგირიდან, მაინც ხან მარცხნიდან, ხან მარჯვნიდან ვურტყამ ცხენს მათრახს და მივაჭენებ გაღვარულ ცხოველს. აღმართი მოვათავეთ, და როცა დაღმართზე მივუშვით ცხენები, სოფელმა იელვა ჩემ თვალწინ და სავსებით ანგარიშმიუცემლად პირველი სახლის აივანზე მივაგდე ცხენი.

რიკულზე მივაბი და მასპინძლის გამოუხმობლად ავედი ხის კიბეზე, და ვხედავ: კაცის სიგანე აივნის ბოლოში ჩოხიანი კაცი გადაყუდებულა ფანჯრისაკენ, ხოლო ოთახიდან გრძელწვერა მღვდელი გადმოწოლილა იდაყვებზე დაყრდნობილი და ასე საუბრობენ ტკბილად მოხუცი და უწვერული ჭაბუკი.

ჩემი ფეხის ხმის გამგონე ჩოხიანი წელში გაიმართა და უბადლო მშვენება წარმომიდგა თვალწინ. ბეჭგანიერი, ვიწროწელიანი, სხვილთვალება და შუბლმაღალი, ზურგით კედელს მიეყრდნო ყრმა და ისე ამაყად შემომხედა უცნობს, თითქოს მე მისი

ნაყმევი ვყოფილიყავ, მეძღვნედ მოსული. და სატევარი მუხლამდის სწვდებოდა, თეთრი ძვლისტარიანი, სვანური სატევარი, ძველებური ნახელოვნები, დამწვარი ვერცხლით მოჭედილი.

მივუახლოვდი თუ არა, მის სატევრისკენ გამექცა თვალი.

სალამის შემდეგ პირველი ჩემი სიტყვა ასეთი იყო: რა მშვენიერი ნახელოვნებია-მეთქი შენი სატევარი, ჭაბუკო.

„კარგია, რა უშავს, სატევარი უვერცხლოდაც კარგია. სატევარს რა ჯობია, სატევარი ჩემი სიცოცხლეა“... ამბობს.

„კი, მაგრამ, სვანო, — მივმართე თავაზიანი კილოთი, — არ უნდა გავათავოთ, სულ ამ სატევრის ქება“...

„ერთი, რომ მე სვანი არა ვარ, მე სვანეთში გაზრდილი ვარ მხოლოდ“. მიპასუხა უცნობმა ფრიად კადნიერად. მე ამ გზით მივხვდი, იგი მასპინძელი არ უნდა ყოფილიყო. მასპინძელს დავეძებ თვალით, მაგრამ მღვდელმა ფანჯარა გამოხურა და მიიმალა.

მე გამაოცა მისმა ნათქვამმა. კილო სვანისა ჰქონდა, გავქირდე გულში ჩემივე თავი, რაკი ქართული ტომების ენისა და იერის ეჭვმიუტანელ მცოდნედ მომქონდა აქამდის თავი.

„სვანი არა ხარ, მაშ ვინ ხარ, ყმაწვილო?“ ვეკითხები.

„მე მეგრელი ვარ“.

„რა გვარისა?“

„ტარბა“.

„სახელი რა გქვია?“

„აბესალომ მქვია, ლომკაცია ტარბას ღვიძლი შვილისშვილი ვარ“, მიპასუხა ამაყად.

მემცხეთა მყისვე ამის გაგონება. ახლა ერთადერთი ჩემი წადილია: როგორმე კიბემდის მივიდე და გადავძახო ჩემს თანამგზავრებს, ცხენებს შემოასხდნენ ახლავე და მოუსვან აქედან. ამასობაში ჯოკიამ ამოჰყო თავი აივანზე. მას კაც ზვამბაია, არზაყან და თარაშ ემხვარ ამოჰყვნენ და ისედაც ვიწრო აივანი გაივსო

სავსებით.

ჩოხიანმა ერთბაშად ავზნიანსავით დააბრიალა თვალები, ჯოკიას დაუძახა და ხელი დაუქნია მიახლებულს. ჯოკია მივიდა, ქათმის კუჭსავით გალურჯებული. მიესალმა.

„ეს მოხუცი კაც ზვამბაიაა, არა?“ ეკითხება იგი ჯოკიას, ძერასავით ზედ გადაეფოფრა.

ჯოკიამ დედის სული დაიფიცა, არ ვიცნობ ამ მოხუცს. ახლა მე წამავლო მარჯვენა მარცხენა მკლავზე, მეკითხება.

მეც თავი მოვიკატუნე, გზაში წამოვეწიე-მეთქი, არც ვიცი-მეთქი მათი ვინაობა.

„აბა, მე გამოვარკვევო“, დაიღრიალა და მეძგერა გვერდზე, რაკი სხვა გასაქანი არ იყო, მომაწვა დევივით ვაჟკაცი, თანაც ცალი ხელი სატევრის ვადაზე გაივლო.

მე ცოტა რამ მესმის იაპონური ჯიუ ძიცუს სისტემისა, სწორედ მთავარი ძარღვი შევუკარი მარჯვენა მკლავზე და, როგორც იქნა, სანახევროდ გაშიშვლებული სატევარი ჩავაგებინე. მერმე მარჯვენა ხელი ჯიბეში ჩავიდევი, ჩემი ბრაუნინგი ჩავბღუჯე და აუღელვებელი ტონით მივმართე:

„აბესალომ, დამშვიდდი, დედა ნუ მოგიკვდება, აბესალომ, დამშვიდდი, თორემ ინანებ“.

კაც ზვამბაია მოერიდა, როგორც სჩანს, ხელმეორედ სისხლისღვრას, ვაჟს და გაზრდილს წაავლო ხელი და ძირს ჩაიყვანა.

„ხელი გამიშვი“, მეუბნება მიწისფრად გამხდარი ჭაბუკი. მეც ხელი შევუშვი, ერთი ნაბიჯი უკან გადავდგი. ახლა ჯოკია დაწინაურდა, ეფერება, ეალერსება. მე უკვე ვხედავ, თუ როგორ მოახტნენ ცხენებს ჩვენი თანამგზავრები და მოჰქუსლეს. მგონია, ყოველივე მშვიდობით გათავდა და სწორედ ამ დროს აბესალომ ყელში წასწვდა ჯოკიას და ეუბნება: „მაშ, ეს შენ გააპარე წუხელ

ზვამბაიები და ემუხვარი ხაიშის გზაზე, შე სულკატიანო, შე სულ-კატიანო“.

ჯოკია მუშტისოდენა გახდა და იატაკზე დაცუცქული, დედის სულს აფიცებს, თავის ცოლ-შვილს ავედრებს აბესალომს, დანა-გაყრილ თხასავით ხრიალებს.

ისევ მივედი ტარბასთან, და როგორც გამოცდილი მონადირე მიეახლება გულსათნოდ მიმინოს, რომელსაც მწყერი მოუგდია ბრჭყალებში, ჯერ ერთ ჭანგს ზეაუწევს, მერმე მეორეს, შემდეგ მესამეს და კისერზე ხელს გადაუსვამს სისხლის მაძიებელ მტაცე-ბელს, ისევ დავუყვავე აბესალომ ტარბას, დავარწმუნე: სცდები-მეთქი, ჯოკია ჩემი მეგზურია-მეთქი, ჩვენ წუხელ აგერ მახლო-ბელ სოფელში ვიყავით იმ ქედს გადაღმა, ასე რომ, უდანაშაულო სისხლის დაღვრას ნუ იკადრებ-მეთქი... მართლაც, გახელებული ტარბა დავამშვიდე. უცებ ფანჯარა გაიღო, ჩარჩოებში გრძელწვე-რა ხუცის მშვიდი სახე გამოჩნდა, გადმოიღო მღვდელმა ჩონგუ-რი, გაუწოდა ტარბას. იქვე დაუცუცქდა აბესალომ ტარბა და და-ამღერა ჩონგურზე ტკბილზე უტკბესი მეგრული შაირი.

ის შაირი მე უკვე აღარ მახსოვს მთლიანად, ეს კი ვიცი, აღებუ-ლი სისხლის სიტკბოებას აქებდა იგი. ვიღაცას ბნელ საუკუნოში შეუთხზავს ეს საოცარი ლექსი.

მინაწერი:

ერთი საათის შემდეგ მე ჯოკია ცხენზე შემოვისვი და ენგურის ხიდთან წამოვეწიე ჩემს თანამგზავრებს.

ხიდი გადავიარეთ და ლაფარიანების სოფელი გამოჩნდა. არაფერი, ჩემს მიერ აღმოსავლეთში ან დასავლეთში ნახული, სვანურ სოფელს არ შეედრება. შესცქერი ამ თეთრი ციხეკოშკე-ბით მოფენილ გორმახებს, ასე გგონია, შუა საუკუნეებში გადა-მიცდაო ფეხი, ეს ყოველივე შეუდარებლად ეხამება თეთრჩალ-

მიანი მყინვარების მოლიბრო ფონს. კრუპპის სამხედრო ქარხნების მილები თუ ვინმეს უნახავს ჰესსენში, ან ბაქოს ნავთის ჭაბურღილების ტყე? სწორედ ასეთ სანახაობას წავაწყდით, ლაფარიანების მახვშის სახლს რა მივეახლეთ.

ქორა მახვში

სვანურ დარბაზში შესვლისას ქორა მახვშის სახე მომვარდა თვალში.

სახეო? სადღა იყო სახე. თეთრი, მთლად თეთრი წვერი ზედ სატევრის ვადამდე სცემდა. თმა შესეოდა სახეს, ყბიდან ღაწვებს გადასცდენოდა, ღაწვის თავებიდან ზედ თვალის უპეებამდის მისწვდენოდა. დაფანჩული შავი წარბები მრისხანედ შეყროდა. თმა გამოსვლოდა ყურებიდან და ნესტოებიდან.

კაც ზვამბაია დაწინაურდა. ოჯახის სამოციოდე წევრი ზეწამოიჭრა. მათ შორის ოცი სატევრიანი ვაჟკაცი, ხუთი მოხუცი, ათიოდე ქალ-რძალი, ხუთმეტიოდე ბავშვი, კუთხეში მიდგმულ აკვნებში კიდევ ღნაოდნენ ბალღები.

ქორა მახვშ ზეწამოიწია, მაგრამ ვეღარ ადგა. ხმამაღლა მიესალმა კაც ზვამბაიას სვანურად. არც კი გაუღიმია. საერთოდ, მისი მომზერალი ვერც კი წარმოიდგენდა, თუ ოდესმე ღიმილი შესძრავდა ამ ბიბლიური პატრიარქის სახეს.

კაც ზვამბაია მიეჭრა მიხრწნილ ბერიკაცს, მარჯვენა მკერდზე აკოცა ოდიშურად. ჩვენ საკარცხულებზე დაგვსვეს დაქანცულნი და გაზუზულნი.

მამაკაცები კერის გარშემო დაცუცქდნენ მორებზე. არც ერთი ქალთაგანი არ დამჯდარა, თვით მოხუცებულნიც გულზე ხელდაჭდობილნი იდგნენ, უცხო სტუმრებს შემოგვცქეროდნენ. მე და არზაყან მახვშიდან მოშორებით ვისხედით. არზაყანმა მეგრულად მიჩურჩულა: ნუთუ ეს მთელი სოფელი ამ ერთ სახლში ცხოვრობსო. როცა კაც ზვამბაიამ და ქორა მახვშმა მისალმება და მოკითხვა გაათავეს, ახალი დროის ლანძღვითა და წყევლით გული მოიჯერეს, ქორა მახვშმა თავისი ხორბლისფერი თვალები მოგვავლო კაც ზვამბაიას მხლებლებს, უფროსად შემიცნო, ამიტომაც მე შემესიტყვა:

„რა ამბავია ქვეყანაზე, ბატონო?“

„მშვიდობაა ქვეყანაზე, მახვშ ბატონო“.

ჩემი ნათქვამი უპასუხოდ დატოვა მახვშმა. მაშინ კაც ზვამბაიამ მომაძახა: მახვშს სმენა აკლიაო და მეც ხმამაღლა ჩავაყვირე იგივე.

მშვიდობაო? გაკვირვების ნიშნად თავისი მშვილდისებრ წარბები ზეასწია ქორა მახვშმა.

„ჯესმიმო, სად არის მერმე ეს მშვიდობა? „მშვიდობა მოდის ქვეყნად, მახვშ ბატონო“.

მერმე მცირე ხანს თავჩაქინდრული სდუმდა ქორა მახვშ, თითქოს თავის თეთრტარიან სატევრის ვადას დასჩერებიაო. მერმე ისევ ზეაღმართა უზომოდ განიერი სახე და მეუბნება:

„ჯესმიმო, გზა ხაიშამდის მოსულა, არა? ეს გზა ვერ მოგვიტანს მშვიდობას, არა?“

„ვინა სთქვა ეს, მახვშ ბატონო?“

„??? ვინ იტყოდა? მე ვთქვი. ურწმუნოება შემოვა ამ გზით,

არა?“ ესა სთქვა და კაც ზვამბაიას გადახედა. კომუნისტები მომრავლდებიანო ჩვენს ქვეყანაში. ჩვენს კოშკებს ააფეთქებენ, ჩვენს მთებს გადალახავენ, ჩვენს ხატებს შეგვილახავენო, სჩიოდა ქორა მახვშ.

„მე ვიტყოდი, ეს ასე არ იქნება, მახვშ ბატონო. თქვენი კოშკები უვნებელი დარჩებიან, თქვენი ხატებიც. რაც შეეხება ამ გზას, განათლება შემოვა ამ გზით, მახვშ ბატონო“.

ვამბობდი ამ სიტყვებს, თანაც მევე არა მჯეროდა, რომ ჩემი ნათქვამი მის გულს ჩასწვდებოდა.

„ჯესმიმო, — მომმართა ისევე მახვშმა, — ესეც მართალია, ადამიანებმა ფრენა ისწავლეს ბარში, ცაში აფრინდებიანო, მერმე ციდან მიწაზე ხტებიანო ადამიანები?“

„ეს მართალია, მახვშ ბატონო“.

„ჯესმიმო, ესეც მართალია, სახლები დასცურავენო ზღვაში, რომ ამბობენ, ჩემ კოშკზე უფრო დიდი სახლები, არა?“

„ესეც მართალია“, დავუმოწმე მე.

ახლა თარაშ ემხვარს მიმართა ქორა მახვშმა, რაკი მას ჩაბალახი უკვე მოეხსნა და ჭაღარა თმები გამოსჩენოდა. მე ერთ წუთში ჩამოვქვეითდი ქორა მახვშის თვალში, არ ვიცი, რად მოხდა ასე, ეგებ იმიტომაც, მაშინ მე ჯერაც წაბლისფერი თმები რომ მქონდა და ჭაღარა არ მერია თმაში, წვერ-ულვაშსაც დასავლეთურად ვიპარსავდი. ან შესაძლოა იმიტომაც, რომ ჩემი აზრები ჭკუაში არ დაუჯდა ქორა მახვშს.

ქორა მახვში და თარაშ ემხვარი საუბრით გაერთვნენ. ჩემს გვერდით მჯდარი არზაყან ირონიულად იღიმებოდა.

„ახლა ისეთი დროა, — მიჩურჩულებს არზაყან, — ან ამ ქორა მახვშთან უნდა იდგეს ადამიანი, ან ჩვენთან, კომუნისტებთან. სხვა გზა აღარ არის. თარაშ ემხვარის იდეებს ამ მახვშისკენ მივყავართ უცილოდ“.

ახლა თარაშ ემხვარი ჩასძახის ქორა მახვშს ყურში: რამდენი წლისა ბრძანდებითო?

„მე ჟამიანობის წელსა ვარ დაბადებული, თურქმა სამეგრელო რომ გადასწვა, იმ წელს მეყოლა ჩემი უფროსი ვაჟი თემური“. ესა სთქვა და პირიდან გამოღებული ყალიონის ტარი სამოცდაათიოდე წლის მოხუცებულს მიათითა.

ტანმორჩილი ბერიკაცი ჯირკვზე დაცუცქულიყო, ორივე მკლავი მუხლისთავებზე შემოეხვია, დახეულ ძონძის შარვალიდან დამჭკნარი სხეული მოუჩანდა.

მელისებრი, წვეტიანი ცხვირი რაღაც იქედნურ გამომეტყველებას აძლევდა თემურის წვრილსა და უჯილაგო თავ-პირს. და იმოდენა ჩიყვი ჰქონდა ბერიკაცს, ახალციხური კარტოფილი გეგონებოდათ. წარამარა იჯღანებოდა, ქვემო ყბაზე შერჩენილი კბილიდან აწიტებდა და ჩვენთვის გაუგებარ სიტყვებს ბურდღუნებდა. ჟამიდან ჟამზე კაც ზვამბაიას ესაუბრებოდა ხმამაღლა, ეტყობოდა: კომუნისტებს აგინებდა კაც.

თემურ პირში შესცქეროდა კაც ზვამბაიას: თავს უქნევდა.

„ააადუ, ააადუ“, უდასტურებდა გულამღვრეულად მოუბარს. ისევ მომესმის ეს „ააადუ, ააადუ“, ყურს ვუგდებ სვანურს, ამ გასაოცრად ვაჟკაცურს ენას და ასე მგონია, იგი ჩემი მონათესავე ტომის ენაკავი როდი იყოს, არამედ სანსკრიტული ან ჩინური.

მე და ჯოკიამ ცხენებს გავხედეთ, ღამე ეშვება მახლობელ მყინვარწვერზე, წვიმს და გრიგალი დანავარდობს, გაშლილ ტაფობზე ნაძვნარების ზღვისებრი შხუილი ისმის, ჯოგის ძაღლები ღმუიან, ყეფენ, მკლავებწკარწახებული დედაკაცები კარდლებს აჩხარუნებენ, კისერგამოღადრული თხა შემოაქვს ორ სატევრიან კაცს დარბაზის ტალანში.

დარბაზში საქონელი შემორეკეს და მაჩვიბის გარშემო გამ-

წკრივებულ ახურებში დააბინავეს ხარები და ძროხები, აქაც ხნოვანებას ეძლევა უპირატესობა. პირველი ახურიდან უფროსმა ზარმა გამოჰყო თავი. იგი პენსიაში გასულ ბებერ მინისტრსა ჰგავს, კისერღაბაბიანი, სქელდრუნჩიანი. სულ მცირე ხანში ძაღლების ღმუილს, მამაკაცების როხროხს, ბავშვების ღნავილს, საქონლის ფეხების ბაკუნი და ქშენა ზედ დაერთო. პირუტყვები შემოგვცქერიან ახურებიდან, მელანქოლიურად იცოხნებიან ბებერი ხარები. კიდევ რამდენიმე ნაძვის მკვარი აანთეს დედაკაცებმა და ახლა ლასტებზე დაკიდული შაშხები გამოჩნდა. ძროხისა და თხის ბარკლები, ნაწიბურები. საზამთროდ შემონახული, მჭვარტლით გამურული ხორცი რაღაც საოცარ ქიმერებს მომაგონებს.

* * *

დავსხედით ვახშმად. დედაკაცებმა და ჩოხააკეცილმა ვაჟებმა ცხელ-ცხელი ჭვიშტარები და თხის ხორცი მოგვართვეს. ქორა მახვშ ჩუქურთმებიან საკარცხულზე დაბრძანდა. წინ სამფეხა მაგიდა დაუდგეს. თხის თავი მახვშს მიართვეს. ქორა მახვშმა მახვშის კათხა გაავსო არყით, აღმოსავლეთისაკენ პირი ჰქნა, პირჯვარი გადაიწერა და დაგვლოცა.

სამიოდე მკვარი კიდევ აანთეს და ახლა უფრო დაკვირვებით ვათვალიერებ ქორა მახვშს... იგავმიუწვდენელი დიდებულება გამოკრთოდა მის პატრიარქალურ წვერებსა და მდევურ გარეგნობაში. აღმოსავლეთში წარმოუდგენელია ამ ომახიანობის გარეშე რომელიმე ტომის, თემის ან გვარის მეთაურობა. ღრმა მიხრწნილებაში გადასულ მოხუცს საოცრად მოვლილი თმა-წვერი მოსავდა. ეს იყო წვერ-ულვაში ტუჩ-პირის გარშემო შეყვითლებოდა. დამწვარი ვერცხლით შემკული სატევარი ორი ხელისდადება იქნებოდა. ხოლო ქამარი, ქამარს ნუღარ იკითხავთ. ზღვის კიმილებისდარი ვერცხლის ფიგურები მიჯრით, მიწყობილად

გარს ევლებოდა ქამარს და გვერდებში საქონეები, საწამლები და სალეკურე ეკიდა. თაგვისფერი ჩოხა ეცვა მახვშს და ამავე ფერის პაჭიჭები სვანურ ჯაბრალებამდის სწვდებოდა.

მახვშს ქართულზე უფრო მეგრული ემარჯვებოდა. მე ძალიან მომწონდა, მახვშ წარამარა რომ ურევდა სვანურ გესმის — „ჯესმიმოს“ და გადაუთარგმნელ მეგრულ სიტყვას „მუდას“. ეს „ჯესმიმო“ და „მუდა“ ძლიერ ამკობდა მის გაჭიანურებულ, დარბაისლურ გრძელსიტყვაობას. ხანდახან ხველა აუვარდება მახვშს, თავს კვირისთავამდის მიიტანს. ახველებს, ახველებს და მერე ჩოხის სახელოთი მოიწმენდს ცრემლებს და ისევ დაიწყებს — „ჯესმიმო“.

* * *

დაწოლის წინ ქალები მახლობელ დარბაზში გაიკრიბნენ. მე და არზაყან ერთ კუთხეში მოვხვდით. სტუმრებს ფეხზე უნდა გავხადოთო და საურ მოგვიგზავნეს, ქორა მახვშის უმცროსი შვილიშვილი. საურ კომკავშირელი აღმოჩნდა, ტფილისის რომელიღაც მუშფაკის მსმენელი, საურ წარამარა იკრიჭება, ბროლივით თეთრ კბილებს აჩენს, ჯეირანსავით მოღერებულ, გრძელ კისერზე რევოლვერის ზონარი ჰკიდია, თავზე ძერასფერი სვანური ქუდი ახურავს. მარჯვენა ლოყაზე ნახანჯლარი ატყვია.

მე და არზაყანმა უარი ვთქვით და ფეხზე გახდა არ დავანებეთ საურს.

საურ თვალებგაბრწყინებული იგონებს მაისობის დღესასწაულებს, ტფილისის გაზეთებს, წიგნებს და თეატრებს.

სიგრძეზე გაშლილ ლოგინებზე მამაკაცები წვანან. კერასთან ქორა მახვში და თარაშ ემხვარ დარჩენილან მხოლოდ. ზის თარაშ ემხვარ და უამბობს ას ოცდაათი წლის კაცს, რომელსაც ჯერ

ურმის თვალი არ უნახავს, გაფრენილი ადამიანების, ჰაეროპლანების, რადიოს, ფიზიკის და ქიმიის სასწაულების გამო და მოსთქვამს თანაც ევროპის დიდ ქალაქებში მოხეტიალე მილიონების გამწარებულ სვეს.

ჩვენს გარშემო ჭერეხებსავით წაწოლილ ადამიანების ხვრინვას ხარების და ფურების ფშვინვა, ხვნეშა და სუნი ემატება. მე ადამიტურ გრძნობებს მიღვიძებს მუდამ საქონლის სუნი. დიდი მყუდროების მომგვრელია იგი უთუოდ.

ანწლის არაყი მწარედ მაბოყინებს, სიმთვრალე შემპარვია. თავბრუ მესხმის. ჯიხვის ტყავები ძირს მიგია. ჯიხვის ტყავები ზედ მახურავს და შაშვისოდენა რწყილები მესევა ტანზე. ისე ურცხვად დაღოღავენ ჩემს სხეულზე ეს აბეზარნი, ისე უტიფრად არ მეპუებიან, თითქოს მე სიკვდილი გამომცხადებოდეს და მღილების შემოსევის ჟამიც უკვე მოწეულიყოს.

მალე ემხვარმა მარტო დატოვა თავის საკარცხულზე მთვლემარე მახვში.

საურმა ჩექმების გახდა მოუნდომა თარაშს. ემხვარმაც უარი სთქვა. თავათ მოეჭიდა ფეხებზე შემომხმარ წაღებს.

ხვნეშის თარაშ ემხვარ, ხელებს ინერწყვავს, ეწევა ჩექმებს, შუბლზე ოფლის ხვითქი გადადის. მე მეგონა, არზაყანს ეძინა. სიცილი გავიგონე.

„ასე წვალობს მაგ უბედური ყოველ დაწოლის წინ. თუმცა, რაც ოქუმიდან გავიხიზნეთ, სამჯერ მეტად არ გაუხდია. ჩექმებიანად წევს“.

დაწოლის უმალვე დაიწყო თარაშ ემხვარმა ჩივილი. რწყილები არც მას შეპუებიან.

„აკი ძალიან მოგწონდა მახვშების სვანეთი, ახია შენზე, ესეც შენი რომანტიზმი, დასტკბი, თუ შეგიძლია“. ხითხითებს არზაყან

და განაგრძობს ფხანას. საურ გვპირდება, ხვალიდან კოშკში გადაგიყვანთ, იქ რწყილები არ არისო. დიდხანს ბორგავდა თარაშ ემხვარ, ბოლოს ჩასთვლიმა. მთელი ღამე სწუხდა, ბოდავდა, ჯამლეთ ტარბას ახსენებდა, სისხლი არ დაღვაროთო, ყვიროდა.

* * *

კერაზე ცეცხლი ჩაქრა. ორიოდე მკვარი დარჩენილა დაუქროველი. ვწევარ და ვტრიალებ, გვერდს ვიცვლი, წამოვდგები, პერანგს გავხილავ, ისევ დავწვები, ისევ შემომესევა ეს აბეზარი მწერები და გათენებას ვნატრობ გულით. ოდნავ ჩავსთვლიმე თუ არა, არზაყანის ხმა მომესმა უეცრად. იგი ზეწამოიჭრა და მაუზერს დაავლო ხელი.

„ვერ ხედავთ, ვერ ხედავთ?“ ამბობს ათრთოლებული არზაყან. გავოცდი. ალბათ მასაც ემხვარსავით უსაზმნოდ დაღვრილი სისხლის ქენჯნა აწუხებს-მეთქი. ვაშოშმინებ, ვამშვიდებ.

„გველი, გველი, ეგერ, შეხედეთ, შეხედეთ“. მეჩურჩულება არზაყან.

„დამშვიდდით, რას ამბობთ, სადაა გველი, თქვენ გეჩვენებათ“. ვეუბნები.

„როგორ თუ მეჩვენება. მე არ მძინებია, მან ზედ ჩვენ თავზე გადაიარა ლასტზე, მერე ძირს დაეკიდა მარყუჟულად და ე მანდ დაეცა“.

თვალი მოვიფშვნიტე და მართლაც... ვხედავ, თავაწეული გველი სწორედ იქითკენ მიისწრაფოდა, სადაც მახვში და თარაშ ემხვარ ისხდნენ წეღან საკარცხულებზე. ახლა ჯოკია იწვა იქვე დაგდებულ ნამორზე. არზაყანს უკვე შეემართა მაუზერი, უნდოდა საწოლიდანვე ესროლა, მაგრამ მე მივხვდი.

„ეს სვანური მეზირია, — ვეუბნები არზაყანს, — ალბათ ამ ოჯა-

ხის მფარველადაა იგი მიჩნეული. არ ესროლოთ, არზაყან. მეზირის მოკვლა დიდ უბედურებად ითვლება სვანის ოჯახში, ესეც არ იყოს, ჯოკიას არ ასცდება ტყვია“.

დიდხანს მარწმუნებდა არზაყან, ავდგეთ, დავეწიოთ და მოვკლათო გველი. თუ ღვთაებად მიაჩნიათ, მით უმეტეს უნდა მოვკლათო.

არზაყან წამოდგა, მეც თან გავყევი. ვაშოშმინებ, ვარწმუნებ, ჩვენ სტუმრები ვართ და თავმდაბლობა გვმართებს-მეთქი. როცა კერასთან მივედით, ნაძვის მკვარს ხელი წამოვავლეთ. კერის პირად პირდაბჩენილი იწვა ჯოკია და ხროტინებდა.

„ნეტავ ხახაში ხომ არ შეუძვრა გველი ამ უბედურ ჯოკიას?“.

ბოლოს, როგორც იქნა, დავმშვიდდით და დავწექით ისევ.

* * *

მალე მამლის ყივილიც მომესმა. ატყდნენ ძაღლები. ისეთი გაბმული ყეფა და ყმუილი იდგა, ასე მეგონა, მტერი შემოესიამეთქი ლაფარიანების კოშკებს და დარბაზებს. ვწევარ ღონემიხდილი და ვთვლემ. ვთვლემ, ვბორგავ და ამ კოშმარულ გარემოცვაში გასაოცარი ვიზიონერული ჩვენება გამომეცხადა: ცას მიბჯენია ძერასავით უშბას მწვერვალი, ცად ატყორცნილა გოლიათი მთა, როგორც გადარეული ღმერთის უცნაური ნაოცნებარი. ამ უზარმაზარ მყინვარწვერზე ზის ლაფარიანების გვარის ქორა მახვში დასავლეთისკენ პირშექცეული.

ანწლის არაყით სავსე კათხა უჭირავს ხელში და სწყევლის დასავლეთს ისევე გულმოდგინედ, როგორც ვახშმობისას აღმოსავლეთისკენ პირშექცეული გვლოცავდა ყველას. და ზედ მთის კვარცხლბეკზე, მახვშის ფერხთით მისი უფროსი ვაჟი თემური დაცუცქულა. იგი მეფისტოფელსავით იღრიჭება ახლაც, ჩაჟანგულ, დამძაღებულ კბილებს აჩენს და მესმის მისი გაუგებარი და

უცნაური ჩხავილი:

„აადუ, ااადუ, ااადუ“.

ჟამიდან ჟამზე თილისმურად თვალს აპაჭუნებს ჩიყვიანი თემური და უბიდან გამოღებულ გველებს ესვრის დასავლეთს.

ჯოგის თვალი

ჩემი თანამგზავრების აყოლამ საკუთარ მიზნებზე ხელი ამაღებინა. უმთავრესი ეს იყო. სვანური პრომეთეს თქმულებანი უნდა ჩამეწერა ამ მგზავრობისას. მეგონა: ასეთი რამ ჯიხვზე ნადირობის დროს უკეთ მოხერხდება-მეთქი. მართლაცდა... ზიხარ მთელი კვირა სახუნდარებში, დილას და საღამოს ჯიხვის ჯოგებს უთვალთვალებ ბინოკლით, დანარჩენ დროს ენა და ფანტაზია მოცლილია. ღამე ცეცხლს გააჩაღებ, ფიჭვის ფიჩხის საამო სუნით აივსება სახუნდარი, მოხუცი მონადირეები ინახით წამოსხდებიან და გიამბობენ ცისა და ბარისას. სწორედ ეს მოცალებაა მითოსის მთხზველის ლაღი სანავარდო.

კაც ზვამბაიამაც დამიმოწმა პატივისცემა, არზაყანი და ემხვარიც მას აჰყვნენ.

ცნობილია: სვანი მონადირე დიდის გულმოდგინებით ემზადება ჯიხვზე სანადიროდ. ორი კვირის განმავლობაში დედაკაცთან სიახლოვეს ერიდება, გავიდა ორი კვირა, და შეიქმნა კვერების,

ჭვიშტარების ცხობა.

ბელადობა თემურს უნდა ეკისრნა. მას სასაცილოდ არ ეყო ჩემი გერმანული სამთო ფეხსაცმელი, მოკლე შარვალი და ინგლისური წინდები. გადაწყდა: ყველას სვანური ჯაბრალები უნდა ჩაგვეცვა ფეხზე. ტანზე ჯიხვის ქურქები და რუხვი ჩოხები.

თავად ქორა მახვშმა გამოჭრა ხბოს ჯაბრალები, თემური და თენგიზი ჯაბრალებს გვიკერავენ. თემურის დედა გურანდუხტი ჭვიშტარებს გვიცხობს, საურ წრიაპებს უკირკიტებს, ოსმანს მუჯრები მოჰყავს წესრიგში. მზადება მოთავდა, მაგრამ სანადიროდ წასვლას არავინ ამხელს.

მეორე დღეს თემური ჯირკვზე დამჯდარა, ნებივრად აბოლებს ყალიონს და მთებზე დაზვინულ ნისლს გასცქერის.

„ჯესმიმო, როდის მივდივართ სანადიროდ, აა, თემურ მეზობლის დედაკაცი გარდაცვლილა, თემური თითით მიჩვენებს. სამ დღეში თვე გახდება, მერმე წავალთო.

შესრულდა თვე.

თემური ისევ ჯირკზე წამომჯდარა. ვეკითხები. თავს აქნევს: არ ვიცი, როდის წავალთო. საურმა გამიხმო: ალბათ, ქალ-რძალთაგანს რიგი სჭირსო ვისმეს. მოდი, ჩვენ მარტო წავიდეთ, მე და არზაყანი ვიკმარებთ, მათთან წასვლა არც ისე იოლიაო. მიჩურჩულებს საურ.

კიდევ ერთი კვირა გამოხდა, ქარი ამოვარდა, მთებზე დაზვინული ნისლები ააფორიაქა და გაჭენდა ღმუილით ტაფობზე. მე უკვე გზების შეკვრის მეშინია, ტფილისს გაბრუნებას ვაპირებ. მთელი დღე ვზივართ მახვშის კოშკში, მთებს გავსცქერით, ხანაც სახლის ოლეში დავცუცქდებით, არზაყანი და თარაში ღანკს ესვრიან. ნიშანში სროლაში ეჯიბრებიან სვანებს. ხანაც მაჩვიბის წინ თავს ვიყრით და ანწლის არაყს შევექცევით. სვანის ქალები ჩონგურს უკრავენ. ცუდი სიზმრები მოსდევს ანწლის არაყს, ცუდი

სიზმრები და კოშმარული ღამეები.

„ბატონო, ვგონებ, ხვალ მივდივართ, — მეჩურჩულება ერთ ღამეს საურ, — ჯოკია წავიდა. მამას არ მოსწონდა მწითურ ჯოკიასთან ერთად გზაზე დადგომა, თორემ ამ დილით აპირებდა წასვლას“.

ესაა მხოლოდ, არავის გაუმხილოთო, მარიგებდა საურ, თორემ ისევ ჩაგვეშლებაო წასვლა. მე პირი მოვკუმე, ჯიხვის ტყავებში თავი ჩავრგე, მაინც არ დამეძინა (ასე მჩვევია სანადიროდ მიმავალს).

ნაშუაღამევს წამოდგა თემური. ჯერ დიდხანს ლოცულობდა საწოლის წინ წამოჩოქილი. მოათავა ლოცვა და ჩვენც წამოვცვივდით. თემურმა გვიბრძანა და გულებში ჩავილაგეთ ზედაშე — არაყი, წმინდა სანთლები, კვერები და ჭვიშტარები.

კოშკში ჩვენს მეტი არავინ იყო, მაინც ჩურჩულით გვარიგებს თემურ. აქ კი დაიწყო სვანური ტაბუს ამბები ყოველ ჩვენთაგანს სახელი შეგვიცვალა თემურმა, თავათ ნაპოოლი — ფრინველი დაირქვა, მე მგელი უნდა მრქმევოდა, არზაყანს — ჯიხვი, ემხვარს რატომღაც — თევზი, კაც ზვამბაიას — დათვი, საურს — ფოთრი და ასე შემდეგ. ხოლო თოფს ტარხან — ჭოლოკი უნდა რქმევოდა.

კოშკის კიბეები ჩავირბინეთ სულის მოუთქმელად, თემური წინ წაგვიძღვა და ჩქარი ძუნძულით ისე გავიპარენით სოფლიდან, ხორციელი არ შეგვხვედრია. ასე დაუბრებულნი მივიპარებით ღრანტიან ბილიკებზე, ტყე და ტყე, მინდორ-მინდორ, ველ ღა ველ. მოთავდა ნაძვნარების რაიონი, ახლა ღოლოს და ჯახველის, ალპიური ბალახისა და დეკას საუფლო დაიწყო.

არწივები, ბოლობეჭედები სხედან მოტვლეპილ ქიმებზე, ჩვენ ფეხის ხმაზე ზანტად დგებიან და ცაში აკეთებენ ირაოს. დადუმდა ბუნება, აჰა, გამოჩნდა უშბას მარჩბივი მწვერვალი, ახალი თოვლით დათრთვილული კორძიანი ფლატეები. მხარმარცხნითა და

მხარმარჯვნით ლილასფერ ბურუსში სთვლემენ კავკასიონის ბროლის პირამიდები. ისეთი მსუბუქი ბურუსი ახვევია მწვერვალებს გარს, რემბრანდტის სურათებს რომ დაჰკრავს ხოლმე.

ნელა, სულ ნელა ემატება შუქს გამსჭვირვალება, ერთბაშად თითქოს გაიზმორესო ამ გველეშაპებმა, გაფხრიწა მერე მზის შუბებმა ნისლების რიდე და ყომრალი სხივის კასკადები გადაეფრქვია ბროლის ქორედებს. უფრო და უფრო ვუახლოვდებით ღრუბლებს, დეკას ბარდებიდან როჭოების კრიახი ისმის, ხანაც ღრუბლებმიწეული ქორების ყივყივი.

უკვე წრიაპები გავიკეთეთ, მუჯრები მოვიმარჯვეთ და შევუდექით ციცაბო ბილიკებს. რაც უფრო ვწინაურდებით, მით უფრო მკაცრი ხდება თემური. იგი ვერ იტანს არზაყანისა და საურის ჩურჩულსა და ღრეჭას. განსაკუთრებით ეს ვერ აუტანია, ისინი რომ ვერ იხსომებენ საგანგებოდ შერქმეულ სახელებს.

ჩემთვის ბევრს უთქვამს, მგელს წააგავხარო, ასე რომ, კიდევაც შევიშვენე ეს სახელი. კაც ზვამბაია კვალდაკვალ მისდევდა თემურს, შესდგებოდა, ერთს შეუკურთხებდა არზაყანს, მერმე ისევ გაუდგებოდა ბილიკს ტაატით.

არ ვიცი, საური რას ეჩურჩულებოდა არზაყანს, იგი თვით ამ უფსკრულების პირად ვერ იკავებდა სიცილს. მერმე განზრახ შეიხსნიდა ჯაბრალების თასმებს და დროს იგებდა უკან ჩამოსარჩენს, გეგმებს აწყობენ რაიონში კომკავშირული მუშაობის გასაჩაღებლად.

მე და ემხვარი მართლაც ვერ შევეგუეთ სვანურ ჯაბრალებს.

დიდი ქალაქის ასფალტს ნაჩვევი ფეხი ან როგორ შეეთვისება ამ ჯოჯოხეთურ ბილიკებზე სვლას! მივდიოდით, მივღოღავდით ხან ჯაბრალის თასმა შეგვეხსნება, ხანაც ქუსლი მოგვექცევა, თარაშს ფომფლე ჯაბრალი შეხვდა. მე ფეხზე მიჭერდა. ძველი კოჟრები განმიახლდა.

* * *

ნაშუადღევს უშბას გასწვრივ აღმართული მყინვარის თხემამდის მივაღწიეთ ძლივს.

გამოჩნდა ჩვენს მიერ ნანატრი „დევის ქვაბი“. დევის ქვაბი ძველთაძველი გამოქვაბულია 3560 მეტრის სიმაღლეზე.

სამი მხრით გადასცქერის თვალშეუდგამ უფსკრულებს, იგი მართლაც დევების ნაბუნაგარს უფრო ჰგავს, ვიდრე მონადირეების სახუნდარს. თემური ქიმზე აცოცდა. სანთელი აანთო, ცალ ხელში სამი კვერი დაიჭირა, ცალშიაც ზედაშე არაყი, პირი აღმოსავლეთისკენ იქცია და შეუდგა ლოცვას.

გარევილი მუჰტი ღერბეტ, ირგვა ჟირუ ანდის გარევილი ლამო“. გარეულის მომცემო ღმერთო, შენის წყალობით გაგვახარე, გარეული მოგვეციო.

კაც ზვამბაია, ოსმანი, თენგიზი და თვით საურიც მასავით მოიქცნენ. გუდები გახსნეს, შესაწირავი ამოიღეს, სანთელი, პური და არაყი შესწირეს — დალს. ეს იყო მხოლოდ, მე თვალი ვკიდე, როგორ იღრიჯებოდა საურ, ორ-სამჯერ მან არზაყანს თვალი ჩაუკრა ცბიერად.

ჯერ საუზმე არა გვქონდა მოთავებული, როცა ცას ტუტასფერი ღრუბლები წამოესია და დაიწყო თქორი.

მყისვე დევის ქვაბს მივაშურეთ. ეს გამოქვაბული უდიდესი სახუნდარია სვანეთის მთელ საჯიხვეთში. მისი შესავალი ისე ვიწროა, ჯოგის ძაღლიც ვერ შეძვრება შიგ კუდდაუშვებლად.

თავათ ჩვენ მუცელზე ხოხვით ძლივს შევდიოდით.

შიგნით კი მისი დამჭვარტლული კედლები ათიოდე მეტრის სიმაღლეს აღწევს. ვინ იცის, ვულკანს გამოუხრავს იგი, თუ პირველყოფილ ადამიანს გამოუღია აქედან კირის მასივი. სამი

მხრით სათოფურები აქვს გაკეთებული დევის ქვაბს. სათოფურები ძირს — უფსკრულებში გამონაჟონ მჟავე წყაროებს გადასცქერიან.

მთელი კვირა ვუცადეთ ჭირვეული ბუნების გაღიმებას დევის ქვაბში. თემური წარბმოღუშული იჯდა. ნაცარში ხატავდა სამარჩიელო ფიგურებს, ყალიონს ახრჩოლებდა, იფურთხებოდა, მყრალი სიტყვებით იგინებოდა, ლანძღავდა საურს. ხანაც ჯოკიას სწყევლიდა, მწითურ ჯოკიას აბრალებდა ხელის მოცარვას, ხანაც საურისა და არზაყანის მიერ ტაბუს დარღვევას ასახელებდა დალის განრისხების მიზეზად (ეს მართალია, არზაყანმა და საურმა სამჯერ „შესცოდეს“, ნაპოოლს თემური დაუძახეს და ტარხანს — თოფი). მზე ჩავიდოდა თუ არა, ძილი მოერეოდა თემურს და მთელი ღამე აკ...ა გულშემოყრილი ბერიკაცი.

არზაყანი ჩემს გვერდით იწვა.

„ეჰე, დაგვიშინეს ფაშისტებმა მრხჩოლავი გაზები“, მიჩურჩულებს არზაყან და იგუდება სიცილისაგან.

მთელი დღე ჟინჟღლავდა. ნისლების ჯარები დაესხნენ მთებს, ქვეყანა ღრუბლითა და ჯანღით აივსო. ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნებოდა ხანდახან, თითქოს ღრუბლების ზღვაში ვცურავთო. სამი დღე ასე წვიმდა, მერმე ცამ პირი გვიჩვენა, მაგრამ საღამოს ისევ ნისლი დაჰკრა, ისეთი ზრქელი, თოფის სასროლზე კაცი კაცს ვეღარ გაარჩევდა, იმ საღამოს სამნი წავედით როჭოზე სანადიროდ, სამ-სამი როჭო მოვკალით. მოვდივართ ღიღინით ქვაბისაკენ.

ემხვარი სადღაც დაგვეკარგა. გავიხედე: ადამიანის ლანდი მოდის ნისლში. ადამიანია, ნამდვილი ადამიანი. თოფი გავმართე, შევეხმიანე. თურმე არჩვი შეგვფეთებია. ისე მოდიოდა, აჩრდილივით მოიპარებოდა. ნადირმა და ადამიანმაც ვერ ვიცანით ერთიმეორე. გული დაგვწყვიტა და დაინთქა ნისლის მორევში.

ნისლი ჩადგა. ახლა ქარი ამოვარდა, ქარი და თოვლჭყაპი. უთენია მივვარდებით სათოფურებს. გავცქერით ბინოკლებიდან და ვხედავთ თვალუწვდენ სივრცეში გაიელვებენ ჯიხვის ჯოგების სილუეტები და გაჰქრებიან. ხანაც შორს, ძალიან შორს ჯიხვი დამჯდარა დაცერებულ მყინვარის ფლატეზე, უკანა ფეხები ამოუკეცნია, წინანი წინ გაუშვერია და მარხილივით მისრიალებს უფსკრულისაკენ. ხანაც შეხტება ღვაშ ჯიხვი, რქებს დაჰკრავს პიტალო თხემზე და გადაევლება თვალშეუდგამ უფსკრულის ხახას. და უთენია მოგვესმის შურთხების ფრთების ფრთხიალი, ჯიხვების სტვენა და მერე ზვავების გრიალ-გრიალი. მალე საგზალი შემოგველია: წყალი, მარილი და პური. უთენია გამოვძვრებით სახუნდარიდან, ასიოდე ნაბიჯს გავვლით. იქვე მოტვლეპილი და დაბალი კლდეებია. მთის ინდოურები ჩამომსხდარან წვეტიან ქიმებზე, როგორც ყორნები ეკლესიის გალავანზე.

ვესვრით, ათიოდე ინდოურს ქვაბში მოვიტანთ და მთელი დღე ტკიცინებს ცხიმი გაჩაღებული კერის გარშემო. წყლის ნაცვლად ყინულსა ვჭამთ და უმარილო ხორცს შევექცევით. ადრე იძინებენ მონადირენი. მთელი ღამე ვბორგავთ მე და ემხვარი, დიდი ქალაქის უძილო ღამეებს ნაჩვევნი, და ჩვენი ოცნება ხან სამზეოს მოედება, ხანაც სახმელოს ეპოტინება. მე ხომ სავსებით გამიკრთა ძილი. როგორც კი თვალს მოატყუებს თარაში, მყისვე კოშმარები ეწყება. ისევ ჯამლეთ ტარბას ახსენებს მძინარე, გაცოფებული წამოვარდება, თოფს წაეპოტინება. ერთ ღამეს არზაყანს წაეკიდა. ისევ სვანეთის უგზოობის და ჩამორჩენის გამო წალაპარაკდნენ. ჩემს მეტს ყველას ეძინა. უცებ ქართულიდან აფხაზურზე გადავიდნენ და ურთიერთზე მიიწიეს, მე წამოდგომა მოვასწარი და შუაში ჩავდექი. არზაყანმა დაიძინა თუ არა, მე წამეკიდა. საერთოდ, იგი აუტანელი გახდა უკანასკნელ დღეებში. მეორე დღეს ტფი-

ლისს ვაპირებდით წასვლას და — სწორედ იმ დილით გამოიდარა. მყინვარების ქორედებმა თავი წამოჰყვეს ღრუბლების ზღვიდან, ისინი ისე მშვენიერი გახდნენ, თითქოს ხელახლა შეუქმნიაო ყოვლისა გამჩენს. თეთრად მოვარვარე ღრუბლების გემებიდან მათ ვერც კი ამჩნევდა თვალი. ასე გეგონებოდათ, მალე ეს მთებიც და ეს ღრუბლებიც ადგებიან და ეთერში გაიქნებიანო. სწორედ იმ დილით არ გამოჩნდა არც ერთი ჯიხვი. დიდხანს ვუჭვრეტდით ბინოკლებიდან მთის ბილიკებს და მჟავე წყლებს, მერმე გაბრაზდა თემური. ბრძანა, დევის ქვაბი დაგვეგდო. მახლობელ მყინვარებზე ვინადიროთო.

ახლა ალალბედზე უნდა გვეარნა ამ ჭიუხებში. თემურ გვარწმუნებდა: მე ადგილი ვიცი, სადაც ჯიხვის ჯოგს წავაწყდებითო, საბალახოდ დაბლა ჩამოსულს, იქ თუ ჩავუსწარით, ჯოგსაც ამოწყვეტთ და ჯოგის თვალსაც ხელში ჩავიგდებთო.

ერთი რამ იყო. თემურ მოითხოვდა, ჯოგის თვალისათვის არავის ესროლა, ვიდრე თვით ჯოგი არ გამოჩნდებოდა, თორემ ხელცარიელი წამოვალთ უკან. ყველამ ფიცი დასდო, ჯოგის თვალისათვის არ ესროლათ პირველად. ყველაზე მტკიცე ფიცს თარაშ ემხვარი აძლევდა თემურს.

თემურმა პირჯვარი გადაისახა და მივყევით აღმა ფრთხილად. ასე ვიარეთ ორიოდე საათს, მე და ემხვარი უკან ვრჩებოდით წარამარა. მე მუჯრა გამიტყდა ერთ ადგილას, და საური რომ არ მომშველებოდა, უეჭველად დავიღუპებოდი. ემხვარს წრიაპი დაუცდა, არზაყანი მიეჭრა და გადაარჩინა. მაშინ თემური შესდგა, აჯლოყინდა: გვირჩევდა დევის ქვაბში დაბრუნდით, იქ მოგვიცადეთო, ჩვენ არ გავუგონეთ. ამდენი ჭაპანწყვეტის შემდეგ ჯიხვის მოკვლა ისეთ ოცნებად იქცა, ყოველი ჩვენგანი თავს გასწირავდა დაუფიქრებლად. კვიცრა ბაჩართან შემოგვაღამდა და შიშველ ყინულზე ვათიეთ ღამე.

* * *

მეორე დღეს ნასამხრალამდის ვიარეთ ხევ-ხევ, ჟღურტულით მოჰქრიან მყინვარებიდან აქაფებული ნაკადულები. ახლა ისევ აღმავალ ბილიკებს მივყევით, შორეულ მწვერვალებს გავუსწორდითო თითქოს. იმატა სითეთრემ. თვალი აგვიწვა შუქის ციაგმა. მალე შეფაკლდა მწუხრის ცისკარი და ვარდის წყალი გადაეფრქვია ამ გოლიათურ ყინვის მუზარადებს.

თემურ დაიქანცა, უმატა ბუზღუნს ჩვენმა ბელადმა. საურს უყვირის. კაც ზვამბაიაც წარამარა ეჯაჯღანება თავის არზაყანს. სულ მცირე რამისთვის აყვირდებიან მოხუცები, რადგან ახალგაზრდები ვერ იტანენ სისასტიკეს და სიფრთხილეს გამოცდილი მონადირისას. გაშლილ ზეგანზე გადავედით. გაჭირვებით გადავდივართ ვულკანის ქვებით დახერგილ პლატოზე, უკვე მონადირეთა ბილიკებიც დავკარგეთ თვალიდან. თოვლს წაუშლია ადამიანის ნატერფალი ამ ბილიკებზე, სდგანან ვულკანებისაგან თავპირჩალეწილი მწვერვალები, მეწყერებისაგან დაფშვნილი ფლატეები და გორმახები. უკვე ვერ ვხვდებით ვერც არწივებს, ვეღარც სვავებს და მთის ალალებს, მხოლოდ აქა-იქ ჭიუხების წყნარ უბეებში დარჩენილია გაფითრებული ალპიური ბალახბულახი.

ზეგანი მოთავდა, ჩამოლეწილ ფლატის მახლობლად, მაგიდის დარი პრტყელი ლოდი აგდია ჩვენს წინ მიწაზე და ზედ თეთრი, თოვლისფერი კენჭები დარჩენია თითქოს ვიღაცას.

თემურმა მუჯრა გადააგდო, გუდა მოიხსნა, დაჯდა, კენჭი გააგორა, სამჯერ ზედიზედ. ოსმანი და თენგიზიც გვერდით მოუსხდნენ, მოცლილ ბავშვებივით ათამაშებენ ამ მრგვალ, თეთრ კენჭებს. თუმური ხან იჭმუხნება, როხროხობს გახარებული, ან გაუგებარ სვანურ სიტყვებს ჯლოყინებს თანაც. ჩვენ ვდგავართ მუჯრებს დაყრდნობილნი და გაოცებული შევცქერით ამ ბალღურ

თამაშს. საურ გვერდით ამოგვიდგა.

ეს სამარჩიელო ქვა ყოფილა. მონადირენი თურმე ამ გზით ამოიკითხავენ ნადირთა ღმერთის იდუმალ ზრახვებს.

თემურ წამოდგა. გუდას და მუჯრას ხელი წაავლო, შუბლგახსნილი, სახეგაბრწყინებული მოგვიბრუნდა და გვანიშნა გზას დავდგომოდით. სჩანს, იმედი აქვს, დალი ჯოგებს მოერეკება, ჯიხვის ჯოგებს ჩვენს დასახვედრად.

აბა, პაპიროსი არავინ მოსწიოსო, გვიბრძანებს თემურ. თოფები შემართული იქონიეთო. იმ ხევს გავივლით, იმ წოწოლა მთას შემოვუვლით, მერმე ერთი მთა შემოგვხვდება, კუზიანი მთა და იქ ჯიხვები ეგულებათ თემურს და ოსმანს.

საურმა ნაბიჯს მოუხშირა. საურსაც შეეცვალა ახლა გუნება. მისი ოცნება ეს ყოფილა: ჯიხვის დურაყი უნდა დაიჭიროს, ჯერ ურქო ნუკრი. გაზრდის საური ჯიხვის დურაყს და გაზაფხულზე ტფილისს წაიყვანს. საურს მტკიცედ სწამს, რადგან თემურს ამოუკითხავს ეს ამბავი ლოდის ძარღვებში. არზაყანს ეცინება ასეთი ბალღური ამბების გამო, გვერდით მიჰყვება საურს და იცინის...

„ფოთრი, ფოთრი“... იმეორებს საურ და მიჰყვება ბილიკს.

მე ძლიერ მომწონს ეს სიტყვა „ფოთრი“, მინდა ხმამაღლა გავიმეორო, მაგრამ ვერიდები ტაბუს დარღვევას. ოსმანი მოდის აგერ ჩემ გვერდით და უეჭველად დამასმენს თემურთან, სტუმარი ღვთისაა, მაგრამ ნადირობაში არც სტუმრებს გვერიდება ჩვენი ბელადი.

ფოთრი, ფოთრი, ხმოვანდება ეს სიტყვა ჩემში, მაგრამ არ მჯერა, რომელიმე ჩვენთაგანს თუ ეწევა ასეთი ბედი...

უკან მოვიხედე, ემხვარი სადღაც გაუჩინარდა. მასაც აერია გზაში გუნება. წარბმოღუშული მოდიოდა, ხმისგაუღებლად. კარგა ხანია მხრიდან თოფი არ მოუხსნია. ფიქრში წასული, დაღონებული მოდის ჩვენს უკან. იგი თითქოს ყველას წაეკიდა გზადაგზა.

ყველას, კაც ზვამბაიას და თემურის გარდა. ხევი მოთავდა, მთას მოვუარეთ.

ისევე ხევი. თემური, ოსმანი და თენგიზი დაწინაურდნენ. კაც ზვამბაია და არზაყანიც აღარსად სჩანან. მოულოდნელად შემოგვესმა სტვენა ჰაერში. გავკმინდეთ სული, კიდევ და კიდევ დაუსტვინა და მერმე ისევ ჩამოვარდა მყარი დუმილი. მყინვარების მყარი დუმილი. შურთხების ფრთხიალი გაისმა ჰაერში.

„ჯოგი მოდის, ჯოგი მოდის“, ჩურჩულებს საურ და უზარმაზარ ლოდს ამოუწვა. თემურ, ოსმანი და თენგიზიც გაუჩინარდნენ, არზაყანსა და კაცს მხარმარჯვნიდან უნდა მოევლოთ. სადღა არიან? სამი ნაბიჯი უკან გადავდგი, კლდე მოვისაფრე და ვხედავ ნათლად: უმაღლეს ქიშზე უშველებელი ვაცი იდგა. იდგა ამაყად, ჯოგის თვალი გაქვავებული, თითქოს შეზრდოდა ძერასფერ ფლატეს, ასე ზვერავდა არემარეს ამპარტავნად ყელმოღერილი. არც ერთ მოქანდაკეს ამაზე უფრო მშვენიერი ქანდაკი არ აღუმართავს ჯერაც კვარცხლბეკზე.

თოფი გავმართე, მაგრამ გული საგულეში არ მიჩერდება. საკუთარი სისხლის აჩქამება მევე მომესმის... საცაა ჯოგიც ჩამოყვება წყაროსკენ ბილიკს. ეს გავიფიქრე და სწორედ ამ დროს დაიგრიალა გაღმიდან თოფმა. ლოდების ყორე დაინგრაო თითქოს ერთბაშად, მთელმა ჯოგმა დაიფრუტუნა. ფსტვენით, თქარუნით მიაშურა ისევ მყინვარებს.

მხარმარცხნით ბოლი გაიფანტა მაღალ ფლატეზე. თარაშ ემხვარ თვლით გავსილ ხევს გაღმა იდგა, გადახსნილ თოფში იჭვრიტებოდა: სისხლი ამემღვრა მის დანახვაზე, გავმართე თოფი, ჯიქურ ვესროლე. ცოტა ხანს ვიდექ ჩემს ადგილზე გახევებული, ესღა შევნიშნე, თუ როგორ გადაეშვა ემხვარი კლდიდან. ოდნავ შევბორძიკდი, კიდევ მივიხედე, მაგრამ იგი უფსკრულმა ჩანთქა.

ახლა მხარმარჯვნით გავიხედე. შორს, ძლიერ შორს საური და

თუმური გარბოდნენ იმ ადგილისკენ, სადაც ჯიხვი ძირს დაენარცხა. უკუ ვიქეცი, კლდე მოვისაფრე და ესეც ვნახე, თუ როგორ დაიჩოქა თემურმა თოვლში, პირჯვარი გადაიწერა და აკოცა დრუნჩში ჯოგის თვალს.

ეს კარგად ვიცი: თარაშ ემხვარის კლდიდან გადავარდნა თავათ საურსაც არ დაუნახავს. მუჯრა მოვიმარჯვე, წრიაპები გავისწორე და დავეშვი თავქვე ჭიუხებისკენ, სულმოუთქმელმა გადავიარე მომცრო გორაკი, და ახლა, როცა მარტოობა საცნაური ვყავ, უცნაური რამ ძრწოლა მომგვარა გულფიცხობაში ჩანადენმა დანაშაულმა. მე არაერთხელ მომიკლავს კაცი, მაგრამ ეს მომხდარა თავდაცვის და ომის წუთებში, და ახლა, როცა ამ დიდებული ბუნების პირისპირ დავრჩი მარტოკა, შევკრთი უეცრად. გავრბივარ, გავრბივარ და უკან ვიხედები...

შევდექ და ისევ გავიხედე ჩრდილოეთისკენ. მთლად იისფერი გამხდარიყო კავკასიონი. მშვიდად ეძინა მარადიულ ყინვის საუფლოს. ცა ოქროპირი უღიმოდა ბინდში გახვეულ თეთრ პირამიდებს. ცა ოქროპირი უღიმოდა ბინდში გახვეულ თეთრ პირამიდებს. შევცქერი ამ მთებს, ქრთილისოდენად მეჩვენება მე ჩემი თავი, ჩემი წუხილი ამ იგავმიუწვდომელ საოცრების კიდეგან მდგარი.

* * *

მესამე დღეს თხილამურებით გადავლახე ზუნტარას კლდეები, უდიდეს ქარბუქს ჯვარში ჩავასწარი, მეოთხე დილას უჩვეულო თოვლი მოსულა, რამდენიმე თვით ჩაკეტილა ზემო სვანეთი. მხოლოდ სავსებით იშვიათი მთამსვლელები და ჯოკიასავით თავზეხელაღებული ცხენის დალალები, თუ ბედავდნენ სვანეთის ბილიკებზე გამოჩენას თხილამურებით.

ჯოკია თურმე მთელი ზამთარი დადიოდა მესტიასა და ჯვარს

შორის. ამანათები, ფული, წერილები და, ვგონებ, მარილიც კი დაჰქონდა მაგ ეშმაკის ფეხს.

1932 წლის გაზაფხულზე ორგზის შემხვდა ზუგდიდში, მე მან რამდენიმე წერილი მომყიდა, მაგრამ სულ მცირე მოთმინება იქონიე, ჩემო მკითხველო, და ამ ბარათებს მე გაგაცნობ შემდეგ თავებში.

DICEBAMUS HESTERNA DIE...

ესპანეთის ინკვიზიციის დროს ერთი პოეტი შეიპყრეს თურმე სწორედ იმ დროს, როცა კათედრაზე სიტყვას ამბობდა. ხუთი წლის განმავლობაში აწამეს ჯალათებმა, როგორც კი გამოუშვეს, იმავე დღეს უნივერსიტეტში მიბრუნდა და იმავე კათედრაზე ასული სტუდენტებს ეუბნება: „Dicebamus Hesterna Die...

გუშინ ჩვენ ვამბობდითო“... და ასე განაგრძო ხუთი წლის წინად შეწყვეტილი ამბავი.

ასევე მეცა. ხუთი კვირის წამების შემდეგ ძლივს მოვაღწიე ტფილისამდის და კვლავ განვაგრძობ მე აქ ჩემს სათხრობს.

* * *

ისე გავიდა სექტემბერი და ოქტომბერი ისე მიიწურა, ოქუმში დანამდვილებით არავინ არაფერი იცოდა, რა ბედი ეწვია ჩემს გმირებს. თოვლის გუნდასა ჰგავს ხალხში დარხეული ხმა, მუშტი-

სოდენა რომ დაგროვდება მთიდან და ზვავად ჩამოვა ბარად. სვანეთში მომხდარი უეცარი შეტაკება საკმაო იყო და მოცლილებმა ხმა დააგდეს: ორივე მამა-შვილი და ემხვარი ტყეში მოკლესო. ეს მეორეჯერ შეიცხადეს მაიამ, ხათუნამ და ძაბული. ჩემი გმირების სიკვდილი.

მაია ოქტომბერში გაცივდა, შაბათ საღამოს ილოცა, ჩაწვა ლოგინში და მეორე დღეს მკვდარი იპოვნა ცირუნიამ იგი.

როგორც კი ქელეში და ჯამუ ღორებს გარეკავდნენ საძოვრად, ხათუნას ყოველდღე გამოჰქონდა ქმრისა, ვაჟისა და გაზრდილის ნიშანი: არზაყანის ჩაბალახი, კაც ზვამბაიას ჩოხა და თარაშ ემხვარის ძველი კოსტიუმი, თხილნარში გაიტანდა და მოსთქვამდა უამბოდ გადაგდებულებს.

* * *

„თვალუას“ უძახიან ოდიშის მხარესა და აფხაზეთში ამგვარ დატირებას, თვალუა, ალბათ, იმიტომ ჰქვია, ტრანსში გადასული მოტირალი ცხადლივ რომ ესიტყვება მზეგადასულთ.

ნიშანს წინ დაიდებს თმაგაშლილი დედაკაცი, მოისვამს ხელს და ლალებზე, ლოყებს იკაწრავს და ეხმიანება მიცვალებულთა სულებს. ჯერ უცრემლოდ ესაუბრება მიცვალებულს, აქებს მის სიკარგეს, მის სინაზეს, გულითადობას. ამბობს, თუ რა უდროვოდ გაეცალა იგი წუთისოფელს, და ამგვარ სიტყვებს რეფრენად მოსდევს „ო, ვაჰ-ვაჰა“...

მერმე ისევ „ო, ვაჰ-ვაჰა“-თი წამოიწყებს ახალს რამ სათქმელს. უსაყვედურებს მიცვალებულს, თუ რა უგულო ყოფილა იგი, როგორ უპატრონოდ მიატოვა შინ დარჩენილნი.

მერმე საკუთარი გლოვისაგან გულდამდუღრული ფრჩხილებს დაისვამს გაშლილ თმებზე, მოფოცხავს თმას და ლოყებს

დაიხოკს, მდუღარე სიტყვებისაგან გულდათუთქული და ატირდე-ბა.

ო, ვაჰ-ვაჰ, დაიწყებს მერმე, იმ საიქიოში თუ შეხვდეო ამა თუ იმ მკვდარს, ასევე უდროოდ ამ ცხოვრების წრიდან გამოსულს, ეტყვის აქედან, მას უთხარიო, თუ როგორ უმწეოდ, უპატრონოდ შთენილი ვარო.

ო, ვაჰ-ვაჰ, ამცნეო ბედშავს, უბედურს და უხანო სულს, რომ ამ მიწაზე მე ცხოვრება გამიმწარდაო. ცრემლი არისო დღედაღამე აქ ჩემი საზრდო. უშენოდ მზესაც ათინათი მოკლებიაო, არ მიღი-მისო ამ მწარე მიწაზე მდელოს სიმწვანე. აღარც სინათლის გამო-ჩენა ატკბობსო გულსა.

ასე დამჯდარიყო იმ დღეს ხათუნა და მოსთქვამდა ქმარსა და ვაჟს და საყვარელ გაზრდილს.

არასდროს ხათუნას კაც ზვამბაიას სახელი არ უხსენებია, „იგის“ ან „იმ კაცს“ უწოდებდა ქმარს. ან „ბატონს“, „შურიგეს“.

ბატონო, ეუბნება იგი კაც ზვამბაიას, შენი ზღვასავით ოჯახი თავზე წამოგვექცაო. ხურმებზე მიშვებული ვაზი გაახმოვო, ბატო-ნო, გვალვამ. შენი ყანები კოლექტივმა დახნაო, შენი მიჯნების სა-მანები მალაზონიებმა, მაქაცარიებმა და ტარბებმა გადალახესო, ბატონო, სადა ხარო ახლა, ბატონო, შენი სატევარი წელზე შემო-ირტყა, შენ თოფს ხელი წამოავლო და დაიცვა შენი სარგო მიწის ნაჭერი.

ო, ვაჰ-ვაჰ, ბატონო, შენი ქელეში ობლობამ დააგლახაო, მცი-რეწლოვანი თოხს ვეღარ სწევსო, ისე საწყალობლად ატკინა კოჟრებმა ხელი, ჯამუც სულ წრიალებს, ბატონო, როდის მოვაო მამიკო სახლში.

ო, ვაჰ-ვაჰ, ჩვენ არ ვუმხელთო, ბატონო, ჯამუს, რომ შენ ამ სოფელს აღარა ხარო, ჯამუ დღედაღამ ჭიშკარს გასცქერის, ბა-

ტონო, ქარიან ღამეში არ ეძინებაო ჯამუს. ქარი შეარხევს ვერ-ხვის ხეს, ბატონო, ჯამუს სულ შენი მათრახის ტკაცუნი ელანდე-ბაო, ბატონო.

ო, ვაჰ-ვაჰ, არზაყანს აქ ყოფნისას შენ აწუხებდი, ბატონო, მუ-დამ ებუზღუნებოდი, მწარე სიტყვას არ ზოგავდიო. ჩემი ჯავრი ნუ გაქვს ბატონო, მე თუნდაც მიწამ მიყოსო პირი, ჩემს არზაყანს მოუარეო, ბატონო, ობლებს მე გავზრდიო, შენს საფიცარ ქელეშ-სა და ჯამუს.

ო, ვაჰ-ვაჰ, იწყებს ისევე ხათუნა და ახლა არზაყანს მიმარ-თავს, უგულოს. შენ დედა არ გეცოდებოდაო, ო, ნანა, შენ დედის გულის ჯალათი ხარ, შვილო, შენ გაამწარეო ჩემი სიცოცხლის დღეები, შენ შემოგევლოსო დედაშენი, ო ნანა, შენ მამის ურჩი იყავიო, შვილო, იქ მაინც ნუ გაამწარებო უხანოს, გაუგონო მო-ხუცებულს, შვილო, შენს ცხენს არაბიას არენბა არლან დააჭენებ-სო, არენბა არლან კისერმოსატეხი, წმინდა გიორგი და ჯვარის მთავარანგელოზი კისერს მოუგრეხსო არენბა არლანს. მოსრა-სო ღმერთმა და ილორის წმინდა გიორგიმ მაგ შენი დამღუპველ ტარბების ჯიში, ზღვაში ხომალდი დაექცესო ზღვაზე მიმავალთ და ხმელეთზე ცხენი წაექცესო ცხენოსან ტარბას, წყალზე ბოგირი ჩაექცესო ბოგაზე შემდგარს. ხმალი ბრძოლის დროს ზედ ვადას-თან გადაუტყდესო. მოსრასო ღმერთმა და ილორის წმინდა გი-ორგიმ ტარბების გვარი, მათი ჯილაგი, ტარბას ქალების ნაშიერი გაჟლიტოსო მაღალმა ღმერთმა და ილორის წმინდა გიორგიმ, როგორც ენგური გაზაფხულზე გაცოფებული ჭინჭველების თესლს გადალეკავს ნაპირზე დაყრილს.

მოსთქვამს ხათუნა, უმატებს ხმას, იღადრავს არზაყანის გამ-ზრდელ ძუძუებს.

„ვოჰ, ნან“, მიმართავს ხათუნა ისევ არზაყანს.

შენი ძაბული გადაგყვაო, შე უმადურო, ორივე ძმები პელაგრისგან დაეხოცაო, თავისი მამის ძველი ფაცხა გამოკეტაო, ფუძე და ფუტი ჩაიქროვო მამის სახლ-კარში, გვერდით მიდგასო სიბერეში შენი ძაბული. შენთვის მტირალმა თავი ქვრივად განაცხადაო, შენი სახელის ხსენებაზე გაფითრდებაო, შენ ხელშენავლებ თოხს კოცნისო შენი ძაბული, შენი მათრახის დანახვაზე ცრემლს ღვრისო ქალი, შენ უნაგირს სასთუმლიდან არ იშორებსო, და შენ სატევარს, შენს ლეკურს უვლისო ისე, როგორც საკუთარ თვალისჩინს და გულის იმედს.

„ვოჰ, ნან“, მიმართავს ხათუნა ისევ არზაყანს.

ჩემი გაზრდილი ე მანდ კარგად შეინახეო, შენი მშობელი ძუძუებით ვზრდიდიო მასაც. ხომ კი გახსოვთ, ფეხშიშველი როგორ დარბოდით, ან ამ თხილნარში ჭარკუნს როგორ თამაშობდით, ე მანდ ბოგიდან ანკესს ისროდით, წისქვილის კარზე ცხენებს ერთად აძოვებდითო. ხორციელ ძმაზე მეტი იყო შენთვის თარაში, ბრძოლაში, ჭირში მხარი მანვე დაგიმშვენაო. შენი გულისთვის დაეძგერა ის ჯამლეთ ტარბას და ეს სიცოცხლე გასწირა კიდეც თარაშმა.

„ვოჰ, ნან“.

ახლა თარაშ ემხვარის სულს შეესიტყვა დამტირებელი. ჯერ აქო მისი რაინდობა და თავდადება. შენ არ გავდიო კუდაბზიკა თავადიშვილებს, ვინც ძიძასა და მამამძუძეს არ კადრულობენ. აქებდა ძიძა თავის გაზრდილის განათლებას და დიდკაცობას, თავმდაბლობასა და უბირთა განურჩევლობას. ვოჰ, ნან, სტირის ძიძა და იხოკავს ლოყებს.

„შენც უგულო, მუხანათი ყოფილხარ, შვილო, დააგდე დედა უბედური და სვედავსილი. დედა საფლავში ჩაიტანა შენს გამო დარდმა. ან მე რაღა ვქნა, ბედდამწვარმა შენმა გამზრდელმა, შენი იმედი მქონდა, ჩემო შვილის სწორო, ტკბილო გაზრდილო. მე

მომკვდარიყავ, შვილო, შენს მაგივრად და არზაყანის ნაცვლად ჩავსულიყავ ბნელ სამარეში. იმ კაცის ნაცვლად მე მომკვდარიყავ, ჩემთვის სამივეს რომ ჩაგეცვათ შავი, ეს ჯობდა“...

* * *

მხოლოდ ოქტომბერში მოთავდა სექტემბრის მიწურულში დაწყებული წვიმები. ასე რომ, გვიან მოტეხეს სიმინდები. ამას ყოველივეს ისიც ზედ დაერთო, ბობოლებმა საკუთარი ყანები მიაგდეს. არენბა არლანმა სიმინდის გადასახადები შეაწერა ხალხს, განუკითხავად შეყარა გლეხები კოლექტივებში. ძალით შეყვანილნი გარჯას გაურბოდნენ და ამიტომაც წვიმამ დაალპო ყანებში სიმინდი. ყვავებს, მაჩვებს, დათვებს და თრითინებს არაოდეს დადგომიათ ასეთი ხვავრიელი შემოდგომა. ფეტვი და ღომი ბეღურებმა მოიწიეს. ვირთხების ლაშქარი მიესია ყანებს. სიმინდი ლპებოდა ჭალებში. ხათუნამ და ძაბულიმ 60 შრომა დღე გააკეთეს არზაყანის მიერ ჩამოყალიბებულ კოლექტივში. ათიოდე ფუთი სიმინდი ერგოთ, სამი ფუთი ლობიო, 5 ფუთი ღომი.

ხათუნა გულგანაწყენი შესცქეროდა ქალის მუშაობას. ქალს ყანის სამუშაოში სიმინდის ტეხვა შეეძლო, ხათუნას აზრით, ლობიოს მოკრეფა, ტაროებისათვის ნაქურჩალის შემოფცქვნა, ღომისა და ფეტვის ცეხვა, სხვა დანარჩენი ისევე შეუფერებელია, როგორც საქონლის დაკვლა ანდა დაკოდვა.

მაგრამ ახალ დროზე გულაყრილი ხათუნა ამასაც ხედავს, როგორც უწესოებას ამ დროების მიერ მოტანილს. ძაბული, დიახაც, ერიდებოდა თავის „სასიდედროსთან“ თოხნას და ბარვას, მაგრამ კოლექტივის ყანებში იგი ვაჟკაცს უტოლდებოდა ამგვარ რამეში. იმ დილით ღომის გაწყობა უნდა დაეწყოთ. ხათუნამ კარგად იცოდა ღომის გაწყობა, მაგრამ ტრადიცია ხელს უშლიდა. სწო-

რედ ასეთ საქმეებისთვის შემოეჩვია ზვამბაიების ოჯახს კაც ზვამ-ბაიას ნათლული ქუჯი გვახარია.

განა მარტო ნათლული? ქუჯის დედა მოლოგინებას გადაჰყვა და ხათუნას გაზრდილი იყო ქუჯი.

„მირონის ძალისადმი“ რწმენა ჯერაც არ დაჰკარგოდა ხათუ-ნას. მირონი სისხლზე უფრო გამძლეაო, მუდამ ასე ფიქრობდა მოხუცებული, თუმცა ამ დროებამ სისხლიც გადათელა და მირო-ნიც გააპამპულა, მაგრამ ხათუნას ორივე სჯეროდა ჯერაც ურყე-ვად. დილით ძაბული აივანზე იჯდა და სიმინდის ძველ ტომრებს კონკავდა. ძაღლების ყეფა შემოესმა, თავი ზეასწია. ქუჯი გვახა-რია ლანდივით წამოდგომოდა თავზე და საერთოდ ზრდილ ყმაწ-ვილს მისალმებაც ვერ მოეხერხებინა. და როცა ძაბული თავი ას-წია, ქუჯის დიდრონ სევდიან თვალებს შეხედა, ქუჯი გაწითლდა, ნერწყვი გადაუცდა, ენა აბორძიკდა: მე ვარო წაილუღლუღა, ძა-ბული გაწითლდა... მას უკვე აღარ შეეძლო მამაკაცის ხმის გაგო-ნება.

ჟრჟოლას ჰგვრის ძაბულის თუთუნის სუნი. არა, თუთუნის სუნ-ზე უფრო მეტი, მამაკაცებს რომ უდის, რაღაც უცნაური, ენით უთ-ქმელი, გამაბრუებელი სუნი (და ძაბულის ყნოსვა ჰქონდა სათუთ-ზე მეტი). ეს სუნი უდის ჯერაც მის შემეცნებაში არზაყანის ნაგანის ტარს, მის სატევრის ვადას, მის მათრახს, მის უნაგირს, მის აზიუ-რებს და ტანისამოსს. ხშირად სასთუმალში ამოიდებს ამ ნივთებს ღამით, კოცნის და კოცნის ის, თანაც სტირის საწყალობლად, ეგებ არზაყან დამესიზმროსო, ეგებ ძილში მაინც მომეხვიოს არ-ზაყან. და ძაბულის ქვეშეცნეულად უყვარს, როცა მის სხეულს რა-მე მკვრივი ზედ მოეხლება. ერთხელ კალათი გადაუვარდა ქუჯის ხელიდან, როცა სიმინდი სასიმინდეში აჰქონდა მხარით. ძაბუ-ლის ტანი ტაროებმა დაბეგვეს მაშინ და ეს საამურად ეჩვენა მას. ამას წინად ქარმა კაბა ბარძაყებზე შემოტმასნა, ბარძაყების და

მუცლის არეში ეს საამურად ეჩვენა ძაბულის.

ხანდახან ქელეშ შეეხუმრება და მოულოდნელად მკერდზე ხელს ჰკრავს უმანკო ბალღი, ძაბულის ტკბილი ჟრუანტელი დაუვლის ტანში. უყვარს რატომღაც, როცა ამჩნევს, ინგრევა რამე, თუნდაც რომ ხედავს, ხეს ხვიარა როგორ ეხვევა.

არ იამა მაინც ქუჯის მოსვლა. იგი ამ უკანასკნელად ამჩნევს კიდევაც, როგორ აიმღვრევა ხოლმე მის დანახვაზე ქუჯი და გაბზარული ხმით ესიტყვება. ამ ხმაში ვედრება მოესმის ქალს, ხანაც პირდაპირ გლახაკური მუდარა და ძაბულის სძაგს ასეთი დაჩიავებული მამაკაცები, ბეჩარა კაცები, ქალის დანახვაზე რომ დნებიან, ენა რომ უბორძიკებთ და ქალწულებსავით რომ წითლდებიან.

ასეთი იყო ქუჯი გვახარიაც. იგი რატომღაც ამქვეყნიერს არა ჰგავს. თვალი უშტერდება ხანდახან ქუჯის. მუდამ მარტოობას ეძებს. ქალის დანახვაზე წითლდება და სოფლის ლაზღანდარები „მარუსას“ უძახიან. მას ორი წლის წინად მოუკვდა ძმა და მას შემდეგ თმა-წვერი მოშვებული აქვს და ოცდაორი წლის ქუჯი ამ გრძელ თმა-წვერში ოცდაათი წლის ვაჟკაცს მიაგავს.

სოფელში ხმა გავარდა: ქუჯი ცოლს ირთავსო და არავინ იცის, ვის ირთავს ქუჯი, მაგრამ ჯერ ქალთან შეხუმრებული არავის უნახავს იგი. კოლექტივის გოგოებმა შაირიც კი გამოუთქვეს. ამ შაირში ნათქვამია:

რად წითლდები, რას გარბიხარ,
შე მშიშარა, შე დიაცო,
თუ საქმარო ვერ ვიშოვნე,
ქუჯი უნდა მოვიტაცო.

ახლაც ასეთი ეჩვენა ძაბულის ქუჯი. მაგრამ ეს იყო, თავათაც გაწითლდა ძაბული. საკინძე გაისწორა. მუხლისთავებს გადაცდენილი კაბა ძირს ჩამოსწია და წამოდგა.

„ნათლიაჩემი მეუბნებოდა, ტახი უნდა... ტახი უნდა“... აქ კი მთლად აუბორძიკდა ენა ქუჯის. უარესად შეუფაკლდა ღაწვისთავები და განზე გამდგარი, მოზრდილი ყურები მამლის ბიბილოსავით გაუწითლდა.

„ტახი უნდა დავუკოდო“... ამის თქმა ვერ მოახერხა ქუჯის ძაღლების ყეფამ მოთქმა შეაწყვეტინა ხათუნას.

„ღომის გასაწყობად თუ მოხვედი, ნან, შენ ხომ იცი, ღომის გაწყობა საღამოს უნდა... ჯერ სამხრობაც არ გადასულა, ნან“.

ეუბნება იგი ქუჯის.

„ეს ვიცი, ნათლია, ღომის გაწყობა რომ საღამოს უნდა, მაგრამ აკი შენ გუშინ მითხარი, ტახი უნდა... ტახი უნდა“..

ამასობაში ძაბული სამზადში შევიდა და ქუჯი არ მოერიდა დედის სწორს: ტახი უნდა დავკოდოვო.

ძაბულიმ სამზადის კარი გაიხურა, ხათუნა და ქუჯი ღორს გამოუდგნენ. ჯერ ეს ესმოდა ძაბულის, თუ როგორ მისდევდნენ ტახს ხათუნა და ქუჯი.

„ეინწ, ეინწ, ეინწ“... მისძახის ხათუნა ტახს. და როცა ღორი დაიჭირეს, ძაბულიმ დაინახა, თუ როგორ დაავლო ხელი ამ ნაზმა ქუჯიმ უზარმაზარ ტახს, საშინელის ძალით მიწაზე დასცა და მუხლისთავი ზედ დააბჯინა.

ძაბულის უნახავს ღორის დაკოდვა. ისიც იცის, ასეთ ტახს ორი ვაჟკაცი ძლივს მოერევა. ძაბულიმ კარი გამოუგდო, აინტერესებს, როგორ კოდავენ ტახს, მაგრამ იცის, ეს ხათუნას არ მოეწონება. და ჭყივის ტახი შემზარავის ხმით. ეს ხმა ხელოვნურად სქესწართმეულისა ტანში ჟრჟოლას ჰგვრის ძაბულის. და უკვირს ძაბულის — ეს სათნო ქუჯი, რომელიც არასოდეს ქათამსაც არა ჰკლავს, როგორ კისრულობს ასეთი საშინელი საქმის ჩადენას. ძაბულიმ საჩვენებელი თითი ჩაიყო ყურში და თავათ უკვირს, როგორ უძლებენ ამ ყვირილს ქუჯი და ხათუნა...

* * *

ქუჯის ხელი დააბანინა ხათუნამ და გვიან ისადილეს. ამასობაში დაღამდა კიდევაც.

ძაბულიმ აიჩემა, ქუჯის ნუ აწუხებ, მე და შენ გავაწყოთო ღომი...

ხათუნა წინ აღუდგა. განა ქუჯიმ მის ოჯახში არ ისწავლა ღომის გაწყობა? მაგრამ ვის გაუგონია ქალის მიერ ღომის გაწყობა? ღომს ნალიაში აიტანენ, ლასტზე დაჰყრიან, მერმე კვამლიანი ცეცხლი უნდა შეუნთონ და თუ მამაკაცმა არ შეუნთო ცეცხლი, ისე ბოლი არ ექნებაო ქალის დანანთებს.

ძაბულის გულში ეცინება ამის გამგონეს, მაგრამ არ ამხელს.

ქუჯი კერასთან წამომჯდარა თავჩაქინდრული. ხანდახან მზერას გააპარებს ძაბულისაკენ. თვალს შეავლებს მის მაღალ გულმკერდს, კი გასცქერის ალის ლაპლაპს ფიქრში წასული.

შეღამებისას ღომი კალათებით შეიტანა ქუჯიმ ნალიაში. ხათუნამ და ძაბულიმ ნედლი შეშა მოზიდეს. ქუჯიმ აანთო ორ მწკრივად, გრძლად.

ქუჯი წავიდა, ნედლი შტოები მოიტანა, ყოველ კუთხეში საცნაური ჩასდო ლასტზე დაყრილ თვალებში. ანთია ცეცხლი, იბოლება ნალიის ლასტი, ქუჯი წარამარა ადის ნალიაში, საცნაურ შტოებს გასინჯავს, ისევ ჩამოვა, უხმოდ დაჯდება ძაბულის პირდაპირ. ნაშუაღამევი გადავიდა. ძაბული ხედავს — ხათუნა წელში მოიხარა, ხელისგულები შეაფიცხა გაჩაღებულ ცეცხლს.

„გაცივებს, ნან?“

ეკითხება იგი ხათუნას. ხელი მაჯაზე წამოავლო, ხედავს სავსებით გაცივებია ხელები მოხუცს, შუბლზე ცივი, ცივი ოფლი გამოსვლია ბედშავ ხათუნას. მერმე აიტატეს ხელში ქუჯიმ და ძაბუ-

ლიმ და სამზადში დააწვინეს. როცა ძაბული მობრუნდა ისევ ცეცხლთან, ქუჯი ძაბულის პირდაპირ იჯდა ფიქრში წასული, ცეცხლის გადაღმა. მერმე ადგა, კიბე მიადგა ისევ ნალიას და დიდხანს, დიდხანს აღარ მობრუნდა ქუჯი.

* * *

მამალმა იყივლა, მერმე მეორე გაეპაექრა შორს, ძლიერ შორს, კიდევ ერთი გაეხმაურა ორივეს, ცოტა ხანს სდუმდა სოფელი და ერთბაშად ომახიანი ხმით აყივლდნენ სოფლის მამლები. ყოველი მხრიდან შეუტიეს მიწაზე გართხმულ სიბნელეს ამ ვაჟკაცებმა.

შესცქერის ძაბული გაღვივებული ცეცხლის კოცონს. საწყალობლად წივის დუჟმორეული თხმელის ნამორი და ცრემლები მოსვლია ალმოდებულ ხეს. ძაბულის იდაყვები მუხლისთავებზე დაუყრდნია და შესცქერის ცეცხლს. თავათაც არ იცის, ბოლმა აუწყალა თვალი თუ ცრემლია, დარდიან თვალთაგან გამომდინარე. წივის ნედლი შეშა, როგორც ცეცხლის გეენამოდებული მართალი სული. მოუხშირეს მამლებმა ყივილს, სადაცაა ღამეს უკუაქცევენ. ძილი ერევა ძაბულის თვალებს, ზედ წამწამებზე დაფარფატებს ძილის ნაზი ფრთა. ახლა ძაღლები ახმაურდნენ მეზობლებისას, კაც ზვამბაიას ავი მყეფარებიც აყვნენ ჟრიამულს. ისეთი გნიასი, ყეფა და წკავწკავი ატყდა, როგორც იმ დავსილ ღამეს, როცა ტარბები თავს დაესხნენ კაცს და არზაყანს. შესცქერის ძაბული გაჩაღებულ ცეცხლს და ცხადლივ წინ დაუდგა ის ბნელი ღამე, ორი პირმოქუშული ტარბას შემოსვლა. დურბელისაგან კისერგამოღადრული ჯამლეთ ტარბა მოაგონდა და მისი ძმის შავი ფაფახი, ბედისწერასავით შავი ფაფახი.

ახლა არზაყანის ძვირფასმა სახემ გაიელვა წარმოდგენაში, თარაშ ემხვარ შემოვარდა. ეძგერა ტარბას... და ჯამლეთ ტარბას

გაპობილ მკერდს ხედავს ძაბული და შავფაფახიანის სისხლიან ნაწლევებს, თხის ნაწლევების მინაგვარს. და მერმე ფლასი რამ უცნაური გადაეფინა ძაბულის თვალებს, ღონემიხდილი თავქვე დაემხო შიშველ მიწაზე ცნობიერება წაერთო სულმთლად...

და ეზმანება ძაბულის: ეს არზაყანი შინ მობრუნდა გამარჯვებული. ტერფიდან თხემამდის იარაღშია ჩამჯდარი, წელზე გველისპირული სატევარი ჰკიდია, თავზე ტარბას შავი ფაფახი ახურავს, ისეთი ბანჯგვლიანია, რომ წილამურები მკერდამდის სწვდება. შესაზარი სახე აქვს არზაყანს. მიწისფერი წვერი გამოსვლია, ტახის ეშვებივით კბილები მოუჩანს პირიდან, სისხლმორეული თვალებს აბრიალებს.

სად ჰქონდა არზაყანს ასეთი მიწისფერი თმა ან ტახის ეშვები? ძაბული სწუხს და სტირის. შეშა შემოიტანა მხარით არზაყანმა, კერასთან დაჰყარა და ხედავს ძაბული: რომელი შეშა? ოციოდე გამხმარი მკლავია, ტარბებისთვის წაჭრილი მკლავი. მერმე აიღო არზაყანმა სათითაოდ ეს გამურული მკლავები და შეუკეთა გასაწყობ ღომს. უფრო მეტ ბოლს გამოსცემსო ცეცხლი, გასაწყობ ღომს კი ბოლიანი ცეცხლი უნდაო.

სათითაოდ ყველა შეუკეთა არზაყანმა ცეცხლს, მერმე ძაბულის მიეახლა, ტუჩებში აკოცა მაგრად, მაგრად, ისე, როგორც ერთხელ ზუგდიდში, მერმე საკინძე გაუხსნა ძაბულის, ძუძუებში ხელი ჩაუყო და უმოწყალოდ უსრესს ძუძუებს. მერმე... მერმე ფოლადისებრი მტკიცე მკლავები წელზე შემოაჭდო და ენით უთქმელ ნეტარებას ეძლევა ძაბული, მამაკაცის სუნით, თუთუნის სუნით გაჟღენთილი, გაბრუებული.

ბებერ მურას თვალი მოუკრავს, როცა ქუჯი გვახარიას ნედლი შეშა შემოჰქონდა ნალიის ქვეშ, დამჯდარა მურა შორიახლო და ყმუის, ყმუის დარდიანი, ბებერი ძაღლი, ღონე არ ერჩის, რომ ეძგეროს მუხლებში უცხოს და მიუვარდეს მუხანათ სტუმარს.

მურას ყმუილმა გააღვიძა მერმე ძაბული, ზე წამოიჭრა, ხედავს ეს ქუჯი ჰკოცნიდა თურმე, ქუჯი უსრესდა თურმე ძუძუებს.

„რას შვრები, ქუჯი?“ შეჰყვირა ძაბულიმ, უცბად მკერდიდან მოისხლიტა გახელებული. ქუჯი დაიბნა და აიმღვრა, მაგრამ ერთბაშად გაუდიდდა თვალის უპენი. სადღაა ქუჯის სათნო თვალები და ყოფაქცევა თავმოდრეკილი! აენთო ქუჯი და ლუღლუღებს:

„ვიწვები, ქალო“...

ხელი მოავლო ქუჯიმ ძაბულის იდაყვის ქვემოთ ტიტველ მკლავებზე, მოზიდა ქალი და შემოეჭდო ისე მაგრად წელზე ძაბულის, სუნთქვა შეეკრა ათრთოლებულ ქალს. მაშინ მარჯვენა გამოსხლიტა ქალმა ვაჟის მკლავს და სტკიცა ყბაში გახელებულმა. ქუჯის ჩაბალახი გადაუვარდა და თავშიშველმა მიაშურა მახლობელ თხმელნარს.

შავი მტრედები

ზუგდიდში ისეთი მწუხარე შემოდგომა დადგა, როგორიც არასდროს მოსწრებია თამარ შარვაშიძეს. წყნარი, ნაზი და ტფილი საღამოები უღიმღამოდ ილეოდნენ. საღამოს რთვილი მოვერცხლავდა. მთელი ღამე არ ეძინა თამარს, უმცირესი ჩქამიც ესმოდა ხილნარიდან და თხილნარიდან. ნაგვიანევი კაკალი დავარდებოდა მიწაზე, ან ვაშლი დაეცემოდა ზედ ფანჯრის ახლოს, ხან ზღარბი შარიშურობდა ღამე გამხმარ ფოთლებში, მერმე გაინაბებოდა ბუნება და თვალმილულულ თამარს ისიც ესმოდა, თუ როგორ სცვივოდა უკანასკნელი ფოთლები ვაშლის ხის გაცრცვნილ შტოებიდან. ჯერ მზეს სიტფო არ დაკლებოდა და მზე ამოხდა ისეთი ამო და ბრწყინვალე, ქვეყანას სიხარულით ავსებსო, იტყოდით, საამურად პუტუნებდნენ ფუტკრები სკაში. დილაადრიან ამდგარიყო ბაბუა ტარიელ, დილის ფსალმუნს კითხულობდა და ღიღინებდა:

„უფალო, შესავედრებელ მეყავ ჩუენ ნათესავითი ნათესავამდე, პირველ მთათა დაბადებამდე და შექმნად ქუეყანისა და სოფლისა და უკუნითგან და უკუნისამდე შენა ხარ, ნუ მიაქცევ კაცსა სიმდაბლედ და სთქუ: მოიქეცით, ძენო კაცთანო, რამეთუ ათასი წელი წინაშე თვალთა შენთა, უფალო, ვითარცა გუშინდელი დღე. წელნი მათნი შეურაცხებით იყუნენ, განთიად ვითარცა მწვანე წარხდეს, განთიად აყვავდეს და წარხდეს, მწუხრი დაჭნეს, განხმეს და დაცვივდეს... რამეთუ ყოველნი დღენნი ჩუენნი მოაკლდეს და რისხვითა შენით მოვაკლდით ჩუენ“.

ფანჯარასთან მიდგა თამარი და თვალი შეავლო მის გულსავით გაძარცულ ბაღს, მწუხარედ ჩურჩულებდნენ მსუბუქი ნიავქარისაგან შერხეული მჭკნარი ფოთლები, აკაციებს ჩამოებერტყათ ოქროვანი სამოსის კალთები.

მთვარეულსავით ჩამოვიდა იგი უკანა კიბეზე, ალვებს შეავლო მოსიყვარულე თვალი, თითქოს პირველად ხედავსო მათ. ლუკაია და დაშა ალუჩის ქვეშ ისხდნენ, მუცელგამოფატრულ გოჭს ტრუსავდნენ ცის ქვეშ დანთებულ ცეცხლზე. გაახსენდა თამარს, სტუმრებს რომ ელოდა დღეისთვის ხერიპსი. თამარი გაურბოდა უცხოსთან შეხვედრას. თარაშის გადაკარგვის შემდეგ მას არავის დანახვა შეეძლო... ვინმე უტაქტოდ ჰკითხავდა რამეს, ვინმეს დასცდებოდა უკმეხი სიტყვა თარაშის მიმართ. განსაკუთრებით ქალები შესძაგდა თამარს. უკვე ერთი თვეა, რაც იგი ქალაქში გავლასაც ერიდებოდა, რადგანაც ცნობისმოყვარე ქალის თვალი, თუ დიდხანს დააკვირდებოდა თამარის სახეს, უთუოდ შენიშნავდა ოდნავ აჭრელებულ ტალებს მის სახეზე, მომეტებულ სავსებას მკერდისა და თეძოებისას. ამიტომაც, როგორც კი ნაცნობი შეეყრებოდა, განზე გაუხვევდა თამარი, პირს არიდებდა ნაცნობებს. კაროლინამ უკვე უამბო თამარს შარდინ ალშიბაიას

მიერ დაბაში დარხეული ხმები: ემხვარისაგან ფეხმძიმედ შექმნილაო თამარი. თამარს უხაროდა გულის სიღრმეში, რომ თარაშის სახელს უკავშირებდნენ მას. იგი ცეცხლში ჩავარდებოდა თავის მიჯნურის გულისთვის, ოღონდ სადმე ყური მოეკრა, მისი მისოუსტ ცოცხალიაო. ეს გაეგონა და მერმე თუნდაც მიწას სჭამდა თამარი პეშვით, და ახლა, როცა იგი მთლად განმარტოვდა, თვით კაროლინას ვერ უმხელდა გულის ხვაშიადს. მას უკვე არავინ ეგულება, თავისი უღრმესი ქალური საიდუმლო რომ გაუმხილოს.

წინად, როდესაც სხვებთან შეხვედრას არ ერიდებოდა, ხანდახან ჭორს მაინც გაიგონებდა. ზოგი ამბობდა, ტარბებმა მოკლესო, ზოგი არზაყანს აბრალებდა თარაშის მოკვლას. ხანდახან შეხვდებოდა ვინმე როყიო ქალი, ტფილისში ჩემს ძმას უნახავსო თარაშ ემხვარ, მიჰყვებოდაო რუსთაველზე ძლიერ ლამაზ ქალს. ახლა ჭორებიც აღარ ესმის, დაეხშო გული. უთხრან თუნდ ჭორიც, უხსენონ ხშირად მისი სახელი, დეე, სხვასთან დადიოდეს, ოღონდ თავათ მისოუსტი იყოს ცოცხალი. ვის გაუმხილოს ეს ყოველივე, ვინ მოვა მასთან და ვინ ეტყვის სიმართლეს თამარს.

კაკლის ქვეშ ლუკაია დაეწია.

„სტუმრები მოვლენ დღეს სადილად, შენ სად მიხვალ, დიი!“ ემუდარება ლუკაია და სახელოზე ეპოტინება. თამარი შეკრთა ფიქრში წასული.

„მოვალ, ახლავე მოვალ, გაზეთებს ვუყიდი მამას და მოვალ რა“...

ჭიშკარი გადაიარა. მოაგონდა, თუ როგორ გაუწყრა აქ ერთ საღამოს თარაშ ემხვარს. როგორ დაებინდა თარაშს დარდისაგან სახე, მოკრძალებულად რომ უკუდგა და მიჰყვა კოპიტების ხეივნებს. მერმე როგორ დაუძახა — „მისოუსტ!“.

გახარებული რომ მოვიდა მისოუსტ...

შუკა გაიარა, თემშარა დაცლილი იყო, მხოლოდ ბაყაყები ხტებოდნენ თხრილებში. სრული მყუდროება შეიცნო თამარმა, ჭიშკრების ღრიჭინი ისმოდა შორიდან და მარტოხელა ეტლის ჩაქჩაქი. სამჭედურების წყობა გაიარა. ხელწაკარწახებული მჭედლები ქურას უბერავდნენ. თამარის დანახვაზე მჭედლის შეგირდმა კისერი წაიგრძელა და თავხედური მზერა გააყოლა თამარს.

აჰა, ზუგდიდის ჭადრების ხეივანი. ნელ-ნელა აქნევდნენ კენწეროებს ჭადრები, მელანქოლიურად უღიმოდნენ სნეული ფოთლები მზეს, ზოგიც უეცრად წყდებოდა ყუნწიდან და შრიალით ეშვებოდა მიწაზე.

აჰა, მისოუსტის საყვარელი ჭადარი. აქ იჯდა ხშირად მისოუსტ და პლატონის „ფედროსს“ აქ უკითხავდა თამარს და კაროლინას. მოეჩვენა თამარს, თითქოს ეს ჭადარი მისოუსტის სულის თანაზიარი ყოფილიყო. დაჯდა თავათ იმავე სკამზე. ხელი შეავლო ხეს ტანხატულას. როგორი უკურნებელი სევდით გავსილიყო ბებერი ჭადარი! გარინდებული იდგა, მწვერვალი თხისთვის შეეშვირა, თითქოს მისგან მოელისო კიდევ სიტფოს ნაგვიანებ შემოდგომისას. მწუხარედ ცვიოდა ჭადრის ფოთლები ხან აქ, ხან იქ და ეს ისე მოესმოდა თამარს ამწუთში, როგორც უნუგეშო, გულისმომკვლელი საშემოდგომო რეკვიემ.

მოლიკლიკებს უწყინარი რუ ხეივანში და სიზმარივით მიიპარება.

და მიდის თამარი იმავე დუქნების გვერდით, ფოსტის მწვანე სახლს გაუარა, დაბის აფთიაქს და გაყვა შოსსეს. ასე გონია, ეს მისოუსტ მოდის მის გვერდით, თემშარის გასწვრივ, გაღმა-გამოღმა ტირიფები ეცნაურა, მხოლოდ ესაა — მწვანე სამოსი შემოძარცვიათ და სდგანან შტოდაშვებული ტირიფები თავმოდრეკილნი, დამწუხრებულნი.

ახლა მხარმარცხნივ გადაუხვია. მიჰყვა ნაურმალს, სადღაა

ველზე მობიბინე ოქროსცოცხა და ბაიები. სდგანან მუხები და კოპიტები, ფოთლების ლპობა დაწყებულა და გახრწნა მათი; აქ, ამ ახოში ოფოფები დახტოდნენ იმ დღეს და იმ შტოებში კი გვრიტები დაფრთხიალებდნენ, წყვილ-წყვილად ფრენდნენ მისოუსტის ხმისა გამგონე.

იარა ასე...

აჰა, ის ჯირკვი, რომელზედაც თამარი დასვა მისოუსტმა და ნაწნავები შემოაგრაგნა თავის გარშემო. მერმე აკოცა და ძირს ჩამოსვა.

და გული სტკივა ახლა თამარს განუსაზღვრელად, ეგზომ მცირე სათხოვარი რომ არ ისმინა. ჯვარს ატარებდა ახლა მისთვის, თუნდაც უმძიმესს, ოღონდ მისოუსტ კიდევ შეხვდეს ამ ცხოვრებაში. გრძნობდა თამარი, რომ მისოუსტს გაუმხელელი ბოღმა აღრჩობდა. აქ, ამ ახოში, ამ მიდამოში უამბო მან თამარს თავისი გამწარებული ყმაწვილკაცობის ამბავი. სავსებით მარტო, უამხანაგო და მიუსაფარი იყო მისოუსტ. ზედ ეტყობოდა: იგი დიდხანს არ დარჩებოდა ამ უხეირო და უცნაურ წუთისოფელში.

მიჰყვება თამარ ურმის ნაკვალევს, გარინდებული სდგანან ხეები, ტყე მისცემია საშემოდგომო მწუხარებას. სდგანან მუხები, ცად აუპყრიათ შიშველი შტონი და ზეცას სთხოვენ კვლავ გაზაფხულს, ახალფურცლობას.“

ვაი, რომ ყრუა თამარისთვის მიწაც და ცაცა. სამარადჟამოდ დაგმანულია აწ სიხარულის ბჭენი მისთვის. რა მოკლე იყო ბედნიერება და როგორ მალე ამოიწურა ტკბილი ნექტარი სიყვარულისა.

წყევლის იმ უხიაგ დღეს, ფოქსტროტი რომ იცეკვა „ორიანტში“, სწყევლის მარჩიელს, თმის შეკრეჭა რომ შთააგონა.

წყეული იყოს ანულიც, ეს მან წაიყვანა თამარი პარიკმახერთან.

კრული იყოს ის საღამო, თარაშთან გაყრის საღამო. მიწა ეჭამა პეშვით თამარს და თარაშის ნათქვამი შეესმინა, რად უნდოდა ინსტიტუტი ან თმის შეკრეჭა? ეს რომ ასე არ მომხდარიყო, შესაძლოა, თარაშ ემხვარ არ დაღუპულიყო.

აწი არ იცეკვებს თამარი ფოქსტროტს. აწი რა უნდა სიხარულს მის გულში. აწი თმას არ მოიკრეჭს თამარი არასდროს და მისი თმები სამუდამოდ გლოვის ნიშნად დარჩება მის უბედურ თავზე.

მუხის ქვეშ დაიჩოქა თამარმა, როგორც მისი ცრუმორწმუნე ძიძისაგან უნახავს ეს და სტირის, სტირის და ჰკოცნის თარაშ ემხვარის ნატერფალს ამ ცივ და გაუხარებელ მიწაზედაც აღმოფხვრილს.

აჰა, ის მუხაც, დოდონას მუხას რომ უწოდებდა თარაშ ემხვარ. უამრავი შავი მტრედები შემოსეოდა ამ მუხას ახლა, თეთრი, ფარფატა გვრიტების ნაცვლად. ისხდნენ, სევდიანად გრუტუნებდნენ შავი მტრედები, დაჰფარფატებდნენ გაშიშვლებულ შტოებს მუხისას და თამარის გულს შემოენთო ახალი დარდი.

შავი მტრედები?!

იმ დღეს რაღაცას უამბობდა თარაშ ემხვარი დოდონას მუხისა და შავი მტრედების გამო. მაშინ სულ სხვა რამეები აინტერესებდა თამარს, ახლა ძლიერ სწუხს, ყურადღებით რომ არ უსმენდა მას იმ საღამოს.

სად გაგონილა შავი მტრედები?

და მოეჩვენა ამ წუთში თამარს: წარმოგზავნაო მასთან განგებამ ისინი მაცნედ უარესის სიმძიმილისა.

ბარათები მახვშის კოშკიდან

ავტორისაგან

ეს ბარათები ჯოკიამ მომყიდა ზუგდიდში. გასაგზავნი ფოსტის ხარჯებისათვის ცალკე აუღია ჯოკიას ფული. მერმე ეს ფული შემოხარჯვია. ბარათებს გადაყრას უპირებდა. რაკი შემატყო, მე დავინტერესდი, არა, ვიხუმრე, თორემ მათში ერთმა ამერიკელმა მოგზაურმა მაძლიაო ასი დოლარი. მერმე როგორც იქნა, ოცი თუმანი გამომტყუა. რა თქმა უნდა, მე ასე გულუხვად არ დავაჯილდოებდი ჯოკიას, მაგრამ მან ერთი ფრიად მოულოდნელი ამბავი მამცნო და ამან გასჭრა. თარაშ ემხვარ უვნებლად გადარჩენია ჩემს მიერ ნასროლ ტყვიას. ეს რომ გავიგონე, ერთგვარი ქეჯნა მომეშვა გულიდან. რადგანაც ბრძენთაც დაუმოწმებიათ ქვემორედ თქმული: კაცს სიკვდილამდე ვადა აქვს გამოსწორების.

ამ შემთხვევაში მე ერთი ამბავი მაგონდება. ერთი ფრიად თავმოთნე და ტირანი ქართველი ფეოდალი მტკვარში იხრჩობოდა

თურმე. მოურავმა უყვირა გლეხებს:

„ბატონი იღუპება, მიეშველეთო!“

„არა უშავს, რა“, მიუგო მოხუცმა ნაყმევმა, ბატონი თავის ნებისაა, შენი ჭირიმე, როგორც მოეპრიანოს, ისე იბანავოსო. აქ გამოქვეყნებული ბარათები ზოგი ფრანგულად იყო დაწერილი, ზოგი — ქართულად, ზოგიც გერმანულად. მისამართები და თარიღებიც არ შემიცვლია.

კაროლინა შარვაშიძისადმი
ზუგდიდში

ზემო სვანეთი
ლაფარიანების მახვშის კოშკი
1932 წლის ოქტომბერი, 25.

„ძვირფასო ფრაუ,

თქვენი ბარათი ლუკაიას მიერ მოტანილი რომ მივიღე, სწორედ იმ დღეს დამატყდა ეს უბედურება თავზე. უკეთ რომ გითხრათ, იმ საბედისწერო საღამოს შემომაკვდა მე ჯამლეთ ტარბა. რადგანაც თქვენ, ევროპელები, უდიდესი გულისყურით ეპყრობით გარეგნულ ფორმას, ამიტომაც საჭიროდ ვცანი, უწინარეს ყოვლისა, ბოდიში მოვიხადო ამ ცუდი ქაღალდის გამო. კონვერტი ამ ქვეყანაში სრულიად არ მოიპოვება (ძველებურ ეტრატების დარად მიტომაც დავგრაგნე ეს ბარათები), არც ფანქრით წერაა მაინცდამაინც კარგი ტონის ნიშანი, მაგრამ ესეც გასაკვირია, ეს ფანქარიც როგორ შემრჩა. რაც ოქუმიდან გადმოვიხვეწეთ, მერმე უნაგირია ჩემი ერთადერთი საჯდომი და ღამღამობით თავქვე უნაგირი მიდევს. შესაძლოა, თქვენ ცოცხალთა შორის არ მიგულებდეთ, მაგრამ რა ბრძანებაა, კეთილო ფრაუ, განა მე თქვენ ტფილისში არ გეუბნებოდით, ასე მგონია, ზეზეურად მკვდარი

ვარ-მეთქი? ყოველ შემთხვევაში, ნურავის ეტყვით, ცოცხალი რომ ვარ. თუმცა, მე ვფიქრობ, მაინცდამაინც არავის დავაკლდები თვალში. აქ ხმა მოვიდა, მკვდრად შეგვრაცხესო მე, ჩემი მამამძუძე და მისი ვაჟი... ეს კარგია, მერწმუნეთ, ტარბები ცოტა ხანს მოისვენებენ, მერმე დაღვრილი სისხლის სიმწვავე გაივლის, დროს ვერავინ და ვერაფერი უძლებს, ეს ცნობილია.

ახლა თქვენი ძვირფასი წერილის გამო,

მე ძლიერ მომწონს, რომ თქვენ ნაუბარს და ნაწერს მსუბუქი ჰიუმორი მუდამ რომ ახლავს. თქვენ მართალი ხართ, კეთილო ფრაუ, ასგზის მართალი.

„მეოცნებეთა მეურნეობა ცაში მოხერხდესო ეგებ“, მაგრამ ვაითუ ჩვენი „მეურნეობა“, ვგონებ ცაშიც რომ ვერ გამოდგეს. საქმე ისაა, რომ ცაშიაც არ მიმიწევს გული. მე იგი წარმოდგენილი მაქვს, როგორც — ფრიად მოსაწყენი ამბავი. განსაკუთრებით, თუ განგებას შეეშალა და სამოთხეში მოვხვდი, ვიცი, მთქნარება მომკლავდა ამდენ გულმართალთა და პატიოსანთა საუფლოში. ხოლო მიწაზედ მუდამ გულგრილად შევსცქეროდი ამაოების ეჟვნების ჟღარუნს. გულგრილად შევსცქეროდი ბანკირების ჯიბეებს, პოლიტიკოსთა პორტფელებს, პოეტებისა და მწერლების სახელს, ასევე გულგრილად გამივლია მსოფლიო მეცნიერების ვილლების გვერდით.

პარიზის, ბერლინის და ლონდონის დიდ პროსპექტებზე ისე ნაღვლიანად მისეირნია, როგორც რომის ვია ლატაზე, ფორუმ რომანუმზე, პომპეის ან მესსინის ნანგრევებს შორის, ისევე როგორც ვარძიისა და ზარზმის დაქცეულ თაღებქვეშ. მცირე სინათლე ყველგან ახლავს ბნელს.

იგივე დარდი აქ, მახვშის კოშკშიც მეწვევა ხოლმე.

ხომ ხედავთ, კეთილო ფრაუ, როგორი სარმები სცოდნია ბედისწერას ჟამიდან ჟამზე. შარშან ამ დროს თქვენს ახლოს ვიყავ,

ბახსა და ჰენდელს ვისმენდი თქვენს მიერ დაკრულს ზუგდიდის მშვენიერ მთვარიან ღამეებში. მთვარე აქაც არის, პიანინო აქ არავის უნახავს ჯერჯერობით, არც პიანინო, არც გრამმოფონი. აქეთ რომ მოვდიოდით, მე გავიგონე ერთი ხმაჩახლეჩილი გრამმოფონი ჩხაოდა ხაიშში (ხაიში ის ადგილია, სადამდისაც გზა უწევს ამჟამად, სვანეთის ახალი, დიდი გზა). კიდევ რამდენიმე თვე ან წელი და გზა უცილოდ მახვშის კოშკამდის მოიტანს გრამმოფონს, ტელეფონს, ელექტრონს და საბაზრო საქონელს.

მე და არზაყან ასეთ მთვარიან ღამეებში ვზივართ კოშკის შესავალთან, ვსვამთ არაყს და ლოდებზე დამსხდარი ახალგაზრდობა ჩონგურებს უკრავს.

მე დავიბარებ, ვინძლო აქ მომკლან, თუ ვინმეს ჩემი გასვენება მოუნდეს აქვე, ჩონგურებით გამასვენონ. შეუდარებელი ხმა აქვთ სვანურ ჩონგურებს.

მაგრამ ერთი დღის სავალზე მოსულია გრამმოფონები, ბალალაიკები, ბლუზები, კეპი ქუდები, ჭვინტგანიერი ფეხსაცმელები და რუხი ტანისამოსები, ელექტროგაყვანილობა, მედიკამენტები, ოყნები და ესენი ალბათ სვანეთიდან გააძევებენ ოქროთი და ვერცხლით მოოჭვილი ქამრებს, სვანურ ქუდებს, ჩოხებს, საცვეთებს, პაჭიჭებს, ნაბდებს, ფიჭვის მკვარებს, ჩონგურებსა და საზანდარს. და სვანეთიც ისეთივე პროვინცია გახდება, ჩვეულებრივი და მოსაწყენი, როგორც მრავალზე მრავალი ათასია ამ ვრცელ მიწაზე.

ახლაც, რომ ამ ბარათს გწერთ, გოგო-ბიჭები სხედან მახვშის კოშკის ქვედა სართულში და მოესმის ჩონგურების მელოდიური წკრიალი.

სევდიანად ჟღერენ ეს ჩონგურები, თითქოს უქმად გასულ საუკუნოებს მისტირიანო, აჰ, დიდი ნაღველია ჩანთხეული ამ უბრალო ფუღურო ხის გულში. ვინ იცის, ეგებ ეს იმ ნაძვის ღვიძლი ძმა

სტიროდეს სვანების ტლანქ ფრჩხილების ქვეშ, ახლა კავკასიონის უკიდურესს ზეგანზე რომ სდგას, ბნელის კიდეზე, ქვეყნის კიდეზე.

ჰო, მართლა, სვანეთი ხომ ქვეყნის კიდედ მიჩნეული ჰქონდათ ძველ ბერძნებს. ასე რომ, იმთავიდანვე მე მინდოდა ამ ბარათებისათვის ასეთი სათაური მიმეცა: „ბარათები ქვეყნის კიდიდან“.

„ძვირფასო ფრაუ!

მახვშის კოშკი, 25.XI.

მომილოცე გადარჩენა.

ამას წინად საოცარი ავანტიურა შემემთხვა ნადირობის დროს. კინაღამ საიქიოს არ წავიღე ბარათი. კაცმა რომ სთქვას: culpa mea (თუ ეს ჩემი ბრალია, მე რომ საზოგადოებაში აუტანელი გავხდი). ჩემი ბრალი ის იყო, ნადირობის წესი დავარღვიე. თქვენ, ქალებს, ეს არ გესმით, ნადირობამ ისეთი ჰაზარტის აღძვრა იცის, მართლაც, შესაძლოა კაცი მოჰკლა კაცმა ასეთ დროს.

როცა ჯოგის მეთაური ჯიხვი, ან როგორც სვანი მონადირენი იტყვიან: „ჯვეგი თუალ“ დავინახე, ყველაფერი გადამავიწყდა, თოფი ვესროლე და სამასი მეტრიდან ჩამოვაგდე... ამან ერთი მონადირეთაგანი ისე გააბრაზა (გარდა ამისა, იგი წინადღეს დიდად გავაგულისე), თოფი მესროლა პირდაპირ. მაგრამ შორს ვიყავი, ტყვიამ საფეთქელთან ჩამიარა, ციცაბოზე მდგარმა თავი ვერ შევიკავე და უფსკრულში გადავიჩეხ. ბედად თოვლით გავსილი იყო ხრამი, სრიალით დავქანდი ძირს. მონადირეების თოფის ხმა მესმოდა, მაგრამ ხმა ვერ მივაწვდინე, ვუძახე, ვუსტვინე, არავინ გამეხმაურა. მხარე ამექცა, ხევი ამოვიარე, მაგრამ სულ სხვა

ზეგანზე ავედი, მერმე ვირბინე თოვლში (თვლემა თვალის აქცევა იცის).

ვიარე...

ვიარე,

ვიარე.

ისევ დუმილი შემეყარა ჭიუხებში და ბილიკებზე. ორი საათი კიდევ ვიარე. დუმილს მოეცვა დეკიანი გორმახები და მყინვარები. თითქოს თვითონვე დამდგარანო დუმილის ტალად. არც ცას, არც ხმელს და არც მყინვარებს მცირე სიცოცხლის ნიშანწყალიც არ შერჩენოდათ. თითქოს შესწყდაო მაჯისცემა სულიერისა. დუმილს კიდემდის აუვსია ცა და ხმელეთი და ერთადერთი მე დავრჩენილვარ ცოცხალი არსი, ამ გაქვავებული ხმელის პირზე გამორიყული.

ისევ ვიარე,

ვიარე,

ვიარე.

ოდნავ ეცვალა ბუნებას სახე. ძერასფერი მთები გამოჩნდა და ნაძვნარების ბანჯგვლიანი, შავი ჯაგარი. დღე სულსა ღაფავს ჭიუხებში გადაგდებული და მესმის, სადღაც საწყალობლად წივის როჭო, წივის და წივის...

გავილურსები. ყურს მივუგდებ და მერმე გავრბივარ სწრაფად იქითკენ, საიდანაც როჭოს ძახილი მოაქვს ნიავქარს. ისევ შევდგები, რადგან ჩემი სისხლის ხმა მესმის, ასე მგონია, სმენა მატყუებს. ეს როჭო წივის, თუ ტკივილი აჩქამებულა?

ეს როჭო წივის, თუ ჩემივე სისხლის ხმაური?..

არა, ნამდვილად როჭოს ხმაა.. და წივის როჭო ჭიუხებში, სადღაც შორეთში... თავქაჩინდრული მივყვები მწუხრის ნისლით მოცულ ბილიკებს. ერთი აღმართი მოვათავე უზარმაზარი ლოდე-

ბით დახერგილი და გადავაწყდი ვრცელ ტაფობს, გამხმარი, ალპიური ბალახი დარჩენილა კიდევ ტაფობზე. თვალი გავუსწორე... ვხედავ, ბალახი ბიბინებს ჩემს წინ. აქ უკვე ზევით არსით ისმის ნიავის ჩქამი. თვალი მოვიფშვნიტე. ვხედავ, რაღაც მოდის ჩემსკენ... გულდაგულ ჩემსკენ. არხევს კლერტოებს, ზურგი მოუჩანს, მოთალხო ზურგი და მერმე მხოლოდ კლერტოების ბიბინსღა ვამჩნევ. შევდექ, თვით როჭოც ახლომახლო წივოდა სადღაც.

დაშინებული ადამიანი ცრუმორწმუნეა. და ვფიქრობ ჩემთვის: ეგებ ეს როჭო როდი იყოს, არამედ სულ სხვა რამე უცხო ცხოველი. ან მოდიოდეს ეგებ ოთხით კაცი ბალახში და როჭოს დარად მოწივოდეს, მორბოდეს ბნელში.

ახლა სულ ახლოს გაიელვა ამ არსების მოშავო ზურგმა.

მგელს მისწვდა ჩემი ფიქრი იმავე წუთში, ალბათ, მგელია, ეს გავიფიქრე, შევმართე თოფი.

ამ დროს მომესმა თხის ბღავილის მინაგვარი ხმა.

და რაღას ვხედავ: ჯიხვის დურაყი მორბის ჩემსკენ და მობღავის საწყალობლად.

ბალღისა და ველურის აღტყინებამ შემიპყრო მყისვე, თოფი გადავაგდე, ვისკუპე და ყელზე შემოვეჭდე ამ საყვარელ ფოთრს. დედას ეძებდა ალბათ ბედშავი, დედა ვეგონე ამ სიბნელეში. და როგორც ატირებულ ბალღს მოეფერება დედა, ისე მივიკარ ჯიხვის ფოთრი, ვაკოცე მის ლამაზ დრუნჩს და ფაფუკ კისერს. გიშრის ჭლიკებზე ხელი შევავლე. გავაზე ხელი გადავუსვი, და თურმე ტყვიას თეძოს თავი სულ დაემსხვრია. კიდევ ვაკოცე მშვენიერ დრუნჩში. იუკადრისა ჯიხვის ფოთრმა ჩემი მოხვევა და წაბილწული კაცის ნერწყვიც იუკადრისა. განზე მიიდრიკა თავი და ზაქის ყროყინისებრი ხმა გამოიღო.

ისევ შემოვაბრუნე მერმე ჩემსკენ. ჩავხედე მის უმანკო, გიშრისფერ თვალებს. მიწაზე დავჯექი და მივიხუტე. ვგრძნობ, თუ როგორ ცახცახებს დაკოდილი ნადირი ჩემს მკლავებში გამოსალტული.

საამო სუნი ვიყნოსე, ჯიხვის სუნი, ცხოველის სუნი და ისე გამახარა მასთან შეხვედრამ, თითქოს ჯერ არსად დამენახოს მე სულიერი, სიტფო ვიგრძენი ამ უდაბურ გარემოცვაში, სად ყინულს, გრანიტს, ქიმერებად ქცეულ მწვერვალებს უტყვი, ცივი ცის მუზარადი ზედ დამხობიათ.

უცებ შეიცნო საცოდავმა, ვის ხელშიც მოხვდა. აბღავლდა ფოთრი, გაიბრძოლა და გამწუწა სისხლის ღვართქაფით. ტფილი, ტფილი და უმანკო ჯიხვური სისხლით.

ჩემს სმენას ეალერსება მისი ნაზი, ნაზი ფშვინვა და ჩუმი ოხვრა, დატყვევებული, დაკოდილი პირუტყვის ოხვრა. ახლა, ამ წუთში ჩემი ერთადერთი საწადელია: ნეტავ, პირუტყვის ენა მაინც მემარჯვებოდეს, შემეძლოს, ნეტავ, ვუთხრა ამ საყვარელ, უენო ცხოველს:

„ნუ მიხვალ, ჩემო მშვენიერო, უბიწო არსო, დარჩი ამ უდაბურ ზეგანზე ჩემთან, ნაბადს დაგიგებ და ჩაგიკრავ ამ სიძულვილით გათოშილ მკერდში, დარჩი და გახდი ჩემთვის ძვირფასი და საყვარელი.

ნუ მიხვალ, ჩემო, რადგან მწუხრი მოსულა უკვე ჭიუხებში და მუნჯ მყინვარებს თავზე მწუხრი გადაეფოფრა. ნუ მიხვალ, ჩემო, და თაყვანს გცემ უკუნითი უკუნისამდე როგორც უბირი, გაბურძგვნილი, ბედშავი სვანი, ნადირთ მეუფეს, თქვენს ღვთაებას დალს ეტრფის ხოლმე. მაგ თეძოსთავზე მე მოგირჩენ იარას, ჩემო, ჩემთან წაგიყვან, დღენიადაგ გილოლიავებ“.

კიდევ და კიდევ გაიბრძოლა დაჭრილმა ფოთრმა. ახლა ისეთი

საწყალობელი ბღავილი მორთო, თითქოს მახვილი სასიკვდილოდ დააძგერესო. შემზარა მაშინ მისმა ვედრებამ. მთელი სხეული დამერღვაო თითქოს ამ ხმაზე, კვლავ მოვაბრუნე და ვაკოცე მშვენიერ დრუნჩზე, დიდრონ თვალებში სამჯერ ვაკოცე და შეუშვი იმ წამსვე ხელი...

ქანცმილეული მიწაზე დავეცი და გავიგონე, კიდევ ერთხელ ჩაბღავლა ფოთრმა ღამეს დალურსულ ყურში, გაუჩინარდა, ბნელს მისცა თავი.

მე კი სულ დიდხანს მეზმანებოდა: ბღაოდა ფოთრი და უსაშველო დუმილის მკერდზე მიყრდნობილ მიწას ფოთრის ბღავილი უცნაურად აზანზარებდა.

ნაშუაღამევი იქნებოდა, როცა ისევ გამომეღვიძა. მთელი სხეული დამნამოდა. სიცივე შევიცანი, ზეწამოვიჭერ თავს დამქათქათებს მარტოდ დარჩენილს ოქროს ღილებით მოოჭვილი ცა. ასევე უტყვი, იდუმალი და მშვენიერი, როგორც ეს მყარი, შორეული მთის ქორედები, როგორც ოცნება იდუმალის, მიუწვდენისთვის.

ნაბადი დავიგე, თოფი მკერდზე მივიხუტე და დავიძინე ისე მაგრად, როგორც ეძინათ იმ მყინვარებს ღამის უბეში.

* * *

სხვა არაფერი მომხდარა თვალსაჩინო ჩემს ცხოვრებაში აქ. ჩვენ ყველანი კარგადა ვართ.

ჩემი მამამძუძე ძველებურად ღრინავს. ხანდახან სადღაც გაუჩინარდება. ვგონებ, აქედან ჩერქეზეთში გადადის, ორიოდე ცხენს ჩაიყვანს ხოლმე, მერმე მთელი საათი ლაპარაკობენ იგი და ქორა მახვში ჩემთვის და არზაყანისთვის გაუგებარ სვანურ ენაზე.

არზაყანი აქ მახვშის შვილისშვილს — კომკავშირელ საურს

დაუმეგობრდა. ვგონებ, ეს მათ ჩამოაყალიბეს ამ სოფელში პირველი კომკავშირული ორგანიზაცია.

მე ჩვეულებრივად აქაც მარტო ვარ, ვნადირობ, თხილამურებით დავდივარ მთებში, ანწლის არაყსა ვსვამ, ხანაც თოფის სროლაში ვეჯიბრები სვანებს.

ამ წუთში გარედ სთოვს, სთოვს, სთოვს. თოვლმა დაფარა კავკასიონის ქედმაღალი ბასტიონები, ვზივარ ჩემს კოშკში, მთელს ქვეყანას მოწყვეტილი ვარ და მიხარია, რომ მთელს ქვეყანას მოწყვეტილი ვარ“.

ელლენ რონსერისადმი

ნეაპოლის ქ. რომში, №17.
1935, 1.VII.

„შენი ბარათის პასუხი დროზე ვერ მოგწერე, შენ რომ იცოდე, ახლა სადა ვარ, უთუოდ შეკრთები. აიღე გეოგრაფიული რუკა და შენი მშვენიერი თითით გამოყევი. იტალიურ ჩექმის კიდესთან ქალაქი ტორენტო მოსძებნე, იქიდან პირეი, ეგეის ზღვაზე გადაატარე და კორინთის კანალში გამოდი, მერმე სტამბოლში, სტამბოლიდან პირდაპირ აღმოსავლისკენ, ბათომი ნახე, საქართველოს პირველი პორტი, ბათომიდან ჩრდილოეთისაკენ ამოყევი კოლხეთის შესანიშნავსა და ნაყოფიერ ველებს, ნარინჯის, ლიმონისა და მუშმალას სამშობლო გამოიარე, მერმე მოსძებნე ოდიშის მხარე, გაივლი ოდიშს და შესაძლოა, ამ მხარის სახელი იმ რუკაზე არც კი ეწეროს, ჩრდილოეთისკენ, კავკასიის ქედის უბეში მდებარეობს ეს ქვეყანა, ძველი ბერძნები ასე ამბობდნენ: სვანეთი ტილიჭამიების ქვეყნის გვერდითაო“.

მე აქ ერთ განმარტოვებულ კოშკში ვცხოვრობ. აქ ფოტოგრაფები არაა, არც ჩემი აპარატი წამომიღია, თორემ შეკრთებოდი

ჩემი სურათის დანახვაზე. და მე დარწმუნებული ვარ, სამუდამოდ განიკურნებოდი ჩემი სიყვარულისაგან. წვერი ისე მოშვებული მაქვს, როგორც ეს ჩემს წინაპრებს სჩვევოდათ. ტანზე უბრალო ჯვალოს ჩოხა მაცვია (გაცილებით უფრო ტლანქი, ვიდრე ჩემი წინაპრების ნაყმევებს ეცვათ), ფრჩხილები მოშვებული მაქვს და, რადგან მანიკიურებს აქ არავინ აკეთებს, ხანჯლის შვილით ვიჭრი ფრჩხილებს, ხან სატევარით. კარგად ალესილი სატევარით, აქ რკინეულის ნაკლებობაა, რადგან ამ ქვეყანაში ნარევი წყობილებაა. ქვისა და ბრინჯაოს ეპოქის ნარევი. ამიტომაც ამავე სატევარით ვთლი ხორცს, ხეს და ძაღლების მოსაგიერებელ ჯოხს. აქ იმდენი ძაღლებია, ღამე სოფელში ცხენოსან მგზავრს ცხენიდან ჩამოიღებენ. მერმე, დაცუცქდებიან ეს ძაღლები გომურებთან, ჭიშკრების ახლოს და ისეთი გამაყრუებელი ღრენა, ყეფა და ყმუილი ისმის, რომ ყოველივე აზროვნება აღკვეთილი მაქვს.

საერთოდ, მე დიდად მადლობელი ვარ ამ ძაღლებისა. ბევრი აზროვნება თურმე კუჭს უფუჭებსო ადამიანს, და ამ კოშკში ბევრი რომ ვიაზროვნო, უცილოდ თავი გამისკდება. ხომ ხედავ, ჩემო ანგელოზო, სად აპირებდი ჩემთან წამოსვლას. ახლა კი უთუოდ დამაფასებ, რომისა და პარიზის მშვენიერი პროსპექტები ამ „ტილიჭამიების“ მეზობლობაზე რომ არ გაგაცვლევინე.

უნდა გამოგიტყდე იქ, თქვენ ბრწყინვალე ქალაქებში უფრო უბედურად ვგრძნობდი თავს, ვიდრე ამ „ტილიჭამიების“ სამეზობლოში. უნდა ვაღიარო, ძლიერ ვნანობ ერთ რამეს: შენი ფოტოსურათი თან რომ არა მაქვს. მე საერთოდ ფოტოს მეგობარი არასოდეს ვყოფილვარ და ამიტომაც მოხდა ეს ასე. როგორი უძლურია, ჩემო კარგო, ჩვენი ფანტაზია, მე ისე მომენატრე, როგორც აუხდენელი და შეუძლებელი მოენატრება ხოლმე ადამიანს, მაგრამ შენი აღნაგობის წარმოდგენა ვეღარ შევძელი.

აჰ, ჩვენი ადამიანური სიგლახის ბრალია, ჩვენ რომ შორეული

და მიუწვდენელი გვიყვარს მუდამ. მე ასე მგონია, შენ რომ აქ მყავდე, აქ გამოჩნდებოდა მართლაც შენი სიყვარული, მაშინ, მერწმუნე, მე ამ კავკასიონის ფერხთით დავსახლდებოდი, ჯიხვის, არჩვის და როჭოს ხორცით გარჩენდი, ჩემო ანგელოზო. ქსოვას, კერვას და ქარგვას გასწავლიდნენ სვანი დედაკაცები, ქსლის ბეჭვასა და მატყლის ჩეჩვას. შენგან გამოჭრილ ჩოხას, შენგან მოქსოვილ პაჭიჭებს ჩავიცვამდი უდიდესი სიყვარულით, და ასეთ კოშკში, როგორშიაც მე ახლა ვცხოვრობ, სიამოვნებით დავაღამებდი ჩემს დღე და სოფელს.

ვიცი, შენ ყოველივე უცნაურის მოყვარული ხარ. შენ უთუოდ შეგიყვარდებოდა ჩვენი სვანეთი.

წარმოიდგინე, ანგელოზო, ასეთი ხალხი, ვისაც ევროპულ ქარხნების მონობისათვის ჯერ არ შეულევია ჯანი, ვისაც ჯერ გრამმოფონის ჩხავილი არ გაუგონია და რადიოს ჯაჯღანი, საბუხჰალტრო წიგნებში ტვინი ჯერ არ ჩაუქცევიათ. აქაურ გზებს ჯერ არ ამშვენებს ასეთი მშვენიერი წარწერები: „ვენეროლოგი“, „ვენეროლოგი“, „კლინიკა“, კლინიკა“, „კბილის ექიმი“, „აკუშორი“, „აბორტმახერი“, „აბორტმახერი“, „აბორტმახერი“. აქ ჯერ პროტეზები არავის უნახავს და საზიზღარი ლურჯი სათვალები არსად სჩანს, უზარმაზარი ლურჯი სათვალები, ტრამვაის ლაყლაყით ჯერ არ გამოულაყებიათ თავი, ავტომანქანების, ქარხნების ბღავილისაგან ძილი ჯერ არვის გაკრთობია.

მიდიხარ აქაურ გზაზე, ეკლესია შემოგეყრება, პირველ საუკუნოებში ნაგები, ხანაც წკნელზე ჩამოცმული ფოთლების გროვა. ეს გზადგავლილ სვანს ულოცნია და ეს ფოთლები დაუგდია თავის ნატერფალზე. წმინდა ტყეებზე არ გაგატარებენ, თუ მუხთლური განზრახვით დაგიდგამს ფეხი სვანის მიწაზე.

აქ ყველას მგლის მუხლი აქვს, მგლის კბილები და მგლური თვალები. დილას, საღამოს და შუადღეს ამ შესანიშნავ მთებს

შესცქერიან, მღერიან უდარდელად, ჩონგურს უკრავენ, ბავშვებსავით აყვებიან ვნებებს, ორასი წლის წინად დაღვრილ სისხლისთვის დღეს ჰკლავენ მოსისხარის შვილის შვილის შვილის შვილს.

ოქროთი და ვერცხლით შემკული ქამრებით წელს იმშვენებენ, არც ქალსა და არც კაცს ნიფხავი არ აცვია, მტრებს სამარეში ჩასდევენ და მეგობრებს თავიანთ კოშკებში ინახავენ. ქალების საიდუმლოს ვერავინ გაიგებს, სიყვარულისათვის კაცისკვლა დღიურ წესრიგშია. მათ სულ არ აწუხებთ ათი ათასი კილომეტრის მანძილზე გადატყორცნილ კაბელების, შორს მოლაპარაკე ტელეფონების, რადიოს და ჰაეროპლანების უქონლობა. დილით მზეს ასწრებენ ხოლმე და საღამოს მზეს შეასწრებენ საწოლში...

ჯერ აქ გვაროვნული წყობილებაც არ დარღვეულა. უპაპოდ და უმამოდ ცოლს ვერავინ შეირთავს და ვერც გათხოვდება. ალიმენტების გამო ჩვილი ქალებს არა სჭირიათ, და ბალღი დაიბადება თუ არა, მგლის კბილებს დაჰკიდებენ კისერზე. მგლებს წმ. გიორგის ძაღლებად სთვლიან, წელიწადში ერთხელ ბანკეტს უმართავენ ამ ცხოველს. მგლის ლამპრობას უწოდებენ ამ დღესასწაულს. კალოებში არყის ხისაგან ლამპრებს აუნთებენ.

აქ მოხსენებულიდან შენ გაიგებ, თუ სადა ვარ ახლა. შენ ალბათ ხშირად დადიხარ ფორუმ რომანუმზე, კაპიტოლიუმის მუზეუმს გვერდით ჩაუვლი, საღამოს სან-პიეტროს ზარების ჟღარუნი გესმის. და იმ პატარა კაფეში ორკესტრს ისმენ, ინგლისელების ეკლესიის პირდაპირ რომ კაფეა. ვია აპიაზე ხშირად დასეირნობ და, რომ მოინდომო, ყოველდღე ნახავ ჩემს საყვარელ პერსეფონეს, თეთრმკლავებიანს.

რამდენი ხანია კინო არ მინახავს და გაზეთი არ წამიკითხავს. აქ, ერთ გამოქვაბულში, მონადირეთა თავშესაფარში, ფრანგ

ალპინისტებს ღამე უთევიათ, მერმე ბუტერბროტების, თუ სვანური ყველის შესანახად გაზეთი „ტან“ უხმარიათ, იქვე დაუგდიათ. მე ჯიხვზე სანადიროდ ვიყავი, ნაძვის კვარის სინათლეზე წავიკითხე ის გაზეთი და რამდენი ახალი ამბავი გავიგე. თურმე გერმანელი პოეტი რაინერ მარია რილკე საშინელ სიღატაკესა და მარტოობაში მომკვდარა, ხოლო თომას მანნ გერმანიიდან გაუძევებიათ ფაშისტებს.

რაინერ მარია რილკე მომკვდარა? მან დიდი ხანია პოეზიაზე ხელი აიღო, რადგან დროზე შეატყო: ევროპულმა ბურჟუაზიამ ისეთი გაუვალი უგემურობა გაამეფა, იქ დიდი პოეტის ხმა ისეთივე უადგილო ხდება, როგორც სახერხ ქარხანაში ბულბულის გალობა.

ერთმა გონებამახვილმა ფრანგმა კარგად იწინასწარმეტყველა ასი წლის წინად: (მე მგონია ასი წლის შემდეგ) ყოველი კაცი, რომელიც რაიმე დიადთან, რაიმე მშვენიერთან წილნაყარია, ყოველი სულიერი, რომელშიაც პოეტი სულდგმულობს, უეჭველად მოწყენისაგან კისერს მოიტეხს და ბოლოს იძულებული გახდება, თურქეთში წავიდეს და იქ რენეგატი გახდესო.

დავჯექი იმ ღამეს და გაზეთის კითხვაში ახლად გაჩვეული კაცის ხალისით ვიკითხე „ტან“. პარაშიუტისტები რეკორდს რეკორდზე ამყარებენ, ადამიანი კალიასავით ხტის მიწაზე. რომელიღაც შვედელ მფრინავს სადღაც პოლუსთან კისერი მოუტეხია. რომელიღაც დიდ ხალტურისტს უნუგეშო სიყვარულისთვის კიდევ დაუწერია ორმოცდაათფორმიანი რომანი, რომელიღაც გერმანელი მეცნიერი გულთმისნური აპარატის გამოგონებას აპირებს თურმე. ასე რომ, მალე ჩვენ გვეცოდინება, აქედან ალიასკაში ღორჯოს რომ კაცი იჭერს, იგი რას ფიქრობს. ეს თუ მოხდა, მაშინ ყოველი კაცი თავის ცოლს გააგდებს უეჭველად. არავინ არც ერთ ქალს არ შეიყვარებს, არავითარი ინტრიგა არ ექნება მომავალ

რომანებს და შეყვარებულები ვარდის წყლის ნაცვლად ქეძაფს შეასხამენ სახეში ერთმანეთს. არ იქნება საიდუმლო, ყველას ყველაფერი ეცოდინება და სიყვარულის, მეგობრობის და გრძნობის გამო არავინ არაფერს დასწერს.

ოჰ, ფლობერ, შენ ნათელმხილველი ყოფილხარ უეჭველად, შენ არ ამბობდი განა ამ ასი წლის წინად: „რაც შეეხება დანარჩენ დღეებს ისინი სავსებით ჰგავდნენ სხვა დანარჩენებს. წყალი ნაგუბარში დგებოდა, ჩემი ძაღლი თავის ულუფას თქვლეფავდა, ადამიანები კვლავინდებურად დარბოდნენ, დაფუსფუსებდნენ, საქმიანობდნენ, სვამდნენ, ეძინათ (მე დავუმატებდი, ერთმანეთს ატყუებდნენ), და ცივილიზაცია, ეს დაჯღანული ბუში ადამიანურ შესაძლებლობათა (les efforts humain) წინ მიდიოდა, თავის ტროტუარებზე მიჩლახუნობდა, სანაპიროდან გასცქეროდა ალამგაშლილ გემებს, თავის ხიდებს, კოხტად შეღებილ კედლებს, პოლიციის მიერ წესიერად მოვლილ ბორდელებს, ხოლო გზებზე კიდევ შეამჩნევდით გამოხრული ლოკოკინების ხობოკვერებს, კომბოსტოს ნაფცქვენებს და სურნელგაცლილი პოეზიის დამჭკნარ ყვავილებს. მერმე მან მიაფურთხა ბრწყინვალე ტაძარს, მის შესანიშნავ კონტურებს თვალი აარიდა, და ეს გაგიჟებული, გარყვნილი დიაცი, ბუნებას მოებღაუჭა მკერდზე და ჰისტერიულად აყვირდა: მე პროგრესს ვაკეთებო, ოჰ, ამ ძვირფასმა ცივილიზაციამ, ამ საყვარელმა კახპამ, ეს მან მოიგონა რკინიგზები, დაშაქრული ტორტები, სამეფო ხელისუფლება და გილიოტინა“.

ძვირფასო ელლენ, შესაძლოა, მე აქ რამე შემეშალოს, მაპატიოს ფლობერის ლანდმა, ისე ზეპირად მოვაცოდვილე ეს სტრიქონები. მე არავითარი პრეტენზიები არა მაქვს, ჩემო, არც ფრანგულის ცოდნისა და არც სახელოვან კაცად გახდომის. უკვე გვიანაა, შენ ჯერ ოპერის ტუალეტიც არ გექნება გახდილი, აქ კი ძალიან გვიანაა. სოფელში ძაღლები პირველ ძილს უხდიან ალბათ

ვალს.

რაღაც ყმუილი მესმის. ვგონებ, მგლის ყმუილია!

ოო, მე ძლიერ მიყვარს ამ ორწოხებში მომწყვდეული, უბინადრო ცხოველის ყმუილი, შესაძლოა, მას შიოდეს ამ თოვლიან მყინვარებს შორის, ეგებ არც შია, არცა სწყურია, მაგრამ სცივოდეს მარტოხელას და მიუსაფარს, სიყვარული სწყუროდეს და სიყვარული შიოდეს, და მეც არავინ ისე არ მეცოდება, როგორც იგი, ვისაც სიყვარული გასძვირებია. Such is the life my dear.[33] ხვალ შურთხებზე სანადიროდ მივდივარ და მზეს უნდა ავასწრო.

მშვიდობით mon ange.

მარად შენი თარაშ ემხვარი“.

კაროლინა შარვაშიძისადმი
ზუგდიდში

წ. 1931 3.XII.

დევის ქვაბი.

3225 მეტრი შავი ზღვის დონედან.

„ძვირფასო და სანატრელო ფრაუ!

არც კი ვიცი, პირველი ბარათი თუ მოგივათ, იგი ისეთ კაცს გავატანე, მაინცდამაინც დიდი იმედი არა მაქვს. ჩემის აზრით, ეჭვმიუტანელად მრუდე კაცი ისევე არ არსებობს, როგორც ეჭვმიუტანელად პატიოსანი. შეიძლება ყოველ კაცს შეეშალოს როგორც სიკეთის, ისე სიავკაცის ქმნისას. ამიტომ ვვარაუდობ: შესაძლოა, ჯვარში ფოსტის მარკა დააკრა იმ კაცმა ჩემს წერილს და მიიღოთ კიდევაც. ჯერ პასუხი არ მიმიღია, მაინც მეორეს გწერ, და გწერ იმიტომ, რომ სხვა საქმე არა მაქვს.

[33] ასეთია ცხოვრება, ჩემო ძვირფასო.

სახუნდარში ვზივარ და, სანამ ეს ფანქარი არ გამომლევია, ვწერ. რამდენიმე მონადირე უბის ცეცხლს. საშინლად ხმამაღლა ლაპარაკობენ. ოჰ, ეს აღმოსავლეთი! როგორ ხმამაღლა ლაპარაკობს ჩვენი ხალხი! ეს პირდაპირ აუტანელია ჩემთვის. მე ჩვენი გლეხის ოფლის სუნიც არა მძაგს. მაგრამ ლაპარაკი? ქართველი ადამიანი აუტანელი ხმით ლაპარაკობს. მიუხედავად ამისა, საკმაოდ მოზრდილი და პრტყელი ქვა მიდევს მუხლზე და ვწერ ამ უხეირო ქაღალდის ნაგლეჯზე.

საერთოდ, თუ ატყობთ, წერილების წერის გუნება დაიკარგა მთელს ქვეყანაზე. რამდენს სწერდნენ გასულ საუკუნეებში ადამიანები ურთიერთს. მე მოგახსენებთ პირად წერილებს! თქვენ იტყვით, მოცლილები იყვნენო? არა, მოცლილი განა დღეს ცოტაა ამქვეყანაზე? ადამიანების საქმიანობას ერთი საუკუნის შემდეგ რომ ჯამი გაუკეთდება, მერმე გამოირკვევა, თუ რამდენი მიეთმოეთი უწერიათ და უკეთებიათ მოცლილებს საუკუნის მანძილზე.

მე საერთოდ მუდამ ცუდად ვეწყობოდი წერას. განსაკუთრებით პირად ბარათების წერას. მხოლოდ ერთადერთ ქალს ვანებივრებდი ბარათების წერით. ეს იყო დედაჩემი. სხვისთვის არასოდეს მოკითხვის ბარათის ფარგლებიც არ გადამილახავს. რატომღაც გეზარება ადამიანს წამიერი განწყობილებისა და აზრების ქაღალდზე გადატანა. ან ვის რად უნდა ასეთი რამ? მე არ ვეთანხმები ანატოლ ფრანსს, ყოველმა ადამიანმა თავისი ცხოვრება აღწეროს, მსოფლიო ლიტერატურას მრავალი შედევრი შეეძინებაო, რომ ამბობდა.

პირიქით, ეს დიდი უბედურება იქნებოდა. საცოდავ მოწაფეებს და სტუდენტებს თავსატეხი მასალა მოემატებოდა, ასოთამწყობები სულ დაიბრმავებდნენ თვალს და ბიბლიოთეკარებს მთლად მოუთავებდა ბუასილი ხელს.

კიდევ რა მოგწეროთ? უძილობა მკლავს. უკაცრავად, უძილობა კი არა, ღამის კოშმარები. ერთ დროს ანწლის არაყს ვსვამდი, იმის ბრალი მეგონა. აქ არაყი გამოგველია, მაგრამ მაინც ვერ მომისვენია. თქვენა გგონიათ, ცუდი საწოლი მაქვს? აქ მამიდა ფარჯანიანის მიერ ნაჩუქარი რამდენიმე ოქრო ჩამომყვა. 7 ჯიხვის ტყავიდან ისეთი სანადირო ქურქი შევიკერე, ყოველ ჯენტლმენს თვალი დარჩება ზედ. ტანზეც ის მაცვია და იგივეა ჩემი საბანი და საგები.

ამ გვირაბში შურთხებს აუარებელი ალპიური ბალახი შემოუტანიათ. სვანი მონადირეები ასე ამბობენ, შურთხები ჯიხვებისათვის მიუჩენია მათ ღვთაებას — დალს. საზამთრო საზრდოს თავათ შეუზიდავენო ჯიხვებს გვირაბებში, სამაგიეროდ, მერე თავათ სჭამენო ჯიხვების სკორეს. მაღალმა ღმერთმა უკეთ იცის ალბათ, ეს ასეა თუ არა, საქმე ისაა, რომ ჟვერს მონადირენი ქვეშსაგებად ვიყენებთ.

ამას წინად შურთხებზე სანადიროდ მივდიოდი. ბორა ჩამომჯდარიყო შორს, ძლიერ შორს. საცდელად ვესროლე. ბორა ძირს დაეშვა, კისერი გამოუღადრავს ტყვიას. და რა ვნახე, ძვირფასო ფრაუ, ის ბორა ძლიერ ჰგავდა იმ უბედურ ჯამლეთ ტარბას. მთელი ღამეები არ მასვენებს ახლა ეს მოჩვენება. იმ ჯამლეთ ტარბას დურბელი სჭირდა, კისერი გამოღადრულივით ჰქონდა. მოვა ღამით ეს ბორა, მომაფრინდება, თავს მიკანტურებს და მომეჭრება, თვალების დაკორტნას დამიპირებს, მე ვძრწი, ვიტანჯები, ჭირის ოფლში ვცურავ და ბორა თავს მიკანტურებს და პირდაპირ იმავე წამოწითლებული, დასისხლული თვალებით, ჯამლეთ ტარბას თვალებით შემომცქერის.

ვაითუ პლატონის სულთა მიგრაცია მართალი იყოს, ჩემს მიერ მოკლული კაცი ბორად ქცეულიყოს და ხელმეორედ მომეკლას იგი ორკეცი სიკვდილით.

აჰ, რა სისულელეა, რასა ვროშავ... სათოფურიდან მთვარის შუქი შემოდის. ყინავს.

ცა ვარსკვლავებით მოოჭვილია, მყინვარებს ყარყუმის მანტია ჩაუცვამთ, ჯიხვის რქასავით მოდრეკილი მთვარე ზედ უმაღლეს მწვერვალს დაქათქათებს. ნათელი გამდგარა ცასა და ხმელს შორის და ისეთი მყუდროებაა, თითქოს ქვეყანას ამოსუნთქვა დავიწყნიაო.

მშვიდობით, ძვირფასო ფრაუ!

მარადის თქვენი თარაშ ემხვარი".

ნისლი

ზღვისპირა დაბა წითელი დროშებით შეემკოთ. რომაული თოთხმეტი მიეკრათ რაიკომის ორსართულიან სახლის ფასადზე, მაგნოლიების გირლიანდებით და ელექტრონის ლამპიონებით შემკული დროშები ფრიალებდნენ მომცრო სახლების აივნებზე. ჩვეულებრივად ბნელსა და ტალახიან დაბაში მომეტებული სინათლე დაეყენებინათ. ქუჩებსა და შუკებში პაპიროსის გასრესილი კოლოფები, ნარინჯის ნაფცქვენები და პლაკატის ნახევები ეყარა. მომიტინგე ხალხს მოედანი მოეჯეგა და წასულიყო. სახლებიდან და დუქნებიდან მოქეიფეთა სიმღერა ისმოდა, სიმღერა და ხმამაღალი ხორხოცი. აქა-იქ, დუქნების წინ, ჭადრების ქვეშ დამდგარიყვნენ მოქალაქენი და ხმამაღლა საუბრობდნენ."

საღამოს 7 საათზე რაიკომის აივნიდან ტანმორჩილი, კოჭლი კაცი ჩამოდიოდა. სახეს მტკივნეულად მანჭავდა, პაპიროსიან ხელს თეძოსთავზე იბჯენდა, მეორესაც ბამბუკის ჯოხს აყრდნობდა. წითელარმიელის ფარაჯა ეცვა ამ კაცს, მგლისფერი ფარაჯა,

თავზე მდელოსფერი კეპი ეხურა ყურებამდის ჩამოფხატული, მოდიოდა თავაუღებლად, აბოლებდა პაპიროსს თანაც.

ოდნავ ჟინჟლავდა. ნისლი დგებოდა ზღვიდან. იხვების ლაშქარი დაბლა, სულ დაბლა გადადიოდა ქალაქის თავზე. რეიდზე მდგარი გემი უსაშველოდ ბღაოდა, კვამლის ქულებს აგზავნიდა ცაში. სადღაც ბუქსირი ზმუოდა, გარედ დარჩენილ მოზვერსავით ზმუოდა და ეს ხმაური აყრუებდა პატარა დაბას.

კეპიანი კაცი დუქნის წინ შესდგა. ახლად გაკრულ პლაკატს თვალი შეავლო და მერმე უჩქარა ნაბიჯს გადაღმა დუქნიდან ღიპიანი მელოტი გამოვიდა, ჯიქურ გადასერა ტალახიანი პროსპექტი. ჩქარი ნაბიჯით გამოედევნა კეპიანს.

„ბატონო, ამხანაგო რაიკომო“, წაილუღლუღა აღშფოთებულმა ღიპიანმა.

კეპიანი შესდგა.

„რა გნებავთ?“ მიმართა მკვახედ, რაკი მელოტში ყოფილი ვაჭარი შეიცნო.

„ნალოგები, ნალოგები... შემომაწერეს“...

„მე დიდი ხანია რაიკომი აღარ ვარ, არენბა არლანს მიმართეთ“.

მოკლედ მოუჭრა ფარაჯიანმა, ტროტუარიდან ზედ პროსპექტზე გადავიდა და უმატა ნაბიჯს.

პროსპექტის ბოლოს, ელექტრონის სვეტთან ახმახი, ჩექმებიანი კაცი ტროტუარიდან გადმოვიდა სწრაფი ნაბიჯით, ჯიქურად მიეჭრა კეპიანს, თავიდან წოწოლა, ბარტყულებიანი სამხედრო ქუდი მოიხადა, მარცხენა ხელი მკლავში წაავლო და ეუბნება:

„ჩალმაზ, შენა ხარ!“...

„უშუბზია, ლიჩელი“, წარმოსთქვა მოღუშულმა კაცმა, კეპის საჩრდილო ზეასწია და იმან, ვისაც ლიჩელი უწოდეს, თავისი გრძელი, დათვური თათი დაადო მხარზე ჩალმაზს.

„ტფილისში ხომ არ ყოფილხარ?“ ეკითხება ლიჩელი.

„ტფილისში ვინ გამიშვა?“

„რატომ, რაო?“

„რაიკომის განკარგულებაში ვითვლები, სააქიმოდაც არ მიშვებენ“.

ლიჩელიმ თავისი არაბული, სქელი ტუჩები მაგრად მოკუმა. ცერცვისფერი, დიდრონი თვალებით ჩააცქერდა ჩალმაზის ჭორფლიან სახეს. ჩალმაზის მხრიდან ხელი ჩამოიღო, მკლავები გაუყარა და მხნედ ეუბნება:

„ვიაროთ“.

მცირე ხანს ასე მიდიოდნენ მდუმარედ. დაკეტილი სამჭედურების მწკრივი გაიარეს; შოსსე მხარმარცხნივ ზღვას მიჰყვებოდა, ზღვის გაყოლებით ციტრუსების ბაღები იყო. ნარინჯები ისე ღვივოდნენ მწვანეში, როგორც ნაკლები ვოლტაჟის ელნათურები, ნარინჯის ბაღების გადაღმა შრიალებდა ზღვა და რეიდზე მდგარი გემი ასთვალიან გველეშაპს დამსგავსებოდა ცეცხლის მფრქვეველს.

მხარმარცხნივ დაბალი ოდები და ისლით დახურული სახლები იწყებოდა.

ლიჩელიმ აქეთ-იქით გაიხედა, და რა დარწმუნდა შოსსე ცარიელი იყო, პირველმა დაარღვია დუმილი:

„ფეხი როგორა გაქვს, ჩალმაზჯან?“

„უარესად, ამინდის ბრალია!“

„თაბაშირი ხომ მოიხსენი?“

„სამი კვირაა, რაც მოვიხსენი, მაგრამ უკეთესობა ჯერ შორსაა“.

ლიჩელიმ კიდევ წაიგრძელა კისერი ვარხვივით, კიდევ მოავლო თვალი თემშარას, თითქმის ყურში უჩურჩულა ჩალმაზს:

„პოლიტსამმართველოს მოხსენება გადაუგზავნე?“

„გადავუგზავნე, მერმე რა?“

„რაო და, ასე ამბობენ, შენ რომ იცი ის, მოსკოვს მიჰყავთო, თუ იგი წაიყვანეს, ტფილისის პოლიტსამმართველო არლანს გადმოუგზავნის ჩვენს მიერ ხელმოწერილ პატაკს და მერმე, მშვიდობით“.

ჩალმაზმა თავი ჩაჰქინდრა და ისევ იარეს მდუმარედ.

„თავდამსხმელების ვინაობა ჯერ ხომ არ იცი?“.

„ერთისა კი... მერმე. რა, რომ ვიცი?.. განა იგივე კაცი არ დაესხა არზაყანს აგვისტოში თავს? ის საქმეც მე გავახსნევინე. ჯოტო გვასალიას დავადევი ხელი. აქაურმა პოლიტსამმართველომ რაიკომს გადაუგზავნა. არლანმა დიდხანს ინახა ქაღალდები, მერმე მიაფუჩეჩა, ასე ამბობდა: ტფილისში გადავაგზავნეო.

გვასალია არლანის კაცია. ჯერ გვარწმუნებდა: მოწმეები უნდაო. აბა, ვინ დაისწრებს კაცის კვლის დროს მოწმეებს? ვინ იცის, ეგებ გვანჯ აფაქიძე დაისწრო მოწმედ“.

ვიღაც ცხენოსანმა ჩამოიარა. ორივენი დადუმდნენ და კოპიტების ლანდებში გაერიენ.

„შენ როგორ გახსენი ეგ საქმე?“

იკითხა ლიჩელიმ.

„იმ ხანებში ქორწილში დაეთროთ გვასალიას ბიჭი. ქალებში დაუტრაბახნია. გეცოდინება, გვასალიას ბიჭი აფაქიძის უმცროს ქალს ზესნას ჰყვარობს. ასე რომ, არლანს უნდა მიულოცოს კაცმა ღირსეული ქვისლი“.

ეზოდან ძაღლები გამოენთნენ გამვლელებს. მოსაუბრენი ისევ დადუმდნენ.

კარგა ხანს ასე იარეს, მერმე ურმის ჭრიალი მოისმა და მეკამეჩის სევდიანი ღიღინი.

ლიჩელიმ მიიხედ-მოიხედა, ვეღარც მეურმე ნახა და ვეღარც ურემი. და კვლავ იკითხა ჩურჩულით:

„მაშ, უეჭველი ცნობა გაქვს, რომ შენი თავდასხმაც გვასალიას მოწყობილია?“

„ეჭვმიუტანელი ცნობები მაქვს. ერთი ლუხუმელი კოლმეურნე ხელს ადებს. ამ კაცის სახლში გაუთევიათ ღამე გვასალიას და გვანჯ, აფაქიძეს. უეჭველია არლანის ხელიც ურევია აქ. შენ ვერ შემოგბედა, სამაგიეროდ, სოხუმში გადაგისროლა. არზაყანი გადაიკარგა. ახლა მე შევრჩი ხელში. ჩვენ აქ მისთვის უხერხული ხალხი ვართ. ეს გასაგებია“.

„საბოლოოდ რას ფიქრობ?“ შეეკითხა ლიჩელი.

„ჯერ სახიფათოა. კვალი არლანთან მიგიყვანს და ეს ნაადრევია. ამბობენ, გაზაფხულისათვის ცეკაში ცვლილება ხდებაო.

და“...

„აქაური პოლიტსამმართველო რას ამბობს?“

„იქაც არლანის კაცი დასვეს გუშინ. აბა, შენ რად მოგხსნა?“ ჩალმაზ დადუმდა. შესდგა და მერმე განაგრძო:

„არზაყანის გადაკარგვა და შენი აქედან გადაყვანა მე ძალიან დამეტყო. სხვა წვრილმანიც თავიდან მოიცილა. თვით უპარტიო ინტელიგენციაც დაცოცხა დაბიდან“.

ღელე შემოეყარათ.

ლიჩელიმ ბოგაზე გასვლისას ხელი შეაშველა ჩალმაზს. ეუბნება:

„გამიგონე, ჩალმაზჯან, შენ იმ დღეს ვერ მოათავე, რომ გეამბნა, რა ადგილზე დაგიხვდნენ ლუხუმში?“

„ზედ ხიდის თავთან. რაიკომისვე დავალებით ვიყავი საიდუმლოდ წასული. საგულისხმოა: არლანის მეტმა არავინ იცოდა ჩემი წასვლა. წინა ღამის უძინარს რული მომერია ცხენზე. წვიმიანი საღამო იყო, ოდნავ ნისლიანი, მაინც შევნიშნე: სამი კაცი იქვე ფარდულიდან გამოვიდა თემშარაზე. ერთი დაწინაურდა, მომეახლა. სალამი მომცა, ასანთი მთხოვა. ცხენი შევაყენე, მარჯვენა

ხელი ჯიბეში ჩავიყავი და სწორედ იმ წუთში მესროლა ერთმა ორთაგანმა. ასანთის მთხოველი აღვირს წასწვდა, ბრაუნინგი ვესროლე, მაგრამ განზე გადამიხტა. მერმე სამივემ მომაყოლეს და ერთიც მხრის თავზე მომარტყეს. მცირედ გამკაწრა. შარვაშიძისეულ სასახლემდის ძლივს მივაღწიე. დარაჯმა ჩაბალახით შემიხვია ჭრილობები. ვიდრე ექიმი მოვიდოდა, დიდძალი სისხლი დავკარგე. ცუდი ისაა, ნატყვიარ ფეხზე მომხვდა“.

„როგორ თუ ნატყვიარზე?“

„მე ხომ 16 წლის ვიყავი, კაზაკებთან შეტაკების დროს რომ დამჭრეს ამავე ფეხში“.

* * *

ერთსართულიან ოდიდან გაკაპასებული ძაღლი ყეფით გამოვარდა. ჭრიახით გაიღო კარი და დედაკაცის მილეული ხმა გაისმა:

„რომელი ხარ, ჰეი!“

„ჩვენა ვართ, ნან, ნუ გეშინია“.

დაამშვიდა ჩალმაზმა და ხის საფეხურებზე აუძღვა ლიჩელის. და როცა ლიჩელიმ იატაკზე ფეხი დაადგა, მთელი სახლი აჭრიალდა, მისი წოწოლიკა სამხედრო ქუდი ზედ ჭერს მიებჯინა. ჩია დედაკაცი ალერსიანად მიესალმა ლიჩელის და გაზეთებით შეწებილ ოთახში შეუძღვა შვილსა და სტუმარს.

„რამ შეგაშინათ, დედიჯან?“ შეეხმიანა ლიჩელი მოხუცს.

რა ვქნაო, ნანასქუა, როგორც კი შეღამდება, „ჩემი ბიჭის“ მოლოდინში სული მძვრება, სჩივოდა დედა.

ჩალმაზმა ლიჩელის სკამი მიართვა, თავათ მეორე ოთახში გავიდა.

მოხუცმა ბუხრის პირად მიიპატიჟა სტუმარი. ლიჩელიმ ღარიბულად მორთულ ოთახს მოავლო თვალი. კედელზე სტალინის

ფოტოსურათი ეკიდა და ორ საწოლზე ოთხი ბავშვი იწვა ურთიერთისაკენ თავფეხშექცეული.

ლიჩელიმ ახლა დედაკაცისაკენ გადაიტანა მზერა. შესცქეროდა და იცინოდა:

„ეგ მუდამ ასეა, — როხროხებს ლიჩელი, — უცოლო ვაჟები მუდამ პატარად ეჩვენება დედას“.

„ეჰ, ნანასქუა, მე ვერ მოვესწრები ჩემი ბიჭის დაცოლშვილებას. ყოველთვის საფრთხეში უდგას ფეხი. სულ ასე ამბობს, ნანასქუა, მაცალე, დედი, გამოკეთდება საქმე, მერმე შევირთო ცოლს. სამი ძმა გაზარდა, სამი და გაათხოვა, სულ მაცა-მაცაო, იძახის, ნანასქუა. ნიკოიას დრო იყო, დასდევდნენ, იჭერდნენ, ესროდნენ, ასახლებდნენ, ახლა რაღა დროს ცოლიაო, მაშინ ამბობდა“.

ლიჩელიმ ფარაჯა შეიხსნა, ფრენჩის უბეზე მიკრულ წითელ ორდენზე თვალი დარჩა დედაკაცს.

ლიჩელი ადგა, ფარაჯა გაიხადა, და როცა მობრუნდა, დედაკაცი შეწუხდა, ორხელა ეგონა და ცალხელა დევკაცი დაჯდა სკამზე. მკლავი ზედ მხრისთავთან ჰქონდა მოკვეთილი და ფრენჩის ცარიელი სახელურიღა ბარტყუნებდა, ცარიელი სახელო.

ლიჩელის ფართო, ჩოფურა სახეს შეხედა, უკვირდა, ამ ახოვან ვაჟკაცს როგორ გადავიწყნოდა მარჯვენა ხელის უქონლობა.

იჯდა და როხროხობდა უზარმაზარი, ტუტასფერთმიანი დევკაცი. გულარხეინად იცინოდა დედაკაცის წუწუნის გამგონე.

„არაფერია, დედიჯან, არაფერია, ყველაფერი კარგად იქნება, დედიჯან. ცოლი შევრთოთ ცოლი, თქვენს ვაჟკაცს“. როხროხობდა, თანაც მძინარე ბავშვებისკენ იხედებოდა... გრძელწამწამიან, შოკოლადისფერ გოგონას თავი მუთაქიდან გადმოეგდო, პირაღმა იწვა, მარჯვენა ხელი ნუშის კვირტსავით პაწია ძუძუზე დაედო, იმავე საწოლში სქელკისერა ბიჭუკელას საბანი გადაეგდო, წი-

თელი ტუჩ-პირი საამურად გაბუტული დარჩენოდა. ორ დანარ-ჩენს, ნაციებ ჩვილებს საბნიდან გაშხვართული ფეხები გამოეწ-ვდინათ ლიჩელიმ უყურა, უყურა ბავშვებს. მიუახლოვდა გრძელ-წამწამიან გოგონას, აიღო მისი პაწია ხელი და ისე ემთხვია ხელ-ზე, როგორც ღვთაებას. თვალები გაუბრწყინდა და გაიხარა.

მერმე ისევ თავის ადგილას დაჯდა და მოხუცებულს შეეხმიანა:

„ასე ვქნათ, ასე, დედიჯან, ცოლი შევრთოთ თქვენ ვაჟს, ცო-ლი“.

„როდისღა მერმე, ნანასქუა? მერმე მენშევიკების დრო მოვი-და, ისევ დაიჭირეს, ისევ გადაასახლეს. ახლა ჩემი უფროსი ვაჟი გარდაიცვალა უხანო, ეს ოთხი ანგელოსი გასაზრდელია. ახლა ამ ობლებს უნდა ვუპატრონოვო. მე არ ვიცი, ჩვენი დრო რომე-ლია, ნანასქუა. ახლა არლანის დრო ყოფილა თურმე, მან ისევ ტყვიას უნდა მიუშვიროს მკერდი, ნანასქუა“.

„ნუ გეშინია, ნუ გეშინია, დედიჯან, — ხითხითებს ლიჩელი, — განა ასეთები მოგვილევია. ეს ჩვენი დროა, დიახაც, ჩვენი დროა, დედიჯან. რაც უნდა კარგად გათოხნილი იყოს სიმინდი, არ შეიძ-ლება მცირეოდენი კაჭაჭი და ნაწილი შიგ არ გაერიოს, დედიჯან, შენ არხეინად იყავი, მოვა მეყანე თავის ყანაში და კიდევ ერ-თხელ გამარგლავს ყანას“.

„თქვენ პირს შაქარი, ნანასქუა, თქვენ პირს შაქარი“.

ესა სთქვა მოხუცმა და კვლავ განაგრძო თავისებური წუწუნი. მე ისევ ქვრივის ძაძებში ვივლიო, მარილსა და ღომს ვიკმარებო, ოღონდ ჩალმაზმა ცოლი შეირთოსო, თქვენც ურჩიეთო, უძეოდ ნუ გადაეგება, ქვეყანას ვინ შესცვლისო, მთა და ბარი ვის გაუს-წორებია მარტოკა, ჩემმა შვილმა რომ გაასწოროსო.

ჩალმაზი შემოვიდა. მოხუცმა ბაგე მოკუმა.

„ახლა შენ წადი, ნან, მიმართა მან თავაზიანად დედას, წადი და დაიძინე, ჩვენ საქმე გვაქვს აქ“.

„ახლავე, ნან, ახლავე, ჯერ ვახშამს მოგიტანთ. ცოტაოდენ ქათმის უწნოს და ღვინოს“.

ჩალმაზი შეეპატიჟა ლიჩელის. უკანასკნელმა იუარა: „შენ რომ შეგხვდი, სწორედ იქვე, დუქანში, ვივახშმე, შენმა გაზრდამ“.

„აბა, ჭყინტი სიმინდი და ღვინო ინებოთ ეგების?“ შეეპატიჟა მოხუცი სტუმარს.

ესა სთქვა და სამფეხა მაგიდა მოაჩოჩა. მერმე მაქოსავით დატრიალდა პატარა დედაკაცი და ერთ წუთში გააწყო სუფრა.

ლიჩელიმ შეუპატიჟებლად აიღო ტარო, ცხენისებრ კბილებით მოკბიჩა და, როცა მოხუცი დასასვენებლად წავიდა, ჩალმაზს მიუბრუნდა:

„მე ხვალღამ მივდივარ ტფილისს, შენ რას იტყვი, ჩალმაზჯან, მოდი, ერთხელ კიდევ შევუტიოთ არლანს?“

ჩალმაზსაც სიმინდით გაევსო პირი. დიდხანს იღეჭებოდა, მერმე ღვინო მოსვა და ლიჩელის უთხრა: „შენ ჩემზე გამოცდილი ხარ, როსტომ, და ჭკუა ჩემგან არ გესწავლება. მე მგონია, აქ მარტო არლანის ამბავი არაა, აქ ხელმძღვანელობის კრიზისია. უნდა ვიფიქროთ, რომ მთლიანი კოლექტივიზაციის იძულებით შემოღება, სიმინდის დამზადების ასე განუკითხავად ჩატარება, ეს ყოველივე კისერს მოატეხვინებს ამის წამომწყებს. გაზაფხულამდის შევიცადოთ, თესვის კამპანიის დაწყებამდის კიდევ ბევრი რამ გამოირკვევა. ერთის მხრით, კმაყოფილიცა ვარ, არლანი აქედან რომ არ მიშვებს. მე უფლება არა მაქვს, ასეთ დროს ჩემს საგუშაგოს მოვცილდე. ისეთი ცნობები მაქვს, გვანჯ აფაქიძე და გვასალიას ბიჭი ორმაგად თაღლითობენ. ისინი ცალ ხელს რაიკომის საქმეში ურევენ, ცალითაც უკმაყოფილო ბობოლებს რაზმავენ... გაზაფხულამდის მოვიცადოთ, გაზაფხული ბევრ რამეს გვეტყვის. მანამდის არლანს ვადევნოთ თვალყური“.

უკვე მამლების ყივილი ისმოდა, როცა ჩალმაზმა კიბეზე ჩამოაცილა სტუმარი.

„უჰ, როგორი ნისლი დამდგარა, — წარმოსთქვა და თეძოსთავზე ხელი დაიდო.

ასეთ ამინდში მიორკეცდება ტკივილები“.

„ნისლია ნატყვიარების მტერი. ნისლი და ნოტიო. ჩემი მარჯვენა დენიკინმა მომჭრა, მაგრამ მარცხენაც ეყოფა არლანს, თუ გასჭირდა. მე ცაცია გამხადა რევოლიუციამ. ხომ იცი, ცაციები უკეთ ისვრიან“.

ესა სთქვა ლიჩელიმ და ჭრიალი შექმნეს კიბის საფეხურებმა. დიდხანს იდგა ჩალმაზი აივანზე და შესცქეროდა, თუ როგორ ჩაიფლო ნისლში ლიჩელის უზარმაზარი ლანდი.

მართლაც, ნისლი გამდგარიყო ზღვასა და ხმელს შორის, ნისლს მოეცვა მთელი ქვეყანა, ხოლო ნარინჯების ბაღის გადაღმა ჰქუხდა და გრუხუნებდა ნისლში გახვეული ზღვა.

ბარათები მახვშის კოშკიდან

„...წავა და სადმე ღამეს გაათევს
მზისთვის ოცნება, ჩრდილდალეული,
ამ ჩემ ბობოქარ სულს ვეღარ იტევს
ჩემი რხეული, ძველი სხეული“...

თამარ შარვაშიძისადმი
ზუგდიდში

„ძვირფასო თამარ!

გახსოვს, საქართველოს მუზეუმში რომ გიჩვენე პალიმფსესტები? შენ იმ დღეს უყურადღებოდ მისმენდი. პალიმფსესტი ისეთი ეტრატია, რომელზედაც ოდესღაც რაღაც წაუწერიათ, მერე ეს წაუშლიათ, სხვა წაუწერიათ ასეთ ეტრატს სინათლეში რომ გახედავ, ძველსაც შეამჩნევ და ახალსაც.

ასე, ჩემო ძვირფასო, ასეთი პალიმფსესტია ჩვენი სულიც. ვიღაც მოდის, აწერს და შლის, აწერს და შლის.“

ხანდახან ისიც მოხდება ხოლმე, რომ ძველად წანაწერი უფრო საინტერესო ხდება, ვიდრე ახალი. მე იმდენი მათრია ცხოვრებამ, იმდენი წამაწერეს, თვითონვე ვეღარ ვარჩევ, რომელია ძველი, რომელი ახალი?

წუხელ ერთ ძველ კოშკთან ღამე ვათიეთ. სვანს ვეკითხები: რა კოშკია-მეთქი?

თამარისაო.

დღეს საღამოს შინ დავბრუნდი. მასპინძლის შვილისშვილის შვილი დაგოგავდა ეზოში, პაწია გოგონა.

მივეალერსე. სახელი რა გქვია-მეთქი? თამარიო. ყვავილი ვნახეთ ჭიუხში. სვანს ვკითხე: რა ქვია-მეთქი? თამარის თვალიო.

საქართველოში ხომ ყოველ მესამე ციხეს თამარი ჰქვია, ყოველ მესამე ქალს თამარი, მაგრამ მაინც მაჟრჟოლებს ამ სახელის გაგონებისას. თავისთავად კარგი და ცუდი სახელი არ არსებობს, მაგრამ ზოგი კარგადაა გამტფარი, რაღაც მაგიური გრძნეულებით გაჟღენთილი.

ამ შემთხვევამ გადამაწყვეტინა წერილი მომეწერა შენთვის, მე არაერთხელ დამიწერია აქ შენთვის გამოსაგზავნი ბარათი, მაგრამ დამიხევია. ეგებ არც ეს გამოგიგზავნო, მაინც ვწერ. არ ვიცი კარგად, გეწყინება, თუ გაგიხარდება. ასეა თუ ისე, უნდა მიეჩვიო ადამიანი, ისევე გულგრილად მოიგონო შენი წარსული, როგორც ლოფორთქინა მოიძრობს ხოლმე თავის ხობოკვერას... ამბობენ, ქვის ქვეშ გაძვრება, ან ხვრელში გაივლის და ძველ ხობოკვერას ასე მოიძრობსო თურმე ლოფორთქინა. განა ლოფორთქინაზე მეტი მანძილი გვიძევს წინ? განა ლოფორთქინასავით უმწეო არა ვართ ჩვენ? შევცქერი ამ დიდებულ მყინვარებს, ვერცხლის ტახტებზე წამომჯდარ მოგვებს.

შევცქერი მათ დილას, შუადღეს, მწუხრისას და ღამით, როცა მთვარე ზედ წამოადგებათ და ჩასთვლემენ ეს გოლიათები.

და მე ჩემს თავს ლოფორთქინას ვადარებ, საცოდავს, ხანმოკლე, უსუსურ ლოფორთქინას.

და მე დავეძებ ვიწრო, ვიწრო ხვრელს, უმტკივნეულოდ გადავიძრო ძველი ხობოკვერა, ძველი ნიჟარა.

შესაძლოა, შენ არც კი გახსოვვარ, გულმავიწყიაო, ასე უთქვამთ, ქალის ჯილაგი.

ჩემთვის ცხადია, მაინც შენა ხარ უკანასკნელი ზედწარწერა ჩემი სულის პალიმფსესტისა. შენი ალერსი, შენი ტუჩ-კბილის ნელსურნელება, შენი სხეულის სიტკბოება იმ საიქიოს თან წამყვება უთუოდ, ჩემო“

ვზივარ ცივ კოშკში, მახვშის კოშკში და ვფიქრობ ჩემთვის. ნეტავ, სადა ხარ შენ ამ წუთში? ნეტავ, რას ფიქრობ? ხანდახან მაინც თუ გაგონდები? როგორ ტკბილ ოცნებას ვეძლეოდით ამ სამიოდე თვის წინად ტფილისს მიმავალნი, როგორ დავშორდით! ასე ბნელია, ჩემო, ბედისწერის გზა და სამანი. შესაძლოა, ეს ასე სჯობდა. შენ აზღვავებული ცხოვრებისაკენ მიისწრაფოდი, მე კი დაღლილი შინ მოვბრუნდი, ამ ცხოვრებაზე გულაყრილი, გაწბილებული. მართალი გითქვამს, მე გულარძნილი გამოვდექი, გულგამოჭმული. იმდენი გესლი შემანთხია, ჩემო, სოფელმა, დამაკარგვინა სიყვარულის მაღალი ნიჭი. და ვაი იმას, სიყვარული ვინაც დაჰკარგა, ვისაც განგებამ მიუსაჯა მარტოდ დარჩენა.

გადაშლილია, გადარეცხილი პალიმფსესტი ჩემი სულისა, მასზე თანაბრად წარხოცილია როგორც ახალი, ისე ძველი ზედწარწერანი.

და როგორც ლოთი ნაბახუსევზე ნანობს ზომაზე მეტად შესმულ ღვინოს მეორე დღესვე, თავი სტკივა და გულისრევა უცრემ-

ლებს თვალებს, მერე ეს კაცი თითს ჩაიყოფს თავათ ხახაში. ცდილობს ამგვარად წამოარწყიოს წინა ღამით ნასვამი, ასევე ვებრძვი მე ჩემსავე თავს და ეს მწყურია, ამოვნერწყვო პირისაგან ჩემისა სხვის ქვეყანაში მიღებული ზედმეტი საზრდო. ეგებ განილტვონ ჩემგან სხვისი აზრები, სქელი წიგნები, ფოლიანტები, რიცხვი, ციფრები, ომებისა და მეფეების წელთაღრიცხვანი, ფილოსოფიის და ალგებრის ფორმულების იწილ-ბიწილო, თეორიები, იდეები, ჰიპოტეზები, ჩემი ხსოვნიდან წარიხოცონ უცხო და უცხო მოძღვრებანი სამარადჟამოდ, ოღონდ ეს გული განმეწმინდოს ბიწიერისაგან, მუხლები შემრჩეს ოღონდაც მგლისა და შემოხედვაც მექნეს მე მგლური და, სვანის ბალღების დარად, დამკიდოს ვინმემ მგლის კბილი ყელზე. და როგორც ოდიშში ყვავილით სნეულს მეჩონგურეებს მოუყვანენ საღამო ჟამზე და უჟღერებენ მერმე ჩონგურებს, გულს გაუტფობენ ტკბილი ჰანგებით, ასე მე სვანურ ჩონგურებს ვისმენ შეღამებულზე. სვანურ არაყსა ვსვამ, სვანურ ჯაბრალებს ვატარებ და სვანური ჯვალოს ჩოხა მაცვია ტანზე და ამ უძილო, კოშმარული ღამეების მიუხედავად, ვებრძვი მთელი ძალით უგუნებობას. დედაბუნებას შევცქერი დღენიადაგ მომღიმარ თვალში. დილით მზე გადმოლახავს მყინვარწვერს, გაბრწყინვებული, როგორც დალი ოქროსთმიანი. მოსკდება ზვავი სადღაც ჭიუხში და მღერიან მთები, ასთავიან მდევის მაყრები, სვანურ ლილეოს, საზეიმო ჰიმნს ამოდ სასმენს. მღერიან მთები, და ეს სიმღერა თუ დამავიწყებს მე ამ მოშხამულ საწუთროებას.

შენი თ.ე.“

2.VII. დევის ქვაბი.

კაროლინა შარვაშიძისადმი
ზუგდიდში

„ძვირფასო ფრაუ!

ისევ დევის ქვაბში ვზივარ. გამოეთხოვა მზე კავკასიონს, უშბას მწვერვალს დაუკოცნა დავსილი თვალი. ცად ალანძულა რქაი სატანისა ორკაპიანი, როგორც უზარმაზარი მარჩბივი მუშტი ბედისწერისა. ოქროცურვილად გეჩვენება მყინვარები ფირუზის ფონზე. როგორი უდრეკილობა განრთხმულა ამ ლუსკუმების თეთრ ქეჩოებზე!

თეთრი ღრუბლების ბასტიონები დაზვინულან ამ ურჩხულების ამაყ ქედებზე. ფანტასტიური, საკრალური ქალაქები გაუშენებია უხილავს, ყოვლადშემძლე ხელს. აქა-იქ ელავს ცეცხლის ლეკური, გადაეშვება მყინვარების მოთალხო ზურგზე... და სდგას დუმილიც ას და ხმელს შორის, თითქოს არც მიწას ჰქონდეს რამე ცისთვის სათქმელი და არც მიწისთვის გაემხილოს ცას გულის ფიქრი.

ჩამოდის ღამე მაღალ მთებიდან, ეს ფრთაბარტყუნა, ბნელფრთიანი მღამიობი ქვესკნელეთისა. ჩამოდის ღამე ჭიუხებში ნაბადმოსხმული.

ძვირფასო ფრაუ, აქ ერთი ქვაა, უცნაური აღნაგობისა, ნაცრისფერი, მუქლეგო ლოდი. შესაძლო არის, გადმოეტყორცნოს იგი ჭიუხს გადაღმა მწვერვალიდან ვულკანს ან მეწყერს. ერთს რომ შეხედავ, ის სავსებით არა ჰგავს ქვასა. ორმაგი კუზი მოუჩანს ზემოდ, წინ წაშვერილი კისერი აქვს და ორი ფეხი (თითქოს წოლისას ამოკეცილი), და დრუნჩი აქვს ისეთი ქვას, აქლემის ჩიჩვირი ეგონება კაცს. ვზივარ დევის ქვაბში და ვეძლევი ოცნებას.

ვითომ ჩემი აქლემია ეს ქვა, ჩემი ლოინი. უხსოვარ დროში, სამი ათასი წლის წინად, მე მოვსულიყავ თითქოს ერთხელ ამ ლოინით ქარდუს ქვეყნიდან. და წევს აქლემი საუკუნეთ ულევ

მანძილზე, წევს და იცოხნის ამ დევის ქვაბთან. მე ვარ პატრონი ამ ლოინის, მისი მომყვანი.

ეს მე ვიყავი, ამ საომარ ლოინზე მჯდარმა რომ გადმოვლახე ასურეთი, შუამდინარე, უდაბურები, უკაცრიელი და გარუჯული ხვატით სტეპები. ეს მე ვიყავ, ამ საომარ ლოინზე ამხედრებულმა რომ წარვუძეხი ცხენოსან ხალხს ჩრდილოეთისკენ, ზათქით და ბრძოლით გავიარეთ ჩვენ ორწოხები, მახვილით ვკვეთდით ჩვენ სიბნელეს და მტერს წინ დამხვდურს...

შესაღამოვდა, უფრო ნათლად მოსჩანს ახლა კავკასიონზე დაზვინული ბასტიონები, ისინი მართლაც მიაგავან მარმარის ქალაქებს.

აღსდეგ, ლოინო, გაიღვიძე, დათრგუნე ძილი, აღსდეგ, ავმხედრდეთ, ჩემო ლოინო, და მივაშუროთ იმ თეთრ ქალაქებს.

მაგრამ ვაი, რომ მე ჭაღარა შემრთვია უკვე, სამი ათასი წლის ჭაღარა მიმშვენებს შუბლსა. ვზივარ კერასთან მე გლახაკი ქრისტესმიერი, სამარჩიელო ჩხირებს ვხაზავ ნაცარტუტაში.

ჩემი ლოინი წევს დევის ქვაბთან და ბნელი ღამე ზედ ნაბადად გადაუხურავს.

* * *

წუხელ გვიან დავბრუნდი ნადირობიდან. ბნელოდა, ისე ბნელოდა, როგორც ეს ამ ხეობაში სჩვევია ხოლმე ბუნებას. შესაძლოა, პოლუსზე იყოს ასეთი სიბნელე, კვარი არა მქონდა, ამიტომ მახვშის დარბაზში შევედი. ყველას ეძინა დარბაზში, მხოლოდ ქორა მახვში წამომჯდარიყო თავის საკარცხულზე. თავ-ყბა ჩაბალახით შეეფუთნა, ტანზე დათვის ქურქი წამოესხა. შევხედე, გავოცდი. ამ შუაღამეს დათვზე სანადიროდ ხომ არ მიდის-მეთქი, გავიფიქრე.

იჯდა საკარცხულზე და ქანაობდა ისე, როგორც ებრაელი რაბინი ლოცვის დროს. კერასთან დავჯექი მის გვერდით.

ზის ქორა მახვში, ცეცხლს უყურებს გარინდებული და ქანაობს ისევ.

შემომხედა. შეკრთა, ვგონებ, შეეშინდა. გავვოცდი, რაც წვერი წამომეზარდა, მახვშ გაცილებით უფრო მეტის ნდობით მექცევა. როგორც ჩანს, მასზე კარგ შთაბეჭდილებას ახდენს ჩემი ჭაღარა თმა და გრძელი წვერი, მახვშს ჭირის დღესავით სძაგს წვერულ-ვაშმოპარსული ხალხი, ნავსებიაო, ასე ამბობს.

„ჯესმიმო, ეს მართალია, მოდიანო?“ მეკითხება მახვშ, თანაც ცალ ყბაზე ხელს იჭერს.

„ვის გულისხმობ, მახვშ ბატონო?“

„ვინ იქნება, ბოლშევიკები“. მე მეგონა, არზაყანსა და საურს გულისხმობდა.

„კიდევ არ მოსულან არზაყან და საურ, მახვშ ბატონო?“ ჩავ-ყვირე ყურში.

ვიცოდი, სადღაც სხვა რაიონში იყვნენ წასული, ვგონებ, ორი მოსისხარი გვარის შესარიგებლად წაჰყვნენ მთებში რაიკომის მდივანს.

„ისინი გინდ მოვიდნენ და გინდ არა. მე ვამბობ, გზა თუ მოდის ახლოს? ზარბაზნების ხმა ისმისო ჩვენს კალოებზე“.

„ჯერ კიდევ შორსაა“.

„მაინც რამდენ მანძილზე?“

„ერთი დღის სავალზე“.

„კი მაგრამ, — ვეუბნები მახვშს, — რატომ არ გიყვართ თქვენ ბოლშევიკები?“

„ჯესმიმო, — მეუბნება მახვშს — ქვეყანა რამხელა იქნება?“

„ქვეყანა დიდზე დიდია“.

„მაინც რამხელა იქნება?“

„უშბაზე მეტად დიდი. ისეთი დიდი, რომ კაცის თვალიც ვერ გასწვდება!“

„ზღვა თუ დიდია?“

„ზღვაც დიდია, მახვშ ბატონო“.

„ცა დიდია?“

„ცაც იმხელაა, რომ კაცის თვალი მას ვერ გასწვდება“.

„თუ ასე დიდია ზღვა და ხმელი, თუ ასე დიდია ცაც, მაშ ვინ იქნებოდა ის, ვინც ისეთი რამ შექმნა, რასაც კაცის თვალიც ვეღარ გასწვდება?“

„უეჭველია, მახვშ ბატონო, იგი გაცილებით უფრო დიდი იქნება, ვიდრე ქვეყანა, ზღვაც და ცაცა, ვიდრე თვით უშბა, ბევრზე ბევრად გამრავლებული“.

„შენ გინდოდა გეთქვა ღმერთი, არა?“

მე შევყოყმანდი, სხვა არა იყო რა, მასპინძლის გაწბილება არ მინდოდა.

„ჰო, ასე ვთქვათ“.

„აი, ამიტომ არ მიყვარს მე ბოლშევიკები. როდესაც გზა ჩემს კოშკამდის მოვა, მე აღარ მინდა მეტი ვიცოცხლო“.

მე გაოცებული ვარ. მახვშს ორი ბოლშევიკი შინა ჰყავს, ერთი სტუმარი და ერთიც შვილიშვილი. დიდი ხანია რაც აქ ბოლშევიკური ძალაუფლებაა დამკვიდრებული, მაინც გზის აქ მოსვლას ისე შესცქერის, თითქოს პირველი ბოლშევიკი ამ გზას გამოჰყვებაო.

კიდევ ერთი კვარი აანთო მახვშმა. და ახლა ვხედავ, ცალი ყბა სავსებით გასიებია ქორა მახვშს. ეს გაბურძგვნილი მოხუცი მართლაც დევკაცს დამსგავსებია.

მახვშმა თავი ჩაჰქინდრა. ფეხი ფეხზე გადაიდო ბატონკაცურად. იდაყვს დაეყრდნო, შესცქერის ცეცხლს. ვგონებ, თავის თავს ელაპარაკებოდა ხმამაღალი ფიქრით. ულვაშები უტოკავს.

ხველება აუტყდა. ახველა, ახველა, ცრემლებით აევსო თვალი, მერმე ქურქის სახელურით თვალები ამოიწმინდა, გადაადურთხა ნაცარში, მცირე ხანს სდუმდა, მერმე ისევ მომიბრუნდა:

„ჯესმიმო, მართლა დაფრინავს ადამიანი ცაში?“ მე თავი დავუქნიე.

„ჩემი ბიჭები მეუბნებიან, დაფრინავსო, და ასეთი რამ ჯერ არ მინახავს“.

მე ავუხსენი, როგორც შემეძლო, თუ როგორ დაფრინავენ ადამიანები, მახვშ ისევ უნდობლად შემომცქერის.

„კი, მაგრამ თოფის სროლა თუ შეიძლება იქიდან?“ — მე ავუხსენი მახვშს, რომ არამცთუ თოფს, ზარბაზნებს რომ ისვრიან ჰაეროპლანებიდან. ისიც ვუამბე, რომ ჰაეროპლანებით შესაძლოა ორ საათში მთელი ქალაქის აფეთქება და მხარის გადაწვა.

„ფუი, ეშმაკს, ფუი, ეშმაკს“. ჯლოყინებს მახვში, ხანაც შემომცქერის, მერმე ორივე ხელი შემოიყრდნო ყბებზე და ცეცხლს მიაჩერდა.

მე გავედი, კოშკის კარები დაკეტილი დამიხვდა. ვაბრახუნე, მაგრამ ოსმანი ვერ გავაღვიძე. მოვბრუნდი მაჩვიბში და უფროსი ხარის ახურის პირდაპირ დავწექი.

როცა დარბაზში მოვბრუნდი, მახვშს კბილის ტკივილი უარესად გამძაფრებოდა. ქანაობს მახვშ თავის საკარცხულზე, ცალი ხელით ყბას მობღაუჭებია და დაჭრილ დათვსავით ღრიალებს: „ااااااا... ااااا“...

მე რწყილები მესევა მთელს ტანზე. ვტრიალებ ჩემს საწოლში ჯიხვის ტყავებში გამოფუთნული, და როგორც შინ მობრუნებულ მიმინოს იღლიიდან ბურტყლს გამოაცლიან, თვალებს აბრეშუმის ძაფით ამოუკერავენ, მერმე დასვამენ და მთელი ღამე „ااااა“-ს ჩაბღავიან ყურში, ისე ჩამძახოდა ყურში ქორა მახვშ — „ااااا“-

ს და მთელი ღამე ყმუოდნენ მგლების ჩქამზე დამფრთხალი ძაღ-
ლები.

მშვიდობით, ძვირფასო! მარადის თქვენი
თარაშ ემხვარი“.

მწვანე ცხენი

იმავე საღამოს, როცა თამარი შავ მტრედებს შეეყარა მუხნარში, ფეხმძიმე დედაკაცი მოუყვანეს ხერიპსს ჯვარიდან, ურმით. ნახუცარი შეუძლოდ იყო, გარედაც არ გამოუხედნია, კაროლინა ავადმყოფ თათიას უვლიდა. ლუკაიამ გამოხედა მეურმეს, მოხუცებული გლეხი სასოწარკვეთილი შეიქმნა, უკან გაებრუნებინა ავადმყოფი? ეს შეუძლებელი იყო. ლუკაია არწმუნებდა, დილის მატარებელს ჩამოჰყვებაო ხერიპსი. ავადმყოფი კი სასწრაფოდ დახმარებას მოითხოვდა. როგორც იქნა, ლუკაიამ დაარწმუნა გლეხი დილამდის შეეცადნა. სანამდის ბაბუა ტარიელ მისაღებ ოთახიდან გამოსვლას ინებებდა კონკილაზე შეაყენეს ურემი, მუთაქებზე წამოწოლილი ავადმყოფი კაკლის ქვეშ დარჩა შეღამებამდის.

სწორედ ამ დროს ჭიშკარში ფეხი შემოდგა თამარმა. ცარიელ ურემზე იწვა ფეხმძიმე პატარა ქალი. მას პატარა, პატარა თავი ჰქონდა, დალეული სახე. თამარი შეზარა რუმბივით გაბერილმა

მუცელმა. შავი შალი ეფინა გულ-მუცელზე დედაკაცს, და ამ საღამოს პირზე იგი უფრო მოჩვენებას მიმსგავსებოდა, ვიდრე ადამიანს.

თამარი შეკრთა ამ საზარელი სურათის დანახვისას, გვერდით ჩაუარა ურემს. შესდგა. კიდევ შეხედა.

მიცვალებულს მიუგავდა მელოგინეს სახე, იგი უცნაურად კვნესოდა. მოხუცებული მამა ამ დედაკაცისა კაკლის ქვეშ იჯდა ქვაზე, შუბლზე ხელები შემოეწყო დაზაფრულს, თავჩაქინდრული მიწას დასჩერებოდა. თამარი თუთის ხეს მიეფარა, მოხუცს დააკვირდა. თუთის ხეს მოსცილდა თუ არა, მოხუცმა შეიცნო მისი სიახლოვე, წამოდგა, მიეახლა, დაგრაგნილი ჩაბალახი მოიხსნა, მდაბალი სალამი მისცა.

და ჰკითხავდა: ექიმის ცოლი ხომ არა ხარო? რა დარწმუნდა დაჯ იყო, შეევედრა: გამოეჩინათ სტუმართმოყვარეობა, მისი ქალიშვილი შეეფარებინათ ამაღამ, ვიდრემდის ექიმი მობრძანდებაო, მერმე რამეს ვიღონებო, ჰპირდებოდა მოხუცი. გული აუჩუყდა ბერიკაცს, რაკი შენიშნა ექიმის დაჯ გულმოწყალედ შეეგება მის გაჭირვებას. იდგა თამარის წინაშე თავმოხდილი ბერიკაცი, შესჩივოდა თავის გასაჭირს.

თამარმა სთხოვა, ჩაბალახი ისევ დაეხურა ბერიკაცს, ნოტიოა, გაცივდებითო.

ჯანაბას ჩემი თავი, სჩიოდა მოხუცი, ოღონდ ჩემი ერთადერთი ქალი გადამირჩინეთო. თანაც ისე ევედრებოდა თამარს, თითქოს იგი ყოფილიყოს ექიმიც და ამ ოჯახის პატრონიც. თამარმა ისევ ანუგეშა ჭირისუფალი. თუ სხვაგან ვერ მოვათავსე, ჩემს ოთახში დავაწვენო. ახლა უარესად აუჩვილა გული ბერიკაცს ამ გულმოწყალებამ. უამბო, თუ როგორ შეაცდინა მისი მცირეწლოვანი ქალიშვილი ვიღაც აგრონომმა, სამოცი წლის კაცმა. ისიც ახსენა: ამ აგრონომს შვილისშვილი ყოლიაო მელოგინის ხნისა.

თამარი მიუახლოვდა ურემზე მწოლარეს. ავადმყოფმა პირი უჩვენა, ოვალურ, ნუშისებრ თვალებს უზომოდ გრძელი წამწამები ჰფარავდა. თვალს დააფახულებდა თუ არა, თამარს ასე ეგონა: ორი შავფრთიანი პეპელა დაფარფატებსო გოგონას თვალების უპეებზე. სალუქი სახე ჰქონდა პატარა ქალს, სადაფივით თეთრი, თეთრი კბილები. ენამოჩლექილი ყოფილა ოდნავ, „რ“-ს ნაცვლად „ლ“-ს წარმოსთქვამდა. ეს არამცთუ აუშნოებდა მას, შვენოდა კიდევაც. ყოველ წუთში აგინებდა ადამიანს, სიყრმეს და უდროო ორსულობას მისას. და ხმა ჰქონდა ამ გოგონას ისეთი ამოსასმენი, თამარს ერთ წუთში შეუყვარდა იგი, მზად იყო, ბაბუა ტარიელისა და კაროლინას უკითხავად ახლავე გადაეყვანა ავადმყოფი თავის ოთახში.

მარტო სიბრალული არ იყო აქ, თამარს უზომოდ უყვარდა ლამაზი ადამიანები. სახელიც ლამაზი აღმოაჩნდა ამ გოგონას, როდამი რქმეოდა.

ხელები გამოიღო პატარა როდამმა შალიდან, თამარი დააცქერდა, გაოცდა, ვინ მისცაო გლეხის ქალს ასეთი გასაოცარი თეთრი ხელები, გრძელი ვარდისფერი თითები.

მოხუცი იქვე დაცუცქული იყო, სწყევლიდა მისი სიბერის ერთადერთი ნუგეშის შემცდენელს. აძაგებდა იმ აგრონომის გულქვაობას, სწყევლიდა, სწყევლიდა მას ისე ოსტატურად, როგორც ხატზე გადამცემლებს სჩვევიათ ოდიშში.

თვითონ ბალღია, პატონი, რაღა დროს მისი ბავშვი იყო, პატონი.

ღმერთმა ჩემს მაგივრად მიუზღოსო იმ აგრონომს სამაგიერო, ამოფუკოსო მისი ძე და მომავალი, როგორც კრაზანას ამოფუკავენ ხოლმე თავის ბუდეში მდუღარით.

თამარმა მზრუნველი ხელი გადაუსვა პატარა როდამს სახეზე,

სთხოვა ხელები შალით დაეფარა ისევ. ახლავე მოვალო, დაჰპირდა. არჩია, მაინც ეკითხა მამისთვის, თავის ოთახში გადაეყვანა თუ არა ავადმყოფი.

ნახუცარმა ქვა ისროლა და თავი შეუშვირა. ვიღაც „მამაძაღლის შვილს“ ძაგანიას ქალს ბუში გაუკეთებია, იმას როგორ შემოვუშვებო სახლში.

„ბუში გაუკეთებიაო“, ამ სიტყვებს ისეთის ზიზღით ამბობდა ბაბუა ტარიელი, როგორც გველს ახსენებს ხოლმე მორწმუნე, თამარს გულზე ეცა ეს უკმეხი სიტყვები მამისა.

შენს ოთახში რა უნდაო ასეთ უწმინდურ დედაკაცს? კაბინეტში ავადმყოფებს სინჯავსო ხერიპსი, თორემ იგი საავადმყოფო როდიაო, სასტუმროში მიბრძანდესო ის ძაგანია, ან ზუგდიდის მთავრობა მისცემსო ბინას. აკი გლეხების და მუშების მთავრობააო ამჟამად, ძაგანიების და სხვა მისთანათა მთავრობა.

ახლა ეს მაკლია, ძაგანიების ქალი ჩემს სასახლეში მოვალოგინო, ისიც ბუშიანი. გაცოფებული ბრდღვინავდა ტარიელ შარვაშიძე, ეს ვერ მოენელებინა: როგორ გაბედა თამარმა და „ბუშიან გლეხის ქალს“ შარვაშიძის სასახლეში ღამის გათევა შესთავაზა.

ეს ქვეყანა საგიჟეთად გადააქციესო ბოლშევიკებმა (აქ მაგრად შეუკურთხა თავისებურად ბოლშევიკებს), დედის ხსენი ქალს არ შეშრობია და უკვე ხრწნიანო, არც ღმერთს ერიდებიან და არც ხატს, ვის გაუგონია, 14 წლის გოგო ბუშს რომ აკეთებდაო.

თამარს არასდროს ენა არ შეუბრუნებია მამისთვის, მაგრამ სიტყვა „ბუშის“ გაგონებამ ბრაზი წაჰკიდა გულზე და მამას შეჰკადრა:

„რად აგიჩემებიათ, მამავ, ეს ბუში? განა ღვთის წინაშე თანაბარი არაა როგორც ბუში, ისე კანონიერი, ბოლოს, თვითონ ღმერთი ჩვენი იესო ბუში არ იყო?“

ავარდა ტარიელ შარვაშიძე. ეს რა გაიგონეს ჩემმა ყურებმა? უწინარეს ყოვლისა, ამის გამო გაცოფდა, თამარმა სიტყვის შებრუნება როგორი გამიბედაო, მერმე „ბუშის“ გამართლებასაც რომ შეეცადა.

ყველა გახრწნაო სოციალისტების ქადაგებამ, ქრისტე დურგლის ბუში როდი იყო, იგი სულიწმინდის სახით შთაესახაო მარიამს. სხვა დანარჩენი ურიებისა და ბოლშევიკების მიერ მოჭორილი ამბებიაო. იჯდა წვერგაბურძგვნილი მღვდელი და ისეთი პათოსით ამტკიცებდა ქრისტეს უხრწნელად შთასახვის მისტერიას, თითქოს საეკლესიო მსოფლიო კრებაზე ერეტიკოსებს ებრძვისო.

კაროლინა წინაღამით უძინარი იყო, ამიტომაც გვიანამდის ისვენებდა საღამოს. ამ ხმაურმა იგიც გამოაღვიძა. თამარი სასოწარკვეთილი დაემხო მის საწოლთან. სტიროდა, ევედრებოდა კაროლინას, როგორმე გასულიყო კაკლის ქვეშ, ენახა თავის თვალით, თუ როგორი მშვენიერი პატარა ქალი იყო როდამი, მერმე როგორმე ჩაეგონებინა მღვდლისათვის: ბინა მიეცათ პატარა მელოგინისათვის, თუ ეს არ გიქნია, ამაღამვე თავს დავიხრჩობო ჭაში.

კაროლინა წინადღით ნაჩხუბარი იყო მღვდელთან. მაინც ჩაიცვა და მღვდლის ოთახში შევიდა. დიდხანს არწმუნა: ეს უხერხულია საერთოდ, ხერიპსი ექიმია, მას ძუნწი და უკარება კაცის სახელი გაუვარდებაო, ბოლოს თავისი ქრისტიანული მოვალეობა მოაგონა ტარიელს ქარაგმულად, ტარიელმა კიდევ გაიბრძოლა. კიდევ ერთხელ შეეცადა დაესაბუთებინა, რომ „ისეთი დედაკაცი, რომელიც ბუშს გააკეთებს“, პატიოსან, ქრისტიანულ ოჯახში შესაშვები არააო, მაგრამ ბოლოს ოდნავ მოლბა: პატარა როდამი დაშას ოთახში უნდა გადმოეყვანათ. ხოლო ბერიკაცს ძაგანიას შეეძლო იქვე დერეფანში ნაბადი გაეგო და დაეძინა. ამასობაში

თამარი თავის ოთახში პირქვე დამხობილი იწვა და სტიროდა. ისე მწარედ ქვითინებდა, თითქოს როდამის მაგივრად მას მოელოდა ან დღეს, ან ხვალ მოლოგინება. გულის სიღრმეში მას ერთი უკურნებელი იარა სწვავდა: ბუში... ყოველ წუთში თვალწინ უდგა ტარიელის დაღრენილი პირი, ორი ობლად დარჩენილი, ყვითელი კბილი ქვემო ყბაზე.

კაროლინა გამარჯვებული მობრუნდა. მომღიმარე ეუბნება თამარს: რა გატირებს, ქალო, დავითანხმეო მღვდელი.

თამარმა ხელი ხელს შემოჰკრა, გაიხარა, რომ მშვენიერი როდამი ერთ საღამოს მაინც გაათევდა მის ოთახში.

რა გაიგო, დაშას ოთახშიო, არ ეპრიანა, მაინც თავშალი წამოისხა, კაროლინა თან წაიყვანა და ლუკაიას გამოუძახა.

ურემი ზედ აივნამდის მოაყვანინა ლუკაიამ მოხუც ძაგანიას. ლუკაიამ, ძაგანიამ და თამარმა როდამი დაშას ოთახში გადმოიყვანეს და აქ უჩვეულო სილამაზე წარსდგა თამარისა და კაროლინას წინაშე. პატარა როდამი სტიროდა, ხმის ამოუღებლად სტიროდა. ბროლის ნაკადული მოწანწკარებდა ატმისფრად მოელვარე დასიცხულ ლოყებზე. და ისე გაზნექილიყო ნაყოფის სისავსით ეს პატარა ქალი, როგორც ნარინჯებით დახუნძლული შტო.

ელექტროს შუქზე უცნაურად ბრწყინავდა მისი სალუქი კანის ფერი, მისი მშვენიერი თითები და მდელოსფერი, დიდი თვალები ახლა მუქლურჯად კიაფობდნენ.

კაროლინა უკუდგა ასეთი საოცარი მშვენების შემყურე, ხოლო თამარმა ვერ მოითმინა, მიეჭრა როდამს და აკოცა ცრემლით დანამულ ლოყაზე.

ლუკაია იქვე დაცუცქული იჯდა და პირჯვარს იწერდა. ღვთისმშობელი მარიამი ხომ არ მოსულაო მეორედ მიწაზე

„Eine so gottvalle Schönheit habe ich nie gesehen“.[34] უჩურჩულა კაროლინამ თამარს. აღტყინებისაგან თვალები უბრწყინავდა, თმა გასჩეჩოდა, და როცა კაროლინამ თვალებში შეხედა, საოცრად დამშვენებული ეჩვენა თამარიც. მკერდისა და თეძოების სისავსე უჩვეულოდ ამკობდა მის აღნაგობას, პატარა ყურები ბროწეულის ყვავილსავით გაწითლებოდა, მოლიბრო თვალებში რაღაც მრუმე ბრწყინვალება ჩასდგომოდა, იდგა ლოყებშეფაკლული და ისე ეფერებოდა პატარა როდამს, როგორც საყვარელ დაიკოს.

თანაბარი მდგომარეობით გამოწვეულ სიმპატიებს მიაწერა ეს ამბავი კაროლინამ, მოახლოებული მძიმე წუთების წინასწარ შეცნობას, ფრთხილად გადახედავს ხან თამარს, ხან როდამს და აღარ იცის, რომელი უფრო მშვენიერია მათ შორის: თამარი თუ როდამი? ეს იყო მხოლოდ: თამარი აღნაგობით და კიდურების ჯიშიანობით თუ აჯობებდა პატარა როდამს. თამარმა ბრომი დაალევინა სტუმარს, როდამი ოდნავ დამშვიდდა, მერმე მთელი დღე ურემზე ნანჯღრევმა თავისი წამწამები ერთ-ორჯერ დააფახულა და მინებდა უდრტვინველ ძილს.

დაშა თავის ოთახში გადაიყვანა თამარმა. დაწოლისას ილოცა მხურვალედ დედისეულ ხატის წინ. ძილი არ ეკარებოდა თამარის თვალებს. თვალს დახუჭავს თუ არა, როდამის უზომოდ გავსილი მუცელი წამოუდგება, როდამის პატარა, პატარა თავი, მისი ბალღური სახე და აღნაგობა, სიცილით, ხმითა და ლაპარაკით ხომ ნამდვილი ბალღია როდამი. და როგორი უგულო ეჩვენა თამარს ბუნება, უასაკო ქალს ასეთ საშინელ მოვალეობას რომ აკისრებს. ახლა მღვდლის გაბრაზებული, დაბჩენილი ტუჩ-პირი

[34] ასეთი ღვთაებრივი სილამაზე არაოდეს მინახავს მე.

დაუდგა თვალწინ. და მისთვისაც შეურაცხმყოფელი სიტყვა „ბუ-ში“ გახმიანდა თამარის ხსოვნაში. გულზე ისევ წაეკიდა ბრაზი. შესძაგდა ამ წუთში ტირანი მამა. ბნელად ეჩვენება ხვალინდელი დღე თამარს. იგი ვიღაც ძაგანიას ქალს ასე ცხარედ აძაგებდა და როცა გაიგებს, რომ მისი თამარი... აქ უკვე აღარ ძალუძს თამარს კვალდაკვალ მისდიოს ფიქრს.

„ღმერთო, როგორი ულმობელი ხარ შენ, როგორი მძიმე ვალ-დებულება მომანიჭე. როგორ დამსაჯე, ღმერთო! რა დაგიშავე მე უბედურმა?! ჩემი პირველ სიყვარული გესლად მიქციე, უფალო, იგი გადაკარგე და მე მარტოკა დამტოვე, როგორი ულმობელი ხარ, უფალო!“ — ახლა თარაში მოაგონდა. მუხნარი, შავი მტრე-დები, თარაშ ემხვარის ალერსიანი სიტყვები, წასთვლიმა ოდნავ და თითქოს მიეახლა საყვარლის ტკბილი ბაგენი, თავი გადაუწია და აკოცა თარაშმა.

გამოეღვიძა... მოხუცებული ძაგანიას უბედური მელოტი თავი წარმოუდგა. როგორ სწყევლიდა როდამის შემცდენელს. როდა-მი იწვა და ხმაგაკმენდილი უსმენდა მამას.

თამარი არასოდეს მოითმენს ასეთ რამეს, მის გასაგონად ვინ-მემ აუგად ახსენოს თარაშ ემხვარის წმინდა სახელი. კიდევაც ცოცხალი აღმოჩნდეს ემხვარ, ცოცხალი და მისგან წასული, მა-ინც, მაინც არავის დაანებებს თამარი ამას. ნეტავი ცოცხალი აღ-მოჩნდეს მისოუსტ და თამარი მარტო შეუდგება ამ მძიმე ჯვარს ბედისწერის მიერ დაკისრებულს. ოჯახიდან გაიქცევა თამარი ისე, როგორც თინა შონიამ, მისმა ამხანაგმა ჩაიდინა ეს ამას წი-ნად, მრეცხავად დადგება და თავისი პირველი სიყვარულის ნა-ყოფს თვითონვე უპატრონებს. ოღონდ მისუსტ ცოცხალი აღმოჩ-ნდეს.

ამ საღამოს შინ რომ ბრუნდებოდა, ვინმე მარშანიას ქვრივმა გააჩერა თამარი.

„ჭორია თუ მართალი, ოქუმში ამბავი მოსულაო, რომ თარაშ ემხვარ ჩერქეზეთში გადაუყვანიაო კაც ზვამბაიას და იქ იმალებაო“, თუ ეს ასეა, მაშინ რა იყო ეს შავი მტრედები? ეს უცნაური წინასწარი გრძნობა და მოახლოებული სიმძიმილის მოლოდინი?

მარშანიას ქალი ამბობდა, ხვალ ვიღაც ახალი მღვდელი სწირავსო ზუგდიდში. თამარი უეჭველად წავა ეკლესიაში. ილოცებს, ღმერთს შეევედრება, მისოუსტის მაგივრად შეევედრება ღმერთს. სიცოცხლე შეარჩინოს ღმერთმა მისოუსტს, მეტი არაფერი უნდა თამარს.

ტრიალებს თამარი საწოლში. უნდა დაიძინოს როგორმე. სიზმარში ნახოს ეგებ მისოუსტ. თამარს სიზმრების სჯერა ისე, როგორც ყოველ მორწმუნეს და ცრუმორწმუნეს. ნეტავი, ნეტავი ეს ნატვრა მაინც აუხდეს თამარს.

თვალი მილულა, ჩასთვლიმა ოდნავ და საშინელმა კივილმა შეაკრთო იგი. იკივლა ვიღაცამ, ისე იკივლა, თითქოს მდუღარეში ჩააგდესო, თამარი გაინაბა. კიდევ გაისმა კივილი. დაშას ოთახიდან იყო ეს უეჭველად. პერანგისამარა წამოვარდა. დერეფანი გაირბინა ფეხშიშველმა. კარი მოიზიდა, რაზა ხელში შერჩა. ფრჩხილებით გამოაღო კარი და საზარელი სურათი წარსდგა მის წინაშე. პატარა როდამი თმებს იგლეჯდა, მდუღარე ცრემლებით სტიროდა. მოხუცებული მამამისი პირქვე დამხობილი ლოცულობდა, იატაკზე სცემდა შუბლს და ორივე ხელებს იშენდა თავპირზე.

დაიკივლა ისევ როდამმა, თითქოს ვარსკვლავი მოსწყვიტაო ცას, გაივლო თმებში ხელი და შემოიწიწკნა. — თვალის უპენი გაგანიერებოდა შიშისაგან, ალს შეჰყრიაო თითქოს, იხოკდა ლოყებს და ჰკიოდა... წამოვარდა გამწარებული მამა. ხელები ჩასჭიდა. როდამმა ერთი შეჰკივლა, მუთაქიდან თავი გადააგდო და გაჰკმინდა ხმა.

ატირებულმა თამარმა პირჯვარის გადასახვა მოასწრო. ემთხვია როდამის გაყინულ შუბლს, როცა კაროლინა და ლუკაია დაშას ოთახში შემოვარდნენ, მოხუცებული ძაგანია მიცვალებულს ზედ დამხობოდა. თამარი იატაკზე ეგდო პირქვე გაშოთილი. ტარიელ გაცოფებული დაბორიალებდა დერეფანში, მელოგინე ქალის ოთახში არ შედიოდა. სწყევლიდა ამ „გადარეულ დროს“ და „გაბოზებულ ქალებს“, აძაგებდა კაროლინას, ვიღაც „მამაძაღლი ძაგანიას“ გამო ამდენ აურზაურს რად გადამკიდაო ამ წყეულმა დიაცმა. როცა ლუკაიამ და დაშამ გულშემოყრილი თამარი გამოიყვანეს დაშას ოთახიდან, უარესად გაცოფდა მღვდელი. თავის ოთახში ჩაიკეტა და ბრომი დალია.

* * *

თამარს დილითაც თავი სტკივოდა, გული ერეოდა, მაინც ადრე ადგა. მხნედ ეჭირა თავი, ეშინოდა, ვაითუ ადგომის ნება არ მომცესო მამამ, უკანასკნელად ვერ ვნახოო როდამის სახე. ტარიელ მეორე დღესაც შეშფოთებული იყო, უთენია ადგა, თამარის ოთახის გარშემო დაბორიალებდა. ადრევე გაატანინა ლუკაიას და ძაგანიას როდამის გვამი. ეს უნდოდა: მეორეჯერ არ ენახა მიცვალებული თამარს. მოხუცი თავში ხელს იცემდა და ატირებული უკან მისდევდა თავის ურემს.

თამარი შეეცადა გამოთხოვებოდა როდამის გვამს, მაგრამ კარი გააღო თუ არა, მამა აიტუზა მის წინაშე. თვალი დაუბრიალა, შეუბღვირა:

„რა საჭიროა დილაადრიან შეეჩხირო მკვდარს?“

* * *

თამარი მთელი დღე აფორიაქებული იყო. კარს ჩაიკეტავდა

ოთახში, სტიროდა, სტიროდა, მისტიროდა როდამს, თითქოს დიდი ხნის მეგობარი ყოფილიყო როდამი მისთვის, მისტიროდა თარაშ ემხვარს, დედას იგონებდა ცრემლმორეული და თავის გამწარებულ სვეს: მარტოობას, ობლობას და უტოლობას.

მართლაც არასოდეს უგრძვნია მას ასე მძაფრად უმეგობრობა. თამარი იმ ქალთაგანი იყო, ქალებთან მეგობრობას შეგნებულად რომ გაურბიან.

სკოლაში იგი მუდამ გრძნობდა, შურით აღვსილნი ეპყრობოდნენ ამ ხანაგები. მახინჯი ადამიანის ატანაც არ შეეძლო, ხოლო ლამაზთა შორის ხომ მუდამ ქიშპობაა, ამას მოჰყვებოდა მუდამ ჭორი და ინტრიგა. ამიტომაც მარტოკა დარჩა თამარი.

ძაბული მოიგონა ახლა. ინანა ძაბულის ოქუმში გადასვლა.

ერთ დროს კაროლინასა და ძაბულის მეგობრობდა თამარი, მაგრამ არზაყანმა და მისოუსტმა ორივეს დააშორეს იგი. და ახლა თავის ცხოვრების უმძიმეს წუთებში სავსებით მარტოკა სდგას თამარი.

წუხელ გადაწყვიტა თამარმა, დედის სამარეს მიაკითხოს. მერმე ილოცოს ეკლესიაში. დღისით ეს შეუძლებელი იყო. ტარიელი უთუოდ შენიშნავდა, არ გაუშვებდა თამარს. გუშინდელი ამბების შემდეგ უარესად გაფითრებული დადიოდა ნახუცარი. ხან თავის ოთახში შებორიალდებოდა, ხან აივანზე გავიდოდა, ხან თამარის ოთახს მიადგებოდა, ხან ლუკაიას მიუვარდებოდა და უმცირეს მიზეზის გამო გამოლანძღავდა მაგრად. ნასადილევს, როგორც კი წაეძინა ტარიელს, თამარმა ჯახანასეული თავშალი მკლავზე გადაიგდო და ჩუმად გაიპარა სახლიდან.

* * *

ტარიელ შარვაშიძე დაშინდა: ოქუმში ჩემ ცხედარსაც არ ჩაუშ-

ვებენო, ამიტომაც გასულ წელს ზუგდიდში გადმოატანინა ჯახანას ძვლები. მარმარილოს ლოდი დაადო საფლავს, კიპარისები დარგა, ყვავილნარი მოაწყო, რკინის მოაჯირი გააკეთებინა ხერიპსს.

ასე მორთო ბაბუა ტარიელმა ჯახანას სამარე. იქვე თავისთვის გააკეთებინა აკლდამა წინასწარ. დადიოდა მღვდელი ცოლის საფლავზე, დასჩერებოდა თავის მომავალ სამარეს. მაგრამ ეს იყო: სამარესაც არ ანებებდნენ ბაბუა ტარიელს. ეს სასაფლაო პარკად უნდა ექცია ქალაქს. დასვენებისა და კულტურის პარკად. ამიტომაც ყველას გამოუცხადეს: თქვენი მკვდრები გადაიტანეთ სადმე.

ისევ აწრიალდა მღვდელი. ახალი სამარხების ძებნას შეუდგა. მეორე სასაფლაო მჭიდროდ „დასახლებული“ აღმოჩნდა, ჯახანასთვის იპოვნეს, როგორც იქნა, ერთი სამარხი. ლუკაიამ გამოსძებნა იგი. ვიღაც ლოთი კაცი ყიდიდა თავის ცოლის სამარეს ჩუმად. მაგრამ ეს იყო მხოლოდ, ეს ლოთი ტარიელსავით „წინდახედული“ არ აღმოჩნდა. იგი სრულიადაც არ აპირებდა თურმე სიკვდილს და არც უფიქრია ასეთი რამისთვის. ახლა თავათაც ნანობდა ლოთი, მაგრამ ტარიელი უფრო მეტად დარდობდა ამას. მარტო ერთი სამარხით არ დაკმაყოფილდა ბაბუა ტარიელ.

„მარტო რა დამაყენებსო მიწაში?!“ უზომოდ აღშფოთებული იყო ბაბუა ტარიელ, „სამარეც სანატრელი რომ გაუხადეს ბოლშევიკებმა“ მოციქულებს უგზავნის ხალხს, მომყიდეთო ვინმემ „ორადგილიანი სამარე“. ეს იყო ბაბუა ტარიელის ერთადერთი საზრუნავი აგვისტოს, სექტემბრის და ოქტომბრის მანძილზე.

* * *

თამარი შეძრწუნდა, რა დაინახა ერთი კვირის უნახავი სამარე დედისა. კიპარისები ქარს დაემსხვრია, ერთი მათგანი სავსებით

მოეთხარათ მარმარილოს ლოდი დაუძრავთ, წაღება ნდომებია ვიღაცას ან სამარის გაძარცვა. რკინის მოაჯირის შუბებზე ავარებს უსინჯავთ ღონე, ზოგზოგი გადაუღუნავთ კიდევაც... იავარქმნილი იყო მთელი სასაფლაო.

გალავანი აეღოთ ჩრდილოეთისაკენ, უზარმაზარი ცაცხვი მოეჭრათ, ღორები ჩიჩქნიდნენ მიწას, ბატების სკორეთი წაბილწულიყო სამარის ლოდები. წამოექციათ ფრთაგაშლილი ანგელოსები, ისინი პირქვე დამხობილი ეყარნენ მიწაზე, თითქოს მეორედ მოსვლას შეგებებიანო, უწესრიგოდ ეყარა მიწაზე ლოდების ნამუსრევი, ქვის ჯვრების ნამსხვრევები, „ინფანტერიის გენერლების“, „კოლეჟსკი ასესორების“, კნიაზების“, ეპისკოპოსების, „მისი იმპერატორული უდიდებულესობის კონვოის ოფიცრების“ ტიტულებიანი წარწერები. მათი სახელი ფეხით გაეთელათ ღორებს, სკორეთი და კურკლით წაებილწათ და მოესვარათ.

მიწაზე გადავლილი გრიგალი მიწისქვეშ ბინადართა თავმოყვარეობასაც შეხებოდა და მიელეწნა აქ ყოველივე. ღარიბების ხის ჯვრებიც შექანებულიყვნენ, ამაოდ უცდიდნენ ისინი პატრონებს.

შეძრწუნდა თამარი ყოველივე ამის შემყურე.

ქარი ჰქროდა ცივი და უსიამო, ცაცხვის გამხმარ შტოებს დაექროლებდა ეკლესიის ეზოში.

ეს ის დრო იყო, როცა რევოლიუციამ ძველ ეკლესიებსა და ძველ სახლებსაც ჩამოუარა, ხელებზე დაარტყა წარსულის ცუდ ოსტატებს და მათი უგემური ნაცოდვილევი აგურისა და ქვის ყორედ აქცია. მხოლოდ დიდოსტატობის ნახელავნი გადაურჩნენ ზღვაურს.

ეს ეკლესიაც მე-19 საუკუნის ეკლეკტიკოსების უნიჭო ქმნილება იყო, ხახვისთავიანი გუმბათი წამოყუნცულიყო ქართულ ჯვა-

რედინზე. მასაც მოელოდა აღება. იდგა დაფეხვილი, კირშემოცლილი ეკლესია, უცდიდა წალეკვის გრიგალს, დაპატარავებულიყო კიდევაც შიშისაგან.

ღამურები უკანასკნელ ირაოს აკეთებდნენ ეკლესიის გარშემო, თავისუფლად დანავარდობდნენ შუშებჩალეწილ ფანჯრებში.

ლიცლიცებდა მზის უკანასკნელი ათინათი ორიოდე გადარჩენილ ფანჯრის მინებზე.

დიდხანს სტიროდა დედის სამარესთან დაჩოქილი თამარი. მისტიროდა თავის ობლობას, უთვისტომობას. უხმობდა სულგრძელსა და მოსიყვარულე დედას, მწედ ჰყოლოდა სიცოცხლის უმძიმეს წუთებში.

მე მარტო არ ვარ, დედა, სიყვარული სამსალად შემიცვალა მუხანათმა ბედმა. სიქალწულის ნათელი დღეები წარმიხოცა ბნელმა, ჯერ იყო და შენთვის დარდმა დასეტყვა ჩემი სიყმაწვილე, სიხარული გაეცადა ჩემს გულს და დავმარტოვდი. ახლა მე მარტო აღარ ავარ, დედა, და სიმძიმილმა კიდემდის ამივსო სული“... , უხმოდ მოსთქვამდა თამარი, ჰკოცნიდა ტალახიან ფეხებით დაჯეჯგილ ლოდს, ხელს უსვამდა, სწმენდდა, წამოაყენებდა ზეზე გასრესილ, ნაგვიანებ ყვავილებს. ეფერებოდა, ეალერსებოდა ფერმიხდილი, თითქოს ჯახანას სულის თანაზიარნი ყოფილიყვნენ ისინი.

ეკლესიაში შესვლისას სული შეეხუთა თამარს. საფეთქლებთან სისხლი მოაწვა. ბნელ სვეტებს შორის გაიარა და მყუდრო ადგილს დაუწყო ძებნა, საკმევლის სუნმა ოდნავ დაამშვიდა.

კანკელის წინაშე რამდენიმე სანთელი ბჟუტავდა. ფანჯრებიდან შემოჭრილი სიო ალიცლიცებდა ნათელს. ჯერ იყო და თამარს ეგონა, ირყეოდა საერთოდ მთელი ატმოსფერო. შარავანდგახუნებული წმინდანები ლანდებივით აწურულიყვნენ კედლებზე. რამდენიმე მოხუცის ლანდი უტყვად დაღოღავდა საყდარში.

ამ სიცარიელის, სიჩუმისა და ბნელის წიაღში თამარი უარესად შეძრწუნდა.

ზეაიხედა, კირჩამორეცხილ გუმბათზე გადმოკიდებულიყო გრძელწვერიანი ღმერთის ჩამოხეული კალთები. თავი წაერეცხა წვიმას, ასე რომ, თავმოჭრილ კაცს დამსგავსებოდა იგი, ხუცის გახუნებულ სამოსში მორთული. ფანჯრები ჩაელეწა ქარს. მღამიობები დარიალებდნენ ჩამობნელებულ თაღების ქვეშ. ერთი მათგანი ზედ ლლუსტრის გარშემო უვლიდა ლიტანიას, თავბრუდამსხმელი სისწრაფით დარიალებდა.

კანკელს გადაღმა ლანდივით დაბორიალებდა მოხუცი მღვდელი. საცეცხლურის ჩხაკუნი ისმოდა და უნიათო პუტუნი ხმიანდებოდა სივრცეში ჟამიდან ჟამზე. გადასწევდა ხუცესი მომწვანო ფარდას, გაუჩინარდებოდა, მერმე იჩოქებდნენ წელში მოდრეკილ მოხუცების ლანდები. ჩიფჩიფი და ჩურჩული ისმოდა მხოლოდ.

თავკოპიანი, მელოტი დიაკონი მიმკვდარებული ხმით ღიღინებდა ფსალმუნის ლექსებს:

„მოყავ: უფალო: ყური შენი და ისმინე: ჩემი: რამეთუ: გლახაკ: და: დავრდომილი: ვარი: მე:“...

და ეს ახალოხშემოცვეთილი, დამშეული დიაკონი ისე უღიმღამოდ კითხულობდა ფსალმუნს, ზედვე ეტყობოდა, მობეზრებოდა დღენიადაგ ფსალმუნის ღეჭვა და ახლა თავის სიგლახაკესა და დავრდომილებას შესტიროდა ღმერთს.

რომელიღაც ბერიკაცს ხველა აუტყდა. გახმიანებული ეხო გმინავდა თაღებს ქვეშ, თითქოს ლომის დვრინვა გაისმაო სადღაც, მერმე გაიბნა ეს ხმაურიც ნოტიო თაღებს ქვეშ.

ახლა დიაკონმა დაიწყო ისევ პუტუნი:

....აჰა, ძვრა იქნა დიდ და მზე შავ იქმნა, ვითარცა ძაძა ბალნი-

სა, და მთოვარე ყოვლითურთ იქმნა, ვითარცა სისხლი, ვარსკვლავნი ცისანი გადმოსცვივდეს ქუეყანად... ცა წარგრაგნა, ვითარცა წიგნი ქარისაგან წაგრაგნილი და ყოველი მთა და ბორცვი ადგილთა თვისთაგან შეინძრეს და მეფეთა ქუეყნისათა და მთავართა და ათასისთავთა და მდიდართა და ძლიერთა და ყოველმან მონამან და აზნაურმან დამალნეს თავნი მათნი ქვაბთა შინა". მუხლმოყრილი ლოცულობდა თამარი, შესთხოვდა გლახაკთა და დავრდომილთა ღმერთს, სიცოცხლე შეერჩინა მისოუსტ ემხვარისთვის, ისე გულმხურვალედ ლოცულობდა, ნესტით გაჟღენთილ აგურებიდან ამდგარ ნოტიოსაც კი ვეღარ გრძნობდა ტრანსში გადასული, ოდნავ მოლიცლიცე, ჩალისფერ სინათლეს მისჩერებოდა, არც ფსალმუნის ლექსები ესმოდა, არც აღსავლის კარებიდან გამოსული მღვდლის ბუტბუტი. თვალი გაუჩერდა და თარაშის სახე გამოიწვია ინტენსიურმა ფიქრმა. ჩვენება ფერგამკრთალი გამოკრთოდა ბურუსით მოცულ სივრცეში.

ახლა ხმა აღიმაღლა დიაკონმა და უკვე მკაფიოდ მისწვდა თამარის სმენას საკითხავის გახუნებული სიტყვები:

„...და რაჟამს აღაღო მეოთხე ბეჭედი, მესმა ხმა მეოთხისა ცხოველისა, რომელი იტყოდა: მოვედ და ვიხილე და ვიხილე აჰა, ცხენი მწვანე და ზედა მჯდომარესა მასზედა სახელი მისი სიკვდილი".

და სიტყვა „ცხენის" გაგონება თამარის ცნობიერებამ თარაშ ემხვარის სახეს დაუკავშირა და ცრუმორწმუნე ქალმა ეს ყოველივე მომდევნო სიტყვას „სიკვდილს" გადაასკვნა.

ბრმა შემთხვევამ აქ არ შეაჩერა თავისი უსაზმნო თამაში. ეკლესიის თაღებს ქვეშ მორიალე ღამურა ლლუსტრას მიეხალა, ერთობლივი წკრიალი გაისმა და მღამიობი თამარის წინ დაეცა. შემკრთალი ქალის წარმოდგენაში ღამურის ფარფატი ისე გახმი-

ანდა, დაცემულიყოს თითქოს უზარმაზარი შავფრთიანი ფრინველი. მერმე მოეჩვენა თამარს შავი, შავი მტრედებით აივსო მთელი ეკლესია. საშინელი ხმით შეჰკივლა ქალმა, ნესტიან იატაკზე დაეცა პირქვე. ორმა მოხუცმა გარედ გამოიყვანეს გულშემოყრილი უცნობი, და როცა მოხუცი ქალები გამოვიდნენ, ტარიელ შარვაშიძის ქალი შეიცვნეს...

* * *

ამ ამბავმა სავსებით გააცოფა ბაბუა ტარიელ. შვიდგზის შეაჩვენა ლუკაია ლაბახუა, ძაგანიას და მისი ქალის მოყვანის გამო. თამარის ავადმყოფობით ისედაც გახელებული ლუკაია დედისულს იფიცავდა, თავათ მოვიდაო ძაგანია ხერიპსთან, მღვდელი მაინც ლუკაიას აბრალებდა: შენ მოიყვანეო ის „ეშმაკის შვილი“.

ძაგანიები ქუსლმოქცეულებიაო, ძაგანიები მწითურებია, ამიტომაც ცუდი ფეხი აქვთო ძაგანიებს.

მერმე კაროლინას მივარდა: შენ რომ არ შემომჩენოდი, შინ არ შემოვუშვებდიო სტუმრებს და ეს უბედურებაც არ დატრიალდებოდაო. ბაბუა ტარიელს ექიმების არა სჯეროდა რა, მაგრამ ხერიპსი შინ არ იყო და შესაძლებელი საფრთხით დაშინებულმა გადასწყვიტა: ექიმი შურღაია ეხმო.

შურღაია კბილის ექიმი იყო, ბაბუა ტარიელ შვილს უნათლავდა მას, ალბათ, ამიტომაც ამტკიცებდა ბაბუა ტარიელ: შურღაიამ ყველაფერი იცისო.

როცა კაროლინამ თამარის მომყვანთ ყოველივე გამოჰკითხა, გონიერმა ქალმა მყისვე მოისაზრა, ეს ყოველივე თამარის ორსულობას დაუკავშირა. ლუკაიას უკან გამოუდგა, უბრძანა, შურღაიას ნაცვლად ფერაძე მოიყვანეო, გინეკოლოგი. ფერაძე იმ ღამეს სოფელში წასულიყო, ცოლმა შემოთვალა, დილითვე

გამოვგზავნიო. სხვა გინეკოლოგი დაბაში არ იყო, ხერიპსს უდეპეშეს დაუყოვნებლივ.

კოშმარული ღამე გაუთენდათ შარვაშიძიანთ. ტარიელ მთელი ღამე ათუხთუხებული დარბოდა თავის ოთახსა და თამარის საწოლს შორის.

ოხრავდა, ბუზღუნებდა, ღმერთს ჰგმობდა: ოქუმში რად არ დამხვრიტესო ბოლშევიკებმა. კაროლინა ცალკერძ თათიას უვლიდა, ცალკერძ — თამარს.

თამარს სიცხემ უმატა. ბალიშებზე ვეღარ ამაგრებდნენ ლუკაია და დაშა. ბოდავდა. ხან დედას უხმობდა, ხან მწვანე ცხენზე მჯდომარე თარაშ ემხვარს ახსენებდა, ხანაც თვალებზე ხელს იფარებდა, ცახცახებდა: ფანჯარა დახურეთ, შავი მტრედებით გაივსოო ოთახი.

* * *

გათენდა თუ არა, ბაბუა ტარიელ აივანზე გავიდა. იჯდა და კბილის ექიმს შურღაიას უცდიდა. დილის ცხრა საათი იქნებოდა, როცა ჭიშკარი გაიღო და გინეკოლოგი ფერაძე შემოვიდა. ბაბუა ტარიელ გაოცდა. მას სძაგდა ექიმი ფერაძეც, როგორც ყველა ქერა კაცი, მაგრამ ზრდილობისადმი ვალის მოსახდელად წინ შეეგება.

დარბაზში შესვლის უმალვე კაროლინა დაუხვდა ექიმს. ბაბუა ტარიელ შორიახლო შესდგა. შესცქეროდა თუ როგორ სძგერდა მღელვარებისაგან კაროლინას სავსე გულმკერდი. იგი ხმადაბლა, რუსულად ელაპარაკებოდა რაღაცას ექიმს. იქვე ლუკაია დამდგარიყო სავსებით გაბურძგვნილი, სახეარეული... მზერადქცეული შეჰყურებდა მოუბართ. ორივეს სახეზე ეტყობოდათ, ისინი მთელს სიცოცხლეს მისცემდნენ ამ საუბრის მთარგმნელს, გადმომცემს.

მერმე კაროლინამ ხელი გამოსდო ტანმორჩილ, მელოტ კაცს და თამარის ოთახში შეიყვანა.

ტარიელმა და ლუკაიამ კარამდის მისდიეს ექიმს. აქ კი მღვდელმა ღიად დარჩენილ კარიდან ასეთ რამეს შეასწრო თვალი: ექიმ ფერაძე ნიკელის ორი ხელსაწყო ამოიღო ჯიბიდან, ისეთივე, როგორც არაერთხელ ენახა მას ხერიპსის კაბინეტში.

კაროლინამ კარები გადარაზა. ბაბუა ტარიელს უცაბედად მოეჭრა მუხლი. იქვე მდგარ ლუკაიას კისერზე შემოაჭდო მარჯვენა და ისევ დარბაზში გააყვანინა თავი. ტყავის სავარძელში ჩავარდა.

იჯდა, სავარძლის ზურგისაკენ გადაეგდო თავი, სუნთქვაშეკრულს პირი დაებჩინა, ჰაერს იკრეფდა. შუბლზე ხელი გადაისვა, შიშველი ხელით მოიწმინდა ოფლი, მერმე ხელები მუხლებზე დაიწყო, გასცქეროდა მოპირდაპირე კედელს. ალისფერ რკალებსღა ხედავდა ჰაერში. ახლა ყურებმა დაუწყეს წივილი. ყურების წივილი მინიშნებული ჰქონდა ბაბუა ტარიელს, როგორც უდიდესი უბედურების მაცნე:

ასე სახსრებმოშლილი ეგდო მისი უზარმაზარი სხეული, და როგორც კი გაინძრეოდა, მყისვე აჭრაჭუნდებოდა ტყავის სავარძელი.

განუზომელად გრძლად ეჩვენა ტარიელს ის ათი წუთი, რაც თამარის გასინჯვას და რამდენიმე ლათინური სიტყვის ქაღალდზე დაჯღაბნას მოანდომა ექიმა.

როგორც კი ფეხის ხმა შეიცნო, მყისვე ზეწამოიჭრა ნახუცარი.

უეცრად მუხლებში ძალა მოემატა, აღელვებისაგან წელში გაიმართა, ჯიქურად წინ შეეგება მელოტ კაცს.

„როგორაა საქმე, ექიმო?“

ექიმმა თავი განზე გადახარა, კეფაზე მოიფხანა და ხმადაბლა ეუბნება მოხუცს:

„მე მგონია, ბატონო ტარიელ, არც საქმის გაიოლება ივარგებს ამჟამად. საქმე ძალიან სერიოზულადაა, ჩემის აზრით“.

„მაინც რა, მაინც რა?“.. ათუხთუხდა ხუცესი.

„მე ვფიქრობ, მამაო, თქვენ ჩვენზე უფრო სულგრძელად უნდა შეეგებოთ საფრთხეს. ხომ გაგიგონიათ, ჭირსა შიგან გამაგრება, ისე უნდა, ვით ქვითკირსა“.

„თუ კაცი ხარ, ლექსებს თავი დაანებე, შენ ეს მითხარი, რა სჭირს ჩემს ქალს? თქვენ ასე იცით ექიმებმა წილადობილა“.

„უეჭველად, მცირეოდენი შერყევა აქვს, ტვინის შერყევა“. ამის გამგონე ტარიელმა ხელი საფეთქლებში იტაცა.

„ფრთხილი და ფაქიზი მოვლაა საჭირო, სულიერი დეპრესიის ნიადაგზეა ეს ყოველივე მომხდარი. თუმცა შესაძლოა, გაუაროს კიდევაც ამ დეპრესიამ“...

ექიმი დადუმდა, აუტანელი ეჩვენა ტარიელს ეს მცირე სიჩუმეც. მის შემეცნებაში ეს უცხო სიტყვა „დეპრესია“ გაეხირა, ექიმიც ვერ მიხვდა დეპრესიის ნაცვლად „შავნაღვლიანობა“ ეთქვა.

სიტყვა დეპრესია, ძაძად იქცაო თითქოს, ზედ გადაეფოფრა ბაბუა ტარიელის აფორიაქებულ გონებას.

„გარდა ამისა, განაგრძო ექიმმა, აქ სხვა რამესთან უნდა გვქონდეს საქმე, მაგრამ ხერიპსი ჩამოვა, მე მას ვეტყვი, ასე სჯობია“.

ესა სთქვა და თავის ქუდს წამოავლო ხელი.

„როგორ თუ ხერიპსს ეტყვით და მე არა, — აუწია ხმას ბაბუა ტარიელმა, — ხერიპსი ვინაა, ხერიპსი რა შუაშია, ჩემი ქალის ამბავი მე არ უნდა მამცნოთ და ხერიპსი, ხერიპსი“...

აქ ენა დაებრგვნა ბერიკაცს მღელვარებისაგან, მარჯვენა წარბი აუტოკდა და სავარძლის ზურგს წაეპოტინა. თავი შეიმაგრა, ისევ ექიმისკენ გადადგა ნაბიჯი. მჯიღებით მიეჭრა და უყვირა:

„ახლავე მითხარით, რა სჭირს ჩემს ქალს, ახლავე, თორემ

აქიდან ვერ გახვალთ, იცოდეთ“.

დარბაზში კაროლინა შემოვიდა, გვერდით ამოუდგა ექიმს.

მის ფერგამკრთალ სახეზე უდიდესი მწუხარება აღბეჭდილიყო. ეს შეამჩნია ბაბუა ტარიელმა და ისევ გაუმეორა ექიმს ერთხელ ნათქვამი.

ექიმმა მხრები აიჩეჩა, კაროლინას გადახედა ერთი, მერმე მკვახედ მიუბრუნდა ნახუცარს და ბეჯითი ტონით ეუბნება:

„თქვენ მართალი ხართ, მამაო, მე უთუოდ მოვალე ვარ, პირველად თქვენ გაუწყოთ თქვენი ქალის ამბავი. მაშ, დამშვიდდით და მომისმინეთ თქვენი ქალი ორსულადაა, იგი, ჩემის ვარაუდით, მესამე თვეში უნდა იყოს გადამდგარი“.

„რაო, რა თქვა, რა თქვა?.. რას როშავთ?“

დაიყვირა ბერიკაცმა, წელში გაიმართა, ისევ მიეჭრა ექიმს, პიჯაკის ბორტზე წაავლო ორივე ხელი. ზედიზედ შეანჯღრია ეს პატარა, მოცოროზი კაცი.

„როგორ მიბედავთ თქვენ ასეთ რამეს, თქვენ ვინ გგონივართ მე? ჩემი ქალი და ორსული? თქვენ ხომ არ გეშლებათ, ეს ტარიელ შარვაშიძის ოჯახია, გესმით? გესმით, თქვენ არაფერი იცით ექიმებმა, მე თქვენთვის არ დამიძახნია, მე შურღაია ექიმს დავუძახე და თქვენ მოხვედით. არ გნახოს ჩემმა თვალებმა ამიერიდან ჩემს სახლში“.

ექიმი მთლად გადაფითრდა, კაროლინას გადახედა. მაინც მშვიდად წაავლო მოხუცს მაჯაზე ხელი, მკლავი გაინთავისუფლა და კარებს მიაშურა.

ტარიელ შარვაშიძეს მიწისფერი გადაეკრა, როცა საყრდენი გამოეცალა, შეტორტმანდა, სავარძლის ზურგს მოეკიდა, თავი უკან გადაუვარდა, ადამის ვაშლი გამოუჩნდა მაჟალოსებრ დამჭკნარი, კაროლინა და ლუკაია წამოეშველნენ და ტყავის სავარძელში ჩაასვენეს გულშემოყრილი მოხუცი.

ბარათები მახვშის კოშკიდან

დევის ქვაბი, 14,I.

„ძვირფასო კაროლინა, გასაოცარი რამ შემემთხვა ამას წინად. კაცმა რომ თქვას, ეს უფრო ციების ამბავი უნდა იყოს. ციებას დიდზე დიდი ზეგავლენა აქვს ქართველი კაცის ხოლერულ ტემპერამენტზე.

მთელი კვირა ჟინჟლავდა, სთოვდა და ქარბუქი მძვინვარებდა. ბილიკები უარესად გასიპა ნოტიომ. ვეღარც წრიაპებს ვხმარობდით, ვეღარც თხილამურებს და მუჯრებს. დევის ქვაბში პური შემოგველია, არც მარილი გვქონდა, არც წყალი, რადგან მჟავე წყაროებისკენ ჩამავალი ბილიკები მიუდგომელი გახდა. საურმა და არზაყანმა ვეღარ მოითმინეს, მახვშის კოშკში დაბრუნდნენ. ბოლოს თენგიზმა და ოსმანმაც გვიღალატეს.

თემური, ჩვენი ბელადი, გაჯიქდა. შენ უნდა ნახო, ეს მოხუცებული როგორ დახტის ამ ფლატეებზე, მე მას ღვაშს ვეძახი, მამალ

ჯიხვს. მეც თემურს ავყევი.

ვიხოხიალეთ ამ ჭიუხებში, რამდენჯერ სიკვდილს გადამარჩინა თემურმა, მუჯრა დამიცდა ერთხელ, წავიქეცი და ფრჩხილებით მოვებღაუჭე გასიპულ ფლატეს.

„არ გაიხედო!“ შემბღავლა თემურმა, ბაბრივით ისკუპა და მკლავში წამავლო ხელი. ასეთ შემთხვევაში უმთავრესია, ფლატედან უფსკრულში არ გადაიხედო. თუ თვალი გაგექცა, მერმე მშვიდობით. თქვენ იცით, მე გაწუწკებული ვარ მძაფრი განცდების მიმართ.

ასეთ შემთხვევაში სული კბილით მიჭირავს, ცალი თვალი უფსკრულისაკენ გამირბის. დილაობით, როგორც კი ლოცვას აღავლენს თემური ჯიხვების ღვთაების — დალისადმი, მყისვე ქადაგებას მოჰყვება: უფსკრულისაკენ გადახედვას ერიდეო (კარგი იქნებოდა, თემური სიყრმიდანვე მიეჩინათ ჩემთვის გამზრდელად. მაშინ მე ერთი მშვიდი, უწყინარი მოქალაქე ვიქნებოდი). რამდენჯერმე სრულიად გაზუზული მოვბრუნდი. შეშაც დაგველია დევის ქვაბში. უცეცხლო გვირაბში წოლამ უარესად დამაზიანა. ცივება გამიახლდა, ალპიურ ზონამდის მომსდია კოლხეთის ჭაობებიდან გამოყოლილმა აფთარმა, ერთ დღეს თემური უთენია წავიდა როჭოზე სანადიროდ. უკანასკნელ დღეებში მე სიცხეს მაძლევდა, ამიტომაც თან არ წამიყვანა.

ხანმოკლე თვლემის შემდეგ გამომეღვიძა, აღარ ვიცოდი, დილა იყო, ნასამხრალი თუ შუაღამე?

გამაზმორა. მუხლებში ტკივილი შევიცანი. ვწევარ ჯიხვის ქურქში გამოხვეული. რატომღაც ქურქი ბუმბულზე უმსუბუქესად მეჩვენება. მცივა. კბილები მიკაწკაწებს. ეგერ აგდია თემურის ნაბადი. ვნატრობ: ვინმე მოვიდოდეს ნეტავი და ამ ნაბადსაც ზედ დამახურავდეს. მინდა წამოვდგე, და სახსრები არ მემორჩილება.

ასე მგონია, ოთხად გავუჭრივარო ვიღაცას და ხერხემალიც დამიმსხვრიესო.

ვიფუთნები ქურქში და ქურქი ბუმბულზე უმსუბუქესად მეჩვენება, შვიდი ჯიხვის ტყავისაგან გაკეთებული ქურქი. მოვიდოდეს ნეტავი ვინმე, დამახურავდეს თემურის ნაბადს, ნაბადს კი არა, იმ პრტყელ ლოდსაც ზედ დამადებდეს ვინმე, რომ მაგრძნობინოს სიმძიმის გემო ამ ქვეყანაზე.

გავსცქერი სათოფურებიდან შემოჭრილ სინათლეს, ცოტა, სულ ცოტა ავწიე თავი და გავხედე მელანქოლიურ, ღრუბლიან დღეს, კალასფრად მოკიანთე მყინვარებს.

სიცივე და სითეთრე შემოიჭრა სათოფურებიდან. ტუტასფერი ღრუბლები მიჰქრიან ჩრდილოეთისაკენ, წვიმისაგან დამაკებული ღრუბლები, ისინი ხან ენგურის მღვრიე ტალღებსავით მილაშლაშებენ, ხანაც ისე მიჰქრიან სივრცეში, როგორც მტვრის არავი უშველებელი.

შემზარა ამ სანახაობამ. ახლა შუაცეცხლისაკენ მოვიდრიკე თავი. ცეცხლი ჩამქრალა უკვე, გადამწვარი მუგუზლები ჰყრია აქა-იქ.

კუთხეში ორიოდე კვარი აგდია დამქრალი, ერთიც სანახევროდ დამწვარი ჯირკი. ამას ყოველივეს უკიდურესი გაჭირვებისათვის ნახავს თემური. მას ნათქვამი აქვს: თქვენ, ბარელები, სულმოკლენი ხართ, ამას ნუ მოვიხმართ, სანამ რომელიმე ჩვენგანი ავად არ გახდებაო.

ახლა მე სიტყვის შეუბრუნებლად ვემორჩილები თემურს. არც ტაბუს ვარღვევ, არც ჯოგის თვალს ვესვრი, სანამდის მთელი ჯოგი არ გამოჩნდება, არც პაპიროსსა ვწევ, რადგან ვიცი, ჯიხვი ფრთხილია და ნიავი ენატანია. უფრო მეტს გეტყოდით: სულის მოთქმასაც ვერიდები ნადირობის დროს და ასე ფრთხილად დავ-

დივარ ბილიკებზე, უმცირესი ჩქამიც არ გახმიანდება ამ ჭიუხებში. ერთი რამ მაკლია: ლოცვად არ ვდგები დილაობით და ნადირთა მეუფეს დალს არ მივმართავ ხოლმე ამგვარი სიტყვებით:

„გარევილი მუჰტი ღერმეთ“... გარეულის გამჩენო ღმერთო...

და ეს იმიტომ მომდის, რომ მე ურყევად მჯერა, ლოცვად მხოლოდ იგი უნდა დადგეს, ვისაც მართლაც სჯერა ღვთაების ძალა, თორემ უეჭველად გაპამპულდები. ახლა თქვენ მიბრძანეთ, მე რა ვქნა, მე უბედურმა, ვისაც არც დალი სწამს და არცა სატანა?

სიტყვა გამიგრძელდა (მე შეშის გამო მოგახსენებდით და ათეისტური პროპაგანდა გამომივიდა. ასე ემართებათ ხოლმე ადამიანებს, ლურსმანის გამო ლაპარაკს მოჰყვებიან და პანაშვიდით გაათავებენ).

კერასკენ გავიხედე და რას ვხედავ? ცეცხლი გაუჩაღებია ვიღაცას, ცეცხლიც გაუჩაღებია და შვიდი ჯვარიც აუნთია. ანთია ქვაბში შვიდი ლაპლაპა კვარი, როგორც შვიდნი სასანთლენი ოქროისანი, საამური სუნი დამდგარა დევის ქვაბში. ძლივს მოვაბრუნე მკლავი.

მაჯის საათს დავხედე. საათი დამდგარა. ჟამი დამდგარა და სულიერის ჩქამიც არ ისმის. აღმართულა ჩემს წინაშე უზარმაზარი გვირაბის თაღები, ბნელი, შეუცნობი და იდუმალი, როგორც გოტიური ტაძრის თაღები. გაქვავებული წილამურები, კვამლისაგან გამურული წილამურები ჰკიდია, გაშავებული ყინვის ლოლუები.

შევცქერი ამ ცეცხლს, ვინ გააჩაღა ნეტავი იგი?

შევცქერი შვიდ სასანთლეს, ვინ აანთო ნეტავი იგინი?

შემდგარა ჟამი და მოძრაობა ჩემი სისხლისა. გათოშილი ვარ სავსებით მეცა. ვყავ საცნაური ჩემი უეცარი გარდაცვალება, ჩემი გონება დაუხშავს სიცივეს და ბნელს. წასულა ჩემგან ჩემი ადა-

მიანური წარსულის შეგნება და დალეულა დღევანდელი დღე, გადასულა მუხთალი ჟამი. გამოვარდნილა ეს ნაცრისფერი და გაყინული დღე მოელვარე დღეთა უწყვეტელ გალადან..

ვწევარ, დავხსნილვარ ჩემთა კავშირთა, აღარც გონება მემორჩილება, არც ხერხემალი, აღარც ხელ-ფეხი. წაურთმევიათ ჩემთვის ამიერიდან ჩემი ვინაობისა და სადაურობის შეცნობის ნიჭი. და წასულა, გამქრალა დრო სადღაც და ოდესღაც, ისე წასულა, როგორც მზე გაეყრება ხოლმე ნასამხრალზე ამ მყინვარწვერებს, სითეთრე დარჩება ხოლმე, სითეთრე, სიცივე და სიცალიერე.

ეჰ, ჩემო ძვირფასო, ამ მარადიული მყინვარების წინაშე ისე მოსჩანს ათასი წელი, როგორც განვლილი გუშინდელი დღე.

ამგვარ მომენტში ყოველი სულიერი შეიკრავს ბგერას, ყოველი ხმა შესწყვეტს ჟღერას. რაც როჭო წივის, ჭიუხებში მარტოდ შთენილი, აღარც შურთხები გვაუწყებენ ჯიხვთა ჯოგის მოდენას.

თვალს ვიფშვნეტ ოდნავ. ისევე ცეცხლს ვხედავ და შვიდ სასანთლეს ოქროდსას გაჩირაღდნებულთ. ალბათ თემური მობრუნებულა, შეშა მოუტანია.

თემური მოულოდნელობის კაცია. თემური იზამდა ამას. შესაძლო არის, ეგებ ეს ოქროს სასანთლენიც მასვე ეპოვნოს მონადირეთა ძველთაძველ ქვაბში, ისევე, როგორც მე ვიპოვნე აქ ამას წინად: ბრინჯაოს ხმალი, ქვის როდინი და ისრის წვერი კაჟისაგან გაკეთებული, საყურეები, ირმის ძუძუს მწოველი ნუკრით რომ შეუმკია პირველყოფილ კაცს.

გავხედე კერას, არც თემური სჩანს, აღარც მისი სვანური ქუდი, არც მისი გუდა და აღარც თოფი ცალლულიანი.

შვიდივე აანთო ალბათ თემურმა, რადგან ნაძვის კვარი დიდი ხანია რაც გამოგველია. ესეც უთუოდ საგულისხმოა. თემური სვანი მონადირეა, თავისი სტუმარი შეებრალა თემურს, მე სტუმარი

ვარ და ავადმყოფი.

ვინ იცის, ეგებ ნაძვის კვარი აანთო თემურმა. კიდევ გავხედე კერას და არც თემური სჩანს, აღარც მისი სვანური ქუდი, არც მისი გუდა, აღარც თოფი ცალლულიანი.

ისევ სათოფურებს გავხედე ახლა. ვხედავ ჟამი გამოლეულა, ძევს ჩემს წინაშე მყინვარების ზრქელი სითეთრე, სითეთრე ცივი და ვასვასა სიცალიერე. ამ მარადიული მყინვარებისათვის ათასი წელი ისე გასულა, როგორც გუშინდელი დღე.

მე ნებისყოფა აღკვეთილი მაქვს, როგორც ეს ლეტარგიულ ძილში მთვლემარეთ სჩვევიათ ხოლმე. განუზომლად შემსუბუქდა ჩემი სხეული. არ ვწუხვარ, არ ვთრთი, არ მივსტირი ჩემი აქ ყოფნის გავლისა გასვლას და გაქრობას. ირგვლივ რძისფერი ბურუსია, ლოდებს სიმძიმე დაუკარგავთ და მყინვარებს სიცივის გრძნობა და დაუხერგავს ავფრთიან ქარბუქ მთების მწვერვალზე ბურბუშელას დარი ღრუბლები, თეთრი, სულ თეთრი და სიკვდილსავით ცივი ღრუბლები.

სდგანან ღრუბლები. აღმოსავლეთით, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან თეთრი ღრუბლების ყორეები გადმოკიდულან.

თვალი დავხუჭე. ვერ გავუძელი სამარისებურ სანახაობას. ისევ შემაკრთო სიჩუმემ და სიცალიერემ.

თვალს ვიფშვნეტ. ჯვალოს სამოსში გამოწყობილი შემოდის დედა. თმებჩამოშლილი, უბედური, ღამენათევი. დედა მოვიდა და ემხვარების ქვრივებიც თან შემოყვნენ ძაძებით მოსილს. ძიძა — ხათუნა უკან მოსდევს დამწუხრებული.

ჩემი საწოლის გასწვრივ დამწკრივდნენ შავოსანი დედაკაცები, ისევე, როგორც მეჩონგურე ოდიშარი ქალები მოუსხდებიან ყვავილით სნეულს.

ჩონგურები აიღეს. თითები ჩამოჰკრეს სიმებს, მაგრამ ჩონგუ-

რები ხმას არ იღებენ. მაშინ წამოდგა დედა მაია, მომეახლა, გაყინულ შუბლზე დამადო ხელი და უკუიქცა, რა შეიცნო ჩემი სიკვდილი.

ისევ მობრუნდა ირგვლივ დამსხდარ შავოსნებთან და დაიკაწრა ღაწვისთავები. ჩამოსხდნენ ირგვლივ ისე, როგორც მოტირალნი სხდებიან ნოხზე და შეუდგნენ ლოყების ხოკვას, მაგრამ არავის დასდენია ღაწვთაგან სისხლი. არც მე მსმენია მათი გლოვა, მათი „ოჰ, ვაჰ, ვაჰ“...

წამოდგა დედა, მომეახლა, შუბლზე ხელი დამადო. ეუცნაურა გათოშილი ჩემი სხეული. წამოიშალნენ შავი ლანდები, ჩონგურები ქვაბში დასტოვეს...

* * *

ისევ ჩავსთვლიმე, მალე ისევ გამომეღვიძა. ჩემს წინაშე ვიღაც გამხდარი, უწვერული ვაჟი დამჯდარა.

ზის და შემცქერის დასავლურად წვერგაპარსული. მეცნაურა მისი თვალები (მიცვალებული მამის თვალები მომაგონდა), ცხვირიც სულ ოდნავ მოდრეკილი აქვს (ასეთი ცხვირი საწყალ ბიძაჩემს ჰქონია თურმე, ერამხუტ ემხვარს). ნიკაპი და ღაწვისთავებიც დედას მაგონებს.

მისი კოსტიუმიც კი ნაცნობია, ქედანისფერი ჰომპსონის კოსტუმი, სწორედ იგივე, ლუკაია ლაბახუას რომ ვაჩუქე მალანურობას. ჩემი ფეხსაცმელი აცვია. ყავისფერი ფეხსაცმელები, ფიტეზის ფირმისა, ინგლისში ნაყიდი. მზერა გავუსწორე უცნობს. გაიცინა მაშინ ამ ვაჟმა, სიცილი მისი ისე უცნაურად გახმიანდა, თითქოს საფანტი სარკის პირზე დააბნიესო. ზის და იცინის...

მასაც ტუჩის კუთხეებთან ეკეცება ერთადერთი მცირე ნაოჭი, გულში ჩაჟანგულ მძულვარების მაუწყებელი.

იცინის ცინიკურად, ჩემი განუმეორებელი სიცილით იღიმება

(ეს მე მჩვევია მხოლოდ მაშინ, როდესაც ვინმეს ვაპამპულებ ან მწარედ ვგესლავ).

ფეხი ფეხზე გადაუდვია ბატონკაცურად. მარჯვენა ხელს ზურგს უკან მალავს რატომღაც, ხოლო მარცხენა მუხლისთავზე დაუყრდნია მუშტად შეკრული.

„დაბერებულხარ, ვეღარ გიცანი, თმაში ჭაღარა გამოგრევია“.

ახლა მე შევაგებე გესლიანი ღიმილი ჩემსავე „მეს“ ჩემს გვერდით დამჯდარს.

„ეს შენთან ბრძოლამ გამიჩინა თმაში ჭაღარა“.

„სულ სამი თვეა, მეტი კი არა, რაც ჩვენ ერთმანეთს არ შევხვედრივართ ასე პირისპირ და გულახდილად“.

უთხრა ჩემმა მემ. იმან, ვისაც ქედანისფერი კოსტიუმი ეცვა, მას, ვისაც დარდისაგან თმა გაუჟღალდა.

წვერგაპარსულმა უთხრა გაბურძგვნილს. ეს სთქვა, თანაც სამი თითი გამოუშვირა.

შუათანა თითზე ვიცანი მყისვე ჩემი ბეჭედი. ძმადშეფიცულ ხევსურისაგან ნაჩუქარი სპილენძის ბეჭედი (თქვენც გინახავთ, ძვირფასო ფრაუ, ეს ბეჭედი ალბათ ჩემს თითზე). სამი გველი ახატია მას კიდეებზე, სამი ზიგზაგად დაკლაკნილი მაისის გველი.

ახლა მარჯვენა ხელი გამოაშვირა და ვხედავ: ჩემი სატევარი ხელში უჭირავს. ჩემი სატევარი გველისპირული. მე ჯამლეთ ტარბას ავაცალე ის სატევარი და ჯამლეთ ტარბა მოვჰკალ იმ ღამეს:

გველისებურ დაკლაკნილა ეს სატევარი და ქარქაშს მისას გველის პერანგი აქვს გადაკრული, ტალებიანი, ფორეჯიანი, ტანხატულა გველის პერანგი.

ახლა მე მივმართე ჩემს მეორე მეს ბრაზმორეულმა.

„შენ ვინ მოგცა, უხიაგო, ეგ სატევარი? აკი მე მერტყა იგი სწორედ ათი დღის წინად. მახვშისა კოშკში მე დავტოვე სატევარი,

კოშკის კაჩხაზე გადაკიდული“.

„ეს მართალია, — მითხრა მაშინ წვერგაპარსულმა, — ეგ სატევარი უწინ შენ გერტყა და მახვშის კოშკში ეკიდა ბნელში“.

„და ეს ბეჭედი, სპილენძის ბეჭედიც მე ხელზე მქონდა ჯერ ამ დილითვე“.

„ეგეც სწორია“.

მომიგო მანვე, ისევ გაეცინა ავყია სტუმარს და აჩხრიალდა მისი სიცილი, როგორც საფანტი სარკის პირზე გადაბნეული.

„ეს შენ გამძარცვე, — ეუბნება ტახტზე მწოლარე, ნაციები თავის ორეულს.

შენ წარიტაცე ყოველივე, რაც კი მებადა. გულის სიქველე, სიყვარულის გრძნეული ნიჭი, ნდობა წამართვი მოყვასისადმი და შემაძულე ადამის მოდგმა. შენ შემაძაგე საკუთარი მე ნათესავი. შენის წყალობით მეუცხოება ჩემივე მოძმე, ჩემი სისხლი და ჩემი ხორცი. მიტომაც ვგესლავ ჩემსავე ხალხს, როგორც ასპიტი გააფთრებული, რომელსაც წელი მოსტეხეს ჯოხით. მერმე წასწვდება ეს უნასი გაცოფებული საკუთარ ბოლოს და უკურნებელ შხამს შეანთხევს საკუთარ სხეულს“...

როგორც ერთ შუშაში დამწყვდეული ორი მორიელი, მივსწვდით ერთმანეთს მე — ავადმყოფი და მე — ჯანსაღი, მე — ჩოხიანი და მე — კოსტიუმიანი, მე — უწვერული და მე — წვერიანი, დავგესლეთ ურთიერთი და შევაჩვენეთ.

„შენ გზა აგებნა ამ ცხოვრებაში, — მომმართა ისევ ჩემს წინაშე მჯდარმა სტუმარმა.

დიდი თემშარა დაგიგდია და შეყოლიხარ ვირის ზურგის სიგანე ბილიკებს. ზღვას გაქცევიხარ და ტბორებში ყურყუმალობ, ელექტროს შუქი გაგიცვლია ნაძვის კვარებზე, კახური ღვინო — აყროლებულ ანწლის არაყზე.

დაბრუნდი, გირჩევ, ბარს მიაკითხე, ზღვისკენ მიმავალ შოსეს

მიჰყევი. შავი ზღვა იყო ჩვენი ქვეყნის დიდი გუშაგი, მისი კულტურის, განათლების დიდი აკვანი. აღსდეგ, ჭიუხში გადაისროლე ეგ მონადირის გუდა-ნაბადი. ჩვენი წინაპრებიც ხომ უხსოვარ დროის მანძილზე ჯიხვებს დასდევდნენ ჭიუხებში. ხანაც ებრძოდნენ უცხო ნათესავთ.

აღსდეგ, ზარმაცო, უქნარა ლეშო“...

„წა, გამეცალე, შე მურტალო, — ვუყვირე მეცა, — შენ, სხვისი სუფრის ნამუსრევით გაზრდილო გლახავ, თორემ აქ დაგსვამ, ამ დევის ქვაბში. ამოგიკერავ სელის ძაფით მაგ დიდრონ თვალებს, დაგსვამ კერასთან და ჩაგძახებ ყურში: „ააااااა“-ს“.

ზედ წამოვარდა წვერგაპარსული. გაივლო ხელი გველისპირულ ბასრ სატევარზე. შემომიტია:

„ან შენ და ან მე“.

დაიწკრიალა მისმა მჭახე ხმამ.

იელვა მაშინ ჩემს წინ ფოლადმა. გამიპო მკერდი და შეხვრიპა ტფილი სისხლი მოსისხარმა მეორე მემან.

ისევ ვწევარ უსხეულო და განკვეთილი.

ისევ ანთია შვიდივე კვარი, როგორც შვიდნი სასანთლენი ოქროდსანი...

ნაბიჯის ჩქამი შემომესმა, ისეთი ჩუმი, როგორიც ჯაბრალიან სვანის ნაბიჯს აჰყვება ხოლმე.

გავხედე კერას, თუმური ქვაბში შემოსულიყო. დაცუცქულა თემურ კერის პირად, უბერავს ჩამქრალ მუგუზლებს, ორივე ხელი დაუყრდნია მოხუცს მიწაზე და ისე ყანყალებს, თითქოს ლოცულობსო ცეცხლის წინაშე. იქვე, მის გვერდით, ფოთრი აგდია, დაჭრილი ფოთრი.

ღონე მოვიკრიფე, თავი ავწიე. იგივე იყო, მე რომ შემხვდა იმ დღეს ტაფობზე. მიველ, ვემთხვიე მის გაცივებულ დრუნჩს. მცირეოდენი საყვედური ვაკადრე თემურს.

„ჯესმიმო, ეგ ფოთრი უწინ ყოფილა დაჭრილი, არა?“

„აადუ, აადუ... მე შევნიშნე, დაჭრილი იყო, მაგრამ რა მექნა, ჭამა ხომ გვინდა?“

ბურტყუნებს თემურ და ისევ ლიტანიობს ნაცარში ჩაცუცქული და ცეცხლს უბერავს.

თემურმა ცეცხლი გააჩაღა. მწვადები შესწვა. ცხელი არაყი დამალევინა. იმ ღამეს სიცხე დავარდა. ტკბილად დამეძინა. მეზმანა: დევის ქვაბში დამასაფლავეს და ჩემს სამარეზე უცნაური რამ ცისფერი ყვავილი ამოსულიყო. და ახარებდა ცასა და ხმელს ამ ყვავილის ნელსურნელება“.

...და თოვლს უნდოდა კიდემდის აევსო ქვეყანა

სთოვდა ისე ხვავიანად და ისე ტკბილად, როგორც ზღვისპირა ქვეყნებში სჩვევია თოვლს. ხათუნა და ძაბული სასოწარკვეთილნი შესცქეროდნენ ფქვილისფერ ცას. ცა არ ჩამოიქცესო, შიშობდა ხათუნა.

დღე და ღამე სთოვდა და ბარდნიდა, სოფელი თოვლში ჩაეფლო, ოდიშური სახლები თეთრ პირამიდებს დაამსგავსა თოვლმა. ოქუმი მოკვდა და გაინაბა. თითქოს სიცოცხლის ჟრიამული შესწყდაო. მხოლოდ მამლების რულმორეული ყივილი და ძაღლების გნიასი ისმოდა ხანდახან.

ბუნებაც გადაირიაო, იტყოდა ხათუნა. მართლაც, ჯერ კიდევ ნოემბერში დაიწყო გაბმული, სეზონური წვიმები. პატარა ოქუმისწყალიც ისე გაცოფდა, ზვამბაიების ხიდი წაიღო. ძაბული და ხათუნა პერანგისამარა მისდევდნენ მოტაცებულ ხიდს კივილით.

ჭოლოკებს ახვედრებდნენ, ქელეში ქამანდს ესროდა ისე, როგორც კაც ზვამბაიას უქნია თავის დროზე ეს, მაგრამ ამაო გახდა ცდა. ხიდის წაღებამ ფრიად დააზარალა ოჯახი. ჩალა და შეშა ვერ მოიმარაგეს.

ქუჩის გაქცევამ უმამაკაცობა უფრო მწვავედ აგრძნობინა ქალებს... ძაბულიმ მიზეზი არ გაუმხილა ხათუნას. ხათუნა იმ ღამეს გაცივდა. ძაბული კოლექტივში სამუშაოდ ვეღარ მიდიოდა, პატარა ჯამუს და ხათუნას მოვლას ვეღარ აუდიოდა.

ასე დაიწყო კაც ზვამბაიას დიდი ოჯახის რღვევა...

ქარმა ყავარი გადააძრო სახლს. ლპობა შეეპარა კაკუტებს და საძირკველს. ისლგადამძვრალი სასიმინდე შექანდა. სახურავები გადასათოვლი იყო, სად იყო პატრონი. ორი დედაღორი ჭალაში დაეკარგათ ბავშვებს, მეორე დღეს გაიგეს: მგლებს დაეგლიჯათ ისინი. უჩვეულო თოვლმა ნადირი დაამშია, ასე რომ, მგლები თხილნარში ღმუოდნენ. ძაღლებს მოსვენება არა ჰქონდათ ღამით. უზომო შრომისაგან დაქანცული ქელეში ადრე იძინებდა, ქალები შიშისაგან ცახცახებდნენ. არ იცოდნენ, მგლები იყვნენ თუ ტარბები?

ძაბული არზაყანის ნაგანს მკერდზე იხუტებდა, არზაყანის სუნთქვას იგონებდა მუდამ. ეს ერჩია: ტარბების ნაცვლად მგლები მოსულიყვნენ. ხათუნას არ უმხელდა ძაბული, ერთ-ერთ ტარბას დაუქადნია დუქანში: თუ მამაკაცებს სისხლი ვერ ვაზღვევინეთ, კაც ზვამბაის ოჯახს გადავწვავთო.

ძაბულის გულში მცირეოდენი იმედი აკიაფა ამ ქადილმა, ვინ იცის, ეგებ ცოცხალი იყოსო არზაყან. ძაბულის მთელი ღამე მკერდში ჩახუტებული ჰქონდა არზაყანის ნაგანი. ბოსელში ჩალა გაფაჩუნდებოდა, გული ცემას მოუხშირებდა, მაშინ მომეტებულად ხელს უჭერდა ძაბული არზაყანის ნაგანს.

კაც ზვამბაიას ოჯახი სავსებით განმარტოვდა. ზოგნი არზაყანის გამო დაემდურნენ მათ, ზოგიც ტარბების ხათრისა და მუქარის წყალობით. მაჩაგვა ეშბა შერჩათ ერთადერთი. როცა ქელეში არ იყო, ქათამს მაჩაგვას აკვლევინებდნენ, დიდ ნამორებს მას აჩეხვინებდნენ. სამამაკაცო საქმეში კიდევ მაჩაგვა ეშბა ეხმარებოდათ.

ოქტომბერში მაჩაგვას უეცარი უბედობა ეწვია. თემსაბჭომ ცხენი ჩამოართვა მაჩაგვას. გაგულისებულმა კოლექტივის ხარი გაატყავა ტყეში და ზუგდიდში გაყიდა ჯიბრით. ამის გამო შეიპყრეს ეშბა და იძულებითი სამუშაო მიუსაჯეს.

ისევ ქუჯის იმედიღა შერჩა ხათუნას. იმ დილით ხათუნამ ქუჯი მოიკითხა.

„შენ ხომ არ აწყენინე რამე ქუჯის, ნან?“ ეკითხება ხათუნა ძაბულის.

„მე? არაფერი, ბატონო“.

„აბა, რად არ მოდის ქუჯი?“

„რა ვიცი, ბატონო“.

„გაწყობილი ღომი მან ჩამოიტანა იმ ღამეს?“

„ქუჯიმ ჩამოიტანა, ბატონო, აბა, მე როგორ მოვერეოდი ერთ ურემ ღომს“.

ჯამუ გაუგზავნა ხათუნამ ქუჯის. ასე შემოგითვალაო ხათუნამ: სიცივით გიკვდებით დედაშვილობას.

სახურავები გადასათოვლია, საცაა თავზე დაგვექცევაო სახლი. ქელეშმა დიდ ნამორს ვერაფერი დააკლო, მე ავადა ვარო, შენი ხერხი მოიძღვანიე, დამიხერხეო დიდი ნამორი, დედაშვილობას.

ჯამუ დაბრუნდა. ქუჯი ცხენზე იჯდაო, სადღაც მიდიოდაო, დავბრუნდები თუ არა, გამოგივლიო.

ამბობდა ჯამუ.

მერმე მთელი დღე ჭიშკარს გასცქეროდა ხათუნა წყლიანი თვალებით.

სთოვდა, ბამბის ფთილივით ბარდნიდა, თამაშით მოდიოდა ციდან თეთრი, კეწკეწა თოვლი და ასე ეგონა ხათუნას, თოვლი აავსებდა ქვეყანას კიდემდის.

„ქუჯი რომ მოვიდოდეს, ქელეში და ქუჯი მოათრევდნენ მუხის ნამორს“. ნატრულობს ხათუნა და გასცქერის ჭიშკარს.

ეს სთქვა ხათუნამ და ცხენოსანი გამოჩნდა შარაზე.

„ქუჯი მოდის, ნან, ჭიშკარი გაუღეთ ვინმემ“.

წრიალებს ხათუნა და იხედება გარშემო. ჯამუ და ქელეში სათოვლავად გაპარულიყვნენ. ძაბული იქვე იჯდა და კერავდა. არ იამა ქუჯისთან შეხვედრა პირისპირ, მაინც ადგა და ჭიშკრისაკენ გაემართა ზანტად.

იმ ღამის შემდეგ რა პირით მოდის არზაყანის ოჯახში ქუჯი? ფიქრობს ძაბული და მიაპობს თეძოსთავამდის მოწეულ თოვლს.

ჭიშკარი გააღო ძაბულიმ და მხედარი ჯერ კიდევ შორსაა.

მოდის ჩაბალახით თავგაკრული მხედარი, თოვლისაგან მთლად გათეთრებული.

ცხენი მოაპობს თოვლს, ორთქლის ხვითქი გადადის ცხოველს.

ცხენის თავ-კისერს შეხედა ძაბულიმ, ჟრჟოლამ აიტანა. თვალი ხომ არ მატყუებსო? კიდევ შეხედა ყურებს, თავ-კისერს და მკერდს.

„არაბია უნდა იყოს, არა? არაბიაა, რა თქმა უნდა“.

მხედარი ვერ იცნო თოვლისაგან მთლად შეფუთნილი, ჩაბალახიანი მხედარი. ქუჯი არაა, უწვერული სჩანს ვიღაცაა.

ჭიშკრისაკენ არც მოუხედავს მხედარს, ისე ჩაიარა ცხენმა.

მუხლები მოეჭრა ძაბულის, გული აუტოკა არაბიას შეხედვამ.

ცხენი გამხდარი ეჩვენა და გაახსენდა ამ წუთში ოქუმში განაგონი: ტფილისს გადაგზავნაო არლანმა არაბია, საგაზაფხულო დოღისთვის საწვრთნელად.

გავას და ძუას შეასწრო ძაბულიმ თვალი.

„არაბიაა, ნამდვილად, არაბია!“

სთოვს და ბარდნის დაუცხრომლად, ცხენი მგლურით მინავარდობს. ძაბული უჩქარა ნაბიჯს, ნაბიჯიდან ძუნძულზე გადავიდა. უნდა ნახოს, ვინ შემჯდარა არაბიაზე?

ან სად მიჰყავს ამ მხედარს ცხენი?

მირბის და მიაპობს თოვლს. ერთხელ კიდევ უნდა შეავლოს არაბიას ძაბულიმ თვალი. ნახოს არზაყანის საყვარელი ულაყი. დიდრონ შავ თვალებში შეხედოს, ხელი დაუსვას ქარგაშლილ მკერდზე.

და არაბია მარტოოდენ ცხენი როდია, არამედ არზაყანის სულის ნამუსრევი. და არზაყანის ძახილი გახმიანდა ძაბულის სმენაში.

რბენაზე გადავიდა ძაბული, მიაპობს გაუკვალავ თოვლს. და არზაყანის თაფლისფერი თვალები ელავენ თოვლის კეწკეწა ფონზე. მირბის ძაბული. მირბის და არზაყანის ძახილი მოესმის...

ჩამოიარეს ვიღაცეებმა. გადმოხედეს მორბენალ ქალს. ეს იცის ძაბულიმ: ქალს რბენა არ შეეფერებაო, მაინც არას დასდევს, თუ ვინ რას იტყვის. სთოვს გადაუღებლად, პენტავს და ბარდნის. კაბა აიკრიფა ძაბულიმ და მისდევს კვალდაკვალ ცხენს: დაჰკარგა თვალთაგან ცხენიცა და მხედარიც, მაინც არა სცხრება ძაბული და მირბის...

როგორი ბალღური სურვილია, როგორი საოცარი ჟინი! რა მოეცხება ძაბულის არაბიას ნახვისაგან, რა მოეცხება მის დაკოდილ გულს? ფიქრობს ძაბული, მაგრამ მაინც მირბის ამ თოვ-

ლში. ღონე გამოელია, მუხლები ეჭრება, დაინთქა თოვლში ცხენიცა და მხედარიც. სთოვს. თოვლის ფთილები იბნევა მიწაზე, ისე ხვავრიელად და ისე უზომოდ, თითქოს ქვეყანას აავსებსო საცაა, ჩაიტანსო ძაბულისაც და მის დიდ სევდას.

ეს უნდა ძაბულის: მოვიდეს ქვეყნად უზომო, უზომო თოვლის შვავი, აავსოს კიდემდის ქვეყანა და ჩანთქას ძაბულიც მეწყრის პირმა... ნუმც შეჩერდება აქ თოვლის ზვავი და ქვეყანა ჩაფლოს, დამარხოს თოვლმა.

და დაეყრება ძაბულის მკერდზე თეთრი და სპეტაკი ფთილები თოვლისა. და გაეთხრება ძაბულის მრავალგზის ნანატრი სამარე, თოვლის სამარე...

გზაჯვარედინზე შეჩერდა ძაბული. არც მარცხნით, არც მარჯვნით არა სჩანს კვალი. სთოვდა დაუცხრომლად მარჯვნითაც, მარცხნითაც, ფქვილისფერი ცა ჩამოდიოდა მიწაზე.

ცრემლი მოებჯინა ყელში ძაბულის. მიწამ თუ ჩანთქაო ცხენიცა და მხედარიც? მზადაა ძაბული აქ ჩაწვეს ამ თოვლში, თოვლში დაიძინოს სამარადჟამოდ.

გულმა ასე უთხრა და მხარმარცხნით ირბინა, ისევ წააწყდა ნაკვალევს და მირბის. ეს არის უთუოდ არაბიას ნაკვალევი, თავი ინუგეშა, უმატა სირბილს.

ეუცნაურა გარემო, ორღობე გათავდა და მერმე დიდ ცაცხვებს შეხედა. იცნო: ეკლესიის, აწ თემსაბჭოს მოედანია. თოფის სასროლზე მიეახლა თემსაბჭოს შენობას. ხედავს, უნაგირიანი ცხენი აბია ფარდულში.

უმატა გულის ძგერამ ძაბულის. მანძილი მცირე დარჩა და სწორედ ახლა შემოაკლდა ღონე. დამძიმდა თოვლი, დაუსუსტდა მუხლები, და საცაა ჩაიკეცოს, წაიქცეს თოვლში.

წაიქცევა, იტირებს და ამ რბილ, თეთრ თოვლში თავს ჩაჰ-

ყოფს და აღარ ადგება აწი, რადგან მძიმეა ეს ცხოვრება უარზაყანოდ, თოვლივით მძიმეა და მუხლის მომჭრელი.

მიდის და მანძილი აღარ ილევა, მიდის და უჭრელდება ძაბულის თვალები. სულ ოციოდე მეტრი დარჩენია, მიდის და ვეღარ ერევა მანძილს. უკვე მოცისფრო წინწკლები ელავენ ჰაერში, თვალები უწყალდება ძაბულის, სუნთქვა ეკვრება უფრო და უფრო, საცაა გაუსკდება გული და მოისვენებს. და დაეყრება ძაბულის მკერდზე თეთრი, სპეტაკი, ნაპენტი თოვლი.

აქოშინებული მივარდა ძაბული ცხენს. არაბიამ თავი ზეასწია. პატარა ყურები დასცქვიტა, დააფახულა თვალები და შეხედა გაოცებულმა, თითქოს გაუკვირდაო ძაბულის ნახვა, მერმე წაიგრძელა კისერი, მხრისთავზე უყნოსა ქალს. თემსაბჭოს აივანზე ერთი ნაბდიანი და ერთიც ქურქიანი მოხუცი იდგა. ძაბულიმ არად ჩააგდო ისინი.

მიეჭრა ძაბული არაბიას. მოუდრიკა გედისებრ კისერი. ყურებზე მოუსვა ხელი, ორივე თხემის რქაზე აკოცა, მოდრეკილ კისერზე მოეფერა ნაზად, ფაფუკ ჩიჩვირზე შეავლო ხელი. მკერდში ჩაიკრა ცხენის თავი და ისეთი გრძნობა აქვს ძაბულის, თითქოს ამ საყვარელ ცხოველს თან ხლებოდეს არზაყანის სული. არზაყანის სუნთქვა შერჩენოდეს მას.

იწვიმა ცრემლებმა ქალწულის თვალთაგან. ჩიჩვირზე აკოცა არაბიას, მერმე დაუვარდა ფერხთით და მუხლებზე აკოცა, მაგრამ ცხენს კი არა, სიყვარულის მაღალ ღვთაებას, ცხენის სახით განპიროვნებულს.

„ვინაა ეს ქალი, რამ გადარია?“ იკითხა ქურქიანმა.

„არზაყან ზვამბაიას ქვრივია“.

მიუგო ნაბდიანმა. მერმე დუმილი დაარღვია ქალის ტირილმა. სტიროდა ძაბული. სთოვდა ტფილად და ხვავრიელად და თოვლს უნდოდა კიდემდის აევსო ქვეყანა...

ბარათები მახვშის კოშკიდან

1932 წლის თებერვალი.

ძვირფასო კაროლინა!

გზები სავსებით შეიკრა, დევის ქვაბიდან მახვშის კოშკშიაც ვეღარ გავსულვარ. ახლა კი სავსებით მოვწყდი მთელ ქვეყანას. ჩემთვის არც ტელეგრაფი არსებობს, არც ტელეფონი, აღარც ფოსტა. ვწერ ამ ბარათს და არავითარი იმედი არ მაქვს, იგი რომ მოგივათ ოდესმე.

ძვირფასო, რა ყოფილა გული კაცისა, იგი თავათვე შეიცავს თურმე როგორც სამოთხეს, ისე ჯოჯოხეთს. ერთადერთი ჩემი სიხარული, ესაა: თქვენდამი ბარათების მოწერა. უთუოდ გულთმისანი ყოფილა იგი, ვინც ასოების დაწერილობა გამოიგონა. ვწერ, თანაც ველურსავით მიკვირს, ამ ბარათს თქვენ დახედავთ ოდესმე და ჩემს ახლანდელ ზრახვებს ამოიკითხავთ.

ვატყობ, დიდხანს ვერ იბოგინებს ჩემი ფანქარი. თუ იგი გათავდა, მერმე მშვიდობით, მაშინ ყოველივე კავშირი გარესამყაროსთან შესწყდება. გასულ კვირას მახვშის კოშკში შეშფოთებულან, რაკი ორი კვირა ხმა არ მივაწვდინეთ მე და თემურმა. უკეთ რომ ვთქვათ, ვერ მივაწვდინეთ. გამოიდარა თუ არა, არზაყან, კაც ზვამბაია და საური ამოვიდნენ. ყინვა აქ საამურია. სამგზავროდაც მარჯვე, უცებ ნისლი დაჰკრა და ჩაგვკეტა ყველანი დევის ქვაბში. სამ დღეში საგზალი გაგვითავდა, არც შეშა შეგვრჩა, არც ხორცი, არცა მარილი.

ადამიანებს გაჭირვება ხასიათს უფუჭებს. მოხუცებმა ღრენა დაიწყეს. კაც ზვამბაიას თქვენ იცნობთ, იგი ავანტიურების კაცია, მასში ძლიერია მონადირისა და ყაჩაღის ინსტინქტები. ბუნებრივია, ჩვენი დრო ასეთ კაცს ნაკლებ გასაქანს აძლევს.

ოჯახიდან მოწყვეტამ ძლიერ მოახუცა და გასტეხა ჩემი მამამძუძე, გარეგნულადაც დაჩიავდა. საკუთარი ბრაზი მოგუდავს მას უეჭველად. უმთავრესად ეს აცოფებს მას: რად ეტრფისო არზაყან იმ რეჟიმს, რომელიც მისთვის, ჩემი მამამძუძესთვის, მომაკვდინებელია.

კაც ზვამბაიას ასე ჰგონია, მთელ ქვეყანას მისდა სამტროდ მოეცალოს თითქოს. პირველყოფილი ჰორდების მეთაურის ინსტინქტები ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი. იგი შვილისაგან თავის ზრახვების თანაზიარობის გაგრძელებას მოითხოვს. ყოველ წვრილმანის გამო ეკინკლავება არზაყანს.

გუშინწინ ძალიან მოგვშივდა, არ იქნა და ქარბუქი არ დაშოშმინდა. აქ სიკვდილი დიდხანს საძებარი როდია. საკმარისია ერთხელ შეგიტოკდეს ხელი ან ფეხი, მუჯრა დაგიცურდეს და მოუსავლეთი იქვე იქნება...

ახალგაზრდებმა თავი გამოიდვეს: წავალთ, ორიოდე ტყის ინდოურს მოვკლავთო.

თემური და კაც აბუზღუნდნენ. ქვაბიდან გასვლის ნება არ მისცეს არზაყანს და საურს. არზაყანი გაგულისდა. მიწვნენ ერთ კუნჭულში იგი და საური. ასე იწვნენ და შეღამებამდის ჩურჩულებდნენ. მე იქვე ახლოს ვიწექი, მათი საუბარი მესმოდა. კაც ზვამბაია ასეთ რამესაც ვერ ითმენს. იგი აფხაზურად შეეხმიანა არზაყანს.

საურისა და არზაყანის საუბარი მუდამ ერთ საგანს შეეხება, ისინი მუდამ განახლებულ სვანეთისათვის ოცნებობენ. სვანეთის დიდი გზა მოთავდება თუ არა, აქ მრეწველობა აღორძინდებაო. ფაბრიკების, ქარხნების ტყე ამოვაო იქ, სადაც ახლა ფეოდალური კოშკებია და სისხლის მაძიებელნი და სისხლის დამცველნი ჩასაფრებულან. მერმე ეს კოშკები საქარხნო მილების ტყეში სამუზეუმო ნივთებად იქცევიანო.

ეს ჭაბუკები დღედაღამ ოცნებობენ იმ დროისათვის, როცა ელმავლები ხალხით და საქარხნო საქონლით დატვირთულ მატარებლებს შემოიყვანენ ენგურის გაუვალ ხეობაში. ბაგირის გზები და ფუნიკულიორები აცოცდებიან ამ ამაყ მთებზე, ელექტრონი, ტელეფონი, რადიო შემოვა და ჰაეროპლანები კავკასიონს დაბალ ღობედ გადააქცევენ (ჯერ კიდევ რიდით გარს უვლიან სვანეთის მყინვარებს ეს ფოლადის ალალები!).

არზაყანმა არა უთხრა რა მამას, არ გაუმხილა, რის გამოც საუბრობდნენ. იწყინა კაც ზვამბაიამ და ხმამაღლა შელაპარაკდნენ მამაშვილი. კაც ზვამბაია დადუმდა, როცა საურსა და თემურს დაეძინათ, შემდეგ ამისა, მე შემეხმიანა, მე ქურქში გახვეული ვიწექი და გრიგალის ღმუილს ყურს ვუგდებდი, თანაც ვთვლემდი.

ვერ წარმოიდგენთ, კეთილო ფრაუ, თუ რა ტკბილია ასეთ ღამეში გვირაბში ძილი! გრიგალი ფლატეებს აწყდება, იგი ხან ხარჯიხვსავით ბღავის, ხან აფთარივით ჩხავის ჭიუხებში, შენ კი ტფილად წევხარ ამ დევის ქვაბში და გიხარია, მიწის ტფილ უბეში რომ

შეყუჟულხარ.

„ვოჰ: მისოუსტ, ვოჰ“, მიძახის ხელახლა კაც. მე ისევ დუმილით ვუპასუხე. მერმე არზაყანს დაუძახა.

„რად არ გძინავს, ბიჭო?“ ეკითხება კაც.

„რად არ მძინავს და ვფიქრობ ჩემთვის“.

„რას ფიქრობ?“

„აბა, სანამდის ვიყვეთ აქ? იქ ოჯახი და საქმე უპატრონოდ მიგდებულია, ჩვენ აქ ვზივართ, ამ ბნელეთში, რისი მაქნისი ვართ, თუ იცი?“

„კი, მაგრამ სად წავიდეთ, რიცჰა?“

„შენი არ ვიცი და მე ტფილისს წავალ, დადრა“.

„შენ თუ გგონია, ტფილისში ვერ მოგწვდებიან ტარბები? ტფილისში კი არა, მოსკოვში შუა ქუჩაზე მოჰკლეს მალაზონია ტარბებმა. ესეც არ იყოს, ახლა სად წახვალ, გზები დაკეტილია“.

საური ამბობს: თებერვალში ან მარტში გაიხსნებაო გზა. გზა გაიხსნება თუ არა, მე ტფილისს წავალო, ამბობდა არზაყან. ბოლოს, მე და საური რაიკომს ვშველითო აქ მოსისხარების შერიგებაში და ნუთუ ჩემს საქმეს ვერ გავაკეთებო. შუაკაცებს მივუგზავნიო ტარბებს. ისინიც ხომ ადამიანებია!

„ჰმ, ადამიანებია, — ღრინავდა კაც, — ჯერ სამი ძმის საფლავი არ გაცივებულა და რა დროს შერიგებაზე ფიქრია. ერთი წელი მაინც უნდა შევინახოთ აქ თავი. ჰმ, ადამიანებია!“

„არა, გზა გაიხსნება თუ არა, მე უნდა წავიდე, მომწყინდა ამ სიბნელეში ცხოვრება, წიგნი აქ არაა და გაზეთი“.

„მაშ, კიდევ შენ ჭკუაზე გინდა იარო?“

„ყოველმა კაცმა თავის ჭკუაზე უნდა იაროს, დადრა“.

„ნუთუ არ გეყო, რაც მოგწია მაგ შენმა ჭკუამ?“

„არაფერიც“.

„შენ რომ გაგიჭირდება, მაშინ ხომ კარგი მამა ვარ“.

„არაფერიც“.

„არაფერიც? ვინ დაგიხსნა ტარბების ტყვიიდან?“

„მერმე შენ რა?“

„მერმე ისა, რომ მე და ჩემმა გაზრდილმა გიპატივეთ, თორემ ძერასავით გაგგლეჯდა შენ ჯამლეთ ტარბა“.

ამან უარესად გაფიცხა არზაყან და შეუტიეს ურთიერთს მამაშვილმა.

წამოვვარდი, იქით თემურმა წამოყო თავი. შეიბნენ ბნელ გვირაბში არზაყან და მამამისი. გაზავების დროს მე ქიმს ვახალე თავი, ახლაც უშველებელი კოპი მაზის შუბლზე.

საურ უფრო მეტად დამორჩილებული ჰყავთ პაპას და მამას. იგი სიტყვის შებრუნებასაც ვეღარ უბედავს უფროსებს. ქორა მახვშისა და თემურის თვალის ასახვევად იგი კიდევაც ლოცულობს და მარხულობს, თავის კომკავშირელობასაც უმალავს ქორა მახშვს. მე ეს კარგად მესმის, ასეთ პატრიარქალურ ოჯახში სხვარიგად ვერ იცხოვრებს კაცი.

ხომ ასეთი ბნელი კაცია ქორა მახვში. ყრუა და თვალში სინათლე აკლია, მაინც ყველაფერი ესმის, ყველაფერს ხედავს. წარამარა კითხულობს, ლაღუმების გრიალს ხომ არ მოუწევიაო ჯერ მის კოშკამდის. კარგად იცის: ეს გზა ბევრ რამეს ახალს მოიტანს და მისი პატრიარქალური ოჯახი დაინგრევა. ქვეშეცნეულად სძაგს არზაყანი და საურსაც სტუქსავს დღენიადაგ. გრძნობს ალბათ, არზაყანისა და საურის თაობა რომ დაანგრევს სამოცსულიან ოჯახებს და მახვშების იდეალურ სამყაროს. კარგად იცის, ეს თაობა წინ გაუძღვება სვანეთში მომავალ ინჟენერების, შოფერების, პილოტების, ბუხჰალტერების ლეგიონებს, წიგნებს, გაზეთებს და პოლიტიკას.

ერთხელ ქორა მახვშმა მხარზე ხელი დაჰკრა საურს და ირონიულად ეუბნება: „მე ვიცი, შენ დამმარხავ, შვილო“.

არ ვიცი, საურმა თუ გაიგო, მე კი მივუხვდი: რომელ დამარხვას გულისხმობდა ქორა მახვში.

ღამე მშვიდობისა, კეთილო ფრაუ!
თქვენი ნახვის მონატრული გიკოცნით ხელებს.
თ.ე.“

„ძვირფასო ფრაუ!

ასე მეგონა, ადამიანობის ღვარძლიანობას გავეცალე-მეთქი და დევის ქვაბშიაც პიროვნებათა გამძაფრებული ჭიდილის მოწმე გავხდი. მე აღარ შემიძლია მამებისა და შვილების დაუცხრომელ ჯაჯღანს ვუსმინო. საერთოდ, მე არ მესმის „მამობის“ გრძნობა. ვერ გამიგია: ვინ მოიგონა ეს, შვილმა უთუოდ უნდა განაგრძოს მამის გზა ან მისი აზრების მემკვიდრე გახდესო, მამების უდიდესი აზრები სწორედ ხორციელად შორეულთ გაუვრცელებიათ მიწაზე მუდამ.

როგორი ცრუმორწმუნენი არიან ადამიანები, ჩემო! თუ ჩემი აზრი ვინმემ არ გააგრძელა, ისე მე პური ვერ მიჭამია. ჩემს იდეებს ოცი ათასმა კაცმაც რომ ტაში დაუკრას, მერმე მე რაო? მე ვგრძნობ წინასწარ, რომ ჩემი ნაგებობის ადამიანი აწი არ დაიბადება და არც ჩემს იდეებს გაჰყვება ვინმე, მაგრამ ამისათვის შავებს არ ჩავიცვამ.

ეჰ, სისულელეა, ამ მყინვარებისა და პლანეტების პირისპირ ასეთ ამბების გამოკიდება. ლოფორთქინას ამბავია, საცოდავი ლოფორთქინას სარბიელის ამბავი. ერთ ციდას გაივლის ლოფორთქინა, მერმე ვინმე ქონდრის კაცი გამოივლის და გასრისავს ტერფით. მშვიდობით მაშინ ლოფორთქინა და მისი ხუხულაც“.

ავტორის შენიშვნა:

აქ გამოშვებულია რამდენიმე სტრიქონი, რადგან ვერ ამოვიკითხე.

„...

„...არც ისაა სწორი, თითქოს გენიოსურ აზრს უფრო მეტი ზეგავლენა ჰქონდეს ყოველთვის, ვიდრე ხიშტის წვერსა ან ჰაუბიცის ვაზნას. უდიდეს მთავარსარდლებს და დესპოტებს ჯიხვის რქასავით მოუდრეკიათ ხოლმე უშესანიშნავესი გენიოსი თანადროული.

კაცობრიობა ზოგჯერ დესპოტების ჯოხსა და მახვილს უფრო მოკრძალებულად შესცქეროდა, ვიდრე გენიოსის კალამს ან დიდ მხატვრის ყალამს. და ბნელ ინსტინქტებს გაცილებით ადრე შეუგდიათ ბურთი ლელოში, ვიდრე ხელისხელსაგოგმანებელ ჭეშმარიტებებს.

და მე მგონია: მეფეების, მთავარსარდლების და დიდი გენერლების ისტორია, ალბათ კაცობრიობის ისტორიაც ზოგჯერ მუცელზე მხოხავი ისტორიკოსებისა და მემატიანეების მოჩმახული ამბავია.

ფუჯ, ფუჯ, აქაც ამომიყვანეს ეს იდეები, ეს აბეზარი ჭრიჭინები. ვიჯმნი ეშმაკისაგან...

* * *

დღეს საღამოს გამოიდარა, შეუდარებელი იყო მხის ჩავლისას კავკასიონი, ლაინის ფონზე ვარვარებენ მყინვარების ბროლის კოშკები.

აქ ლოყებს ელამუნება თეთრი, სპეტაკი მარადჟამობის უკვდავი სუნთქვა. მათ შემხედვარეს მავიწყდება საწუთროება და ჩემი სული იტვირთება ტკბილი მითებით. შესცქერი ამ ყინულის გოლიათებს ცაში დაკიდულთ, გჯერა: მიწაზე არასოდეს არვინ მომკვდარა.

დევის ქვაბიდან ათი წუთის სავალზე ერთი უზარმაზარი ქვაა, ძერასფერი ქვა, პირამიდის დარი. არსაიდან ჩანს, საიდან გაჩნდა იგი ამ ტაფობზე; მთები შორსაა ჩაბნელებულ ჭიუხებს გაღმა, არ სჩანს, რას მოსკდა ან საიდან მოიტანა იგი მეწყერმა, ასე უთვისტომო და მარტოხელა?

ციდან ჩამოვარდნილსა ჰგავს ეს ქვა და შესაძლოა, ამიტომაც მიყვარდეს მე მასთან ყოფნა. ყოველთვის მის ფერხთით ვისვენებდი ნადირობისაგან მობრუნებული. კარგა ხანია დაათოვა და შეისუდრა თეთრად ეგ ძერასფერი გოლიათი — ჩემი ძმობილი.

მე ისე დავუმეგობრდი ამ ქვას, თითქოს ერთ დღეს ვყოფილიყვეთ ჩვენ გაჩენილი ამ მყინვარების საუფლოში, მე და ეს ლოდი. განუსაზღვრელად გულს მიმშვიდებს მისი შეხედვა. ამას წინად ქარბუქს ნამქერი შემოეცალა და კვლავ უჩვენა პირი ქვეყანას ძერასფერმა ჩემმა ძმობილმა. მივეახლები, ფერხთით დავუჯდები.

არ გკითხავს, რა გქვია, რა გტკივა, როდის მოხვედი ან როდის მიხვალ? იგი ცივია, როგორც იდეა მარადჟამობისა, იმედიანი და უეჭველი, როგორც სიკვდილი.

ასე მგონია, აქ ჯდებოდეს დილაობით თვით სვანური ღვთაება დალი, აქ უკრავდეს იგი სალამურს და უხმობდეს ჯოგებს ჯიხვისას.

გულზე მშვიდობა მეფინება მე მისსა მჭვრეტელს და ასე მგონია, მე ვიყვე თითქოს ნამუსრევი მისი სულისა.

ღამე მშვიდობისა, ძვირფასო ფრაუ, პატარა თათია დამიკოცნეთ და ბედდამწვარი ლუკაია ლაბახუა მომიკითხეთ.

P.S. თუმცა არა, ლუკაიას არ გაუმხილოთ ჩემი აქ ყოფნა, თორემ ვიცი, გაახარებდა, რომ ცოცხალი ვარ და მთელს ქვეყანას მოსდებს, სვანეთში რომ ვიმალებით.

მარადის თქვენი
თარაშ ემხვარი“.

„ჩემო ძვირფასო კაროლინა!

ერთი ფრიად სანტიმენტალური ამბავი უნდა მოგითხროთ. თქვენი კეთილი გულის ამბავი ვიცი, ძლიერ მოგეწონებათ იგი. წინა წერილებში გიამბობდით, თუ როგორ წაიჩხუბნენ ქვაბში არზაყანი და კაც ზვამბაია. არზაყან უთენია ამდგარა და საურიც მას აჰყოლია, მე შენიშნული მქონდა: არზაყანი და საური ძმად შეეფიცნენ ურთიერთს. ერთხელ მივუსწარი, საურმა თავის მოვერცხლილ სატევრიდან მოსთალა ვერცხლი, არაყში ჩაჰყარეს და დალიეს. ეს ძმადშეფიცვის ნიშანია სვანეთში.

ყველას ტკბილად გვეძინა ქვაბში. კაც ზვამბაიამ არზაყანი მოიკითხა. რა ვეღარ ნახა, გაცოფდა, ათასი ჭრიჭინა გაუჩნდა ბერიკაცს თავში. ყველა გაგვაღვიძა. ახლა საურის საწოლს მიაკითხა თემურმა. ვეღარც საური ნახეს. თემური ოდნავ დამშვიდდა, როცა სანადირო გუდები თან წაღებული აღმოჩნდა.

ხომ ასე აუტანელია კაც ზვამბაია, იგი ფრიად მოყვარული მამაა. გაგიჟებით უყვარს არზაყან. სიცოცხლეს უმწარებს, მაგრამ როცა მის ვაჟს რაიმე საფრთხე მოელის, იგი წონასწორობას ჰკარგავს სავსებით.

და მოჰყვა წუწუნს ბერიკაცი. წუხელ ცუდი სიზმრები მქონდა, ალბათ არზაყან დაიღუპებაო უთუოდ, შეიძლება ნადირობა ნადირობით წავიდნენ, მერმე კავკასიონი გადალახონო.

მოსკოვს წავაო უცილოდ არზაყან და იქ ტარბები ისევე მოჰკლავენ, როგორც მალაზონია მოჰკლესო მოსკოვში. მეც არ ვეყოლებიო, რომ წამოვეშველო. დაზაფრული დაჯდა კერასთან, აძაგებს საკუთარ თავს. სიცოცხლე გავუმწარეო ბედშავს, მაგრამ მე მისი სიყვარულისაგან მომდისო ეგ.

ასე იჯდა ცეცხლის პირად მთელი დღე, ოხრავდა, სათოფურებიდან უთვალთვალებდა, უცდიდა არზაყანს, და როცა დაღამდა,

მთლად აუტანელი გახდა. პირდაპირ მოსთქვამდა ბერიკაცი. გადაწყვეტილი ჰქონდა: ალბათ ტარბები დაუხვდნენ და დახოცესო არზაყანი და საური.

იმ ღამით თემურიც შეშფოთდა. უთენია ავდექით, წრიაპები გავიკეთეთ, მუჯრები მოვიმარჯვეთ და შევუდექით გაყინულ ბილიკებს. დევის ქვაბიდან ახალ კვალს მივსდიეთ, მხარმარჯვნით წაგვიყვანა ნატერფალმა. ცხადი იყო: სანადიროდ უნდა ყოფილიყვნენ წასული.

როგორ შემიძლია ყოველივე წვრილად მოგითხროთ, რაც იმ დღეს ჩვენ გადაგვხდა. ორჯერ დამიცურდა მუჯრა და ლამის არ იყო, ხევში გადავიჩეხე. უნდა გამოგიტყდეთ: მოხუცებმა მაჯობეს. თემური მაინც ნამდვილი მგელია, მთის მგელი. ან კომპასი რად გინდა მასთან, ან რუკა? 60 კილომეტრი ისე გავიარეთ, გზა ერთხელაც არ შეშლია, არც მხარი აქცევია.

ყარაჩის საზღვრამდი მივაღწიეთ. სვანეთის კავკასიონის ხევხუვები ზეპირად იცის, ყოველი მთა, ყოველი ბილიკი. ათასზე მეტი ჯიხვი ჰყავს მოკლული, სამასიოდე ჯოგის თვალი. შუნებსა და ფოთრებს ვინღა მოსთვლის.

შეღამებისას რატომღაც მხარი აექცა თემურს. არ გვიმხელდა, მაგრამ მე და ჩემი მამამძუძე ვამჩნევდით, საქმე ვერ იყო კარგად. ასეთ სიცივეში აქ ყინულზე ღამის თევა უეჭველი სიკვდილია, არც მონადირეთა სახუნდარი, არც ქვაბი სჩანდა სადმე. არც ადამიანი, არც სხვა სულიერი შეგვხვედრია.

ერთი ძერა შემოგვხვდა. თვალი გავადევნეთ, და ჭიუხში ჩაფრინდა ძერა. კაც ზვამბაიამ თვალი გააყოლა. ბილიკი ჩაირბინა, ჭიუხს გადახედა, უცებ ხელები დაიშინა თავზე. ორი ძერა ორი კაცის ლეშს სძიძგნიდა. აქვე ორი ცალი ვაზნა ვნახეთ თოვლზე დაგდებული. აიჩემა კაც ზვამბაიამ, ეს არზაყანის ბერდანის ვაზნააო, ახირდა ჩემი მამამძუძე, უთუოდ არზაყანი და საური მოუკლავსო

ვიღაცას.

ცოტა არ იყოს, ჩვენც შევშფოთდით, მაგარი ეს იყო: ჩვენ ისეთ ფლატედან დავინახეთ ეს სურათი, სამი კილომეტრი უნდა გაგვეარა და მერმე შევყოლოდით ხევ-ხევ; ვიხოხიალეთ, ვიხოხიალეთ, ვიარეთ, ვიარეთ მიველით, ვნახეთ: ორი სატევრიანი მონადირე იწვა პირაღმა მკერდგანგმირული.

თემური დააცქერდა. თავზე ხელი შემოიკრა. ერთი მათგანი მისი სახლიკაცი აღმოჩნდა, მეორე ამ კაცის მოსისხარი. ნადირობის დროს შეხვედროდნენ ურთიერთს და ზედ შეკვდომოდნენ...

თემურმა გვიამბო: ოცი წლის წინად დაღვრილ სისხლს მოჰყოლია თურმე ეს შეტაკება. ასე უსაზმნოდ დაღუპულა ეს ორი ვეფხვივით ვაჟკაცი.

განვაგრძეთ გზა, სხვა საშველი არ იყო, უნდა გვეარნა. მთა გადავიარეთ ერთი. მერმე ისევ ხევ-ხევ ვიარეთ და ბოლოს ერთ სოფელში მოვედით სვანეთის უკიდურეს საზღვარზე. აქ კი თემურსაც შეეპარა შიში, ორივე მოხუცი სასოწარკვეთილებამ მოიცვა. კაც ზვამბაიას მაინც დანა პირს არ უხსნიდა. დაუბრებულსავით მოგვყვებოდა, უკან გვრჩებოდა.

უცებ ერთ თხემს გადავადექით.

ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაგვახარა მთის კალთებზე შეფენილ სვანური კოშკების დანახვამ. უცნაური სანახავი იყო ეს თეთრი კოშკები ამ ხასხასა მთვარიან ღამეში.

გაღმა-გამოღმა მთა იყო, ორივე მწვერვალზე ქართული ციხეკოშკები იდგნენ ქონგურებჩალეწილნი, ისეთ თვალუწვდენ სიმაღლეზე, რომ მათ აგებას უთუოდ ქაჯებს მიაწერდა მნახველი. ორივე მთის კალთაზე ორი ძველთაძველი ეკლესია იდგა. სტოას თაღებიდან გადმოგვცქეროდა იქ დამკვიდრებული სიბნელე. შუ-

აში რამდენიმე თავმომსხვრეული სვეტი იდგა, ოთხკუთხედ გალავნებს მომცრო ციხეები დარაჯობდნენ, გრიგალებს, წვიმებს და საუკუნოებს ხელჩაკიდებულად ეთარეშნათ აქ. გარშემო სიჩუმე და რღვევა სუფევდა, სდუმდნენ იავარქმნილი ქონგურები, სათოფურები და ბასტიონები. საშინელ სიმაღლიდან ჩამოცვენილი კაპიტელები ეყარნენ ჩვენს ფერხთით, თლილი ქვის ფიქალები და დამსხვრეული სვეტების თავკიდურები.

მთვარის მოთეთრო კაშკაშზე თეთრად ელავდა თოვლი და თოვლზე უთეთრესი ქვის შენობანი.

მცირე მანძილი გავიარეთ, კიდევ ერთი ეკლესია შემოგვხვდა, ძველებური ბაზილიკა და ერთიც მარტოხელა სამრეკლო.

სოფელში შევედით. გვეუცნაურა: არც ძაღლის ყეფა, არც ადამიანის ჩქამი ისმოდა. მდუმარედ იდგნენ თეთრი კოშკები, თვალგამოღამებული სათოფურებიდან უენო ბნელი შემოგვცქეროდა.

შემზარა ამ მკვდარი ქალაქის შეხედვამ. ასე მეგონა, სიზმარეთში მოვედით-მეთქი. გათოშილნი და დაქანცულნი სვანის გულუხვობას და სიტფოს შევხაროდით, აქ კი სიცივე და დუმილი დაგვიხვდა მასპინძლად.

შარებს დავაკვირდით, ჯერ ადამიანის ნატერფალსაც არ გაეტეხა თოვლი, საკომურებს ავხედეთ. არსაიდან კვამლის იოტიც არა სჩანდა. სდუმდნენ ბნელთაღიანი ეკლესიები და თეთრი კოშკები. ეს დუმილი აუტანელი გვეჩვენა ამ „მკვდრების ქალაქში“.

მე წინ მივდიოდი და გულის ფანცქალით მოველოდი, რა მოხდებოდა. თემურს დავკითხე და ასეთი სოფლის არსებობა არც მას ჰქონდა განაგონი. ეს გასაკვირიც არაა, რადგან ჩვენ უკვე სვანეთის მიჯნაზე ვიდექით.

ვფიქრობ: სად მოვედით? სიზმარია, თუ სიცხადე ეს ყოველივე და ამ დროს ერთი თეთრი თეთრწვერა, გამხდარი, მაღალი კაცი გამოჩნდა თოვლის ფონზე.

თქვენ იცით, მე ცრუმორწმუნე ვარ და შევკრთი უეცრად. სულეთიდან გადმოხვეწილი სტუმარი ხომ არ არის-მეთქი? ეს გავიფიქრე. სული მომესწრაფა, ადრე გამეგო ხორციელი იყო თუ მოჩვენება? გამარჯვება-მეთქი, მივაძახე შორიდან თეთრწვერა, თეთრჩოხიან და თეთრქუდიან მოხუცს.

ხმა არ გაიღო და ჯიქურ წამოვიდა ნელი ნაბიჯით ჩემსკენ.

მამაკაცს მამაკაცის სიახლოვეს მუდამ რცხვენია შიშის გამხელის. კაც ზვამბაია და თემური რომ არ მხლებოდნენ, უთუოდ გავიქცეოდი, სიმამაცე მოვიკრიფე და აღარ მახსოვს, როგორ მივედი იმ კაცთან. ხმის ამოუღებლად მომიახლოვდა ეს ჭოლოკივით ალანძული, ხმელი კაცი, თავზე წამომადგა.

სატევარი შევნიშნე წელზე, შავტარიანი და ამ სატევარმა ჩამიდგა გულში იმედი. რადგან მე არსად გამეგონა, არც წამეკითხა, მიცვალებულთა სულებს იარაღი რომ ჰქონოდეთ ზედ. მერმე სვანურად მომესალმა ეს მშვიდი კაცი, და ამან ისე გამახარა, მე მზად ვიყავი გადავხვეოდი მას.

გამარჯვება-მეთქი, გავიმეორე, ახლა უფრო ხმამაღლა.

„გამარჯვება ნუ მოგაკლოს ღმერთმა“.

მიპასუხა მანვე ქართულად და თავისი გრძელი, ბალნიანი, გამხმარი ხელი ხელში შემომაჩეჩა. ამასობაში თემურმა და კაც ზვამბაიამაც მოაღწიეს.

თემური სვანურად გამოელაპარაკა.

ორი ახალგაზრდა მონადირე ხომ არ შეგხვედრიათო სადმე, ჰკითხავდა. მოხუცმა თავი დაუქნია. გაიღიმა. ორი მონადირე მართლაც შეხვედროდა მის ვაჟებს დევი ბაჩართან, შინ წამოეყვანათ. ესაა მხოლოდ, გვარები არ ვიციო. ნიშატები გამოვკითხეთ. მოხუცის ნათქვამიდან სჩანდა, ისინი უნდა ყოფილიყო. მოდი და ნუ გაოცდები, შემთხვევის უცნაურობას რომ დაუფიქრდები.

კაც ზვამბაია გადაეხვია მოხუცს ისე, როგორც ძმა ძმას გადაეხვევა, ჯერ მარჯვენა მკერდზე აკოცა, მერმე მატყლივით სპეტაკი წვერი დაუკოცნა. კიდევ გავიარეთ ოციოდე კოშკის შემოგარენი და ძაღლების ყეფა შემოგვესმა. პირველად გამახარა ძაღლის ყეფამ სვანეთში. რადგან აქ ისეთი ავგულა ძაღლებია, ღმერთმა გაშოროს მათი სიახლოვე. მოხუცი ერთ კოშკთან შესდგა და ჰეჲო დაიძახა.

სამმა სატევრიანმა თავი გამოჰყო სვანურ დარბაზიდან. ჰეჲო შემოგვძახეს.

კაც ზვამბაია არზაყანს მივარდა. ეს პირველად ვნახე, ასეთი გრძნობიერება გამოეჩინოს ჩემ მამამძუძეს. თვალები დაუკოცნა ვაჟს. ოჯახის ოციოდე წევრი წამოიშალა ჩვენს დანახვაზე. ისე მიგვიღეს, როგორც ოჯახის გადაკარგულ შვილებს მიიღებენ ხოლმე, უცხოეთიდან შინ მობრუნებულთ.

ფეხები ტფილი წყლით დაგვბანეს ახლად მოსულებს. ფეხის ბანაც მოთავებული არ გვქონდა, გატყავებული თხა შემოათრია ორმა ხელებწაკარწახებულმა ჩოხიანმა.

თეთრწვერა მოხუცი მახვშის საკარცხულზე დაჯდა და საუბარი გაგვიბა სტუმრებს. ისეთი ტკბილი, ტკბილი ხმა ჰქონდა ამ მოხუცს, ასე იტყოდით, თაფლი ამოსდის პირიდან.

მე ვეღარ მოვითმინე და ამ სოფელში დამყარებული სიჩუმის ამბავი გამოვიკითხე, უწინარეს ყოვლისა. ეს სოფელი მთის გადაღმელებს ამოუწყვეტია ასი წლის წინად. ვიღაც ამ სოფლელს მკლავში ხელი წაუვლია მთის გადაღმელების პატარძლისათვის. ამ ამბავს აყოლიან ლამარიობის დღეს ეკლესიის ეზოში, მერმე თავს დასხმიან ამ სოფელს და დედაწულიანად ამოუხოციათ. აკვანში მწოლარენი და რამდენიმე დახუთული დედაბერი დაუზოგავთ მხოლოდ.

მერმე ობლები წამოზრდილან. ორმოცდაათი წლის შემდეგ

სისხლის ფასი — „წორი“ აუღიათ დაზარალებულთ.

მე მახსოვსო, ამბობდა მახვში, ხუთასი ქუდი რომ წამოვასვენეთ გადაღმიდან, ხუთასი ვაჟკაცის ნიშანი. ორივე სოფლის დედაკაცები შავებიანი და თმაგაშლილი მოსდევდნენ მოზარეებს. წინ ქუდებს მოასვენებდნენ.

აქ შემოვიტანეთო უპატრონო ქუდები სოფელში, ახლაც მაჟრჟოლებსო, ამბობდა მახვში, როცა ამ საშინელ საღამოს გავიხსენებო.

სუფრა გააწყვეს და არყის სმის დაწყებამდის სამახვშო კათხა გაივსო მახვშმა. ადგა. თავის უფროს ვაჟს მურზას მიაშვირა, სატევრით ყურწაჭრილს.

„ამ ვაჟკაცს ხომ ხედავთ, ჩემო სტუმრებო, — სთქვა მახვშმა.

მურზა ჰქვია მას, ჩემი ერთადერთი ვაჟია, ხუთი მოსისხარებმა დამიხოცეს, რაც ახალგაზრდობაა ჩემს სახლში, ყველას მამაა მურზა“.

მე გადავხედე კერის გარშემო დამსხდარ ვაჟკაცებს და ფეხზე მდგარ ქალებს.

ცამეტი სატევრიანი დავითვალე, სამი ქალი, სამივე ერთიმეორეზე უფრო ლამაზი, ქერა და თვალჟუჟუნა, ორ მათგანს ხეჭეჭური მსხლისოდენა ჩიყვი ჰქონდა.

„მურზა ერთადერთი იყო, რატომღაც ომში წავიდა მოხალისედ. იარაღის მოყვარული კაცია და ალბათ ამიტომ. გერმანიის ფრონტზე თავი უკრეს. ბევრი ინანა, მაგრამ ჩემ შვილებს ზურგის ჩვენება არც ერთს ყვარებია. ბევრი იომა, სამჯერ დასჭრეს“.

მე კიდევ შევხედე მურზას. იგი წარამარა აპარპალებდა თვალებს, წარბები უთამაშებდნენ. ლაპარაკის დროს ნერვიულად ჯღანავდა სახეს, ეტყობოდა კანტუზია ჰქონდა.

მახვშმა დიდხანს ილაპარაკა და მე მოკლედ მოგიყვებით:

ერთხელ ავსტრიელებთან შეტაკების დროს, მზვერავთა უფროსად გაუგზავნიათ მურზა ერთ ტყეში, კარპატების მახლობლად. იმ ტყეს თურმე არტილერიის ცეცხლით იღებდნენ გერმანელები და ავსტრიელები. ტყეში შესულან, წვიმას მოუსწრია და უკან ვეღარ გამოუგნიათ საშინელი ცეცხლის გრიალი შეუნთო არტილერიამ ტყეს. ასწლოვანი მუხები ლელივით იკეცებოდა თურმე, ყუმბარები სკდებოდნენ და ნადირების ბღავილი, ხეების ლიწინ-ლიწინი სმენას უხშობდა მზვერავებს.

საითკენაც არ გააქანეს ცხენები, ყველგან ყუმბარები ეცემოდა. სამი რუსი მოუკლეს მურზას, ორი ქართველი. ბოლოს მურზასაც მოხვედრია შრაპნელი და არტილერიის ცეცხლით გამოკაფულ ახოში წაქცევია ცხენი.

წევს ცის ქვეშ ბედშავი მურზა და მოელის ხსნას, ხსნას კი არა, რომელიმე ჰაუბიცის ყუმბარას. შეჰყურებს სასიკვდილოდ დაკოდილი მხედარი სიკვდილს და იგი სულ ახლოსაა. რამდენიმე ნაბიჯზე ფესვებიანად გლეჯენ ჰაუბიცები გადაჩეხილ ხეებს. წევს მურზა და უცდის გათენებას, გათენებასა და სიკვდილს.

უცებ ჩამოიარა ჰუნგრელების პატრულმა. დაწინაურდა მათი მეთაური. დაადგა თავზე ცხენიანი კაცი. ჩამოხტა, უკან შეისვა ცხენზე და თავისიანებთან წაიყვანა.

იმ დღიდან არ მოუცილებია იმ მეთაურს მურზა. ძმადნაფიცსავით უვლიდა.

„ამ უცნობმა კაცმა სიკვდილს გადაარჩინა ჩემი შვილი, — ამბობს მახვში, — ამიტომაც, რაც მურზა დაგვიბრუნდა, ჩემს ოჯახში პირველი იმ კაცის სადღეგრძელო ისმის“.

ჩვენ უსიტყვოდ გამოვცალეთ ყანწი. მურზას პატარა ქალმა პორტუბეი მომიტანა და ზედ ეწერა ჰუნგრულად: „შანდორ სეჩენი“.

მართლაც როგორი მყარი ტრადიციების ხალხია ეს სვანები,

ძვირფასო ფრაუ! ამ მივარდნილ „მკვდრების ქალაქში“, ამ მყინვარების საუფლოს მიჯნაზე ხუთმეტიოდე წლის მანძილზე ამ ერთი კაცის სადღეგრძელოთი იწყებდნენ პურობას.

ჭეშმარიტად, სიყვარული რომ არ გაჩენილიყო, სიძულვილი უთუოდ წალეკავდა ქვეყანას.

თ.ე.“

შავი მამალი

„ძვირფასო ფრაუ, თოვლი არ იძვრის, მაგრამ გაზაფხულის სუნი მოდის საიდგანღაც დევის ქვაბშიაც. მყინვარებს ლაინისფერი გადაეკრა, მრუმე ტალები დაეტყო აქა-იქ, ხევებს თვალის უპეები დაუმუქდათ და ჭიუხებში წყაროები აჩქარდნენ. ღრუბლებს სითეთრე შეემატათ მარმარისებრი. ყომრალი ფერები ღაჟღაჟებენ ცისკრის ღაწვებზე დილასაღამოს.

ატმოსფერო ეთერზე უმსუბუქესი ხდება, ანკარა ჰაერი ჩაგდის ფილტვებში და ამირანის ძალა გაწვება მკლავებში. გუშინ ტყეში ვნადირობდი როჭოზე. გულწითელა ვნახე გახარებული, სასიყვარულოდ აღებდა პირს და წრიპინებდა. სჩანს, მასაც გაზაფხული უღვივის გულში.

„წიიპ, წიიპ, წიიპ“, იძახის სადღაც, შორეულ ჭიუხში როჭო, გულის საყვარელს დაეძებს როჭოც...

იებიც გამოსულან წიფლის ძირას და შესცინიან ფირუზის ცა-

დაქნილს. დიდხანს ვიწექი ლოდზე, მზეზე ვითბობდი ყინვებისაგან გათოშილ გულს. მერმე დევის ქვაბიდან გამომავალმა გასაოცარი სურათი ვნახე. ასეთი რამე არც წამიკითხავს და არც მინახავს ჩემს დღეში. ერგასზე მეტი გველი გადახვეოდა ზვარებში ურთიერთს და მისცემოდნენ ტკბობის ორგიებს.

ჰამბურგში თუ გინახავთ ზღვის პირად დაყრილი ოკეანის გემების დაგრაგნილი ბაგირები? ასე გადახლართულიყვნენ დიდი და მცირე. ასე გადახვეოდნენ ისინი ერთმანეთს, თავები არ უჩანდათ მხოლოდ ბაგირებსავით დაგრაგნილ, დაწნულ სხეულებში ჩარგული.

მერმე აღიმართა ერთი მთავარი, კისერი ცისკენ გაიშვირა და თავი გაასავსავა, თითქოს სალამი მისცა მზის ალამს და ალაპლაპდა წყვილი ალმასი მზის ათინათზე. მას მეორე აყვა და ორივენი ახამხამებდნენ კისერს, ილოჭებოდნენ, ცისკენ, მზისკენ მიიწევდნენ, მაგრამ მათი სხეულებიც დანარჩენებს გადახლართოდა.

ახლა ოთხი ალმასი აკიაფდა მზვარეში, გამხვრეტი თვალებით შესტრფოდნენ, შეფრფინავდნენ ცას, იმ თავხედობით აღვსილნი, როგორითაც ეგებებოდნენ ისინი ბიბლიური ღმერთის უნიჭო მრგვალ სახეს.

ნახევარი საათი მოვდიოდი თავჩაღუნული. ახლა მეორე სურათს გადავაწყდი ასეთსავე საოცარს.

მეწყერისაგან დალეწილი მთა არის აქვე მახლობლად, როცა ამ მთას შევხედავ, დანტეს ჯოჯოხეთი მაგონდება, დორეს ილლუსტრაციით წარმოდგენილი. უზარმაზარი მთა დაულეწია, არ ვიცი ყინვებს, გრიგალებს თუ ვულკანურ მეწყერებს.

ფენებად დაყოფილი ნამსხვრევები დაყრილია ირგვლივ, როგორც ბერძნული ამფითეატრის საფეხურები. ქვევით, თვალუწვდენ სიღრმეში ჩახერგილია ნამსხვრევებად ქცეული ლოდების

ნამუსრევი.

დამსხდარან როჭოები ერთ ადგილას გაღმა-გამოღმა. ცალკერძ დედლები, ცალკერძ მამლები, გამოდის ორი მამალი წრიდან, ყოველი მათგანი გაიფუყება, წრეს ჩამოუვლის ამპარტავნულად, მერმე გადასცდება საკუთარი ფრთებით მონახაზ წრეს, მიეჭრება მეტოქეს, ეძგერებიან ერთმანეთს მკერდით, მერმე დაქოჩრავენ ერთიმეორეს, გალახავენ ფრთებით, ჭანგებით შეახტებიან ერთმანეთს, ჩაუნისკარტებენ, დაასისხლიანებენ, მერმე გამარჯვებული მამალი დაერევა დედლებს, დაქორავს და დაპეპლავს...

დამარცხებული არავის უყვარს და არც როჭოებს ყვარებიათ იგი. გააგდებენ შერცხვენილ მამალს, მოფუყული და ფრთებდაშვებული ქვაბის ყორეში შეძვრება სადმე. ასეთი რამ თემურმა მიამბო მე ჯერ კიდევ ზამთარში და ახლა ჩემი თვალით ვნახე. კლდე მოვისაფრე, დიდხანს შევცქეროდი ამ სურათს.

მე უკვე ვატყობ, მარტოობამ ჩემს თავთან ბაასი მასწავლა. თემურმა დამიმოწმა ამას წინად, მოდიოდი და ისე ესაუბრებოდიო შენს თავს, მე მეგონა, საური მოგყვებოდაო. ვერ წარმოიდგენთ, როგორი ბავშვური, უკეთ რომ გითხრათ, შლეგური აზრები მომივლის აქ ხოლმე. მრავალი შელოცვა ვისწავლე აქ თემურისაგან. ბევრიც ლუკაია ლაბახუასგან შენაძენი მოვიგონე. თუნდაც: „ამოვიდა კაცი ზღვით, ხელდებოდა, ვითა ვეფხი“.

ცხადია, ზღვის კიდიდან აქ ამოსული კაცი უთუოდ გახელდება ამ ველური ბუნების უბეში. ხეებზე კვირტები აბორცვდნენ, მართლაც წყალი ჩადგა ხეში. ხანდახან პირქვედამხობილი ვწევარ მზვარეში და მიწის გულიდან მომესმის გაზაფხულის დვრინვა. ხან დევის ქვაბში მძინავს. ზვავები წყდებიან მყინვარების კალთებიდან დაცურვებული და ასე მგონია: ჭიუხებს შორის ბორგავსო ზღვა.

გაზაფხული მოვიდა, გულწითელას ყელიდან გადმოინთხა მისი სიმღერა, გაზაფხული მოვიდა და თავზუჩიანმა მყინვარებმა ასტეხეს გრუხუნი.

გველი მზეს შეფრინავს და როჭო — როჭოს უძახის ხევ-ხევ. ვინ იცის, ჩემთვის რას მოიტანს ეს გაზაფხული? უნდა გამოვტყდე, უდიდესი მღელვარებით ვეგებები მე მას აქ, ჩემს გვირაბში.

სვანებმა უკვე მოათავეს თხუნელების დღესასწაული. გაზაფხულის პირზე სოფლებიდან გაიკრიფებიან მამაკაცები. სანთელს და სამ-სამ კვერს თან წაიღებენ, როცა ისეთ ადგილას მიაღწევენ, საიდგანაც არც მათი კოშკები სჩანს, არც სხვა რაიმე უძრავი ქონება, დაიჩოქებენ, სანთელს აანთებენ, სამ-სამ კვერს შესწირავენ და შეევედრებიან თხუნელების ღმერთს.

საოცარია, საიდან მოდის ეს ბნელი მისტერია? (მე აღარ ვწერ უკვე კოლხურ ფეტიშიზმისათვის. ან ვის რად სჭირია? ფანქარი უკვე მითავდება, კიდევ კარგი ეს ბარათი თუ მოვათავე).

ვზივარ შუაღამეს დევის ქვაბში. ამ ბარათს გწერთ და ისევ გრუხუნებს გაზაფხული შორს ჭიუხებში და მდუმარე მთები ბანს ეუბნებიან. გამოვა სადღაც გვირაბიდან სპილენძისფერი მთვარე, აბრეშუმის ბლონდით შეუმკობს შუბლს მყინვარწვერებს, მერე ისევ შევა სადმე თავის ბნელ გვირაბში.

და ასე გვირაბიდან გვირაბამდის დაჩოჩავს მთვარეც, როგორც ყოველივე ამ დედამიწაზე.

ასე მიღოღავენ ჩემი დღეები. ამ გვირაბიდან რომ გადავიხედავ, არც უძრავი ქონება მოსჩანს ვინმესი, არცა მოძრავი, ნაძვის კვარს ვანთებ და მინდა თხუნელების ღმერთს შევევედრო, იმ სახეძაღლს. ამ დევის ქვაბში მომითავო ეგების ხელი.

გადაშლილა ჩემს წინაშე ბედისწერის ჩემისა წიგნი. ვფურცლავ, მაგრამ მე ხომ თხუნელა ვარ, ბეცი თხუნელა.

შესაძლოა, ცოტა რამე მისგან მანსხვავებდეს, უკან მოხედვის

ნიჭი მაინც.

ვზივარ ჩემს ქვაბში და ვოცნებობ. მთელი ჩემი ცხოვრება მოსჩანს აქიდან. როგორ მოიქცა იგიც მთვარესავით ბნელ გვირაბიდან ბნელ გვირაბამდის. მე საოცარი მეხსიერება მქონდა მუდამ, მაინც შემეცნების პირველი ცდანი მინდა მოვიგონო. დედაჩემმა ერთი ჩინური ჯამი მიყიდა რძის სასმელად. უბრალო ბამბუკის წითელი ჯამი. მახსოვს, იმ ჯამზე შავი მამალი ეხატა. ისე ცოცხლად მეჩვენა იგი, მახსოვს, ხელი წამოვუსვი ჯამს ფსკერზე ბალღმა. ასე მეგონა, ცოცხალიაო შავი მამალი. მერმე დარჩა ჩემს ხსოვნაში ეს სისხლისფერ ბიბილოვანი შავი მამალი.

ძვირფასო ფრაუ, მე თითქმის ყველა წერილი შენახული მაქვს, რაც კი მოგწერეთ მახვშის კოშკიდან. მაგრამ სანამდის ცოცხალი ვარ, ვეჭვობ, ეს ბარათები გამოგიგზავნოთ. შესაძლოა, აქ სადმე ჩამაძაღლონ კიდევაც ტარბებმა ხევში. მერმე იპოვნოს ვინმემ ისინი და გადმოგცენ. დეე, ასე მოხდეს.

Aprés moi déluge'.[35]

და ვხედავ, ახლაც თვალწინ იმ შავ მამალს, სისხლისფერ ბიბილოვანს. სწორია! ბავშვობის შთაბეჭდილებანი უპირატესი ყოფილან თურმე. არც საქართველოში, არც ევროპაში მოგზაურობის დროს, არაფერს ისეთი დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია ჩემს ფანტაზიაზე, როგორც იმ მამალს, რძის ჯამზე პირველად ნახულს.

დეე, ეს ბარათი ჩემი უკანასკნელი აღსარება იყოს, თქვენ ისეთი დიდი და სათნო გული გაქვთ, კიდევაც რომ წაიკითხოთ იგი, მომიტევებთ და შემიცოდებთ (თუმცა მე არ მიყვარს, ვინმე როცა შემიცოდებს ხოლმე).

[35] ჩემს შემდეგ თუნდა, წარღვნა მოსულა.

ეს შავი მამალი თან სდევდა ჩემს ცხოვრებას, როგორც წინაპართა ჰერალდიკის მაღალი გერბი. ვინ იცის, ეგებ წინაპართა სისხლის ემანაცია მეხილოს მე იმ ჯამის ფსკერზე. თუ აქ მოთხრობილის გამო ვინმემ გამკიცხოს, ეგეც სულ ერთია, რადგან მე უკვე ისეთ საფარში დამიშენენ ისრებს, სადაც აღარ ვიქნები უკვე.

მე ვგრძნობ, ამ გვირაბში კანს ვიცვლი, როგორც ლოფორთქინა თავის ხობოკვერას.

არასოდეს მე აღარ მივუბრუნდები იმ ცხოვრებას, ფუქსავატურს და გულარძნილს.

შესაძლო არის, ის შავი მამალი ბედითი გახდა ჩემს ცხოვრებაში. და ჩემი ეტლის გამრუდებაშიც მას მიუძღოდეს კარგა მოზრდილი წილი.

მაგრამ ვინა სთქვა, მაინცადამაინც სწორად უნდა იაროსო ძე ხორციელმა მიწაზე? იდეალური სწორხაზიანობა ბუნებაში არც კი არსებობს. ტეხილი ხაზები აქვს ამ მყინვარებს, ამ კრისტალებს და ტინის ფენებს. ბუნებაში პირუკუ ხდება, ყოველივე სპირალურად მოძრაობს და ვითარდება. სწორხაზიანობა — ეს მათემათიკოსების ვარაუდია მხოლოდ.

და ასე: ეს მამალი ათენებდა ჩემი ცხოვრების დილა-საღამოს. მის ჟინმორეულ ყივილს მივყვებოდი ქვეშეცნეულად. აქ სხვა რამეც საგულისხმოა. გახსოვთ, ტფილისს მიახლოვებულს რომ მისაყვედურეთ: ცივილიზაციისაგან წაბილწული ხართო. მაშინ ყოყმანითაც გიპასუხეთ და ახლა ვაღიარებ: თქვენ მართალი ხართ, ცამდის მართალი.

ეს დასავლეთური სუპერეროტიული, სნობისტური ცივილიზაცია უთუოდ რყვნის ადამიანის სულს.

რა დიდი ადგილი უჭირავს, მართლაც, ევროპულ ხელოვნებაში ქალს. მე მგონია, აქაც ქრისტიანიზმის ფემინისტური ზეგავლენანი მჟღავნდებიან. ქრისტეანიზმმა ქალის პერსონა შემოიყვანა

სამებაში და აქიდან დაიბადა ეს დანტესებური, გოეტესებური „მარად ქალურის“ გადაჭარბებული მეხოტბეობა.

მილლიონი მადონა მხატვრობისა და მრავალი მილლიონი „მარიას ლექსები“ პეტრარკადან დაწყებული რაინერ მარია რილკემდის.

ქალი იყო დღემდის ევროპული ხელოვნების თითქმის ერთადერთი, უცვლელი მუზა, იგივე ითქმის მხატვრობის, მუსიკის და ხუროთმოძღვრების მიმართაც. და ყველაზე მეტად ქალურმა ნაციამ ევროპაში თავისუფლების ემბლემაც ქალის სახით აღმართა პარიზში. დღესაც მთელი დასავლეთური ცივილიზაცია გადაჭარბებულად ხაზს უსვამს ამ მარადჟამულ ქალურობას.

თქვენ როგორ გგონიათ, მამაკაცთა განმამაკაცების ნიშანი ხომ არაა ეს? ძველი ბერძნული კულტურა გაცილებით უფრო ვაჟური იყო, ვაჟი აპოლონი ითვლებოდა სინათლისა და სილამაზის ღმერთად და ვაჟს უმღეროდა უპირატესად მთელი ბერძნული პოეზია და მხატვრობა...

* * *

შეღამებულზე ვზივარ ხოლმე ჩემს გვირაბში და ვფურცლავ ბედისწერის წიგნს. ხანდახან ჩემი საყვარლების სილუეტები გაიელვებენ.

მე არას ვიტყვი გერმანელი „შატცების“ — პატარა „საუნჯეების“ და ფრანგი გრიზეტების[36] გამო, ისინი მრავალნი იყვნენ და ისე ჰგავდნენ ურთიერთს, მათი სახელი და გვარი აღარ მახსოვს. ყველას შეიძლება ელზა, ემმა ან ანრიეტე დაარქვა, არც თავათ ჰქონდათ დიდი პრეტენზიები, თავიანთ დიდ სიყვარულს ერთ ჭიქა შოკოლადზე ჰყიდიდნენ. მე მათ ისევე ტლანქად ვექცეოდი,

[36] (ფრანგ.) დაბალი წრიდან გამოსული გოგონა.

როგორც სვანი თავის ცოლს. განსაკუთრებით მაშინ, როცა ჯერი შეეშლებოდათ, უპარდონოდ გავაგდებდი ჩემი ბინის ტალანიდან, აჰ, ეს პატარა და საცოდავი ქალები! რამდენ მათგანს ცრემლმორეული გავუცილებივარ ევროპის უთვალავ სადგურებზე და თვალდაწითლებული დამიტოვებია ისინი ბაქანზე. მაგონდება დიდი ქალაქის ყვავილებით შემკული რკინის აივნებზე და თეთრფარდებიან ფანჯრებთან მეოცნებე ქალები, უცხოეთის პრინცებს რომ მოელიან, პირველ შეხვედრილ მოხეტიალეს დაეკიდებიან ხოლმე კისერზე. ასე გაბრუებული არიან ისინი ბულვარული რომანებითა და სანტიმენტალური ლექსებით, მე სატანურ სიამოვნებას მგვრიდა მეგობარ ქალებს შორის შფოთის ატეხა, მიყვარდა, როცა თავის დას თმით რომ დაითრევდა დაჯ ან გულითადი ამხანაგები დაკაწრავდნენ ერთმანეთს კატებსავით ჩემს გამო.

განუზომელად მიყვარდა გულმოწყალე მადამების ქმრების გაპამპულება. მიუნხენში ერთი პროფესორის ოჯახში დავდიოდი. ეს გამოჩერჩეტებული პროფესორი მირეკავდა ცოლის მაგივრად, ლუიზა მოწყენილია, გამოიარეთო. როცა სადმე მივდიოდი, მას მოჰქონდა ყვავილები, ლუიზა თუ ვერ გამაცილებდა სადგურზე.

მეცინება, ამ „კულტურულ“ ქმრებს როცა ვიგონებ, ერთი გერმანელი მაიორი ტელეფონით მიკლებდა: ანტონინა გთხოვსო ხუთი საათის ჩაისთვის მობრძანდეთო. დაჯდებოდა და თავის უნიჭო ლექსებს მიკითხავდა, მერმე გაახსენდებოდა, პრეფერანსის სათამაშოდ რომ აგვიანდებოდა, ბოდიშს მოიხდიდა და გაგვეცლებოდა.

ტკბილად ვიგონებ ამ გულმოწყალეთა ალერსს და მათი „მოშინაურებული“ ქმრების „მამობრივ“ მზრუნველობას.

მე მაინც ჩემი მამლის ყივილზე ვფხიზლობდი. უგულოდ, შეუბ-

რალებლად გადამილახავს ყოველთვის ქალთა სქესის მიერ ოსტატურად დაგებული მახეები, რათა ცოლქმრობის უღელში თავი არ გამეყო და მარტოკა ამოვსულიყავ ამ დევის ქვაბში.

ბარონესა მანსტოიფელ მაგონდება, ბალზაკის ჰასაკში გადამდგარი მშვენიერი მატრონა, თავის ქალიშვილს რომ ეჯიბრებოდა ჩემს თვალში. რედაქტორის მეუღლე ფრაუ ჰაიზე, ჩემთან ურთიერთობით რომ ახელებდა თავის პრტყელთავიან, უჯილაგო ქმარს და ასე შეახსენებდა ხოლმე მას ქმრის მოვალეობას.

ინჟენერების, ბანკირების და დირექტორების ექსტრავაგანტური, „აზიური“ ვნებების მოყვარული ცოლები, რენტების პატრონების ქვრივები, ხანგადასული ქალწულები, რომელთაც ქალწულობა მოსწყენოდათ და „ფრაუს“, „მადამის“ ტიტულისათვის ეძებდნენ კუროს, ან ხელოვნების მოტრფიალე მეცენატი ქალები, უსახელო ახალგაზრდებში „ტალანტებს რომ აღმოაჩენენ“ ხოლმე. ამ ტიპის ქალები თავათ ნადირობენ ვაჟებზე უნივერსიტეტების სემინარებში, ბიბლიოთეკებში, მხატვრობის გამოფენაზე, სალექციო დარბაზებში.

მერმე ეს რელიგიურ ექსტაზში შეშლილი შავებიანი თეოსოფი ქალები, ყოველ შავგვრემან მამაკაცში ახალი „იესოს“ აღმოჩენას რომ ლამობენ, ისინი ხორციელ სიყვარულს აძაგებენ სხვის გასაგონად, ქრისტიანულ ძმობასა და მაცხოვრის სახისადმი ტრფიალს აყოლილნი დაეძებენ სიყვარულს თეოსოფიურ კონგრესებსა და სპირიტისტულ საღამოებზე, ეს მანდილოსნები „ქრისტეს სასძლოებადა“ სთვლიან თავის თავს, თუმცა ისევე იოლი იერიშების ატანაც არ შეუძლიათ, როგორიც ყოველ ნოქარ ქალს ეყოფა.

უფრო მკაფიოდ მოსჩანს იტალიელ ელვირა ფოკინიერის მშვენიერი თვალები. ელვირა ჩიტივით ჭიკჭიკებდა ჩემს საყვარელ იტალიურს, წერტილებისოდენა ხალებით დაწინწკლული

ჰქონდა მას სახე და თეძოსთავზე იტალიური ჩენტეზიმისოდენა ხალი ჰქონდა.

ღმერთო, როგორ ეტრფოდა იგი სიცოცხლეს, მუდამ ცეკვავდა, კისკისებდა და მღეროდა. ცეკვავდა თავის პანსიონის ტალანში, ცეკვავდა, ეიფელის კოშკზე როცა ავდიოდით, ფოლიბერჟერში ცეკვავდა და მონმარტრის კაფეებში. ასე გადარეული იყო ცეკვაზე, და სადაც არ მივიდოდით, ყველგან პარტნერი გამოუჩნდებოდა (ერთხელ ერთი ამერიკელი ფაბრიკანტი გავლახე მის გამო, რადგან ცეკვის დროს ნამეტნავად ახლოს მიიკრა მკერდზე ელვირას მწიფე ატმებსავით გათქვირული ძუძუები).

ქერა იყო ელვირა, მას განუზომელად ენატრებოდა შავგვრემანი ბავშვი, მშობიარობას გადაჰყვა ერთ-ერთ კლინიკაში, და როცა ყვავილებით მორთულ კუბოში დამხვდა, მომდურავი ღიმილი შეხმობოდა ვიწრო და კაპრიზულ ტუჩებზე.

ანა-მარია ფესტნერმა შეცვალა ელვირა. კუნთებმაგარი, მკვრივმკერდიანი ანნა-მარია ფესტნერი! ფრანც შტუკის ნიმფებისა და რუბენსის ქალების ხორცი მახელებდა ფესტნერის ქალის სხეულში.

იგი მუდამ კონსერვატორიაში სწავლობდა, სიმღერას სწავლობდა, გამოცდებში იჭრებოდა და იცვლიდა ამიტომაც ქალაქებს. დრეზდენში გავიცანი, ჰაიდელბერგში ჩავსდიე, მერმე შვარცვალდში წავიყვანე. მასაც ენატრებოდა შავგვრემანი ბავშვი, მაგრამ აჩემებული ჰქონდა: ხელოვან ქალს ხელს შეუშლისო ბავშვი. მუცელი მოიწყვიტა და უპატრონოდ გარდაცვლილიყო რომელიღაც კლინიკაში.

ანნა-მარია მორწმუნე იყო, მისმა ამხანაგმა გადმომიგზავნა პარიზში მისი უკანასკნელი მშვიდობით. მწერდა: მოგიტევოსო ღმერთმა ყოველივე. შენი დღეგრძელობისათვის ვევედრეო იესოს სიკვდილის სარეცელზე.

მცირე ხანს დამამწუხრა მისმა დაღუპვამ და მერმე მომივიდა სხვა გაზაფხული და ისევ იყივლა შავმა მამალმა.

ელლენ რონსერ შემხვდა პარიზში და ეს მწუხარება გადამავიწყა.

ყველაზე მეტად სერიოზული იყო ელლენ რონსერისა და თამარ შარვაშიძისადმი ტრფიალი. აქ უკვე დიდი საფრთხე მომელოდა უთუოდ, მაგრამ ეს იყო: რონსერის ქალს ის აკლდა, რაც თამარ შარვაშიძეს ამშვენებდა და პირუკუ. გარდა ამისა, რონსერის ქალი იყო ცალ სასწორზე, ხოლო მეორეზე დედაჩემი, ჩემი ქვეყანა, ჩემი ბავშვობის და სიყრმის მოგონებანი.

თქვენ მწერდით ჯერ კიდევ ოქუმში: ვერ გავიგეო, თუ რა მოხდა ტფილისში? ან ასე უეცრად რად გაუჩინარდიო? ტფილისმა გამიცივა თამარისადმი გული. იქ გამოირკვა, თუ როგორი უფსკრული ყოფილა ჩვენს შორის. მე იგი საოცნებო ქალად მიმაჩნდა და თანამედროვე ქალი შემრჩა ხელში. არაფერი ისე არ აჩენს კაცის ბუნებას, როგორც საგნები.

და ტფილისში ნახულმა საგნებმა გაგვყარეს ჩვენ. მე ერთი წერილი მივწერე აქედან თამარს, საკმაოდ გულცივი და არასმთქმელი (არ ვიცი, მიიღო თუ არა, თუ არ მიუღია, მით უკეთესი. მე ვნანობ კიდევაც, ის ბარათი რომ გავუგზავნე). მე არ მგონია, საყვარელი ადამიანის აბსოლუტურად შეძულება რომ შეიძლებოდეს.

ეს არის ჩემი დონჟუანური სია.

შესაძლოა, მე თქვენს წინაშეც გამომეჩინოს ერთგვარი უგულობა, მაგრამ მე ვგრძნობდი, თქვენც ისევე ზერელედ მექცეოდით, როგორც მე თქვენ ყველას ერთად და სათითაოდ. თქვენ მაინც თქვენი ქმარი გიყვარდათ, თქვენი თათია და ოჯახი.

აქ ერთი სვანის ქალია, ჩემი თანამონადირის თემურის ქალიშვილი. ლამარია ჰქვია ამ ქალს. მას არც თამარის სინაზე აქვს

და არც მისი ჯიშიანობა, არც ელლენ რონსერის დიდი ექსპანსიურობა, არც თქვენოდენა სულიერი კულტურა.

იგი უბრალო, ტლანქი სვანის ქალია, ჭორფლიანი სახე აქვს და მკვრივი ძუძუ-მკერდი. მისი განიერი თეძოები თორმეტიოდე ვაჟს მიუმატებს ალბათ ქორა მახვშის მრავალრიცხოვან მოდგმას.

მე მას სიყვარულს არ განვუცხადებ, ისე შევირთავ. თემურს მოვეწონე აქ, დევის ქვაბში, თუ ბარად არ წახვალ, ჩამესიძეო.

იმ კოშკს მაძლევს მზითევად, ერთ ქცევა მიწას სახნავად, ორასამდე ჯიხვის ტყავს და ამდენსავე ჯიხვის რქას, ერთ ძველებურ ზანდუკს, ხელით ნაკეთებ ჩუქურთმებით მორთულს, სამ სვანურ სატევარს და ერთ ძველებურ საჯიხვე ჯაზაირს... (ამგვარი თოფი კარგია შორ მანძილზე სასროლად).

გზები რომ გაიხსნება, არზაყანი ტფილისს წასვლას აპირებს, კაც ზვამბაიამ თუ გაუშვა, მე ალბათ აქ დავრჩები და ლამარიას შევირთავ...

ამ წუთში, როცა ამას ვწერდი, ისევ დაიგრუხუნა მყინვარების ფერხთით მბორგავმა ზღვა გაზაფხულმა. და ასე მგონია, მყინვარებიდან თეთრ წვეროვანი ცხენოსნები ჩამოდიან და ლახტის ცემა მომესმის. წკრიალებენ ხმლები ფოლადის ტუჩებზე და ჯაჭვის ხიფთანებს გაუდის ჟღარუნი...

...

და შორს, ძლიერ შორს, ჭიუხებში, ჰყივის ისევ შავი მამალი.

მშვიდობით, ძვირფასო კაროლინა.

თქვენი თარაშ ემხვარი".

„ფუი, ლამარია!“

როგორც კი გზა გაიხსნა, თემურიც აღარ დადგა დევის ქვაბში, რადგან ყველიერის აღების კვირა მოახლოვდა. სიტყვა ჩამოართვა თარაშს, მურყვანობისათვის მახვშის კოშკში მობრუნებულიყო. სწორედ იმ დღისთვის დაბრუნდა თარაშ ემხვარი დევის ქვაბიდან. ქორა მახვშის ოჯახში ძაღლები და ბავშვები დარჩენილიყვნენ.

მოხუცი გურანდუხტი ჩალიჩობდა შინ.

ორღობეში არზაყან შეეგება. თარაშის დანახვაზე იგი ადგილიდან მოწყდა. ჯიქურ მიეჭრა თარაშს თვალებგაბრწყინებული.

„რა მოჰკალი, თარაშ?“ ეკითხება იდუმალ ტონით, მხარზე ხელი დაადო ემხვარს.

თარაშს იამა ძმობილის ეგზომ ტფილი შეხვედრა. გუდა-ნაბადი გადმოიღო და შუნის ტყავი დააგდო მიწაზე.

„სად არიან შინაურები, თუ იცი?“ იკითხა თარაშმა.

„დღეს რაღაც ხატობა ჰქონიათ, მურყვანობა, ყველა გაიკრიფა. დილიდან საურმა ამიყოლია, მომკლა არყის სმით. მერმე თავათ გაჰქრა სადღაც“.

არზაყანმა ჯიხვის ტყავს ხელი დაავლო, მახვშის დარბაზისკენ გაუძღვა ემხვარს. შესავალთან გურანდუხტ დაცუცქულიყო და ძროხას წველიდა, ხუთი ბავშვი გარს მოსხდომოდა რძით სავსე გობს, რძესა სვამდნენ.

სამი გველი გობს მოდგომოდა და ერთს ზედ კიდეზე დაედო თავი. ყველა ხედავდა ამას, არც ერთი ბავშვი ადგილიდან არ იძვროდა. არზაყან შეძრწუნდა ამის შემხედვარე. უცხო პირების დანახვაზე ორი გველი ხვიმრისკენ გასრიალდა, მესამე უკუდგა და ბავშვების ფეხებთან გაინაბა.

„ეს რა საზიზღრობაა!“ ეუბნება ხმამაღლა არზაყან ემხვარს.

ემხვარმა ხელი მკლავზე მოუჭირა არზაყანს, დარბაზში შეჰყვა. არზაყანმა მოუსვენრობა შეამჩნია თარაშს. ეკითხება:

ვის ეძებო, მისოუსტ?

თარაში აიმღვრა.

ლამარიასო.

„ლამარია ხატობაზეა წასული“.

მიუგო არზაყანმა.

„შენ არ იცი, არზაყან, სად არის ხატობა?“

არზაყანს არ სცოდნოდა.

კოშკიდან გამოვიდნენ. მცირე ხანს მდუმარედ მისდევდნენ საქონლის სკორეთი მოთითხნილ გზას. ფუნისა და წივის სუნით აქოთებული იყო ჰაერი.

„საოცარია, როდისღა მუშაობს ეს ხალხი? ამდენი ხატობა, ამდენი დღესასწაული, ღვთის დღე, მკვდრის დღე, თხუნელის დღე და, რა ვიცი, კიდევ რისი“.

სჩივის არზაყან.

„მათი ცხოვრება ასეა მოწყობილი. ადამიანმა რაც შეიძლება ნაკლებად უნდა იმუშაოს, მეტი ილოცოს და იმხიარულოს. რას ერჩი?“ — მიუგო ღიმმორეულმა ემხვარმა.

გაზაფხულის ნაზი დღე იყო. მზე მორცხვად იჭვრიტებოდა ღრუბლების მოთეთრო ბლონდიდან. მზვარეზე თოვლი გამდნარიყო. მთის ფერდობებზე აქა-იქ მოსჩანდნენ ფერწასული ტალები თოვლისა. სახნავების კიდეებთან ჯერაც სიმწვანეს მოკლებულ მოლის ბუსუსს ამოეყო მიწიდან თავი. ცარცისფერი ღრუბლები ისე მოფენილიყვნენ ცაზე, როგორც თხის არვე ტაფობზე.

თარაშ ემხვარ ოცნებობდა იდუმალ, ცას შესცქეროდა, მსუბუქი ნაბიჯით მიდიოდა არზაყანის გვერდით. თავისი ბავშვობა აგონდებოდა, როცა ისინი გაზაფხულის პირზე ჭალებში დაიწყებდნენ ყიალს.

ნერგების ყლორტები შეწითლებულიყვნენ, კუკურებიდან ამოსკდომას ლამობდა მწვანე. შესცქეროდა ემხვარი ამ სურათს. ახარებდა განახლებული ვეგეტაციის სიზანტე.

მას მარტოობა მოსწყენოდა დევის ქვაბში. სიამოვნებას ჰგვრიდა სიყრმის მეგობართან გასეირნება. არზაყანს სულ ახლოს მიჰქონდა მისკენ თავი და ისე ებაასებოდა დედამისის გაზრდილს. მხოლოდ ახლა შეამჩნია თარაშმა, არაყი მოკიდებოდა არზაყანს. ყურები გაწითლებოდა.

„შენ ბევრსა სვამ, არზაყან, უკანასკნელად“.

„აბა, რა უნდა ქნას ამ ბნელეთში კაცმა. ეს მესამე დღეა მე და საური ვსვამთ. ვსვამთ და ნიშანში ვისვრით. არა, მისოუსტ, მე შენ არ გეთანხმები, ცხოვრება შრომისა და ბრძოლისთვისაა გაჩენილი“.

„ვინ როგორ და მე აქ კარგად ვგრძნობ თავს“, მიუგო მისოუსტმა. თამბაქო ამოიღო ჯიბიდან და გაზეთის ქაღალდში გაახვია.

„საათი გამიჩერდა დევის ქვაბში. ალბათ არც არავის ეცოდინება რომელი საათია. კალენდარის რიცხვები ამერია.

სული მშვიდდება ასეთ გარემოში, ევროპაში დროის ავადმყოფობით სნეულია ხალხი. მეც მჭირდა ოდესღაც ეგ სენი. ერთხელ ნაშუაღამევს გამიჩერდა საათი პარიზში. ისე მიჩვეული ვიყავი მის წიწკინს, მყისვე გამომეღვიძა.

იქ სულ გეჩქარება, იჩქარი, იჩქარი და არც კი გრძნობ სიცოცხლის დღეების დალევას. აქ ტაატით მიდის დრო, დროის შეგნებას მოკლებული ხარ, ამ მყინვარებს რომ შესქცერი, გრძნობ ათი და ოცი წელიწადი თვალის დაფახულებაა ერთი“.

მცირე ხანს მდუმარედ იარეს ხნულების პირად. არზაყანს ორივე ჯიბეში ჩაეყო ხელი. თავჩაღუნული მიჰყვებოდა ყანების სამანს. მიწას დასჩერებოდა.

„ეს მართალია, მისოუსტ, ლამარიას ირთავო თურმე? მზითევს იმზადებს ლამარია“.

თარაშმა სახე აარიდა არზაყანს და მიუგო:

„როგორ გითხრა, მე გადაწყვეტილი მაქვს, მაგრამ ლამარიასთვის ჯერ არაფერი მიკითხავს. თემურმა მითხრა, სიძედ მინდიხარო. მეც დავეთანხმე“.

„შენ სერიოზულად ამბობ ამას, მისოუსტ?“

„ბიჭოს, სერიოზულად, აბა, რა სახუმაროა“... სთქვა და დაგუბებული ბოლი გაუშვა ერთბაშად. არზაყანს გაუხარდა ეს. მყისვე თამარ შარვაშიძეს მისწვდა მისი ფიქრი. ერთ წუთში წარმოიდგინა, როგორ ჩავა იგი ოდიშში და... მაგრამ ეს სიხარული არ შეიმჩნია, ვითომდაც გაკვირვებულმა შეხედა თარაშს:

???

„რად გიკვირს“.

„როგორ თუ რად მიკვირს. კაცო, რა შენი საქმეა გაუნათლე-

ბელი ქალი? ვგონებ, წერა-კითხვაც არ იცისო ლამარიამ ხეირიანად“.

„მე სწორედ იმიტომაც მომწონს ლამარია, ჯერ წიგნების, კინოსა და ბულვარული რომანების შხამი რომ არ მისწვდენია“.

„მერმე აქ აპირებ დარჩენას, მისოუსტ? რა გაგაძლებინებს, შე კაცო ამ სიბნელეში?“

„ეჰ, ჩემთვის სულ ერთია, ჩემო არზაყან, რა აქ, რა იქ. მე კარგად შევეწყვე თემურს. ჩინებული მონადირეა. ბევრი რამ ვისწავლე მისგან. ქორა მახვშის ლასკარში შევალ და ვიცხოვრებ“.

„ლასკარი რა ეშმაკია?“

„ეს თქვენებური კოლექტივის პირველყოფილი სახეა. განსხვავება მაინც დიდია. ლასკარში მხოლოდ სისხლით ნათესავები შედიან. თქვენ თუ წახვედით, ტარბებს წორს გავუგზავნი და შევირიგებ. თემურიც ასე ამბობს. ტარბებს წორს უგზავნის ქორა მახვში.

შენ მართლაც აპირებ გაზაფხულზე ტფილისს წასვლას? მორდუ რას ფიქრობს?“

„მამა გადამკიდებია, თორემ მე აქამდი წავიდოდი. ტფილისს წავალ. შესაძლოა, მამა ჩერქეზეთს წავიდეს.

მე ასე მგონია, შენ შენი შრომის მოსათავსებლად აპირებ აქ დარჩენას“. ეუბნება არზაყანი ემხვარს.

გარწმუნებ, არა, მე აღარ მიწევს ბარისკენ გული. გულწრფელად გეუბნები: მიწა მომენატრა. მოუთმენლად მოველი, როდის დაიწყებს თემური ხვნას. მინდა მიწის სურნელებით გავძღე. ახლა ძალიან ვნანობ, მიწათმოქმედება რომ არ შევისწავლე ევროპაში.

არ ვიცი, ეგებ ნაადრევი ჭაღარის ამბავი იყოს. მიწა მეძახის ალბათ. წეღან, დევის ქვაბიდან რომ მოვდიოდი, ვნახე — მოხუცე-

ბული სვანი ხნავდა. ძლივს მიჰყვებოდა აღმართში სახნისს. გამოვართვი აჩაჩი, მთელი საათი ვხნავდი. ახლად მოხნულმა მიწის სუნმა საამოდ გამაბრუა. მომაგონდა: როგორ გვასწავლა მორდუმ მე და შენ ხვნა“.

„გახსოვს, ფარცხიდან რომ ჩამოვარდი, მისოუსტ“

„როგორ არ მახსოვს. მე ისიც მახსოვს, ნიკორას შუბლზე რომ კოპი ჰქონდა და ცალი რქა მოტეხილი. როგორი ბედნიერი ვიყავით, არზაყან! როგორ მსუბუქად დავდიოდით თურმე მიწაზე! ყოველ დღეს ახალი სიხარული და სასწაული მოჰქონდა ჩვენთვის, ადამიანებიც ისე კეთილი და მშვენიერი მეჩვენებოდა!

ახლა გული გამიქვავდა და ადამიანებიც შემძაგდა. შესაძლოა, ასაკს თან მოჰქონდეს ეს ყოველივე. კაცმა რომ თქვას, კი არ შემძაგდა, ადამიანისადმი რწმენა დავკარგე. ჩვენმა დრომ გააშიშვლა ადამიანი, თუმცა, შესაძლოა, იგი მუდამ ამგვარი ყოფილიყო. მხოლოდ ნიღაბი ჩამოეხსნათ მისთვის“.

„რა საჭიროა ნიღაბი? კიდევ კარგი, რომ მოხადეს, ჩვენ აწი უნდა შევქმნათ უნიღბო ადამიანი, სვანეთში ძალიან ღრმად უნდა ჩასწვდეს რევოლიუციის სახნისი ნიადაგს, თორემ ეს უბედური ხალხი დაიღუპება უთუოდ“.

თარაში უსმენდა, სდუმდა და არზაყანმა განაგრძო:

„ხომ კარგი ვაჟია საურ, მაგრამ მისი კომკავშირელობა ზერელე ამბავია“.

„მე არ ვამტყუნებ საურს, — მიუგო თარაშმა, — ასეთ გარემოცვაში საური რას გაარიგებს? მერმე შენ როგორ გგონია, ადამიანის გარდაქმნას ერთი ან ორი ათეული წელი ხომ არ ეყოფა? ყოველ ჩვენგანს რომ დააკვირდე, ვინ იცის, რამდენი კულტურის ნალექს არ იპოვნი. აქ იგივე ფენების ამბავია, მთების ფორმაციაში რომ არჩევენ გეოლოგები“.

არზაყანმა უკან მოიხედა.

საურ წამოსწეოდათ. საურმა მხარზე ხელი გადახვია არზაყანს. თარაშს მიესალმა და ორივეს მიმართა:

„წამო, საქმისაჲს მორთვას ვუყუროთ, რა გვენაღვლება, არაყს გვასმევენ“.

„საქმისაჲ რა ჯანაბაა?“ იკითხა არზაყანმა. საური შეეცადა, მაგრამ ვერ აუხსნა.

თარაში მიეშველა: დღეს მურყვანობაო, კოშკის დღესასწაული, ამ დღეს ნაყოფიერების ღმერთს — ფალოსს ევედრებიანო სვანები. მერმე უამბო, თუ როგორ ირჩევენ სოფლელები ორ მეთაურს: საქმისაჲს და ყეენს.

არზაყანი გაჯანჯლდა: მეზარებაო ამ პამპულობის ყურება, მაგრამ საურმა ხელი წაავლო, ხნულები გადაიარეს და იქვე მოსახლე სვანის კოშკს მიაშურეს.

თემურის სასიძო მოვიდაო, მთელი ოჯახი გამოეგებათ ახლად მოსულებს, საქმისაჲს მორთვა მიატოვეს. საური დაწინაურდა. განუმარტა მასპინძლებს: თემურის სასიძო წიგნსა სწერსო სვანური მურყვანობისთვის. უნდა ვუჩვენოთ სტუმარს საქმისაჲს მორთვა.

თარაშ ემხვარს არ ეამა, ასეთი რამ რომ განაცხადა საურმა, მაგრამ დადუმდა. წრეში დამდგარმა ახალგაზრდებმა ზურგში მჯიღი ჰკრეს ნოდარს, გრძელსატევრიან, ქერა სვანს. მერმე ორი ვაჟი მიადგა ნოდარს. ნოდარი უარზე იყო. იცინოდა, ეჩოსავით მოღერებულ კბილებს აჩენდა.

ყოველ წელიწადს რად უნდა ვიყვეო მე საქმისაჲ, ახლა საური დანიშნეთო. მე ყეენად დამაყენეთო. მაინც შეუმურეს სახე ნოდარს. ტანზე ძონძები გადააცვეს, თავზე ტყავის გუდა დაახურეს. ქამარზე არყის ხისგან გაკეთებული სარცხვინელი დაჰკიდეს მამაკაცისა. ნოდარ იჯღანება, პამპულობს.

მერმე გაიმართა არყის სმა. მახვშის კათხა მიართვეს „პრაფი-სორს“. თარაშს არ უხაროდა, სვანებმა რატომღაც „პრაფისორი“ რომ შეარქვეს. ერთი წრე შემოიარა არაყის კათხამ. არზაყანი ჯერ ნაზობდა, მერმე თავათაც შევიდა არაყში. წარამარა სცლიდა და თარაშს გადაულოცავდა კათხას.

დარბაზში ბნელოდა, სუფრის გარშემო დამსხდარი სვანები იცინოდნენ, როხროხობდნენ. თარაშმა უცნაური რყევა შეიცნო, ერთ წუთში მის გარშემო შეირყნენ და აცეკვდნენ ნივთები, გარს მომდგარ მოქეიფეთა სახეები ისე ტორტმანობდნენ, როგორც უვარგისი კინოფილმის ფიგურები.

ახლა სხვა ოჯახში გადაჰყვნენ ჩამომრეგ საქმისაჯს. ძაღლე-ბის ყეფა, ბავშვების ჟივილ-ხივილი, ქალების ტკარცალი, მამაკა-ცების როხროხი, ეს ყოველივე ურთიერთში აირია, თარაშ ემ-ხვარს მუხლები დაუმძიმდა, თვალყურს ადევნებდა ყეენის მორ-თვას.

ყეენად უზარმაზარი, ჭოლოკივით გრძელი სვანი აირჩიეს. თავზე ჩაჩი დაახურეს ყეენს, მასაც სახე შეუმურეს, ხის დაშნა წელზე ჩამოჰკიდეს. მერმე ადგა საქმისაჯ, მოიხსნა ქამრიდან ასო, სცემდა ქამარზე ყეენს და სვანურად ეუბნებოდა უშვერ სიტ-ყვებს.

ყეენის მოახლეებმა მუხის შუბები აიღეს. საქმისაჯს მოახლეე-ბი ხის სადგისებით ჩხვლეტდნენ დიდსა და მცირეს. მთელი სო-ფელი მოგროვდა. აიყარნენ და ლამარიას ეკლესიის მახლობ-ლად დაბანაკდნენ, მუხის ქვეშ.

„არზაყანი რა იქნა, საურ?“

ეკითხება თარაში.

არზაყანი ძლიერ დათვრა, ახლა აქ იყო, არც კი ვიცი, სად წა-ვიდაო. ამბობდა საური, თავათაც შეჭიკჭიკებულიყო საური. თა-რაშმა წრე გაიარა, ამაოდ ეძია არზაყან.

მზე გადავიდა. ჩრდილის ზოლები გადაეფოფრნენ სოფელს. ალმოდებული ღრუბლების კოშკები დაზვინულიყვნენ კავკასიონზე.

თარაშ ემხვარ ქალების წრისკენ მიიწევდა ამ აურზაურში. უნდოდა ლამარიას მიახლოვებოდა. შინ მისვლამდის გამოლაპარაკებოდა როგორმე. სწუხდა, ლამარიას დობილები და რძლები გარს რომ ეხვიენ.

ისევ ატყდა ყიჟინა, თარაშ ემხვარ წაქცეულ კოშკისკენ გაემართა. კოშკი წააქციეს და ახლა ფერხული გაიმართა. თარაში ცოტა ხანს თვალს ადევნებდა ფერხულს. ისევ საური გაჩნდა მის გვერდით. როგორც იქნა, საურს გაეპარა და ქალების წრე გაიარა, მაგრამ ლამარია უკვე აღარსად იყო. ისევ მოეჭრა საური. თარაში მიხვდა, საური ფრთხილობდა, ტარბები არ წაწყდომოდნენ სადმე თარაშს.

საურ სატევარს ხელს არ აშორებს, ისე დასდევს თავის სასიძოს: უცებ ჩხუბი ატყდა. საური იქითკენ გაეშურა. თარაში ქალებს მიუახლოვდა, ლამარია არსად სჩანდა.

შეღამდა, ფერხული მოთავდა. ხალხი სოფლისკენ გაემართა სიმღერით. თარაში თავჩაქინდრული მიდიოდა ბრბოში. სამი ძმა ლაფარიანი გამოეცნაურა თარაშს. მოურიდებლად აქებდნენ ლაფარიანები სასიძოს. თემურისაგან გაგვიგია, კარგი მონადირე ყოფილხართო.

შეზარხოშებული ყმაწვილების და ქალების ჟივილ-ხივილისაგან ყურთასმენა აღარ იყო.

აქ, მაღალ ხის გარშემო თოვლის მურყვანი — კოშკი გაეკეთებინათ.

კოშკის მახლობლად ყეენი წამოწვა ნაბადზე. თავისი „დედოფლები“ შეიმწყვდია ნაბადში.

ეძიძგილავება, ეალერსება ქალწულებს. მოახლეებმა უშველებელი ხაჭაპური მიართვეს საქმისაჲს.

ადგა საქმისაჲ, მოიხსნა ხის ასო. ლამარიას სახელობის ეკლესიისაკენ პირი იბრუნა.

ხის ასოთი დაემუქრა: ასე და ასე გიზამო, მერმე გადააფურთხა: „ფუი, ლამარია, ფუი, ლამარია!“

მიაძახა მჭახე ხმით. ამასობაში ყეენს დასძინებოდა.

საქმისაჲ მიეპარა, ნაბადიდან გამოათრია ყეენის „დედოფლები“. ძუძუმკერდზე ელაციცება და ურცხვად ჯღლიმავს ყეენის დედოფლებს“. ყეენმა გაიღვიძა, „დედოფლები“ რა ვეღარ ნახა, ზეწამოიჭრა, ეძგერა საქმისაჲს და შეიბნენ ყეენი და საქმისაჲ.

თარაშ ემხვარი ბრბოდან გავიდა. ცაცხვის ძირას ლამარია შენიშნა, მზე მოკიდებოდა ლამარიას სახეზე. ეს ძლიერ შვენოდა. იგი გოგო-ბიჭების ძიძგილაობას განრიდებოდა, მოკრძალებულად იჯდა მახვშის რძლებს შორის. თარაშის დანახვაზე უარესად გაწითლდა ლამარია, თავი დახარა, მაინც ჩუმად და ცბიერად შესცინა თავის საქმროს მომშვილდულ, წვრილ წარბებს ქვემოდან.

უცებ გაისმა ყიჟინი. თარაში შეკრთა. საური გვერდით ამოუდგა ემხვარს. საქმისაჲმ ყეენი წააქციაო.

უფროსი სამთა შორის, მოხუცებული კოხტა ლაფარიანი გაოცებული იყო: სად ისწავლეო ასეთი სროლა ნასწავლმა კაცმა. კოხტა ლაფარიანი ნავალი კაცი აღმოჩნდა, მე არ მინახავს ასეთი ნასწავლი და თავმდაბალი თავადიშვილი.

„შენი ძმა სად არის?“ ეკითხება კოხტა ლაფარიანი.

თარაში მიხვდა, არზაყანს რომ კითხულობდა კოხტა. იამა, ძმებს რომ უძახოდნენ სვანები მას და არზაყანს.

წრეულს ჩვენსკენ, ლაფარიანებისკენ წაიქცაო კოშკიცა და ხე-

ცა. დოვლათიანი მოსავალი გვექნებაო, ამბობს კოხტა ლაფარიანი, წორსაც კარგს მივცემთო ტარბებს. ქორა მახვში მე მაგზავნის სამოციქულოდ ტარბებთან, კიდევაც არ შეგვირიგდეს, უბატონოდ ხმას ვერ გაგცემენო, თარაში მადლობას ეუბნება. უკან იხევს შეუმჩნევლად. ლაპარაკის დროს პირი პირთან მოჰქონდა კოხტას.

გზაზე ისევ ატყდა ჩოჩქოლი. თოფი გავარდა.

ლაფარიანს ესროლესო, დაიყვირა ვიღაცამ. კოხტა ლაფარიანმა სატევარზე ხელი გაივლო, ორივე ძმა მას გამოუდგა. თარაშმა ერთხელ კიდევ თვალი მოჰკრა სამი სატევრიანის ლანდს და ხე მოისაფრა.

როცა უკანასკნელმა ლანდებმაც ჩაიარეს, თარაშ ემხვარი სოფლის შარას მიჰყვა. უკვე ხნულზე აღარ მიდიოდა, მაინც ბორძიკობდა. მთელ სხეულზე არყის მხურვალება შემოგზნებოდა.

მიდის და ფიქრობს, ლამარიას ცბიერ ღიმილს იგონებს, თვალწინ დაუდგა ჭორფლიანი ქალის ვნებიანი სახე, მისი მკვრივი სხეული ინატრა, ჯიხვის ფეხივით წვრილი ფეხები მოიგონა. და ისე სწყურია ლამარიას ალერსი თარაშ ემხვარს, როგორც ხარჯიხვს მჟავე წყლის მოსმა.

ასე დაფიქრებულს უვლია, უვლია.

მახვშის ძაღლების ყეფამ შეაკრთო, ძაღლებს მოეფერა, კოშკის კიბეები აირბინა.

არზაყანისა და თარაშისთვის შეკეთებულ ოთახში სინათლე ბჟუტავდა. ქალის ხმა შემოესმა ტალანშივე თარაშს.

შეკრთა. აქ უცხო ქალი არასოდეს ამოსულა მის დროს ამ კოშკში. მიაყურა, ლამარიას ჩურჩული შეიცნო.

დაიხარა.

კარის ჭუჭრუტანაში შეიხედა. არზაყან და ლამარია კედელზე

მიმდგარან. არზაყან მკერდზე ელაციცება ლამარიას. მერმე მივიდა სულ ახლოს. ცალი ხელი იდაყვს ზემოდ წაავლო მკლავში, ცალითაც თავი გადაუწია, აკოცა ტუჩებში.

ლამარიამ ოდნავ გაიბრძოლა, თავი მკერდზე მიაბჯინა არზაყანს. არზაყანმა კისერზე, თმის ძირებში აკოცა ქალს. მერმე ნიკაპზე ხელი წაავლო, მისწვდა ლამარიას ტუჩებს. დიდხანს თავბრუდასხმულნი ჰკოცნიდნენ ურთიერთს და ასე წაიქცნენ საწოლზე. ამ წუთში ვიღაც წაეპოტინა სიბნელეში თარაშს.

საური იდგა მის წინაშე. თარაშმა თავი შეიკავა.

„საურ, მოხვედი?“.. ეს ჩაილაპარაკა ჩურჩულით.

„პაპა გეძახით. ვგონებ, მოციქულებს უგზავნის ტარბებს, ახლავე მოდითო“.

ბუტბუტებს საურ, ენას ძლივს აბრუნებს. თარაში და საური მდუმარედ ჩამოვიდნენ კოშკის კიბეზე.

ახლავე მოვალო, უჩემოდ ნუ გააგზავნითო მოციქულებს, ახლავე მოვალო, გაიმეორა თარაშმა და მინდვრებისკენ გაუდგა გზას.

სოფელი უკვე აღარ სჩანდა, როცა თარაშ ემხვარი შესდგა. ახედა ცას, ჯიხვის რქასავით მოდრეკილიყო მთვარე, და ესა სთქვა თარაშ ემხვარმა, ძალიან ხმამაღლა, თითქმის ისეთივე ზიზღიანი ტონით, როგორც საქმისაჯ ამას ამბობდა:

„ფუი, ლამარია, ფუი, ლამარია!“

მთვარეს მცირე რამ ღრუბელი გადაეფოფრა, მოთალხო ღრუბელი. ღრუბლიდან გამონაჟონი სხივები ისე ციმციმებდნენ, თითქოს კალოზე აბნევენო ბრეს.

დიდხანს დადიოდა ხნულებში მარტოხელა, უქუდო კაცი და ხმამაღლა ესაუბრებოდა საკუთარ ლანდს.

მეზირი

იმ ღამეს გათენებამდის იხეტიალა ემხვარმა... ყამირი ვიწრო ხევს მისდევდა, მთასა და მთას შორის ჩრდილიანი ზოლი ჩაწოლილიყო, მხოლოდ იქ, სადაც მთა-მთას ეყრებოდა, ზედ ტაფობის თავზე ღაჟღაჟებდა ცისკარი. ემხვარს ვიწროდ ეჩვენა ეს ხეობა.

იარა,

იარა,

იარა.

ახლოს ეგონა ტაფობი და ცისკარი ამ ხეობაში სულშეხუთულს. უთენია გაურკვეველი გრუხუნი შემოესმა, სამთო ქვემეხების გრიალის დარი. არა, ეს არ ჰგავდა ქვემეხის გრიალს. კიდევ დაიგრუხუნა ზედიზედ.

ადრიანი გაზაფხულის მეხი არისო.

ცას ახედა, მტრედისფერი ცა ჰყვაოდა შორს მოელვარე ვარსკვლავთა ბაიებით მოჩითული, კვლავ დადუმდა ყოველივე და

ნეტარი მყუდროება დამყარდა ქვეყნად. მთების ჩრდილებით მო-ბურვილი შემოგარენი გრავიურასა ჰგავდა თალხი ფერებით შეს-რულებულს. ახლა იისფერ ცაზე მკაცრი ხაზებით გამოიკვეთა დაგრაგნილი ზურგი მთებისა და ეს ორივე შავი თმა ისე მოსწო-ლოდნენ ურთიერთს გვერდით, როგორც ორი გოლიათი ძმა, ბრძოლის ველზე დასვენებული.

ისევ გაისმა გრიალ-გრიალი, ახლა კი მიხვდა ემხვარი, სულ ახლოს, ვერტიკალურად მომდგარ ნაძვნარიან მთების გადაღმა ლაღუმებს აფეთქებდნენ.

რა ახლოს მოსულანო, გაიფიქრა და მყისვე ქორა მახვშის უძ-რავი სახე წინ დაუდგა, ბებერ ლომსავით დაღრენილი და ამრე-ზილი. არაყისაგან მიღებული მხურვალება გამოუნელდა, ახლა ძილი მოუნდა ისე საოცრად, მზადაა, იქვე ხნულში წაიქცეს.

წინ ტრიამელი მინდორი იყო, ხეს ეძებდა, ბუჩქიც არსად სჩან-და. მოაგონდა: წიფელას რომ გაუარა წეღან.

უკან მოიხედა და შორს, ძლიერ შორს უკან დაეტოვებინა ის წიფელა. უჩქარა ნაბიჯს. ძილი წამწამებზე ეპოტინება. ძილს წამ-წამებთან დაუგია პოტიკი. და მიდის, მაგრამ უნებლიედ თვალი ეხუჭება და ახლა ყოველივეს შურით შესცქერის, ამ მთას, იმ ხევს და იმ ნაძვნარსაც, ყოველივეს, რასაც ძილი დაუფლებია. მიაღ-წევს იგი წიფლის ძირას და დაეცემა მყისვე მიწაზე.

ალისფრად აყვავდნენ მოთეთრო ღრუბლები ცაზე. ჰაერში ნა-თელმა წინწკლებმა დაიწყეს ციაგი. აფრინდა მის ფერხთით ტო-როლა ცისკენ. შეკრთა თარაში. ტოროლას ამბავი მას წიგნები-დან ჰქონდა გაგებული და ახლა, როცა თავათ დაინახა, როგორ აიჭრა ცაში ეს პატარა შიკრიკი გაზაფხულისა, იამა ფრიად.

ამ გაზაფხულს განსაკუთრებული მღელვარებით მოელოდა თარაში. მან იმდენი ნებისყოფა გამოიჩინა, რომ თავათვე ამოაგ-

დო თავისი ცხოვრების დღეთა მდინარება ჩვეულებრივ კალაპოტიდან. და ახლა ამ ბნელ ორწოხებში დადიოდა იგი და არ იცოდა, რას მოუტანდა ცხოვრება.

წინათ ჩვეულებრივი ანდაზა იდგა მის წინაშე, სხვათა ცხოვრებიდან გადმოღებული.

იცოდა წინასწარ: კაცი საშუალო სკოლას რომ გაივლის, მერმე უნივერსიტეტში შევა. უნივერსიტეტს დაასრულებს ავად ან კარგად, მერმე სამსახური უნდა დაიწყოს, მერმე ცოლი შეირთოს, ბავშვები გაზარდოს, მერმე? და მერმე უთუოდ მოკვდება.

ეს გზა ათასებს და ათი ათასებს გაუვლიათ. ეს ამბავი გარეკანშემოცვეთილ ბულვარულ რომანსა ჰგავს, ათას კაცს გადაუფურცლავს, გადაუკითხავს იგი. არავის არაფერი შეუნიშნავს, არც შეუმატნია მისთვის, ისე გადადის ეს წიგნი ხელიდან ხელზე...

თარაშ ემხვარის გზა არც იმათსას ჰგავს, პარიზიდან რომ ჰაიტში გადასახლებულან და მონმარტრის კაფეებში მხატვრებთან, მწერლებთან, ჟურნალისტებთან ლაყბობას წითელკანიან ველურებთან ცხოვრებას არჩევენ.

არა, თარაშ ემხვარის გზა არც შატობრიანის გმირების გზაა, არც მოპასანის გულაცრუებულთა ეტლი, იგი ისევ მონათესავე ტომთან მივიდა. აქ მას მოსწონს ცხოვრება, ჰაერი. უფრო უხდება და ჯანსაღდება იგი აქ არა მარტო ფიზიკურად, არამედ სულიერადაც. რადგან, კულტურა ავადმყოფობაა თავათ, ხოლო ბუნება სიჯანსაღე. ასე ფიქრობს თარაშ ემხვარი.

ლამარია მოაგონდა ამ წუთში, რა ვუყოთ, რომ ლამარიაც ისევე გარყვნილი აღმოჩნდა, როგორც ათასი ფრანგის ქალი, რუსი ან ქართველი ქალი სადმე. კიდევ არიან ამ სოფელში სვანის ქალები, ლამარია ერქმევა მას თუ ქეთინო, ეს სულ ერთია. მას ისეთი ქალი უნდა, ცოტაოდენი სიყვარული უზიაროს, მოკლული ჯიხვის ოთხად ამოღებაში უშველოს, ცერცვი მოუხარშოს, სელის

ბეჭვა იცოდეს, პაიჭებისა და ჩოხის ქსოვა, კერვა და გამოჭრა ემარჯვებოდეს. ეს სულ მცირეოდენი რამეა და ასეთი რამეები ყოველ სვანის ქალს ეცოდინება უთუოდ.

ორიოდე ნაბიჯი კიდევ გადადგა, ახლა მეორე ტოროლა ავარდა ცაში და მახლობელ ჩირგვნარშიც უკვე გაისმა ჩიტუნების აღტაცებული ჟივილი.

დაიმუხლა თარაშმა წიფელის ძირას, სატევარი შეიხსნა, ჩოხა გაიძრო და მიწაზე გაფინა. დაწვა.

გაცხოველდა წიფლის შტოებში ჩიტუნების ფუსფუსი და ჟივილი.

ორი ჭინჭრაქა დასდევდა დედალს. ისინი ისე სწრაფად დათარეშობდნენ ჰაერში, სამი მოძრავი წერტილი მოსჩანდა მხოლოდ. მერმე მესამე ჩამოცილდა. ერთმა თავხედმა დაიჭყივლა საწყალობლად და გაჰქრა. ის მესამე, დედალი, ქვასავით დაენარცხა მიწაზე. იმ წუთშივე თავს დაესხა მამალი და ემხვარის ცხვირწინ დაპეპლა.

თარაშ ემხვარს ისევ ლამარია მოაგონდა ამ წუთში, მისი ცბიერი ღიმილი, მერმე მისდია ფიქრს, ცხადლივ დაუდგა თვალწინ, როგორ ურცხვად ეხვეოდა იგი არზაყანს იმავე კოშკში, სადაც მრავალგზის ამოსულა უჩუმრად ღამით, იმავე საწოლზე, სადაც თარაშ ემხვართან იზიარებდა ზამთრის გრძელი და ბნელი ღამეების ვნებას.

ასეთი რამ თავის დღეში არ მოსვლია თარაშ ემხვარს, მან უდიდესი შეურაცხყოფა შეიცნო, გულის არეში პირდაპირ ფიზიკური ტკივილი შემოეგზნო. ახლა მხად იყო, ეს სატევარი აეღო და ოთხში ამოეღო თავისი ძიძაშვილი.

თვალები მოიფშვნიტა, ზურგზე დაწვა, ცას შეაჩერდა, ენდროსფერი ღრუბლები მოსდებოდნენ ცას. ენდროსფერი კი არა,

მთლად სისხლისფერი და შეურაცხყოფილი ხვადის ბნელი სისხლი აჩქარდა მის ძარღვებში. მკვირცხლად წამოიჭრა, ჩოხა მკლავზე გადაიგდო, სატევარი წელზე შემოირტყა და აჩქარებული ნაბიჯით მიჰყვა ხნულებს მახვშის კოშკისკენ.

* * *

მახვშის კარ-მიდამოში ჩქამიც არ ისმოდა. ხარები იწვნენ ეზოში და ზანტად იცოხნებოდნენ. ძაღლებსაც კი ეძინათ წინაღამეს ყეფით მოქანცულთ.

კოშკის კარები ღია იყო, ორიოდე ნაბიჯი გადადგა თარაშმა და კიბის საფეხურზე თვალი ჰკიდა არზაყანს. მას მუხლისთავებზე მკლავები შემოეხვია და ზედ დაეყრდნო თავი. ახალოხის ამარა იჯდა არზაყან. არც ქამარი ერტყა, არც სატევარი. ემხვარს უადგილოდ მოეჩვენა ასე შილიფად მთვლემარე კაცთან ომახიანად შეხმიანება.

ერთი კი გაიფიქრა: ეთქვა ძიძაშვილისთვის: ადე, იარაღი გამოიტანეო, მაგრამ ენა ვერ მოაბრუნა. სწორედ ამ წუთში თავი აიღო არზაყანმა, დაწითლებული თვალებით ამოხედა. და თარაშ ემხვარმა შენიშნა: დალეული, საცოდავი სახე ჰქონდა არზაყანს. თარაშ ემხვარ დაიბნა, აღარ იცოდა, რა ეთქვა მისთვის ან რა მოემოქმედნა?

„შენ ვის უცდი აქ?“ ეკითხება ემხვარი.

„როგორ თუ ვის? შენ გიცდიდი. მე მეშინოდა ოსმანს არ ჩაეკეტა კოშკის კარები. ამიტომაც აქ ვიჯექი მთელი ღამე და გიცდიდი“.

„შენ კიდევ არ გამოგინელდა არაყი?“

„საურის ოჯახი დაიქცა, არ მომეშვა, წუხელ ნაშუაღამევს კიდევ მასვა. ახლაც არ მეძინება“.

„არც მე მეძინება, ადექი, მაუზერი გამოიტანე, ხევისკენ წავიდეთ, ნიშანში მაინც ვისროლოთ“.

არზაყანს ეუცნაურა, უთენია რა დროს ნიშანში სროლა არისო, მაგრამ მოიგონა: ნამთვრალევზე სროლა რომ სჩვევოდათ მას და მისოუსტს. ამით ახსნა, ეჭვიც არ შეპარვია სხვაგვარი არზაყანს. გაუხარდა, სროლა რომ უხსენეს, და თარაშს მიუბრუნდა:

„ხევისკენ წავიდეთ თუ კლდეებისკენ?“

„ხევისკენ, ხევისკენ, თორემ კლდეებისკენ თხები დაუდით მეზობლებს“.

თარაში იდგა, ესმოდა, როგორ არბოდა კოშკის კიბის საფეხურებზე არზაყანი. ჯიბეში ხელი ჩაიდო, თავისი ბრაუნინგი ამოიღო. ორი ტყვია დარჩენილიყო სავაზნეში. მოსწია, პირში მისცა მორიგი ტყვია და გაიფიქრა:

„ერთი მას და ერთიც — მე“.

მერმე კოშკის ტალანიდან ჰაერზე გამოვიდა. ამოიოხრა, თითქმის ხმამაღლა სთქვა:

„ერთი მას და ერთიც — მე“.

არზაყანმა კიბე ჩამოირბინა... მორბის, ხელში მაუზერი უჭირავს, ბალღივით უბრწყინავს სახე. დასჩერებია ყორნისფრად მოლაპლაპე მაუზერს. თარაში შესცქერის. გაოცებულია. მხოლოდ ათი წლის წინად თუ უნახავს ასე გახარებული არზაყან.

„დავჯდეთ ცოტა ხანს, ცუდადა ვარ“. ამის თქმა მოასწრო თარაშმა, იქვე გდებულ ლოდზე მოიკეცა.

არზაყანმა სახეში შეხედა ემხვარს. იგი სავსებით გაფითრებულიყო ერთ წუთში. იჯდა და ცხვირსახოცით ოფლს იწმენდდა ყვრიმალის ახლოს.

„რა მოგივიდა, მისოუსტ?“ ეუბნება მზრუნველი ხმით. შუბლზე ხელი დაადო.

თარაშს გული აუჩვილდა. თანაც ეუცნაურა ასეთი საქციელი.

ეუცხოვა: სულ ხუთიოდე წუთის წინად ხანჯლით აკუწვას რომ უპირებდა სიყრმის მეგობარს. ბავშვობა მოაგონდა ემხვარს, როცა სულ მცირე მიზეზის გამო აიშლებოდნენ ძმობილები და მერმე ისევ წამოავლებდნენ მშვილდისარს ხელს.

მცირე ხანს სდუმდნენ ორივენი, ისხდნენ კოშკის შესავალთან მყუდროდ შეყუჟულნი. მოხუცი გურანდუხტი გამოსულიყო დილაადრიან, ხელში ვარცლი და სანთლები ეჭირა, ვარცლზე რამდენიმე პაწია კვერი დაეწყო.

კოშკთან მჯდომარენი არც კი შეუმჩნევია გურანდუხტს, ისე ჩაუარა სათხეს, აჩქარებული ნაბიჯით თხილნარისკენ წავიდა, არყის ხის ნამორებს ამოეფარა.

თარაშ ემხვარ დაინტერესდა: სად მიჰქონდა გურანდუხტს შესაწირავი კვერები? ახალმა აზრმა გაიელვა მის თავში.

„წამოდი, არზაყან, საოცარი რამ უნდა გიჩვენო, ოღონდ ხმა არ გაიღო, იცოდე“.

ეს უთხრა არზაყანს და თხილნარისკენ გაემართნენ ორივენი.

პატარა ციკნებს თავი გამოეყოთ სათხედან. ფარეხის კართან შავი თხა იდგა ლანდივით, აპარპალებდა დემონიურ თვალებს, ისეთი საოცარი გამომეტყველება ჰქონდა თხას, თარაშის ფიქრები ბერძნულ პანს მისწვდა. გასაგებიაო, ფიქრობს, ძველი ხალხები დემონიურ არსებებს რომ უკავშირებდნენ თხას.

კიდევ მიხედა შავ თხას, ისე უციმციმებდა თვალები ამ ცხოველს, თითქოს შეშფოთებული მზერით ეკითხებოდა: სად მიდიხართო?

უხმოდ მიეპარნენ არყის ნამორებს თარაში და არზაყანი. გურანდუხტ ოციოდე ნაბიჯზე ჩაჩოქილიყო. ვარცლი წინ დაედგა. სანთლები აენთო. ახლა თარაში ამჩნევს პატარა ეზოს ფიქალებით შემორაგვულს.

ორი მხარი თუ იქნებოდა ეს ეზო. შიგ შუაგულში პაწია ქვის

სახლია, სწორედ ისეთი, როგორსაც ბალღები გაუკეთებენ ხოლმე თავიანთ ტიკინებს. ფიქალი ეხურა სამ ფიქალს მიწაში ჩარჭობილს, ერთიც წინიდან მიეფარებიათ კარის მაგივრად. ფიქალი ოდნავ გაწეულიყო ისე, რომ შავად მოკიაფე ხვრელის პირი მოსჩანდა. გურანდუხტი იჩოქებდა. არყის ნამორებისაკენ ზურგშექცეული, ლოცულობდა გურანდუხტ, საწყალობელი ხმით წარმოსთქვამდა წელში მოდრეკილი:

„მეზირ, ლემეზირ, შენი სტუმარი ვარ, შემიხვეწიე, შემიბრალე, ტანი მრთელი მომეცი, გული მხიარული, შენი წყალობით გამახარე, შენი სტუმარი ვარ, შემიხვეწიე.

დიდო უფალო მეზირ.

ბოროტი და ვნებიანი მაშორე, დამიცავი ყოველ ვნებისაგან, ყოველ ბოროტებისაგან, ავი თვალისაგან და ხარბისაგან, დიდო ბატონო, უფალო მეზირ“.

მერმე ხმას დაუწია გურანდუხტმა, სავსებით უაზრო ლექსებზე გადავიდა.

„ღერმეთ, ამმარჯვ, დიდაბ!“..

...

ანსალა, მანსალა,

მიწი ბაძგარი,

მიწი გარგარიტა,

ასთი ორჯაო,

მიწი ასკალი,

მიწი გარჯანა.

...

ღერმეთ, ამმარჯვ, დიდაბ!“..

ხმა გაკმინდა.

დიდხანს იყო ასე დაჩოქილი და თარაშ ემხვარ ხედავდა: მიწას დასჩერებოდა გურანდუხტ, აცმაცურებდა ნაზამთრალ უნაბსავით

დამჭკნარ ტუჩებს, ხელს იფარებდა ხანდახან პირზე, მიწას დასჩერებოდა და ისევ იმეორებდა თავის უცნაურ „ანსალა, მანსალას“.

მერმე წამოდგა, კაბის კალთები დაიბერტყა, კვერები მიწაზე დასტოვა, ვარცლს ხელი წამოავლო და შინისკენ წაფოხრიკდა. არზაყან და თარაში მიწაზე გართხმულნი შესცქეროდნენ ამას ყოველივეს, დაწინაურდნენ, არყის ნამორები მოისაფრეს. ახლა არზაყანიც დაინტერესებულიყო, თუ რა მოხდებოდა.

მეზირის პაწია საკურთხევლიდან ძერასფერი გველი გამოსრიალდა, თავ-კისერი მოიღერა, იქვე დაგდებულ კვერს წასწვდა, ასავსავებდა ორკაპიან ენას, მზეზე აციმციმდა ორი გამხვრეტი თვალი.

„აჰა, ეს არის ქორა მახვშის მეზირ? მე და საურს გვინდოდა გუშინწინ მისი მოკვლა. კინაღამ ჯამში ჩამიძვრა ის ოხერი“.

ესა სთქვა არზაყანმა და მაუზერის ტყვიით თავი წააწყვიტა მეზირს.

„რა ჰქენი, არზაყან?“

დაიყვირა ემხვარმა. იგი არ მოელოდა, არზაყანი ნამთვრალევზედაც თუ მოიმოქმედებდა ასეთ რამეს. არზაყან იცინოდა. თარაში მიხვდა, უკვე შეკამათების დრო რომ აღარ იყო. იცოდა: ქორა მახვში თვით სტუმარსაც რომ არ შეაწევდა ოჯახის მფარველ ღვთაების მოკვლას.

ხელი წაავლო არზაყანს.

„თავს ვუშველოთ, თორემ დაგვხოცავენ, იცოდე“.

და კოშკისკენ გაიქცნენ გამალებულნი. გუდა-ნაბადის და თოფების გამოტანა მოასწრეს ძლივს.

* * *

გურანდუხტ დარბაზში არ იყო შესული, როცა მაუზერმა დაიგრიალა. გომურებიდან ძაღლები გამოცვივდნენ. გურანდუხტს მუხლები მოეჭრა, მაინც მიბორიალდა არყის ნამორებამდის, და რა ნახა თავწაწყვეტილი ღვთაება მიწაზე დართხმულიყო, ხელები თავში წაიშინა, შემცხადებულსავით მორთო კივილი.

უკვე პერანგისამარა თემური, ოსმანი და თენგიზი გამორბოდნენ მახვშის დარბაზიდან, ხუთი სატევარამოწვდილი ვაჟი უკან მოსდევდათ. მთელი ოჯახი ფეხზე დადგა. კაც ზვამბაია ყველაზე ადრე მიხვდა, რომ ასეთ „უკუღმართობას“ მისი ვაჟი თუ მოიმოქმედებდა.

მიწა გასკდომოდა და შიგ ჩაეტანა, ეს ერჩია კაც ზვამბაიას ამ ამბის შემსწრეს. თავზე ხელები შემოეწყო, იჯდა წელში მოდრეკილი მოხუცი და სოხანეს დასჩერებოდა. უნდოდა ამდგარიყო, საკუთარი სატევრით მოეკლა შვილი, მაგრამ საურს უკვე მოესწრო ახალი ამბის თქმა. არზაყანი და თარაში სვანეთიდან გაქცეულანო.

საურიც თან გამოჰყვა სატევრიან ძმებს, თავათაც სწუხდა ვითომ, თანაც გულში უხაროდა მეზირის სიკვდილი.

* * *

ქორა მახვში მთელი ღამე უგუნებოდ იყო, სწორედ იმ ღამეს წამოტორტლა საურმა: ლაღუმების სროლა ნაწისქვილართან ისმისო უკვე, ახლა მეზირის მოკვლა რომ გაიგო, ერთი წამოვარდა, საწოლზე ოთხით ზედ შედგა, დაიჩოქა, ხელები ცისკენ აღაპყრო, მერე თავ-პირში დაიშინა: დაიღუპაო ჩემი ოჯახი, დაიგმინა და მისი უზარმაზარი სხეული დაეცა ისე საწოლზე.

მცირე ხანს ასე იწვა პირქვედამხობილი. ყურები უწიოდა. მერმე წივილმა გაუარა, საშინელი ხმაური შეიცნო. იწვა ქორა მახვში და მოესმოდა მთების უცნაური გრუხუნი, გრუხუნებდნენ მთები,

ილეწებოდნენ მის შემეცნებაში სვანეთის შეუვალი მყინვარები. სულ ხუთიოდე წუთის შემდეგ ამაოდ ეძებდა საური მაჯისცემას მის მარცხენაზე.

P.S. ასე აუსრულდა წინასწართქმული ლაფარიანების მახვშს: სწორედ იმ დღეს, როცა ქორა მახვშს ძველებური ქელეხი გადაუხადეს შვილებმა, შვილისშვილებმა და შვილისშვილის შვილებმა, სვანეთის გზის მელაღუმეთა მეწინავე ბრიგადამ უზარმაზარი კლდე ააფეთქა, არწივთა სავანედ წოდებული, ეს კლდე პირდაპირ შესცქეროდა სათოფურებში ლაფარიანების მახვშის ძველთაძველ კოშკს.

მამის თვალი

„კოლხები მიცვალებულებს გუდაში ჩასდებენ, ამოკერავენ და ხეებზე დაჰკიდებენ ხოლმე“.

Elian Variae historie

„აფხაზნი სარწმუნოებით ქრისტიანები არიან და ირიცხებიან ვითარცა კერპნი, ვინაიდან არ დაფლვენ მკვდართა თავისთა, არამედ შესდებენ ხედა ზედა და უკეთუ შტვენს მკვდარი იგი ეშმაკისა მიერ, სწამთ განსვენებულად მერმესა შინა“.

ვახუშტი ბატონიშვილი

დევის ქვაბისკენ მიმავალი არზაყან და თარაში ჯერ კიდევ „ყვითელ ქვებამდის“ არ იყვნენ მიღწეული, როცა კოკისპირულმა წვიმამ მოუსწროთ უკაცრიელ კლდეების თავზე. არსად უბრა-

ლო ბუჩქი არა სჩანდა თავშესაფარი, არც მონადირის ქვაბი რაიმე.

ყვითელ ქვებს ეტყვიან სვანი მონადირენი ამ ადგილს, რადგან აქ მთელი კლდეები გოგირდისფერია. ამ ადგილას მონადირე ხელცარიელ კაცს რომ შეხვდება, ნანადირევი უნდა უწილადოს უთუოდ. წინა დღის ნასვამებს მოშივდათ, ვიღაც თოფიანები შემოხვდნენ. თარაში შეკრთა მათ დანახვაზე.

ასე ეგონა, მდევრები არიანო. მონადირენი აღმოჩნდნენ. ექვს კაცს ერთი ჯიხვი მოჰქონდა და ერთიც ნაბადში გახვეული მკვდარი. ამხანაგი კლდიდან გადავარდნოდათ.

ჯიხვის ბარკალი უწილადეს. ფიჩხი არსად იყო მახლობლად, ღონე მოიკრიფეს და ისევ დევის ქვაბს მიაშურეს.

სამი დღე იწვიმა. როცა ნაჩუქარი ხორცი გაუთავდათ, გაჭირვება კარზე მოადგათ. მთელი დღე სხვადასხვა მიმართულებით გადაიკარგებოდნენ, საღამოს მობრუნდებოდნენ დევის ქვაბში და მშიერ ბალღებსავით ერთმანეთს შესცქეროდნენ ხელში.

არზაყანი იგავმიუწვდომელი მსროლელი იყო. იგი დაენეძლავებოდა კაცს, ამ ბეღურას მაუზერით ყელს გამოვჭრი ან კანჭს მოვტეხავო, ესროდა და უთუოდ შეისრულებდა დანაქადს. მაგრამ განა ნადირობა მარტო სროლის საქმეა? ისიც სვანეთში ნადირობა!

აქ ხასიათის დიდი დისციპლინაა საჭირო, ამიტომაც შეუმუშავებიათ სვანებს საუკუნეთა მანძილზე სასტიკი რიტუალი ნადირობისა. არსებობს მთელი ნუსხა იმ მოქმედებათა, რომელიც დასაშვებია ან არდასაშვებია ჯიხვზე ნადირობის დროს. არსებობს მთელი ლექსიკონი ნადირობის დროს ტაბუდადებულ საგნებისა და მოქცევისა.

დასასრულ, ჯიხვზე ნადირობის დროს მთამსვლელობა უნდა

შეგეძლოს. ბარში გაზრდილი არზაყან მთას ვერ ეგუებოდა, თარაშმა კარგი სანადირო სკოლა გაიარა ორიოდე თვე თემურის ზედამხედველობით ნადირობაში. მართლაც. ისე ემორჩილებოდა თარაში თემურს, როგორც ძველი დროის შეგირდი თავის ოსტატს. ეს ხომ ასეა, ვისაც შეგირდობა არ გაუვლია, იგი ვერასდროს გახდება ოსტატი.

კარგად ისროდა ემხვარიც. მუჯრასაც მარჯვედ ხმარობდა, წრიაპებით კლდეებზე ხოხვაც ისწავლა. ხომ დიდ ქალაქებში იყო გაზრდილი, მაგრამ თვალი და სმენა უჩვეულოდ მახვილი ჰქონდა.

და სვანეთის კლდეები ყოველ სეზონში ჯიხვისფრად ირთვებიან ხოლმე, ან, უკეთ რომ ვთქვათ, ჯიხვის ბეწვის ცვლა ეფარდება მკვდარი ბუნების ფერადების მეტამორფოზას. და ფრიად დაკვირვებული თვალია საჭირო, კლდეებში განაბული ჯოგის თვალი მისივე ფერის კლდეების ფონიდან რომ გაარჩიო.

ერთი ზადი ჰქონდა თარაშის ნადირობას: იგი ნერვიული იყო და სულმოსწრაფებულად ესროდა ხოლმე. გარდა ამისა, როცა ჯიხვი ან არჩვი შეეფეთებოდა, იგი ისე უზომოდ აღტყინდებოდა ამ ლაღი და მშვენიერი ცხოველის გამოჩენისას, თვალს მიაყოლებდა ნადირის მშვენებით დასატკბობლად. და ძალზე შორს გაასწრებდა მაშინ ლტოლვილი ცხოველი, ხანაც გარინდება შეიპყრობდა ამ დიდებული ბუნების აპოთეოზის მჭვრეტელს, ფიქრებში გართულს წამოუვარდებოდა ახლოს ნადირი და, ვიდრე თოფს გამართავდა, ჯიხვს უკვე ცხრა მთა ჰქონდა გადალახული.

მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც საშუალო სვან მონადირეს თამამად შეეტოქებოდა ემხვარი. მაგრამ ყოველთვის არა, როცა კარგ გუნებაზე იყო იგი.

ახლა არზაყანთან ერთად დევის ქვაბში ამოსულს გუნება გაუფუჭდა ფრიად.

ერთხელ გვიან მოვიდა დევის ქვაბში. სამიოდე როჭო თან მოიტანა. არზაყანს ცეცხლი გაეჩაღებინა. პირაღმა იწვა და ეძინა.

თარაში შევიდა. მის პირდაპირ წამოჯდა ლოდზე..

ზის და შესცქერის ცეცხლს. ისევ ის ღამე მოაგონდა. არზაყანის ტუჩ-პირის დანახვისას ლამარია თვალწინ წარმოუდგა. ისევ წაეკიდა გულზე გაწბილებული ხვადის სიძულვილი.

„ან ახლა, ან არასოდეს!“

ადგა. გაიარ-გამოიარა ქვაბში. მართლაც, რაღაც საოცარმა წერამ გადაჰკიდა თარაშ ემხვარის ბედი არზაყანისას. ვინ იცის, ეგებ რაკი ორივენი ერთი და იმავე ქალის ძუძუს თანაზიარნი რომ იყვნენ, ამან შეაჯიბრა ისინი ერთიმეორეს.

გარეგნულად თითქოს მაშინ დასცილდა მათი ცხოვრების ეტლები ურთიერთს, როცა თარაშ ემხვარ ევროპას წავიდა. მან ქვეყანა მოიარა, სამეცნიერო ხარისხი მიიღო, სახელი მოიხვეჭა და შინ დარჩენილი არზაყან მაინც განაგრძობდა მასთან მეტოქეობას. ახლა მოაგონდა თამარი.

თარაშმა ხომ ყოველივე იცის, თუ როგორ ირყეოდა თამარი მასა და არზაყანს შორის. ძაბულის მიმართაც ხომ უზომოდ ეჭვიანობდა არზაყან, კაროლინას თვალებით სჭამდა. და ისე გამოდიოდა: ყველას, ვინც კი თარაშ ემხვარს ასე თუ ისე უყვარდა ან მოსწონდა, ყველასკენ შურიანი თვალით იმზირებოდა არზაყან.

ისევ დაჯდა თარაში ცეცხლის პირად და დოღი მოაგონდა. იქაც ისევე შეეტოქნენ ისინი ურთიერთს, როგორც ხათუნას ძუძუების გამო, სათამაშოების, პატარა მოზვრის, მამამძუძის მიერ მისოუსტისათვის გაზრდილი კვიცის გამო; ვირი ხომ ვირია, მამის, ჯამსუღის მიერ ნაჩუქარი ვირი ნიკოლაშა, ამ ვირის გამოც ეტოქებოდა არზაყან თარაშს.

ახლა თარაშის ცხოვრება ასე თუ ისე ნორმალურ კალაპოტში

აპირებდა ჩადგომას. ლამარია სწორედ სამისო ქალი იყო, ვნებიანი, მორჩილი და თავმდაბალი, უპრეტენზიო, ქარგვა იცოდა ლამარიამ, სელის ბეჭვა, შალის მოთელვა, ქსოვა, კერვა და სანაქებო ოსპის წვენის გაკეთება. ერთი სიტყვით, ლამარიას ყოველივე სიქველე მოეპოვებოდა, ყოველივე, რასაც მოითხოვდა თარაშ ქალისაგან. თემურსა და მის ოჯახსაც კარგად ეგუებოდა თარაში.

შეირთავდა ლამარიას, ტარბებს წორს გაუგზავნიდა, როცა თარაში დევის ქვაბში რჩებოდა ზამთარში, არზაყან ალბათ მის საცოლესთან ნებივრობდა იქ მახვშის კოშკში, იმიტომაც ეზარებოდა დევის ქვაბში ამოსვლა, ალბათ ამიტომ... ეს კარგი, აქ ლამარიასაც მიუძღვის წილი. ლამარიას თუ არ შეირთავდა, უმცროს დას ქეთინოს ხომ მიათხოვებდნენ თარაშს. თემურმა თავად შეაძლია ქეთინო! ეს იყო ოღონდ, თემურს ჯერ უფროსი ქალის გათხოვება ერჩია. რომელიც გინდა, აირჩიეო.

ქეთინო, კაცმა რომ თქვას, ლამარიაზე უფრო ლამაზია და თავშეკავებულიც. ახლა მეზირი მოჰკლა არზაყანმა და ქორა მახვშის ოჯახი სამუდამოდ დაუკარგა თარაშს.

არზაყან გაექცია, თავად დარჩენილიყო? გლახაკივით ფიცი უნდა მიეცა: მეზირის მოკვლაში წილი არ მიდევსო. მერმე ვინ იცის, დაუჯერებდნენ თუ არა? სამეგრელოში ანდაზად იტყვიან, სვანივით გულის მოსვლა იცისო (შესაძლოა, არზაყანს რომ ვერ მოიხელთებდნენ, თარაში მოეკლათ მის მაგივრად).

ვინ იცის, ეგებ დედის ხსენის ბრალი იყოს ეს ყოველივე. თავად ხსენში ღებულობდეს ადამიანი ისეთ ფერმენტს, ვისთანაც მას გაიზიარებ, იგი იყოს უპირველესი შენი მეტოქე. და ტყუპების სიძულვილის მაგალითები მოაგონდა თარაშ ემხვარს, მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ ებლანდებიან ურთიერთს ფეხებში.

იფიქრა, იფიქრა და ბნელზე ბნელი ამბები წარმოუდგა თვალწინ. ეგებ ეს მართალი იყოს, ამ ხსენის მომწოდებელია პირველი

ქალი, რომლის გარშემო ეჯიბრება ხვადი ხვადს, როგორც მამალი როჭო როჭოს ებრძვის დედლისათვის? ეგებ ამიტომ ებლანდებოდეს არზაყან მას ფეხებში? ეგებ ამიტომ გადაუდგება არზაყან მას, როგორც კი ქალისკენ გაიწევს თარაშის გული?

აწი თავისი დამოუკიდებელი გზა უნდა თარაშ ემხვარს და საკუთარი პირადი ცხოვრება, ისეთი, რომელშიც სხვა ვერ შეერევა. ახლა კი დროა გაწყდეს ის არტახები, რომლითაც მისი ცხოვრება არზაყანისას გადაესკვნა.

თავზე წაადგა ემხვარი მძინარეს. უნდა შესძახოს, რევოლვერი აიღე, თავი დაიცავიო.

მივიდა, დაცუცქდა მის გვერდით, ხმადაბლა დაუძახა: „ადექი, არზაყან“.

არზაყანს ტკბილი ძილი მორევია. წევს გულზე ხელებდაჭდობილი. ასეთმა ფიქრმა მოიცვა თარაშის გული:

ქვეყნის დამაქცეველ ავაზაკსაც ისეთი მართალი სახე აქვს ძილში, თითქოს ჩვილი იყოს აკვანში ჩაკრული.

ძილში ყოველ ადამიანს ყრმისა და მიცვალებულის ალალმართალი სახე აქვს. მას არ მოეკითხება ამქვეყნიურ ცოდვებისათვის.

ხელი უბიძგა თარაშმა არზაყანს, შეანჯღრია, მაგრამ მკვდრული ძილით სძინავს არზაყანს. ქუთუთოები შეუთამაშდა, ზემო ტუჩი აუტოკდა და ისე საწყალობელად დაიკვნესა, როგორც მძინარე ბალღს სჩვევია ხოლმე გაღვიძებისას.

წარბები ზეასწია, ბალღივით გაებუშტა ტუჩ-პირი. და მოაგონდა თარაშ ემხვარს, როგორ ეძიძგილავებოდა დილაობით მის გვერდით მწოლარე არზაყანს პატარა მისოუსტ. და რაღაც საოცარი გულისტკივილი შეიცნო თარაშმა. თავისი ტკბილი, ტკბილი ბავშვობა რომ მოიგონა.

ახლა ნაზად ხელი ხელზე წაავლო არზაყანს და ხმამაღლა ჩასძახა: გაიღვიძეო.

არზაყანმა თვალი გაახილა, იკითხა თუ რამე მოჰკალიო, მისოუსტ? და ისე სულმოსწრაფებულად იკითხა, თარაშს შეეცოდა.

როჭო მოვკალიო.

არზაყანი მოიღუშა, ჭირვეულ ბალღსავით ადუდღუნდა. მე მეგონა, ჯიხვს მოიტანდი, შენ თემური ხომ არ გიკლავდაო ჯიხვებს?

თარაშმა იწყინა საყვედური.

„მაშ, ჯოგის თვალი ვინ მოჰკლა?“

„იმ მწერალმა, ჩვენთან რომ ნადირობდა“.

„იმან მე მესროლა, შე ტუტუცო“. არა, გეხუმრებიო, სთქვა არზაყანმა და ისევ შერიგდნენ.

ერთ საღამოს დაიქადნა ემხვარმა, სანამდის ჯიხვს არ მოკვლავ, ცოცხალი არ დავბრუნდებიო და უთენია გავიდა ქვაბიდან.

* * *

მთელი დღე უგუნებოდ იყო არზაყან. ნესტიან ქვაბში წოლამ ნაიარები განუახლა. საჭმლის გაკეთებაც დაეზარა. მთელი დღე მშიერი იწვა ქვაბში და ფიქრობდა.

სვანეთში დარჩენა უკვე შეუძლებელი იყო. ქორა მახვშის ოჯახში არ მიესვლებოდა, დევის ქვაბში სანამდის ეცხოვრა სხვისი ხელების შემყურეს?

ამიტომაც ამ დღეს გადაწყვიტა არზაყანმა როგორც კი თარაში ქვაბში მობრუნდებოდა, მეორე დღესვე ლატფარით გადასულიყო ქუთაისში. მერმე ტფილისში სამსახურს იშოვნიდა, ინსტიტუტშიაც მოეწყობოდა როგორმე.

და ტფილისისათვის ფიქრმა თამარი მოაგონა. აქაც განახლდა ნაიარევი, ეს სახელი „თამარ“ ათას იდუმალებათა შემცველი არზაყანისათვის. არაფერი არ იცის არზაყანმა, რა ბედი ეწვია

თამარს.

სად არის? როგორაა, ან რას აკეთებს ნეტავი!

იგებ ინსტიტუტში შევიდა? ან გათხოვდა, ეგებ ისევე ზუგდიდს მიბრუნდა და ეს ზამთარი ბაბუა ტარიელის, შარდინ ალშიბაიას და შლუ ლუკაიას საზოგადოებაში გაატარა!

სადაც არ უნდა იყოს თამარი, უთუოდ მოსძებნის მას არზაყან. ტფილისში თუ არაა, ზუგდიდს ჩავა. ამას უთუოდ ასე იზამს არზაყან. ამ სურვილს ტარბები კი არა, მთელი ქვეყანა წინ რომ აღუდგეს, მაინც შეისრულებს.

ეგებ გათხოვდა თამარი? გათხოვდა. მერე რა?..

ვისიც არ უნდა იყოს იგი ამჟამად, მაინც არზაყანის უნდა გახდეს თამარი. ასე სწერია ბედისწერის იდუმალ წიგნში. ამ გეგმებს ერთი დაბრკოლება აფერხებდა. ეს იყო თარაშის ამბავი.

ბოლოს თარაში მის გამო, არზაყანის გამო, გადაეკიდა იმ წყეულ ტარბებს. ახლა თარაშის აქ დატოვება ხომ უხერხულია არზაყანისათვის? ესეც არის, თუ წამოვა ტფილისს, წამოვიდეს. ვინ უშლის ამას თარაშ ემხვარს? თარაშის აქ ყოფნის მიზეზი მარტო სისხლის ღვრის მორიდება როდი იყო, არც თარაში იყო ისეთი ჯაბანი, ვიღაც ტარბების შეშინებოდა.

გადასწყვიტა მოლაპარაკებოდა თარაშს წასვლამდის. ეს ყოველივე გამოერკვია. მამა ჩერქეზეთს გადავიდოდა ცოტა ხნით. მერმე შეეცდებოდა არზაყან, ხელისუფლება ჩაერია ამ საქმეში და ტარბები აელაგმა.

ჩვენ, ბოლშევიკებს, ტარბები კი არა, მთელი მსოფლიო ვერას დაგვაკლებს, ტარბები ვინ ეშმაკებია? ცხენის ქურდი ტარბები.

ფიქრობს არზაყან.

ინანა: მამის პანიკას რომ აჰყვა და მთელი ზამთარი დათვების ბუნაგში გაატარა უსაზმნოდ. აუტანელი გახდა მისთვის ცხვრის ტყაპუჭის სუნი, წიფის სუნი. ეს სუნი უდის ლამარიასაც, ანწლის

არაყი, თხის ხორცის ჭამა, სვანების ხმამაღალი როხროხი, ქორა მახვშისა და მისი ვაჟების ჯლოყინი.

სინათლე მოენატრა არზაყანს. სუფთა საწოლი, სუფთა სამოსი, სუფთა ქალაქი, ელექტროს შუქი, წვერის გაპარსვა, რბილი ვაგონი, ასფალტმოსხმული ქუჩები, გაზეთები, წიგნები, კულტურა.

ესაა ნამდვილი ცხოვრება. ამ ბნელეთში რა ცხოვრებაა? მთელი ზამთარი გამომწყვდეული ხარ ამ მთებს შორის, მთელს კაცობრიობას მოწყვეტილი და გარიყული. მამა რომ წინ აღუდგეს არზაყანს?

რა ვუყოთ მერმე. მამას ჯერ ძველი ამბები არ დავიწყებია. მის შეგნებაში ჯერაც ძველი დროა, როცა სისხლის მაძიებელნი თავზარსაც სცემდნენ მთელ სოფლებს, მთელ გვარს. ესეც არ იყოს, არზაყან უასაკო ჭაბუკი როდია, მამის ჭკუაზე რომ იაროს... ყველაფერს აჯობებს, არც გაუმხილოს ეს ყოველივე მამას, ისე წავიდეს, თორემ ყაყანს ასტეხავს ბერიკაცი.

ამ ფიქრებში ჩასძინებოდა. შეღამებულზე უკვე სავსებით ბნელოდა ქვაბში, როცა ფეხის ხმა მოესმა, ფეხის ხმა და ოხვრა. ძილში მოშივნოდა არზაყანს და ეს იამა კიდევაც.

თარაში მოსულა. რაიმეს მოიტანდაო უთუოდ,.

თვალის გაუხელელად შეეხმიანა. თარაშ, ვაჟკაცი იქნები, თუ ახლა ჯიხვი მოგიტანიაო.

„რაო, მოგშივდა?“ ეკითხება თარაშის მაგივრად ქვაბში შემოსული კაც ზვამბაია.

„მომშივდა, საშინლად მომშივდა მისოუსტ“.

„აბა, ცეცხლი სჭამე, შვილო, ცეცხლი“. უპასუხა მამამ.

არზაყანმა ხმა იცნო. გადაბრუნდა და დადუმდა. დიდხანს იჩალიჩა კაც ზვამბაიამ და, როგორც იქნა, კერაზე დაბნეულ ფიჩხებს თავი მოუყარა, ცეცხლი გააჩაღა.

„კი მაგრამ, ბიჭო, ასეთი უსვინდისობა თუ შეიძლება, — დაიწყო კაც ზვამბაიამ, — კაცმა პატივი გვცა, მიგვიღო და ასე ღორულად მოიქეცი. შეიძლება ასეთი რამე? ახლა სად აპირებ წასვლას? გშია არა? მიბრძანდი და ცხელ ჭვიშტარებს მოგართმევს გურანდუხტი. ჭირს გაჭმევენ, ჭირს“.

არზაყანს ჯიხვის ქურქი თავზე წაეფარებინა და გალურსული ყურს უგდებდა მამისაგან ქირდვას და მოჰყვა კაც ზვამბაია თავიდან, მისი საყვედური ისე ძველი და მოსაწყენი იყო, როგორც დაუჯდომელის საკითხავი ვნების კვირაში, ახლა მაინც სულ თავიდან დაიწყო, ჩამოსთვალა სათითაოდ, კომკავშირში როგორ ჩაეწერა არზაყანი, მთელი ქვეყანა მტრად რომ მოიგო, „კოლექტივი როგორ შემოაღებინა სოფელში“, ტარბების სისხლის ამბები მოჰყვა ამას და სხვა დანარჩენი უბედურება. არზაყან სდუმდა და ეს მომეტებულად აბრაზებდა ბერიკაცს. იგი სწყევლიდა, ლანძღავდა არზაყანს, ის მერჩიაო, შენს მაგივრად გველი დაბადებოდაო დედაშენს, ისა სჯობდაო სისხლად ქცეულიყავიო დედის მუცელში.

„კარგი, მამა, იკმარე ახლა. რაკი მე ამდენს გაწუხებდი, აწი აღარ შეგაწუხებ“.

ესა სთქვა არზაყანმა, გვერდი იცვალა. ბოლოს მოსწყინდა ბერიკაცს ბუზღუნი. თარაში სად წავიდაო? იკითხა.

აქ კი დუმილი უხერხული იქნებოდა, ამიტომაც მიუგო, სანადიროდ წავიდაო. ამით დაკმაყოფილდა კაც ზვამბაია. უკვე ბნელოდა გარედაც. სწუხდა, რად იგვიანებსო. ახლა განსაკუთრებით ამისთვის უნდოდა თარაშის ნახვა: ეკითხა მაინც, თუ დაიდო წილი ამ შლეგთან ერთად მეზირის მოკვლაში. ამასობაში ჩასძინებოდა და საზარელი რამ დაესიზმრა ბერიკაცს:

ოქუმში მიბრუნდა კაც ზვამბაია. გვიანი ღამეა, სახლი გამოკე-

ტილია, დალურსმულია წინა კარები. არზაყანის სამზადს მიაკითხა. შეაღო კარები და ხედავს, არზაყან გვერდით მოსწოლია საკუთარ დედას...

დედა და შვილი ორივე ხედავს, ოჯახის მამა რომ შემოვიდა ქოხში. ხათუნა უსირცხვილოდ იცინის, არზაყანს ბრაზი წაეკიდა სახეზე, როგორ თუ მამამ გაბედა და ხელი შემიშალაო. სიზმარია თუ ცხადი?..

ცხადად, ცხადად ხედავს ამ საშინელებას კაც ზვამბაია. გახევებული დგას ცოლის საწოლის წინ. თმები ხმლებად გადაექცა კაც ზვამბაიას, ტანზე ეკლები დააყარა. გაცოფებულმა გაივლო სატევარზე ხელი და ერთ წუთში არზაყანს წააცალა თავი... და ხედავს არზაყანის თავი აგდია კერასთან... კიდევ დახედა: თავი არზაყანისაა. მაგრამ წვრილი, წვრილი თვალები ეუცნაურა, თავგასრესილ მეზირის თვალები შეიცნო და იქედნურად იცინიან კიდევ ეს თვალები... და ეს თვალები კაც ზვამბაიას საკუთარ თვალებს მოაგონებს რატომღაც. აერია გონება, აწრიალდა მოხუცი, ვისია ეს თვალები ნეტავი? — ისევ ახელებენ მას ეს თვალები, უნდა მიეჭრას, გასრისოს მანაც მეზირის თვალები, ისინი ამოცვივდნენ უპეებიდან, ხვიმირში შეძვრნენ და წივილი ასტეხეს, ტვინის გამხვრეტი წივილი.

ამ ტანჯვაში იყო კაც ზვამბაია, როცა ფეხის ხმა გაიგონა. თარაში მოსულაო, გაიფიქრა, თვალი გაახილა. ხედავს: არზაყანს ტანზე ჩაუცვამს და სადღაც მიდის.

კაც ზვამბაიამ ჯერ აცალა, მერმე ხედავს ნაბადი მიწაზე დააგო არზაყანმა და კეცავს.

ნაბადი დაკეცა, ჩექმის ყელი მუხლებს ზემოდ გადაიწია და ფაფახი გაფერთხა ხელისგულზე, კაც ზვამბაიამ თავი აიღო.

„სად მიხვალ, ბიჭო?“ მიაძახა.

„სად მივალ? ეს მე ვიცი“. კაც ზვამბაია საწოლიდან წამოიჭრა.

გაუმეორა კითხვა.

„მე შენ გეკითხები, სად მიხვალ-მეთქი?“

„ტფილისს მივდივარ, ახლა რა გინდა!“

„როგორ თუ მე რა მინდა? შენ რომ ტარბებმა მოგკლან, მაშინ ვინ იქნება პასუხისმგებელი შენი სისხლისათვის“.

„ჩემი თავისთვის მე ვაგებ პასუხს“.

„შენ თუ მე?“

„მე“.

„მე და შენ ვინ გაგვყო?“

„ვინაც გამაჩინა“.

„ვინ გაგაჩინა შენ? მე გაგაჩინე და იცოდე, ჩემი სისხლი“... არზაყან დადუმდა და მამამ განაგრძო:

შენს მოკვლას მე არ დავეძებ, შენი სისხლი რომ დაღვარონ, მე სისხლი უნდა ავიღო, რადგან შენ ჩემი სისხლი გაქვს მობარებული“.

ადგა არზაყან და ქუდს ხელი წამოავლო. წამოდგა კაც ზვამბაია და გაშიშვლებული ხანჯალი გამოიღო სასთუმალიდან.

წამოიწია გამხეცებულმა მამამ.

არზაყან უკუიქცა, მაუზერზე მოისვა ხელი. დაიგრიალა დევის ქვაბმა, და როცა ირგვლივ გამდგარი კვამლი გაიფანტა, კაც ზვამბაია კერის პირად ეგდო სისხლში გათხუპნული. მარჯვენა წარბთან გამოსვლოდა უპიდან ამოვარდნილი თვალი და ეს თვალი ისეთი გახვრეტილი მზერით შესცქეროდა მამის მკვლელს, თითქოს სულში უპირებსო ჩაძვრომას.

ვეღარ გაუძლო შეძრწუნებულმა არზაყანმა ამ სურათს. ნაბადი გახსნა, ზედ გადააფინა მიცვალებულს.

ახლა წასვლას დაადგა არზაყან ისევე, მაგრამ ვერ მიბედა ცხედართან, უნაბდოდ წასვლა არ ივარგებდა, ხოლო ნაბდისთვის ვერ ეხლო ხელი, რათა კვლავ არ შემოეხედნა სისხლში

მცურავ ცალთვალა მამას. ამ დროს მოისმა გაურკვეველი ხმაური.

არზაყანმა ხვრელს მიაყურა. ორთა საუბარი ისმოდა, ერთერთად თარაშის ხმა შეიცნო, შეკრთა, ეგებ მილიცია მოეყვანაო თარაშს. დაფიქრდა: საიდან გაიგებდა ამას ყოველივეს თარაში? ამასობაში მოისმა ხვრელიდან: ჩვენა ვართ, ჯიხვი მოგვაქვს. ბოლოს თარაშმა და საურმა შემოათრიეს ჯიხვი. არზაყან გახევებული იდგა მათ წინაშე. მონადირენი ხმამაღლა იცინოდნენ. მათ ჯერ არ დაენახათ ნაბდის ქვეშ მდებარე ცხედარი. გამოირკვა: არზაყანის საძებრად წამოსული საური, თარაშს გადაჰყროდა ორბების კლდესთან მონადირეს. არზაყან არ დაიბნა. საყვედურის კილოთი მიმართავდა თარაშს: სად იყავ, კაცო, შენ რომ აქ ყოფილიყავი, ჩვენ ეს საქმე არ მოგვივიდოდაო, თარაში შეკრთა. რა საქმე, რა მოხდაო? მამა მოგვიკლესო. ვინაო? იყვირა შეშფოთებულმა ემხვარმა. არზაყანმა მგლოვიარე სახით დაიწყო: „შენ რომ წახვედი, მეორე დღესვე ამოვიდა მამა, მერმე ის იყო, შენ დაგაგვიანდა. აიჩემა საწყალმა, ეგებ რაიმე გაუჭირდაო. მივაკითხოთო. როჭოების კლდეებთანაც არ ვიყავით მიღწეული, სამი ვინტოვკიანი მეჯოგე თავს დაგვესხა. მე მგონია, ჯვარელი ტარბები უნდა ყოფილიყვნენ. სროლა აგვიტეხეს. მე ჩემი მაუზერიღა მქონდა“.

არზაყანი დადუმდა, თარაში მიწას დააჩერდა.

„მერმე ის იყო, მოგვიკლეს...

განაგრძო არზაყანმა და ნაბადს გადახედა.

სვანი მონადირეები წამოგვეწიენ, თორემ ვეღარც მე გადავრჩებოდი“.

„უეჭველად ტარბები იქნებოდნენ, — ამბობს საური.

ლამარიობას კოხტა ლაფარიანს ეკითხებოდნენ: ქორა მახ-

ვშთან ხომ არ სტუმრობენო? პაპაჩემი მოლაპარაკების დაწყებასაც აპირებდა უკანასკნელად“.

თარაშ ემხვარმა ნაბადი გადახადა მიცვალებულს. მუხლი მოიყარა, მარჯვენა მკერდზე ემთხვია მოწიწებით.

მერმე დასხდნენ სამივე მდუმარედ.

„რას აპირებთ ახლა?“.

იკითხა საურმა და არზაყანს შეაცქერდა. არზაყან სდუმდა და მის ნაცვლად გაზრდილმა გაიღო ხმა: „ „ოდიშში უნდა წავიღოთ, აბა, რას ვიზამთ სხვას? განსვენებულმა რამდენჯერმე მთხოვა, თუ მოვკვდე, აქ არ დამტოვოთ, ოდიშში წაიღეთო ჩემი ძვლები“.

ესა სთქვა ემხვარმა და არზაყანს გადახედა. არზაყანმა ტარბების წინაშე შიში ისაფრა. სახიფათო არის ცხედრის წაღება. საერთოდ, მას აგრე უნდოდა: ლაფარიანთა კარში ჩაეტანათ ცხედარი და იქ დაეფლოთ. მერმე თარაშს დაეთანხმა მაინც..

„შენ ახლა ერთი ცხენი მაინც უნდა გვიშოვო, საურ“, ამბობს თარაში.

„ჩვენებს თქვენს სახელს ვეღარ გავუმხელ... პირიქით, ლაფარიანთ კარში ხმა დავარხიე: სვანეთიდან გადაიკარგნენ-მეთქი. ისედაც არც ერთი ლაფარიანი თქვენ ცხენს არ გათხოვებთ. საერთოდ, ჩვენს სოფელზე გავლასაც არ გირჩევთ. ისე სხვას არავის ჰყავს ჩვენს სოფელში ცხენი. ხვალ-ზეგ ეგებ ჯოკიამ ჩამოიაროს. ის თუ გიშოვნით“...

სთქვა საურმა. სათოფურებიდან გაიხედა. მცირე დუმილის შემდეგ განაგრძო:

„ახლავე გადაწყვიტეთ, რას აპირებთ, თორემ მაგვიანდება“.

ერთი საკითხიც მოსაგვარებელი იყო: სად შეენახათ ამ ორსამ დღეში მიცვალებული ისე, რომ ნადირს არ გაეფუჭებინა. ახლა გაზაფხულია, სუნი აუდინდებაო ცხედარს, ამტკიცებდა საური. სხვა ქვაბიც არსად იყო შემოგარენში. მაშინ ძველკოლხური

ჩვეულება მოაგონდა თარაშ ემხვარს. გადასწყდა: ყვითელ კლდეებამდის ჩაეტანათ სამივეს მიცვალებული როგორმე, იქ სადმე ნაძვებზე დაეკიდათ ნაბადში გახვეული.

იმავე დღეს, ნაშუადღევს ძლივს ჩაიტანეს მკვდარი. უზარმაზარი ნავი მოსძებნეს, თოკებით დაჰკიდეს ზედ.

* * *

ქვაბში მიბრუნებულ არზაყანსა და თარაშს კრინტი არ დაუძრავთ. დამდურებულსავით წამოწვნენ. ცას ჯერ მრუმე ღრუბლები წამოესიენ. დაიგრუხუნა. ჰაერი შეტბორდა და კოკისპირული წვიმა დაუშვა.

თარაშ ემხვარ თავდაღმა იწვა და ხვნეშოდა. არზაყან გატვრინული იყო. სდუმდა და ფიქრობდა მომავალ უსიამო დღეებისათვის. მერმე ატყდა ელვათა ტეხა..

სათოფურებიდან შემოიჭვრეტდა ხეობაში დაკვესილი ნათელი, გამოაჩენდა ცა ოქროს კბილებს და კვლავ ჩაწვებოდა ცაზე დაკიდული ბნელი. მრუმე ღრუბლები წარმოღუშულნი მიისწრაფოდნენ შავი ზღვისაკენ.

ატყდა ქუხილი, გაანათა მყინვარწვერები, მერმე დაეცა მერეხი და აბღავლდნენ ჭიუხები და უფსკრულები.

არზაყანს მოაგონდა ამ თავსხმაში ნაძვზე დაკიდებული მამის ცხედარი. გული აუჩქროლდა, მოაგონდა: საცოდავი მამა ბნელში დაკიდული, ორივე ხელი თვალებზე მიიკრა და მერე ელავდნენ სიბნელეში ცეცხლის რკალები და ჭიუხები გრუხუნებდნენ დაუცხრომლად.

ნაშუაღამევს აყვირდა არზაყანი: , რომელი ხარო, არ მოხვიდე, თორემ გესვრიო.

თარაში წამოდგა. გააღვიძა არზაყანი. დააშოშმინა. არზაყანმა თავი აიღო.

იკითხა: რა ამბავიაო?

დაემხო პირქვე და სიზმარი სიზმარს გადაება ისევე. სისხლი თხლიშინით შემოდიოდა სათოფურებიდან.

არზაყან დევის ქვაბში წევს და სისხლით ივსება გვირაბი. არზაყანიც წამოატივტივა სისხლმა. დააქვს წაღმაუკუღმა გვირაბში და ამ მორევის ზედაპირზე დასცურავს მამის თვალი, წამოვა, წამოყვება სისხლის მდინარებას და მოდის სულ ახლოს, სულ ახლოს და გამხვრეტი მზერით უცქერის არზაყანს, სისხლი ეყინება არზაყანს და პირში მოტკბო გემო აქვს, ახლად დაღვრილი სისხლის მოტკბო და გულისამრევი გემო.

კვნესის არზაყან, დასაკლავ საქონელსავით ხრიალებს. ისევ გამოაღვიძებს თარაში, თვალს მილულავს არზაყან და დაისტვენს რაღაც ხეობაში, ხმას გაკმინდავს და ისევ დაისტვენს, მერმე გაჭენდება ჭიუხებში გაბმული სტვენა და ისევ მთელი ღამე ქოთქოთებდნენ ვიღაცეები დევის ქვაბის სათოფურებთან, უსტვენდნენ გარშემო და ბღაოდა მყინვარების ფერხთით მბორგავი გრიგალი...

* * *

მესამე დღეს საური ამოვიდა დევის ქვაბში. ცხენი მართლაც ეშოვნა ჯოკიას. როცა ყვითელ კლდეებთან მკვდარს მიაკითხეს, მაღალი ნაძვი შავად შესუდრულიყო არწივების ხროვით დახუნძლული. საშინელი გნიასი იდგა ნაძვნარში. ყივოდნენ მახლობელ კლდეებზე მომდგარი სვავების, ბოლობეჭედების და არწივების ლეგიონები.

ყორნები და ჭილყვავები მელნისფერ ტალღად გადაქცეოდნენ ნაძვნარებს. დამშეული ქორები ცას გაჰკვროდნენ, წრეებს ხაზავდნენ ეთერში, ირაოს აკეთებდნენ, ყივოდნენ, ცას შესჩივოდნენ.

თარაშ ემხვარი გაიბუძგა ამ საზარელი სურათის მნახველი, იგი პირველი ავიდა ნაძვზე, და როცა ცხედარს ხელი შეახო, შეიძრა მთელი ტყე, მრავალ ათას ნისკარტს აღმოხდა შემზარავი კრიახი და ყივილი.

ნაბადი სავსებით დაეფლითათ ჭანგებს და ნისკარტებს, ხორცშემოძიძგნილი ჩონჩხი ძირს ჩამოიტანეს დიდის ვაი-ვაგლახით თარაშმა და არზაყანმა. ჯოკიამ ცარიელი ძვლები ჩაჰყარა ხურჯინში, გუნებაში გაუხარდა კიდევაც, მის ცხენს რომ არც ისე დიდი ტვირთის ზიდვა მოუხდებოდა.

მეოთხე დღეს ძვლები ოქუმში ჩამოასვენეს კაც ზვამბაიას ვაჟმა და გაზრდილმა. მხოლოდ მეოთხე დღეს, რადგან გზადაგზა მოსავლელ შარებსა და ბილიკებს მოჰყვებოდნენ ღამით, ხოლო დღისით ნაძვნარებში ემალებოდნენ ტარბების მრავალრიცხოვან გვარს.

დედალი ბეღურა

დღე კოხორას ტყეში დააღამეს და ოქუმში ღამით ჩამოვიდნენ თარაში და არზაყანი. თარაშს აღარ შეეძლო ემზირა, თუ როგორ შეიცხადებდა ძიძა ხათუნა ამ შუაღამეში თავის ქმარს. ამიტომაც ჯამსუღისეულ სასახლესთან გასცილდნენ ურთიერთს ძიძაშვილი და გაზრდილი.

არზაყანმა ცხენი ააჩქარა და მიჰყვა სოფლის შარაგზას. ტკბილად ეძინა სოფელს. მუქლეგო ღრუბლების ხნულში ძლივს დაჩოჩავდა უღონო მთვარე. სთვლემდნენ გზის პირად დარგული ნერგები, აკაციები და ტირიფები, ქოხებიდან ბნელი გამოსცქეროდა მთვარიან ღამეს. მხოლოდ რულმორეული ძაღლები ჰყეფდნენ და ჰყეფდნენ აქა-იქ. აყეფდება სადღაც ძაღლი, დადუმდება, ახლა მეორე გაეხმაურება მას და მერმე გაიშოთება დუმილი თემშარაზე და ძეწნების წვეროკინები ელავენ მთვარის შუქზე მოლაპლაპენი.

დაუჭედავი ცხენის ფლოქვების ტყაპუნი გაისმის მხოლოდ.

ფიქრს მისცემია არზაყან და აღარ იცის, ეს ყოველივე ფიქრია, წარმოდგენა თუ სიზმარი? და როცა ხურჯინი ქუსლზე შემოეხლება, მაშინ რწმუნდება, რომ ეს არც ფიქრია, არც წარმოდგენა და არც სიზმარი. ეს ნამდვილი ამბავია, ნამდვილი.

შვილს მამა მოუკლეს ტარბებმა. ახლა ერთი მუჭა ძვლები მიაქვს მოხუცებულ დედასთან. ეს ასეა და ამას ვერაფერი დაუდგება წინ. ცხენი წაიფორხილებს, შეინჯღრევა ხურჯინი და არზაყანს ცხადად შემოესმის სვავებისგან დაძიძგნილი ძვლების რაჩხუნი და ეს ხმა ისეთი საშინელია და აუტანელი, თითქოს მიწისქვეშ რაჩხუნობდეს ათასი მიცვალებულის ძვლები.

მალე, მალე უნდა მივიდეს არზაყან შინ, მოიცილოს ეს საშინელი მოვალეობა, მიცვალებული მამის ძვლების თრევა. როცა თარაში გვერდით მოჰყვებოდა, ეს ასე უცნაური არ იყო. ახლა მარტოკა ზის არზაყან ამ დაფეხვილ ცხენზე და მანძილი აღარ ილევა.

მხარი ხომ არ აექცა არზაყანს?

ეგებ ცნობიერება დაკარგოდეს არზაყანს და გადგომოდეს ულეველ გზას, რომ ასე იაროს წყეულივით და ისმინოს მამის ძვლების გულშემზარავი რაჩხუნი.

ჭიშკართან შეაყენა ცხენი. მაგრამ ეს ჭიშკარი მამისეულს არა ჰგავს. მუხის ყავარი ქარს გადაუცლია, სვეტები თითქოს წაკიდებულანო, ერთს მხარმარჯვნით გაუწევია, მეორეს მხარმარცხნით და გაუჩაჩხავთ ზედ დაკიდული კარები.

ან რა საჭიროა ამ ადგილას ჭიშკარი, მარცხნითაც შარა შეუბამთ და მარჯვნითაც და ნაჭიშკრალი დგას ისე, შნოსათვის. მესერი დაურღვევიათ, ალბათ დედას შეშა შემოკლებია ამ ზამთარში და ცეცხლში დაუწვავთ სარები. ეზოში შევიდა და ძაღლებიც აღარსად სჩანან. ეგებ ტარბებს დედაწულიანად ამოეწყვიტოს ოჯახი?

კაკლის ძირამდის მიაღწია, კაკალიც გადაუჭრიათ და მაგნოლიის ხე ქარსა და თოვლს დაულეწია. რამდენიმე კოპიტიც ძირში მოუჭრიათ. საერთოდ, ნაპარტახალს დამსგავსებია კაც ზვამბაიას ოჯახი, ოდა-სახლი კიდევ სდგას და სამზადიც გამოკეტილია. არც ერთი ძაღლი ხმას არ იღებს. ცხენიან კაცს გააფუჭებდნენ სხვა დროს ზვამბაიას ძაღლები, მთელ სოფელში სიავით განთქმულნი. მამისეული ოდა-სახლი შეძულებული ჰქონდა არზაყანს, ამიტომ სამზადს მიაშურა.

ჰეიო, დაიძახა, მაგრამ ბაიბური არ ისმის. ჩამოხტა ცხენიდან, სვეტზე მიაბა, ხურჯინი ჩამოიღო. კარებს მიადგა. შიგნიდან დაკეტილია, სჩანს, ვიღაც კიდევ დარჩენილა ცოცხალი. არ იცის, ვის დაუძახოს, რადგან არც ის იცის: ვინ დარჩენილა ცოცხალი. მათრახის ტარი მიწარახუნა და დაუძახა მასპინძელს.

კიდევ დააბრახუნა, მაგრამ ახლა მაუზერის ტარით.

„რომელი ხარ?“ მოისმის ქალის ხმა ისე შორიდან, თითქოს ჭიდან ამოსძახა ვიღაცამ.

„მე ვარ, მე, გამიღეთ კარი“.

შენ რომელი ხარო? შეეკითხა იგივე და ახლა ძაბულის ხმა შეიცნო არზაყანმა.

მაშ კიდევ აქ ყოფილა ძაბული? ეს გაიფიქრა და მოუთმენლად მიაწვა აჭრიალებულ კარს.

ესმის არზაყანს, თუ როგორ მოადგა ძაბული კარს. ურდულს ხელი წაავლო, მაგრამ გაღებას მაინც არ აპირებს და ათრთოლებული ხმით ეკითხება:

„შენ რომელი ხარ?“

„მე ვარ არზაყანი, ვერ მიცანი, ქალო?“

ძაბული შეშფოთდა. მატყუებსო ვიღაც, ეს გაიფიქრა და სანახევროდ გამოღებული ურდული ისევ გაუყარა კარს.

„სთქვი მართალი, ვინა ხარ? მე კარს ვერ გაგიღებ ამაღამ, ქუჯი“.

კიდევ დაუმოწმა არზაყანმა, ვინც იყო, მაშინ გაიღო კარი და ძაბული გაიშოთა სოხანეზე პირაღმა.

არზაყან წაქცეულს მიეჭრა. ხელში აიტაცა. ტახტზე დააწვინა გულშემოყრილი ქალი. მერმე დიდხანს ეფერებოდა, კოცნიდა, საკინძე გაუხსნა, წყალი მოუტანა პეშვით, ასხურა გულმკერდზე, საფეთქლები დაუზილა.

მე ვარ შენი არზაყან, ნუ გეშინიაო.

თვალს გაახელს ძაბული. გაოცებული შესცქერის არზაყანს, როგორც მოჩვენებას, როგორც მკვდრეთით აღმდგარ მიცვალებულს. მერმე თვალებზე ხელს დაიფარებს და სტირის. ისევ მოიწმენდს თვალებს, მკლავში ხელს წაავლებს, სინჯავს, ხორციელია თუ მოლანდება? — აიღებს არზაყანის ხელს, ჰკოცნის, ჰკოცნის, მკერდში ჩაიხუტებს და ისევ აუვარდება ქვითინი.

ადგა არზაყან, ცხენს მივხედავო, წაილუღლუღა.

ხურჯინთან ბებერი მურა მისულიყო, დაყუნცულა იქვე და ყნოსავს თავის პატრონის ძვლებს. გაუწყრა არზაყანი ძაღლს, ცხენი ბოსელში შეიყვანა, ხურჯინი შინ შემოიტანა და ისევ ძაბულის დაუჯდა საწოლთან.

წამოდგა ძაბული. სახეზე ხელი დაუსვა, ეუცხოვა მისი გაბურძგვნილი, შავი წვერ-ულვაში. სიზმარში ნანახი ფერმკრთალი სახე მოაგონდა და მიწისფერი წვერი.

და უკვირს, სადღაა მხაიარული, ალერსიანი არზაყან? ეუცხოვა ეს თვალებჩაცვენილი, გაჩეჩილი მამაკაცი. მერმე დაუვარდა ფერხთით, მუხლებზე მოეხვია და უკოცნის მუხლისთავებს. ეუცნაურა არზაყანის სუნი.

არზაყანმა ააყენა ქალი, გვერდით მოისვა. მხარზე ხელი გადახვია. ძაბული თარაშის მოკითხვას აპირებდა, მაგრამ სიტყვა

ენის წვერზე დაიჭირა. მამა სად არისო? მამა იკითხა თარაშის ნაცვლად.

„მამა იქ არის, ძლივს ჩამოვიტანეო“.

ამბობს არზაყან და ხურჯინისკენ უთითებს. ახლა ისევ შეეპარა ძაბულის ეჭვი, რომ ეს შავწვერიანი კაცი არზაყანია თუ მოჩვენება. ან არადა ეგებ შეიშალა, ფიქრობს. შესცქერის არზაყანს და თვალები გაუგანიერდა ძრწოლით ატანილს. კიდევ შეეკითხა: რა უყავითო მამა?

სახეში შეაცქერდა.

არზაყან შეაკრთო ამ დაჟინებულმა კითხვამ. ეგებ გულთამხილავი გახდაო ეს ქალი და საიდუმლოს შემცველი მისი გული შეიკუმშა უცნაურად ამ დაკითხვისგან.

მე რას ვუზამდი, ძაბული? ტარბებმა მოგვიკლესო მამა.

„დედაუ“, დაიკივლა ძაბულიმ და თმებზე გაივლო ხელი. რა ვუთხრათ ახლა დედა ხათუნას. ტარბებმა მოგიკლესო? თქვენ სად იყავითო — შვილი და გაზრდილი? გრცხვენოდეს ორ ვაჟკაცს, ბერიკაცი რომ ვერ იპატიეთო.

არზაყანს შერცხვა. ოდნავ შესცვალა თარაშისადმი ნაამბობი შეთხზული ამბავი. მარტო დაუხვდნენო ნადირობის დროს მთებში. ვერ მივუსწარითო მე და თარაშმა. დასვა ძაბული და წვრილად უამბო, თუ როგორ ეწამენ დევის ქვაბში არზაყანი და თარაში, როგორ გაიტანეს მიცვალებული ხეზე „აფხაზური წესისამებრ“, მერმე როგორ ჩამოასვენეს ოქუმში დიდის ვაი-ვაგლახით.

და ამ ამბების თხრობამ კვლავ მოაბრუნა არზაყანის გულში იმ საშინელი დღეების აგონია, კვლავ განუახლდა სიცხადეში გადმოყოლილი სიზმრის სიმძიმილი, სისხლით გავსილი დევის ქვაბი დაუდგა თვალწინ და წითელ მორევში მცურავი ცალი თვალის მზედავსილი ციმციმი.

ანაზდეულად აღტყინდა არზაყან. ძაბული საწოლზე გადააწვინა და გრძნობააღრეულმა დაუწყო კოცნა.

გაოცდა არზაყან, როცა ძაბულიმ ტუჩები წაართვა, ხელიდან გაუსხლტა ვაჟს და მკლავები გაუკავა. ევედრებოდა: ჯერ გონს არ მოვსულვარ, ამაღამ ხელს ნუ მახლებო, ხელის მოწერამდის ხელს ნუ მახლებო.

არზაყან უეცრად გაცოფდა. ეგებ შენ სხვას ელოდი, მიტომაც შეკრთიო ასე უცნაურად, ეგებ ქუჯის უცდიდიო ამაღამ? ან თარაშ ემხვარის სიყვარული ჩაგრჩაო გულში? — ნუ გეშინია, თარაში ცოცხალიაო, ხვალიდან მე გამშორდი, მისი საყვარელი გახდიო, ეგებ მისთვის ინახავდიო უბიწობას?

ძაბული აღაშფოთა არზაყანის ასეთმა უსამართლობამ.

რა შუაშია ქუჯი ან თარაში? ქუჯიმ ღომი გაგვიწყო შემოდგომაზე. თავხედად მომექცაო, სილა ვაჭამე და გავაგდე შენი სახლიდან, რაც დედა ხათუნა საავადმყოფოში წავიყვანეთო, ორ-სამჯერ მოეთრაო ღამე, კარებთან იძახოდაო, კარის გაღებას მემუდარებოდა, მაგრამ ხმასაც არ გავცემდი, ისე წაეთრეოდაო.

იფიცავდა თავის გარდაცვლილ ძმებს, არასოდეს უბრალო ფიქრითაც არ მიღალატნიაო შენთვის.

„აბა, თუ ასე ერთგული ხარ, ამაღამვე გახდი ჩემი ცოლი“.

ეუბნება არზაყან და ჰკოცნის ძუძუებზე, ყელზე და სახეში. ძაბული ხათუნას მზეს აფიცებდა, მამის სულს და უმცროს ძმებს, ხელის მოწერამდის ხელს ნუ მახლებო, თორემ თქვენ, მამაკაცები, ყველანი ერთნაირი ხართ, ქალს ნამუსს ახდით და მერმე სხვებისკენ გაგექცევათო თვალი. თარაშ ემხვარ რა სახსენებელია, მე გულშიაც არ გამივლიაო არასოდეს მისდამი სიყვარული.

ისევ ეკვეთა გაცოფებული არზაყან ქალს. წამოაქცია საწოლზე, ორივე ხელი ცალ ხელში მობღუჯა, ცალითაც ძუძუებს უსრეს-

და. მერმე ღონეწართმეულმა ძაბული ბალიშიდან გადააგდო თავი, გაუფითრდა უარესად სახე და მინებდა უსაზღვრო ვნებას...

* * *

უთენია წამოდგა არზაყან. ღამენათევ ძაბულის მკვდრული ძილით ეძინა. დახედა. ტანჯვის იერი ესახებოდა სახეზე ქალს. უკანასკნელ წელს მოეტეხა, თმაში ჭაღარა გარეოდა, ღაწვების მახლობლად ნაოჭები გასჩენოდა, დალეულიყო ზაფრისაგან მისი გათქვირული, აყვავებული სხეული.

გავიდა ეზოში. სავსებით გაპარტახებული ეჩვენა იქაურობა. ოდა-სახლისთვის ყავარი აეძრო აქა-იქ ქარს. ეზო შუაში გაეყოთ, გადმოღმა მხარეს არსად მესრები აღარ სჩანდნენ. კიდევ შეხედა მაგნოლიის ხეს, შეებრალა შტოებჩამოლეწილი მაგნოლია, მისი ბავშვობის უტკბილესი საჩრდილობელი.

მაგრამ ეს იყო აუტანელი, საითკენაც არ მიიხედავდა, ყველაფერი მამას აგონებდა. ეს გადაჭრილი კოპიტები, ძირში მოკვეთილი ალვის ხეები, ეს ლეღვის ხეები, ის ახალგაზრდა მუხები, ყველაფერი მამას აგონებდა. აუტანელი ეჩვენა ეზოში გავლა. ახლა თხილნარისკენ გაემართა. შეწუხდა ხიდი რომ წყალს წაეღო.

წვიმებს გადაერიათ მდინარე, აქოჩრილიყო ეს პატარა ხევი, ამღვრეული მიდუდუნებდა თხილების, კოპიტების, ძეწნების ქვეშ.

დაჯდა არზაყან და წყლის დენას აყოლებს თვალს. გაღმიდან ყანჩის ყიპყიპი შემოესმა. ბეღურები ჟივილით დასხდნენ რიყეზე და თეთრი ქვა მოხვდა არზაყანს თვალში. მოაგონდა აგვისტოს 14, მაშინაც აქ იჯდა გულშემოყრილი არზაყან, სწორედ იმ დღეს მამალმა ბეღურამ შეუბრალებლად დაკორტნა დედალი და არზაყანმა საქციელი დაუწუნა მამლისადმი ძალმომრეობის უნარის მიმნიჭებელ ბუნებას...

ჭანგმოცარული მიმინო

„მეც მყავდა დედა, ის წავიდა, მარტო დამტოვა,
სად მივაკითხო? აღარ არის ამ სააქაოს,
მახსოვს, აქ იყო, ისიც ვიცი, რომ აღარ მოვა,
ვის მივაკითხო? ამ ბნელ ღამეს თუ მრუმე ქა-
ოსს?
ჰოი, დავსილო სიხარულო ბავშვობის დღეთა,
როცა მყოფნიდა სიხალისე და სითამამე,
ო, მრუმე ღამევ, ხომ არ იცი, რა იქნა დედა?
ო, ცის ნათელო, ეგებ შენ თუ მაუწყო რამე?
მე სიხარულის საუნჯენი გადამეკეტა,
ვარამის გესლით გავითანგე და მოვიშხამე,
ეგებ ღრუბლებში მზის კარავი მან გაიკეთა,
ან წილნაყარი იყოს ეგებ გადასულ მზეთა
და დაეუფლა მის მაღალ სულს უკუნი ღამე“.

ვარდანიძე-ემხვარების უკანასკნელ ნაშიერს მოხუცებული ცირუნიასა და ბებერი მწევრის მეტი არავინ დაუხვდა შინ. ცირუ-

ნია მთლად დაყრუებულიყო. მწევრისთვის ფეხი მოემტვრიათ მეზობლის ბიჭებს. წინაპრების, ნათესავების ფოტოსურათებიღა დარჩენილიყვნენ ცარიელ კედლებზე. უკანასკნელი ნოხებიც გაეყიდნა ცირუნიას დედა მაიას დასამარხავად.

კაც ზვამბაიას ძვლებს გაცილებით მეტი პატივისცემა დაუმოწმეს ოქუმელებმა. აფხაზური ქელეხი გადაუხადეს. ხათუნამ ძალად გამოაწერინა საავადმყოფოდან თავი. ოთხმწკრივად დასხდნენ თმაგაშლილი მოტირალები, შუაში კუბო დაასვენეს და ცხედრის ნიშანი.

მოვიდნენ ალანიები, მალანიები, მაქაცარიები, მალაზონიები, ფიფიები, ხვიჩიები და გვიჩიები. შავჩოხიანი, უქუდო მოზარეები ზარის გალობით და თავში ხელის ცემით მიმოდიოდნენ ჭიშკარსა და ეზოს შორის, დაბალი, დაბალი ხმით გალობდნენ ზარს.

უკუღმა შეკაზმეს ცხენი, შავებით შემოსეს. კაც ზვამბაიას იარაღი თავუკუღმა დაჰკიდეს. მოსთქვამდა ხათუნა და მოტირალნი ბერძნული ხოროს დარად „ავაჰ ვა“-ს ეუბნებოდნენ მოძახილად.

ბართაიებმა ხათუნას დედულეთიდან ხარები მორეკეს, რქებზე სანთლები აუნთეს ხარებს, ატირებული ქელეში და ჯამუ წინ მიუძღოდნენ, მჯიღებს იცემდნენ პატარები მკერდზე, შესუდრული ცხენი თავზე დააყენეს ცხედარს, მერმე სამჯერ შემოატარეს ეზოში ცხენიცა და ცხედარიც და მოთქმითა და ზარით გაიყვანეს ეზოდან.

დედა მაია კი ცირუნიას და ემხვარების ქვრივებს მიუცილებიათ სამარემდის. თარაში არც კი წასულა დედის საფლავის სანახავად. მან შინ გამოიგლოვა დედა. როცა ნაშუაღამევს შინ შესულს მოთქმით შემოეგება ცირუნია, მაია ქალბატონი აღარა გვყავსო, დედის ოთახში შევიდა თარაში, დაცარიელებული საწოლის წინ დაიჩოქა.

მე მოგკალიო, დედი, ქვითინებდა ბალღივით. არც ცირუნიას,

არც სხვა ვინმეს ამის მეტად არ უნახავთ მტირალი თარაშ ემხვარი.

მეორე დღესვე ცირუნიამ შავები გადააკრა გულმკერდზე მის ახალოხს, ქამარსა და სატევარს. იმ დღიდან წვერიც არ გაუპარსავს. დამწუხრდა თარაშ ემხვარ. მისი სული საშინელმა ნაღველმა და გლოვამ მოიცვა. სანთელივით გაყვითლდა და გაშრა. ლანდივით დაღოღავდა ოქუმის სასახლეში. ხანდახან ცირუნიას გაეპარებოდა, ვარდანიძე-ემხვარების საგვარეულო ციხეში წამოჯდებოდა ლოდზე და მიეცემოდა მწუხარე ფიქრებს.

ცირუნია დაიძინებდა, შინ მობრუნდებოდა. ყველგან დედის მიერ ხელშენავლები საგნები ხვდებოდა თვალს. მისი ხელით ნაქარგი ყურის ბალიშები, სამფეხა სკამი, დედის ფოსტლები, საქსოვი ჩხირები, ყაისნაღი, ნემსის ბალიშები, ძველი დოლბანდი და ოქრომკედით ნაქარგი გულისპირები, სათითურები, მაკრატლები და ვენეციური პირის სარკე. და ეს უბრალო ნივთები საშინელი სევდით ავსებდნენ მის სულს.

„ქართლის ცხოვრება“ ნახა მაგიდაზე დაგდებული, გადაშალა და დედის სათვალე იპოვნა შიგ. უკითხავს, უკითხავს ბედშავს „ქართლის ცხოვრება“ ზამთრის მოსაწყენ ღამეებში, თამარ მეფის სიკვდილამდე მიუღწევია და სწორედ აქ ჩარჩენია სათვალე.

თარაშ ემხვარსაც აქამდე უყვარდა ამ წიგნის კითხვა. თავათვე ამბობდა: მერმე აღარ ღირსო იმის ამოკითხვა, თუ როგორ მოსრეს, იავარჰყვესო ქართლი.

მერმე იწყებაო წარტყვევნა, დედაწულთა კალოებზე ლეწვა, ნგრევა, რღვევა და გათახსირება, გვირგვინით და ტახტით მოვაჭრე მეფეების თავგადასავალი, გადაგვარებული, ჩხიკინა ფეოდალების ხელით წაბილწული ქართლის ისტორია, გამასხარებული „მეფეთ მეფეთა“ ტრაბახი, უნიჭო მოშაირე ბაგრატიონების

იწილბიწილო, ინით წვერშეღებილი — „ყოვლად ქრისტიანი მეფეების“ ოინბაზობა და თეჰერანსა და ტფილისს შორის გამართული დოღის ამბავი.

ეს ოპერეტული ერისთავები, იავარქმნილი საქრისტიანო, მოკენწლავე მამლებივით წაკიდებული ფეოდალები და მონებით მოვაჭრე ქრისტიანული ეკლესია.

აიღო თარაშმა დედის სათვალე: გახედა.

როგორ გროტესკული სჩანდნენ საგნები, მთელი გარემო ქანაობდა შუშის გადაღმა. მერმე სავსებით შეიბურა დედის სათვალე, ცირუნიას ფეხის ხმა მოესმა, სათვალე ჩამოიღო, თვალი მოიწმინდა. წიგნის ფურცვლა დაიწყო თავათ. დაჯდა ცირუნია სამფეხა სკამზე, მის ფერხთით.

და დაიწყო მერმე ცირუნიამ:

დღედაღამ ჭიშკარს შესცქეროდაო განსვენებული, დიდსა და მცირეს ეევედრებოდა, ჩემი მისოუსტის ამბავი ხომ არ გაგიგიათო რაიმე, ან გაზეთებში თუ რამე სწერიაო? მერმე ხმა დააგდესო ოქუმში, სამნი დაგხოცესო ტარბებმა.

ერთი ბათმანი სიმინდიღა შეგვრჩა იანვარში, წისქვილში წავიღეო, ამბობდა ცირუნია, მოვბრუნდი, დამჯდარიყო შუა ოთახში, შიშველ იატაკზე, ისემც ნათელი დაადგა მის სულს, შენი ტანისამოსი დაედო წინ, და მოსთქვამდაო.

მე შევრისხე, ნუ გმობთ-მეთქი, ბატონო, ღმერთს, ქვეყანას ენა გრძელი აქვს-მეთქი ქალსავით, ენა გრძელი აქვს-მეთქი და ჭკუა მოკლე.

მაინც არ იშლიდა, ნათელი დაადგა მის სულს. მერმე ის იყო, შაბათ ღამეს თავი დაიბანა, ილოცა, ჩაწვა. მივედი დილით, დიდხანს ვაღვიძე. ადექით-მეთქი, სულე, ხმა არ გაიღო, ნათელი დაადგა მის სულს, ისე სპეტაკად და კოხტად ეძინა, როგორც მას

სჩვეოდა, ნათელი დაადგა მის სულს; წინა ღამეს სწერდაო რაღაცას ის უხანო, ვგონებ, შენ გწერდაო, არ კი იცოდა, სად გამოეგზავნა.

თარაშმა მდუმარედ მოუსმინა ცირუნიას, მერმე ადგა, მაგიდებზე ეძია ნაწერი. უჯრები გახსნა, ბიბლიოთეკების თაროებიც დასინჯა ყველგან. ერთადერთი უჯრა დაკეტილი დაუხვდა, ურთხელის კარადის უჯრა. იქვე ხელს მოხვდა საბინინის „საქართველოს სამოთხე“. რა გადაშალა, დედის ნაწერი იპოვნა.

ასოები უფრო მეტად დაღმეჭილი იყვნენ, ვიდრე ევროპაში მოწერილ ბარათებში. მთელი წერილი ისეთი სანახავი იყო, მელნით ჭანგასვრილ ფრინველებს უვლიათო მოყვითანო ქაღალდზე.

ანები ისე დანჯღრეულნი იყვნენ, ნეკრესის ქარები შეჰყრიათო თითქოს. მანების, ძილების, წილების კლერტოები ღრიანკალს დამსგავსებოდნენ, თანებს, ონებს და ინებს ძლივსღა არჩევდა ურთიერთისაგან თარაში.

მე გაგაჩინე ჩემი გულის იმედად, არ მჯერაო, თუ ოდესმე მოკვდები, შვილო. სიკვდილს რა უნდაო შენთან, მე მაქვს შენს მაგივრად სიკვდილისთვის გაწვდილი თავი. შენ ხომ გიყვარდაო ჩემთვის ბარათების მოწერა, შეიბრალეო უბედური დედა. კიდევ მომწერეო. მე მალე წავალო ალბათ, ამ ქვეყნიდან, დედა, შენთვის ვილოცავო უკანასკნელ წუთებში, შენი ხელნაწერი, შენი დიდი შრომა საწერი მაგიდის უჯრაში სძევსო. შენ მთხოვდი კათალიკოსის ეტრატის მოძებნას, შენს მზეს ვფიცავარ, ვერსად ვიპოვნეო, შესაძლო არის ურთხელის კარადაში იყოს, ზეინკალი წასულიაო ტფილისს, მაინც გთხოვ, არ დაამტვრიო, თუ გიყვარდე, ურთხელის კარადა, ცოლს შეირთავო ალბათ ჩემი ხათრისთვის, მას დასჭირდებაო ურთხელის კარადა. მე გთხოვო, ეეედ-

რებოდა დედა, კიდევაც რომ იპოვნოო, არ წაიკითხო კათალიკოსის ეტრატი. ვარდანიძე-ემხვარები, ესე მსმენია, ერიდებოდნენო ამ ეტრატის კითხვას. ჩემი ერთადერთი სათხოვარი ესაა, ნუ ამოსწყვეტო ვარდანიძე-ემხვარების ძველთაძველ გვარს, ნუ მიბაძავო ერამხუტ ემხვარს, რომელსაც ერთი ბრუციანი მეძებარი დარჩენია და ერთიც ფოლადისფერი ქორი.

ამასა და ბევრ რამეს ამგვარს კიდევ სწერდა ანდერძად დედა, კიდევ სთხოვდა, ცოლი შეირთეო, უსათუოდ ჩვენებური ქალი შეირთო, წერილის დასასრულში იმეორებდა: უკანასკნელ წუთებში ვილოცავო შენთვის.

თარაში ადგა. ურთხელის კარადასთან მივიდა. გამობრუნდა, ირგვლივ მოიხედა. უკვე აღარ შეეძლო ამ საგნების მზერა. უქუდოდ გავიდა სახლიდან, საგვარეულო კოშკისკენ მიჰყვა ბალახით შემოსილ ბილიკებს.

აქ უარესი ნგრევის სურათი წარმოუდგა ემხვარს. თავჩაყოლილი ქონგურებიღა დაუხვდა, ნესტიანი, ბნელი თაღები, დანგრეული კედლები და ჩამოლეწილი გვირაბები. გაედრიკა ეკლესიის გუმბათი საუკუნოთა სიმძიმეს და თქეშს, საშინელი სიმაღლიდან ძირს დაშვებულიყვნენ ჩუქურთმიანი თავკიდურები, ბარელიეფები, გრანიტის სვეტები შექანებულიყვნენ.

„აუ“, დაიძახა თარაშმა ტაძარში შესვლისას ისე, როგორც ბალღობაში სჩვევოდა. ბნელმა თაღებმა ძველებურად გამოსცეს მგრგვინავი ეხო და მერმე დადუმდა დაქცეული საკურთხეველი. ერისთავებისა და ეპისკოპოსების შარავანდგახუნებული, გადარეცხილი ფრესკები, უშველებელ სიმაღლიდან დაშვებული თავკიდურები, ფასადის ჩუქურთმები, ხუცური წარწერებით დაღადრული ფიქალები, საფლავის ჯვრები, დაცერებული ლოდები ეყარნენ ირგვლივ.

ხვლიკები დაშლიგინებდნენ სუროში, ავრეხს და გვიმრას დაებურდა ბასტიონები.

დიდხანს იჯდა რომელიღაც ვარდანიძე-ემხვარის დაცერებულ ლოდზე. მერმე ფერდობი ჩაირბინა, გალავნის კიდესთან უშველებელი ნაპრალი შენიშნა ფუძეში, უკანასკნელი მიწისძვრისაგან გაკეთებული. ძელის ნაჭერი აიღო, ქვითკირის ნაპრალში გახირა, ჩამოინგრა მთელი კედელი, და საზარი სურათი წარმოუდგა მყის: ორასზე მეტი ჩონჩხის ფეხები გამოჩნდა მიწიდან.

ჩუქურთმიან თავკიდურზე ჩამოჯდა. გასცქერის მწკრივად ჩარაზმულ წვივებს და ბარძაყებს და ფიქრობს სისხლის მოყვარული ვარდანიძე-ემხვარების ბნელი წარსულისთვის.

დედის ნაამბობი მოაგონდა, ერთ მათგანს ხუთასამდე მოსისხარი შეუპყრია თურმე, თავები წაუჭრია და ცხედრები იქ მარხიაო, სადღაც გალავანში. თარაშ ემხვარს მართებულად შემოაკვდა ჯამლეთ ტარბა, პაპამისის ნაყმევი და, სამაგიეროდ, მთებში მოუხდა ამისთვის გახიზვნა. იანგარიშა თარაშ ემხვარმა მაშინ, გადასულ საუკუნოთა სიშორე და ვარდანიძე-ემხვარების დაქვეითების მანძილი.

ზის ახლა საგვარეულო კოშკის დაქცეულ თაღებს ქვეშ და ვარდანიძე-ემხვარების ცხოვრებას ჯამს უკეთებს თარაშ ემხვარი. საუკუნეები ამდგარან ამ კოშკის პატრონთ და მათ ნაშიერთა დასამხობელად. პროგრესს, ისტორიას და ცივილიზაციას მათ წინააღმდეგ შეუკრავთ პირი. ვინ შეაბრუნებს ისტორიის ჩარხს, ვინღა აღადგენს ამ ბასტიონებს და ამ პალატებს? — აქ მჯდარა ალბათ რვა საუკუნის წინ ვარდანიძე-ემხვარების დიდი წინაპარი, კარნუ ქალაქის ამღები გმირი — ვარდანი. დაქცეულია აწ კარნუ ქალაქი, მისი ამღებიც და ასაღებად წარმგზავნელიცა.

მოდის ახალი საუკუნე, ახალი ხალხი, ლაღუმების სროლით

გზას მოიკაფავენ. და ვარდანიძის უკანასკნელ ნაშიერს შემოუვლია ხმელეთის პირი. იარა ჩრდილოეთისკენ, იარა დასავლეთისკენ, ცოტა იარა, თუ ბევრი იარა, გულმეცნიერებს და მოძღვართმოძღვრებს შეგირდად მიებარა, უსმინა ხანგრძლივად სიბრძნის ოსტატებს; — შეიცნო თითქმის საიდუმლო ვარსკვლავეთისა, ძველ ეტრატებშიც ბნელი სიბრძნე ამოიკითხა, ქედმოდრეკილი დაჩოჩავდა ბიბლიოთეკებში, სემინარებსა და სალექციო აულებში იგი ხანგრძლივად, იგემა კიდეც უმაღლესი კულტურის რთველი, მაინც ის დარჩა თარაშ ემხვარ, ვეღარ გაასწრო სამი წლის ბალღს — თარაშ ემხვარს, ბამბუკის ჯამზე დახატულ მამალს, შავ მამალს რომ უპირებდა ერთხელ შეპყრობას. ეს ასე იყო და მას შემდეგ არა შეცვლილა რა.

შეუძლებელს და მიუწვდენელს ეპოტინება თარაშ ემხვარ.

გუშინ არ იყო განა ეს აგრე? გუშინ, გუშინწინ ჭაბუკი ამირანი ეგონა თავი, ბნელ გვირაბში ძალის შემნახველი. უცდიდა მერმე დღეს და საათს, ასე ეგონა, როცა იქნება, ძალას გვირაბიდან გამოიღებდა, და ამის შემდეგ თვით შესძრავდა იგი ქვეყანას.

ქვეყანა ისევ იგივე დარჩა, რაღაც ძლიერი და სასტიკი სანახაობა, როგორც შავი ზღვა გრიგალისაგან შეშფოთებული. თარაშ ემხვარ კვლავ სეირნობს ამ ზღვის ნაპირზე, ღელვათა ტეხის, მიწისძვრების მაყურებელი.

სამშობლოს, მამულს, „მაღალ იდეებს“ მან არ აუგო ჯერ გუშინწინ დიდი სახატე, პირველი მოგვი თავათ იყო, მოგვიც და მრევლიც. ახლა ეს ცნებები ცნებებად დარჩნენ. სახატე დარჩა ისევ სახატედ და მან დაჰკარგა ლოდინში ძალა.

და ჩვენს ამირანს გვირაბისთვის ვერ მიუგნია, სადაც მან ძალა შეინახა დღევანდელ დღისათვის. ახლა კი ესმის თარაშ ემხვარს, ვინცა დღევანდელ დღეს ვეღარ არგო რა, იგი ვერ არგებს ვერც მომავალ საუკუნეებს.

მუდამ თავისებური ფილოსოფია ჰქონდა ემხვარს აჩემებული, შორს უნდა დაუდგესო ამ ცხოვრებას ძეხორციელი, ცხოვრებისთვის რომ შეჰქმნასო თვითონ რაიმე, ერთი სიკვდილით უნდა მოკვდეს კაცი ამქვეყნად, რომ თავის საქმით კვლავ შესძლოსო მკვდრეთით აღდგომა.

ეს იყო მისი შეცდომა, უმთავრესი და უპირველესი. მიტომაც ბოლოში მოიგდეს იგი ამ ცხოვრების სავსე ნადიმზე. მერმე ის იყო მისი ოცნება ოჩან ხარსავით განზე წავიდა და ცხოვრება მიჰყვა ისევ თავის გზას, ცხოვრება დარჩა ზღვარის გადაღმა. მან ვეღარ შესძლო ვერც სიკვდილი ამ ცხოვრებისათვის, ვეღარც ეპოქის მდინარების ალღოს აღება.

უშველებელი ანგარიში წარმოუდგინა თარაშ ემხვარს დღევანდელობამ. წინაპრების მიერ დაღვრილი სისხლი მძიმედ დააწვა მის ბედის სასწორს. ახალი ჟამი ძველისათვის განკითხვას ითხოვს, ამას ყველაფერს ცხადლივ ხედავს თარაშ ემხვარ, როგორც იმ ჩონჩხებს, იმ ბარძაყებს, იმ ძვლებს, იმ წვივებს.

მის წინაპართა გულქვაობის მსხვერპლადგანწირული შავი მიწიდან გამოუყვიათ ეგერ ფეხები. დღევანდელობამ ანგარიში წარმოუდგინა განა მარტო მას? მის წოდებას, მის გვარს, მის ჯილაგს.

აბა, შენ რა გაქვს ჯიბეში, ვაჟო, რომ დაგვანახო და ცოდვები გააბათილო? რა გაგაჩნია, რომ დააგდო მეორე მხარეს, ამით ასწონო გუშინდელთა ნამოქმედარი? — აჰა, ლაღუმების სროლით მოდის მისკენ ახალი ჟამი, და ასეთ დროს დაქცეული პალატების ჩრდილში წამომჯდარა თარაშ ემხვარი და უცდის იმ წუთს, როცა თავზე ჩამოენგრევა ეს ქონგურები, ეს თაღები, ბასტიონები.

მთელი ქვეყანა ლოფორთქინას დამსგავსებია, მთელი ქვეყანა ხვრელებში გაძვრა, ვით ლოფორთქინა. ყველამ დასტოვა ძველი ნიჟარა, მას კი ჰგონია, არ შეცვლილაო რაიმე ჟამში, ეს დრო

და სივრცე მოჩვენება არის მხოლოდ. გავექცევიო ამ ეპოქის განმკითხველ რისხვას, მთებს მიაშურა, გაიხიზნა მიუვალ მთებში.

ასე ეგონა: იქ შევქმნიო ახალ ცხოვრებას. რა გამოირკვა? იქაც შეჭრილა გადასულის უცილო ნგრევა. იქაც შეჭრილა ლაღუმების გრიალ-გრიალი.

და ზის ცივს ლოდზე ეს მიმინო ჭანგმოცარული, ნადირობიდან ძველ ბუდეში მობრუნებული...

თვალახვეული პსიხე

„...დამძიმდა. ღონე წავლისა
უგავს შეკრულთა ხუნდითა,
მუცელი უგავს სავსეა
წითლითა იაგუნდითა“.

შარვაშიძიანთ ხილნარშიც მობრუნდა გაზაფხული. ალუჩა აყვავდა კიდევაც, ვაშლის ხეს კვირტები გაეფურჩქნა, თამარის ფანჯრის პირისპირ მდგარს. როცა სიცხე დავარდებოდა, ბალიშებზე წამოაყენებდნენ ავადმყოფს.

აქედან ხედავდა თამარი, როგორ მოირთო გაძარცული ბაღი. ალუბლებმა თეთრი ქოლგები შეუშვირეს მზის გულს, ფუტკრები საამური პუტუნით ეგებებიან განთიადებს, შეღამებულზე ძილისპირულს ეუბნებიან მთვლემარე ბაღს, იდუმალი ოცნებით გართულს.

შაშვი მხიარულად ჭახჭახებს მზის ჩასვლისს აკაციებში, დილას და საღამოს ბულბულები უსტვენენ ისე ტკბილად, ისე საამოდ, როგორც შარშანდელ აპრილის დღეებში.

თამარს გასაოცარი სიზმრები მოუტანა ამ გაზაფხულმა. უცნაურად ტკბილი სიზმრები...

თამარს თმები გაეზარდა ვითომც, თეძომდის სწვდება ნაწნავები ახლაც, და როგორც კი დილას წამოაყენებენ, ბალიშების კედელს მიყრდნობილი ხელს შეივლებს თმებზე, რწმუნდება ჯერ დაწვნა არ შეიძლება და ეს ამბავი უზომოდ აწუხებს, მის შემეცნებაში უცნაური ხარვეზები გაჩნდა რატომღაც, ნაწყვეტ-ნაწყვეტად აგონდება წარსული თამარს. ეგებ თარაში მოვიდეს საიდანმე და ნაწნავებიანი უნდა დაუხვდეს მიჯნურს. ისევ ძილს ნატრულობს, როგორც კი სიცხეს დაუკლებს, ნატრულობს საამურ სიზმარს, მზადაა სინამდვილე არ განიცადოს და მთელი ცხოვრება გახდეს სიზმარი.

დღეების სათვალავი დაჰკარგა, რადგან ისინი ძლიერ ჰგავდნენ მოწყენითა და ტანჯვით ურთიერთს. ხანდახან საშინელი კოშმარები ეწყება, მაშინ კი ბნელი დაეუფლება როგორც სიცხადეს, ისე ზმანებასაც.

ხანაც მის გონებას ნათელი ეფინება და მაშინ სიზმრებიც ტკბილი აქვს თამარს. და ეზმანება: ყოველდღე მოდის თამარის სანახავად თარაშ ემხვარი, ისევ ისეთი, როგორიც იყო. მუდამ წვერგაპარსული, ფრჩხილებ-დაფერილი, პარიზული პარფემის სუნი ასდის მის კოსტიუმს, ცხვირსახოცს, ზამშის ხელთათმანებს. ჩვეულებრივად, როიალთან ჯდება თარაში და უამბობს ისევ თავის მგზავრობის უცნაურ ამბებს. ცხადადაც სცდილობს თამარი მის მოგონებას.

როგორი იყო?

როგორი ხმა ჰქონდა? ზოგჯერ უმწეოდ ეჩვენება მეხსიერება,

გულისტკივილით იგონებს თამარი ამ უცნაურად მარტოხელა და მოწყენილ კაცს. მართლაც, რაც უნდა მოელხინა თარაშ ემხვარს, სწორედ ის მჟღავნდებოდა თამარის თვალში, რის მიჩქმალვასაც თვით სცდილობდა ეს ვითომდაც „უდარდელი ადამიანი“. და მხოლოდ ახლა აგონდება რატომღაც თამარს თარაშის ეგზომ უცნაური ახირება.

საკვირველია! თავათ ამბობდა, თუ შევატყვე სიკვდილი მოდისო, ვიხმობო მყისვე რომელიმე ნადიაკვნარს, ნაბადში გავეხვევი, ტახტზე დავწვები და სიკვდილის წინ ფსალმუნს წავაკითხებო უთუოდ. ახლა, როდესაც ასე შორსაა თარაშ ემხვარ, არც არავინ იცის, ცოცხალია — იგი თუ მკვდარი — ახლა დაფიქრდა ამის გამო რატომღაც თამარ.

რად სთქვაო ასეთი რამ ისეთმა კაცმა, ვინც წარამარა ქრისტეს სჯულს დასცინოდაო. ხანდახან ნანობს კიდევაც თამარ, რად შემყარაო ბედისწერამ მაგ უცნაურთან. არ მოეყვანა კაროლინას ის ამ ოჯახში, მის მწუხარებას არ დაეჭკნო თამარის გული.

ჰმ, თურმე განზრახ ატარებდა თარაშ ემხვარ სპორტსმენისა და მოლხენილის უდარდელ ნიღაბს. ისე სჩვეოდა სიარული, თავის დაჭერა, თითქოს ყოველდღე სანადიმოდ ემზადებაო. ნიღაბი, ცარიელი ნიღაბი ყოფილა თურმე მისი ძველბერძნული სიყვარული მზისადმი, მისი მოლხენის და ნადიმის ფილოსოფია.

პირველ ხანებში კაროლინაც აგრე ამბობდა: დიდი, დიდი პოზიორიაო თქვენი ემხვარ, მისი კულტურა მოჩვენების ამბავი არის, ისე კი ბნელსა და უკულტურო აზიელს ჰგავსო.

ფუღურო ხეს ჰგავსო თარაშ ემხვარი, ფესვებმომპალ, უნაყოფო ფუღურო ხესა, მისგან კეთილი რამ ნაყოფი არ იქნებაო, მის სიახლოვეს ვინ შესძლებსო გადაჩრდილებას.

ყველა აძაგებდა ამ დაბაში თარაშ ემხვარს, შარდინ ალშიბაია, ბაბუა ტარიელი და თვით ხერიპსიც, მასწავლებლებიც ვერ

იტანდნენ ამ „ამპარტავან კაცს“. და ნანობს თამარი ახლა თვითონაც, რომ შეჰკადრა საყვედურები ერთ საღამოს თარაშ ემხვარს.

გულარძნილი ხარო რომ ეუბნებოდა, უცხოობაში დაგრჩენიაო, გული. თარაში თვითონ თავის თავსაც აძაგებდა ხოლმე, ცილსა სწამებდა ხშირად თავის თავს.

უგულო ვარო და უხიაგი, სიძულვილისაგან გულგამოჭმული. არსებითად კი სულ სხვა იყო თარაშ ემხვარი, ასე ფიქრობს ახლა თამარი. გულტფილი, ნაზი და თავმოდრეკილი. მარტო ეს რად ღირს, ლუკაია რომ ასე უყვარდა. არასდროს იგი არ აგრძნობინებდა ბედშავ ლუკაის, რომ იგი ლენჩია და ქრისტეს მიერ გლახაკი. მუდამ ისევე ესაუბრებოდა, როგორც თანასწორს. ძველ ამბებს, ზღაპრებს და შელოცვებს გამოკითხავდა.

დეე, ყველას სძულდეს თარაშ ემხვარ, განა მარტო აქ, ამ ზუგდიდში, თუნდაც სულ მთელი ქვეყანა აღსდგეს მის წინააღმდეგ, აძაგონ იგი, მოსვარონ ლაფით, ეს სულ ერთია, მას ეყოფა ტახტად თამარის სიყვარული და უმწიკვლო გული.

ტფილისში ამას ყოველივეს ვერ გრძნობდა თამარი. ეს რომ შეიგნო, მის უმცირესს ჭირვეულობას თავის ცხოვრების კანონადაც კი მიიჩნევდა.

ვაი, რომ უკვე გვიანაა ეს ყოველივე, მუხთალმა ბედმა გადაჰკარგა თარაშ ემხვარ. ნეტავ რაიმე შერჩენოდა მის სამახსოვროდ, თუნდ ცხვირსახოცი ან ბეჭედი, ან ის წიგნაკი, მისი დღიური, იმ საღამოს რომ დაუბრუნა თამარმა თარაშს. მხოლოდ საცოდავ ლუკაიას ჰქონია ბედი, მისი კოსტიუმი სამახსოვროდ რომ შერჩენოდა.

ახლაც აგერ ზის ლუკაია ლაბახუა, ებჟუტურება თამარს წუხანდელი სიზმრების გამო. ღმერთმა იცოდეს, მართალია თუ მონაგონი.

სიზმარში ვნახეო თარაში, შურიგე, შავი წვერი მკერდამდის სცემდაო, თეთრი ეცვაო, რაშივით ცხენს მოაგელვებდა, მიწა ზანზარებდაო ამ ცხენის ფლოქვების ქვეშ, თეთრი — სიკეთის ნიშანიაო, ყოველივე კარგად წარიმართებაო, თარაში, შურიგე, მალე ჩამოვა, შენც მორჩებიო ამასობაში.

სახეზე წამოწითლდა თამარი, თვალის უპეები გაუგანიერდა, ბალიშები გამოაცალეს. ისევ დააწვინეს ავადმყოფი ლუკაიამ და კაროლინამ. ოთახში ქაფურის სუნი იდგა.

სული მეხუთება, ფანჯრები გააღეთო, დაიგმინა თამარმა და დახუჭა თვალი.

* * *

თამარის ავადმყოფობის შემდეგ ტარიელ შარვაშიძემ მაგრად დაგმანა ოჯახის კარები. იგი თრთოდა თამარისა და თავის ოჯახის პრესტიჟისათვის. აიმედებდნენ ექიმები: გადარჩებაო.

ეს არ კმაროდა. მისი „ოჯახის წმინდა სახელი“ ყოველივეს ერჩია ბაბუა ტარიელს. თამარის სიკვდილს უფრო ადრე შეურიგდებოდა ნახუცარი, ვიდრე თავისი უმწიკვლო ოჯახის შებღალვას.

ექიმი ხომ დატუქსა სწორი დიაგნოზისთვის, ახლა ხერიპსმაც ხომ იგივე დაადასტურა. გარკვეულად არავინ არაფერს ეუბნება მღვდელს, მაგრამ მან ყოველივე განსჭვრიტა უკვე. თარაშ ემხვარს აბრალებს ყოველივე უბედურებას.

გულზე მჯიღს იცემს ბაბუა ტარიელ, რად არ გავაგდეო ჩემი სახლიდან ის წყეული ემხვარ, ქალებმა დააქციესო ოჯახი, ემხვარებს ჯერ სისხლი ემართათო შარვაშიძისა, ახლა ახალი უბედურება თავზე დაატყდა მის ოჯახს ისევ ამ წყეულ ემხვარის წყალობით.

ლანძღავდა, აგინებდა ლუკაიასთან თარაშ ემხვარს და მის

პირველად ამ ოჯახში შემომყვანს — კაროლინას. ახლა ხმამაღლა ვერ ბედავს ამას, რადგან ხერიპსმა გააფრთხილა: ავადმყოფი ვერ იტანსო თარაშ ემხვარის აუგად ხსენებას.

ან რა საკადრისია, ამბობდა ხერიპსი, ახლა რომ გადმოდგე და ლანძღო კაცი, შესაძლო არის ყოველივე გამოსწორდესო. ამან ცოტა ხანს დაამშვიდა კიდევაც მღვდელი. მაგრამ დაბრუნდება თუ არა ლუკაია დაბიდან:

„რას ამბობენ?“

ეკითხება მღვდელი. და თუ რაიმე ჭორისთვის ყური მოუკრავს ლუკაიას, ეს შიშის ზარსაც სცემს ბაბუა ტარიელს და ეჩვენება, ვიღაცას ბოროტი ენები არ ისვენებენ. ეს უნდათ: როგორმე ჩირქი მოსცხონ მის უმწიკვლო ოჯახს.

„რას ამბობენ?“ ეკითხება იგი კრუსუნა ძველ „კნეინებს“, მამიდებს, დეიდებს და ნათლიებს, და არც კი ესმის მოხუცებულს, რომ ამ კითხვებით უაღრესად აფორიაქებს ჭორიკანების ცნობისწადილს.

ექიმებს კარამდის მისდევს, ყველას ევედრება, ანამუსებს: არაფერი წამოგცდეთო სხვასთან და ამ გზით ხშირად თავათ ხელს უწყობს კიდევაც მითქმა-მოთქმის გავრცელებას.

ამიტომაც ლუკაიას და დაშას ხმა გაავრცელებინა დაბაში, თამარს ყვავილბატონები სჭირსო და მოერიდონო ბავშვების პატრონები.

ამას მოითხოვსო ჩემგან ქრისტიანული მოვალეობა. თამარმა ძიძა ინატრა თავისი, ძიძა ჩამოაყვანინა გურიიდან ბაბუა ტარიელმა. კარგი ჩონგური იცისო ძიძამ და ყვავილბატონებს უყვართო ჩონგური.

დაჯდება უსინათლო ძიძა თამარის სასთუმალთან და ტკბილად ამღერებს თავის ჩონგურზე:

ბატონებო, მოუოხეთ ბატონებსო, რა კარგი ბატონებია,
ია და ვარდი ფენია, თეთრი თხაჲ და თხის არვე მოდის,
თიკანს მოახტუნებენო, გაეხარდათ ბატონებსო.
უცბათ პირი იბრუნესო, მოუოხეთ ბატონებსო.

ყოველდღე უკრავს ამ სიმღერას ძიძა, ყოველდღე მოაქვს ლუკაიას იაიას წყალი.

წითლათ შემოსეთო ოთახი, მოითხოვს ძიძა, რადგან ყვავილ-ბატონებს უყვართ წითლად შემოსილი ოთახი. ლუკაია ამშვიდებს ძიძას, უკვე შევმოსეთო ყველაფერი გარშემო წითლად.

წაავლებს უსინათლო ძიძა თავის გაზრდილს დამჭკნარ ხელს ხელზე და ტკბილი ჩონგურით, ძილისპირულით, ძველი ზღაპრებით მიყავს თამარი განვლილ ბავშვობაში ისევ.

ხელისგულზე ნაზად მოუცაცუნებს:

იწილო, ბიწილო,
შროშანო, გვრიტილო,
ჩიტმა ნახა ფესვანტილე...

ნაშუადღევს სიცხემ უმატა თამარს და ეჩვენება:

იღება ფანჯარა და შავადმოსილი დედა შემოდის. შემოვა, მის სასთუმალთან დადგება დედა, ხელში თამარის მიერ დაკარგული ჯვარი უჭირავს. თამარი მონდომებულია, როგორმე ასწიოს ქუთუთოები და შეხედოს სახეში დედას, მაგრამ საამისოდ ღონე არ ჰყოფნის.

ძიძა ატყობს: შფოთავს თამარი. გამოუღებს ხელს, ნაზად უცაცუნებს ხელისგულზე.

„იწილო, ბიწილო“... დაიწყებს ძიძა. და უამბობს ძიძა ტკბილ ამბებს სიყრმისას ავადმყოფს.

ის როგორ იყო, ბატის ჭუკების შეპყრობა რომ უყვარდა თამარს? ოთხყურიანი სამყურას ძებნა. ბედნიერების მომნიჭებელ ყვავილის ძებნა. და თამარის წინაშე გადაიშლება ბავშვობის მისის ტკბილი წალკოტი. მის გზებზე ია და ვარდი დაფენილია.

დაგოგავს მოლზე ბამბის ქულასავით თეთრი და სპეტაკი გოგონა, პაწია ნაწნავები წელამდის სწვდება.

„იქით არ წახვიდე, — ეუბნება ძიძა, ლოყაზე უცაცუნებს პატარას, — იმ ხაროში „ამუ-ამუ“ სცხოვრობს, ტურა, ტურა, დიდი ტურა.

იმ ხრამის გადაღმა, ფუღურო მუხაში ჭოტი სცხოვრობს. ამ ჭოტს საყვარელი მოსტაცა მთვარემ.

ზის ღამღამობით ეს ჭოტი თავის ფუღუროში და მოელის მთვარიან ღამეს, საყვარელს დაეძებს მთვარიან ღამეში და უხმობს ჭოტი საწყალობლად თავის დაკარგულ საყვარელს“.

თამარმა თვალი გაახილა, შესცქერის შავებით მოსილ ძიძას დავსილ თვალებში.

„ყოფილა, ყოფილა, ყოფილა, ღვთის უკეთესი რა ყოფილა, ან რა იქნებოდა“, დაიწყებს ძიძა.

მზე და მთვარე მეგობრები ყოფილან ოდესღაც, ორივენი დადიოდნენ თურმე მიწაზე და ისინი ურთიერთს რომ გაჰყრიან, ამაშიაც სიყვარულს სდებიაო წილი. შეჰყვარებიათ თურმე მზესა და მთვარეს ვინმე ქვრივის ერთადერთი მზეთუნახავი ასული.

ბრაზობდა დიაცი, ორივენი უსაზმნოდ რომ ეაშიკებოდნენ ქალწულს და არც ერთი აღარ უპირებდა შერთვას. დაითხოვა ქვრივმა მზეცა და მთვარეც: არ დაადგათო ამიერიდან ჩემს სახლში ფეხი. ერთს საღამოს პირუტყვს ეძებდა დიაცი ტყეში, მიუსწრო, ყვავილების ტახტზე დაესვათ მისი ასული, ოქროს ლანკანები ხელში ეჭირათ მზესა და მთვარეს, ემსახურებოდნენ თავიანთ მიჯნურს.

დამაცადეთო, დაექადნა დიაცი და ამ დღიდან ეძებდა შურისგების შემთხვევას.

ერთხელ ფურს სწველიდა ბინდისას ქვრივი, მზეთუნახავი იქვე იდგა თურმე, ეალერსებოდა დედისაგან ახლად განალოკ ხბოს.

სიყვარულს სჩვევიაო ასე, გონებას უბნელებს გამიჯნურებულთ. შემოიპარნენ მოულოდნელად ქვრივის ეზოში მზე და მთვარე. პირველად მზე მიეჭრა მზეთუნახავს. ჯერ ხბოს დაუწყო დრუნჩზე ფერება, მერმე ხბოს პატრონს მოეალერსა. მთვარე იქვე იდგა შურისგან გაფითრებული. მოუქნია მაშინ დედაბერმა სავსე ნიგა მზეს უსირცხვილოს და ზედ შეასხა ტფილი რძე.

გათეთრებული მზე ცაში აიჭრა, ხოლო მთვარე იქვე იცდიდა, სთქვა: მე დამრჩაო მზეთუნახავი. მოფოცხა ქვრივმა ძროხის ფუნა პეშვით, ესროლა სახეში მთვარეს. მოკურცხლა ზღვისკენ პირგამურულმა მიჯნურმა, მაგრამ იჭვნეულმა მზემ სახეზე შეახმო მთვარეს გზადაგზა ფუნა.

იმ დღიდანო, ასე ამბობს ძიძა, მზე ასე გათეთრებული დაყიალობსო ცაზე, ამიტომაც მეგრულად „ბჟა“ მზესაც ჰქვია და ძროხის რძესაც. ხოლო მთვარეს ფუნის ტალები ზედ რომ ატყვია, ამას ჩვენთაგანი ყოველი ხედავსო.

გასცქერის თამარი ფანჯრიდან მთვარეს. მისი ფიქრი თარაშსა და არზაყანს მისწვდა რატომღაც.

თვალი დახუჭა ისევ თამარმა და ისევ შემოდის შავებით მოსილი ლანდი ფანჯრიდან. ისევ ამოუჯდება ავადმყოფს გული.

ძიძა მიეახლა ხელების ფათურით, გაოფლიანებულ შუბლზე მოეალერსა.

„დამშვიდდი, გენაცვალოს ნანა, დამშვიდდი“.

ეუბნება. ბალიშს უსწორებს. და ჯდება ძიძა, დაბალი, დაბალი ხმით ამღერებს ჩონგურზე:

„შოუ ნანა, შოუ შვილო, შვილო, ცისკენ ფრთაგაწვდილო“.

მღერის თავდახრილი ძიძა. გამოღამებული თვალებით დასჩერებია სადაფებით მოოჭვილ ჩონგურს და სიცხის ბურანში წასულ თამარს ასე ჰგონია, თითქოს იგი მართლაც პატარა გამხდარიყოს და მართლაც ბატონები „მობრძანებულიყოს“ შარვაშიძიანთ სასახლეში.

„შოუ ნანა“,

შოუ შვილო,

შვილო, ცისკენ ფრთაგაწვდილო“.

* * *

ეჰ, სიყვარული თუ სიშმაგეა, მაშინ ვინ ყოფილა თავათ ეროსი?

ვინმე თავაწყვეტილი, შმაგი მონადირე, მამაკაცური გულქვაობის აბჯრით მოსილი.

მცდარი აზრია, ვარდისფერი თითები ჰქონდეს ეროსს ვითომდაც და ნაზი ფრთები. ან დადიოდეს იგი ფრთხილად თავმოდრეკილ ქალწულთა თმებზე..

ეს მართალია, მშვილდისარი ხელთ უპყრია ამ ტლანქ მოისარს. იგი არ ზოგავს არც დედოფლის, არც მხევლის გულსა. იგი დედოფალს ნაწნავებით მტვერს ახვეტინებს, ხანდახან მხევალს დედოფლების ტახზე. აიყვანს.

აღარც ისაა გასაგონი, თითქოს ეროსი აჯილდოებდეს გამიჯნურებულთ სიყვარულის ტკბილი ნაყოფით. იგი, პირიქით, სიკვდილსავით უნაყოფოა, თავათ სიკვდილზე უტლანქესი, უმამაცესი.

და სიყვარული სწყურია ეროსს მუდამ ჟამს, როგორც მოსისხარს მოსისხარის სისხლისა დაღვრა.

ასეთი არის თურმე ეროსი...

და ეტრფის იგი არა იმას, ვინც ხელთ მოიგდო, არამედ იმათ, ვისაც ნატყორცნი ააცდინა, ვისაც ვერ მისწვდა.

ხარჯიხვსა ჰგავს თურმე ეროსი, თავისი მეტოქის მაღალ ფლატედან უფსკრულეთში გადამტყორცნელსა, ხარშველსა ჰგავს ხშირად ეროსი, მაკე შუნებს რომ ერჩის რქებით და არც კი აცლის ნუკრის მოგებას.

ასეთი არის თურმე ეროსი.

მთვარეს ეტრფისო ეროსი მუდამ, მთვარეს და ღამეს, არცთუ მზეს და დღეს (ერთხელ მზეცა და მთვარეც, როგორც ვიცით, მან გააბრიყვა). მუდამ ბნელს ეტრფის თურმე ეროსი, არცთუ სინათლეს, ოცნებისაგან მთვრალს ეძალება და ამიტომაც გაურბისო ის ფხიზელ თავებს.

აგრე ამბობენ, როცა მწუხრისას პსიხეს ცაზე მიაქროლებდა, თურმე თვალები აუხვია თავის მიჯნურს თან გატაცებულს.

ასეთი რამე ოდესღაც გამიგონია, ძველი მითოსიც ასე ხატავს ტრფობის ღმერთს — ეროსს...

რისკის კაცი

„დუშაში, შე მუდრეგო“, შესძახა გვანჯ აფაქიძემ კამათელს და ზედ ცხვირის წინ დაუსვა დუშაში თავის სიძეს, ჯოტო გვასალიას. შაშის ღია კარი გადაიარა, გვასალიას თეთრი ქვების რკალში მომწყვდეულმა, სამი ქვა მოუკლა ზედიზედ და სამშვიდობოს გავიდა.

გახელდა ჯოტო გვასალია, ორჯერ ახალა კამათელი ნარდის კიდეს, ორჯერვე გადალახა იგი. მესამეჯერ ჩარუ სე დაისვა. თუმცა გვანჯ აფაქიძის თეთრი ქვები გზას უღობავდნენ, მაინც ირისკა და გადაასწრო.

გვანჯ აფაქიძემ გაიცინა.

„რისკი უნდა ყველაფერს ამ ქვეყანაზე, მახარია, რისკი უნდა, რისკი. ბოლშევიკები რისკის ხალხია, მიტომაც უღიმის მათ ყოველთვის მარიხი. მაგრამ მეც აგრე ვარ, მახარია, მეც რისკის კაცი ვიყავ მუდამ“.

მერმე აიღო აფაქიძემ კამათლები, მუჭში მოიმწყვდია, ტუჩთან

მიიტანა, თითქო ულოცავსო, გააგორა და დასჭყივლა:

„ფანჯი ჩარუ, თუ გიყვარდე“.

ფანჯი ჩარუს ნაცვლად დუშაში მიიღო, ერთი თეთრი კიდევ მოუკლა სიძეს და ისეთი ხარხარი მორთო, როგორიც ქართველ თავადებს სჩვეოდათ ძველ დროში.

„კი, მარა, რათ ამბობ მაგას, გვანჯ ბატონო?“ შეეკითხა ჯოტო და თავისი მკვდარი ქვა აიღო ხელში.

„შაში ბეში“, შესძახა გვანჯ აფაქიძემ გაჯიუტებულ კამათელს, და როცა იაგანი მიიღო, ქვემო ლაში გადმოაბრუნა გაცბუნებულმა, დაფანჩული წარბები ზეასწია და ასე მიუგო ჯოტოს:

„რატომ ვამბობო? ამას იმათ ვჩივი, მახარია, კაცმა თუ არ ირისკა, ისე ვერაფერს გახდება ცხოვრებაში. ეს სოფელი კამათლის მღერასა ჰგავს, მახარია. ნარდის თამაშსა ჰგავს ეს სოფელი, მახარია.

ამ ქვებს ხომ ხედავ, შენი ქვები ხომ თეთრია, ჩემი კიდევ შავი. მე უნდა ვეცადო ჩემმა შავმა სხვის თეთრს აჯობოს როგორმე. ამისთვის ყოველი ქვა ისე უნდა მოიხმარო, ყოველი მათგანი შენი მიზნისთვის ცოცხლდებოდეს და კვდებოდეს.

ხან ერთის გადარჩენას სამიც უნდა შესწირო, ბოლოს საკუთარი კარები გადარაზო და გადაკლიტო.

ცხოვრებაც აგრეა, მახარია. ყოველი კაცი შენი მიზნისთვის უნდა გამოიყენო. მთავარია: კამათლის სროლა გემარჯვებოდეს, დროზე რისკი შეგეძლოს, დუშაშიც დროზე უნდა დაისვა, თუმცა ისიც ხდება, გვიან მოსული დუშაშს დროზე მოსული იაგანი სჯობია, მე არ გამიღიმა ბედმა, მახარია, დუშაში დროზე არ დამიჯდა.

რა ქნას კარგმა მონარდემა, თუ დუშაში არ მოუვა. დუშაში არ მომივიდა, ახლა იაქეები მაინც უნდა გამოვიყენოთ.

ასეა, ასეა, მახარია. უნდა ირისკო კაცმა, თორემ ქე დარჩები

კერასთან. მე რომ არ მერისკა, არლანს არ ჩავისიძებდი, ეს სასახლე უკვე აწერილი იყო, ახლა აქ რაიონის საავადმყოფო იქნებოდა, ჩალმაზი და არზაყანი იმდენს მიხრიკებდნენ, აქედან გადამასახლებდნენ. მაშინ ვეღარც შენ გახდებოდი ჩემი სიძე“.

ასე სთქვა და მერმე თვალი თვალში გაუყარა გვასალიას, ცბიერად გაუღიმა.

„გულნაკლული ხომ არა ხარ, ბიჭო ჯოტო? აა? აი დედაშენს! ამ დრომ შენც აგწია, ბიჭო, თორემ აფაქიძის ქალისთვის სულსაც არ შეგაბერვინებდნენ“.

„დუ სე!“ დაიძახა გვანჯ აფაქიძემ და განაგრძო:

„ყველას მოგიხდათ ეს წყეული დრო, შვილოსან, ჩემს გარდა, ყველას მოგიხდათ. დუშაში არ დამიჯდა დროზე, თორემ მე ახლა ცარსკოე სელოში ვიქნებოდი გამოჭიმული. პრინცესსა მიურატს ჩემი ბედის კარტები უკვე ჩაწყობილი ჰქონდა. შტალმაისტერი თუ არა, მისი მოადგილე მაინც გავხდებოდი. მერმე ის იყო, ამ წყეულმა რევოლიუციამ მომისწრო და დაფუშა ჩემი ცხოვრება“.

„დუ შაში“, დასჭყივლა გვასალიას ბიჭმა და ხელმოცარულმა ისე მაგრა დაჰკრა თეთრი ქვა ნარდზე, მთელი მაგიდა აზრიალდა.

„მაინც უნდა ეცადო, მახარია, — განაგრძო აფაქიძემ, — ყოველ დროს შეურჩიო მუღამი. თორემ გლახა სიძესავით რომ იძახო, ჩემი თოხი თუ არ მოგიტანიათ, ვერ გავთოხნიო, ქე დარჩები კერიასთან მჯდარი ნაცარქექია.

უმთავრესი ეგაა, მახარია, ცხვრობა არ დაგაკისრონ ადამიანებმა. ცხვრობას მგლობა უნდა არჩიო მუდამ.

ცხვრის ქურქი უნდა გქონდეს წამოსხმული და მგლის კლანჭები მზად უნდა იქონიო, მგლობა უნდა არჩიო, მგლობა, თორემ ადამიანებმა თუ გაგაცხვარეს, მერმე მგლობას ვერ ეღირსები.

როცა ცხვარსავით თავმოდრეკილი დადიხარ, ასე ამბობენ:

კაი ხასიათის კაციაო, მახინჯ ქალსაც ასე ანუგეშებენ: კაც დიასახლისიაო, კაი გული აქვსო, მაგრამ თუ ეშვები გინახეს, თუ მგლის ჭანგები აღმოგიჩინეს, მერმე კუთხე-კუთხე ჩურჩულს მოყვებიან: ავი კაციაო და უხასიათო. ჩვენს დროში მუშტი უნდა გქონდეს, მახარია, მაგარი მუშტი. ქრისტე ამბობდაო, ასე სწერია საღვთო წერილში, მოყვასმა მარჯვენაში რომ გაგარტყას, მარცხენა მიუშვირეო.

მე ქრისტესთან რა ხელი მაქვს, მე ადამიანის მურტალი ცოდვებისათვის ჯვარზე კი არა, მწიფე მსხალზედაც არ გავიდოდი, მახარია.

და მე ვიტყოდი: კაცმა რომ მარჯვენა ყბაში გაგარტყას, უნდა გაუქნიო და ისეთი ლეწო მარცხენაში, ოთხიოდე კბილი გამოუცვივდეს ყბიდან. შენ ეს ამბავი ჯერაც არა გაქვს შეგნებული ჯოტო, ბიჭო“.

„რატომ ამბობ მაგას, გვანჯ ბატონო?“

„როგორ თუ რატომ? შენ ღონე ვერ მიატანე საქმეს. ჩალმაზი დაზოგე იმ ღამეს, უნდა მოგეკლა ი გველის წიწილი. ხომ გეუბნებოდი, მუცელში ესროლე-მეთქი!“ — „მუცელში ვესროლე, მაგრამ ღამე იყო და თეძოში მოხვდა მაგ მამაძაღლს“.

„ღამე იყო? მერე რა, რომ ღამე იყო? შენხელა რომ ვიყავ, ღამით უკეთ მიჭრიდა თვალი. ღამით დავუხვდი მე თემრაზ დადიანს და პირში ვახალე სამი ტყვია, ღამე შევეტაკე ტარას შარვაშიძეს და პრასივით წავაცალე ლეკურით თავი.

ერთი ესროლე, დააცდინე, არა? ექვსი ვაზნა ხომ გქონდა კიდევ? ახლა ხომ ხედავ, ისევ წამოჰყო თავი. ისევ ლიჩელისთან გაობა კავშირი. გააფთრებული ებრძვიან არლანს. თუ ჩვენი სიძე დაამარცხეს, იცოდე, არც ჩვენ დაგვადგება კაი დღე“.

მცირე ხანს დადუმდა აფაქიძე, ნარდის კიდეს გადაცდენილი კამათელი კვლავ გააგორა და ეს ჰკითხა გვასალიას:

„რაო, რა სთქვა ლომკაც ესვანჯიამ? უთუოდ მოვალო? უკვე ექვსი საათია, მახარია“.

„უთუოდ მოვალო, ასე სთქვა გვანჯ ბატონო“.

გვანჯ აფაქიძემ კამათელი ძირს დასდო. მიიხედ-მოიხედა, ვრცელ აივანს თვალი მოავლო და განაგრძო:

„ახლა ხომ გესმის. ჩვენ რა უნდა ვქნათ, მახარია, მთელი ბობოლა გლეხობა ფეხზეა. სიმინდის დამზადებამ წელში გასწყვიტა ხალხი. კოლექტივში შემძვრალი ბობოლები სატევრებს ლესავენ. ახლა ჩვენ ნავთი უნდა დავასხათ ცეცხლზე. რას დავკარგავთ, ბობოლები და კომუნისტები შეაკვდნენ თუნდაც ერთმანეთს. უნდა შევაგულიანოთ ბობოლები.

მთელი ზამთარი ასე ამბობდნენ: რიყე გაიფოთლოს და მერმე ჩვენ ვიცოდეთო. ტყე უკვე გაიფოთლა, დაყოვნება არ გვმართებს. ლომკაც ესვანჯიას დიდი გავლენა აქვს მთელი აფხაზეთის მორწმუნე ბობოლებზე. თუ ჩალმაზმა და ლიჩელიმ გაიმარჯვეს, ცენტრს ჩარევენ საქმეში. ბოლშევიკები, ხომ იცი, გველივით ჭკვიანები არიან. უმალვე კომისიას გამოგზავნიან, ტფილისიდან. ყოველივეს გამოიძიებენ. სტალინის წერილი ხომ ნახე. მე მგონია, ჩვენ სიძეს მოხსნიან, თუ რამე არ ვიღონეთ, ახლავე გამოსვლები მოვაწყობინოთ ლომკაც ესვანჯიას. გუშინწინ ბევრი ვეთათბირე, დავითანხმე. ბობოლებს უსატევროდ, ჩოხისამარა გამოვიყვანთ კოხორას ტყეში. ლომკაც ესვანჯია ყველას დააფიცებს დიდმუხის ძირას“.

„რატომ უსატევროდ?“

ჩააგდო სიტყვა ჯოტო გვასალიამ.

„უიარაღოდ სჯობია, ხანჯლებითა და კაჟის თოფებით მაინც რას გააწყობენ?

„მერმე?“

„მერმე და არლანი რაიონის ძალებით ჩააქრობს ბობოლების

აჯანყებას. ამას უთუოდ კაი თვალით შეხედავს ახალი ცეკა. წინათაც ასე იყო, მაზრის უფროსებს საქმე რომ გაუფუჭდებოდათ, საპროვოკაციოდ აჯანყებებს მოაწყობინებდნენ თვითონ გლეხობას. მერმე წამოუვლიდნენ, თავათვე ჩააქრობდნენ და ისევ გაიმაგრებდნენ მდგომარეობას. იმ დილისთვის მე ზუგდიდს წასვლას მოვიმიზეზებ, შენ და ლომკაც ესვანჯია საყვირს გამოატანიებთ“.

„მერმე ვინ დაჰკრავს საყვირს?“

გვანჯ აფაქიძემ ორივე კამათელი დააჯუფთა. შუბლზე მიიდო. ამბობს:

„ეს მართალია, საყვირის პირველად დაკვრას ყოველი კაცი ვერ გაბედავს. ვის მივანდოთ? ღმერთმა ყოველივე კაი გაგახსენოს. ლუკაია ლაბახუას მიეცით საყვირი. ლუკაია მაინც გადარეულია, პასუხს არავინ მოსთხოვს. ეს კაი აზრია, შენმა მზემ, კაი აზრია. ლუკაია ლაბახუა მნათედ ნამყოფია, ამისთანები ქე იცის“.

ამასობაში ჯოტო გვასალიას თავისი ქვები სამშვიდობოს გაეპარებინა სათითაოდ, ერთადერთი ქვა დარჩენოდა აფაქიძის ორ შავ ქვას შორის.

„იაგანი!“

დაიძახა გვანჯ აფაქიძემ. მკვდარი ქვა ხელში მისცა ჯოტოს და თავისი კარები გადაკეტა.

კიბის კარი გაიღო და ზესნა ამოვიდა თავშალწამოსხმული. ფეხმძიმობას უცნაურად დაემშვენებინა ზესნას ისედაც მშვენიერი თეძოები და გულმკერდი. იგი ოდნავ ქშინავდა სულმოუთქმელად კიბეზე ამოსული. ლოყები შეფაკლოდა ოდნავ. კახურ ვენახს დამსგავსებოდა ზესნა, სექტემბრის მიწურულში ფერადებით და ნაყოფით სავსეს.

„ახალი ამბავი გაიგეთ, ბაბა? — მიმართა ზესნა აფაქიძემ მამას, — არზაყანი და თარაშ ემხვარი ცოცხალი ყოფილან“.

გვანჯ აფაქიძემ თვალი მოსწყვიტა გაგორებულ კამათელს, გველის ნაკბენივით წაიყვირა:

„რას ამბობ, ქალო?“

„დედის სულს გეფიცები, ცოცხალი ყოფილან“.

„ეჰ, ჭორებია, შარდინ ალშიბაიას მორიგი ჭორია ალბათ“. ესა სთქვა გვანჯმა და ისევ გააგორა კამათელი.

„დედის სულს გეფიცები, მე თავათ ვნახე რაიონში არზაყანი და ემხვარი“.

„შენ მართალს ამბობ?“ — წარმოსთქვა უკვე გაოცებულმა გვანჯ აფაქიძემ და მარჯვენა მკლავში ხელი სტაცა ზესნას.

„მართალს გეუბნები, აბა, ტყვილს რათ გეტყოდი, ბაბა?! ხვალ მარხავენო კაც ზვამბაიას“.

„ვის მოუკლავს ეგ ეშმაკის ფეხი?“

„ტარბებს მოუკლავთ“.

„აწი არზაყანი მოეკლათ მაგ მკვდარძაღლებს ბარემ!“

„თარაშ ემხვარს ვეღარ იცნობ, რომელიმე ზვამბაია გეგონება, ან ტარბა. წვერი მკერდამდის უწევს, თმა გაჟღალებია, დაბერებულა, მოტეხილა ბედშავი. სავსებით დაშრეტილი, გამხდარი მიფრატუნებდა, შეგებრალება რომ ნახო“.

„ეჰ, ვარდანიძე-ემხვარების ცოდომ უწია მაგ საწყალს“.

„რა ცოდომ, ბაბა?“

შეეკითხა ზესნა, რადგან მას მუდამ აინტერესებდა ამ „უცნაური“ კაცის ბედი.

„დედაშენისაგან მაინც არ გაგიგონია? ვარდანიძე-ემხვარები კათალიკოსს დაუწყევლიაო ეშმაკთან თანაზიარობის გულისთვის, მეთორმეტე საუკუნეში, ასე ამბობენ და მე რა ვიცი“.

ზესნამ დარბაზის კარი შეაღო.

ჯოტომ თვალი გააყოლა თავის ცოლის დასრულებულ თეძო-

ებს, უნდოდა თან გაჰყოლოდა. ეკითხა, ექიმმა რა გითხრაო რაიონში, მაგრამ სიმამრის მოერიდა და უცბად გააგორა კამათელი საკუთარ დამარცხებაში წინასწარ დარწმუნებულმა.

„ჯოტო ბიჭო, ახლა ხომ ხედავ, უარესად გართულდა საქმე.

სჩიოდა გვანჯ აფაქიძე.

ახლა ის სახეძაღლი არზაყანი ისევ მხარში ამოუდგება ჩალმაზს და ლიჩელის, თუ ცენტრში ვერა დააკლეს, უთუოთ რამეს მოსწევენ. აი, დაიხსომე ჩემი ნათქვამი. ჩალმაზი გველივით გვარიანია, არზაყანი თავზე ხელაღებულია, ლიჩელი ნაკატორღალი“.

შაში სე“, — შესძახა გვანჯ აფაქიძემ კამათელს, დუ სე მიიღო, ოთხი ქვა აალაგა.

მე ისევ მიიხედ-მოიხედა და თითქმის ჩურჩულით მიმართა ჯოტოს: „ახლა კი უნდა დავაჩქაროთ ეს ყოველივე, იცოდე, — ესა სთქვა და სახეში შეაშტერდა თავის სიძეს.

23 მაისის ნაცვლად 28 აპრილისათვის გადმოვიტანოთ ეს ამბავი. 27-ს საღამოს ზუგდიდში მიდიან კომუნისტები, პირველ მაისს იქ დოღია. მეორე დღეს გლეხობა კოხორას ტყეში გამოვაყვანინოთ ლომკაც ესვანჯიას“.

გვანჯ აფაქიძე დადუმდა. კამათელი ხელში აიღო კიდევ ერთი იაგანი აკლდა და მარსით უნდა ეჯობნა სიძისათვის. სწორედ ამ დროს, ჩაბალახით თავშებურვილი, თეთრწვერიანი მოხუცი მიადგა აივნის კიბეს. სტუმარი შინდის ყავარჯენს ეყრდნობოდა, სვენებ-სვენებით მიჰყვებოდა განიერ საფეხურებს ბატონკაცური სასახლის კიბისას. გვანჯ აფაქიძემ ნარდის თამაში მიატოვა. სწრაფად ჩაირბინა კიბეები, მხარზე ხელი მოხვია და აივანზე ამოიყვანა სტუმარი.

ჯოტო გვასალია უკვე ფეხზე იდგა. იგი დიდის მოწიწებით შე-

მოეგება ლომკაც ესვანჯიას. მართლაც, ბეჭგანიერ ახოვან მოხუცს ისეთი რიდისაღმძვრელი გარეგნობა ჰქონდა, როგორიც თემის მეთაურს შეშვენის ხოლმე. უაღრესად მშვიდ სახეს ენერგიულ გამომეტყველებას აძლევდა მაღალი, კეხიანი ცხვირი. ზანტად აფახულებდა გრძელ წამწამებს დაფანჩულ გვიმრისფერ წარბების ჩრდილში.

ზღვისფერი დიდრონი თვალები ჰქონდა, შავ მასრებამდის სწვდებოდა თოვლივით სპეტაკი წვერი. შავტარიანი ზორბა სატევარი ომახიანობას მატებდა მის დევურ აღნაგობას. ძერასფერი ჩოხა ეცვა და სირმებმოვლებული ჩაბალახის ყურები დაუდევრად გადაეგდო მხრებზე.

ოდნავ, სულ ოდნავ მოედრიკა წლებს, ჭადარსავით მხარგამართული ბერიკაცი. უბრალო მისალმებისას შეატყობდით, რომ იგი თავის თავს რაღაც ზენარულ ძალის მთავარმართებლად სთვლიდა ამქვეყნად. და როცა ჯოტო გვასალია ლომკაც ესვანჯიას პირისპირ წარსდგა, ჯოტოს უნიკაპო, წუწკი ცხვირ-პირი უცნაურად დაიჯღანა და მისი აღნაგობა მთლად დაჩიავდა და დაილია. ძერასფერ ჩოხის სახელურიდან გამოწვდილ გრძელ თითებს ისე მოებღაუჭა წელში მოდრეკილი ჯოტო გვასალია, თითქოს ამ თეთრი, მშვენიერი ხელის შეხების ღირსადაც არა სთვლისო თავის თავს.

გვანჯ აფაქიძე გვერდით უდგა მოხუცს და ეს ორი ახოვანი მოხუცი ჯუფთებად მოეჩვენა ჯოტოს.

„როგორ ბრძანდებით, ლომკაც ბატონო?“

მიმართა აფაქიძემ სტუმარს, საკმაოდ დანჯღრეული სკამი წინ დაუდგა. ოსტატურად მიჩქმალა ის ირონიული დამოკიდებულება, რომელსაც ქართველი ფეოდალები ვერ მალავდნენ ხოლმე სასულიერო პირთან შეხვედრისას.

„ღვთისა და თქვენი იმედით არა მიშავს რა, გვანჯ პატოჯნსქუა“, — წაილუღლუღა ლომკაც ესვანჯიამ.

თვალებგაბრწყინებული შესცქეროდა გვანჯ აფაქიძე, უხაროდა იდუმალ, მის მიერ შეძაგებულ ახალ დროში კიდევ რომ დარჩენილიყო ბებერი, ძველი როკი. რაღაც შეურყეველი სულიერი სიმშვიდე მჟღავნდებოდა ლომკაც ესვანჯიას ქცევაში.

მერმე დაჰკითხა მასპინძელმა სტუმარი, მთვარე რას გვიქადისო, დარი იქნებაო თუ ავდარიო, გიორგობას თუ აპირებო ეკლესიაში წასვლას; წვიმები იწინასწარმეტყველა ლომკაც ესვანჯიამ, მთვარის მოქცევის მესაიდუმლე...

ამას და ამგვარ რამეებს ეკითხებოდა გვანჯ აფაქიძე ლომკაც ესვანჯიას, რადგანაც არავინ და არაფერი გააჩნდა მას, არამცთუ ნათესავი, თანაკბილაც არ შერჩენოდა 120 წლის მოხუცს.

თითქმის ასი წლის მანძილზე გიორგობის წინადღეს ილორის ტაძარში ამწყვდევდნენ ლომკაც ესვანჯიას. მეორე დღეს ქადაგად დავარდებოდა და „ამცნობდა“ ხალხს წმინდანის ნებას. დიდმუხის ქურუმიც ესვანჯია იყო, დარისა და ავდარის უებარი მაცნე.

ეს ყოველივე განუზომელ ზეგავლენას ანიჭებდა ლომკაც ესვანჯიას ცრუმორწმუნე ხალხის თვალში. ექიმბაშიც იგი იყო, ბალახებით მკურნალი, შესანიშნავი დოსტაქარი და შემლოცველი.

თანაბრად ებრძოდნენ ლომკაც ესვანჯიას როგორც ძველი დროის ქრისტიანი მისიონერები, ისე ახალი დროის ექიმები, კომუნისტები და მასწავლებლები. საოცარი ის იყო, წმინდა გიორგისა და მუხის კულტის დიდი ქურუმი ქრისტიანობაშიაც ეჯიბრებოდა ძველადაც ყველაზე „მართლმადიდებელ“ დეკანოზებს და ეს სატევრიანი მოგვი ქრისტესა და წმინდა გიორგის ნების მეურვედ სთვლიდა თავის თავს ამ „ცოდვილ მიწაზე“.

ბევრი რამ ანსხვავებდა ლომკაც ესვანჯიას გვანჯ აფაქიძისაგან. აფაქიძე შესანიშნავი მსახიობი იყო, ყოველგვარი ნიღაბის

ტარების ოსტატი. ყოველგვარ აზრს თანაბარის სიწრფელით აღ-ვიარებდა, ყოველგვარ სახატეს თანაბარის სათნოებით აწერდა პირჯვარს და ყოველთვის ისე იქცეოდა, ძე ხორციელი ვერ მიუხ-ვდებოდა გულში გავლებულ ზრახვას, მასში უცნაურ ჰარმონიუ-ლობით შეზავებულიყო უდიდესი ცინიზმი და უაღრესი მიამიტო-ბა.

ეს იყო მხოლოდ — მუდამ ერთი რამ ამოძრავებდა მის ნების-ყოფას და მის საქციელს: გვანჯ აფაქიძეს განუზომელად სძაგდა დღევანდელობა, არცთუ გუშინდელი ან ხვალინდელი დღის სიყ-ვარულით მოსდიოდა ეს, მას სძაგდა ყოველივე, რაც დღევანდე-ლი დღით დატკბობაში ხელს შეუშლიდა.

რაინდის პოზა უყვარდა აფაქიძეს ჟამიდან ჟამზე, უაღრესად მხდალს, მუდამ გულუხვობის გამოჩენას ლამობდა, იგავმიუწ-ვდენელად კრიჟანგი, ფარისევლურად ლოცულობდა ეკლესიაში და შემთხვევა რომ მოეცემოდა, ღმერთსაც კი შეანთხევდა გულ-ზე მოწოლილ გესლს.

ლომკაც ესვანჯიას ქვეშეცნეულად უყვარდა თემის თავისა და მოგვის მაღალი პოზა. მას სათანადო საბუთიც ჰქონდა საამისოდ. პირმშვენიერმა, ახოვანმა ვაჟკაცმა ამას შესწირა თავისი სიჭაბუ-კე, ვაჟკაცობა და სიჭარმაგე.

შუა საუკუნეებში რომ ეცხოვრა მას, იგი სექტების, მწვალებ-ლების და განდგომილების თავკაცი იქნებოდა უეჭველად. კათა-ლიკოსებს, ერისთავებს და მეფეებს შეებმებოდა უცილოდ.

პირად ცხოვრებაში ხელისმოცარვამ იგი რელიგიის ექსტაზში გადააგდო. ოცდახუთი წლის ჭაბუკს, რომელიღაც ანჩაბაძის ქა-ლი შეუყვარდა. ქალ-ვაჟი ერთად იზრდებოდნენ, რადგან ლომ-კაცის მამა ანჩაბაძის მოურავი იყო: იმ დროში ესვანჯიას ვინ მის-ცემდა ანჩაბაძის ასულს? ქალი რუსის მოხუცებულ გენერალს მი-ათხოვეს, და როცა აფხაზეთიდან მიჰყავდათ გემით, პატარძალი

ზღვაში გადავარდა და თავი დაიხრჩო.

ეს იყო და ეს. ამ დღიდან ლომკაც ესვანჯიას სხვა ქალისთვის არც კი შეუხედავს. სულიერად ბერად აღკვეცილმა პირად ცხოვრებას ზურგი შეაქცია. ეს ბოღმა მიხრწნილებაშიაც გადაჰყვა ბერიკაცს. ახლაც შემთხვევას ეძებდა, როგორმე იოლად წაეგო თავი, რადგან მიწიერი ცხოვრება მძიმე კირთებად უჩანდა ამ ნახევრად წარმართსა და ნახევრად ქრისტეან მოგვს.

გვანჯ აფაქიძესთან ბოლშევიკებისადმი სიძულვილი აკავშირებდა ლომკაც ესვანჯიას. ეს იყო მხოლოდ: უკანასკნელს რელიგიური მოტივები ასულდგმულებდა უპირატესად. რომანტიკოსები მიამიტობით წააგვანან იმ ბუზს, ჭკვიანი ობობის მიერ ოსტატურად დაგებულ ქსელში რომ გაჰყოფს განუკითხავად თავს. და ახლაც, ლომკაც ესვანჯია მოსულიყო აფაქიძის სახლში, რათა აფაქიძის მიერ გაწყობილ პოტიკში ფეხი ჩაედგა ნებსით.

მესეფენი

სწორედ მეორე დღეს დაიწყო საგაზაფხულო წვიმები ოქუმში, ემხვარიანთ სასახლის სახურავს თქეშმა გაატანა, დაბობღავდა ცირუნია, ტაშტებს, ვარცლებს და ქვაბებს დგამდა კუთხეებში. ფანჯრების რაფებიდან თხლიშინით გადმოდიოდა ღვარი.

თარაშ ემხვარმა წაძინებაც ვერ მოასწრო, ქარი ამოვარდა, დარაბები მირეჯგვა. მერმე ღობეების ლიწინი ატყდა, ბებერი მწევარი ხილნარისაკენ უტევდა. ენიშნა ემხვარს არზაყანის მიერ წინა დღით ნათქვამი, ტარბები განსაკუთრებით შენზე არიანო ამრეზილი.

ამიტომაც გაიფიქრა: ეგებ ტარბები დამესხანო თავს. ბრაუნინგი სასთუმალიდან არ გამოუღია, ისე ადგა და აივნიდან შეეხმიანა მწევარს.

საბაზიერო სახლის წინ დაყუნცულიყო მგელიკა, შესცქეროდა ამღვრეულ მთვარეს და ყმუოდა საწყალობლად. თარაში შინ შემოვიდა, ძაღლმა ყმუილი მიატოვა, მუხნარისაკენ შეუტია.

იწვა შეზლონგზე გულზე ხელდაჭდობილი ემხვარი, იწვა და უცდიდა ტარბებს.

აივნის კარი არახუნდა, წევს გაუნძრევლად და ნატრობს: მოვიდოდნენ მოსისხარნი ნეტავი. იგი აქვე იწოლება, ხელსაც არ მიაკარებს თავის ბრაუნინგს. მოვიდნენ და დაღვარონ მისი სისხლი.

გულხელდაკრეფილი შეეგება თარაშ ემხვარი სიკვდილს, ახლა მისი ერთადერთი ნატვრა ეგაა: ის უბედური ლუკაია ლაბახუა აქ იყოს ნეტავ, სულთათანა მაინც წაუკითხოს თარაშ ემხვარს.

გახედა კედელს, ერამხუტ ემხვარის ლანდს მოჰკრა თვალი, იდგა ფერგამკრთალი მაღალი ვაჟკაცი, ლანდების სამყაროს მარტოსული სტუმარი. და ახლა გაიგო თარაშმა, თუ რად წააკითხვინა ერამხუტ ემხვარმა დავითნი დიაკონს, როცა სიკვდილის მოახლოვება იგრძნო.

უცებ ისეთი ერთობლივი ქშუილი გაისმა, თითქოს შავი ზღვა საწოლიდან წამომდგარა და მობუბუნებსო ხმელის წასარღვნელად.

წვიმა ტლაშუნებდა სახურავის ყავარზე, ფანჯრებთან, მაგნოლიის ფოთლებზე ისე ბარტყუნობდა, ბნელფრთიანი ფრინველები შესევიაო მაგნოლიის ხეებს.

რიჟრაჟის პირზე მერეხი გადავიდა, ოდნავ წასთვლიმა თარაშმა. დიდხანს წკმუტუნებდა მგელიკა, მაგრამ თარაშს სვანეთი ესიზმრებოდა, სვანეთში ძაღლების ღრენასა და წკავწკავს შეჩვეული იყო, ამიტომაც არად ჩააგდო მგელიკას წუხილი, მერმე ზედ კარის რაფას მიადო მგელიკამ ცხვირი და წვრილი საწყალობელი ხმით დაიწყო წკმუტუნი.

თარაშმა შეიცნო მგელიკა რომ იყო, თვალმოუკვრელად ადგა და შემოუშვა ძაღლი.

კედლის საათის ისარმა შვიდი უჩვენა.

გამოხტა საათიდან ავტომატური გუგული, შვიდჯერ შემოსძახა: „გუგუ“.

თარაშ ემხვარს იამა გუგულის ხმა. მისი ბავშვობა გამომხტარიყოს თითქოს წარსულის მრუმე გვირაბიდან და კიდევ ერთხელ მოსჩვენებოდეს.

და მოაგონდა თარაშ ემხვარს ბავშვობის მზიანი დილები, გუგულის მიერ ნახარები დილები. მაშინ არ აწვიმდა სასახლეს, მამა პოლკში იყო, დედა ცოცხალი.

მიწყდებოდა თუ არა გუგულის ხმა, გაიღებოდა წაბლის მაღალი კარი, დედა შემოვიდოდა თარაშის ოთახში.

თვალს ხუჭავს თარაშ ემხვარი.

ჰოი, ნეტავ უკუიქცეოდეს ჟამი, წაბლის კარები გაიღებოდეს და ისევ შემოვიდოდეს დედა.

და ფიქრობს თარაში:

ასი წლის რომ გავმხდარიყავ, დედა, და ასი წელი უცხოეთში დავრჩენილიყავ, შენ რომ შინ მეგულებოდი, ფესვები მაქვს-მეთქი ჩემს მიწაში ასე ვიტყოდი.

ასი წლის რომ გავმხდარიყავ, დედა, და უცხოეთიდან მობრუნებულს კარის ალაგთან დამეძახა: „დედა, შინა ხარ-მეთქი“? თუ შინა ვარო, მომიგებდი, ასე ვიტყოდი:

„ათი წლისა ვარ-მეთქი“.

ჯერ ათი თვეც არაა, რაც შენ წახვედი და ასე მგონია, ასი წლისა ვარ-მეთქი.

თარაში წამოდგა, ფანჯრიდან გადაიხედა. მაგნოლიების მოყვითანო მწვანეზე ვერცხლისწყალივით ციგლიგებდნენ წვიმის წვეთები.

გვერდი იცვალა თარაშმა, გერმის ბალიშში თავი ჩარგო და ჩასთვლიმა. ვიღაცამ კარი შემოაღო. იატაკი აჭრაჭუნდა. მგელი-

კა წამოდგა, ახლად მოსულს მიეახლა. ცირუნია არ უნდა ყოფილიყო, დედისეული ფოსტლების ტყაპუნიც აღარ ისმოდა. ვიღაც ფეხშიშველად შემოვიდა.

მერმე დანჯღრეულმა სავარძელმა მორთო ჭრაჭუნი.

„დაბერებულხარ, საწყალო მგელიკა, ბეწვი გაგცვენია, აფსუს, უნაგრიანი ცხენი რომ აძლიეს ჯამსუღს ცხონებულს შენს საფასურად, შენც ჩემსავით კბილები დაგცვენია, დაბერებულხარ, საბრალო მგელიკა“.

მცირე ხანს ყურს უგდებდა მთვლემარე თარაში ამ საუბარს. მერმე მოუბარი დადუმდა. ფშვინავდა, ქშინავდა ახლად მოსული. ატკაპუნებდა კუდს იატაკზე ბებერი მგელიკა.

თვალი გაახილა თუ არა თარაშმა, ლუკაია ლაბახუა მყისვე მიეჭრა, საბნიდან გამოყოფილ ხელს დააცხრა და დაუწყო კოცნა. თარაშმა საკუთარი მარჯვენა გამოსტაცა ლუკაიას. დააშოშმინა.

მოხუცებულიყო ლუკაია სავსებით.

წინა კბილები დასცვენოდა. გაღიმებისას, წითელი ღრძილები უჩანდა და ეს ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიდა, ტუჩ-კბილი გასისხლიანებული ჰქონოდა თითქოს. წვერები შეთხელებოდა, უარესად გაყვითლებოდა, მიცვალებულის თმებს დამსგავსებოდა. უკვე გახუნებულ კოსტიუმის საყელოზე ჩამოღვენთოდა ყურებიდან გადმოღვრილი თელგამი. მხარზე ხელი დაადო თარაშმა ლუკაიას, სავარძელში ჩასვა.

ისევ ზეწამოიჭრა ლუკაია. აღარ იცოდა: რა ეთქვა, რა მოემოქმედნა.

მადლობა უფალსო, სულე, მშვიდობით რომ მოხვედითო შენ და არზაყან. ჩემი სიზმრები უტყუარია, თამარსაც ვუამბობდი სიზმრებს.

თამარის ხსენებამ იდუმალი რამ იარა გახსნაო თითქოს თარაშ ემხვარის გულში.

ასე გამოდიოდა: უცხოთა შორის თამარის ხსენებას ერიდებოდა თარაში, არც სხვები ახსენებდნენ თამარ შარვაშიძეს ემხვარის თანდასწრებით. ტაბუ ჰქონდა თითქოს დადებული ამ სახელს. მოვიდა ლენჩი ლუკაია ლაბახუა, მოურიდებლად დაარღვია ტაბუ.

უეცარი ჟრჟოლა მოგვარა ემხვარს ამ სახელის გახმიანებამ. ხმამაღალი ფიქრით გაიმეორა თავისთვის ეს უცნაური სურნელით მფშვინავი სახელი, როგორც ძველთაძველი კახურით გავსილი ჭური. დამათრობელი, გონების აღმვრეველი და ხელადმქმნელი.

და ეს სახელი: თამარ ხომ საუკუნეთა მანძილზე რეკავდა თარაშ ემხვარის შემეცნებაში. სათნო, ლამაზი და მითებით გაბრწყინვებული. ციხეებს, კოშკებს, ფრესკებს, ხიდებს, ყვავილებს, ადამიანებს და სოფლებს ამშვენებდა ოდითგანვე იგი, დაუშრეტელი ლეგენდებით, მზითა და სინათლის სავსებით მოსილი. ასეთი იყო მისთვის ეს სახელი ოდესღაც.

ახლა? ახლა რაღაც იდუმალი მწუხარებით სუნთქავს მის სმენაში „თამარ“. ძველი იარების გამხსნელია იგი, სევდით აღვსილი. მაინც ეს უნდა თარაშ ემხვარს: კიდევ და კიდევ ახსენოს ლუკაია ლაბახუამ თამარი, ოღონდ არ მიუხვდეს ლუკაია, თარაში გულგრილად რომ ვერ ისმენს ამ სახელს: თამარ.

უნდა დაჰკითხოს ახლავე, როგორ არისო თამარი? მაგრამ ვაითუ ლუკაიამ როყიოდ წამოტორტლოსო რაიმე მოულოდნელი და საშინელი. თარაშს განაგონი ჰქონდა ცირუნიასაგან: ყვავილბატონებით ყოფილაო შარვაშიძის ქალი სნეული.

უკეთ იყოვო ამას წინად, მერე ისევ შეუძლოდ შექმნილაო.

(ესეც ხომ ცნობილია, როცა ამბობენ, „შეუძლოდ შექმნილაო“, აქ გაცილებით მეტი უნდა იგულისხმო, ვიდრე შეუძლოდ ყოფნა).

ლუკია ისევ შინაურ ამბებს მიუბრუნდა, მაგრამ ემხვარმა არ დააცალა, ფრთხილი შეკითხვებით შემოაბრუნა ლუკაიას გულისყური. განგებისად პატარა თათია მოიკითხა პირველად.

თათია სოხუმს წაიყვანაო კაროლინამ გუშინ. შესაძლოა აქეთობას ოქუმში გამოიარონო.

თარაშს იამა ამის გაგონება. მაშ, კაროლინა თუ სოხუმს წასულა, ალბათ კარგად შექმნილაო თამარი.

მაინც შეეშინდა, თამარი არ ახსენოსო ლუკაიამ და ასეთი რამ ჰკითხა უსაზმნოდ:

მღვდელმა როგორ გამოგიშვაო?

თავად მღვდელს გამოეგზავნა თურმე ლუკაია ოქუმში, მაგრამ თარაშ ემხვარის სანახავად კი არა, აქ, ოქუმში, ერთი დედაბერი უნდა მოეძებნა ლუკაიას, ზუგდიდელი ქვრივი დედაკაცი. ორ სამარხს ჰყიდისო იგი ზუგდიდის ახალ სასაფლაოზე. ერთი თავისთვის ნდომია ბაბუა ტარიელს და ერთიც ჯახანას ნეშტის გადმოსასვენებლად.

თარაშ ემხვარს გაეცინა, საკუთარი სამარხის მაძიებლის ამბავი რომ მოუთხრო ლუკაიამ წვრილად.

მერმე ლუკაიამ ეს უთხრა რატომღაც თარაშს: ნახუცარმა არ იცის შენი ჩამოსვლა, ჩვენ ვუმალავთ ამას ბაბუა ტარიელს. ზუგდიდში ბევრმა გაიგო, მაგრამ არავის სჯერა შენი და არზაყანის დაბრუნება. მე არც წინად მჯეროდაო შენი სიკვდილი.

სიზმრები გაიხსენა. თარაშს შეეშინდა ისევ სიზმრების თხრობა არ დაეწყო ლუკაიას, ამიტომაც ეს ჰკითხა:

აქეთობას როგორი იყოო ენგური?

ამ წელს მთლად გაგიჟდაო ენგური. სჩივის ლუკაია. მარტში სამი წისქვილი წაურთმევია კოლექტივისათვის. რამდენიმე ასეული ქცევა ყანები წაულეკია, ბონდები და ხიდები წაუღია. გასულ კვირას რკინიგზის ხიდს დასძგერებია.

სამი დღე ასწორებდნენო გზის ოსტატები ხიდს. ბორნით გადმოსულიყო ლუკაია ენგურზე. კინაღამ წყალმა წაიღოო ბორანი, ცირუნიამ პირი დააბანინა თარაშს, მერმე საუზმე გააწყო მრგვალ მაგიდაზე. ლუკაია წასვლას დაადგა, თარაშმა მკლავში ხელი წაავლო, სუფრასთან დასვა.

ნიკაპამდის მისწვდა სუფრას ლუკია. მუთაქა მოიტანა თარაშმა. წამოსკუპდა ლუკაია მუთაქაზე.

თარაშმა არაყი შესთავაზა. ჯერ უარზე იყო, მერმე დალია, მოწამლულ თევზსავით პირი დააფჩინა, ახროტინდა, თვალიდან დადენილი ცრემლები ხელისგულებით ამოიწმინდა. თარაშმა შენიშნა: უკვე მიჩვეოდა ლუკია ალკოჰოლს. იჯდა, პეშვით იყრიდა გაუფცქვნელ ლოპინარს პირში. ნაღეჭი კალთაში უცვივოდა. არაყის გრაფინისაკენ გაურბოდა ლოპინარის ფერი თვალები.

ალკოჰოლმა გამბედაობა შეჰმატა თარაშ ემხვარს. მაინც თამარი არ იკითხა.

კაროლინა რად წავიდაო სოხუმს? გამოირკვა, თათიასთვის ოპერაცია უნდა გაეკეთებინა სასწრაფოდ, ჯირყვლების ოპერაცია.

კაროლინას ხსენებაზე ლუკაიამ უბეში ხელი ჩაიყო. დიდხანს ეძებდა რაღაცას და მერმე სავსებით დასველებული კონვერტი ამოათრია და თარაშს გადასცა ბარათი. საჩქაროდ გაფხრიწა კონვერტი, კაროლინას ხელი იცნო, გრძლად ეჩვენა იგი. სულმოსწრაფებულმა ჯიქურად ჰკითხა ლუკაიას: როგორ არისო თამარი?

ლუკაია შეკრთა კიდევაც ამის გამგონე. ენა აუბორძიკდა, წამწამები აუფახულდა:

„თთთამარი, თთთამარი“... და ვიდრე ლუკაია წინადადებას თავს მოაბამდა, საოცარი შიში შემოეგზნო გულზე, რაიმე უეცარი და აუტანელი არ წარმოეთქვა ენადაბრგვნილს.

ბოლოს, როგორც იქნა, დაათავა ლუკაიამ: გადარჩებაო თამარი.

„გადარჩებაო?“

ეუცნაურა ემხვარს. როგორ თუ გადარჩებაო? რას უნდა გადარჩენოდა?

ლუკაია რაღაცას თქმას აპირებდა, მაგრამ უარესად დაებნა ენა და მერმე ყვავილბატონები ახსენა.

სასაცილოდ ეჩვენა ლუკაიას ნათქვამი, ყვავილი ხომ აცრილი ქონდა თამარს? და მოაგონდა ემხვარს თამარის მშვენიერ მკლავზე ბეჭდისოდენა აცრილის კვალი.

ჩაჰკითხა ლუკაიას, მაგრამ ვეღარაფერი გამოარკვია, ხან ასე ამბობდა: ახველებსო. ფანჯარასთან მივიდა თარაში, რადგან ბნელოდა ოთახში. კაროლინას ბარათს დაუწყო კითხვა...

მოკითხვას, მისალმებას და სხვათა თვალით გადაურბინა და რამდენიმე აბზაცის შემდეგ წააწყდა თამარის სახელს:

„თამარი ოქტომბერში ჩაწვა, — სწერდა კაროლინა.

ფილტვების ანთება, სულიერი დეპრესია ზედ დაერთო ორსულობის გართულებულ პროცესსებს. კოშმარული ზამთარი გადავიტანეთ. სიცხე იძალებდა თუ არა, თქვენ სახელს ახსენებდა მუდამ. თვით ბაბუა ტარიელსაც ეხვეწებოდა, მისოუსტი მაჩვენეო.

მე არც კი ვიცოდი, თქვენ თუ მისოუსტი გერქვათ. მღვდელი მთლად გაცოფდა. თავი წაგვჭამა მე და ხერიპსს: გამაგებინეთ, ვინ არისო მისოუსტ? ამ უკანასკნელ კვირაში სავსებით წაერთო ცნობიერება თამარს. ეტყობა, ბნელი ხარვეზები თან სდევს ასეთ მელანქოლიას. არ სჭამდა, არ სვამდა, არავის იკარებდა ლუკაიასა და ძიძას გარდა. ერთ დილას ადრე გამოიღვიძა და ძიძას შეეკითხა:

„მისოუსტი ხომ არ ჩამოსულაო?“

გუშინ და გუშინწინ, როგორც კი თვალს მილულავდა, გეძახდათ. მომიცადეო, მისოუსტ.

ასე აფორიაქებულია მთელი ოჯახი, უკვე აღარ ვიცით, ან ავადმყოფს რა ვუყოთ, ან მოხუცებული ნახუცარი რით დავაშოშმინოთ. სამი დღის წინად კონსილიუმი იყო, აქაური ექიმები იმედს არ ჰკარგავენ, შესაძლოა გამომჯობინდეს, მაგრამ საეჭვოა დეპრესსიამ გაუაროსო. ტფილისიდან პროფესორი ლოდერელი გამოვიწერეთ. აქ ერთი უხერხულობის ამბავია ჩემს წინაშე წამოჭრილი.

მე ვიცი, თქვენ უგულო კაცი ხართ, მრავალ მამაკაცზე უფრო უგულო (მოიგონეთ თქვენი „შავი მამალი“), მაგრამ არა მჯერა ისე ტლანქი იყვეთ, თამარის ნახვა რომ არ მოისურვოთ ამ მძიმე წუთებში. ესაა, ექიმები ერთპირად აღიარებდნენ: საშიშია დიდი მღელვარება რომ შეახვედროთო ავადმყოფს. ეგეც არ იყოს, ბაბუა ტარიელს უკვე გაგებული აქვს (არ ვიცი საიდან), ბავშვის მამა რომ თქვენა ხართ.

მე და ხერიპსმა ბევრი ვითათბირეთ ამის გამო. მღვდელი ერთი წუთითაც არა სცილდება თამარის ოთახის კარებს. ექიმებმა რომ ნება დაგვრთონ, მე აღარ ვიცი, როგორ უნდა მოხერხდეს თქვენი აქ მოსვლა? მაინც კიდევ მოვიფიქრებთ რასმეს. ამასობაში პროფესორი ლოდერელიც ჩამოვა ტფილისიდან. ვნახოთ, იგი რას გვეტყვის. მე, ჩემის მხრივ, წმინდა ქალური ინსტინქტის ძალით მჯერა, თქვენი ნახვა მას უცილოდ გაუქარვებდა დეპრესიას“.

თარაშ ემხვარს თვალთ დაუბნელდა, მუხლები მოეჭრა, ყურებმა წივილი დაუწყეს, ხელების ფათურით მისწვდა სავარძელს. მერმე აირიენ სტრიქონები მის თვალთა წინაშე. თავი ზეასწია. მცირე ხანს ისე იჯდა და გასცქეროდა ფანჯრიდან წვიმას.

საბაზიერო სახლის წინ, მოტვლეპილ მოედანზე, შხაპუნა წვეთები ხტოდნენ (ბეღურები ფართხალობენ წუმპეში!), ნესტი შემოდიოდა ფანჯრიდან, გულისშემღონებელი. კანტიკუნტად ტლაშუნობდნენ შხეფები სახურავის ყავარზე და მაგნოლიის გალაქულ ფოთლებზე. სწვიმდა დაუცხრომელად და დარდიანად, თითქოს ჰინდური სეზონური წვიმები დაწყებულაო ოქუმში.

თარაშ ემხვარმა ბარათი გადააბრუნა, ისევ გამოშვებულ გვერდს დაადგა თვალი:

„თქვენს მიერ სვანეთიდან მოწერილი ბარათი სულ ორიოდე კვირის წინად გადმომიგზავნა ტფილისიდან ვიღაც უცნობმა. თამარისთვის ეს ამბავი არ გამიმხელია, რადგან ექიმებს ვუჯერებდი, მძაფრ ემოციებს არიდეთო, ასე გვარიგებდნენ. წინად მოიწყენდა თუ არა, გულის გარედ ვარწმუნებდი: უეჭველად ცოცხალია-მეთქი.

ხან რას ვიგონებდი, ხან რას. ბარათების მიღების შემდეგ ჩემს ტონს სიბეჯითე მოემატა. და ამ გზით თითქმის დავაჯერე, რომ თქვენ ცოცხალი ხართ. ამავე დღეს რაღაც უეცარი სინათლე მოეფინა დარდისაგან დავსილ გონებას მისას. დილით ადრე იღვიძებდა, თავათვე შეუშვერდა პეშვს სურის წყალს, თმასაც თავათ ივარცხნიდა. უხაროდა ორ-სამ თვეში ნაწნავები წამომეზრდება კიდევაც, მერმე ისევ შეიპყრო მელანქოლიამ. ბოდავდა.

ეს აიჩემა: თუ ცოცხალია, რად არ მინახულაო მისოუსტმა?

მე უკვე აღარ ვიცი, რა ვქნა, რა მოვიმოქმედო? განუზომელად მეცოდება თამარი, მაგრამ არც თქვენ შემოგცქერით შურიანი თვალით. თქვენმა ბარათებმა სასო წარმიკვეთეს სავსებით.

ასეთი პესიმიზმი მსოფლიო ომისაგან წელში გაზნექილ თაობებს თუ ეპატიჟება. მაპატიეთ კადნიერება და მე ისეთ ქვეყანაში ვარ გაზრდილი, სადაც აღმოსავლური დიპლომატია მლიქვნელობად თუ არა, ზედმეტად მაინცაა მიჩნეული.

სამწუხაროა, თქვენ რომ დამიდასტურეთ ცივილიზაციისაგან წაბილწული ვარო, საერთოდ, დასავლეთი საოცარი ქვეყანაა. აქედან რომ ვაკვირდები, მეც ვამჩნევ — მან მრავალს აურია გზა, რადგან დასავლეთის კულტურა გაცილებით უფრო ძნელად მისაწვდენია, ვიდრე აქედან ჩასულებს ეჩვენებათ ხოლმე.

თქვენი ბარათის ყოველი სტრიქონიდან ეს აზრი გამოსჭვივის: კულტურა ავადობაააო. დიახ, ავადობაა კულტურა, ველურობა კი სიჯანსაღე! მერმე რა, ეს რომ ასეა? შექსპირი, ვაგნერი და შოპენი თუ ავადობაა, ეს არც ისე ცუდი სენი ყოფილა. ავადმყოფობიდან იწყება კულტურა. ქალაქებში მუდამ ავადმყოფობა მეფობდა. განა ავადობა ისეთივე ფუნქცია არ არის ჩვენი სხეულისათვის, როგორც სიჯანსაღე? თქვენ, როგორც მცირერიცხოვანი ერის შვილმა, სწორედ თქვენ უნდა იცოდეთ ეს ყველაზე უკეთ. ყოველი დიდი კულტურა ქალაქებში დაწყებულა მუდამ (ათინა, რომი, ვენეცია, ფლორენცია, აღმოსავლეთის ძველი ქალაქები და პარიზი) მსოფლიო ქალაქებში დარწეულა მუდამ მსოფლიო კულტურათა აკვანი. სხვა დანარჩენი სოფლური ამბებია, სხვა არაფერი.

ბუნებაო? ბუნება სხვა რაღაა, თუ არა დაბურდული სტიქიონების მრუმე მორევი. მის ღამეულ განცხადებაში ნათელის ნატამალიც არა სჩანს არასდროს (მაპატიეთ, სულ დამავიწყდა, თქვენ არ გიყვართ, რო ქალი „ჭკვიანურ“ აზრებს მოეჭიდება, რადგან ქალს, თქვენის აზრით, სელის ბეჭვა უფრო შვენის. — ჰმ!).

ეჰ, რა მოგწეროთ, თქვენ ძლიერ ჯიუტი ადამიანი ხართ, მაინც კარგი გაკვეთილები მიგიღიათ, როგორც სჩანს, სვანეთში, ისე როგორ დაბრუნდებოდით.

რა ჰქენით? ლამარია არ შეირთეთ?“

ემხვარი მორიელისაგან დაკბენილივით ზეწამოიჭრა ლამარიას სახელის ამოკითხვისას.

ბარათს დახედა, რამდენიმე სტრიქონი სილამეს წაეშალა.

სუფრას მიუჯდა. არაყი დალია, ბუხრის წინ დაცუცქული ცირუნია ცეცხლს უბერავდა, ნაფოტებს ბუხარში ჰყრიდა.

თარაშმა კიდევ დალია არაყი და ბურბუშელაზე მოდებულ ალის პარპაშს მიაშტერდა. ხან კაროლინას სახე უნდოდა წარმოედგინა, ხანაც თამარისა. მიბრუნდა სუფრისაკენ. ლუკაია გაუმაძღარად თქვლეფავდა ცერცვის შეჭამანდს, ხანაც მუჭით იყრიდა პირში ცერცვს, წვერებზე ცერცვისავე ნაქურცვენი დაყროდა.

„აპრილში არ დაიხრჩო ვამეხ ანჩაბაძე?“ ეკითხება ცირუნია ლუკაია ლაბახუას.

„შენ რა იცი, ვინ იყო ვამეხ ანჩაბაძე?“

„შენოდენი მეც ვიცი, უბედურო ლუკაია“.

მიუგო ცირუნიამ, თავათაც გაიცინა, ხელისგული აიფარა პირზე. თარაშ ემხვარს უნდოდა გამოეკითხა, თუ ვინ იყო ვამეხ ანჩაბაძე? მაგრამ ისე ნაღვლიანი შესცქეროდა ცეცხლს, ენის მობრუნება ეზარებოდა.

„ლუკაია, თავი ნუ მოგიკვდება, წვიმების ამბავი მითხარი. ბოსტანი მაქვს დათესილი, შენ სამთვარიოს ამბავიც იცი, თავი ნუ მოგიკვდება, სინამდის იქნება წვიმები?“ ეკითხება ცირუნია ლუკაიას.

„წვიმები? წვიმები, ჰნი, წვიმები დიდხანს იქნება სულე.

ამბობს ლუკაია.

მესეფენი ამოდიან ზღვიდან, ამას მოჰყვება გაზაფხულის წვიმები, სულე“.

„მესეფენი ვინაა, შე დაღუპულო?“

„მესეფენი არ გაგიგონია? ზღვაში ცხოვრობენ მესეფენი, შურიგე. ქვეწარმავლების ღმერთებია მესეფენი. გაზაფხულის წვიმები ამოყვებიან ზღვიდან მესეფეებს“.

მერმე აიყოლიებენო ძაღლებს, დადიან ტყე და ტყე, სოფელ-

სოფელ, ხარკს ჰკრეფენ, მიწაზე წვიმები მოჰყავთო და არასოდეს ბერდებიანო მესეფენი, განმარტა ლუკაიამ.

თარაშმა კიდევ დაუსხა ლუკაიას არაყი. წამოჭარხლული ლუკაია წასვლას დაადგა. თარაშს უკვე აღარ შეეძლო ადამიანის საზოგადოების ატანა. იამა. ორ დღეში მოვალო, დაიბარა ლუკაიამ. თამარის ამბავს შეგატყობინებო.

ესა სთქვა და ფეხაკრეფით გავიდა გარედ. თარაშმა თვალი ჰკიდა. ორიოდე ჭიქა არაყს ისე დაეთრო ლუკაია, ძლივს მიფოხრიკობდა ბედშავი. ახლა ცირუნიას სიახლოვე უმძიმდა თარაშს. ვერ შეჰკადრა მოხუც გადიას, მარტო დამტოვეო. მოიმიზეზა: ხაჭაპურები გამომიცხვეო საღამოსთვის.

ცირუნია ოთახიდან გავიდა თუ არა, თარაში წამოდგა, სატეხი მოსძებნა. ურთხელის კარადასთან მივიდა. მცირე ხანს იდგა და ყოყმანობდა, დედის დანაბარები მოაგონდა: შენ ცოლს გამოადგებაო ურთხელის კარადა. მწარე ღიმილი მოჰგვარა ამ აზრმა.

მერმე გამოანგრია ქვედა უჯრა და იატაკზე დაჰყარა საგვარეულო არქივის ნაშთები, ისევ სიგელები, ნასყიდობის ბარათები, მოკითხვები და არხები ხვდებოდა ხელში. მტვერიან ეტრატს წააწყდა ხელი, კათალიკოსის ეტრატი შეიცნო, ლამაზი, ნუსხახუცურით ნაწერი, ძლივს ამოიკითხა:

„ჰრისხამცა მამაჲ, ძე და სული წმინდად, ჰემუხვარსა ვარდანს, ას და მერვისა ფსალმუნისა წყევად მას ზედამც დაესრულების. კრულმცა არს დაუსაბამისა უფლისა სიტყვითა, ექვსთა კრებათა მადლითა, ხუთთა პატრიარქთა ჯვარითა, წმინდისა დედაქალაქისა და სვეტიცხოველისა მადლითა და ჩემ გლახაკ ჯუარითა. რამეთუ ჰემუხვარი ვარდან განუდგა ეკლესიასა ქრისტესა და თანაზიარჰყო სატანასა“.

მერმე გამადიდებელი შუშა მიიტანა ემხვარმა. ხელის მოწერა და ქორონიკონი განშიფრა. ხელს აწერდნენ: „ქრისტესსწორი,

კათალიკოსი ქართლის — არსენი“.

იქვე მიწერილი იყო „მეცა მიწა მეფობის ამათისა ერისთავთ-ერისთავი მოწამე და დამამტკიცებელი ვარ“.

ერისთავთ-ერისთავის გვარი ვეღარ ამოიკითხა. ქორონიკონსა ჩრლბ — 1133 წელსა.

ხელი შეუშვა ეტრატს, ეტრატი ისევ დაიგრაგნა. კვლავ გახსნა და მოსძებნა სტრიქონი: „ასდამერვე ფსალმუნის ძალითა“ დაინტერესდა: რომელი უნდა ყოფილიყო ასდამერვე ლექსი ფსალმუნისა?

ადგა. მთელი ბიბლიოთეკა გადაქექა. ვერც ერთ ენაზე ვერ იპოვნა ფსალმუნი. საღამოს შემთხვევით წააწყდა ბერძნულ ფსალმუნის მინიატიურულ გამოცემას. დაჯდა შუქმილეულ ლამპის სინათლეზე, ასდამერვე ლექსსის კითხვას შეუდგა.

შეზარა საშინელმა სიტყვებმა. ისინი ისე ღვივოდნენ საუკუნოების ფერფლში გახვეულნი, როგორც ჩანაცრული კერის ქვეშ ღველფი. სახეზე გადაენთხა თარაშ ემხვარს რვა საუკუნის წინ დანთხეული წყევლა.

ცირუნიას ვახშამი მოემზადებინა. ხელი არაფრისთვის უხლია. მთელი ღამე ბორგავდა თარაშ ემხვარი, ხან სვეგამწარებული თამარს იგონებდა, ხან ფსალმუნის საშინელ სტრიქონებს, ქართლის კათალიკოსის უმოწყალო ანათემას, გარე კი სწვიმდა, ბებერი მწევარი ყმუოდა, ღობეების ლაწანი ისმოდა, ვიღაცეები უკითხავად გადადიოდნენ ეზოზე. ფანჯრიდან ხედავდა თარაშ ემხვარ ჩაბალახით თავშეხვეულ ლანდებს. ვარამისაგან გულშემოყრილს არც კი აინტერესებდა: სისხლისმაძიებელი ტარბები იყვნენ ეს, თუ ზღვიდან ამოსული მესეფენი — წვიმების აღმძვრელნი?

ასდამერვე ლექსი

„...ყოველი ასო ადამის ტომისა, ზოგი სისხლად გადაიქცევა, ზოგი თელგამად და ზოგი სევდად“.

ქართული კარაბადინებიდან

ტარიელი შარვაშიძე გულმხურვალედ შესთხოვდა „სიკვდილის დამთრგუნველ ღმერთს“ თამარის ნაცვლად მისი დავრდომილი სული მიეღო მსხვერპლად. მთელი საათი ლიტანიობდა პატიოსანი თვლებით მოოჭვილ მაცხოვრის ხატის წინაშე. ნაშუაღამევს ადგა და თამარის ოთახში ჩამოკიდა იგი.

მეორე დღეს, დილის თხრა საათზე, ელოდნენ პროფესორ ლოდერელს. მოუთმენლობის ციებ-ცხელება ღამის სამი საათიდანვე დაეუფლა ბაბუა ტარიელს, პირქვე დამხობილი იწვა ტყავის შეზლონგში და ყურს უგდებდა თუ როგორ გადაჰრბოდნენ მატარებლები რაზრაზით მიწაზე.

ბაბუა ტარიელმა კარგად იცოდა, თუ საიდან მოდიოდნენ ისინი, მაინც ეგონა რატომღაც, შესაძლოა, რომელიმე მათგანს მოჰყვებოდესო ლოდერელი. თუმცა, როგორც ყოველგვარ მეცნიერებას, მედიცინასაც იჭვის თვალით შესცქეროდა ნახუცარი, მაინც ლოდერელზე ამყარებდა უკანასკნელ იმედს. ფანჯრიდან დაინახა, თუ როგორ გაჰქრა ცაზე ხარიპარია, მერმე თუთის ხეების მწვანე ქოლგები ოქროცურვილს დაამსგავსა მზემ, აკაციებში ბულბულები აკვნესდნენ.

წინა ღამის ზღვაურს ყვავილის ნაქურცვენი ჩამოებერტყა ალუბლის და ვაშლის ხეების შტოებიდან ისე, რომ მოლი თოვლის ფიფქით მოფენილს მიაგავდა ხილნარში. იდგა თეთრად შემოსილი ბაღი ოცნებით გართული, ზანტად იზმორებოდა კვირტებში მზითა და სინოყივრით გავსილი მწვანე...

წაეწვინა ქარიშხალს თეთრი ვარდები და ჟასმინები, რთვილი ვარვარებდა ყვავილის საყურეებზე, მოსულაო თითქოს იდუმალი მხატვარი ღამისა, ბროლის ცრემლები დაუფრქვევიაო წალკოტში, ვარდისფურცლობის სიხარულით აღტყინებულსა.

ბაბუა ტარიელის დაქანცულ თვალებს ძილი მიპარვოდა გათენებისას, რვა საათიც არ იქნებოდა, თვალნაკრავსავით წამოვარდა, ლუკაია გააღვიძა. ჭიშკარი უნდა გაეღო ლუკაიას ეტლისათვის. მერმე აივანზე დაჯდა და უცდიდა ლოდერელს.

ცხრას ხუთი წუთი აკლდა, როცა მატარებელმა გაიარა შორს, დაბის გადაღმა. კვამლის თეთრი ფთილები ესროლა ღრუბლების კრაველებით მოფენილ ცას, მერმე ისიც დაინახა ბაბუა ტარიელმა აივნიდან, თუ როგორ მიაღწია სადგურამდის ლოკომოტივმა. ადგა ბაბუა ტარიელ და ბოლთას ცემას შეუდგა. დადიოდა, ღელავდა, ეტლი რომ აღარსად სჩანდა.

ბოლოს ავტომობილი გამოჩნდა. ავტომობილის ეშინოდა ბა-

ბუა ტარიელს, რადგან პოლიტსამმართველოს ავტომობილი შეუძენიაო, განაგონი ჰქონდა.

გამოირკვა: ხერიპსს წინასწარ ეზრუნა, ეტლის ნაცვლად ავტო დაეხვედრებინა სახელოვან მეცნიერისათვის. ლუკაიამ ჭიშკარი გაუღო ავტოს და ვიდრე ბაბუა ტარიელ სტუმარისადმი პატივისცემის დასამოწმებლად სამიოდე საფეხურზე ძირს ჩამოფოფხდებოდა, მანქანა კიბეს მიადგა უკვე. კარი გაიღო და ყავისფერკოსტიუმიანი ჩასკვნილი მოხუცი ჩამოხტა მარდად და სულმოუთქმელად შეუდგა კიბეს.

ბაბუა ტარიელი ოდნავ გულნაწყენი დარჩა, კიბეზე შეხვედრილიც რომ არად ჩააგდო სტუმარმა.

„ბატონო პროფესორო, ბატონო პროფესორო“, მისძახოდა ლოდერელს. ისეთი საწყალობელი ხმით ლუღლუღებდა ბაბუა ტარიელ, ხერიპსს გული აუჩქროლდა, უძინარ, დალეულ სახეს მოხუცისას თვალი რა წაატანა, მკლავში ხელი წაავლო მოწიწებით, ოდნავ შეაყენა და მამა წარუდგინა. მღელვარებისაგან ცრემლები მოერია ბაბუა ტარიელს.

„ვიღუპები, ბატონო პროფესორო, მიშველეთ რამე“, — ეს სთქვა და გლახაკივით მოებღაუჭა ლოდერელის მარჯვენას.

„დამშვიდდით, მამაო, დამშვიდდით“, მიუგო ლოდერელმა და მტკიცე ნაბიჯით განაგრძო გზა.

ლოდერელი ოდნავ კეკლუცობდა კიდევაც. პროვინციაში მესიასავით რომ ეგებებოდნენ. ზალაში შესულმა ხელი დაიბანა საჩქაროდ. ხერიპსს ანიშნა საოპერაციო ოთახში გამოიყვანეთო ავადმყოფი. ხერიპსი ნაღვლობდა, კაროლინა რომ ვერ დაბრუნდა სოხუმიდან. უცხო ასისტენტის მოყვანაც არ უნდოდა, ამიტომაც ხერიპსმა და დაშამ გამოიყვანეს საწოლ ოთახიდან თამარი. ბაბუა ტარიელ და ლუკაია ლაბახუა უკან მისდევდნენ ცრელმორეულნი.

ლოდერელმა შენიშნა მოხუცი პანიკასა ჰქმნიდა, ხოლო ლუკაია ლაბახუა საკმაოდ ანტისანიტარულ არსებად მოეჩვენა, ამიტომაც ანიშნა ხერიპსს: ორივენი გაეყვანათ საოპერაციო ოთახიდან.

საოპერაციო მაგიდაზე აიყვანეს თუ არა, მყისვე შეიცნო თამარმა თეთრხალათიანი ლოდერელი. განცვიფრდა ფრიად. დროის შეგნებადაკარგულმა ისე იგულისხმა, თითქოს კლინიკაში შეხვედრის მეორე დღეს მოსულიყო ლოდერელი მის სანახავად.

მერმე ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოსცურდნენ მახსოვრობის ზედაპირზე ტფილისის სამეანო კლინიკის თეთრი ფარდები, რაღაც სამგლოვიარო იერს გადაიკრავდნენ ის თეთრი ფარდები.

მერმე დერეფნებში მოფუსფუსე თეთრხალათიანები მოიგონა, ხელგათხუპნული ორდინატორები და ექიმები, ხლოროფორმისა და იადაფორმის სუნი...

საოცარი ის იყო, ახლაც ეცა საიდანღაც ხლოროფორმის სუნი თამარს. ამ სუნმა ასოციაციით გამოიწვია ფელამუშისფერი მასსა ადამიანის სისხლისა და თამარს გული შეუღონდა. მერმე მოუახლოვდა პროფესორი ლოდერელი, შუბლზე ხელი დაადო ავადმყოფს, უყურა მცირე ხანს თამარს.

ლოდერელის გულში აწრიალდა ინტერესი: სად ენახა თავდაპირველად ასეთი მშვენიერი სახე? ეცნაურა, მაგრამ ვერ კი მოიგონა: სად და როდის?

ლოდერელმა აყნოსვინა ავადმყოფს რაღაც. თამარმა თვალი გაახილა. ახლა მაჯაზე წაავლო ხელი ლოდერელმა. თამარი უკვე დარწმუნდა: ეს უკვე სრული სიცხადე რომ იყო. შეხედა ლოდერელს, ისევ ტფილისის კლინიკა მოაგონდა.

მანანა ანჩაბაძის განკვეთა თვალწინ დაუდგა, მერე გადახედა

შუშის კარადებში ჩალაგებულ ნიკელის ჭანგებს, მაშებს, კატეტებსა და კიურეტებს, რაღაც ბედითი ელვარება მოსავდა ამ ნიკელის უცნაურ საგნებს.

მარჯვენა თვალიდან გამოდინდა ერთადერთი წვეთი ცრემლისა, ღაწვისთავი გადაიარა და ყვრიმალისაკენ წავიდა წკანწკარით.

ოთახში ხლოროფორმის სუნი დადგა.

ლოდერელმა რქის სათვალე გაიკეთა. ხერიპსმა ნიკელის საჭურველი ჩაალაგა ნიკელისავე ტაფაში და ელექტროს შტეპსელი შეარჭო. მერმე დიდხანს ესმოდა თამარს წყლის ჩუხჩუხი და ეს ხმა ისე გაძლიერებულად ესმოდა, თითქოს დიზელის მოტორი გიზგიზებსო.

ლოდერელმა გულდაკოდილად შეავლო თვალი საოპერაციო შეზლონგზე გაშოთილ მშვენიერ სხეულს ქალისას, მოწიწებით ახადა პერანგი.

ყური მიადო მუცელზე.

ნაყოფი მკვდარიაო, უჩურჩულა ხერიპსს.

„ვინ ექიმობდა?“

იკითხა ლოდერელმა.

„ექიმი ფერაძე“.

ლოდერელი მოიღუშა.

საშვილოსნოს გარე ორსულობასთან გვქონიაო საქმე.

ხერიპსი გულმაგარი იყო ოპერაციის დროს, მაგრამ როცა ლოდერელის შეუბრალებელმა ხელმა მისი საყვარელი დის სხეული განკვეთა, სახეზე სიკვდილისფერი გადაედო და ერთ წუთში ისე შეტორტმანდა ხერიპსი, თითქოს იატაკი შექანდაო მის ფერხთით.

წასვლის წინ დამდურებულსავით ჩაუარა ლოდერელმა საავარძელში ჩავარდნილ ბაბუა ტარიელს.

როცა ავტომობილი ათუხთუხდა, ლოდერელმა ხელი გაუწოდა ხერიპსს. ესღა უთხრა ხმადაბლა:

დროზე რომ გეხმეთ, რამეს ვუშველიდიო.

ლუკაია ლაბახუამ ეს გაიგონა, ავტოს შეახტა, ჭიშკრის გასაღებად თან წაყვა და მერმე უკან აღარ დაბრუნებულა ტარიელ შარვაშიძის ოჯახში.

* * *

...მთელი ღამე უსტვენდნენ ბულბულები შარვაშიძიანთ ხილნარში. ზღარბი მოუსვენრად შარიშურობდა ნაზამთრალ ფოთლებში, დაზნექილ ტოტებიდან ყვავილის ფარფლი სცვიოდა თოვლის ფიფქისებრი სიუხვით. წვიმის ღრუბლები სათანჯოს ციხეს გარს მოვლებოდა. იდუმალების ბნელი ფრთენი გადაფენოდა მთვლემარე ბაღნარს.

...ნაშუაღამემდის სისხლის დენა არ შეწყვეტილა. მხოლოდ უსინათლო ძიძა დაფათურობდა თამარის საწოლის ახლოს, სულგანაბული. ხერიპსი კაროლინას ოთახში გუშაგობდა, იქვე სავარძელში მოკეცილი ხვნეშოდა დაზაფრული ბაბუა ტარიელი.

უსინათლო ძიძა უკვე მიმხვდარიყო, რომ აქ გაცილებით უფრო სერიოზული რამ უნდა ყოფილიყო, ვიდრე „ყვავილბატონები“. ლანდების სამყაროს კიდემდის მიღწეულს, თამარს არც თავისიანების ხმა ესმოდა, არც რაიმე ჩქამი ხილნარიდან, არც აკაციების ხეივნიდან მომავალი ხმა ბულბულისა.

წყალიო!

დაიძახა თამარმა, ძიძა დაფაცურდა, შეშინებულმა ჭიქას ხელი წაავლო.

მისოუსტ, მიშველეო. დაიძახა ავადმყოფმა, მერმე იკივლა და გაიბრძოლა.

როცა ხერიპსი თავზე დაადგა თამარს, მის გრძელი წამწამები

ჩვეულებრივად არ აღმართულან ექიმის ფეხის ხმაზე. მერმე შეტოკდა სულთმობრძავის გაფითრებული ზემო ტუჩი: დედა, მოიცა, მოვდივარო...

ესა სთქვა და გონებამილეულ ავადმყოფის შეგნებაში ისევ შემოვიდა დედა, თამარისათვის ნაჩუქარი ჯვარი ეჭირა შავებით მოსილს მარჯვენა ხელში.

მერმე წაავლო ხელი ჯახანამ თავის საყვარელ ქალს, ფანჯარასთან მიიყვანა ხმის გაუღებლად. შავი, შავი ფთილები მჭვარტლისა სთოვს ღრუბლიან ციდან და ხედავს თამარი, თვალნათლივ ხედავს: დოღია ჭადრების ხეივანში გამართული.

აგერ მუშტისოდენა აბდულაჰ რამაზ-ოღლი მოაჭენებს ცხენს, მის უკან გრძელკისერა ლაკირბაია მოჯირითობს, მას მალაზონია მოჰყვება ჩაბალახით თავწაკრული, წითელჩაბალახიანი არზაყანი — არაბიას მოაქროლებს, მას შვიდი ძმა ტარბა უკან მოსდევს ყიჟინითა და დამბაჩების სროლით.

გაასწრო ყველას არაბიამ და გამოჩნდა უცებ შავჩოხიანი თარაშ ემხვარი, იგი მწვანე ცხენზე ზის, შავი ჩაბალახით პირშებურვილი.

თამარი იხედება ფანჯრიდან: ეს უნდა სახეში შეხედოს როგორმე თარაშ ემხვარს.

აჰა, გაასწრო ემხვარმა აბდულაჰ რამაზ-ოღლის, მალაზონიას გამოუდგა ყიჟინით. მალაზონიაც უკან დასტოვა, თამარი კრთის, თარაშ ემხვარს არ მიუშვირონ დამბაჩები ტარბებმა, მაგრამ შორს გაასწრო ემხვარმა ტარბებს. ახლა არაბიას გაუსწორდა უკვე მწვანე ცხენზე შემჯდარი ემხვარი. ღელავს თამარი, ვაითუ არაბიამ აჯობოსო მწვანე ცხენს, მოჰქრის შავჩაბალახიანი მხედარი, მდუღარეში ჩავარდნილ კაცსავით ყივის, ეუცნაურა ეს გამხვრეტი ყივილი თამარ შარვაშიძეს: ვინ მისცაო ასეთი დიაცური, ამაზრზენი ხმა თარაშ ემხვარს!

აჰა გადაასწრო მწვანე ცხენმა არაბიას, ჰელოსთან მოვიდა პირველი. მხედარს ჩაბალახი აუფრიალა ქარმა და ხედავს თამარი: თარაშ ემხვარის ნაცვლად კბილდაღრჭენილი ჩონჩხი შემჯდარა მწვანე ცხენზე, თარაშის შავ ჩოხაში გამოწყობილი.

„სახელი მისი სიკვდილი“.

ამბობს თამარის გვერდით მდგარი დედა და ჯვარი მიუშვირა ამ მოჩვენებას.

„ვაიმეე!“ იკივლა თამარმა.

ხერიპსს უკვე მაგრად ეჭირა მისი დალეული მკლავები, ძლივს აკავებდა საწოლზე ავადმყოფს. როცა ბაბუა ტარიელ და დაშა შემოცვივდნენ, თამარის გრძელი წამწამები აღარ იძროდნენ ჩამქრალი თვალების ქუთუთოებზე გაყინულნი.

მცირე ხანს ხროტინებდა სნეული, მერმე სახის ნაკვთებში გადგა სიყვითლე სუნმიღებულ ვარდისფურცლობის მაგვარი და მტკივნეული ღიმი შეახმა გაფითრებულ ბაგეზე თამარს.

* * *

ბენგალის ცეცხლისფრად აენთო ცისკარი აკაციების გადაღმა, რუპისფერი ტალები გადაეფრქვია ლაპის ლაზულის ცას. მარტოხელა ბულბული სტვენდა გარიჟრაჟზე და ეს ნაღვლიანი სიმღერა ესმოდათ დათრთვილულ იასამანებს, თეთრ ვარდებს და თამარის ფანჯრის წინ მთვლემარე ვაშლის ხეს...

* * *

დიდხანს ლოცულობდა მიცვალებულის საწოლთან დამხობილი მამა. და როცა სინათლე შემოიჭრა ფანჯრიდან, წამოდგა, მაღლა აღაპყრო ხელნი და ქართლის კათალიკოსის მიერ დაწყევლილი ვარდან ჰემუხვარის უკანასკნელი ნაშიერი რვა საუკუ-

ნის შემდეგ ასდამერვე ფსალმუნის ლექსით შეაჩვენა გაბურ-გძვნილმა, ნახევრად შეშლილმა ხუცესმა.

დაადგინე ცოდვილი მასზედა და ეშმაკი დადეგინ — მარჯუე-ნით ესდა, იყვნენ დღენი მისნი მცირე და გასაგებელი მისი სხვა-მან მიიღონ.

„წინ შვილნი მისი ობოლ და ცოლი მისი ქვრივ. აღიძრნედ და გარდაიცვალედ შვილნი მისნი, პურისმთხოველ იქმნედ და გახ-დე იგინი სამკვიდრებელისაგან მისისა. იყვნენ ნაშიერნი მისნი მოსარეველ ერსა შორის და ნათესავისაგან აღირიცხონ სახელი მისი, და მოისპონ ქვეყანით სახსენებელი მათი.

„ეყავ მას წყევა — ვითარცა სამოსელი, რომელ შთაიცვის და ვითარცა სარტყმელი, რომელ შეირტყას წელთა მისთა.

კრულმცა არს ძილი და ღვიძილი მისი, საფლავი და სახსენე-ბელი თარაშ ემხვარისა და სატანას გაუხსნელითამცა საკვრელი-თა შეიკვრის ტომით, ნათესავით და სახსენებელით მისითურთ“.

მერმე ადგა ბაბუა ტარიელ, ჩამოიღო კედლიდან ვერცხლით მოოჭვილი ხატი მაცხოვრისა, დაანარცხა მიწაზე და უშვერი სიტ-ყვებით გმო იგი, ვისაც ნახევარი საუკუნის მანძილზე ევედრებო-და და უგალობდა.

გაც და გაიმ

ნაშუაღამემდის „ქართლის ცხოვრებას“ კითხულობდა თარაშ ემხვარი. მერმე მობეზრდა ეს გაუთავებელი შესევისა და შემოსევის, წარტყვევნისა და წალეკვის ამბები. წიგნი განზე გადასდო. იწვა პირაღმა.

ბურუსიანი ფიქრები ღიმღამობდნენ მის წარმოდგენაში. ტურების კივილი შემოესმა ანაზდეულად. ჯერ ორიოდე კივოდა მუხნარის პირად, მერმე ციხე-დარბაზის სანახეში აღნავლდა ერთი, მათ შეუერთდნენ თხილნარისა და კოპიტნარის მახლობლად მოსულნი.

მერმე აღნავლდნენ ერთობლივად ყოველი მხრიდან. ისე გააფთრებული ჩხაოდნენ და კივოდნენ ეს აბეზარნი, თითქოს ბრაზობდნენ, კიდევ რომ ბჟუტავდა ცეცხლი ვარდანიძე-ემხვარების ციხე-დარბაზის მახლობლად.

ასეთი ერთობლივი ღნავილით, ჩხავილით და კნავილით მო-

იწევდნენ ტურები მესერშემოცლილი ბაღისკენ, ეკლესიის ნანგრევის გადაღმა ბოხი ხმით ხორხოცობდნენ ფოცხვერები.

მგელიკა ბრაზმორეული უტევდა ნადირს: მაინც არად აგდებდნენ ტურები ამ დახუთული მწევრის უმწეო ყეფას.

თარაშ ემხვარს განუზომელად უყვარდა ტურების კივილი ბავშვობიდანვე. საამურია, როცა ტფილად წევხარ ზამთრის ღამეში და შორიდან ჩქამი მოგესმის. ახლა რატომღაც შეზარა ამ გათავხედებული ტყიურის გნიასმა. საშინელი ყმუილი მორთო მგელიკამ.

თარაშს ჟრჟოლასა ჰგვრიდა მწევრის ყმუილი, წამოდგომა უნდოდა, შეხმიანებოდა მწევარს და გაეჩუმებინა. დაეზარა, გვერდი იცვალა, თვალი დახუჭა. ფიქრი ფიქრს აეკვიატა.

შესაძლოა, წრეულს ისევ გადაიკარგოს თარაშ ემხვარი სადმე. ახლა კი სამუდამოდ გადაიკარგოს. მოხუცებული ცირუნია ფესვმომპალ კბილსავით დაფამფალებს. საცაა ცირუნია მოკვდება და ჩაჰქრება სამუდამჟამოდ ვარდანიძე-ემხვარების ძველთაძველი ოჯახის კერა.

თემსაბჭო ამ სასახლეს სოფლის შუაგულში გადაიტანს და იქ დადგამს. ახლაც ევაჭრებიან თარაშს, კოოპერატივის ბაზისთვის გვინდაო.

მერმე დაცუცქდება ბებერი მგელიკა ნამოსახლარზე და აყმუვლდება. ღამღამობით ტურები და ფოცხვერები მოვლენ და გამართავენ შემზარავ კონცერტს.

შესაძლოა, ეს სულ მალე მოხდეს, სულ მცირე ხანში აღარ იქნეს ამ ქვეყანაზე თარაშ ემხვარი...

ეს გაიფიქრა და თავადვე გაოცდა. როგორ თუ არ იქნეს???

ფიქრობს, წარმოდგენას ამისას ლამობს, მაგრამ თავათაც არ ესმის, როგორ შეიძლება იგი „აღარ იქნეს“?

ბალიშში თავი ჩარგო და ისე შესცქერის საკუთარი სიცოცხლის ეტლს, თითქოს ეს თავათ როდი იყოს თარაშ ემხვარი. აქ კი სავსებით ცარიელი ადგილი რჩება მის წარმოდგენაში.

ეს „აღარ იქნეს“, სწორედ ეგ არის საშინელისა და ენით უთქმელის ბედითი სამანი. აქ უნდა დაესვას წერტილი ვარდანიძე-ემხვარების გრძელსა და ბნელ მატიანეს.

ისევ შეიცვალა გვერდი, კათალიკოსის ეტრატი მოაგონდა, ასდამერვე ფსალმუნის საზარელი წყევა.

ვინ მოიგონა ასეთი ბარბაროსული სიტყვები, ცხელი და მწველი, როგორც დომნების ღარიდგან გადმონთხეული ფოლადის ღვართქაფი? უდაბნოს ცხუნვარება მოჰქრის ამ საშინელი სიტყვების ღვარცოფიდან.

...

დიდხანს ტრიალებდა ლოგინში თარაში. ასდამერვე ფსალმუნის ლექსებს იმეორებდა უხმოდ. უფრო და უფრო ძლიერდებოდა ტურების ღნავილი და ფოცხვერების ხორხოცი, დიდხანს ებრძოლა უძილობას და მერმე ჩასთვლიმა ტურების კივილისაგან გულშეღონებულმა.

და ეზმანება: ტრამალზე მიაგელვებს ყორნისფერ ცხენს. ზღვასავით მოვარდნილი ტრამალები ეგებიან ფეხქვეშ, უკაცრიელი, უდაბური, ურწყული ველები. და ჰქრის არავი საშინელი, გულშემზარავი, ქვიშა სამკერდემდის მისწვდენია ცხენს.

შეტოკდა ანაზდეულად ცხენიცა და მხედარიც.

ეს ლაღუმმა დაიგრიალა. ადგნენ კუდიანი ქარები აღმოსავლეთიდან, დასავლიდან, ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან, და გაისმა შორისშორის ლაღუმების ერთობლივი გრიალი. დაიძრნენ მწყერები მთის კალთებიდან, აზანზარდა ყარყუმის სამოსელში შესუდრული კავკასიონი, თარაშ ემხვარის საყვარელი კავკასიონი, ჯერ ალისფერმა ელვებმა დასხეპეს მყინვარწვერები და

მერმე გადგა საშინელი გრუხუნი ცასა და მყარს შორის.

ავარდა ქვიშიანი მტვერის ბუღი ჰაერში. მოიკლაკნება უშველებელი მრეში ურჩხული, საომარ ლოინსავით ყელმოღერებული მოდის, მოიზლაზნება ამპარტავნად თავაწეული და ცეცხლს მგზნებარეს აფრქვევს პირიდან.

ქორა მახვში დამხობილა ქვიშაზე. ქორა მახვში და ბებერი გურანდუხტ და ღაღადებენ: „დიდება შენდა, უფალო მეზირ“.

თვალის დაფახულებაც ვერ მოასწრო თარაშ ემხვარმა და გამოქანდა წითელ მერანზე მჯდარი არზაყან ზვამბაია, ლეკურით წააცალა თავი მეზირს, საშინელი ბუღი დააყენეს გაქანებული ცხენის ფლოქვებმა და გადაყვა ალისფერ არავს ცხენიცა და მხედარიც.

ატყდა ისევ ლაღუმების გრიალ-გრიალი, შედრკა და შეტოკდა ხელმეორედ კავკასიონი და დახვავდა ტრამალზე უშბას მწვერვალი, ეს უჯიათი მჯიღი სატანისა, ცადაღმართული.

სისხლისფრად შეუფაკლდა ცას ცალი ღაწვი. ახლა ყაზბეგის მთა დაეშვა ძირს და დაიმარხა ტრამალის ქვიშაში კავკასიონის იგავმიუწვდენელი შვენება.

მიდის გულნაღვლიანი თარაში. ჩრდილოეთისკენ მიაგელვებს ცხენს, რომელიღაც მდინარის კიდეს მიადგა. აკვირდება მხედარი ნაპირებს. ეს არც ფაზისია, ძველი ბერძნების მშვენიერი მითებითა და ლექსებით გაბრწყინვებული, არც მისი უფროსი ძმა მტკვარია იგი, საქართველოს პოეტების გულის მურაზი. არც ალაზანი, კახეთის ჯვარი. არც თეთრი, არც შავი არაგვი.

მოისმის ისევ ლაღუმების შორეული გრუხუნი. ილეწებიან გარშემო ციხე-კოშკები ამ ბნელი მდინარის ნაპირებზე ჭადრაკულად განრიგებულნი, დაიგრიალა. დაიქუხა ქვესკნელის პირმა. შესძრა ქვეყანა და ძირს დაეშვა გულამაყი ჯვარის ტაძარი. ახლა ხვლიკისფერმა სვეტიცხოველმა გაიელვაა მრეშ სინათლეში და

მერმე სრიალით წავიდა ძირს, მეწყერებისაგან გადახერგილ ჯურღმულებისკენ.

აჰა, გადმომდგარა ზედაზენის მთაზე ლუკაია ლაბახუა. ოქუმის ეკლესიის ბუკი გაურჭვია სისხლმორეულ პირში და აზანზარებს ბუკისცემა ცასა და მყარს...

ქერეჭიანი მუცელი მოუჩანს ძონძებიდან, თხის ჭლიკები გამოსხმია და რქები თხისა.

კალასფერი ცა ხელმისაწვდენზე ჩამოფხატვია ზედაზენის მთას. დღე დამდგარა რისხვისა და ზარი საშინელი.

გამოსულა მზვარეში ერი ურიცხვი, ვით ყვავილი. ზიმზიმებს დიდი და მცირე.

თვალნათლივ ხედავს თარაშ ემხვარი საშინელისა და ენით უთქმელის განცხადებას: არმაზის მთაზე ორი ქანდაკი აღუმართავთ კვლავ, ორნივ სპილენძისანი თხემიდან ტერფამდის. ორთავეს ჯაჭვი აცვიათ ოქროისანი ტანთ, ოქროისა და ვერცხლის პოლოტიკნი, საბარკლენი, სამკლავენი და სამაჯურნი. თვალი ჰქონდათ ზურმუხტისანი და ბივრიტისანი. ორთავეს ხრმალი იქცევისი ხელთ ეპყრათ და უმოწყალოდ მუსრავდნენ ურთიერთს.

ძახილითა და მახვილით გადმოიჭრა თარაშ ემხვარი ცხენიდან და ვიდრემდის თავზუჩიან რაინდებს გამზავებლად ჩაუდგებოდა, ორივეს თავი გაგორდა ქვიშაზე.

დაჯდა თარაშ ემხვარმა და შეიცნო: იდუმალებათა და წინაპართა კერპები — გაც და გაიმ.

თარაშ ემხვარის მესამე გზა

ცირუნიამ კარი შემოაღო. ემხვარს ბალიშიდან თავი გადავარდნოდა, კისერი საწყალობლად განზე მოღრეჯოდა, კვნესოდა ოფლში გაღვარული. შეებრალა მოხუცს ზმანებისაგან გვემული. დიდხანს აღვიძა ამაოდ, მერმე დაუწყნარდა მძინარე სახე. ამოიოხრა და გადმობრუნდა. ცირუნია წასვლას აპირებდა და სწორედ ამ დროს გაახილა თარაშმა თვალი.

საუზმე მზად არისო, ბატონიშვილო. წაიბუტბუტა ცირუნიამ და ბარათი გადასცა.

თარაშმა ვახტანგ იამანიძის ხელი შეიცნო, წამოდგა, სავარძელში ჩაჯდა და დიდხანს კითხულობდა ბარათს. მერმე ცირუნია მეზობლისას გაგზავნა. ბარათი ნაკუწებად აქცია და იქვე ნიჟარის საფერფლეW, დაყარა. მამისეულ კაბინეტში შევიდა. კარები გადარაზა. საოცარი სინესტე დამდგარიყო წინაღამინდელ თქეშისაგან ოთახში. ფოტოგრაფიულ სურათებს წამალი გადასვლოდა,

სახეშეშლილი მოსჩანდნენ კედლებზე გაწკაპული, გადარეცხილი ფიგურები. საწერი მაგიდის უჯრიდან ბრაუნინგი გამოიღო თარაშმა.

წინა კართან მივიდა, იგიც გადარაზა. მაგიდას მიუჯდა და ძალაგაცლილი ხელით დაიწყო წერა:

„ტფილისი, გურამიშვილის ქ. 35.
ვახტანგ იამანიძისადმი.

ძმაო ვახტანგ,

შენმა ბარათმა მრავალი იარა განმიახლა და კალამი ამაღებინა ხელში. თუმცა, შესაძლოა, ამ მძიმე წუთებში უამისოდაც მომეწერა ორიოდე სტრიქონი შენთვის. ჩვენ ხომ რამდენიმე წლის მანძილზე თანაბარ გულისწუხილს განვიცდიდით იქ, უცხოეთში და გზაშიაც მრავალი წამებმა გადაგვხდა. სვანეთში ყოფნის დროსაც მრავალჯერ მომნატრებია შენთან შეხმიანება, მაგრამ ისე მოეწყო ჩვენი ცხოვრება, რომ ჩვენი გზები ანაზდეულად დასცილდნენ ურთიერთს. ამიტომაც, გადავწყვეტდი ბარათის მოწერას და სახვალიოდ გადავდებდი უთუოდ. მეშინოდა:

ვაითუ გუნება წავუხდინო-მეთქი.

ბარათის მოწერას, ან საერთოდ წერას რა აზრი აქვს, თუ დიდი სიწრფელე თან არ ახლავს ნაწერს. მე უკვე ამქვეყნიურ სამანამდის ვარ მიღწეული და გულწრფელად ვაღიარებ აქ ყოველივეს, რადგან, დაბეჯითებით ვიცი, სხვისი აზრები ვერას მავნებენ იქ, სადაც ადამიანის ჟრიამული ვეღარ მიწვდება.

მე მგონია, მხოლოდ ასეთ მიჯნამდის მიღწეულს თუ შეუძლია მართალის თქმა, სიკვდილ-სიცოცხლის სამანამდის მიღწეულს.

ამიტომაც მუდამ ოინბაზობად მიმაჩნდა იუბილეების მომლო-

დინე მწერლების და მინისტრების აღსარებები და მემუარები ნებიერ ცხოვრების ფარგლებში დაწერილი.

მე სიკვდილს შევცქერი უკვე თვალებში და აღსარებისებრ სიწრფელით ვაღიარებ აქ ყოველივეს. შესაძლოა, შენ უფრო განგამკვიდროს ამ სტრიქონებმა საკუთარ რწმენაში, ან ეგებ ვისმეს სხვას აჩვენო და მას მოხვდეს გულზე.

ხომ გახსოვს, რომში რაც გითხარი, ორი გზაა-მეთქი ამჟამად მსოფლიოში, ორად ორი გზა: კომუნისტებისა და ფაშისტებისა.

შენ პირველი ამოირჩიე და მე მგონია, შენი მდგომარეობის კაცს სხვა არჩევანი აღარ შეგეძლო. მე დღემდის უგზოდ ვიხეტიალე და, როგორც ხედავ, ვერც ერთს დავადექი.

და ეს მომივიდა არა სიძაბუნის წყალობით (მე ჯერ ამირანობა არსად დამიქადნია, მაგრამ ვაჟკაცობა ყოველთვის მყოფნიდა, სხვას თუ ვერას გვხდებოდი, საკუთარი სატევრით გამეკეთებინა ხარაკირი ყოველ იაპონელზე უფრო ბეჯითად და აუღელვებლად, მაგრამ მე ამ დღეს ვუცდიდი).

მოკლედ გეტყვი, ძმაო, მე ვერც ერთ მათგანს ვერ დავადექი, ორივე დახშული აღმოჩნდა ჩემთვის, რადგან, დავრწმუნდი: ის სამყარო, რომელიც მე განუზომლად მიყვარდა, ვეღარასოდეს აღსდგება აწი. ხუნდებიან ჩემი საყვარელი ფერები, კვდებიან ჩემი სანატრელი სიმღერები, და ეს ლოფორთქინასავით სახეცვლილი ქვეყანა მე მეჩვენება როგორც უფერული ტრამალი.

გარდა ამისა, კიდევ ერთიც უნდა გაუწყო: სვანეთიდან მობრუნებულმა ეს პირველად შევიცანი ჩემს სიცოცხლეში, მარტოხელა კაცი თავისი უდიდესი სიბრძნითაც შლეგის შთაბეჭდილებას რომ ახდენს. ამიტომაც ამ მესამე გზას დავადექი მე უნებლიედ.

ლოგიკის ძალით მე ბევრ რამეში შენ გეთანხმები, მაგრამ ხომ გახსოვს, ვატიკანში რომ გითხარი, მამა-პაპათა ზნეთაგან ჩვენ

ისე შეპყრობილი ვართ-მეთქი, როგორც ლაოკოონი და მისი შვილები გარს შემოგრაგნილი გველისაგან.

ვარდანიძე-ემხვარები ჯიუტები ყოფილან ოდითგანვე. ამ სიჯიუტემ პერლაშეზის სასაფლაომდის ატარა მამაჩემი და მე არც კი ვიცი, საფლავს თუ გამითხრის ვინმე.

მეგონა, სვანეთში გადახვეწით გავექცეოდი გარს მომდგარს გრიალს ლაღუმებისას, მაგრამ შევცდი, იქაც იგივეა, რაც პარიზში, რომში ან ტფილისში ხდება. იდეები ეპიდემიებს გვანებია, ისინი ისეთ ქვეყნებსაც მისწვდებიან თურმე, სადაც კაბელებს და ელმავთულებს ჯერაც ვერ მიუღწევიათ — ჩემთვის ამ ყველაფერი ამაოა, მე უკვე აღარ მესმის საუკუნის ძახილი. უკეთ გეტყვი, მესმის, მაგრამ მაჟრჟოლებს მის გაგონებაზე.

ხელი მომეცარა სიყვარულში, სამეცნიერო ასპარეზზე ხელი მომეცარა. ერთ რამეში არ მომეცარება, მგონია, ხელი და ამას ჩემი ბრაუნინგი გადაჭრის უკეთ...

ეს ბარათი უჩვენე ყველას, ვინც ყოყმანობს, ყველას უჩვენე, თანაც უთხარი ყველას, ჩემს ნატერფალზე არავინ შესდგას ფეხი, რადგან საშინელი წყევლით დადაღულია ვარდანიძე-ემხვარების ეტლი და სარბიელი. ჩემი გზა აქ იქითკენ მიდის, საიდანაც ხმაც ვეღარ ბრუნდება“.

თავისი სახელი და გვარი მოაწერა თარაშ ემხვარმა მაშინალურად ბარათს, კონვერტი დახურა. გამოაღო ურთხელის კარადა, გამოიტანა თავისი შრომა „კოლხური ფეტიშიზმისათვის“, ბუხარში შეუკეთა და ცეცხლი გაუჩინა, როცა ქაღალდი თუნუქისდარ ფენებად გადაიქცა, გამობრუნდა, რევოლვერი ხელში აიღო, ფანჯარა გააღო, ჭადრის ძირას დაცუცქულ მგელიკას დაუძახა. კარი გაუღო. ძაღლი შემოვიდა ოთახში, თაფლისფერი კეთილი თვალებით შემოხედა თარაშს. თარაში მივიდა, დრუნჩზე ხელი წაავლო.

ეუბნება: „შე საწყალო მგელიკა, შენ მაინც უნდა წამომყვე იმ სოფელს, თორემ ნაფუძარზე დაცუცქდები და დაიწყებ ყმუილს“.

მერმე დაიხარა, შუბლზე აკოცა ძაღლს, გაუშვა ხელი და იმავე ადგილას, სადაც აკოცა, ესროლა ბრაუნინგი. სისხლში ამოსვრილი ძაღლი დაეცა მის ფერხთით. ისევ საწერ მაგიდასთან მიტრიალდა. ყორნისფრად ელავდა ბრაუნინგი. რაღაც ბედითი ლამპარი შეიცნო ემხვარმა ამ კრიალა სიშავეში.

მერმე ეს უნდოდა: მარცხენა ძუძუს ქვეშ მოესინჯა ადგილი ლულით და სწორედ ამ დროს საშინელი ბრახუნი ასტეხა ვიღაცამ წინა კარზე.

მთლად გაფითრებულმა ბრაუნინგი ჯიბეში ჩაიდო. კარი გამოაღო თუ არა, ლუკაია ლაბახუა შემოვარდა სახეარეული. იდგა ტყისკაცივით გაბურძგნული ლუკაია, უმწეოდ დაეღო პირი.

მცირე ხანს აფახულებდა წამწამებს, მერმე უეცარი ხავილი აღმოხდა, ხელები შეაშველა უნიათო ბლუკუნს, ისევ დაებრგვნა ენა და მწითურ წამწამებს უცნაურად აპარპალებდა: მაჯაგანით ამოზიდა პირიდან ორიოდე დაკეპილი სიტყვა.

და თარაშ ემხვარმა ეს გაიგონა: თამარი კვდებაო... შენს ნახვას ნატრობსო თამარი... თარაშმა ოთახში შემოიყვანა ტალახში ამოსვრილი ლუკაია.

„რად მოჰკალი ძაღლი, პატოჟნსქუა?“ ამბობს ლუკაია.

„არაფერი, გაცოფდა ძაღლი, ჩემო ლუკაია, გაცოფდა და მოვკალ, ყველა უნდა მოიკლას, ვინც გაცოფდება, ააა, რას იტყვი, ლუკაია, ხომ ასეა, ცოფიანი უნდა მოიკლას“.

ლუკაიამ თავისი ირმისფერი, უაზრო თვალები შემოანათა. და თარაშმა განაგრძო:

„ნამეტანს ყმუოდა მგელიკა, ლუკაია, ამ ძაღლებს ასეთი ჩვეულება აქვთ, დაცუცქდებიან ნაფუძარზე და ასტეხენ ყმუილს. არა?“

ლუკაია შეცბუნებული იდგა და თავს უქნევდა.

დასვა და წვრილად აამბობინა ლოდერელის მოსვლა, და მისი უკანასკნელი სიტყვები: დროზე რომ გეხმეთ, გადავარჩენდიო. ემხვარს ლოდერელის სახელი უწინაც განაგონი ჰქონდა. სავარძლიდან ვეღარ წამოდგა. ხმის ამოღების უნარი წაერთო.

ლუკაია ჯერ ოთახში დაბზრიალდა, მერმე ცირუნიასთან შებორიალდა, გამობრუნდა, დაცუცქდა კართან, დაჯდა და ისევ აფახულდნენ მწითური წამწამები...

თარაშმა ვეღარ აიტანა ენაბრგვნილის წამებისათვის მზერა. აივანზე გავიდა, ჰაერი შეისუნთქა, მერმე ისევ შემობრუნდა ოთახში. სავარძელში ჩასვა ლუკაია. დაამშვიდა. გამოკითხავდა დინჯად, რითი მოხვედიო, ან ენგურზე როგორ გადმოხვედიო?

გამოირკვა: უკანასკნელ ბორანს გამოეყვანა ლუკაია. შემდეგ ამისა, მე თავათ ვნახეო, თუ როგორ გაგლიჯა წყალმა ჯაჭვის ბაგირი. რკინიგზის ხიდი წუხელ დაუნგრევიაო ენგურს.

ცხენიო!

ეს სიტყვა აღმოხდა უნებლიედ ემხვარს. ეშბას ცხენი თუ გავავო ენგურზე, ასე ამბობდა ლუკაია. მაგრამ ეშბას ცხენი სოხუმში ყოფილა წაყვანილი. ზვამბაიას ცირა გამოდგებაო, მაგრამ ცირას ფეხი აქვსო დაშავებული. ეს თარაშმაც კარგად იცოდა.

„მაინც შეიარე, შურიგე, ცხენს როგორ დაგიკავებს არზაყან“. ეუბნება ლუკაია თარაშს.

* * *

თარაშმა ლუკაია შინ დასტოვა. ჩაბალახი მხარზე გადაიგდო. არზაყანის სახლისკენ გაემართა. მიდიოდა გულშეღონებული თემშარაზე: აღგზნებული მის გულში თამარისადმი უსაზღვრო სიბრალული.

სიბრალული იყო ეს განა? არა, ათასგზის უფრო მეტი. საშინელი სევდა იმ ადამიანისადმი, რომელიც სიცოცხლეში ჯეროვნად ვერ დააფასა და, როცა იგი სიკვდილის პირზე მიაყენა, ახლა მისდამი სიყვარული კვლავ შემოეგზნო გულზე, რადგან სიცოცხლის საფასურად შეესყიდა იგი თამარს.

მხნეობა მოემატა ამ აზრის გულში გამვლებელს. მთელ თავისი სიცოცხლეში მას ერთხელ მიეცა შემთხვევა, ვინმესთვის თავი გაეწირა და შესაძლოა ამან გადამარჩინოსო.

ეს გაიფიქრა თარაშ ემხვარმა და მოეჭიდა კიდევაც ამ აზრს.

უკვე არზაყანის კარ-მიდამოს მისდგომოდა ფიქრში გართული, სადღა იყო კაც ზვამბაიასეული მაღალი მესერი! ან ასწლოვანი ხეები ეზოსი. რამის პლანტაციები მოეწყო აქ კოლმეურნეობას.

თარაშ ემხვარს გული ეტკინა ძველი, საყვარელი ხეები რომ აღარ დახვდა, მისი ბავშვობის ტკბილზე ტკბილი საჩრდილობელი. ლეღვის ხეები გადარჩენილიყვნენ, ბროწეულის რამდენიმე ხე გამხმარიყო, ორიოდე ყვაოდა მხოლოდ.

ასწლოვანი კოპიტები მოეჭრათ სასიმინდეს გარშემო, „დემონებით“ დასახლებული ფუღურო ხეები. ბავშვობის ნეტარი დღეები მოაგონდა თარაშ ემხვარს, ელიზიუმის სვებედნიერ წალკოტში სირბილი...

* * *

სწორედ იმ დილით რაიკომში ეხმოთ არზაყან საჩქაროდ. ძაბული სამეზობლოში აპირებდა გადასვლას და არზაყანი მოულოდნელად შინ დაბრუნდა და არაბია თან მოიყვანა გახარებულმა. სხვა სარჩულიც ჰქონდა მის სიხარულს. არლანის მდგომარეობა ძალზე შერყეულაო, ლიჩელი დაუნიშნავთ პოლიტსამმართველოს უფროსად. კოხორას ტყეში ბობოლების გახიზვნამ

არლანი უარესად დააშინაო.

კიდევ სხვა ახალი ამბავი მოუტანა არზაყანმა ძაბულის, ცეკას კომისსია გამოფრინდაო ტფილისიდან, 10 საათზე ველითო ოქუმში.

არაბიას მოყვანამ მთელი ოჯახი გაახარა. ჯამუ და ქელეში სტიროდნენ სიხარულისგან.

არზაყანმა ახალი ფრენჩი და შარვალი მოიკითხა. კერასთან დაჯდა. ხვალ ზუგდიდს ვაპირებო წასვლას, ესა სთქვა და დაგლეჯილ აღვირებსა და მოსართავებს დაუწყო კერვა. ძაბულის გულმა რეჩხი უყო.

იცი, არზაყან, თამარი უკანასკნელ დღეში არისო!

არზაყანს განაგონი ჰქონდა: ყვავილბატონები დამართნიაო თამარს. მაგრამ ამ ამბავმა შეზარა მაინც. არ შეიმჩნია, სადგისი გაუყარა თასმაში და ცალყბად შეეკითხა ძაბულის:

ვინ გითხრაო შენ ეს ამბავი?

თამარის დეიდა ჩამოსულაო, დადიანის ქალი ამ დილით ზუგდიდს მინავალა, მაგრამ ბორანი წყალს წაუღია, აღარც მატარებელი დადისო, ქვეყანა შესძრაო ტირილით დადიანის ქალმა.

მცირე ხანს დუმილი ჩასდგა ორთავეს შორის, როგორც ყრუ და გადაუვალი კედელი.

კერავს არზაყან არლანის მიერ დაწყვეტილ მოსართავებს და სულ სხვაგან ჰქრის მისი გულის ფიქრი იდუმალ. შესაძლოა, დღეს არ ჩამოფრინდეს ცეკას კომისია. ქუთაისის რაიონის გამოკვლევა თუ მოათავა, დღეს ჩამოფრინდება, თუ არადა სამი დღის შემდეგ ჩამოფრინდებაო.

თუ სამი დღის შემდეგ, მაშინ ზუგდიდს ჩასვლას კიდევ მოასწრებს არზაყანი.

ენგური ადიდებულაო? მერე რა? განა შარშან ამ დროს არ გადალახა არზაყანმა გაშმაგებული ენგური? შარშან ყოველივე

კარგად იყო, ახლა თამარის სიცოცხლე განსაცდელში ეგულება არზაყანს და ენგური რას გაუმკლავდება მას?

თამარი უნდა ნახოს არზაყანმა და ამას არაფერი დაუდგება წინ, ენგური კი არა, შავმა ზღვამ რომ გადმოლახოს ხმელეთის კიდენი და წარღვნას ქვეყანა თუნდაც...

მერმე თავი აიღო არზაყანმა და შეეკითხა ძაბულის: ნუთუ ისე გაურთულდაო ყვავილი მაგ ქალს?

ძაბულის ეს უნდოდა თვალებში შეხედა არზაყანისათვის, მაგრამ არზაყანმა თავი დახარა და განზე გაწეული თასმა შემოაწყდა უცაბედად ხელში.

„რა ყვავილი? ვითომდაც არ იცი, რაცა სჭირს!“

„მე საიდან მეცოდინება?“ ძაბულიმ კიდევ შეხედა თავდახრილ არზაყანს და ხმადაბლა სთქვა: „ეს მერვე თვეა, რაც თამარი ორსულადაა“.

არზაყანი დადუმდა. ერთ წამში ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს გულის არეში ჩაუწყდაო რაღაც, უნდოდა ეკითხა: ვისგანო? ეს ზედმეტად ჩასთვალა.

„ვისგანო? ჰმ, ვისგან? განა ამას კითხვა უნდა, ვისგან იქნება?“ ეს უთხრა თავის თავს არზაყანმა და სადგისი გაუვარდა ხელიდან.

ადგომა დააპირა გაგორებულ სადგისის ასაღებად, წელი ვეღარ აიტანა. მერმე ფეხი გამოჰკრა, ახლოს მოაჩოჩა, აიღო, მაგრამ სადგისი ვეღარ გაუყარა მაჯაგანით გამოქნილ ღვედს.

უადგილოდ გაკერილი გასჭრა, ორივე თავი ურთიერთს გადაასკვნა. ცხენს უნდა მივხედოვო, წაიბუტბუტა და გავიდა გარედ.

როცა თარაშ ემხვარმა სამზადში ფეხი შემოდგა, ძაბული დაიბნა, ყურებამდის გაწითლდა, რადგან ჯერაც ჩაუცმელი იყო. ჯამუ და ქალეში მივიდნენ, შუბლზე აკოცა თარაშმა ბალღებს. გუ-

ლამღვრეული იყო, მაინც გამოიღო საალერსო სიტყვები მათთვის.

დაჯდა თარაში, ჯერ ძიძა მოიკითხა, საავადმყოფოდან როდის გამოსწერთო? მეზობლები ახსენა.

არზაყანი შემობრუნდა თუ არა, ძაბულიმ ქვეშეცნეულად შეატყო: არ იამა არზაყანს თარაშის მოსვლა. ჯერ მიწისფერი დაედო სახეზე, მერმე ფერნამკრთალობა სიწითლეთი შეეცვალა, ყურები შეუფაკლდა. მაინც ნაძალადევი თავაზიანობით შეეგება:

„აა, მოხვედი? კარგია რომ მოხვედი, მისოუსტ“.

ძაბული საუზმისთვის დატრიალდა. თარაშმა იცრუა: ესეცაა ვისაუზმეო.

არზაყანს სათქმელი გამოლეოდა. მას უკვე აღარ შეეძლო თარაშის ატანა.

მიხვდა: დასაჯდომად არ იყო მოსული, მაინც სთხოვა, დაიმუხლეო. გულში კი ეს უნდოდა: მალე გასცლოდა ემხვარი იქაურობას.

თარაშმა სამფეხა სკამი აიღო თავათ. კერასთან დაჯდა. მჭვარტლიან სამზადს თვალი მოავლო და დურბელისაგან ყელგამოღადრული ჯამლეთ ტარბა დაუდგა თვალწინ. ერთბაშად მოიცილა თავიდან ეს ჩვენება და ჯიქურად მიმართა არზაყანს:

„იცი, არზაყან, რისთვის მოვედი? — და მცირე ხნის დუმილის შემდეგ დასძინა, — ზუგდიდს მივალ, ცხენი უნდა მათხოვო“.

„ცირას ფეხი სტკივა, არაბია ესეცაა რაც დამიბრუნა ლიჩელიმ, მეც ზუგდიდს ვაპირებდი, მაგრამ წაიყვანე, რა გაეწყობა“.

თარაში წამოდგა.

„ახლა გინდა?“ შეეკითხა არზაყან და თავათაც წამოდგა.

„ამ წუთში უნდა წავიდე“.

ხუთიოდე წუთის მანძილზე ხმისამოუღებლად კაზმავდნენ

ორივენი არაბიას და არც ერთს კრინტი არ დაუძრავს. ბოლოს გავაზე ხელი მოუთათუნა არზაყანმა ცხენს და თარაშს შეესიტყვა:

„ბორანი რომ არ იქნეს, მისოუსტ, რას იზამ?“

„გავალ როგორმე“.

„ჯანაბასაც წასულხარ“, გაიფიქრა არზაყანმა და მის გულში იმედი ჩაისახა: ეგებ სასიკვდილოდ შევუკაზმეო ცხენი ამ დაწყევლილ ემხვარს. არაბიაც არ ენაღვლებოდა ამ წუთში, მისი საყვარელი არაბიაც, თუკი იგი იკისრებდა თარაშ ემხვარის სიკვდილის დემონად გახდომას.

თარაში არაბიას მოახტა, ორიოდე ნაბიჯიც არ ჰქონდა ცხენს გადადგმული, არზაყანი გამობრუნდა, გულდაწყვეტილად შეხედა თავის საყვარელ ულაყს. ცოტა მომიცადეო, სთხოვა და სახლში შევიდა. კარგა ხანს აცდევინა მაგნოლიის ქვეშ ცხენოსანს. მერმე ქაღალდში გახვეული ნივთი მოუტანა თარაშს და ეს უთხრა:

ეს თამარს გადაეციო, შარშან ვიპოვნეო ეს ჯვარი ილორში, მაგრამ არ ვუმხელდიო განზრახ.

თარაშმა თამარის ჯვარი იცნო. შემობრუნებული არზაყანი კარის ადგილიდან ეუბნება ძაბულის:

„ადე, ჩაიცვი, მე მაინც თემსაბჭოში მივდივარ, ხელი მოვაწეროთ დღესვე“.

ძაბულის სიხარულის ცრემლებით აევსო თვალები.

ზანდუკს მიადგა და თავის ერთადერთ საგარეო კაბას დაუწყო ძებნა. სამხრობა მოწეულიყო, როცა თარაშ ემხვარი დაადგა გზას.

ბაყაყის სიკვდილი

ლუკაია ლაბახუამ აღარ დაუცადა თარაშ ემხვარს. ცირუნიამ თვალი წაატანა ჭიშკრამდის მიღწეულს. შეშა ჰქონდა საჩეხი ცირუნიას.

მიაძახა: „მოიცა, შე ბედდამწვარო ლუკაია, წაიხემსე რამე ისე წადი“.

ლუკაიას დაცდილი ჰქონდა: როცა ეტყოდნენ, სჭამეო რამე, ეს იმას ნიშნავდა, ან წყალს მოაზიდვინებდნენ ჭიდან, ან სადმე გაგზავნიდნენ.

„აბა, ესა სთქვი, შე უხანო, როდის მოხვალ ლუკაია, როდის მოხვალ?“ — ემუდარებოდა ცირუნია, მისდევდა კალთააკეცილი.

„არასოდეს, არასოდეს“.

მიუგო ლუკაიამ და უმატა ძუნძულს. გარბოდა ლუკაია, ცალ ხელს შარვალზე ივლებდა, ძლივს იმაგრებდა ჩამოჩაჩულსა და ლაფში ამოსვრილს.

როგორც იყო, ოქუმის ეკლესიამდის მიაღწია, ძველთაძველი

ბუკი გამოათრია, სამრეკლოზე გაიტანა.

გადახედა ოქუმის ხეობას ლუკაია ლაბახუამ, მერმე დაჰკრა ბუკი, მოესმა მგრგვინავი ეხო, ისეთი კმაყოფილება იგრძნო, თითქოს მოსისხარის სისხლი აეღო. ისევ მიიყუდა სპილენძის ბუკი და ააბღავლა.

მერმე ხედავდა სამრეკლოდან, თუ როგორ გამორბოდნენ ახალგაზრდები მოედნიდან. ხის კიბეები ჩამოირბინა და ჩალიანში გაუჩინარდა. სამიოდე კილომეტრი იარა ეწერ-ეწერ, ჭალებში იხეტიალა და ისევ თემშარაზე გარბოდა.

ისე გამალებული მიძუნძულებდა, თითქოს მთელი ოქუმის მოსახლეობა მდევრად გამოდგომოდა უკან. ცალი ხელი გულზე ჰქონდა მიხუტებული, აფრთხიალებულ გულს იმაგრებდა და გარბოდა ღონემიხდილი ბერიკაცი. ენგურამდის ვერც კი მიაწევდა, მეურმეებს რომ არ წამოსწეოდა.

ნაჯიხვარის ფონთან მოტორიან ნავს მიუსწრო. გზის ოსტატები გადაჰყავდათ გაღმა.

დაეღრიჯა ლუკაია ლაბახუა მუშებს, მიხედეთ თქვენს ღმერთს, სულთმობრძავ ავადმყოფთან წამალი მიმაქვსო.

ბევრი აპამპულეს მუშებმა, შენ მიხედეო ჩვენ ღმერთს, ჩვენიცა და შენიც შენთვის დაგვილოცნიაო, და როცა ცრემლებმა იწვიმა ბერიკაცის დალეულ ღაწვებზე, შეიბრალეს და ენგურს გადაღმა გადასვეს.

* * *

ჯერ კიდევ ზუგდიდში არ იყო ლუკაია შესული, შარდინ ალშიბაია შემოეყარა გზაზე. ბუკეტი ეჭირა ცალ ხელში მამალ ინდოურსავით გაფხორილს, ცალიც კილასონიას ცოლისთვის გაეყარა.

არ იამა შარდინს ლუკაიას შეხვედრა. თვალი აარიდა გლახას.

მაგრამ ლუკაია მოურიდებლად მიეჭრა, ამბავი კითხა. იუკადრისა შარდინ ალშიბაიამ, როგორ გამიბედაო გამოცნაურება ამ შლუმ. ცალყბად მიუგდო პასუხი:

წუხელ გარდაცვლილაო თამარი.

იქვე ჩაიკეცა ლუკაია, ხელები დაიშინა თავ-პირზე. ადგა. გაბრუნდა და დადიანისეულ წისქვილისაკენ მიმავალ ნაურმალს მიჰყვა.

ახლად ნათესი ყანები წყალს გადაერეცხა, მეთოლიებით, ვარხვებით და ყანჩებით მოფენილიყო ველი.

მიდიოდა ფეხშიშველა ლუკაია, მიტოპავდა მუხლამდის ჭოჭყოში. წვრილი, დიაცური წვრილი ხმით მოსთქვამდა გზადაგზა.

კამეჩების მწყემსები გამოუდგნენ ლუკაიას, ხომ არ გცემაო ლუკაია მღვდელმა?

„აუ, ლუკაია, აუ“, ხარხარებდნენ ლაფში ამოსვრილ კაცუნას შემყურენი.

„მცემეს, მცემეს“, ყვიროდა ლუკაია, ვიშვიშით მიჰყვებოდა ლელიანს.

„უჩივლე, ლუკაია შე სახეძაღლო, უჩივლე ნახუცარს“. მისძახოდნენ მწყემსები. ორ თითს იდებდნენ პირში და უსტვენდნენ.

„დამანებეთ თავი, სიკვდილი მაცალეთ, თქვე მამაძაღლებო“. ხავოდა ლუკაია და მიფორთხავდა ძლივს.

იარა ლუკაიამ, იარა, იარა... ჭაობების დასაშრობ არხებს გადააწყდა. უზარმაზარი ჯებირები მოეწყოთ ცოფიანი ენგურის დასაოკებლად. გამოედენათ ჭაობი და მისი ბინადარნი ყამირებიდან. ნაყოფიერ ველებად ექციათ თვალუწვდენელი ეწერი და ყიჭიანი.

ამ წელს უკანასკნელად შებრძოლებოდა თავაწყვეტილი ენგური ადამიანის ხელით მიწყობილ სალტეებს, აქა-იქ ჯებირები

გადაელახა ძველ სანავარდოს მონატრებულსა. ისევ დამდგარიყო მომწვანო წყალი ნაგუბარებში და ბაყაყებს კვლავ მოეძებნათ ნაჩვევი სავანე.

მდუმარედ ჩაუარა ლუკაიამ მუშების ბანაკებს. შეშინდა: ადამიანს არ გადაჰყროდა.

დასვენების დღე იყო და ძეხორციელი არსად ჭაჭანებდა. ისევ ყიჭიანი დაიწყო მერმე, უდაბური კატაბარდები და უნაყოფო ეწერი.

ეწერი არ თავდებოდა. აქ უკვე აღარც კაცის, არც სხვა ცხოველის ნატერფალი არსად სჩანდა. არც მწყემსების სტვენა, არც ფრინველის ჩქამი. ბაყაყებს, ჯოჯოებს და გველებს დარჩენიაო თითქოს ჭაობი მუდმივ საუფლოდ.

მიძუნძულებდა ლუკაია ლაბახუა, გატვრინულ ბუნებას შესჩივოდა თავის უსაზღვრო წუხილს.

მხარი აქცეოდა დადიანისეულ წისქვილისაკენ მიმავალს. გაოცდა, როცა ტბას მიადგა გარინდებულს და ლელიანსა. თეთრი ღრუბლები უძრავად ეკიდნენ მომწვანო წყალში. გუბის გარშემო უამრავ ბაყაყს ამოეყო თავი, ისხდნენ და ვიშვიშებდნენ მცურავნი. საზარელი გნიასი დამდგარიყო გარშემო.

მწყემსი ბიჭი ჩასაფრებულიყო ლელში, ანკესი ჩაეშვა გუბეში. ისე მიეახლა ლუკაია მწყემსს, არც კი შეუნიშნავს მეანკესე. უცებ დაიშხუვლა ანკესის ტარმა. შეკრთა ფიქრში წასული ლუკაია და სწორედ მის ფერხთით დაეცა ბალახებში რაღაცა.

მიეჭრა მეანკესე ნადავლს და, თევზის ნაცვლად ბაყაყი რა ნახა ანკესზე წამოგებული, ბრაზი წაეკიდა და ფეხი დაჰკრა ქვეწარმავალს. წელები გამოსცვივდა მცურავს პირიდან, თვალები გადმოკარკლა ხმაწართმეულს.

თავზე წამოადგა ლუკაია სულთმობრძავს. ბაყაყი უკვე მკვდა-

რი იყო და ორივე უკანა ფეხს დიდხანს აფხარკალებდა. მერმე ცალი ფეხიც გაუშეშდა. ახლა მეორე ტოკავდა ჰაერში.

დასწყევლა ბიჭი ლუკაია ლაბახუამ, ცრემლები მოიწმინდა და გაუდგა გზას.

* * *

შეღამებულზე დადიანისეულ წისქვილამდის ძლივს მიაღწია. კონკილაზე შეყენებული ცარიელი ურმები დაუხვდა წისქვლის კარზე. მუნიანი ძაღლი გორგალივით მოდრეკილი იწვა ზედ წისქვილის კარის ალაგთან.

ჯებირი გაერღვია მდინარეს, ღარებს აღარ ყოფნიდა წყალი, ბაყაყებით გავსილიყო წისქვილის კალაპოტი, იქაურობას იკლებდნენ კრიახით.

ზოსიმიას ჩხირი გაეხია კარის რაზაში, სადღაც წასულიყო თავათ.

ფრთხილად გადაალაჯა ლუკაიამ მძინარე ძაღლს. დადუმებულ წისქვილში ბაიბური აღარ ისმოდა. საშინელი მარტოობა შემოენთო გულზე. გარედან ღალღის ჭყიპინი ისმოდა და ბაყაყების ხორალური მოთქმა. სად წასულიყო ზოსიმია?

ბალღივით გული ამოუჯდა ლუკაიას. დაჯდა დავსებულ კერის წინ. ისევ დაიშინა ხელები თავზე. დაბალი, დიაცური ხმით მოსთქვამდა ისევე, როგორც ოდიშელ ქალებს სჩვევიათ ხოლმე ძველი მიცვალებულის გამოტირების დროს, ეს იყო მხოლოდ: ლუკაიას აღარ ყოფნიდა ის მჭევრმეტყველება, ოდიშელები რომ იჩენენ ხოლმე გოდებისას.

ერთსა და იმავეს იმეორებდა ლუკაია:

მე მიტირებდი მეგონაო, შურიგე, შენ გახდი ჩემი სატირალი. შენს გამო ყველანი ვტირით, მე ისე მოვკვდები, ცრემლიც დაენა-

ნებათო ჩემთვის, გაეცინებაო ყველას ჩემი სიკვდილის გამგონეს.

ეს იყო და ეს. მერმე ჩაუწყდა ხმა გონებაარეულს და ცრემლებიც გამოელია. ადგა, კარი გამოაღო. გახედა ურმის გზას. ზოსიმია აღარსად სჩანდა. უკვე ტურები ღნაოდნენ წისქვილის შემოგარენში.

მწუხრი დაშვებულიყო გზაზე. ნისლი დგებოდა ჭაობებიდან და ენდროსფერ ცისკენ მიიზლაზნებოდა. ცოტა ხანს დაწრიალებდა დადუმებულ წისქვილში. მერმე კერიის პირად გდებულ ტომარაზე ჩამოჯდა და ნელა დაუსტვინა ისე, როგორც წყალთან მიყვანილ ცხენს დაუსტვენენ ხოლმე, ან მამალ ინდოურს, როცა დედლის დასაპეპლად წააქეზებენ.

სტვენა შესწყვიტა ლუკაიამ. ხმაგაკმენდილი იჯდა მცირე ხანს. გარკვევით ესმოდა, თუ როგორ გამოეყო ბნელს უზარმაზარი გველი, ზოსიმიას „ანგელოზთბატონი“.

გავაწეული მოიზლაზნებოდა მცურავი, მოასავსავებდა ორკაპიან ენას, მოაციმციმებდა ამაზრზენ თვალებს და ლუკაიას მოეჩვენა: იქედნურად უღიმოდა იგი დიდი ხნის უნახავ სტუმარს.

მერმე უცნაურ ბურტყუნს მოჰყვა ლუკაია ლაბახუა.

ასხმარტალდა მის ფერხთით გველი, დასწვდა ლუკაია ასო „ი“-სავით დრეკილ სლიპ სხეულს და კალთაში ჩაისვა უნასი.

ჯერ დაუყვავა შელოცვებით, ტკბილი ჩურჩულით, მერმე თავისი გამხმარი ფრჩხილები შემოავლო კუდზე და უჩქმიტა მცურავს.

წაიგრძელა კისერი ქვეწარმავალმა და ზედ ადამის ვაშლთან მისწვდა ბერიკაცს ყელში. შემზარავი ხმით დაიგმინა ლუკაია ლაბახუამ, ფქვილის ტომრებზე გადაესვენა მყისვე. ასე იწვა მცირე ხანს, მერმე გაასავსავა ჰაერში ცალი ფეხი ისევე, როგორც მწყემსის მიერ გასრესილმა ბაყაყმა და უკვე აღარ იყო...

* * *

ნაშუაღამევს ზოსიმია მობრუნდა წისქვილში. ჭრაქი აანთო თუ არა, ტომრებზე გადაწოლილი ლუკაია ლაბახუა შენიშნა.

სძინავსო, გაიფიქრა და თავისი დაკონკილი ტყაპუჭი ზედ გადააფინა ცხედარს...

ჰაეროპლანი და ურმის ფერსო

დილის ათი საათი არ იქნებოდა, როცა კოხორას ტყის აღმოსავლეთით ჰაეროპლანი გამოჩნდა. ლომკაც ესვანჯიას და ბესლან ტარბას ბობოლები გაეყვანათ კოხორას ტყეში. დიდმუხის ძირას დაბანაკებული თავკაცები ბჭობდნენ, დელეგაციას ირჩევდნენ ტფილისს, მთავრობასთან წარსაგზავნელს.

საყვირის ხმაზე თავმოყრილმა გლეხებმა მსხვერპლი შესწირეს ხეთა მეფეს და ლოცვები აღავლინეს. ჰაეროპლანის გუზგუზმა დიდი აურზაური შეიტანა ბობოლების ბანაკში. თვითმფრინავი მცირე ხანს ირაოს აკეთებდა ეთერში.

და მერმე კოხორას ტყეს გადაევლო და აღმოსავლეთით მდებარე ველზე დაეშვა.

ჩალმაზმა, ლიჩელიმ და არზაყანმა თითქმის სირბილით მიაშურეს სტარტის ადგილს.

თვითმფრინავიდან გადმოხტნენ ცეკას კომისიის წევრები.

ლიჩელიმ და ჩალმაზმა საქართველოს ცეკას წარმომადგენლები შეიცვნეს.

ახლად მოსულთაგანი ლიჩელის და ჩალმაზს მიუბრუნდა: „თქვენი მოხსენებითი ბარათი ქუთაისში გადმომცეს. წავიდეთ“. ესა სთქვა და წინ გაუძღვა დამხვდურებს.

როცა იმ მუხასთან მიაღწიეს, სადაც ლომკაც ესვანჯია და ბესლან ტარბა ისხდნენ, დროული კაცები ელვის უსწრაფესად ზეწამოიჭრნენ, ერთადერთი ლომკაც ესვანჯია იჯდა მუხის ფესვებზე, იდაყვები კვრისთავებზე დაეყრდნო, ხელები ჩაქინდრულ თავზე შემოეწყო, გაფითრებული დასცქეროდა მიწას.

ცეკას წარმომადგენელმა ჩალმაზს ანიშნა და ჩალმაზმა ამცნო მათ წინაშე მდგარ თავშიშველ გლეხებს: ჩაბალახები დაეხურათ ისევე. მოხუცებულნი გაოცდნენ და ისევ შეიბურვეს ჩაბალახებით მელოტი თავები. გლეხები ქვეშეცნეულად მიხვდნენ, რომ ცეკას კომისიის ხელმძღვანელი სწორედ იგი უნდა ყოფილიყო, რომელსაც ქვიშისფერი კოსტიუმი ეცვა.

ძველი მეფეების, მეფისნაცვლების, მთავარსარდლების გრძელ წვერებს და ორდენებს შეჩვეული თვალები გაოცებული შესცქეროდნენ, ცეკას კომისსიის ხელმძღვანელი ეჩოთირებოდათ, რომ მას არც გრძელი წვერი ჰქონდა, არც იარაღი უმშვენებდა წელს და არც ორდენები მკერდს. იგი ფრიად ძუნწობდა ხმის გაღებისას, და თავისი შავი თვალებით უფრო მეტად აკვირდებოდა იმათ, ვისაც რაიმეს გამოკითხავდა გულდინჯად, აუღელვებლად, მშვიდად: ხშირად შეუმჩნეველი, ოდნავ დამცინავი ღიმილი შესძრავდა ხოლმე მის მოკუმულ ბაგეს, როცა რომელიმე ბობოლა თავის მიხრწნილების იმედით, რაიმეს შეუსაბამოს წამოტორტლავდა ხოლმე.

და ისე გავიდნენ ცეკას წარმომადგენლები კოხორას ტყიდან, ბობოლებმა ვერც კი შეატყვეს: რა შთაბეჭდილებით წავიდნენ

ისინი მათგან.

ნახევარ საათში ახალი განკარგულებანი გაიცა. არენბა არ-ლანი მოხსნეს, მისი საქმე პარტკოლეგიას გადაეცა, რაიკომის მდივნად როსტომ ლიჩელი დაინიშნა, ჩალმაზი და არზაყანი და-აწინაურეს და ცენტრში დანიშნეს.

* * *

ჰაეროპლანი ნაავდრალ ძერასავით ადგა კოხორას ველიდან, ირაო გააკეთა უკვე დაცარიელებულ კოხორას ტყეზე და აღმო-სავლეთისკენ გაფრინდა.

არზაყან ცეკას წარმომადგენელსა და ჩალმაზის ზურგს უკან იჯდა. მოტორის გიზგიზში მათი კანტიკუნტი გასაუბრებაც აღარ ესმოდა.

ანარის ნისლიან მწვერვალს მიხედა, კოლხეთის დაფნარიან გორმახებს, სვანეთის ყინვიან მწვერვალებისკენ გაექცა თვალი და მოაგონდა „ტილიჭამიების სამეზობლოში“ განვლილი წამება.

მერმე ოდნავ ძირს დაეშვა ჰაეროპლანი, ენგურს გადახედა კიდეებიდან გადმომსკდარს, რუხისა და სათანჯოს ციხეებს, ზუგ-დიდის სანახებს, ურთას მთას, და ელვის უსწრაფესად უკან დას-ტოვა უკანასკნელი წლის ტანჯვის ასპარეზი.

უმატა რბოლას თვითმფრინავმა.

ცას მოსდებოდა ელვარე ფთილები ღრუბლისა: მხარმარ-ჯვნით დარჩნენ კოლხეთის ნარინჯის წალკოტები, ფაზისის ნაყო-ფიერი ველები, შემდეგ მოდგა ქართლის ზეგანის მშვენება მზითა და სიკისკასით აღვსილი, როგორც ახალი ცხოვრებისათვის ოც-ნება.

საათნახევარში გადაიარა ჰაეროპლანმა ენგურის, რიონისა და მტკვრის იგავმიუწვდენელი სანახები, რომელნიც გაკვრით მე უკვე აღვწერე ამ ჩემს რომანში.

და ხვალინდელი დღის სიხარულით გულმოცემული არზაყან ზვამბაია აღტყინებული განიცდიდა მანქანის მოუთმენლად გიზ-გიზსა და ცახცახს, თანაც ისეთი შთაბეჭდილება ექმნებოდა ამ წუთში: ურმის ფერსოსებრ დაფანჩვულ მზის დისკოში გაძვრება სადაცაა ჰაეროპლანი.

P.S. იმავე საღამოს როსტომ ლიჩელის განკარგულებით შე-იპყრეს ჯოტო გვასალია. იგი მყისვე გამოტყდა, თავის სიმამრს გვანჯ აფაქიძეს დაადო ხელი. დაატუსაღეს გვანჯ აფაქიძეც და ხუ-თი თავკაცი ბობოლებისა, მათ შორის ბესლან ტარბა ძმები-თურთ.

ყველა სათითაოდ გამოტყდა: როგორც ოქუმის თემსაბჭოს თავმჯდომარის მოკვლა, ისე ჩალმაზისა და არზაყანისათვის თავდასხმების მოწყობა აღიარეს, მხოლოდ „რისკის კაცმა“ არ იცნო დამნაშავედ თავი, სანამ ხუთი წლით თავისუფლების აღკვე-ცა არ მიუსაჯეს.

განკარგულება გაიცა ლომკაც ესვანჯიას შესაპყრობად, მაგ-რამ ერთი საათის წინ ტვინში სისხლი ჩაქცეოდა ლომკაც ესვან-ჯიას...

როგორ მოიტაცა ენგურმა მთვარე

არაბია გამხდარი ეჩვენებოდა თარაშს, მაინც კარგად მიდიოდა იგი. ხიდებზე, ბოგირებზე გადასვლისას თავისებურად ოჩნობდა, ორიოდე საათის გზა დარჩა ენგურამდის.

მზე მოიდრიკა. გრძელი, თალხი ჩრდილები წამოწვენ ტაფობზე, დამუქდა ველი, ბინდი შეეყარა ტყეებს. აჩქარებს ემხვარი დუჟმორეულ ცხენს, და მისი ფიქრი თამარისკენ მიიწევს. ისევ ამოიღო ჯვარი.

ფიქრობს: გაუხარდებაო უთუოდ თამარს ჯვარის პოვნა. ნეტავ რა უფრო გაუხარდება: დედისეული ჯვარის პოვნა, თუ თარაშის ნახვა?

მოხუცი ტარიელ შარვაშიძე წარმოუდგა თვალწინ. არაფერია... ამ განსაცდელის პირისპირ რა სახსენებელია გამოჩერჩეტებული ნახუცარის ბუზღუნი.

ახლა ხელმეორედ აღსდგა მის გულში თამარის სიყვარული. შარშანდელი ზაფხულის ბედნიერი დღეები მოაგონდა, ის ღამე,

საერთაშორისო ვაგონში გატარებული. და განუზომელი სიხარული იქნება თარაშ ემხვარისთვის, თუნდაც სიკვდილის წუთებში მიუსწროს სასურველს და, სულ ერთია, მისი აღსასრულიც არაა შორს.

როგორ ბრძნულად მოუზომია ეს ყოველივე განგებას: ერთ დღეს შესწყვეტენ ისინი სუნთქვას — თარაში და თამარი...

ენგური გადაუდგა ახლა ამ საოცარ საწადელს, თუ ბედმა ერთხელ მაინც გაუღიმა ემხვარს და ენგურზე გავიდა, თავის ცხოვრების უკანასკნელი სანატრი ამხდარი იქნება.

ახლა ლუკაია ლაბახუა დაუდგა თვალწინ. სულზე არ მოუსწრო ბერიკაცმა? როგორი ფატალური ამბები ხდება ამ ქვეყანაზე.

ვერც ერთი რომანისტი ვერ მოიგონებდა უკეთეს ფინალს. კაპპულეტტისა და მონტეკკის ამბავი მოიგონა. ვის სჭირდებოდა ამ საუკუნეში კაპპულეტტისა და მონტეკკის რომანტიული ამბავის ნაგვიანევი განმეორება.

ჭეშმარიტად ვერც ერთი რომანისტი ვერ მოიგონებდა უკეთესს ფინალს...

ისევ ლუკაია ლაბახუას ტუჩ-პირი გაახსენდა. სისხლიანი პირი ჰქონდა ამ დილით ლუკაიას. ხომ არ მოეჩვენა თარაშ ემხვარს ეს? არა, ნამდვილად სისხლიანი...

ჰმ, პირველ დღესვე შეზარა თარაშ ემხვარი ამ უჯილაგო მიწის კაცის, ამ საოცარი კომბლეს შეხვედრამ.

და მის დაჯღანულ ტუჩებს უნდა დასცდენოდა თამარის აღსასრულის ამბავი? მას უნდა გაეთქვა ბედისწერის საშინელი კაპრიზი? კიდევ ერთი დაფახულება თვალისა და თარაშ ემხვარ აღარ იქნებოდა ამ ქვეყანაზე...

* * *

ნახევარი გზაც არ ჰქონდა ჭენებით გავლილი, როცა სამივე

მოსართავი დაუწყდა ემხვარს.

სოფელში შეაყენა ცხენი.

მეუნაგრე თუ არისო აქ ვინმე?

მეუნაგრე ამ სოფელში არ აღმოჩნდა. ოცი კილომეტრის მანძილზე უნდა გაბრუნდეო უკან. ეს მანძილიც გადალახა ძლივს.

მეუნაგრეს დუქანი დაეკეტნა. შინ მუშაობსო ბებერი მეუნაგრე. ვიდრემდის მიხრწნილი ბერიკაცი თასმებს თავს მოუყრიდა, მოსართავებს დაკონკავდა აკანკალებული ხელებით, ორიოდე საათიც გავიდა ამასობაში. დაინტერესდა მეუნაგრე: რა გიჭირსო, ყმაწვილო, ასე დაუზოგავად რომ გიჭენებიაო ცხენი? დედა მიკვდებაო ენგურს გადაღმა, იცრუა თარაშმა.

სად არის ასეთი შვილები, დედის გულისთვის ენგურს რომ გავაო ამაღამ, ბუზღუნებდა ბერიკაცი.

გვარი და სახელი ჰკითხა მეუნაგრემ თარაშ ემხვარს. იცრუა: სოხუმელი ძაგანია ვარო.

ახლა თავის გაჭირვებას მოყვა მეუნაგრე, დავბერდიო, ამბობდა, თვალში სინათლე აღარ მაქვს. კოლექტივში ვინ მიმიღებსო უმწეოს, შეგირდის აყვანაც აკრძალულიაო. ნემსში ძაფს ვეღარ ვუყრიო.

მერმე თავის უბედური შვილის ამბავი დაიწყო: გერმანიის ფრონტზე იბრძოდაო სამ წელიწადს. უდიდეს ომს გადაურჩაო ვაჟკაცი, სამი ჯვარი მიიღო ბრძოლებში. შინ ბრუნდებოდა ნაომარი, ერთი დღე არ მოიცადაო მამის ნახვის დანატრებულმა. ენგურზე გადმოდიოდაო ღამით და დამეხრჩოვო მარჩენალი შვილი.

თარაში დადუმდა და მეუნაგრეს გამოეთხოვა. ერთი საათის გზა უკლდა ენგურამდის. სამი ცხენოსანი გამოჩნდა ნაურმალზე.

თარაშმა სალამი მისცა წინ მომავალ მოხუცს. ენგურის ამბავი გამოკითხა.

დოღზე მინავალან აჭანდარელი აფხაზები. ენგურზე ვერ გასულან. მათაც დაუმოწმეს: ბორანიც წაიღოვო წყალმა.

თარაშმა ცხენი დასძრა თუ არა, მოხუცი გამობრუნდა: „სად მიხვალ, ყმაწვილო, არ გვიჯერებ, რომ გეუბნებით?“

„მე ისე მაქვს საქმე, უთუოდ უნდა გავიდე“.

„ნუ წახვალ, მამაშვილობას, ენგური ჯერ არავის მოსწრებია ასე გაცოფებული... მამად გერგები, გამობრუნდი, მამაშვილობას“.

მერმე ახალგაზრდები გამოუდგნენ ემხვარს. გვარი ჰკითხეს.

ემხვარი ვარო, რომ გაიგონეს, მოხუცმა ცხენი გააბრუნა და ეს უთხრა ხმადაბლა ცხენოსნებს:

„თავი გაანებე, ეს ისეთი ჯილაგის კაცი ყოფილა, მამა ღმერთიც ვერ გამოაბრუნებს“.

ცხენი გააჭენა თარაშმა. ეს ფიქრი ტრიალებდა მის გულში: თუ ბედისწერის წიგნში სიმართლის ნატამალი დარჩენილა, ენგურს გავალო ამაღამ.

კიდევ ერთი დღე უნდა გამოსძალოს თარაშმა განგებას, სიცოცხლის ერთი დღე კიდევ... და თამარის სიყვარული ამად ღირს, კიდევ ერთი დღე რომ ისუნთქოს ემხვარმა. და კვლავ ენგური გაახსენდა.

ვინ გადასულა აპრილში ენგურზე?

ვამეხ ანჩაბაძე დაიხრჩო, მაგრამ კაც ზვამბაია ყოველ წელს გადადიოდა, შარშანწინ თარაში და არზაყანი მან გადაიყვანა. და მოაგონდა, უკან რომ მოსდევდა მათ ცხენებს ბებერი მამამძუძე, ძახილით და ყიჟინით ამხნევებდა.

გვანჯ აფაქიძე მრავალგზის გადასულა დიდ ფონზე, მაჩაგვა ეშბა, შერგილ დადიანი და მის ხსოვნაში ამოტივტივდნენ უკვე ჩამქრალი სახელი და გვარები, რომელთა ცხენოსნობისა და ვაჟკაცობის გამო ბევრი რამ გაუგონია თარაშს. ერამხუტ ემხვარი,

ძიკი შარვაშიძე, ბონდო ჩიქოვანი, თემრაზ ბენდელია და კეგვა ჟვანია. ამ ვაჟკაცების სახელმა სიტფო და მხნეობა შემატეს თარეშს და მგლურიდან გალოპზე გადაიყვანა ცხენი.

აჰა, ენგურის ჭალებიც!

მთვარე ამოსულიყო რუხის ციხის გადაღმა, ზაფრანისფრად მოღაჟღაჟე მთვარე.

ქშუოდა ენგური, ურჩხულებრ დაგრაგნილი მდინარე ბედითად ლაპლაპებდა კაშკაშა მთვარის ციაგში. აჩქამდა თარაშის სისხლში ცხენოსანთა და მეომართა გულმამაცობა. არაბიას სწყვიტა მათრახი და მებორნის ქოხთან მიაგდო ცხენი.

მკრთალი შუქი ღიმღამობდა ღიჭედ დარჩენილ კარიდან. მათრახის ტარით დააკაკუნა თარაშმა.

„აფშუმა“, დაიძახა აფხაზურად მხედარმა.

ბაიბური არსაიდან ისმოდა.

„აფშუმა“... გაიმეორა უფრო ხმამაღლა.

„რომელი ხარ?“ შემოესმა ქოხიდან ქართულად.

„ასას“.

უპასუხა თარაშმა. ღრიჭინით გაიღო კარი. ტყაპუჭწამოსხმული დევკაცი გაეხირა კარის ჩარჩოში.

„ბორანი თუ მუშაობს?“ იკითხა მხედარმა ყასიდად, თუმცა იქვე ეგდო გაწყვეტილი ჯაჭვი ბორნისა.

„ბორანმა მოგჭამა ჭირი“. სთქვა მებორნემ. თარაშს შერცხვა. რად ვიკითხეო ბორანი, გაღმა მეგონაო, მოიბოდიშა. თვითონვე მიხვდა: ეს იმიტომაც მოუვიდა, ადამიანი უნდა ენახა წინამდებარე განსაცდელის პირისპირ.

„გაღმა გაიხედეთ, თუ ნაპირი შენიშნოთ“. ამბობს მებორნე. გაიხედა თარაშმა გაღმა: თვალსაწიერზე ვასვასებდა წყალი. მებორნემ მიიპატიჟა, ჩამობრძანდიო ცხენიდან ყმაწვილო.

დღეს ვიღაცა ვახანია გავიდაო ცხენით, მაგრამ ეს მზის ჩასვლამდის მოხდაო, დილა გათენდება, შენცა სცადე ბედი, დოღზე თუ მიხვალ, ზეგ დილით დაიწყებაო დოღი.

მე დოღზე უფრო დიდი საქმე მიჭირსო.

ესა სთქვა და ცხენი გააბრუნა. გაოცებული მებორნე ქოხიდან გამოვიდა და ცხენს წაეპოტინა:

„ნუ იზამ, ყმაწვილო, ამას, ასეთ დროს ქაჯი ვერ გავა ენგურზე. შარშან გავიდა ერთი მამა შვილით. ღამით, მაგრამ შარშან ამხელა არ ყოფილა წყალი“.

„არა, გავალ როგორმე“. სთქვა თარაშმა და სადავე დაუმოკლა ცხენს.

„მე თქვენ გირჩევთ დაბრუნდით, ყმაწვილო“. თარაში წასვლას დაადგა და მებორნე შეეკითხა: რა გვარი ხართო? „მე იმ გვარისა ვარ, ვისაც უკან დახევა არა სჩვევია“. ესა სთქვა და არაბიას სწყვიტა მათრახი.

სულ მცირე ხანს მოესმოდა ემხვარს, თუ როგორ სცემდა არაბია რიყეზე ფლოქვებს. მერმე მოუქნია მათრახი და გადააგდო მორევში ცხენი. ჯერ გაეგო ფეხქვეშ მხედარს თარსი ენგური, მოლი გაუფინაო თითქოს, ყურებდაწურული არაბია მკერდულით ეძგერა ტალღებს.

ლიცლიცებდა ახლად ამოღებულ აბრეშუმის დარად მოლივლივე წყლის ჭავლთა ტეხილი, ატლასისებრ ეგებოდა თავზე ხელაღებულ მხედარს და ადგა თარაშ ემხვარის თვალის წინ უშველებელი ჩქერალი წყლისა მთვარის მოსალბუნე ლივლივში, როგორც ახალი ცხოვრების ნათლით მოსილი გზა.

და ისეთი მსუბუქი ეჩვენა მხედარს ენგურის ნარნარი რწევა, ისე ეგონა, სულ რამდენიმე წუთი და გამოჩნდება კიდევაც ნაპირი.

ელავდნენ მოსარკულ წყლის ფონზე თამარის ცისფერი,

ზღვისფერი თვალები...

შეუტია ცხენდაცხენ თარაშ ემხვარმა აზღვავებულ სტიქიონს. ერამხუტ ემხვარის უბადლო გმირობა მოიგონა, როცა იგი აჩხოისთან, ერთი მუჭა ჩერქეზების ამარა, ეძგერა ხმალამოწვდილი კაზაკების ბატალიონებს.

მოიკრიფა სიმამაცე და ნაპირისკენ პირი აქნევინა ცხენს, რათა კიდევ ერთი დღე გამოეგლიჯა ბედისწერის გამხმარ ხელიდან.

მერმე წამოვიდნენ დგანდგარით შუათანა, მედგარი ტალღები, ურჩხულისებრ დაგრაგნილნი, ბოლოსა სცემდნენ გავაზე ცხენს, ბალიშზე გადაურბინა წყალმა, უზანგებზე შესდგა მხედარი და დასცა ყიჟინა ომახიანი, ვაჟკაცური ხმით. წაიგრძელა არაბიამ კისერი და ფრუტუნით ეძგერა ტალღების ლეგიონს.

მთვარეს გადაეფოფრა მოთალხო ღრუბელი, ჩრდილები გაწვნენ წყლის ზედაპირზე. იბურთავეს არაბია. ლეგა ზვირთებმა გადაუშვა უფსკრულში ცხენი, და როცა ისევ ზე ამოცურდა იგი, ასე ეგონა თარაშ ემხვარს, ლანდების სამყაროში მიაგელვებდა მქშინავი ულაყი.

მოჰქონდა ლანქერს სვანეთიდან დაძრული ნამორები, შავი კუბოები მოსცურავენო თითქოს, შემოესმა თარაშ ემხვარს შორეული ძახილი, გამოსდგომოდა თითქოს მამამძუძე ყიჟინით და მიყვება არაბია ამ კუბოების ლაშქარს, როგორც მიცვალებულის შესუდრული ცხენი.

ისმოდა სტვენა და ხორხოცი, როგორიც დევის ქვაბში იმ წვიმიან ღამეს. აღიმართებოდნენ ტალღების ბორცვები, გრიალით, სრიალით ინთქმებოდნენ უფსკრულში.

უცებ შემოესმა ემხვარს ისეთი გრუხუნი, თითქოს ლაღუმებით დასძრეს კლდეები, დახვავდნენო გრიალით მთები. სახეში ეცა ურჩხულისებრ აქოჩრილი ტალღა და თვალგახელილმა აღარ იცოდა უკვე, სიზმარი იყო ეს ყოველივე თუ მყარი სიცხადე?

მიჰყვებოდა ცხენი თვალუწვდენ სრბოლას და მიჰქონდა ენგურს გრძელი და შავი კუბოები, და ასე ეგონა მხედარს, წაირღვნაო ხმელი და მიაქროლებდა მას ეს გახელებული კორიანტელი ამ კუბოებთან ერთად თვალშეუდგამ შავეთში.

და მერმე გამოვიდა ისევე მთვარე. აკაშკაშდა წყლის ზედაპირი. გაივაკა ხვნეშით მცურავმა არაბიამ. ისევ გაეგო მაცდური ენგური ფლოქვებს ქვეშ ცხენს, ისევ ეძგერა უშველებელი ჩქერალი სახეზე მხედარს.

გახედა რუხის ციხის ემხვარმა და რუხის ციხე დატრიალდა გასარკულ წყლის პირზე და მერმე დაიქცა კვლავ, როგორც ჭადრაკულად განრიგებული ციხეები სიზმარში.

ისევ აღიმართებოდნენ ქონგურებიანი ბასტიონები ბნელში და გრუხუნით ეშვებოდნენ უფსკრულში.

გაიხედა ემხვარმა და არაბია უკვე გამოეცალა წყალს. დასცა ყიჟინა საშინელი და განწირული, თითქოს ძახილზე მოსცვივდნენო კვლავ ურჩხულები, და როცა წყლიდან თავი ამოყო, მას უკვე არაბიას კისერი აღარ დაუნახავს, მთვარე მისცურავდა გასარკულ წყლის პირზე.

გაშალა მკლავები ემხვარმა. მოსტაცა თვალი მოვარვარე დისკომ მთვარისამ, თითქოს უფსკრულეთს დარჩენოდა ცეცხლებრ მგზნებარე ცალი თვალი და მიჰყვა მთვარეს ცნობაწართმეული ცურვით, მაგრამ იძალა ისევ ენგურმა, იბურთავა მთვარე, გამოსტაცა ქანცმილეულ მცურავს და გააქანა უფსკერო შავეთში.

უთენია შავ ზღვისკენ მიჰქონდა ენგურს პირაღმა მწოლარე შავჩოხიანი ცხედარი...

ლაინისფერი გადაკვროდა ზღვას მშვიდად მთვლემარეს. მთვარე აღარ სჩანდა ცაზე. ერთადერთი ღრუბლის ფთილა შერჩენოდა მალაქიტის ცას, კოლხური ოქროს საწმისის ფერისა.

ზოგიერთ სიტყვათა განმარტებისათვის

ქვემორედ მოთავსებულ სიტყვათა განმარტება საჭიროდ ვცანი, რადგან ზოგნი მე განვაახლე ახალ ქართულში, ზოგიც სხვადასხვა ქართულ დიალექტს დავესესხე, ხოლო დანარჩენნი დასავლეთურ ენებიდანაა ნასესხები, როგორც ჩემამდის, ისე ჩემს მიერ.

ა

ааду — სვანურად — ჭო, დიახ, კი.
აბრაგი — ყაჩაღი.
აბსნი — აფხ. აფხაზეთსა ქვია.
ავასარხვა — ყურძნის ჯიშია.
ავრეხი — ველური ვაზი.
აკვაკვარი — აფხ. კვერი.

აკროპოლის — ათინის ციხე.

ალატი — საფქვილე დიდი გეჯა.

ალიანს — ფრან. კავშირი.

ალიასკა — ამერიკის ერთ-ერთი ნახევარკუნძული.

ალქიმია — არაბ. ალ-ქიმია — შუა საუკუნეთა ქიმიური „მეცნიერება“ ხელოვნებად წოდებული.

ანალოგია — ბერძ. მსგავსება.

ანთრაკი — პატიოსანი ქვა.

ანდაზა — თარგი. პირველი გეგმა და სხვა.

აუგი — ცუდი.

აურუსი — აფხაზურად რუსი.

არაბესკი — არაბული სტილის სამკაული რამ, ნახატი ან ნაქანდაკევი.

არგონავტები — ბერძნული თქმულების გმირები, რომელთაც ოქროს საწმისი მოიტაცეს კოლხეთიდან.

აფშუმა — აფხ. მასპინძელი.

აჯილღა — ულაყი.

ასას — აფხ. სტუმარი

აჩაჩი — პრიმიტიული გუთანი.

არავი — გრიგალი.

არილი — ათინათი, ანასხლეტი სხივებისა.

არქტიკა — ბერძნ. მნათობთა კრებულის, გუთნის გასწვრივ მდებარე ქვეყნები ჩრდილოეთში.

აპერიტივი — მადის მომგვრელი მომჟავო სითხე.

აშინაყმა — აფხაზ. შინაყმა.

ახო — განაჩეხი ტყის ნიადაგი, საყანედ გამოცეცხლილი.

აზარი — აფხაზ. სიმღერაა.

აქატი — პატიოსანი ქვა.

აჰაჰაიტ — აფხაზ. ცხენს შესძახებენ ამრიგად.

ბ

ბაბრი — ლეოპარდი.

ბაგირი — მსხვილი თოკი ან საბელი, ლითონისაგან ნაკეთები, ბორნებისა და გემებისათვის.

ბარელიეფი — სიბრტყეზე ნაქანდაკევი ფიგურები.

ბაკხიური — ბერძნ. ნაწარმოებია სიტყვიდან ბაკხოს — დიონისოს. მიწის ნაყოფიერების დღეობის ე.წ. ღვთაება.

ბახი — გერმ. კომპოზიტორი.

ბუდეშური — ყურძნის ჯიშია.

ბუდიზმი — ბუდდჰას მოძღვრება.

ბირკა — ძურწა, ერთგვარი მცენარეა.

ბისტი — საბა ორბელიანი: „ოთხი ფული“, დასავლეთ საქართველოში იხმარება, როგორც არარა, უმნიშვნელო რამ.

ბორჯია ალექსანდრე — იტალიელი აზნაური.

ბონდი — წნელისაგან დაწნული ხიდი.

გ

გამბა — შევალიე გამბა, ფრანგი მოგზაური, რომელმაც დასწერა საქართველოში მოგზაურობის წიგნი და მასვე ეკუთვნის სურათების მთელი სერია ქართული ტიპებისაგან შემდგარი.

გალოპ — ფრანგ. ერთგვარი სვლა ცხენისა, ხტომით რბენა, ქართულად ოთხახმით წაყვანა.

გარიბალდი — იტალიის განმათავისუფლებელი ავსტრიელთა უღლისაგან მე-19 ს.

გაქარჩხული — მავნე „სულებით“ გავსილი.

გაზულუქებული — გამედიდურებული, გაყოყოჩებული.

გელაზი — წისქვილის ქვა.

გეშეფტ — გერმ. საქმე, იგივე ცნება ირონიული ტონით ნახმარი.

გერულაფა — მეგრ. დოღის წინადღეს საცდელად გამართული ჭენება და ჯირითი.

გეჯა — დიდი ვარცლი, ხის დიდი გობი.

გვემული — ნაცემი, შეწუხებული.

გველფები და გიბელინები — ორი, ურთიერთისადმი მტრულად განწყობილი პარტია შუა საუკუნეთა იტალიაში.

გვიდო რენი — იტალ. მხატვარი.

გლუ — შიშველი, არაფაჩუნიერი.

გნიასი — ხმაური, ჩოჩქოლი.

გობელენ — ფრანგ. ნოხები, სხვადასხვა ფიგურებით დამშვენებული.

გორდისეული კვანძი — ბერძნ. ძნელად შესასრულებელი ამოცანისთვის იტყვიან.

გორმახი — მომცრო მთა.

გოჯილა — ბალღთათვის სათამაშო ხის ფიგურა რამ.

გრანდი — ესპანელი აზნაური.

გრიზეტა — ფრანგ. მსუბუქი ყოფაქცევის ქალი.

გროტესკული — სასაცილო გუთანი — შვიდვარსკვლავიანი კრებული.

გუტენბერგი — გერმ. სტამბის გამომგონებელი იოჰანეს ჰენნე — იღვწოდა მე-15 ს.

დ

დადრა — აფხაზ. მამა.

დარანი — ბეჩო, კიბოთა ან თევზთა სავანე მდინარის ღრუში.

დაფანჩული — გაშლილი, მთიებგავსილი.
დერბი — ინგლის. სამწლიანი ცხენების შეჯიბრი.
დვრიტა — მაჭიკი, თესლი.
დიანა — ბერძნ. მით.
ნადირობის ღმერთქალი.
დითირამბი — ბერძნ. ხოტბა.
დრედნოუტი — ჯავშნოსანი გემი.
დურაყი — ჯიხვის ნუკრი.
დავანება — დაყოვნება, სადმე დადგომა.

ე

ესკვილის გორები — გორაკებია რომში.
ეტრატი — პერგამენტი.
ეროს — ბერძნ. მით. სიყვარულის ღვთაება.
ექსპანსიური — წრესგადასული.
ექსპონატი — გამოსაფენი საგანი მუზეუმებში.
ექზჰოტიური — უცხოური.
ექსტრავაგანტური — საგანგებოდ რჩეული, არაჩვეულებრივი რამ.

ვ

ვარხვი — წეროსმაგვარი ფრინველი.
ვასაკა — ხის ბაყაყი.
ვეგეტაცია — ზრდა მცენარეულისა.
ვესტალები — ლათ.
ვესტას — ადგილის დედის მსახურნი, მონაზვნად აღკვეცილნი ქალწულნი.

ვინიეტები — ფრანგ. სამკაულად გაკეთებული ნახატი.
ვირგილიუსი — რომაელი პოეტი.
ვირილიონი — პატიოსანი ქვა.
ვოლტაჟი — ელექტროს ძაბვა.

ზ

ზანზალაკი — საქონლისათვის ყელზე შესაბმელი ზარა ან რაიმე სარაჩხუნო.
ზარნიში — ფოლადზე ცურვილი ოქროს ფიგურები.
ზიმზიმი — ხმაური. გნიასი.

თ

თავკიდური — კაპიტელი.
თარჩია — ცხენის ჭენება, ჯირითი.
თებაი — ძველი ეგვიპტის ქალაქი — რუს. „ფივი“.
თეთრლეგო — თეთრი, ტუტასფრად ნარევი.
თეოსოფია — ბერძნ. „ღვთის სიბრძნე“. გერმანიაში არსებული იდეალისტური ფილოსოფიური საზოგადოებანი რუდოლფ შტაინერის მეთაურობით.
თრიაქი — ოპიუმი.
თქორი — წვრილი, მჟინჟლავი წვიმა.
თხემის რქა — ცხენის ყურებს ქვემოთ ამობორცვილი ძვლის თავი.

ი

იავარქმნა — განადგურება.

იასპი — პატიოსანი თვალი.

ისინდი — ერთგვარი ჯირითი ძველ ოდიშში ისრების ან ჭოლოკების სროლით.

ილარი — ყურის საწმენდი ხელსაწყო.

ირაო — შემოწმებულია გურიაში, სამეგრელოში და ხევსურეთში. ნიშნავს ფრინველის ფრენას ეთერში, როცა იგი წრეებს ხაზავს ფრენისას.

ირისე — ცისარტყელა.

კ

კალმასობა — ძველ საქართველოში ბერის ან მწირის მიერ პურის ან ფულის გამოთხოვა.

კავური — ქართულ ხელსაქმეში კავისდარად ნაქარგი.

კასტელი — იტალ. ციხე-კოშკი, გალავნებით დაცული სახლი.

კლანიო კლასტ — სამეანო იარაღია.

კაპიტოლი — ლათ. ერთ-ერთ ბორცვთაგანი ქალაქ რომში, მთავარი ციხე, იუპიტერის ტაძარი იყო ზედ.

კაპუეტი — ზამთარგამოვლილი მიმინო.

კარდალი — მომცრო ქვაბი.

კატაბარდი — ყიჭიანი, ეკლებიანი ბარდი.

კვიცრა — სვან. დედალი ჯიხვი.

კოკოლი — ნაძვის ან ფიჭვის ნაყოფი. ფშავ-ხევსურნი ქირჩლას უწოდებენ.

კერკეტი — ნიგოზი გამოდის ნაჭუჭ მაგარი.

კიანტი — იტალ. ღვინოა ერთგვარი.

კიმილი — აჭარაში ვიპოვნე ეს სიტყვა. ზღვის ღინჭილა.

კიპკიპა — კინკიბო, ანუ ლავიწი.
კონსერვატუარ — მოედანია პარიზში.
კრიშნა — სანსკრიტ. ჰინდური ღვთაებაა
კრუპპი — გერმანელი ინჟინერი, ზარბაზნების მექარხნე.

ლ

ლაგვინი — სარწყულია ღვინისა.
ლათინური კვარტალი — უბანია პარიზში.
ლასკარი — სისხლის ნათესავთა წრეში მოწყობილი „კოლექ-ტიური მეურნეობა“.
ლაპის ლაზული — პატიოსანი თვალი.
ლაოკოონი — ბერძნ. მითიური მოგვი აპოლონისა, რომელიც ღვთაების ნებით შვიდივე შვილიანად ორმა გველმა მოახრჩო.
ლაფარო — იმერულ-მეგრული ოდების შემოგარენი.
ლაქაში — ჭაობის ბალახია, პრასისებური ფოთლები აქვს.
ლახტი — რკინის ტუკი, საცემი, საომარი იარაღია.
ლიგვირიონი — ქვაა პატიოსანი.
ლოინი — მამალი აქლემი.
ლოფორთქინა — ლოკოკინა.
ლოპინარი — ცერცვია ერთგვარი.
ლუსკუმი — მაღალი ქვის კუბო ან საფლავი.

მ

მათარა — ტყავისაგან გაკეთებული სასმისი.
მალათინი — ოქროთი ან ვერცხლმკედით ნაქარგი.
მანები — ქართული ასო „მ“-ს დარად ამოქარგული ფიგურა.
მაზდეანიზმი — ძველ ირანული რელიგია.

მარკ ავრელიუს — რომის კეისარი.

მარულა — დოღი.

მარაზმა — სიბერის ავადობა, ხსოვნის სისუსტე.

მარსის მოედანი — ლათ. კამპუს მარციუს, მოედანია რომში, ამავე სახელობის მოედანი არსებობს პარიზშიაც.

მასტოდონტი — მასტოდონტ სპილოს ოჯახის ეშვებიანი ნადირი.

მარიხი — მარსი, ვარსკვლავი, ომის ღმერთი.

მარეკი — დიდ ნადირზე ნადირობისას იმათ ეწოდება, ვინც ნადირს გამორეკს ტყიდან.

მარქაფა — ცხენი, მხედრის მიერ სადავით წაყვანილი.

მარჩბივი — ტყუპი.

მახარია — მეგ. გამახარე.

მახვში — სვან. ოჯახის უფროსი, თემის თავი, პატრიარქი.

მაჯაგანი — ორკაპიანი ჯოხი თასმის გამოსახდელი.

მაჰაჯირი — მონარქიზმის შემოსვლის შემდეგ თურქეთში გადაკარგულ აფხაზებს ჰქვია მაჰაჯირები.

მელონ — ფრანგ. ნესვი, ნესვის ფორმის მაგვარი ქუდი.

მეინახე — თანამესუფრე.

მეითარი — მეძაღლე.

მეტამორფოზა — სახეცვლა.

მეტროპოლია — სატახტო ქალაქი, დედაქალაქი, მთავარი პროვინცია.

მეხატულე — რომელიმე ხატის მომვლელი ან მისი მფარველი აზნაური ძველ საქართველოში.

მიზიტხუ — აფხაზურად — პირველ ყვავილების წარმართული დღესასწაული.

მიმიკრია — მხატვრობაში, თვალისამქცევი მსგავსება დახატულ ფიგურებისა.

მაგალითად მცენარე ან ყვავილია დახატული და მნახველს ფრინველად მოეჩვენება.

მიგრაცია — პლატონიური სწავლა სულთა განსვენების შემდეგ სხვა არსად ქცევისათვის.

მიკელანობდა — კოჭლობდა და ისე მიდიოდა.

მიზრაფი — თარის დასაკვრელი სადაფის ან რქის ნაჭერი.

„მიცვალებულთა მზე“ — ნასამხრალ სხივს უწოდებენ მზისას ოდიშში.

მოქლონი — ბოქლონი

მუჯრა — სვან. გრძელი ჯოხი წვეტმორკინული მთამსვლელთა სახმარი.

მურილიო — ესპან. მხატვარი.

მურყვანობა — სვან. კოშკის დღესასწაული.

ნ

ნამორი — ხის ნაჭერი.

ნანასქუა — მეგრ. შვილი.

ნამრუდისფერი — მუქი ცისფერი.

ნარგილე — ირანული დიდი ყალიონი, რომლის მილი წყალში ტარდება.

ნაშიერი — წარმონაშობი.

ნიმფა — ძვ. ბერძნ. ალი, წყლის სული.

ნიშატი — არსებობის ან ბუნების ერთ-ერთი თვისება, სახე.

ნიგა — რძის ჭურჭელი.

ნიჟარა — ხობოკვერა ლოფორთქინასი, კიბოსი ან ქვეწარმავალთა.

ო

ობელისკი — ბერძნ. „ობელისკოს“ — წვეტიანი ქვის სვეტი.

ოდისეი — ჰომეროსის ერთ-ერთი პოემის სათაური და მისივე გმირის სახელი.

ოლე — არე რამ ორ საგანს შორის დარჩენილი.

ონაგა — მტრედის მართვე.

ორაკული — ბერძნ. „ორაკულუმ“ — მისნობის მაუწყებელი მოგვი.

ოშოშია — მეგრ. ბალახია სამკურნალო.

ოტებული — სიტყვიდან ოტება — გაქცეული.

ოსპი — ცერცვია ერთგვარი.

პ

პაზიონი — თვალი პატიოსანი.

პალატინი — ერთ-ერთ გორაკსა ჰქვია რომისას.

პალაცცო — იტალ. სასახლე.

პარფემი — ფრანგ. ნელსურნელი.

პატონი — მეგრ. ბატონი.

პატოჟნსქუა — მეგ. ბატონიშვილი.

პომპეუს — რომის იმპერატორი

პონტოს ევქსინოს — ბერძ. შავი ზღვა.

პოტიკი — ძუის მახე მწყერთა ან ჩიტთათვის დაგებული.

პაციფისტი — მშვიდობიანობის წვრ. ბურჟ. მოქადაგე.

პერსეფონე — ჯოჯოხეთის დედოფალი ანტიურ მითოლოგი-აში.

პეტრარკა — იტალ. პოეტი.

პსიხე — ბერძნ. მით. ეროსის საყვარელი.

რ

რაფინირებული — განაზებული, გაფაქიზებული.

რიგვედა — ჰინდუს ლიტერ. უძველესი ძეგლები, საღვთო წერილი.

რილკე — რაინერ მარია — გერმ. პოეტი.

რიცჰა — აფხაზ, შე ღატაკო, შე საცოდავო.

რუპპორი — გემის ლოცმანის ხელსაწყო, თუნუქის საყვირი.

ს

საკარცხული — ხის სავარძელი.

საკრალური — წმინდა.

სამანი — საზღვარი, ზღვარი.

სან პიეტრო — ტაძარია რომში.

სანსკრიტული — ჰინდოთა კლასიკური ლიტერატურის ენა.

სამარაგდო — თვალია პატიოსანი.

სარდიონი — აგრეთვე თვალი პატიოსანი.

სარკოფაგი — ლუსკუმი.

საპფირონი — თვალი პატიოსანი.

სატურნალიები — ძველი იტალიური დღესასწაული სატურნის მოსაგონარი.

სატევარი — ხანჯალი, რატომღაც ამ უცხო სიტყვამ ქართული სატევარი გააძევა, ამიტომაც ამ უკანასკნელს გამოვესარჩლე. სატევარი დასავლეთ საქართველოშია დარჩენილი.

საოლავი — ცხენის ფეხის ნაწილია, ფლოქვიდან მუხლამდის.

საუფლო — საბატონო.

საქმისაჯ — სვანური ფალოსის მისტერიის ერთ-ერთი მომქმედი პირი.

საქნიერი — ხორცი, რომლითაც მიმინოს მოიტყუებენ ხოლმე მონადირენი.

სახუნდარი — სვანეთში ჯიხვზე ნადირობისას მოწყობილ საფარსა ჰქვია ახლაც.

საწმისი — მარტყლი.

სვიტრი — ინგლის. ნაქსოვი პერანგის დარი.

სნობისტური — გარყვნილი, მეტიჩრული.

სკორე — განავალი ფრინველთა ან ცხოველთა.

სოხანე — მიწის იატაკი.

სტოა — ბერძ. სვეტი, სვეტებიანი არე.

სუპერეროტიული — ზეეროტიული, გარყვნილი.

სხაპი — მეგრ. ფიგურები, რომელთაც ცხენს გააკეთებინებენ ხოლმე მოჯირითენი.

ტ

ტაბუ — აკრძალვა, არხსენება რომელიმე ცხოველის ან საგნის სახელისა, რელიგიური ან ცრურწმენული მოსაზრებით გამოწვეული.

ტალანი — სახლის ვესტიბიული.

ტიარა — პატრიარქის ქუდი.

ტიხე — ბერძნ. ბრმა შემთხვევა, ბედი.

უ

უკაცრიელი — უკაცური.

უკანასტარი — წერილის ბოლოს მინაწერი.

უნასი — იმერ. გველის პსევდონიმია, იმ შემთხვევაში, როცა არ უნდათ გველის ხსენება.

უნიკალური — იშვიათი, ერთადერთი.

უშუბზია — აფხ. გამარჯვება.

ურჩხული — გველეშაპი.

ფ

ფლატე — დაცერებული კლდე, ნაპირი.

ფედროს — პლატონის დიალოგის სახელია და სახელი მისივე მოწაფისა.

ფემინისტური — ქალური, ქალთა მოძრაობის მოსარჩლე.

ფერმენტი — საფუარი.

ფეტიშიზმი — „ღვთაებისათვის“, კერპისთვის განკუთვნილი საგნების თაყვანისცემა.

ფეხკავშა — თეთრწვივიანი ცხენი.

ფოლკლორი — ხალხური მითოლოგია.

ფოლიანტი — ეტრატი.

ფოთრი — სვან. ჯიხვის დურაყი. ეს სიტყვა ქართულ დურაყზე უფრო კეთილხმოვანია, იმიტომაც შემოვიღე.

ქ

ქამანდი — ლასსო, სატყორცნი საბელი.

ქერეჯი — მწერების ფრთენი.

ქიმერა — ბერძნ. თხა. „ხიმაირა“ პირველადი მნიშვნელობით

მითოლოგიაში საზარი არსება. წინიდან ლომის აღნაგობისა, შუაში თხისა და ბოლოში ურჩხულისა.

ქირდვა — კიცხვა.

ქონგური — ციხის, კოშკის დაცხრილული, კბილოვანი ზეთავი.

ქუში — ცხენის სნეულება, უზომო ქშენა.

ღ

ღანკი — ოდიშსა და აფხაზეთში ნიშანში სროლასა ან სასროლს უწოდებენ.

ღვაშ — სვან. მამალი ჯიხვი.

ღერბეთ, ანუ ღერმეთ — სვან. ღმერთი.

ყ

ყარყუმი — თეთრი ბეწვი.

ყიჭიანი — ნარიანი, ეკლიანი მიდამო.

ყომრალი — წითელი.

შ

შადი — ნაქსოვია.

შავეთი — ქვესკნელი, ჯოჯოხეთი.

შეფაკლული — გურიაში განაგონია, შეწითლებულს ეტყვიან.

შლიგინი — ოტებული ცხოველის შარიშური.

შლუ — სულელი, რეგვენი.

შეიდიში — ქალის შარვალი.

შივა — ჰინდური ღვთაება.

შუნი — დედალი ჯიხვი ან შველი.

შურიგე — მეგრ. დაახლ. სულო.

ჩ

ჩამური — მეგრ. საცეხველი.
ჩენტეზიმი — იტალიური მანეთის ერთეულის მეასედი, ერთი სანტიმი.
ჩქერალი — მაღლიდან დაშვებული წყალი (ჩაწერილია აჭარაში).

ც

ციონი — ცის მხარე, ეთერი.
ცის საუფლო.
ცავ — გურული, გოგოვ!

ძ

ძგიდე — გურიაში ჩაწერილია, ნიშნავს კიდეს.
ძურწა — ბირკა.

წ

წორი — სვან. მოსისხართა მიერ დაზარალებულთათვის გაგზავნილი საჩუქრები.

ჭ

ჭანგი — ფრინველის ან მტაცებლის ფრჩხილი.
ჭალიკონი — ქარი, ზღვაური.
ჭვინტი — ფეხსაცმლის ან გემის ცხვირი.
ჭოჭი — ჭაობი.
ჭიუხი — კლდე, ღრე.
ჭოჭყო — ჭაობი, ჭოჭი.
ჭვიშტარი — სვან. ხაჭაპური.

ხ

ხაია — მეგრ. ლაქაშის დარი მცენარეა ჭაობის, ხერხისებურად დაკბილული კიდეები აქვს ხაიას კლერტოებს.
ხაჯალური — მეგრ. ბორკილებია ერთგვარი.
ხარიპარია — ვარსკვლავია ცისკრისა.
ხვატი — დიდი სიცხე.

ჯ

ჯაშრალი — სვან. ქალამანი (სანადირო)
ჯახველი — ხეა ერთგვარი ალპურ ზონისა, ალისფერ ნაყოფს ისხამს.
ჯაჭვისფერი — ნაცრისფერი.
ჯაჯი — აფხ. ნაყოფიერების ღვთაება.
ჯესმიმო — სვან. გესმის.
ჯვალო — უხეში შალი.
ჯუფთი — წყვილთაგანი ერთ-ერთი.
ჯუნგლი — აფრიკისა და ამერიკის ეწერი.

ჰ

ჰაზავატი — წმინდა ომი.

ჰაიტი — კუნძულია წყნარ ოკეანეში.

ჰაუბიტცი — დიდი ზარბაზანი.

ჰაიდ პარკი — პარკია ლონდონში.

ჰიეროგლიფი — ფიგურებიანი წარწერა.

ჰიპოკრატეს — ბერძენი ფილოსოფოსი.

ჰიპოხონდრიკი — ნერვებაშლილი.

ჰელი — ფინიში, საბოლოო სადგური, დოღის ან ბურთის დროს.

ჰენდელი — გერ. კომპოზიტორი.

ჰებ ვარა — ჰებ, აგდებული შეძახება აფხაზურად.

ჰერალდიკა — წინაპრების გვაროვნული მატიანე.

ჰორაციუს — რომაელი პოეტი.

ციტატების თარგმანი:

1. Heureux celui qui se souvient avec plaisir de ses pères ; qui entretient avec joie l'étranger de leurs actions, de leur grandeur, et qui goûte une satisfaction secrète à se voir le dernier anneau d'une belle chaîne.

ბედნიერია იგი, ვინაც სიამოვნებით იგონებს თავის წინაპრებს, ვინც სიხარულით ებაასება უცხოელს მათი დიდებისა და მათი ღვაწლის გამო, ვინც იდუმალ სიამოვნებას განიცდის, როცა ხედავს, რომ იგი მშვენიერი ჯაჭვის უკანასკნელ რგოლს წარმოადგენს.

2. Es ist drolling – საამურად სასაცილოა.

3. Entzückend – ზეაღმტაცია.

4. A very admirable country – ფრიად საოცარი ქვეყანაა.

5. Après mois déluge – ჩემს შემდეგ თუნდაც წარღვნაც მოსულა.

6. Culpa mea – ჩემი ბრალია, ახია ჩემზე.

7. Ich sehe dass eure Konige genau so romantisch verrükt

waren, wie sie selbst – მე ვხედავ, თქვენი მეფეები თქვენსავით შლეგი რომანტიკოსები ყოფილან.

8. Abscheulich – საძაგელია.

9. „თამარ დედოფალ აგოსჯდა, თხუმაზ აიგანდა ზურჩია“. (თამარ დედოფალი მობრძანებულა, თავზე ეხურა ზუჩიო).